LEVAN MUSKHELISHVILI

PROBLEMS OF THE HISTORY OF GEORGIA

TBILISI

ლევან მუსხელიშვილი

საქართველოს ისტორიის საკითხები

თბილისი

რედაქტორი

დავით მუსხელიშვილი

გარეკანზე:

სამშვილდის ციხე. ბუბა კუდავას ფოტო.

ISBN 978-9941-487-28-6

© დავით მუსხელიშვილი, 2019.
© გამომცემლობა „არტანუჯი“, 2019.

სარჩევი

რედაქტორისაგან 9

არქეოლოგია და ისტორიული გეოგრაფია

(1933 წლის მუშაობის ანგარიში) 13

KAUKASISCHE PARALLELE ZU EINEM ALTAEGYPTISCHEN RENNWAGEN 16

ლევან მუსხელიშვილის „ნოქალაქევში 1930/31 წლებში ჩატარებული გათხრების დღიურისა და შედეგების" გამოცემასთან დაკავშირებით 20

ნოქალაქევის დღიური 22

ნოქალაქევის გათხრების შედეგები და დ-რ შნაიდერის დასკვნები 1929/30 წწ. 25

დმანისი. ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა 37

დმანისის არქეოლოგიური გათხრების წინასწარი შედეგები 156

ГОРОД ЭПОХИ РУСТАВЕЛИ 161

РАСКОПКИ В ДМАНИСИ 162

ბოლნისი 191

გუდარეხის პირველი და მეორე (1938 და 1939 წწ.) არქეოლოგიური კამპანიის ანგარიში 250

ОТЧЕТ ПЕРВОЙ И ВТОРОЙ ГУДАРЕХСКИХ АРХЕОЛОГИЧЕСКИХ ЭКСПЕДИЦИЙ 367

არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავრის ხეობაში 374

სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები

დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიები XVI-XVII სს. 459

ს. კაკაბაძე. მასალები დასავლეთ საქართველოს სოციალურ და ეკონომიურ ისტორიისათვის 506

ზოგიერთი საწყაოს ოდენობა დას. საქართველოში XVI-XVIII სს. 519

მალაქია კათალიკოზის 1622 წლის მოლაშქრეთა სია 523

ინგლისური ვილენაჟი და ქართული ყმობა 526

ეპიგრაფიკა

სამშვილდის სიონის წარწერები და აშენების თარიღი 535

მცხეთის სვეტი-ცხოვლის ტაძრის უძველესი წარწერები და მათი დამოკიდებულება მელქიზედეკ კათალიკოსის ანდერძთან 557

წყაროთმცოდნეობა

ვაჰანის ქვაბთა განგება (XIII ს.) 573

აბუსერისძე ტბელი. ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე 631

MEMORIA

ლევან მუსხელიშვილი 697

კულტურის ძეგლთა მცველნი და მოამაგენი 700

ლევან მუსხელიშვილი 100 704

გივი ჯამბურია. ლევან მუსხელიშვილი (დაბადებიდან 100 წლისთავის გამო) 705

რამინ რამიშვილი. ლევან მუსხელიშვილი და ქართული არქეოლოგია 713

დევი ბერძენიშვილი. ლევან მუსხელიშვილის საველე კვლევა-ძიება 719

დერმიშა გოგოლაძე. ქართველი გლეხობის საკითხი ლევან მუსხელიშვილის შრომებში 726

ჯუმბერ კოპალიანი. ლევან მუსხელიშვილი და დმანისი 732

ვახტანგ ჯაფარიძე. ლ. ვ. მუსხელიშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა) 736

ვახტანგ ბერიძე. ლ. მუსხელიშვილის წვლილი ძველი ქართული ხუროთმოძღვრების შესწავლის საქმეში 744

გიორგი გოზალიშვილი. მცირე მოგონება ლევან მუსხელიშვილზე 749

ციალა გაბაშვილი. მოგონება 751

ლ. მუსხელიშვილის ნაშრომები 755

Levan Muskhelishvili. PROBLEMS FROM THE HISTORY OF GEORGIA (Abstract) 757

საძიებლები

პირთა 758

გეოგრაფიულ სახელთა 769

CONTENTS

FROM THE EDITOR 9

ARCHEOLOGY AND HISTORICAL GEOGRAPHY

(REPORT ABOUT THE WORKS DONE IN 1933) 13

KAUKASISCHE PARALLELE ZU EINEM ALTAEGYPTISCHEN RENNWAGEN 16

ON THE PUBLICATION OF THE DIARY AND RESULTS OF THE DIGS OF 1930/31 BY LEVAN MUSKHELISHVILI IN NOKALAKEVI 20

THE DAY BOOK OF NOKALAKEVI 22

RESULTS OF NOKALAKEVI DIGS AND THE CONCLUSIONS OF DR SHNEIDER 25

DMANISI. HISTORY OF THE CITY AND DESCRIPTION OF THE RUINS OF THE CITY 37

PRELIMINARY RESULTS OF THE DMANISI ARCHEOLOGICAL DIGS 156

A CITY OF THE RUSTAVELI PERIOD 161

DIGS IN DMANISI 162

BOLNISI 191

REPORT OF THE FIRST AND SECOND ARCHEOLOGICAL CAMPAIGNS IN GUDAREKHI (IN 1938 AND 1939) 250

ОТЧЕТ ПЕРВОЙ И ВТОРОЙ ГУДАРЕХСКИХ АРХЕОЛОГИЧЕСКИХ ЭКСПЕДИЦИЙ 367

ARCHEOLOGICAL EXPEDITIONS IN THE MASHAVARI GORGE 374

SOCIAL-ECONOMIC ISSUES

SOCIAL AND ECONOMIC CATEGORIES OF THE PEASANTRY IN WESTERN GEORGIA OF THE 16TH-17TH CC 459

S. KAKABADZE. MATERIALS CONCERNING SOCIAL AND ECONOMIC HISTORY OF WESTERN GEORGIA. 506

SOME MEASURING VESSELS IN WESTERN GEORGIA IN THE 16TH - 17TH CC. 519

LIST OF THE WARRIORS OF CATHOLICOS MALAKIA FROM THE YEAR 1622 523

ENGLISH "VILLENAGE" AND GEORGIAN "KMOBA" 526

EPIGRAPHICS

INSCRIPTIONS OF THE SAMSHVILDE SIONI AND THE DATE OF ITS CONSTRUCTION 535

ANCIENT INSCRIPTIONS OF THE SVETITSKHOVELI CATHEDRAL IN MTSKHETA AND THEIR RELATIONSHIP WITH THE WILL OF CATHOLICOS MELKIZEDEK 557

SOURCE STUDIES

THE TYPICON OF THE VAKHANI CAVES (13TH CENTURY) 573

ABUSERISDZE TBELI. THE CONSTRUCTION OF BOLOK-BASILI IN SHUARTKALI AND THE GENEALOGICAL HISTORY OF THE ABUSERISDZES 631

MEMORIA

LEVAN MUSKHELISHVILI 697

THE CARERS AND PATRONS OF THE CULTURAL MONUMENTS 700

LEVAN MUSKHELISHVILI 100 704

Givi Jamburia. LEVAN MUSKHELISHVILI (FOR A 100TH YEAR ANNIVERSARY) 705

Ramin Ramishvili. LEVAN MUSKHELISHVILI AND GEORGIAN ARCHAEOLOGY 713

Devi Berdzenishvili. FIELD RESEARCH AND EXPLORATIONS BY LEVAN MUSKHELISHVILI 719

Dermisha Gogoladze. THE ISSUE OF GEORGIAN PEASANTRY IN WORKS BY LEVAN MUSKHELISHVILI 726

Jumber Kopaliani. LEVAN MUSKHELISHVILI AND DMANISI 732

Vakhtang Japaridze. LEVAN MUSKHELISHVILI (LIFE AND WORK) 736

Vakhtang Beridze. L.MUSKHELISHVILI'S CONTRIBUTION IN THE EXPLORATION OF ANCIENT GEORGIAN ARCHITECTURE 744

Giorgi Gozalishvili. A BRIEF MÉMOIRE ABOUT LEVAN MUSKHELISHVILI 749

Tsiala Gabashvili. MEMOIRES 751

WORKS BY LEVAN MUSKHELISHVILI 755

Levan Muskhelishvili. PROBLEMS FROM THE HISTORY OF GEORGIA (Abstract) 757

INDEX

Names 758

Geographical Names 769

რედაქტორისაგან

ლევან მუსხელიშვილი, ივანე ჯავახიშვილის ერთ-ერთი მოწაფე, XX საუკუნის პირველი ნახევრის თვალსაჩინო ისტორიკოსი და არქეოლოგია. მიუხედავად ხანმოკლე სიცოცხლისა (იგი 42 წლისა გარდაიცვალა) და ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობისა, მან ფრიად მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ქართულ ისტორიოგრაფიაში. მრავალმხრივი ინტერესების მქონე მეცნიერი, წარმატებით იკვლევდა ფეოდალური ხანის საქართველოს ფუნდამენტურ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს, ისტორიულ გეოგრაფიას, ეპიგრაფიკას; საფუძველი ჩაუყარა ფეოდალური პერიოდის საქართველოს არქეოლოგიურ კვლევას; მისი წყაროთმცოდნეობითი პუბლიკაციები სანიმუშო გამოკვლევებად მიიჩნევა; გარკვეული წვლილი აქვს შეტანილი ქართულ ისტორიულ ხელოვნებათმცოდნეობაში, ბრინჯაოს ხანის საქართველოს არქეოლოგიური კვლევა-ძიების საქმეში...

წინამდებარე წიგნში თავმოყრილია ლევან მუსხელიშვილის მიერ სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში გამოქვეყნებული სტატიები და ცალკეული მონოგრაფიები, აგრეთვე – ნაწილი იმ გამოუქვეყნებელი მასალისა, რომელიც კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული, კერძოდ: 1933 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში, 1929 წელს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე წაკითხული მოხსენება („ინგლისური ვილენაჟი და ქართული ბატონყმობა") და ექსცერპტი იმავე 1929 წელს შესრულებული ფართო სოციალურ-ეკონომიკური შტუდიიდან (თავი 14) – „მალაქია კათალიკოზის 1622 წლის მოლაშქრეთა სია".

წიგნს დართული აქვს ლევან მუსხელიშვილის გარდაცვალების შემდეგ სხვადასხვა მეცნიერის და მისი მოწაფეების მიერ მის შესახებ გამოქვეყნებული წერილები და მოგონებები.

დასასრულ, დიდი მადლიერებით უნდა აღინიშნოს, რომ წიგნის გამოქვეყნება იკისრა გამომცემლობა „არტანუჯის" დამფუძნებელმა ბუბა კუდავამ. დიდი მადლობით უნდა მოვიხსენიოთ ასევე გამომცემლობის მენეჯერი ეთერ ბაიდოშვილი, რომლის დაუზარებელი გარჯის გარეშე ვერ შესრულდებოდა ეს არცთუ იოლი საქმე.

არქეოლოგია და ისტორიული გეოგრაფია

(1933 წლის მუშაობის ანგარიში)

1933 წლის განმავლობაში ჩემი მუშაობა, თანახმად გათვალისწინებული გეგმისა, სწარმოებდა ორი მიმართულებით. ერთის მხრით მე ვცდილობდი გამომერკვია საქართველოს კულტურული ვითარება გვაროვნული საზოგადოების დაშლის დაწყების ხანაში (რკინის ხანის დამდეგი) და თანამიმდევრობა ლითონის კულტურებისა ჩვენში, მოყოლებული განვითარებული ბრინჯაოს ხანიდან ვიდრე განვითარებული რკინის ხანამდე, როდესაც ფულმა დაიწყო ტრიალი ჩვენში (დასავლეთი საქართველო), ე. ი. ვცდილობდი დამედგინა გეოგრაფიულად და ქრონოლოგიურად გვაროვნული საზოგადოების დაშლისა და კლასებრივი საზოგადოების წარმოშობის პროცესის ეტაპები. ამ პრობლემასთან მჭიდროდ დაკავშირებული იყო ჩვენი არქეოლოგიისათვის ჯერ-ჯერობით საბოლოოდ გადაუწყვეტელი კარდინალური ხასიათის საკითხი ქრონოლოგიისა. მეორე მხრით ჩემს ამოცანას შეადგენდა ე. წ. ციკლოპურ ნაგებობათა კულტურული კუთვნილებისა და მათი დათარიღების საკითხის გარკვევა – პრობლემა, რომელიც, შეიძლება ითქვას, შემთხვევითმა გარემოებამ წამოაყენა (კურ. აბასთუმანში ყოფნამ ავადმყოფობის გამო და იქ ასეთი ნამოსახლარების აღმოჩენამ), მაგრამ რომელიც ნამდვილად, ზოგადი ინტერესის შემცველია, ვინაიდან, როგორც ცნობილია, მსგავსი ნაგებობანი მრავლადაა მოდებული მთელს ამიერკავკასიაში, და აგრეთვე გადაბმული იყო წინამავალ პრობლემაზე, ვინაიდან კარგა ხანია რაც (აზერბაიჯანში – მესჩანინოვი) საკითხი დაისვა ამ სამოსახლოების ურთიერთობისა ა/კავკასიაში ცნობილი სასამარხოების კულტურებთან.

პირველი საკითხის დამუშავებისას მე გამოვდიოდი ბრინჯაოს ცულების შესწავლიდან, რომელიც უკვე 1931 წელს დავიწყე. მუშაობის პროცესში თანდათან სხვა ობიექტების განხილვაც შეიქნა საჭირო (ხმლები და სატევრები, ქინძისთავები, ფიბულები და სხვ.) და რასაკვირველია საქართველოს ფარგლებით დაკმაყოფილება შეუძლებელი იყო, ფართედ უნდა ყოფილიყო გამოყენებული მთელი კავკასიის ცნობილი მასალა და აგრეთვე წინააზიისა და დასავლეთი რუსეთის (ევრაზიის) მდიდარი მონაცემი.

შედეგად ამ მუშაობისა უნდა ჩაითვალოს ის „მიმოხილვა საქართველოს პირისტორიული (-პირველყოფილი ისტორიული, რედ.), სიძველეებისა“ რომელიც შავად მაქვს დამზადებული და ა/კავკასიური ბრინჯაოს ცულების გავრცელებულობის არქეოლოგიური რუკა, რომლის შედგენა 1932 წლის ზაფხულში დავასრულე. ზემოხსენებულის მიხედვით მოკლედ შემდეგი სურათი წარმოგვიდება ნახსენები საკითხებისათვის: საგვარეულო საზოგადოების ძირითად კერად, რამდენადაც დღეს-დღეობით ჩანს, შავი ზღვის სანაპირო და უფრო კიდევ აფხაზეთი (დოლმენები) უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ მისი კვალი მაინც კიდევ ნათლად ჩანს ზემო იმერეთამდე (საჩხერის ყორღანი). აღმოსავლეთ საქართველოში საგვარეულო საზოგადოების სადგურები ჯერ-ჯერობით აღმოჩენილი არაა, რაც, უეჭველია, ჩვენი არქეოლოგიური კვლევის უპოვრებით უნდა აიხსნებოდეს, ვინაიდან წარმოუდგენელია, რომ დასავლეთით (აფხაზეთ-იმერეთი), და აღმოსავლეთით (აზერბაიჯანი – ყიზილვანქი, თალიში, განჯა-ყარაბაღის რაიონი) და სამხრეთით (სომხეთი – ერევნის რაიონი) წმინდა ბრინჯაოს კულტურა ყოფილიყო გავრცელებული

და შუაზე მოქცეული აღმოსავლეთი საქართველო (ქართლი-კახეთი) ამ კულტურების გარეთ დარჩენილიყო. ეს ერთი. მეორე დასკვნა შემდეგია: აფხაზეთის დოლმენებით წარმოდგენილი კულტურა ჩვენში ჩრდილოეთიდან, წინაკავკასიიდან შემოვიდა, მაგრამ მან აქ თავისებური, რთული და ხანგრძლივი განვითარება განიცადა და ამ განვითარების მიმართულება განსაზღვრული იყო სამხრეთიდან, შუამდინარიდან და მცირე აზიიდან მომდინარე ზეგავლენით. ეს აბავი ხდება ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასეულის პირველი ნახევრიდან მოყოლებული. გარკვეულ დროს, როგორც კობანისეულ ფიბულების მიხედვით ჰფიქრობენ (ტალგრენი, მონტელიუსი), დაახლ. 1300-1100 წწ. ძ. ნ., საქართველოში და საზოგადოდ კავკასიაში რკინა შემოდის. იწყება საგვარეულო საზოგადოების დაშლა (თანდათანობით) და ურთიერთობაც მეზობელ ქვეყნებთან უფრო ჩამოყალიბებულ ფორმებს ღებულობს. ამ დროს, ჩემი მასალის მიხედვით, შეიძლება ორი გეოგრაფიულად მკვეთრად განსხვავებული კულტურული არის გარჩევა საქართველოში: ერთია დასავლეთ საქართველოს კერა, რომელიც ისევ-ისე უმთავრესად შავი ზღვის სანაპიროთია წარმოდგენილი და რომელსაც მე კოლხურს ვუწოდებ (არგონავტების თქმულება!), მეორე კი აღმოსავლეთი საქართველოა, რომელიც წარმოდგენილია სამთავროს ქვედასართულით. აღმოსავლეთ საქართველოში უფრო მეტი დეტალიზაციაც შეიძლება ხმლებისა და სატევრების მიხედვით: სახელდობრ თავისებურ ვარიანტს იძლევიან კახეთის სადგურები. აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველოს ეს თანადროული და ფორმაციის მიხედვითაც თანაბარი, მაშასადამე, მხოლოდ გეოგრაფიულად განსხვავებული კულტურები ერთმანეთს ხვდებოდნენ სწორედ იქ, სადაც მერმინდელი (ძვ. და ახ. წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების) საზღვარი გადიოდა იბერიასა და ლაზიკას შორის, დაახლოებით შორაპნის ხაზზე. კარგად ირკვევა აგრეთვე ის გზებიც, რომლითაც დასავლეთ საქართველოს კულტურა იჭრებოდა აღმოსავლეთში (ლიხის და გოდერძის გადასავლები) და წინაუკმოდ. ირკვევა აგრეთვე რომ ორივე ეს კულტურა ა/კავკასიაში ორიგინალური, ადგილობრივი იყო, თუმცა მრავალი ნაკვთი ისევ-ისე სამხრეთიდან მომდინარეობს და რომ იგი ვაჭრობისა თუ სხვა გზით, საკმაოდ შორს იყო შეჭრილი ჩრდილოეთისკენ წინაკავკასიაში, უკრაინაში და უფრო დასავლეთით ვიდრე პოლონეთამდე. ამ წინასწარი საკითხების გარკვევის შემდეგ საჭიროა აღნიშნული კულტურების კომპლექსური შესწავლა მთლიანი სურათის აღსადგენად. შემდეგ უფრო ნათელი არის დას. საქართველოს განვითარება, ვინაიდან ასე თუ ისე შესწავლილი მასალა აქ მეტი მოგვეპოვება. აქ გარკვეულად შეიძლება გამოყოფა იმ კულტურისა, რომელიც დაახლოებით დათარიღებულია ე. წ. კოლხური თეთრის (ხვასტაგის) საშუალებით (დაბლაგომი, ვანი, ფარცხანაყანევი და სხვ.) და მერმე ძვ. და ახ. წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების კულტურებისა (ბორი, უსახელო), რომლებიც უკვე კლასებრივი საზოგადოების წარმოშობის ხანას მიეკუთვნება. აღმოსავლეთ საქართველოში თანამიმდევრობა აქ ისევ დარღვეულია და მხოლოდ პირველი საუკუნეებისათვის გვაქვს მკვიდრი ცნობები (სამთავროს ზედა-სართული და საზოგადოდ მცხეთის რაიონის მერმინდელი სასამარხოები).

ქრონოლოგისათვის საინტერესო გამოდგა ერთი პარალელი, რომელიც დამუშავებული მაქვს ჩემს წერილში: „ეგვიპტური სამარულო ეტლის კავკასიური პარალელი" (იბეჭდება საქ. მუზ. მოამბის მე-8 ტომში). ამის მიხედვით ირკვევა რომ ის ქრონოლოგიური ცხრილი, რომელიც დღემდის სავარაუდოდ იყო მიღებული ა/კავკასიის პირისტორიისათვის, გადასინჯვას მოითხოვს და რომ შესაძლებელია ჩვენ მოგვიხდეს გაცილებით უფრო მაღალი თარიღების აღიარება, ვიდრე ეს დღემდის იყო გათვალისწინებული. ერთი ფენა ლელვარის სამარხებისა, აღნიშნული პარალელის მიხედვით, თარიღდება

მეორე ათასეულის შუახანებით ძ. წ. რასაც ეთანხმება ბიბლოსის საგანძურის ჩვენება (მონტე) და აგრეთვე ერთი ხეტური ცულის თარიღი (ზახაროვი). შემდეგ: დე მორგანი ისე ათარიღებს სუზაში ნაპოვნ პარალელს ანუ უკეთ არქეტიპს სამთავროსეული ცულისას (მე-4 ათასეული ძ. წ.), რომ ძალიან ძნელი დასაჯერებელი ხდება, რომ ერთი ნაწილი მაინც ამ ცულით წარმოდგენილი ა/კავკასიური კულტურებისა გაცილებით უფრო ძველი არ იყოს, ვიდრე ეს დღემდის იყო მიღებული. საზოგადოდ, ქრონოლოგიის საკითხს კვლავ და კვლავ უნდა დაუბრუნდეთ არა ერთხელ შემდეგშიც, ვინაიდან ეს კარდინალური მნიშვნელობის საკითხი დღესაქამომდე გადაწყვეტილად ვერ ჩაითვლება.

ე. წ. ციკლოპური ნამოსახლარების პრობლემა განსაკუთრებით საინტერესოდ და მწვავედ დაისვა მას უკან რაც ნორბაიაზეთის ხალდური წარწერა აღმოაჩინეს ასეთი ნაგებობის კედელში. ეს აღმოჩენა რეალურად სვამდა საკითხს ა/კავკასიური ციკლოპური „ნაქალაქარების" ურთიერთობისა პირისტორიულ სასამარხოების კულტურებთან (მესჩანინოვი). ბოდო-კლდეში (აბასთუმნის ახლოს) 1933 წლის ზაფხულში ჩატარებულმა გათხრამ დამარწმუნა რომ „ციკლოპური ნაგებობის" ტრადიცია ჩვენში (ყოველ შემთხვევაში სამცხეში მაინც, ამა თუ იმ პირობების წყალობით) დიდხანს იყო დაცული და ვიდრე ქრისტიანობის შემოღების პირველ საუკუნეებამდე აღწევდა. ამიტომ, თვითონ ეს ნიშანი-ციკლოპურობა, ე. ი. მშრალი ნაგებობა დიდი დაუმუშავებელი ან მქისედ დამუშავებული ლოდებით, ამა თუ იმ სამოსახლოს დასათარიღებლად არ გამოდგება, არამედ თვითეულ შემთხვევაში საჭიროა ისევ-ისე კომპლექსური გათხრის წარმოება რაიმე გადაწყვეტილი შედეგის მისაღებად. ჩემი წერილი ბოდოკლდეში ჩატარებული მუშაობის შესახებ იბეჭდება აგრეთვე ს. მუზ. მოამბის მე-8 ტომში.[1]

[1] ეს წერილი არ დაბეჭდილა. იგი ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ ლ. მუსხელიშვილის არქივში ისევე, როგორც ზემოხსენებულ ანგარიშში ნახსენები „მიმოხილვა საქართველოს პირისტორიული სიძველეებისა" და ამიერკავკასიური ცულების გავრცელებულობის არქეოლოგიური რუკა (რედ.).

KAUKASISCHE PARALLELE ZU EINEM ALTAEGYPTISCHEN RENNWAGEN

In Sitzungsberichten der Preussischen Akademie der Wissenschaften, Phil-hist. Klasse XXV (1931), S. 730-738, hat Prof. Dr. H. Schäfer einen kleinen Aufsatz, betitelt „Armenisches Holz in altaegyptischen Wagnereien", veröffentlicht, in welchem die Frage nach der Herkunft des von der Expedition J. F. Champollions 1828-29 in Aegipten aus einem inschriftlosen Grabe gehobenen und seitdem im Aegiptischen Museum in Florenz aufbewahrten Rennwagens behandelt wird, dessen Holzmaterial (insbesondere Birke und Esche) auf nördlichere Länder als Bezugsquelle weist. Aus pflanzengeographischen und Philologischen Gründen kommt prof. Schäfer zu dem Schluss, dass „als Bezugland für Wagenbauholz oder fertige Wagen etwa das jetzige russische Transkaukasien festzustellen" sei (a. a. O., S. 737), ein Schluss, der „in seiner Genaugkeit für die alte Kulturgeschichte und insbesondere die Auslandsbeziehungen Aegiptens bemerkenswertes Ergebnis" liefert (ebenda).

Nun hat aber J. de Morgan in Akthala in Lelvar einen Bronzegürtel aufgelesen, auf dem ein zweispänniger Wagen mit einem Wagenlenker eingraviert ist (J. de Morgan, Mission scientifique au Caucase I, P. 140-142), eine Dastellung, die, an sich schon äusserst interessant, im obenerwähnten Zusammenhang grösste Wichtigkeit gewinnt. Vergleicht man nämlich den von de Morgan in nat. Gr. reproduzierten Wagen von Akthala (Abb. 1) mit dem Aegiptischen Rennwagen (Abb.2), so fällt sofort eine verblüffende Aehnlichkeit auf: beide Wagen sind klein und leicht und können nur einen Menschen fahren, daher muss auch der Wagen von Akthala ein Rennwagen sein; beide werden von zwei Pferden gezogen und haben nur eine Deichsel, wobei die Form der letzteren beinahe gänzlich analog ist; beide haben je ein paar Räder und zwar sind sie hier wie da vierspeichig; ja sogar die Entfernung der Räder vom Wagenkörper ist in beiden Fällen gleich; auch der Wagenkörper selbst sieht ganz ähnlich aus, man ist sogar geneigt die halbkreisförmige Umzäunung des aegiptischen Wagens auf der Gravierung von Akhtala zu erkennen und man würde jedenfalls bedenken tragen den Wagen von Akthala mit de Morgan als eine „caisse" anzusehen.

Im Vergleich zu dieser Übereinstimmung ist der Unterschied gering: er bestecht nämlich in der Konstruktion des vorderen Deichselendes, das beim aegyptischen Wagen ein grosses und ein paar kleine Joche trägt und gerade ist, beim Wagen von Akhtala aber nach oben umgebogen und mit einem blumenartigen Aufsatz versehen ist, der wahrscheinlich die Anbindestelle des Joches darstellen soll; ausserdem sind die Räder des kaukasischen Wagens verhältnismässing viel kleiner als die des aegiptischen, sein Körper aber etwas mehr in die Länge gezogen.[1] Im Ganzen sieht der akthalaer Wagen primitiver und archaischer aus; dafür scheint mir besonders die geringe Grösse seiner Räder zu sprechen.

---

[1] Auf der Gravierung von Akhtala blieben das Joch und die Achse aus; vielleicht ist es auch nicht ohne Bedeutung, dass die Achse beim akthaler Stück, nach der Lage der Räder zu urteilen, etwas mehr nach vorne angesetzt war, als es beim aegiptischen Wagen der Fall ist.



Abb. 1. Ein auf einem Bronzegürtel von Akthala eingravierter Wagen, nach J. de Morgan, Mis. scient. au Caucase 1, p. 141. Fig. 145.

Hiermit wird also die Schlussfolgerung Prof. Schäfers bestätigt. Es ist klar, dass der Rennawgen auch in Transkaukasien, das für Aegipten Wagenbauholz lieferte, gut bekannt war. Kaum stichhaltig aber ist die Behauptung Prof. Schäfers „dass wir nicht in jenen Bergländern, sondern in den nördlichern Ebenen... im Skythenlande – die Erfinder der von Aegyptern übernommenen Form des leichten Rennwagens zu suchen haben" (a. a. O. S. 737). Diese Ansicht scheint mir unbegründet zu sein. Transkaukasien ist freilich ein Bergland, aber es entbehrt auch nicht weiter flacher Ebenen.

Die kulturgeschichtliche Bedeutung der hiermit unzweifelhaft erwiesenen Beziehungen zwischen Aegypten und Kaukasus ist, wie bereits erwähnt, sehr gross. . Nicht minder gross jedoch ist die Bedeutung des aegyptischen Rennwagens für die Aufschliessung der kaukasischen vorgeschichtlichen Chronologie. Die transkaukasischen Gräbefelder sind ja noch immer nicht datiert, d. h. die bisherigen Datierungen sind so schwankend und so schwach basiert, dass man sie nur mit grösster Skepsis und Vorsicht verwerten kann. Demgegenüber gibt der Wagen auf dem Gürtel von Akthala, der seine Paraleele im aegyptischen Rennwagen findet, einen anscheinend sicheren Anhaltspunkt, um die Chronologie der transkaukasischen Gräberfelder auf eine reelere basis zu stellen und endlich einmal mindestens mit einer Annäherung. von einiger Jahrhunderten, eine Schicht in Lelvar zu fixieren[1]. Der Bronzegürtel von Akthala wurde gefunden, wie de Morgan berichtet, „dans une tombe de l'age le moins ancien, qui se trouvait au milieu du massif des sepultures du grope moyen" (1. c., p. 140). Das Alter dieser Gruppe der Gräber, der vierten, bestimmt de Morgan mit VII bis V Jr. v. Ch. (ib., p. 204-205). Da jedoch das betreffende Grab, anscheinend # 9 Akthala, das einzige dieser Art in Akthala ist und inmitten der Gräber der dritten Periode angelegt war (ib., p. 57-59), so werden wir kaum fehlschlagen, wenn wir dasselbe, trotz der von de Morgan angeführten Unterschiede, der dritten Gruppe zurechnen, die er mit IX-VII Ur. v. Ch. datiert (ib., p. 204). Gleichwohl wird es jetzt klar, dass auch diese Datierung noch immer zu niedrig ist.

---

1 Selbstverständlich vorausgesetzt, dass die Datierung der aegiptischen Denkmäler richtig ist. Es kommt aber hier häuptsächlich auf die Methode an.



Abb. 2. Der aegyptische Wagen in Florenz, nach H. Schäfer, Sitzungsber. der Preuss. Ak. der Wissensch. phil. hist. Kl. XXV, taf. VII, 1.

Nach O. Nuoffer, hat man die Bauart mit vierspeichigen Rädern „im orientalischen Gebiete im allgemeinen gegen die Mitte des zweiten Jahrtausends" aufgegeben (cit. bei Schäfer, a. a. O., S. 731-732). „Der zweirädrige Wagen ist nach Schäfer erst im 17. Jahrhundert nach Aegypten gedrungen" (ebendas, S. 737, Anm. 3). Somit ist der in Frage stehende aegyptische Rennwagen innerhalb von etwa 2 Jahrhunderten fixiert. Mitte des zweiten vorchristlichen Jahrtausends aber kann mit grosser Wahrscheinlichkeit als terminus ante quem auch für den Wagen von Akhtala und also für die dritte Gruppe der Gräber von Lelvar angenommen werden. Die zweite und die erste Gruppen werden dann entsprechend zurückzusetzen sein.[1]

Auch der Byblosschatz, in dem bestimmte kaukasische Bronzen und darunter Nadeln gefunden worden sind, die Hancar formkritisch gerade in die Periode III von Lelvar einreihte (F. Hancar, Die Nadelformen des Kaukasusgebietes: Eurasia Septentrionalis Antiqua VII, S. 136), in die erste Hälfte des zweiten Jahrtausends (2000-1700 v. Ch.) datiert wird und zwar soll diese Datierung, nach Hubert, unstreitig und minimal sein.[2] Es ist jedenfalls bemerkenswert, dass die Data des Byblosschatzes und die des aegyptischen Rennwagens, die beide vollkommen unabhänging voneinander bestimmt worden sind, so exakt zusammenfallen.

Ich weiss, dass mit oben Dargelegtem viele Fragen von grundlegender Bedeutung aufs engste verknüpft sind. So z. B. die Frage nach dem Vorkommen der Eisengeräte in Gräbern von so früher Zeit. Auch die unvermeidlich aufkommenden Zweifel sind mir nicht fremd. Jedoch, es ist hier kein Platz dieselben auch nur flüchtig zu berühren.

Zuletzt sei mir noch eine Bemerkung gestattet. Prof. Schäfer spricht vom „armenischen Holz". Indess, abgesehen davon, dass für die erste Hälfte des zweiten vorchristlichen Jahrtausends überhaupt keine Rede von „armenisch" sein kann, trifft die Bezeichnung auch heute nicht zu. Statt „armenisch" sollte man „transkaukasisch" sagen.

---

1 Es sei denn, dass das Schema de Morgans einer Umarbeitung, ja vielleicht einer gänzlichen Umkehrung bedarf, was an sich nicht unmöglich wäre.

2 H. Hubert. De quelques objets de bronze trouvés a Byblos: Syria VI, p. 16-29. Leider ist mir dieser Band der Syria gegenwärtig unerreichbar, um genau die Worte Huberts anzuführen.

ძველეგვიპტური სამარულო ეტლის კავკასიური პარალელი

რეზიუმე

პროფ. H. Schäfer-ის პატარა წერილში („Armenisches Holz in altaegyptischen Wagnereien": Sitzungsber. der Preuss. Akad. der Wissensch, Phil.-hist. Kl. XXV, გვ. 730-738) განსაზღვრულია ერთი, ეგვიპტეში Champollion-ის ექსპედიციის მიერ 1828-29 წწ. ნაპოვნი, ძველი სამარულო ეტლის (იხ. სურ. 2) სადაურობა. ეტლის ხის მასალის მიხედვით (განსაკუთრებით არყისა და იფნის გავრცელებულობის სამხრეთი საზღვრის მიხედვით) და ზოგიერთი ფილოლოგიური ხასიათის მოსაზრებით Schäfer-ი დაასკვნის, რომ ან მზად ეტლი ანდა მისი მასალა ეგვიპტეში ა/კავკასიიდან უნდა იყოს მოტანილი. ეგვიპტური ეტლის თარიღი ფიქსირებულია ორიოდე საუკუნის ფარგლებში, რადგან ცნობილია, რომ ორთვალა ეტლი ეგვიპტეში შემოიღეს მე-17 ს-ში ქ. წ., ხოლო ოთხსოლიანი ტიპი მეორე ათასეულის შუახანებისათვის მთელს აღმოსავლეთში გადავარდა და ადგილი დაუთმო მეტსოლიან ტიპს. ამგვარად, მტკიცდება ურთიერთობა ა/კავკასიასა და ეგვიპტეს შორის ამ საკმაოდ ადრინდელი ხანისათვის.

ლელვარის გათხრების დროს ახთალის ერთ-ერთ ნაგვიანევ სამარხში J. de Morgan-მა ბრინჯაოს სარტყელი იპოვა, რომელზედაც ამოგრავირებულია მსუბუქი ორთვალა ეტლი (იხ. სურ. 1). მსგავსება ახთალისეულსა და ეგვიპტურს შორის ისეთი დიდია, ხოლო მისი შედარებით სხვაობა იმდენად უმნიშვნელოა, რომ ორივე ეტლი ერთმანეთის პარალელად უნდა ჩაითვალოს. ეს ადასტურებს Schäfer-ის დასკვნას – სამარულო ეტლი, როგორც ჩანს, ა/კავკასიაშიც კარგად სცოდნიათ.

ეგვიპტური ეტლი ახთალისეულ სარტყელსაც ათარიღებს: დიდი დამაჯერებლობით შეგვიძლია მივიღოთ დაახლ. 1500 ქ. წ. როგორც terminus ante quem ახთალისეული ეტლისთვისაც. მაშასადამე, ის ფენა ლელვარის სამარხებისა, რომელსაც ახთალისეული სარტყელი ეკუთვნის და რომელსაც de Morgan-ი ზოგადი მოსაზრებით ქ. წ. IX-VII საუკუნეებით ათარიღებდა, ახლა უნდა განისაზღვროს მეორე ათსეულის პირველი ნახევრით და ამ განსაზღვრას უკვე რეალური საფუძველი აქვს. უფრო ძველი ფენები ლელვარისა, ცხადი, უფრო უკან უნდა გადავიტანოთ.

საინტერესოა, რომ ბიბლოსის საგანძურიც, რომელშიაც კავკასიური და კერძოდ ლელვარისეული ბრინჯაო აღმოჩნდა, სწორედ ასე განისაზღვრებოდა (2000-1700 ქ. წ. იხ. Hubert-ის წერილი, Syria VI). აქ მაშასადამე ერთმანეთს კარგად ხვდება ორი სრულებით დამოუკიდებლად დადგენილი თარიღი.

განმარტება

ლევან მუსხელიშვილის „ნოქალაქევში 1930/31 წლებში ჩატარებული გათხრების დღიურისა და შედეგების“ გამოცემასთან დაკავშირებით

ნოქალაქევის პირველი გათხრების (მიმდინარეობდა 1930 წლის ბოლოს და 1931 წლის დასაწყისში) არქეოლოგიური მონაპოვარი დაკარგულია, გარდა 23 ოქროს მონეტისა (ინახება საქართველოს სახ. მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების ფონდებში). ხოლო რაც შეეხება ექსპედიციის ანგარიშს იგი ორია დაბეჭდილი. ერთს უშუალოდ ექსპედიციის ხელმძღვანელი ა. შნაიდერი[1] აწერს ხელს, ხოლო მეორე ანონიმურია. მისი გამომცემი ს. ყაუხჩიშვილი წერს – „აღწერილობათა ავტორი, ჩვენ არ ვიცით“.[2] შნაიდერთან მომუშავე ორი ახალგაზრდიდან გ. გოზალიშვილმა ჩვენთან საუბარში მტკიცე უარი განაცხადა თანაავტორობაზე.

ჩვენთვის ცნობილი იყო, რომ არსებობდა იმ ექსპედიციის მონაწილის ლ. მუსხელიშვილის დღიურები. მისი დამუშავება ვთხოვეთ ლევან მუსხელიშვილის შვილს დავით მუსხელიშვილს არქეოლოგსა და ისტორიკოსს, რომელმაც თხოვნა ჩვეული მონდომებით შეასრულა. დღიურიდან ამოღებულია საინტერესო ადგილები, ხოლო ავტორის მიერ შედგენილი – „ნოქალაქევის გათხრების შედეგები და დ-რ შნაიდერის დასკვნები“, მთლიანად იბეჭდება.

დღიურები და დასკვნები მრავალმხრივაა საინტერესო. მათში გამოთქმული ბევრი მოსაზრება დღესაც საყურადღებოა, ცხადია, აღნიშნულია ისეთი ფაქტებიც, რომელნიც მაშინ არც შეიძლებოდა სცოდნოდათ, რადგან ჩატარებული იყო მხოლოდ მცირე მასშტაბის გათხრები.

ეს დღიური იმასაც არკვევს, რომ ს. ყაუხჩიშვილის მიერ გამოქვეყნებული სტატია „გათხრა ნოქალაქევ-არქეოპოლისში“ დაწერილია ა. შნაიდერის მიერ. ლ. მუსხელიშვილი თავის აქ მოყვანილ სტატიაში აშკარად გამოდის ა. შნაიდერის აზრების წინააღმდეგ.

რედაქტორი პ. ზაქარაია

ნოქალაქევი

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია ლევან მუსხელიშვილის პირადი არქივი, რომელშიც შემონახულია მის მიერ დაწერილი ნოქალაქევში ჩატარებული გათხრების დღიური (23). დღიურის პირველი ჩანაწერი იწყება 1930 წ. 28 დეკემბერს, ხოლო უკანასკნელი გაკეთებულია 1931 წ. 28 იანვარს უკვე თბილისში,

---

[1] A. M. Schneider. Archeopolis (Nokalakevi). Forschungen und Forschritte, 1931, VII Jarhrg., №27.

[2] ს. ყაუხჩიშვილი. ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან. წ. 2, თბ., 1948, გვ. 188.

ექსპედიციის დამთავრების (25. I) შემდეგ. იქვეა დაცული ლ. მუსხელიშვილის მიერ ხელით შესრულებული გეგმა ნოქალაქევის ციხესიმაგრისა და გათხრების დროს ამოღებული შურფების (22) და წინასწარული დასკვნები აქ ჩატარებული გათხრების შესახებ (21). ეს უკანასკნელი თავფურცელიანად მოიცავს დაახლოებით თაბახის 2/3 სიდიდის 28 ფურცელს. ტექსტი, ჩვეულებრივ, ცალ გვერდზეა ნაწერი და მხოლოდ ზოგიერთ ფურცელზე მეორე გვერდიცაა გამოყენებული ტექსტში ჩანართების გაკეთების მიზნით. 28-ე ფურცელი მთლიანად გერმანულადაა დაწერილი, და როგორც ჩანს, ლ. მუსხელიშვილის მიერ შნაიდერის ანგარიშის გერმანული ტექსტიდან ექსცერპტებს წარმოადგენს.

სხვათა შორის ლ. მუსხელიშვილის ამ ნაშრომიდან უდავოდ ირკვევა, რომ ს. ყაუხჩიშვილის მიერ გამოქვეყნებული ანონიმური ანგარიში ნოქალაქევის გათხრისა, მართლაც, შნაიდერს ეკუთვნის და ქართულად იგი თარგმნილია ლ. მუსხელიშვილის მიერ (ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, წ. I, თბილისი, 1948, გვ. 188-201).

ლ. მუსხელიშვილის ეს ნაშრომი, ჩანს, მოხსენების სახით არის დაწერილი და ეგების, წაკითხულიც. უეჭველია იგი დაწერილია 1931 წელს (მისი ტექსტის ნაწილი თითქმის იდენტურია დღიურის 19.I, 23.I და 28.I ჩანაწერებისა), შეიცავს შნაიდერის ზემოხსენებულ ანგარიშში გამოთქმულ მოსაზრებათა კრიტიკას და, ვფიქრობთ, საინტერესოა ნოქალაქევის პირველი გათხრების შედეგების უკეთ წარმოჩენისთვის.

დავით მუსხელიშვილი

ნოქალაქევის დღიური

(1930.XII.28-1931.I.28) (23).

1931.I.3

გვ. 9(II). (თანამედროვე) „ჭიშკრის N-ით ძველ კედელში, იქ საცა კედელი დაგვეკარგა, ჭიშკარი აღმოჩნდა, რომელიც შემდეგში ამოუვსიათ. მაგრამ ეს ჭიშკარი O-ით კი არ იცქირება, არამედ N-ით; კედელი აქ ცოტათი (ca 2m-ით) წარზიდულია და წარზიდულს უკან მოთავსებული ყოფილა ჭიშკარი. ამ ჭიშკრიდან კედელი მიემართება W-ით, გადის მე-2 და მე-3 ხანის კედლებს ქვეშ და შემდეგ N-ისკენ უხვევს და ერთვის კორტოხზე დღესაც შენახული კედლის ნაშთს. ტეხურის პირას რომ ჭიშკარი გამოჩნდა, იქ კედელს გავყევით

გვ, 10 N-ისკენ ვიდრე მე-2 და მე-3 ხანის ზღუდემდი, მაგრამ აქ კედელი შეწყდა, აღარ ვიცით საით მიდის.

I. 4.

ტეხურის მარცხენა ნაპირზე, ჭიშკრიდან დასავლეთით, უკვე მე-2 და მე-3 ხანის კედლებს შიგნით აღმოჩნდა უძველესი კედლის გაგრძელება, ვთხრით.

გვ. 10(II). 1. 5.

ტეხურის მხარეზე კედელი რომ აღმოჩნდა, თურმე კიბე ყოფილა, უშველებელი ფილაქნებით ნაგები. უნდა ჰქონოდა 20-ოდე საფეხური და ადიოდა ძველ კედელზე (1-ლი ხანისა). მაშასადამე, თვითონ კედელი ამ კიბისაგან სამხრეთით უნდა გადიოდეს – ვეძებთ.

გვ. 11. 1. 7.

დიდ კიბესთან ძველი კედელი დავკარგეთ და ჯერ ვერ გვიპოვნია. ჭიშკართან დავინყეთ ძველი მთავარი ჭიშკრის ძებნა... აწინდელი ჭიშკრიდან N-ით მთის ფერდობზე ძველი კედელი დავკარგეთ, არ ვიცით როგორ ერთვოდა მთაზე იმ კედელს, რომლის ნაშთები დღესაცაა შენახული, ვეძებთ.

გვ. 11 (II). 1. 8.

... ვეძებთ უძველესი ქალაქის მთავარ ჭიშკარს აწინდელი ჭიშკრის გასწვრივ უფრო O-ით. ჭიშკრიდან N-ით უძველესი კედელი მთის ფერდობზე დავკარგეთ: კედლის ნაშთი ზემოთ მთაზე ჩანს და მის W-ის პირზე კედელი ცხადლივ კუთხეს აკეთებდა და ქვევით ჭიშკრისკენ მოიმართებოდა, მაგრამ სწორედ ეს კუთხე ვერ ვნახეთ; ძალზე ვთხარეთ, კლდეს მივადექით და კედლისა კი არა ჩანს რა.

გვ. 12. 1. 9.

დღევანდელმა დღემ კარგი შედეგი მოგვცა. ზევით 1-ლ კოშკში აღმოჩნდა თითო-ოროლა უფრო ძველი (გვიანრომაული ხანის) ნატეხი და აუარება მე-6-7 ს-ნის კერამიკა... ქვევით კი, როგორც იქნა ვიპოვეთ უძველესი მთავარი ჭიშკარი: ესეც N-ისკენ იცქირება, მაშასადამე, კედელში გარდიგარდმო იდგა და სიგანით 3,4 m-ს უდრის. ქალაქში შემავალი გზა, ამრიგად, აქ S-ისკენ უხვევდა და შემდეგ, ალბათ,

ისევ მობრუნდებოდა NW-ისკენ „აგორას" მიმართულებით. ტეხურის პირის ჭიშკართან (S-ჭიშკარი) ვნახეთ კედლის ზეძირკველი (ლიბო) და გამოირკვა, რომ კედელი აქედან, მართლაც, NW-ით მიიმართებოდა ტეხურის მარცხენა ნაპირით, ხოლო მე-2 ხანის კედელი ძველის საძირკველზე დაუდგამთ.

საცდელ ორმოში ეკლესიის უკან ბაღში ნავაწყდით სამარხს. როგორც ჩანს, აქ ქალი დაუსაფლავებიათ: ვიპოვეთ ორი ბრინჯაოს სამაჯური, რომლებსაც გველის თავები აქვს, ყელსაბამის მძივები, 5 ცალი, შუშის პასტიდან გაკეთებული, ვარდისფერი, და ორი ძველებური დოქი

გვ. 12 (II). მთლიანად. ეს დოქები, ლამაზი ფორმის მშვენივრად დამუშავებული, ერთი ყვითელ- და მეორე წითელფერ გადაკრული, შნაიდერის აზრით, უფრო ძველია კიდევ, ვიდრე ქალაქის უძველესი ზღუდე და ყოველ შემთხვევაში რომაულ ხანას ეკუთვნის...

ხვალ გვინდა აგრეთვე სრულებით გავაწმენდინოთ ტეხურის პირის (S) ჭიშკარი, რომელიც თითქმის მთელი თავისი სიმაღლითაა შენახული (ca. 3m) და გაწმენდის შემდეგ ძალიან ლამაზი სანახავი იქნება.

გვ. 16. I. 14.

S კარი უძველესი კედლისა კარგად მოწმინდეს; აქ რაღაც უცნაურობაა – გვ. 16(II).

ერთი კედელი (ერთი მხარე კარისა) უფრო მაღლა ყოფილა ნაგები ვიდრე მეორე, საურდულეც ერთი დაბლაა და მეორე მაღლა. წყლის საზიდი გვირაბი შესავალთან გამოწმინდეს, აღმოჩნდა 3 საფეხური. სწმენდენ მე-6 კოშკს.

გვ. 18(II). I. 15.

(სოფ. ლეზარქუეში ანუ ზემო ნოქალაქევში) ვინმე ბაღათურიას (1928 წ.) უპოვია რომაული ვერცხლის ფული, შნ-ის[1] განსაზღვრით, სეპტიმიუს სევერუსისა (მე-3 ს.). ეს ფული გამოვართვით ამ გლეხს, შიგ 5 მანეთი მივეცით. ამგვარად, ამ ფულის თარიღიც უდგება დაახლოებით უძვ. კედლის მანამდი აღიარებულ თარიღს (მე-3-4).

I. გვ. 19. I. 16.

მე და შნ-მა გავზომეთ უძვ. კედლის ნაშთი მე-6 კოშკის გასწვრივ. ტეხურის პირის ჭიშკართან. იმ დასკვნამდე მივედით, რომ აქიდან მოყოლებული უძვ. კედელი მიიმართებოდა W-ისკენ სწორედ იმ ადგილას, საცა დღეს მე-2 ხანის კედელი დგას. მაშასადამე, ეს უკანასკნელი ძველის ადგილზე აუშენებიათ, ისე, რომ ძველის საძირკველი მთლიანად გამოუღიათ. ამასთანავე მე-2 ხანის კედელი გაცილებით უფრო ღრმად ზის, ვიდრე უძველესი იჯდა. ამას დ-რი შნ-რი იმითა ჰხსნის, რომ მინისძვრის შემდეგ, რომელმაც 1-ლი კედელი დაანგრია, მისი საძირკველის სიღრმე საკმაოდ აღარ მიიჩნიეს.

მე-6 კოშკს კიდევ ვწმინდავთ. აქ თითქოს მივახწიეთ კიდეც ფსკერს... დღეს აქ ვიპოვეთ გაფუჭებული ბრინჯაოს ეჟვანი (ყელსაკიდი?) და პატარა შუშის ნატეხი, რაღაც (სამკაული?) ნიშნებით; უკვე კერამიკა გამოჩნდა.

ავიარეთ კოშკის ზემოთ მთის ფერდობზე. აქ, ერთ-ორ ადგილას მოვაკებული ადგილია და აქა-იქ ძველი კედლების ნაშთები (საძირკვლები) ჩანს. ეგების შენობის ნაშთებია? ისედაც ვეუბნებოდი გიორგის, რომ ადვილი შესაძლებელია, რომ ჩვენი დამარცხება მოსახლეობის ნაშთების ძებნაში აიხსნებოდა იმით, რომ ჩვენ ვერ შევძელით მოსახლეობის ნამდვილი სამოსახლოს აღმოჩენა; რომ, ეგების, ძველი ქალაქი მთლად

[1] შნაიდერის გვარს ავტორი ხშირად ამოკლებს (რედ).

გორაზე და მის ფერდობზე იყო გაშენებული და ქვევით კი, ვაკეზე, მხოლოდ ბაღები და აგრეთვე საერთო საკრებულო ადგილები („აგორა") ჰქონდათ. მართლაც, ადვილი მოსალოდნელია, რომ ძველი ქალაქი ტერასებზე იყო მოთავსებული. მაშინ ქვემოთ მინის ზედაპირზე მრავლად გაფანტული კერამიკა ზემოდან ჩამორეცხილ-ჩამოტანილი თუ არის... ეგებ, შნაიდერმა, როგორც აქაურობაში უცხო ადამიანმა, ვერ შეძლო აქაური ტოპოგრაფიულ-დემოგრაფიული პირობების გათვალისწინება და შესცდა, როდესაც მოსახლეობას ქვევით დაუწყო ძებნა.

გვ. 20(II). I. 17.

დღეს მე-6 კოშკში, რომელსაც ჯერ კიდევ ვწმინდავთ და სადაც ძირს უკვე მივახწიეთ, აღმოჩნდა მთელი საგანძური: 23 ცალი ბიზანტიური ოქროს ფული. ფული ტიბერიუსის ხანისაა, ე. ი. მე-6 ს-ნის დამლევს ეკუთვნის. აქედან ცხადია, რომ ჯერ კიდევ მაშინ უძვ. კედელი კარგად იყო შენახული. ფული ერთ ადგილას ეწყო ზოდად მიწაში, ე. ი. ალბათ ტყავის ქისაში ყოფილა ჩაწყობილი (ტყავი დალპა) და ყველა ერთად დაკარგულა. აქაც შნ-რი მიწისძვრას, ე. ი. უეცარ შემთხვევას ჰფიქრობს, რომელმაც პატრონს თავისი ქისა დააგდებინა. კერამიკა ცოტაა.

I. 18.

დღეს ერთ-ერთ საცდელ ორმოში მე-6 კოშკის ზემოთ იპოვეს შემთხვევით იქ მოხვედრილი (რადგან სხვა არა აღმოჩნდა რა) სპილენძის ერთი ცალი ფული; მეტად დაჟანგული. შნ-რი ირწმუნება – ბიზანტიურიაო.

გვ. 21. მე-6 კოშკი მთლიანად გაიწმინდა.

გვ. 28. 23. I.

... მაშ არქეოპოლოსი, კოლხეთის დედაქალაქი, რომაელებმა გააშენეს? ასე ჰფიქრობს შნ-რი, მაგრამ სრულებით ცხადია, რომ მის მსჯელობას საბუთი არა აქვს. ერთად-ერთი საბუთი არის ის, რომ იგი არავითარ ანგარიშს არ უნევს კოლხეთს და კოლხებს, რომელთა ქვეყანაშიც მდებარეობდა არქეოპოლისი. მისთვის a priori ცხადია, რომ კოლხები ასეთ კედელს ვერ გააშენებდნენ – მაშასადამე იგი რომაელებს უნდა გაეშენებინათ. მთელი მისი მიდგომა მცდარი არის...

გვ. 29.

ამ მხრით შნ-ის მიდგომა არა მარტო ჩვენთვის, არამედ ყოველი ჭკუადმყოფელი ადამიანისა და, განსაკუთრებით, ფრთხილი მეცნიერისათვის ყოვლად მიუღებელია. რა შუაშია მაგ. „აგორა" ნოქალაქევში? რა უნდა აქ ამ ტერმინს? შემოდგა თუ არა აქ ფეხი შნ-მა, მაშინვე დაიძახა ეკლესიის გალავნის შესახებ – ეს აგორააო და მას შემდეგ დაჟინებით სულ მაგას გაიძახის. ერთი რომ ეს მისი „აგორა" თვით პატარა ქალაქისთვისაც ნამეტანი პატარაა, შიგ 20 ურემიც არ დაეტეოდა; მეორე ის, რომ „აგორაზე" რაიმე შენობის ნაშთები უნდა აღმოჩენილიყო „სასახლის" გარდა – ნამდვილად კი არსად არავითარი კვალი არ ჩანს რაიმე დუქნისა თუ ქარვასლის, აკლდამებს გარდა აქ არა გვიპოვია რა; მესამე ის, რომ „აგორაზე" რა უნდოდა „სასახლეს"? ეს „აგორაც" მისი მოგონილი ფანტომია.

ნოქალაქევის გათხრების შედეგები და დ-რ შნაიდერის დასკვნები 1929/30 წწ.

ნოქალაქევის გათხრა, წვიმიანი და სხვა განაცდენი დღეები რომ გამოვაკლოთ, სწარმოებდა დაახლოებით 6 კვირა. ცხადია, რომ ასეთ მოკლე ხანში ქალაქის გათხრა არ შეიძლება და, მართლაც, ჩვენს მუშაობას ჰქონდა წინასწარი და საცდელი მუშაობის ხასიათი. მაგრამ ჩვენ უკვე მივაღწიეთ ზოგიერთ შედეგს და დ-რ შნაიდერს გამოაქვს რამდენიმე, ქალაქის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი დასკვნა.

როგორია ნოქალაქევის გათხრის შედეგი და როგორია დ-რ შ-ის დასკვნები?

რაც შეეხება შედეგებს, აქ სიმძიმის ცენტრი მოდის უძველეს სიმაგრესა და ძველი ქალაქის, შ-ის განსაზღვრით, სავაჭრო მოედანზე.

1. უძვ. სიმაგრე: ეს არის უძვ. კედელი თავის კოშკებით, კიბეებით, კარებით და სხვ. და წყლის საზიდი გვირაბი.

არის თუ არა ეს უძვ. სიმაგრე მთლიანად აღდგენილ-გარკვეული? არა. თვითონ კედელი მთელი თავისი სიგრძით უნაკლოდ ცნობილი არაა. უცნობია მისი მოხაზულობა და მიმართულება მე-6 (ზევიდან) კოშკს დასავლეთიდან მოყოლებული (საცა კედელი კუთხეს აკეთებდა და სამხრეთისკენ ჩამოეშვებოდა მთის უკანასკნელ ფერდობზე) ვიდრე ჩრდილოეთის გვერდითა კარამდი; უცნობია მისი მოხაზულობა ტეხურის პირას იქ, საცა კედელი კუთხეს უნდა აკეთებდეს და დასავლეთისკენ გაუხვევს; არ არის ნაპოვნი სწორედ ეს კუთხე და სრულებით აღუდგენელია ის (მე-7) კოშკი, რომელიც ზოგიერთი ნიშნების მიხედვით, აქ მდგარა; უცნობია მისი მიმართულება და სიგრძე ტეხურის-პირის სამხრეთის გვერდითა კარიდან მოყოლებული დასავლეთისაკენ ვიდრე გვირაბამდე და, ეგებ, იმას იქითაც.[1]

კოშკებიდან მხოლოდ ორია ასე თუ ისე კარგად გასუფთავებული და გამოკვლეული: (ზემოდან) პირველი და მეექვსე (ამ უკანასკნელის გასუფთავება უამინდობის გამო ვერ დავასრულეთ). დანარჩენთაგან, მე-2, მე-4 და მე-5 ხომ ნამდვილი კოშკები არაა, დუღაბით ამოვსებული ბაქნებია, მე-3 კი არ გაგვისუფთავებია და არც ამისა და არც ზემოხსენებული ბაქნების ზომებია ნიშანდობლივ ცნობილი, რადგან გარედანაც არცერთი რიგიანად არ მოგვითხრია. 1-ლი კოშკიც მხოლოდ სანახევროდაა ძირამდის გათხრილი, მეორე ნახევარი გაუთხრელი დაგვრჩა. თითო კოშკის გვერდით კედელს აქვს კარი; მხოლოდ მე-5 კოშკია ჩვენს გეგმაზე უკაროდ და ისიც იმიტომ, რომ იგი არ გაგვითხრია და არ გაგვისუფთავებია – არ ვიცით, იყო აქაც კარი თუ არა.

---

[1] პირველი ორი უცნობი ნაკვეთი შ-მა შეატანინა ტოპოგრაფს ქალაქის გეგმაში ნითელი ხაზით, თითქოს იგი ნამდვილად ნაპოვნი და გაკვლეული ყოფილიყოს.

კიბე მხოლოდ ერთია ნაპოვნი სრულებით შემთხვევით – ვეძებდით უძვ. კედლის გაგრძელებას ტეხურის-პირის კარის დასავლეთით და წავაწყდით კიბეს, ცხადია, რომ ასეთი კედელზე შემავალი კიბე ერთი არ იქნებოდა, მაგრამ შიგნითა მხარე კედლისა არსად არ გაგვითხრია და ამიტომ სხვა კიბეებზე არა ვიცით რა. იგივე ითქმის კოშკებზე: მათი ნამდვილი რაოდენობა არ ვიცით (ზემოთ მოვიხსენიეთ (მე-7) კოშკი ტეხურის პირას, ეგებ სხვაგანაც მდგარა კოშკები, მაგ., მთავარ ჭიშკართან).

არც გვირაბის ნამდვილი მოცულობა, სიგრძე და მოხაზულობაა სავსებით ცნობილი. შესავალთან საფეხურები აღმოჩნდა, მერე ზღურბლი ჩანს (ეტყობა, გვირაბს ორი კარი ჰქონია), იქვე ზემოთ (ჩრდილო-აღმოსავლეთით) რაღაც კედლის (თუ კარის?) საძირკველი გამოჩნდა – ბოლომდი არ გავყევით, არ გამოგვირკვევია მისი რაობა, დანიშნულება, მიმართულება და გვირაბთან კავშირი.

ყველა ზემოჩამოთვლილი ნაკლი, ცხადია, შეივსება მომავალი მუშაობის განმავლობაში.

2. მეორე მთავარი შედეგი ჩვენი გათხრებისა არის ა. წ. „აგორა" (Ἀγορά), აწ ეკლესიის გალავანი და სასაფლაო. ძველი შენობებიდან აქ ჩანს პატარა კოშკი (შემდეგში სამრეკლოდ გამოყენებული), ეკლესია და სასახლე (გადმოცემით, აწ სკოლაა). მაგრამ, მაგ. „სასახლე", ჯერჯერობით, ძალიან ზერელედაა გათხრილი; გარშემო მოვთხარეთ და ვნახეთ ძველი ბალავარი, ქვეშ კი არ ჩავსულვართ და არ გვინახავს დაკამარებული სარდაფი (თუ მარანი?) თავისი ჭურებით, რაზედაც დაჟინებით მიგვითითებდნენ გლეხები. ამ მარანს Dubois-ც იხსენიებს და, რასაკვირველია, მეტად საინტერესო იქნებოდა, განსაკუთრებით შენობის დასათარიღებლად, მისი თაღების ნახვა და კედლისა და გვირაბის თეღებთან შეჯერება.

„აგორას" კოშკის წინ თითქოს ქვაფენილი აღმოჩნდა, ვნახეთ რამდენიმე, მართალია, ფრიად დაზიანებული, ზედიზედ მიწყობილი ფილაქანი, მაგრამ ამ კვალს გულდასმით აღარ გავყევით, ჯერჯერობით, ვერ გამოვარკვიეთ თუ საით მიდიოდა ეს მოკირწყლული ქუჩა. კოშკის გვერდით კი „აგორას" ზღუდის გათხრისას წავაწყდით კირით გადაფარებულ ნიადაგს; ამ კვალსაც ბოლომდის ჯერ არ გავსდიეთ.

ამას გარდა, სრულებით უცნობია „აგორას" ზღუდის დასავლეთი და სამხრეთი კედლები. დასავლეთით სამი კედლის ბალავარი ჩანს და საჭირო იყო თვითოეულის გაკვლევა ნიშანდობლივ, რათა „აგორას" ზღუდისეული აღმოგვაჩინა. სამხრეთით კი ბალავარი სულ ვერ ვიპოვეთ. იქაურები გვარწმუნებდნენ, რომ შარაგზიდან სამხრეთით მდებარე ყანაში რაღაც ძველი ბალავარი მიჰყვება გზისპირიდან ვიდრე ქალაქის კედლამდი, ეს ბალავარი შეიძლება „აგორას" ზღუდის აღმოსავლეთი კედლის გაგრძელება ყოფილიყო და მაშინ სამხრეთი კედელიც ქალაქის კედლის გასწვრივ უნდა გვეძებნა, ამ შემთხვევაში საგრძნობლად (ერთი-ორად) გაიზრდება „აგორას" ფართობიც.

3. მესამე და აგრეთვე მეტად მნიშვნელოვანი შედეგი ჩვენი მუშაობისა არის ის დასკვნა, რომელიც გამომდინარეობს ნოქალაქევის სხვადასხვა კედლების შედარებისაგან. არქეოპოლისის ქალაქის ზღუდე რამდენჯერმე დანგრეულა და კვლავ გაშენებულა.

პირველად აუგიათ უძვ. კედელი მთის უკიდურესი ჩრდ,-აღმოსავლეთის თხემიდან ვიდრე წყლისსაზიდ გვირაბამდი სამხრ.-დასავლეთ კუთხეში. ეს კედელი, მაშასადამე, მთლიანად ფარავდა, როგორც ქალაქს, ისე მთელს მთას აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან. ნაგებია იგი საკმაოდ კარგად თლილი დიდი ორთოსტატული ლოდებით, შიგნით ჩასხმული აქვს დუღაბი, სისქით 2,5 მ-სა და სიმაღლით, ალბათ, 7 მ-სა უნდა ყოფილიყო; ფილაქნები დაწყობილია სწორ ფენებად. მას ჰქონდა დაბლა ვაკეზე 3 კარი

(ერთი მთავარი შესავალი და ორი გვერდითი კარი), ხოლო ზევით მთის ფერდობზე 5 (თუ 6?) კარი (1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-6 კოშკების გვერდით).

ამ კედლის დანგრევის შემდეგ გაუშენებიათ მეორე კედელი, რომელმაც შემოზღუდა სამი (N, O, S) მხრიდან ცალკე ქალაქი და ოთხივე მხრიდან ცალკე „აკროპოლი". აკროპოლსა და ქალაქს შუა კედელი აღარ გაუშენებიათ. ნაგებია იგი პატარა, გაცილებით უფრო ტლანქად დამუშავებული ქვით, ნაწილობრივ აგურით და დუღაბით; ქვები აქაც ფენებადაა დაწყობილი. იგი ორმაგი იყო ვაკეზე, ქალაქის აღმოსავლეთით. ამ კედლის სიმაღლეს არ ვიცნობთ, რადგან შემდეგში ზედ მესამე კედელი დაუშენებიათ; სისქით კი იგი გაცილებით უფრო წვრილი იყო (1,8 მ) ვინემ უძველესი კედელი. მეორე კედლის საძირკველი ბევრად უფრო ღრმად ზის მიწაში, ვიდრე პირველი კედლისა (სხვაობა 1 მ-ზე მეტია); როგორც ჩანს, პირველის დანგრევის შემდეგ მისი საძირკვლის სიღრმე საკმაოდ აღარ მიუჩნევიათ; ამასთანავე მეორე კედლის ლიბო გაცილებით უფრო მკვიდრად და სწორადაა ნაგები, ვინემ მისი ზედა ნაწილი (ოღონდ უნდა შეინიშნოს, რომ პირველისა და მეორე კედლის საძირკვლები მხოლოდ ერთგანა გვაქვს შედარებული: ტეხურისპირის კართან; აქ კი ნიადაგი ფხვიერია, პირველი კედელი ამ ადგილას სამხრეთისკენ გადაწეულია, მიწაში ჩამჯდარა და, ეგების, მხოლოდ აქ სცნეს საჭიროდ მეორე კედლის საძირკვლის გაღრმავება). ამ ზღუდეს კოშკები ჰქონია: 1 ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეში მთის კორტოხზე, 1 ჩრდ.-დასავლეთის კუთხეში კიდევ კორტოხზე უფრო დაბლა, 1 სამხრეთის კედელში იყო ჩადგმული და ტეხურს გადასცქეროდა; გაურკვეველია, რა იყო სამხრ.-აღმოსავლეთის კუთხეში – კოშკი, თუ უბრალოდ წარზიდული კედელი ბურჯივით. კარი თითქოს მხოლოდ ერთი იყო, ის, რომელიც დღესაც დგას აღმოსავლეთის მხარეზე, მაგრამ უნდა ყოფილიყო, უეჭველია, მეორეც, რომელიც ალბათ მდინარეზე გადიოდა. აკროპოლის კედელს კი ერთი კოშკი გაუშენეს აღმოსავლეთით (ჩადგმულია უძვ. კედლის ხანის ციხეში) და ორი შესავალი ჰქონია (ერთი SO-ით, ერთიც SW-ით).[1]

როდესაც მეორე კედელი ჩამოინგრა, იგი შეუკეთებიათ: ახალი კედელი დაადგეს ძველის ლიბოს. ეს მესამე კედელი ნაგებია სრულიად დაუმუშავებელი რიყის ქვით და დუღაბით, ფენებრივობა აღარ ეტყობა. მესამე ზღუდე მხოლოდ ქვევით ქალაქს აუშენეს (ისიც ალბათ, ორი მხრით – აღმოსავლეთით და სამხრეთით და, მგონი, ყვალგან არა, არამედ ადგილ-ადგილ, საცა ზიანი ნამეტანი იყო), აკროპოლს კი, რამდენადაც ვიცით –

---

[1] აკროპოლზე, სხვათა შორის, ორი საინტერესო შენობა ჩანს. ერთია, როგორც ეტყობა, ციხე-დარბაზი, ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში, მეორე, აღმოსავლეთის კიდეზე, დიდი ციხე ყოფილა, რომელშიაც შემდეგში მეორე ხანის კედლის კოშკი ჩაუდგამთ. ციხე-დარბაზი თავისთავად მეორე პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს, მაგრამ 1-ლი ს-ნის რომაულ თაღებზე დგას. ეს შენობა გათხრილია მხოლოდ ნაწილობრივ და მისი რაობა ჯერ სავსებით გამორკვეული არაა. მას აკრავს ჩრდილოეთიდან უცნობი დანიშნულების კოშკი (?), რომელსაც შესავალი არ უჩანს. საჭიროა ამ შესავლის გათხრაც. შიგნით ეს კოშკი თითქოს ამოვსებულია დუღაბით, მაგრამ რისთვის? რა დამოკიდებულებაშია იგი დანარჩენ შენობასთან? აკროპოლის აღმოსავლეთის კედელზე მოთავსებული ციხისათვის კი ჯერ ხელი არ გვიხლია. ციხე-დარბაზის წინ, იქვე სამხრეთით, შნ-ის აზრით, ქვასატეხი აღმოჩნდა. თავისთავად მეტად საეჭვოა, რომ ასეთ ადგილას ქვასატეხი გაემართათ. საჭირო იქნება ამის გარკვევა ნიშანდობლივ და მთელი ამ ადგილის მოთხრა, თორემ აწინდელი ორმო სულ რაღაც 3-ოდე კვადრატული მეტრისაა.

აღარ. ამ მესამე ზღუდის ნგრევა, როგორც ჩანს, პირდაპირ დაკავშირებული იყო თვით ქალაქის და სამოქალაქო ცხოვრების დაცემასთან.

ამის შემდეგ შენდება უკვე პატარა ფეოდალური ხასიათის ციხე მეორე კედლის ჩრდ.-დასავლეთის კოშკის გვერდით და ამ ციხიდან ჩრდილოეთით და სამხრეთით ჩამოდის თითო კედელი, რომელიც ფარგლავს ფრიად შემცირებულს ფეოდალურს სამოსახლოს (მე-4 პერიოდი).

ასეთია მოკლედ ნოქალაქევის ზღუდეების ისტორია. არც მეორე, არც მესამე და არც მეოთხე ხანის კედლები საკმაოდ გარკვეული არაა და გათხრით ხომ ჯერჯერობით, თითქმის არ გაგვითხრია რა. ამ კედლების მთლიან მოხაზულობას და სტრუქტურას არ ვიცნობთ.[1]

ეს არის და ეს. სხვა შედეგი ჩვენს გათხრებს არ მოჰყოლია. თვითონ ქალაქი ვერ ვიპოვეთ. გვაქვს თითო-ოროლა კერამიკის ნატეხი 1-ლი საუკუნისა, ორი ქოთანი იმავე ხანის (?), რამოდენიმედ უფრო მეტი ნატეხი მე-3-4 საუკუნის, საკმაოდ მრავლად ნატეხები მე-6 და მე-7 საუკუნეებისა,[2] რამდენიმე სპილენძის, ბრინჯაოს და რკინის ნივთი, სპილენძის და ოქროს ფული მე-6 ს-ნისა და საიდან აღმოჩნდებოდა მეტი ნაშთები, როდესაც არც სამოსახლო ადგილი, არც სასაფლაო არ გვიპოვია?.

ვნახოთ ახლა, რა დასკვნები გამოაქვს შნ-ს ამ მონაპოვრიდან.

1. როდისაა გაშენებული 1-ლი ზღუდე და თვით ქალაქი?

შნ-ის აზრით მე-4 ს-ის შუახანებში. აი საბუთები:

a) „აგორას" კოშკის სახურავის ოთხსავე კუთხეში ჩატანებულია თითო ქვევრი გუმბათის დაწოლისაგან კუთხეების განტვირთვის მიზნით (თუმცა, როგორც თვითონ შენობა, ისე გუმბათიც პატარაა და განტვირთვა თავისთავად საჭირო არ იყო). ასეთი რამ რომში პირველად გვხვდება მაქსენცის 306 წლ. ცირკში. ამიტომ 306 წ. ქ. შ. არის terminus ante quem non კოშკისათვის და eo ipso კედლისათვისაც, რადგან კოშკი თავისი აგებულება-ტექნიკით უეჭველად კედლის თანადროულია.

ამასთანავე, რომის ქალაქის ზღუდე, მე-3 ს-ში აგებული, განსხვავდება ნოქალაქევის ზღუდისაგან, სხვანაირადაა ნაგები; ამაზე უწინ, ელინისტურ ხანაში, ხომ კირს და დუღაბს არ ხმარობდნენ. ამგვარად, ნოქალაქევის კედელი არ შეიძლება მე-3 ს-ის დამლევზე იქით გადავიტანოთ.

b) კედლის ნაგებობა ტექნიკის განვითარების მაღალ დონეს გვიჩვენებს: დიდი, თითქმის ციკლოპური ლოდები, საკმაოდ კარგად ნათალი, კირით შემტკიცებული და სწორ ფენებად დასხმული. ამიტომ არ შეიძლება, რომ მისი აგება მე-4 ს-ის აქეთ გადმოვიტანოთ, რადგან მას შემდეგ კედლებს ასე აღარ აშენებდნენ. ეს არის terminus post quem non. ამავე ხანას ეკუთვნის გვირაბიც და „სასახლეც".

გავსინჯოთ შნ-ის საბუთები.

a) „აგორას" კოშკს, შეიძლება ითქვას, არაფერი საერთო უძველეს კედელთან არა აქვს. პირველი შეხედვით ცხადია, რომ კოშკი მხატვრული თვალსაზრისით ბევრად სჯობია კედელს. კოშკი ულამაზესი და უკოხტავესი შენობაა მთელს ნოქალაქევში,

---

[1] კერძოდ, მაგ., დადიანისეულ ციხეში, რომელიც თავისთავად საკმაოდ ფართოა, მხოლოდ ერთი ორმო ამოვთხარე. ეს ციხე აკრავს, როგორც აღვნიშნე, მეორე კედლის კოშკს და ამ უკანასკნელს ახლა შესავალი აღარ უჩანს. საჭირო იქნება თვით ციხისა და ამ კოშკის გასუფთავებაც.

[2] კერამიკის განსაზღვრა შნ-ს ეკუთვნის.

კედელი კი მკვიდრად, მაგრამ მაინც ტლანქადაა ნაგები. საერთო მათ აქვთ მხოლოდ ლიბო, მაგრამ კოშკის ლიბო გაცილებით უფრო ღრმად ზის მიწაში, ვიდრე კედლისა. სამაგიეროდ, ზედა ნაწილი კოშკისა აწყობილია ქართული ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელ ყაიდაზე: თლილი ქვა ფენებად ანუ ზოლებად კი არაა დასხმული, არამედ უსწორმასწოროდ, სხვადასხვა ზომისაა და სხვადასხვა ქანისაც (კედელი ნაგებია მხოლოდ კირქვით, ხოლო კოშკი – კირქვით, ადგილ-ადგილ ქვიშაქვით და გუმბათში ტუფით). ასე აშენებდნენ შემდეგშიც, კლასიკურ ხანაში, ქართულს ტაძრებს, განგებ სხვადასხვა ფერის ქვასაც კი ხმარობდნენ ესთეტური ეფექტების მისაღებად. კედელს რომ უცქერი, სიტლანქეს გარდა, თვალის დაღლილონას ამჩნევ – ნამეტანი სიმეტრული ფენებია, გვაკვირვებს მხოლოდ დიდ ზომები; კოშკის ასიმეტრული აწყობა კი თვალს ეხალისება, ზომებიც აქ შეზღუდულია. ამას დავუმატოთ ისიც, რომ კოშკის სახურავში ჩატანებული ქვეევრები უფრო ქართულ ჭურებს მოგვაგონებენ, ვიდრე რომაულ ამფორებს. ყველა ამის გამო ჩვემ გვგონია, რომ კოშკი კედლის დროისა არ არის, იგი უნდა მიეკუთვნოს გაცილებით უფრო მერმინდელ ხანას. რაც შეეხება, კერძოდ, ქვეევრებს, ჯერ კიდევ გამოსარკვევია, თუ რომში საიდანღა შემოიღეს ეს ქვეევრები, ეგების, სწორედ აღმოსავლეთიდან იყოს შეტანილი. ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ ასეთ ქვეევრებს შემდეგშიც ხმარობდნენ საქართველოში გუმბათოვანი და კამაროსანი შენობებისათვის (ასეა შიო-მღვიმის სატრაპეზოში, მე-15-16 სს.). მსგავსი მოვლენა იქვე, ნოქალაქევის ახლოს, სოფ. ბეთლემის ბაზილიკაში ვნახეთ – სახურავში ჩატანებული ყოფილა მოზრდილი მრგვალი ქოთანი. ამგვარად, შნ-ის terminus a. q. n. გამოუსადეგარია.[1] კედლის თარიღი განსაზღვრულად ვერ ჩაითვლება (რომის მე-3 ს-ნის კედელს ქვემოთ შევეხებით).

b) კედლის terminus p. q. n. შ-მა განსაზღვრა ტექნიკისა და საერთოდ სტილის მიხედვით. ასეთი ტექნიკითა და ასეთ ყაიდაზე მე-4 ს-ის შემდგომ აღარ აშენებდნენ. სად და ვინ აღარ აშენებდა? – რომის იმპერიაში რომაელებიო – ამბობს შ-რი. ასე მაგ. კონსტანტინოპოლისა და სალონიკის დაახლ. 390 წლ. კედლები უკვე სულ სხვა ყაიდაზე, აგურითა და ქვით არიან ნაგები. მართალია, რომაელები აღარ აშენებდნენ, მაგრამ იქნებ ლაზები აშენებდნენ?...[2]

ზემოთ გარჩეული საბუთები შნ-მა წამოაყენა თავის 1930 წლ. დეკემბერს ტფილისში საჯაროდ წაკითხულს მოხსენებაში. წერილობით შნ-ი ამ საბუთებს აღარ იხსენიებს და, ჩვენის აზრით, გაცილებით უფრო სუსტ საბუთებს ემყარება. ეს არის: 1) ძველი გეოგრაფების ცნობები, რომლებშიც იხსენიება ქალაქები მხოლოდ ზღვისპირას და ფაზისის გასწვრივ. ამ ქალაქთაგან უკვე პლინიუსის დროს (I ს-ნე ქ. შ.) უმრავლესობა აღარ არსებობდა. აქედან ცხადია რომ საკუთრივ შიდა-ქვეყანა ბერძენ-რომაელთათვის უცნობი იყო და არც მათი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ მაინც და მაინც ძველი ქალაქის ძებნა ნოქალაქევში ამაო იქნებოდა.

ამაზე ჩვენ შემდეგს შევნიშნავთ: ცნობილია რომ argumentum ex silentio მტკიცე საბუთად ვერ ჩაითვლება: არქეოპოლისს რომ არ იხსენიებენ I ს-ში ეს იმას არ ნიშნავს,

---

[1] სახუროთმოძღვრო ცნობები მომცა არქიტ. ვლ. ნილოსანმა.

[2] სხვათა შორის, რამდენად დაუნდობელია ტექნიკა და სტილი, იქიდან ჩანს, რომ ტფილისის ნარიყალას ციხე, თვითონ შ-ნის თქმით, იმავე ტექნიკით და იმავე ყაიდაზეა ნაგები, როგორც სალონიკის დაახლ. 390 წლ. კედელი; ჩვენ კი დანამდვილებით ვიცით, რომ კალა რამდენსამე საუკუნით უფრო გვიან გაშენდა.

რომ იგი მაშინ არ არსებობდა, შემდეგ „ძველი გეოგრაფები“ (რომელთა რაოდენობა მეტად მცირეა) მოგზაურობდნენ სწორედ ზღვისპირას და ფაზისის გასწვრივ – ამიტომ ბუნებრივია, რომ ისინი ამ ადგილების ქალაქებს იხსენიებდნენ მხოლოდ; ამის გარდა, თუ I საუკუნემდი საზოგადოდ რაღაც ცნობები გვაქვს და მათ შორის არქეოპოლისი არ იხსენიება, I-ლი ს-ნიდან მე-4 ს-ნის შუახანებამდი ხომ სრულებით არა გვაქვს რა. აქ ხომ ex silentio-ც არ შეიძლება დასკვნა? – მაშ რატომ არ შეიძლებოდა ნოქალაქევში I-ლი თუ მე-2 თუ მე-3 ს-ნეების ქალაქი გვეძებნა?

2) ტექნიკის მიხედვით, უძველესი კედელი შეიძლება იყოს, როგორც რომაული, ისე ადრე-ბიზანტიურიც, მაგრამ ზემოხსენებულის შემდეგ (იგულისხმება I-ლი საბუთი) არ შევცდებით თუ მას მე-4 ს-ნის შუახანებით განვსაზღვრავთ. ამის შესახებაც ერთი შენიშვნა: თუკი კედლის ტექნიკა რომაელებსაც და ბიზანტიელებსაც მიეწერება, ე. ი., ვთქვათ, I-ლი ს-ნისაც შეიძლება იყოს და მე-4-5-ისაც, რატომ უნდა ვიგულისხმოთ მაინც და მაინც მე-4 ს-ნის შუახანები? ამას უფრო ნიშანდობლივი დასაბუთება სჭირდება და მართლაც შნ-ი სცდილობს საბუთები წამოაყენოს. ამათგან ერთი ისევ ნამეტანი ზოგადი ხასიათისაა და ამიტომ არას გვეუბნება: არქეოპოლისი რომაელებს უნდა გაეშენებინათ მაშინ, როდესაც იმპერიის სიმძიმის ცენტრი აღმოსავლეთში იქნა გადმოტანილიო – იგულისხმება, ალბათ, დიოკლეტიანეს და კონსტანტინე დიდის ხანა, ე. ი. მე-3 ს-ნის დამლევი და მე-4-ის დამდეგი (ამ საბუთს ქვემოთ შევეხებით), მეორე კი უფრო კონკრეტულია: ეს არის ქვევით ქალაქის არეში, 22-ს საცდელ ორმოში ნაპოვნი კერამიკა, რომელიც მე-4 ს-ნეზე ზევით აღარ ადის. მაგრამ კერამიკაზე დამყარებულ თარიღთაგან, ჯერჯერობით, არც ერთი სანდო არაა, რადგან: ა) დათარიღება ხდებოდა ზეპირად, ბ) ნატეხების რაოდენობა მეტად მცირეა, გ) ფენები ნაპოვნი არაა და სხვადასხვა გვარის და დროის ნატეხები, ისიც ერთმანეთში არეული, ისე უსწორ-მასწოროდ აწყვია მიწაში, რომ მტკიცე დასკვნების გამოტანა შეუძლებელია, დ) შნ-ი აქაც გარედან მოტანილ თვალსაზრისზე დგას – რომისა და ბიზანტიის კერამიკის ცნობილ თარიღებს ემყარება, არ ითვალისწინებს ადგილობრივ პირობებს, შესაძლებელს ორიგინალობას, სხვა კულტურულს გავლენას, რომაულ-ბიზანტიურს გარდა, და საყოველთაო ცნობილ გარემოებას, რომ ერთგან დიდი ხნის მკვდარმა ფორმებმა სხვაგან შეიძლება კიდევ საუკუნეთა განმავლობაში იარსებოს და ბოლოს ე) თვითონ საცდელი ორმოების რიცხვიც ნამეტანი უმნიშვნელოა იმისათვის, რომ შიგ ნაპოვნმა კერამიკამ მთლიანი და ურყევი სურათი მოგვცეს. სხვათაშორის, აღვნიშნავ ერთ დეტალს: შალამბერიძის ბაღში სამარიდან ამოღებული ორი ქოთანი შნ-მა ადგილზე განსაზღვრა დაახლ. I-ლი ს-ნით ქ. წ. ანდა ამაზე ადრინდელი ხანით; ახლა, არ ვიცი რა მოსაზრებით, იგი აკუთვნებს ამ ქოთნებს იმპერიის შუახანებს, ე. ი. მე-3-4 საუკუნეებს და ეს ქოთნებიც საბუთად მოჰყავს I-ლი კედლის თარიღის გასარკვევად.

გადავიდეთ ახლა შნ-ის მეორე დასკვნაზე.

2. მართლაც, შნ-ი გადაჭრით ფიქრობს, რომ უძველესი კედელი (გვირაბითურთ) და „აგორა“ რომაელებმა გააშენეს. მსგავს ნაგებობას შნ-ი, მისივე სიტყვით, არ იცნობს სხვაგან არსად; რომის, კონსტანტინეპოლის და სალონიკის კედლები მეტად განსხვავდებიან ნოქალაქევის კედლისაგან, მაგრამ ამ უკანასკნელის სტილი და საერთო აგებულობა უდავოდ რომაული ხასიათისაა. ნიშანდობლივ: ა) დიდი თლილი ლოდები – ასეთივე ფილაქნები უხმარიათ მე-12 ს-ში გელათის ტაძრის ასაგებად; ბ) პერანგში დულაბის ჩასხმა – ეს ხომ საყოველთაო მოვლენაა; გ) ლოდების დამაგრება კირით – ესეც I-ლი ს-დან მოყოლებული საყოველთაოდ იყო მიღებული; დ) ქვების აწყობა სწორ ფენებად, საზოგადოდ სწორი ხაზები მთელი კედლისა და ე) კედლის დიდი ზომები.

მაგრამ, თუნდაც რომ შნ-ი მართალი იყოს და ყველა ზემოჩამოთვლილი ნიშნები კედლის რომაულობას ამტკიცებდეს, განა ეს იმას ნიშნავს, რომ იგი რომაელებსვე აუშენებიათ? რატომ არ შეეძლოთ ლაზებს გადმოეღოთ რომაული ტექნიკა და სტილი, მაგრამ კედელი თვითონ აეგოთ? რომის და შემდეგ ბიზანტიის გავლენა კოლხეთზე, მართლაც, დიდი უნდა ყოფილიყო. თემისტე მაგ., მე-4 ს-ში, ამას პირდაპირ გვეუბნება. ეს არც გასაკვირველია, თუ გავითვალისწინებთ, რომ კოლხეთის გზით რომი ვაჭრობდა ინდოეთთანაც კი, სხვა მეზობელი ქვეყნები რომ აღარ ვახსენოთ. მაგრამ არ უნდა გვავიწყდებოდეს, სხვათაშორის, ისიც, რომ ჩვენი ცნობები მეტად ცალმხრივია – სულ ბერძენ მწერლებს ეკუთვნის. მნიშვნელობას მოკლებული არაა ის გარემოება, რომ ლაზიკის მეფე გუბაზი 465 წ. „სპარსულად გამოწყობილი და მიდიელთა წესზე მცველების თანხლებით" ეწვია კეისარს კონსტანტინოპოლში; არც ის, რომ 515 წ. წათეს გაქრისტიანების შესახებ სპარსეთის მეფემ კეისარს უსაყვედურა – „ჩემს ქვეშევრდომს მართმევო" და კეისარმაც პირდაპირი პასუხი ვერ გასცა. ცხადია, რომ ლაზიკაშიც, როგორც იბერიაში, სპარსული კულტურული გავლენა, პოლიტიკურს გარდა, დიდი უნდა ყოფილიყო და ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ.

საინტერესოა აგრეთვე, რომ ნოქალაქევის კედელს ზოგი თავისებურებაც ახასიათებს. ასე მაგ. სამივე ქვედა-კარი კედელში გასწვრივ კი არ დგას, არამედ გარდიგარდმო; ორსავე გვერდითა კარს ვაკეზე საფარი აქვს – წარზიდული კედელი, რომელიც კარის წინ დერეფანს ჰქმნიდა; ვაკეზე კედელი ხშირ კუთხეებს აკეთებს, დატეხილია და სხვ. ყველა ამას სტრატეგიული დანიშნულება ჰქონდა, მაგრამ ამავე დროს ეს აძლევდა კედელს თავისებურ შეხედულებას. დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ რომაელები უპირატესობას აძლევდნენ აგურს და ეს მიუხედავად იმისა, რომ თვითონ რომში მათ უხვად მოეპოვებოდათ საუკეთესო საშენი ქვა (ტრავერტინი). რომის მე-3 ს-ნის კედელიც, სისქით 7-8 მ-დი, აგებულია აგურით – აგურის პერანგში ჩასხმულია დუღაბი. ნოქალაქევის კედელი კი მთლიანად ქვისაა.

პროკოპი კესარიელი ამბობს, რომ წყალსაზიდი ორი კედელი, რომელსაც შნ-ი გვირაბთან აიგივებს, „ქალაქის აღმაშენებლებმა" გამართესო (οἱ τὴν πόλιν δειράμενοι... ἐτεκτήναντο). თუ გვირაბიც რომაელებს აუგიათ, როგორც შნ-ი ფიქრობს, მაშ ქალაქის აღმშენებლებიც რომაელები ყოფილან. არც ამაში ეპარება შნ-ს ეჭვი. ყოველ შემთხვევაში „აგორა" თავისი შენობებით რომაელთაგანაა აგებული.

არქეოპოლისი, პროკოპის ცნობებისდა მიხედვით, კოლხეთის დედაქალაქი იყო. სრულებით გაუგებარია, რატომ უნდა აეშენებინათ კოლხეთის დედაქალაქი რომაელებს? იქნებ სიმაგრის გულისთვის? მაგრამ სიმაგრე რაღად სჭირდებოდათ ამ დროს და ამ ალაგას? ამას დასაბუთება უნდა. შნ-იც სცდილობს დასაბუთებას: სიმაგრე აქ რომაელებს მაშინ დასჭირდათ, ამბობს იგი, როდესაც იმპერიის სიმძიმის ცენტრი აღმოსავლეთისკენ გადმოვიდა. აქ, როგორც უკვე აღვნიშნე, უნდა იგულისხმებოდეს კონსტანტინე დიდის ხანა. მაგრამ, ეს ხომ ნამეტანი „ზოგადი" დებულებაა და მას თავის მხრივ სჭირდება კიდევ დასაბუთება, სახელდობრ, რომ „აღმოსავლეთისკენ სიმძიმის ცენტრის გადმოტანას", სხვათა შორის, კოლხეთიც ჰყავდა მხედველობაში. საბუთები კი ამის შესახებ არას გვეუბნებიან და არც შეიძლება რომ გვეუბნებოდნენ რასმე, რადგან რომს მე-3-4 საუკუნეებში არავითარი ინტერესები არ აიძულებდა კოლხეთში, ისიც ნოქალაქევში, თითქმის შუაგულ ქვეყანაში ზღვისპირს დაშორებით, აეგო ასეთი სიმაგრე და ეგოდენი ხარჯი და ენერგია ზედ შეელია. სამი პირველი საუკუნის განმავლობაში რომის პრიმატი სომხეთსა და იბერიაში, ხანმოკლე-გამონაკლისებს თუ არ ვიანგარიშებთ, უზრუნველყოფილი იყო; მე-4 ს-ში იწყება სპარსეთის პოლიტიკური

გავლენის ზრდა, მაგრამ სწორედ ამ დროს რომის წყალობით ქრისტიანობამ გაიმარჯვა იმ ორს ქვეყანაში; მთელი ამ ხნის განმავლობაში, მე-5 ს-მდე, საზღვარი რომისა და სპარსეთის გავლენის სფეროებისა ამიერკავკასიაში არეზზე გადიოდა, დაახლ. არტაქსატასთან (მხოლოდ მე-4 ს-ნის მეორე ნახევარში, ისიც მოკლე ხნით, საზღვარი დაიდო მტკვრის ხაზზე და, როგორც ცნობილია, იბერია გაიყო ორად); ალბანეთიც რომის სფეროში იყო მოქცეული ხანგრძლივად. მე-5 ს-მდი რომ-სპარსეთის ომიანობის ასპარეზი უმთავრესად სომხეთი იყო; მე-5 ს-ში მდგომარეობა იცვლება: სომხეთის უდიდესი ნაწილი და იბერია უკვე სპარსეთს უჭირავს და მხოლოდ ამის შემდეგ გადადის ბრძოლის ასპარეზი კოლხეთში. აქედან ცხადია, რომ, ყოველ შემთხვევაში, მე-5 ს-მდი, არტაქსატის გარშემო მებრძოლ რომაელებს არაფრად არ სჭიროდათ ნოქალაქევის ციხესიმაგრე. ამით აიხსნება, რომ რომი გაცილებით უფრო მკვიდრად დაუკავშირდა იბერიას, ვინემ ლაზიკას. ლაზიკა რომისათვის იმდენად საინტერესო არ იყო; ამასთანავე, რაკი სომხეთი და იბერია რომს ეჭირა, ლაზიკის მორჩილებაც უზრუნველყოფილი იყო. ამით აიხსნება ცნობების სიმცირეც ლაზიკის შესახებ, ვიდრე მე-6 ს-ნის შუახანებამდი. ბიზანტია მაშინ დაინტერესდა კოლხეთით, როდესაც იბერია მისთვის უკვე დაკარგული იყო. პროკოპი ხომ პირდაპირ ამბობს, რომ 532 წ. რომაელთა ჯარმა, მუდმივ დასადგომად, პირველად შემოდგა კოლხეთში ფეხი. და განა დასაჯერებელია, რომ თუ არქეოპოლისი რომაელების გაშენებული იყო, პროკოპის ეს საგანგებოდ არ აღენიშნა?

პირიქით, თუ ერთხელ დავუშვით რომ ნოქალაქევის სიმაგრე კოლხებმა ააშენეს, რასაც არაფერი ეწინააღმდეგება, თუკი ადამიანი წინამსჯავრით გამსჭვალული არაა, მაშინ სრულიად გასაგები ხდება, რომ მათ განსაკუთრებით და ყოველგვარ პირობებში (მოსალოდნელი ომიანობისა თუ მშვიდობიან დროს) უნდა გაემაგრებინათ თავიანთი დედაქალაქი და მაშინ არც არავითარი საგანგებო საბუთის მოძებნა არ იქნება საჭირო ამისათვის.

რომ „აგორა" და სხვა საქალაქო დაწესებულებები არაჩვეულებრივ რამეს არ უნდა წარმოადგენდნენ მე-3-4 საუკუნეების კოლხეთში, ამას მოწმობს იბერიის ქალაქების მდგომარეობა 1-ლ ს-ში ქ. ნ.; სადაც სტრაბონის თქმით, „კრამიტიანი სახურავები სცოდნიათ, ხოლო სახლებს ხუროთმოძღვრების რიგზე აშენებდნენ. საბაზრო ადგილებიც ჰქონიათ, ხოლო მოედნებზე საზოგადო დაწესებულებათა შენობები ჰქონდათ ხოლმე აგებული". იბერიაში ეს, რასაკვირველია, წინარომაული ხანის მოვლენა იყო. ბუნებრივი იქნებოდა, რომ მსგავსი დაწესებულებები მე-3-4 საუკუნეებში ლაზიკაშიც გაჩენილიყო. ლაზიკას ხომ მჭიდრო ეკონომიკურ-კულტურული დამოკიდებულება ჰქონდა იბერიასთან.

ნოქალაქევიდან 3 კმ-ით დაშორებულ სოფ. ბეთლემში არის ძველი აბანო, შნ-ის განსაზღვრით, მე-3-5 საუკუნეებში მეტად მკვიდრად და ლამაზად თლილი ქვით ნაგები. ვინც ეს აბანო ააგო, ის უეჭველია ნოქალაქევის კედელსაც ააშენებდა – ტექნიკა ერთია. მაგრამ, ალბათ, აბანოც რომაელების გაშენებული იქნება.

ე. წ. „აგორას" შესახებ უნდა შეინიშნოს შემდეგი: საჭიროა დასაბუთება იმისა, რომ ხსენებული მოედანი თავის დროზე, მართლაც, აგორას, ე. ი. შესაკრებელ და სავაჭრო ფოლორცს, წარმოადგენდა. მხოლოდ იმიტომ, რომ მას ზღუდე ჰქონია და შესავალში კოშკი უდგას, იგი ჯერ კიდევ „აგორა" არ იყო. ფართობი აქ ნამეტანი პატარაა თვით იმდროინდელი ქალაქისთვისაც და, რაც უმთავრესია, ზედ არ აღმოჩნდა არცერთი, აგორასათვის დამახასიათებელი, შენობა – რაიმე დუქნის ან ქარვასლის ნაშთი ვერ ვიპოვეთ, ვნახეთ მხოლოდ და მხოლოდ ნაგვიანევი საშუალო საუკუნეების აკლდამები. ადვილი შესაძლებელია, რომ სავაჭრო მოედანი ძველადაც ქალაქის ზღუდის გარეთ

ყოფილიყო მოთავსებული. Dubois მოგვითხრობს, რომ მისთვის უჩვენებიათ ქვედა სიმაგრის „გვერდით“ (ე. ი. გარეთ) ადგილი, რომელიც უშველებელ ბაზარს სჭერია („à côté de la forteresse d'en bas la place qu'occupait un immense bazar“).

3. ზემოთ გარჩეული ორი კითხვის შემდეგ უნდა შეეეხოთ მესამე საკითხსაც: რამ დაანგრია პირველი კედელი და როდის?

შნ-ის აზრით, პირველი კედლის დანგრევის მიზეზი მიწისძვრა იყო. ამასთანავე, მას ისე აქვს წარმოდგენილი, რომ კედელი ერთბაშად და მთლიანად ჩამოინგრა. ამისი პირდაპირი საბითი არ მოიპოვება, მაგრამ სხვადასხვა ნიშნების მიხედვით შეიძლება ასეთი დასკვნის გამოტანა: a) პროკოპის აღწერილობიდან ჩანს, რომ მის დროს, მე-6 ს-ნის შუახანებში, უძველესი კედელი ჯერ კიდევ მთლიანად მდგარა; მერმეროეს ქალაქი ვერ აუღია და მაშასადამე ციხესიმაგრე ვერ დაუნგრევია; მას შემდეგ კი აღარ ჩანს ის ძალა, რომელსაც შეეძლო ეს კედელი დაენგრია; b) მეორე ხანის კედელი უდავოდ მიწისძვრის მსხვერპლი ყოფილა, რასაც მოწმობენ ხშირი ნაპრალები ამ კედელში ზევიდან ძირამდი – აქედან ჭკუასთან ახლო იქნება, რომ წინათაც მიწისძვრა ვიგულისხმოთ, რაკი ამ მხარეში მიწისძვრა საზოგადოდ სცოდნია; c) გარდა ამისა, არის ნიშნები რომ ძვრა მიმართული ყოფილა ჩრილო-სამხრეთის ხაზით: სახელდობრ, საფუძვლიანად დანგრეულა ყველა ის ნაწილები უძველესი კედლისა, რომელიც ჩრდილო-სამხრეთის ხაზზე იდგნენ, ხოლო შენახულია დღემდისაც ის ნაწილები, რომლებიც აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე მდგარან; ასეთი მოვლენა ვერ აიხსნება სხვა ვერაფრით, გარდა ჩრდილო-სამხრეთის ხაზით გასული მიწისძვრისა.

გავარჩიოთ თითოეული საბუთი ცალ-ცალკე, თუმცა ყველა ერთად აღებულიც მაინცდამაინც დიდი დამაჯერებლობის შთაბეჭდილებას არ იძლევა.

a) რახან, პროკოპი, კედლის აღწერილობისას, ქვედა- და ზედა- კარებს იხსენიებს (πύλαι κάτω და ἄνω), ხოლო მეორე ხანის კედელს ზედაკარი არსად არ უჩანს, არ ჰქონია, შნ-ი დაასკვნის, რომ პროკოპის უძველესი კედელი უნახავს, რომელსაც, მართლაც, 5 (თუ 6) ზედა-კარი აქვს. მაგრამ პროკოპი, ამას გარდა, კიდევ ორმაგ კედელზე მოგვითხრობს, რომელიც აშენებული იყო წყლის საზიდად ომიანობის დროს. ასეთი ორმაგი კედელი (δύος τείχη) სწორედ მეორე ხანის ზღუდეს მოეპოვება აღმოსავლეთის მხრიდან. შნ-ი ჰფიქრობს, რომ „ორმაგი კედლის“ ქვეშ პროკოპის ნაგულისხმევი აქვს წყალის საზიდი გვირაბი, მაგრამ ასე იოლად ამ საკითხის გადაჭრა არ შეიძლება. რატომ უნდა ეთქვა პროკოპის „გვირაბის“ ნაცვლად „ორმაგი კედელი“? მეორე ზღუდის ორმაგი კედელი სიმაგრის როლს ასრულებდა: რადგან ზღუდე ნამეტანი წვრილი იყო, ზედ კაცი ვერ შედგებოდა საომრად, ვაკეზე, საცა ყველაზედ უფრო ადვილად მიუდგებოდა მტერი, მთავარი ჭიშკრის გასწვრივ, ორმაგი კედელი ააგეს; შუაში, ალბათ, ან მიწა იქნებოდა ჩაყრილი, ან ფიცრებს გაუდებდნენ და ამ ბაქანზე ზევით ადვილად გამაგრდებოდნენ ჯარისკაცები მოწინააღმდეგის იერიშების მოსაგერიებლად. მაგრამ, შეიძლება, იმავე დროს ეს ორმაგი კედელი წყლის საზიდადაც იყო გამოყენებული? მართლაც, როგორც იქაურები გვარწმუნებდნენ, ამ ორ კედელს შუა წყალსადენის მილებია თურმე ჩაშენებული და ტეხურისპირის კუთხეში კიდევაც აღმოჩნდა ასეთი მილის ერთი ნაკვეთი (ცემენტისა). ჩვენ ეს წყალსადენი ჯერ არ გაგვითხრია, არ გამოგვიკვლევია მისი დანიშნულება. არ ვიცით, სადამდის მიდიოდა იგი. ასეა თუ ისე, ამ „ორმაგი კედლის“ საკითხი, ჯერჯერობით, ღიად უნდა დავტოვოთ. და თუ ჩვენი მოსაზრება სწორია, რომ პროკოპის ზემოხსენებული ორმაგი კედელი უნახავს, ე. ი., რომ მას უკვე მეორე ხანის ზღუდე დახვედრია ნოქალაქევში, როგორ უნდა აიხსნას „ზედა-კარები“? აქ მხოლოდ ერთის თქმა შეიძლება: პროკოპის დროს მე-6 ს-ნის შუა ხანებში, უკვე დანგრეული იყო

უძველესი კედლის ქვემო ნაწილი, აშენებული იყო მეორე კედელი, ოღონდ პირველი კედლის ზემო ნაწილი ჯერ კიდევ მთლიანად იყო დაცული და ძველებურად სიმაგრის როლს ასრულებდა. მართლაც, როგორც მოვიხსენიეთ, მეორე პერიოდში აკროპოლსა და ქალაქს შუა ზღუდე არ გაუვლიათ, ეს კი სრულებით გაუგებარი იქნებოდა, თუ რომ ამ დროისათვის უძვ. კედლის ზემო ნაწილიც დანგრეულ-გაუქმებული იყო – შემოსულ მტერს ყოველთვის ადვილად შეეძლო დაუცველად დარჩენილ შუა-მთაზე ასულიყო და აკროპოლი მოეჭრა ქალაქისაგან. საინტერესოა ერთი დეტალიც: მეორე კედელი უმეშვეოდ ეკვრის პირველს მე-6 კოშკის დასავლეთით და აქ ორივე კედელი ერთ მთლიან კუთხესა ჰქმნის. აი, აქედან მოყოლებული ვიდრე აკროპოლამდი პირველი კედელი დაცული იყო მეორე პერიოდშიც.

b) ის ნაპრალები, რომლებიც დღემდი შენახულ კედელში ჩანს, თითქოს მართლაც, მიწისძვრას უნდა მიეწეროს, მაგრამ ეს უკანასკნელი მომხდარა არა მაშინ, როდესაც მეორე ხანის კედელი იდგა, არამედ მესამე პერიოდში, როდესაც ამ კედელს ზემოდან მესამე კედელი დააშენეს – ნაპრალები სნორედ მესამე კედელშია და, რასაკვირველია, მეორე კედლის ძირშიც გადის. ამას გარდა, ერთი მიწისძვრა სრულებითაც არ გვაგულისხმებინებს მეორეს და მესამეს.

c) არც მესამე მოსაზრებაა სავსებით სწორი. მართალია, რომ უძვ. კედლის ჩრდილო-სამხრეთით მიმართული ნაწილები ყველა დანგრეულია საფუძვლიანად, მაგრამ ასევე საფუძვლიანადაა დანგრეული ტეხურისპირის ნაწილი, აღმოსავლეთ-დასავლეთით მიმართული, და მსგავსადვე მდგარი ნაწილი 1-ლი კოშკის ზემოდან ვიდრე აკროპოლამდი.

ამგვარად, საფიქრებელი ხდება, რომ კედელი უცებ კი არ დანგრეულა, არამედ თანდათანობით და ჯერ მისი ქვედა ნაწილი გაუქმებულა. მოხდა ეს, ალბათ, არა მიწისძვრის გამო და საზოგადოდ არა რაიმე კატასტროფის შედეგად, არამედ დროისა და (ეგებ ხანგრძლივი) ომიანობის წყალობით (თავის-თავად, რასაკვირველია, შესაძლებელი არის რომ მიწისძვრაც ყოფილა და ამანაც შეუწყო ხელი კედლის დანგრევას). სწორედ ქვედა, ვაკე-ნაწილი კედლისა ყველაზედ უფრო ადვილი მისადგომი იყო მტრისათვის. სხვათა შორის, თანდათანობითს გაუქმებას ამ კედლისას გვაფიქრებინებს ჯუანშერის შენიშვნაც, რომ 736/43 წლებში მურვან ყრუმ „ციხე იგი სამზღუდე შემუსრა, რომელ არს გოჯი". შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ მე-8 ს-ნის პირველ ნახევარში ქვედა ნაწილი უძველესი კედლისა ჯერ კიდევ იმდენად იყო შენახული, რომ მეორე ხანის ორმაგ კედელთან ერთად, გარეშემავალს ნოქალაქევი სამი კედლით გამაგრებული მოეჩვენებოდა. გაუქმების შემდეგ კი სწორედ ქვედა ნაწილი განსაკუთრებით უნდა დაზიანებულიყო, რადგან მისი ეგზომ სახარბიელო ქვების წაღება-დატაცება მცხოვრებლებისათვის ძალინ ადვილი იყო.

ახლა, როდის დაინგრა 1-ლი კედელი?

აქ შნ-ი ემყარება მე-6 კოშკის მონაპოვარს, მავრიკიუსის ფულს. რაკი აქ ეს ფული აღმოჩნდა, მაშასადამე მე-6 ს-ის დამლევსაც უძვ. კედელი ჯერ ისევ უვნებლად მდგარა. მეორე მხრით, 736/43 წლებში მურვან ყრუს აქ უკვე სამი ზღუდე უნახავს (აქ შნ-ი ეთანხმება ჩვენს ზემომოყვანილს განმარტებას ამ ცნობისას), მაშასადამე, ამ დროს უკვე მეორე ხანის კედელი გაშენებული ყოფილა. ამგვარად 1-ლი კედელი დანგრეულია მე-7 ს-ნის განმავლობაში. ამით განსაზღვრულია მეორე კედლის აგების ხანაც.

მაგრამ ჩვენ ხომ ვნახეთ, რომ ზედა ნაწილი უძვ. კედლისა მე-6 კოშკითურთ მეორე პერიოდშიც დაცული უნდა ყოფილიყო. მაშასადამე, აქ ნაპოვნი ფული მთელი კედლის დანგრევა-გაუქმების დროს ვერ განსაზღვრავს. მან შეიძლება განსაზღვროს 1-ლი კედლის მხოლოდ ზედა ნაწილის და მასთან ერთად მე-2 პერიოდის კედლის დანგრევა-

დაზიანების დრო. პირველი კედლის ქვედა ნაწილი გაუქმდა, ეგების, ბევრით ადრე პროკოპიმდე. რა იყო მე-4 და მე-5 საუკუნეებში და რას და ვის შეეძლო ეს კედელი დაენგრია, ჩვენ არ ვიცით. სხვათა შორის, საინტერესოა აღინიშნოს, რომ მე-2 და მე-3 საუკუნეების განმავლობაში კოლხეთს, როგორც ეტყობა, მეტად მძიმე და ხანგრძლივი შინაგანი ბრძოლები უნდა გამოევლოს: 1-ლ ს-ში, სტრაბონის დროს, მთლიანი კოლხეთი, უკვე მე-2 ს-ში, არიანეს მოწმობით, დაქუცმაცებული იყო მრავალ პატარ-პატარა, მხოლოდ რომის კეისარზე დამოკიდებულ სამეფოებად; მე-5 ს-ში კი კოლხეთი ისევ გაერთიანებულია.

მეორე კედელიც პროკოპიმდე უნდა იყოს გაშენებული, ხოლო როდის დაინგრა და როდის გაუქმდა უძვ. კედლის ზედა ნაწილი გაურკვეველია. მე არ შემიძლია მე-6 კოშკში ნაპოვნი ფული მიწისძვრის ერთ-ერთ საბუთად ჩავთვალო, როგორც შნ-ი ფიქრობს. შესაძლებელია, რომ ეს ფული უეცარი კატასტროფის დროს იყოს დაკარგული, მაგრამ შესაძლებელია ბევრი სხვა რამეც. მტკიცე საბუთები კი მიწისძვრის სასარგებლოდ არა გვაქვს.

ზემომოყვანილიდან ცხადი ხდება, რომ ჩვენი გათხრების შედეგი ჯერჯერობით, დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება – ვერცერთი მტკიცე და ურყევი დასკვნა ჩვენ ვერ გამოვიტანეთ და ნოქალაქევის საკითხი ლამის ისეთივე ბნელითაა მოცული დღესაც, როგორც გათხრების დაწყებამდე.[1]

ამას ზედ ერთვის ის გარემოებაც, რომ თითქოს არსად არ აღმოჩნდა ძველი სასაფლაო და არც ძველი სამოსახლოს ფენები. მართალია, „აგორას" ეკლესიის უკან შალამბერიძის ბაღში ქალის სამარეს წავაწყდით დაახლ. 2,5 მ-ის სიღრმეზე და სხვათა შორის, ორი ქოთანი ამოვიღეთ, შნ-ის აზრით, 1-ლ საუკუნეზე ადრინდელი დროისა; იქვე ახლოს, რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით, კიდევ ერთი სამარე აღმოჩნდა, თითო სამარის გვერდით კიდევ თითო ორმო ამოვთხარეთ, მაგრამ აღარა აღმოჩნდა რა. მომავალში აუცილებელი იქნება ამ კვალს გულდასმით და ბოლომდი გავსდიოთ. ერთ ორმოში კი, აწინდელი აღმასკომის ეზოში, დაახლ. 1/2 მ-ის სიღრმეზე, იუსტინიანეს დროის შავი ნაკულტურალი ფენა გამოჩნდა, სისქით 2-3 გოჯისა (დათარიღებულია, კერამიკის გარდა, იმდროინდელი სპილენძის ფულით – (ὀλλίς). ამ კვალსაც მომავალში უნდა გავდიოთ. საერთოდ კი ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს მოსახლეობის კვალი ამ ძველს ქალაქში ან მთლიანად წარხოცილა დროთა განმავლობაში, ან არა და სულაც არაფერი კვალი არ ყოფილა.

---

[1] შნ-ი ფიქრობს, რომ ქალაქის ისტორია, ზოგადად მაინც, გარკვეულია, ჩვენ ვნახეთ, რომ ეს ასე არაა. მაგრამ, შნ-ის აზრით, მე-4 ს-დი, როდესაც მისი განსაზღვრით, რომაელებს 1-ლი ზღუდე აუგიათ, ნოქალაქევის ადგილას არამცთუ ქალაქი, მოზრდილი სამოსახლოც კი არ ყოფილა. მე მგონია, რომ აქ შნ-ი იმდენად უსაბუთოდ მსჯელობს, რომ ამაზე შეჩერებაც კი არ ღირს. ოღონდ ერთს შევნიშნავ: შნ-ი სცდება, როდესაც ფიქრობს, რომ მოზრდილ სამოსახლოს ან ქალაქს არ შეიძლება „ციხე-გოჯი" ჰრქმეოდა. საქართველოში ბევრი იყო და არის ქალაქი ასეთი სახელწოდებით – თუნდაც, მაგ. უფლისციხე; ამას გარდა, სრულებით დაუჯერებელია, რომ ბერძნებს ამ ადგილისათვის არქეოპოლისი დაერქვათ მხოლოდ იმიტომ, რომ აქ მანამდი რაღაც პატარა „ციხე" ყოფილა, რომელიც მაშინდელი განსჯით „αρᾶχια" იყო. ვიდრე უფრო ნიშანდობლივი რამ გამოირკვეოდეს, ამ ბერძნული სახელწოდების ახსნა მხოლოდ ერთი – შეიძლება იყოს: იგი ისეთსავე თარგმანს უნდა წარმოადგენდეს ქართულისა და ლაზურიდან, როგორც როდოპოლის-ვარციხე და სხვ. და შესაძლებელია რომ ამ ქალაქს „ძველქალაქი" ეწოდებოდა.

ეს მეტად საკვირველი მოვლენაა. სხვა არა იყოს რა, მე-6 ს-ნის ნაშთები მაინც მრავლად უნდა აღმოჩენილიყო – ჩვენ კი შედარებით მცირეოდენ თიხის ნატეხებს გარდა არა გვიპოვია რა. პროკოპი არქეოპოლისს მრავლადდასახლებულს და კოლხეთის უდიდეს და უპირველეს ქალაქს უწოდებს. პროკოპის კი უნდა სცოდნოდა, რა არის ქალაქი! ერთი რამ ცხადია: ქალაქი ხის სახლებით იყო გაშენებული, ხე და ბევრი სხვა რამეც პირდაპირ დალპა, რაც გასაკვირველი არ არის სამეგრელოს ნესტიანი ჰავისათვის. მაგრამ ნუთუ იმდროინდელ მოსახლეობას, გარდა ქოთნების, სხვა რამ ნივთები არა ჰქონია – სამკაული, იარაღი, ლითონის ჭურჭელი და სხვ.? – სად დაიკარგა ყველა ეს? ამ კითხვას პასუხის გაცემა უნდა.

ჩვენ არ შეგვიძლია I-VI საუკუნეების კოლხეთი იმდენად პრიმიტიულ პირობებში წარმოვიდგინოთ, რომ მის მოსახლეობას მწირ კერამიკას გარდა სხვა არა მოეპოვებოდა რა. უკვე 1-ლ ს-ში კოლხეთს გაცხოველებული აღებ-მიცემობა ჰქონია უცხოეთთან; რიონზე შორაპნამდი გემები დადიოდა, რომლებსაც ადგილობრივ აშენებდნენ და, სხვათა შორის, უცხოეთიდან შემოტანილი ტყითაც; მარტო რიონზე, სტრაბონის მოწმობით, 120 ხიდი ყოფილა გაშენებული, მდინარეს სისტემატიურად სწმინდავდნენ. მე-4 ს-ში თემისტე კოლხეთს ელინური კულტურისა და მუზათა სადგურს უწოდებდა; კოლხური რიტორიკა ბერძნებსაც აკვირვებდა. მე-6 ს-ში ხომ პროკოპისა და აგათიას ცნობის მიხედვით, კოლხეთი მდიდარი, დაწინაურებული, მჭიდროდ დასახლებული და დაბა-ქალაქებით სავსე ქვეყანა ჩანს. ასეა თუ ისე „ქალაქი" ჯერჯერობით, ვერ ვნახეთ. ეგებ, ეს იმის ბრალიც იყოს, რომ ზღუდის გარეთ სულ არ გვიძებნია – მხოლოდ ერთი უმნიშვნელო ორმო ამოვთხარეთ საავადმყოფოს ეზოში. მოსახლეობა კი სწორედ აქ უნდა ყოფილიყო – ზღუდის შიგნით სამოსახლო ადგილი მეტად მცირეა. მართალია, თვითოეულ ეზოს ზღუდის გარეთ თავისი ჭა აქვს. ზოგან სიღრმით 3 საჟენამდე, და, ადგილობრივთა თქმით, არასოდეს არაფერი აღმოჩენილა, მაგრამ ეს შეიძლება შემთხვევას მიეწეროს.

მნიშვნელობას არ უნდა იყოს მოკლებული ის გარემოება, რომ ზემო ნოქალაქევის ყანებიდან, ნოქალაქევიდან დაახლ. 1,5 კმ-ის დაშორებით ჩრდ.-აღმოსავლეთისაკენ, მოგვიტანეს მე-3 საუკუნის რომაული ვერცხლის ფული, სპილენძის ძველი საბეჭდავი ბეჭედი და შუბის პირი რკინისა. ქოთნებიც მრავლად უპოვნიათ იქ, ოღონდ დაუმტვრევიათ. მომავალში აუცილებლად საჭირო იქნება ამ კვალის გამოყენება.

გარდა ამისა, თუმცა ზღუდის შიგნით, ვაკეზე, მთის ფერდობზე და ზევით აკროპოლში, 40-მდე საცდელი ორმო გავთხარეთ, ზოგიერთი საკმაოდ ღრმად (2-3 მ-დი) და თითქმის ყველა უშედეგოდ, მაინც სიფრთხილე გვიკარნახებს, ჯერჯერობით, აქაც საბოლოო დასკვნა არ გამოვიტანოთ. არე მაინც კიდევ იმოდენაა, რომ თუნდაც 40 ორმო ვერ მოგვცემს საბოლოო სურათს, მით უმეტეს, რომ მთის ფერდობზე გათხრილ ორმოთა რიცხვი მეტად მცირეა. ქალაქი კი, თუ იგი ზღუდის შიგნით იყო მოქცეული, აუცილებლად ტერასებზე უნდა ყოფილიყო გაშენებული, ვაკე ადგილი აქ ნამეტანი უკმარია. ამასთანავე, რახან ეს ქალაქი მერმეც ქალაქად არსებობდა, გვიანობამდის დასახლებული იყო და, ეგების, ამიტომ გაძარცვულიც იყოს, საჭიროა მით უფრო გულდასმით ძიება და მით უფრო ხშირი გათხრა, რომ აღმოჩნდეს ის, რაც გაძარცვას გადარჩა.

ამგვარად, ჩვენი დასკვნა ასეთი იქნება: ნოქალაქევის გათხრა ჯერ კარგა ხანს დამთავრებულად ვერ ჩაითვლება. ჯერ შეიძლება ითქვას, საცდელადაც საკმაოდ ნამუშევარი არ არის.

დმანისი. ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა

დმანისში, შ. რუსთაველის საიუბილეო კომიტეტის თაოსნობით, უკვე ორი არქეოლოგიური კამპანია ჩატარდა: პირველი კამპანია წარმოებდა 1936 წლ. აგვისტოს 22-დან ოქტომბრის 29-მდე, მეორე – 1937 წლ. აგვისტოს 26-დან ოქტომბრის 3-მდე.

დმანისში წარმოებული მუშაობა არის მხოლოდ ერთი მცირე ნაწილი იმ დიადი კულტურული საქმისა, რომელიც, როგორც მთელს საბჭოთა კავშირში, ისე კერძოდ საქართველოშიც კეთდება ჩვენი ხელისუფლებისა და პარტიის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით. საქართველოსთვის უჩვეულოა როგორც თვით ფაქტი მთელი ნაქალაქარის არქეოლოგიურად შესწავლისა, თუ არ ვიანგარიშებთ იმ მცირე ცდას, რომელიც 1930-31 წელს იყო გაკეთებული ნოქალაქევში, ისე მასშტაბი, რომლითაც გათხრები დმანისში წარმოებდა. ამასთან, ორივე ექსპედიცია ჩაყენებული იყო განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებში და მთელი მუშაობის განმავლობაში სარგებლობდა როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლების კეთილსასურველი განწყობილებით.

გათხრებს ხელმძღვანელობდა პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ხოლო კონსულტანტად მოწვეული იყო პროფ. გ. ჩუბინაშვილი. როგორც ველზე მუშაობის დროს, ისე შემდეგ, კოლექციების შესწავლისას და წინამდებარე წერილის შედგენისას, ჩვენ უხვად ვსარგებლობდით ამ ორი პატივცემული მეცნიერის რჩევა-დარიგებით. ადგილზე მუშაობდნენ, გარდა ავტორისა, 1936 წ.: საქ. მუზეუმის უფრ. მეცნ. თანამშრ. სტ. მენთეშაშვილი, მეტეხის ხელოვნ. მუზეუმის ასპირანტი ირ. ქასაშვილი, შ. რუსთაველის მუზეუმის უფრ. მეც. თანამშრ. შ. ხიდაშელი, არქიტექტორები ც. გაბაშვილი და ვლ. მდივანი, ფოტოგრაფები ე. ერისთავი და მ. არანდარენკო; 1937 წ.: ი. ქასაშვილი, დ. კაპანაძე, სტუდ. დ. ლაშქარაძე, შ. რუსთ. მუზეუმის უმცრ. მეცნ. თანამშრ. ვ. ჯაფარიძე, არქიტექტორები ც. გაბაშვილი და რ. მეფისაშვილი, რესტავრატორი ირ. ჯაფარიძე და ფოტოგრაფი ლ. მაჭავარიანი. დმანისის ნაქალაქარის ტოპოგრაფიული გეგმა შეასრულეს ტოპოგრაფებმა გ. ქავთარაძემ, ა. ქავთარაძემ და დ. მიქელაძემ.

1936 წლის კამპანიის განმავლობაში არქეოლოგიურად შესწავლილ იქნა ქალაქის ზემო ნაწილი საცდელი თხრილების (შურფების) საშუალებით, საფუძვლიანად გაითხარა და გაიწმინდა ციხის აბანო და მარნიანი შენობა სიონის ჩრდილოეთით (შენობა I), ხოლო ნაწილობრივ გაითხარა ქალაქის ჭიშკარი და გარეუბანის ქვემო-აბანო. მაშინვე იქნა აღმოჩენილი და გაწმენდილი ბანებიანი ბეღელი (შენობა II) ქალაქის „ქვემო-ქუჩაზე". გაიზომა სიონი კარიბჭეებითურთ, სამრეკლო, ციხის აბანო, ბეღელი, მარინეს ეკლესია, ორი მუსლიმანური მავზოლეუმი გარეუბანში. წაკითხულ და ფოტოგრაფიულად გადმოღებულ იქნა ყველა წარწერა, ზოგიერთი სპარსულ-არაბულის გარდა. შესრულდა შემდეგი ექსკურსიები ქალაქის რაიონის შესწავლის მიზნით:

1. ისპიანის ხეობაში (კაზრეთი, ისპიანი, სამტრედო, სათხე), 2. მაშავრის ხეობაში ნაქალაქარის ზემოთ (ტნუსის თეკენები), 3. ფინეზაურის ხეობაში (ფინეზაური, საფარ-

ლუ, მამიშლე), 4. პატარა ექსკურსია ყაფარა-სოფელში, პატ. დმანისის ზემოთ, 5. ლოქის წყლის ხეობაში და იქიდან ბაშქიჩეთში (შუშის ქარხანა, ყიზ-ქილისა, ჰამამლუ, ზემო ოროზმანი, ქვემო-ოროზმანი), 6. მაშავრის ხეობაში ვიდრე ქვეშამდე (აბულბუგი, ორ-საყდარი, „დაქცეული საყდარი", სვეტი-ცხოველი, კიანეთი, ქვეში), 7. ლუკუნის მთაში (ვარდისუბანი, დიდი დმანისი, ბოსლები, სამება, კაკლიანი, ყიზილ-ქილისა, შინდლარი, ბაშქიჩეთი), 8. მაშავრის ხეობაში (კიანეთი, დავით საგარეჯო კაზრეთის ქვემოთ).

ამ ექსკურსიების შედეგად, სხვათა შორის, გაზომილ იქნა სამების ტაძარი ბოსლების ხევში (XIII/XIV ს.) და ჰამამლუს ეკლესია (XII ს.). ექსკურსიებითურთ სულ გადაღებულ იქნა 400-მდე ფოტოსურათი. ტოპოგრაფიულად აიგეგმა ქალაქი გალავნის ფარგლებში.

1937 წლის არქეოლოგიური კამპანიის განმავლობაში დასრულდა ციხის აბანოს და 1-ლი შენობის გამოწმენდა, გაითხარა ბოლომდე გარეუბნის ქვემო და ზემო აბანოები და ნაწილობრივი გათხრა იქნა ჩატარებული შუა აბანოში; გაითხარა ქალაქის ჭიშკარი და გასუფთავდა ძველი ქუჩა 20 მ-ის მანძილზე; ჩატარებულ იქნა საცდელი გათხრა შიდა-ციხეში, რომელიც ნაწილობრივ გაიწმინდა კიდეც; შესწავლილ იქნა თახჩიანი შენობა შუა-ქალაქში (შენობა III), რომელიც გარეშემოითხარა და რომლის შიგნით სამი შურფი გატარდა; ქალაქის ქვემო ნაწილში ერთი შენობა (VIII) მთლიანად გასუფთავდა. სამი შენობა (IV, V, VI) გაითხარა და გასუფთავდა ნაწილობრივ (უშედეგობის გამო) და დაწყებულ იქნა მე-VII შენობის გათხრა, რომელმაც საინტერესო შედეგი მოგვცა, მაგრამ რომელიც ჯერ ბოლომდე მიყვანილი არაა. გაიზომა და აიგეგმა გარეუბნის ორივე გათხრილი აბანო, ჭიშკარი და ქუჩა, შიდაციხე და მისი მიდამოები, შენობა I, III, VIII, უბნის ეკლესიები, ხელმეორედ გაიზომა ციხის აბანოც. ფოტოგრაფირებულ იქნა დამატებით სპარსულ-არაბული წარწერებიც.

ექსკურსია მხოლოდ ორი მოხერხდა: 1. ბოლნისის ხეობაში (ძველი საქარავნო, „აქლემის გზით" გორუნჯუკში, მარაბდაში, უკან-გორში, კვრინჩხიანში, ბალიჭებში, ბოლნის-ხაჩინში, სამწევრისში, „თურუნ-ახპერში", ბოლნისის სიონში), 2. მაშავრის ხეობაში ნაქალაქარის ზემოთ (ორი ეკლესიის ნანგრევი, სასაფლაო და ნასოფლარი მაშავრის მარცხენა ნაპირას). ექსკურსიების შედეგად გაიზომა უკან-გორის ტაძარი.

გადაღებულ იქნა 300-მდე ფოტოსურათი. ტოპოგრაფიულად აიგეგმა დმანისის გარეუბანი.

ამგვარად, საკმაოდ დიდი მუშაობაა ჩატარებული, რომლის შედეგების მთლიანი სახით წარმოდგენა ჯერჯერობით შეუძლებელია. დიდი ნაწილი მასალისა ჯერ კიდევ დამუშავებას მოითხოვს. საზოგადოდ, საბოლოო დასკვნების გამოტანა ჯერ ნაადრევია. წინამდებარე წერილიც განზრახულია მხოლოდ როგორც წინასწარი ანგარიში.

სურ. 1. დმანისის ნაქალაქარის ასახულობა სამხრ.-აღმოსავლეთიდან.



სურ. 2. ნაქალაქარის ასახულობა შიდა-ციხიდან.

ლევან მუსხელიშვილი

I.

დმანისის ნაქალაქარი ასიოდე კილომეტრითაა დაშორებული თბილისს სამხრეთ-დასავლეთისაკენ. იგი მდებარეობს თბილისიდან კალინოვკაში (ყოფ. ვორონცოვკაში) მიმავალ გზაზე. ეს გზა არუხლოსთან გადასჭრის მდ. ქციასა და ამჟამად ლუქსემბურგზე და ქვეშზე გავლით აჰყვება მდ. მაშავრისა და მერმე მისი მარჯვენა შემდინარის, ფინეზაურის (ყარასუს), მარცხენა ნაპირს ვიდრე დმანისამდის, რომლის ზემოთ იგი სამხრეთისაკენ გადაუხვევს, რათა ლოქის უღელტეხილით, ლორეზე გავლით, სომხეთში გადავიდეს.

ბაშქიჩეთის რაიონი, რომლის ფარგლებშიც მოქცეულია დმანისი, მთიანი მხარეა. სამხრეთით იგი შემოფარგლულია ლოქის მთით, დასავლეთით – კეჩუთის ქედით, რომელიც მას ჯავახეთისაგან საზღვრავს, ჩრდილოეთით მც. ქციით იგი ესაზღვრება წალკისა და ალბულახის რაიონებს, ხოლო აღმოსავლეთით ლუქსემბურგის რაიონთან მას ბუნებრივი საზღვარი არა აქვს (ჩრდილო ნახევარი ბაშქიჩეთის რაიონისა ტყეებით დაფარულ ლუკუსის მთას უჭირავს, რომლის სამხრეთითაც გაშლილია მაღალი და ფართო, ხეს სრულებით მოკლებული, – ბაშქიჩეთის პლატო). ეს პლატო ვულკანური წარმოშობისაა: დასაელეთში მდებარე ცენტრიდან მეოთხეულის ხანაში წამოსულა ბაზალტის ძლიერი ნაკადი, რომელიც მდ. მაშავრის კალაპოტს გაჰყოლია და აქ შუაცარცის შრეებზე გადასხმულა, ხოლო თეითონ მდინარე სამხრეთისაკენ გადაუგდია. იქ, საცა მაშავერს მარჯვნიდან მდ. ფინეზაური (ყარასუ) ერთვის, ლავის ერთი პატარა შტო სამხრეთისაკენ წარზიდულა. ორსავე ნყალს ბაზალტის ნაკადში ღრმა კანიონები ჩაუჭრიათ: ასე შექმნილა ამ ორი მდინარის შესართავეში ის 90-100 მეტრის სიმაღლის ქარაფოვანი კონცხი, რომელზედაც მოთავსებული იყო ძველი დმანისი (ნ. სურ. 1 და სურ. 2).[1]

ვახუშტის „დმანისის ველი" ცალკე გეოგრაფიულ ერთეულად აქვს გამოყოფილი. ეს ტერიტორია მდ. მაშავრის სისტემას შეადგენს და ისაზღვრება: სამხრეთიდან ყარაღაჯისა და ლოქის მთით, აღმოსავლეთიდან ბოლნისის მცირე მთით, ჩრდილოეთიდან ლუკუნისა, ხოლო დასავლეთიდან კეჩუთისა და ბოლოლის მთებით,[2] ე. ი., აწინდელი ბაშქიჩეთის რაიონის გარდა, მოიცავს ლუქსემბურგის რაიონის უდიდეს ნაწილსაც. იგი ბუნებრივად იყოფა ორ ნაწილად: აღმოსავლეთი ნაწილი, სადაც ჩრდილოეთიდან ხინწისა და გეტის ხეკები, ხოლო სამხრეთიდან ბალიტისა და კაზრეთის ხეკები ჩამოდის (ყველა მაშავრის შენდინარეებია), შედარებით დაბალია (საშუალოდ 600-800 მეტრი ზღვის ზედაპირიდან) და, ვახუშტისა არ იყოს, „ყრნიად ნაყოფიერი ყოვლითავე, ვენახ-ხილითა, თესლ-მარცვალეულითა... ზამთარს თბილი და შშვენიერი, ზაფხულს შეზავებული" (გეოგრაფია, გვ. 90); აქ მოსდევენ სხვადასხვა ინტენსიურ კულტურას – მეპინდვრეობის ვენერდით, მეკვლეობას, მეფუტკრეობას, მეთამბაქოეობას და სხვ., ხოლო მესაქონლეობას ნაკლებად; ბალეულობაც მდიდარია ეს მხარე, ვახსაკუთრებით სამხრეთისაკენ, სადაც ფლეს [illegible] ეს [illegible] ნაწილი „დმანისის ველისა" ეს [illegible] (1000-1300 მეტრი ზღვის ზედაპირიდან და მეტი) და [illegible] „ბავთ არს [illegible] ზამთარს [illegible] ზაფხულს [illegible] [illegible]" [illegible] [illegible] [illegible]

იწყება. დმანისი სწორედ ამ შედარებით მაღალ მთის რაიონში მდებარეობს, თითქმის 1400 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან. აქ მოდის დოლი, დიკა, „გომბორი", ქერი, სიმინდი, კარტოფილი, ლობიო. ხილი ძალიან ცოტაა, მევენახეობა არ იციან.[1]

სასოფლო მეურნეობის მთავარი დარგი აქ მეცხვარეობაა. აშენებენ აგრეთვე ცხენს, ძროხას და ღორს, მისდევენ მეფუტკრეობასაც და მცირედ მეთევზეობასაც (მაშავერში კარგი ხრამული იცის). და მაინც ეს ადგილი, ჰავით საუცხოო, წყლებითაც მდიდარი, საზოგადოდ რომ ავიღოთ, მწირია. მაშავრის ქვემოწელი, თავისი ბუნებრივი სიმდიდრის გამო, ყოველთვის იზიდავდა მოსახლეობას; მართალია, მას უკან, რაც ეს მხარე მე-18 ს-ში გაუკაცურდა, აქ ჯერ ისევ ბევრია დაუსახლებელი ნასოფლარი და ნანგრევი. მოსახლეობა აქაც გაცილებით უფრო მეჩხერია ამჟამად, ვიდრე ეს უწინ ყოფილა, ჯერ კიდევ ვახუშტის დროს, და, მაგ., დამბლუტის ხეობაში სულ ამ ხუთიოდე წლის წინათ შევიდნენ კოლმეურნეები ვარდისუბნიდან, ისიც მხოლოდ უკან-გორში (17 კომლი), მაგრამ ახალშენები აქ სწრაფად იკიდებენ ფეხს, მრავლდებიან და დოვლათიანად ცხოვრობენ. პირიქით, ფინეზაურის ხეობაში, განსაკუთრებით მას უკან, რაც ბამბაკის რკინიგზის გაყვანის გამო აქაურმა გზატკეცილმა თავისი სავაჭრო მნიშვნელობა საბოლოოდ დაჰკარგა, ახალშენები ვერც იმდენად იკიდებენ ფეხს, ვერც იმდენად მრავლდებიან და ხშირად ბეჩაობენ კიდეც. ნადირით სავსე უღრანი ტყე ჩამოსულია თითქმის უმეშვეოდ ფინეზაურის პირამდე, სახნავი მიწა ცოტაა, იალაღები შორსაა. სოფლები პატარაა, ერთმანეთისაგან კარგა მანძილით დაცილებული. იქ, საცა უწინ, დმანისის გარდა, დასახლებული იყო ჩინჩხორი,[2] ყაფარა სოფელი,[3] სიქიშხანი ანუ სიკიმხა-

---

[1] უნდა აღინიშნოს კი რომ დმანისის ცოტა ქვემოთ, 5-ოდე კილომეტრის დაშორებით, ყურძენი უკვე ხარობს. აქ, ფინეზაურის ჭალებში, დღეს ვარდისუბნელებს უჭირავთ ვენახები მცირე რაოდენობით. ყურძენს, მართალია, სიტკბო აკლია. მარნების სიმრავლე დმანისის ნაქალაქარში შესაძლებელია იმის მომასწავებელი იყოს, რომ ძველად ადგილობრივ დმანისშიც მისდევდნენ მევენახეობას, თუმცა ამის სხვა რაიმე გეში იქ დღეს აღარა ჩანს. მაგრამ თავისთავად ეს შესაძლებლობა გამორიცხული არაა: ასე მაგ., გომარეთშიც, რომელიც დაახლ. იმავ სიმაღლეზე მდებარეობს, ამჟამად მევენახეობას აღარავინ მისდევს, უწინ კი მეურნეობის ეს დარგი იქ გაცილებით გავრცელებული უნდა ყოფილიყო, რასაც, ადგილობრივთა მონმობით, გაველურებული ვაზის სიმრავლე გვიჩვენებს. ყოველ შემთხვევაში, უკვე ვახუშტი, როგორც აღინიშნა, ვენახებს დმანისში აღარ იცნობს.

[2] იხსენიება 1536 წლ. ბარათაანთ გაყრილობის წიგნში (საქ. ცენტრარქივის გამოც. „საისტორიო მოამბე" წიგნი I, თბ., 1924 წ.=„საისტ. მოამბე" I, 1924, გვ. 184: „ჩინჩხური"), 1586 წლ. ორბელიანთ სიგელში (თ. ჟორდანიას გამოც. „ქრონიკები და სხვ.", წიგნი II, თბ, 1897 წ=ქრონიკები II, გვ. 424), 1721 წლის ხალხის აღნერის დავთარში (ნ. ე. თაგაიშვილის გამოც. „მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღნერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში", თბ. 1907=1721 წლ. ხალხის აღნ. დავთ., გვ. 182 შდ. იქვე, გვ. 303, 329; „ჩინჩიური"; მოსახლეობა აქ ამ დროს მთლიანად სომხურია) და პაპუნა ორბელიანის ისტორიაში 1747 წლის ქვეშ (ნ. ზ. ჯიჯინაძის გამოც. „საქართველოს ცხოვრება" სუბნია ჩეიფისა, პაპუნა ორბელიანისა და სხვანია მიერ, თბ. 1913, გვ. 128: „ჩინჩახური"). 1738 წლ. ნასყიდობის წიგნში მოხსენებულია „ჩინჩხურის ხევი" (საქართველოს სიძველენი, ტ. II, თბ. 1909=საქ. სიძვ. II, გვ. 382); „ჩინჩიური" დაბანაბულია ციხეშვის რუკაზეც: დღეს დმანისში შენახულია სახელი „ჩინჩოყარის ხევი". ეს ხევი ბარუნიდან ერთვის ფიქნაურს პატ. დმანისის ევენოთ და დღეს მოდენილ ნარმოადგენს პატარა დმანისსა და ფორეშულას შორის.

[3] ასე ეწოდება პატარა ნასოფლარს, ნასაყდრალითა და ეკლესიასთან, რომელიც მდებარეობს სოფ. პატარა დმანისის აღმოსავლეთით ტყეში, დაახლ. 4 კილომეტრის მანძილ-

ნი,[1] ფინაზაური,[2] მუტავისი თუ მუტაკისი,[3] ათიოდე კილომეტრის მანძილზე, დღეს მხოლოდ ორი სოფელია მოიპოვება – ქართველებით დასახლებული პატარა დმანისი და თათრებით დასახლებული საფარლუ. მაინც ფინეზაურის მარჯვენა სანაპირო, რომელზედაც მდებარეობს ყველა ზემოხსენებული ძველი ნასოფლარი, ამ შვიდიოდე წლის წინათ სრულებით უკაცური იყო: საფარლუ მარცხნით მდებარეობს, ხოლო პატარა დმანისელებმა მხოლოდ 7-8 წლის წინათ დაიწყეს მარჯვენა სანაპიროზე დასახლება, მას უკან რაც აქ წყარო აღმოჩნდა. აღარას ვიტყვი იმ ნასახლარებზე, რომლებიც ადგილობრივთა გადმოცემით, მრავლადაა გაბნეული უღრან ტყეში, ფინეზაურისაგან დაშორებით.

ბაშქიჩეთის რაიონის მოსახლეობის მხოლოდ უმცირესი ნაწილია იქაური მკვიდრი ჩამონავალი, დიდი უმრავლესობა (თათრები, რუსები, ბერძნები, სომხები და ქართველებიც) იქ მხოლოდ ამ 150-200 წლის განმავლობაში მისულა. დმანისის სანახებში მხოლოდ დიდ დმანისელებს არ ახსოვთ თავისი ჩამომავლობა, დანარჩენებმა კი ყველამ იცის რომ მათი წინაპრები დიდი ხანი არ არის რაც აქ გადმოსახლებულან. უკანასკნელ ანგარიშში ყველა სოფელი დმანისის გარშემო (ბალიჭები, გორუნჯუკი, ვარდისუბანი,[4]

ზე; აქ არის მე-17-18 ს-ის საფლავის ქვები (ერთზე ბარელიეფით გამოსახულია გუთანი). აქედან ჩამოდის ე. წ. „ყაფარასოფლის ხევი", რომელიც მარჯვნიდან ერთვის ფინეზაურს და ჩრდილოეთიდან საზღვრავს პატარა დმანისს.

1 „სიქიშხანი" იხსენიება 1536 წლ. ბარათაანთ გაყრილობის წიგნში (საისტ. მოამბე I, 1924, გვ. 183); საინტერესოა რომ ამ საბუთის მიხედვით აქ იმ დროს ოქრომჭედელიც ყოფილა; სიქიშხანი ჩატანილია აგრეთვე 1721 წლის ხალხის აღწერის დავთარში (ნახს. ადგ., გვ. 225). ვახუშტის რუკაზე დატანილია „სიკიმხანი", ალბათ იგივე „სიქიშხანი", თუ აქ უბრალო კორექტურული შეცდომა არაა. პატ. დმანისის ზემოთ, ორიოდე კილომეტრის მანძილზე, ფინეზაურის მარჯვენა ნაპირას ერთ ადგილს, საცა ძველი ნისქვილიცაა, „კისისხანა" ეწოდება; შესაძლებელია ეს იყოს უწინდელი „სიქიშხანი".

2 ფინეზაურის (ანუ, ადგილობრივთა გამოთქმით ფინაზაურის) ნასოფლარი მდ. ფინეზაურის მარჯვენა ნაპირას მდებარეობს, საფარლუს პირდაპირ, პატ. დმანისიდან ხუთიოდე კილომეტრით უფრო ზემოთ. აქ ორი მცირე ერთნავიანი ეკლესიის ნანგრევია, ერთი მეორეს ზემოთ, ორივე თლილი ქვით ყოფილა ნაგები; ქვემო ეკლესიის ახლოს გდია წითელი ქვა მოკლე ბერძნული წარწერით; იქვე ნასახლარიც ჩანს, რომლის განაპირას ობლად ამართულა დაუმუშავებელი, მაღალი და წვეტიანი ქვა (სიმაღლ. 1,95, სისქით ძირთან 1,00, ხოლო წვერთან 0,35 მეტრი), ღრმად ჩასმული მიწაში, რომელიც შეიძლება ე. წ. ვეშაპოიდს წარმოადგენდეს; ზემო ეკლესიის გარშემო კი ძველი სასაფლაოა. უეჭველია ამ სოფელმა მისცა მდ. ფანეზაურს თავისი სახელი. მით უფრო საკვირველია რომ ვახუშტი მას არ იხსენიებს. სხვა საბუთებშიაც ეს სახელი არ შემხვედრია.

3 „მუტავისი" იხსენიება 1536 წლ. ბარათაანთ გაყრილობის წიგნში (საისტ. მოამბე I, 1924, გვ. 184), „მუტავისი" კიდევ 1586 წლ. ორბელიანთ სიგელში (ქრონიკები II, გვ. 424), ცხადია რომ ეს ერთი და იგივე სახელია. ვახუშტის რუკაზე დატანილია „მუტაკისი", თუ აქაც კორექტურული შეხდომა არაა. 1746 წლის ერთს ორბელიანთ საბუთში ამ სოფელს „მუტაისი" ეწოდება (საქ. მუზეუმის ხელნაწ. განყ-ის ფონდის 11.559/Hd); 1721 წლის ხალხის აღწერის დავთარში ჩატანილია „მუტაისი", (ნახს. ადგ., გვ. 184). ხოლო დამატებითს სიაში – „მუტავისი" (გვ. 359) და „მუტაღისი" (გვ. 303), რაც, ცხადია, ერთი და იგივე უნდა იყოს; მოსახლეობა აქ ამ დროს სომხურია.

4 ვარდისუბანი იხსენიება 1586, 1619 და 1620 წლების ქვეშ (ქრონიკები II, გვ. 424, 443). 1721 წლ. ხალხის აღწ. დავთარში ჩატანილია ორი ვარდისუბანი (გვ. 11, 176, 177, 202, 299, 352)

პატარა დმანისი, ბოსლები,[1] ყალამშია,[2] მიჯა[3]) დიდი დმანისიდანაა დასახლებული. ყველა ამ სოფლის აწინდელ მოსახლეთა გვარები რომ შევადაროთ ამ რაიონის მე-18 ს-ის საბუთებში მოხსენებულ გვარებს, დავინახავთ, რომ მხოლოდ მცირე რაოდენობა ატარებს ძველ გვარს, ისე რომ დიდ დმანისშიც უმრავლესობა შედარებით ახლად მოსული უნდა იყოს. ასე, 1721 წლის ხალხის აღწერის დავთარში გვხვდება:

1) დმანისში (გვ. 73) – მოსიაშვილი; დღეს გორუნჯუკში სახლობენ მოსიანცები,

2) დბანის ციხეში და ყალამშიაში (გვ. 183 და 185) – მარტიროზაშვილები; დღეს დიდ დმანისში არიან მარტიროსოვები,

3) ვარდისუბანში (გვ. 202) – დემურაშვილი; ეს გვარი დღეს კაზრეთში და პატარა დმანისში სახლობს,

---

და კიდევ პატარა ვარდისუბანიც (გვ. 202); მოსახლეობის დიდი უმრავლესობა აქ ამ დროს სომხურია. ვარდისუბანში 60-70 კომლი სახლობს (სომხები და ქართველები). აქ დგას მცირე ერთნავიანი ეკლესია, ძირით თავამდე განახლებული, ისე რომ მხოლოდ კუთხეებში და ლავგარდანზე თუ შერჩა ძველი თლილი ქვა. აღმოსავლეთის კედელში გარედან, საყვავის ქვეშ, ჩუქურთმიანი ჯვრიანი მწვანე ქვაა ჩასმული; დასავლეთი კედლის სარკმელი გამოჭრილია აგრეთვე მწვანე თლილ ქვაში, რომელიც ძველი წნულჩუქურთმიანი დიდი ჯვრის ნაწილს წარმოადგენს; ამ კედელშივე კიდევ ორი ჩუქურთმიანი მწვანე ქვაა ჩასმული, ერთი ქვა კი, აგრეთვე საინტერესო ჩუქურთმით, ლეგა ფერისაა. ყველა ეს ქვა ეკლესიის საერთო აღნაგობას სრულებით არ ეხამება და აქ სხვაგნით უნდა იყოს მოტანილი (ალბათ, სამების ტაძრიდან ბოსლების ახლოს). ეკლესიის დასავლეთით, შესავლის წინ გდია ჯვრის ხარისხის (?) ფრაგმენტი (ნახევარი), ზომ. 87×56×30 სანტ., ძველი სომხური ერთსტრიქონიანი ამოკოდვილი წარწერით (კარგად არ იკითხება). საყდრის გარშემო მოზრდილი სასაფლაოა ძველი და ახალი საფლავებით; ერთ საფლავის ქვაზე (ეკლესიის ახლოს) ძველი სომხური წარწერაა ამოკოდვილი. ეკლესიაში შიგნით ვერ შევედი (სარკმლიდან ჩანს ქვის სადა კანკელი და საკურთხეველში მდებარე ერთი გრძელი ფილაქანი).

1 ბოსლები ჩატანილია 1721 წლ. ხალხის აღწ. დავთარში (გვ. 178); უმრავლესობა აქ ამ დროს სომხობაა. დღეს აქ სულ დაახლ. 120-130 კომლია (ქართველები და სომხები). ეს სოფელი მდებარეობს მაშავრის მარცხენა შემდინარის, ბოსლების ხევის, მარჯვენა ნაპირას. ხევის მარცხენა ნაპირას, სოფლის ჩრდილოეთით, მცირე ერთნავიანი, უსახური ეკლესია დგას ღვთისმშობლის სახელობისა. აქვე პატარა სასაფლაოცაა: ახალი დროის ზოგიერთ საფლავის ქვაზე კარგად შესრულებული ბარელიეფებია (ოსტატები გომარელი და ბალიჭელი სომხები ყოფილან) – მათ შორის გამოსახულია ჯილღა, რომელიც ახლა ხმარებაში გამოსულა და ერთიორიღაა შენახული სოფელში. არის ბოსლებში სომხური ეკლესიაც სამებისა, რომელიც თვით სოფელში დგას ხევიდან მარჯვნით. ბოსლების ზემოთ დაახლ. 1,5 კილომეტრის დაშორებით, ხევიდან მარცხნით, სხვა სამების ნანგრევია, რომელიც მე-13-14 ს-ის შესანიშნავი ქართული ნაგებობის ნაშთს წარმოადგენს; იგი ისეთივე ბაცი მწვანე თირითაა ნაგები, როგორც დმანისის სიონის დასავლეთი კარიბჭე. აქედან უნდა იყოს წაღებული ჩუქურთმიანი ქვები ვარდისუბანში.

2 „ყალამშიანი" ანუ „ყალამაშიანი" ჩატანილია 1721 წლ. ხალხის აღწ. დავთარში (გვ. 185 და 325); დიდი უმრავლესობა აქაც ამ დროს სომხობაა. დღეს აქ ქართველი მოსახლეობაა, ჯავახელები, რომლებსაც თავისი წარმომავლობა კარგად ახსოვთ, ძველი რაიმე ნაშთი ყალამშიაში არ ჩანს.

3 მიჯაც ჩატანილია 1721 წლ. ხალხის აღწერის დავთარში (გვ. 184, 185) და აქაც ამ დროს უმთავრესად სომხური მოსახლეობაა. ახლა აქაც ჯავახელები სახლობენ. მიჯაში საინტერესო გამოქვაბულებს ამბობენ მაშავრის პირას.

4) იქვე და ბალიჭში (გვ. 202 და 59) – პაპუაშვილი; დღეს პაპიანცები არიან ბოსლებში,[1]

5) ბალიჭში (გვ. 59) – ყაზარაშვილი; დღეს ყაზარიანცები ცხოვრობენ ვარდისუბანში,

6) ბოსლებში (გვ. 178) – ასლანიშვილი; დღეს ასლანიანცები არიან გორუნჯუკში,

7) გორუნჯუკში (გვ. 84) – ყამბარაშვილი; ესენი დღესაც იქ არიან (ყამბარიანცები).

გარდა ამისა, 1747 წლის ერთს დმანისურ საბუთში იხსენიება ოქროაშვილი (ნ. საქ. მუზ. ხელნაწ. განყ-ის ფონდის 11.560 1Hd);[2] პატარა დმანისში დღეს რამდენიმე კომლია ოქრიაშვილები (და არა ოქრუაშვილები), რომლებიც ნაოსრები არიან. დანარჩენი გვარები, და ჩვენ კი, 1536 წლის ბართაანთ გაყრილობის წიგნის წყალობით, უკვე 16 ს-დან მოგვეპოვება საკმაოდ სრული ნუსხები, განსხვავებულია. აწინდელ ოქრიაშვილებს, ალბათ, საერთო არა აქვთ რა ძველ ოქროაშვილებთან, მოსიანცები, მარტიროსიანცები, დემურაშვილები, პაპიანცები, ყაზარიანცები, ასლანიანცები და ყამბარიანცები კი ბევრნი არიან და მართლაც ძველი მკვიდრნი უნდა იყვნენ.

ტრადიცია აქ დარღვეული ჩანს: აქაურ მოსახლეობას, იმასაც კი, ვინც თავის თავს მკვიდრადა სთვლის, თავისი წარსულიდან თითქმის აღარაფერი ახსოვს: არავითარი გადმოცემა აქ არ არსებობს, გარდა იმისა რაც უკანასკნელ ორბელიანთაგანა აქვთ გაგონილი. სახელების უმეტესობაც ან დავიწყებულია, ან გადამახინჯებული: ლოქის გარდა, არც ერთი მთის სახელი აღარ იციან, მაშავერს „მუშევანს" ეძახიან, ფინეზაურის მაგივრად „ჰამამლუს წყალს" ან „ყარასუს" ამბობენ; უმრავლესობა ნანგრევ-ნასოფლარისა სრულებით უსახელოა, ან ახალ თათრულ სახელს ატარებს, როგორც, მაგ., ჰამამლუ, საცა თამარის დროინდელი ეკლესია დგას. თვით. დმანისის სახელიც თურქული გახმოვნებითაა შენახული – „დუმანისი". ორი სოფელი ატარებს ახლა ამ სახელს: დიდი დმანისი ნაქალაქარის ქვემოთ მდებარეობს ხუთიოდე კილომეტრის მანძილზე, მაშავრის ხეობაში.[3] პატარა ანუ ძველი დმანისი კი იქვე ნაქალაქარის ახლოს მოთავსებულა დაახლ. 1 კილომეტრის დაშორებით უფრო ზევითკენ ფინეზაური პირას.[4]

---

[1] ვარდისუბანში ყოფილა კიდევ, 1721 წლ. დავთრით, პაპაშვილი (გვ. 177), რომელიც, შეიძლება, იგივე პაპუაშვილია, შემდეგ: ამბარაშვილი (გვ. 202), რომელიც ეგებ დღევანდელ ყამბარაშვილებს უდრიდეს გორუნჯუკში, და მუსლიაშვილი (იქვე), რომელიც დიდ დმანისელ მუსელიანცებს მოგვაგონებს, ესენი რომ აქ ახლად მოსული არ იყვნენ ყარაბაღიდან.

[2] ამ საბუთზე და ზემოთ მოხსენებულს ორბელაანთ საბუთზე, 11. 559/Hd, ჩემი ყურადღება მიაქცია დოც. ნ. ბერძენიშვილმა.

[3] აქ სულ 140 კომლია; ამათგან მკვიდრ მოსახლედ ითვლებიან: მურადაშვილი, სელიმაშვილი, აკოფაშვილი და ზოდიაშვილი (ქართველები) და ოსკანიანი, მარტიროსიანი, ქოჩორიანი, მარქარიანცი, თათულიანცი (სომხები); ოპანეზოვი, მუსელიანცი და აპრისოვი მოსული არიან ყარაბაღიდან, მაგთაღიანი მოსულია თურქეთიდან, ალაგარდოვი – ქვეშიდან. დიდ დმანისში ძველი ეკლესიის ნანგრევი დგას, მაგრამ იგი ისეა გადაკეთებული, რომ თავდაპირველი გეგმის თითქმის აღარა ეტყობა რა. იგი ერთნავიანი ყოფილა; ძველი თლილი ქვები მხოლოდ კულთხეებშიღაა შენახული. ამ შენობის წინ ბაცი მწვანე ქანის ლამაზი ჩუქურთმიანი სვეტისთავი ეგდო, რომელიც ამ ჟამად საქ. მუზეუმშია დაცული. არის დიდ დმანისში ძველი სასაფლაოც, ოღონდ იგი ნახნავებში მოუქცევიათ.

[4] აქ სულ 48 კომლია, უმთავრესად ჯავახელები. პირველად აქ მაღრაძენი მოსულან (ჯავახეთიდან ჯერ ტანძიაში, შემდეგ დიდ დმანისში და უკვე აქედან პატარა დმანისში), რომლებიც უმრავლესობას შეადგენდნენ; ჯავახელები არიან დემურაშვილებიც; ლაშქარაშვილები სომხეთის ახტალიდან მოსულან, ბერძნის შვილები არიან; ურუმაშვილებიც ჩამომავლობით ბერძნები არიან, ქვეშიდან მოსულან; გვარაძეები კაზრეთიდან არიან; ოქრიაშვილები ნაოს-

„დიდი დმანისი“ იხსენიება უკვე 1586 წლის ორბელიანთ სიგელში (ქრონიკები II, გვ. 424). ცხადია, რომ „პატარა დმანისიც“ არსებობდა უკვე მაშინ. მართლაც, 1721 წლ. ხალხის აღწერის დავთარში მოხსენებულია „დმანისსა“ (გვ. 72, 136, 354) და „დბანის ციხის“ (გვ. 183) გარდა, „ძველ დბანისიც“ (გვ. 182). აწინდელ პატარა დმანისსაც, როგორც მოვიხსენიე, ზოგჯერ ძველ დმანისს ეძახიან, მაგრამ ნიშანდობლივ სად მდებარეობდა უწინ პატარა დმანისი, აღარავინ იცის. პატარა დმანისში ძველი ნასახლარი არსადა ჩანს, მაგრამ შესაძლებელია თევდორეს სახელობის პატარა ეკლესია, რომელიც დმანისის გარეუბანში დგას სოფლის განაპირას, ძველ სამოსახლოს ეკუთვნოდა და არ იყო მხოლოდ ქალაქის გარეუბნის სასაფლაოს საჟამნო. გარეუბნის აბანოებშიც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ნაგვიანევ ხანაში ბინები გაუკეთებიათ.

თვით დმანისის ნაქალაქარი დღეს უკაცურია; იგი და მისი ფართო გარეუბანი პატარა დმანისელებს გადაქცეული აქვთ თავის სათიბად და საძოვრად; გარდა ამისა, ისინი უხვად ეზიდებიან ნაქალაქარიდან საშენ და სხვა დანიშნულების ქვას.

II.

დმანისი შედიოდა ძველი გაჩიანის, მერმე სამშვილდის საერისთოს ფარგლებში. მე-9 ს-მდე იგი ჩვენს ისტორიულ წყაროებში არ იხსენიება. „მატიანე ქართლისაის“ ცნობით, 853 წ. ბუღა თურქმა, არაბთა სარდალმა, „დარიელით გამოიყვანნა ოვსნი, ვითარ სახლი სამი ათასი და დასხნა დმანის“.[1] რა თქმა უნდა, რაღაც სამოსახლო ამ



სურ. 3. ძველი ხიდის ნაშთები მაშავერზე.

რები არიან; ბარამიძე ტანძიელია, ახალი ჩასიძებულია პატ. დმანისში.

[1] ნ. ზ. ჭიჭინაძის გამოც. „ქართლის ცხოვრება“, თბ., 1897=ჭიჭ.ქ.˜ცა, გვ. 275 და ე. თაყაიშვილის გამოც. მარიამ დედოფლისეული ქართლის ცხოვრება = მარიამის ქ.˜ცა. გვ. 222.

სურ. 4. ძველი „აქლემის გზა" პატ. დმანისის ახლოს.

ადგილას მანამდეც იქნებოდა. მართლაც, დმანისში გათხრების დროს ნახულ ფულებს შორის არის მე-6 ს-ის მონეტაც იუსტინიანე კეისრისა.

შემდეგ, მე-10 ს-ის დამლევამდის, ცნობები დმანისის შესახებ კვლავ გვაკლია, რაც უნდა აიხსნებოდეს იმით, რომ თუმცა არაბებს ეს ადგილი თავის სადარაჯოდ უქცევიათ თბილისიდან სომხეთში მიმავალ სავაჭრო და სტრატეგიულის თვალსაზრისით მნიშვნელოვან გზაზე, მისი ეკონომიური და პოლიტიკური როლი მცირე იყო.

დმანისი, როგორც მოვიხსენიე, საქართველოდან სომხეთში მიმავალ გზაზე მდებარეობს. ეს გზა სავსებით არ ემთხვევა აწინდელს გზატკეცილს, ძველად ზოგან სხვა ადგილებზე გადიოდა. ძველი მიმართულების გამორკვევა შეიძლება გადმოცემისა და იმ ნაშთების მიხედვით, რომლებიც შენახულია დმანისის სანახებში. ქვეშის ახლოს თბილისიდან მიმავალ გზას გამოეყოფოდა ერთი შტო, რომელიც მაშავრის მარცხენა ნაპირს აჰყვებოდა და ე. წ. ქვახვრეტილით (ადგილია სოფ. კიანეთს ზემოთ, საცა, გადმოცემით, წისქვილის ქვებს ამზადებდნენ), აბულბუგით[1] და დიდი დმანისით ადიოდა ბაშქიჩეთის პლატოზე; დმანისის პირდაპირ ეს გზა ქარაფებით ჩადიოდა მაშავერზე, რომელზედაც ამ ადგილას ხიდი იყო გადებული (ამ ხიდის ბურჯის უფორმო ნაშთი ახლაც გდია წყალში (ნ. სურ. 3) და ქარაფებშიც ძველი გზის კვალი აქა-იქ ჩანს), შემდეგ გადალახავდა დმანისის კონცხს და ფინეზაურის მარცხენა ნაპირას ისევ შეუერთდებოდა მთავარ გზას.[2]

---

[1] აბულბუგის ანუ აბულმუგის (აბულმუქის – საქ. სიძვ. II 336) შესახებ ვახუშტი ამბობს: „აქ ითხრების ლითონი რკინისა, სპილენძისა, და ლაჟვარდისა" (გეოგრაფია, გვ. 50). აბულბუგის მცირე ერთნავიანი ეკლესიის ნანგრევი ბალიჭების პირდაპირ დგას, მაშავრის ნაპირას; ნასოფლარი არა ჩანს. აბულმუქი, აბულბექი თუ აბულმექი, აბულმაგი ჩატანილია 1721 წლ. ხალხის აღწ. დავთარშიც; ამ დროს აქ მოსახლეობა მთლიანად სომხურია.

[2] მაშავრის მარცხენა ნაპირი დმანისის პირდაპირ და მის ზემოთ ვიდრე ტნუსამდე, ახლა სრულებით უკაცური (აქ ვარდისუბნელებს და ტნუსელებს მხოლოდ ბოსტნები აქვთ ჭა-

მთავარი გზა კიანეთის პირდაპირ გადადიოდა მაშავრის მარჯვენა ნაპირზე და დიდგალავანით,[1] ღორისთავით,[2] კაზრეთით,[3] ბალიჭით[4] და გორუნჯუკით[5] მიდიოდა

ლებში), უწინ მჭიდროდ დასახლებული ყოფილა: დმანისის პირდაპირ გამოქვაბულებია, წინიდან კედლებით ამოშენებული; 1/2 კილომეტრით უფრო ზევით ეკლესიის ნანგრევია და სასაფლაო; კიდევ ერთი კილომეტრის დაშორებით, ე. წ. „იმერლის ჭალასთან", ნასოფლარია და ეკლესიის ნანგრევი; ტნუსთანაც არის ქვიტკირით ამოშენებული მაღაროები; ტნუსის პირდაპირ, მარჯვენა ნაპირას, ხომ მთელი რიგია ეკლესიებისა, ნასოფლარებისა, ნაწისქვილარებისა და სხვ. – ე. წ. „ტნუსის თეკენები" (= „თეკენემს" 1721 წლ. ხალხ. აღწ. დავთარში, გვ. 182, 356). ტნუსში ახლა მოსახლეობა თათრულია, 1721 წლ. ხალხის აღწ. დავთრით კი (გვ. 186) იქ უწინ სომხობა ყოფილა. ტნუსში არ ვყოფილვარ. გადმოცემით, იქ რამდენიმე ძველი ნაშთი უნდა იყოს.

1 ძველი ნასახლარია კინეთის გასწვრივ, რომლის გალავანი, ვითომც, დღესაც დაცულია მე არ მინახავს.

2 ადგილია კაზრეთის ქვემოთ, უმოსახლო. ღორისთავი იხსენიება 1643 წლ. საბუთში (საქ. სიძვ. II 67), 1678 წ. (საქ. სიძვ. I 70), 1681 წ. (საქ. სიძვ. I 76), 1704 წ. (იქვე, გვ. 77), 1706 წ. (საქ. სიძვ. II 205), 1721 წლ. ხალხის აღწ. დავთარში (გვ. 37, 23, 404). ამ ცნობათაგან საინტერესოა 1678 წლისა, რომლიდანაც ჩანს რომ ღორისთავი ქვეშის ხევზედ, უკეთ, ქვეშის ახლოს მდებარეობდა. ვახუშტიც თავის რუკაზე ღორისთავს ქვეშის პირდაპირ უჩვენებს; ამ ჟამად ღორისთავს კიანეთის ზევით უჩვენებენ, 3-4 კილომეტრის დაშორებით; უნდა ვიფიქროთ რომ ამ სახელს გადაუნაცვლებია თავისი ადგილმდებარეობა. ამ მოსაზრებას ადასტურებს 1706 წლ. ცნობა რომ ჯალდამს „ძველითგან" ღორისთავი ეწოდებოდა. ვახუშტის რუკაზე ჯალდამი ნაჩვენებია მაშავრის მარცხენა ნაპირას, კიანეთსა და აბულბუგს შორის; დღეს კი ჯალდამი კაზრეთს ეწოდება; როგორც ჩანს, ამ სახელსაც დროთა განმავლობაში, სოფლის მოსახლეობასთან ერთად უმოგზაურნია. სახელი „ღორისთავი" წარმომდგარი უნდა იყოს „ღვარისთავისაგან", აქ ძველად, ალბათ, რუს სათავე იყო; მართალია, არხის კვალი არა ჩანს და არც არავის ახსოვს აქედან წაღებული რუ, მაგრამ რომ ეს ადგილი რუს წასაღებად მარჯვეა იქიდან ჩანს რომ ამ ჟამად ლუქსემბურგში აქედან გაჰყავთ წყალსადენი.

3 კაზრეთი კარგა მოზრდილი სოფელია (140 კ.) ისპიანის წყალზე, რომელიც მარჯვნიდან ერთვის მაშავერს. აქ სომხები და ქართველები სახლობენ. აქაური მოსახლეობა უმთავრესად ტაბახმელიდანაა გადმოხვეწილი და ამიტომ ამ სოფელს ტაბახმელასაც ეძახიან. გარდა ამისა, როგორც აღვნიშნე, „ჯალდამსაც" ამბობენ (უნდა ვიფიქროთ რომ ძველი ჯალდამის მოსახლეობა ერთ დროს აქ გადმოსულა). პატარა დმანისელისაგან გამიგონია: „ტაბახმელა თათრულია, ქართულად ჯალდამს ვეტყვითო". ამ სოფლის მესამე სახელიც „კაზრეთი", შესაძლებელია, აგრეთვე სხვაგნით იყოს გადმოტანილი: სახელდობრ, კაზრეთი ჰქვიან ერთ ნასოფლარს აწინდელი კაზრეთის სამხრ.-დასავლეთით, 7-8 კილომეტრის მანძილზე; იქიდან ჩამოდის ხევი („კაზრეთის ხევი"), რომელიც მარჯვნიდან ერთვის დამბლუტის წყალს; შესაძლებელია, აქედან იყოს დასახლებული ახლანდელი კაზრეთი; რაიმე სიძველის ნაშთი ახლანდელ კაზრეთში არ შეიმჩნევა.

4 ბალიჭში ანუ ბალიჭებში დაახლ. 120-130 კომლი სახლობს (ქართველები და სომხები) აქ პატარა ერთნავიანი ეკლესია დგას, რომლის კედლებშიც ჩასმულია ძველი ორნამენტიანი ქვები (არის ბოლნისური ჯვრიანი ქვებიც), საფლავის ჯვრები (მე-18 ს.) და ერთი ჯვრიანი ქვა სომხური წარწერით: „Ուրդի..." (სულ 2 სიტყვაა, ძველი არაა). სოფლის ქვემოთ სამხრეთისკენ გორაზე დგას ე. წ. „მეჩითი", რომელიც ისეთივე საფლავის ძეგლი უნდა იყოს, როგორიც დმანისის მუსლიმანურ სასაფლაოზეა. 1721 წლ. ხალხის აღწერის დავთრით (გვ. 22, 59, 61), უმრავლესობა აქ იმ დროს სომხობა იყო.

5 გორუნჯუკში დაახლ. 120 კომლია (სომხები). სიძველე აქ არა შემიმჩნევია რა. „გორინჯუკი"

დმანისამდე, რომლის პირდაპირ ფინეზაურზე გადებული იყო ხიდი. აქ ის შეუერთდებოდა თავის შტოს და უკვე მდინარის მარცხენა ნაპირით გაემართებოდა სომხეთისაკენ.

ეს გზა დღესაც კარგადაა დაცული ზოგან მაინც, და ფეხითა და ცხენით სიარულს ადგილობრივნი დღესაც ამ გზით რჩებენ, რადგან ის გზატკეცილზე უფრო მოკლეა. მაშავერზე, კიანეთს ზემოთ, ორი ძველი ხიდის ნაშთი ყოფილა: ერთი კაზრეთის პირდაპირ (აქ ახალი ხიდი ძველ ნახიდურ ადგილზეა გაშენებული, ხოლო ძველი ბურჯების ნაშთები დიდი ხანი არ არის თურმე, რაც წყალს წაუღია), მეორეც ბალიჭების პირდაპირ (აქ ძველი ბურჯი დღესაც წყალშიც გდია). ეს ნახიდურები პირადად მე არ მინახავს. ადგილობრივთა გადმოცემით კი აქ თითქოს თვალედი ხიდები ყოფილა (ერთი თაღის გადასაგდებად მდინარე, მართლაც, ნამეტანი განიერია). ბალიჭებსა და გორუნჯუკს შორის, დამბლუტის წყალზე კარგადაა დაცული ძველი თაღოვანი ხიდი, რომელსაც ადგილობრივ „ხიდიყურს" ეძახიან. ეს ხიდი პატარაა, მისი სიგანე 2,5 მეტრს არ აღემატება, მაგრამ იგი ისევ-ისე მტკიცედ დგას როგორც აშენების დღეს. იგი ნაგებია საშუალო ზომისა და პატარა პრტყელი ქვებით ქვიტკირზე. გორუნჯუკსა და პატარა დმანისს შორის ძველი გზა მშვენივრადაა დაცული დღესაც (ნ. სურ. 4.). პატარა დმანისის ახლოს იგი ყაფარა-სოფლის ხევს ჩაჰყვებოდა ფინეზაურამდე და ფინეზაურის მარჯვენა ნაპირით ადიოდა დმანისის გარეუბნის ზემო-აბანომდე, რომლის პირდაპირ, ფინეზაურის მარცხენა ნაპირას, შენახულია ძველი ხიდის საყრდენი კედლის ნაშთი; ხიდი, როგორც ჩანს, თაღოვანი ყოფილა. აღვნიშნავ კიდევ, რომ ფინეზაურის მარცხენა ნაპირას, პატარა დმანისის ზევით, გზატკეცილის პირას ძველი წყარო ყოფილა; იგი დღეს დამშრალია, მაგრამ ძველი წყაროს ქვა პატარა დმანისელებს სხვა ადგილას გამოუყენებიათ.

ამ გზას, რა თქმა უნდა, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა დმანისის ამაღლებისათვის. მას, თურმე, „აქლემის გზას" ეძახდნენ, რადგან ქარავნები სომხეთში ბოლო დრომდე ამ გზით დადიოდნენ და მას თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს მანამდე, სანამ სომხეთის რკინიგზას არ გაიყვანდნენ.

მე-10 ს-ის დამლევს და მე-11 ს-ის დამდეგს „ტაშირი და ქართველთა ველი, ბოლნის-დმანისის ხეობანი" სომეხთა მეფეების ხელში იყო.[1] ამ დროს გაძლიერდებოდა აქ სომხური ელემენტი და ამ დროსვე უნდა დამკვიდრებულიყოს ბოლნის-დმანისის მხარისათვის სახელწოდება „სომხითი", რომელიც მე-12 ს-დან მოყოლებული გვხვდება ჩვენს ისტორიულ წყაროებში.

მე-11 ს-ში დმანისი პოლიტიკურად უკვე დიდ როლს თამაშობს და წყაროებშიც ხშირად იხსენიება. აქ არაბთა ამირები სხედან, რომლებიც, როგორც ეტყობა, აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ასე, მაგ., 1073-1074 წ. დმანისის ამირა არაბთა სარანგს ეხმარებოდა გიორგი II-ის წინააღმდეგ (ჭიჭ. ქც-ა, გვ. 342=მარიამის. ქც-ა, გვ. 280). ქალაქის მოსახლეობის შეძლებული ნაწილიც ამ დროს უმთავრესად არაბული უნდა იყოს.

თანდათანობით დმანისი გამოდის საქართველოს და ა/კავკასიის ქალაქთა პირველ რიგში, როგორც მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი. ამ მხრით მეტად საინტერესო ცნობა შეგვინახა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსმა, რომლის გადმოცემითაც 1121 წ. დავი-

---

ჩატანილია 1721 წლ. ხალხის აღწერის დაეთარში (გვ. 79, 81-84); იგი მაშინაც სომხებით ყოფილა დასახლებული; გორუნჯუკი იხსენიება კიდევ 1738 წლის ქვეშ (საქ. სიძვ. II, 392).

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I და II, თბ. 1913, გვ. 420.

თის ლაშქრობათაგან შეჭირვებულნი „თურქმანნი და კუალად ვაჭარნი განძელ-ტფილელ და დმანელნი წარვიდეს სულტანსა წინაშე და ყოველსა სპარსეთსა, შეიღებნეს შავად რომელთამე პირნი და რომელთამე ‍ველები და რომელნიმე სრულიად და ესრეთ მიუთხრნეს ყოველნი ჭირნი, მოწვეულნი მათ ზედა, რომელთა აღძრნეს წყალობად თჳსად და იქმნა გლოვა ფრიადი შორის მათსა". ამ საჩივარს მოჰყოლია დავითისათვის სახელოვანი დიდგორის ომი, რომელშიც მონაწილეობა მიუღიათ სომხითის ამირებსაც და მათ შორის, ალბათ, დმანელსაც (იქვე, გვ. 361-363 = გვ. 305-306). დავითის ისტორიკოსს შესანიშნავის მკაფიოობით აქვს გადმოცემული წმინდა ეკონომიური ხასიათი ამ არაბ-ქართველთა ბრძოლისა. ცხადია, მომჩივანი დმანელი ვაჭრები ქართველები არ იქნებოდნენ.

1123 წ. დავითმა დმანისი აიღო (იქვე, გვ. 365 = გვ. 310) და ამას იქით, მცირეოდენი ბრძოლის გამოკლებით, ეს ქალაქი უკვე მკვიდრად ქართველების ხელშია. როგორცა ჩანს, იგი უმეშვეოდ ქართველთა მეფეებს ეჭირათ. რომ მისი ეკონომიური მნიშვნელობა შემდეგშიც, მე-13 ს-ის დამლევისათვის და, ალბათ, მერმეც დიდი იყო, ეს იქიდანა ჩანს, რომ ათაბაგმა სადუნ მანკაბერდელმა, საქართველოში იმ დროს ყველაზედ უფრო გავლენიანმა და მდიდარმა პირმა, 1271/2 წლებში მონღოლთა მიერ მოთხოვნილი დიდი ხარკის გადახდა იკისრა დიმიტრი II-ის მაგივრად იმ პირობით, რომ მეფე მას დმანისს მისცემდა. მეფემაც „უნებლიად მისცა დმანისი და მიმდგომი მისი" (იქვე, გვ. 601 = გვ. 717). ეტყობა, „ურიცხვი საფასის" სანაცვლოდაც არ იყო ადვილი დმანისის გაცემა. 25 წლის შემდეგ დმანისი ისევ საქართველოს მეფეს დაუბერუნდა (იქვე, გვ. 626=გვ. 751). მოსახლეობისათვის საინტერესოა ჟამთააღმწერელის ცნობა იმის შესახებ, რომ 1265 წლის ახლო ხანებში ულუ-დავითმა დაასახლა ტფილისში, დმანისში და ჟინვანში ბერქა ყაინისაგან ლტოლვილნი თავადნიო (იქვე, გვ. 581=გვ. 689). ამ გვარად, დმანისის ისედაც აჭრელებულ მოსახლეობას მონღოლებიც შეჰმატებიან. მე-13 ს-ის დამლევს და მე-14 ს-ის დამდეგს დმანისში დამკვიდრებულა ქართველი სამეფო სახლის ერთი შტო, ლაშა-გიორგის ჩამონავალი: ჟამთააღმწერლის ცნობით, ვახტანგ III, დიმიტრის ძე, დმანისში დამარხეს და არა მცხეთაში, სადაც ამ დროს ქართველ მეფეებს ჩვეულებრივად ასაფლავებდნენ ხოლმე, და მის ორთ ძეთა შორის „დიმიტრის დმანისი აქუნდა და გიორგის სამშვილდეო" (იქვე, გვ. 650).

მე-14 ს-ისათვის ცნობები გვაკლია. მე-14 და მე-15 საუკუნეებში დმანისი, საქართველოს სხვა ქალაქებთან ერთად, უნდა ვიფიქროთ, არა ერთხელ აუოხრებიათ გარედან შემოსულ მტრებს: უეჭველია ეს მე-14 ს-ის დამლევისათვის – (1386/87 წლ.), როდესაც ლანგ-თემურმა მთელი საბარათიანო დაარბია ქართლზე ლაშქრობის დროს (იქვე, გვ. 644), და მე-15 ს-ის დამლევისათვის (1486 წ.), როდესაც თურქებმა იალუბ-ყაენის მეთაურობით დაარბიეს დმანისი და ქვეშის ხევი (იქვე, გვ. 704).

1536 წლის ბარათაანთ გაყრის წიგნით, დმანისის ნახევარი იოთამ ბარათაშვილს ჰრგებია. მეორე ნახევარი მის უმცროს ძმას ორბელს დარჩა, თუმცა ორბელის წილი საბუთში აღნიშნული არაა. იოთამს ერგო: „დმანის ციხეში სასაფლაოდ დმანისთა მღ თის მშობლის ნახევარი და კარისბრჭე... დმანისის ნახევარი და საუხუცესო, საბაჟოს ნახევარი და საუხუცესო", მრავალი ყმა თავთავისი მამულებითურთ (საისტ. მოამბე, 1924 წ., წიგნი I, გვ. 179-181). ეს საბუთი ფრიად საინტერესო ცნობებს შეიცავს მე-16 ს-ის, რა თქმა უნდა, უკვე დაცემული დმანისის მეურნეობისა და მოსახლეობისათვის. მეტად მნიშვნელოვანია ცნობა საბაჟოს შესახებ. უეჭველია აყვავების ხანაშიც ექნებოდა დმანისს ეს დაწესებულება და მასთან დაკავშირებული შემოსავალიც.

ერთი მოსახლის ქონება დაწვრილებითაა აღწერილი: „ხანდამისშვილის სახლი, შიგნითი სახლი, სათორნე ერთი, მარანი ერთი, = ქვევრი დგას სხვილ-წურილი თერთმეტი, საჯინიბო, კარაპ(ა)ნი,[1] ზეთისახდელი. ამის ყმის ყარაგოზას სახლი, კიდევ შიგნით სახლი, ბოსელი, დერეფანი,[2] ეზო და სათიბური". ტერმინები: „შიგნით სახლი", „კარაპანი", „დერეფანი", „სათორნე", „საჯინიბო", „ბოსელი", „ეზო", ახასიათებს სამოსახლოს ტიპს: ყველა ჩამოთვლილი შენობა ცალ-ცალკე მდგარად უნდა ვიგულვოთ, ალბათ, ეზოს გარშემო. ცალკე შენობებია აგრეთვე მარანი და ზეთისსახდელი, რომლებიც საჯინიბოსთან, ბოსელთან და სათიბურთან ერთად ახასიათებენ სამოსახლოს მეურნეობას. მესაქონლეობა (ცხენი და ძროხა), მემინდვრეობა და, განსაკუთრებით, სელის კულტურა (ზეთისსახდელი, უეჭველია, ამას ჰგულისხმობს) და ეგებ მევენახეობაც – აი მეურნეობის ის დარგები, რომლებსაც ჩვენი საბუთის მიხედვით ამ დროს დმანისში მისდევდნენ.

ბარათაანთ გაყრილობის წიგნი საშუალებას გვაძლევს იმდროინდელი დმანისის მოსახლეობის შესახებაც ვიქონიოთ ერთგვარი ვარაუდი. უმრავლესობას, როგორც ჩანს, მე-16 ს-ში თათრები შეადგენდნენ, ხოლო მათ უკან იდგნენ სომხები და ქართველები. როგორც აღვნიშნე, იოთამ ბარათაშვილს დმანისის ნახევარი ერგო; დმანისის ციხეშიც სიონის ნახევარი და კარიბჭე მისი იყო. ცხადია, რომ ყმებიც ძმებს სანახევროდ უნდა გაეყოთ. ყოველ შემთხვევაში, იოთამს, როგორც უხუცესს, ცოტათი მეტიც ერგებოდა, მას საუხუცესო ეკუთვნოდა. ამიტომ, იოთამის სარგო ყმათა რაოდენობა უთუოდ საშუალებას გვაძლევს საზოგადოდ დმანისის მოსახლეობის რაოდენობა ვივარაუდოთ მიახლოებით მაინც. „დმანის ციხის" ქვეშ გაყრილობის წიგნში, უეჭველია, დმანისის ნაქალაქარი იგულისხმება ქალაქის ძველი გალავნის ფარგლებში, რადგან მარტო შიდაციხე ამდენ მოსახლეს ვერ დაიტევდა. იოთამის ყმათა რიცხვი უდრის 69-ს.[3] თუ ამდენივე, ან ამაზე ცოტათი ნაკლები ერგო ორბელს, დმანისში 1536 წლისთვის სულ დაახლოვებით 138 კომლი მოსახლე უნდა ვიანგარიშოთ, რაც, ხუთჯერ გამრავლებული, 690 სულს მოგვცემს. რა თქმა უნდა, აქედან სრულებით ცხადი ხდება, რომ ამ დროს დმანისი უკვე სოფელია და არა ქალაქი (სხვათა შორის, დამახასიათებელია ისიც, რომ ხელოსნობა აქ ამ დროს სრულებით აღარა ჩანს – იოთამის ყმათა შორის ერთად-ერთი ხარაზია დასახელებული). იოთამის ყმათაგან დაახლ. 28 თათარია, 19 სომეხი და მხოლოდ 7 ქართველი.[4] ამგვარად, მოსახლეობის ნახევარი მეტი თათარია და სომეხი

---

[1] კალოს სახლი (ს. ს. ორბელიანის ლექსიკ.); ახლაც ასე ეძახიან კალოზე დადგმულს ფარდულს დმანისში.

[2] ფარღია სახლი (ს. ს. ორბელიანის ლექსიკ.).

[3] აზნაურებს ჩაჩიკაშვილსა და ჯანიაშვილს გარეთ, რომელთა შესახებ პირდაპირ არაა ნათქვამი რომ ისინი დმანისის მოსახლენი არიან.

[4] ვანგარიშობ მხოლოდ იმ ყმებს, რომელთა ეროვნება დანამდვილებით შეიძლება იქნეს განსაზღვრული. თათრები არიან: უსუფა, ალიბეგ, ისმეილა, იბრეიმა, შაყულისშვილი, ამად ფირაპი, ყაზია, მოლა ასანა, მოლა აჯაი, ამად ყული, აღა ყულის შვილები, ხანყული, სულთანა, ორუჯა, ალიხანა, დემურა, ამირიზა, საფარა, მახსუდ, ფირადა, უსუფა, სკანდარა, ასანა, სეიდი, ნავროზა, ამირველი, ბღუდახა, ყასუმა; სომხები: მაზმანიშვილი, ხოჯა აზიზაშვილი, ხოჯა მარქარა, შაღუბათასშვილი, მირიმანაშვილი, ფირ აზიზა, ასლამაზა, ას(ა)ტურა, ალავერდა, ხოჯა მარტიროზ ველიჯან, ფარსეღა, მუსეზა, შიხიაშვილი, მიტიჩა, ფირაიზა, ყარაგოზა, შავერდა, ალავერდა, ნაზარა; ქართველები: დემეტრე დეკანოზი, სომღულაშვილი ივანე, ხუცესი იოანე, გიორგი სვანისშვილი, მემარნიშვილი, ბარამიშვილი, ოქრომჭედლისშ-

და ქართველები უმცირესობაა. ეგების ასეთი შეფარდება ყოფილიყო დმანისის მთელი მოსახლეობისათვისაც იმ დროს.

1578 წ., როდესაც ოსმალებმა ქართლი დაიპყრეს, მათ დმანისიც ხელში ჩაუვარდათ და მისი ციხე გაუმაგრებიათ კიდეც.[1] 1583-ში სვიმონ მეფემ დმანისი დაიბრუნა (იქვე, გვ. 47). ვახუშტით დმანისი, როგორც ციხე-ქალაქი, სწორედ ამ დრომდე არსებობდა ხოლო, „მიერით მოოჴრდაო" (გეოგრაფია, გვ. 49).

მე-17 ს-ში ორი დმანელი ეპისკოპოსია ცნობილი: იოსებ თარხნიშვილი, რომელიც მერმე, 1662 წლიდან, ტფილელი იყო,[2] და ქრისტეფორე ბარათაშვილი, რომელმაც 1665 წ. ვენახები იყიდა ბოლნისში (საქ. სიძვ. II 254) და რომელიც 1689 წლის ქვეშაც იხსენიება (ქრონიკები II 508). მე-17 ს-ის დამლევს ვინმე პავლე (?) ყოფილა დმანისის ეპისკოპოსად; იგი გარდაცვლილა 1700 წ.[3]

მე-18 ს-ში ცნობილია დმანელ-მტბევარი ელისე, რომელიც შემდეგი წლების ქვეშ იხსენიება: 1721 (?) (ხალხის აღწ. დავთ., გვ. 329), 1725 (საქ. სიძვ. II 330), 1728 (იქვე, გვ. 346), 1729 (იქვე, გვ. 351 და Д. П. Пурцеладзе, Грузинские крестьянские грамоты и пр., Т. 1882, გვ. 10), 1732 (საქ. სიძვ. II 367, შეად. ქრონიკები II 424), 1736 (საქ. სიძვ. II 384, 386) და 1747 (საქ. მუზ. ხელნაწ. განყ-ის ფონდის 11.560/Hd – დმანელების პირობის წიგნი).

ვახუშტით, დმანელი ეპისკოპოსი იყო „მწყემსი ტაშირისა და დბანის ჴევისა" (გეოგრაფია, გვ. 49).

საეპისკოპოსო კათედრა დმანისში გაუქმდა, ალბათ, მე-18 ს-ის შუანლებში, რადგან 1762-1788 წლებს შორის ირაკლი II-ისა და ანტონ I კათალიკოზის მიერ შედგენილს ახალ სამღვდელმთავრო განწესებაში იგი უკვე მოშლილად იხსენიება (ნ. ე. თაყაიშვილის არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი I, თბ. 1907, გვ. 87).

1721 წლ. ხალხის აღწერის დავთრით, დმანისი შემდეგ სამოსახლოებად იყოფოდა: 1) დმანისი (გვ. 72-73, 132, 134-136), რომელიც ზოგადი სახელი კი არ არის ყველა სამოსახლოსათვის, არამედ, ალბათ, დიდ დმანისს ჰგულისხმობს: ყოველ შემთხვევაში, ამ სახელწოდების ქვეშ ნაქალაქარი არ იგულისხმება, რომელიც, როგორც ვნახეთ, უკვე 1536 წ. (ბარათაანთ გაყრილობის წიგნში) „დმანის ციხედ" იწოდება, 2) დბანის ციხე (გვ. 176, 182-183) ე. ი. ნაქალაქარი და 3) ძველდბანისი (გვ. 182) რომელიც, შესაძლებელია, იქვე მდებარეობდა, საცა ახლა პატარა დმანისია.[4]

ვილი; გაურკვეველია: გრიგოლა, გალიკაშვილი, ხიზანა, ელია, ბერუკა, თამაზა, ბეჟანა, სურამელა, თოფჩაშვილი მიქელა, ადუა, კაკუტა, იაკობ ხარაზი, ხანდამისშვილი, ემინა.

რასაკვირველია, შეიძლება ზოგიერთი მოსახლის ეროვნებაში ვცდებოდე, მაგრამ მცირეოდენი განსხვავება საერთო სურათს ვერ შესცვლის.

[1] ნ. საქართველოს ცხოვრება, ბატონიშვილი ვახუშტის მიერ, გამოც. ზ. ჭიჭინაძისაგან, თბ. 1913, გვ. 44.

[2] Б. М. Ткемаладзе, Тифлисский Сионский кафедральный собор, Т. 1904, გვ. 44.

[3] ამ ეპისკოპოსის საფლავის ქვა მოთავსებულია დმანისის სიონის დასავლეთის კარიბჭეში. მისი წარწერა ცალკე იქნება გამოცემული დმანისის სხვა საფლავის წარწერებთან ერთად.

[4] დმანისის სამოსახლოების ასეთ დანაწილებას და სახელწოდების „დმანისი" გაგებას დიდ დმანისად ეწინააღმდეგება იმ ნუსხის ჩვენება, რომელიც ე. თაყაიშვილს დამატების სახითა აქვს დართული თავისი გამოცემის 297-361 გვერდებზე, სადაც „დმანისი" (გვ. 354) ან „დამანისი" (გვ. 326, 329) ზოგადი სახელი ჩანს. ან უკეთ, თვით ნაქალაქარს ჰგულისხმობს, რადგან დმანელი ეპისკოპოსი ელისე აქ ცხოვრობს (გვ. 329), და სადაც „დმანის ციხე" და „ძველ დმანისი" სულ არ იხსენიება. მაგრამ ვინაიდან შესაძლებელია ეს ნუსხა ძირითადი,

ყველაზედ დიდი სამოსახლო დმანისია: აქ არის 3 აზნაურისშვილი, 8 კომლი მსახლობარი და 3 ბოგანო;[1] ძველ-დბანისს არის: 5 კომლი მსახლობარი, 1 ბოგანო და 1-ც აყრილი; დბანის ციხეში სხედან ყაფლანიშვილები და დმანელი, 1 აზნაურიშვილი და 1 კომლი მსახლობარი ყმაა. საზოგადოდ, როგორც ვხედავთ, მოსახლეობა საშინლად შემცირებულია. აზნაურებს გარეთ, დიდზე დიდი უმრავლესობა სომხობაა. ასეა 1747 წლის დმანელების პირობის წიგნის მიხედვითაც (ნ. საქ. მუზ. ხელნაწ. განყ-ის ფონდის 11.560/Hd).

მე-18 ს-ის პირველ ნახევარში დმანისის და მეტადრე დმანისის ხეობა არა ერთხელ იქნა დარბეული და აოხრებული ლეკების მიერ; ოსმალებიც შემოსულან დმანის ხევში, სპარსეთის ჯარიც მდგარა დმანისში 1745 წ. (ნ. პაპუნა ორბელიანის ისტორია, ნახსენ. ადგ., გვ. 54 – 1739 წ., 79 – 1742/43 წ., 103, 106 – 1745 წ., 119 – 1746 წ., 140 – 1747 წ; შდ. ორბელიანთ საჩივარი მეფე ირაკლი II-თან, საქ. სიძვ. II 541 – 1747 წ.). ამ დროს დმანისი ორბელიანების მთავარი ციხე და საჯდომია. დმანისის სიონში და მის ირგვლივ ბევრია მე-18 ს-ის ორბელიანთა საფლავები.[2] ვახუშტი თავის გეოგრაფიაში სწერს, რომ „ან (ე. ი. 1742 წლის ახლო ხანებში) შეაშენეს ყაფლანიანთა (ე. ი. ორბელიანთა) ციხე, სიმაგრისათვისაო" (გეოგრაფია, გვ. 49).

მაგრამ დმანისის დღენი უკვე დათვლილი იყო. აი რას სწერს პაპუნა ორბელიანი 1757 წლის ქვეშ: „ქორონიკონს უმე (1757 წ.) დაიცალა საბარათაშვილო, სომხითი, ორბელიანთ მამული და ზოგი გავიდა კახეთს, ზოგნი ავიდნენ ზემო ქართლში და საერისთოებში, აღარსად დარჩა შენობა იმ მხარეს, მცირედნი კაცნი ქვეშის ციხეში იდგა და ყარაბუდახის შვილები სამშვილდესა შინა: იყო ცემა ლეკთაგან მარადის და ოხრება საქართველოსა შინა"... (ნახს. ადგ., გვ. 238).

მე-18 ს-ის დამლევს, როგორც უკვე მოვიხსენიე, ეს ადგილი სრულებით გაპარტახებული დაჰხვედრიათ აქ გადმოსულ ჯავახელ გლეხებს. მიწების გამიჯვნის დროს ქართველებს, თათრებსა და სომხებს შორის, ორბელიანები თურმე ძველი სიით სარგებლობდნენ და აქედან იციან დმანისელებმა ზოგიერთი ადგილობრივი სახელი, როგორც „ფინაზაური", „კისისხანა" „ყაფარა-სოფელი", „ჩინჩხვარას ხევი" და სხვ., ორბელიანთაგანვე ახსოვთ ზოგიერთებს ადგილობრივი გადმოცემა, მაგ., კოვზებით ვაჭრობის შესახებ, რომლითაც განთქმული ყოფილა ძველი დმანისი, წყაროს შესახებ მაშავრის ხეობაში, ნაქალაქარის ზემოთ, რომელიც ვითომ სუსუნატსა ჰკურნავს და, ალბათ, ის იქნება, რომელიც, ვახუშტის თქმით, „დაამსხვრევს ქვასა შირიმისასა და დააყრევინებს სმითა" (გეოგრაფია, გვ. 49) და სხვ., ზოგი რამ, რა თქმა უნდა, შეიძლება ადგილობრივი ძველი მოსახლეობის გადმოცემაც იყოს (ასე, მაგ., გორუნჯუკელებისაგან გამიგონია,

---

1721 წლის, ნუსხის თანადროული არ იყოს, რასაც ჯერ კიდევ გამოკვლევა სჭირდება, ამიტომ მე მას მხედველობაში არ ვიღებ და მოსახლეობის რაოდენობის გამოანგარიშების დროსაც მის ჩვენებებს ანგარიშში არ ვაგდებ.

1 ერთი ბოგანო – გიორგი ყარაბუდახიშვილის ყმაა (გვ. 73), ორიც – დათუნა გერმანოზისშვილისა უნდა იყოს – მართალია მას დმანისში არავინ უწერია, სწერია მხოლოდ „დმანის" (გვ. 134) და არ ჩანს თუ ვინ ჰყავდა და რამდენი, მაგრამ ჯამში (გვ. 135) 2 ბოგანო მეტი გამოდის, შედარებით ნუსხასთან, და ეს ორი ბოგანო იქნება, ალბათ, რომელთა აღნიშვნა „დმანის"-ის პირდაპირ გამორჩენიათ.

2 უმრავლესობა ამ საფლავებისა ამ ექვსიოდე წლის წინათ მჭკურველობის მიზნით გადაუთხრია ვინმე მღვდელს, პლატონ კეთილაძეს.

„დმანისი ლეკებმა დააქციესო"), მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, პატარა დმანელებს თვითონ აღარა ახსოვთა-რა.

1853 წ. მ. ბართოლომემ და დ. ორბელიანმა ინახულეს დმანისის ნაქალაქარი, მოკლედ აღწერეს ის და ზოგიერთი წარწერაც გადმოიღეს. ამ უკანასკნელთაგან მ. ბროსემ კარგად წაიკითხა თევდოსი ეპისკოპოსის წარწერა სიონის კარიბჭეზე და გიორგი ბრწყინვალის ხანას მიაკუთვნა ის, ხოლო კარიბჭის დანარჩენი წარწერები ბართოლომეს გადმონაწერის მიხედვით ვერ გაარჩია.[1] დაბოლოს, 1894 წ. დმანისში მუშაობდა ე. თაყაიშვილი, რომელსაც, როგორც იქაურებმა გადმომცეს, გარეუბნის სასაფლაოზე რამდენიმე საფლავი გაუთხრია კიდეც.[2] წარწერები ე. თაყაიშვილმა შეავსო და ხელმეორედ გამოსცა.[3]

III.

დმანისის ნაქალაქარი ორი მკაფიოდ გარჩეული ნაწილისაგან შედგება (ნ. ნახ. 1): ერთია თვით ქალაქი, მოთავსებული კონცხზე, რომლის ფართობი 13 ჰექტარს უდრის და მეორე – მის სამხრეთით, ფინეზაურის ორსავ ნაპირზე მდებარე გარეუბანი, რომლის ფართობი დაახლ. 12 ჰექტარს მოიცავს. ქალაქში კიდევ ცალკეა გამოყოფილი შიდა-ციხე. ქალაქს ჩრდილო-დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან მდ. მაშავერი ჩამოუდის. აქ ნაპირის სიმაღლე საშუალოდ 90 მეტრს აღწევს, იგი თითქმის სრულებით ციცაბო კედლადაა ამართული და ამიტომ გამაგრება განსაკუთრებით არ სჭირდება: აქედან ზღუდე ქალაქს არ ჰქონია, მხოლოდ ალაგალაგაა ამოშენებული კედლები, ისიც მხოლოდ ზედაპირის შესამაგრებლად, რადგან სახლები ზედ კბოდეზეა მიმდგარი. სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და აღმოსავლეთიდან ქალაქს ფარგლავს ფინეზაურის ხევი. აქაც ნაპირი მაღალია, თუმცა იმდენად არა, საშუალოდ იგი 80 მეტრის სიმაღლეს აღწევს და ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ იგიც ძალიან ქარაფოვანია, მაინც იმდენად დაქანებული არაა, როგორც მაშავრის ნაპირი. ამიტომ აქ მთელ სიგრძეზე, ვიდრე კონცხის წვერამდე, ქალაქს კედელი არტყია, მაგრამ მაინც ეს მხარეც მტრისთვის მიუდგომლად უნდა ჩაითვალოს. ამგვარად ქალაქს მისადგომი აქვს მხოლოდ სამხრეთიდან.

კონცხის მთელს ზედაპირს პატარა დაქანება აქვს ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, და უფრო დიდი დაქანება აქვს სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. აქ სიმაღლის განსხვავება უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ წერტილსა, საცა შიდა-ციხეა მოთავსებული, და უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ წერტილს, ე. ი. კონცხის წვერს შორის, 45 მეტრს აღწევს. ამასთან, კონცხის წვერიდან მოყოლებული სამხრეთ-დასავლეთისაკენ კონცხის ზედაპირი თითქმის მთელს სიგრძეზე

---

1 ნ. Mélanges Asiatiques, tirés du Bulletin Histor.-Phililog. de l'Acad. Imp. des Sciences de St.-Pétersb.=Mél Asiat. II გვ. 327 შშ.

2 ე. თაყაიშვილი დმანისში მუშაობდა რუსეთის არქეოლოგიური საზ-ბის დავალებით, ამიტომ, განათხარი ნივთები (მათ შორის ჭურჭელიც) გადაგზავნილ იქნა ამ საზ-ბის მუზეუმში პეტერბურგს (ლენინგრადს), საცა ისინი ამ ჟამადაც დაცული უნდა იყოს.

3 ნ. მისი „სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები", ნაწ. I, პ. 1929=თაყაიშვ. სომხ-საორბ. წარწ., გვ. 101-106; ე. თაყაიშვილმა გამოსცა აგრეთვე დმანისის სიონის, სამრეკლოს და ციხის აბანოს გეგმები მის მიერ შედგენილს „ქართული ხუროთმოძღვრების ალბომში", თბ. 1924, ტაბ. 36-38.



ნახ. 1.

ნელის თანდათანობით მაღლდება, ისე რომ შიდა-ციხის ძირას სხვაობა მხოლოდ 15-20 მეტრს უდრის, აქ კი, ქალაქის სამხრეთ-დასავლეთს კუთხეში, შედარებით პატარა ფართობზე, ნიადაგი უცებ 20-25 მეტრით მაღლდება. შიდა-ციხეც მოთავსებულია სწორედ ამ თითქოს საგანგებოდ ამართულ კლდეზე. სტრატეგიულად მთელს კონცხზე ეს ყველაზედ უფრო მარჯვე პუნქტია: იგი ბატონობს ქალაქზე, რომელიც, როგორც ხელი გულზე, ისეა გადაშლილი და ამავე დროს მას აქვს ფართო გადასახედი სამხრეთისაკენ, ფინეზაურის ხეობაში, საიდანაც მხოლოდ შეეძლო მტერს ქალაქს მისდგომოდა (სურ. 1 და 2). შიდა-ციხეს ოთხივე მხრით კედელი არტყია და მხოლოდ ქალაქიდან აქვს შესავალი. აი აქედან, შიდა-ციხიდანაა წამოყვანილი კედელი, რომელიც ქალაქს სამხრეთიდან ზღუდავს და მერმე ფინეზაურის ნაპირს მიჰყვება ვიდრე კონცხის წვერამდე. შესავალიც ქალაქს ამ კედელში აქვს, სამხრეთიდან.[1]

ქალაქის კარამდის ძველ გზას მივყავართ, რომელიც ქუჩის სახით გრძელდება თვით ქალაქში. აქ, ზედაპირულად, ორი „მთავარი ქუჩა" ჩანს: ერთი თითქოს ქალაქის

[1] თვით ქიშკარი, ნიადაგის რელიეფი გამო თუ სტრატეგიულის მიზნით, დასავლეთისაკენ იცქირება.

შესავლის ხაზზე გადის კონცხის წვერამდე, მეორე კი მის ზემოთ მდებარეობს ჩრდილო-დასავლეთისაკენ და უერთდება მას ქალაქის ქვემო ნაწილში. ამ ორ „ქუჩას" შორის ორი დიდი „მოედანი" განირჩევა: ერთი ზემოთ, საცა ორივე „ქუჩა" იყოფა, და ერთიც ქვემოთ, „ქუჩების" შესართავთან. მაგრამ გათხრამ ეს, პირველი შეხედვით, თითქოს ნათელი სურათი არ დაგვიდასტურა: როგორც ქვემო ისე ზემო-„ქუჩების" გარდიგარდმო და აგრეთვე ზემო-„მოედნის" მთელს ფართობზე მიწის ქვეშ ძველი კედლები აღმოჩნდა.

ძველი ქუჩა ქალაქის ჭიშკართან აღმოჩნდა. ჭიშკარი მიმართულია დასავლეთისაკენ. მისი სამხრეთი კედლის გათხრისას, ზედაპირიდან 1,36 მეტრის სიღრმეზე, გამოჩნდა უსწორ-მასწორო ფორმის საყუნწურე ქვა, რომლის სიმაღლე 35 სანტ-ს უდრის. საყუნწურის ქვეშ 47 სანტ-ის სისქეზე კულტურული მიწის ფენა მოდიოდა, ხოლო შემდეგ 26 სანტ-ის სისქის კარგად გათლილი ფილაქანი აღმოჩნდა, რომელიც საფეხურივით დევს დიდი, ბრტყელი, მქისედ დამუშავებული ფილაქნების ქვაფენილზე. ქვაფენილი, თავისი მხრით, უმეშვეოდ პიტალო კლდეზე დევს. ასეთივე სურათი და იმავე სიღრმეზე მოგვცა ჩრდილო-კედელმა (ნ. ნახ. 3). ორსავ კედელს საანყოლე ქანები აქვს, მაგრამ ეს ქანი მხოლოდ სამხრეთის კედელზე ჩადის ქვედა ფილაქანამდე, ჩრდილო-კედელზე კი მხოლოდ საყუნწურის სიღრმეს აღწევს. ქვეფენილზე საფეხურივით დადებული ფილაქანი ორია: ერთი სამხრეთი კედლისა, ხოლო მეორე ჩრდილო-კედლის ძირას, მათ შორის კი, კარის მთელს სიგანეზე, რომელიც 4 მეტრსა და 30 სანტ-ს შეადგენს, მხოლოდ ქვაფენილი დევს. შესაძლებელია რომ საფეხურივით დადებული ორი ფილაქანი ძველი კარის ზღურბლის ნაწილს წარმოადგენდეს. ფილაქნებს შორის დაახლ. 1,50 მეტრის სიგანის მალია, რომელშიც, რა თქმა უნდა, ურემი ვერ გაეტეოდა. ეს მალი ამოვსებულია ქვაფენილის ბრტყელი ფილაქნებით და ნაწილობრივ ნაგლეჯი ქვებით. ორივე განის ფილა-

სურ. 5. ქალაქის ჭიშკარი გათხრის შემდეგ. ასახულობა აღმოსავლეთიდან.



ნახ. 2. დმანისის გარეუბნის ტოპოგრაფიული გეგმა.



სურ. 6. ქალაქის ჭიშკარი. ძველი ქუჩის საერთო ასახულობა დასავლეთიდან.

ქნის გვერდითაც რამდენიმე დიდი უშვერი ლოდი დევს (ნ. სურ. 5). ამ „ზღურბლის" დანიშნულება გაუგებარია, მიმოსვლას იგი, უეჭველია ხელს არ შეუწყობდა.

ძველი გზისა და კარის სურათი აქ წაშლილი ჩანს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ის მაინც ცხადია რომ ქვაფენილი „საზღურბლე" ფილაქნებითურთ ქალაქის უძველესი კარის ნაშთს წარმოადგენს, ხოლო გაცილებით უფრო მაღლა 0,50 მეტრის სისქის კულტურულ ფენაზე დადებული საყუნწურე ქვები უკვე მერმინდელი დროის კარს ეკუთვნის. ამ გვარად, აქ ორი ხანის ნაშთები გვაქვს და ვინაიდან სწორედ სამხრეთი კედლის ჩათხრისას, 2 მეტრის სიღრმეზე, ე. ი. საყუნწურის ქვეშ მდებარე კულტურულ ფენაში აღმოჩნდა თამარის 1200 წლის მონეტა, ცხადია რომ უძველესი ხანის კარი (კედელი თავისი ქანით, „ზღურბლი" და ქვაფენილი) მე-12 საუკუნეს ან უფრო ადრინდელ დროს უნდა მიეკუთვნოს. ქვაფენილი, როგორც აღვნიშნე, პიტალო კლდეზე დევს, მთელი კარის სიგანე უჭირავს და ქალაქის გარეთაც გამოდის დაახლ. 1 მეტრის მანძილზე და ქალაქისაკენაც, კარის შიგნით, სამიოდე მეტრის სიგრძეზე შედის. შემდეგ იწყება ნაგლეჯი ქვებით მოკირწყლული ქუჩა. ეს (სურ. 6) ქუჩა, როგორცა ჩანს, უკვე ქალაქ გარეთვე იწყებოდა, მაგრამ აქ ხუთიოდე მეტრის მანძილზე შენახული ქვაფენილი მეტად დაზიანებულია, ქვები ან ამოვარდნილია ან მომძვრალი, პირვანდელი სურათი შეშლილია. კარის შიგნით კი ქუჩა ძალიან კარგადაა დაცული. აქ მას ზიანი უჩანს მხოლოდ უმეშვეოდ კარის ქვაფენილთან, სადაც რამდენიმე წყება ქვებისა ძველადვე ამოვარდნილა: კარის ქვაფენილსა და ქუჩის ქვაფენილს შორის აქ ჩვენ ხრეშით ამოვსებული, 40-ოდე სანტიმეტრის სიგანის ხარვეზი დაგვხვდა. ეს ხარვეზი საშუალებას გვაძლევს ზედმიწევნით შევისწავლოთ ქვაფენილის ნაგებობა. ქუჩა აღმა მიდის საკმაოდ დიდი დაქანებით. მისი ქვაფენილი, დაგებული აგრეთვე პიტალო კლდეზე, კარის ქვაფენილს ებჯინებოდა, რომელიც არ უშვებდა ქვებს რომ წინ გადმოვარდნილიყო. მოზრდილი ნაგლეჯი ქვები



ნახ. 3. დმანისი. ქალაქის კარი.

ისეა გვერდებჩამოტეხილი რომ სოლივით ჩაუჯდეს ერთი მეორეს. ქვასა და ქვას შორის ხანებში ჩაყრილია ხრეში, და ქვები ისე მჭიდროდაა ერთმანეთში ჩაჭედილი რომ მათი ადგილიდან დაძვრა ყოვლად შეუძლებელია. ამ მარტივი საშუალებით მიღწეულია ისეთი სიმტკიცე, რომ ქუჩა დღესაც ისევ-ისე დგას, როგორც XII ს-ში იდგა. სამაგიეროდ, ქვების სიდიდის გამო, ქუჩის ზედაპირი ძალიან უსწორმასწოროა. გვერდებიდან ქუჩას ქვიტკირიანი ქვის კედლები მიჰყვება. მისი სიგანე კარის ახლოს 4,70 მეტრს აღწევს. ზევითკენ იგი თანდათანობით ვიწროვდება. იგი 12-13 მეტრის სიგრძეზე მიდის აღმოსავლეთის მიმართულებით, ხოლო შემდეგ ჩრდილოეთისაკენ უხვევს, აქ ჩვენ მას კიდევ 7-8 მეტრის სიგრძეზე ავყევით, რის შემდეგ გათხრა დროებით შეჩერებულ იქნა. ქუჩა დავიწროვდა თითქმის 2,50 მეტრამდე. როგორც ჩანს, იგი სიონისაკენ მიიმართება (ნ. ნახ. 3).

გალავანი, რომელიც, როგორც აღინიშნა, მხოლოდ ფინეზაურის ხევის გასწვრივ აკრავს ქალაქს, ზოგიერთი ბურჯის გამოკლებით, ძალიან დაუდევრადაა ნაგები. მასალად ნახმარია ადგილობრივი ბაზალტი. ქვა საშუალო ზომისაა და თითქმის სრულებით დაუმუშავებელია, მხოლოდ გვერდები აქვს ჩამოტეხილი, შემტკიცებულია ქვიტკირით. წყობას მხოლოდ ზოგან ეტყობა ფენებრივობა (ასეა ბურჯებში). განირჩევა კედლის გარე და შიდა პირები, პერანგივით, და მათ შორის ჩასხმული ჭყორდულაბი. კედლის სისქე საშუალოდ 1,20 მეტრს აღწევს. გალავანს საძირკველი არა აქვს, იგი უმეშვეოდ კლდეზე დგას. ამასთან, ალაგ-ალაგ ძირში მას ჩაშენებული აქვს მოგრძო დიდი ქვები, რომლებიც, შესაძლებელია, გარეუბნის სასაფლაოდან იყოს აქ მოტანილი. ზოგიერთი ბურჯიც შედარებით ისე სუფთადაა ნაშენი (ნ. სურ 7), ისეთი მტკიცე ქვიტკირითაა მოსხმული, რომ საერთო შთაბეჭდილებით გალავნის უდიდესი ნაწილი თითქოს უფრო მერმინდელი ნაგებობა უნდა იყოს.

სურ. 7. ქალაქის გალავნის ბურჯები.

სურ. 8. ნყლისსაზიდი გვირაბის აწინდელი შესავალი.

სურ. 9. ნყლისსაზიდი გვირაბი შიგნით.

სურ. 10. შიდაციხე სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

შესანიშნავია წყლისსაზიდი გვირაბი, რომელიც სიონის ჩრდილო-აღმოსავლეთით გეზად ჩაჰყვება მაშავრის ხევის ქარაფებს ვიდრე წყლის პირამდე. გვირაბის ზემო ნაწილი ახლა მთლად ჩანგრეულია, ქვემო (უდისესი) ნაწილი კი დღესაც მშვენიერადაა დაცული, გარდა კიბისა, რომლის საფეხურები ძალიან დაშავებულია. გვირაბი მიდგმულია ზედ კლდეზე, მას დიდი ქვის კედლები აქვს, რომლებსაც უჭირავთ სოლებივით ჩაწყობილი ბრტყელი ქვებით ქვიტკირზე გამოყვანილი ისრული კამარა (ნ. სურ. 8 და 9). გარკვეულ მანძილზე გაკეთებულია სარკმლები. გვირაბის სიგანე დაახლ. 2,00 მეტრს უდრის, სიმაღლით კი კაცი შიგ კარგად გაიმართება. წყალთან მისი გასავალი ახლა ამოვსებულია ზევიდან ღვარისაგან ჩამოტანილი ღორღით. გარედან გვირაბის შემჩნევა ძნელია. წყალზე გასავალიც მას ვიწრო, ყრუ ადგილასა აქვს, მტერი მას ისე ადვილად თვალს ვერ მოჰკრავდა. რა თქმა უნდა, წყლისსაზიდად იგი იხმარებოდა მხოლოდ გარემოცვის დროს. წყალს ეზიდებოდნენ, ალბათ ვირებითა და ჯორებით.

შიდაციხის კედლებიც გალავნის მსგავსადაა ნაგები (ნ. სურ. 10), ოღონდ აქ ბურჯები უფრო ხშირია და 0,50 მეტრის სიმაღლის ნაგლეჯი ქვის საძირკველიც არის. აქაიქ აგურის წყობაც ურევია, რაც მერმინდელი შეკეთების ნაშთი უნდა იყოს. შიდა-ციხის მისავალი გამაგრებული ყოფილა გარედან სამხრეთიდანაც. აქედან მას ერთი მეორეის ზემოთ ორი ხელოვნური ტერასა არტყია, რომელთაგანაც პირველი, ქვემო ტერასა, როგორც გათხრამ გამოარკვია, ძველ ქვაყუთებიან დიდ მავზოლეუმებს შეიცავს (საფლავები მაჰმადიანური უნდა იყოს, რადგან ეს ადგილი უმეშვეოდ გარეუბნის მაჰმადიანურ სასაფლაოს ეკვრის, და არავითარ ინვენტარს არ შეიცავს), ზემო ტერასა კი უთუოდ ძველი კედლის ნაშთებს ინახავს – ალაგ-ალაგ როგორც კედლის წყობა, ისე მთელი ბურჯები და ფორტები ჩანს.



სურ. 11. ძველი კიბე შიდაციხეში.

შესავალი შიდაციხეს, როგორც აღინიშნა, მხოლოდ ქალაქიდანა აქვს. იგი უმეშვეოდ ეკერის სიონს (ნ. ნახ. 4). შიდაციხის შიგნით ფართო ეზოა. დასავლეთისაკენ ხევის პირას რამდენიმე შენობა დგას, ზოგი ქვით, ზოგი პრტყელი ქართული აგურით



ნახ. 4.



სურ. 12. შიდაციხე. აბანო და შენობები მის ზემოთ.

ნაგები. ზევით აბანოა, რომელსაც გარედან, ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხესთან, კიბე აკრავს (სურ. 11). ეს კიბე აბანოს გაწმენდის დროს ვიპოვეთ, იგი აბანოზე გაცილებით უფრო მერმინდელი უნდა იყოს: საფეხურის ფილაქნები დაწყობილია ნაშალ მიწაზე, რომელიც აქ ერთი მეტრის სიღრმეს აღწევს უქვიტკიროდ. კიბე ძალიან დაშავებული დაგვხვდა: მას პირველი ორი საფეხური უნდა აკლდეს, რადგან, უეჭველია, იგი აბანოს კარის ზღურბლის დონეზე იწყებრდა, ახლა კი მაღლა მოდის მასთან; 6-7 საფეხურით იგი შიდა-ციხის უკანასკნელი შენობებისაკენ ადის აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, მერე კი იკარგება.

აბანოს ზემოთ კიდევ რამდენიმე შენობაა (სურ. 12). გათხრამ აღმოაჩინა პატარა ბუხრიანი ოთახი, რომელიც უმეშვეოდ ეკვრის ზემოდან აბანოს დიდ ოთახს და, ეტყობა, მისი მეორე სართულის ნაწილს წარმოადგენდა; ამ ოთახის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი. შემდეგ, ამ ოთახის ცოტათი უფრო ზემოთ, 1-1,50 მეტრის დაშორებით, მსგავსადვე ნაგები და ბათქაშით კარგად გალესილი ორი ოთახი აღმოჩნდა ორი შესავლით (აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან) და სწორკუთხოვანი წალოებით.[1] ამ ოთახებს ზემოდან ეკვრის მოზრდილი ბურჯებიანი შენობა, ნაგები ქალაქის გალავნის მსგავსად, ოღონდ ზოგან უფრო დიდი ქვებით. ამ შენობას, რომელიც ერთ ადგილას გარდიგარდმო კედლით გატიხრულს მოგრძო ოთხკუთხ ოთახს წარმოადგენს, შიდა-ციხის ბორცვის მწვერვალი უჭირავს. შესავალი მას მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთიდან აქვს, სარკმლები არ უჩანს. გათხრამ აქ თითქმის არა მოგვცა რა, ისევე როგორც მის ქვემოთ მდებარე შენობებში. ყველა ამ შენობის საძირკვლები ხამ მიწაზე დგას. კულტურული ფენის სისქე დიდი ოთახის შიგნით ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში 1,5 მეტრს აღწევს, სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში კი ნაკლებია. აქ ოთხი თხრილი იქნა დადებული (პირველი – N-კუთხეში, შესავლის პირდაპირ, მეორე – W-კუთხეში, მესამე –

[1] აღმოსავლეთის ოთახს წინა (ჩრდილოეთის) კედელი არ უჩანს (არ ჰქონია, თუ საძირკვლიანად დანგრეულა?).

SO-კედლის გასწვრივ S-კუთხის ახლოს და მეოთხე – ამ უკანასკნელის გვერდით NO-ისკენ, 1,50 მეტრის დაშორებით). რადგან საცდელმა თხრილებმა თითქმის არა მოგვცა რა, ხოლო ტექნიკური პირობები ძალიან ართულებდა ამ ოთახის გამოწმენდას, გათხრა ამაზე შევსწყვიტეთ. მხოლოდ მე-3 თხრილში ვიპოვეთ ბიზანტიური შავი მონეტა (X ს.?) 70 სანტ-ის სიღრმეზე, და ზედაპირულად მიწაში ჩაფლული ორი ქვევრი. სხვა, გარდა სადა თიხის ჭურჭლის, რამდენიმე ანგობიანი სადა ქაშანურის, აგურის და კრამიტის ნატეხებისა, ისიც ძალიან მცირე რაოდენობით, ოთხსავე თხრილში არა გვიპოვია რა. ეს ოთახი და მის ქვემოთ მოთავსებული ბათქაშით გალესილი შენობები ჯარის სადგომებს თუ წარმოადგენდნენ.

IV.

შიდაციხის აბანო საინტერესო ნაგებობას წარმოადგენს (ნ. ნახ. 5, 6 და 7). ახლა იგი სამი ოთახისაგან შედგება და შესავალი აღმოსავლეთიდან პირველი, დიდი, ოთახიდან აქვს, რომელიც აშკარად საცხოვრებელ ბინას წარმოადგენს. იგი აშენებულია ქვით და ამ მხრით სრულებით არ განსხვავდება დმანისისათვის ჩვეულებრივ შენობებში: მქისედ დამუშავებული ლეგა ფოროვანი ქანის (ადგილობრივი ბაზალტის) საშუალო ზომისა და პატარა კვადრები ფენებრივადაა ქვიტკირზე წყობილი კედლების გარე და შიდაპირებზე, ხოლო მათ შორის ჩასხმულია ჭყორდულაბი (ბუტი). ასეა ნაგები ამ ოთახის ჩრდილო და



ნახ. 5. ციხის აბანო.

დასავლეთის კედლები. ხოლო, რადგან აბანო სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან მიდგმულია პირდაპირ კლდეზე, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ოთახის სამხრეთსა და აღმოსავლეთს კედლებს გარეპირი არ უნდა ჰქონდეს (ასეა ნაგები მეორე სართულის პატარა ბუხრიანი ოთახის კედლებიც, ნ. ქვემოთ). შიგნით დიდი ოთახი (ნ. სურ. 13) გალესილი


ღმანისი
ციხის აბანო
ფასადი
განაკვეთი AB

ნახ. 6.


ციხის აბანო
ღმანისი
განაკვეთი CD
განაკვეთი EF
განაკვეთი SH
განაკვეთი KL

ნახ. 7.

სურ. 13. ციხის აბანოს დიდი ოთახი შიგნით.

ყოფილა ბათქაშით, რომლის ნაკვალევი აქა-იქ ჯერ კიდევ ჩანს. იატაკი ამჟამად მიწურია. გარდიგარმო, შესავლიდან მარჯვნით (დასავლეთისაკენ), კარსა და პირველ სარკმელს შორის, ამ ოთახში მიწური ტიხრის ნაშთები აღმოჩნდა. უეჭველია, ეს ტიხარი მერმინდელი გაკეთებული უნდა იყოს, თავდაპირველად კი აქ ერთი დარბაზი იყო, რომელსაც ერთი კარი და ერთი ფანჯარა ჰქონდა ჩრდილო-კედელში. აღმოსავლეთ კედელში ბუხარია შეშენებული, რომელიც თითქმის სრულებით ჩამონგრეულა. ამ ჟამად ამ ოთახის ჭერი სულ მთლად ჩანგრეულია. კედლებში, რომლებიც თავისი პირვანდელი სიმაღლითაა შენახული, ზევით გამოშვერილი თარხნები ჩანს (დაცულია მხოლოდ ოთხი თარხანი), რომელზედაც დაყრდნობილი იყო მეორე სართული. სხვა ნიშნებითაც ეტყობა, რომ ამ ოთახს მაღლა სართული ჰქონია: ადგილ-ადგილ შენახულია ამ სართულის კედლის ნაშთები, ხოლო სამხრეთიდან, როგორც უკვე აღინიშნა, მეორე სართულის სიმაღლეზე პატარა ბუხრიანი ოთახი აღმოჩნდა (სურ. 14), რომელსაც აბანოს დიდი ოთახისაკენ კედელი არა აქვს და რომელიც ამიტომ ამ ოთახის მაღლა სართულის ნაწილს უნდა წარმოადგენდეს. ეს პატარა ოთახი ხამ ღორღიან მიწაშია შეშენებული და ამიტომ მის კედლებს გარეპირი არა აქვს; მისი სამივე კედელი ამოყვანილია ქვით (მხოლოდ ალაგ-ალაგ ურევია მცირედ აგურიც) და გალესილია ბათქაშით, ზღვედაც ქვიტკირი აქვს მოსხმული; სამხრეთ კედელში ჩაშენებულია ქართული მცირე ზომის აგურითა და ქვით ამოყვანილი ბუხარი და მის ორსავ გვერდზე პატარა სწორკუთხოვანი თახჩები; ერთი უფრო დიდი თახჩა, იმავ სიმაღლეზე, აღმოსავლეთ კედელშიცაა, ხოლო მის პირდაპირ, დასავლეთ კედელში, კიდევ უფრო დიდი და უფრო ღრმა თახჩაა მოთავსებული, აგრეთვე სწორკუთხოვანი, რომელიც ჩამოსაჯდომად და დასასვენებლად იყო, ალბათ,

განკუთვნილი, რადგან ძირი მას დაბალი აქვს. ეს ოთახი მთლიანად მიწით იყო დაფარული; გამოწმენდისას აქ აღმოჩნდა მხოლოდ მცირე რაოდენობა ანაგობიანი კერამიკის ნატეხებისა, ერთი თაღის (?) ქვა არაბული წარწერით და ერთიც ქართული წარწერიანი ქვის ფრაგმენტი. ძირა დიდ ოთახს ბევრი შეკეთების ნიშნები ეტყობა. მის ჩრდილო-კედელში მე მოვიხსენიე მხოლოდ ერთი ფანჯარა. ასე უნდა ყოფილიყო თავდაპირველად, ხოლო ამჟამად მეორე ფანჯარაც არის ამ კედელში, პირველი ფანჯრის დასავლეთით. მაგრამ ის ისე ასიმეტრიულადაა გაკეთებული, იმდენად უფრო დაბლა მოდის პირველ ფანჯარასთან შედარებით, რომ უთუოდ მერმე უნდა იყოს აქ ჩადგმული; გარედან რომ შეხედოთ ამ ფანჯარას, კედელსაც მის გარშემო სხვანაირი წყობა ეტყობა. დიდი

სურ. 14. ბუხრიანი ოთახი ციხის აბანოს ზემოთ.

ოთახის შესავალსაც ეტყობა მერმინდელი შეკეთების ნიშნები, ხოლო ხის კოჭი, რომელიც ჩადგმულია დასავლეთი ფანჯრის თავში, სრულებით ახალი ამბავი უნდა იყოს.

დიდი ოთახი 1936 წ. სამ მეტრზე მიწით ამოვსებული დაგვხვდა. გამოწმენდისას, 2,5 მეტრის სიღრმეზე, ოთახის მთელს სიგრძეზე, 8-12 სანტ-ის სისქის ნახანძრევი შავი ფენა აღმოჩნდა, რომელშიც ამოვიდა სადა თიხის გაჭვარტლული ჭურჭელი და, სხვათა შორის, ერთი ქოთნის ფრაგმენტი, რომელშიც ნაცარში არეულად ეყარა სომხური ბეჭდური სახარების ნახშირად ქცეული ფურცლები. ნახანძრევის ფენის ქვეშ კი, იატაკის დონეზე, ამოვიღეთ მრავალი კარგად დაცული ხელადა და ქილა წითელი თიხისა, რომლებიც ჩამწკრივებული იყო S-კედლის გასწვრივ, SW-კუთხის ახლოს, და რუსუდანის შავი მონეტა 1227 წლისა (ოთახის SO-კუთხეში). ამგვარად, ჩვენ საბუთი გვაქვს დავასკვნათ რომ ეს ოთახი XIII ს-ში უკვე აქ იდგა და მართლაც ნაგებობის მხრით იგი არაფრით განსხვავდება დმანისის ჩვეულებრივ სამოქალაქო შენობებში, რომლებიც ფულების საშუალებით კარგად არიან დათარიღებული XII-XIII საუკუნეებით. მაგრამ იგი მერმეც დიდხანს, ალბათ, XVIII ს-მდე, უხმარიათ საცხოვრებელ ბინად, სანამ ხანძარს არ დაუწვავს.

საინტერესოა ამ ოთახის ფორმები და ზომები: მას სწორკუთხოვანი, მაღალი კარსარკმელი აქვს და გადახურვა პრტყელი ჰქონია. ასეთი ზომის ფანჯრები და კარი სხვაგან დმანისში სამოქალაქო შენობებში არსად არ გვინახავს. არაფრით არ ეტყობა ამ ოთახს რომ იგი აბანოს ნაწილს წარმოადგენდეს. და მართლაც, თავდაპირველად აბანოსთან მას საერთო არა ჰქონდა რა. აბანო მერმეა მიშენებული ამ ოთახზე, რომელიც როგორც საფიქრებელია, შიდაციხის სასახლის ნაწილს უნდა წარმოადგენდეს. მართალია, საკვირველი არის რომ შიგ მაინც და მაინც არა გვიპოვია რა,[1] მაგრამ ეს აიხსნება სწორედ იმით რომ აქ უკანასკნელ დრომდე ვიღაც მდგარა. აბანოს მერმინდელი მიშენებულობა სრულებით უდავოდ ირკვევა იმ გარემოებიდან რომ მასა და დიდ ოთახს საერთო კედელი არა აქვს: აბანოს წინა (აღმოსავლეთი) ოთახის აღმოსავლეთი კედელი მიდგმულია მჭიდროდ დიდი ოთახის დასავლეთის კედელზე; კარიც საერთო არ არის, აბანოს თავისი, ბათქაშით კარგად შელესილი, თაღოვანი კარი აქვს, დიდი ოთახის კედელში კი შესაფერის ადგილას ამოტეხილია სწორკუთხოვანი კარი (სურ. 15), რომლის განის კედლები ამოშენებულია აბანოსავით ქვითა და აგურით, იმ დროს როდესაც მთელს ოთახში არსად სხვაგან აგური არ უხმარიათ.[2] და რადგან აბანოს კარი დაბალი უნდოდა, დიდი ოთახის კედელშიც დაბალი კარია ამოტეხილი, ისე რომ კაცი შიგ თავისუფლად ვერ გაივლის, იმ დროს როდესაც შესასვლელი კარი ჩრდილოკედელში ამ ოთახს, როგორც აღინიშნა, მაღალი აქვს. ყველა ეს უდავოდ ხდის არა მარტო იმას, რომ დიდი ოთახი და აბანო ორი სხვადასხვა დროის შენობაა, არამედ იმასაც, რომ სწორედ აბანოა მიდგმული დიდ ოთახზე, რომ იგია უფრო მერმინდელი ნაგებობა და არა წინაუკმოდ. სხვაფრივაც აბანოს, როგორც ნაგებობას, დიდ ოთახთან საერთო არა აქვს რა. იგი აშენებულია ქვითა და აგურით. აგური ე. წ. ქართულია. კვადრატული, პრტყელი, პატარა ზომის (23×23 სანტ.). შიგნით აბანო კარგადაა გალესილი ბათქაშით, სარკმლები მას არა აქვს. ორივე ოთახი გადახურულია პრტყელი

---

[1] სხვათა შორის ამ ოთახის NO-კუთხეში იატაკში ჩაშენებული თონე აღმოჩნდა, სასახლისათვის, ცოტა არ იყოს, უცნაური შემკულობა.

[2] გარდა მაღლა სართულის პატარა ბუხრიანი ოთახისა, რომელიც შესაძლებელია აგრეთვე მერმინდელი მინაშენი იყოს.



სურ. 15. ციხის აბანო. კარი დიდი ოთახიდან აბანოში.

გუმბათებით, რომლებიც დაყრდნობილია ისრულ ტრომპებზე (სურ. 16). გუმბათში შუა ადგილას აგურით შემოწყობილი მრგვალი სარკმლებია დატოვებული, რომლიდანაც ოთახში სინათლე ჩადიოდა. აბანოს ორივე გუმბათი გარედან დახურულია ქიმებიანი პრტყელი კრამიტით (სიგრძ. 0,318 მ., სიგან. თავში 0,225მ., ბოლოში 0,225 მ., სისქ. 0,022 მ.). კრამიტი დულაბითაა დამაგრებული, დულაბზე დევს. პირაღმა მდებარე კრამიტების წყება ენაცვლებოდა პირქვე მდებარე წყებას, ისე რომ პირქვე მდებარე კრამიტი თავისი ქიმებით ჩამოცმული იყო ორს მეზობელ პირაღმა მდებარე კრამიტზე. ამასთან, რათა კრამიტები ქვევით არ ჩამოცურებულიყვნენ, ქვედა კრამიტს თავი, რომელიც ბოლოზე უფრო განიერია, ზევითკენა აქვს მოქცეული, ზედა (პირქვე დადებულ) კრამიტს კი ქვევითკენ ჰქონდა. ქვედა კრამიტები თავისი ქიმებით ებჯინება მათ შორის

სურ. 16. სამხრეთ-აღმოსავლეთის ტრომპი ციხის აბანოს აბაზანიან ოთახში.

სურ. 17. ციხის აბანოს სახურავი გარედან.

სქლად ჩასხმულ დულაბს, რომელსაც ზედა კრამიტის ფორმა აქვს მიღებული, ქვევითკენ უფრო განიერია და ამიტომ არ უშვებს პირაღმა მდებარე კრამიტებს რომ ქვევით ჩამოცურდეს; ზედა კრამიტები კი ვერ ჩამოცურდებოდა იმის გამო რომ მეზობელი პირაღმა კრამიტების ქვევითკენ უფრო განივრად მდებარე ქიმები მათ გასაქანს არ მისცემდა (ნ. სურ. 17). კრამიტი მშვენიერი ნახელავია და კარგადაა გამომწვარი. ყველა ცალს არა, მაგრამ ბევრს წინაპირზე შუაში რელიეფით გამოყვანილი ნიშანი აქვს, სამყურასავით (სურ. 18). ეს სამყურა პირაღმა მდებარე კრამიტისათვის ორნამენტის როლს ასრულებს, პირქვე დადებული კრამიტისათვის კი საჭირო იყო დასამაგრებლად, რადგან ამ რელიეფით იყო კრამიტი ჩამჯდარი დულაბში და იგი აკავებდა მას, რათა ზევით არ ავარდნილიყო. მაგრამ მაინც ამ კრამიტების ახდა ადვილი იყო. ამიტომაა რომ ზედა (პირქვე მდებარე) კრამიტები აღარ შენახულა და მხოლოდ მათი ფორმის დულაბი სამყურას ნაჭდეურითურთ გვიჩვენებს რომ ისინი აქ ოდესღაც ეფარა. ეტყობა ეს კრამიტები მერმე სადღაც სხვაგან გამოუყენებიათ. დმანისში ჩვენ აღარსად აღარ გვინახავს ასეთი ნიშნიანი კრამიტი. მხოლოდ გარეუბნის შუა-აბანოში აღმოჩნდა ერთი ასეთი ნატეხი: უეჭველია, ის იქ ციხის აბანოდან უნდა იყოს წაღებული.

გუმბათებს შორისი ღრმული და სახურავის ნაპირები დაფენილია კარგად გამომწვარი კვადრატული თიხის ფილებით (ზომ. 0,285×285 მ., სისქ. 0,036 მ.), რომლებიც აგრეთვე დულაბითაა შემტკიცებული.[1] გუმბათებს შორის ეს ფილები თავთხელ ღარსა ჰქმნიან, რომელსაც ორპირი დაქანება აქვს მიცემული ჩრდილოეთისაკენ და სამხრეთისაკენ. სამხრეთიდან, როგორც აღინიშნა, აბანო მიდგმულია კლდეზე. აქ, რათა აბანოს გარედან წვიმის წყალი არ ჩასდგომოდა, გაკეთებულია ქვიტკირით მოსხმული ფართე წყალსადინარი, რომელსაც დაქანება აქვს მიცემული დასავლეთისაკენ: წყალი აქ პირდაპირ მაშავრის ხევში ჩადიოდა, რადგან აბანოს უკანასკნელი ოთახი ზედ ხევის პირზე მოდის.

როგორც აღვნიშნე აბანოს კარი დაბალია და ვიწრო, კაცი შიგ თავისუფლად ვერ გაეტევა; იგი ისრული თაღითაა გამოყვანილი. პირველი (ახლა შუა) ოთახი გასახდელადა და მოსასვენებლად იყო განკუთვნილი: გარდა ქვიტკირიანი გრძელი „სკამლოგინისა" (სურ. 19), რომელიც მიშენებულია სამხრეთ კედელზე, და აგურით მრგვალად მის პირდაპირ კედელში ჩაშენებული ბუხრისა (? – საკვამლე აღარა ჩანს), აქ სხვა არავითარი მოწყობილობა არაა. გათხრისას აქ არა აღმოჩნდა რა, უმნიშვნელო კერამიკული ნატეხების გარდა. ქვიტკირ-მოსხმული ზღვე სრულებით ჩაქცეული დაგვხვდა, მხოლოდ მისი ნაშთები ჩანს კედლების გასწვრივ; ზემოაღნიშნული ქვიტკირის „ტახტი" ზღვესთან, როგორც ეტყობა, ცოტათი უფრო მაღლა მოდიოდა. ამ პირველი ოთახიდან ისეთივე კარით შედიხართ უკანასკნელ ოთახში, რომელშიაც აბაზანაა. კარის პირდაპირ, დასავლეთის კედელში, ჩაშენებულია ისრული კამარით გადახურული საქვაბე (სურ. 20) და მის ქვეშ ღუმელი. აქედან ორი თიხის მილია გაყვანილი კედლებში (ნ. გეგმა): ერთი (d) ჩრდილოეთისაკენ გადის გარეთ: მას დაქანება აქვს საქვაბისაკენ; ამ მილით ცივი წყალი ჩადიოდა ქვაბში. მეორე (e), მოპირდაპირე კედელში, აბაზანის თახჩაში გამოდის, დაქანებაც აბაზანისკენა აქვს; ამ მილით ცხელი წყალი ქვაბიდან ჩადიოდა აბაზანაში. აბაზანა აგურითა და ქვიტკირით ამოშენებული, გარედან კარგად შემოლესილი ოთხკუთხა აუზია, რომელიც სამხრეთ კედელში ჩაშენებული თახჩის ძირასა დგას (სურ. 21). აბაზანის ზომაა: სიგრძე 0,95 მ, სიგანე 0,80 მ, სიღრმე ოთახის კედლის ძირას 0,65 მ,

[1] ასეთივე ფილები აღმოჩნდა კიდევ სიონის სამხრეთი კარიბჭის სახურავზე.

სურ. 18. ნიშნიანი კრამიტი ციხის აბანოდან.

ხოლო თავისი წინაკედლის ძირას 0, 70 მ. ამგვარად, ერთი ადამიანი შიგ ფეხმორთხმული გაჭირვებით ჩაჯდებოდა. როგორც სიღრმეთა სხვაობა გვიჩვენებს, აბაზანას ფსკერი შუაოთახისკენ დაქანებულია: აქ წინაკედლის ძირში გაყვანილია ღარი, რომლითაც წყალი აბაზანიდან გადიოდა. ამ ღარის გამომწვარი თიხის ცოკოლიც აქვე აღმოჩნდა.

აუზის პირდაპირ, ოთახის ჩრდილო-კედელში მეორე თახჩაა ჩაშენებული; აქედან წყალი ჩადიოდა პირდაპირ შუაოთახში, შესაძლებელია სათანადოდ შეზავების შემდეგ. ამ თახჩის ძირას აუზი არაა, თვითონ მას წინიდან დაბალი ქიმი აქვს, რომელშიც ღარია გაკეთებული. ქიმი იმდენად დაბალია, რომ თახჩა აბაზანად არ გამოდგებოდა: აქ, ალბათ, გარედან შემოსული ცივი წყალი ზავდებოდა. ღარი პირდაპირ ოთახში გადადის, ისე რომ თახჩიდან ცივი ან შეზავებული წყალი უმეშვოდ ოთახის ზღვეზე უნდა გადმოქცეულიყო. ამ თახჩაში წყალი შემოდიოდა გარედან, ორი მილით, რომელთაგან ერთი (a), რომელიც თახჩის ჩრდილო-კედელშია გაყვანილი, მერმე გაუუქმებიათ, სახელდობრ, ბათქაშით შეულესიათ, მეორე კი (c), თახჩის დასავლეთ კედელშია მოთავსებული. ამ მილების ისტორია საინტერესოა: სულ ოთხი წყლისშემყვანი მილია აბანოს ბოლო-ოთახის ჩრდილო კედელში; ამათგან მილი „d", როგორც აღინიშნა, საქვაბისაკენ მიდის, მილი „c" ჩრდილო-თახჩაში ჩადის დასავლეთიდან, მილი „a" იქვე ჩადიოდა ჩრდილოეთიდან, მაგრამ მერე ამოულესიათ, ხოლო მილი „b" „a"-მილის დასავლეთითაა ჩაშენებული ჩრდილო-კედელში და მიმართულება თითქოს საქვაბისაკენა აქვს, იგი „c"-მილის ხაზს გადასჭრიდა უფრო დაბლა, ამ ჟამად კი უკვე მცირე მანძილზე ამოქოლვილია, ისე რომ, სად გადიოდა, არა ჩანს. გეგმას რომ შევხედოთ, ცხადი გახდება რომ დღემდი გამტანისად დაცული მილებისათვის (c და d) წყალსაცავი იმ კუთხეში უნდა მდგარიყო, რომელსაც ჰქმნის საქვაბის ჩრდილო-კედელი ჩრდილო-თახჩის დასავლეთ კედელთან, ხოლო გაუქმებული მილებისათვის (a და b) წყალსაცავი ჩრდილო-თახჩის უკან უნდა ყოფილიყო მოთავსებული. აქ მართლაც დღემდეა დაცული რაღაც დაბალი კუთხოვანი ნაგებობა, რომელსაც შუაზე მოზრდილი და ღრმა ღრუ აქვს; შესაძლებელია აქ ოდესმე ცისტერნა იდგა. რომ ზემოაღნიშნულ კუთხეშიც ყოფილა რაღაც მსგავსი ნაგებობა, ეს

სურ. 19. ციხის აბანოს პირველი ოთახი. სკამლოგინი და ორივე კარი (გადაღებულია აბაზანის ოთახიდან).

სურ. 20. ციხის აბანო. საქვაბის კამარა.

იქიდან ჩანს, რომ ამ ადგილას მილებს ზემოთ შენახულია კამარის ნაშთი. აბანოს კედლები შიგნით (ორივე ოთახის) სამჯერ ყოფილა ბათქაშით შელესილი (ნ. სურ. 16): ბათქაშის პირველი ფენა ყველაზედ უფრო სქელია, მისი შემადგენლობაც კარგია; მეორე, უფრო თხელი ფენა კიდევ უკეთესი შემადგენლობისაა, სიმტკიცით პირველ ფენას არ ჩამოუვარდება და უფრო თეთრია; ამ მეორე ფენაზე საგანგებო ჭდეებია გაკეთებული, რათა მესამე ფენა უფრო მკვიდრად დამჯდარიყო კედელზე; ეს მესამე ფენა მეორეზე უფრო სქელია, მაგრამ მდარე ღირსების ბათქაშს წარმოადგენს, ადვილად იფშხვნება და სცვივა კიდეც. მილი „a" ჩრილო-თახჩაში ოთახის მეორედ გალესვის დროს ამოულესიათ; მის ნაცვლად მაშინ იქნება გაკეთებული მილი „c". ეტყობა, ამ დროს გაფუჭებულა მილი „b" („a" დღემდის კარგადაა დაცული) და რადგან მისი შეკეთება ძნელი იყო, საქვაბისაკენ ის ორ სქელ კედელში უნდა გასულიყო და მის შესაკეთებლად ამ კედლების შენგრევა იქნებოდა საჭირო, ამიტომ არჩიეს ახალი (c და d) მილების გაყვანა და წყალსაცავის გადატანა ჩრდილო-თახჩის უკანიდან კუთხეში საქვაბესა და თახჩას შორის. „a" მილიც, რადგან საჭირო აღარ იყო, შიგნიდან ამოლესეს. ამგვარად, მე მგონია, ნათელი უნდა იყოს ისიც რომ აბანოს საიდანმე გამოყვანილი წყალსადენი კი არ ჰკვებავდა წყლით, არამედ წყალი ქვემოდან ამოჰქონდათ, ალბათ, ურმებით და აქ მას ცისტერნებში ასხამდნენ. მართალია, ადგილობრივ არსებობს დაჟინებითი გადმოცემა, ვითომც წყალი გამოყვანილი იყო ბაშქიჩეთის ახლო მდებარე ყარაქილისას წყაროებიდან, მაგრამ ასეთი რამ ძნელი დასაჯერებელიცაა (მანძილი 10-15 კილომეტრს შეადგენს, წყალსადენისათვის საჭირო იქნებოდა დიდი რუსხმულები და სხვ.) და არც არსად აღმოგვიჩენია წყალსადენის რაიმე კვალი.

სურ. 21. ციხის აბანო. აბაზანა თახჩითურთ.

სურ. 22. ციხის აბანო. წყლისგამყვანი მილის დეტალი აბაზანიან ოთახში და ღუმელი.

შუა ოთახში, აუზის წინ, ზღვეში ჩაშენებული იყო წყალგამდენი მილი (სურ. 22), რომელსაც ზღვის ქვეშ გაჰყავდა წყალი გარეთ. ზღვე წყალგამდენი მილისაკენ დაქანებული იყო: აქ გროვდებოდა ჭუჭყიანი წყალი, რომელიც ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით ჩრდილო-კედლის ქვეშ გატარებული არხით გადიოდა გარეთ და შემდეგ ამავე არხით კედლის გასწვრივ მიიმართებოდა დასავლეთისაკენ ვიდრე მაშავრი ხევის პირამდე. ამგვარად, აქედან წყალი მაშავერში გადადიოდა. გათხრამ აღმოაჩინა წყალგამდენი სისტემის როგორც თიხის მილების ნატეხებით დაფენილი ღარი შიგ ოთახში, ისე მთელი თიხის მილები კედლის ქვეშ და აგრეთვე ქვიტკირის ფსკერიანი და ქვიტკირმოსხმული აგურით ამოშენებული სწორკუთხოვანი, ზემოდან ფიქლებით გადახურული არხი ჩრდილო-კედლის გარეთ (სურ. 23). ეს უკანასკნელი ნაშალ მიწაზე დგას: ჯერ ქვიტკირიანი ღორღი დაუყრიათ ნაშალზე და მერე ზემოდან დაუსხამთ არხის ფსკერის ქვიტკირი. ცხადია რომ აქაც მერმინდელ ნაგებობასთან გვაქვს საქმე. მართლაც თავდაპირველად წყალგამდენ სისტემას სხვა გამოსავალი ჰქონია.

თავდაპირველად წყალი იატაკის ქვეშ მიიმართებოდა ოთახის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხისაკენ, საცა ღრმა, მაგრამ შიგნით ქვებით ჩაკეტილი ღრუ აღმოჩნდა; წყალი გადიოდა ჩრდილო-აღმოსავლეთი მიმართულებით აბანოს ჩრდილო-კედლის ქვეშ და გამოდიოდა გარეთ ჩრდილო-თახჩის აღმოსავლეთით 0,70-0,75 მ-ის მანძილზე, აბანოს პირველი ოთახის დასავლეთი კედლის სისწვრივ, საცა კედლის ქვეშ თიხის მილი აღმოჩნდა; აქ ინყებოდა ზემოაღნერილ ყაიდაზე ნაგები არხი (იგი გაითხარა ვიდრე ჩრდილო-თახჩის აღმოსავლეთი კედლის ძირამდე, ზემოდან იგი გადახურული არ იყო), რომელიც დასავლეთისაკენ ე. ი. მაშავრის ხევისაკენ მიიმართებოდა, გადიოდა ჩრდილო-თახჩის ქვეშ და ამ ჟამად თიხის პატარა ღარით უერთდება ზემოთ უკვე აღნერილს ნაშალზე მდგარ არხს.

აბანოს სამივე ოთახის საძირკველი, ნაგლეჯი ქვით ქვიტკირზე ნაშენი, ღრმად არ ზის მინაში, იგი კლდეზე დგას. მხოლოდ დიდი ოთახის კარის ახლოს, კიბის ძირას მინა ბოში ყოფილა და აქ საგანგებო საყრდენი კედელი ჩაუდგამთ, რომელიც გეზად გადის ამ ოთახის ჩრდილო-კედლის ქვეშ. ძველი წყალგამდენი არხიც ხამ ნიადაგში დგას; მხოლოდ მისი ქვემო ნაწილია, როგორც აღინიშნა, ნაშალზე დაშენებული. ამიტომ, ამ ადგილას პირვანდელი სურათი შეშლილი უნდა იყოს: ეტყობა, ძველი წყალგამდენი სისტემაც გაფუჭებულა და მაშინ გაუტარებიათ ახალი ღარი ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, მაშინ შეაკეთებდნენ გარეთა არხის ქვემო ნაწილსაც. თუ გეგმას დავაკვირდებით, ცხადი გახდება რომ თავდაპირველი წყალსადენი სისტემა უფრო რთული იყო მერმინდელთან შედარებით, რაც იმით აიხსნება რომ აშენებისას მილების გატარება სასურველი მიმართულებით, რა თქმა უნდა, უფრო ადვილი იყო ვიდრე მერმინდელი შეკეთების დროს.

სურ. 23. ციხის აბანო. წყლისგამყვანი არხი ჩრდილო-კედლის ძირას გარეთ.

გათბობის სისტემაც ზღვის ქვეშ იყო მოწყობილი. აგურით ამოშენებულ მრგვალ ღუმელს, რომელიც საქვაბის ქვეშ იყო მოთავსებული და რომელსაც გარედან, დასავლეთიდან უკეთებდნენ შეშას, გასავალი ჰქონდა შიგნითაც ოთახში, იატაკის ქვეშ (ნ. სურ. 22): აქ, მთელი ოთახის ფართობზე, სიცალიერე იყო დატოვებული, საცა ღუმელიდან ცხელი ჰაერი გროვდებოდა და ოთახს ათბობდა; კვამლი გადიოდა სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში ჩაშენებული ამწოვი მილით; ეს საკვამლე ამ კუთხის ძირშიაც ვნახეთ და გარეთ სახურავზედაც აღმოჩნდა, ამ ოთახის სამხრეთი კედლის თავში; იგი თიხის მილებითაა გამოყვანილი. ზღვე ქვიტკირისა იყო. იგი ჩვენ აღარ დაგვხვედრია, მისი კვალი შენახულია მხოლოდ კედლის პირებზე და სწორედ ამ გარემოებამ მოგვცა საშუალება წყალსადენი და გათბობის სისტემა ბოლომდის შეგვესწავლა. ქვიტკირი, ისე როგორც გარეუბნის აბანოებში (ნ. ქვემოთ), მოსხმული იქნებოდა გარდიგარდმო გადებულ პრტყელ ქვებზე, რომლებსაც ზღვე ეჭირათ, მაგრამ ასეთი ქვები გათხრის დროს არ გვინახავს. აბაზანიანი ოთახის იატაკი გათხრის შემდეგ მიწით აღარ ამოგვივსია, ისე რომ ფოტოსურათზე ზღვეს ქვეშა მოწყობილობაა გადმოღებული: ზღვე დაახლ. აუზის პირის დონეზე მოდიოდა; შუაოთახში ჩაშენებული წყალგამდენი მილის გარშემო რკალად ქვიტკირიანი დაბალი კედელია ამოყვანილი, რომელიც, ალბათ, ზღვისქვეშა პრტყელი ქვების საყრდენად იყო განკუთვნილი. მეორე პირი ამ ქვებისა შიგ ოთახის კედლებში იჯდა, ალბათ, და ამიტომ აქ ე. წ. საგორავი ქვები საჭირო არ იქნებოდა. ზღვის ნაშთებიდან კედლებზე ჩანს, რომ იგი შუაოთახისაკენ, ე. ი. წყალგამდენი მილისაკენ დაქანებული ყოფილა.

ციხის აბანოს არც პირველსა და არც მეორე ოთახში შენობის დამათარიღებელი გეში არა აღმოჩნდა რა. საზოგადოდ ნივთები აქ არა გვინახავს რა, გარდა სადა წითელი თიხის მცირეოდენი ნატეხებისა.

დიდი ოთახის შესახებ, იქ ნაპოვნი რუსუდანის მონეტის მიხედვით, ის მაინც ითქმის რომ იგი XIII ს-ში უკვე აშენებული იყო. აბანო მერმეა მიშენებული ამ ოთახზე. მაგრამ როდის? ნაშალზე მდგომი წყალგამდენი არხის გათხრისას და აბანოს საძირკვლის გაშიშვლებისას, ე. ი. შენობის გარეთ ნაპოვნი ინვენტარი (ფაიანსის ჭურჭლის, ანგობიანი, სგრაფიტოს ტექნიკით დამუშავებული ქაშანურის ნატეხები და ზოგიერთი სხვა უმნიშვნელო ნივთი) არაფრით არ განსხვავდება იმ ინვენტარში, რომელიც დმანისში ყველგან ჩნდებოდა გარკვეულ დონეზე და რომელიც XII-XIV საუკუნეებით თარიღდება. ამიტომ, უნდა ვიფიქროთ რომ აბანოც დიდ ოთახზე მაინც და მაინც ძალიან უფრო გვიან არ უნდა იყოს აშენებული.

ციხის აბანოსა და გარეუბნის აბანოებს შორის ნაგებობისა და ფორმების მხრით, როგორც ვნახავთ, არც ისეთი დიდი განსხვავებაა. გარეუბნის აბანოებს კი, რა თქმა უნდა, არავინ ააშენებდა XIV ს-ზე აქეთ, როდესაც ქალაქი უკვე აღარ არსებობდა.[1] იმისდა მიხედვით, რასაც ჩვენ დმანისში ვიცნობთ როგორც სამოქალაქო შენობას, ციხის აბანო საუკეთესო ნაგებობად უნდა ჩაითვალოს: იგი ბევრად უკეთაა მოწყობილი ვიდრე გარეუბნის აბანოები; სიმტკიცით ეს შენობა არ ჩამოუვარდება ქვემო აბანოს, რომელიც საუკეთესოა ამ უკანასკნელთა შორის; გადახურვა მას ისეთი ოსტატური აქვს რომ დმანისში ამ მხრით მხოლოდ სიონის დასავლეთი კარიბჭე თუ შეედრება. რა თქმა უნდა, ეს აიხსნება ერთის მხრით იმითაც რომ ციხის აბანო სპეციალური დანიშნულების შენობა იყო, იგი რეზიდენტის სახმარად იყო განკუთვნილი, რომელიც შიდაციხეში

[1] ეს აბანოები ისედაც კარგადაა დათარიღებული შიგ ნაპოვნი ფულებით.



ნახ. 8.

იჯდა (აბანო მხოლოდ ერთ კაცზეა გაანგარიშებული), მაგრამ მეორე მხრით იგი უეჭველია დმანისის საუკეთესო ხანის ნაგებობას წარმოადგენს. ამიტომ მე მგონია რომ იგი უნდა დათარიღდეს ან იმავე XIII ს-ით ან უკიდურეს შემთხვევაში, XIV-ით, ხოლო XV-ში მისი გადმოტანა შეუძლებლად მიმაჩნია.

V.

დმანისის საკულტო შენობები თითქმის ყველა შექუჩულია შიდა-ციხის ძირას: ეს არის სიონი თავისი სამრეკლოთი და კარიბჭით და მარინეს ეკლესია (სურ. 24). აქვეა XVIII ს-ის ორბელიანთა და დმანისის სხვა წარჩინებულ პირთა სასაფლაო.

სიონი დიდ „სამეკლესიან ბაზილიკას" წარმოადგენ (ნახ. 8). ფორმების მიხედვით პროფ. გ. ჩუბინაშვილს იგი VII ს-ის ძეგლად მიაჩნია.[1] მაგრამ მას მრავალჯერ განუცდია საფუძვლიანი გადაკეთება. იგი ნაგებია პატარა და საშუალო ზომის მქისედ დამუშავებული ლეგა ქვის კვადრებით, ნაგლეჯი ქვით და ქართული ჩვეულებრივი აგურით; ალაგ-ალაგ რიყის ქვაც ურევია. კუთხეები ამოყვანილია თითქმის მთლიანად თლილი ქვით; ლავგარდანი თლილი მოუჭრელებელი ქვისაა, სარკმლები შემოსილია წითელი თირის კვადრებით. გადახურვა პრტყელი მოზრდილი ქვის ფილებისაა. გადაკეთება-შეკე-

[1] გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1936, გვ. 192.



სურ. 24. სიონი, სამრეკლო და მარინეს ეკლესია აღმოსავლეთიდან.

თების ნიშნები ბევრია: უწესრიგოდ ჩასმული სხვადასხვა ფერის ქვები, აქა-იქ აგური და სხვ.; კონქისა და დასავლეთის კედლებში სარკმლების ზემოთ ჩასმულია წითელი თირის ჯვრები; კუთხეებში საგანგებო კუთხის ლავგარდანებია გაკეთებული ტაძრის ნახევარსიმაღლეზე ცოტა უფრო დაბლა; სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში ჩასმულია წითელი ქვა, რომლის ცალ პირზე გამოქანდაკებულია ბოლნისური ჯვარი კვარცხლბეკიან მედალიონში (სურ. 25). სამხრეთიდან ტაძარზე მიშენებულია მის მსგავსად ნაგები კარიბჭე და სანათლავი (სურ. 26), ჩრდილოეთიდან – სამკვეთლო, რომელზედაც დასავლეთიდან მიშენებულია კიდევ ერთი ოთხკუთხა ნაგებობა, ახლა სანახევროდ ჩამონგრეული, რომლის კედლები გარედანაც და შიგნიდანაც კარგად გათლილი ლეგა ფილაქნებითაა შემოსილი.[1] სალაროსა და სამხრეთ კარიბჭეს ისეთივე ლავგარდანი აქვს როგორიც თვით ტაძარს. ამ კარიბჭის კედელში გარეთ, კარიდან მარჯვნით, ჩასმულია წითელი თირის ფილაქანი განგებ ამოტეხილი ქართული მთავრული წარწერით. საინტერესოა რომ, როგორც ეს სახურავის გადაწმენდის დროს გამოირკვა, სამხრეთი კარიბჭე, ნაწილობრივ მაინც (სახურავი მეტად დაშავებულია), გადახურული ყოფილა კრამიტით და ისეთივე კვადრატული თიხის ფილებით, როგორიც ციხის აბანოს სახურავს უფენია. კარიბჭეზე შიგ სახურავში ჩაშენებული ჭურჭელიც აღმოჩნდა: ჭურჭელი სადაა, მაგრამ დიდი ზომის და საინტერესო მოყვანილობისაა: ერთი წითელი თიხის ნაჩვრეტებიანი ქილის ფრაგმენტი, შავი თიხის ძირგავარდნილი ქილა, რომელიც შემკულია მრგვალი, თავთხელად ბურცული კოპებით, და დიდი ორყურა სადღარი შავი თიხისა, ესეც ძირ-

[1] ეს მინაშენი უბრალო ოთახსა ჰგავს; სხვათა შორის, აქ იყო ნაპოვნი ფილაქანი სამსტრიქონიანი არაბული წარწერით.

სურ. 25. ჯვრიანი ქვა სიონის სამხრ.-დასავლეთ კუთხეში.

გავარდნილი. რა დანიშნულება ჰქონდა ამ ჭურჭელს კარიბჭის სახურავზე, გამოურკვეველი დარჩა.

დასავლეთიდან სიონს კიდევ ერთი კარიბჭე აქვს მიშენებული, რომლის შესახებაც ქვემოთ ცალკე გვექნება საუბარი (სურ. 27).

შიგნით სიონის კედლები და სწორკუთხოვან პილასტრებზე გადაგდებული ნახევარ-ფარგლოვანი თაღები გამოყვანილია აგურნარევი ქვით (სურ. 28). აგური ზოგი ჩვეულებრივი ზომისაა (23×23 სანტ.), ზოგი კი ისეთივე მოზრდილი ფილებია, როგორიც სამხრეთი კარიბჭის სახურავისა (28,5×28,5 სანტ.).[1] კედლები გალესილი იყო ბათქაშით და საკურთხეველში ფრესკული მხატვრობით იყო შემკული: წმინდანების გამოსახულებანი და წარწერები აქ ჯერ კიდევ საკმაოდ კარგად ჩანს. ტაძრის დასავლეთი შესავალი

[1] ეს ფილები ტაძრის შიგნით არ გამიზომია.



სურ. 26. სიონი სამხრეთიდან.

უნინ მაღალ მალს წარმოადგენდა, რომელიც მერმე დაუპატარავებიათ, სამხრეთი შესავლის ნირთხლის ქვად კი ნახმარია უშველებელი ორთოსტატი, რომელიც, როგორც ამას საყუნნურე ღრუ და ქვის მოყვანილობა გვიჩვენებს, უნინ კარის ძირის ქვა ყოფილა. დაბალ ქვის კანკელში ჩაშენებულია არაბული წარწერიანი ქვა, ხოლო საკურთხევლის სამხრეთკედელში – პატარა თლილი ფილაქანი, ზომ. 032×0,32 მ, საინტერესო ბარელიეფით (სურ. 29). ორი მამაკაცი დგას en face; მათ შორის მოთავსებულია მაღალი კვარცხლბეკიანი ჯვარი.[1] ჯვარი სიმაღლით კაცების ყურებამდის აღწევს. ყველაფერი ჩასმულია სადა ჩუქურთმიან ჩარჩოში, რომელიც ქვემოთ ნიადაგის როლს ასრულებს – ზედ დგანან გამოსახული ფიგურები, ზედვეა დაყრდნობილი ჯვარის ხარისხი. მარჯვენა ფიგურა ცოტათი უფრო მაღალია მარცხენაზე; მას ფეხები აღარ უჩანს, ქვა იმ ადგილას ჩამოტეხილია. საზოგადოდ, ბარელიეფი ძალიანაა ნაშლილი, დეტალები ძლივსღა გაირჩევა. ორსავ მამაკაცს ერთნაირი ქუდები ახურავთ, რომლებიც თავისი მოყვანილობით მოგვაგონებენ საფარის ფრესკებიდან ცნობილი ათაბაგების თავსაბურავს (XIII-XIV სს.). ორივე წვერიანია, ორივეს მარჯვენა ყურზე თითქოს საყურე აქვს გაკეთებული. კაბებიც მათ, საერთო შთაბეჭდილებით, ერთნაირი აცვიათ: საყელოამოჭრილი და გადაკეცილი, წინ შეკრული (მარცხენა ფიგურას კარგად ეტყობა ღილები სარტყლამდე), წელში ვინრო, რკალად ამოჭრილი კალთით; კაბა მოკლეა, მხოლოდ მუხლებამდის ჩამოდის და მის ქვეშ ჩანს ისევე ამოჭრილი დაჭრელებული პერანგის აშია (ეს დეტალები უკეთ ჩანს მარცხენა ფიგურაზე). ორივეს წელზე სარტყელი აკრავს; მარცხენა ფიგურაზე კარგად ჩანს სარტყლის ბალთა, რომელიც თითქოს ძვირფასი თვალით უნდა ყოფილიყო შემკული, და აგრეთვე წინ გადმოგდებული სარტყლის ბოლო. მარჯვენა ფიგურას მარცხენა

[1] პროფ. ივ. ჯავახიშვილი ჰფიქრობს რომ ეს საგანი ბარია; მართლაც, თავისი მოყვანილობით იგი ჰგავს ბარს ან ნიჩაბს თავისი ტარით, მაგრამ ტარზე ზემოდან უთუოდ კიდევ ჯვარია დადგმული.



სურ. 27. სიონი დასავლეთიდან.

სურ. 28. სიონის სამხრეთი კედელი შიგნით.

სურ. 29. ბარელიეფიანი ქვა სიონის საკურთხევლის სამხრეთ კედელში.

სურ. 30. სიონის დასავლეთი კარიბჭე ჩრდილოეთიდან.

ხელის სახელო თითქოს ყურთმაჯიანი აქვს, მარჯვენა ხელზე კი სახელო ნორმალურია; მარცხენა ფიგურას მარცხენა ხელი სულ არ უჩანს, მარჯვენაზე კი ამასაც ნორმალური სახელო აქვს. მარცხენა ფიგურას მაღალყელიანი ფეხსამოსი აცვია. ორსავ ფიგურას მარჯვენა ხელი აპყრობილი აქვს, ორივეს ხელში რაღაც მცენარეული ტოტი უჭირავს. სცენას სიმბოლური ხასიათი უნდა ჰქონდეს.

ტაძარში გდია რამდენიმე გრძელი თლილი ქვა არაბული ნარწერით, რომლებიც, საყუნწურეთა მიხედვით, კარის ქვებად ყოფილა გამოყენებული. ტაძრის ზოგიერთი

სურ. 31. სიონის დასავლეთი კარიბჭე სამხრეთიდან.

სარკმელი ნაწილობრივ ამოშენებულია ქართული ჩვეულებრივი აგურით. აღვნიშნავ კიდევ რომ სანათლავსაცა და სალაროსაც თავ-თავისი საკურთხეველი აქვთ.

დასავლეთიდან სიონს მიშენებული აქვს სულ სხვა სტილისა და სულ სხვა ნაგებობის კარიბჭე (სურ. 27), ყველაზედ უფრო შესანიშნავი შენობა დმანისში. მდიდრულად შემკული ჩუქურთმებითა და ბარელიეფებით.[1] მას მხოლოდ სამი კედელი აქვს, მეოთხე,

[1] ეს შენობა ღირსია მონოგრაფიული შესწავლისა, რომელსაც აქ ჩვენ ვერ გამოვუდგებით.



სურ. 32. სიონის W-კარიბჭის შესავლის სამხრეთი პილასტრი.

აღმოსავლეთი კედლის მაგივრობას სიონის დასავლეთი კედელი სწევს. კარიბჭის კედლები ნაგებია საშუალო ზომისა და პატარა ნაგლეჯი ქვით ქვიტკირზე. გარედან სამივ კედელი, და აგრეთვე ყველა სვეტი და თაღი, როგორც გარეთ, ისე შიგნით, შემოსილია ბაცი მწვანე ფერის რბილი ქანის თლილი ფილაქნებით.[1] ლავგარდანიცა და სახურავის

[1] ასეთი ქანი, როგორც სოფ. ბოსლების მცხოვრებლებმა მითხრეს, ახლახან კვლავ აღმოუჩენიათ მაშავრის გაღმა, ლუკუნის მთაში; ამ ქვითაა ნაგები სამების ეკლესიაც ბოსლებსა და კაკლიანს შორის; ახლა ვითომ სახლებს აშენებენ კაკლიანში ამ ქვით.



სურ. 33. სიონის W-კარიბჭის სამხრეთი სვეტი.

ლორფინებიც ამ ქვისაა. შიგნით კედლები არ ყოფილა პერანგით შემოსილი, ამ ჟამად გაძარცულია, მაგრამ ალაგ-ალაგ ეტყობა ბათქაშით შელესილობის ნაკვალევი. იატაკი მოკირწყლულია XVIII ს-ის საფლავის ქვებით. რადგან კარიბჭეს გადახურვა ჯვარედინი აქვს, შიგნით კი აყვანილია ნახევარსფერული კამარა, ამიტომ სახურავსა და ჭერს შორის დარჩენილი ცარიელი ადგილი სამალავივით მოუწყვიათ, რომელიც სამი მხრიდან უვლის კამარას, შესავალი აღმოსავლეთიდანა აქვს, ხოლო სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან პატარა სარკმლებით იხედება შიგნით კარიბჭეში. მთლიანად ეს შენობა, ცოტა არ იყოს, უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენს: მაღალი მხატვრული გემოვნება, რომელიც

სურ. 34. სიონის W-კარიბჭის სამხრ.-აღმოსავლეთი აფრა და კამარის ნაწილი.

ამ ნაგებობის ყოველ ნაკვთში გამოსჭვივის, როგორღაც შელახულია, წინააღმდეგობითაა სავსე. ჯერ-ერთი იგი, როგორც უკვე ბართოლომემ შენიშნა, ნამეტანი დიდია სიონისათვის და, რომ დავუკვირდეთ, შეუხამებლადაა მიდგმული მის დასავლეთ ფასადზე. გარედან, მეტადრე სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან რომ შეხედოთ მას (სურ. 30 და 31), უგუმბათო, სრულებით დამოუკიდებელს, თავისთავად ეკლესიასა ჰგავს: ჯვარედინი გადახურვაც, სარკმლებიც, თახჩებიც, ყველაფერი ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს. შესავალი კი, მაღალი და ფართო, ისრული ღია თაღი, სრულებით უჩვეულოა ეკლესიისათვის. მსგავსი თაღი ამკობს, მაგ., ახტალის ტაძრის ერთ-ერთ შესასვლელს,

სურ. 35. სიონის W-კარიბჭის ლავგარდანის ჩუქურთმა.

მაგრამ აქ ის კარის ჩარჩოს წარმოადგენს,[1] დმანისის სიონის კარიბჭეს კი თავდაპირველად კარი არ ჰქონდა.[2] შიგ რომ შედიხართ, წინააღმდეგობა გარეგან ასახულობასთან კიდევ უფრო ღრმავდება: აქ ოთხ სვეტზე დაყრდნობილ თაღებზე (სურ. 32 და 33) ამართულია ნახევარსფერული კამარა (სურ. 34), – გარედან სრულებით მოულოდნელი რამე. და თუ გარედან კარიბჭის კედლები და მათი შემოსილობა აუცილებელი ჩნდა, შიგნით, პირიქით, თქვენ არ გინდათ დაიჯეროთ რომ ამ შენობის გეგმაში კედლები იმ თავითვე იყო გათვალისწინებული, თქვენ გგონიათ რომ კედლები მერმე ამოუყვანიათ, რომ თავდაპირველად კარიბჭე სამი მხრით მაინც აუცილებლად ახდილი უნდა ყოფილიყო. და აქაც კედლების შეუმოსველობა, განის მცირე თაღების დაბჯენა კედლებში ჩადგმულ თარხნებზე – ყველაფერი აძლიერებს ამ შთაბეჭდილებას. თითქოს ორი სხვადასხვა შენობა იყოსო. და მაინც ეს არის კლასიკური ხანის ძეგლი. ეს ეტყობა მის გარეგან შემკულობასაც. შემკულია არა მარტო გარეთა კედლები, არამედ შიგნითაც სვეტები დაჭრელებულია მრავალნაირი ჩუქურთმებით. გარედან კედლებში მოხდენილი კუნუბოებიანი თახჩებია ჩადგმული, ზოგი მრგვალი და ზოგიც კუთხოვანი. მოჩუქურთმებულია შესავლის თაღი მთლიანად, ლავგარდანი (სურ. 35), სვეტისთავები და ხარისხები, სარკმლები. წნული და ხლართული სახეები, ფოთლოვანი და ყვავილოვანი მოტივები სასიამოვნო და უსასრულო მწკრივით ენაცვლებიან ერთმანეთს შენობის სამსავ ფასადზე. ანალოგიების პოვნა მოტივების მხრით XI-XIV საუკუნეების სხვა ქართულ

[1] ნ. გ. ჩუბინაშვილისა და ნ. სევეროვის „ქართული არქიტექტურის გზები", თბ. 1936, გვ. 129.

[2] ასეთი ახდილი ფართო მალი აქვს რკონის ტაძრის კარიბჭის შესავალსაც (გ. ჩუბინაშვილი, ქართ. ხელოვნების ისტ., ტ. I, თბ. 1936, გვ. 203, სურ. 161).



სურ. 36. სიონის W-კარიბჭე. ჩუქურთმიანი მედალიონი ჩრდ. სარკმლის ქვეშ.

ძეგლებზე ძნელი არაა: ასე მაგ., ერთი მედალიონის ფოთლოვანი ჩუქურთმა (სურ. 36) თავისი საერთო ხასიათით მოგვაგონებს ქუთაისის ტაძრის კარიბჭის ზოგიერთ სახეს;[1] ერთ-ერთი სვეტის ხარისხის ყვავილოვანი ორნამენტი (სურ. 37) მიემსგავსება საორბისის ეკლესიის სარკმლის ჩარჩოს შემკულობას;[2] მეორე სვეტის ხარისხის შემკულობა (სურ. 38) იკორთის ტაძრის ერთ-ერთი სარკმლის ჩარჩოს მოტივებს იმეორებს;[3] აქვე იკორთაში გვხვდება მსგავსი კუნუბოებიანი თახჩა;[4] ჩრდილოეთი სარკმლის ჩარჩო (სურ. 39) თბილისის მეტეხის ტაძრის ერთ-ერთი სარკმლის ჩარჩოს მიემსგავსება[5] და სხვ., ჩრდილოეთ კედელზე საყვავის ქვეშ ყვავილოვანი ჩუქურთმით გამოქანდაკებულია გვირგვინი, რომელიც თამარის გვირგვინს მოგვაგონებს ყინცვისის ფრესკზე (სურ. 40).

ბარელიეფები სვეტისთავებზეა გამოქანდაკებული (სურ. 41): როგორც საზოგადოდ ქართულ ხელოვნებაში, აქაც, საუცხოვო ჩუქურთმასთან შედარებით, ქანდაკება უფრო მდარეა. ჩუქურთმებს გავარჯიშებული ოსტატის ხელი ეტყობა. ქვა რბილია (იმდენად რბილი რომ ქარსა და წვიმასაც დიდხანს ვერ უძლებს) და რელიეფი ღრმად და თამამადაა ამოღებული. ამავე დროს ეს უხვი შემკულობა ფუფუნებას ჩვეული, მაძღარი და უკვე განაზებული ხელოვნების ნაწარმოებია.

კარიბჭიდან სიონში შესავლის ზემოთ და გვერდებზე, ე. ი. სიონის დასავლეთ კედელზე, კედლის მხატვრობა ყოფილა, რომლისაგან მხოლოდ გრუნტის ფერადებიღაა

---

[1] გ. ჩუბინაშვილისა და ნ. სევეროვის „ქართ. არქიტექტურის გზები", თბ. 1936, გვ. 103.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I-II, თბ. 1913, გვ. 260.

[3] ჩუბინაშვილი-სევეროვი, დასახელ. ადგ., გვ. 119.

[4] იქვე.

[5] ჩუბინაშვილი-სევეროვი, ნახს. ადგ., გვ. 127.

სურ. 37. სიონის W-კარიბჭის შესავლის სამხრ. პილასტრის ხარისხი.

დარჩენილი; მაღლა ძლივს განირჩევა კიდევ 4 თუ 5 ფიგურის ზედატანი და ერთი ფიგურის ნაკვალევი კარის მარცხნით.[1]

კარიბჭეს სამი წარწერა აქვს. ამათგან ერთი მოთავსებულია გარედან, შესავლის ზემოთ, ჩუქურთმიანი ჯვრის ორსავ მხარეზე (7 სტრიქონი), მეორე – შიგნით, სამხრეთ-აღმოსავლეთი სვეტის აღმოსავლეთის განის თაღზე (1 სტრიქონი), ხოლო მესამე – დასავლეთი ფასადის მარცხენა თახჩის ზემოთ (13 სტრიქონი).[2] სამივე წარწერა ამოკვეთილია მთავრულით, სამივე კიდურწერტილოვანია; განკვეთილობის ნიშნად სამსავ წარწერაში ორი წერტილი იხმარება (პირველში სამიც და ერთიც) თითო სიტყვის შემდეგ, მაგრამ ყოველთვის არა.[3]

---

[1] აღვნიშნავ კიდევ რომ სამხრეთ კედელში გარედან, სარკმლის ზემოთ ჩასმულია სომხური ხაჩქარი (ნ. სურ. 31), რომელიც ჩუქურთმის და საერთო ხასიათის მიხედვით XIII ს-ისა უნდა იყოს (წარწერა აღარ იკითხება). ეს ხაჩქარი მოტანილია აქ გარეუბნის სასაფლაოდან (ნ. ქვემოთ). რომ იგი კარიბჭის აშენების მერმეა აქ ჩასმული და თავდაპირველად საერთო მას ამ შენობასთან არა ჰქონდა რა, იქიდანა ჩანს რომ იგი სიმეტრიულად არ მოდის სარკმელთან (შდ. ჯვარი და გვირგვინი ჩრდილო-ფასადისა) და სრულებით არღვევს სამხრეთი ფასადის არქიტექტონიკას.

[2] რამდენიმე ცუდად ნაჯღაბნი ქართული მთავრული და სომხური წარწერა არის კიდევ კარიბჭის შიგნით სიონის დასავლეთ კედელზე, შესავლიდან მარცხნით (ბათქაშზეა ამოჩხაპნილი, აღარ იკითხება).

[3] დიდი 9-სტრიქონიანი მთავრული წარწერა ჰქონდა, როგორც უკვე აღინიშნა, სიონის სამხრეთ კარიბჭესაც, ორ ქვაზე მოთავსებული. თუმცა ეს ქვები ისე უშნოდაა ჩადგმული კედელში (თანაც ისინი სულ სხვა, რბილი წითელი ქანის ქვებია), რომ ადვილი შესაძლებელია, წარწერა თავდაპირველად აქ არ ეკუთვნოდა. ეს წარწერა განგებაა გაფუჭებული (განსაკუთრებით

სურ. 38. სიონის W-კარიბჭე. დასავ. ფასადის მარცხენა თახჩის მარცხენა პილასტრის ხარისხი.

პირველი წარწერა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, ჯერ ბროსესა და მერმე თაყაიშვილს წაკითხული აქვთ, მაგრამ მათი წანაკითხი შეიძლება ცოტათი შეივსოს. ეს წარწერა მოთავსებულია 12 სხვადასხვა ზომის ქვაზე და ნაწილობრივ ძალიან არის დაშავებული ატმოსფერული ზეგავლენით, ისე რომ მისი აღდგენა მთლიანი სახით ჭირს;

საფუძვლიანადაა ამოტეხილი მე-3 და მე-4 სტრიქონები) და აღარ იკითხება, შეიძლება მხოლოდ ცალკეული ასოების გარჩევა. მაგრამ თავისი პალეოგრაფიულის ხასიათით იგი ძალიან მიაგავს დასავლეთი კარიბჭის წარწერებს. უკანასკნელ სტრიქონში, სწორედ იქ საცა მარჯვენა ქვა ამოტეხილია (ეს ამონატეხი ქვას უკვე მაშინ ჰქონდა, როცა წარწერა გააკეთეს), იკითხება: „:ი̄:ბ̄:“ ცხადია რომ ეს ციფრებია და რადგან სწორედ ბოლოშია მოსალოდნელი ქორონიკონი, ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ რომ აქ თარიღი გვაქვს: 62=1374 წ. რა თქმა უნდა, დანამდვილებით არა ითქმის რა. ერთგან კიდევ იკითხება თითქოს „დმანისი“.

სურ. 39. სიონის W-კარიბჭე. ჩრდილო-კედლის სარკმელი.

განსაკუთრებით დაზიანებულია ორი შუა ფილაქანი ჯვარის მარჯვნით, რომელთაგან ერთზე წარწერა სულ გარეცხილა, მეორეზე კი მხოლოდ კვალი ღა ჩანს ასოებისა. მაინც კონტექსტის მიხედვით აქაც უმეტესი ნაწილი წარწერებისა აღიდგინება.

ამ წარწერისათვის დამახასიათებელია „ი"-ნის ხმარება „ჲ"-ეს ნაცვლად და წინაუკუმოდ: 2 მმი, რომელსაც ქარაგმაც აკლია, 4 ბიძჲსა; „უ"-ნის გამოსახატავად „ო"-ნი იწერება: 7 გ˜ნოჴსნლდ; „ე"-ნის წინ „უ" კი არ იხმარება, არამედ „ვ"-ინია: 7 ჩვ˜ნთმცა, მზღვლი – ამიტომ მეც ყველგან „ვ"-ინსა ვხმარობ და „ვი" კომპლექსსაც „ჳ"-თი არ გადმოვცემ. ქარაგმა აკლია შემდეგ სიტყვებს: 1 წსა, 6 დაწრილი, რჲსცა, 7 ბრლთა, მხღვლი, თვდსი; პირიქით, მეტი აქვს ქარაგმა სიტყვას 7 [ეპკპ]˜ოს˜ი.

აი თვით წარწერაც:[1]

[1] კუთხოვან ფრჩხილებში ჩასმულია აღდგენილი ტექსტი, თითო პატარა ხაზი კი აღნიშნავს თითო ნაუკითხავ ასოს. ორი ვერტიკალური ხაზით აღვნიშნავ სტრიქონის გადასვლას ჯვარის მარცხენა მხრიდან მარჯვენაზე.



სურ. 40. ჩუქურთმიანი გვირგვინი სიონის W-კარიბჭის ჩრდილო ფასადზე.



სურ. 41. სიონის W-კარიბჭე. ერთ-ერთი ბარელიეფი.



სურ. 42. თევდოსი ეპისკოპოსის წარწერა სიონის W-კარიბჭეზე.

1. ·:ქ:· ს˜ხლითა:. ღ˜ჲთა: და მ˜ხბთა:· წსა: ღ˜სმშ[ობელისაჲთა] –– [დაამყ]˜რნ. ღ˜ნ:2. მ˜ფთა: მ˜ფბჲ:· გ˜ისი: რ˜ლთა. მ˜რ: ღ˜რს [ვი]ქმ||ნ.[1] მე [:მწჲ: მ˜თი:[2] ეპ˜კოპოსი:[3] თ]დსი:[4] მმი:კ

3. ა˜ლნპტს[5] ძე: აღშნბ˜დ: კ˜რსბჭსა: ამის. ს˜დდბლ||ად:[6] [ღ˜თ[7] დაც˜ლისა მ˜ფთა მ]ფბსა: მ˜თსა: დ

---

1 ამ სიტყვაში „ე"-ინის თავი კიდევ ჩანს. თაყაიშვილი, რომლის დროსაც ეს წარწერა ეტყობა, უკეთ ყოფილა შენახული, ამ სიტყვას უფრჩხილებოდ, ე. ი. აღუდგენლად კითხულობს.

2 ეს ორი სიტყვა აღდგენილია თაყ-ის წანაკითხის მიხედვით, რომელიც მათ აღუდგენლად კითხულობს.

3 ამ სიტყვას თაყ-ლი სულ არ კითხულობს, მაგრ. ქვაზე იმოდენა ადგილია მომდევნო სიტყვამდე, რომ 8 ასო მაინც უნდა დატეულიყო; მე აღვადგინე ამ წარწერის უკანასკნელი სტრიქონის მიხედვით, სადაც იკითხება „[ეპკპ]˜ოს˜ი: თვდსი: მ˜მსჲ:·"

4 თაყ-ლი კითხულობს: „ჭდსი"; ცხადია რომ აქ „თვდსი" უნდა.

5 თაყ-ლი კითხულობს: „კაზ˜ნპტს", მაგრამ „ლ" და არა „ზ" ძალიან კარგად ჩანს.

6 თაყ-ლი კითხულობს: „სდდბლ[დ]": უკანასკნელი „დ" კარგად ჩანს, მის წინ კი ნაკვალევის მიხედვით უთუოდ „ა"-ნი იყო, ადგილიც ბევრია.

7 ამ ორი ასოს ძირა ნაწილები კიდევ განირჩევა.

4. მ˜სჷსნბლად: ცოდვილისა.[1] ს˜ლისა:[2] ჩ˜ისა: ბიძისა: ჩ˜ისა. [ა]||ნ˜ტნს მშ˜ბ[ლ]თა: და [ნათესავთ]ა: [ჩ]მთ˜თს

5. ღ˜ისა:[3] ს˜ყრლისა˜თს: ლ˜ცსა: მ˜გჷსნნი[თ:[4] რ˜ა]. ღ˜ნ: თ˜ქნც ამ˜გჷსნ [ნეს[5] სასუფევლსა[6] მისსა:] ვინცა: ესე:

6. დაწრილი:[7] რისცა.[8] ----ს˜მნ:[9] აღ[მოჴოცო]ს:[10] კ˜[რლ]||მცა.[11] ა[რს ღისა [პირითა მკვდა]რი: და ცოცხ[ა]

7. ლი:· გ˜ნოჴსნლდ: და ჩ˜ვნთმცა:[12] ბრლთა: მზღვლი[13] არს. ||დ˜ღსა:[14] მ˜ს [გ]ნკთხ[ვისასა: ეპკპ]˜ოს˜ი: თვდსი: მ˜მსი:·[15]

ქარაგმების გახსნით ეს წარწერა ასე წაიკითხება:

„ქ. სახელითა ღმრთისაჲთა და მეოხებით წმიდისა ღმრთისმშ[ობლისაჲთა] - -, [დაამყა]რენ ღმერთმან მეფეთა მეფობაჲ გიორგისი, რომელთა მიერ ღირს [ვი]ქმენ მე, [მიწაჲ მათი, ეპისკოპოსი თევ]დოსი მამაი კალნაპეტის[16] ძე. აღშენებად კარისბჭისა ამის სადიდებელ[ა]დ [ღმრთივ დაცულისა მეფეთა მე]ფობისა მათისა და მოსაჴსენებლად ცოდვილისა სულისა ჩემისა, ბიძისა ჩემისა [ა]ნტონის, მშობ[ელ]თა და [ნათესავთ]ა [ჩე]მთათვის. ღმრთისა სიყვარულისათვის ლოცვასა მოგვიჴსენენი[თ რათა] ღმერთმან თქვენცა მოგიჴსენ[ნეს სასუფეველსა მისსა]. ვინცა ესე დაწერილი რაჲსაცა - - - - ს-მნ აღ[მოჴოცო]ს, კ[რულ]მცა ა[რს] ღმრთისა [პირითა მკვდა]რი და ცოცხალი განოჴსნელად და ჩვენთამცა ბრალთა მზღველი არს დღესა მას [გა]ნკითხ[ვისასა, ეპისკოპ]ოსი თევდოსი მამისაჲ“.

მეორე წარწერაც კარიბჭის აშენების დროისაა. იგი გვაუწყებს:

:ქ; ამის˜ა: შ˜ნბ˜ა: შ˜ა: შ˜სწრ˜ა აფ˜რნ[:]ლ დრ˜კი დღე გკ˜თა აღპდ ღ˜ს ბ˜ს შ˜ბი ვნ˜ც
დკს კრლ˜ც˜ა არს
უქარაგმოდ:

---

1 თაყ-ლი კითხულობს: „ც˜დვილისა“; „ო“-ნი შეწიაღებულია „ც“-ანში, ქარაგმა არაა.

2 თაყ-ლი კითხულობს: „ს˜ლსა“; „ს˜ლისა“ კარგად ჩანს.

3 თაყ-ლი კითხულობს: „ღ˜სა“; ჩემის აზრით „ი“ მაინც განირჩევა.

4 თაყ-ლი კითხულობს: „მოიჴსნნეთ“; „ო“ ნამდვილად არაა; მესამე ასო „გ“ უნდა იყოს (ფეხი აქვს); ბოლოში „ე“ ნამდვილად არაა, პატარა „ი“-ნია.

5 თაყ-ლი კითხულობს: „მოგიჴსნნეს“, „ო“ და „ი“ ნამდვილად არ სწერია.

6 თაყ-ლი კითხულობს: „სსფვლსა“ აღუდგენელად, მგრ. აქ იმდენი ადგილია ქვაზე რომ უეჭველია ასოების მეტი რაოდენობა უნდა დატეულიყო.

7 თაყ-ლი: „დაწერილი“; „ე“-ნი ნამდვილად არაა.

8 თაყ-ლი: „რისც“; „ა“-ნი კარგად ჩანს, იგი შეწიაღებულია „ც“-ანში.

9 აქ მოსალოდნელი იყო „მიზეზითა“ და თაყ-ლიც ასე კითხულობს („მზეზითა“), მაგრ. ნამდვილად ასე უფრო იკითხება თითქოს: „აგთო˜სმნ“ (?)

10 თაყ-ლი: „დაშალოს“; მარცვალი „აღ“ კარგად ჩანს; ეგებ „აღშალოს“ ეწერა?

11 თაყ-ლი: „კრლცა“, მაგრ. „მ“-ანი კარგად ჩანს.

12 თაყ-ლი: „ჩნთმცა“; „ვ“ კარგად განირჩევა.

13 თაყ-ლი „მზღველი“; „ე“-ნი ნამდვილად არ სწერია.

14 თაყ-ლი: „დღესა“; „ე“-ნი ნამდვილად არ სწერია.

15 თაყ-ლი უკანასკნელ სიტყვებს ასე კითხულობს: „გნკთხვისსა... ო˜: მფ. ძს. ს˜ი; თვდსი: მ˜მფ.“; „თვდსი“-ს წინ კარგად ჩანს „-ოსი“; უკანასკნელ სიტყვაში კი „ს“-ანი იმიტომ ჰგავს „ფ“-არს, რომ „ჲ“ ზემოდანა აქვს მიწერილი; დანარჩენი კი სულ აღარა ჩანს რა.

16 ან „კალნაპატის“.

„ქ. ამისა შენებასა შინა შემოსწირა აფრიდონ ლ- (30) დრაჰკანი. დღე გაოკვეთა აღაპად ღმრთისმშობლის შობაᲘ, ვინცა დააკლოს, კროლმცა არს“.[1]

მესამე, ყველაზე უფრო მნიშვნელოვან წარწერასაც ბროსე და თაყაიშვილი იცნობენ, მაგრამ მათი წანაკითხი შეიძლება შეივსოს, თუმცა მთლიანად ამ წარწერის აღდგენა, ქვების დიდი დაზიანებულობის გამო, ვერ ხერხდება. იგი მოთავსებულია 9 ქვაზე: ამათგან მარცხნიდან პირველი ორი ქვა ჩამოვარდნილია,[2] მესამე და მეოთხე ქვები ძალიანაა დაშავებული, ისე რომ ზოგან აღარა იკითხება რა, მეორე წყების მეორე ქვას ზემო ნაწილი სულ ჩამოტეხილი აქვს,[3] ხოლო ამავე წყების მესამე ქვაც ძლიერაა გადარეცხილი. ამ წარწერასაც „ი“-ნისა და „Ი“-ეს მონაცვლეობა ახასიათებს: 1 ღ-თსით[ა]=ღმრთისაითა, 2 წᲘ˜სა=წმიდᲘსა, ვ[ნ]Ი˜შნᲘ=[ნ]ᲘშანᲘ, დმნᲘ˜სის[ა]=დმანᲘსის[ა], 5 სამართლᲘ=სამართალᲘ 6/7 [დდ]ბ˜ლᲘ=დადებულᲘ, 7 სმრ˜თალᲘ=სამართალᲘ. დმნ˜Ისისა=დმანᲘსისა, 8 დავᲘ˜თს=დავᲘთის, 12/13 ოროგᲘნე (sic).

აქაც „უ“-ნი გამოიხატება „ო“-ნით: 4 შემოს-ოლსა=შემოსულასა, 5 ომეყვსოთ[ა]=უმეყვსოთ[ა], ო[ბრ]ლოთ[ა]=უ[ბრა]ლოთ[ა], 6 მოშოებდს=მოუშუებდეს, 10 ქოეშე=ქუეშე, მაგრამ უხმოვნო როგორც ვხედავთ, აქ იხმარება.

ქარაგმა აკლია შემდეგ სიტყვებს: 3 მმნ=მამამან, 5 იქნბოდა=იქნებოდა, 6 მოშოებდს=მოუშუებდეს, 9 ვნცა=ვინცა. აღოს=აღჴოცოს?; მეტი აქვს ქარაგმა სიტყვებს: 6 ა˜რ, ვი˜რე, [ვᲘ]თ˜[ა] 7 ი˜ყო, 11 ნეს˜ტორ.

ასოების მოხაზულობისათვის შეიძლება ინტერესს მოკლებული არ იყოს ის გარემოება, რომ „ა“-ნს ბოლო ქვეითკენ აქვს მოხრილი, თუმცა გვხვდება ზევითკენ ახრილიც, იმ დროს როდესაც პირველმა ორმა წარწერამ ქვეითკენ დახრილი „ა“-ნის ბოლო არ იცის, და ის რომ „დ“-ონის ძირი ნაწვეტებულია, პირველი ორი წარწერის „დ“-ონი კი ყოველთვის მომრგვალებულია; „ო“-ნს ყველგან, ერთი შემთხვევის გარდა (10ქოეშე), ნიღრი ქვეითკენა აქვს დახრილი, პირველ წარწერაში კი „ო“-ნი სულ ორჯერა გვხვდება და ორჯერვე ნიღრით ზევით.

მესამე წარწერა, როგორც მისი შინაარსიდან ირკვევა, პირველ ორთან შედარებით, მერმინდელია.

აი თვით ტექსტიც (სურ. 43):

1. ქ: სა[ხელ]ითა: ღ˜თსით[ა და მ]ეო[ხებთა][4]
2. [ყ]˜დ წ˜Ისა ღ˜სმშობ[ელისაᲘთა[5] ესე დაწრᲘ]
3. ლი:[და]:[ნ]Ი˜შნᲘ[6]: მ[ე][7] დმ˜ნᲘსის[ა][8] მმნ:----------

---

[1] ე. თაყაიშვილს აქვს წაკითხული ეს წარწერა, მაგრამ შეცდომებით.

[2] საერთო ასახულობის ფოტოსურათზე ეს ქვები არაა, ვინაიდან პირველი ქვა დიდია და მის ადგილზე დადგმა ვერ მოვახერხეთ (მისი წარწერა ცალკეა გადაღებული), მეორე ქვა კი მერმე ვნახეთ მიწაში.

[3] დაკარგული ფრაგმენტი ფოტოსურათზე არ მოხვდა იმის გამო, რომ იგი მერმე აღმოჩნდა მიწაში, კარიბჭის ახლოს. იგი ორადაა გადატეხილი. ორივე ნატეხი ინახება დმანისის სიონში და კარიბჭის რესტავრაციის დროს თავის ადგილზე იქნება ჩასმული.

[4] ამ სიტყვაში ნაკვალევი ჩანს „მ“-ანის თავის, „ხ“-ანის ბოლოსი და „ბ“-ანის თითქმის მთლიანად.

[5] უკანასკნელი მარცვალი „თა“-ს ნაკვალევი კიდევ განირჩევა ამ სტრიქონში.

[6] პირველი „ნ“-არის თავის და მუხლის ხაზებიც ჩანს.

[7] ჩანს „ე“-ნის თავი.

[8] შენახულია უკანასკნელი „ა“-ნის სარქვლის ბოლოკიდური წერტილები.



სურ. 43. სიონის დასავლ. კარიბჭე. წარწერა ქორწინებისათვის.

4. ეკლ˜ესიასა[1] კარის[ბ]ჭე[სა: დაუდე: ჩ]მსა: შემოსო˜ლსა: [შ˜ნა]----მ--[2]
5. სამ˜რთლი: იქნბოდა: ომეყვსოთ[ა] ო[ბ˜რ]ლოთ[ა[3] ქა]ლ[4] ყმ[თა]: [მ]მდ[დთა[5] ქორ]
6. ნნებ˜ად: ა˜რ მოშოებდს: ვ˜ირე: ოქროსა: არ: [აიღ]˜ებდეს:[6] [ვი]˜თ[ა[7]]:----[8] [დდ].
7. ბლ˜ი: სმრ˜თალი: ი˜ყო: ეგრე: ჩემსა: დმნ˜ისისა [მ]მმთვრ˜[ობ]სა:[9] ში[ნა]---[10]
8. თ˜ოი[ს]:[ამღ]˜ია:[11] დავ˜ითს: [დღ]ეგრ[ძე]ლობ[ისთს].[12]

---

1 ეს სიტყვა ჩამოვარდნილ ლავგარდნის ქვაზე სწერია.

2 „მ“-ანის მაგივრად შეიძლება ქარაგმიანი „რ“-აე იყოს; ამის შემდეგ კიდევ ერთი ასოს მუცლის ხაზი ჩანს („მ“ ?).

3 ეს სიტყვა, გარდა უკანასკნელი „ა“-ნისა, ორს ჩამონატეხზე სწერია.

4 ამ სიტყვაში შენახულია „ქ“-ანის სარტყლის და „ა“-ნის სარქვლის ბოლოგიკური წერტილები.

5 ამ სიტყვაში პირველი „მ“-ანის ნაკვალევიც განირჩევა.

6 შერჩენილი ნიშნები თითქოს არ ამართლებენ აქ წარმოდგენილ აღდგენას; პირველი აღდგენილი მარცვლის ზემოდან თითქოს კიდევ ქარაგმის ნიშანი ჩანს.

7 ჩანს „ვ“-ნის თავის და „ი“-ეს ბოლოკიდური წერტილები.

8 აქ გაირჩევა თითქოს „დ“-ონის სარქვლის ბოლოკიდური წერტილები და „მ“-ანის მუცლის ნაკვალევი – „დმან=დმანის“?.

9 პირველი „მ“-ანისა მხოლოდ მუცლის წარზიდულის ბოლოკიდური წერტილიღა ჩანს.

10 აქ თითქოს ჯერ „დ“-ონის სარქვლის ბოლოკიდური წერტილები ჩანს, მერმე „ი“-ნი, მერმე თითქოს „ა“-ნი ან ისევ „დ“-ონი.

11 პირველი სამი ასოს ზემო ნაწილი კარგად ჩანს.

12 ჩანს „დ“-ონის სარქვლის ბოლოკიდური წერტილები, „ღ“-ანის ზურგი, „ძ“-ილის მუცელი, „ე“-ნის ნაკვალევი; უკანასკნელი ოთხი ასოს აღდგენა სათუოა, მაგრამ შემონახული ბოლოკიდური წერტილების მიხედვით სხვა არა წაიკითხება რა.


დმანისი
სამრეკლო
ძირა სართული
მაღლა სართული

ნახ. 9.


დმანისი.
სამრეკლო
განაკვეთი AB
განაკვეთი CD

ნახ. 10.



ნახ. 11.

9. და ვინცა: [შ]ემდგმდ: ჩემ[სა]:[1] აღოს:
10. წყევს˜ამ[ცა] ქოეშე: არ[ს] ვით
11. ა: ნეს˜ტორ:
12. დ ოროგ
13. ნე: ა˜ნ:·

ქარაგმის გახსნით ეს წარწერა შემდეგნაირად ნაიკითხება:

„ქ. სა[ხელ]ითა ღმრთისაით[ა და მ]ეო[ხებითა ყ]ოვლად წმიდისა ღმრთისმშობ[ე-ლისაითა, ესე დაწერი]ლი [და ნ]იშანი მ[ე], დმანისის[ა] მამათმთავარმან--- ------- ეკლესიისა კარის[ბ]ჭე[სა დაუდე. ჩ]ემსა, შემოსულასა [შინა]. ---მ—სამართალი იქნე-ბოდა: უმეყვსოთ[ა] უ[ბრ]ალოთ[ა ქა]ლ-ყრმა[თა,მ]ამადე[დათა ქორ]წინებად არ მოუ-შუებდეს, ვირე ოქროსა არ [აიღ]ებდეს. [ვი]თ[ა]----[დად]ებული სამართალი იყო, ეგრე ჩემსა დმანისისა [მ]ამათმთავრ[ობ]ასა ში[ნა]. –თოი[ს ამიღ]ია დავითის [დღ]ეგრ[ძე] ლობ[ისათვს]. და ვინცა [შ]ემდგომად ჩემ[სა] აღჴოცოს, წყევასამ[ცა] ქუეშე არ[ს], ვითა ნესტორ და ოროგინე, ამენ“.

როგორც პროფ. ივ. ჯავახიშვილმა შენიშნა, ეს მესამე წარწერა თავისი შინაარსით ათარიღებს პირველ ორს და ამგვარად თვითონ კარიბჭის აღშენებასაც. პალეოგრაფიუ-ლად სამივე წარწერა, ზემოხსენებული მცირეოდენი სხვაობის გარდა, ერთმანეთში არ განირჩევა და სხვა კარგად დათარიღებულ წარწერებთან შედარებით მათი განსაზღვრა

[1] შენახულია უკანასკნელი ორი ასოს ქვემონაწილები.

სურ. 44. სამრეკლოს ჭერის თაღები.

შეიძლება მხოლოდ საკმაოდ გრძელი პერიოდით XII ს-ის დამლევიდან XIV ს-ის დამდეგამდე. პირველ წარწერაში იხსენიება მეფეთა მეფე გიორგი, მესამეში კი დავითი.[1] მესამე წარწერაში ყველაფერი კარგად არ იკითხება, მაგრამ ის მაინც ნათელია რომ დმანისის ეპისკოპოსი სპობს დმანისში შემოღებულ უმართებულო წესს, როდესაც კანონიერი ქორწინებისათვის ოქროს გამოღებას თხოულობდნენ. ე. ი. ის ისევე მოქმედებს, როგორც ეპიფანე კათალიკოზი, რომელმაც 1218 ნ. ანისში შეამცირა მძიმე გადასახადები (პირველყოვლისა „გურგუნთა კურთხევისათუს"), რომლებსაც იქაურ ქართველ ანუ მართლმადიდებელ მოსახლეობას სასულიერო წოდება ამათუიმ მომსახურეობისათვის ართმევდა.[2] ეს გარემოება, იმასთან დაკავშირებით, რომ შემდეგში, როგორც ეს 1262/3 წლ. საეკლესიო კრების დადგენილებიდან ვიცით, ამ კონფლიქტმა მრევლსა და სამღვდელოებას შორის საყოველთაო ხასიათი მიიღო,[3] განსაზღვრავს მესამე წარწერაში მოხსენიებულ დავითს როგორც ლაშა-გიორგის ძეს ულუ-დავითს, ხოლო პირველ წარწერაში მოხსენიებულ მეფეთ-მეფე გიორგის, როგორც გიორგი ლაშას. კარიბჭე აშენებულია, მაშასადამე, გიორგი ლაშას დროს, ანუ 1214-1222 წლებში.[4]

---

[1] სწორედ ის რომ ეს დავითი უფრო ახლო განსაზღვრული არაა, არამედ იგულისხმება რომ მას ყველა იცნობს, უეჭველად ხდის რომ იგი მეფეა და არა სხვა ვინმე.

[2] ნ. Н. Я. Марр. Надпись Епифания, католикоса Грузии, Изв. Акад. Наук, 1910, გვ. 1433-1442.

[3] ნ. გ. გოზალიშვილის მიერ გამოც. ულუ-დავითის დროინდელი საეკლესიო კრების დადგენილება, საისტორიო მოამბე (საქ. ცენტრარქ. გამოც.), თბ. 1926, წიგნი I, გვ. 219-224 და ივ. ჯავახიშვილის ქართული სამართლის ისტორია I, თბ. 1928, გვ. 46 შშ.

[4] შემომწირველის აფრიდონის სახელიც, რომელიც ამ ფორმით, რამდენადაც ვიცი, XII ს-ის აქეთ აღარა გვხვდება, მიგვითითებს ამ ეპოქაზე. გარდა ამისა, როგორც ვნახავთ, დმანისის

სურ. 45. სამრეკლოს კიბე სამხრეთიდან.

თითქმის ზედ სიონის შენობაზეა მიდგმული მაღალი ოთხკუთხი შენობა, რომელიც სამრეკლოს ნაშთს წარმოადგენს (ნ. სურ. 24). ნაგებობით ეს შენობა ტაძრის ნაგებობაში არ განსხვავდება. მასაც არა ერთხელ განუცდია რესტავრაცია. თავდაპირველად მას ორი მაღალი ახდილი შესავალი ჰქონია აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან (ნახ. 9, 10 და 11). ეს ორი თაღად გამოყვანილი ახდილი მალი გვიჩვენებს რომ თავდაპირველად ეს შენობა სამრეკლოდ იყო განკუთვნილი. შემდეგში ორივე მალის უდიდესი ნაწილი ამოუშენებიათ, რაც კარგად ეტყობა წყობასაც, და მხოლოდ პატარა კუთხოვანი კარები დაუტოვებიათ, რომლებშიც თავისუფლად შესვლა არც კი შეიძლება. აღმოსავლეთიდან კარს ზემოთ ვიწრო სარკმელიც დაუტოვებიათ. მაშინ უნდა იყოს ჩაშენებული კარებში და ახლად გაკეთებულ სარკმელში წირთხლის ქვებად არაბული და ქართული წარწერიანი ქვები. ამ დროს უკვე სამრეკლო საცხოვრებელ ბინად იყო ქცეულის, რისთვისაც შიგნით, სამხრეთის კედელში, ბუხარი ჩაუშენებიათ, რომლის საკვამლე გარეთ გაუყვანიათ კედლის ჩანგრევის საშუალებით. მაგრამ მანამდე კიდევ ერთი საფუძვლიანი გადაკეთება განუცდია ამ შენობას. ახლა მისი გადახურვა გარედან პრტყელია. როგორი იყო ის უწინ, არ ვიცით, ხოლო, რომ აწინდელი სახურავი მერმინდელია, ეს იქიდანა ჩანს, რომ მის დამჭერ ჯვარედინ თაღებს (სურ. 44) შიგნიდან დაუხურავთ აღმოსავლეთი კედლის ძველი სარკმელი, რომელსაც ამ გვარად აზრი სრულებით დაეკარგა. როგორცა ჩანს, სამრეკლოს სახურავი ერთ დროს, რაიმე მიზეზის გამო, ჩანგრეულა. შესაძლებელია ის უწინ გუმბათოვანი იყო. ხოლო, ახალი პრტყელი ერდოს დადგმის დროს საჭიროდ დაუნახავთ მისი გამაგრება ქვევიდან ჯვარედინი, საკმაოდ უმწეო თაღებით. თაღები მეორე სართულიდანაა აყვანილი: ერთი თაღი გადაუგდიათ აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და სწორედ მან დახურა აღმოსავლეთის სარკმელი, ხოლო ორი თაღი წამოუღიათ ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან და პირველხსენებულ თაღზე მიუბჯენიათ. ამ თაღებს შორის ამოუყვანიათ კამარები. ამის გამო მეორე სართული ძალიან დაპატარავდა.



სურ. 46. ბარელიეფიანი ქვა მარინეს ეკლესიის სამხრ-აღმოსავლეთის კუთხეში.

აყვავებისა და სიმდიდრის ხანა სწორედ ულუ-დავითის მეფობაზე მოდის და ბუნებრივია ვიფიქროთ რომ საუკეთესო შენობასაც სწორედ ამ დროს ააშენებდნენ. ბროსე კარიბჭეს XIV ს-ის დამდეგით ათარიღებს ფიტარეთის წარწერის მიხედვით, რომელიც თვითონ დაუთარიღებელია. თაყაიშვილსაც არავითარი საბუთი არ მოჰყავს, თუ რატომ უნდა იყოს თევდოსის წარწერის გიორგი მეფე გიორგი ბრწყინვალე.

სურ. 47. ქვემოუბნის ეკლესია სამხრ. დასავლეთიდან.

რომ სამრეკლოს მეორე სართული ჰქონდა, ეს ჩანს არა მარტო კედლებში დარჩენილი საკოჭეებიდან და ზედა სართულის სარკმლებიდან, არამედ იმ ცალკე შესავლიდანაც, რომელიც ამ სართულს ჰქონდა და რომელიც დღემდე კარგადაა დაცული. ეს არის თაღოვანი ლამაზი ქვის კიბე (სურ. 45), მიდგმული ზედ სიონის სამხრეთ კარიბჭეზე და კონქზე, რომლითაც გარედან ადიოდნენ სამრეკლოს ზედა სართულში. აქ იყო მეორე სართულის თაღით ამოყვანილი, შედარებით დაბალი კარი. როგორც თავდაპირველი კარები ისე ფანჯრებიც ამ შენობაში უჩვეულოდ მაღალი და ფართოა. ამ მხრით მას დმანისში ციხის აბანოს დიდი ოთახი თუ შეედრება. ზედა სართულის სარკმლები (ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით), რამდენადაც ჩანს, კუთხოვანი ყოფილა, ძირა სართულის სარკმელი კი, რომელიც აგრეთვე ჩრდილოეთისაკენ გადის, ისრული თაღით იყო ამოყვანილი.

გადაკეთების სხვა მრავალი ნიშნებიც ეტყობა ამ შენობას: ასე, მაგ., ამოქოლვილი, გაუგებარი დანიშნულების თახჩა ჩრდილო-კედელში გარედან, კედლიდან უადგილო ადგილას გამოშვერილი რაღაც უცნაური წყობა ამ თახჩის გვერდით, კუფური წარწერიანი ქვა, ჩაშენებული სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში გარედან, პირველი სართულის სიმაღ-

სურ. 48. ქვის ვერძი ზემო-უბნის ეკლესიის სასაფლაოზე.

ლეზე და სხვ. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი გარემოება შეიძლება ერთგვარად მაინც გუმანს იძლეოდეს ამ შენობის დასათარიღებლად. საქმე ისაა, რომ არაბული წარწერიანი ქვა ჩაშენებულია შენობის ძირითად წყობაში და არ ჩანს, რომ ამ ადგილას კედელი ამოეტეხოსთ ამ ქვის ჩასადგმელად. თუ ასეა, მაშინ სამრეკლოს აშენება საკმაოდ გვიან უნდა ვივარაუდოთ, სახელდობრ, უკვე იმ დროს, როდესაც არაბულ წარწერას თავისი მნიშვნელობა სრულებით დაკარგული ჰქონია. მხოლოდ მაშინ შეეძლოთ ეს ქვა საშენად გამოეყენებიათ. ასეთი რამე კი ძნელი დასაჯერებელია XIV ს-ზე უფრო ადრე.

ბოლო დროს, დმანისელების თქმით, ეს შენობა, ვითომც, ბეღლად ყოფილა გამოყენებული. ხორბალი კიბით აჰქონდათ ზევით და იქიდან ჰყრიდნენ საგანგებოდ მოწყობილ საკუჭნაოებში, რომლებსაც ასაწევ-დასაწევი კარები ჰქონია. ეს მოწყობილობა, ვითომც, ამ ექვსიოდე წლის წინათ დაუნგრევია მღვდელს კეთილაძეს. თუმცა ბართოლომე ასეთი საკუჭნაოების მსგავსს არაფერს იუწყება, მაგრამ შიგნით სამრეკლოში ახლაც მართლა ჩანს რაღაც ნაგებობის ნაშთები ჩრდილო-კედლის გასწვრივ, სწორედ ზედა სართულის კარის ქვეშ; როგორი იყო კონტაქტი მეორე სართულთან, არა ჩანს.

სიონის ჩრდილო-აღმოსავლეთითა დგას პატარა ერთნავიანი შენობა, მარინეს ეკლესია (ნ. სურ. 24), რომელიც, როგორც მისი წარწერა მოგვითხრობს, 1702 წ. ყოფილა განახლებული. ეს ისედაც ეტყობა ამ შენობას: მის აღმოსავლეთსა და დასავლეთ კედლებში გარედან ჩაშენებულია ბევრი არაბული წარწერიანი ქვა (საფლავის ქვები მოტანილია, ალბათ, გარეუბნის მუსლიმანური სასაფლაოდან);[1] სამხრეთის კედელში ჩაშენებულია რამდენიმე ძველი ჩუქურთმიანი ქვის ფრაგმენტი; სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში გარედან ბარელიეფიანი ქვაა ჩასმული, რომელზედაც გამოსახულია, თითქოს, დროშის ალამი (სურ. 46); ცოკოლის წყობაც განსხვავდება კედლის წყობაში, ძველი დარჩენილი უნდა იყოს ან, ყოველ შემთხვევაში, აქ ძველი ფილაქნები გამოუყენებიათ. შესავალი ამ ეკლესიას სამხრეთიდანა აქვს. კარის წართხლის ქვად ჩასმულია აგრეთვე არაბული

[1] უმეტესობა ზემოხსენებული საფლავის ქვებისა XIII და XIV საუკუნეებითაა დათარიღებული.

წარწერიანი თლილი ქვა. ქართული მხედრული 4-სტრიქონიანი წარწერა მოთავსებულია გარედან შეასავლის ზემოთ ჩასმულ ლეგა ფილაქანზე. იგი გვაუწყებს:

„ქ: შესწევნითა (sic): ღ˜თისათა: მე: ფ˜დ: ცოვ[ი]ლმან(sic): ბატონის: შვილის: მარიამის: გამდელმან: ისახარ: | კ˜დ: განვახლე: დაქცეული: საყდარი: ესე: წი˜ს: მარინისა (sic): ცოდვ|ათა: ჩ˜ნთა: შესან|დობლ]ად: და: ბატონთა: ჩ˜ნთა: მოსახსენებლად: ქ˜ს ტ˜ჟ"

კიდევ ორი პატარა ეკლესიის ნანგრევი დგას ქალაქის გალავანს შიგნით. ესენი თითქოს უბნის ეკლესიების ნაშთებს წარმოადგენენ. ორივე ქალაქის აღმოსავლეთი ნაპირის გასწვრივაა გაშენებული: ერთი, ზემოუბნისა, ქალაქის შესავალი ქუჩის ჩრდილო-აღმოსავლეთითა დგას, კარიდან დაახლ. 150 მეტრის მანძილზე. მეორე, ქვემოუბნისა კი (სურ. 47) დაშორებულია პირველს 250-300 მეტრით ქვევითკენ, ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით. ეს ერთნავიანი მცირე ზომის შენობები საკმაოდ გვიან უნდა იყოს აგებული, რაც იქიდანა ჩანს რომ მათს კედლებში უადგილო ადგილას ჩაშენებულია ძველი ორნამენტირებული ქვები. ქვემო-უბნის ეკლესია თითქოს სომხური უნდა იყოს, რადგან მის სამხრეთ კარში ჩაშენებულია სომხური ჯვრებიანი და სომხური წარწერიანი ქვა (აღარ იკითხება), ზემო-უბნის ეკლესია კი, თუმცა მის სამხრეთ კედელშიც არის ჩადგმული სომხური ჯვრებიანი ქვა, ქართულია, ალბათ, რადგან იმ მცირე სასაფლაოზე, რომელიც ამ ეკლესიას აკრავს, ერთი საფლავის ქვა ქართულ წარწერას ატარებს.[1] სახელდობრ, ქვიდან გამოქანდაკებულს კურტნიანსა და გრეხილ საყელურიან ვერძს (სიგრძ. 1,65 მ, სიმაღლ. 0, 57 მ, ნ. სურ. 48), კურტანსა და საყელურს შორის კისერზე (სწორედ იქ საცა თავი ჩამოტყდა) ამოკოდვილი მსხვილი მთავრული ასოებით აწერია:

1. :ქ: შაპცს[2]
2. შნ. ღო:[3]

ე. ი.: „ქ. შაპუცს შეუნდვენ, ღმერთო". ეს საფლავი კიდევაც გავთხარეთ; მისი ზომა იყო: 1,70×0,50 მ. და 1,00 მ. (სიმაღლე); მისი ზემო ნახევარი ნაგლეჯი ქვით იყო ამოშენებული უქვიტკიროდ, ქვემოთ კი მიწური იყო; მიცვალებული იწვა ზურგზე შვეტილად, თავით დასავლეთისაკენ, გულხელდაკრეფილი; არავითარი ინვენტარი მას თან არ ახლდა; ეს საფლავი მოზრდილი ბავშვისა უნდა ყოფილიყო. აქვე კიდევ მეორე საფლავიც გავთხარეთ, რომელსაც ზემოდან უშველებელი პრტყელი ლოდი ეფარა; ამ საფლავმაც იგივე სურათი მოგვცა. ძნელია იმის თქმა, თუ რა ხანას უნდა მიეკუთვნოს ეს საფლავები, მაგრამ ჩემის აზრით ისინი საკმაოდ ძველი უნდა იყოს. საფლავის ქვები ძველის შთაბეჭდილებას ახდენს; ძნელი დასაჯერებელია რომ ასეთი ქვები დაედგათ თავისი მკვდრებისათვის იმ გაღატაკებულ სოფლელებს, რომლებიც ჩვენ აქ გვხვდებიან XVIII ს-ის დამდეგს. პალეოგრაფიულად დამახასიათებელი მოხაზულობის ასოები ვერძის წარწერას არ მოეპოვება, მაგრამ თვითონ სტილი წარწერისა XVIII და XVII ს-ზე ადრინდელი ჩანს, იმ ხანისაა, როდესაც მრავალმეტყველებას ერიდებოდნენ. რომ ამ ადგილას ეკლესია ძველადაც მდგარა, ისიც ოდესღაც გადაშენებულ გადაკეთებული, ეს ჩანს იმ პატარა საჟამნოს ნანგრევიდან, რომელიც ზემო-უბნის ეკლესიას აკრავს და რომლის კედლებიდანაც სომხური წარწერიანი ქვები ამოვიღეთ.

---

[1] რა თქმა უნდა, შესაძლებელია რომ ორივე ეკლესია სომხურიც იყო და ქართულიც ერთსა და იმავე დროს; ასე, როგორც ვხედავთ, სომხურ-ქართულია გარეუბნის ქრისტიანული სასაფლაო.

[2] ან: „შაპცო", უკანასკნელი ასო კარგად არ იკითხება.

[3] ან: „ღთ", „ო"-ნი „თ"-ანივით სწერია, კუდი შუაზე აქვს, ქვემოთკენ დახრილი.

სურ. 49. ტრაპეციის მოყვანილობის მოჭიქული აგური.

VI.

სამოქალაქო შენობები და საცხოვრებელი ბინები დმანისში, თუ შიდა ციხის შენობებს მხედველობაში არ მივიღებთ, ყველა უკლებლივ ნაგებია ადგილობრივი ქვით. მხოლოდ ერთხელ ცალკეულად შეგვხვდა აგურის კედელი; აგური იხმარებოდა აგრეთვე ბუხრების და ზოგჯერ თახჩების ამოსაყვანად; ამას გარდა, მთელს ქალაქში ერთადერთი ბურჯივით კედელი დგას, რომელიც ნაგებია აგურნარევი ქვით. აგური ე. წ. „ქართულია", ჩვეულებრივი ზომის, რა თქმა უნდა, საშენ მასალად ხეც იყო გამოყენებული, მაგრამ მისი კვალი, უმეტეს წილად, გამქრალია.

ეს შენობები მაინც და მაინც კარგს შთაბეჭდილებას არ ახდენს, უმრავლესობა საკმაოდ დაუდევრადაა ნაგები: თლილი ქვა არ იხმარებოდა, არამედ მხოლოდ გვერდებ-ჩამოტეხილი პატარა და საშუალო ზომის ქვები; ფენობრივობაც წყობაში არ იყო კარგად დაცული. მაგრამ მაინც ყოველთვის განირჩევა კედლის გარე და შიდა პირი, ამოყვანილი ზემოაღწერილი ქვით ქვიტკირზე და ამ ორ პირს შორის ჩასხმული ჭყორდულაბი, ამასთან, როგორც გათხრამ გამოარკვია, კედლები შიგნით ხშირად იყო გალესილი ბათქაშით; გარდა ამისა, უფრო მდიდრულად მოწყობილ სახლებში კედლების შემოსვა იცოდნენ მოჭიქული აგურითა და შორენკეცებით. ერთ-ერთი ნატეხი მწვანედ მოჭიქული აგურის ფილისაც აღმოჩნდა დმანისში, მაგრამ გაცილებით უფრო ხშირია ტრაპეციის მოყვანილობის პატარა და საშუალო ზომის აგურები, რომლებსაც ზედაპირი მოჭიქული აქვს, ჩვეულებრივად, მწვანე ფერის განუმჭვირავი მინარით, ხოლო გვერდები ამოღრმავებული აქვს, ალბათ, იმისათვის, რომ კედელში მათი დამაგრება ქვიტკირით უფრო ადვილი ყოფილიყო (სურ. 49). შორენკეცები ორგვარია: არის ორი ნატეხი ლუსტრირებული ფაიანსის შორენკეცისა, რომელთაგან ერთი (სურ. 50) რვაქიმიანი ვარსკვლავის მოყვანილობისა ყოფილა და მუქი რვალის ლუსტრით იყო შემკული, მეორე კი (სურ. 51) ჯვარის ერთ ფრთას წარმოადგენს, მისი ლუსტრი თითქმის სრულებით გადასულია; როგორც ცნობილია, ირანში იცოდნენ კედლების შემოსვა ვარსკვლავისებური და მათ ქიმებს შორის ჩასმული ჯვარისებური შორენკეცებით; დმანისისეული ნატეხები მოყვანილობისა, ტექნიკის და შემკულობის მხრით რეიდან და

სურ. 50. ლუსტრიანი შორენკეცის ფრაგმენტი და აყიყის ბეჭედი.

სურ. 51. ლუსტრიანი შორენკეცის ფრაგმენტი.

ვერამინიდან კარგად ცნობილ შორენკეცებს ენათესავებიან, რომლებიც დათარიღებულია XIII ს-ით; ორივე ნატეხი ერთ ადგილსაა ნაპოვნი, ერთსა და იმავე სიღრმეზე და, უეჭველია, ერთ ერთეულს ეკუთვნის.[1] მეორენაირი შორენკეცი წარმოდგენილია ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთი ნატეხით: ეს არის რელიეფით შემკული და ფირუზისფრად მოჭიქული მაიოლიკის ნაწარმოები, რომელსაც ირანში XIV ს-ით ათარიღებენ.

ქალაქის ზემო ნაწილში კულტურული ფენის სიღრმე ყველგან 2,50-3,00 მეტრს აღწევს. ქვევითკენ და ნაპირებისაკენ ამ ფენის სისქე მცირდება, ისე რომ კონცხის ბოლოში აწინდელი ზედაპირი, მეტწილად, მხოლოდ 0,40-0,50 მეტრით უფრო მაღლა მდებარეობს ძველს ზედაპირთან შედარებით. აქ შენობები კლდეზეა დაფუძნებული, ნაშალი თხლად ჰფარავს ნანგრევს და ხშირად კარის ზღურბლი თითქმის ისევ-ისე გამოდის გარეთ, როგორც ამ 7-8 საუკუნის წინათ გამოდიოდა.

თუმცა ისეთი დაფენილი ქუჩა, როგორიც ჭიშკარში აღმოჩნდა, სხვაგან ვერსად ვერა ვნახეთ, ქალაქის ქვემო ნაწილში შენობების კარები მაინც გვიჩვენებს ძველი ქუჩის დონეს, ზემო ნაწილში კი სურათი როგორღაც წაშლილია. ჯერ-ერთი, ყველგან, საცა, პირველი შეხედვით, ქუჩა იყო მოსალოდნელი, ზედაპირიდან რამდენიმე სანტიმეტრის ან ათეული სანტიმეტრის სიღრმეზე გარდიგარდმო კედლები ჩნდებოდა, რომლებიც ისე უწესრიგოდ იყო ერთმანეთზე გადაბმული რომ რაიმე ნათელი სურათის მიღება შეუძლებელი შეიქნა. ამასთან, უმეტეს შემთხვევაში, არც ერთ კედელს არც კარი, არც სარკმელი არა აქვს და, მაშასადამე, ჩვენ არ ვიცით, თუ ძველი ქალაქის ნიადაგი ნიშანდობლივ სად მდებარეობდა, მით უმეტეს, რომ ნიადაგი კონცხზე, რასაკვირველია, ძველადაც უსწორმასწორო იქნებოდა. ყოვლად შეუძლებელია გარკვევა ამ გარდიგარდმო უწესრიგოდ გატიხრულს კედლებსა და ქაოტურად დალაგებულს, ზოგჯერ სამ- და მეტ-კუთხოვან ოთახებსა თუ სარდაფებს შორის. ხშირად გვხვდებოდა აქა-იქ ჩაშენებული თონეები, ზოგი მათგანი ე. წ. საქარეებითურთ, სარქველიანი და უიმისო ქვევრები და პურის შესანახი, ქვიტკირით ამოშენებული და თავზე ქვებით გარშემოწყობილი ორმოები. იშვიათად ბუხარიც და უბრალო პატარა წალოც აღმოჩნდებოდა ხოლმე. ორ ადგილას უკარო და უსარკმლო, ბანებიანი ბეღელიც ვნახეთ (ნ. ნახ. 12). ერთი მათგანი სიონის ჩრდილოეთით მდებარეობს და ბანებამდე მიწითაა დაფარული (სურ. 52). მისი ერთი კედელი მღვდელს კეთილაძეს ჩაუნგრევია და შიგ თავისთვის ბინა მოუწყვია.

[1] სამწუხაროდ, იმ შენობაში, სადაც ეს ორი ნატეხი აღმოჩნდა (შენობა სიონის ახლოს მდებარეობს აღმოსავლეთით, შორენკეცები 1,69 მ-ის სიღრმეზე ამოვიღეთ, იატაკის დონეზე), სხვა არაფერი მაგის მსგავსი აღარ გვიპოვია, ისე რომ ნატეხები, ალბათ, შემთხვევით ყოფილა იქ მოხვედრილი.

სურ. 52. ბანებიანი ბეღელი სიონის ჩრდილოეთით.

ამ პატარა შენობას ორი მაღალი ბანი აქვს და ამიტომაა რომ ნაშალს იგი მთლიანად ვერ დაუფარავს. მეორე ასეთი შენობა, აგრეთვე, ჩარდახოვანი თაღით გადახურული. „ქვემო-ქუჩაზე" გავთხარეთ, ქალაქის ჭიშკრიდან 200-ოდე მეტრის მანძილზე. მისი ბანები ზედაპირიდან 0,60 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა (სურ. 53). იგი ნაგებია დაუმუშავებელი საშუალო ზომის ქვით ქვიტკირზე. შიგნით მისი კედლები, როგორც ნაშთები გვიჩვენებს, ნათქაშით შელესილი ყოფილა, გარედან კი კედლებს პირი არა აქვს, ისე რომ ეჭვი არა რჩება, რომ ეს ბეღელი იმთავითვე მიწაში იყო ჩაშენებული. ეს შენობა ქვევითკენ ცოტა ვიწროვდება, ისე რომ მისი სიგრძე შიგნით ჭერის გასწვრივ 2,90 მ-ს შეადგენს, ფსკერის გასწვრივ კი, რომელიც მას ქვიტკირისა აქვს, მხოლოდ 2,80 მ-ს უდრის; იგი ვიწროვდება ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისკენაც, ისე რომ მისი სიგანე შიგნით ჩრდილო-აღმოსავლეთი კედლის გასწვრივ 1,35 მ-ს შეადგენს, სამხრეთ-დასავლეთი კედლის გასწვრივ კი 1,20 მ-ს უდრის. კედლები მრუდედა დგას მიწაში და არცერთი კუთხე სწორი არაა. მათი სისქე საშუალოდ 0,40 მ-ს უდრის. სიმაღლით ბეღელი 1,90 მეტრისაა. ბანები, რომელთა დიამეტრი 0,40 მ-ს უდრის, კარგადაა ამოღებული მქისედ ჩამოთლილს სქელ ფილაქნებში და ზემოდანაც ერთ მათგანს კარგად მოჭრილი მრგვალი სარქველი ეხურა (ნ. სურ. 53). საერთოდ ეს შენობა მკვიდრადაა ნაგები. ჩრდილოეთით, ბეღლის კუთხესთან, ქვიტკირიანი ქვით მიწაში ამოშენებულია მრგვალი ორმო (დიამ. 1,25 მ, კედლის სისქე 0,35მ, სიღრმე 2,00 მ.), რომელიც აგრეთვე, ალბათ, სანოვაგის შესანახავად იხმარებოდა. ბეღელი სანახევროდ მიწით იყო ამოვსებული, მაგრამ გამოწმენდამ აქ არა მოგვცა რა. სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ბეღელზე მიშენებულია რაღაც ოთხკუთხი სადგომი, ნაგები ქვიტკირიანი ქვით, ზომ. 3,40×2,85 მ. უკარ-უსარკმლო. აქ კი, 1,50 მ-ის სიღრმეზე, საინტერესო კერამიკული ნატეხები ეი-



ნახ. 12.

პოვეთ. ერთი ფრაგმენტი, ზომ. 5×3,5 სანტიმ., ჭურჭლის პირის ნატეხს წარმოადგენს და საგულისხმოა მრავალის მხრით: კეცი წითელია, წმიდა სტრუქტურის პლასტიური თიხისა; ამოვლებულია თეთრ ანგობში; შიდაპირზე გამსჭვირვალე უფერული მინარის ქვეშ ღრმა პრტყელი სგრაფიტოს წესით მიწა აქვს ამოღებული ლამაზად გამოყვანილ

სურ. 53. ბანებიანი შენობა, გათხრილი „ქვემო-ქუჩაზე".

სურ. 54. ხუცური წარწერიანი ჭურჭლის ნატეხი.

უკან გადმოხრილ სამყურას და მის ყლორტს; ამ გვარად, სამყურა თეთრია, მიწა კი, რადგან ძირითადი თიხა სუფთაა, მდოგვის ფერისაა; მინარის ზემოთ შენაპკურია სოსანი (მარგანეცის) და მწვანე (სპილენძის) ჭიქის წინწკლები, რომლებიც ჩამოღვრილა და ფოთლის სახე მიუღია; ფერები დიდის გემოვნებითაა შეხამებული. გარეპირზე გამსჭვირვალე მწვანე მინარის ქვეშ ღრმა სგრაფიტოთი ამოფხაჭნილია ქართული წარწერა; სამწუხაროდ, წარწერა ისეა ჩამოტეხილი, რომ ამ ფრაგმენტიდან რაიმე აზრის გამოტანა შეუძლებელია. იკითხება მხოლოდ ცალკე ასოები: „-კლასპ-"; მაგრამ ნუსხახუცური გაკრული ხელი, კარგად ცნობილი X-XI საუკუნის ხელნაწერებიდან, ათარიღებს ამ ნატეხს (სურ. 54). აქვე ვიპოვეთ დიდი კოკის ნატეხები, რომლებმაც საშუალება მოგვცეს ჭურჭელი სანახევროდ აღგვედგინა: იგი მოწითანო, სუფთა, კარგად გამომწვარი თიხისაა, მას ორიგინალური, უკან ჩაჭრილი, პატარა ყურებიანი ყელი და ჩალიჩივით გრეხილი ყური აქვს და შემკულია კუწუბოებითა და რელიეფური სტილიზებული სახეებით (სურ. 55). აღვნიშნავ კიდევ რომ ამ შენობის გვერდით, მაგრამ გაცილებით უფრო ღრმად, სახელდობრ, 2,80 მ-ის სიღრმეზე, საუცხოოდ გათლილი ნარინჯის ფერი აყიყის წახნაგოვანი ბეჭედი ამოვიღეთ (დიამ. 1,7 სმ., სიმაღლე ძირიდან თავამდე 2,5 სანტიმ.), რომლის ბრტყელი, ექვსკუთხად ჩამოჭრილი თავი გემის ან წარწერის ამოსაკვეთად იყო შემზადებული, მაგრამ დაუმთავრებელი დარჩა (ნ. სურ. 50). უადგილო ადგილას, თხრილში, რომელიც „ქვემო-ქუჩის" სათავეში დავდეთ, ჭიშკრიდან 0,70-ო,60 მ-ის მანძილზე ჩრდილო-აღმოსავლეთით (NNO), აღმოჩნდა ზეთისსახდელი ქვა (სურ. 56). იგი დაახლ. 1,20 მ-ის სიღრმეზე მოდიოდა მიწის ზედაპირიდან, ფეხზე იდგა და ღორღნარევ ნაშალზე იყო მიბჯენილი. სხვა არავითარი ნიშანი ზეთისსახდელისა იმ ადგილას არ გვიპოვია. ზეთისსახდელი ქვა, რომლის დიამეტრი 1,25 მ-ს უდრის, ჩინებულადაა ნახელავი. ასეთი ქვები დმანისში ბევრია: სამი ახლაც გდია ქალაქში მიწის ზედაპირზე, სამი კი კარგა ხანია ნაუღიათ – ერთი შახნაზარში, ერთი შუშის ქარხანაში დმანისის ზემოთ, ერთიც მიჯაში.

არქეოლოგიური სურათი ქალაქის ზემო ნაწილში ყველგან დაახლოვებით ერთნაირია (ნახ. 13): გათხრილი ორმოს შიგნით, ზოგჯერ გარეთაც, წვრილკენჭნარევი მიწის ფენის ქვეშ, რომლის სისქე 1,50 მ-ს აღემატება, ჩნდება ათიოდე სანტიმეტრის სისქის დაშლილი ქვიტკირის ფენა, რომელსაც მოსდევს 30 სანტიმეტრის სისქის შავი კულტურული ფენა, შემდეგ ისევ 8-10 სანტიმეტრის სისქის ქვიტკირი, ზოგჯერ კი ხე, ხოლო

სურ. 55. კუნუბოებიანი კოკის ფრაგმენტი.

სულ ქვემოთ უკანასკნელი კულტურული ფენა 40-45 სანტიმეტრის სისქისა, რომელიც პირდაპირ ხამ ყვითელმიწაზე დევს. ხამი მიწა ისეთი მტკიცეა რომ წერაქვი მას ძლივსა სჭრის. კედლების საძირკვლებიც ამ ხამ ნიადაგშია ჩადგმული, ისე რომ ამ ფენის ისტორია იმავე დროს კედლების ისტორიაცაა. ეს ფენები დათარიღებულია შიგ ნაპოვნი ფულების საშუალებით: სახელდობრ, ზემო ფენაში XIII ს-ის შუახანების ფული ამოდის, ქვემო ფენებში კი X-XII საუკუნის მონეტები ჩნდება.

კარიანი შენობა (1) ქალაქის ზემო ნაწილში მხოლოდ სიონის ახლოს აღმოჩნდა (ნახ. 14). ტაძრიდან 12 მეტრის დაცილებით ჩრდილოეთისაკენ ქვიტკირიანი კედლის პატარა ნაშთი ჩნდა, სულ რამდენიმე ათეული სანტიმეტრის სიმაღლისა და მის გარშემო, კარგა დიდ არეზე, ნასახლარის ორმოები, რომელთა სიმრავლე გვაფიქრებინებდა, რომ ამ ადგილას რაღაცა დიდი, რთულ გეგმაზე ნაგები შენობა უნდა ყოფილიყო დამარხული. მართლაც გათხრამ აღმოაჩინა ამ შენობის ძირა სართული, ანუ, უკეთ, სარდაფი, რომელიც 4,00 მ-ის სიმაღლეზე მთლად მიწით იყო დაფარული (სურ. 57). სწორედ მეორე სართულის კედლის ნაშთის ქვეშ გავაშიშვლეთ მკვიდრად ნაშენი, 0,70 მ-ის სისქის კედელი, რომელსაც კარი აქვს. ეს ლამაზი ისრული თაღით გამოყვანილი, თუმცა დაბალი (1,76 მ) და ვიწრო (0,95 მ) კარი (სურ. 58) სიონისაკენ გადის, მაგრამ სიონის კედლის ძირისა და ამ კარის ზღურბლის დონეთა შორის ისეთი დიდი განსხვავებაა (დაახლ. 2,50 მ), რომ გაუგებარი რჩება, ან რატომაა ეს კარი მოქცეული ასეთ სიღრმეზე, ან რა საშუალებით ჩადიოდნენ სიონიდან ამ შენობაში (სურ. 59). შესაძლებელი იყო გვეფიქრა, რომ ქვედა ნაწილი ამ შენობისა უფრო ძველია ვიდრე სიონი, მით უმეტეს რომ თითქმის ზედ ტაძრის ძირასაც (1,75 მ-ის დაცილებით) მიწის ქვეშ რაღაც გაურკვეველი დანიშნულების აღმოსავლეთიდან დასავლე-



ნახ. 13. დმანისი. თხრილი IV: აღმოსავლეთი კედლის შვეული განაკვეთი. 1936 წლ. IX. 12. 1. – წითელღორღნარევი მიწა; 2 – დაშლილი ქვიტკირის ფენა; 3 – ნაშალი მიწა; 4 – დაშლილი ქვიტკირი, 5 – ნაშალი მიწა; 6 – ხამი ნიადაგი.

თისკენ მიმართული კედელი აღმოჩნდა, რომელიც აღმოსავლეთით მარინეს ეკლესიის საძირკველს თითქმის ზედ ებჯინება, მაგრამ შენობის უღრმეს კულტურულ ფენებში ამოღებულმა ინვენტარმა არავითარი საბუთი არ მოგვცა ასეთი იჭვისათვის: ეს იგივე XI-XIII საუკუნეების ინვენტარია, რომელიც ჩვეულებრივად გვხვდებოდა სხვაგანაც. არც ძირა ნაწილის კედლის წყობა, არც მასალა არ განსხვავდება მეორე სართულის კედელში (ოღონდ, რადგან ზედა ნაწილის კედლები მინით არ იყო დაცული, დუღაბი აქ ძალზე ამოფიტულია). კარიან კედელს, ცოტა არ იყოს, უცნაური საძირკველი აქვს, რომელიც აგრეთვე ქვიტკირით, მაგრამ უფრო წვრილი ქვით და უფრო დაუდევრადაა ნაგები და რომელიც სამხრეთიდან ოდნავ ნარმოზიდული ცოკოლის შთაბეჭდილებას ახდენს, ჩრდილოეთიდან კი, პირიქით, შეზიდულია და უფრო ძველ კედელსა ჰგავს, რომელზედაც მერმე შემთხვევით დაუდგამთ ჩვენი შენობის კედელი.

მეორე სართულის კედლის სიმაღლე კარს ზემოთ 1.70 მ-ს უდრის, ძირა სართულის კედელი 3.05 მ-ის სიმაღლისაა, ხოლო საძირკვლის სიმაღლე 1.10 მეტრია. საძირკველი ხამ მიწაში დგას.



ნახ. 14.



სურ. 56. ზეთისსახდელი ქვა.

ამ შენობის კედლები ყველა მეტნაკლებად ერთმანეთსა ჰგავს და თუმცა მათი სისქე სხვადასხვანაირია, მათი გამოცნობა მაინც ძნელი არაა. ამ მეტწილად მკვიდრად და სუფთად ნაგებ კედლებს შორის გატარებულია მერმინდელი, უქვიტკიროდ, დაუდევრად, თითქმის სრულებით დაუმუშავებელი ქვით ნაგები ტიხრები, ძველი შენობის დონიდან უმეტეს შემთხვევაში 1,00 მ-ის და მეტის, ზოგჯერ კი მხოლოდ 0,50 მ-ის სიმაღლეზე, ისე რომ ძველი შენობის შედარებით ფართო და მაღალი სადგომები დაქუცმაცებულია წვრილ წვრილ უგეგმო სენაკებად. ზოგჯერ ძველი დროიდან დაგროვილ ნაშალ მიწაზე მოსხმულია ქვიტკირი, რომელიც იატაკის სამსახურს უწევდა უფრო მაღალ დონეზე გამართულს ახალ საცხოვრებელს.

სურ. 57. შენობა I. ნაწილობრივი გათხრის შემდეგ, სამხრეთიდან.

მაგრამ არც უძველეს შენობას უჩანს კარგად მოფიქრებული გეგმა, ისე რომ მისი მთლიანობის წარმოდგენა ჭირს. იგი ერთ დონეზე არა დგას – ეტყობა, იმიტომ, რომ აშენების დროს ნიადაგის რელიეფს მიჰყვებოდნენ: ზოგი ოთახი უფრო მაღლა დგას, ზოგი უფრო დაბლა; წინა (სამხრეთის) ნაწილი შენობისა საზოგადოდ უფრო დაბლა მოდის უკანა (ჩრდილოეთის) ნაწილთან შედარებით. ეს განაკვეთებიდანაც კარგადა ჩანს და სამხრ.-დასავლეთიდან გადაღებულ ფოტოსურათზედაც ეტყობა (სურ. 60). თაღიანი კარით შედიხართ საკმაოდ ფართო სადგომში (7,80×7,30 მ), რომელსაც ჩრდილო-დასავლეთი კედელი უცნაურად ტეხილი აქვს, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელში მეორე კარის (?) მალი აქვს, რომლის ზღურბლი, შენახული კედლის მიხედვით, 0,35 მ-ით უფრო მაღლა მოდიოდა პირველი კარის ზღურბლთან შედარებით. ამგვარად, უკვე თვით ამ ოთახის იატაკის დონე ერთნაირი არ იყო. მართალია, ზღვე თავად არ შენახულა.

ყრუ კედელი გამოჰყოფს ამ ოთახს მის უკან მდებარე მარნისაგან. მარანში შესასვლელად სამხრეთ-აღმოსავლეთი კედლის მალში უნდა გამოხვიდეთ. მალის პირდაპირ, აღმოსავლეთის მიმართულებით, მიწური ნაგვიანევი კედლებია, მაგრამ მათ უკან შენახულია ქვიტკირიანი კედლების ნაშთებიც, რომელთაგან ერთს, სამხრეთისაკენ მდებარე გრძელ კედელს ოდესღაც კონტაქტი უნდა ჰქონოდა თაღიანი კარის მქონე კედელთან, რის კვალიც ამ ჟამად სრულებით წაშლილია. მიწური კედელი ფარგლავს ახლა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან პატარა, ცხრაქვევრიან მარანს, რომელიც პირველი

ოთახის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს. ეს მიწური კედელიც, თუმცა კუთხეს აკეთებს, მაგრამ უთავბოლოა, ისე რომ პირველი ოთახიდან რომ გამოხვალთ სამხრ.-აღმოსავლეთის მალში, მარცხნით გაუხვევთ და უმეშვეოდ პატარა მარანში მოხვდებით; აქ არც კარია, არც კედელი.

ამ პატარა მარანს ჩრდ.-დასავლეთიდან ფარგლავს პირველი ოთახის ქვიტკირიანი კედელი და ჩრდ.-აღმოსავლეთიდანაც იგი ქვიტკირიანი კედლითაა შემოფარგლული, რომელიც პირველი ოთახის ჩრდ.-აღმოსავლეთი კედლის გაგრძელებას წარმოადგენს. პატარა მარნიდან, როგორც ჩანს, კუთხოვანი კარით, რომლის წირთხლი აღარაა შენახული, შეგიძლიათ დიდ მარანში შეხვიდეთ, ანუ, უკეთ, ახვიდეთ, რადგან იგი, როგორც უკვე აღვნიშნე, პირველი ოთახისა და პატარა მარნის უკან მდებარეობს უფრო მაღალ დონეზე. აქ 15 სხვილ-წვრილი ქვევრი დგას, უსწორ-მასწოროდ, მაგრამ მაინც გარკვეულ წესზე ჩამწკრივებული – 6 წინ, სამხრეთ-დასავლეთი კედლის გასწვრივ, 4 ამათ უკან ერთ მწკრივად და ხუთიც უფრო მოშორებით (4 ერთ ჯგუფად და ერთიც განცალკევებით).[1] უეჭველია, ქვევრების ასეთ განლაგებას თავისი აზრი ჰქონდა. პირველი მწკრივის წინ, სამხრეთ-დასავლეთი კედლის ძირას, ხამ მაგარ მიწაში ღრმად ამორებული არხი და აუზები აღმოჩნდა (სურ. 61), რომელთა დანიშნულება გაურკვე-

[1] გეგმაზე ქვევრების განლაგება სწორად არაა აღბეჭდილი.

სურ. 58. შენობა I. თაღიანი კარი.

ველი დარჩა. ქვევრები ყველა ქვიტკირითაა მოსხმული გარედან და ამიტომ კარგადაა შენახული; მათი ძირიც ქვიტკირზე დგას; ყველას ქვის სარქველი ჰქონდა დახურული, რომელთაგან მხოლოდ ერთი იყო ცოტად თუ ბევრად ლაზათიანად ჩამოჭრილი და გათლილი; მას ზემოდან ხელმოსაკიდებელი მრგვალი ღილი ჰქონდა გაკეთებული. საინტერესოა რომ ერთ დიდ ქვევრს პირზე სამ ადგილას ქართული ბეჭედი აქვს დარტყმული: სწორკუთხოვან ჩარჩოში მოთავსებულია მოკლე მთავრული წარწერა ორ სტრიქონად; სამწუხაროდ, წარწერა თითქმის სრულებით აღარ იკითხება (სურ. 62).

მარნის აღმოსავლეთ კუთხეში თონე დგას. ქვევრებსა და თონეს ოთახის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნახევარი უჭირავთ; მისი ჩრდილო-დასავლეთი ნახევარი ცარიელია: აქ

ხამ მინაში ამოღებული ორი თავთხელი ორმო აღმოჩნდა მხოლოდ, ორივე ცარიელი. ჩრდილო-დასავლეთ კედელში, ჩრდილო-კუთხის ახლოს, პატარა წალოა (სიგან. 0,35, სიმაღლ. 0,50, სიღრმ. 0,50 მ); წალოშიც არა იყო რა.

დიდ მარანს სამხრ.-აღმოსავლეთ კედელშიც ჰქონდა კარი, რომლის თავი აღარაა შენახული. როგორც პატარა მარნის კარი, ისე სამხრ.-აღმოსავლეთის კარიც, ორივე თითქმის ზუსტად ერთსა და იმავე დონეზე მოდის და ორივე ქვევრებზე გაცილებით უფრო მაღლა დგას; სიმაღლეთა სხვაობა 0,50 მ-ს აღწევს, ისე რომ კარებიდან მარანში უნდა ჩახტეთ, ისე ვერ ჩახვალთ. არ ჩანს, რომ აქ ოდესმე კიბე ყოფილიყოს. მარნის სამხრეთ-აღმოსავლეთით ერთ ოთახს ჩრდილო-აღმოსავლეთის კედელი არ უჩანს, შემდეგ კი პატარა ოთახი მოდის, რომელსაც შესავალი ისევ ისე სამხრეთ-აღმოსავლეთიდანა აქვს; ამას იქით იწყება მთელი რიგი უსწორმასწოროდ დალაგებული უთავბოლო კედლები, რომლების დაკავშირება მთავარ შენობასთან შეუძლებელია. მარნის უკან კი, ჩრდილო-აღმოსავლეთით, ძველი შენობის კედლები იმალება ღრმად მიწის ქვეშ და ჩრდილო-დასავლეთის კედელზე დაშენებულია მერმინდელი, მაგრამ აგრეთვე ქვიტკირიანი კედლებით ამოყვანილი ოროთახიანი შენობა. ამ ორ ოთახს ერთმანეთში კონტაქტი არ უჩანს, სამხრეთ-დასავლეთის ოთახი უსარკმელოა, ჩრდილო-აღმოსავლეთისას კი სამხრეთ-აღმოსავლეთიდანა აქვს პატარა კარი, რომლის ანყოლების ძირა ფილაქნები კარგადაა დაცული (სურ. 63). საინტერესოა რომ ამ ოთახის კედლებში ალაგ-ალაგ აგურის ნყობაც ერია.

ჩრდილო-აღმოსავლეთიდან უძველეს შენობას გრძელი კედლები ფარგლავს, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთი მიმართულებით სნყდება.

სურ. 59. შენობა I და სიონი ჩრდ.-აღმოსავლეთიდან.

სურ. 60. შენობა I სამხრეთიდან, გათხრის შემდეგ.

ამგვარად, ეს შენობა დღეს დაუმთავრებელის შთაბეჭდილებას ახდენს: მისი ჩრდილო-აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი გაურკვეველია. ეს იმიტომ რომ აქ ძველი კედლები ძირიანად მოთხრილია. ის რაც ჩვენ გავთხარეთ, აქ ოდესღაც მდგარი საცხოვრებელი ბინის სარდაფი ანუ მარანი უნდა იყოს. ფასადი ამ შენობას სიონისკენ ჰქონდა მიქცეული, რადგან, რამდენადაც ჩანს, მთავარი შესასვლელი მარანს აქედან ჰქონდა. რომ ამ მარანში, ყოველ შემთხვევაში, თავდაპირველად არავინ ცხოვრობდა, ამას, ჩემის აზრით, ის გარემოებაც გვიჩვენებს, რომ თაღიან შესასვლელს გარედან, სიონის მხრიდან, ჰქონდა შებმული, ალბათ, ხის კარი, როგორც ამას შესავლის ორსავ მხარეს დატოვებული ქანები გვიჩვენებს, რომლებიც კედელს შიგნით, ოთახში, არა აქვს. შიგ რომ ვისმე ეცხოვრა, ბუნებრივი იქნებოდა, კარიც თავისი ბინისათვის შიგნიდან შეება.

მთელი ნივთები, გარდა ქვევრებისა და თონეებისა, ამ ნანგრევებში არ გვინახავს. საზოგადოდ, ინვენტარი უმთავრესად კერამიკული ნატეხებისაგან შედგება. მაგრამ ეს ნატეხები – ლუსტრიანი და მოფერადებული ფაიანსი, სგრაფიტოს ტექნიკით დამუშავებული ანგობიანი თიხის ჭურჭელი და სხვ. – მაინც კარგად ათარიღებს ამ შენობას. ძირა ფენებში ნახული ნივთები, რამდენადაც ჩანს, XI ს-ს არ გადასცდება. ბოლოს, თვით დიდ მარანში, ქვევრების დონეზე აღმოჩნდა თამარის შავი მონეტა 1200 წლისა.

შუაქალაქში დგას იმპოზანტური ნანგრევი (შენობა III, სურ. 64), რომელიც თავისი სიდიდით, დმანისისათვის უჩვეულო ფორმებით და სქელი, სუფთად ნაგები კედლებით, თითქოს, ბევრს საინტერესოს გვიქადდა. საფიქრებელი იყო რომ აქ საზოგადოებრივი დანესებულების ნაშთთან გვქონდა საქმე. ხოლო, რაკი ქალაქის ზემო ნაწილში მიღე-

სურ. 61. ძენობა I. დიდი მარანი. მარჯვნით ჩანს ხამ მინაში ამოღებული აუზი.



სურ. 62. ბეჭდიანი ქვევრის პირი.



ნახ. 15.

ბული გამოცდილებიდან ვიცოდით, რომ ძველი შენობების ძირა სართულები ანუ სარდაფები მიწის ქვეშ იყო დამარხული, აქ კი ნანგრევი თითქმის მთელი თავისი სიმაღლით მიწის ზედაპირზე იდგა, მოსალოდნელი იყო კარგად დაცული სარდაფების პოვნა, რომლებიც განათხარი ინვენტარითაც გაგვამდიდრებდა. ამიტომ 1937 წლ. აგვისტოს 29-ში შევუდექით აქ თხრას, რომელიც სექტემბრის 7-ში დამთავრდა.

ეს ნანგრევი (ნახ. 15) წარმოადგენს ერთს დიდ ოთახს, სიგრძით (SSW-NNO) 10 მ, სიგანით (SO-NW) 8 მ, რომელსაც 2 კარი (აღმოსავლეთის და ჩრდილოეთის კედლებში) და 4 სარკმელი აქვს. კედლები (სისქ. 1,15 მ საშუალოდ) ნაგებია საშუალო ზომისა და პატარა კვადრებით ქვიტკირზე; განირჩევა ფენებრივად წყობილი გარე და შიდაპირი კედლებისა (პერანგი) და შუაზე ჩასხმული ჭყორდუღაბი; ალაგ-ალაგ კედლის წყობაში დატანებულია პრტყელი ქვების ზოლები სიგრძივ. გარედან შენობას ორსაფეხურიანი (ზოგან ცალსაფეხურიანი?) „ცოკოლები" აქვს, შესაძლებელია იმისათვის რომ კედლები გამვლელი ურმებისაგან დაეცვა.[1] შენახულია ოთხივე კედელი, მაგრამ შედარებით კარგად დაცული მხოლოდ სამხრეთის კედელია; აღმოსავლეთი კედლის შუანანილი, საცა კარი იყო, მთლად ჩანგრეულია, ხოლო ჩრდილოეთისა და დასავლეთის კედლები სანახევროდ ჩამოქცეულია. მთავარი შესასვლელი აღმოსავლეთიდანაა, აქ მალი განიერია (1,25 მ) და შუაკედელზე მოდის, ჩრდილოეთის კარი კი ვიწროა (0,75 მ) და განისაა. სარკმლები ყველა მაღლაა კედელში მოთავსებული და განანილებულია სიმეტრიულად. სამი სარკმელი ჰქონდა სამხრეთის კედელს – ერთი შუაზე, თახჩის ზემოდან, ორი კი აქეთ-იქით, უფრო დაბლა; მეოთხე სარკმელი დასავლეთის კედელშია, სამხრეთ-დასავლეთი კუთხის ახლოს; იგი სამხრეთი კედლის დაბალი სარკმლების დონეზე მოდის.

[1] შდ. Н. Я. Марр, Ани, 1931, გვ. 77.

დაბოლოს, თითქოს მეხუთე სარკმლის ნაშთებიც ჩანს დასავლეთის კედელში, ჩრდილო-დასავლეთი კუთხის ახლოს, იმავ დონეზე, ისე რომ აქაც სიმეტრია დაცული უნდა ყოფილიყო. საღადაა დაცული მხოლოდ სამხრეთი კედლის განის სარკმლები. ისინი, ჩვეულებისამებრ, გარეთკენ ვიწროვდებიან, მაგრამ ძალიან არა; ორივე თანაბარი სიგანისა არაა, მაგრამ თვალისათვის ეს შეუმჩნეველი რჩება: სამხრ.-აღმოსავლეთი სარკმლის სიგანე შიგნით =0,55 მ, გარეთ =0.35 მ, სამხრ.-დასავლეთი სარკმლის სიგანე კი შიგნით =0,50 მ. გარეთ =0,30 მ; ეს უკანასკნელი უფრო დაბალიცაა, მისი სიმაღლე =0.95 მ, იმ დროს როდესაც პირველი სარკმლის სიმაღლე =1,15 მ, მაგრამ ისევ-ისე თვალი ამას ეგრე რიგად არ ამჩნევს. შიგნით ჩრდილო-კედელს და მცირეზე დასავლეთ კედელსაც, 1.30 მ-ის სიმაღლეზე, ქვიტკირიანი ქვის ცალკე წყობა მოსდევს პანელივით, ხოლო აღმოსავლეთის, ჩრდილოეთის და დასავლეთის კედლებში აქა-იქ გაკეთებულია პატარ-პატარა წალოები.[1]

სურ. 63. შენობა I. კარის ნაშთი დაშენებულ კედელში.

[1] ერთი წალო (?), სიმაღლ. 0,60 მ, აქვს დასავლეთის კედელს გარედანაც.

სურ. 64. შენობა III. სამხრ.-დასავლეთიდან.

სამხრეთის კედელში, შუაადგილას, მაღალი მრგვალი თახჩაა ჩაშენებული (სურ. 65), რომლის სიმაღლე 2.25 მ, სიგანე 1,00 მ, და სიღრმე 0,70 მ-ს უდრის. ამ საინტერესო, მაგრამ უცნობი დანიშნულების თახჩას ნაპირებზე განიერი ქანები აქვს დატოვებული, ზემო ნაწილი, გადახურული ნახევარფარგლოვანი თაღით, გამოყოფილი აქვს ვიწრო თაროსავით პრტყლად ჩასმული ქვებით, ხოლო ქვემოთ გვერდებზე ჩაშენებული აქვს ორი პატარა წალო. სამხრეთის კედელს გარედან, სწორედ თახჩის პირდაპირ, სქელი ნახევარკონუსისებური ბურჯი აქვს ამოშენებული (ნ. სურ. 64), რომლის დანიშნულება სრულებით გაუგებარია (თახჩა ამ ბურჯში არა ზის).

ოთახში გარდიგარდმო, აღმოსავლეთი შესავლის ჩრდილო-კუთხიდან დასავლეთის კედლამდე, დაბალი მიწური კედელი (?) იყო გაყვანილი (უსაძირკვლოდ), რომლისთვისაც ხელი არ გვიხლია.

გათხრა წარმოებდა როგორც შენობის შიგნით, საცა ოთახი ჯვარედინად გაიჭრა სიგრძეზე (მიწური კედელი, როგორც აღვნიშნე, ხელუხლებელი დავტოვეთ) და სიგანეზედაც 1,60-3,00 მ-ის სიგანის თხრილების საშუალებით და საცა 1,20 მ-ის სიგანის თხრილი იქნა გატარებული სამხრეთი კედლის გასწვრივაც, ისე შენობის გარეთ, საცა 7 თხრილი დაიდო სხვადასხვა ადგილას. გამოირკვა რომ შენობის კედლები მხოლოდ 20-30 სანტიმეტრის სიმაღლეზე იყო დაფარული ნაშალი მიწით და რომ მისი საძირკველი, ნაგები მოზრდილი და საშუალო ზომის ნაგლეჯი ქვითა და ქვიტკირით 1,60-1,80 მ-ის სიღრმეზე იჯდა ნაშალ მიწაში. საძირკვლის ქვეშ ყველგან, გარდა ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხისა, საცა კულტურული ფენა შედარებით თხელია, კიდევ 0,20-0,75 მ-ის სისქის ნაშალი მიწა მოდიოდა. სარდაფი შენობას არ ჰქონია. ამასთან, ეს დიდი ოთახი სრულებით იზოლირებულ შენობას წარმოადგენდა, რომელსაც სხვა მინაშენები არ ჰქონია. ეს უდავოდ გამოირკვა იმიტომ რომ ოთახი გარედან თითქმის მთლიანად გარე-

შემოვთხარეთ. ამ გვარად, ეს შენობა შედარებით ნაგვიანევი ხანისაა და მისი კარები დაახლოებით აწინდელი მიწის ზედაპირის დონეზე გამოდიოდა.

შიგნით ბევრი არა გვიპოვია რა. ზღვე არ აღმოჩნდა. ზედა ფენებში რამდენიმე თონე და ქოცო ვნახეთ, in situ, ხოლო 1.00 მ-ის სიღრმეზე და უფრო ღრმად, როგორც ჩანს, შენობის უწინარესი ფენის ნივთები ამოდიოდა. ასე, 1.05 მ-ის სიღრმეზე შუა ოთახში, უფრო დასავლეთი კედლისაკენ, ვნახეთ X-XI ს-ის ბიზანტიური შავი მონეტები, 8 ცალი. კედლების სიახლოვეს ძველი ნივთები უფრო მაღლაც ამოდიოდა, რაც იმით აიხსნება რომ საძირკვლის ჩათხრის დროს მიწა აქ გადაუბრუნებიათ. ასე, მაგ.,

სურ. 65. შენობა. თახჩა სამხრეთის კედელში.



სურ. 66. სპილენძის საჭრაქე.

სამხრეთი კედლის ძირას, თახჩის ახლოს, X-XI ს-ის ბიზანტიური მონეტა ამოვიდა 0, 60 მ-ის სიღრმეზე. საინტერესო იყო სვეტის ხარისხი (?) რომელიც აქ, სახელდობრ, თახჩის დასავლეთი ნაპირის ძირას აღმოჩბდა 0,40 მ-ის სიღრმეზე. ეს 0,50 მ-ის სისქის ოთხკუთხედი თლილი ქვა, რომელსაც მრგვალი და პრტყელი თავი აქვს გამოთლილი სარქველივით, ნაგლეჯი ქვებით მიწაზე უშნოდ ნაგებ დაბალ „პოსტამენტზე" იდგა. რადგან თაღის განის პირების განიერი ქანები საფიქრებლად ხდის რომ აქ, შეიძლება, სვეტები ყოფილიყო ჩაყენებული, ხოლო „სვეტის ხარისხი" დაახლ. დასავლეთი ქანის სისწვრივ მოდიოდა, თახჩის აღმოსავლეთითაც დავიწყეთ მეორე ასეთივე „ხარისხის" ძებნა, მაგრამ ამაოდ.

შენობის გარეთ ორ ადგილას ძველი კედლები აღმოჩნდა. ერთი ასეთი კედელი შენობის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეს აკრავს აღმოსავლეთიდან, მეორე კი შენობის დასავლეთი კედლის საძირკველზეა მიბჯენილი, ჩრდილო-დასავლეთი კუთხის ახლოს. კედლები ქვითაა ნაგები ქვიტკირზე. რომ ისინი შენობაზე უფრო ძველია, ეს იქიდანა ჩანს, რომ მათი საძირკვლები ხამ ნიადაგში დგას, იმ დროს როდესაც შენობის საძირკველი, როგორც უკვე აღვნიშნე, ნაშალ მიწაზეა დადგმული. ეს ძველი კედლები შენობის აგების დროს ჩაუჭრიათ. სწორედ აქ, შენობის გარეთ და განსაკუთრებით დასავლეთით მყოფი ძველი კედლის ჩათხრისას ვიპოვეთ ყველაზედ უფრო საინტერესო ნივთები. მათ შორის, 1,70 მ-ის სიღრმეზე, მასივი სპილენძის საჭრაქე კვეთილი სტილიზებული ორნამენტით ყურის ზედაპირზე (სურ. 66). ამ გვარად, ეს შენობა, რომლის დანიშნულებაც ისევ ისე გაურკვეველი დარჩა, X-XI ს-ის ნაშალ ნიადაგზე დგას. თვითონ მისი დათარიღება ძნელია, რადგან საამისო გეში არა გვიპოვია რა, მაგრამ მე მგონია რომ XIV ს-ს იგი არ უნდა გადმოსცილდებოდეს. ამასთანავე საფიქრებელია რომ არა მარტო ეს შენობა, არამედ ყველა ის შენობა დმანისში, რომლებიც ზედაპირულად არიან ამართული დღემდე, ძველ ნაშალ ნიადაგზე დგას და მეტნაკლებად ნაგვიანევ ხანას ეკუთვნის.

საინტერესო იყო ამ შენობის გადახურვის წესის გამორკვევა, მაგრამ გათხრამ ამ მხრივაც არაფერი მოგვცა. ერთად-ერთი ის ითქმის რომ მეორე სართული ამ შენობას არ ჰქონდა და რომ მისი სახურავი პრტყელი უნდა ყოფილიყო.

VII.

გარეუბანი, როგორც აღვნიშნე, ქალაქის სამხრეთით მდებარეობს, ფინეზაურის ორსავ ნაპირას. მარცხნით, მაღლობზე, სასაფლაოებია, ჯერ მუსლიმანური, შემდეგ, ქალაქისაგან უფრო მოშორებით, ქრისტიანული; მუსლიმანური სასაფლაოს გასწვრივ აღმოსავლეთისაკენ, გზის პირას ძველად კალოები ყოფილა, რომელთა კვალი, გარშემოწყობილი დიდი ლოდების სახით, ძლივსღა განირჩევა; ქვემოთ, წყლის პირას წისქვილები ყოფილა, რომლებიც გარეუბნის ზემო-აბანოს პირდაპირ მდგარა, ცოტა ზემოთ; რუ მაღლიდან ყოფილა წამოყვანილი და მისი კვალი ჩანს მწკრივად ჩაწყობილი დიდი ქვების სახით. მდინარის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ გაშენებულია ქალაქის აბანოები. აბანო სამია: ყველაზე უფრო დიდი ზემო-აბანოა, რომელიც აწინდელი პატარა დმანისის ხაზზე მდებარეობს; შუა-აბანო, რომლის დიდი ნაწილი წყალს წაუღია, 150-ოდე მეტრით უფრო ქვევითაა მოთავსებული, ყაფარა-სოფლის ხევის შესართავში, ამ უკანასკნელის მარჯვნით, ხოლო დანარჩენებზე უკეთ შენახული ქვემო-აბანო კიდევ 130-ოდე მეტრით უფრო ქვემოთ მდებარეობს (სურ. 67).

ქვემო აბანო (გარეუბნის აბანო III), რომლის გათხრასაც პირველად შევუდექით, კომპაქტურ ექვსოთახიან შენობას წარმოადგენს (ნახ. 16 და ნახ. 17). ყველა ოთახის დანიშნულება სავსებით ნათელი არაა, მაგრამ ზოგადად მათი განაწილება ასე შეიძლება: ერთი ოთახი (A) გასახდელია, ოთხი (B, C, E, F) საბანაო და ერთიც (D) – საღუმელე. შენობა ორიენტირებულია სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. იგი ძირითადად ქვითაა ნაგები, აგური (ჩვეულებრივი კვადრატული, 25×25 სმ, და ნაკლები ზომის) მხოლოდ დამხმარე მოწყობილობისთვისაა გამოყენებული და აგრეთვე მერმინდელი კედლების წყობაში ურევია. ქვა ნაგლეჯია, შემტკიცებული ქვიტკირით, წყობა

სურ. 67. გარეუბნის ქვემო-აბანო დასავლეთიდან, გათხრამდე.



ნახ. 16.



ნახ. 17.

სურ. 68. გარეუბნის ქვემო-აბანო დასავლეთიდან, ნაწილობრივი გათხრის შემდეგ.

გამტანისია, ფენებრივობა არაა დაცული. მხოლოდ კარებში ზღურბლად დევს ხოლმე თლილი ფილაქანი და კარების განის კედლებიც უფრო სუფთა ქვით და უფრო წესიერადაა ნაგები. გარეკედლების სისქე საშუალოდ 0,90 მ-ს აღწევს, მაგრამ იქ, საცა შიგნით თახჩებია მოთავსებული, კედლები გაცილებით უფრო თხელია (0,30ნ მ-მდე). გარეპირი მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთის კედელსა აქვს, – აქედან აბანოს მდინარე ჩამოუდის – და ნაწილობრივ, აგრეთვე სამხრეთ-დასავლეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის კედლებს. დანარჩენ კედლებს გარედან პირი არ ჰქონიათ, რადგან აბანო სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და ნაწილობრივ ჩრდილო-აღმოსავლეთიდანაც და დასავლეთიდანაც შეშენებულია მაღალი ნაპირის ბექობში, კედლები შიგნიდან იყო ამოყვანილი და შენობას აღნიშნული მხარეებიდან იმ თავითვე მიწა ჰქონდა მიყრილი; ამ მიწის დასაჭერად აბანოს სამივე აღნიშნული მხრიდან დაბალი მიწური კედელი არტყია. ფასადი, მაშასადამე, აბანოს მდინარისკენა აქვს (სურ. 68). აქ, E-ოთახის წინ, ქვიტკირით ნაგები რაღაც კედლებია, რომლებიც ეგებ ტერასის ნაშთს წარმოადგენენ.

შიგნით კედლები და კარების თაღები გალესილია ბათქაშით. ზღვედ ყველგან გარდა A-ოთახისა, მოსხმულია ქვიტკირი. გადახურვა არსებითად ისეთივეა, როგორიც ციხის აბანოში ჩვენ უკვე გავიცანით, ოღონდ კრამიტი და აგური სახურავზე არაა დაფენილი, პრტყელი გუმბათები მხოლოდ ქვითაა ამოყვანილი. გუმბათებში აქაც დატოვებულია ბანები, რომლებიც ოთახებს სინათლეს აწვდის. ტრომპებს აქ ცოტათი უფრო რთული პროფილი აქვს, ვიდრე ციხის აბანოში: სახელდობრ, აქ მათ ორი ან სამი სიგრძივი ნაწიბური „ამშვენებს" (სურ. 69). მხოლოდ C-ოთახის ბანია კარგად შენახული, B-ოთახის ბანი ნაწილობრივ ჩანგრეულია, ხოლო E და F-ოთახების გუმბათები თითქმის

მთლად ჩაქცეული დაგვხვდა. D-ოთახსაც (საღუმელეს) კამარა ჰქონდა გადახურული, მაგრამ ძნელი სათქმელია, იყო აქაც ბანი, თუ არა, ხოლო A ოთახის (გასახდელის) ერდო, რამდენადაც ჩანს, პრტყელი უნდა ყოფილიყო.

გეგმას რომ შევხედოთ, დავინახავთ, რომ მთელი შენობა ორ ნაწილად იყოფა: უკან, სამხრეთ-აღმოსავლეთით, მოთავსებულია სამი ოთახი: ჩრდილო-აღმოსავლეთიდან პირველი გასახდელია (A) და შემდეგ ორი საბანაო (B და C); ამათ პარალელურად წინ, ჩრდილო-დასავლეთით, მოთავსებულია დანარჩენი სამი ოთახი: ორი (F და E) საბანაო და ერთი (D) საღუმელე. ამ ორ ნაწილს ერთმანეთისაგან ჰყოფს, მეტადრე შუა ოთახებს შორის, სქელი კედელი, რომელშიც ჩაშენებული უნდა იყოს წყალსადენისა და, ალბათ, საკვამლე მილებიც. უშუალო კონტაქტი შენობის ამ ორ ნახევარს შორის არ არსებობს: წინა ოთახებიდან გარეთ უნდა გამოხვიდეთ, თუ უკანა ოთახებში გინდათ შესვლა. შესავალი კარი, ამ გვარად, აბანოს ორი აქვს, ორივე ჩრდილო-დასავლეთიდან: ერთი A-ოთახში და მეორე F-ოთახში. კარები ყველა ისრული თაღითაა გამოყვანილი.

აბანო თითქმის პირთამდე მიწით ამოვსებული დაგვხვდა (სურ. 70). გამოწმენდის შემდეგ გამოირკვა რომ ოთახები საზოგადოდ ძალიან დაბალი ყოფილა: ასე, მაგ., B- და C ოთახების სიმაღლე ბანის ხაზით 3.25 მ-ს არ აღემატება. დაბალი და ვიწროა კარებიც, ისე რომ ადამიანი შიგ თავისუფლად ვერ გაეტევა (სურ. 71). ოთახები პატარაა: მაგ, B-ოთახის სიგრძე =3.25 მ, სიგანე =3.15 მ-ს. კედლები მრუდეა, ისე რომ ვერც ერთ სწორ კუთხეს ვერ ნახავთ. მაგრამ იგივე ახასიათებს ციხის აბანოსაც და საერთოდ ყველა შენობას დმანისში, გარდა ეკლესიებისა. ყველაზე უფრო დიდი A-ოთახია (გასახდელი 4.25×4.00 მ). თავდაპირველად, სანამ მისი სამი კედლის გასწვრივ (SO, SW, NW) შიგნით ახალ კედლებს არ ამოიყვანდნენ და ამ გვარად ოთახს არ დააპატარავებდ-

სურ. 69. ქვემო-აბანო. E-ოთახის თახჩა და ტრომპები.

სურ. 70. გარეუბნის ქვემო-აბანო. B-ოთახი გამოწმენდამდე: სამხრ. კუთხის ტრომპი და კარი C-ოთახში.

ნენ, იგი ცოტათი უფრო ფართო იყო. რისთვის შეუშენეს ამ ოთახს მეორე კედლები, მაინც და მაინც ნათელი არაა: შემაგრება ძირითად კედლებს, რამდენადაც ჩანს, არა სჭიროდა. სწორედ ამ ახალი კედლების წყობაში ურევია მცირედ აგური.

A-ოთახის კედლები მხოლოდ 10-ოდე სანტიმეტრის სიმაღლითა ჩნდა ზედაპირულად, დანარჩენი მთლად დაფარული იყო მიწით. აქ, 0,70 მ-ის სიღრმეზე ოთახის ჩრდილო-აღმოსავლეთი კედლის ზედაპირიდან, წახნაგზე დაყენებული აგურების წყობა შეგვხვდა (ნ. სურ. 72), რომელსაც ოთახის მთელი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი ეჭირა, 0,60-0,70 მ-ის სისქე ჰქონდა და რომელიც, შესაძლებელია, ჩამოვარდნილი სახურავის ნაშთს წარმოადგენდეს. 1,40 მ-ის სიღრმეზე[1] ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელზე მიდგმული, სამკუთხედივით მოყვანილი, ერთი კუთხით შუა ოთახში შეჭრილი ზღვე აღმოჩნდა, ნაგები ჩვეულებრივი ზომის პრტყელი აგურით უქვიტკიროდ (სურ. 72). აგური მეტწილად კარგი გამომწვარია და ჩინებულადაა შენახული. აგურების მხოლოდ ერთი, წინა, წყება დაიფშხვნა. როგორც ჩანს, იმთავითვე ეს ზღვე ესე სამკუთხედად იყო გამართული და მთელი ოთახი არ სჭერია. ამასთან, იგი 0,50 მ-ის სისქის ნაშალი მიწის ფენაზე დგას და, თუმცა ქვიტკირის ზღვე ამ ნაშალის ქვეშაც არ აღმოჩნდა ამ ოთახში, მაინც ცხადია, რომ აგურების ზღვე მერმინდელი უნდა იყოს, რადგან იგი

[1] სიღრმეების გამოანგარიშებისას ამ ოთახში გამოსავალ წერტილად ყოველთვის ჩრდილო-აღმოსავლეთი კედლის ზედაპირი იგულისხმება.

სურ. 71. ქვემო-აბანო. B-ოთახი: კარი C-ოთახში, გამოწმენდის შემდეგ, და დასავლ. კუთხის ტრომპი.

ოთახის კარის ზღურბლთანაც შედარებით 0,40 მ-ით მაღლა მოდის. არავითარი საბანაო მოწყობილობა, გარდა ამ აგურებიანი იატაკისა,[1] ამ ოთახში არ მოიპოვება. სამაგიეროდ თითქმის მხოლოდ აქ ამოვიდა აბანოს დამათარიღებელი ნივთები, უმთავრესად მონეტები.[2] სწორედ ეს ორი გარემოება გვაფიქრებინებს, რომ A-ოთახი განკუთვნილი იყო მოსაცდელადა და გასახდელად.

როგორც ზემოაღწერილიდანა ჩანს, ეს ოთახი რამდენჯერმე გადაუკეთებიათ და ამიტომ კულტურული ფენების თანამიმდევრობა აქ დარღვეულია. რუსუდანის 1227 წლის შავი მონეტა ამოვიდა აქ 0,28 და 1,00 მ-ის სიღრმეზეც, ჩრდ.-აღმოსავლეთი კედლის ახლოს, ე. ი. აგურებიანი იატაკის ხაზზე, მის ზემოთ, და 2,00 მ-ის სიღრმეზეც, ე. ი. იატაკზე გაცილებით უფრო ქვემოთ სამხრ.-დასავლეთი კედლის ძირას. ასევე ღრმად ნაპოვნი იყო მანგუ-ყაენის ორი მონეტა (ერთი მათგანი აგრეთვე სამხრ.-დასავლეთი კედლის ძირას) და თამარის ერთი მონეტა 1200 წლისა (ოთახში შესასვლელი კარის ზღურბლზე). მე მგონი, ყველა ეს განათხარი ათარიღებს ამ ოთახს და მასთან ერთად

[1] თუ კი მას საზოგადოდ რაიმე უმეშვეო დამოკიდებულება აქვს აბანოსთან, რასაც მისი უჩვეულო ფორმა გვაფიქრებინებს, და იგი არაა მერმინდელი, აქ გამართული საცხოვრებელი ბინის ნაშთი.

[2] სხვა სულ ნატეხებია, ისიც ძალიან მცირე რაოდენობით.

მთელს ქვემო-აბანოსაც XIII ს-ით.[1] ყოველ შემთხვევაში, ამ საუკუნეზე აქეთ ამ შენობის აგების თარიღს ვერ გადმოვიტანთ.

A-ოთახიდან შეგიძლიათ შეხვიდეთ B-ოთახში და აქედან C-ოთახში. B-ოთახში, ჩრდილო-დასავლეთი კედლის გასწვრივ, ქვიტკირმოსხმული კედლის დაბალი (0,25 მ) და ვიწრო (0,33 მ) ტახტია გაკეთებული, რომელიც დასავლეთის კუთხეში პატარა თავთხელი (სიღრ. 0,25 მ) აუზით თავდება. ჩრდილო-კუთხის ახლოს, ტახტის იატაკში ჩაშენებულია ქვევრის ძირი (დიამ. 0,40 მ, სიღრმე 0,20 მ.), რომელიც, ალბათ, ფეხის დასაბანად იყო განკუთვნილი. იატაკი ამ ოთახში თარაზული არ არის, არამედ შუა ოთახისაკენ ოდნავ ჩაღრმავებულია, საიდან შემოდიოდა აქ წყალი ან სად გადიოდა, არა ჩანს, სამხრეთ-დასავლეთის კედელში ერთ ადგილას და აგრეთვე დასავლეთის კუთხეში იმავ სიმაღლეზე ბათქაში ამოტეხილია და კედელში რაღაც ღრუ ჩანს; აქ არის გატარებული, ალბათ, წყალსადენის მილები და აქ თუ ჰქონდათ მათ გამოსავალი, რომელიც ახლა შიგნით ქვებითაა დაკეტილი.

C-ოთახშიც საბანაო მოწყობილობა ჩრდილო-დასავლეთი კედლის ძირასაა გამართული. აქ არის ქვიტკირით ამოშენებული, ტრაპეციის მოყვანილობის აუზი, რომელსაც გაჭირვებით შეიძლება აბაზანა დავარქვათ (სიგრძე შუა ხაზით 0,70 ნ, სიგანე 0,60 მ, სიღრმე 0,30 მ). ამ აუზში წყალი გადმოდიოდა D-ოთახიდან. აქაც აბაზანის მარჯვნით

სურ. 72. ქვემო-აბანო. ოთახი A: წახნაგზე დაყენებული აგურების წყობა (მარცხნით) და ზღვე (მარჯვნით).

[1] რუსუდანის ფული აღმოჩნდა აგრეთვე C- თუ D-ოთახებში (მონეტა უკვე ამოყრილ მიწაში ნახეს და ნიშანდობლივ რომელ ოთახში ამოვიდა, გაურკვეველი დარჩა) და ზემოხსენებულ „ტერასაზეც" E-ოთახის წინ. სულ ამ აბანოში 7 მონეტა ამოვიდა რუსუდანისა.

და მარცხნით ქვიტკირის ტახტებია. მარცხნით ასეთი ტახტი მიჰყვება სამხრეთ-დასავლეთ კედელს თითქმის მთელს სიგრძეზე; ამ ტახტის თავი, ოთახის დასავლეთ კუთხეში, ამაღლებულია და დაკიბული და აქაც წყალსადენის მილი ჩანს, რომელიც აგრეთვე D-ოთახიდან გამოდიოდა.[1] როგორ გადიოდა წყალი C-ოთახიდან, ესეც არა ჩანს, მაგრამ იატაკი აქაც ცენტრისაკენ დაქანებულია.

D-ოთახში მოწყობილი იყო ღუმელი იატაკის ქვეშ. აქ შუა ადგილას მრგვალი ორმო აღმოჩნდა (დიამ. 065 მ), რომელიც, როგორც ეს ამოწმენდის შემდეგ გამოირკვა, საღუმელე ყოფილა. მართალია, გაურკვეველი დარჩა, თუ საიდან უკეთებდნენ აქ ცეცხლს. ორმო, რომლის სიღრმე 1,05 მ-ს უდრის, ირგვლივ ამოშენებულია ნაგლეჯი ქვით ქვიტკირად. მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთის და ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით მიდის აქედან ორი ხვრელი, რომელთა პირები გადახურულია ერთმანეთზე კუთხურად მიდგმული ორი პრტყელი აგურით. ეს არის გათბობის სისტემის ხვრელები, რომელთაგან ერთი (SO-ისკენ) სითბოს აწვდიდა C- და B-ოთახებს, მერე კი (NO-ისკენ) – E- და F-ოთახებს. D-ოთახის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი დაბალ თახჩას წარმოადგენს, რომელსაც იატაკის შუა ადგილას აგრეთვე მრგვალი ორმო აქვს ჩაშენებული (დიამ. 0,35 მ, სიღრმე 1,30 მ). ეს ორმო იატაკქვეშა ხვრელით შეერთებულია ღუმელთან. ეს საქვაბე უნდა იყოს. აქ ცხელდებოდა, ალბათ, წყალი, რომელიც შემდეგ, საქვაბის პირის გასწვრივ კედელში გაყვანილი მილებით გადიოდა C-ოთახში.[2] იატაკქვეშა ხვრელი საქვაბიდან C-ოთახში გადის. რადგან ამ ოთახის ზღვე რამდენსამე ადგილას ჩანგრეული იყო, ჩვენ საშუალება მოგვეცა ნიშანდობლივ გამოგვერკვია ამ აბანოს გათბობის სისტემა. ნიადაგი იატაკის ქვეშ მოყრილია ლამით, რომელიც სითბოს დიდხანს ინახავს; შემდეგ გარკვეულ მანძილზე დადგმულია ე. წ. საგორავი ქვები, უფორმო ლოდები, რომლებზედაც გადებულია პრტყელი ქვები; ამ ქვებზე ქვიტკირის ზღვეა მოსხმული. უეჭველია C-ოთახიდან თბებოდა B-ოთახიც. თუმცა აქ იატაკი არ გაგვიტეხია და ამიტომ დანამდვილებით ამის თქმა არ შეიძლება. სამაგიეროდ, F-ოთახში ჩავტეხეთ ქვიტკირის ზღვე ერთ ადგილას და იქაც იგივე სურათი აღმოჩნდა – ჩრდილო-აღმოსავლეთის ხვრელი, მაშასადამე, სითბოს აწვდიდა ღუმელიდან E-ოთახსაც და F-ოთახსაც.

კვამლი გადიოდა, ალბათ, ამწოვი მილებით, რომლებიც კედლებში უნდა იყოს ჩაშენებული და ჩვენ არ გვინახავს.

C-ოთახში აღმოჩნდა აშკარა კვალი აბანოს მერმინდელი გამოყენებისა: აღმოსავლეთი კუთხის ახლოს, ჩატეხილ იატაკში, აგურით მშრალად ამოშენებული ღუმელი თუ კერა ვნახეთ (სიღრმ. 0,45 მ. დიამ. 0,30-0,35 მ), რომლის ფსკერზე ნაცარი ეყარა და რომელიც, როგორც ამას ისეთივე აგურების ორფენა წყობა გვიჩვენებდა, მიმართული ოთახის აღმოსავლეთი კუთხისაკენ, დაკავშირებული იყო იმ საკვამლესთან, რომელიც ამ კუთხეში აღმოჩნდა და გარეთ ოთახის სახურავზეც გადის. აქ, ეტყობა, ვიღაცას უცხოვრია მას უკან, რაც აბანო გაუქმებულა და ამ მობინადრეს თავისთვის კერაც გაუმართავს. კვამლის გარეთ გასაყვანად მას კუთხიდან გაუნგრევია კედელი და სახურავი, რაც ძალიან ადვილი იყო, რადგან კუთხეებში ტრომპებია და ტრომპებთან კედელი თხელია. ასეთივე საბუხრე გაკეთებულია ამ ოთახის სამხრეთ კუთხეში, რომელიც ამის გამო მთლად შენგრეულია. ეს ორივე საკვამლე შესატყვის ადგილას ოთახის სახუ-

---

[1] D-ოთახიდან გატარებული მილი კედელში, ალბათ, ორად იყოფა და ერთი შტო C-ოთახის დასავლეთი კუთხისაკენ მიდიოდა.

[2] უნდა აღინიშნოს კი რომ საქვაბე ძალიან პატარაა აბანოსათვის და მით უმეტეს საჯარო აბანოსათვის.

რავზეც გამოდის გარედან. ერთი ასეთი საკვამლე B-ოთახსაცა აქვს. E- და F-ოთახებში დაბალი თახჩები და თავთხელი აუზებია, რომლებიც არ ჩანს, თუ საიდან იკვებებოდნენ წყლით. საინტერესო აქ ისაა, რომ აუზები გამართულია არა მარტო სამხრეთ-აღმოსავლეთი კედლის ძირას, რომელიც B- და C-ოთახების მომიჯნავეა და, ალბათ, წყალსადენს შეიცავს აბანოს ორივე ნახევრის მოსამარაგებლად, არამედ ჩრდილო-დასავლეთი კედლის ძირასაც, ისე რომ აქაც სადმე მილები უნდა იყოს გაყვანილი. მართლაც, ამ კედლის ძირას გარედან, საცა E-ოთახს „ტერასი" აკრავს, ქვიტკირში ჩაშენებული თიხის მილის ნატეხი ვნახეთ, რომელსაც ორიენტაცია აბანოს სიგრძივ ჰქონდა, მაგრამ არა ჩნდა თუ საითკენ იყო დახრილი.

არც წყლის შესავალი და არც მისი გამოსავალი ქვემო-აბანოში არ გვინახავს. რა თქმა უნდა, აქაც, როგორც ეს ზემო-აბანოში თვალსაჩინოდ გამოირკვა, ჭუჭყიანი წყალი პირდაპირ მდინარეში ჩადიოდა.

რაც შეეხება წყლის შემყვან მილებს, ისინი, როგორც ეს შენობის შიგნით აუზების განლაგებიდან და საქვაბისა და C-ოთახის მილების მდებარეობიდანა ჩანს, აბანოში შედიოდნენ სამხრეთ-დასავლეთიდან, D-ოთახის სამხრ.-დასავლეთი კედლით, სადღაც ღუმელსა და საქვაბეს შორის. სამწუხაროდ, ჩვენი ძიება აქ ამაო გამოდგა. წყალსადენის ტრასი კი თითქმის მთელს თავის სიგრძეზე აღმოჩნდა. ქვემო-აბანოს წყალსადენი წამოყვანილი ყოფილა შუა-აბანოს ახლოს მდებარე წყაროდან (ნ. ქვემო- და შუა-აბანოების საერთო ასახულობა, სურ. 73). შუა აბანოს ქვემოთ, ხუთიოდე მეტრის დაცილებით, კლდეში წყარო სცემს, რომელიც ახლა თითქმის მთლიანად დაშრეტილია. უწინ აქ,

სურ. 73. ქვემო- (მარცხნით) და შუა-აბანოების (მარჯვნით) საერთო ასახულობა ქალაქიდან.

სურ. 74. ქვემო აბანოს წყალსადენის ტრასის ერთი ნაკვეთი.

ეტყობა, კაპტაჟის სისტემა ყოფილა მოწყობილი: აქა-იქ ქვიტკირიანი წყობის ნაშთები ჩანს. აქედან, ქვიტკირში ჩასხმული და ერთმანეთში ჩასმული თიხის მილებით, წყალი წამოყვანილი ყოფილა ჯერ მდინარის ნაპირ-ნაპირ, შემდეგ ცოტა უფრო დაცილებით ნაპირიდან, ვიდრე ქვემო აბანომდე. მდინარეს დიდი ნაწილი წყალსადენისა ნაპირთან ერთად წაუღია, მაგრამ ერთ ადგილას, შუა აბანოს ახლოს, მილები ჯერ კიდევ კარგადაა შენახული (სურ. 74). საინტერესოა რომ აქ ორი ტრასი ჩანს: ერთი უფრო ქვემოთ, მეორე მის ზემოთ, სულ რამდენიმე ათეული სანტიმეტრის დაცილებით. ქვემო ტრასის მილები (სულ ორი ცალი ჩანს) საღი აღარაა, იფშხვნება, ზემო ტრასისა კი რამდენადმე დაუზიანებლივაა დაცული. ეტყობა, ძველი წყალსადენი ერთხელ უკვე წაუღია წყალს და საჭირო შექმნილა ახალი ტრასის გაყვანა. უფრო ქვემოთ უძველესი ტრასის კვალი აღარა ჩანს. ძველსა და ახალ მილებში, რამდენადაც ეტყობა, დიდი განსხვავება არ ყოფილა.[1] წყალსადენის ქვემო ნაკვეთი, მდინარისაგან დაშორებული, ძალზე დაშავებულია: ნაწილი წაღებულია ნიაღვრისაგან, ნაწილი დალეწილია ჩამონაზვავი მიწის სიმძიმის გამო. მთელი მილები აქ აღარ გვინახავს. მთელი ტრასის სიგრძე დაახლ. 120 მეტრია, მაგრამ ქვემო აბანოდან დაახლ. 40 მ-ის მანძილზე იგი უკვალოდ იკარგება.

[1] საღად შენახული ტრასის ნაკვეთებიდან მილი არ ამოგვიღია, რადგან მაშინ ეს ნაკვეთიც სულ დაიშლებოდა; წყაროს ახლოს ვნახეთ ხუთ ნატეხად დალეწილი მილი, რომლის სიგრძე 29,5 სანტიმეტრს უდრის.

წყალსადენის გამოსავალი ნერტილი, წყარო, მდინარის ზედაპირიდან 5,42 მ-ის სიმაღლეზე მდებარეობს, ხოლო მისავალი, ქვემო აბანოს D-ოთახის სამხრეთ-დასავლეთი კედლის ძირი, მხოლოდ 0,75 მ-ის სიმაღლეზე მოდის, ისე რომ ტრასს დაქანება კარგი აქვს.[1]

გარეუბნის ქვემო აბანო, ციხის აბანოსთან შედარებით, გაცილებით უფრო მდარე ღირსების, უფრო ღარიბული ნაგებობაა, თუმცა გარეუბნის აბანოთა შორის ქვემო-აბანო საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს. იგი მკვიდრი შენობაა, მისი კედლები დღესაც კარგად დგას, ქვიტკირი მტკიცეა, რაც არ ითქმის შუა და ზემო-აბანოების შესახებ, მაგრამ ციხის აბანოს იგი მაინც ვერ შეედრება. ფორმის მხრით მათ შორის, როგორც ვნახეთ, დიდი განსხვავება არაა, მაგრამ ზომები აქ გაცილებით უფრო მცირეა, არქიტექტორული გაფორმაბაც გაცილებით უფრო მდარეა: დაბალი, ვიწრო ოთახები, დაბალი თახჩები, გამრუდებული ტრომპები და მინიატურული აუზები კარგს შთაბეჭდილებას არ ახდენს, თუმცა როგორც ნანგრევი ქვემო აბანო გარედან ძალიან ლამაზია.

სურ. 75. გარეუბნის სასაფლაოების საერთო ასახულობა სამხრ.-აღმოსავლეთიდან.

[1] რამდენადაც გამორკვევა შეიძლებოდა, ტრასი თანაზომიერად არაა დაქანებული, არამედ სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა დახრილობა აქვს. თანგირები (საკონტროლო ქოთნები) ტრასს, როგორცა ჩანს, მისი საერთო სიმოკლის გამო, არ ჰქონია.

VIII.

სასაფლაოებს ფინეზაურის მარცხენა ნაპირას თითქმის ისეთივე ფართობი უჭირავთ როგორც თვით ქალაქს. ამასთან, მუსლიმანური სასაფლაო გაცილებით უფრო დიდია ვიდრე ქრისტიანული. ორსავ სასაფლაოზე, წარწერიანი ქვების გარდა, ამართულია საფლავის ძეგლებიც (სურ. 75).

მუსლიმანური სასაფლაოსათვის დამახასიათებელია პატარა ზომის (0.23×021 მ) პრტყელი ქვები, რომლებსაც თავი სამკუთხადა აქვს ჩამოჭრილი და ცალ პირზე წარწერა აქვს გამოქანდაკებული. ასეთი ქვა საფლავის თავშია ხოლმე დარჭმული და წარწერა ყოველთვის მიმართულია აღმოსავლეთისაკენ. დამახასიათებელია კიდევ დიდი გრძელი (1.25-1.85 მ.) ნახნაგოვანი ქვები, ხუთნახნაგიანი თავით, რომლის ორ პირზე ან, ზოგჯერ, ხუთსავ ნახნაგზეა ხოლმე მოთავსებული არაბული გამოქანდაკებული წარწერა. არის აქ ქვიტკირით კარგად ამოშენებული დიდი აკლდამები და აგრეთვე ქვის ზღუდით შემოვლებული საგვარეულო ანუ საოჯახო საფლავებიც.

ამ სასაფლაოს დღეს – ადგილობრივ – „მეჩითებს" ეძახიან. მართლაც აქ რამდენიმე მავზოლეუმი დგას, რომლებმაც ეს სახელი მისცეს სასაფლაოს. გადმოცემით, შვიდი „მეჩითი" ყოფილა აქ, რომლებიც ვითომ დმანისის დაცვის დროს დაღუპული შვიდი ძმის საფლავთა ძეგლებს წარმოადგენს. ასეთი მავზოლეუმები აქ შვიდზე მეტიც უნდა ყოფილიყო ნაშთების მიხედვით.[1] მაგრამ, სამს გარდა, ყველა ძალიან დაშავებულია.

სურ. 76. ქვის „მეჩითი".

[1] სულ აქ დაითვლება რვა ნანგრევი, რომლებიც, ალბათ, „მეჩითების" ნაშთს წარმოადგენს და კიდევ ორი მოზრდილი ნაგებობის ნაშთი, რომლებსაც საფლავი ან სულ არ უჩანს ან მხოლოდ ერთი საფლავი შემოუზღუდავთ. „მეჩითებშიც" თვითონ საფლავები არა ჩანს.



სურ. 77. აგურის „მეჩითი" აღმოსავლეთიდან.

სამი „მეჩითი" კი შედარებით კარგადაა დაცული. ერთი მათგანი (სურ. 76) სასაფლაოს ჩრდილო-აღმოსავლეთის ყურეში დგას, გზის პირას. იგი ნაგებია დაუმუშავებელი ქვით ქვიტკირზე. იგი კვადრატულია (4,95×4,95 მ); კედლების სისქე 0.90 მ-ს აღწევს; გარედან კუთხეები წიბოჩამოთლილი აქვს. გადახურულია ისრულ ტრომპებზე ამართული მაღალი გუმბათით, ისე რომ შენობის მთელი სიმაღლის ნახევარზე მეტი გუმბათზე მოდის (მთელი სიმაღლე =5,95 მ, ხოლო მარტო გუმბათის სიმაღლე =3,15 მ). გუმბათი ნაგებია წვრილი პრტყელი ქვებით. შენობას აქვს ერთი კარი (აღმოსავლეთიდან) და ორი სარკმელი (ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან). შესავლის ზემოთ კედელში ჩანს ქვის ბუდე; შესაძლებელია, აქ წარწერიანი ქვა იყო მოთავსებული, რომელიც ახლა თვალს მოეფარა.

მეორე, თითქოს ასეთივე „მეჩითი" (სასაფლაოს სამხრეთ-აღმოსავლეთის ყურეში) თითქმის მთლიანად მიწაში ზის. მხოლოდ მისი გუმბათის წვერილა ჩანს მიწის ზემოთ. შიგნით მისი კედლები ბათქაშით ყოფილა გალესილი.

მესამე მავზოლეუმი (სურ. 77) გზიდან უფრო მაღლა მდებარეობს მთის ფერდოზე, დასავლეთისაკენ. იგი დაბალ ქვის ბალავარზე დგას, აგურითაა ნაშენი[1] ძალიან სუფთად და უფრო მდიდრული ნაგებობის შთაბეჭდილებას ახდენს. მასაც კვადრატული ფორმა (3,85×3,85 მ) და ტრომპებზე ამართული მაღალი გუმბათი აქვს, მაგრამ პროპორციები აქ გაცილებით უფრო სასიამოვნოა: შენობა შედარებით ვიწროა, აწეული, მისი სიმაღლე სულ 6,25 მ-ს შეადგენს და აქედან გუმბათზე მოდის მხოლოდ 2,55 მ. კედლის სისქე =0,80 მ; გარეთა კუთხეები ჩამოთლილი არაა; ტრომპები პატარა, ღრმა, ნიჟარისებური; კედლები შიგნით გალესილია ბათქაშით. კარი ამასაც აღმოსავლეთიდანა აქვს,

[1] აგურის ზომა: 23×23×5 სანტიმ.

იგი ძალზე ჩანგრეულია; ამის გარდა, ოთხივე მხრიდან გაკეთებულია ისრული თაღით გამოყვანილი პატარა სარკმლები. აღმოსავლეთიდან ამ შენობის ნინ თითქოს მისავალი კიბის ნაშთები ჩანს.

ქრისტიანული სასაფლაო 120-130 მეტრითაა დაცილებული მაჰმადიანურს.[1] აქ ქვემოთ, სოფლის განაპირას, პატარა ერთნავიანი ეკლესიის ნანგრევი დგას (ნ. სურ. 75). ეს ეკლესია, გადმოცემით, თევდორეს სახელობისა ყოფილა. ეკლესიის ზემოთ, დასავლეთისაკენ, ახალი გზატკეცილი გადის. გზატკეცილს ძველი ქრისტიანული სასაფლაო ორად გაუჭრია: უდიდესი ნაწილი გზის დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით დარჩა (სურ. 78), მაღალ მთის ფერდოზე, უმცირესი ნაწილი კი ეკლესიითურთ გზის აღმოსავლეთით მოექცა.[2] გზატკეცილის დასავლეთით ბექობში ახლაც გამოშვერილია ძველი ქვაყუთები.

სურ. 78. გარეუბნის ქრისტიანული სასაფლაოს ზემო ნაწილის საერთო ასახულობა აღმოსავლეთიდან.

ქრისტიანულ სასაფლაოზე ყველაზედ უფრო საინტერესო ე. წ. „ხაჩქარებია", ანუ სომხური წარწერიანი ჯვრიანი ქვები. ეს ქვები საფლავის ძეგლებს წარმოადგენს, ამარ-

[1] უმეშვეოდ მაჰმადიანურ სასაფლაოს აკრავს სამხრეთიდან პატარა ადგილი, რომელზედაც რამდენიმე ჯვრიანი საფლავის ქვა მოიპოვება; ერთი მოზრდილი ძეგლის ნაშთიც არის აქ. ვინაიდან დიდი ქრისტიანული სასაფლაო, როგორც ვნახავთ, ქალკედონიტური ანუ ე. წ. „მართლმადიდებლური" უნდა იყოს, ეგებ ზემოხსენებული პატარა ადგილი ანტიქალკედონიტური, სპეციალურად, სომხური მრწამსის მიმდევართათვის იყო განკუთვნილი? ან, რახან ეს ადგილი ასე ახლოს აკრავს მუსლიმანურ სასაფლაოს, აქ ეგების გაქრისტიანებულ მაჰმადიანებს მარხავდნენ?

[2] აქ პატარა დმანისელები დღესაც ასაფლავებენ თავის მიცვალებულებს.



სურ. 79. 1288 წლ. ხაჩქარი გარეუბნის ქრისტიანულ სასაფლაოზე.



სურ. 80. თახჩაში ჩასმული ხაჩქარი გარეუბნის ქრისტიანულ სასაფლაოზე.



სურ. 81. საფლავის ქვა.

თული იყო პოსტამენტზე და პოსტამენტითურთ ჩადგმული იყო სპეციალურად გაშენებულ კედელში ან თახჩაში. ახლა სულ ოთხი ხაჩქარიღაა შენახული, მაგრამ, ძეგლების ნაშთების მიხედვით, ხუთი მაინც უნდა ყოფილიყო. ოთხ შენახულ ხაჩქარში მხოლოდ ორი დგას ისევ-ისე თავის ადგილას; ერთი, შესანიშნავად მოჩუქურთმებული, ხაჩქარი, რომელსაც თავი მოტეხილი აქვს, იქვე სასაფლაოზე გდია უპოსტამენტოდ; მისი წარწერა აღარ იკითხება; ერთი ხაჩქარიც, როგორც უკვე აღვნიშნე, ქალაქში ნაუღიათ და სიონის დასავლეთი კარიბჭის კედელში ჩაუდგამთ; ამ ხაჩქარის წარწერაც აღარ იკითხება, გადარეცხილია. ორი კარგად დაცული ხაჩქარის წარწერები კი იკითხება და ერთი დათარიღებულია 1288 წლით (სომხ. ნელთაღრ. 737 წლ., სურ. 79). რადგან ორივე ხაჩქარი ერთსა და იმავე პირის მიერაა ამართული, მეორე ხაჩქარიც ამით თარიღდება. დანარჩენი ხაჩქარებიც ამ ხანისაა. მართლაც, დაწერილი თარიღი არც იყო საჭირო: ვინც სომხურ ხაჩქარებს საზოგადოდ იცნობს, მისთვის სრულებით ნათელია რომ დმანისის ხაჩქარები სტილის მიხედვით ან XII ან XIII საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს.[1] ამ გვარად, უეჭველი ხდება რომ ჩვემ ქალაქის ძველ სასაფლაოსთან გვაქვს საქმე.[2]

ხაჩქარები ყველა ბაცი მწვანე ფერის რბილი თირისაა. ეს იგივე ქანი უნდა იყოს, რომლითაც შემოსილია სიონის დასავლეთი კარიბჭე. ამიტომაა რომ წარწერები ძალიან გადარეცხილია: ეს ქანი ვერ უძლებს ატმოსფერულ ზემოქმედებას.

---

[1] ნ. ი. ორბელი, Колокол с анийскими орнаментальными мотивами, Зап. Вост. отд. Русск. Археол. Общ. т. XX, გვ. 023-039.

[2] დმანისის ხაჩქარების, ისე როგორც სხვა სომხური წარწერების გამოცემა თავაზიანად იკისრა პროფ. ლ. მელიქსეთბეგმა.



სურ. 82. საფლავის ქვა.

როგორც აღვნიშნე, ხაჩქარები ჩასმული იყო თახჩაში ან დადგმული იყო კედელზე. დათარიღებული ხაჩქარი უფრო ქვევითა დგას, სასაფლაოს სამხრეთი კიდისაკენ; მისი საყრდენი კედელი ნაგებია საშუალო ზომისა და წვრილი დაუმუშავებელი მომწვანო ქვით ქვიტკირად; წყობაში აქა-იქ აგურიც ურევია (ზომ. 21×21×4,5 სანტიმ.); ხაჩქარი დასავლეთისაკენ იცქირება. მეორე ხაჩქარი ჩასმულია თახჩაში (სურ. 80); იგი მაღლა დგას, სასაფლაოს სამხრ.-დასავლეთის ყურეში; თახჩა ისევეა ნაგები, როგორც დათარიღებული ხაჩქარის კედელი, ოღონდ აქ აგური გაცილებით მეტია ნახმარი; თახჩის კედელში უადგილო-ადგილას ჩასმულია ორი ორნამენტირებული ქვა, რაც, შესაძლებელია, რესტავრაციის კვალს წარმოადგენდეს; აქაც ხაჩქარი მიქცეულია დასავლეთისაკენ. დანარჩენ ძეგლებსაც ეტყობა რომ მათი ხაჩქარები პირით დასავლეთისაკენ უნდა ყოფილიყვნენ.

ძალიან საინტერესოა ზოგიერთი ძველი საფლავის ქვა. ერთი უშველებელი, ზურგიანი და შუბლზე ჯვრიანი ქვა (სიგრძით 1,75 მ, სიგანით ძირზე 0,60 მ, სიმაღლით 0,55 მ) ეკლესიის ახლოსა გდია გადაბრუნებული; მას ძირი ამოღრუვებული აქვს, ალბათ იმისათვის რომ წონაში დაეკლო, და გვერდზე ნაცხვირი აქვს გაკეთებული, რომლის საშუალებითაც ის აქ ამოათრიეს (სურ. 81). მეორე ქვა, რომელიც თავის ადგილას დევს ზევით სასაფლაოზე, სიგრძ. 1,95 მ, უფრო წახნაგოვანი მოყვანილობისაა; მას ორსავ გვერდზე გამოქანდაკებული აქვს გადაბმული სპირალების ოლეები (სურ. 82). მესამე ქვას, იქვე, სასფლაოს ზემო ნაწილში, ხარისხოვანი პირამიდის მოყვანილობა აქვს (სურ. 83).



სურ. 83. საფლავის ქვა.

არის ქვები ადამიანის ფიგურის კონტურებით[1] და სხვ. ძნელი სათქმელია თუ ნიშანდობლივ რომელ საუკუნეს მიეკუთვნოს ესა თუ ის ქვა, მაგრამ ხაჩქარების თარიღი გვაფიქრებინებს რომ აქ მნიშვნელოვან სიძველესთან უნდა გვქონდეს საქმე. ცხადია აგრეთვე რომ მოჩუქურთმებული ქვების შეძენა მხოლოდ მდიდარ მოსახლეებს შეეძლოთ და კარგი ხელობაც ქალაქის აყვავებისა და სიმდიდრის ხანაზე მიგვითითებს. უმრავლესობა საფლავის ქვებისა მაინც უორნამენტოა, მაგრამ მოყვანილობა თავისებური აქვს: ვიწრო და გრძელი, კუბოსებური, დაწახნაგებული, სხვადასხვა ზომისა. ამათგან ზოგი XVIII ს-ისა უნდა იყოს. ერთს ასეთ ქვას (სიგრძ. 1,67 მ, სიგანით ძირზე 0,50 მ, სიმაღლით 0,32 მ) ქართული მთავრული წარწერა აქვს ამოკოდვილი:

1) ქ----------:----------ბს˜ლის: დისწ˜ლი: კ̃ᲗᲒ: წლ:

2) ისაᲐ: საწ˜თროᲐ: ვერ გ˜ვიც˜დე: ჩ˜მთ˜ს: შ˜ნდობ˜სა: იტ˜ყდით>

პირველი სქტრიქონი, სამწუხაროდ, თითქმის აღარ იკითხება, ხელი XVIII ს-ისა ჩანს. ქარაგმა გახსნილი ასე იქნება: ... ბასილის დისწული კ̃ᲗᲒ (28) წლისა, საწუთროᲐ ვერ გავიცადე. ჩემთვის შენდობასა იტყოდით.

ეს საფლავი გავთხარეთ კიდეც. ჩონჩხი, ჩვეულებისამებრ, თავით დასავლეთისაკენ იდო, ზურგზე შვეტილად, გულხელდაკრეფილი. ინვენტარი არა ახლდა რა.

მეორე საფლავს, ასეთივე კუბოსებური ქვით, თავთ (დასავლეთით) ერჭო წნულჩუქურთმიანი მოგრძო ქვა, ზომ. 0,80×0,25×0,19 მ; საფლავის ქვის ქვეშ სამარხავი მიწით, ღორღით და განის კედლების ფიქლებით იყო სავსე. 0,40 მ-ის სიღრმეზე ორი მიც-

[1] შეად. მსგავსი საფლავის ქვა ანისის ერთ-ერთ სასაფლაოზე, Марр, Ани, გვ. 102, სურ. 233.



სურ. 84. საფლავის ქვა.

ვალებულის ჩონჩხი აღმოჩნდა, თავით დასავლეთისაკენ, ზურგზე შვეტილად მდებარე: მარცხნით ახალგაზრდა ქალის ჩონჩხი, მარჯვნით პატარა ბავშვისა. ქალს ხელები მუცელზე, მენჯის ზემოთ ეწყო და აქვე, დაშლილ თითებს შორის, ეყარა სპილენძის ორი ბეჭედი და საყურის (?) ორი ნატეხი. თავის ქალა დაშლილი იყო. ამ ჩონჩხების ქვეშ უწესრიგოდ ამოდიოდა მრვალი სხვა ჩონჩხის ძვალი ვიდრე 1,20 მ-ის სიღრმემდე და, ძვლებს შორის, რკინის ლურსმნები (ალბათ, კუბოსი), ერთი ნატეხი მწვანე ქაშანურისა და ერთიც ცისფრად მოჭიქული აგურის. აღწერილი სურათი გამეორდა სხვაგანაც, საცა კიდევ ოთხი საფლავი გავთხარეთ. ცხადია, სასაფლაო უკანასკნელ დრომდე იყო ხმარებაში და ხშირად ახალი საფლავი ძველ ნასაფლავარზე გაუთხრიათ. მართლაც, გზის პირას, ბექობში, ქვაყუთების ორი თუ სამი სართული ჩანს. ჩვენ მიერ გათხრილი საფლავების უმეტესობა ე. წ. „ქვაყუთებს" წარმოადგენდა, ერთი განსხვავებით: ამ „ქვაყუთებს" ქვის ფსკერი არა აქვს, ფსკერი მიწურია.

ერთიც, ქვის მიხედვით, უთუოდ ძველი საფლავი, უინვენტარო აღმოჩნდა. ამ საფლავის ქვა თავისი მოყვანილობითა და შემკულობით ყველაზედ უფრო საინტერესოა დმანისის სასაფლაოზე (სურ. 84). მისი სიგრძე =2,24 მ ძირის სიგანე =057 მ, სიმაღლე =0,50 მ. იგი თითქოს მაღალ ცოკოლზე მდგომ ბაზილიკს წარმოადგენს; „სახურავი შუაზე სიგრძივ შემკულია ჩალიჩივით გრეხილი წიბურით, ხოლო მის გვერდებზე ლამაზი რელიეფით გამოქანდაკებულია ორმაგი პილასტრების მქონე არკადები. ქვის სიმძიმეს საფლავი ჩაულეწია, ისე რომ ჩონჩხის ძვლებიც შიგ უწესრიგოდ დაყრილი დაგვიხვდა.

ზოგიერთ კუბოსებური მოყვანილობის ქვას სომხური წარწერა აქვს.

პრტყელი საფლავის ქვები, როგორც ჩანს, უფრო მერმინდელ ხანას ეკუთვნის. ერთი სომხური წარწერიანი პრტყელი საფლავის ქვა დათარიღებულია 1750 წლით (სომხ. წელთაღრ. 1199 წლ.).

თევდორეს ეკლესიის ნანგრევში რამდენიმე ჩუქურთმიანი ქვა აღმოჩნდა, აქ უთუოდ გვიან შემოტანილი სხვაგნით. თვითონ შენობას ცხადად ეტყობა არა ერთგზისი რესტავრაციის ნიშნები: უადგილო ადგილას კედლებში ჩასმული ჩუქურთმიანი ქვები და სხვ.

როგორცა ვხედავთ, გარეუბნის ქრისტიანულ სასაფლაოზე სომხებიც ასაფლავებდნენ თავის მიცვალებულებს და ქართველებიც. მართალია, ქართული წარწერიანი ძველი საფლავის ქვები არა ჩანს, მაგრამ ეს გასაკვირველი არაა: ცნობილია რომ ძველი ქართული საფლავის წარწერები საზოგადოდ ძალიან ცოტაა. ძველად, XVI-XVII ს-მდე, ქართველი მოსახლეობა იშვიათად უკეთებდა წარწერას თავის საფლავებს. პირიქით, სომხები ძველადაც ხშირად ვრცელ ეპიტაფიებს უძღვნიდნენ ხოლმე თავის მიცვალებულებს.

ის გარემოება რომ ქართულ-სომხური სასაფლაო საერთოა, შეიძლება იმის მომასწავებელი იყოს რომ დმანისის სომხური მოსახლეობა უმთავრესად ქალკედონიტური ანუ ე. წ. „მართლმადიდებლური" იყო.

IX.

თითქმის უკლებლივ ყველგან, სადაც კი ვთხრიდით, როგორც ეს ქალაქის ნანგრევს შეეფერება, ბლომად ამოდიოდა, უკვე რამდენიმე ათეული სანტიმეტრის სიღრმეზე, სპილენძის, რკინის, თიხის, ძვლის, რქის, მინის და სხვა მასალის ნერილი, მეტად თუ ნაკლებად დაზიანებული ნივთები. ორი არქეოლოგიური კამპანიის წყალობით ჩვენ უკვე შეგვიგროვდა საკმაოდ საინტერესო და მდიდარი კოლექცია. ზოგი დღემდი სრულებით უცნობი დარგი იქმნება ჩვენში დმანისის განათხრების წყალობით – ასეთია, მაგ., ქართული საშუალო საუკუნეების კერამიკური წარმოება, – ზოგიც დმანისის განათხარმა თვალსაჩინოდ გაამდიდრა, როგორც, მაგ., ქართული ნუმიზმატიკა.

სურ. 85. კრასოულის ნატეხი.

დმანისის კოლექცია ამ ჟამად სპეციალური შესწავლის საგანს შეადგენს და დარგების მიხედვით მონოგრაფიულად იქნება დამუშავებული.[1] აქ მოვიტან მხოლოდ რამდენსამე დამახასიათებელ ნიმუშს.

განსაკუთრებით დამახასიათებელია კერამიკა. ამასთან ეს ნაწარმოები განსაკუთრებით მრავალფეროვანიცაა, როგორც ფორმების, ისე ტექნიკის და

[1] დმანისის ნუმიზმატიკური კოლექციის შესახებ სპეციალურ მონოგრაფიას ამზადებს დოც. თ. ლომოური. კერამიკა პირადად შემი შესწავლის საგანია.

სურ. 86. „დ"-ონიანი ჯამი.

სურ. 87. ფრინველიანი მოჭიქული ჯამი.

აგრეთვე ორნამენტის მხრით. ძირითადად ორი ჯურის ჭურჭელი უნდა გავარჩიოთ: სადა თიხისა და მოჭიქული. სადა თიხის ჭურჭელი ხშირად ანგობიანია. ანგობი ასეთ შემთხვევაში ნითელია (წარნაქი). ასეთია, მაგ., ნატეხი კრასოულისა, იმ საღვინე ჭურჭლისა, რომელიც კარგადაა ცნობილი ანისიდან: როგორც ანისში, ისე აქაც ეს ჭურჭელი შემკულია რელიეფით გამოყვანილი კოზმიდით, რომელიც წარმოადგენს მარჯვნივ მიმართულ თხების მწკრივს წერტილებით და სამკუთხედებით მათ შორის (სურ. 85).

ხშირად გვხვდებოდა აგრეთვე ე. წ. „ვერცხლის წყლის ჭურჭლის" ნატეხები, რომელთა გავრცელების არე მთელს მუსლიმანურ აღმოსავლეთს მოიცავს.

მოჭიქული კერამიკა განსაკუთრებით საინტერესოა იმით რომ ქართული წარწერიანი ცალებიც აღმოჩნდა. ერთი XI ს-ის ნიმუშის შესახებ ზემოთ უკვე მქონდა საუბარი. მეორე – პატარა ჯამის ნატეხია, რომელსაც ძირზე სგრაფიტოს წესით გამოფხაჭნილი მთავრული „დ"-ონი აწერია (სურ. 86). „დ"-ონი დაბალია, დაბალყელიანი, ისე რომ ნატეხი ძველი უნდა იყოს; ჭიქა მწვანედაა შეფერადებული. ორნამენტი გეომეტრიულიცაა, მცენარეულიც და ფიგურულიც. საკმაოდ ხშირია ადამიანის გამოსახულება; პირუტყვებიანი სახეებიც ბევრია. მაგრამ განსაკუთრებით უყვარდათ მტაცებელი ფრინველის გამოსახვა. გასაკვირველია ერთის მხრით პირუტყვების, მართალია, მარტივი ხაზებით, მაგრამ სავსებით რეალისტურად, ცოცხლად დახატული თავები, მეორე მხრით კი კონვენციურად, თავისებური სტილიზაციით გადმოცემული სხვა ნაკვთები, მაგ., ფრინველების ფრთები; ფერებიც სავსებით პირობითია, მეტწილად ყვითელი და მწვანე, ასე რომ, მაგ., პატარა, თითქმის დაუზიანებელ ჯამზე გამოხატულ ფრინველს (სურ. 87) ტანი, თავი და ფეხების ქვემო ნაწილი ყვითელი აქვს, ფეხების ზემო ნაწილი და ფრთების ბოლოები – მწვანე. გასაოცარია ორნამენტული სახეები სიმრავლე. კონტურები თამამად და მკაფიოდაა გამოყვანილი, ფერები დიდი გემოვნებითაა შეხამებული. ამასთან, როგორც ეს უკვე ნ. მარმა აღნიშნა ანისის კერამიკის შესახებ, ჭყატუნა ფერებს გაურბოდნენ.

ასეთი ჯურის კერამიკის გავრცელების არე, როგორც ცნობილია, საკმაოდ დიდია და მოიცავს აღმოსავლეთით საქართველოს, ჩრდილოეთით უკრაინასა და ყირიმს, დასა-

ვლეთში ბიზანტიას და საბერძნეთს, ხოლო სამხრეთში ჩრდილო ეგვიპტეს.[1] ჩვეულებრივად ამ ნაწარმოებს XII-XIV საუკუნეებით ათარიღებენ. მისი წარმოების ცენტრი ცნობილი არაა. დმანისის ამ ჯურის კერამიკა ადგილობრივვე იწარმოებოდა: ამას ამტკიცებს ის გარემოება რომ იქ რამდენიმე ნახევარფაბრიკატის ნატეხი აღმოჩნდა – თიხის ჭურჭელი შემზადებული ყოფილა ჭიქის გადასასხმელად, უკვე ამოვლებული იყო თეთრ ანგობში და სგრაფიტოს წესით ამოფხაჭნილი ჰქონდა ორნამენტი, მაგრამ გამტყდარა და ასე ნახევრად შემზადებული გადაუგდიათ; ასეთი სამი ნატეხია ჯერჯერობით ნაპოვნი დმანისში. მაგრამ, ასეთი ნაწარმოების გარდა, დმანისში ბევრია სპარსული ყაიდის ფაიანსიც, ხშირად ლუსტრიანი, ზოგჯერ ოქროს ვარაყიანიც. ამ ფაიანსს ანალოგიები მოეპოვება რეის, ქაშანის, ვერამინის და სხვა სპარსული კერამიკული ცენტრების ნაწარმოებში, რომელიც თარიღდება XI-XIII საუკუნეებით. საგულისხმოა დმანისის განათხარის ის ცალები, რომელთა ორნამენტი ორიგინალური სპარსული კი არაა, არამედ საკმაოდ უმწეო მიბაძვას წარმოადგენს. შესაძლებელია ვიფიქროთ რომ ფაიანსიც, ნაწილობრივ მაინც, ადგილობრივი ნაწარმოებია.

სპილენძის, თუ რვალის ნივთებიც, მეტწილად ღრმა ფენებში ნაპოვნი, აღნიშნულ კერამიკასთან ერთად, იმავე საუკუნეებით უნდა დათარიღდეს. ასეთია, მაგ., მასივი სპილენძის უცნობი დანიშნულების ნივთი,[2] ჩამოსხმული პატარა თასის სახედ (დიამ. 6,3 სანტიმ.); ფსკერზე ცენტრალური ნოპისა და მარყუჟების წრის გარშემო დაბალი რელიეფით გამოყვანილია პირუტყვების მწკრივი: აქ არის თხა, ავაზა და სხვა ნადირი, მკვირცხლად მოძრავად გამოხატული, თითქოს ნადირობის სცენაა (სურ. 88). გლუვ ნერჩზე ამოკვეთილია ერცელი არაბული წარწერა და აგრეთვე ერთი მწკრივი პირუტყვებისა (ჩანს რაღაც ოთხფეხი და თითქოს თევზის ბოლო (სურ. 89)). ასეთი მოყვანილობისას და ამგვარად შემკულს XII ს-ში სარკეებს აკეთებდნენ, მაგ., მესოპოტომიაში, მაგრამ სარკეს, რასაკვირველია, ნერჩზე წარწერა არ ექნებოდა. ჩვენი ნივთის მსგავსი ნიშნებით ყიბლანების დანიშვნაც იცოდნენ აღმოსავლეთში. შესაძლებელია, ეს ნივთი ასტრონომიული ან ასტროლოგიური ხასიათის საგანს წარმოადგენდეს.[3]



სურ. 90. სპილენძის ქობინი.

იმ ადგილის ახლოს, საცა ეს ნივთი ვიპოვეთ, სპილენძის ქობინიც აღმოჩნდა (სურ. 90). თუმცა ეს ნივთი მხოლოდ 0,70 მ-ის სიღრმეზე იყო მიწაში ჩაფლული, იგი მაინც ძველი უნდა იყოს. სიმაღლით იგი 6 სანტ-ისაა, მისი ძირის სიგანე კი 4 სანტ-ს უდრის. ქობინი კატის თუ ვეფხის თავს წარმოადგენს, სპილენძი მასივია, ჩამოსხმული. კატის თვალები და პირი გახვრეტილია, კისერი ჭვირული სამკუთხედებითაა შემკული, ყურებშორისაც რომბისებური ნახვრეტია. ეს ნივთი ჯოხზე ჩამოსაც-

[1] Э. Р. Штерн: Феодосия и ся керамика, ოდესა, 1906 წ.

[2] ნაპოვნია 1,70 მ-ის სიღრმეზე ქალაქის ზემო ნაწილში.

[3] წარწერის ამოკითხვა ამ საკითხს გაარკვევდა. ნერჩზე პატინის სქელი ფენაა გადაკრული, რომელსაც ქიმიური საშუალებით მოცილება უნდა.

მელად თუ იხმარებოდა და ეგებ პატივის აღმნიშვნელი იყო? საპატიო ნიშანი უნდა იყო აგრეთვე სპილენძის დიდი (7,2×6,5 სანტ.) პრტყელი საკიდი, ნაპოვნი ქალაქის ზემო ნანილში 2,60 მ-ის სიღრმეზე (სურ. 91). საკიდის ცალ პირზე შტამპით გამოქანდაკებულია ორი ჰერალდიკურად პირისპირ მდგომი კენტავრი (?) და მათ შორის უცნობი ფიგურაა; მთელი არე ამ ფიგურების გარშემო და თვით ფიგურებიც დასერილია ხშირი წერტილებით.

მინის ნივთებიდან აღვნიშნავ საყურეს, თითქმის ერთად-ერთ მინის ნივთს, რომელიც მთელი ამოვიდა (სურ. 92). იგი ნაპოვნია ქალაქის ზემო ნაქილში, 1,60 მ-ის სიღრმეზე. მისი დიამეტრი 4 სანტიმეტრს უდრის. საყურე შავი მინისაა, გლუ, სადა, განაკვეთში მრგვალი; იგი მთლიანად არაა ჩამოსხმული, არამედ ბოლოები ერთმანეთზე მირჩილული აქვს.

მინა საზოგადოდ ბევრი ამოდიოდა, მაგრამ დიდზე დიდი უმრავლესობა წვრილ ნატეხებს წარმოადგენს. მაინც დმანისის მინის კოლექცია საინტერესოა და ღირსია სპეციალური შესწავლისა.

ნუმიზმატიკური მონაპოვარი უფრო გარკვევით მეტყველებს. დმანისის განათხარი (იმთავრესად სპილენძის) ფულებიდან სულ გაწმენდილი და შესწავლილია ჯერჯერობით 228 ცალი. უძველესი მონეტები ბიზანტიურია: VI, VII და IX საუკუნეებისა თითი ცალი აღმოჩნდა, X ს-ის 3 ცალია, X/XI ს-ისა – 1 ც., XI ს-ისა – 7 ც.

XII ს-ის ფულები ქართული 1 ცალია (დიმიტრი I-ისა), უცხოური 2 ცალია (ილდიგიზიდებისა); 3 ცალიც XII-XIII ს-ისაა (აბუბაქრის).

XIII ს-ში ფულების რაოდენობა უცებ თვალსაჩინოდ მატულობს: ქართული 122 ცალია (თამარისა და დავითის 19 ც., რუსუდანის 67 ც., დავით IV-ის 33 ც., დავით V-ის 3 ც.), უცხოური (უმთავრესად მონღოლური) 35 ცალია. XIV ს-ში ფულების რაოდენობა ასევე უეცრად კლებულობს: სულ 3 მონეტაა ამ საუკუნისა, სამივე მონღოლური. XV ს-დან მხოლოდ 1 მონეტა გვაქვს (გიორგი VII-სა), XVI და XVII საუკუნეები სულ არაა წარმოდგენილი ფულის სახით, XVIII ს-ისა 3 ცალი აღმოჩნდა (1 ქართული ბაქარისა, 2

სურ. 88. სპილენძის „სტროლაბის" შიდაპირი.

სურ. 89. სპილენძის „სტროლაბის" ნერჩი.



სურ. 91. სპილენძის საკიდი.



სურ. 92. მინის საყურე.

სპარსული).[1] ყველაზედ უფრო საინტერესო ისაა, რომ XIII ს-ში როგორც ეს პირველად დოც. გ. წერეთელმა შენიშნა, საკუთრივ დმანისშიც იჭრებოდა ქართული ფული. ქართულად ამ ფულს დავით მეფის დამღა აზის; არაბულად აღნიშნულია მეფის სახელიც, ზარაფხანის ადგილიც – „ქალაქი დმანისი" და თარიღიც, რომელიც 1244 წელს უდრის (ნ. აქვე თ. ლომოურის წერილი, ტაბ. 16). ასეთი უცილობლად დმანისში მოჭრილი ფული სულ 18 ცალია, ხოლო ასეთივე 13 მონეტის შესახებ ჯერ-ჯერობით სათუოდ რჩება, დმანისში მოუჭრიათ ისინი, თუ თბილისში. ეს მონეტები აქამდისაც იყო ცნობილი, მაგრამ ისინი თბილისში მოჭრილად ითვლებოდა.

რადგან 1244 წ. რუსუდანი ჯერ ცოცხალი იყო, ხოლო მისი ძე, დავით-ნარინი, ამ დროს ყარაყორუმში იყო წასული, დმანისის ფულს, უნდა ვიფიქროთ, რუსუდანი სჭრიდა თავისი შვილის სახელით, რომელიც მაშინ უკვე მეფედ ითვლებოდა.

ამ გვარად, ნუმიზმატიკური მონაპოვარი სავსებით ადასტურებს ისტორიულ ცნობებს დმანისის განვითარების შესახებ. როგორც მოსალოდნელიც იყო, დმანისი IX ს-ზე, როდესაც ის პირველად იხსენიება ჩვენს ისტორიულ წყაროებში, გაცილებით უფრო ძველი სამოსახლოა. ქართლის მატიანეს ცნობაში დმანისში ოსების დასახლების შესახებ უკვე იგულისხმება დმანისის არსებობა და მანამდე, ე. ი. IX ს-მდე თუ მისი ხსენება არსადაა, შესაძლებელია ეს იმითაც აიხსნებოდეს რომ იგი იმ დროს ჯერ კიდევ დიდმნიშვნელოვანი ადგილი არ იყო. განათხარი ფულების მიხედვით დმანისი, ყოველ შემთხვევაში, VI ს-ში უკვე დასახლებულია. მაგრამ საქალაქო ცხოვრება, ამ სიტყვის სპეციფიკური გაგებით, აქ იწყება, ალბათ, არა უადრეს X ს-ისა: ფულები X ს-დან მრავლდება. XI-XIII ს. არის ქალაქის სიმდიდრის და აყვავების ხანა, მე-XIV-ში უკვე დაქვეითება იწყება.

[1] ეს ცნობები თავაზიანად გადმომცა დოც. თ. ლომოურმა, რისთვისაც მას გულითად მადლობას მოვახსენებ.

* * *

როგორც აღვნიშნე, საბოლოო დასკვნის გამოტანა ჯერ ნაადრევია, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია მოკლედ თავი მოვუყაროთ იმას, რაც ზემოთ ითქვა.

დმანისი ქართული საშუალო საუკუნეების პროვინციული ქალაქია და, როგორც ასეთი, ყველა შესაფერის ნიშანს ატარებს. ის ტიპიური საშუალო საუკუნეების ქალაქია არა მარტო საქართველოსათვის, არამედ საზოგადოდ ა/კავკასიის მთიანი ნაწილისათვისაც: მისი მდებარეობა კონცხზე ორ წყალს შუა, მის სიმაგრეთა სისტემა, შიდა ციხე, წყლისსაზიდი გვირაბი, გარეუბანი და სხვ., კარგადაა ცნობილი ქართული და სომხური ძველი ნაქალაქრებიდან. ასეა ნაგები, მაგ., სამშვილდე, ანისი და სხვა. მეორე მხრით, დმანისი კიდევ ერთ სპეციფიკურ დაღს ატარებს: იგი ტიპიური აღმოსავლური, უკეთ, ახლო-აღმოსავლური ქალაქია, ნარევი, მჭიდრო მოსახლეობით, ვიწრო, დახლართული ქუჩებით, უსისტემო, შექუჩული სახლებით. იგი მუსლიმანურ-ქრისტიანული ქალაქია.

მისი აყვავების ხანა ემთხვევა ქართული ისტორიის ე. წ. კლასიკურ პერიოდს XI-XIII საუკუნეებს. იგი შედარებით მდიდრობს, განსაკუთრებით XIII ს-ში, როდესაც მას თავისი ზარაფხანაც კი აქვს.[1] მაგრამ, ალბათ უკვე XV ს-ში დმანისი უმნიშვნელო სამოსახლოს წარმოადგენს. უეჭველია, საბოლოოდ ქალაქი თემურ-ლენგის შემოსევამ დასცა, რომლის მახვილი მას არ ასცდებოდა, მაგრამ დაქვეითების ნამდვილი მიზეზი ეს არ იქნებოდა. უთუოდ ქალაქის საკუთარ მრეწველობას მისი ეკონომიური ამაღლებისათვის ერთგვარი მნიშვნელობა ჰქონდა: „დბანის ჭევის" აღმოსავლეთ დაბალ ნაწილში, როგორც უკვე აღვნიშნე, მევენახეობასაც მისდევდნენ. ეს, უეჭველია, ძველადაც ასე იქნებოდა და შესაძლებელია კიდეც ვიფიქროთ, რომ სოფლის მეურნეობის ამ დარგს, მებაღეობის გვერდით, უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა უწინ. თითქოს ამაზე მიგვითითებს მარნების სიმრავლე ძველ დმანისში. ერთ-ერთი ინტენსიური სახის მეურნეობა იქ, როგორც ამას ზეთისსახდელი ქვების სიმრავლე გვაფიქრებინებს, აწ სრულებით მივიწყებული სელის წარმოებაც უნდა ყოფილიყო. ზეთისსახდელ ქვებს, ალბათ, იქვე ახლოს აკეთებდნენ, ე. წ. „ქვახვრეტილში", კიანეთის ზემოთ. გავიხსენოთ აგრეთვე რომ, ვახუშტის ცნობით, სულ რამდენიმე კილომეტრის მანძილზე მდებარე აბულბუგში რკინა, სპილენძი და ლაჟვარდი იპოვებოდა. ხელოსნობის დარგიდან, რომელიც კონკრეტულად, სახელოსნო იარაღის სახით, დმანისში ჯერ-ჯერობით ნაკლებადაა წარმოდგენილი, შეიძლება, ზეპირი გადმოცემის მიხედვით, ხის დამუშავება ვივარაუდოთ[2] და აგრეთვე მეკეცეობა, კერძოდ, მოჭიქული ჭურჭლის წარმოება და ეგებ მინის წარმოებაც ვიგულისხმოთ.[3] მაგრამ გადამწყვეტი როლი დმანისის ამაღლებაში მის მდებარეობას უნდა მიეწეროს სომხეთთან და სომხეთით მთელს ახლო აღმოსავლეთთან სავაჭრო ურთიერთობისათვის მნიშვნელოვან გზაზე. ამ გზის შესახებ ზემოთ უკვე მქონდა ლაპარაკი. ლორეზე გავლის შემდეგ, იგი თბილისიდან მომავალ მეორე

---

[1] მაინცდამაინც XIII ს-ზე მიგვითითებს არა მარტო ნუმიზმატიკური მონაპოვარი, არამედ ქართული და სომხური წარწერებიც, კერამიკაც და სხვ.

[2] დმანისი, გადმოცემით, ხის კოვზებით ვაჭრობდა თბილისთან და ლორესთან.

[3] ხუთიოდე კილომეტრით უფრო ზევით, ფინეზაურის ხეობაში ე. წ. „შუშის ქარხანაა", რომელიც ახლა მიტოვებულია. აქ, გადმოცემით, ძველი ქარხანა ყოფილა. წარსული საუკუნის შუახანებში იგი განუახლებია ბარონ კუჩენბახს. შუშის ქვა შახნაზარიდან მოჰქონდათ. კუჩენბახი თიხის ჭურჭელსაც ამზადებდა, რადგან იქვე შუშის ქარხანასთან საჭურჭლე თიხა ბევრია და კარგი ღირსებისაცაა (წითელი თიხაა).

გზას უერთდება, რომელიც ბამბაკის ხეობით გადადიოდა სომხეთში და ანისში მიდიოდა.[1] ეს მეორე გზა თუმცა, დმანისის გზასთან შედარებით, ცოტათი უფრო მოკლეა, სამაგიეროდ ეს უკანასკნელი გაცილებით უფრო მარჯვე სავალია. ამგვარად, დმანისი უმთავრესად სავაჭრო ქალაქი უნდა ყოფილიყო.

დმანისის არქეოლოგიური გათხრების წინასწარი შედეგები

1936 წ. აგვისტოს 22-დან ოქტომბრის 29-მდე დმანისში წარმოებული არქეოლოგიური მუშაობა მხოლოდ ერთი მცირე ნაწილია იმ დიდი კულტურული საქმისა, რომელიც, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ისე საქართველოში ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების თაოსნობითა და ხელმძღვანელობით კეთდება. საქართველოსათვის უჩვეულოა როგორც თვით ფაქტი მთელი ნაქალაქარის არქეოლოგიურად შესწავლისა, ისე მასშტაბი, რომლითაც დმანისში გათხრა სნარმოებდა. ორთვენახევარის განმავლობაში მუშაობდა ექსპედიცია 4 მეცნიერი თანამშრომლის, 2 არქიტექტორისა და 1 ფოტოგრაფის შემადგენლობით. იგი საუკეთესო პირობებში იყო ჩაყენებული და სარგებლობდა როგორც ცენტრალური ისე ადგილობრივი ხელისუფლების მზრუნველობით, მის განკარგულებაში ყოველდღიურად საშუალოდ 60 მუშა იყო.

ჩვენი მუშაობა შეტანილი იყო საქ. სსრ აღმასკომთან არსებული შოთა რუსთაველის საიუბილეო კომიტეტის სამუშაოთა გეგმაში, კომიტეტმა სათანადო თანხები მიიღო გათხრების საწარმოებლად. ექსპედიციის საერთო სამეცნიერო ხელმძღვანელობა იკისრა პროფ. ივ. ჯავახიშვილმა. გათხრების გარდა ექსპედიციამ ძველი ქალაქის მთელი რაიონის შესწავლის მიზნით ბაშკიჩეთის რაიონის განათლების განყოფილების ინსტრუქტორის ამხ. პ. აკრიტოვის აქტიური მონაწილეობით მოაწყო აგრეთვე მთელი რიგი ექსკურსიები. წინამდებარე წერილი ეხება მხოლოდ გათხრების წინასწარ შედეგებს. თავისთავად ცხადია, რომ ამჟამად საბოლოო დასკვნების გამოტანა ნაადრევია. დმანისისთანა მსხვილი ქალაქის შესწავლა დიდ დროს მოითხოვს, ჯერჯერობით ჩვენი მუშაობის მხოლოდ დაწყებითს სტადიაში ვიმყოფებით. დმანისის ნაქალაქარი 100 კილომეტრის მანძილზეა თბილისიდან სამხრეთ-დასავლეთით. იგი მდებარეობს მაღალ კლდოვან კონცხზე მდ. მაშავრისა და ყარასუს (ძვ. ფინეზაურის) შესართავში. ეს ადგილი ადმინისტრაციულად ამჟამად ბაშკიჩეთის რაიონის ფარგლებში შედის, მაგრამ ეკონომიურად ძველი ქალაქი მჭიდროდ დაკავშირებული იყო არა მარტო ბაშკიჩეთისა, არამედ ლუქსემბურგის რაიონის უდიდეს ნაწილთან. ამიტომ „დმანისის ხევი", ე. ი. მაშავრის სისტემა, ვახუშტიმ გამოჰყო დამოუკიდებელ გეოგრაფიულ ერთეულად. სწორედ მაშავრის ქვემო წელზე გადიოდა ერთი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო გზა, რომელიც საქართველოს აკავშირებდა სომხეთთან და მთელ ახლო აღმოსავლეთთან. ამ გზამ თავისი მნიშვნელობა საბოლოოდ დაჰკარგა მხოლოდ ყარსის რკინიგზის გაყვანის შემდეგ, დღეს იგი ემსახურება ავტომიმოსვლას თბილისსა და კალინოვკას (ყოფ. ვორონცოვკას) შორის. ძველი შარაგზის კარგი დაცულობა, ძველი ხიდების სიმრავლე მოწმობს, რომ სავაჭრო ურთიერთობა აქ ოდესღაც ძალიან ცხოველი უნდა ყოფილიყო. დმანისიდან ეს გზა ლოქის უღელტეხილით ანისში მიდიოდა.

დმანისის ისტორია, წერილობითი წყაროს მიხედვით, მოკლედ ასეთია. ქალაქი დაარსებული იყო IX საუკუნეში, მაგრამ მხოლოდ XI საუკუნეში იწყება მისი ეკონო-

მიური ძლიერების სწრაფი ზრდა. ამ დროს იგი არაბთა ამირების ხელშია, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. დმანისი თანდათან გამოდის საქართველოს და ამიერ-კავკასიის ქალაქთა პირველ რიგში, როგორც მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი. მისი მოსახლეობის შეძლებული ნაწილი უმთავრესად არაბ ვაჭრებისაგან შესდგება. ქართველი ისტორიკოსის გადმოცემით, აქაური და თბილელ-განჯელი ვაჭრების საჩივრებმა გამოიწვია თითქმის მთელი ახლო აღმოსავლეთის მაჰმადიანობის გაერთიანება 1121 წ. დავით აღმაშენებლის ნაციონალური პოლიტიკის შესამუსრავად. ეს ცდა იმით გათავდა, რომ 1123 წ. დავითმა დმანისი დაიპყრო, რის შემდეგ ეს ქალაქი უკვე სამუდამოდ ქართველთა ხელში რჩება. მისი მნიშვნელობა განაგრძობს ზრდას XIV საუკუნემდე. შემდგომ საუკუნეებში დმანისი არაერთხელ ყოფილა დალაშქრული, სანამ, ბოლოს, XVI საუკუნეში საქალაქო ცხოვრება აქ სრულებით არ შესწყდა. პირველად დიდად დასცა ქალაქი ლანგთემურის შემოსევამ XIV საუკუნის დამლევს. მე-18 საუკუნის დამლევს ეს ადგილები სრულებით გაპარტახებული დახვედრიათ ჯავახეთიდან გადმოსულ გლეხებს, რომლებიც ნაქალაქარიდან დაახლოებით ერთი კილომეტრის მანძილზე არიან დასახლებულნი მდ. ფინეზაურის ნაპირას.

ნაქალაქარი მკაფიოდ განიყოფება ორ ნაწილად: ერთი თვით ქალაქი. სივრცით 13 კვ. ჰექტარი, მოთავსებულია კონცხზე და შემოზღუდულია კედლით. მეორე – ქალაქის კედლებს გარეთ სამხრეთისაკენ მდ. ფინეზაურის ორსავ ნაპირზე მდებარე გარეუბანი. რომლის სივრცე დაახლ. 12 კვ. ჰექტარს უდრის. თვით ქალაქში საგანგებო კედლებით გამოყოფილია შუა ციხე, რომელიც ორსავ ხეობაზე ბატონობს. ქალაქს შესასვლელი სამხრეთიდან აქვს, ხოლო ყველა დანარჩენი მხრიდან იგი მიუვალად უნდა ჩაითვალოს. ქალაქის მთელი არე ხშირი ნანგრევებითაა მოფენილი, რომელთაგან მხოლოდ მცირე ნაწილი – მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი სქელკედლიანი შენობები შენახულია შედარებით კარგად, ზოგი მეორე სართულებითაც კი, ხოლო დიდი უმრავლესობა მიწის ზედაპირზე ოდნავ-ღა სჩანს.

სახლებს ქვითა და ქვითკირით აშენებდნენ. წყობა მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, როდესაც კედლებს თლილი ქვის პერანგს უკეთებდნენ ხოლმე, საკმაოდ დაუდევარია. ეს იმით აიხსნება, რომ, როგორც გათხრამ გამოარკვია, კედლები ბათქაშით იყო შელესილი, ხოლო ზოგჯერ შემოსილი იყო მოჭიქული აგურებითაც. მთავარი შენობები უშუალოდ შუაციხის ძირასაა მოთავსებული. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: ქალაქის მთავარი ტაძარი, ე. წ. დმანისის სიონი, დიდი სამნავიანი ბაზილიკა, რამდენჯერმე გადაკეთებული, რომელსაც გარედან ალაგ-ალაგ შენახული აქვს თლილი ლეგა ფილების პერანგი. შიგნით კი აგურის შემოსილობა და ნაშთები ფრესკული ფერწერისა კედლებზე. ამ შენობაზე დასავლეთიდან მიშენებულია ლამაზი კარიბჭე. ეს უკანასკნელი შემოსილია ბაცი მწვანე ფერის რბილი ქანის კარგად გათლილი ფილაქნებით, და გარედან, განსაკუთრებით ჩრდილოეთისა და სამხრეთის მხრიდან, სრულებით დამოუკიდებელი, ჯვარისებრ გადახურული ეკელსიის შთაბეჭდილებას ახდენს. მისი შესავალი კი, რომელიც მას დასავლეთიდან აქვს, წარმოადგენს მაღალ ისრულს უკარო თაღს, ხოლო შიგნით ოთხ სვეტზე ამართულია ნახევარსფერული კამარა, რომელიც გუმბათის შთაბეჭდილებას სტოვებს. კარიბჭე უხვადაა შემკული ჩუქურთმებითა და ბარელიეფებით.

ეს საუცხოო ნიმუში ძველი ქართული ხუროთმოძღვრებისა მით უფრო საინტერესოა, რომ კარგად თარიღდება წარწერების მიხედვით ლაშა გიორგის, თამარის ძის მეფობით (1214-1222 წლ.), ე. ი. უშუალოდ იმ ხანას ეკუთვნის, როდესაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა შოთა რუსთაველი.

სიონის ჩრდილო-დასავლეთით მდ. მაშავრის პირამდე ჩადის კამაროვანი საფეხურებიანი გვირაბი, რომელიც წყლით ამარაგებდა ქალაქს ალყის შემორტყმის დროს.

გარეუბანში მოთავსებულია ორი სასაფლაო (მუსლიმანური და ქრისტიანული), ქალაქის კალოები, წისქვილის ნაშთები და სამი დიდი აბანო მდ. ფენეზაურის მარჯვენა ნაპირას. მუსლიმანური სასაფლაო საინტერესოა თავისი დიდი გუმბათიანი ძეგლებით და მთელი რიგი არაბული წარწერებით, რომელთა ნაწილი XIII და XIV საუკუნეებით თარიღდება. ქრისტიანულ სასაფლაოზედაც გვაქვს მთელი რიგი ქართულ და სომხურ წარწერიანი ქვები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საუცხოოდ ორნამენტებული ხაჩქარები (ქვაჯვრები), XIII საუკუნით დათარიღებულნი. დიდად საინტერესოა აბანოები, რომელთა გამოკვლევის დამთავრება ექსპედიციამ განვლილი მუშაობის განმავლობაში ვერ მოასწრო. ისინი აშენებულია არაბულ-ირანულ ყაიდაზე კამაროვანი გადახურვით ისრულ ტრომპებზე. ასეთივე, მაგრამ უფრო მცირე ზომის აბანო შუაციხეშიც არის.

გათხრა სწარმოებდა უმთავრესად ქალაქის გალავნის ფარგლებში. აქ კულტურული ფენის სისქე აღწევს 3 და ზოგჯერ 4 მეტრს. თავისი ინვენტარის შემადგენლობით კარგად განირჩევა ორი ფენა: ქვედა, რომელიც ფულის მიხედვით X-XII საუკუნეებით თარიღდება და ზედა, რომელიც XIII-XIV საუკუნეების ფულს შეიცავს.

საჭირო იყო ძველი ქალაქის გეგმის აღდგენა რაც შეიძლება უფრო მოკლე ხანში, თუნდაც ერთს მცირე ფართობზე. ამიტომ ძირითადი სამუშაოები გაიშალა ქალაქის სხვაზე უფრო კარგად შენახულ ნაწილში, სიონის გარშემო, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ შენობათა კედლები 2-დან 4 მეტრამდე მიდის მიწის სიღრმეში, ვერსად ვერ მოხერხდა ძველი ქუჩის დონის დადგენა, რადგან არსად, ერთი გამონაკლისის გარდა, სახლებს არც კარი და არც სარკმელი არ აღმოაჩნდათ. მხოლოდ ერთ დიდ შენობას, რომელიც თითქმის უშუალოდ ეკვრის სიონს ჩრდილოეთიდან, ქვედა სართულში. რომელიც მთლიანად მიწის ქვეშ იმყოფებოდა, აქვს კამაროვანი, საკმაოდ დაბალი და ვიწრო შესავალი, მიქცეული სიონისაკენ. მაგრამ ეს კარი იმდენად ღრმად ზის მიწაში სიონის საძირკველთან შედარებით (დონეთა სხვაობა 2 ნახ. მეტრს აღწევს), რომ სრულებით გაუგებარი რჩება, თუ როგორ ჩადიოდნენ სიონიდან ამ შენობაში. მეორე მხრით, ისევ სავსებით მიწის ქვეშ, გაითხარა პატარა კარგად დაცული, ალბათ მარცვლეულის შესანახი შენობა, რომელსაც კარებისა და სარკმლის ნაცვლად ორი მრგვალი ბანი აქვს კამაროვან სახურავში. ხოლო გათხრების დროს აღმოჩენილი ყველა დანარჩენი შენობა უფრო საცხოვრებელ ბინებსა ჰგავს. ისინი აშენებულია საკმაოდ უწესრიგოდ, კედლები ხშირად უსისტემოდ ჰკვეთენ ერთმანეთს, გვხვდება სამკუთხიანი და სრულებით უფორმო საკნები. ერთსა და იმავე შენობაში ოთახები სხვადასხვა დონეზეა მოთავსებული (გაშენებისას, როგორც სჩანს, მისდევდნენ ადგილის რელიეფს) და ა. შ. მაგრამ ამ ოთახებში საგანგებოდაა ამოღებული პურის ორმოები, ჩაშენებულია ხშირად თორნეები, ქვევრები და კარგად გამართული მარნები. კიდევაც რომ სარდაფებთან გვქონდეს აქ საქმე, მაინც სარდაფებსაც შესასვლელ-გამოსასვლელი უნდა ჰქონოდა. ამგვარად, საინტერესო პრობლემა ბინების აგებულობისა ძველ დმანისში ჯერ კიდევ თავის ახსნას ელის.

ძველი ქუჩის დონე უდავოდ იქნა დადგენილი მხოლოდ ქალაქის კარის გათხრისას. აქ 2 ნახ. მეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა დიდი მქისედ დამუშავებული ფილაქნების ქვაფენილი, რომელზედაც შენახული იყო ძველი კარის ზღურბლის ნაშთები. ამ ქვაფენილს ათარიღებს უშუალოდ მის ზემოთ კულტურულ ფენაში ნახული თამარის ფული 1200 წლისა. იგი უნდა მიეკუთვნოს ხანას არა უგვიანეს XII საუკუნისა. ქვაფენილი კარიდან

ქალაქისაკენ მიდის რამდენიმე მეტრის სიგრძეზე, რის შემდეგ იწყება ქვებით მოკირწყლული ქუჩა, რომელიც სამწუხაროდ უკვე 20 მეტრის მანძილზე სწყდება.

მსხვილ განათხართა შორის აღსანიშნავია კიდევ უშველებელი კარგად გათლილი ზეთსახდელი გელაზი. ასეთი ქვები დმანისში დიდი რაოდენობით მოიპოვება.

წვრილი განათხარი ძალიან ბევრია; ფული, უმთავრესად ქართული შავი, შემდეგ ბიზანტიური, არაბული და მონღოლური, არ გასცილდებიან X საუკუნეს, დიდი უმრავლესობა კი XIII საუკუნეს ეკუთვნის. ამ საუკუნის შუახანებში დმანისს, როგორც ეს გათხრამ გამოარკვია, თავისი ზარაფხანაც ჰქონია, სადაც იბეჭდებოდა ფული დავით ნარინის, რუსუდანის ძის სახელით. უკვე XIV საუკუნეში ფულის რაოდენობა შესამჩნევად მცირდება.

შრომის იარაღები, საჭურველი და სამკაული, როგორიცაა რკინის ჩაქუჩები, დანები, მაკრატლები და სატევრები. რკინისა და რვალის სადგისები, რვალისა და მინის ჭურჭელი, ძვლის, ქვის, მძივები, მინისა და რვალის სამაჯურები, ბეჭდები, საყურეები, ქინძისთავები და სხვ. გარდა იაფფასიანი საქონლისა, რომელსაც დაზიანებისას ადვილად იმეტებდნენ გადასაგდებად, როგორც ეს მოსალოდნელიცაა ძველი ნაქალაქარის გათხრისას, ჯერ კიდევ შედარებით ცოტაა აღმოჩენილი. სამაგიეროდ, რაც აგრეთვე სავსებით ბუნებრივია, აუარებელია თიხის ნატეხები, ისე რომ ჩვენ ვღებულობთ ძველი ქართული კერამიკული წარმოებისა და იმპორტის მეტად საგულისხმო სურათს.

ეს კერამიკა კარგად განირჩევა კლასობრივი ნიშნის მიხედვით: ქალაქის მოსახლეობის უღარიბესი ფენების სადა უპრეტენზიოდ შემკული ჭურჭლით დაწყებული, შეძლებული კლასის მდიდრულად ორნამენტებულ, მოჭიქულ და ლუსტრირებულ, ე. ი. ლითონივით მბზინავი ფერადებით დაფარულ ნაწარმოებამდე. მოჭიქულ კერამიკაში მკაფიოდ განირჩევა ორი წარმოება: ერთის მხრივ, ე. წ. სგრაფიტოს წესით შემკული ორნამენტიანი მოხატული კერამიკა, XIII-XIV საუკუნეებში გავრცელებული ფართო არეზე საქართველოდან ვიდრე საბერძნეთამდე. მისი წარმოების ცენტრი ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის დადგენილი, მეორე მხრივ, არის სპარსული ყაიდის ლუსტრირებული ფაიანსი, რომელიც XII-XIII საუკუნეებით თარიღდება.

ამასთან საგულისხმოა, რომ პირველი ტიპის ზოგიერთ ჭურჭელს ქართული წარწერები აქვს და პალეოგრაფიულად კარგად თარიღდება X-XIII საუკუნეებით. საერთოდ დმანისის ჭურჭლის ორნამენტი, განსაკუთრებით ფიგურული გამოსახულებანი, განსხვავდება თავისი ორიგინალობითა და თავისებურებით. სპარსული ჯურის კერამიკა კი შემკულია სპარსული წარწერებით, მაგრამ უფრო ხშირად გვხვდება მხოლოდ ასეთი წარწერების ორნამენტული მიბაძვა, რომლის ამოკითხვა შეუძლებელია. ამგვარად დიდი დამაჯერებლობით შეიძლება დავუშვათ, რომ ორივე ჯურის კერამიკა ადგილობრივი ხელოსნობის ნაწარმოებს წარმოადგენს და თუ სპარსული ფაიანსი ნაწილობრივ შემოჰქონდათ კიდეც, უბრალო მოჭიქული კერამიკა შესაძლებელია წმინდა ქართული ნახელავი იყოს. გასაკვირველია როგორც მეკეცეობის მაღალი ტექნიკა, ისე სიმდიდრე და ნაირობა ჭურჭლის ფორმებისა, დიდი გემოვნება მის შემკულობაში, თამამად და მკაფიოდ გამოყვანილი კონტურები სურათისა, ფერების სასიამოვნო შეხამება, მხატვრული მოტივების სიმრავლე და რაღაც უცნაური შეერთება რეალიზმისა მკვეთრ სტილიზაციასთან.

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქალაქო ცხოვრების აყვავება დმანისში იმ ხანაზე მოდის, რომელსაც ჩვენ ახლა რუსთაველის ხანას ვუწოდებთ, ე. ი. XI-XII საუკუნეებზე. გათხრებმა გაგვამდიდრეს დიდძალი მასალით, რომელიც ახასიათებს

მოცემული ხანის ნივთიერ კულტურას. ამ მხრით მუშაობის განგრძობა უთუოდ ბევრს ახალს შეგვძენს.

ეს ქალაქი ტიპიურია არა მარტო საშუალო საუკუნეების საქართველოსათვის, არამედ საერთოდ ამიერკავკასიის მთიანი ნაწილისათვის: მისი მდებარეობა კონცხზე ორწყალ შუა, სისტემა მისი სიმაგრეებისა, წყლის მიწოდებისა და სხვ. ყველა ეს კარგადაა ცნობილი საქართველოს და სომხეთის სხვა ისტორიული ქალაქებიდან (სამშვილდე, ანისი და სხვ.) იგი ტიპიურია მრავალმხრივ მთელი ახლო აღმოსავლეთისთვისაც. ეს ქრისტიანულ-მუსლიმანური ქალაქია შერეული მოსახლეობით, რომელიც შეჯგუფებულად ცხოვრობს შედარებით მცირე ფართობზე, ვიწრო, მრუდე ქუჩებით. მისი მეურნეობა, რომლის მთავარ დარგებად, წინასწარი მონაცემის მიხედვით, პურეული კულტურისა და მევენახეობის გარდა, სელის ზეთის წარმოება, მეკეცეობა და (თანახმად ზეპირგადმოცემისა) ხის დამუშავება უნდა ჩაითვალოს, ალბათ, გარკვეულ როლს ითამაშებდა მის ამაღლებაში მაგრამ უმთავრესად ეს იყო სავაჭრო ქალაქი. მისი მდებარეობა ანისში მიმავალ სავაჭრო გზაზე უთუოდ გადამწყვეტ როლს თამაშობდა მის ზრდაში, ვინაიდან სწორედ ამ ხანაში ანისი აკად. ნ. მარის სიტყვით, შეენაცვლა უფრო ძველს და უფრო ცნობილ დვინს და „გადაიქცა ცენტრად ვაჭრობისა და აღებმიცემობისა აღმოსავლეთასა და დასავლეთს შორის".

ГОРОД ЭПОХИ РУСТАВЕЛИ

Археологические раскопки, производившиеся в древнегрузинском городе Дманиси с 22 августа по 29 октября 1936 г., являются самыми значительными из всех археологических раскопок, когда-либо производившихся в Грузии. Раскопки эти входят в план работ юбилейного комитета Ш. Руставели. В продолжение двух с половиной месяцев экспедиция в составе 4 научных сотрудников, 2 архитекторов и 60 рабочих провела большую по объему и чрезвычайно важную по значению работу.

Город Дманиси расположен в 100 км к юго-западу от Тбилиси, на высоком скалистом мысу, у слияния рек Машавери и Кара-су (древнего Пинезаури). По нижнему течению Машавери проходил один из важных торговых путей, связывавших Грузию с Арменией и со всем Ближним Востоком. Прекрасно сохранилась в некоторых местах древняя дорога, сохранились остатки многочисленных мостов и т. п. Из Дманиси дорога через Локский перевал вела в древний Ани.

Основание города относится к середине IX в., но только в XI в. начинается быстрый рост его экономической мощи. Постепенно Дманиси становился одним из значительных торговых центров среди грузинских и вообще закавказских городов. Состоятельная часть его населения принадлежала главным образом к арабскому купечеству. Экономическое значение города росло вплоть до XIV века. Первый и, по всей вероятности, непоправимый удар городу нанес Тимур в конце XIV века. В последующие века город Дманиси не раз подвергался разраблению, пока, наконец, в XVI в. жизнь в нем совершенно замерла. Развалины города отчетливо делятся на две части: на собственно город, расположенный внутри городских стен, и на пригород, лежащий вне его стен, по обоим берегам Кара-су. Вся площадь города покрыта развалинами зданий, из которых у очень немногих сохранились вторые этажи, развалины остальных едва возвышаются над землей. Среди них особенно примечательны главный городской храм, так называемый Дманисский сион, и красивый портик, пристроенный к нему с западной стороны. Храм был облицован хорошо тесаными, каменными плитами мягкой породы бледнозеленого цвета. Время его постройки относится к той эпоху, когда жил Ш. Руставели. К северозападу от Сиона к реке Машавери спускается сводчатый тоннель, через который город снабжался водой во время осады.

Из крупных находок, сделанных во время раскопок, следует отметить громадный, хорошо выточенный жернов, служивший для выжимания льняного масла. Мелкие находки чрезвычайно разнообразны, среди них особенно много монет грузинских, византийских, арабских и монгольских, относящихся ко временги не ранее X в., большинство же их относится определенно к XII веку. В середине XIII столетия в Дманиси, как это выяснили раскопки, существовал собственный монетный двор. Много найдено глиняных черепков, дающих в высшей степени интернесную картину древнегрузинского керамического производства.

(По статье Л. Мусхелашвили из газеты «Заря Востока»).

РАСКОПКИ В ДМАНИСИ[1]

(КРАТКИЙ ОЧЕРК)

В древности г. Дманиси входил в пределы Самшвилдского эриставства, а затем в пределы так называемого Сабаратиано. В настоящее время городище пустует. Оно расположено на высоком скалистом мысе у слияния рр. Машавери и Пинезаури (Кара-су), приблизительно в 100 км к ЮЗ от Тбилиси, в Башкичетском районе Грузии. Только два незначительных селения невдалеке от городища сохранили нам его название с турецкой огласовкой: большой Думанис на левом берегу р. Машавери, приблизительно в 5 км ниже городища, и Малый или Древний Думанис, расположеный по обоим берегам р. Пинезаури под самым городищем.

Грузинские письменные источники до IX в. о Дманиси не упоминают. Согласно «Летописи Картлии», арабский военачальник Буга, опустошивший Грузию в 853 г., поселил в Дманиси 3000 домов осетин, кторых он вывел через Дарьяльской ущелье.[2] Какое-то, вероятно, малозначительное, поселение было тут и до этого, что можно заключить и из слов летописи; кроме того, среди монет, найденных при раскопках, есть несколько византийских VI и VII вв.

Затем, до конца X в. у нас нет сведений о Дманиси. Хотя арабы и превратили эту местность в свою цитадель на важном торговом и стратегическом пути из Тбилиси в Армению, но ее экономическая и политическая роль была, повидимому, незначительна. Впоследствии путь этот, надо полагать, должен был сыграть первостепенную роль в возвышении Дманиси. Он сохранился до сегодняшнего дня. Местные жители называют его «Верблюжьей дорогой». Караваны в Армению до последнего времени ходили именно этой дорогой. Она окончательно потеряла свое значение только после постройки Ленинаканской железной дороги. И теперь еще местные жители пользуются ею, так как она много короче шоссейного пути. Множество остатков каменных мостов на рр. Машавери, Пинезаури и др. указывают на ее былое значение. В некоторых местах она прекрасно сохранилась.[3] Выше Люксембурга она следовала по правому берегу Машавери, а затем Пинезаури, до Дманиси. Из Дманиси, через Локский перевал, она вела в Армению, именно в Ани.

В конце X и начале XI в. вся область, граничащая с Дманиси, была в руках армянских царей[4]. Нужно полагать, что именно в это время здесь усилился армянский элемент; вероятно, в это же время утвердилось за этой областью название «Сомхити», которое встречается в грузинских источниках с XII в.

---

[1] Раскопки производились в 1937 и 1938 гг. по заданию Юбилейного комитета Шота Руставели при СНК ГССР.

[2] M. Brosset. Histoire de la Géorgie, I, стр. 267.

[3] См. мою статью о раскопках в Дманиси на грузинском яз. в сборнике под ред. акад. И. А. Джавахишвили: შ. რუსთაველის ეპოქის მატერიალ. კულტურა, ტფ. 1938, рис. 1 и 3.

[4] ივ. ჯავახიშვილი, ქართვ. ერის ისტორია, თბ., 1913, стр. 420.

В XI в. Дманиси играет уже крупную политическую роль и часто упоминается в источниках. Здесь резидируют арабские эмиры, которые активно участвуют в политической жизни Грузии. Так, напр., в 1073-1074 гг. Дманисский эмир принимает участие в войне арабского саранга против Георгия II.[1] состоятельная часть городского населения в эго время была, вероятно, главным образом арабского происхождения.

Постепенно Дманиси выходит в первые ряды грузинских и вообще кавказских городов в качестве значительного торгового центра. В этом отношении весьма интересен рассказ историка Давида Строителя о том, что в 1121 г. гандзийские, тбилисские и дманисские купцы отправили делегацию к сельджукскому султану с жалобой на притеснения со стороны Давида, что вызвало коалицию ближневосточного мусульманства против Грузии. Борьба эта кончилась, как известно, славной для Давида Дидгорской битвой, в которой принимали участие и сомхитские эмиры, в том числе, вероятно, и дманисский.[2] Историк Давида сумел замечательно ярко передать чисто экономический характер грузино-арабской борьбы. Ясно, что жаловавшиеся дманисские купцы не были грузинами.

В 1123 г. Давид взял Дманиси,[3] после чего город почти все время оставался в руках грузин. Его экономическое значение и в последующее время, до конца XIII в. и, вероятно, позднее, также было велико, что видно из того, что атабек Садун Манкабердский, в то время влиятельнейшее лицо и богатейший феодал Грузии, в 1271-1272 г. предложил царю Димитрию II уплатить за него крупную дань, которую требовали монголы, с тем условием, чтобы царь уступил ему Дманиси. Димитрию действительно пришлось «с сожалением», как говорит летописец, отдать ему Дманиси и окрестные земли[4]. Владение городом давало, очевидно, такой доход, что даже в обмен на «колоссальную сумму», которую, по словам летописца, затребовали монголы, уступать его было невыгодно. Спустя 25 лет Дманиси снова переходит в руки царя.[5]

Как видно, город с самого его покорения Давидом Строителем оставался непосредственно в руках грузинских царей. В конце же XIII и в начале XIV в. здесь утвердилась ветвь грузинского царского рода, ведшая свое начало от Георгия Лаши. Вахтанг III Димитриевич был похоронен именно в Дманиси, а не в Мцхете, где в то время находилась усыпальница грузинских царей, причем из двух его сыновей «Димитрию достался Дманиси, а Георгию – Самшвилде».[6]

Для истории населения города интересно сообщение летописца о том, что около 1265 г. Давид V поселил в Тбилиси, Дманиси и Жинвани князей, бежавших от хана Берке[7]: и без того пестрое население Дманиси пополнилось, таким образом, еще и монголами.

Относительно судьбы города в продолжение XIV и почти всего XV в. мы не располагаем никакими сведениями. Можно, однако, сказать с уверенностью, что на ряду с другими городами Грузии Дманиси подвергся сильному опустошению в конце XIV в. (1386/87 г.), когда Тимур прошел с огнем и мечом через все Сабаратиано и вторгся в Картлию[8]. В 1486 г. Дманиси снова испытал разгром от полчищ Якуб-хана[9].

---

1 Brosset, ук. соч., стр. 345.

2 Там же, стр. 365.

3 Там же, стр. 368.

4 Там же, стр. 589.

5 Там же, стр. 613.

6 Там же, стр. 639-640.

7 Там же, стр. 569.

8 Там же, стр. 652.

9 Там же, II, стр. 14.

В начале XVI в. мы застаем Дманиси уже в руках князей Бараташвили. По раздельному акту 1536 г. Дманиси был поделен пополам между братьями Иотамом и Орбелом Бараташвили[1]. Этот документ содержит весьма интересные данные для характеристики экономики, количества и состава населения города, к этому времени находившегося уже в состоянии упадка. Судя по акту, здесь живут, кроме епископа, почти исключительно крепостные князей Бараташвили в количестве 138 домов; большинство составляют татары, за ними идут армяне и грузины. Население занималось скотоводством (разводили лошадей и крупный рогатый скот), хлебопашеством и, возможно, виноградарством. Особенно важно, что еще в XVI в. здесь сеали лен и выделывали льняное масло. Ремесленное производство почти отсутствовало (упоминается один единственный сапожник). Таким образом ясно, что Дманиси в это время представлял собою уже не город, а средней величины селение. Однако это селение еще имело свою таможню. Нечего и говорить, что это учреждение составляло одну из важнейших статей дохода и в эпоху расцвета местной городской жизни.

В 1578 г. Дманиси, по сообщению царевича Вахушта, был взят турками, которые его укрепили[2]. В 1583 г. грузины взяли его обратно[3]. Согласно Вахушту, Дманиси именно до этого времени существовал в качестве города и крепости, «а затем опустел»[4]. Судя по писцовой книге 1721 г., Дманиси к этому времени представлял собою уже городище, где, кроме князей Орбелиани, потомков Орбела Бараташвили, и дманисского епископа, жившего там ex officio, было только два двора: один дворянский и один крестьянский. Селения Большое Дманиси и Древнее Дманиси, которое, вероятно, тогда уже называлось и Малым, судя по той же писцовой книге, представляли собою более крупные поселения: в первом было 14 хозяйств, а во втором 7.[5]

В первой половине XVIII в. Дманиси и, в особенности, Дманисское ущелье неоднократно испытывали опустошительные набеги лезгин, турок и персов[6]. В это время Дманиси был резиденциею и главной крепостью князей Орбелиани. Вахушт (1742) сообщает, что они укрепили дманисскую крепость[7]. Однако дни Дманиси были уже сочтены. Вот что пишет историк XVIII в., Папуна Орбелиани. под 1757 г.: «В короникон 445 (=1757 г.) опустели Сабараташвили, Сомхити. владения Орбелиани. Часть [населения] выселилась в Кахетию, некоторые пошли в Верхнюю Картлию и в [земли] эриставств. Нигде не осталось строения в том крае, [только] немного людей сидело в крепости Квеши, а в Самшвилде [остались] Карабудахисшвили. Лезгины непрестанно громили и опустошали Грузию».[8] Около этого же времени была упразднена дманисская епископская кафедра.

Выселившиеся сюда в конце XVIII в. крестьяне из Джавахетии, которые и составляют население нынешнего Малого Дманиси, нашли эти места совершенно одичавшими. Только в

---

1 საქ. ცენტრარქივის გამოც. „საისტორიო მოამბე", т. I, стр. 179-181.

2 Brosset, ук. соч. II, 1, стр. 36.

3 Там же, стр. 39.

4 Description géographique de la Géorgie par Wakhoucht, publiée par M. Brosset, стр. 153.

5 ე. თაყაიშვილის გამოც. „მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, თბ., 1907, стр. 72-73, 132, 134-136, 176, 182-183.

6 M. Brosset, ук. соч., II, стр. 56, 76, 96, 98, 108, 126.

7 Description géographique de la Géorgie par Wakhoucht, publieé par M. Brosset, стр. 153.

8 M. Brosset, ук. соч., II, 2, стр. 200.

Большом Дманиси частично сохранилось старое население вся же остальная местность вокруг древнего города заселена вновь за последние 100-150 лет.

В 1853 г. городище посетили И. А Бартоломей и Дм. Орбелиани, которые кратко его описали и сняли некоторые надписи, разобранные затем Б. Броссе[1]. В 1894 г. в Дманиси работал Е. С. Такайшвили, который, по рассказам местных жителей, раскопал в пригороде несколько могил[2].

Город делится на две отграниченные друг от друга части. Собственно город, площадью в 13 га, помещается на самом мысу; к Ю же от него, по обоим берегам р. Пинезаури, расположен пригород, занимающий площадь приблизительно в 12 га. В самом городе, кроме того, особыми стенами выделен вышгород.

С северной и северо-западной сторон город окаймляется глубоким ущельем р. Машавери. Высота берега достигает здесь в среднем 90 м; берег почти отвесно падает вниз и потому не нуждался в укреплении: с этой стороны крепостной стены нет. С В и ЮВ протекает р. Пинезаури. Здесь берег также высок (в среднем он достигает 80 м) и очень скалист, хотя и не так отвесен, как берег р. Машавери. Поэтому с этой стороны город защищен стеной до самой оконечности мыса, и отсюда он также мог считаться неприступным. Таким образом доступ в город возможен только с Ю.

Поверхность мыса имеет довольно сильный наклон с ЮЗ на СВ, так что разность в уровне между крайней юго-западной точкой, где помешается вышгород, и крайней северо-восточной точкой, т. е. оконечностью мыса, достигает 45 м. При этом, начиная от оконечности мыса, почти по всей его длине поверхность повышается постепенно, так что у подножия вышгорода разность в уровне составляет только 15-20 м. между тем как в крайнем юго-западном углу города, на сравнительно небольшой площади, почва сразу повышается на 20-25 м. Вышгород расположен именно на этой скале[3]. Стратегически – это самый удобный пункт на всем мысе; он господствует над городом, который простирается перед ним и виден отсюда как на ладони; в то же время отсюда открывается широкий вид на ущелье р. Пинезаури, откуда только и мог неприятель подойти к городу.

Вышгород со всех четырех сторон огражден стенами и имеет вход только со стороны города. Отсюда, от вышгорода, идет стена, которая ограждает город с Ю, далее она слеудет по краю ущелья р. Пинезаури до самой оконечности мысл. Здесь же находятся и городские ворота[4].

К городским воротам ведет древняя дорога, которая в виде улицы продолжается в самом городе.

Древняя улица была обнаружена только у городских ворот. Ворота обращены на З (рис. 1). При раскопке южной стены, на глубине 1.36 м под поверхностью почвы показался неправильной формы каменный подпятник высотой 0.35 м; под ним обнаружен культурный слой толщиной 0.47 м, а под этим последним тесаная каменная плита, лежащая в виде ступени на настиле из больших, плоских, грубо обработанных камней. Камни эти настланы непосредственно на скале.

---

1 Mélanges Asiatiques, tirés du Bull. Hist.-Phil. de l'Acad. des Sciences de St.-Pétersb., II, стр. 327 сл.

2 При этом была обнаружена, между прочим, и глиняная посуда. В виду того, что Е. С. Такайшвили работал по поручению Русского археологического общества, вещи были им пересланы в музей этого общества в Петербурге.

3 См. мою вышеупомянутую статью на грузинском яз. (табл. к стр. 336).

4 В связи с условиями рельефа местности ворота обращены не на Ю, а на З.



Рис. 1. План и разрез городских ворот.
1 – разрез по AB, первый раскоп; 2 – разрез по AB, конечный вид раскопа; 3 – план; 4 – разрез по CD.

Аналогичную картину, и на тех же глубинах, дал раскоп северной стены. Обе стены снабжены так называемыми четвертями для дверей, однако только на южной стене выступ доходит до нижней плиты, на северной же стене он достигает лишь глубины подпятника.

Настил из грубо обработанных камней занимает всю длину ворот, пролет которых составляет 4.30 м. У основания каждой стены на этом настиле, как уже было отмечено, положена крупная тесаная плита в виде ступени. Назначение этих плит неясно. Возможно, что они представляют собою остатки порога древнейших ворот. Пролет между ними равен 1.50 м, что, конечно, слишком узко для арбы; таким образом ступени эти должны были мешать движению. Первоначальный вид древних ворот здесь, повидимому, нарушен, но не подлежит сомнению то, что настил, вместе с лежащими на нем плитами в виде ступеней, представляет собою остаток древнейших ворот, между тем как подпятники, лежавшие на много выше, на культурном слое толщиною около 0.50 м, составляют принадлежность позднейших ворот. Таким образом мы имеем здесь остатки сооружений двух периодов; из них первый относится ко времени не позднее XII в., если не к более раннему, о чем свидетельствует монета царицы Тамары чекана 1200 г., найденная при раскопе южной стены на глубине 2.00 м в культурном слое под каменным подпятником.

Настил из плоских камней выходит за пределы городской стены и прослеживается приблизительно на протяжении 1.00 м, а внутри города – на протяжении около 3.00 м. Далее начинается уличная мостовая, выложенная рванными камнями (рис. 2). Улица эта начиналась, очевидно, еще за городом; установить ее первоначальный вид не удалось, так как сохранившаяся здесь на протяжении около 5.00 м мостовая сильно попорчена, камни либо выбиты, либо расшатаны. Внутри же города она сохранилась очень хорошо; немного попорчена она только в

части, непосредственно примыкающей к настилу, где несколько рядов камней уже в древности было выбито. Это дало возможность в точности выяснить кладку мостовой.

Улица от ворот идет вверх с достаточно сильным подъемом. Мостовая, уложенная непосредственно на скале, упиралась в настил, который не давал камням возможности выпасть вперед. Крупные рваные камни оббиты с расчетом вклинить их друг в друга. Пазы между камнями заполнены гравием. Камни так плотно вбиты в мостовую, что сдвинуть их с места совершенно невозможно. Этим простым приемом достигнута такая прочность, которая позволила мостовой сохраниться до наших дней почти в неизменном виде. Вместе с тем, вследствие большой величины камней, поверхность улицы очень неровна.

По сторонам улица окаймлена низкими каменными стенами, выложенными на растворе. Ширина улицы близ ворот достигает 4.70 м. Выше она постепенно суживается. На протяжении 12-13 м она идет в направлении на В, а затем сворачивает на С, вероятно, к главному городскому храму и вышгороду. Ее удалось проследить еще на протяжении 7 м, причем она сузилась здесь до 2.50 м. Временно приостановленные раскопки не дали возможности проследить ее дальше.

Кладка городской стены, кроме нескольких контрфорсов, очень небрежна. В качестве материала использован местный базальт. Камни – средней величины и почти совершенно не обработаны. Раствор довольно плохого качества. Кладка только местами идет правильными горизонтальными рядами (в контрфорсах), но все же можно ясно различить облицовку и бут. Толщина стены в среднем достигает 1.20 м. Стена не имеет фундамента, она возведена непосредственно на скале. Судя по некоторым контрфорсам (рис. 3), отличающимся более правильной кладкой и крепким раствором, можно думать, что большая часть городской стены сооружена позднее.

Зато очень хорошо сохранился потайной ход, прислоненный к скале и косо спускающийся к р. Машавери к СВ от главного городского храма; этим ходом пользовались для снабжения города водой во время осады. Верхний конец хода сейчас разрушен, нижний же (больший) прекрасно сохранился (рис. 4) за исключением лестницы, ступени которой очень попорчены. Стены хода, выложенные крупными камнями на растворе, поддерживают «стрельчатый» свод, выведенный клинчато-уложенными плоскими камнями. Во внешней стене имеется ряд

Рис. 2. Городские ворота после раскопки. Вид с запада.

Рис. 3. Контрфорс городской стены.

отверстий для света. Ширина хода равняется прибл. 2.00 м; он настолько высок, что взрослый человек может в нем совершенно свободно выпрямиться. Снаружи этот ход трудно заметить – он замаскирован растительностью; к воде он выходит в узком, глухом месте, где его вряд ли мог приметить неприятельский глаз. Воду таскали, вероятно, на ослах и мулах.

Стены вышгорода отличаются от городских стен лишь наличием фундамента из рваных камней высотой 0.50 м. Местами встречается и позднейшая кирпичная кладка. Подступы к вышгороду были укреплены и снаружи, с южной стороны. Здесь его опоясывают две искусственные террасы, из которых нижная, как выяснили раскопки, содержит большие гробницы с каменными ящиками[1], а верхняя, несомненно, хранит остатки древней стены – здесь местами видны как следы кладки, так и целые контрфорсы.

[1] Могилы, вероятно, мусульманские, так как это место примыкает непосредственно к мусульманскому могильнику пригорода. Могилы никакого инвентаря не содержат.

Рис. 4. Потайной ход. Внутренний вид.

Рис. 5. Вышгород. Вид на крепостную баню.

Рис. 6. Западный портик Сиона. Вид с северо-запада.

Вход в вышгород, как уже было отмечено, имеется только из города. Вход этот непосредственно примыкает к главному городскому храму. Внутри крепостных стен вышгорода расположен обширный двор, на западной стороне которого, у края ущелья р. Машавери, имеется несколько развалин, очевидно, жилых помещений, часть которых построена из кирпича; к Ю от двора, на высшей точке мыса, помещается крепостная баня, а за нею несколько построек, являющихся, вероятно, остатками казарм и сторожевых башен (рис. 5).

Дманисские культовые здания почти все сосредоточены у подножия вышгорода: это главный городской храм, так называемый «Дманисский Сион», его колокольня и церковь Марии, построенная в 1702 г. Тут же находится фамильный могильник князей орбелиани XVIII в.

Сион в первоначальном виде представлял собою большую «трехцерковную базилику», как его определяет проф. Г. Н. Чубинашвили, датируя Сион VII в.[1] Однако здание это неоднократно подвергалось основательной переделке. С С и с З оно имеет портики. Особенно интересен западный портик, пристроенный к главному зданию в XIII в. Это самая красивая постройка в Дманиси (рис. 6). Основная толща стены ее состоит из мелких и среднего размера рваных камней на растворе, причем стены снаружи, а колонны, пилястры и арки как снаружи, так и внутри облицованы хорошо тесаными плитами из мягкого туфа бледнозеленоватого цвета. Карниз высечен из такого же камня, крыша покрыта лещадными плитами. Внутри здания стены не имели облицовки, они были оштукатурены, причем на восточной стене сохранились следы фресковой росписи. Пол настлан плоскими могильными плитами XVIII в. Снаружи здание похоже на бескупольную, совершенно семостоятельную церковь (особенно усиливает это

[1] გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, т. I, ტფ. 1936, стр. 192.

Рис. 7.

1 – фрагмент люстрованного изразца; 2 – обломок караса; 3-7 и 9 – поливные обломки; 8, 10-12 – обломки люстровой посуды.

впечатление крестообразное перекрытие). Вход его в виде высокой и широкой, открытой, слегка стрельчатой арки без дверей для церкви необычен. Внутри здание перекрыто сферическим сводом, опирающимся на два пилястра и пару колони, что совершенно не соответствует наружному оформлению здания. Несмотря на это противоречие в композиционной структуре, западную пристойку Сиона с полным правом можно отнести к периоду расцвета грузинской архитектуры. На это указывает не только прекрасная техника отески камней, но и вся декоративная разработка фасадов здания: парные наружные ниши с фетонами на всех трех сторонах и тонко продуманные пропорции восьмигранных колони и, наконец, богатая резьба, украшающая стены, карниз, капители и базы колони, обрамления окон и пр. Разнообразное плетение, стилизованные растительные узоры и барельефы чередуются на всех трех фасадах дзания. Мотивам этой резьбы нетрудно найти аналогии на многих памятниках грузинской архитектуры XI-XIV вв. Резцом владела опытная рука мастера. Рельеф глубоко и смело вырезан в очень мягком камне, легко подверженном выветриванию.

Портик имеет грузинские надписи, датирующие эту постройку царствованием Георгия лаши (1214-1222).

Следует отметить, что в алтарную преграду Сиона вделан камень с арабской надписью, а в стену северного фасада портика позднейшими любителями вставлен армянский крестный камень (хачкар), принесенный сюда, очевидно, с христианского могильника в пригороде. Много камней с персидско-арабскими надписями вделано в стены, в двери и окна колокольни и церкви Марии.[1]

Внутри городских стен стоят развалины еще двух маленьких однонефных церквей поздне йшей постройки; одна из них, именно верхняя церковь, стоящая ближе к городским воротам, построена, очевидно, на месте более древней часовни, ибо около нее находится кладбище с древними намогильными камнями. Нижняя церковь, судя по одному камню с армянской надписью, которая, к сожалению, не читается, и по камню с армянскими крестами, является армянской.

За исключением построек в вышгороде, почти все гражданские здания и жилые дома в Дманиси строились из местного камня – базальта. Только раз при раскопках была встречена стоящая обособленно кирпичная стена; кирпич употреблялся также для выкладки каминов, а иногда и ниш; кроме того, имеется единственная стена, вроде контрфорса, смешанной кладки. Кирпич – плоский, квадратный, маленького размера (23×23 см.). В качестве строительного материала использовалось, конечно, и дерево, следы которого большей частью исчезли.

Здания эти, в большинстве, построены довольно небрежно: тесаный камень не употреблялся, что объясняется, между прочим, и твердостью местной породы; правильные горизонтальные ряды укладки большей частью не выдержаны; однако все же всегда можно отличить облицовку стен от бесформенного бута, заполняющего ее толще. К тому же, как это выяснили раскопки, стены изнутри помещений зачастую оштукатуривались, а в более богатых домах они облицовывались поливными кирпичами и изрпазцами. Было найдено несколько обломков плоского облицовочного кирпича с зеленой поливой; однако гораздо чаще попадались кирпичи маленького и среднего размеров, имеющие форму трапеции, поверхность которых

[1] Издать все эти и другие персидско-арабские надписи из Дманиси согласился доц. Г. В. Церетели. Он же сообщил мне, что большинство этих камней представляет собою фрагменты намогильных памятников и относится к XIII и XIV вв.

обычно покрыта зеленой непрозрачной поливой, а по бокам имеются выемки, очевидно, для лучшего закрепления кирпича в стене.

Изразцы имелись двух родов: при раскопках найдено два фрагмента фаяновых люстровых изразцов, из которых один имел форму восьмиконечной звезды и поверх глазури был покрыт темнобронзовым люстром с фигурным изображением (рис. 7, 1; насколько можно судить по обломку, изображен стилизованный орел); другой обломок представляет рукав креста, люстр с него почти совершенно сошел. Оба куска были найдены вместе, в здании, раскопанном к В от Сиона, на глубине 1.60 м от поверхности земли, на уровне пола комнаты. К сожалению, кроме этих кусков, там ничего не оказалось; нужно полагать, что и эти куски попали туда случайно. Как известно, облицовка стен звездчатыми изразцами в сочетании с крестообразными была одно время очень распространена в Персии. Дманисские фрагменты по технике, форме и орнаменту родственны хорошо известным рейским и вераминским изразцам, которые датируются XIII в.

Второго рода изразец представлен пока только одним обломком: это кусок рельефной майоличной плитки бирюзового цвета, которая, судя по персидским образцам, датируется XIV в.

В верхней части города глубина культурного слоя достигает 2.50-3.00 м. В нижней части и по краям мыса толщина этого слоя уменьшается, так что на оконечности мыса нынешняя поверхность почвы большей частью только на 0.40-0.50 м выше древней. Здесь здания основаны на скале и насыпная почва тонким слоем покрывает развалины. В нижней части города мощеная улица не обнаружена, однако ее древний уровень ясно определяется по уровням порогов входов в здания. В верхней части города это выяснить не удалось, так как первоначальная картина здесь нарушена: всюду, где по первому впечатлению можно было предполагать существование улицы, на ничтожной глубине от поверхности почвы оказывались поперечные стены, которые так бессистемно пересекают друг друга, что получить какую-либо ясную картину совершенно невозможно. К тому же стены большей частью не имели ни дверей, ни окон; поэтому мы были лишены возможности определить уровень почвы древнего города. Разобраться в этих бессистемно пересекающихся стенах и беспорядочно расположенных комнатах или, быть может, подвальных помещениях, иногда о трех, о пяти и более углах, крайне трудно. Часто попадались вделанные в пол глиняные печи для выпечки хлеба, так называемые «тоне», хорошо известные и по анийским раскопкам Н. Я. Марра, винные кувшины и покрытые известковой обмазкой глубокие ямы, служившие для хранения зерна. Изредка встречались простые камни и маленькие невзрачные ниши.

Археологические наслоения почвы в верхней части города всюду дают приблизительно одну и ту же картину: внутри раскопанной комнаты, а иногда и вне ее, под слоем земли и мелкого камня толщиной немного более 1.50 м лежит тонкий слой известкового раствора толщиной до 0.10 м, за которым следует первый культурный слой толщиной 0.30 м, затем опять тонкий слой известкового раствора, а иногда дерева, а под ним второй культурной слой толщиной 0.40-0.45 м, лежащий непосредственно на желтоватом, очень твердом, грунте. В этом грунте основаны стены зданий. Таким образом в вышележащих слоях отражена вся история этих построек. Слои датированы найденными в них монетами: в верхнем слое встречаются монеты XIII-XIV вв., в нижнем – монеты X-XII вв. Хронологического перерыва в этих наслоениях нет: они дают нам картину непрерывного развития города от X до XIV в. включительно.

Перейдем теперь к описанию некоторых дманисских зданий.

В двух местах раскопками были обнаружены маленькие каменные амбары без окон и дверей, имеющие только по два круглых отверстия в сводчатом перекрытии. Раскопки установили, что эти здания являлись подземными сооружениями. Одно из них оказалось на глубине 0.60 м от поверхности земли; внутренние его размеры: 2.80×1.20 м, высота 1.90 м.

Здание с дверью в верхней части города было обнаружено только к С от Сиона. приблизительно на расстоянии 12 м от него. Здесь на поверхности почвы виден был маленький остаток каменной стены, высотою всего в несколько десятков сантиметров, а вокруг него, на довольно большой площади, ямы, указывавшие на существование какого-то большого здания со сложным планом. Раскопки действительно обнаружили нижний этаж этого здания или, лучше сказать, его подвальное помещение, которое было покрыто землей на высоту 4.00 м. Под вышеупомянутым остатком стены второго этажа оказалась чисто выложенная стена толщиною в 0.70 м, имеющая дверной проем. Дверь, перекрытая стрельчатой аркой, низкая (1.76 м) и узкая (0.95 м), выходит к главному храму, однако разница в уровнях между основанием стены Сиона и порогом этой двери настолько велика (прибл. 2.50 м), что остается непонятным, для чего ее поместили так низко и каким образом спускались из Сиона в это здание. Можно было бы предположить, что нижняя часть его древнее храма, однако инвентарь, найденный в самых нижних слоях раскопанного здания, не дал никаких оснований для такого предположения: это все тот же инвентарь XI-XIII вв., который обычно встречался и в других местах города. К тому же нижняя стена ни по материалу, ни по кладке не отличается от верхней. Высота остатка стены второго этажа по линии двери равна 1:70 м, высота стены нижнего этажа равна 3.05 м, а высота фундамента – 1.10 м. Фундамент основан в грунтовой почве.

Все стены этого здания более или менее похожи друг на друга, отличаясь лишь разной толщиной. Между этими, большей частью, прочно и чисто выложенными стенами проложены позднейшие перегородки. сложенные очень небрежно из почти совершенно необработанного камня без раствора; эти перегородки начинаются обыкновенно на 1.00 м, иногда только на 0.50 м выше первоначального пола здания, так что сравнительно просторные и высокие помещения древнего здания оказались позднее разбитыми на мелкие, бессистемно расположенные клетушки. Иногда древняя насыпная почва залита известковым раствором и таким образом устроен пол для нового помещения.

Но и древнее здание не имеет хорошо продуманного плана. так что восстановить его первоначальный вид затруднительно, тем более, что вследствие позднейших переделок и застроек часть древних стен разрушена или совершенно снесена. Древнее здание расположено на склоне, поэтому южная часть его стоит ниже северной; уровень комнат часто также различен. Окна отсутствуют, имеется несколько дверей. из которых в целости сохранилась только вышеописанная. Иногда невозможно установить, каким образом сообщались между собой смежные комнаты, ибо их отделяет друг от друга глухая стена. Некоторые комнаты имеют очень неправильные формы. Северо-восточная и юго-восточная части здания не сохранились. Нужно полагать, что нами раскопан подвал большого жилого дома, который когда-то стоял к С от Сиона. Судя по ориентировке главного входа в подвал, фасад этого здания был обращен к Сиону. Что в этом подвале, во всяком случае первоначально, никто не жил, указывает, мне кажется, и одна деталь стрельчатого дверного проема: четверти его расположены с наружной стороны, т. е. дверь открывалась наружу, что для жилого помещения нехарактерно. На то, что это именно подвальное помещение хозяйственного назначения, указывают хорошо устроенные здесь два довольно крупных винных погреба, один с девятью, а другой с пятнадцатью кувшинами. Интересно, что на одном кувшине оказались клейма (печати) с грузинскими надписями.



Рис. 8 Крепостная баня. Вверху – план крыши; внизу – план надземнего яруса.



Рис. 9. Разрезы крепостной бани: C-D, E-F, G-H, K-L.

Целых вещей, кроме винных кувшинов, здесь найдено не было. Находки состояли, преимущественно, из обломков керамики, которые хорошо датируют это здание. Предметы, найденные в нижних слоях, нельзя отнести ко времени ранее XI в. Наконец, в большом винном погребе, на уровне вкопанных в грунт кувшинов. была найдена монета Тамары 1200 г.

Наилучшее представление о характере дманисской гражданской архитектуры может дать крепостная баня (рис. 5, 8 и 9).

Баня ориантирована с ЮВ на СЗ. В настоящее время она состоит из трех комнат, причем наружная дверь имеется только в первой, с ЮВ, большой комнате, которая, несомненно, представляла собою жилое помещение. По характеру каменной кладки оно не отличается от обычных для Дманиси зданий. В облицовке стен здесь все же более или менее соблюдены горизонтальные ряды; с ЮЗ и ЮВ баня примыкает прямо к скале, так что соответствующие стены этой комнаты не имеют внешней облицовки. Внутри стены большой комнаты были покрыты штукатуркой, остатки которой кое-где сохранились. Пол в настоящее время земляной. При входе направо, между дверью и первым с ЮВ окном, поперек комнаты обнаружены остатки каменной перегородки, сложенной насухо, безусловно позднейшей стройки. Первоначально здесь было только одно помещение, с одной дверью и с одним только окном в севере-восточной стене. В юго-восточной стене устроен камин, который почти совершенно обрушился. Совершенно провалился также и потолок. В стенах, сохранившихся во всю высоту, наверху положены камни в виде консолей (сохранилось только четыре камня), на которые опиралось междуэтажное перекрытие. Есть и другие признаки того, что эта комната имела второй этаж: кое-где сохранились остатки стен этого этажа, а над юго-западной стеной была обнаружена маленькая комната с камином, которая имеет только три стены и во всю ширину открыта в сторону большой нижней комнаты, представляя собой часть второго этажа. Эта маленькая комната вся сидит в земле; стены ее выложены камнем (только местами использован кирпич) и внутри покрыты штукатуркой; пол залит известковым раствором. В юго-западной стене устроен камин из плоских квадратных кирпичей и камня, а по бокам от него маленькие прямоугольные ниши. Одна ниша, большего размера, на той же высоте, находится в юго-восточной стене, а напротив нее, в северо-западной стене – еще более высокая и глубокая, также прямоугольная ниша: ею пользовались, вероятно, для сидения, ибо нижний ее край расположен очень низко от пола. Эта комната вся была покрыта на высоту 3 м землей. При очистке здесь было найдено несколько фрагментов ангобированной посуды, один камень с неполной арабской надписью и фрагмент камня с грузинской надписью.

Большая комната носит на себе следы многих переделок. В настоящее время она имеет два окна в северо-восточной стене, расположенные асимметрично и на разной высоте, причем, окно, расположенное ниже, несомнено, было пробито в этой стене позднее: кладка вокруг него отличается от кладки остальных частей этой стены. На двери также заметны следы позднейшей переделки; деревянная же перемычка второго окна новейшего происхождения.

При очистке помещения от земли на глубине 2.50 м во всю длину комнаты был обнаружен черный слой толщиной 8-12 см (очевидно, след пожарища), в котором было найдено несколько фрагментов закопченной посуды из простой глины; между прочим, фрагмент одного горшка, в котором вместе с золой лежали обуглившиеся листы печатного евангелия. Под этим слоем, на уровне пола, вдоль юго-западной стены, ближе к западному углу, было обнаружено большое количество хорошо сохранившихся кувшинов и горшков из красной глины, а в южном углу была найдена монета Русуданы 1227 г. Таким образом у нас есть основание заключить, что эта комната в XIII в. уже существовала. Действительно, кладкою своих стен она не отличается от обычных гражданских построек в Дманиси, которые хорошо датируются найденными в них монетами XII-XIII вв. Однако ею и позже, вероятно до XVIII в., пользовались в качестве жилья, пока, наконец, она не была разрушена пожаром. Длительностью обитания в этом помещении

можно объяснить незначительность древних находок. Комната эта имела, повидимому, плоское перекрытие и высокие прямоугольные двери и окна.

Первоначально это помещение ничего общего с баней не имело. Баня является позднейшей пристройкой к этой комнате, которая, возможно, представляет собою часть дворцового здания, стоявшего на этом месте в вышгороде[1]. Общей стены с баней это помещение также не имеет. Юго-восточная стена первой (юго-восточной) комнаты бани приставлена вплотную к северо-западной стене большой комнаты.

Дверь также не является общей: баня имеет свой, хорошо покрытый штукатуркой, арочный дверной проем, а в соответствующем месте стены большой комнаты пробит проход прямоугольной формы (имевший, повидимому, деревянную перемычку), боковые стенки которого выложены, как и баня, из камня и кирпича, между тем как всюду в этой комнате применена только камення кладка[2]. При этом, соответственно низкому входу в баню, в стене большой комнаты пробит также низкий проход, так что в него можно пройти только согнувшись, между тем как вход в северо-восточной стене высок; следовательно, пробитие низкого прохода в северо-западной стене стояло именно в связи с пристройкой бани. Все это бесспорно доказывает не только то, что большая комната и баня являются постройками разного времени, но и то, что именно баня пристроена к большой комнате, а не наоборот.

Кроме того баня сильно отличается от большой комнаты и в архитектурном отношении. Стены ее выложены из камня и кирпича. Кирпич плоский, квадратный, небольшого размера (23X23 см). Стены бани внутри хорошо оштукатурены; она не имеет окон. Обе комнаты перекрыты плоскими куполами, опирающимися на стрельчатые тромпы. В центре купола оставлено обложенное кирпичом круглое световое отверстие. Каждый купол перекрыт на четыре ската плоской черепицей, прямоугольной, с продольными бортами (длина каждой черепицы 0.318 м, ширина верхней части 0.255 м, ширина нижней 0.225 м, толщина 0.22 м). Черепица лежит на известковом растворе, причем черепицы, лежащие лицевой стороной вверх, чередовались с уложенными лицевой стороной вниз, так что ничком лежавшая черепица своими бортами захватывала сверху соседние две черепицы, а для того чтобы они не сползали вниз, правильно лежащие черепицы обращены верхней, более широкой, частью вверх, а опрокинутые черепицы, наоборот, обращены «головой» вниз. Черепицы закреплены на толстом слое известкового раствора. Как и вообще древнегрузинские черепицы, они отличаются хорошей выделкой. На лицевой стороне многих экземпляров имеется посредине рельеф, похожий на трилистник. Этот рельеф для правилно уложенных черепиц играет роль орнамента, для лежащих же ничком он был нужен как шпунт, ибо этим рельефом черепица была погружена в раствор и он мешал ей отскочить вверх. Все же снять эти верхние черепицы было легко. Поэтому они и не сохранились и только отпечатки на растворе указывают на их былое присутствие. Как видно, эти черепицы были позднее использованы где-то в другом месте. В Дманиси мы больше нигде не встречали черепицы с таким рельефом. Только в средней пригородной бане был найден один такой фрагмент, попавший сюда, несомненно, из крепостной бани.

---

[1] Остатков более крупного здания в вышгороде не видно. Между тем, здесь должен быть дворец резидента, который, естественно, мог построить свою баню рядом со своим жилым помещением. Правда, в восточном углу этой комнаты была обнаружена вделанная в пол глиняная печь (тоне), что несколько странно для дворца.

[2] Исключение представляет маленькая комната с камином во втором этаже, быть может тоже позднейшего происхождения, или, по крайней мере, подвергшаяся переделке.

Пазухи между двумя куполами и края крыши покрыты хорошо обожженными квадратными глиняными плитками (разм. 0.285×0.285 м, толщ. 0.036 м) на известковом растворе. Плитки эти образуют неглубокий жолоб с двойным скатом – на СВ и на ЮЗ баня, как уже было отмечено, примыкает к скале. Для того чтобы отвести дождевую воду, здесь устроен широкий каменный водосток со скатом на СЗ: отсюда вода падала прямо в р. Машавери, так как последняя комната бани стоит почти непосредственно у края ущелья.

Узкая и низкая дверь, ведущая из большой комнаты в баню, перекрыта стрельчатой аркой. В первой комнате, очевидно, раздевались и отдыхали: кроме длинных каменных нар, пристроенных к юго-западной стене, и выложенного кирпичом камина (?)[1] против них, здесь нет никаких других приспособлений. При очистке помещения ничего не было обнаружено, кроме незначительного количества простых керамических обломков. Пол был залит известковым раствором. однако он не сохранился: только остатки по стенам указывают на его уровень. Каменные нары, также покрытые известковым раствором, приходились, как видно, немногим выше пола.

Из этой первой комнаты такая же узкая дверь ведет в последнюю комнату с ванной. Здесь пол также не сохранился. Против входа в северо-западной стене имеется глубокая ниша, внутри ее – два маленьких ответвления по сторонам, на СВ и на ЮЗ. Нижная половина ниши спереди, т. е. со стороны комнаты, была заложена тонкой стенкой, как это видно по сохранившимся остаткам ее. Дно ее имеет круглое отверстие для котла, а под ним находится выложенная кирпичом круглая топка, выходящая дверцей наружу, на СЗ, почти у самого края ущелья, и имеющая в сторону комнаты открытый выход, в который можно проползти. В боковых отделениях ниши в стенах проложены два трубопровода: один (рис. 8, d), в северо-восточном отделении, доставлял снаружи холодную воду в котельную, другой (e), в противоположной стене, выходит в нишу под ванной; по нему подавалась горячая вода из котельной в ванну. Ванна расположена в нише юго-западной стены и представляет собою выложенный кирпичом и покрытый известковым раствором четырехугольный бассейн. Размеры ее: длина 0.95 м, ширина 0.80 м, глубина 0.80 м, глубина у стены комнаты 0.65 м, а с противоположной стороны 0.70 м. Таким образом один человек с трудом может уместиться в ней с поджатыми ногами. Дно ванны имеет некоторый наклон к центру комнаты. В передней стенке внизу оставлено круглое отверстие, по которому вода проходила в канализационную трубу. Тут же была обнаружена затычка для этого отверстия, сделанная из обожженной глины.

Против ванны, в северо-восточной стене, также устроена ниша. В ней нет бассейна; спереди она имела борт (часть его сохранилась) с отверстием для пропуска воды, которая отсюда падала прямо на пол комнаты. Вода поступала в эту нишу снаружи по двум трубопроводам, из которых один (рис. 8, a), в северо-восточной стене, позднее был замазан штукатуркой а другой (c) проложен в северо-западной стене ниши. История этих труб любопытна: всего в северо-восточной стене ванной комнаты проложено четыре трубопровода: из них трубопровод d, как было отмечено, ведет в помещение для котла, трубопровод c ведет в северо-восточную нишу с СЗ, а вел туда же с СВ, но затем он был упразднен и, наконец, в вделан в северо-восточную стену к СЗ от a, с наклоном внутрь комнаты и с направлением как будто бы в сторону котельной; он перерезал линию трубопровода c на немного более низком уровне, но в настоящее время он уже в самом

[1] Однако дымохода не видно, поэтому назначение этой маленькой круглой ниши остается не вполне ясным.

начале заложен камнями, так что выяснить, куда он выходил, не удалось. Если посмотреть на план, то станет ясно, что для сохранившихся в неприкосновенности трубопроводов с и d водохранилище должно было находиться во внешнем углу между северо-восточной стеной котельной и северо-западной стеной северо-восточной ниши, а для заложенных трубопроводов а и b позади северо-восточной ниши. Здесь, действительно, сохранилось какое-то низкое четырухегольное сооружение с бесформенной ямой посредине; возможно, что здесь когда-то стоял резервуар. Что в вышеозначенном углу было какое-то аналогичное сооружение, на это указывает остаток сводчатой кладки над трубами.

Стены обеих комнат бани внутри оштукатурены три раза: первый слой штукатурки – самый толстый и хорошего состава; второй, более тонкий слой, лучше по составу; он так же тверд, как и первый слой, но светлее его; на этом втором слое сделаны насечки, для того чтобы прочнее держался третий слой штукатурки, который толще второго, но по качеству уступает первым двум, легко крошится и отскакивает от стены. Трубопровод а в северо-восточной нише был замазан при вторичной обмазке ванной комнаты; вместо него тогда же должен был быть пробит трубопровод с. Повидимому, это было связано с порчей трубопровода b, ибо а хорошо сохранился до сих пор. Ремонтировать трубопровод b было трудно, так как в котельную он проходил сквозь две толстые стены. поэтому предпочли пробить два новых трубопровода с и а и перенести водохранилище в угол между помещением для котла и северо-восточной нишей.

Вышеприведенное описание позволяет, мне кажется, заключить, что баня снабжалась водой не посредством проведенного откуда-либо водопровода, а что водлу доставляли снизу, вероятно на арабах, и здесь наливали в резервуары. Правда, местные жители уверяют, что вода была проведена из караклисских источников близ Башкичета, но существование такого водопровода, следов которого нами нигде не было обнаружено, маловероятно, тем более что при значительном расстоянии бани от этих источников потребовались бы большие акведуки и прочие сооружения[1].

В центре ванной комнаты в полу была вделана глиняная канализационная труба, которая под полом отводила воду наружу. Пол, как это видно по остаткам его у стен, был устроен с наклоном к центру: здесь собиралась грязная вода. которая по проведенным под северо-восточной стеной глиняным трубам выходила наружу по направлению к С, а затем посредством сточной канавы отводилась вдоль северо-восточной стены на СЗ к крутому берегу ущелья Машавери, куда она и спадала. Канализация осуществлялась посредством жолоба, выложенного продольными половинками глиняных труб – внутри комнаты, целых глиняных труб – под северо-восточной стеной и канавки вдоль этой последней – снаружи. Дно канавки покрыто известковой заливкой, стенки ее сложены из кирпичей и также покрыты известковым раствором; сверху она перекрыта плоскими камнями неправильной формы. Канавка основана в насыпной земле, на которой был сначала устроен грубый настил из щебня, залитого известковым раствором. Однако и здесь мы имеем дело с позднейшим соорружением. Первоначально канализационная система имела

[1] Несколько водопроводов было обнаружено в пригороде. Они питали водой пригородные бани. Это довольно простые сооружения из глиняных труб, вставленных друг в друга и скрепленных известковым раствором. По ним вода в бани поступала самотеком из лежащих выше, на расстоянии нескольких сот метров, родников. Трубопроводы в крепостной бане тоже состоят из глиняных труб, но измерить их не удалось, так как они лежат глубоко в стене, а края их обломаны. По составу глины, технике и общему виду они не отличаются от труб пригородных водопроводов, где они имеют различные размеры: дл. 48, 41, 35 см, диаметр узкого отверстия 7.8, 4.3, 4.0 см.

другой выход: вода отводилась по направлению к восточному углу комнаты, где была обнаружена глубокая, внутри заложенная камнями, дыра. Трубы были проведены под северо-восточной стеной комнаты в направлении на В и выходили наружу к ЮВ от северо-восточной ниши, на расстоянии приблизительно 0.70-0.75 м от нее на линии внутренней поперечной стены бани, где раскопками были обнаружены водосточная канава и глиняная труба под стеной. Канава, которая была очищена вплоть до юго-восточной стены северо-восточной ниши, сооружена аналогично вышеописанной, но не имеет перекрытия. Она также ведет в направлении на СЗ, проходит под северо-восточной нишей и в настоящее время посредством маленького глиняного жолоба сливается с вышеописанной канавой.

Фундамент всех комнат бани, сложенный из рваных камней на известковом растворе, неглубоко сидит в земле, так как здание основано на скале. Древняя водосточная канава тоже основана на поверхности почвы; только ее нижняя часть сооружена, как было отмечено, на насыпной земле. Поэтому первоначальная картина здесь была нарушена: как видно, древняя канализационная система также была повреждена, и тогда провели новый жолоб по направлению к С, с новыми трубами под северо-восточной стеной: тогда же была, вероятно, отремонтирована нижняя часть канавы.

Способ отопления крепостной бани выяснили раскопки нижней пригородной бани, где пол оказался пробитым только в некоторых местах. почва под полом была здесь покрыта илом, который долго сохраняет тепло; затем в шахматном порядке были поставлены крупные камни округлой формы, перекрытые сверху плоскими камнями, залитыми известковым раствором. Огонь из топки, имевшей двойное назначение, – подогревать воду и отапливать ванные помещения – проходил по сквозной шахте под пол в скважины между камнями, согревал его и отводился через проложенные в стенах вытяжные трубы, которые, однако, в пригородной бане найти не удалось. То же самое было и в крепостной бане, где таким способом отапливалась только ванная комната, комната же с нарами имела, повидимому, отдельный камин. Печка в ванной комнате, как уже было отмечено, имеет выход и внутрь комнаты, под пол. Хотя пол и не сохранился, уровень его легко определить по остаткам известковой заливки на стенах: он был настлан немного ниже уровня верхней поверхности ванны. В центре комнаты, вокруг канализационной трубы, вделанной в пол, полукругом возведена низкая стенка на известковой заливке, служившая, вероятно, опорой для плоских камней, на которых был настлан пол. Быть может, круглых камней тут и вовсе не было, так как вследствие очень маленьких размеров комнаты расстояние от округлой стенки до стен комнаты так незначительно, что плоские камни другими своими концами могли бы быть укреплены прямо в стенах комнаты. Однако при очистке помещения не было найдено не только ни одного круглого камня, но также и плоских камней пола. Зато в южном углу комнаты под полом было обнаружено вытяжное отверстие, выложенное глиняными трубами: оно идет вверх вертикально и выходит на крышу над юго-западной стеной комнаты.

Устройство котельной становится понятным по аналогии с константинопольскими банями, где мы встречаем и сходную с вышеописанной систему отопления, с той разницей, что константинопольские бани много благоустроеннее дманисских.[1] Глубокая ниша котельной с ее отделениями вся наполнялась холодной водой, до высоты передней стенки ниши. Огонь из топки непосредственно действовал только на котел, погруженный в воду и глубоко сидевший

[1] N. Glück. Probleme des Wölbungsbaues. Die Bäder Konstantinopels. Wien; 1921, стр. 16-18.

в круглом открытом снизу гнезде на дне ниши, над топкой. Котел имел, очевидно, высокие стенки, выступавшие над этим гнездом, но остававшиеся под поверхностью воды. Кроме того, в верхней части котла в нескольких местах были пробиты небольшие отверстия.[1]

Нагретая в котле вода поднималась вверх, а свежие холодные струи из верхних слоев поступали в котел через эти верхние боковые отверстия.[2] Это остроумное приспособление, создававшее постоянную циркуляцию воды в нагревательной ванне, давало возможность с большой экономией огня быстро и равномерно нагревать воду, не перегревая ее. Таким образом становится понятным и расстояние, на котором помещены водопровдные трубы от котельного отверстия, и высота, на которой они проложены в стенах.

В нише северо-восточной стены, которая тоже имела спереди стенку, вероятно, набиралась холодная вода, которая непосредственно в ванну не поступала.

Ни в первой, ни во второй комнате крепостной бани не было обнаружено ничего, что позволило бы это здание датировать: никаких вещей при очистке этих комнат вообще найдено не было, на исключением очень небольшого количества обломков керамики из простой красной глины.

Относительно большой комнаты, можно, судя по монете Русуданы, утверждать, что по крайней мере в XIII в. она уже существовала. Баня пристроена к этой комнате позднее. Но когда? Инвентарь, найденный при раскопке нижней части сточной канавы и фундамента бани и состоявший из ангобированных, поливных, украшенных в технике граффити, фаянсовых и кое-каких других незначительных обломков, не отличается от инвентаря, который всюду имеется в Дманиси и который датируется XII-XIV вв. Поэтому нужно полагать, что баня построена не на много позже большой комнаты.

Среди других дманисских гражданских построек крепостная баня одна из лучших. Это объясняется. с одной стороны, тем, что она должна была обслуживать резидента, сидевшего в крепости, т. е. высшее административное лицо в городе, но, с другой стороны, она безусловно представляет собою памятник лучшей поры города.

Нижняя пригородная баня, не особенно отличающаяся от крепостной, датируется найденными в ней монетами XIII в. поэтому мне кажется, что и постройку крепостной бани нельзя отнести к более позднему периоду.

В пригороде, по правому берегу р. Пинезаури, стоят развалины трех больших бань, обслуживавших горожан, а на левом берегу видны остатки мельниц и больших городских гумен. Здесь же находятся обширные городские кладбища, занимающие площадь, немногим меньшую, чем сам город.

Ближе к городу расположен мусульманский могильник. По размерам он значительно больше хритианского. Характерными для этого могильника надгробиями являются маленького размера (0.23×0.21 м) плоские камни со срезанным в виде равнобедренного треугольтника верхом и с рельефной надписью на одной стороне. Такой камень ставился у изготовья могилы, с надписью, обращенной всегда на В. Характерны также большие длинные (1.25-1.85 м) камни с широкими продольными гранями и с пятигранной «головой», на двух, а иногда и на всех пяти

---

[1] В константинопольских банях возводятся отдельные маленькие стенки по обеим сторонам котла. Следов таких стенок в дманисских банях не обнаружено.

[2] N. Glück, ук. соч., стр. 14, рис. 7.



Рис. 10. Мусульманский мавзолей с запада.

гранях которой вырезана рельефом арабская надпись. Встречаются также большие каменные склепы и имеющие каменную ограду фамильные могильники.

Интересны мусульманские мавзолеи. Судя по остаткам, всего тут было 7 или 8 таких пямятников. Один из них, на северо-восточной окраине кладбища, сложен из необработанного камня на известковом растворе. В плане он квадратный (4.95×4.95 с). Наружные углы его скошены, толщина стен 0.90 м. Мавзолей перекрыт непропорционально высоким куполом (высота его 3.15 м, при общей высоте здания 5.96 м). Купол сложен из мелких плоских камней и покоится на стрельчатых тромпах. Здание имеет одну дверь (с В) и два окна (с С и с Ю). Над входом снаружи имеется гнездо для каменной плиты, вероятно с надписью; плита не сохранилась.

Другой надмогильный памятник (рис. 10), на склоне горы к ЮЗ от первого, весь сложен из плоского квадратного кирпича (23×23×25 см), на низком цоколе из грубо отесанных, но тщательно сложенных каменных плит, и производит впечатление более богатой постройки. В плане он тоже квадратный (3.85×3.85 м) и перекрыт высоким куполом на полукруглых тромпах; однако пропорции его гораздо более гармоничны – он более вытянут вверх, причем на купол приходится только около трети всей высоты здания (высота всего здания 6.25 м, высота купола 2.55 м). Углы не скошены. Толщина стен 0.80 м. Внутри стены оштукатурены.

Вход здесь имеется только с восточной стороны. Он сильно обрушился. Окон четыре, по одному с каждой стороны; они маленькие, узкие, перекрыты стрельчатыми арочками. Перед входом как будто бы имелась широкая каменная лестница.

Христианский могильник отстоит на 120-130 м к Ю от мусульманского. В нижней части его перерезает шоссейная дорога. К В от шоссе стоит маленькая часовня, большая же часть могильника осталась к З и СЗ от дороги на крутом склоне горы.

Интереснее всего здесь армянские крестные камни, так называемые «хачкары», которых, судя по остаткам, было по крайней мере пять. в настоящее время осталось только четыре крестных камня, из которых два продолжают стоять на своем месте, один, богато украшенный резьбой, лежит на земле в стороне от кладбища (он сильно поврежден, верхняя часть его обломана, надпись не читается) и, наконец, четвертый хачкар, как уже было отмечено, унесен с кладбища и вделан в южную стену западного портика главного городского храма; надпись его тоже не читается. Хачкары сделаны из мягкого бледнозеленоватого туфа. Это, вероятно, та же порода, которой облицован портик Сиона.

Из двух стоящих in situ хачкаров один (рис. 11), тоже богато орнаментированный, датирован 1288 г. (737 г. армянского летосчисления). Он обращен, как и все хачкары, лицевой стороной на З, стоит на постаменте и вместе с ним вставлен в специально возведенную узкую стенку, сложенную из необработанных камней и кирпича (разм. 0.21×0.21×0.45). Второй хачкар, вставленный в нишу из того же материала, что и стенка первого хачкара, сооружен, судя по надписи[1], тем же лицом, которое воздвигло хачкар 1288 г.; этот хачкар, таким образом, можно датировать также второй половиной XIII в.; резьба его значительно скромнее первого. Остальные хачкары относятся приблизительно к тому же времени.

В орнаменте их налицо все признаки декоративного стиля армянских крестных камней XII-XIII вв.[2]

Интересны также некоторые древние надмогильные камни, очень больших размеров, длиною иногда до 2.00 м, шириной и высотой свыше 0.50 м. сверху округлые или с продольными гранями, украшенные рельефным крестом. спиралями и жгутом; некоторые имеют форму ступенчатой пирамиды или нечто вроде базилики на высоком цоколе. Эти камни, судя по хорошей отеске, богатству орнамента, а также по величине их, следует отнести к периоду расцвета городской жизни в Дманиси, т. е. датировать их, как и армянские хачкары, XII-XIII вв.[3] Кроме того, встречаются плоские камни с контурным изображением человеческой фигуры[4].

Большинство камней, однако, не имеет орнамента, но зато отличается своеобразной формой: это узкие и длинные гробоподобные камни с продольными гранями, разной величины. Часть из них относится к XVII-XVIII вв. На одном таком камне есть грузинская надпись, вероятно XVIII в., некоторые имеют армянские надписи. Одна могила, покрытая таким камнем без надписи, была нами раскопана. Она оказалась наполненной землей, щебнем и отвалившимися плитами боковых стен. На глубине 0.40 м лежало два скелета в вытянутом положении на спине, головами на З: левый скелет принадлежал, очевидно, молодой женщине, правый – маленькому ребенку.

---

1 Издать все дманисские армянские надписи согласился Л. Т. Меликсет-Беков.

2 И. А. Орбели. Колокол с анийскими орнаментальными мотивами. ЗВО, т. XX. стр. 23-39.

3 Некоторые из этих камней воспроизведены в моей статье о Дманиси из грузинском языке (ук. изд., рис. 79 и 80).

4 Ср. такой же надмогильный камень на одном из могильников в Ани (Н. Я. Марр. Ани. 1934, стр. 102, рис. 233).



Рис. 11. Армянский крестный камень 1288 г.

Руки первого скелета лежали на животе, несколько выше тазовых костей; среди рассыпавшихся фаланг лежали два медных перстня, один из них с конической головкой, и два фрагмента медной серьги (?). Череп оказался совершенно распавшимся. Ниже этих скелетов, до глубины 1.20 м, оказалось много беспорядочно лежавших костей других скелетов и рассыпанных между ними железных гвоздей, вероятно, от гроба. Та же картина повторилась и при очистке четырех других могил. Очевидно, могильником пользовались до позднейшего времени и свежие могилы часто устраивались на занятых более древними могилами местах. Действительно, на откосе к З от шоссе из земли торчат камни древних могил в два или даже в три яруса.

Была раскопана также одна, судя по надмогильному камню, более древняя могила, оказавшаяся совершенно лишенной инвентаря.

Все раскопанные нами могилы были обложены по бокам мелкими каменными плитами, но настила не имели; сверху они были перекрыты большими надмогильными камнями.

Плоские надмогильные камни принадлежат, как видно, более позднему периоду. Один такой камень с армянской надписью датирован 1750 г. (1199 г. армянского летосчисления).

Таким образом грузины и армяне хоронили своих покойников на одном и том же кладбище. Правда, древних надмогильных памятников с грузинскими надписями не обнаружено, но это и не удивительно: известно, что древнегрузинские надмогильные надписи являются вообще редкостью. До XVI-XVII вв. грузинское население редко снабжало свои могилы надписями. Армяне же, наоброт, и в древности любили посвящать своим прокойникам пространные эпитафии.

То обстоятельство, что грузины и армяне имели одно общее кладбище, следует, быть может, объяснить тем, что армянское население Дманиси было в большинстве халкедонитского толка, т. е. так называемого «православного» вероисповедания.

Почти везде, где велись раскопки, как на территории самого города, так и в пригороде, уже на глубине нескольких десятков сантиметров начинали во множестве появляться мелкие, в большинстве случаев более или менее поврежденые, вещи из меди, железа, глины, стекла, кости, рога и др. В результате двух археологических кампаний составилась довольно богатая и интересная коллекция, являющая в настоящее время предметом специального изучения[1].

Из крупных находок следует отметить прекрасно отесанный маслобойный камень, диам. 1.25 м, найденный в верхней части города, на глубине 1.20 м. Таких камней в Дманиси было, очевидно, много: еще три камня сохранились на территории города, на поверхности земли, а три других унесены в окрестные села – это указывает на распространение здесь в древности культуры льна и выработку льняного масла.

Нумизматические находки дают четкую картину истории развития города. По большей части это медные монеты, из которых пока очищено и изучено 228 экземпляров.

Самые древние монеты византийские: VI, VII и IX вв. по одному экземпляру, три экземпляра X в., один X-XI в. и, наконец, семь монет XI в. Из монет XII в. одна грузинского чекана (Димитрия I), а две иноземные (Ильдигизидов); три монеты Абубекра датируются XII-XIII вв.

Значительно больше найдено монет XIII в.: грузинских 122 экземпляра (19 экз. Тамары и Давида, 67 экз. Русуданы, 33 экз. Давида IV, 3 экз. Давида V), а иностранных, главным образом монгольских, 35 экземпляров.

С XIV в. количество монет внезапно уменьшается: их всего три, причем все монгольские; от XV в. есть только одна монета (Георгия VII), XVI и XVII вв. совершенно не представлены, а от XVIII в. оказалось три монеты (одна монета грузинского Бакара и две персидские).

Интереснее всего, что в Дманиси в XIII в. имелся свой чеканный двор. Здесь чеканилась монета от имени Давида IV. Таких бесспорно дманисских монет, которые до сих пор считались тбилисскими, в Дманиси найдено пока только 18 экземпляров[2].

Таким образом нумизматические данные полностью согласуются с тем, что нам известно об истории развития города по письменным источникам. Количество монет начинает увеличиваться с X в. и, повидимому, с этого именно времени здесь развивается городская жизнь

---

[1] Материал обрабатывается монографически. Нумизматическую коллекцию готовит к изданию Т. Н. Ломоури, коллекция предметов украшения обрабатывается старшим научным сотрудником Музея Шота Руставели С. В. Барнавели, керамику издает автор настоящей статьи. В виду этого в дальнейшем ограничусь кратким описанием нескольких образцов дманисского инвентаря.

[2] Приношу искреннюю благодарность Т. Н. Ломоури, которая сообщила мне вышеприведенные данные.

в специфическом значения этого слова, хотя само поселение гораздо древнее X в. XI-XIII вв. являются периодом богатства и расцвета города. В XIV в. начинается уже упадок.

Из медных и бронзовых вещей отметим несколько наиболее характерных. Они большей частью хорошо датируются XI-XIII вв. благодаря монетам и керамике, найденной вместе с ними в одном и том же слое[1]. Таковы, например:

1) Массивный литой бронзовый предмет неизвестного назначения, имеющий форму маленького блюдца, диам. 6.3 см, найденный в верхней части города на глубине 1.70 м. На внутренней поверхности его, вокруг центральной шишки и кольца из рельефных петелек, плоским рельефом изображен ряд бегущих зверей: можно различить горных коз и барсов, преследующих их. На совершенно гладкой внешней поверхности предмета выгравирована пространная арабская (?) надпись и также один ряд животных (видны какие-то четвероногие и как будто бы хвост рыбы). К сожалению дно так повреждено патиной, что надпись разобрать невозможно. Предмет напоминает известные месопотамские зеркала XII в., однако, этому сопоставлению противоречит надпись на наружной поверхности. Подобными знаками в средние века снабжались на Востоке компасы. Возможно, что и данный предмет имел астрономическое или астрологическое назначение.

2) Медная, плоская и круглая подвеска, разм. 7.2×6.5 см, найденная в верхней части города на глубине 2.60 м. Внизу она имеет круглый вырез, что заставляет думать, что предмет этот не был просто украшением, а являлся почетным знаком, носившимся на груди. На лицевой стороне подвеска украшена плоским штампованным рельефом с изображением, как будто бы, двух кентавров в геральдической позе и какой-то фигуры между ними. Изображения и вся площадь вокруг них покрыты углубленными точками в кружках. Обратная сторона совершенно гладкая.

Рис. 12. Бронзовое навершие, головка барса.

3) Бронзовый литой предмет (рис. 12) в виде головы тигра или барса, полый внутри. Рот и глаза прорезаны, шея украшена прорезными треугольниками. Между ушами тоже ромбовидная прорезь. Высота 6 см, ширина у основания 4 см. Головка эта была найдена на глубине всего 0.70 м, однако она производит впечатление древнего предмета. Возможно, что это действительно часть курильницы, как предполагает И. А. Орбели[2].

Изделия из стекла представляют тоже довольно большой интерес. Целых предметов очень мало, есть только одна серьга из простого черного стекла с припаянными концами и два сильно иризованных флакончика, напоминающих рейские стекла. Но и обломки тонкостенных сосудов из чистого прозрачного стекла иногда с гравированным оргаментом, некоторые же, окрашенные в массе глубоким синим или

---

[1] Глубина залегания того или иного предмета, конечно, не всегда решает вопрос о его древности, Вследствие большой интенсивности городской жизни в продолжение нескольких веков и множества позднейших перестроек, последовательность слоев часто нарушена. Решающее значение имеет комплекс находок; однако и он зачастую не дает ясной картины.

[2] И. А. Орбели. Бронзовая курильница XII в. в виде барса. Сб. «памятники эпохи Руставели», изд. АН СССР, Лгр., 1938, стр. 297.

фиолетовым тоном, разнообразных форм дают представление о высокой технике изготовления стекла. Особенно любопытны формы некоторых ушков и обломки лампад с миниатюрными ушками.

Гораздо интереснее и разнообразнее керамика. Приведем краткое описание некоторых типичных образцов ее, которое даст понятие о богатстве дманисской керамики.



Рис. 13. Кувшин из красной глины.

Кувшин из красной глины (рис. 13), выс. 0.32 м; края горлышка и, вероятно, конической формы головка, украшавшая ручку, обломаны. Наружная поверхность сосуда покрыта красным ангобом. Вокруг шейки сосуд украшен рельефными горизонтальными полосками и прочерченными между ними по ангобу зигзагами. Ниже – опять-таки прочеренный по ангобу – елочный орнамент в виде вертикально поставленных веточек и, наконец, вдавленные вертикальные бороздки под ними. Так как тесто сосуда светлее ангоба, то прочерченный орнамент по своему тону ясно выделяется на фоне остальной поверхности сосуда. Кувшин найден рядом с хорезмской монетой XIII в. при раскопке жилого дома в нижней части города.

Обломок из красной глины (рис 7, 2) разм. 6.3×5.8 см.[1] Внешнаяя поверхность покрыта красным ангобом. По ангобу оттиснут рельеф, изображающий ряд обращенных вправе коз, с треугольниками и точками между ними. Это, несомненно, обломок так называемого караса, винного сосуда, хорошо известного по анийским раскопкам Н. Я. Марра.[2] Так как Н. Я. Марру удалось найти в Ани и цилиндрик, посредством которого оттискивался подобный орнамент по поясу сосуда, можно считать бесспорным, что мы имеем тут дело с местной традицией. Интересно отметить, что орнамент дманисского фрагмента обнаруживает поразительное сходство с орнаментом суммерийских цилиндрических печатей, датированных III тысячелетием до н. э.[3]

Обломок тарелки из красной глины (?) (рис. 7, 9), разм. 9×7 см, покрытый с внутренней стороны окрашенной в синий цвет прозрачной поливой поверх белой обмазки с прочерченным по ней петельчатым орнаментом. Обратная сторона без поливы.

Обломок края миски из красной глины (рис. 7, 7), разм. 18×8 см, покрытый с внутренней стороны окрашенной в синий цвет прозрачной поливой поверх белой обмазки с прочерченным орнаментом в виде двоек в клетках.

---

1 Размеры беру везде наибольшие.

2 Н. Я. Марр. Ани, стр. 86-87, табл. XIV, рис. 192 и 192а.

3 См. напр.: Bulletin des Musées Royaux d'Art et d'Histoire, Bruxelles, Sept.-Oct. 1936, стр. 110, рис. 10 и 11.

Два обломка края миски из красной глины (рис. 7, 6), разм. 11×8 см, покрытые с внутренней стороны неокрашенной прозрачной поливой поверх белой обмазки с прочерченным рисунком четвероногого с ошейником; от изображения животного сохранились только голова и часть передней ноги; вправо от морды животного два эксцентричные, неправильной формы кружочка. Под глазурью расплывчатые зеленые и желтые пятна, окрашивающие животное: большой кружок окрашен в зеленый цвет, а малый имеет в середине расплывшуюся фиолетовую точку, две такие же стекшие точки находятся пониже кружков. Вдоль внутренней повердности венчика также идет фиолетовая полоса. Обратная сторона без поливы.

Обломок из красной глины (рис. 7, 5), разм. 8.5×5.5 см, покрытый с внутренней стороны неокрашенной прозрачной поливой поверх белой обмазки с прочерченным рисунком, изображающим, вероятно. пеликана, от которого сохранились только голова, окрашенная по ангобу в желтый цвет с фиолетовым глазом. Остаток какого-то орнамента (перед птицей) окрашен в зеленый цвет. Обратная сторона без поливы.

Чаша на круглой ножке (рис. 7, 3), сохранившаяся в двух кусках и восстанавливающаяся почти полностью. Высота ее 4.9 см при диам. 10.5 см. Глина красная, внутренная поверхность покрыта неокрашенной прозрачной поливой поверх белой обмазки, которая покрывает также всю верхнюю половину наружной поверхности. Рисунок, прочерченный по ангобу, изображает хищную птицу (сокола) в обрамлении из стилизованных стебельков. Краски наложены под глазурью: корпус, голова и нижняя часть ног птицы желтые, верхняя часть ног и концы крылев зеленые. Стебельки также зеленые. По венчику идет внизу желтая полоса, а выше нее – зеленая. На обратной стороне, вокруг края сосуда по ангобу железистой краской нанесены коричневые вертикальные полосы[1].

Донышко чаши из красной глины (рис. 7, 4), разм. 11X9 см, покрытое неокрашенной прозрачной поливой поверх белой обмазки. с прочерченным изображением человеческого лица в темнофиолетовом круге, от которого идет зеленое плетение, ответвляющееся крестообразно в стороны. Зрачки глаз у лица и круглые пятна по внешнему краю плетения – темнофиолетовые; видны также следы и желтых пятен. Краски все наложены под глазурью.

Описанная поливная керамика хорошо известны на всем ближнем Востоке, в частности на Кавказе и в Крыму[2]. Оставляя в стороне чрезвычайно интересный вопрос об орнаменте и изображениях, следует особо подчеркнуть то обстоятельство, что в данном случае совершенно точно могут быть установлены как место, так и время происхождения этой керамики. В виду того что в Дманиси найдено несколько фрагментов, представляющих собой обломки полуфабрикатов, ангобированных и с уже прочерченным рисунком, но не подвергшихся глазуровке, не может быть никакого сомнения в том, что посуда эта выделывалась на месте. О местном производстве свидетельствуют также три обломка с грузинскими надписями, из которых одна палеографически хорошо датируется X-XI вв. Дата не может вызывать сомнений, потому что обломки эти сплошь и рядом были находимы вместе с монетами XI, XII и XIII в.

На рис. 7 даны образцы дманисской фаянсовой посуды, украшенной люстром; образцы 8, 10 и 11 покрыты с одной стороны окрашенной в синий цвет прозрачной, а с другой стороны непрозрачной молочнобелой поливой, поверх которой наложен люстр; 12 покрыт с обеих сторон

---

[1] Ср.: III международный конгресс по иранскому искусству. Доклады. Изв. АН СССР. М.-Л., 1939, табл. XCVI (справа наверху и внизу).

[2] Ср.: А. Н. Кубе. Глиняные черепки из Ласпи. СГАИМК, т. I, стр. 247-248.

непрозрачной молочнобелой поливой. Люстр медный, различных оттенков – от темнобронзового до светлооливкового. Это керамика персидского образца. Датируется она XII и XIII вв. Но любопытно, что некоторые дманисские экземпляры, судя по выделке и рисунку, являются не персидскими оригиналами, а довольно грубым подражанием[1], так что можно предполагать что и фаянс, по крайней мере частично, являлся изделием местной промышленности.

Было бы преждевременным делать окончательные выводы, однако вышеизложенное мы можем резюмировать следующим образом.

1) Дманиси был средневековым грузинским провинциальным городом, типичным не только для Грузии, но и для всей горной части Закавказья. Его расположение на мысу, между двух рек, система его укреплений, выделение вышгорода и пригорода, потайной ход для снабжения города водой во время осады и пр. – все это повторяется и во многих других древнегрузинских и армянских городах. так устроены, например, Самшвилде, Ани и др. Больше того, Дманиси во многих отношениях типичен вообще для ближневосточных городов с их узкими, кривыми улицами, бессистемно выстроенными домами, со смешанным населением, живущим скученно на маленькой площади. Это город мусульманско-христианский, и, судя по величине мусульманского могильника, преобладающая часть населения была мусульманской.[2]

2) Период расцвета города относится к так называемому классическому периоду грузинской истории, т. е. падает на XI-XIII вв. Особенно благоденствует он в XIII в., когда у него имеется даже собственный монетный двор. Но уже в XV в. Дманиси представляет собою, повидимому, незначительное поселение. Можно предполагать, что решительный удар был нанесен городу в конце XIV в., при нашествии Тимура. Однако действительную причину упадка нужно искать не в этом.

3) Для экономического возвышения города известное значение имело, конечно, и собственное его производство.

Область, непосредственно примыкающая к городу с В, является районом интенсивной сельскохозяйственной культуры, главным образом виноградарства. Из «Географического описания Грузии» царевича Вахушта мы знаем, что так было и в XVIII в. Несомненно, культура эта была здесь очень древней, что подтверждается целым рядом вещественных памятников, а также и некоторыми письменными источниками. Можно даже полагать, что эта отрасль сельского хозяйства в древности имела особенно большое распространение и значение. На это, как будто бы, указывает множество винных погребов, раскопанных нами в Дманиси.

Другой вид интенсивного хозяйства, ныне совершенно забытый, неизвестный в этом районе уже Вахушту, в древности же, повидимому, очень распространенный – это культура льна, на что указывают маслобойные камни, причем лен давал, конечно, не только масло, но и полотнеяные ткани; последние составляли, по всей вероятности, на ряду с вином важный предмет экспорта.

Интересно также, что Вахушт в своей «Георгфии» указывает на Абулбуг, отстоящий на расстоянии всего нескольких километров от Дманиси, как на место, где добывались железо, медь и лазуревый камень.

---

[1] Ср., напр., рисунок на днище чаши из Дманиси, изданной А. В. Банк (Керамика из Дманиси и Херсонеса. Сб. «Памятники эпохи Руставели», Лгр., 1938, табл. 14).

[2] Странно, однако, что в Дманиси не обнаружено мечети.

Из ремесел отметим керамическое производство; возможно, что здесь существовало и производство стекла[1].

Но решающее значение для возвышения города должно было иметь его расположение на торговом пути, связывавшем Грузию с Арменией, а через нее со всем Ближним Востоком. Из Тбилиси в Армению шел путь и через Бамбакское ущелье, однако немного более длинный путь через Дманиси был гораздо удобнее для сношений. Дманиси представлял собою важнейшую транзитную станцию на этой торговой дороге, и именно с ней теснейшим образом была связана судьба города.

[1] Приблизительно в 5 км выше Дманиси, в ущелье р. Пинезаури, есть стекольный завод, ныне пустующий. Тут, согласно местному преданию, был древний стекольный завод, который в середине прошлого столетия обновил барон Кученбах. Камень возили из Шахназара. Завод Кученбаха производил и глиняную посуду, ибо поблизости есть залежи хорошей гончарной глины.

ბოლნისი

ბოლნისში 1936 წლ. ივლისის 9-დან აგვისტოს 21-მდე არქეოლოგიური ექსპედიცია მუშაობდა საკ. მეცნ. აკად. საქ. ფილ. ენის, ისტორიისა და მატერ. კულტ. ინსტიტუტის და შ. რუსთაველის საიუბილეო კომიტეტის დავალებით.[1] განთქმული ბოლნისის სიონის შესახებ, რომელიც უძველესი ქართული ხუროთმოძღვრების ერთს უშესანიშნავეს ძეგლს წარმოადგენს და ცნობილია, სხვათა შორის, თავისი საუცხოო ჩუქურთმებით და საინტერესო ბარელიეფებით, სპეციალურ მონოგრაფიას ამზადებს პროფ. გ. ჩუბინაშვილი. ბოლნისის სიონის შესწავლა ხელოვნების ისტორიის თვალსაზრისით ჩვენს საგანს არ შეადგენს. წინამდებარე წერილში ნაცადია შეძლებისდაგვარად სრული ისტორიული მასალის შეკრება ბოლნისისათვის, საზოგადოდ, და გათხრების შედეგების წარმოდგენა.

I

ბოლნისი მდებარეობს ლუქსემბურგის რაიონში, მდ. ფოლადაურის მარცხენა ნაპირას. იგი 9 კმ-ითაა დაშორებული ლუქსემბურგს (ძვ. რატევანს) სამხრეთისაკენ. სამხრეთიდან ბოლნისის ხევს ლელვარისა და უფრო დასავლეთით ლოქის მთა აკრავს. ფოლადაური ლელვარის მთაში გამოდის, ჩრდილოეთისაკენ მიიმართება და მარჯვნიდან ერთვის მაშავერს რატევნის ქვემოთ. სახელი „ფოლადაური" დღეს აღარავის ახსოვს, არამედ ამ წყალს სხვადასხვა ადგილას სხვადასხვანაირად უწოდებენ: ზემოწელს, ვიდრე ახკერპიმდე, ეწოდება „ბოლნის-ჩაი", შუაწელს – „ახკერპი-ჩაი" და უფრო ქვემოთ „პერპინჯან-ჩაი", ვიდრე ჩათახამდე, ხოლო ჩათახს ქვემოთ შესართავამდე მას „ხაჩინ-ჩაის" ეძახიან. ჩათახს ქვემოთ ფოლადაურის ხეობა ფართოვდება, მთა შესამჩნევად მცირდება, ხოლო ჩრდილოეთისაკენ ფართო გასახედი იშლება ვიდრე თრიალეთამდე. აი ამ შედარებით დაბალ ხეობაშია გაშენებული ბოლნისი. და რადგან ეს ადგილი სამი მხრით დაცულია დაბალი მთებით – აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან ლელვარისა და ლოქის შტოებით, რომელსაც ვახუშტი ბატონიშვილი ბოლნისის მცირე მთებს უწოდებს,[2] ხოლო სამხრეთიდან ლელვარის ჩრდილო-კალთებით, თანაც კარგა დაშორე-

---

[1] ექსპედიციის საერთო ხელმძღვანელობა მინდობილი ჰქონდა პროფ. ივ. ჯავახიშვილს. კონსულტანტად მოწვეული იყო პროფ. გ. ჩუბინაშვილი. ადგილზე თანამშრომლობდნენ, ავტორის გარდა, სტ. მენთეშაშვილი, გ. გაბაშვილი, ც. გაბაშვილი (არქიტექტორი) და ი. გილგენდორფი (ფოტოგრაფი).

[2] ვახუშტის ცნობები, ცოტა არ იყოს, ბუნდოვანია: ერთის მხრით, ფოლადაურისა და ბერდუჯის წყალგამყოფად ის ასახელებს ლელვარს და „ამის მთისგანვე გამოსულს მცირე მთას, ჩრდილოთკენ მდებარეს, ბოლნისისას" (გეოგრაფ., გვ. 45), ისე რომ ეს „მცირე მთა",

ბით მწვერვალებისაგან – ამიტომ აქ ჰავა ზომიერია, არც ზამთარში იცის დიდი სიცივე და არც ზაფხულში დიდი სიცხე, რაც, ნაყოფიერ ნიადაგთან ერთად, კარგ პირობებსა ჰქმნის სასოფლო მეურნეობისა და, განსაკუთრებით, მებაღეობა-მევენახეობისათვის, რასაც სწორედ, მემინდვრეობის გვერდით, მისდევენ დღეს აქ უმთავრესად. ამ ადგილას მოიპოვება მადნებიც, რომლებსაც ძველად, პრიმიტიულ საექსპლოატაციო პირობებში, უფრო მეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, ვიდრე დღეს; აქ ცნობილია ჩათახის[1] რკინის მადნები, რომელთა ექსპლოატაცია დიდი ხანი არ არის, რაც შეწყდა, ხოლო ბოლნისის აღმოსავლეთით ვახუშტი ასახელებს სარკინეთის ხევს, საცა „ითხრების ლითონი რკინისა და სპილენძისა და იპოების მცირე ლაჟვარდიცა" (გეოგრ., გვ. 45). ამ უკანასკნელ დროს ბოლნისის პირდაპირაც, ფოლადაურის მარჯვენა მხარეს, აღმოჩნდა რკინა, წულრუღაშენის გასწვრივ, საცა ამჟამად ძიება წარმოებს. საინტერესოა აგრეთვე, რომ სოფ. სამნევრისის (ყურჯილარის) პირდაპირ დასავლეთით ძველი ნასოფლარია, რომელსაც „დამირ-სუს", ე. ი. „რკინის წყალს" ეძახიან, ხოლო ჩათახის ახლოს არის მთა „დემურდაღ", ე. ი. „რკინისა". მდ. „ფოლადაურის" სახელწოდებაც, უეჭველია, დაკავშირებული უნდა იყოს მის ხეობაში არსებულსა და უწინ, ალბათ, ექსპლოატაციაში მყოფ მადნებთან.

ბოლნისის ხეობას რომ ზევითკენ ავყვეთ, ლელვარის ქედით, ე. წ. „მგლის კარით",[2] გადავალთ ლორეში. ეს გზა მაინც და მაინც მარჯვე სასიარულო არაა, მაგრამ იგი, შედარებით მაშავრისა და დმანისის ხეობით მიმავალ გზასთან, შესამჩნევად ამოკლებს მანძილს ტფილისიდან ანისამდე. დღეს, მართალია, ამ გზით აღარავინ სარგებლობს, მაგრამ ოდესღაც მას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. მაშავერზე, რატევანს ქვემოთ, ორი ხიდია გადებული, ერთი ფოლადაურის შესართავს ქვემოთ, სოფ. გორჩულუს პირდაპირ, მეორე კი შესართავს ზემოთ, შიგ ლუქსემბურგის ბაღებში, შიშთაფას პირდაპირ. ამ უკანასკნელს „გიდკლი"-ს ეძახიან, რაც თურქულად „ვიწრო გასავალს", „ყელს" ნიშნავს. „გიდკლის" ხიდი არ მინახავს, მაგრ. ადგილობრივთა მოწმობით იგი არაფრით არ განსხვავდება გორჩულუს ხიდში, რომელიც ერთ ნავისებრ თაღს წარმოადგენს და ნაგებია საშუალო ზომისა და პატარა ქვით ქვიტკირზე გამტანისად. ხიდის სიგრძე უდრის 62 მეტრს, სიგანე – 5,80 მ-ს, ხოლო სიმაღლე წყლის ზედაპირიდან – 7,80 მ-ს. ეს ხიდი XVII საუკუნეზე ადრინდელი არ უნდა იყოს. ასე აშენებდნენ ჩვენში როსტომ მეფის დროს (იხ. ნახ. 1).

ბართოლომეს, თავისი მოგზაურობის დროს 1853 წ., მაშავერზე, ლუქსემბურგიდან (კატარინენფელდიდან) 6 ვერსის დაშორებით ქვევითკენ, უნახავს ქვის თაღოვანი ხიდი, რომელსაც სომხური ნარწერა ჰქონია. ბართოლომეს მხოლოდ რამდენიმე ასოს გარჩევა მოუხერხებია, რომლებიც ბროსემ წაიკითხა, როგორც თარიღი: „ԹՎԻՌՃ"... (ერთეული

ყოველ შემთხვევაში, სადღაც ბოლნისის აღმოსავლეთით უნდა ვეძიოთ, მეორე მხრით კი „სომხითს" ასე განსაზღვრავს: „დებედიდამ ბოლნისის დასავლის მცირე მთამდე და ქციის მდინარიდამ ლელვარ-ლოქის მთამდეო" (იქვე, გვ. 46), და დმანისის ხეობის აღმოსავლეთ მიჯნადაც დასახული აქვს „მცირე მთა ბოლნისისა" (იქვე, გვ. 48), რომელიც აგრეთვე, მაშასადამე, ბოლნისის დასავლეთით უნდა გვეგულებოდეს. ამიტომ მე მგონია, რომ ჩვენ უნდა გავარჩიოთ „ბოლნისის აღმოსავლის მცირე მთა" და „ბოლნისის დასავლის მცირე მთა".

[1] ჩათახი 7-8 კმ-ითაა დაშორებული ბოლნისს ზევითკენ.

[2] თანახმად რუს. გენ. შტაბის 5-ვერსიანი რუკისა: „Волчьи ворота", რაც ამ უღელტეხილის ადგილობრივი სახელის თარგმანი უნდა იყოს.

სურ. 1. ხიდი მაშავერზე, სოფ. გოჩულუსთან.



ნახ. 1. გოჩულუს ხიდის ფასადი და გეგმა.

აკლია), რაც ჩვ. წელთაღრიცხვით 1651-ს უდრის.[1] გოჩულუს ხიდზე ასეთი წარწერა არ შემიმჩნევია. შესაძლებელია ასე ეწეროს გიდკლის ხიდზე: ყოველ შემთხვევაში, თუ ეს თარიღი სწორადაა ამოკითხული და ხიდს ეკუთვნის, იგი ადასტურებს გოჩულუს ხიდის ნაგებობის მიხედვით განსაზღვრულ თარიღს.

როგორც აღვნიშნე, ადგილობრივთა თქმით, გიდკლი გოჩულუს ხიდში არ განსხვავდება. მაგრამ ვახუშტი აი რას წერს: „სატრედოს, მაშავერზედ, შენი არს ჴიდი ქვიტკირისა, ზ თვალი, წყალდიდობისათვის" (გეოგრ., გვ. 50). „სატრედოს" თავის რუკაზე ვახუშტი უჩვენებს ფოლადაურის შესართავს ზემოთ და რატევნის ქვემოთ, წყნეთსა და ყორანთას შორის, და აქ ხიდიცა აქვს აღნიშნული. წყნეთი ჯერ კიდევ რუს. გენ. შტაბის 5-ვერსიან რუკაზეა აღნიშნული მაშავრის მარცხენა ნაპირას, მართალია, ფოლადაურის შესართავს ქვემოთ.მაგრამ დღეს აღარც წყნეთი, არც ყორანთა და არც სატრედო ადგილობრივ აღარავის ახსოვს, ყოველ შემთხვევაში, რამდენადაც შემეძლო გამომერკვია გოჩულუში, ჯაფარლუში და ლუქსემბურგში მოსახლე თათრებისა და გერმანელების გამოკითხვით. და, როგორც დაბეჯითებით დამარწმუნეს, არც ასეთი თვალედი

[1] იხ. Mél. Asiat. II. 305.

სურ. 2. „იდ-კერპა“ ფოლადაურზე.

ხიდი არსებობს იქ ეხლა ახლო-მახლო. ადვილი შესაძლებელია, რომ ეს ბურჯებიანი ხიდი უფრო ძველი იყო, ვიდრე დღემდე შენახული თაღოვანი ხიდები, რომელთა აღნუსხვა ვახუშტის საჭიროდ არ მიუჩნევია.

გადახვალთ თუ არა გოჩულუს ხიდით მაშავრის მარჯვენა ნაპირზე და შეუდგებით ფოლადაურის ხეობას, იქვე დიდი ციხე დაგხვდებათ, რომელიც ბოლნისისაკენ მიმავალ გზას იცავდა. იგი გოჩულუს სამხრეთით დგას კლდეზე, რამდენიმე სართულისაგან შესდგება და სიდიდით არ ჩამოუვარდება ქვეშის ციხეს. მისი კედლებიც საშუალო ზომისა და პატარა გვერდებჩამოტეხილი ქვიტკირიანი ქვითაა ნაშენი, გარე და შიდა პირის წყობა ფენებრივია, ხოლო შუაში ბუტითაა ამოყვანილი (კედლების სისქე საშუალოდ 1,20 მ-ს უდრის). ამ ციხის ნამდვილი სახელი აღარავის ახსოვს და არც ვახუშტი იხსენიებს მას. ადგილობრივნი მას „ქორ-ოღლის“ ეძახიან. ასეთი „ქორ-ოღლი“ ბევრია ბოლნისის ზემოთაც, ფოლადაურის მარჯვენა და მარცხენა ნაპირების გასწვრივ. ერთი ციხე, აგრეთვე მაღალ კლდეზე ნაგები, ჩათახს დასცქერის აღმოსავლეთიდან. 5-ვერსიან რუკაზე იგი „შაითან-ყალად“ იწოდება. ვახუშტის აღწერის მიხედვით ცხადია, რომ ეს არის ძველი ბერდიკი.[1] ზემოთ კიდევ ორი ძველი ხიდი მოიპოვება ფოლადაურზე. ერთი – ჩათახიდან 10-ოდე კმ-ის მანძილზე, იქ საცა 5-ვერსიან რუკაზე გზა მდინარეს გადასჭრის – წარმოადგენს ქვიტკირით ნაგებ ლამაზ ნახევარფარგლოვან თაღს და, ნაგებობის მიხედვით, იგი უფრო ძველი უნდა იყოს; მას „იდ-კერპის“ ე. ი. „ძაღლის ხიდს“ ეძახიან; მეორე კი ახ-კერპიშია, რომლის სახელი თურქულად „თეთრ ხიდსა“ ნიშნავს. ეს უკანასკნელი გოჩულუს ხიდის მსგავსია, თუმცა უფრო დაუდევრადაა ნაგები და კიდევაც უფრო გვიან უნდა იყოს აშენებული. ნახაზები და სურათები გვიჩვენებს ამ ორივე ხიდის მოყვანილობასა და ზომებს (იხ. სურ. 2, 3 და ნახ. 2, 3).

[1] გეოგრ., გვ. 45. სახელდობრ, ვახუშტი ამბობს: ბოლნისს „ზევით ციხე ბერდიკისა, მაღალს კლდესა ზედა, ფრიად მაგარი. აქ ერთვის დასავლეთიდამ ჭევი ფოლადაურს, რომელი გამოსდის ლოქის მთას“. სწორედ ასეთია ჩათახის მდებარეობა. თვით ჩათახი, ალბათ, ძველი ბერდიკის ნასახლარზეა გაშენებული. „ბოლნისის ჭევს სოფელი ბერდიკი“ როსტომ მეფეს 1658 წ. მიუცია თუმანიშვილებისათვის (იხ. საქ. სიძვ. II, გვ. 130). გარდა ამისა, 1721 წლ. ხალხის აღწერის დავთარშიც აღნუსხულნი არიან ბერდიკის მოსახლენი, უმეტეს წილად სომხები (გვ. 260-262).



ნახ. 2. „იდ-კერპის" ფასადი და გეგმა.

ახ-კერპის სულ 3-ოდე კმ-ითაა დაშორებული ძველი ჰუჯაბის ანუ ხუჯაბის მონასტერი, რომელსაც ვახუშტიც იხსენიებს (გეოგრ., გვ. 45), და თვით სოფელიც, ალბათ, ხუჯაბის ნასახლარზეა გაშენებული.[1]

ზოგიერთი ისტორიული ცნობებიც გვიდასტურებს, რომ ბოლნისის ხეობა ძველად სამიმოსვლო გზას წარმოადგენდა. ასე ჟამთააღმწერელი გადმოგვცემს, რომ 1230 წლის ახლოს, ტფილისზე ლაშქრობის დროს, ჯალალედინი „დაბანაკებულ იყო სომხითს, ‍ᲤᲔᲕᲡᲐ ᲑᲝᲚᲜᲘᲡᲘᲡᲐᲡᲐ" (ქ‍ცა, ‍ᲭᲘᲭ. გვ. 521). ხოლო 1619 წლის ერთს ორბელიანთა საბუთში ვკითხულობთ: „ბოლნისზე თუ თრიალეთზე ამ ჩვენს მამულში რაც ქარავანი გაივლის, ბაჟი სულ ჩვენიაო".[2] ამგვარად, ბოლნისში ერთ დროს ქარავნები დადიოდა და საბაჟოც არსებობდა. ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რომ XVII ს-ის დამლევს ბოლნისის სიონისათვის ბოლნელს ნიკოლოზს ქარვასლა და დუქნებიც აუგია. 1747 წ. თეიმურაზ II სპარსეთში წავიდა ბოლნისის ხეობით: სამშვილდიდან ის ბოლნისში მისულა და იქიდან გადასულა ლორეში.[3]

სურ. 3. ახკერპის ხიდი.

---

1 „ხუჯაბი" იხსენიება კიდევ ვახტანგ VI-ის დასტურლამალში (გვ. 87) და 1721 წლ. ხალხის აღწერის დავთარში (გვ. 144, 246-247), სადაც „ხუჯაბს" გარდა „ზემოხუჯაბიც" იხსენიება. ხალხის აღწერის დავთრით, მოსახლეობა აქ XVIII ს-ის დამდეგს მთლიანად სომხურია.

2 ქრონიკ. II, 443.

3 ‍ᲞᲐᲞ. ᲝᲠᲑ., გვ. 131.

და მაინც ეკონომიკის ძირითადი დარგი აქ ძველადაც ყოველთვის უნდა ყოფილიყო არა საგარეო ვაჭრობა და მრეწველობა, არამედ სოფლის მეურნეობა. ამაზე დასარწმუნებლად საკმარისია ვახუშტის აღწერილობა გადავიკითხოთ, რომელიც ამბობს, რომ ეს მხარე „არს შემკობილი ყოვლითა: ვენახნი და ხილნი მრავალნი..., თესლნი ყოველნი..., არვენი, კოლტნი ღორთა, ჯოგნი მრავალნი, ღვინო მრავალი, მთათა ნადირნი ურიცხვი და ფრინველნი... უთვალავნი..., ტყენი ბევრნი...", (გეოგრ., გვ. 46). ვახუშტი, რომელიც ერთხანს სომხით-საბარათიანოს განმგებელი იყო და რომელმაც მოწინავე სადროშოს სტატისტიკურ აღწერაში მიიღო მონაწილეობა 1721 წ., კარგად იცნობდა ამ მხარეს და სხვა საბუთებიც დაგვიდასტურებენ მის ცნობებს. ერთად ერთი, რაც ბოლნისს აკლია, ეს არის კარგი წყაროები. წყალი ბევრია, მაგრამ სასმელად არ ვარგა და სასმელი წყალი კარგა სიშორეზეა მოსატანი.

II

დღეს ბოლნისი ორია. ერთი ბოლნისის სიონს ზემოთ მდებარეობს, დაახლ. 1 კმ-ის დაშორებით. ამ სოფელს, რომელშიც 367 კომლი (1615 სული) სომეხი სახლობს (1933 წლ. ცნობით), „ბოლნის-ხაჩინს" ეძახიან. ეს სომხები მოსულან აქ, როგორც თვითვე გადმომცეს, 1779 წ. ყარაბაღიდან, სადაც იმ დროს შიმშილობა ყოფილაო. ომან მდივანბეგ ხერხეულიძე მოგვითხრობს, რომ 1780 წ. ყაზახის და შამშადილოს ელთაგან შეწუხებულმა ყარაბაღის მელიქებმა ირაკლი II-ს სთხოვეს, ჩვენი საყმო აჰყარეო (ომ. ხერხ., გვ. 275). ამიტომ შესაძლებელია, რომ გადმოსახლების ის თარიღი, რომელსაც ხაჩინელები უჩვენებენ, სინამდვილეს შეეფერებოდეს. ბოლნისში ყარაბაღელებს ვითომც არავინ დაჰხვედრიათ, გარდა ქაფანაქჩელი თათრებისა, რომლებიც იქ 30 წლით უფრო ადრე მისულან. თავისი სოფლისათვის ყარაბაღელებს „ხაჩინი" უწოდებიათ, რადგან მათს სამშობლო სოფელსაც ყარაბაღში ასე ჰრქმევია. ხაჩინს მაშინ ბატონიც არა ჰყოლია, მერმე კი ეს სოფელი ვიღაც ფერჩანგოვისა გამხდარა. ბოლნისის ძველ (XVII-XVIII სს.) საბუთებში ის გვარები, რომლებიც ეხლა ხაჩინში სახლობენ (აღაიანები, მანუჩაროვები, ხუბლაროვები, მელიქსაფაროვები, მიქელოვები, აირაპეტოვები, ბურთუნქები,



ნახ. 3. „ახკერპის" ფასადი და გეგმა.



სურ. 4. ბოლნისის სიონი და „აღალარები" საერთო ასახულობა.

არზუმანოვები, ბაღდასაროვი, ავეტისოვი და სხვ.), არა გვხვდება, გარდა შანშიევებისა, რომლებიც კოდიდან მოსულან ხაჩინში. ქართველები, მორთულაძე და სულხანიშვილი, მემამულენი ყოფილან, რომლებიც ტფილისში ცხოვრობდნენ.[1]

ხაჩინელები მხნე, გამრჯელი და კულტურული ხალხია. მაგათი წრიდან ბევრი განათლებული მოღვაწე გამოსულა. მაგრამ ზოგს მათგანს ბევრიც დაუშავებია ძველი ბოლნისის ნანგრევებისა და განსაკუთრებით ბოლნისის სიონისათვის: თლილ ქვებს ეზიდებოდნენ ტაძრიდან, ძველ წარწერებს და ჩუქურთმებს ჰშლიდნენ და ახალს უკეთებდნენ და სხვ.

მეორე ბოლნისი სიონს ქვემოთაა, 3-ოდე კმ-ის მანძილზე. მას „ბოლნის-ქაფანაქჩის" ეძახიან. ეს სოფელი ბევრად უფრო დიდია ხაჩინზე და თურქებითაა დასახლებული,[2] რომლებიც, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, XVIII ს-ის შუახანებში მოსულან აქ. გარდა ამისა, თვით სიონის გვერდით ე. წ. „აღალარებია", სადაც რამდენიმე კომლი თათრის ყოფ. აღები სახლობენ, გვარად ჰაჯალოვები (სურ. 4).

ქაფანაქჩის ცოტა ქვემოთ, მაგრამ ფოლადაურის მარჯვენა ნაპირას, ხატის-სოფელია (ეხლა წითელისოფელი). აქ ქვეშიდან, აკაურთიდან და ტანძიიდან მოსული 82 კომლი (417 სული) ჯავახელები სახლობენ (1933 წლის ცნობით). ესენი აქ მხოლოდ ამ 70-80 წლის წინათ მოსულან. აქ სცოდნიათ ბოლნისის გიორგობა, ნოემბრის 10-ს ძვ. სტილით. ცნობილია ხატის-სოფლის ეკლესიის წარწერა, რომელიც ვახტანგ V-ის მეფობაშია დაწერილი (1658-1675), მაგრამ 1634 წლ. ამბავს მოგვითხრობს (Mél. Asiat. II, 335 და ე. თაყაიშვილის „სომხით-საორბელის ძეგლების წარწერები, პ. 1929, გვ. 98). ხატის-სოფელი იმ დროს თურმან თურმანიძისა ყოფილა, სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ მას ეს სოფელი აოხრებული დაჰხვედრია, ხელახლა აუშენებია და გაუთარხნე-

[1] ეს ცნობები გადმომცა 78 წლის მოხუცმა, გრიქურ აღაიანმა.

[2] 1933 წლ. ცნობით აქ იყო 486 კომლი (2571 სული) მოსახლე.



სურ. 5. ბოლნის-ხაჩინის ეკლესია სამხრ.-აღმოსავლეთიდან.

ბია კიდეც.[1] სიონის პირდაპირ, აგრეთვე ფოლადაურის მარჯვენა ნაპირას, მდებარეობს წულრულაშენის ტაძარი. ამ ადგილს XIII-XIV ს-ში, როგორც ტაძრის წარწერიდანა ჩანს, გუნბადი (გონბადი) ჰრქმევია (Mél. Asiat. II, 320-321 და ე. თაყაიშვილი, ნახს. ადგ., გვ. 99-100). წულრულაშენი ჩატანილია 1721 წლ. ხალხის აღწერის დავთარშიც (ნ. გვ. 251-252). აქ „წულრულაშენის" გვერდით „ახალი წულრულაშენიც" იხსენიება. მოსახლეობა იმ დროს იქ მთლიანად სომხური ყოფილა. დღეს წულრულაშენში აღარავინ სახლობს, მხოლოდ აქა-იქ ნასოფლარის კვალი ჩანს.

ბოლნისის ხევის მოსახლეობა ეხლა მეტად ნარევია. სამწევრისში, მაგ., ბოლნისს ზემოთ, თათრები, ქართველები და სომხები ცხოვრობენ, ჩათახში ამათ გვერდით ბერძნებიც არიან. ასეა სხვაგანაც. ძველად კი, XVII-XVIII ს-ებში. აქ დიდზე დიდი უმრავლესობა სომხობა იყო, ხოლო მამულები უმეტეს წილად ქართველ თავადიშვილებსა და აზნაურებს ეჭირათ. ასეა 1721 წლ. ხალხის აღწერის დავთრის მიხედვით (ნ. მაგ., სამწევრისის შესახებ გვ. 247-249, 271), ასე ამბობს ვახუშტიც: „ამ ადგილთა შინა მოსახლენი არიან სარწმუნოებით სომეხნი და მცირედად ქართლის სარწმუნოებისა, არამედ ქცევა-ზნითა ქართულითაო" (გეოგრ., გვ. 46), და ასეთსავე ცნობებს შეიცავენ XVII-XVIII ს-ების ნასყიდობის წიგნები, როგორც ამაზე ქვემოთ დავრწმუნდებით.

[1] სხვაგან ძველ საბუთებში „ხატის სოფელი" არსად არ შემხვედრია. მხოლოდ ვახუშტი მოგვითხრობს თავის ისტორიაში 1583 წლის ქვეშ, რომ ხონთქარმა სვიმონ მეფის წინააღმდეგ „წარმოავლინა სპანი დიდნი, მოვიდნენ და მოადგნენ ლორეს, აიღეს იგი. მერმე შთამოვიდნენ და დაადგნენ ხატის-სოფელსაო" (იხ. ვახუშტის ისტორია, ჭიჭ. გამ., გვ. 41). შესაძლებელია, აქ ბოლნისის ხატის-სოფელი იგულისხმებოდეს.

ძველადაც ბოლნისი რამდენიმე ყოფილა. 1674 წლ. ერთს ნასყიდობის წიგნში მოწმეებად დასახელებულნი არიან „სრულა ერთობილნი სამივ ბოლნელნი" (საქ. სიძვ. II, 257); 1717 წლის ქვეშ ვახუშტი წერს: ლეკებმა „მოსტყვევნნეს ბოლნისნიო" (ვახუშტის ისტორია, ჭიჭ. გამ., გვ. 122). ხოლო „ქორონიკონებში", იმავე წლის ქვეშ, ის იმეორებს: „ივლისში ლეკთ ბოლნისები მოარბიესო". საინტერესოა, რომ „ქორონიკონების" სომხურ თარგმანში ეს ადგილი ასე ყოფილა გადმოცემული: „ლეკებმა დაარბიეს ოთხი სოფელი ბოლნისისაო" (Histoire de G. II: I, გვ. 401, შენ. 4: „Attaquent les quatre villages de Bolnis"). სეხნია ჩხეიძეც მრავლობითში წერს: 1730 წ. ჭარელებმა „ააოხრეს ბოლნისებიო" (ს. ჩხ., გვ. 41) და პაპუნა ორბელიანიც „ბოლნისის" გვერდით ხშირად ამბობს: „ბოლნისებიო" (პაპ. ორბ., გვ. 76, 157, 162, 178). ამგვარად, ბოლნისი სამი, ან კიდევაც ოთხი ყოფილა. მართლაც, XVII-XVIII ს-ის საბუთებში, 1721 წლ. ხალხის აღწერის დავთარში და დასტურ-ლამალშიც იხსენიება „ზემო-ბოლნისი", „შუა-ბოლნისი" და „ქვემო-ბოლნისი".

ძნელია იმის თქმა, თუ ამ სამ ბოლნისში, რომელი ნიშანდობლივ სად მდებარეობდა. რომელი უდრის, მაგ., აწინდელ ხაჩინს? ხაჩინი რომ ძველი ნასახლარია, ეს იქიდანა ჩანს, რომ ამ სოფელში დღემდე არის შენახული ზოგიერთი ძველი ნაშთი. აქ ზევით-კენ გორის ძირას დგას მცირე ერთნავიანი ეკლესია, ნაგები ნაგლეჯი ქვით. სამხრეთი-დან მას მიშენებული აქვს სამრეკლო, რომლის ძირა სართული ასევეა ნაგები, ხოლო მაღლა სართულს თლილი ქვის წახნაგოვანი სვეტები აქვს და გადახურულია აგურის ექვსწახნაგა პირამიდალური სახურავით (იხ. სურ. 5). ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადში სარკმლის ზემოდან ჩასმულია ჯვრიანი ქვა სომხური მთავრული ორსტრიქონიანი ამო-კოდვილი წარწერით:

1. Շինեցաւ ծեռամբըն (sic)
2. Ն՝դայ:[1] Թ՝ո:·[2]

ე. ი.: „აშენდა ხელითა (სახელი), წელსა 1000" ანუ, ჩვენი წელთაღრიცხვით, 1551 წელს.[3]

ეკლესიის გარშემო სასაფლაოა, რომელზედაც მეტად თუ ნაკლებად ძველი საფლა-ვის ქვებიც მოიპოვება, მათ შორის ერთი შეკაზმულ ცხენს წარმოადგენს.[4]

ერთი პატარა ნანგრევი ხაჩინში ქვემოთ გზის პირადაც არის.

ბართოლომეს ბოლნისში, სურფ-გეურქის ეკლესიის ახლოს,[5] უნახავს სომხური ხაჩ-ქარები, რომელთაგან ორი დათარიღებული ყოფილა XVII ს-ით (1637 წ. და 1651 წ.), ერთი კი ვითომ XIV ს-ისა ყოფილიყოს (1321 წ.).[6]

---

[1] აქ მონოგრამაა, რომელიც სხვანაირადაც შეიძლება გაიხსნას, მაგ., როგორც „Նադ" ან „Անդ"; მაინც რა სახელი იმალება ამ ქარაგმის ქვეშ, გაუგებარია.

[2] ეს ორი ასო ერთმანეთზე დაკავშირებულია შუაზე გარდიგარდმო გატარებული ფრჩხილის მსგავსი ნიშნით, რომელიც შეიძლება მესამე ასოდ წავიკითხოთ. სხვაზე უფრო იგი შეიძლება „ბ" იყოს; მაშინ თარიღად 1050 წელს (=1601 წ.) მივიღებდით.

[3] ამ წარწერის ამოკითხვასა და თარგმანში თავაზიანად დამეხმარა პროფ. ლ. მელიქსეთბეგი, რისთვისაც პატივცემულ მკვლევარს დიდად ვმადლობ.

[4] ამ ქანდაკებას თავი მოტეხილი აქვს, ცალკე გდია. სასაფლაოს ხაჩინელები ეხლაც ხმარობენ.

[5] ბართოლომე გაურკვევლადა წერს: „prés de l'église arménienne de S.-George, à Bolnis". ხაჩინი უნდა იგულისხმებოდეს. ეხლა იქ ხაჩქარები აღარაა.

[6] Mél. Asiat. II, გვ. 335-336. წარწერები ბროსეს წაკითხულია ბართოლომეს ჩანახატების მიხედვით. სურათები ბროსეს არ მოჰყავს. შესაძლებელია ის შესცდა უკანასკნელი თარიღის წაკითხვაში: თუ ხაჩქარზე „ՉՆ"-ს ნაცვლად, როგორც ბროსე კითხულობს, „ՉՆ?" ეწერა,

სურ. 6. ბოლნისის ნაქალაქარის მთავარი ტაძარი. მარცხნით გორაზე ჩანს პატარა საჟამნოს ნანგრევი.

ხაჩინელებს რომ ჰკითხოთ, ნამდვილი ბოლნისი მხოლოდ ხაჩინიაო, ქაფანაქჩის ისინი არ სთვლიან ბოლნისად. უფრო საფიქრებელია, რომ აქ ზემო-ბოლნისი უნდა ვეძიოთ.

სრულებით გაურკვეველია აგრეთვე, რომელი ბოლნისი იგულისხმება, როდესაც საბუთებში მოკლედ მარტო „ბოლნისი" სწერია. ერთი 1693 ნასყიდობის წიგნის[1] მიხედვით შეიძლება გვეფიქრა, რომ ასეთ შემთხვევაში შუაბოლნისი უნდა ვიგულვოთ: აქ ვენახი იყიდება შუაბოლნისს; მოწმენი არიან, სხვათა შორის, „ბოლნისის მამასახლისი ნოდარა", „ქვემო-ბოლნისის მამასახლისი პაპუა" და „ზემო-ბოლნისის მამასახლისი და მოურავი დუშია". ცხადია რომ აქ „ბოლნისი" = შუაბოლნისს. მაგრამ 1712 წლის ნასყიდობის წიგნში (საქ. სიძვ. II, 243-244), „ბოლნისის მამასახლისის ლუას" გვერდით იხსენიება „შუაბოლნისის მამასახლისი ზეგულაშვილი ბეჟუა". ისე, რომ აქ „ბოლნისი" ან ზემო- ან ქვემო-ბოლნისი უნდა იყოს. როდესაც ვახუშტი თავის გეოგრაფიაში წერს: ფოლადაურზე „არს მცირე ქალაქი ბოლნისი. მას ზემორ ეკლესია დიდი, უგუმბათო,

---

რაც ადვილი წარმოსადგენია (ბართოლობეს ადვილად შეეძლო „Ჲ" მის მსგავს „Ჲ"-დ მიეღო ან კიდევ გადმოხატვისას „ Ყ" „Ყ"-დ გადაემახინჯებინა), მაშინ მივიღებთ ჩვ.წ. 1521 წელს, რაც უფრო მოსალოდნელი და უფრო დასაშვებია, ვინაიდან, რამდენადაც ჯერჯერობით ჩანს, XVI საუკუნეზე ადრინდელი არც ერთი სომხური ძეგლი არ მოიპოვება მთელს ბოლნისის ხეობაში, ამიტომ ეს XIV საუკუნის ხაჩქარი საეჭვოდ უნდა მივიჩნიოთ.

[1] საქ. სიძვ. II, 251-253. ეს საბუთი ე. თაყაიშვილს 1620 წლითა აქვს დათარიღებული. მაგრამ ეს შეუძლებელია, რადგან ყაფლანიშვილები გიორგი პაპუა, გორჯასპი და ზურაბ XVII საუკუნის მეორე ნახევარში და მის დამლევს ცხოვრობდნენ (იხ. იქვე, გვ. 255-257). 1674 ნ. (დასახ. ადგ.) გიორგი ყაფლანიშვილი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ჩვენს საბუთში კი იგი უკვე განსვენებულადაა საგულისხმებელი. ზურაბი ცოცხალია ჯერ კიდევ 1712 ნ. (იქვე, გვ. 243). ამიტომ ქორონიკონი „ტპ", რომელიც თაყაიშვილს შეცდომით მიაჩნია და ამიტომ „ტᲩ"-ს კითხულობს. უნდა ავხსნათ როგორც: „ტპა", სადაც „ა" ზემოდანაა მიწერილი „პ"-ზე, რის გამოც იგი „Ჩ"-ს დამსგავსებია. ხოლო ქორონიკონი „ტპა"=1693 ნ.

ბოლნისისაო“ (გვ. 14). მართალია, გადაუწყვეტელი რჩება – შუაბოლნისს შეეხება ეს თუ ქვემო-ბოლნისს (ზემო-ბოლნისი გამორიცხულია, რადგან ის, როგორც აღვნიშნე ნანაგრევების მიხედვით, სიონს ზემოთ დღევანდელ ხაჩინს უნდა დავუკავშიროთ). მაგრამ ამ „მცირე ქალაქის“ მდებარეობის გამორკვევა ნაშთების მიხედვით მაინც შეიძლება.

ბოლნისის სიონს ქვემოთ, სოფ. ქაფანაქჩის სისწვრივ დასავლეთისაკენ, რამდენიმე ეკლესიის ნანგრევი ჩანს. სახელდობრ, გზის პირას, მთის ძირში, 5 ეკლესიაა, მაღლა გორაზე კი კიდევ ერთი პატარა ნანგრევია. ძირა ეკლესიათაგან ერთი საშუალო ზომის, ჩინებულად ნაგებ „სამეკლესიან ბაზილიკას“ წარმოადგენს (იხ. სურ. 6), დანარჩენები კი უფრო მცირე და მდარე ერთნავიანი შენობებია.[1] გარშემო ფართო ძველი სასაფლაოა (საფლავის ქვათა შორის აღსანიშნავია ერთი თავმომტვრეული ვერძი) და მრავალი ნაშთი ქვის შენობებისა (მეტწილად მხოლოდ საძირკვლები). შენობები სწორ რიგებად ყოფილა ჩამწკრივებული, ისე რომ მათ შორის დღესაც განირჩევა შუკები. ამ ნანგრევთა მთელი არე სასაფლაო-ეკლესიებითურთ 4-5 ჰექტარის სივრცეს მოიცავს. სრულებით ცხადია, რომ ეს ძველი ნაქალაქარია, ეკლესიებიც და სასაფლაოც ქალაქისა ყოფილა. სწორედ აქ უნდა მდგარიყო, ჯერ კიდევ ვახუშტის დროს, „მცირე ქალაქი ბოლნისი“. ამ ადგილის სახელი დღეს აღარავის ახსოვს.

უკეთუ მეოთხე ბოლნისიც არსებობდა, როგორც ეს ვახუშტის ქორონიკონების სომხური თარგმანის მიხედვით გამოდის, იგი შეიძლება ხატის-სოფელს ჰგულისხმობდეს, სადაც, როგორც აღინიშნა, ბოლნისის გიორგობა სცოდნიათ.

III

ბოლნისს, თავისი ბუნებრივი პირობების გამო, ადრე უნდა მიეზიდა მოსახლეობა. მართლაც, ბოლნისის ეკლესია ერთი პირველთაგანი აშენდა, V ს-ში.[2] ამავ საუკუნის მეორე ნახევარში, ვახტანგ გორგასლის დროს, აქ საეპისკოპოსო კათედრაც დაწესდა.[3] ამ დროს არის აშენებული, როგორც ეხლა უდავოდ გამოირკვა, ეს დიდი ტაძარი, რომელიც დღემდე არის შემონახული.

როგორც ცნობილია, ქრისტიანული მშენებლობა პირველ რიგში წარმოებდა იქ, საცა უკვე მანამდე არსებობდა წარმართული საკულტო ცენტრები. ბოლნისზედაც უნდა ვიფიქროთ, რომ იგი, როგორც სამოსახლო და საკულტო ცენტრი, V ს-ზე გაცილებით უფრო ადრე არსებობდა. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოება: თუ ბოლნისის მთავარი ტაძარი, ე. წ. სიონი, იმ სახით, როგორც მან ჩვენამდის მოაღწია, V ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება, მაშინ ბოლნისის ზემოხსენებული ნაქალაქარიც დაახლოებით ასე უნდა დათარიღდეს, რადგან მისი მთავარი ეკლესია (იხ. სურ. 6), როგორც მასალის, ისე სტილისა და შემკულობის მხრით სიონის ნაგებობას ენათესავება: იგიც შემოსილია მოლურჯო ფერის ფილაქნებით, მისი თაღებიც ძველი ნალისებრი მოყვანილობისაა და მის კედლებსაც აქა-იქ ბოლნისისათვის დამახასიათებელი სწორ-

---

[1] ერთს ამ მცირე ეკლესიათაგანს ახალი დროის სომხური წარწერები აქვს.

[2] ეგებ, უფრო ზუსტად, ამ ს-ის დასაწყისში. „მოქცევაჲ ქართლისაჲთ“ იგი აღაშენა ელია მთავარეპისკოპოსმა ბაკურის დროს (Е. Такаёшвили. Описание рукописей...,Сборн. Матер. для Опис. Местн. и Плем. Кавк. в. 41., стр. 16), ხოლო ლეონტი მროველით – ფარსმან IV-მ სუიმონის მთავარეპისკოპოსობის დროს (ე. თაყაიშვილის გამოც. მარიამ დედოფლ. ქ-ცა, გვ. 116. შდ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, ტფ. 1926, გვ. 159).

[3] ჯუანშერით (მარიამ დედოფლ. ქ-ცა, გვ. 179).

სურ. 7. ბოლნისის სიონი. საერთო ასახულობა ჩრდ.-აღმოსავლეთიდან.

მკლავიანი და ფართო კიდეებიანი ჯვრები ამკობს.[1] ასეთი ჯვარი იმდენად ტიპიურია ბოლნისის სიონისათვის, რომ მას შეიძლება „ბოლნისური" ვუწოდოთ.

ბოლნისის სიონი (სურ. 7) სამნავიან ბაზილიკას წარმოადგენს. ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან მას სტოები ჰქონდა. მისი კედლები თავდაპირველად მთლიანად ქვისა ყოფილა, შემოსილი ლამაზი მოლურჯო თირის დიდი ფილაქნებით, ხოლო აქა-იქ ჩასმული იყო მოყვითანო ქანის თლილი ქვები. მოლურჯო თირი, ადგილობრივთა თქმით, აკაურთაში იპოება (ქვეშის ახლოს), ხოლო მოყვითანო თირი ცნობილია „ბოლნისის ქვის" სახელწოდებით და იქვე ბოლნისში, სახელდობრ, ხატის-სოფლის ახლოს იჭრება. ტაძრის ზემო ნაწილი სახურავითურთ მერმინდელი შეკეთებულია ან, უკეთ, თითქმის სულ ახლადაა დადგმული უფრო წვრილი ქვითა და აგურით (სურ. 7 და 8). ძველი შენობისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ნალისებური თაღები, შეკეთებისას კი ზოგიერთი თაღებიც გამოუცვლიათ და ისრულად გამოუყვანიათ.[2] აქა-იქ ტაძრის კედლებში ნახეთქებია, რომლებიც აშკარად მიწისძვრის შედეგს წარმოადგენს.

სიდიადე შეერთებული სისადავესთან, ცოტათი მძიმე და მოუხეშავი, მაგრამ მტკიცე, ურყევი ფორმები, თავშეკავებული შემკულობა, ზომიერი, შეიძლება ითქვას, ძუნწი ჩუქურთმა, არც ერთი ნაკვთი გასართობად, მხოლოდ თვალის გასახარებლად – აი რა ახასიათებს ბოლნისის სიონს. თუმცა თავდაპირველი შენობა მერმინდელი არა ერთგზისი გადაკეთებით ძლიერაა დამახინჯებული, იგი მაინც წარუხოცელ შთაბეჭდილებას სტოვებს. იშვიათად თუ მოიპოება ჩვენში ასეთი დუმილით მეტყველი ძეგლი: მხოლოდ ღრმა და წრფელი სულიერი განცდით, სერიოზული, უყოყმანო, ჯერ კიდევ

[1] ამ ტაძრის აღწერა იხ. პროფ. გ. ჩუბინაშვილის „ქართ. ხელოვბ. ისტორიაში", ტ. I, ტფ. 1936, გვ. 65-67 (შდ. მისივე წერილი „Христианский Восток"-ში т. V, изд. Акад. Наук, Петрогр. 1916). პროფ. ჩუბინაშვილი მას „ბოლნის-ქაფანაქჩის" უწოდებს, „სამეკლესიან ბაზილიკად" მიაჩნია და VI ს-ის შუახანებით ათარიღებს.

[2] რა თქმა უნდა, ამ შენობის ისტორია არც ასეთი მარტივია, მაგრამ ეს ჩვენს საგანს არ შეადგენს. მისი აღწერა იხ. გ. ჩუბინაშვილის დასახ. შრომაში, გვ. 32 შმ.

გულუბრყვილო რწმენით გამსჭვალულ კოლექტივს შეეძლო ასეთი ტაძრის აგება თავისი ღვთაებისათვის და მხილველსაც უნებლიედ იპყრობს ამ მიზანმიმსწრაფი, შერწმენილი ნებისყოფის ძალა.

ბოლნისის სიონმა შემოგვინახა უძველესი ქართული წარწერები.

1. ჩრდილოეთიდან ტაძარს ორი შესავალი ჰქონდა. ორივე ამოქოლვილი დაგვხვდა. ორსავ შესავლის წირთხლის ქვებზე წარწერები იყო მოთავსებული. აღმოსავლეთიდან პირველი კარის წირთხლის ქვა უშველებელ ორთოსტატს წარმოადგენდა, რომლის შუა (უდიდესი) ნაწილი ჩამოტეხილი და დაკარგული ჩნდა. შენახული იყო მხოლოდ თავი და ბოლო, ე. ი. მარცხენა და მარჯვენა ნაწილები ამ ქვისა, რომლებიც დღესაც თავის ადგილზე სხედან. მარცხენა ნაწილის სიგრძე =0,87 მეტრს, მარჯვენა ნაწილისა – 1,09 მეტრს; მათი სიმაღლე 0,67 მეტრია. ამოქოლვილი მანძილი ამ ორ მონატეხს შორის = 1,60 მეტრს. ამგვარად მთელი ორთოსტატი 3,56 მეტრის სიგრძისა ყოფილა. ორთოსტატის ქვემო ნახევრის მთელს სიგრძეზე გამოქანდაკებული იყო ოთხსტრიქონიანი წარწერა, რომელიც მოთავსებული იყო თავთხელად ამოღებულ ჩარჩოში. შემონახულ მარცხენა ნაწილზე ეხლა აღარაფერი განირჩევა გარდა ჩარჩოსი, მარჯვენა ნატეხზე კი რამდენიმე ასო კიდევ ჩანს.

იმთავითვე საფიქრებელი იყო, რომ ამ ქვის დაკარგული ნაწილი უკეთუ იგი მთლად დაღუპული არ იყო, სადმე კარშივე იქნებოდა ჩაშენებული, მაგრამ გარეგნულად მისი კვალი არა ჩნდა, კარის გამოწმენდა კი ჩვენ არ შეგვეძლო, რადგან მაშინ კედელს უნდოდა გამაგრება, რაც ჩვენს ამოცანას არ შეადგენდა. 1937 წელს, კულტურულ ძეგლთა დაცვის კომიტეტის მიერ სარესტავრაციო სამუშაოთა ჩატარების დროს, ეს კარიც გამოიწმინდა და მის ძირში მართლაც აღმოჩნდა საძიებელი ფრაგმენტი, რომელიც ქართული ეპიგრაფიკის უმნიშვნელოვანეს ძეგლად შეიძლება ჩაითვალოს. ამ აღმოჩენის შემდეგ წარწერის ნახევარი, ცოტა მეტი, ხელთა გვაქვს. სამწუხაროდ, ამ ფრაგმენტს გვერდები ჩამოტეხილი აქვს. მისი სიგრძე, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, 1,60 მეტრს უნდა უდრიდეს, ნამდვილად კი 1,50 მეტრს არ აღემატება, სიმაღლე 0,67 მ. უნდა იყოს,



სურ. 8. ბოლნისის სიონი. სამხრეთის ფასადი. აქ კარგად ჩანს ნაგებობის განსხვავება ახლად დადგმულ ზემო ნაწილსა და ძირითად ქვემო ნაწილს შორის.

სურ. 9. ბოლნისის სიონი. აღმოსავლეთის ფასადი. ზევით ახალი აგურის წყობა ჩანს.

ნამდვილად კი 0,51 მეტრია; სისქეც, როგორც მარჯვენა და მარცხენა ნაწილები გვიჩვენებენ, 0,57 მეტრს უნდა უდრიდეს, ნამდვილად კი მხოლოდ 0,45 მეტრია.

შუაზე ამ ქვას ბოლნისური ჯვარი ჰქონია გამოსახული მედალიონში (შენახულია მხოლოდ ქვემო ნაწილი). ჯვრის ქვეშ მშვენივრად ამოღებულ სწორხაზოვან ჩარჩოში მთელს სიგრძეზე მიჰყვება 4-სტრიქონიანი გამოქანდაკებული წარწერა მთავრულით (სურ. 10 და 11):

1. [სახელითა წმიდ]ისა სამებისაჲთა ო---[ლი]სა[1] პერო[ზ მ]ეფ ----
2. – ამის ეკლესიაჲსაჲ და ათხოკთმეტ წლი[ს] ----------

[1] „ო"-ს შემდეგ რაღაც ასოს ქვემო ნაწილი ჩანს: შეიძლება იყოს ან „ო", ან „ა", ან „ც". „ც"-ს კუდი უნდა ჰქონოდა და თუ იგი ჩამოტეხილია, ნაკვალევი მაინც უნდა დარჩენილიყო; „ო" საეჭვოა იმიტომ, რომ ქვემოთ მარჯვნითკენ ასოს ხაზი აშკარად მთავრდება, არაა ჩამოტეხილი; სხვაზედ უფრო ეს ნაშთი „ა"-ნის ფეხსა ჰგავს. „ლ"-ს ნაცვლად (ჩანს მხოლოდ ქვემო ნაწილი) შეიძლება იყოს „ზ". გარდა ამისა: ხარვეზი მე მაქვს დანიშნული სამი ხაზით, მაგრამ შესაძლებელია, რომ აქ არა სამი, არამედ მხოლოდ ორი ასო აკლდეს (ზოგან ასოები ძალიან შორიშორაა დაწერილი და აქაც ეგებ ასე იყო); „ო"-სა და „ლ"-ს (თუ „ზ"-ს) შორის კიდევ ერთი ასოს ნაშთი ჩანს – იგი უნდა იყოს ქვემო ნაწილი სწორბუნიანი ასოსი. უფრო „ე"-ნის, „ი"-ნის, „ვ"-ინის, ან „ჯ"-იესი. პროფ. ა. შანიძის აზრით, ეს ადგილი ასე უნდა აღვადგინოთ: „ო[ც წ]ლისა" და შემდეგ: „პერო[ზ მ]ეფ[ისა] ---", რითაც ჩვენ მივიღებდით ტაძრის აშენების ზუსტ თარიღს: მისი აშენება დაუწყიათ პეროზის მეფობის მე-20 წელს, ე. ი. 478 წ. და რადგან 15 წლის განმავლობაში უშენებიათ, აღმშენებლობა დასრულდა 493 წ. წარწერაც ამ წელს უნდა იყოს გაკეთებული. მე ვფიქრობ, რომ ამ ადგილის აღდგენაში ჯერჯერობით თავის შეკავება უმჯობესია: ვერც პალეოგრაფიულად, ვერც ენობრივად და ვერც შინაარსობრივ პატივცემული მეცნიერის აღდგენის ცდა საკმაოდ ვერ დასაბუთდება, საძიებელ ადგილას სხვაზე უფრო მოსალოდნელია პეროზ მეფის რაიმე ეპითეტი („უძლეველისა" ან რაიმე მაგდაგვარი) და აქ შეიძლება ისეთი ტერმინი იყოს ნახმარი, რომლის შესახებაც ჩვენ არავითარი წარმოდგენა არა გვაქვს, რაც V ს-ისათვის ადვილი დასაშვებია.



სურ. 10. ბოლნისის სიონი. ჩრდილო-შესავლის წარწერა (V ს-ის მეორე ნახევარი).

3. – ნ აქა შინა თაკყანისხცეს (sic) ღ˜ნ შეიწყალენ და ვინა [დ][1]

4. – [ე]პისკოპო[ს]სა ხოკლოცოს იგიცა ღ˜ნ შეიწყალენ

ამავე ქვის კარის წირთხლში დაცული ნაწილებისაგან მარცხენას, როგორც აღვნიშნე, წარწერისა აღარა ეტყობა რა, მარჯვენაზე კი განირჩევა:

1. ---------აო? ა? ხპ?
2. –ა----ი--ა--ე?
3. --კლ----------
4. --ნ

მშვენივრად გამოქანდაკებულს, მსხვილსა და დაბალტანიან ასოებში გამოირჩევა: თავშეკრული „ბ“ და „ყ“, შეკრული „კ“, ერთხელ შეკრული (სტრ. 3: „შეიწყალენ“) და ორჯერ გახსნილი (სტრ. 3: „შინა“, სტრ. 4: „შეიწყალენ“) „შ“-ინი და უყელო „დ“-ონი.

დაქარაგმებულია მხოლოდ სიტყვა „ღმერთი“ (სტრ. 3 და 4: „ღ˜ნ“); ქარაგმის ნიშანი მარტივი ხაზია.

მართლწერისათვის საინტერესოა „კ“-იეს ხმარება „ვ“-ინის ნაცვლად სიტყვაში „თაკყანისხცეს“ (სტრ. 3), რაც, როგორც ცნობილია, მეორდება დავით ეპისკოპოსის წარწერაში.

როგორც მოსალოდნელი იყო, ეს წარწერაც ხანმეტი აღმოჩნდა (სტრ. 3: „თაკყანისხცეს“ და სტრ. 4: „ხოკლოცოს“).

ყველაზედ უფრო მნიშვნელოვანია, რა თქმა უნდა, ამ წარწერის შინაარსი: იგი მტკიცედ და უდავოდ ათარიღებს ბოლნისის სიონის აშენებას V ს-ის მეორე ნახევრით. მე მგონი, სხვანაირად არ შეიძლება ამ ფრაგმენტის გაგება, თუ არა ისე, რომ ტაძარი აშენდა სპარსთა მეფის პეროზის დროს (458-484) და რომ მის აშენებას 15 წელიწადი მოანდომეს. მაგრამ წარწერის შინაარსთან დაკავშირებით იბადება მთელი რიგი საკითხები, რომლებსაც სპეციალური განხილვა სჭირდება და აქ აღარ გამოვუდგები: ასე, მაგ., უცნაურია რომ ვახტანგი არ იხსენიება (მართალია, ჩვენ ხელთ მხოლოდ ფრაგმენტი გვაქვს, მაგრამ მაინც თითქოს არ ჩანს ადგილი, სადაც შეიძლებოდა ვახტანგის სახელი მოეთავსებინათ);[2] შემდეგ, საინტერესოა, თუ რა დამოკიდებულებაშია ეს

[1] ამ ასოსი მხოლოდ თავის და მუცლის ნაწილი ჩანს, შეიძლება „მ“-ც იყოს.

[2] როგორც პროფ. ს. ჯანაშიამ შეგვნიშნა, ვახტანგის მოუხსენებლობა იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ ბოლნისი V ს-ში საპიტიახშოს ფარგლებში შედიოდა, რომელიც უმეშვეოდ ექვემდებარებოდა სპარსეთის მეფეს და ქართველი მეფის იურისდიქციას არ ემორჩილებოდა. მაგრამ როგორ შევუთანხმოთ ეს გარემოება ჯუანშერის ცნობას, რომ საეპისკოპოსო ბოლნისში სწორედ ვახტანგმა დააარსა? თუ ამ ცნობაზე ეჭვი მივიტანეთ,

სურ. 11. ბოლნისის სიონი. ჩრდილო-შესავლის წარწერა (V ს-ის მეორე ნახევარი).

წარწერა დავით ეპისკოპოსის წარწერასთან, რომელიც „მშრომელთა ამას ეკლესიასა შინა" შეეხება და, მაშასადამე, აგრეთვე აღმშენებლობის ხანისა უნდა იყოს; აღსანიშნავია კიდევ: ამ წარწერის მიხედვით ისე გამოდის, რომ საეპისკოპოსო ტაძარი თავდაპირველად სამების სახელობაზე აშენდა; შემდეგში (IX-X სს.), როგორც ამას ორი სხვა წარწერა დაგვიმონმებს, ბოლნისის სიონი წმინდა გრიგოლის სახელობისა გამხდარა (იხ. ქვემოთ); უფრო გვიან და ბოლო დრომდე ხომ, როგორც ცნობილია, ბოლნისის სიონი ღვთისმშობლის ტაძრად ითვლებოდა.

ჯუანშერის ცნობის შემდგომ ეს მეორე ცნობა გვაქვს აღმშენებლობის შესახებ ბოლნისში.

2. მესამე ცნობა დავით ეპისკოპოსს ეკუთვნის და დღემდე მიღებული ვარაუდით 506 წლის ახლო ხანით თარიღდებოდა. მე მგონია, რომ ეს რთული მსჯელობის შემდეგ მართლაც საკვირველის მიახლოებით მიღებული თარიღი ამას იქით შეიძლება უფრო დავაზუსტოთ და ეს წარწერაც V ს-ის მეორე ნახევრით განვსაზღვროთ.

იგი მოთავსებულია აფსიდის კედელზე სარკმლის თავზე ჩასმულ პატარა, სწორკუთხოვან თლილ ფილაქანზე. ფილაქანი ისეა მოქცეული სარკმლის თავზე, რომ არ შეიძლება ითქვას. რომ იგი თავდაპირველად სწორედ ამ ადგილას იყო მოთავსებული. ფილაქნის თითქმის მთელი ზედაპირი თანასწორადაა ამოღებული დაახლოებით 5 მმ-ის სიღრმით ისე, რომ მხოლოდ კიდეებზეა დატოვებული სწორხაზოვანი ქიმები. ამოღებულ შუაგულზე გამოქანდაკებულია ბოლნისური ჯვარი მედალიონში და მის გარშემო ძველი ტანდაბალი მთავრული ასოებით გამოყვანილი წარწერა (სურ. 12):

1. ქ̄ე დ̄თ ˈეˈპ[ისკ]ოპოსი კრებ̄ˈ
2. კლითოვრთ და ამას ეკ

მაშინ საეჭვო უნდა გახდეს მისი ცნობა დანარჩენი საეპისკოპოსოების დაარსების შესახებაც. ეს კი შეუძლებელია, რადგან, როგორც ეს პროფ. ივ. ჯავახიშვილმა გამოარკვია (იხ. მისი „ქართველი ერის ისტორია" I, 1928, გვ. 309-313). საეპისკოპოსოების დაარსება ვახტანგის დროს და მის მიერ გარკვეულ პოლიტიკასთან იყო დაკავშირებული. ამგვარად, ჯუანშერის ეს ცნობა მთლიანად ძველ აუთენტურ წყაროზე უნდა იყოს დამყარებული. ამიტომ, ვახტანგის მოუხსენებლობა მაინც უცნაურია.

3. ლესიასა შინა შენდ
4. ა მიმართ თაკ
5. ყანისმცემელ
6. 'ნ'ი შეინყალენ და
7. მ[შ]რომელთა ამას ეკლე
8. [სი]ა[ს]'ა' შინა შეხენიე ი

სურ. 12. ბოლნისის სიონი. დავით ეპისკოპოსის წარწერა.

ეს წარწერა რამდენჯერმეა უკვე გამოცემული,[1] მისი შინაარსი და მნიშვნელობა საკმაოდაა განმარტებული პროფ. ა. შანიძისა და პროფ. ივ. ჯავახიშვილის მიერ,[2] შევნიშნავ მხოლოდ შემდეგს:

1-ლ სტრიქონში, სიტყვაში „ეპ[ისკ]ოპოსი", „ე"-ნის თავი გადარეცხილია და ამიტომ იგი „ი"-ნსა ჰგავს (ასე ჰკითხულობდა ამ ასოს მ. ბროსე).

მე-6-8-ე სტრიქონების პირველი ასოები დაზიანებულია იმის გამო, რომ ფილაქნის მარცხენა ქვედა კუთხე ამოტეხილია. მე-6-ე სტრიქონში პირველი ასოს („ნ") მხოლოდ თავი ჩანს; მე-7ე სტრიქონში პირველი სამი ასოა დაშავებული, მაგრამ ნაკვალევის მიხედვით დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ პირველი ასო „მ"-ანია, ხოლო მესამე – „რ"-აე, „შ"-ინისა კი სულ აღარა ეტყობა რა; მე-8-ე სტრიქონში დაშავებულია პირველი ხუთი ასო და კარგად განირჩევა მხოლოდ პირველი „ა"-ნის ნაკვალევი და მეორე „ა"-ნის თავის კვალი. აქვე, სიტყვაში „შინა", „ში" კარგად აღიდგინება ნაკვალევის მიხედვით, ხოლო სიტყვაში „შეხენიე" ასევე თავისუფლად წაიკითხება „შ".

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ არავითარი ეჭვი ამ წარწერის წაკითხვაში არ არსებობს.

პალეოგრაფიულად მას ახასიათებს თავშეკრული „ბ"-ანი, „ჯ" და „ყ"-არი; „შ"-ინიც ერთგან (სტრ. 3: „შინა") თითქმის სრულებით თავშეკრულია, სხვაგან კი გახსნილია.

3. მესამე უძველესი წარწერა, პალეოგრაფიულად იმავე ხასიათისა, მოთავსებულია ტაძრის აღმოსავლეთიდან მეორე ჩრდილო-შესავლის წირთხლის ქვაზე, რომელიც აგრეთვე უშველებელ ორთოსტატს წარმოადგენს (ზომ. 3,05×0,73 მ.) და ერთ ადგილას გახეთქილია, რის გამოც სამიოდე ასო წარწერაში ისე დაზიანებულია, რომ აღარ იკითხება.

ეს ერთსტრიქონიანი წარწერაც რამდენჯერმეა გამოცემული,[3] მაგრამ გამოცემა შეიძლება კიდევ უფრო დავაზუსტოთ:

„[შენ]ვნითა ქცᲨსითა მე ფარნ---- და აზაროკხტ შეხოკაბთ ესე კარი სალოცველად სოკლთა [ჩოკენ]თათკს" (სურ. 13).

---

1 იხ. მ. ბროსეს გამოცემა, Mél. Asiat. II, 322-323, ა. შანიძისა – ტფ. უნივ. მოამბე II, 277 და „ძველი ქართულის ქრესტომათია", ტფ. 1935, გვ. 1.

2 იხ. ა. შანიძე, ნაშთები მესამე პირის ობიექტ. პრეფ. ხმარებისა ხმოვნების წინ, ტფ. უნივ. მოამბე II, 277-279, ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია. ტფ. 1926, გვ. 158-161.

3 იხ. მ. ბროსეს გამოც. – Mémoires de l'Acad. des Sciences VI Serie, Sc. politiques ete., t. IV, St.-Pétersb. 1838, გვ. 421, ტაბ. XI, №41 და ა. შანიძისა – ტფ. უნივ. მოამბე II, გვ. 279-280 და „ძვ. ქართულის ქრესტომათია", ტფ. 1935, გვ. 1.

სურ. 13. ბოლნისის სიონი. აზარუხტის წარწერა.

პირველ სიტყვაში ასოები „ვნი" კარგად აღიდგინება ნაკვალევის მიხედვით (ეს რომ არა, აქ შეიძლებოდა „სახელითა"-ც წაგვეკითხა); დანარჩენ სიტყვებშიც ყველგან შეიძლება გადარეცხილი ასოების წაკითხვა ნაკვალევის მიხედვით, გარდა უკანასკნელი სიტყვისა, რომლის პირველი მარცვალი უკვალოდაა გადასული. რაც შეეხება დაზიანებულ სიტყვას „ფარნ----", აქ კარგად ჩანს, ჯერ ერთი, რომ დაშავებულ ადგილზე 4 ასო უნდა დატეულიყო და, გარდა ამისა, განირჩევა ზოგიერთი ხაზები ამ გადარეცხილი

სურ. 14. ბოლნისის სიონი.
ვარსქენ ნაჰაპეტის წარწერა.



სურ. 15. ბოლნისის სიონი. ჯვრიანი ქვა ჩრდილო-ნავის აღმოსავლეთ კედელში.

და ნახეთქით დაზიანებული ასოებისა. გულდასმითი ჩხრეკის შემდეგ, მგონია, შემდეგი ვარიანტები შეიძლება იქნას დაშვებული სიტყვის (საკუთარი სახელის) აღსადგენად:

„ფარნ[ივან; ივაზ; ევან; ევაზ; იშან, ეშან; იბაზ; ებაზ]".

სხვა შესაძლებლობანი გამორიცხული უნდა იყოს. ამასთან: „ვ" უფრო დასაშვებია, შემონახულ მოხაზულობათა მიხედვით, ვიდრე „შ" ან „ბ", ხოლო „ი" უფრო ვიდრე „ე" და „ნ" უფრო ვიდრე „ზ"; „ა"-ც მეტად სათუოა, მაგრამ სხვა ასო არ უდგება შემონახულ ხაზებს.[1] მიუხედავად ასეთი თუობისა, ეს სახელი „ფარნ[ევაზ]"-ად რომ აღვადგინოთ, ალბათ, ძალიან დაშორებული არ ვიქნებით სინამდვილეს.[2]

ამ წარწერასაც ისევე როგორც პირველ ორ წარწერას, ახასიათებს თავშეკრული „ბ"-ანი და „კ", ხოლო „შ"-ინი თავგახსნილია. სრულებით ცხადია, რომ იგი პირველი წარწერით თარიღდება, რადგან ჩრდილოეთის ორსავ კარს, სრულებით ანალოგიურად ნაგებს, რა თქმა უნდა, ერთდროულად შეაბამდნენ ტაძრის გაშენებისას.

4. ეკლესიის შიგნით, ჩრდილო ნავში, აფსიდიდან მესამე სვეტზე, რელიეფით გამოსახულია ლამაზ მცენარეულ ჩარჩოში ჩასმული ბოლნისური ჯვარი, რომლის მკლავებს შორის თითო ფოთოლია გამოჭრილი. ამ ჯვრის ზემოდან თავთხელ ჩარჩოში გამოქანდაკებულია ერთსტრიქონიანი მთავრული წარწერა (სურ. 14):

„ესე ჯ˜ი ვ˜ნ ნ˜პ̈ „ეს ჯოკარი ვარსქენ ნაჰაპეტისაᲲ".[3]

---

[1] ფოტოსურათზე ყველა ეს დეტალი არა ჩანს.

[2] F. Justi-ს „Iranisches Namenbuch"-ში არც ერთი ძვ. სპარსული სახელი არ მოიპოვება, რომ სხვანაირი აღდგენის შესაძლებლობას იძლეოდეს.

[3] წაკითხულია პროფ. ივ. ჯავახიშვილის მიერ. რასაკვირველია, დანამდვილებით არ შეიძლება იმის თქმა, რომ ქარაგმის მაინც და მაინც ასეთი გახსნა იყოს სწორი: „ვარსქენის" ნაცვლად შეიძლება წავიკითხოთ „ვარდან"; საეჭვოა აგრეთვე „ნ-პ̈"=„ნაჰაპეტისაᲲ", მაგრ. სხვა ახსნა ამ შემოკლებას ვერ მოვუძებნე. წარწერა კარგადაა შენახული, გარდა ასო „ჯ"-ანისა, რომლის კვალი კი ნათლად ჩანს.

ამ წარწერის ასოების მოხაზულობა არაფრით განირჩევა დანარჩენ უძველეს წარწერებში.

5. ტაძრის შიგნითვე, ჩრდილო ნავის აღმოსავლეთ კედელში ჩასმულ ქვაზე რელიეფით გამოსახულია მრგვალ ჩარჩოში ჩასმული ბოლნისური ჯვარი, რომლის ზემოთ თავთხელად გამოქანდაკებულია სამი მთავრული ასო (სურ. 15).

„ძნა“=„ძნაᲐ“? (ქარაგმა არა ჩანს).

როგორც ჯვრის სახე, ისე წარწერაც ბევრად უფრო მდარე ნახელავია, ვიდრე „ვარსქენ ნაჰაპეტისა“, მაგრამ დაახლოებით იმავე ხანისა უნდა იყოს.

საინტერესოა, რომ ბოლნისის უძველეს წარწერებს არც ერთს სასვენი ნიშნები არა აქვს.

6. უძველეს წარწერას შეიცავს აგრეთვე ერთი განათხარი ქვა, რომელიც წარმოადგენს წითელი თირის ქვაჯვარის ჩამონატეხ მკლავს, უფრო ნიშანდობლივ, ქვედამკლავს, რომელზედაც ჯვარი იდგა. იგი ოთხწახნაგაა, ზომ. 0,41×0,10 მ.: ორი წახნაგი სადადაა დატოვებული, ხოლო ორ დანარჩენთაგან ერთზე მოხდენილი რელიეფით გამოყვანილია ნინვოვანი ორნამენტით შემკულ სწორტარიან მედალიონში ჩასმული ექვსყურა როზეტი (სურ. 16). მეორეზე კი თავთხელად ამოკოდვილია მთავრული წარწერა, რომელსაც მე ასე ვკითხულობ (სურ. 17):

ჩო|რაჩ|ქ᾽ე შ᾽ე|ცოლ|შვილი|თოკრ|თ.



სურ. 16. ბოლნისი. ქვაჯვარის ფრაგმენტი როზეტით.



სურ. 17. ბოლნისი. ქვაჯვარის ფრაგმენტი. წარწერა.

ე. ი.: „ჩორაჩ, ქრისტე, შეიწყალე ცოლშვილითურთ".

ამ წარწერაში უცნაურია როგორც სახელი „ჩორაჩ" ან, ეგებ, „ჩორან", ისე თვით ფორმა ღვთაებისადმი მიმართვისა. გარდა ამისა, მე-5 სტრიქონში „შ"-ინს ორი „ე"-ნი მოსდევს და არა „ვ"-ინი და „ი"-ნი, როგორც მე აღვადგინე. ისე რომ აქ იკითხება არა „შვილი", არამედ „შეელი", რაც სრულებით უაზროა.

პალეოგრაფიულად ეს წარწერა ძალიან ძველის შთაბეჭდილებას ახდენს: არქაულია „ჩ"-ინი, რომლის მუხლი ბუნის ქვეითა ნახევარზეა მიკავშირებული და მის ძირამდე ჩამოდის, არქაულია აგრეთვე შეკრული „კ"-ც და, განსაკუთრებით, ორჯერვე თავ-შეკრული „შ"-ინი, ამიტომ, მე შესაძლებლად მიმაჩნია ეს წარწერა მე-6-7 საუკუნისად ჩავთვალო.

IV

როგორი იყო ბოლნისის ხეობის მოსახლეობის შემადგენლობა უძველეს ხანაში, ამის შესახებ პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება და მხოლოდ ტოპონიმიკამ შეიძლება ცოტად თუ ბევრად გაგვირკვიოს ეს საკითხი.

თურქული გეოგრაფიული სახელები რომ გამოვრიცხოთ, რომლებიც ყველა აშკარად ნაგვიანევია – ასეთებია, მაგ., ყურჯილარი სამწევრისის ნაცვლად,[1] შაითანყალა ბერდიკის ნაცვლად, ახკერპი ხუჯაბის ნაცვლად, ქაფანაქჩი, დემურდაღი, პერპინჯან,[2] იდ-კერპი; მაშავერზე: გოჩულუ, ჯაფარლუ, დაშტი-ყულარ და სხვ.[3] – ბოლნისის ხეობაში დაგვრჩება მეტწილად სულ ქართული სახელები, რამდენიმე სომხური და რამდენიმე ისეთი, რომელთა წარმომავლობა ჯერჯერობით სათუოდ უნდა ჩაითვალოს.

სათუოდ ჩასათვლელია:

1. „წულრულაშენი", რამდენადაც შემოწმება შემეძლო, პირველად ეს სახელი ორბელიანთ 1619 წლის საბუთში იხსენიება (ქრონიკ. II, 443); მას იცნობენ, როგორც უკვე აღვნიშნე, 1721 წლ. ხალხის აღწერის დავთარიც და ვახუშტიც. ტაძრის წარწერიდან ჩანს, რომ ამ ადგილს XIII-XIV ს-ში „გუნბადი" („გონბადი") ჰრქმევია. „წულრულა" საკუთარი სახელი უნდა იყოს, სომხური იგი, ყოველ შემთხვევაში, არაა.[4]

2. ჰაცუტი". ამ სახელის ეტიმოლოგია გაუგებარია. იგი იხსენიება 1623 წლის წყალობის წიგნში, როგორც სომხითის ნასოფლარი (საქ. სიძვ. II, 206-207); დასტურლამალის „ატუციც" (გვ. 87), ალბათ, იგივე ჰაცუტია და „ატუცი" კი უნებლიედ გვაგონებს „ატოცს".

---

[1] მართალია ყურჯილარი და სამწევრისი სავსებით ერთი მეორეს არ ემთხვევა – ყურჯილარი თათრებით დასახლებული სოფელია ფოლადაურის მარცხენა ნაპირას, ხოლო სომხებითა და ქართველებით დასახლებული სამწევრისი მის პირდაპირ მდებარეობს მარჯვენა ნაპირზე.

[2] პერპინჯანი ბერძნების ნასოფლარია ფოლადაურის შუაწელზე. აქედან თვით ფოლადაურსაც შუაწელზე ახლა პერპინჯან-ჩაის უწოდებენ; იქვე არის პერპინჯანის მთაც, ბერძნები ამ სახელს თურქეთიდან მოიტანდნენ.

[3] ძველი თურქული სახელი მხოლოდ შიშ-თაფა ჩანს: ასე ეძახიან ერთ გორას მაშავრის მარჯვენა ნაპირას, ლუქსემბურგის ბაღების პირდაპირ. „შიშტეფა" იხსენიება 1721 წლ. ხალხის აღწ. დავთარში (გვ. 214, 313, 484) და იქ იმ დროს სომხები სახლობდნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს სახელი გაცილებით უფრო ძველი უნდა იყოს.

[4] ეს ცნობა პროფ. ივ. ჯავახიშვილმა გადმომცა.

3. „ხუჯაბი“ ანუ ჰუჯაბი“. ეს სახელი პირველად გვხვდება 1721 წლის ხალხის აღწერის დავთარში; იქ „ზემო ხუჯაბიც“ იხსენიება (ნ. გვ. 244, 246, 247); დასტურლამალშიც აღნიშნულია „ხუჯაბის ქორის ბუდე“ (გვ. 87); ვახუშტი იხსენიებს მხოლოდ „ჰუჯაბის მონასტერს“, რომელიც მის დროს უკვე ცარიელი ყოფილა (გეოგრ., გვ. 45). არაბულად „ხუჯაბი“ მრავლობითი იქნება „ხაჯიბისაგან“, რომელიც „ეჯიბს“ ნიშნავს: „ხუჯაბი“, მაშასადამე, ქართულად შეიძლება ვთარგმნოთ როგორც „ეჯიბნი“. სომხურად „ხუჭაპ“ ნიშნავს „სწრაფს“, მაგრამ არა მგონია რომ ამ სიტყვას რაიმე კავშირი ჰქონდეს „ხუჯაბთან“.[1] არის ქართული გვარიც – ხუჯაბიძენი.[2] როგორც ცნობილია, ფიტარეთის წარწერაში იხსენიება ამირეჯიბი ქუჯაფაისძე („ქჯფისძე“; იხ. ე. თაყაიშვილის სომხ.-საორბ წარწ., გვ. 87-88, შდ. Mél. Asiat. II, 113).[3] „ხუჯაბიძე“ და „ქუჯაფაისძე“ შეიძლება ერთი და იგივე იყოს, ხოლო ეს უკანასკნელი უკვე ძველ ქართულ სახელსა ჰგავს (შდ. ძველი ქართული „ქუჯი“, „ციხე ქუჯისა“ ანუ „ციხე-გოჯი“). ასეა თუ ისე, სახელი „ხუჯაბი“ ძველი ჩანს.

სომხურ იერს ატარებს ოთხიოდე სახელი:

1. უთუოდ სომხურია „ბოვაძორი“. პირველად იხსენიება 1677 წლ. საბუთში (საქ. სიძვ. II, 138-139), საიდანაც ჩანს, რომ იგი უმეშვოდ ზემო-ბოლნისს ეკრა. იგი ჩატანილია 1721 ნ. ხალხის აღწერის დავთარშიც (გვ. 131).

2. „ბერდიკი“(?) იგი პირველად იხსენიება 1658 წლის წყალობის წიგნში (საქ. სიძვ. II, 256); მას იცნობენ 1721 ნ. ხალხის აღწერის დავთარიც და ვახუშტიც.

3. „ლურჯვანქი“. ეს სახელი აღნიშნულია ვახუშტის რუკაზე; გარდა ამისა, იგი იხსენიება 1742 წლ. საბუთშიც (Крест. грам., გვ. 11-12).

4. „უშევანი“(?) ესეც, ალბათ, სომხური სახელია. ეს სოფელი, ვახუშტის რუკით, ბოლნისის ხეობიდან ცოტა მოშორებით მდებარეობს ჩრდილო-დასავლეთისაკენ; იგი ჩატანილია 1721 წლის ხალხის აღწერის დავთარშიც (გვ. 138, 225, 397).

„ვანქი“, რომელიც ბართოლომეს უნახავს 1853 ნ. (Mél. Asiat. II, 309, 317-318) და რომელსაც, როგორც ეს ე. თაყაიშვილმა გამოარკვია, ნამდვილად „თევდორ-წმინდანი“ ჰრქმევია (იხ. მისი „სომხ.-საორბ. წარწერები“, გვ. 95-97), ცხადად ახალი დროის სახელია.

აღსანიშნავია, რომ არც ერთი ზემომოყვანილი სახელი უძველეს წყაროებში არ გვხვდება.

უძველესი სახელები უთუოდ ქართულია. ასეთებია:

---

[1] ხუჯაბის მონასტერში, სხვათა შორის, სომხური წარწერიანი საფლავის ქვა აღმოჩნდა; წარწერის კარგად გარჩევა ვერ მოვასწარი, მაგრამ თარიღი კი უდავოა. აი თვით ტექსტიც: „Այս է տապան Աբաս որդի Մարութին ոքին զևա (?) առաջ Թվն ռճhզ“, თარიღი უდრის სომხური წელთაღრიცხვის 1176 წ., ე. ი. ჩვ. წ. 1727 ნ.; საფლავის ქვა შემკულია XVIII ს-სთვის ტიპიური მდარე ბარელიეფით, რომელიც წარმოადგენს კაბიან და გვირგვინწამოხურულ მამაკაცს და აქეთ-იქით ნალდს, სურას, ქამრის ბალთას, სატეხს, სავარცხელს, საქსოვ ბეჭს, ბეჭედს და სხვ. თვითონ ტაძარი ხუჯაბისა, მშვენიერი ჩუქურთმებით შემკული, მრავალ ანალოგიას გვიჩვენებს ნუღრუღაშენთან და, ალბათ, ამ უკანასკნელივით, XIII-XIV საუკუნეებშია აშენებული.

[2] „ხუჯაბის“ არაბული ეტიმოლოგიისათვის განმარტება მომცა პროფ. ივ. ჯავახიშვილმა, რომელმაც ხუჯაბიძეთა გვარის არსებობაც მაცნობა, რისთვისაც პატივცემულ პროფესორს უღრმეს მადლობას მოვახსენებ.

[3] „ქჯფისძე“ შეიძლება გაიხსნას აგრეთვე როგორც „ქაჯაფაისძე“, მაგრამ პირველი ნაკითხვა უფრო დასაშვები უნდა იყოს.

1. „ბოლნისი". ეს სახელი, თანახმად ქართული წყაროებისა, უკვე V საუკუნიდანაა ცნობილი.[1]

2. „ოფრეთი", ოფრეთის ციხე ქართლის მატიანეში იხსენიება XI ს-ის შუახანებში (ქ-ცა, ჭიჭ. გვ. 332). ოფრეთი შეტანილია 1721 წლ. ხალხის აღწერის დავთარში (გვ. 245), მას იხსენიებს დასტურლამალიც (გვ. 6, 107, 110, 112, 117, 118, 129), ხოლო ვახუშტი იხსენიებს მის ციხესაც და „მცირე ქალაქად" სთვლის მას (გეოგრ., გვ. 44).[2]

3. „თევდორ-წმინდანი". იგი იხსენიება ფიტარეთის XIV ს-ის წარწერაში (Mél. Asiat. II, 114 და ე. თაყაიშვილის „სომხ.-საორბ. წარწერები", გვ. 88). ბართოლომეს აზრით (Mél. Asiat. II, 309). თევდორ-წმინდანის („ვანქის") ტაძარიც XIV ს-ისა უნდა იყოს. გარდა ამისა, თევდორ-წმინდანი იხსენიება კიდევ 1523 წლის ქვეშ, ბარათაანთ გაყრის წიგნში (ქრონიკები II, 350).[3]

4. „გუნბადი" ანუ „გონბადი (?) ეს არის წულრულაშენის ძველი სახელწოდება.[4]

---

[1] პლ. იოსელიანით („Города, существовавшие... в Грузии", Т., 1850, გვ. 56). ბოლნისი, ვითომც, ძვ. წ. II ს-ში აშენებულა. ეს ცნობა სრულებით დაუსაბუთებელია.

[2] პლ. იოსელიანით (ნახს. ადგ., გვ. 60). ოფრეთი, ვითომც, 395 წ. აეშენებინოს თრდატ მეფეს და XIII ს-ის დამდეგს მონღოლებს დაენგრიოთ. არსად ასეთი ცნობა არ შემხვედრია. თავის წყაროს პლ. იოსელიანი არ ასახელებს.

[3] თევდორ-წმინდანის ადგილმდებარეობა ბართოლომესაც და თაყაიშვილსაც ერთობ ბუნდოვნად აქვთ აღნიშნული. სამწუხაროდ, მე ეს ძეგლი ადგილობრივ ვერ მაჩვენეს. იგი უნდა მდებარეობდეს სადღაც სახუნდარსა და ბოლნისს შორის, ფოლადაურის მარჯვენა ნაპირას. მომყავს აქ თევდორ-წმინდანის ორივე წარწერა ე. თაყაიშვილის წანაკითხის მიხედვით:
ა) „სახელითა ღმრთისაჲთა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობლისაჲთა, წმიდისა თევდორესაჲთა და ყოველთა წმიდათა მისთაჲთა, ესე დაწერილი ჩვენ თევდორ-წმინდელთა მღუდელთა და მწირთა, მას ჟამსა, ოდეს ამას ეკლესიასა ვაშენებდით, მოგუცა „პ" დუკატი გაბრიელ ჩაბაჲძემან. გაუკუეთეთ დეკენბერსა, ჟამსა „თ". რავდენიცა ხუცესი იყოს, ჟამსა წირვიდენ და აღაპი გარდაიჴდებოდეს. სინმინდისა გარდმოყენებასა მღუდელი მოიჴსენებდეს. ვინ ესე შეცვალოს, კრულმცა არს პირითა ღმრთისაჲთა, ამინ".
ბ) „სახელითა ღმრთისაჲთა, ესე დაწერილი მე იოანე ფარეხელმან შევსწირე წმიდასა თევდორეს ვენაჴი და ჭურნი და გავიკუეთე „გ" დღე ქრისტეშობის., მივეც ხ˜ასთა ტლვი (სოფ. ტალავერი?). ვინ ესე აქციოს, კრულ" (იხ. ე. თაყაიშვ. „სომხ.-საორბ. წარწერები, გვ. 95-97, შდ. Mél. Asiat. II, გვ. 317-318).

[4] როგორც აღვნიშნე, სახელი „წულრულაშენი" პირველად გვხვდება მხოლოდ XVII საუკუნის დამლევს. წულრულაშენის წარწერა კარგადა აქვს წაკითხული ე. თაყაიშვილს. მომყავს იგი მისი წანაკითხის მიხედვით: „სახელითა ღმრთისაჲთა და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა, ძლიერებითა წმიდისა გიორგის ხუთშაბათის ჯვარისაჲთა, მეფობასა შინა დიდისა გიორგი მეფეთ მეფისასა. მინამან მეფობისა მათისამან, არსენის ძემან ჰასან, დავიწყე შენებაჲ ტაძარსა გონბადს, მამულსა ჩემსა, ოწყებითა და გამოცხადებითა ამისვე მთავარ მოწამისა მიერ, სადიდებელად ღმრთისა" (ე. თაყაიშვილი, სომხ.-საორბ. წარწ., გვ. 99-100. შდ. ბროსეს წანაკითხი. Mél. Asiat. II, 320). როგორც ბროსეს, ისე თაყაიშვილს ეს წარწერა გიორგი ბრწყინვალის დროისად მიაჩნიათ. ყოველ შემთხვევაში, ეს ტაძარი თუ XIV ს-ში არაა აშენებული, მაშინ იგი უფრო ძველი უნდა იყოს: როგორც თვით ნაგებობის სტილი, ისე წარწერის პალეოგრაფიული თვისებები უდავოდ ხდიან, რომ ტაძრის აშენების თარიღი XIV ს-ზე აქეთ არ შეიძლება იქნას გადმოტანილი. ამგვარად, ტაძარი აუშენებია არსენის ძე ჰასანს გუნბადში. სახელი „წულრულაშენი" ან მერმინდელია, ან თუ ძველია, სხვა, ალბათ მეზობელ ადგილს ერქვა და მერმე იქნა გადატანილი გუნბადზე.

მაგრამ დანარჩენი ქართული სახელებიც, თუმცა უძველეს წყაროებში არა გეხვდება, ძველთა-ძველის იერს ატარებენ: „სამწევრისი" ანუ „სამწვერისი",[1] „ჩორჩანი",[2] „საჯუნდარი",[3] უძველესი სახელები უნდა იყოს. ასეა მაშავრის ხეობა-

---

[1] ვახუშტის რუკაზე „სამწვერისია" და დღესაც ამ ადგილს ადგილობრივნი ასე უწოდებენ. „სამწევრისი" იხ. 1721 წლ. ხალხ. აღწ. დავთ., გვ. 247, 271. პაპ. ორბ., გვ. 144 (1747 წ., 298 („სამწევრისის ციხე", 1754 წ.), 223 („სომხითის სამწევრისისა ციხე" 1755 წ.).
სამწევრისი მდებარეობს, როგორც აღინიშნა, ფოლადაურის მარჯვენა ნაპირას, ხაჩინს ზემოთ. ამ სოფლის ზემოდან სამხრ.-აღმოსავლეთით, ფერდოზე დგას რაღაც ოთხკუთხედი ნაგებობის ნაშთი, ნაშენი ნაგლეჯი ქვით ქვიტკირზე; ამ შენობას დაბალი თაღიანი შესავალი ჰქონია დასავლეთიდან. აღმოსავლეთიდან მას მიშენებული აქვს პატარა ერთნავიანი ეკლესია, ნაშენი აგრეთვე ნაგლეჯი ქვით ქვიტკირზე; ამ ეკლესიაზე დადგმულია თლილი ქვის სვეტებიანი და აგურით გადახურული სამრეკლო, სწორედ ისეთივე როგორიც ბოლნისხაჩინის ეკლესიასა აქვს. ამგვარად, ეს ეკლესიაც XVI-XVII ს-ით თარიღდება. აქვე ნანგრევთა გარეთ გდია მწვანე თირის ხაჩქარი, ზომ. 0,82×0,47×0,21 მ., რომელზედაც შემდეგი სომხური მთავრული წარწერაა ამოკოდილი:
1. Սբ խաչս բարխաւսէ Ասլանին
2. Թ՝Վ ռձզ
3. Կողակիցն իւր. Լալփերավզիկ
4. [Գ]ոի[զ]որ երեց. Կզ մց
(უკანასკნელი ორი ასოს წაკითხვა სათუოა).
ქართულად: „წმიდაო ჯვარო, მეოხ ეყავ ასლანს. წელსა 1087 (ჩ. ნ. 1638 წ.). მეუღლე მისი ლალფერავზიკი. გრიგოლ ხუცესი----".
საინტერესოა, რომ აქვე გაცილებით უფრო ძველი ხანის ნაშთებიც ჩანს. სახელდობრ, ზემოხსენებული სომხური ეკლესიის დასავლეთ კედელში გარედან, შესავლის ორსავ მხარეს, ჩაშენებულია მწვანე რბილი ქანის ორი თლილი ქვა ბოლნისური ჯვრებით მედალიონებში, კარის ჩრდილოეთით ჩაშენებულს ქვაზე ჯვარის ქვეშ ერთსტრიქონიანი გამოქანდაკებული წარწერა ყოფილა, რომელიც განზრახ ამოტეხილია. ცხადია, რომ ამ ადგილას ოდესღაც V-VI ს-ის ეკლესია მდგარა.
ერთი ეკლესია, ვითომ შანშიაშვილების, აქაური მემამულეების მიერ აშენებული, თვით სოფ. სამწევრისში დგას. დრო არ მქონდა დამეთვალიერებინა: შორიდან ჩანს, რომ მასაც ჩაშენებული აქვს ძველი ჩუქურთმიანი ქვები.
სხვათა შორის აღვნიშნავ კიდევ, რომ სამწევრისიდან სამხრ.-აღმოსავლეთის მიმართულებით, ორიოდე კილომეტრის დაშორებით, ე. წ. „თურუნ-ახპერ-ძორში" (ეს ხევი მარჯვნიდან ერთვის ფოლადაურს), ხევის მარცხენა ნაპირას ტყეში დგას კიდევ ერთი მცირე ერთნავიანი ეკლესია ისეთივე ნაგებობისა და ისეთივე სამრეკლოთი, როგორც სამწევრისში. ეკლესიის გარშემო ფართო სასაფლაოა XVII-XVIII ს-ის ბარელიეფებიანი ქვებით და ხაჩქარებით. ერთ ხაჩქარზე, ზომ. 1,40×0,52×0,31 (0,21) მ., სომხური მთავრულით ამოკოდვილია:
1. Սբ խաչս բարեխ՝սե
2. Ջալինն թվ ռճծի
ე. ი.: „წმიდაო ჯვარო, მეოხ ეყავ ზალნის. წელსა 1110" (ჩ. ნ. 1661 წ.).
არის აქ ერთი უწარწერო ხაჩქარიც. ერთიც სანახევროდ მიწაშია ჩაფლული.
ამ ეკლესიას ხაჩინელები „თურუნ-ახპერს" ეძახიან.

[2] ვახუშტის რუკაზე; 1721 წლ. ხალხ. აღწ. დავთარში არის „ჩორათანი" (გვ. 284-285).

[3] ვახუშტის რუკაზე; გარდა ამისა, საჯუნდარი იხსენიება 1662 წლის ქვეშ (საქ. სიძვ. II, 253) და 1721 წლ. ხალხ. აღწ. დავთარში: „სახუნდარა" (გვ. 269-271, 273) და „პატარა სახუნდარა" (გვ. 270-273); ნ. აგრეთვე Mél. Asiat. II, 308-309 და 316-317 და ე. თაყაიშვილის „სომხ.-საორბ.

შიც, ფოლადაურის შესართავის ახლო-მახლო. აქაც ძველი სახელები ქართულია, მაგ.: „წყნეთი",[1] „სატრედო" ანუ „სამტრედო",[2] ყორანთა",[3] „რატევანი",[4] და სხვ. თუ XVII ს-ში აქ უკვე თითქმის მთლიანად სომხური მოსახლეობა გვხვდება, ცხადია, რომ ყველა ეს სახელი უფრო ძველ მოსახლეობას უნდა ეკუთვნოდეს. დაბოლოს, სათუოდ მიჩნეული სახელებიც – წულრუღაშენი, ჰაცუტი, ხუჯაბი – შეიძლება ქართული ანდა ქართულ ნიადაგზე დიდი ხნის ბინადარი აღმოჩნდეს.

V

როგორც ცნობილია, X ს-ის დამლევს მერმინდელი სომხითი სომეხთა მეფეებმა დაიპყრეს.

ბოლნისის ისტორიისათვის ამ საშუალო ხანას ეკუთვნის შემდეგი ქართული წარწერები.

7. განათხარ ქვაზე, რომელიც ორ ნატეხად, მაგრამ თითქმის უნაკლოდაა შენახული, ცალ პირზე რელიეფით გამოყვანილია მედალიონში ჩასმული ბოლნისური ჯვარი, რომლის ქვეშაც მთავრულით ამოკოდვილია კარგად დაცული ოთხსტრიქონიანი წარწერა (სურ. 18):

1. ესე ს˜ფნი ი˜ნე
2. ბ˜ნლ ეპ˜კნი და ვ
3. ინ ს˜ხ̈ დფ˜ლს
4. ამცა ნჯ˜გბს

უქარაგმოდ:

„ესე საყოფელნი იოანე ბოლნელ ეპისკოპოსისანი და ვინ სხუა̈ დაეფლას, ამანცა ნჯგბს".[5]

ძნელი სათქმელია, თუ რას უნდა ნიშნავდეს უკანასკნელი ქარაგმა. შეიძლება აქ ორი სიტყვა იგულისხმებოდეს; „ნუ (ნჯ<ნოჯ) გააბოგინოს", მაგრამ ასეთი წაკითხვა ძალიან საეჭვოა. დანარჩენი კი, მგონი, უდავო უნდა იყოს.

ამ წარწერასთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ, რომ X-XI ს-ების მიჯნაზე ცნობილია გამოჩენილი მქადაგებელი იოანე ბოლნელი ეპისკოპოსი, თანამედროვე ბაგრატ III-ისა.[6] ჩვენი წარწერაც პალეოგრაფიული ნიშნებით უნდა მიეკუთვნოს X საუკუნეს. ამ მხრით განსაკუთრებით დამახასიათებელია ნუსხურის ყაიდაზე დაწერილი

წარწერები", გვ. 96. ადგილობრივნი, ყოველ შემთხვევაში ქაფანაქჩელები, ეხლა ამ ადგილს „სახანდურს" ეძახიან.

1 ვახუშტის რუკაზე და 1721 წლ. ხალხ. აღწ. დავთ., გვ. 308, 335-336.

2 ისტორ. საბ. II, 56, – 1587 წ., საქ. სიძვ. II 508 – 1718 წ., იქვე, გვ. 351 – 1729 წ., გვ. 216, 1727-30 წწ., 384 – 1736 წ.; 1721 წლ. ხალხ. აღწ. დავთ., გვ. 232, 405; ვახუშტის რუკაზე.

3 ისტორ. საბ. III, 37, 1447-59 წწ., 38, 1466-72 წწ., 59 – 1529 წ.; II, 56 – 1587 წ.; ვახუშტის რუკაზე.

4 ისტორ. საბ. III, 37, 1447-59 წწ.; 1721 წლ. ხალხ. აღწ. დავთ., გვ. 122-125, 129, 131; ვახუშტის რუკაზე.

5 წაკითხულია დოც. ნ. ბერძენიშვილის მიერ.

6 იხ. მ. ჯანაშვილის გამოც. „იოანე ბოლნელის ქადაგებანი", ტფ. 1911 და პროფ. კ. კეკელიძის „ქართ. ლიტერატ. ისტორია", ტ. I, ტფ. 1923, გვ. 180-182.

სურ. 18. ბოლნისი. ჯვრიანი ქვა. იოანე ბოლნელის წარწერა.

დაბალი „ლ"-ასი, უყელო „დ"-ონი და შეკრული „კ". საზოგადოდ ყველა ასოს მოხაზულობა ძველია. მაგრამ წარწერა უშნოდაა ნაჯღაბნი და, რაც მთავარია, თავისი სტილით სრულებით არ შეეფერება მშვენივრად გამოქანდაკებულ ჯვარს მის ზემოთ. ის ოსტატი, რომელმაც ჯვარი და მისი ჩარჩო გამოსჭრა, ასე არ დასწერდა. ჯვარი უფრო ძველი უნდა იყოს, ვიდრე იოანე ბოლნელის წარწერა. იგი თავდაპირველად, ალბათ, ტაძარს ამკობდა, როგორც სხვა მრავალი ასეთივე ჯვრიანი ქვა. ქვის ქანიც ის მოლურჯო თირია, რომლითაც აშენებულია ტაძარი.

8. იოანე ბოლნელის შემდეგ ეს ქვა კიდევ ერთი წარწერისათვის გამოუყენებიათ. გაუთლიათ მისი უკანა პირის ზემო ნაწილი, სწორედ ჯვრის უკან (ქვემო ნაწილი გაუთლელადაა დატოვებული) და ამოუკოდვიათ მთავრულით (სურ. 19):

„ესე ჯ˜ი შ|ოკშანი|კისი",[1] ე. ი.:
„ესე ჯუარი შუშანიკისი".

წარწერა პალეოგრაფიულად, ცოტა არ იყოს, უცნაურია: „კ" და მეორე „შ"-ინი ორივე გადაბრუნებულად სწერია: „შ"-ინი პირდაპირ „ხ"-ანად შეიძლება წავიკითხოთ. მაგრამ ეს უცნაურება ქართულ ეპიგრაფიკაში ობლად არ გვევლინება: ასე, მაგ., მარტვილის ერთ-ერთ ხატზე გადაბრუნებულად სწერია „შ"-ინი, „ჩ"-ინი და „ძ"-ილი; გულეკარის ხატზეც „შ"-ინი სწერია გადაბრუნებულად, ხოლო ბურდუხან დედოფლის ხატის ერთ წარწერაში, რომელიც XV ს-ს ეკუთვნის „ხ"-ანი ისეა მობრუნებული, რომ „ბ"-ანს წააგავს (იხ. ე. თაყაიშვილი, არქეოლ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, წ. II, გვ. 51, 21 და 149). ჩვენს წარწერაში საინტერესოა „ო"-ნიც, რომელიც კარგად შეკრული არაა და რომელსაც ორი ნიღრი აქვს.

დამათარიღებელი მოხაზულობის ასოები ამ წარწერას არ მოეპოვება. „კ" გახსნილია. საერთო შთაბეჭდილებით ეს წარწერა არ უნდა გადმოსცილდეს XI ს-ს და, ყოველ შემთხვევაში, იგი იოანე ბოლნელის წარწერაზე მერმინდელია.

9. ტაძრის სამხრეთი შესავლის წირთხლის ქვაზე ამოკოდვილია მთავრულით (სურ. 20):

1. ქ ს[ხ˜ლითა ღ˜ისათ მ˜მისა] ძისა დ˜სლს წ˜და მ˜ხთა
2. წ˜დსა ღ[ს˜მშობ˜ლს] თა წ˜სა გრ˜ლს˜თა მე გლხკმ˜ნ
3. ელია ბ˜ნ̇ მ˜ღთმძ˜დ ღ˜რს ვქ˜ნ საყდრსა წ˜სა გ˜გლსა დ
4. ა ამას საყ˜დს ღ˜მთვ˜ ̇ არა დბ˜ლყ კ˜რს ძლთა მე

[1] პირველი „შ"-ინის მხოლოდ თავი და ბოლო ჩანს, ასევე მხოლოდ თავიღა ჩანს პირველი „ი"-ნისა, ქვა აქ ოდნავ ჩამოტეხილია.

5. დ˜დვ და ზ˜აშე ღ˜მმ˜თს ს˜გლდ ღ˜ა ად˜ნ
ღ˜ნ დ˜თ მ˜ფა
6. და შვ˜ლმა და აბ˜ლ მფ˜ა და აწ ვინ შგდ
ჩ˜მა ესე
7. ღმ˜სთჲ და ზ˜შჷ ა˜მს ე˜კლსგ˜ნ და ფჩ˜ს-
თა შც˜ლს შ˜ჩნბ˜ლ
8. მცა არს ღ˜სგ˜ნ დ˜მს ს˜ყნ ვ˜ნ ეს˜ე ა˜ჴცს
[კ˜ნ]ნს ქშმცა არ[ს]

სურ. 19. ბოლნისი. ჯვრიანი ქვა. შუშანიკის წარწერა.

უქარაგმოდ:

„ქ. ს[ახელითა ღმრთისაჲთა, მამისა], ძისა და სულისა წმიდისაჲთა, მეოხებითა წმიდისა ღ[მრთისმშობელისაჲ]თა, წმიდისა გრიგოლისაჲთა, მე, გლახაკმან ელია ბოლნელმაჲ, მღვდელთმოძღვრად ღირს ვიქმენ საყდარსა წმიდისა გრიგოლისსა. და ამას საყდარსა ღამისთევაჲ არა დებულიყო. კრებულისა ძალითა მე დავდევ და ზედაშე ღამისმთეველთათვის საგალობლად ღმრთისა. ადიდენ ღმერთმან დავით მამფალი და შვილნი მათნი და აბულ მამფალი. და აწ ვინ შემდგომად ჩემსა ესე ღამისთევაჲ და ზედაშჷ ამის ეკლესიისაგან და ფიჩოსანთა შეცვალოს, შეჩუენებულმცა არს ღმრთისაგან და ამის საყდრისაგან ვინ ესე აღჴოცოს, [კანო]ნს ქუეშემცა არ[ს]“.[1]

განკვეთილობის ნიშნები ამ წარწერას სრულებით არა აქვს, მხოლოდ აქა-იქ თითო-ოროლა წერტილი ჩანს, ისიც შემთხვევითი უნდა იყოს. ზოგიერთ ასოს უჩვეულო მოხაზულობა აქვს: „გ“-ანს მოკაუჭებული და ტოტებიანი ფეხი აქვს, „ბ“-ანსაც ერთგან (სტრ. 3: „ბნჲ“) ზედმეტი ტოტი აქვს ფეხზე მარცხნით წარზიდული, „ჴ“-არის თავი ნალისებური მოყვანილობისაა, „ლ“-ასს ორგან (სტრ. 4: „დბ˜ლყ“ და სტრ. 7: „შ˜ცლს“) მარყუჟი გახსნილი აქვს.

ქარაგმა აკლია შემდეგ შემოკლებულ სიტყვებს: სტრ. 3: „საყდრსა“, სტრ. 4: „ძლთა“, სტრ. 6: „შგდ“, სტრ. 8: „ქშმცა“. შემოკლებანი იმდენად მკა-



სურ. 20. ბოლნისის სიონი. ელია ბოლნელის წარწერა.

[1] შდ. მ. ბროსეს გამოცემული ტექსტი, Mél. Asiat. II, 323-325.



სურ. 21. ბოლნისი. გურგენ ერისთავთ-ერისთავის წარწერა.

ცრია, რომ ხშირად ქარაგმის გახსნა ჭირს (ასე, მაგ., მე-5 სტრიქონში, ქარაგმა „ღ˜მმთ˜ს“ დიდხანს ვერ გავხსენი, სანამ პროფ. ივ. ჯავახიშვილმა არ წაიკითხა, როგორც „ღამისმთეველთათჳს“). დამახასიათებელია ბოლოების მოკვეცა: „დბ˜ლყ“=„დებულიყო“, „კ˜რს“=„კრებულისა“, „მ˜ფა“=„მამფალი“, „შვლ˜მა“=„შვილნი მათნი“.[1] სინტაქსურად საინტერესოა უადგილოდ ნახმარი მოთხრობითი ბრუნვა, სტრ. 2-3: „გლახაკმან ელია ბოლნელმაჲ... ღირს ვიქმენ“... თანაც „ბნჲ“ რატომღაც სახელობითი ბრუნვის დაბოლოებას ატარებს (უნდა ყოფილიყო „ბ˜ნ“=„ბოლნელმან“), რამაც ჩვენ ეს ქარაგმა გაგვახსნევინა, როგორც „ბოლნელმაჲ“.

ქარაგმა „აბ˜ლ“, შეიძლება გაიხსნას აგრეთვე როგორც „აბელ“, მაგრამ ეს ძალიან საეჭვოა.

პალეოგრაფიულის ნიშნებით ეს წარწერა IX-X საუკუნეებით უნდა განისაზღვროს.

10. ტაძრის სამხრეთი შესავლის ორივე ანყოლის შუაქვაზე გარედან ამოკოდვილი ყოფილა წარწერა, ისე რომ მარცხენა ანყოლის ქვიდან სტრიქონები მარჯვენა ანყოლის ქვაზე გადადიოდა. მარჯვნით ეხლა აღარაფერი განირჩევა, მარცხნით კი ზოგიერთი ასო იკითხება:

1. სხლთ ღ˜----------
2. თსნბრს (წგნბრს?=მწიგნობარს?)---
3. გ? ი? სა? დ? ვ? ----------
4. --ინეჲ[ც]?----------

სულ 7 სტრიქონია. ეს წარწერა პალეოგრაფიულად ისეთივე ხასიათისაა როგორც ამავე შესავლის წირთხლის ქვაზე მოთავსებული ელია ბოლნელის ზემომოყვანილი წარწერა.

11. 1937 წელს, სარესტავრაციო სამუშაოთა ჩატარებისას, ტაძრის აღმოსავლეთიდან მეორე ჩრდილო-შესავლის ძირში იპოვნეს მწვანე რბილი ქანის გათლილი ფილაქანი

---

1 უკანასკნელი ორი ქარაგმა წაკითხულია პროფ. ა. შანიძის მიერ. მართალია, ცოტა უცნაური კია, მაგრამ „მათნი“ უნდა გავიგოთ, როგორც pluralis maiestatis.

ზომ. 0,90×0,60×0,20 მეტრი, რომელზედაც სადა ჩუქურთმიან ჩარჩოში ამოკოდვილია შემდეგი ექვსსტრიქონიანი მთავრული წარწერა (სურ. 21):

1. [შწ˜ვთ]ა ღ˜თსა მდ˜ლთა
2. წ˜სა გრიგოლ˜თა [ი˜ე]? ბლ˜ნე
3. [ლ ეპ˜კს]?ა გორგნ ˈერˈი˜თვ ერ
4. [ი]სთ˜ვˈაˈ-------ი˜ვაე
5. ---˜-სა-----ᲂ ს˜ლცდ
6. -ღ˜თ შ˜ე.[1]

ქარაგმის გახსნით ეს წარწერა ასე შეიძლება ნავიკითხოთ:

„[შეწევნით]ა ღმრთისაᲂთა, მადლითა წმიდისა გრიგოლისაᲂთა, [იოანე] ბოლნე[ლ ეპისკოპოსის]ა, გორგენ ერისთავთ-ერ[ი]სთავისა------- ივანე----სა-----ᲂ სალოცველად, ღმერთო შეიწყალე“.

სასვენი ნიშნები ნახმარი არაა, ქარაგმად იხმარება წვრილი და სწორი ხაზი.

პალეოგრაფიულად დამახასიათებელი ასოებია: „გ“, რომლის ფეხი ჩვეულებისამებრ უკან (მარჯვნით) წარზიდული კი არაა, არამედ შიგნითკენაა მოხრილი „შ“-ინის ფეხივით; უყელო, ტანდაბალი „დ“; ლათინური მთავრული „T“-ს მსგავსი „ვ“; ნუსხურის მსგავსი „ლ“.

თითქმის ყველა ამ ნიშნით და საერთოდაც მთელი თავისი დამწერლობითი სტილით ეს წარწერა ენათესავება იოანე ბოლნელის ზემომოყვანილ წარწერას (7) და მასავით X ს-ით უნდა განისაზღვროს.

შინაარსითაც ეს ორი წარწერა უახლოვდება ერთი მეორეს: აქაც (თუ ჩვენი წაკითხვა სწორია), და იქაც იოანე ბოლნელი იხსენიება და ორივე ერთნაირად საფლავის ძეგლს უნდა წარმოადგენდეს.

მეორე მხრით, წმ. გრიგოლის ხსენებით ეს წარწერა საგულისხმოდ ეხმაურება აგრეთვე უკვე განხილულს ელია ბოლნელის წარწერას, რომელიც დაახლოებით იმავე ხანას მიეკუთვნება.

12. შემდეგ მოდის რამდენიმე წვრილი წარწერა, რომელთაგან ზოგი შეიძლება X-XI ს-ებზე უფრო ადრინდელიც, ზოგი კი უფრო გვიანდელიც იყოს:

ა) სამხრეთი სტოის აღმოსავლეთიდან პირველი შიდათაღის ნახევარსვეტის ერთ ქვაზე რამდენიმე მოკლე, ცუდად ნაფხაჭნი მთავრული წარწერაა, ყველა ერთმანეთის მსგავსი ხელით: სამი თუ ოთხი აღარ იკითხება, ერთი კი ასეთია:

„ქ˜ე კ˜ე შ˜ე“, ე. ი.: „ქრისტე, კვირიკე შეიწყალე“.

საინტერესოა, რომ „შ“ თავშეკრულია.

ბ) ამ წარწერის ქვემოთ გაირჩევა: „ᲂ˜ნე“, ე. ი. „ᲂოანე“.

გ) ამავე სტოის დასავლეთი თაღის ფუძეში შედგმულ ორნამენტირბულ ქვაზე, აღმოსავლეთ გვერდზე, ქვემო მარჯვენა კუთხეში, ნვრილად ამოკოდვილია მთავრულით:

„ზ˜ე“, ე. ი. „ზოსიმე“.

დ) ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთი მინაშენის ჩრდ.-აღ. კუთხეში გარეთ, ცოკოლიდან პირველი წყების ქვაზე ამოკოდვილია კუთხოვანი მთავრულით:

„ქ˜ე შ˜ე კ˜ე, ე. ი.: „ქრისტე, შეიწყალე კვირიკე“.

---

[1] საცა ტექსტი ვარაუდითაა აღდგენილი, ნაჩვენებია კითხვითი ნიშნით; სხვაგან ასოთა ნაკვალევი ეტყობა. მიუხედავად მისი დაზიანებულობისა (ქვა ბევრგან გადახეხილ-ამოტეხილია), წარწერის უკეთ წაკითხვა შეიძლებოდა, დრო რომ მეტი მქონოდა.

ე) იმავე მინაშენის აღმოსავლეთი კედლის გარეთა ქვაზე, ცოკოლიდან მესამე წყებაში, სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხის ახლოს, ამოკოდვილია კუთხოვანი მთავრულით:

„ქ᾽ე შ᾽ე გ᾽ი" ე. ი.: „ქრისტე, შეიწყალე გიორგი".

ამას ქვემოთ რამდენიმე ჯვარია ამოკოდვილი და ეგებ კიდევ იყო წარწერები, მაგრამ გადარეცხილა.

ვ) აფსიდის კედლის ქვაზე გარეთ, სარკმლის ჩრდილოეთით ქვევითკენ, ამოკოდვილია კუთხოვანი მთავრულით წვრილად: „ქ᾽ე [სმ]ბტ | შე", ე. ი.: „ქრისტე, სუმბატ შეიწყალე".

ამ წარწერაში „ს"-ანის და „მ"-ანის მხოლოდ ქვემო ნაწილები ჩანს.

ზ) იქვე, სარკმლის ჩრდილოეთით ზევითკენ, ლურჯ თლილ ქვაზე დაბალი რელიეფით გამოსახულია ლამაზი ბოლნისური ჯვარი ჩარჩოში, რომლის ქვემოთ გამოქანდაკებულია ორი გაუგებარი ნიშანი (შეიძლება ბერძნული ასოები, χ და ω იყოს). ქვა მერმინდელი ჩასმულია ამ ადგილას და ისიც გადაბრუნებულად, ისე რომ ჯვარი თავდაყირა დგას.

თ) სამხრეთი სტოის სამხრეთ კედელში გარედან ჩასმული ჯვრიანი ქვის ზემოთ დიდს თლილ ქვაზე თითქოს ამოკოდვილი მთავრული წარწერის ნაშთები ჩანს, სახელდობრ, ერთი (ქვედა) სტრიქონის რამდენიმე ასო.

ი) ტაძრის შიგნითაც სვეტებზე მთავრულით თავთხელად ამოკოდვილი მოკლე-მოკლე წარწერები აღმოჩნდა, ყველგან ერთმანეთის მსგავსი, ნაგვიანევი ხელით ნაწერი:

საკურთხევლიდან სამხრეთით პირველ სვეტზე, მარცხნით: „პ᾽ე", ე. ი.: „პეტრე", ხოლო მარჯვნით, ცოტა ქვემოთ: „ს᾽ნშ(?)ღლ"; ამ უკანასკნელი წარწერის გვერდით ამოკოდვილია პატარა კვარცხლბეკიანი ჯვარი. საკურთხევლიდან ჩრდილოეთით პირველ სვეტზე, მარცხნით: ქ᾽ე შ᾽ე ᲲᲜᲐ", ე. ი.: „ქრისტე, შეიწყალე ᲲᲝᲜᲐ", ხოლო იქვე მარჯვნით: „ქ᾽ე შ᾽ე მ᾽ქლ", ე. ი.: „ქრისტე, შეიწყალე მიქელ". საკურთხევლიდან ჩრდილოეთით მეორე სვეტზე, უქარაგმოდ „პე", ე. ი. „პეტრე".

VI

XVII ს-ის დამდეგიდან მოყოლებული ცნობები ბოლნისის შესახებ უცებ მრავლდება, ხოლო ამ საუკუნის დამლევისა და XVIII ს-ის დამდეგისათვის უფრო და უფრო მატულობს. მთელი რიგი ნასყიდობის წიგნები, დასტურლამალი, 1721 წლ. ხალხის აღწერის დავთარი და XVIII ს-ის ისტორიკოსების ცნობები საშუალებას გვაძლევს საკმაო ზედმიწევნილობით გავითვალისწინოთ ბოლნისის ისტორია, მეურნეობა და მოსახლეობის ვითარება ვიდრე XVIII ს-ის შუახანებამდე, როდესაც ცნობები ისევ-ისე წყდება.

ნასყიდობის წიგნებიდან ჩანს, რომ ძირითადი დარგი მეურნეობისა XVII-XVIII საუკუნეებში აქ, მემინდვრეობის გვერდით, მევენახეობაა.[1] ზოგჯერ სახნავი მიწაც იყიდება,[2] მაგრამ დიდზე დიდი უმრავლესობა ნასყიდობისა შეეხება ვენახს ანუ ზვარს. ძირითადი გადასახადი ღალა (პური ან ქერი) და კულუხია (ღვინო, ტკბილი). მერე საკლავი (ხარი,

---

[1] რომ უწინაც მევენახეობა აქ გავრცელებული ყოფილა, ეს ჩანს თევდორწმინდანის („ვანქის") წარწერიდან, რომელშიც აღნიშნულია ვენახისა და ჭურების შეწირულობა (Mél. Asiat. II, 318-319 და აქვე, გვ. 25, შენ. 3. ბ).

[2] იხ. მაგ. Крест. грам. გვ. 3 (1621 ნ.) – სახნავი მიწის ნასყიდობა, გვ. 10 (1729 ნ.) – სახნავი მიწის იჯარა.

ცხვარი, ღორი) და ბოლოს ფულიც. 1611 წ. ბოლნისის სიონისათვის შეწირულ ყმას სააღაპოდ უნდა გამოეღო: 2 ცხვარი, 5 კოდი პური, 7 კოკა ღვინო, 2 ლიტრა თევზი, 1/2 ჩარექი სანთელი, 1 ქსანი საკმელი და 1 ფლური და 3 შაური.[1] დასტურლამალიდან ჩანს, რომ ბოლნისში პურის გვერდით მოჰყავდათ ქერიც, რომ რქოსანი საქონლის გვერდით აშენებდნენ ცხენსაც, ღორსაც, ქათამსაც და ბოლოს მეაბრეშუმეობაც ყოფილა გავრცელებული, თუმცა მცირედ.

ამგვარად, ბოლნისში ჩვენ გვაქვს შემდეგი დარგები სასოფლო მეურნეობისა: მემინდვრეობა, მევენახეობა და მებაღეობა,[2] მესაქონლეობა, მეფუტკრეობა (სანთელი) და მეაბრეშუმეობა (ყაჭი). ტყე, რა თქმა უნდა, თუ მეტი არა, ნაკლები არ იქნებოდა ვიდრე დღესაა;[3] მისდევდნენ, როგორც ჩანს მცირედ, მეთევზეობასაც. ფულიც ბოლნისში საკმაოდ ტრიალებდა, ე. ი. ბაზარიც ყოფილა იქ, რასაც ადასტურებს 1619 წლის ცნობა ბოლნისში არსებული საბაჟოს შესახებ[4] და ის გარემოება რომ 1678-1688 წლებში ნიკოლოზ ბოლნელს ბოლნისის სიონისათვის ქარვასლა და დუქნები აუშენებია (იხ. ქვემოთ). ამას გარდა, ბოლნისში ნაცვლობის მოხელეობაც, ე. ი. ბაზრის ზედამხედველობაც ყოფილა[5] და ვახუშტი ხომ ბოლნისს „მცირე ქალაქს" უწოდებს (გეოგრ., გვ. 45).

სრული ცნობები, სამწუხაროდ, მაინც გვაკლია, მე უკვე მქონდა შემთხვევა ვახუშტის ცნობა მომეყვანა, რომელსაც სავსებით ადასტურებენ ზემომოყვანილი საბუთებიც.

როგორი იყო ბოლნისის მოსახლეობის ეკონომიური ვითარება XVII ს-ის შუახანებამდე, არ ვიცით, ხოლო ამ დროს და ვიდრე XVIII ს-ის 30-იანებამდე ეს მხარე საკმაოდ მდიდარი, დოვლათიანი ჩანს. საბეგრო დავთრები ბოლნისელებისათვის არ მოგვეპოვება, ცნობები სუმარულია, ისე რომ გამოსაღების ნორმების შესახებ არაფერი ითქმის, მაგრამ საზოგადოდ გამოსაღები დიდია, რაც კარგად ჩანს დასტურლამალის ცნობების შედარებით 1721 წლ. ხალხის აღწერის დავთრის ცნობებთან. ამასთანავე, იგი არა მარტო სულადია, არამედ, როგორც უკვე აღინიშნა, ფულადიც. სასოფლო მეურნეობა აქ, როგორც ვნახეთ, წინწაწეული, მრავალმხრივი იყო. განსაკუთრებით აღსანიშნავია მეურნეობის ინტენსიური დარგები, როგორიც არის მევენახეობა და მებაღეობა („ვენახნი და ხილნი მრავალნი"), რომლებიც აქ, ალბათ, დიდი ხნის შემოღებული იყო და ამ მხარის სიმდიდრეს შეადგენდა. XVII ს-ის მეორე ნახევარში, შედარებით ხელსაყრელ პოლიტიკურ პირობებთან დაკავშირებით, მეურნეობა საზოგადოდ ქართლში აღორძინების გზას დაადგა. ბოლნისში ამ გარემოებამ კონკრეტული გამოხატულება ჰპოვა კერძოდ იმ აღმშენებლობაში, რომლის შესახებაც ნიკოლოზ ბოლნელის 1678-1688 წლების წარწერა

---

1 ისტორ. საბ. IV, 6-8.

2 1735 წ. ნასყიდობის წიგნში (საქ. სიძვ. II, 378-380) იხსენიება ვენახი ნიგვზითა და ხილით.

3 დასტურლამალში (გვ. 18) შეშის გამოსაღებია გაწერილი.

4 ქრონიკ. II, 443. აქ სწერია: „ბოლნისზე თუ თრიალეთზე ან ჩვენს (ე. ი. ორბელიანების, ლ. მ.) მამულში რაც ქარავანი გაივლის, ბაჟი სულ ჩვენა: აბრეშუმზე აბაზი, ენდროზე და ბამბაზე ორი შაური, ფარჩაზე ექვსი შაური, ხიზილალაზე, თევზზე ერთი შაური, ბრინჯზე ერთი შაური, რკინისა რისაც ფერის, ერბოს, თაფლის ბაჟი არა გვინახავს". არ ჩანს თუ რა გადიოდა სახელდობრ ბოლნისზე. რკინის შესახებ რაღაც გაუგებრადაა ნათქვამი; თუ აქ მართლა რკინის გატანაზეა ლაპარაკი, მაშინ, ალბათ, ადგილობრივი მადნების გამოსავალი უნდა ვიგულვოთ.

5 იხ. Крест. грам., გვ. 3 (1621, ნაცვალი გიორგი შანშიაშვილი), საქ. სიძვ. II, 254-255 და 255-257 (1665 და 1674, შუაბოლნისის ნაცვალი დათუნა), იქვე, გვ. 174-175 (1692, შუა ბოლნისის ნაცვალი ბერუა), იქვე, გვ. 251-253 (1693, შუაბოლნისის ნაცვალი კაცია).

მოგვითხრობს (იხ. ქვემოთ) და რომლიდანაც ჩანს, რომ ამ დროს ბოლნისის სიონს ქარვასლა და დუქნებიც დასჭირვებია. მაგრამ სწორედ XVII ს-ის შუახანებში უკვე აშკარა კრიზისის ნიშნებიც ჩანს. ქართლის ეკონომიკური ვითარება XVII და XVIII საუკუნეებში ჯერ კიდევ იმდენად შეუსწავლელია, რომ ყველა მოვლენის გარკვევა შეუძლებელი ხდება. XVII ს-ის განმავლობაში და განსაკუთრებით ამ საუკუნის მეორე ნახევარში ქართლში მომხდარი სოციალ-ეკონომიური ცვლილებების მიზეზების გარკვევა სპეციალურ მონოგრაფიულ შესწავლას მოითხოვს. ამჟამად ეს ჩვენს საგანს არ შეადგენს და მაინც და მაინც არცაა ჩვენთვის საჭირო. ამიტომ, მე შემიძლია მხოლოდ ფაქტების აღნუსხვას დავკმაყოფილდე.

კრიზისის პირველი გერში ის დამახასიათებელი მოვლენაა, რომ XVII ს-ის 60-იანი წლებიდან მოყოლებული უცებ მრავლდება ბოლნისური მიწების ნასყიდობის წიგნები. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, არ შეიძლება მხოლოდ იმით აიხსნას, ვითომც ამ ხანის საბუთები შემთხვევით მეტი შემონახულიყოს, ვიდრე მასზე უწინარესი დროისა. პირიქით, სრულებით ცხადია, რომ XVII ს-ის მეორე ნახევარში მიწა და განსაკუთრებით სავენახე მიწა ბოლნისში ამოძრავებულია, იგი ხელიდან ხელში გადადის, რათა ბოლოს მსხვილ მემამულეთა მფლობელობაში მოექცეს.[1] ეს პროცესი გრძელდება ვიდრე XVIII ს-ის 30-იანებამდე. ჰყიდის წვრილი მიწათმფლობელი, რომელიც, როგორც ჩანს, ველარ უძლებს მძიმე გადასახადებს, ჰყიდის ხან მკვიდრ მამულს, ხან ნასყიდს (ისიც, ზოგჯერ, სულ ახალ ნასყიდს).[2] სოფელში წარმოებს პროცესი მოსახლეობის დიფერენციაციისა: ერთის მხრით ჩნდებიან ე. წ. ანფები ანუ ამფები, თავი, უფროსი კაცები, რომლებიც ამავე დროს, ალბათ, სხვებზე შეძლებულებიც არიან,[3] მეორე მხრით ხდება გლეხური მასების გაუმიწოება, რომელსაც მარტო აოხრებითა და ხიზნობით ვერ ავხსნით. თანახმად 1721 წლის ხალხის აღწერის დავთრისა, შუა ბოლნისში 58 კომლ ე. წ. მსახლობარ გლეხზე 36 ბოგანო მოდიოდა, ე. ი. ბოგანოები შეადგენდნენ სოფლის მოსახლეობის დაახლ. 38%-ს; ქვემო ბოლნისში 83 კომლი იყო მსახლობარი და 23 ბოგანო, ე. ი. სოფლის მოსახლეობის დაახლოებით 21%; ზემო ბოლნისში – 17 კომლი მსახლობარი და 2 ბოგანო, ე. ი. მოსახლეობის დაახლ. 10%. ასეთია შეფარდება სხვაგანაც სომხითის მხარეს.[4]

---

1 იხ. ქვემოთ ორბელიანთა ნასყიდობის წიგნების შესახებ ცნობები.

2 იხ. მაგ., საქ. სიძვ. II, 254-255 (1665 წ. ნასყიდობა; ბართაშვილები შიოშბეგისშვილებისაგან ყიდულობენ მათ მიერ ძეგელაშვილებისა და ნავროზაშვილებისაგან ნასყიდ ვენახებს) იქვე, გვ. 134-139 (1677 წლ. ნასყიდობა: ყაფლანიშვილები ყიდულობენ ზაქუმიშვილებისაგან მათ მკვიდრ ზვარს), და მრ. სხვ. თავ-თავის ადგილას ციტირებული საბუთები.

3 იხ. საქ. სიძვ. II, 255-257 (1674 წლ. ნასყიდობას ამოწმებენ „შუაბოლნისის ამფები"). 174-175 (1692 წლ. ნასყიდობას ამოწმებენ „შუაბოლნელი ამფები"), 251-253 (1693 წლ. ნასყიდობას ამოწმებენ „შუაბოლნისის ამფაები" და „ქვემო-ბოლნისის ამფაები").

4 რა თქმა უნდა, მაშინდელი ბოგანო მთლად უმიწო გლეხად არ უნდა წარმოვიდგინოთ, მაგრამ მაინც მისი ეკონომიური მდგომარეობა გაცილებით უფრო გაჭირვებული იყო შედარებით მსახლობარ გლეხთან. ვახტანგ VI-ით, ბოგანო „მას ჰქვიან, რომე ვენახი არა ჰქონდეს, თითო სახლი და რჩომის ალაგი ექნების და მიწა ან ექნების ან არა" (ციტირ. პ. უმიკაშვილის მიხედვით, დასტურლამალი, გვ. 166). ს. ორბელიანი ბოგანოს განმარტავს, როგორც „უაგარაკო გლეხს". აქედან ჩანს, რომ სახლკარი ბოგანოსაც, ყოველ შემთხვევაში, ჰქონდა და სახნავი მიწაც შეიძლებოდა ჰქონოდა. მართლაც, გლეხების სრული პროლეტარიზაცია იმ-

მიწის შემსყიდველები, როგორც აღვნიშნე, მსხვილი მიწათმფლობელები არიან, უმთავრესად ორბელიანები. მაგრამ ესენი თვითონაც აქაური მკვიდრნი იყვნენ. უფრო დამახასიათებელია, რომ თანახმად 1721 წლ. ხალხის აღწერის დავთარისა, ბოლნისში ე. წ. „გარეშე კაცნიც" გაჩენილან (სხელდობრ, ქვემო-ბოლნისში, გვ. 236-238), მეტწილად ქართველი მემამულენი (თუმანიშვილები, გლურჯიძენი, გარსევანიშვილები და სხვ.), რომლებსაც, როგორც ჩანს, დიდი ხანი არ არის, რაც აქ მიწები და ყმები შეუძენიათ. საფიქრებელია, რომ მსხვილი მემამულის მეურნეობა დამყარებული იყო ეხლა ერთის მხრით ბოგანოების შრომაზე და მეორე მხრით მიწების იჯარით გაცემაზე.[1] ამავე დროს ყმას ეკისრება მძიმე გადასახადები და ბეგარა. როდესაც დასტურლამალში ბოლნისის გამოსაღებს ჰკითხულობთ (გვ. 17-19) და იცით, რომ იგი შეეხება მხოლოდ იმ 45 კომლ ყმას, რომლებიც, თანახმად 1721 წლ. ხალხის აღწერის დავთრისა, მეფეს ქვემო-ბოლნისში ჰყავდა (გვ. 233-234), გაკვირვებთ, თუ როგორი დიდი გადასახადების აკრეფის საშუალებას იძლეოდა მაინც ადგილობრივი მეურნეობა ჯერ კიდევ ამ ხანაში.[2]

VII

XIII-XIV ს-ებში ბოლნისში და მის ხეობაში ჯერ კიდევ აშკარად სჭარბობდა ქართული მოსახლეობა. ამას სრული უეჭველობით ამტკიცებს ქართული წარწერების სიმრავლე. ეს წარწერები თვით ბოლნისში, უმეტეს წილად, უფრო ძველ ხანას, X-XI საუკუნეებს ეკუთვნის, სამაგიეროდ XIII-XIV ს-ისაა წულრულაშენის და თევდორ-წმინდანის წარწერები და თვით ეს ძეგლებიც, ხუჯაბთან ერთად, ამ საუკუნეებშია აშენებული. პირიქით, სომხური აღმშენებლობა და სომხური წარწერები (ერთი სათუო გამონაკლისის გარდა) აქ ამ დროისათვის სრულებით არა ჩანს. XVII-XVIII ს-ებში კი ბოლნისის მოსახლეობა უკვე თითქმის მთლიანად სომხურია. სომხებითაა დასახლებული არა მარტო ბოლნისები, არამედ, როგორც ზემოთ უკვე მქონდა აღნიშნული, მთელი ბოლნისის ხეობაც. იმ მრავალ გვართა შორის, რომლების ამოკრეფაც შეიძლება XVII-XVIII ს-ის ბოლნისური საბუთებიდან, თითო-ოროლაზე თუ ითქმის დაბეჯითებით: „ქართულიაო". მაგრამ ეს სომხობა, ყველა ნიშნებით, კარგა ხნის დასახლებული უნდა ყოფილიყო ამ მხარეში და მას შეთვისებული უნდა ჰქონოდა ქართული ენა, გვარებს ყველას ქართული დაბოლოება აქვს, სახელები უმეტეს წილად სომხურია, მაგრამ გვხვდება ქართულიც. საბუთები, მკვიდრ მოსახლეთა შორისაც, როცა ორივე მხარის წარმომადგენელი სომეხია, ქართულად იწერება. ვახუშტიც ხომ ამბობს, რომ „ამ ადგილთა შინა მოსახლენი არიან სარწმუნოებით სომეხნი... არამედ ქცევა-ზნითა ქართულითაო" (გეოგრ., გვ. 46).

დროინდელ საქართველოში წარმოუდგენელი იქნებოდა, მაგრამ ბოგანო მაინც გაუმიწოების გზაზე შემდგარი გლეხი იყო.

[1] იჯარის შესახებ, სამწუხაროდ, მხოლოდ ორი ცნობა მოგვეპოვება: 1728 წლის საბუთიდან ჩანს, რომ დომენტი ტფილელ-ბოლნელს ბოლნისის სიონის მამულები იჯარით გაუცია (იხ: Пл. Иосселиани, Описание древностей гор. Тифлиса. 1866, გვ. 219), ხოლო 1729 წლ. საბუთით, ბოლნისის მამასახლისს ბერუ(ა)შვილს ედიშერ მდივნისაგან აუღია იჯარით სახნავი მიწა (Крест. грам., გვ. 10).

[2] შდ. სხვა ცნობები დასტურლამალიდან – გვ. 6, 44, 76, 107, 116-117; საინტერესოა რომ ჯერ კიდევ 1736 წ. ბოლნისში იყიდება 70-ქვევრიანი მარანი, რომლის პატრონი უბრალო მოსახლე ჩანს (საქ. სიძვ. II, 381-382).

უკვე 1611 წლის შენირულობის წიგნიდან ჩანს, რომ ბოლნისში მოსახლე დედოფლის ყმა ტომით სომეხია: მას „ვართანა" ეწოდება (ისტორ. საბ. IV, გვ. 6-8).

შუაბოლნისის მოსახლენი, 1665 წლ. ერთი საბუთის მიხედვით, არიან: მირაქაშვილი მირაქ, ჩიგიანასშვილი მირიმანა, ჯავარაშვილი ბახია, ყულიაშვილი საქია, ჭონაშვილი ულუხანა, ქიტუაშვილი დათუნა და გურგენიძე ბადრია (საქ. სიძვ. II, 254-255). ამათგან მხოლოდ უმცირესობის შესახებ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისინი ტომით ქართველებია. 1737 წლის საბუთით შუაბოლნისში სახლობდნენ ბეროიანთ ზალია, პეტროზანთ თამაზა, მალინა(ნ)თ ყაზარა, ბაბინანთ თურმანა და ტერ-მესროფა, ზიადანთ ოთარა, დურინა(ნ)თ დურია, აქელანთ ბეჟია, მანთაშანთ ყაითმაზა, ჩიგიანთ ბეჟოა, ავთანდილასშვილი გიორგი (საქ. სიძვ. II, 389).

ზემო ბოლნისში, 1677 წლის საბუთით, შემდეგი გვარები გვხვდება: ჰეჯუბაშვილი ხეჩიკა, შავერდაშვილი დათია, (საქ. სიძვ. II, 135-139), 1693 წლის საბუთით: ზავარაშვილი ბეჟან, იაგულაშვილი ვახუშტი, ურქმაზაშვილი ფარსადან, მამაგულაშვილი ბერუა, ეჯუბაშვილი ვართან (იქვე, გვ. 110).

ქვემო-ბოლნისში, 1693 წლის საბუთით, სახლობენ: ჯანდიერისშვილი ავთანდილ და გორჯასპი, არეშისშვილი გორჯასპი, ყადიასშვილი დავითა, შაღულიანასშვილი ამირხანა და შანაზარა (იქვე, 251-253).

ამ ცნობებს სავსებით ადასტურებენ, როგორც დასტურლამალი, ისე, განსაკუთრებით, 1721 წლის ხალხის აღწერის დავთარი. ადასტურებენ ამას ეპიგრაფიკული ძეგლებიც (იხ. ზემოთ ხუჯაბის, ხაჩინის, სამწევრისის და „თურუნ-ახპერის", და მაშავრის ხიდის შესახებ).

მსხვილი მემამულენი კი XVI-XVIII საუკუნეებშიც ბოლნისში უმთავრესად ქართველები არიან. პირველ ყოვლისა მეფეა აქ მსხვილი მემამულე და ყმების პატრონი. ვახტანგ V-ს სოფ. ბოლნისი (რომელი, არ ჩანს) 1670 წელს ბოლნისის ეკლესიისათვის უწყალობებია (Цирк. гудж., გვ. 35); დასტურლამალიდან ჩანს, რომ ბოლნისიდან მეფეს დიდი შემოსავალი ჰქონდა (გვ. 17-19), ხოლო იქვე პირდაპირაა ნათქვამი, რომ „შუა-ბოლნისი სულობით" სადედოფლოაო (გვ. 129). 1721 წლ. ხალხის აღწერის დავთრის თანახმად, 58 კომლი მსახლობარი ყმიდან შუაბოლნისში, სახასო იყო 40 კომლი და 36 ბოგანოდან იქვე, სახასო იყო 7 და სახასოდან გაცემული – 8 (გვ. 241-244). ხოლო 83 მსახლობარი კომლიდან ქვემო-ბოლნისში, სახასო იყო 45 კომლი და 23 ბოგანოდან იქვე, სახასო იყო 10 (გვ. 233-34). როგორც ვხედავთ, დიდი უმრავლესობა ყმებისა შუაბოლნისში და ნახევარზე მეტი ქვემო-ბოლნისში მეფეს ან დედოფალს ეკუთვნოდა. საინტერესოა ისიც, რომ, პირიქით, ბოგანოები სააზნაურო მეტია ვიდრე სახასო.

ზემო-ბოლნისში, რომელიც 1721 წელს სხვა ბოლნისებზე გაცილებით უფრო მცირე სოფელი ჩანს, მეფეს ყმები არ ჰყოლია.

რომ ბოლნისები ჯერ კიდევ XVIII ს-ის შუახანებში სახარბიელო და შესაძინებელი საპატრონო იყო, ეს იქიდანა ჩანს რომ 1747 წ. თეიმურაზმა ბატონიშვილს აბდულაბეგს შერიგების ნიშნად მისცა „რაც საბატონიშვილო იყო სომხით-საბარათაშვილოსი და ბოლნისები" (პაპ. ორბ., გვ. 157), ხოლო მის ძმას, ბატონიშვილს უსეინ-ბეგს, იმავე თეიმურაზმა 1750 წ., მიუხედავად შერიგებისა, ბოლნისები მაინც დაადებინა და ისევ სახასოდ დადვა (იქვე, გვ. 178).

მეფის შემდეგ, თუ 1721 წლ. ხალხის აღწერის დავთარს დავემყარეთ, მსხვილ მემამულედ და ყმების პატრონად ბოლნელი უნდა დავასახელოთ. ზემოთ უკვე მოვიხსენიე, რომ ვახტანგ V-ს სოფ. ბოლნისი სიონისათვის შეუწირავს. 1721 წ. ხალხის აღწერის დავთრის მიხედვით საფიქრებელი ხდება, რომ ეს უნდა ყოფილიყო ზემო-ბოლნისი:

17 კომლი მსახლობარი ყმიდან ბოლნელს ეკუთვნის აქ 16 კომლი და 2 ბოგანოდან 1 ბოლნელისაა (გვ. 256-257); გარდა ამისა, ბოლნელს ჰყავს 2 კომლი მსახლობარი და 1 ბოგანო შუაბოლნისში (გვ. 256). რა თქმა უნდა, ბოლნელის მფლობელობაც მარტო ბოლნისებით არ განისაზღვრებოდა.

მსხვილი მფლობელობა აქვთ ბოლნისებში ყაფლანიშვილებს ანუ ორბელიანებს, რომლებიც, როგორც ეს XVII ს-ის დამლევის და XVIII ს-ის დამდეგის მრავალი ნასყიდობის წიგნიდან ჩანს, გაფაციცებით იძენენ ამ დროს მიწებს, უმთავრესად ვენახებს, ადგილობრივ მკვიდრთაგან.[1] 1619 წლის საბუთის მიხედვით, ბოლნისში ორბელიანებს ბაჟიც აუღიათ და კულუხის გამოსაღები ჰქონიათ შუაბოლნისში 100 საპალნე ტკბილი, ხოლო ქვემო-ბოლნისში – 40 საპალნე; საინტერესოა, რომ მომდევნო წელს (1620) მათ აუღიათ უკვე 140 საპალნე შუაბოლნისში და 43 საპალნე ქვემო-ბოლნისში (ქრონიკ. II, 443).

მამულების პატრონები არიან ბოლნისში, გარდა ამისა: გლურჯიძენი (ქვემო-ბოლნისი, 1635 წ. – Hist. de G. II: 2, Addit, XVI, გვ. 484; 1721 წ. – ხალხ. აღწ. დავთ., გვ. 237); დმანელი ეპისკოპოსი (შუაბოლნისი, 1665 – საქ. სიძვ. II, 254-255; 1736 წ. – იქვე, გვ. 385-386; 1737 წ. – იქვე, გვ. 389); ბარათაშვილები (1670 წ. – საქ. სიძვ. II, გვ. 92); რჩეულასშვილი (ზემო-ბოლნისი, 1677 წ. – საქ. სიძვ. II, 138-139) და სხვ.

სომეხთაგან მხოლოდ შანშიაშვილები ჩანან მეტნაკლებად მსხვილ მემამულეებად (1621 წ. – Крест. грам., გვ. 3, 1670 წ. – საქ. სიძვ. II, 92, 1693 წ. – იქვე, გვ. 110); დანარჩენები – ძეგელაშვილები, ნავროზაშვილები, შერმაზაშვილები, ჰეჯუბაშვილები, ურდუბეგაშვილები, შამაზაშვილები, ზაქუმაშვილები, ტერტერაშვილები, მინაშვილები, ნაზარაშვილები, მაზმანიშვილები, დოლენჯიშვილები და მრ. სხვ. – წვრილ-წვრილი მემამულენი და აზნაურნი არიან.

მიწის მფლობელობის განაწილების შესაფერისად, წვრილი ადგილობრივი ხელისუფალნიც სომხები არიან, რა თქმა უნდა, შეძლებულნი მოსახლენი: მამასახლისები, ნაცვლები, ნაზირები, ხასადარები და სხვ., მოურავებად კი, უმეტეს შემთხვევაში, ქართველი თავადები დგანან (იხ. მაგ., საქ. სიძვ. II, 255-257, პაპ, ორბ., გვ. 162).

VIII

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, ხატის-სოფელში შენახული წარწერა 1634 წლის ახლო ხანის ამბებს მოგვითხრობს. ამ წელს თურმან თურმანიძეს ეს სოფელი აოხრებული დაჰხვედრია. ეს იყო შაჰაბასის შემოსევის შედეგი. ცხადია რომ თუ ხატის-სოფელი დაშავდა, ვერც ბოლნისი გადაურჩებოდა აოხრებას. მართლაც, XVII ს-ის შუახანებში საჭირო გამხდარა ბოლნისის სიონის აღდგენა. ვახუშტი ამბობს: ბოლნისის სიონი „შემუსრვილი აღაშენა პთ დედოფალმან მარიამ" (გეოგრ., გვ. 45; მარიამი როსტომ მეფემ შეირთო 1638 წ., ხოლო გარდაიცვალა იგი 1680 წ.). როსტომის დროინდელი აღმდგენელ-აღმშენებლობითი მოღვაწეობის კვალი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული (ციხეების და ხიდების შესახებ), საზოგადოდ მრავალგან ატყვია ამ მხარეს. სწორედ მარია-

[1] იხ., მაგ. 1674 წლ. ნასყიდობა, საქ. სიძვ. II, 255-257, 1677 წლისა – იქვე, გვ. 138-139, 1673-ისა – იქვე, გვ. 238-259, 1693-ისა – იქვე, გვ. 251-253, 1698-ისა – იქვე, გვ. 120, 1701-ისა – იქვე, გვ. 184-185, 1735-ისა – იქვე, გვ. 378-379, 1736-ისა – იქვე, გვ. 381-382 და 385-386, 1737-სა – იქვე, გვ. 389 და შდ. იქვე, გვ. 395 და სხვ.



სურ. 22. ბოლნისის სიონის სამრეკლო: ნიკოლოზ ბოლნელის წარწერა.

მის დროს უნდა იყოს ბოლნისის სიონი ხელახლად გადახურული და ეგებ მაშინ გაუკეთეს მას ახალი ისრული თაღებიც. ამის შემდეგ ბოლნისი ერთ ხანს მშვიდობიანობისა და დოვლათიანობის პერიოდს განიცდის.

13. ამ დროს ეკუთვნის ნიკოლოზ ბოლნელის მხედრული წარწერა, რომელიც მოთავსებულია სიონის სამრეკლოს ჩრდილო-დასავლეთ კედელში, შესავლის ზემოთ თახჩაში ჩასმულს ორს ქვაზე (სურ. 22).

ქ. შეწევნით(ა) ღ˜თისათა [ჩ]ვენ, მუხრანის ბატონის შვილმა(ა)ნ ბოლ|ნელ ეფისკოპ(ო) ზმან ბაგრატის ძემან|პატრონმა ნიკოლ(ო) ზ, მოვედით ბოლნის|სიონთა ღთის(მშობლის) საჭის მპყრობელად, ამის|ი პატიოსნება ვიგ[უ]ლეთ, დაუხატვინეთ შიგნ|ით კა(ნ)კელი,[1] საფსა[ლმ]უნე[2] და სალხინებელ(ი) აუშ|ენ(ე)[თ][3] [და] კარ[ი]თ და ხატით შევამკევ და|შევწირე ერთი [წინ]საძღომი[4] ჯვარი, ერთი ჯვარსან[თელი],[5] ერთი ყავარ|ჯენი, ერთი ჭელი[6] სულ სირმით ნაკერი საეფისკოპოზო შესამოსელი, ერთი ჭელი სამღდლო შესამოსი, ვერცხლის ბარძიმ-|ფეხშუმი, ნაკერი პერქლები. ესები უკლ(ე)ბრივ შემიწირავს. [კიდევ ე]რთი[7] ჭელი[8] წიგ|ნები. მეფის გი[ორგი]ს ბძანებით, სამრე|კლო, ქარვასლა, დუ[ქნები][9] აუშენე ჩემთვის|შესანდობლად, მამის ჩემისა და დედის ჩემის|სასულიეროდ, შენდობასა იტყოდით, ა[მინ].

---

1 ნამდვილად სწერია: „კაკაელი“.

2 „ფ“-არი ამ სიტყვაში ისე სწერია რომ „თ“-ანსა ჰგავს; „ლ“-ასის მხოლოდ მცირე ნაწილიღა ჩანს.

3 „თ“-ანისა მხოლოდ მუცლის ნაწილიღაა შერჩენილი.

4 აღდგენილია „ნ“-არის ნაშთის მიხედვით.

5 „ჯვარსანთელი“ გვხვდება 1687 წლ. მცხეთის სიგელში (ისტორ. საბ. IV, 65: „ერთი ოქროთი დაფერილი ვერცხლის ჯვარსანთელი“). და მაინც ჩემი აღდგენა სათუოა: პირველი 4 ასო („ჯვარ“) კარგად იკითხება, თუმცა ზემო-კიდურები ამოტეხილია; შემდეგ მოდის რაღაც გაუგებარი ნიშანი, პატარა წრე, რომელიც ამ შემთხვევაში შეკრული „ი“-ნია, ან კიდე შეიძლება წინამავალი „რ“-აეს ზედმეტ ფეხს წარმოადგენდეს, თუმცა მასთან გადაბმული არაა, მე ეს ნიშანი ზედმეტად მივიჩნიე და მას სულ არ ვკითხულობ. მერმე ცოტა დაშორებით (როგორც დამოუკიდებელი სიტყვა) მოდის „სან“, რომლის შემდეგ ჩანს „თ“-ანის მუცლის ნაწილი, შემდეგ ნათოფურია და ამონატეხის მეორე კიდეზე შენახულია „ი“-ნის მარჯვენა ნახევარი. არავითარი სხვა სიტყვა, გარდა „ჯვარსანთელისა“ აქ არ მოუდგა და მეც ასეთ წაკითხვაზე შევჩერდი.

6 პირველი ასო თხზულია და ამიტომ ეს სიტყვა ასეც შეიძლება წავიკითხოთ: „ყბელი“, რაც სრულებით უაზროა.

7 აღდგენილია ბროსეს წანაკითხით.

8 პირველი ასო აქაც თხზულია და ეს სიტყვა თითქოს ასეც შეიძლება წავიკითხოთ: „ძველ“.

9 აღდგენილია ბროსეს წანაკითხით.

წარწერა „ანმეტია", რაც მე არ დამიცავს. ქარაგმის ნიშანი მხოლოდ ერთხელაა ნახმარი (სტრ. 1: „ღ˜თისათა"). სასვენი ნიშნები სულ არ მოიპოვება, უჩვეულოა თავისი მოხაზულობით ასო „ჴ"-არი, რომელიც ორი ასოს ლიგატურასა ჰგავს.

ბართოლომეს დროს (1853 წ.), რომლის გადმონაწერის მიხედვით ეს წარწერა მ. ბროსემ გამოსცა (Mél. Asiat. II, 321-322), იგი უკეთ ყოფილა დაცული. ეხლა ტექსტი რამდენსამე ადგილას ამოტეხილია ნათოფურებით. მაგრამ მაინც ბროსეს წანაკითხი სრული არაა.

XVII ს-ის ბოლნელების სია, განსაკუთრებით ამ საუკუნის დამლევისათვის, შედარებით კარგადაა ცნობილი:

1611 წ. ბოლნისში ეპისკოპოსადაა საბა.[1]

1621 წ. „ „ აბრაამ ბარათაშვილი.[2]

1677 წ. „ „ იოსებ რევისშვილი.[3]

1683 წ. „ „ ნიკოლოზ, ბაგრატ მუხრანბატონის ძე.[4]

1693-1701 წ.წ. ბოლნისში ეპისკოპოსადაა იოვანე რევისშვილი.[5]

ამგვარად, ბოლნისის სამრეკლოს წარწერის ავტორი, ნიკოლოზ ბოლნელი, XVII ს-ის მეორე ნახევარში ცხოვრობდა და წარწერაში მოხსენებული გიორგი მეფე არის გიორგი XI, რომელიც მეფობდა 1675-1688 წ. და 1691-1695 წ. როგორც ვნახეთ, 1693 წ. ბოლნელად უკვე იოვანე რევისშვილია. ამიტომ, საფიქრებელია, რომ ნიკოლოზ ბოლნელის წარწერა გაკეთებულია გიორგი XI-ის პირველი მეფობის დროს, ხოლო რადგან 1677 წ. ბოლნელად იოსებ რევისშვილი იხსენიება, ჩვენი წარწერა და მასთან ნიკოლოზ ბოლნელის აღმშენებლობითი მოღვაწეობა ბოლნისში საკმაოდ ზედმიწევნით განისაზღვრება 1678-1688 წლებით.[6]

იმ შენობათაგან, რომლებსაც ნიკოლოზ ბოლნელი თავის აშენებულად ასახელებს, აღარც ქარვასლა და აღარც დუქნები აღარა ჩანს. ტაძრის გალავნის ფარგლებში აქაიქ რაღაც ქვის შენობების საძირკვლებია შენახული, მაგრამ რაიმე გეგმიან სურათს ეს კედლების ნაშთები არ იძლევა და, ყოველ შემთხვევაში, არსადა ჩანს მოზრდილი შენობის კვალი, როგორც ქარვასლა უნდა ყოფილიყო. სამრეკლო კი შედარებით კარგადაა დაცული (სურ. 23). ეს ოთხკუთხი სამსართულიანი შენობა ტაძრის სამხრეთ-და-

---

1 ისტორ. საბ. IV, 6-8; ამავე სიგელის შინაარსი მოჰყავს დ. ფურცელაძეს 1604 წლის ქვეშ (Церк. гудж., გვ. 35).

2 Крест. грам., გვ. 3; ფურცელაძეს რუსულად უწერია: „Бонельский епископ Авраам Бараташвили", მაგრ. რადგან მინა ზემო-ბოლნისში იყიდება, ცხადია რომ უნდა იყოს „Болнисский".

3 საქ. სიძვ. II, 138-139; ბოლნელი რევისშვილი იოსებ ამოწმებს ნასყიდობის წიგნს.

4 ქრონიკ. II, 497: შეწირულობის წიგნი ნიკოლოზ ბოლნელი ეპისკოპოსისა, მუხრანბატონის ბაგრატის ძისა. ნიკოლოზი თავის ბიძად იხსენიებს „კურთხეულს ბატონს კათალიკოზს". ეს უნდა იყოს დომენტი კათალიკოზი ქაიხოსროს ძე, რომელიც გარდაიცვალა 1675 წ.

5 საქ. სიძვ. II, გვ. 110 (1693 წ.), გვ. 251-253 (1693 წ., შდ. ზემ. გვ. 320. შენ. 7), გვ. 184-185 (1701 წ. – აქ უბრალოდ „რევიშვილია" დასახელებული, მაგრამ, ალბათ, იგივე იოანე უნდა იყოს).

6 პოლიტიკური ამბების მიხედვითაც საფიქრებელია, რომ ნიკოლოზ ბოლნელი გიორგი XI-ის პირველი მეფობის დროს მოღვაწეობდა. გიორგის პირველი მეფობის დროს ქართლი დამშვიდებული იყო. მისი რაჭაში წასვლა 1688 წ. გამოწვეული იყო შინაგანი არეულობითა და ქიშპობით. მისი მეორე მეფობაც შფოთიანი იყო. ძნელი წარმოსადგენია, რომ ამ დროს მას აღმშენებლობისათვის მოეცალა, როგორც ამას ჩვენი წარწერა მოგვითხრობს (სამრეკლო, ქარვასლა და დუქნები ნიკოლოზმა გიორგის ბრძანებით ააშენა).



სურ. 23. ბოლნისის სიონის სამრეკლო. საერთო ასახულობა ჩრდ.-დასავლეთიდან.

სავლეთითა დგას, იგი ნაგებია მქისედ ჩამოთლილი საშუალო ზომის ქვით ქვიტკირზე გამტანისად და ნაწილობრივ აგურითაც. მაღლა სართულში ასავალი მას შიგნიდან არა აქვს, არამედ გარედან სარკმლით თუ ადიოდნენ ზევით ხის კიბის საშუალებით, რომელიც დღეს, რა თქმა უნდა, აღარაა. რომ სამრეკლოსაც განუცდია შეკეთება, ეს იქიდანა ჩანს, რომ თავდაპირველი მაღალი და ფართო შესავალი დაპატარავების მიზნით ამოუშენებიათ. ეს უნდა მომხდარიყო XVIII ს-ის პირველ ათეულებში, როდესაც ლეკთა თარეში გახშირდა და შიშიანობა ჩამოვარდა.[1] მაშინ უნდა იყოს აშენებული ტაძრის გალავანიც (სურ. 24), რის შემდეგ სამრეკლოს ტაძრის ეზოში შესავლის ფუნქცია მიენიჭა. თავდაპირველად სამრეკლოს კარი არ უნდა ჰქონოდა შებმული, მისი ძირა სართული ახდილ გამტანის მალს წარმოადგენდა. ნიკოლოზ ბოლნელიც გალავანს არ იხსენიებს. გალავანი ნაშალ მიწაზე დგას და ნაგებია გვერდებგატეხილი წვრილი ქვით ქვიტკირზე. იგი ნაჩქარევადაა ნაშენი, მისი საძირკველი მიწაში ღრმად არ ზის, სამრეკლოსაგან იგი ნაგებობის მხრით თვალსაჩინოდ განირჩევა. გარდა ამისა, ის ძალიან უმწეოდაა გარედან მიდგმული სამრეკლოზე, კარგად არ ემთხვევა მის კუთხეებს და ორიენტაციაც სამრეკლოს კედლის პარალელური კი არა აქვს, არამედ გეზად მოდის მასთან, რასაც ადგილი არ ექნებოდა, იგი რომ სამრეკლოსთან ერთად ყოფილიყო აშენებული.

გალავანი ოთხკუთხია, სიგრძით (SW-NO) დაახლ. 90 მ., სიგანით (SO-NW) დაახლ. 56 მ.; მისი ჩრდილო-დასავლეთი კედელი შიგნიდან გამაგრებული ყოფილა ბურჯებით

[1] მე მგონი უფრო ნიშანდობლივადაც შეიძლება ითქვას, რომ ეს უნდა მომხდარიყო ვახტანგ VI-ის წასვლის, ე. ი. 1724 წლის შემდეგ, რადგან სწორედ მაშინ დაიწყო მანამდე უნახავი არეულობა და რბევა; ანტონი კ"ზის 1749 წლ. საბუთიც (ნ. ქვემ.) გვიდასტურებს ამ მოსაზრებას.

სურ. 24. ბოლნისის სიონი. პანორამა ჩრდ.-დასავლეთიდან. სამრეკლო და გალავანი.

(ერთი ბურჯი სამრეკლოს ახლოს გავთხარეთ) და მას კოშკიც ჰქონია. თითო კოშკი იდგა კიდევ გალავნის დასავლეთსა-და ჩრდილო-კუთხეებში. ამგვარად, გალავანი გამაგრებული იყო მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან, სხვაგან კი არა. გალავნის დიდი ნაწილი დღეს უკვე დანგრეულია, კოშკებიც ოდნავღა განირჩევა, მისი კედლის პირვანდელ სიმაღლეზე აღარა ითქმის რა, ხოლო სისქე ზოგან 1,5 მ-ს აღწევს.

IX

XVIII ს-ის პირველ ნახევარში ბოლნისის ბედი უკუღმა დატრიალდა. 1717 წ. და შემდეგ 1730-ში ბოლნისები ლეკებმა დაარბიეს.[1] 1734 წ. ოსმალთაგან სომხით-საბარათიანოს აოხრებისას, ბოლნისი ისევ დაშავდებოდა.[2] შემდეგ, პაპუნა ორბელიანის გადმოცემით, ლეკებს აუოხრებიათ ბოლნისები 1742-ში, 1744-ში და 1745-ში;[3] 1747 წელს მათ დაურბევიათ ბოლნისის ხეობა,[4] და იმავ წელს ისე აუოხრებიათ მთელი სომხითი, რომ „ბოლნისის მეტი და სამწევრის მეტი შენობა აღარსად არ იყოო".[5] მე მოვიტანე მხოლოდ ის ცნობები, სადაც ბოლნისი პირდაპირაა დასახელებული, ხოლო უთუოდ მაშინაც ბევრჯერ უნდა ვიგულვოთ ბოლნისის დარბევა, როდესაც ლაპარაკია ლეკთა თარეშზე საზოგადოდ სომხითში. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ 1741 წ. სპარსელებმა ქართლში ისეთი ხარკი განაწესეს, რომ, პაპუნა ორბელიანის სიტყვით, „მრავალი სული აიყარა, ბევრი ადგილი უმეტესად აოხრდა, მრავალი კაცი ვენახსა და ბაღებს თავისი ხელით კაფიდის და აოხრებდისო" (გვ. 56). ამ თითქმის განუწყვეტელ ყოველწლიურ

---

1 ვახუშტის ცნობა 1717 წლ. იხ. მის ისტორიაში, ჭიჭ. გამ. გვ., 122, ხოლო 1730 წლ. იხ. ს. ჩხ., გვ. 41.

2 იხ. ომ. ხერხ., გვ. 243.

3 პაპ. ორბ., გვ. 76, 90 (აქ სწერია: ლეკებმა და ურუმთა ჯარმა „წაახდინეს ბოლნისელნიო", მაგრამ ეს, ალბათ, უბრალო შეცთომაა და „ბოლნისები" უნდა წავიკითხოთ), 106.

4 იქვე, გვ. 139.

5 იქვე, გვ. 144; სამწევრისს ციხე ჰქონდა (შდ. იქვე, გვ. 208) და ბოლნისშიც, ალბათ, ციხის შენობები თუ გადარჩებოდა (ბოლნისის ციხის შესახებ ნ. ქვემოთ).

აოხრებასა და მძიმე მოხარკეობას, რა თქმა უნდა, ისეთი მდიდარი მხარეც დიდხანს ვერ გაუძლებდა, როგორიც ბოლნისებია.

როგორც ანტონი I კათალიკოზის მიერ 1749 წ. გამოცემული ბრძანებიდან ჩანს, ვახტანგ VI-ის შემდეგ ბოლნისის სიონის მამულები, თუ სულ არა, დიდი ნაწილი მაინც „ან გასყიდულა და ან გაცემულა ჟამთავითარებისაგან ოსმალსა და ყიზილბაშობის დროს", ისე რომ საჭირო გამხდარა ბოლნელის უფლებების აღდგენა საგანგებო აქტით.[1] პაპუნა ორბელიანს დაწვრილებითა აქვს აღწერილი ლეკთაგან დარბევის ერთი ეპიზოდი. აი მისი მოთხრობა: 1755 წ. „მოვიდა ცხენოსანი ლეკის ჯარი, დაყარეს ცხენები ტყეთა შინა, დააკეთეს კიბეები, მივიდნენ ბოლნისისა ციხესა ზედა, მიდგეს კიბენი და გარდვიდნენ ციხეში. მაშინ ბოლნისის ციხეში დადგენილ იყო იოთამისშვილი დავით. შეუტყვეს (ლეკებს), მაშინვე აცვივდნენ კოშკებში, გაამაგრნეს ბურჯები და საყდრის თავში აიყვანეს დედაკაცნი ანუ ყმაწვილნი, რომელნი იყვნეს ციხესა შინა. დაუშინეს თოფი, დახოცეს ლეკნი, რომ გალავანი სულ ლეკის სისხლით შეღებნეს. ხოცდენ ლეკთა გალავანზე და არა შეიშინეს და კიდევ გარდადიოდნენ ლეკნი ციხესა შინა. აივსო ლეკითა ციხე. იყო ერთი დღე და ღამე ერთმანეთში სროლა, ლეკნი სახლებში იყვნეს და ციხის კაცნი კოშკსა და ბურჯებში". ბოლოს ლეკები დამარცხებულნი წასულან.[2] პაპუნა ორბელიანის „ბოლნისის ციხეში" ადვილად გამოვიცნობთ სიონის გალავანს, რომელსაც ბურჯები და კოშკი ჰქონია. „ბურჯების" ქვეშ იგულისხმება ის სამი კედლის კოშკი, რომელიც ზემოთ მოვიხსენიე, ხოლო „კოშკი" სამრეკლოს უნდა უდრიდეს, რომელსაც სიმაგრის ფუნქცია დაჰკისრებია. რომ გალავნის შიგნით სახლები იდგა, ესეც ნაშთების მიხედვით მტკიცდება.

XVIII ს-ის 50-იანი, 60-იანი და ნაწილობრივ 70-იანი წლები, ვიდრე მორიგი ჯარის შემოლებამდე, ქართლ-კახეთისათვის თითქმის განუწყვეტელი ლეკთა თარეშის ხანა იყო. ოსმალოც რამდენჯერმე შემოსულა ქართლში ამ ხნის განმავლობაში. 1756 წლ. ერთ ბოლნისურ საბუთში დიდი სიძვირე და შიმშილობა იხსენიება,[3] ხოლო ლეონ ბატონიშვილის 1780 წლის ერთი წერილიდან ჩანს, რომ ბოლნისის მოსახლეობა მოხუცნი და ჯეელნი, სადღაც გახიზნულა ბოლნისიდან.[4] ეს ცნობა კარგად ეთანხმება ხაჩინელების გადმოცემას, რომ მათ იქ მისვლისას აღარავინ დაჰხვედრიათ ქაფანაქჩელ თათრებს გარდა (რა თქმა უნდა, ეს „აღარავინ" უნდა გავიგოთ მხოლოდ მიახლოებით). ამის შემდეგ ცნობები ბოლნისის შესახებ წყდება.

სამრეკლოზე კარგადა ჩანს, რომ ბოლნისს მიწის ძვრა განუცდია, ალბათ, XVIII ს-ის დასაწყისში. როგორც უკვე აღვნიშნე, სამრეკლოს შესავალი ნიკოლოზ ბოლნელის შემდეგ დაუვიწროებიათ. ეს კარგად ჩანს წყობაზე (სურ. 23): მინაშენის წყობა თავისი უფრო წვრილი და უსწორმასწოროდ დალაგებული ქვებით მკაფიოდ განსხვავდება სამრეკლოს კედლის წყობაში და მიემსგავსება გალავნის წყობას (ნაწიბურითაც შენაშენი თვალსაჩინოდაა გამოყოფილი ძირითადი წყობისაგან). სამრეკლოს შესავლის შეშენება და გალავნის აგება ერთსა და იმავე დროს უნდა მომხდარიყო, როგორც სა-

---

1 იხ. ა. ხახანაშვილის გამოც. „გუჯერები", 1891, გვ. 36.

2 პაპ. ორბ., გვ. 228-229.

3 Крест. грам., გვ. 14.

4 იქვე, გვ. 35. ჩვეულებისამებრ ფურცელაძეს ამ საბუთის მოკლე შინაარსი მოჰყავს: ბატონიშვილი ლეონი მანუჩარ მდივანსა სწერს: „დღეს ბოლნისში მივდივარ და ხვალისათვის ჩემთან გამოიყვანე ყველა ბოლნისელები მოხუცნი და ჯეელნი, რომელნიც თქვენთან დარჩნენო". არ ჩანს, თუ სად იმყოფებოდნენ ბოლნისელები.

ფიქრებელია, XVIII ს-ის პირველ ათეულ წლებში. მაგრამ მანამდე სამრეკლოს კედელი მიწისძვრას დაუზიანებია: იგი თითქმის მთელს სიმაღლეზე გაბზარულია, შენაშენს კი ბზარი არა აქვს. ამ მიწისძვრის კვალი, როგორც ზემოთაც მოვიხსენიე, ეტყობა ადგილ-ადგილ სიონის შენობასაც.

ბოლნისის საეპისკოპოსოს ვითარება ამ ხანებში შემდეგი იყო: იოვანე რევისშვილის შემდეგ, 1701 წელსვე იხსენიება ტფილელ-ბოლნელი მიტროპოლიტი დომენტი ორბელიანი,[1] რომელიც შემდეგ ამოწმებს 1712 წლ. ყაფლანიშვილების ნასყიდობის წიგნს[2] და იხსენიება კიდევ 1727-ისა[3] და 1728[4] წლების ქვეშ. ამ უკანასკნელი წლის საბუთიდან ჩანს, რომ დომენტი მიტროპოლიტს ბოლნისის მამულები იჯარით გაუცია.[5] ყაფლანიშვილების 1735 წლ. ბოლნისურ ნასყიდობის წიგნს ამოწმებს ტფილელი ეფთვიმი,[6] ალბათ, იმიტომ რომ ისიც დომენტივით ტფილელ-ბოლნელი იყო. 1729 წლის საბუთში ვიღაც „ჯუმათელ-ბოვნელი" იხსენიება, რომელსაც, ალბათ, დომენტის შემდეგ და ეფთვიმი ტფილელამდე, ე. ი. 1728-1735 წლებს შორის, ეპყრა ბოლნისის საეპისკოპოსო კათედრა.[7] 1744 წ., როდესაც ვახუშტი სწერდა თავის ისტორიას, ბოლნისს საკუთარი ეპისკოპოსი ჰყავდა.[8] ასე იყო, პაპუნა ორბელიანის ცნობის მიხედვით, 1747 წელსაც. ამ

---

1 იხ. Пл. Иосселиани, Опис. древностей гор. Тифлиса, გვ. 181.

2 საქ. სიძვ. II, 243-244, ნასყიდობა ბოლნისურ ვენახს შეეხება და თუმცა დომენტი აქ მხოლოდ „თბილელად" იხსენიება, სრულებით ცხადია, რომ იგი ამოწმებს ნასყიდობას, როგორც ბოლნელი ეპისკოპოსი.

3 Пл. Иосселиани, ნახს. ადგ., გვ. 214.

4 იქვე, გვ. 219.

5 პლ. იოსელიანს ამ საბუთის შინაარსი ასე მოჰყავს: „Приказ Турецкого визиря Кей-Усуф-бега от 7-го Октября 1728 года, коим утверждается акт на откуп отданных Болнисских земель Тифлисским митрополитом Доментием, из роду князей Орбелиани".

6 საქ. სიძვ. II, გვ. 378-379.

7 ა. ხახანაშვილი, გუჯრები, გვ. 36. ეს ანტონი კათალიკოზის ბრძანებაა, რომელზედაც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. აქ ვკითხულობთ: „როგორათაც მეფის ვახტანგის დროსა და ან ჯუმათლის ბოვნელის დროს ბოვნელის ხელში ყოფილიყოს და ან საყდარს სჭეროდეს, ისინი არც ერთი არ მოიშლება" და შემდეგ: „რომელიც ჯუმათლის ბოვნელს უკანა მამული ან გასყიდულა და ან გაცემულა ჟამთავითარებისაგან ოსმალსა და ყიზილბაშობის დროს, იმისი ღალა და კულუხი ყველა საყდარსა და ბატონს ბოვნელს უმდა მიერთვას". ვახტანგის დროს, როგორც ვნახეთ, ბოლნელად დომენტი იყო, მანამდე კი იოვანე რევისშვილი. მაშასადამე, „ჯუმათელ-ბოვნელი" ეპისკოპოსობდა დომენტის შემდეგ, ალბათ უმეშვოდ, რადგან, როგორც ზემომოყვანილი სიტყვებიდან ჩანს, მის დროს მდგომარეობა ბოლნისში ისეთივე ყოფილა, როგორც ვახტანგის დროს და მხოლოდ მის შემდეგ შეცვლილა.
აქვე აღვნიშნავ, რომ ყაფლანიშვილების 1736 წლ. ბოლნისურ ნასყიდობის წიგნს ამოწმებს დმანელი ეპისკოპოსი ელისე. რადგან, როგორც ვნახეთ, ტფილელი დომენტი და, ალბათ, ტფილელი ეფთვიმიც იმიტომ ამოწმებენ ბოლნისურ ნასყიდობის წიგნებს, რომ ისინი ბოლნელებიც არიან, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ელისეც ნასყიდობას ამოწმებს, როგორც დმანელ-ბოლნელი. ერთი გარემოება საეჭვოდ ხდის ამ დასკვნას: ელისე დმანელს ბოლნისში მამული ჰქონდა, ნასყიდი ვენახი ესაზღვრებოდა მის ვენახს და ამიტომ, შესაძლებელია, ის ამოწმებდა ნასყიდობას მხოლოდ როგორც მეზობელი მემამულე.

8 ვახუშტის თავისი ისტორია მოყვანილი აქვს საზოგადოდ 1744 წლამდე. ამიტომ, როდესაც ის ამბობს: ბოლნისში „აწცა ზის ეპისკოპოზი, მწყემსი აწინდელის ქართლის სომხითისაო", ის

წელს შემდეგი ეპისკოპოსები ყოფილან ქართლში: „მთავარეპისკოპოსი, თბილელი, დმანელი, ბოლნელი, წილკნელი, სამთავნელი, მროველი, ურბნელი, ნიქოზელი". როგორც ვხედავთ, ბოლნელი ცალკე, დამოუკიდებლადაა დასახელებული.[1] 1749 წელს, საგანგებო აქტით, ანტონ კათალიკოზმა, თეიმურაზ მეფის თანხმობით, ბოლნისის საეპისკოპოსო თავისი მამულებითა და ყმებით ტიმოთე მთავარეპისკოპოსს ჩააბარა.[2] როგორც ცნობილია, ტიმოთე 1754 წლამდე მთავარეპისკოპოსობდა და ამ დრომდე ეჭირა მას, ალბათ, ბოლნისის კათედრაც. როგორც 1762-1788 წლებს შორის ირაკლი II-ისა და ანტონ I კათალიკოზის მიერ შედგენილი ახალი სამღვდელმთავრო განწესებიდან ჩანს, ბოლნელის საეპისკოპოსო საყდარი XVIII ს-ის მეორე ნახევარში გაუქმებულა.[3]

აქვე მოვიტან ბოლნისის სიონის საფლავის ქვებზე შენახულ წარწერებს, რომლებიც ერთგვარად შეავსებენ ბოლნისის ამ გარეგან ისტორიას. ამ წარწერებიდან ჩანს, რომ ბოლნისში XIX ს-ის შუახანებამდის ყოფილა მაინც ქართული მოსახლეობა, ალბათ, ძალიან მცირე რაოდენობით და რომ სიონიც ჯერ ისევ ასე თუ ისე განაგრძობდა თავისი ფუნქციების შესრულებას, როგორც ქართული ქრისტიანული ტაძარი.

14. 1752 წ. საფლავის ქვაზე ეკლესიის შიგნით შუანავში, დასავლეთიდან პირველი სვეტის ახლოს (ტაძრის სამხრეთი კედლიდან მეოთხე საფლავია), ამოკოდვილია მხედრულით, ოღონდ „ჩ" ხუცურია:

„განჩინებისა | მისგან მიწა ხ(ა)რ და მიწადვე| მი(ი)ქცე მიწ[აო]?| და მეც ადამ|ად აღვესრულე მკერვლ[ი]სშვილი გივი დ(ა) ს(ა)ხლეულნი ჩე|მნი დაუტევენ| სულთქ-მით| მტირ(ა)ლნი. ს(ა)მ(ა)რ|ით გამო დუ|მილით |გე|ვედრები| აღმომკითხე|ელთა, შენ|დობას მი[ყო]ფდ|ეთ(?) ქკს უმ":·

ქორონიკონი უდრის 1752 წელს.[4] წარწერას გარშემო ამკობს რელიეფით გამოყვანილი ყვავილოვანი ორნამენტი.

ჰგულისხმობს უთუოდ 1744 წელს. ხოლო ვახუშტის სიტყვებიდან ბუნებრივია დავასკვნათ, რომ ბოლნისის საეპისკოპოსო ამ დროს ისევ დამოუკიდებელია.

1 პაპ. ორბ., გვ. 159.

2 ხახანაშვილი, გუჯრ., გვ. 36.

3 ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი I, ტფ. 1907, გვ. 87. ეს ძეგლი დაწერილია თეიმურაზ II-ის სიკვდილის შემდეგ 1762 წ. (ნ. იქვე, გვ. 88). Terminus post quem იქნება ანტონის გარდაცვალების წელი (1788). ის გარემოება, რომ უკვე 1750-იანებში მანამდე (განსაკუთრებით 1740-იანებამდე) ასე უხვად წარმოდგენილი ბოლნისის საბუთები უცებ სწყდება, გვაფიქრებინებს რომ ბოლნისის კათედრის გაუქმება XVIII ს-ის შუახანებში უნდა მომხდარიყო. უკვე დ. ბაქრაძესა აქვს გამოთქმული აზრი, რომ XVIII ს-ში ბოლნისის კათედრა ტფილისის მიტროპოლიტს დაუქვემდებარეს (იხ. მისი „Кавказ в древн. пам. Христ.", Зап. Общ. Люб. Кавк. Арх. I., 1875, გვ. 43), რასაც შემდეგ იმეორებენ მ. ჯანაშვილი (იხ. მისი გამოც. ვახუშტი ბატონიშვ. გეოგრაფია, გვ. 45, შენ. 83) და პროფ. კ. კეკელიძე (ქართ. ლიტერატ. ისტ. I, გვ. 180, შენ. 8). როგორც ზემომოყვანილიდან ჩანს, ეს საუსებით სწორი არაა: ბოლნისის კათედრა XVIII ს-ში მართლაც ებარა ტფილელ მიტროპოლიტს მაგრამ მხოლოდ ეპიზოდურად.

4 მკერვლისშვილები შუაბოლნისის მოსახლე აზნაურნი და ყაფლანიშვილების ყმანი ყოფილან: როსტომა მკერვლისშვილი, ზურაბ ყაფლანიშვილის ყმა, ამოწმებს 1712 წლ. ნასყიდობის წიგნს (საქ. სიძვ. II, 243-244) და იხსენიება თავის ძმისწულ ზაალთან ერთად 1721 წლ. ხალხ. აღწ. დავთარშიც (გვ. 232).

15. საფლავის ქვაზე ეკლესიის შიგნით შუანავში, დასავლეთიდან პირველი სვეტის ახლოს (ტაძრის სამხრეთი კედლიდან მეხუთე საფლავია), უშნოდ ამოკოდვილია XVIII ს-ის მხედრულით:

„ქ:· აჰა: ესერა: მოიწია განჩინებ[ისა]ებრ და.....[1] ლ მ-ნ (?): სი[კვ]დილის მ(ო)ნა: ვძე ტ[აგრუც]|სა: ამას: ვიწროს:[2] მე: მორთული თამ....[3] მაჭხ[4] ვავილი[5] სი[ჭაბუკი]|სა:[6] ჩემის: ვინცა: მიხილოთ:·....[7] [შენდობასა] ბძანებდეთ: დ(ა)ვესრულე უკდენბ|ერს: (sic) ე:· ქ̅ კნ (?):·"[8]

წარწერას გარშემო ყვავილოვანი ორნამენტი აქვს.

16. საფლავის ქვაზე ეკლესიის შიგნით ჩრდილო-ნავში, დასავლეთიდან პირველი კარის ახლოს, ამოკოდვილია XVIII საუკუნის მხედრულით:

„ქ სამარხოსა ამასშინა მონასა დავითს|შენდობას უბძანებდეთ ქეს შგ". უკანასკნელი ორი სიტყვა გაუგებარია („ქრისტეს შიგა"?).

17. საფლავის ქვაზე, რომელიც ტაძრის დასავლეთი შესავლის წინ 20 სანტ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა მიწის ქვეშ, ამოკოდვილია XVIII ს-ის მხედრულით:

„ქ:· მოიხსენე:· უფალო:· მონა შენი ცოდავილი:· (sic) დეკანოზი ონ|ოფარე (sic) ამინ".

18. 1849 წ. საფლავის ქვაზე ეკლესიის შიგნით შუანავში, დასავლეთიდან პირველი სვეტის ახლოს (ტაძრის სამხრეთი კედლიდან მესამე საფლავია), ამოკოდვილია მხედრულით:

„აქა მდებიარობას (sic) გვამი სახემწიფო ყმის გიორგი | ივანოვისა, რომელიც გარდაიცვალა ამიერ | სოფლით ჩყმთ წელსა მარტის ბ (?) დღესა. მხილველნო, შანდობა ბძანეთ".

ქვა დაძრულია თავისი ადგილიდან, ეტყობა, საფლავი გაუძარცვავთ.

X

გათხრითი მუშაობის მთავარი მიზანი იყო სიონის პირვანდელი გეგმის აღდგენა. ამიტომ მთელი მუშაობა დაკონცენტრირდა ამ ტაძრის გარშემო. კარგი იყო თუნდაც ორიოდე საცდელი თხრილის ამოღება ბოლნისის ნაქალაქარშიც, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს აღარ მოესწრო.

ბოლნისის ტაძარი თითქმის სანახევროდ მიწაში იჯდა. განსაკუთრებით დიდ სიმაღლეზე იყო დაფარული მიწით მისი ჩრდილო-ფასადი. აქ 2-2,25 მეტრის სისქე ფენა ჰფარავდა მის კედლებს, ისე რომ, მაგ., აზარუხტის წარწერა, რომელიც, როგორც

---

[1] ქვა ამოტეხილია, აკლია დაახლ. 15 ასო.

[2] ნამდვილად სწერია „ვიწრეს" და არა „ვიწროს".

[3] ქვა ამოტეხილია, აკლია დაახლ. 18 ასო.

[4] ან „მაჭნ".

[5] „ყვავილი"? – თუმცა „ყ" ნამდვილად არა სწერია; ეგებ აქ ერთად უნდა წავიკითხოთ ორი უკანასკნელი სიტყვა: „მაჭახაშვილი" ან „მაჭარაშვილი"? მაგრამ „ვა" კარგად ჩანს და არა მგონია „შ" იყოს.

[6] ჩემი აღდგენა სათუოა.

[7] ქვა ამოტეხილია, აკლია დაახლ. 12 ასო.

[8] ბოლოშიც შეიძლება კიდევ რამდენიმე ასო აკლდეს.

სურ. 25. ბოლნისის სიონი. ჩრდილოსტოა გათხრის შემდეგ ასახულობა აღმოსავლეთიდან.

აღვნიშნე, შესავლის წირთხლის ქვაზეა მოთავსებული, ნიადაგის სიმაღლეზე მოდიოდა და მის წასაკითხად საჭირო იყო მიწაზე დაჯდომა. კარგა სიმაღლეზე დაფარული იყო მინით აღმოსავლეთი ფასადიც. აქ მუშაობა არ გვიწარმოებია, რადგან მეტის-მეტი დაზიანებულობის გამო ტაძრის აღმოსავლეთ კედელს ჩამონგრევის საშიშროება მოელოდა. მხოლოდ სამი მხრიდან შემოვთხარეთ ტაძარი, გავაშიშვლეთ მისი საფეხურებიანი ცოკოლი და, რაც ყველაზედ უფრო საინტერესოა, აღმოვაჩინეთ მისი ჩრდილო სტოის ნაშთები (სურ. 25 და 26). დასასრულ, შემაგრებულ იქნა აფსიდის კედელი გარედან, ისე რომ ძველი ქართული ხელოვნების ეს დიდებული ძეგლი დღეს ცოტად თუ ბევრად დაცულიცაა და ხუროთმოძღვრულის თვალსაზრისით მისი შესწავლა გაადვილებულია. გათხრილ იქნა ერთ ადგილას, როგორც ზემოთაც აღინიშნა, გალავანიცა და სამრეკლოც.[1]

პარალელურად წარმოებდა მუშაობა ტაძრის ეზოშიც. აქ, უმთავრესად ტაძრის ჩრდილოეთითა და ჩრდილო-დასავლეთით, რადგან ეზოს ეს ნაწილი უფრო დიდია და აქ ქვის შენობების საძირკვლები და ნასახლარის ორმოები ჩანს, გატარებულ იქნა 7 საცდელი თხრილი სხვადასხვა მიმართულებით. ოთხი თხრილი ამოვიღეთ ტაძრის დასავლეთით. ეზოს აღმოსავლეთ ნაწილს ვერიდებოდით, რადგან აქ გალავანი ახლოს ადგება ტაძარს, რომლის კედელი ამ მხარეს საშიშ მდგომარეობაში იყო, ხოლო ტაძრის სამხრეთით არც ნანგრევები ჩანს და ნაყარი მიწის ფენაც ძალიან თხელია, როგორც ეს ტაძრის კედლების შემოთხრამ გამოარკვია.

[1] 1937 წელს ბოლნისის სიონი საქ. კულტურულ ძეგლთა დაცვის კომიტეტმა საფუძვლიანად შეაკეთა.

არქეოლოგიური მონაცემი ყველგან არსებითად ერთნაირი იყო, მცირეოდენი ვარიაციებით. ტაძრის ახლოს, საცა ნანგრევი და ნაშალი მეტია, ხამი მინა ჩნდებოდა 2-2,50 მ-ის სიღრმეზე, უფრო მოშორებით – 1,50 მ-ზე და უფრო ადრეც. სანიმუშოდ მოვიტან აქ ერთ მაგალითს გათხრების დღიურიდან, სახელდობრ, ჩვენს ჩანაწერს პირველი თხრილის შესახებ.

თხრილი №1.

1936 წლ. VII. 11. თხრილი დაიდო ეზოში, ტაძრის N-ით, აზარუხტის კარის პირდაპირ, 5,5 მ-ის დაშორებით. მიმართულება S-N., სიგრძე 3 მ., სიგანე 1,4 მ. ნაშალი მიწაა. 0,03 მ-ის სიღრმეზე კრამიტის ნატეხები, რომლებიც შემდეგაც ხშირად ერია ნაყარ ქვას. 0,40 მ-ზე წითელი მქისე თიხის ჭურჭლის ნატეხები. 0,55 მ-ზე მოგრძო მრგვალი კაჭარი (ფილთაქვა?). 0,60 მ-ზე შავი, მეტად მქისე და სუსტად მომწვარი თიხის ჭურჭლის ნატეხები და პატარა სქელკედლიანი გამსჭვირი მინის ჭურჭლის ფრაგმენტი. 1,00 მ-ზე ნახშირი და უწესრიგოდ დაყრილი ადამიანის ჩონჩხის ფრაგმენტები.

კრამიტი ბლომად ჩნდება, ჭურჭლის ნატეხები ნაკლებად, ძვლებიც ცოტაა. ფენობრივობა არ ეტყობა, სულ ერთმანეთში არეული ნაშალი მიწაა.

1936 წლ. VII. 12. 1,50 მ-ზე ადამიანის ჩონჩხის ნაწილები უწესრიგოდ, მათთან აკაკის (?) მარცვლის ნაჭუჭი ბლომად და მოწითალო მქისე თიხის ჭურჭლის ნატეხები მცირედ, მასთან კრამიტიც. 1,65-ზე ახალგაზრდა ადამიანის ჩონჩხი, სიგრძ. 1,72 მ. თავით W-ისაკენ, ზურგზე შვეტილად მწოლიარე, გულხელდაკრეფილი:, მიცვალებულს თავი პრტყელ ქვაზე ედო, წელქვემოთაც უბრალო მოპრტყო ლოდი ეფინა, ფეხები შუანვივებიდან ორ



სურ. 26. ბოლნისის სიონი. ჩრდილოსტოა გათხრის შემდეგ. ასახულობა დასავლეთიდან: ბოლოში ჩანს ახდილი ქვაყუთი.



სურ. 27. ბოლნისის სიონი. თხრილი I: ქვაყუთების სართულები.

ქვას შუა ჰქონდა მოქცეული; ქვაყუთი ან კუბო არ იყო; ნივთები არა აღმოჩნდა რა, გარდა ერთი პატარა რკინის ფრაგმენტისა და მოწითალო თიხის ხუთიოდე ნატეხისა; გარშემო სხვა ჩონჩხების ნაწილები და ცალკეულად თავის ქალები ეწყო უწესრიგოდ. იმ ლოდის ქვეშ, რომელზედაც პირველი ჩონჩხის ქვედაწელი იდო, სხვა ჩონჩხი აღმოჩნდა თავით აღმოსავლეთისაკენ, როგორც ჩანს, ქვაყუთში მდებარე. თხრილის S.-ბოლოში, 1,80 მ-ზე, ნახშირის პატარ-პატარა ნატეხები, ერთ ადგილზე დაგროვილი და მათთან მქისე, გარედან შავად გაკვამლული თიხის ჭურჭლის ნატეხები, ზოგიერთი ჭდეული ორნამენტით შემკული.

1936 წლ. VII. 13. S.-ბოლოში, თხრილის ოდნავი გაფართოებისას, 1,50 მ-ზე პრტყელი ფილაქნის ქიმი გამოჩნდა; ესაა ქვაყუთების პირველი ფენა. 1,85 მ-ზე იწყება ქვაყუთების მეორე ფენა. ეს ქვაყუთები უკვე ხამ მიწაშია ჩაშენებული (სურ. 27).

ნახაზი 4 გვიჩვენებს მეორე ვარიანტს. ეს არის მეათე თხრილის სამხრეთ-აღმ. კედლის განაკვეთი. ეს თხრილიც ტაძრის ჩრდილოეთით გავთხარეთ. აქ რაღაც ქვის შენობის ნაკედლარი ჩნდა და იმას ჩავყევით. ნაკედლარი 1,15 მ-ის სიღრმეზე ერთნაირად დამუშავებული საშუალო ზომის ქვითა და ქვიტკირით ნაგები საძირკველი აღმოჩნდა, რომელიც 34 სანტ-ის სისქის წვრილღორღნარევ ნაშალ ფენაზე იდგა. ამ ფენის ქვეშ ხამი მიწა მოდიოდა, რომელიც მაინც 85 სანტ-ის სიღრმეზე ჩავთხარეთ, რადგან ალაგ-ალაგ აქ ჩნდებოდა ნახშირნარევი შავი მიწის გროვები და ქვაყუთების ქვები. 80

სანტ-ის სიღრმეზე წავაწყდით პრტყლად დადებულ უსწორმასწორო ფილაქანს, რომელიც ქვაყუთის ხუფად მივიღეთ. რადგან, ეზოს ნიადაგის რელიეფის გათვალისწინებით, ტაძრის ცოკოლთან შედარებით ეს ფილაქანი დაახლოებით 1,50 მ-ის სიღრმეზე მოდიოდა, აქ მოსალოდნელი იყო სამარხავების უძველესი, ტაძრის აშენების უშუალოდ მომდევნო ხანის ფენა. მართალია იქვე, ცოტა ზემოთ, თხრილის კედელში გამოჩრილი იყო უსწორმასწოროდ ჩამოტეხილი საშუალო ზომის ქვები, რომლებიც, როგორც ეს გამოცდილებით ვიცოდით, ჩვეულებრივი ქვაყუთების თავკედლების ქვები იყო და არც თვით ფილაქანი განსხვავდებოდა ნაგვიანევი ქვაყუთების ხუფის ქვებში, მაგრამ ყველა ეს შემთხვევითი ჩნდა. სამწუხაროდ, იმედი არ გაგვიმართლდა. ფილაქნის ქვეშ აღმოჩნდა მეტად თხელი ფენა შავი მიწისა, რომელშიც ამოვიღეთ ბოლნისისათვის ჩვეულებრივი მოყვითალო, მოწითალო და შავი თიხის ნატეხები, მოლურჯო თირის ნატეხები, რამდენიმე წვრილი ძვალი, როგორც ჩანს, ფრინველისა და ადამიანის ერთი კბილი. ამის ქვეშ კიდევ 30 სანტ-ის სიღრმის ორმო ჩავთხარეთ, მაგრამ ამაოდ. ცხადი იყო, რომ ფილაქანი ერთ-ერთი მის ზემოთ მოთავსებული ქვაყუთის შემთხვევით გადმოვარდნილ ნაწილს წარმოადგენდა.

მესამე ვარიანტს გვიჩვენებს ნახაზი 5. მეხუთე თხრილი, რომლის S-კედლის განაკვეთსაც წარმოადგენს ეს ნახაზი, უმეშვოდ ტაძარს აკრავს და აქ სიღრმეები მეტია. 90 სანტ-ის სიღრმეზე აქ ნანგრევი ქვისა და ნაშალი მიწის ფენა მოდიოდა. შემდეგ 60 სანტ-ის სისქის ნახანძრევი ფენა აღმოჩნდა, რომელიც ტაძრის ჩრდილო-სტოის მთელს სიგრძეზე მიდიოდა და, ნახშირს გარდა, შეიცავდა არეულად შებოლილი კრამიტისა და თიხის ჭურჭლის ნატეხებს და რკინის ფრაგმენტებს. უკვე ამ ფენაში იყო ქვაყუთები, რომლებიც მერმე უმეშვოდ ერთი მეორის ქვეშ მოდიოდა ოთხ წყებად, ისე რომ ქვედა



ნახ. 4. თხრილი 10. SO-კედლის შვეული განაკვეთი: 1. ძველი საძირკველი (დაუმუშავებელი ქვა ქვიტკირზე), 2. ღორღიანი ნაშალი, 3. ხამი მიწა. a, b, c – ქვაყუთის გამოშვერილი ქვები; ქვევით შავი ზოლით ნაჩვენებია ქვაყუთის გადმოვარდნილი ფილაქანი.



ნახ. 5. თხრილი 5. S-კედლის შვეული განაკვეთი: 1. ნანგრევი ქვა და ნაშალი მიწა, 2. ნახანძრევი ფენა, 3. ნანგრევი ქვა და ნაშალი, 4. ჩრდილო-სტოის ცოკოლი, 5. საძირკველი, 6. ხამი მიწა, ჩათხრილია 1,50 მ-ის სიღრმეზე.

ქვაყუთის ხუფი ზედას ფსკერის როლს ასრულებდა. ეს ქვაყუთების წყება ჩაჰყვა ნახანძრევი ფენის ქვეშ მყოფ 50 სანტ-ის სისქის ისევ-ისე ნანგრევ ნაშალის ფენას, 28 სანტ-ის სიმაღლის ცოკოლის ხაზს და ტაძრის საძირკვლის დაახლ. შუახაზზე შესწყდა. მაშასადამე ოთხივე წყება ქვაყუთებისა ნაშალში იყო ჩაშენებული. მეოთხე წყების ქვაყუთის გვერდით კიდევ ერთი ქვაყუთი აღმოჩნდა, რომელიც თითქმის მთლიანად საძირკვლის დონეზე მოდიოდა და მხოლოდ ჩამჯდარი იყო ცოტა უფრო ღრმად ხამ მიწაში (ნ. ქვემ. სამარხავი №9). ტაძრის საძირკველი ხამ მიწაში დგას, რომელსაც აქ კიდევ 1,50 მ-ის სიღრმეზე ჩავყევით, ისევ-ისე ამაოდ.

ქვაყუთები და საზოგადოდ სამარხავები აღმოჩნდა არა მარტო ეზოს მთელს არეზე, არამედ ტაძრის სამხრეთსა და ჩრდილო-სტოებშიც. განსაკუთრებით ეს უკანასკნელი იყო სამარხავებით სავსე. უმეტეს შემთხვევაში მაინც მიცვალებულებს ქვაყუთებში ასაფლავებდნენ. ძალიან იშვიათად იყო ჩონჩხი პირდაპირ მიწაში.

ქვაყუთებიც ყველა ერთმანეთსა ჰგავს. სანიმუშოდ მოვიტან რამდენსამე ამონაწერს დღიურიდან.

სამარხავი №14 (თხრილი №9), ქვაყუთი, მიწის ზედაპირიდან 1,20 მ-ის სიღრმეზე. სამარხავი ნაგები იყო ძალიან დაუდევრად, საშუალო ზომისა და პატარა დაუმუშავებელი ქვებით, გადახურული იყო ორი მოზრდილი პრტყელი ქვით და რამდენიმე პატარა ქვით, ფსკერი არ ჰქონდა. აკლდა ორივე თავკედელი და ხუფის აღმოსავლეთი ნაწილი. ამიტომ მისი თავდაპირველი ზომის გამორკვევა ძნელია. შემონახული ნაწილის უდიდესი სიგრძე (S-კედელი უფრო გრძლადაა შენახული ვიდრე N-კედელი) უდრის 1,75 მ-ს, სიგანე W-თავში 0,40 მ-ია, O-თავში კი 0,45 მ.; სიღრმე 0,20 მ.; ორიენტაცია W-O.

ქვაყუთი მიწით იყო სავსე. გამოწმენდა ზემოდან წარმოებდა ჰორიზონტალური ფენებით. 0,08 მ-ის სიღრმეზე, სამარხავის შუა ადგილას, აღმოჩნდა მოგრძო ყვითე-

სურ. 28. ბოლნისის სიონი. ქვაყუთი 14, ახდილი.

ლი მარცვლების ნაჭუჭი, ცოტა ქვემოთ ადამიანის კბილი და მის გვერდით წვრილი ძვლები (ფრინველის?). აქვე, მაგრამ უმეშვოდ ხუფის ქვეშ, ნახშირი ეყარა მცირედ: თავის ქალა 0,40 მ-ზე გამოჩნდა. S-კედლის ახლოს, თავის ქალისაგან 0,50 მ-ის დაშორებით O-ისკენ, იმავ სიღმეზე, მოყვითალო თიხის ჭურჭლის ნატეხი ეგდო, ხოლო ჩონჩხის მარჯვენა ხელთან აღმოჩნდა კიდევ ერთი ყვითელი, მაგრამ მრგვალი მარცვალი. მარჯვენა ხელსა და ბეჭს შორის ადამიანის კბილი; კენჩხასთან, მარცხენა თვალის ახლოს, მოწითალო თიხის ჭურჭლის ნატეხი, ხოლო მენჯის ზემოთ მარცხნით, 0,20 მ-ის სიღრმეზე, მოყვითალო, ჭდეულად ორნამენტირებული თიხის ჭურჭლის ნატეხი. მიცვალებული ზურგზე იწვა გაშეტილი, თავით W-ისკენ; თავი ოდნავ მიბრუნებული იყო მარცხნით, პირი მიწით ჰქონდა ამოვსებული; მარჯვენა ხელი მკერდზე ედო, მარცხენა კი მის ქვემოთ, გულის კოვზზე. ფეხის პუწკები ჩონჩხს არ აღმოაჩნდა. მარჯვენა ხელზე მიცვალებულს რკინის თავგახსნილი სამაჯური ჰქონდა ჩამოცმული (სურ. 28).

ჩონჩხის სიგრძე მხოლოდ 1,00 მ-ს უდრიდა, ისე რომ იგი აშკარად ბავშვისა იყო და რადგან ქვაყუთი გაცილებით უფრო დიდი ზომისაა, ცხადია რომ თავდაპირველად იგი ამ მიცვალებულისათვის არ იყო განკუთვნილი.

აღმოსავლეთისაკენ სამარხავს დიდი ფილაქანი ეფინა, რომელიც მის ქვეშ მდებარე მეორე ქვაყუთის ხუფი აღმოჩნდა.

სამარხავი №12 (თხრილი №4), ქვაყუთი, მიწის ზედაპირიდან 1,90 მ-ის სიღრმეზე. ქვაყუთის კედლები და ხუფი თხელი ფიქლებისაგან შედგებოდა (ხუფის ქვების სისქე არ აღემატებოდა 5 სანტ-ს). ხუფად სხვადასხვა ზომის უსწორ-მასწორო მოყვანილობის ფიქლები იყო გამოყენებული, განის კედლები ორ-ორი გრძელი ფიქლებისაგან შედგებოდა, აღმოსავლეთის თავკედლად ერთი მოკლე ფიქალი იყო ჩაშენებული, ხოლო დასავლეთის თავკედელი ქვაყუთს არ აღმოაჩნდა. ორიენტაცია W-O, სიგრძე 1,90 მ., სიგანე 0,46 მ.; ფსკერი არ ჰქონია.

ქვაყუთი პირთამდე მიწით იყო ამოვსებული. ხუფის ახდის შემდეგ, გამოწმენდა წარმოებდა ზემოდან ჰორიზონტალური ფენებით. მიწის აღება დავიწყეთ სამარხავის W-თავში, თავის ქალის აღმოსაჩენად. აქ, უმეშვოდ ხუფის ქვეშ, ადამიანის წვრილი ძვლები ეყარა; აქვე ეგდო პატარა ნატეხი მოშავო მქისე თიხის ჭურჭლისა. აქედან 0,50 მ-ის დაშორებით, ისევ უმეშვოდ ხუფის ქვეშ, ნაცრიანი მიწის ფენა გამოჩნდა, რომელშიც ეყარა ადამიანის წვრილი ძვლები, კბილები, შინაური ფრინველის ერთი კლანჭი და პატარა ნატეხები ტაძრისეული მოლურჯო თირისა. 0,08 მ-ის სიღრმეზე, ნაცრიანი ფენის ქვეშ, ეგდო ნატეხი მოწითალო თიხის ჭურჭლისა; 0,13 მ-ზე ისევ ადამიანის კბილები, კვერცხის ნაჭუჭი და რაღაც ყვითელი მცენარეული მარცვლები; 0,15 მ-ზე მოყვითალო თიხის ჭურჭლის ნატეხი; 0,21 მ-ზე სამხრეთის კედელთან, კბილი და ხელის თითის ძვალი, ისევ კვერცხის ნაჭუჭი; 0,24 მ-ზე ადამიანის კბილი და ნეკნის ნატეხი; 0,25 მ-ზე ისევ ყვითელი მარცვალი. თავის ქალა გამოჩნდა 0,23 მ-ის სიღრმეზე. მიცვალებული ზურგზე იწვა შეეტილად, თავით დასავლეთისაკენ, გულხელდაკრეფილი (მარჯ-

სურ. 29. ბოლნისის სიონი. ქვაყუთი 12, ახდილი.

ვენა ხელი უმეშვოდ ნიკაპის ქვეშ, მარცხენა მის ქვემოთ, სურ. 29). ჩონჩხის სიგრძე = 1,68 მ-ს; კბილების და ძვლების მიხედვით მიცვალებული ახალგაზრდა და ახოვანი კაცი ყოფილა; ძვლები კარგად იყო დაცული. მიცვალებულის თავი ოდნავ მიბრუნებული იყო მარცხნით და პირში უფორმო ქვა ჰქონდა ჩაჩრილი. მენჯის ორსავ ძვლებს ზემოთ ადამიანის თითო კბილი ეგდო, ხოლო ფეხებთან, 0,27 მ-ის სიღრმეზე, ეყარა მოწითალო თიხის ჭურჭლის ნატეხები, ერთი შავი თიხის ჭურჭლის ნატეხი და ადამიანის კბილი. შიგ მენჯში ეგდო ხელის თითის ძვალი, ხოლო მენჯის ძირში ისევ ადამიანის კბილი. მარჯვენა ბარძაყის თავში, 0,40 მ-ის სიღრმეზე კრამიტის ნატეხი იდო. მენჯის ქვემოთ ფეხებს შორის სულ წვრილი ძვლები ეყარა (ფრინველისა?).

ქვაყუთის O-თავში, მიცვალებულის ფეხების მარცხნით, 0,29 მ-ის სიღრმეზე, იდო ნაწილი ადამიანის თავის ქალისა; აქვე ფეხებში ადამიანის კიდევ სხვა წვრილი ძვლებიც ეწყო. მიცვალებულის თავის ამოღების შემდეგ, მის ქვეშ კიდევ კენჩხის ნაწილები აღმოჩნდა. ჩონჩხის ქვეშ კიდევ 0,10 მ-ის სისქის შავი მიწის ფენა იყო, რომლის ქვეშ უკვე ხამი მიწა დაიწყო, ისე რომ სამარხავის სიღრმე 0,50 მ-ს უდრიდა. მაგრამ ქვაყუთის კედლები გაცილებით უფრო ღრმად იყო ჩასმული მიწაში: N-კედლის სიმაღლე = 0,78 მ-ს, S-კედლისა = 0,72 მ-ს.

ქვაყუთს, როგორც აღვნიშნე, დასავლეთის თავკედელი აკლდა. აქ, S-კედლის ფიქლის ბოლოში, გარდიგარდმო იდო ფიქლის ნატეხი, როგორც ჩანს, თავკედლის ნაშთი. ამ ფიქლის სიგრძე 0,57 მ-ს უდრის, მაგრამ იგი მხოლოდ 15-ოდე სანტ-ითღა იყო შეზიდული ქვაყუთის შიგნით, მიცვალებულის თავის სისწვრივ. მიცვალებულის თავის ქალა დაახლ. 13 სანტ-ით უფრო ღრმად იდო ამ ფიქლის ნატეხისგან დასავლეთისაკენ.

სამარხავი და მისი შემადგენლობა ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს მასში ორი ადამიანი დაეკრძალოთ ერთი მეორის შემდეგ: პირველი მიცვალებულის ძვლების უმეტესი ნაწილი ამოუყრიათ, ხოლო თავის ქალა წვრილი ძვლებითურთ ქვაყუთის აღმოსავლეთ ბოლოში ჩაუყრიათ, მაგრამ ძველი ქალის ნატეხები დასავლეთის თაუშიც დარჩენილა. ამის შემდეგ დაუკრძალავთ ახალი მიცვალებული: რადგან ქვაყუთის აღმოსავლეთი ბოლო დაკავებული იყო პირველი ჩონჩხის ძვლებით, ახალი მიცვალებული ცოტათი უფრო ზევით უნდა აეწიათ დასავლეთისაკენ; ამიტომ საჭირო გახდა ქვაყუთის დასავლეთი კედლის ან მთლად ამოღება, ან ჩატეხა და განზე გაწევა.

სამარხავი №9 (თხრილი №5), ქვაყუთი, მიწის ზედაპირიდან 2,30 მ-ის სიღრმეზე, ტაძრის ჩრდილო-სტოის საძირკვლის დონეზე. ქვაყუთი თხლად ჩამოჭრილი ფიქლებისაგან იყო ნაგები, გადახურული ორი დიდი ქვით (თხელი ფიქლით, ზომით 0,98×0,87 მ. და სქელი დაუმუშავებელი ლოდით, ზომ. 0,93×0,70 მ.), რომლების ზემოთ, შუაზე, კიდევ პატარა ფიქალი იდო, ზომ. 0,40×0,33 მ.; ორიენტაცია W-O.; სიგრძე 1,95 მ., სიგანე W-ით 0,50 მ., O-ით 0,52 მ., სიღრმე 0,58 მ.; განის კედლები ორ-ორი გრძელი ფიქლისაგან შედგებოდა, თავკედლები კი თითო მოკლე ფიქლისაგან; ფსკერი არ ჰქონია; ქვაყუთი მთლიანად ძველი საძირკვლის დონეზე მოდიოდა და მისი კედლები მხოლოდ რამდენიმე სანტიმეტრით საძირკველზე უფრო ღრმად იჯდა ხამ მიწაში. იგი პირთამდე მიწით იყო ამოვსებული. გამოწმენდა წარმოებდა ზემოდან, ჰორიზონტალური ფენებით.

სამარხავი შეიცავდა 2 მთლიან ჩონჩხს და კიდევ 4 ქალას და სხვა ჩონჩხის ნაწილებს. ორივე ჩონჩხი თავით W-ისკენ იდო ერთი-მეორის გვერდით ზურგზე შვეტილად. ერთს, N-ისკენ მდებარეს, თავზე შუათანა სიდიდის უფორმო ქვა ეფარა. ზემოწელი ამ ორი ჩონჩხისა მჭიდროდ იყო ერთმანეთზე მიკრული, ხოლო ჩრდილო-ჩონჩხის მენჯი და ფეხები სამხრეთით მდებარე ჩონჩხის შესატყვისი ძვლების ქვეშ მოდიოდა. მენჯის ახლოს, ქვაყუთის N-კედლის პირას, კიდევ ერთი შუა სიდიდის ქვა იდო. 3 თავის ქალა O-კედლის ახლოს ეწყო (ერთი მათგანი სამხრეთით მდებარე ჩონჩხის ფეხებ ქვეშ). ამ სამი ქალის ჩონჩხების ძვლები არეულად ეწყო ზოგი ქვაყუთის გარდიგარდმო, ზოგიც სიგრძივ, პირველი ორი ჩონჩხის ძვლების ქვეშ. ყველა ამ ძვლების ქვეშ, სამარხავის შუა ნაწილში, კიდევ ერთი ქალა აღმოჩნდა, რომელსაც ჩონჩხის დანარჩენი ნაწილები აკლდა. საზოგადოდ ყველა ძვლები, და ნამეტნავად თავის ქალები, ჩამპალი იყო.

სურ. 30. ბოლნისის სიონი. ნაკედლარი ტაძრის SW-კუთხის ახლოს. ერთი კედელი თონეზე დგას. წინ აუხდელი ქვაყუთებია.

ნივთები არა აღმოჩენილა რა. მიწაში ალაგ-ალაგ ნახშირი ერია და აგრეთვე კრამიტის რამდენიმე ნატეხი. კრამიტის ნატეხები შემთხვევითაა ქვაყუთში მოხვედრილი, მიწა კი წყლისაგანაა ჩატანილი.

სულ 23 სამარხავი ამოვწმინდეთ და შევისწავლეთ, ხოლო ამაზე გაცილებით უფრო მეტი ავყარეთ თხრილების გატარებისა და ტაძრის შემოთხრის დროს. შედეგი ყველგან ერთი იყო. საინტერესოა, რომ ზოგიერთი ქვაყუთისათვის ტაძრის ნანგრევი ქვა იყო გამოყენებული: ერთი ქვაყუთი, ტაძრის ჩრდილო-სტოაში, მთლად ტაძრისეული მო-

სურ. 31. ბოლნისის სიონი. „პოსტამენტი“ სამხრ.-დასავლეთიდან.

ლურჯო თირით იყო ნაგები, მეორეს (თხრილი №5) ერთ გვერდითა კედლად ჩუქურთმიანი ქვა ჰქონდა ჩასმული.

აქა-იქ ჩნდებოდა ნაკედლარები, რომლებიც არსად გეგმიან სურათს არ იძლეოდა, და ძალიან ხშირად – თონეები (სურ. 30).

გარდა ქვაყუთებისა, ერთ ადგილას, ტაძრის ჩრდილო-კედლის ახლოს, მინის ზედაპირიდან დაახლ. 2,00 მ-ის სიღრმეზე, მთლიანი ქვისაგან გამოთლილი ქვაკუბოც აღმოჩნდა. უშველებელ ქვის კუბოს, რომლის სიგრძე 2,33, სიგანე და სიმაღლე კი 0,75 მ-ია, და რომელიც გარედან შედარებით მქისედაა დამუშავებული, გული ოთხკუთხად სუფთადა აქვს ამოღებული, ისე რომ კედლის სისქე 8,5 სანტ-ს უდრის, ფსკერისა კი დაახლ. 12 სანტ-ია. ორიენტაცია ქვაკუბოს დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ჰქონდა. ღრუ თანაბრად არაა ამოღებული, არამედ თავში (დასავლეთისაკენ) მისი სიღრმე 59 სანტ-ს უდრის, ბოლოში კი – 63 სანტ-ს, ისე რომ ფსკერი („დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ“) ოდნავ დაქანებულია. ერთ ადგილას, თავისკენ, ფსკერში გამტანისი ძაბრული ხვრელია გაკეთებული, რომლის პირის დიამეტრი 5,5 სანტ-ს უდრის (ქვევითკენ ხვრელი ვიწროვდება). ხუფიც 10 სანტ-ის სისქის ოთხკუთი ფილაქანი ყოფილა, რომელიც რამდენსამე ნაჭრად გატეხილი აღმოჩნდა და ისიც ყველა ნატეხები ვერ ვიპოვეთ.

ქვაკუბო პირთამდე მინით იყო სავსე და შეიცავდა სამ ჩონჩხს, ორს დასავლეთისაკენ, ერთი მეორის ქვეშ, ერთსაც აღმოსავლეთისაკენ. თავის ქალები პირქვე იყო გადაბრუნებული, ძვლები აშლილი და არეული, ინვენტარი არა აღმოჩნდა რა.

ერთგვარ ინტერესს წარმოადგენს კიდევ ერთი პატარა ნაგებობა, რომელიც აგრეთვე ტაძრის ჩრდილო-კედლის ახლოს აღმოჩნდა, სახელდობრ, ჩრდილო-სტოის დასავლეთიდან მეორე და მესამე თაღებსშორისი მალის პირდაპირ. ეს ნაგებობა სამსაფეხურიანი თავკვეთილი პირამიდისებურად იყო ამოყვანილი და საფლავის ძეგლის პოსტამენტის შთაბეჭდილებას ახდენდა (სურ. 31). შუაში ქვიტკირი იყო ჩასხმული, გარშემო კი ერთმანეთზე კარგად მიწყობილი თლილი მოყვითალო და მოწითალო ქვის

კვადრები ჰქონდა შემოვლებული სამ საფეხურად, უქვიტკიროდ. ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან ნაგებობა დაშავებული აღმოჩნდა, მას აქ თითქმის სრულებით აკლდა კვადრების წყობა, მაგრამ ეტყობოდა კი, რომ თავდაპირველად ამ ორი მხრიდანაც იგი მთლიანად ქვებით შემოსილი უნდა ყოფილიყო. მთელი ნაგებობის სიმაღლე 74 სანტ-ს შეადგენდა, ქვედაწყობის სიგრძე (W-O) დაახლ. 3,25 მ-ს უდრიდა, სიგანე კი (S-N) – დაახლოვ. 2,85 მ-ს. აღმოსავლეთიდან ერთი კვადრი ლამაზი ყვავილოვანი ჩუქურთმით შემკული აღმოჩნდა. უეჭველია ეს ქვა თავდაპირველად აქ არ ეკუთვნოდა, მაგრამ მისი ჩუქურთმა არც ძველი ტაძრისეულია. საძირკველი ამ ნაგებობას ქვიტკირით შედუღებული მოზრდილი უფორმო ლოდებისა აქვს, 25 სანტ-ის სისქისაა და ტაძრის ცოკოლის დონეზე მოდის.

სრულებით ცხადია, რომ ეს ნაგებობა ტაძარზე გაცილებით უფრო მერმინდელია, რაც იმითაც მტკიცდება, რომ შიგ ამ ნაგებობაში, საძირკვლის დონეზე, რამდენიმე ჩუქურთმიანი მოლურჯო და წითელი თირის ნატეხი და აგრეთვე ორი წარწერიანი ქვა (წარწერა 6 და 7, 8) ამოვიღეთ. ამ „პოსტამენტის" ქვეშ მართლაც აღმოჩნდა 2 ქვაყუთი, რომლებიც მხოლოდ ჩაფშხვნილ ძვლებს შეიცავდა.

* * *

ინვენტარით როგორც ზემომოყვანილი აღწერილობიდანაც ჩანს, ბოლნისის სამარხავები მეტად ღარიბი აღმოჩნდა. არც ერთი მთელი ნივთი, გარდა რამდენიმე მინის და თიხის მძივისა, სპილენძის უბრალო ჩანჩხურისა და სადა საყურეებისა, რკინის სამაჯურებისა და სათითურისა, ქვაყუთებში არ გვიპოვია. კერამიკიდან თუ რამ მეტნაკლებად კარგად შენახული ამოვიღეთ, ეს იყო სამარხავებს გარეთ, ნაშალ მიწაში. ბევრი ჩნდებოდა, როგორც სამარხავებში ისე მათ გარეთ, ფერადი მინის სამაჯურების ნატეხი, ირიზებული მინის ჭურჭლის ნატეხები, კვერცხის ნაჭუჭი, ატმის კურკის ნაჭუჭი, წიბწა და სხვა მცენარეული ნაშთები, საქონლისა და ფრინველის ძვლები და სხვ.

სანიმუშოდ შეიძლება რამდენიმე განათხარი ნივთი აღვწეროთ. სურ. 32, მარჯვნით: ძალიან მდარე თიხის, სუსტად მომწვარი შავი ქოთანი, ხელით ნაკეთები და ამიტომ მრუდად გამოყვანილი. სიმაღლე 13,5 სანტ., პირის დიამ. 14 სანტ.



სურ. 32. ბოლნისის სიონი. განათხარი ნივთები.



სურ. 33. ბოლნისის სიონი. განათხარი ნივთები.

სურ. 33, ზემოთ, მარცხნიდან მეორე: მქისე თიხის შავად შეკვამლული ცალყურა კოჭობი, ნაკეთები ხელით. სიმაღლე 12,5 სანტ.

სურ. 33, მარჯვნით: წითელი თიხის კარგად მომწვარი პატარა ჯამი, გამოყვანილი ჩარხზე. სიმაღლე 5 სანტ., პირის დიამ. 9,5 სანტ.

სურ. 33, ზემოთ, მარცხნიდან მესამე: წითელი თიხის ლულიანი ჭურჭელი, ნაკეთები ჩარხზე; ლულა და ყური ჩამოტეხილი აქვს. სიმაღლე 10 სანტ.

სურ. 33, ზემოთ, მარცხნიდან პირველი: წითელი თიხის ჭიჭლა, გვერდზე მრგვლად გახვრეტილი; გამოყვანილი ჩარხზე. სიმაღლე 10 სანტ.

სურ. 33, შუაში, მარჯვნით: მდარე თიხის, სუსტად მომწვარი, შავად შეკვამლული ჭრაქი.



სურ. 34. ბოლნისის სიონი. განათხარი ნივთები.

სურ. 33, ქვემოთ, მარცხნიდან პირველი: კუთხის კრამიტის ნატეხი, რომელზედაც რელიეფით გამოყვანილია მთავრული „დ“.

სურ. 33, ქვემოთ, მარცხნიდან მეორე: კრამიტის ნატეხი.

სურ. 34, ზევით კურტნიანი კრამიტი.

სურ. 34, ქვევით: კუთხოვანი კრამიტი, რომელსაც დასაყალიბებელი ტილოს ნაკვალევი ეტყობა.

კერამიკიდან საინტერესოა კიდევ ორიოდე ფაიანსის ნატეხი.

სურ. 32, მარცხნით: სპილენძის ბადია, სადაა, ოღონდ გარედან წვრილი ზოლი უვლის გარშემო დაბალი რელიეფით: ერთ ადგილას ჩაბეჟილია, ქუსლი მოვარდნილი აქვს. სიმაღლე 9 სანტ., პირის დიამ. 17 სანტ.

სურ. 35. ბოლნისის სიონი. განათხარი ნივთები.

სურ. 35, ქვემოთ, მარცხნიდან პირველი: რკინის თავგახსნილი სამაჯური, ნაპოვნი მე-14 სამარხავში.

სურ. 35, ქვემოთ, მარცხნიდან მესამე: რკინის ბეჭედი.

სურ. 35, მარცხნიდან მეორე და მესამე: სპილენძის წვრილი საყურე, თავგახსნილი, სადა, მრგვალი.

სურ. 35, ქვემოთ, შუაში: სპილენძის ქინძისთავის ფრაგმენტი; თავი მინისაა.

სურ. 35, ზემოთ, მარცხნიდან პირველი: ლურჯი მინის პრტყელი სამაჯურის ნატეხი.

სურ. 36, ცისფრად და თეთრად მოჭიქული ფაიანსის მძივები, მდარედ, უსწორმასწოროდ ნახელავი, ხორკლებით შემკული. ნაპოვნია ყველა ერთად მრავალი ჩონჩხის შემცველ ქვაყუთში ჩრდილო-სტოაში.



სურ. 36. ბოლნისის სიონი. განათხარი მძივები.

* * *

ზემომოყვანილი აღწერის შემდეგ, მე მგონია, სურათი ნათელია: ყველა ეს სამარხავები შედარებით ნაგვიანევ ხანას ეკუთვნის. თავდაპირველად ბოლნისის სიონის ეზოში დასაფლავება არ სცოდნიათ. იგივე სურათია ტაძრის ჩრდილო-სტოაშიც: სიონის ეზოში და ჩრდილო-სტოაში სამარხავები საკმაო რაოდენობით და საკმაო არეზე იქნა შესწავლილი, რათა დანამდვილებით ითქვას, რომ უძველესი საფლავები აქ არ მოიპოვება. ტაძრის შიდანაწილის შესახებ არაფერი ითქმის, რადგან აქ არ გვითხრია, არამედ მხოლოდ ზედაპირულად მყოფი XVIII ს-ის საფლავების წარწერები შევისწავლეთ (ეს საფლავები, სხვათა შორის, თითქმის ყველა ნაწვალები ჩანს მძარცველების მიერ). სამხრეთ-სტოაში, შესავლის ხაზზე, იატაკის ქვეშ აღმოჩნდა რაღაც დიდი და ღრმა ღრუ, კამარისებრ გადახურული მშვენივრად გათლილი ფილაქნებით. მისი გამოკვლევა ვერ მოხერხდა იმის გამო, რომ ამისათვის საჭირო იყო სტოის მთელი იატაკის აყრა, რაც ტაძრის კედლებისათვის საშიში იქნებოდა. შესაძლებელია, აქ მოიპოვებოდეს უფრო ძველი საფლავები.[1] ძველი VI-X საუკუნეების საფლავების გერშები, როგორც ეს ზემომოყვანილი წარწერებიდან ჩანს (ნ. წარწერა 6 და 7), სიონის ეზოში აღმოჩნდა, მაგრამ ეს ქვები მერმინდელ ნაშალში ეყარა ცალკეულად და შესაძლებელია სულ სხვა ადგილიდან იყო მოტანილი აქ.[2]

ის საფლავები (ქვაყუთები), რომლების შესახებაც ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი, ყველა იმ ხანას ეკუთვნის, როდესაც სიონი, თუ მთლად არა, ნარილობრივ მაინც ნანგრევად იქცა. ეს ნაგვიანევი ხანის ქვაყუთები, როგორცა ჩანს, საგვარეულო თუ საოჯახო სამარხავებს წარმოადგენდა. მიცვალებულს ასაფლავებდნენ, ალბათ, სუდარაში და თითქმის ყოველთვის უინვენტაროდ. თუ ჩაატანებდნენ რასმე, ეს იყო იაფფასიანი წვრილმანი: რკინის სამაჯური ან ბეჭედი, სპილენძის საყურე ან ჩანჩხურა. ჭურჭლის ჩატანება არ იცოდნენ და ის ნატეხები, რომლებიც ქვაყუთებში გვხვდებოდა მცირე რაოდენობით, შემთხვევითაა მოხვედრილი შიგ მინასთან ერთად. ეგებ ასეთივე შემთხვევით აიხსნებოდეს ცხოველების ძვლების და კბილების და ზოგიერთი მცენარეული ნაშთების ყოფნაც ქვაყუთებში. საქმე ისაა, რომ ერთსა და იმავე ქვაყუთში რამდენსამე მიცვალებულს მარხავდნენ ერთი მეორის შემდეგ: ძველი მიცვალებულის ძვლებს განზე გადასწევდნენ, ისიც ხშირად ძალიან დაუდევრად, და ზემოდან ახალ მიცვალებულს ჩასდებდნენ და ეს მეორდებოდა ხოლმე ზოგჯერ სამ-ოთხ და მეტგზის. მიცვალებულებს აწვენდნენ ქრისტიანული წესის თანახმად, ზურგზე შვეტილად, გულხელდაკრეფილს, თავით დასავლეთისაკენ.

ქვაყუთები, მართალია, რამდენსამე სართულად გვხვდება, მაგრამ ყველა მაინც ნაშალშია ჩაშენებული და ყველა მეტნაკლებად ერთი ტიპისაა: დაუმუშავებელი, მხოლოდ ჩამოჭრილი საშუალო ზომის ქვით ან ფიქლებით ნაგები, დიდი პრტყელი ლოდებით ან ფიქლებით გადახურული, ფსკერის უიმისოდ.

ამ საფლავების უფრო ნიშანდობლივ დასათარიღებლად უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

---

[1] ამ სტოის შესავლის ზღურბლის ქვეშაც აღმოჩნდა საფლავი, ამოშენებული მშვენივრად გათლილი ფილაქნებით ქვიტკირზე, ქვიტკირის ფსკერით. აქ ერთი ჩონჩხი იწვა, ჩვეულებისამებრ თავით დასავლეთისაკენ. მას ისევ-ისე არავითარი ინვენტარი თან არ ახლდა.

[2] ჯვრიანი ქვის შესახებ, რომელზედაც იოანე ბოლნელის საფლავის წარწერაა მოთავსებული, არ შეიძლება ითქვას, რომ იგი თავიდანვე მაინც საფლავის ქვად იყო განკუთვნილი.

ერთის მხრით, ჩვენ ვიცით, რომ სიონის ეზო და გალავანი XVIII ს-ში ციხე-სიმაგრის როლს ასრულებდა და რომ შიგ საცხოვრებელი სახლები იდგა (პაპუნა ორბელიანის ცნობით). შეუძლებელია, რომ აქ ამ დროს სასაფლაოც ყოფილიყო. XVII ს-ის მეორე ნახევარში, ალბათ, ტაძრის ეზოში ნიკოლოზ ბოლნელმა ქარვასლა და დუქნები დადგა. ამ დროსაც სასაფლაო აქ წარმოუდგენელია. ქვაყუთები ყველა საკმაოდ ღრმადა ზის მიწაში – 1,20 მეტრისა და მეტის სიღრმეზე და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ნასახლარის კედლები ქვაყუთებზე ზემოდან არის დაშენებული (ნ., მაგ., სურ. 30 და ნახ. 4). ცხადია, რომ სიონის ეზო ჯერ სასაფლაო იყო და მხოლოდ მერმე იქცა სამოსახლოდ.

მეორე მხრით, ქვაყუთები ყველა ნაშალშია ჩადგმული; უმეშვოდ ქვაყუთების ქვეშ ხშირად ტაძრისეული ნანგრევი თლილი ქვები ჰყრია; მეხუთე თხრილში, ჩრდილო-სტოის გვერდით, 1,80 მეტრის სიღრმეზე, ე. ი. ცოკოლის ზემოთ, რომელიც 2 მეტრის სიღრმეზე მოდიოდა, ქვაყუთი აღმოჩნდა, რომელსაც, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ერთ გვერდითა კედლად ძველი ჩუქურთმიანი ქვა ჰქონდა ჩასმული; თვით სტოაში ერთი სამარხავი ტაძრისეული მოლურჯო თირით იყო ნაგები, მეორეს კიდევ ბოლნისური ჯვრიანი ქვა ჰქონდა ჩადგმული კედელში; „პოსტამენტისთვისაც" გამოყენებული იყო ჩუქურთმიანი ქვა და ძველი ქვაჯვრების და წარწერიანი ქვების ნატეხები და ა. შ.

ასე ვღებულობთ ორ ტერმინს, რომელთა შორის ბოლნისის სიონის სასაფლაო უნდა მოექცეს: ეს არის მარიამის მიერ ტაძრის აღდგენა XVII ს-ის შუახანებში, როგორც terminus post quem (ცხადია, რომ მარიამის შემდეგ და ნიკოლოზ ბოლნელამდე და თუნდაც XVIII ს-ის შუახანამდე ამოდენა ნაშალი და ამოდენა საფლავები ვერ დაგროვდებოდა სიონის ეზოში), და ტაძრის ნანგრევად ქცევა, საფიქრებელია, თემურ-ლენგის ლაშქრობათა დროს, XIV ს-ის დამლევს, როგორც terminus ante quem (უფრო ადრე ბოლნისის „შემუსრვა" ძნელი წარმოსადგენია, ვინაიდან, როგორც ზემოთ იყო განმარტებული, მთელს ბოლნისის ხეობას მკაფიოდ ეტყობა, პირიქით, XIII-XIV საუკუნეების აღმშენებლობის კვალი).

საფლავებში ნახული ინვენტარიც, თუმცა ასეთი ძალიან ცოტაა, ამგვარად, XV-XVI საუკუნეებით განისაზღვრება.[1]

* * *

ჩვენ განვიხილეთ ბოლნისის სიონის და ბოლნისების ისტორია უძველესი დროიდან ვიდრე XVIII ს-ის დამლევამდე. ზემოთ განმარტებულს რომ თავი მოვუყაროთ, მივიღებთ შემდეგ დასკვნებს:

1. ბოლნისის სიონი აშენებულია V ს-ის მეორე ნახევარში, სპარსთა მეფის პეროზის დროს (458-484). იგი არსებობს, როგორც მომქმედი ეკლესია, V ს-დან ვიდრე XVIII ს-ის შუახანებამდე. მას რამდენჯერმე განუცდია შეკეთება და უკანასკნელად, ძალიან საფუძვლიანად, XVII ს-ში. XV და XVI საუკუნეებში ტაძრის ჩრდილო-სტოა და ეზო სასაფლაოდ იყო ქცეული.

---

1 ასე, მაგ., რკინის სამაჯური (სურ. 35) და ფაიანსის მძივები (სურ. 36).
რომ ბოლნისის საფლავები XVII ს-ზე ადრინდელია, ამაზე მიმითითა პროფ. გ. ჩუბინაშვილმა, რომელიც სამართლიანად ჰფიქრობს, რომ მარიამს ჩრდილო-სტოა უკვე დანგრეული და ტაძრის ორივე ჩრდილო-კარი ამოქოლვილი დახვდა.

1778-88 წლებში აშენებულია სიონის სამრეკლო, ხოლო XVIII ს-ის პირველ ათეულებში – გალავანი. ამ საუკუნის შუახანებში ბოლნისის სიონის გალავანი და მისი სამრეკლო ციხე-სიმაგრის როლს ასრულებდა.

2. ბოლნისის უძველესი სამოსახლო ის ნაქალაქარია, რომელიც სიონის ქვემოთ სოფ. ქაფანაქჩის პირდაპირ მდებარეობს. ეს სამოსახლო შეიცავს VI ს-ის ძეგლს. XVII ს-ში ბოლნისი უკვე სამია: შუა-, ქვემო- და ზემო-ბოლნისები. უძველესი მოსახლეობა აქ ქართულია, ალბათ, სომხური ელემენტის მცირე შენარევით. ასეა XV ს-მდე. აქედან მოყოლებული სომხური იმიგრაცია მატულობს, ისე რომ XVII და XVIII საუკუნეებში მოსახლეობა აქ თითქმის სულ ერთთავად სომხურია. ეს მოსახლეობაც XVIII ს-ის მეორე ნახევარში იღუპება და აქ სრულებით ახალი იმიგრაცია ხდება ჯერ თურქული ტომებისა, შემდეგ ყარაბაღიდან გადმოსული სომხებისა და ბოლოს ჯავახელი ქართველებისა.

3. ბოლნისი ყოველთვის წმინდა სასოფლო-სამეურნეო მხარე იყო. შორეული საგარეო ვაჭრობა ცოტად თუ ბევრად ფართო მასშტაბით ბოლნისს არასოდეს არ უწარმოებია, რადგან მარჯვე სამიმოსვლო გზა მას არ მოეპოვებოდა. ამით აიხსნება ერთი მხრით ის, რომ ბოლნისი ბოლომდის პროვინციად დარჩა. და მეორე მხრით ისიც, რომ მან, ვიდრე XVIII ს-ის შუახანებამდე, ყოველგვარ განსაცდელს გაუძლო. საჭირო იყო ათეული წლების განმავლობაში განუწყვეტელი რბევა და აოხრება, რათა ბოლნისის სიმდიდრე საბოლოოდ დაცემულიყო და მოსახლეობა იქიდან აყრილიყო. ამის შემდეგაც ბოლნისი სწრაფად გამოკეთდა და დღეს იგი საქართველოს ერთ უმდიდრეს კუთხეს წარმოადგენს.

საინტერესოა ამ მხრით ბოლნისისა და დმანისის ბედის ერთმანეთთან შედარება. დმანისი სავსებით იმ სავაჭრო გზაზე იყო დამოკიდებული, რომელზედავ იგი მდებარეობდა: მისი სწრაფი ზრდა, აყვავება და ასეთივე სწრაფი დაცემა უმეშვოდ დაკავშირებული იყო ამ გზის მნიშვნელობასა და მის გაუქმებასთან. გზის გაუქმებასთან ერთად დმანისიც ეცემა და ეცემა ისე, რომ საუკუნეების განმავლობაში მას ვეღარ დაუბრუნებია თავისი მნიშვნელობა. პირიქით, ბოლნისმა ბოლომდე შეინარჩუნა თვითთავადი მნიშვნელობა, როგორც მდიდარმა სასოფლო-სამეურნეო რაიონმა. სწორედ ის გარემოება, რომ მხოლოდ დიდმა აოხრებამ აიძულა ბოლნისის მოსახლეობა XVIII ს-ის მეორე ნახევარში აყრილიყო და ადგილი დაეთმო ახალ მოსულთათვის, საბუთს გავძლევს ვიფიქროთ, რომ პირველი შენაცვლებაც ბოლნისის მოსახლეობისა ამავე მიზეზით იყო გამოწვეული. რადგან XIV ს-ში ჯერ ისევ ქართული მოსახლეობა უნდა გვეგულებოდეს აქ, ხოლო ამ საუკუნის დამლევს მთელმა ქართლმა საშინელი აოხრება განიცადა თემურ-ლენგის შემოსევათა წყალობით, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ იმ დროს აყრილა აქედან ძველი ქართული მოსახლეობა. ამგვარად, სომეხი გლეხობა მოსული უნდა იყოს ბოლნისში XV ს-ში.

შემოკლებათა სია

1721 წლ. ხალხ. აღწ. დავთ. = მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში: I. აღწერა მეწინავე დროშისა და სხ. ვახუშტი ბატონიშვილის მიერ 1721 წ., გამოც. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ. 1907.

დასტურლამალი = დასტურლამალი მეფის ვახტანგ მეექვსისა, გამოც. პ. უმიკაშვილის რედაქტორობით, ტფ. 1886.

ვახუშტი, გეოგრ. = ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, გამოც. მ. ჯანაშვილის რედაქტორობით, ტფ. 1904.

ვახუშტის ისტორია, ჭიჭ. გამ. = საქართველოს ცხოვრება ბატონიშვილი ვახუშტის მიერ, მეორე გამოც. ზ. ჭიჭინაძისაგან, ტფ. 1913.

ისტორ. საბ. = ისტორიული საბუთები, ნ. I-V, გამოც. ს. კაკაბაძის მიერ.

Крест. грам. = Грузинские крестьянские грамоты и т. д., сост. Д.П. Пурцеладзе, Т. 1882.

Mél. Asiat. II = Mélanges Asiatiques. tirés du Bulletin Hist.-Philol. de l'Acad. Imp. des Sciences, t. II (1852-1856), St.-Ptb., 1856.

ომ. ხერხ. = საქართველოს ცხოვრება. ახალი მოთხრობა 1469 წლითგან ვიდრე 1800 წლამდე ორ წიგნად აღწერილი: III, ომან ხერხეულიძისა. მეორე გამოც. ზ. ჭიჭინაძის მიერ, ტფ. 1913.

პაპ. ორბ. = საქართველოს ცხოვრება, ახალი მოთხრ. 1469 წლითგან 1800 წლამდე: II, პაპუნა ორბელიანისა, მეორე გამოც. ზ. ჭიჭინაძისა, ტფ. 1913.

საქ, სიძვ. II = საქართველოს სიძველენი, ტ. II, საქ. საისტ. და საეთნოგრაფიო საზ. გამოც., ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ. 1909.

ს. ჩხ. = საქართველოს ცხოვრება, ახალი მოთხრ. 1469 წლითგან 1800 წლამდე: I, სეხნია ჩხეიძის მიერ, მეორე გამოც. ზ. ჭიჭინაძისა. ტფ. 1913.

ქრონიკ. II = ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, წიგნი II, თ. ჟორდანიას მიერ, ტფ. 1897.

Церк. гудж. = Грузинские церковные гуджари, состав. Д.П. Пурцеладзе, Т. 1881.

ჭიჭ. ქც-ა = ქართლის ცხოვრება, მეორე გამოც. ზ. ჭიჭინაძის მიერ, ტფ. 1897.

Hist. de G. = Histoire de la Géorge depuis l'antiquité jusquau XIX-e siècle, traduite du géorgien par M. Brosset, St.-Ptb., 1850-1858.

გუდარეხის პირველი და მეორე (1938 და 1939 წწ.) არქეოლოგიური კამპანიის ანგარიში

რედაქტორისაგან

გუდარეხის არქეოლოგიური გათხრა ნავარაუდევი იყო სამი არქეოლოგიური კამპანიის განმავლობაში, მაგრამ ჩატარდა მხოლოდ ორი კამპანია – სახელდობრ, 1938 და 1939 წლებში, ამგვარად ტერიტორიის ნაწილი გაუთხრელი და გამოუკვლეველი დარჩა. ქალაქის ზღუდის ფარგლებში მოქცეული მთელი ტერიტორიის ნახევარზე მეტი, ამასთანავე ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ ემიჯნებოდა მთელი ნასახლარის ცენტრს, მოედნის გარშემო განლაგებული ტაძრით, სამრეკლოთი და სასახლის შენობით, დეტალურადაა გამოკვლეული ორი არქეოლოგიური კამპანიის განმავლობაში.

ვინაიდან გათხრების ხელმძღვანელი ლ. მუსხელიშვილი, უდროოდ გარდაცვალებამდე 1942 წელს, იმედოვნებდა მაინც ჩაეტარებინა დასკვნითი კამპანია გუდარეხში, ანგარიში ჩატარებული ორი კამპანიის შესახებ მის სიცოცხლეში არ ყოფილა გადაცემული დასაბეჭდად. თუმცა ანგარიში მის მიერ სავსებით გაფორმებული იყო, ვინაიდან პირველი კამპანიის დასრულების შემდეგ განზრახული იყო მისი გამოქვეყნება. ამ ანგარიშმა, რომელიც სავსებით დამუშავებული და მანქანაზე გადაბეჭდილი იყო, მიიღო დასკვნა: „დაბეჭდვა სასურველია, ივ. ჯავახიშვილი. 1939. 3. VIII“. მეორე კამპანიის დაწყებამ და მისი წყალობით 1938 წლის დაუმთავრებელ კვლევა-ძიებაში შეტანილმა გარკვეულობამ, საშუალება მისცა შეტანილი ყოფილიყო ყველა საჭირო დამატებანი პირველი კამპანიის ანგარიშში. ეს დამატებანი დარჩნენ მინაწერებისა ან ხელნაწერი ჩანართი ფურცლების სახით.

გათხრები გუდარეხში განხორციელებული იყო მკაცრი მეცნიერული მოთხოვნილებების დაცვით და იმ მეთოდების გამოყენებით, რომლებიც შემუშავებული იყო დიდ არქეოლოგიურ წამოწყებათა, მათ შორის, წინა აღმოსავლეთის სხვადასხვა პუნქტებში ჩატარებული გათხრების შედეგად. საქართველოს პირობებში ეს იყო პირველი ცდა შუასაუკუნეების ნაქალაქართა სისტემატური შესწავლისა. ამ გათხრების ანგარიშის გამოქვეყნების საკითხი არაერთგზის დასმულა უკანასკნელი 10-12 წლის განმავლობაში. იგი გადაწყდა ამ ანგარიშის შეტანით აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის საგამომცემლო გეგმაში. ეს გარემოება ზუსტად უპასუხებდა ინსტიტუტის კვლევითი მუშაობის მიმართულებას, რომელიც განისაზღვრება უკანასკნელ წლებში; სახელდობრ, გეგმიანი არქეოლოგიური კვლევის საგანი გამხდარიყო საქართველოს შუასაუკუნეებიც, კერძოდ, იგი უპასუხებდა ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობას.

გუდარეხის გათხრების ხელმძღვანელი ლ. მუსხელიშვილი, გათხრების მიმდინარეობისა და მის მიერ აღმოჩენილი მასალის ფიქსაციის მხრივ მისდევდა ბარათების სისტემას. მისი საშუალებით გათხრების ყოველი დღის დასასრულს ხდებოდა მთელი მასალის პირველადი დახარისხება ბარათებზე (კერამიკის, რკინის, მინის, არქიტექტურული

დეტალებისა და ა. შ.), ამასთანავე, მისი განაწილება (ნივთების, ფოტოსურათების, ანაზომთა კროკებისა და ა. შ. ნუმერაციის მითითებით) ყოველდღიურად აღინიშნებოდა განსაკუთრებულ ქარტოთეკაზე, რომელიც წარმოადგენდა ყველა მონაცემის გაერთიანებას და ემსახურებოდა მუშაობის მიმდინარეობის კონტროლს. ამ სისტემამ, რომელმაც შეცვალა ერთიანი საველე დღიური, საშუალება მისცა დაუყოვნებლივ შედგენილიყო ანგარიში, რომელიც იძლეოდა ჩატარებული მუშაობისა და მიღწეული შედეგების ნათელ მიმოხილვას, ექსპედიციის შემადგენლობაში, მუშაობის მთელ მანძილზე, შედიოდა არქიტექტორი ციალა გაბაშვილი. ამ გარემოებამ უზრუნველყო გათხრებისა და ყველა სტადიის ფიქსაცია ანაზომების სახით და აგრეთვე, კოლექტორთა კროკების მიხედვით ნახაზების თეთრად შესრულება მასშტაბში. მის მიერვეა დატანილი ტოპოგრაფიულ გეგმაზე, რომელიც გადაღებული იყო გათხრების დაწყებამდე ტოპოგრაფ მ. ახალაძის მიერ, 1938 წ. გათხრების შედეგები (გეგმა II) და 1939 წლის შედეგები (გეგმა I).

ამას გარდა, ექსპედიციის შემადგენლობაში შედიოდნენ რესტავრატორის თანამდებობაზე შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმის თანამშრომელი ირინე ჯაფარიძე და ფოტოგრაფი ლ. მაჭავარიანი. ამგვარად, უზრუნველყოფილი იყო ნამონასტრალის არქეოლოგიური გათხრების შედეგების არა მარტო სრული და ყოველმხრივი ფიქსაცია, არამედ სათანადო კონსერვაციაც განათხარი ნივთებისა და როცა ეს შესაძლებელია იყო – რესტავრაციაც[1].

განსვენებულ ლ. მუსხელიშვილის მიერ რედაქტირებულ ორივე კამპანიის ანგარიშს, რომლის ნაწილი დაწერილია, როგორც ეს აღნიშნულია მის წინასიტყვაობაში, ორი კოლექტორის – შალვა ხიდაშელისა (ნაკვეთი 5 და 9) და ვახტანგ ჯაფარიძის (12) მიერ, დამატებული აქვს ორი უკანასკნელი ნაკვეთი (13-14), შედგენილი აგრეთვე, ვ. ჯაფარიძის მიერ უკვე ანგარიშის გამოსაცემად მომზადების დროს – 1953 წელს, ეს არის ფაქტობრივი მონაცემები ზღუდის გარეთ მდებარე საჟამნოს შესახებ, რომლისთვისაც არქიტექტორმა ც. გაბაშვილმა თავის დროზე დაამზადა ნახაზები ნაგებობების რეკონსტრუქციითურთ და მოკლე მიმოხილვა კერამიკული მონაპოვრისა, რომელსაც თან ახლავს რამდენიმე ნიმუშის ფოტოსურათი ილუსტრაციებში. ფოტოსურათები დამზადებული იყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კოლექციებიდან 1953 წელს[2].

რადგან გუდარეხს არსებითად საფუძველი ჩაუყარა დედოფალმა რუსუდანმა (1222-1245 წწ.). როგორც ეს მტკიცდება თვით ანგარიშის მრავალი ცალკეული პუნქტებითაც, ამით ისახება ქრონოლოგიური ზღვარი ante quem non განათხარი მასალისათვის, ამას კი არსებითი მნიშვნელობა აქვს კერამიკული მონაპოვარის საერთოხასიათის გამო, რაც შენიშნულია გუდარეხის და დმანისის, ხოლო ახლა კიდევ, რუსთავისა და თბილისის კერამიკის მიმართ და რაც ამგვარად, ღებულობს დაზუსტებულ სახეს.

---

[1] გათხრების ქარტოთეკა და აგრეთვე, ანაზომების მიხედვით შესრულებული ნახაზები და ფოტონეგატივები ამჟამად ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში, ხოლო წარწერებისა და რელიეფური ქვების ესტამპები გადაეცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა და საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს.

[2] ანგარიში სასახლის გათხრების შესახებ იხ. გვ. 91-102 არ ყოფილა რედაქტირებული ლ. მუსხელიშვილის მიერ, იგი დოკუმენტირებული არაა სრულად ნახაზებით და რამდენადმე განსხვავდება ანგარიშის დანარჩენი ტექსტისაგან.

რედაქციული მუშაობა მიმართული იყო იქითკენ, რომ შესაბამისობა ყოფილიყო ტექსტის მითითებათა და თანდართულ ილუსტრაციებს შორის, ზოგიერთ ტერმინოლოგიურ აღნიშვნათა შორის, რაც დაზუსტებული იყო ლ. მუსხელიშვილის მიერ ანგარიშის შედგენის უკანასკნელ სტადიაში და ამის გამო, ბოლომდე არ ყოფილა გატარებული მთელ ტექსტში. ეს შეუსაბამობა გამოიხატება აგრეთვე, ნახაზების დასათაურებაში, რომლებიც სხვადასხვა დროს იყო დამზადებული და გამოყენებული ჰქონდა ამა თუ იმ ნელში მიღებული აღნიშვნა. ამითვე აიხსნება ის განსხვავება, რომელიც არსებობს სხვადასხვა შენობათა აღნიშვნაში I და II გეგმაზე და აგრეთვე, მთავარი ტაძრის უბნის (III და IV) გათხრების ნახაზებზე. წიგნის ბოლოში თანდართულ დიდ ფურცლებზე ასახულია ის მდგომარეობა, რომელიც არსებობდა გათხრების პირველი წლის დასასრულს (II და IV) და მეორე წლის ბოლოში (I და III) და ამგვარად, ეს ფურცლები იძლევა გათხრების მიმდინარეობის ნათელ სურათს. აღნიშნულ რედაქციულ მუშაობაში ქმედითი მონაწილეობა მიიღო ვ. ჯაფარიძემ.

გ. ჩუბინაშვილი
10 იანვარი 1954 წ.

წინასიტყვაობა

არქეოლოგიური გათხრა გუდარეხის ნასახლარისა გადაწყდა 1937 წლის დამლევს, იქ განზრახულ სარესტავრაციო სამუშაოებთან დაკავშირებით. ინიციატივა ამ საქმისა ეკუთვნოდა საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილებას, კერძოდ, მის სათავეში მდგომ ამხ. დ. ლომაძეს და განყოფილების კონსულტანტს, პროფ. გ. ჩუბინაშვილს. როგორც გათხრების, ისე განათხარი ინვენტარის, ნახაზების და სხვ. კამერალური და ლაბორატორიული დამუშავების დაფინანსება განყოფილებამ სავსებით თავის თავზე აიღო. 1938 წლის გაზაფხულზე კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილებასა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ამ უკანასკნელმა გათხრების ხელმძღვანელად გამოჰყო უფრ. მეცნ. თანამშრომელი თავისი ისტორიული განყოფილებისა, რომლის ხელშიც უნდა გადასულიყო უდიდესი ნაწილი განათხარი ნივთებისა. გარდა ამისა, საქართველოს მუზეუმმა იკისრა განათხარის დამუშავება თავის ლაბორატორიაში.

თანახმად კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილების მიერ 1938 წლის გაზაფხულზე მიღებული გეგმისა, გუდარეხის ნასახლარის შესწავლა გადაწყდა სამი არქეოლოგიური კამპანიის საშუალებით. ამიტომ ექსპედიციის შემადგენლობა, თითოეული კამპანიის მუშაობის ვადა და კრედიტები ისე იყო ნავარაუდევი, რათა თითოჯერ ნასახლარის მთელი ფართობის 1/3 ყოფილიყო გათხრილი.

პირველი კამპანია გაგრძელდა 2 თვეს (1938 წ. აგვისტო და სექტემბერი). ამდენივე დრო მოუნდა მეორე კამპანიას (1939 წ. სექტემბერი-ოქტომბერი). მაგრამ მეორე ექსპედიციას გეგმის სრულად შესრულებაში ხელი შეუშალა უჩვეულოდ ხშირმა ავდრებმა.

პირველი კამპანიის დროს გათხრილი ობიექტებიდან სასახლისა და პილასტრებიანი კედლის გათხრას უშუალოდ აწარმოებდა შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმის უფრ. მეცნ. მუშაკი შ. ხიდაშელი, რომელმაც წინამდებარე ანგარიშისათვის დაწერა განაკვეთები აღნიშნულ ნაგებობათა შესახებ. ჩრდილო-დასავლეთი ჭიშკრის, I შენობის და 1-6 თხრილების გათხრას აწარმოებდა ხსენებული მუზეუმის უმცრ. მეცნ. მუშაკი ვ. ჯაფარიძე, რომელმაც წინამდებარე ანგარიშისათვის დაწერა განაკვეთი I შენობის შესახებ; მანვე, მეორე კამპანიის დროს 1939 წ. ჩაატარა „პილასტრებიანი ნაგებობისა"

და ჩუქურთმიანი შენობის გათხრები. საჯინიბოსი და ჯვრიანი შენობის გათხრა ჩაატარა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული განყოფილების უმცრ, მეცნ. მუშაკმა დ. კაპანაძემ, ხოლო მთავარი ტაძრის კარიბჭის, სენაკების კომპლექსისა და საჟამნოს გათხრების წარმოება უშუალოდ მე მომიხდა.

ორი კამპანიის შედეგად, სამოსახლოს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი შეიძლება საბოლოოდ და სრულიად გამოკვლეულად მივიჩნიოთ (გეგმა I) – ძნელი წარმოსადგენია, რომ აქ კიდევ ახალი რამ აღმოჩნდეს, გამოსაკვლევია ახლა მხოლოდღა ჩრდილო-აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილების ზღუდის ფარგლებში მოქცეული ნასახლარები (სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი თითქმის სულ ერთიანად კბოდეს წარმოადგენს, რომელზედაც აქა-იქ ნაკედლარები ჩანს, მაგრამ ნაშთები მოსალოდნელი არაა, რადგან ნიადაგი უმეტეს ნაწილად თითქმის ზედ კლდეზეა გაშიშვლებული). ამ რაიონში უკვე პირველივე კამპანიის დროს დავიწყეთ მუშაობა: სახელდობრ, დ. კაპანაძემ გათხარა ე. წ. ჯვრიანი შენობა, ხოლო 1939 წ. ვ. ჯაფარიძემ აწარმოა გათხრა ჩუქურთმიანი შენობის შიგნით და მის გარშემო. გარდა ამისა, 1939 წელსვე დაიდო ორი თხრილი სამოსახლოს ამ ნაწილში: ერთი (ტიპოგეგმაზე აღნიშნული შიფრით „ა") ზღუდის დიდი კარის საძიებლად. ამ თხრილმა შედეგი არ მოგვცა – აქ არამც თუ კარის, თვით ზღუდის კედლის ნაშთიც კი ვერ ვნახეთ, თუმცა ყველა ნიშით ზღუდეს სწორედ ზედ ამ თხრილზე უნდა გაევლო. მეორე, უფრო დიდი თხრილი (ტოპოგეგმაზე არაა აღნიშნული), დაიდო სასახლისა და სამრეკლოს NO-ით ზღუდის გასწვრივ (მისი გათხრა ვერ დასრულდა).

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია ყველა გათხრილი ობიექტი, გარდა იმ თხილებისა და იმ შენობებისა, რომლებიც სამოსალხოს NO-და SO-ნაწილებში მდებარეობს. ამათი გათხრის ანგარიში წარმოდგენილი იქნება მაშინ, როდესაც სამოსახლოს აღნიშნული ნაწილის გათხრა საერთოდ იქნება დასრულებული. არაა აგრეთვე წარმოდგენილი საჟამნოს გათხრები, რომლებმაც ოდნავ დააზუსტეს მხოლოდ ამ შენობის გეგმა და ზოგიერთი ჩუქურთმიანი ფრაგმენტიც შეგვძინეს. საჟამნოს აღწერა განზრახული მაქვს გუდარეხის სხვა საკულტო ნეგებობათა აღწერასთან ერთად.

ყველა ნახაზი შესრულებულია არქიტექტორ ციალა გაბაშვილის მიერ, ზოგი საკუთარი, ზოგი კოლექტორთა ნახაზების მიხედვით.

დასასრულ შევნიშნავ, რომ მეტეხის ხელოვნებათა მუზეუმის მიერ გუდარეხში მოვლინებულმა უფრ. მეცნ. მუშაკმა ზ. მაისურაძემ, გადმოიღო გუდარეხის ყველა წარწერებისა და ბარელიეფების ესტამპები.

ლ. მ.

I. ნასახლარის აღწერა

გუდარეხი მდებარეობს თეთრი წყაროს რაიონში, თეთრი წყაროს ჩრდილო-დასავლეთით, 7-8 კილომეტრის მანძილზე. გუდარეხის წყალი, რომლის სათავეებშიც გაშენებულია ძველი მონასტერი, მარჯვნიდან ერთვის ალგეთს. ეს პატარა წყალი სათავეებთანვე უკვე საკმაოდ ღრმა, ვიწრო ხევით მიმდინარეობს, ისე რომ ძველი სამოსახლოს ზღუდე 12-13 მეტრის სიმაღლის ნაპირზე დგას. მონასტრის ნანგრევები უღრანი ტყითაა გარემოცული, დღეს გუდარეხში მოსახლეობა აღარაა. მხოლოდ ორიოდე კილომეტრის დაცილებით აღმოსავლეთისაკენ, პატარა სოფელ ღორისთავში ცხოვრობენ აქ ამ ოციოდე წლის წინათ დამკვიდრებული მთიულები.



სურ. 1. გუდარეხის ნასახლარის საერთო ასახულობა ჩრდ-დასავლეთიდან.

ყველაზე უფრო სრული აღწერა გუდარეხისა მოგვცა ე. თაყაიშვილმა თავის „არქეოლოგიურს ექსკურსიებსა და შენიშვნებში"[1]. მასუკან მხოლოდ საფლავის ქვების წარწერები გადმოიღო კიდევ გ. ჩიტაიამ[2]. როგორც ნაგებობათა, ისე საფლავთა წარწერების წანაკითხი მცირეოდენ შევსებას მოითხოვს, მაგრამ ამჟამად ჩვენ ამ საკითხს აღარ გამოვუდგებით, არამედ გადავალთ პირდაპირ ნასახლარების აღწერაზე, რომელიც ე. თაყაიშვილს მეტის-მეტად მოკლედ აქვს წარმოდგენილი.

გუდარეხის ნასახლარები ორ მთავარ ნაწილად შეიძლება გაიყოს[3]. ერთია ნასოფლარი, რომელიც მდებარეობს ზღუდეს გარეთ ჩრდილო-დასავლეთისა და ჩრდილოეთისაკენ და რომელიც უმთავრესად, ნასახლარი ორმოებითაა წარმოდგენილი; არის აქ დაცული ზოგან კედლის და ზოგან კარის ნაშთებიც, მაგრამ საინტერესოს ეს მცირე სამოსახლო არაფერს შეიცავს; კედლები ნაგლეჯი ქვით და ქვითკირით ყოფილა ნაგები, მხოლოდ კარისთვის უხმარიათ თლილი ქვა; სახლები პატარა იყო, უმეტეს შემთხვევაში, როგორცა ჩანს, მხოლოდ ერთოთახიანი.

ნასახლარების მეორე ნაწილს შეადგენს საუცხოოდ ნაგები, ზღუდით გარშემორტყმული მონასტერი, რომლის არე დაახლ. 4,5 ჰექტარის ფართობს მოიცავს და ხშირი ნანგრევებითაა დაფარული. ეს სამოსახლო გრძელსა და ვიწრო კლდეზე და

---

[1] Изв. Кавказ. Отл. Моск. Археол. Общ., I. Т., 1904, გვ. 26-39

[2] საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. III, თბ., გვ. 1927. გვ. 114-117.

[3] ჩანართი – გეგმა I.

მის ფერდობებზეა მოთავსებული (სურ. 1). კლდე მიმართულია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ და მას ნახევრად მრგვალი მოხაზულობა აქვს; მისი უბე მიქცეულია სამხრეთ-დასავლეთისაკენ. ზემოდან იგი ვიწრო ბაქანს წარმოადგენს, რომელიც ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ოდნავ დაქანებულია, ისე რომ თუ ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მისი ფერდობების სიმაღლე ზღუდიდან თხემამდე ჩრდილოეთიდან 8-9 მ-ს, დასავლეთიდან 9-10 მ-ს და სამხრეთიდან 22-23 მ-ს აღწევს, სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში სამხრეთის ფერდობის სიმაღლე არ აღემატება 8-9 მ-ს და შესატყვისად, უფრო დაბალია დანარჩენი ფერდობებიც. მთელი ბაქნის სიგრძე უდრის დაახლ. 100 მ-ს. თავსა და ბოლოში იგი ფართოვდება: ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში იგი დაახლ. 20 მ-ის სიგანისაა – აქ მოთავსებულია შენობა I, მთავარი ტაძარი და სამრეკლო; სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მისი სიგანე 15 მ-ს არ აღემტება – აქ მოთავსებულია შალვას ეკლესია, ჯვრიანი და ჩუქურთმიანი შენობები. ამ ორ უფრო ფართო ნაწილებს შორის ვიწრო, დაახლ. 6-7 მ-ის სიგანისა და 30 მ-ის სიგრძის ყელია, რომელზედაც შენობები არა ჩანს.

ფერდობები ხშირი ნანგრევებითაა დაფარული. განსაკუთრებით ხშირია ნანგრევები ჩრდილო-აღმოსავლეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილებში, სადაც შენობები, ეტყობა უწყვეტლივ მისდევდა გალავნის კედელს შიგნიდან. კლდის თხემზე მოთავსებულ შენობებს გარდა, საინტერესო ნაგებობანი, რომლებიც ზედაპირულად ჩანს, არის სასახლე, საჯინიბო (შენობა II) და ზოგიერთი სხვა შენობაც, განსაკუთრებით, ჩრდილო-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ფერდობებზე. დიდი უმრავლესობა შენობებისა თლილი ქვითა და ქვითკირით ყოფილა ნაგები.

* * *

გარდა საკულტო შენობებისა, რომელთა მოკლე აღწერა ე. თაყაიშვილს მოეპოვება და რომელთაგან მთავარი ტაძარი და სამრეკლო განსაკუთრებით საინტერესოა იმით, რომ შედარებით ზუსტადაა დათარიღებული (პირველი – რუსუდანის, ხოლო მეორე – დიმიტრი II-ის მეფობით), იმ შენობათაგან, რომლებიც ზედაპირულად მეტ-ნაკლები სისრულით არის შენახული, აღსანიშნავია ზედა ბაქნის სამხრეთ–აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე სამი ნაგებობა, რომლებიც ერთი-ერთმანეთზეა მიკრული და რომლებსაც ჩვენ „ჩუქურთმიანი შენობის კომპლექსი“ დავარქვით. სამივე შენობა ორიენტირებულია აღმოსავლეთისაკენ, სამხრეთიდან მოდის ჯერ ე. წ. „ჩუქურთმიანი შენობა“, შემდეგ სენაკი (1), რომელსაც ჩრდილოეთიდან აკრავს ე. წ. „ჯვრიანი შენობა“. ესენი ე. თაყაიშვილს ეკლესიებად მიუჩნევია. იგი წერს: „Это двойная церковь, потому что внутри глухая продольная стена делит ее на две самостоятельные части, и каждая часть поперечной стеной в свою очередь делится на две части“ (ხსენ. ნაშრ. გვ. 30). ნამდვილად ეს ნაგებობანი საკულტო არაა. ყველაზე ადრე აშენებულია სენაკი. „ჩუქურთმიანი შენობა“, რომელსაც ეს პირობითი სახელი იმიტომ ეწოდება, რომ იგი ჩუქურთმით შემკულს საცხოვრებელ სახლს წარმოადგენს, და „ჯვრიანი შენობა“ მერმეა მიშენებული სენაკზე.

სენაკი I[1] წარმოადგენს პატარა უსწორო ოთხკუთხედ შენობას, სიგრძით (O–W) დაახლ. 4,00 მ-ისას, სიგანით დაახლ. 2,00 მ-ისას და სიმაღლით დაახლ. 3,00 მ-ისას,

[1] მ-2 სენაკი არის ე. წ. „სასახლის სენაკი“, ხოლო მესამეა ამ უკანასკნელის გვერდით აღმოჩენილი სენაკი (ნ. ქვემოთ).



სურ. 2. „ჩუქურთმიანი შენობა" და სენაკი აღმოსავლეთიდან.

რომელიც შედარებით კარგადაა დაცული სახურავითურთ. შესავალი მას დასავლეთიდან აქვს, მაგრამ კარის ნაშთები დაცული აღარაა. სარკმელი აღმოსავლეთის კედელშია, რომელიც გარედან საუცხოოდ გათლილ-გასიპული ღვინისფერი ფილაქნებით იყო შემოსილი (სურ. 2)[1]. ღაროვანი ლავგარდანი, რომლის ერთი ქვა შენახულია in situ, სხვა სამი ქვა კი ქვევით ჩამოვარდნილი ვიპოვეთ, შემკულია წნული ჩუქურთმით. აღსანიშნავია, რომ იგი მოყვითანო ქანისაა, რაც, ღვინისფერ კედელთან, უსიამო შთაბეჭდილებას ახდენს. მოჩუქურთმებულია აგრეთვე სარკმლის ძირის ქვა[2]. შიგნით ყველა ქვა გალესილია ბათქაშით. აქ მრავალი კუთხოვანი წალოა შეშენებული (O-კედელში – 2, N-კედელში –3, თუ 4, S–კედელში –2) რომელთაგან ზოგიერთი ცხადლივ ხატების დასადგმელად იყო განკუთვნილი. სწორედ ეს მიგვითითებს ამ ოთახის დანიშნულებაზე. იგი დახურულია ჩარდახოვანი კამარით, რომელიც ამოყვანილია სოლისებურად ჩამოტეხილი და სოლისებრ ჩაწყობილი პატარა ზომის ქვებით. რა ეფინა სახურავს ზემოდან, არა ჩანს, ზედ მიწაა დაყრილი, მაგრამ სახურავის ზედაპირზე ვიპოვეთ რამდენიმე კარგად შენახული კრამიტი – კურტნიანი სადა და მწვანედ მოჭიქული და ქიმებიანი სადა და სოსნად მოჭიქული.

---

1 ამ შემოსილობისა ახლა ნაწილიღაა მხოლოდ დაცული.

2 ეს ქვა თუმცა სარკმლის ძირშია ჩასმული გარედან, მაგრამ ჩვეულებრივ სარკმლის ძირის ქვას არა ჰგავს. შესაძლებელია, იგი აქ მოგვიანებით იყოს მოქცეული.

სენაკის სამხრეთი კედელი ნაგებია მქისედ ჩამოთლილი საშუალო ზომის კვადრებით, გამტანისი წყობით. უფრო ზუსტად, მეტი ნაწილი ამ კედლის ამოყვანილია ერთი პირი ქვით ქვიტკირზე, ისე რომ კვადრების სიგანე და კედლის სისქე ერთია (0,65 მ საშუალოდ). მხოლოდ კამარის ძირში იწყება უფრო წვრილი ქვა (სურ. 3). რადგან წყობა არაა ლამაზი, კედელი, როგორც აღვნიშნე, სენაკის მხარეზე ბათქაშითაა გალესილი. იყო თუ არა იგი გალესილი „ჩუქურთმიანი შენობის" მხარეზეც, არა ჩანს. ეს კედელი საერთოა სენაკისა და „ჩუქურთმიანი შენობისათვის", ანუ უკეთ, „ჩუქურთმიანი შენობა" კედელზეა მიდგმული. ეს სრულებით ნათლად ჩანს იქიდან, რომ იგი და მასთან ერთად სენაკის O-კედელი, შედარებით „ჩუქურთმიანი შენობის" O-კედელთან, მთელი 24 სანტიმეტრითაა გამოწეული აღმოსავლეთისაკენ. ამგვარად, „ჩუქურთმიანი შენობის" მერმინდელობა უეჭველია. მაგრამ უცნაური რჩება ერთი გარემოება: „ჩუქურთმიანი შენობაც" კამარით ყოფილა გადახურული, რომლის ძირის ნაშთი შენახულია სწორედ სენაკის S-კედელზე (ე. ი. „ჩუქურთმიანი შენობის" N -კედელზე); ამ კედელს ორივე კამარა ეჭირა: ერთი გადადის ჩრდილოეთისაკენ და ხურავს სენაკს, მეორე გადადიოდა სამხრეთისაკენ და ხურავდა „ჩუქურთმიან შენობას", მაგრამ სწორედ ამ უკანასკნელი შენობის მხარეს კედლის შემრგვალება კამარაში გადასასვლელად უკვე მის (კედლის) ნახევარსიმაღლეზე იწყება, ე. ი. კედლის ქვა, აღნიშნული სიმაღლიდან მოყოლებით, გაცილებით უფრო დაბლა, ვიდრე თვით კამარა დაიწყებოდეს, ისეა ჩამოთლილი და ისეა ნაგები, რომ წყობა თანდათანობით იწყებს უკვე გადმოზნექას სამხრეთისაკენ; პირიქით, ასეთივე გადაზნექა ჩრდილოეთისაკენ, ე. ი. სენაკის მხარეზე ამ კედელს თი-

სურ. 2. „ჩუქურთმიანი შენობა" და სენაკი დასავლეთიდან.

თქმის არც კი ეტყობა; ამიტომ სრულებით ცხადია, როცა ამ კედელს აგებდნენ, უკვე განზრახული ყოფილა შენობის დადგმა იმ ადგილასაც, სადაც ახლა „ჩუქურთმებიანი შენობა“ დგას; და მაინც, რომ ეს უკანასკნელი მაშინვე არ დაუდგამთ, ეს ჩანს არა მარტო მისი O-კედლის მიდგმულობიდან სენაკის S-კედელზე, როგორც ეს უკვე ზემოთ აღვნიშნე, არამედ იქიდანაც, რომ „ჩუქურთმიანი შენობის“ კართან შედარებით მისი კამარა ძალიან დაბლა მოდის – კარის სიმალე 1,60 მ-ს შეადგენს, კედლის ზემოაღწერილი გადმოზნექა კი დაახლ. უკვე 1,00 მ-ის სიმაღლეზე იწყება, ისე რომ კამარის ქუსლი კარის ხორშს ნაწილობრივ მაინც უნდა აჰფარებოდა, რასაც, რა თქმა უნდა, ძნელად თუ დაუშვებდნენ, გეგმა, რომ თავდაპირველადვე აწინდელი ყოფილიყო; უნდა დაუშვათ თითქოს, რომ „ჩუქურთმიანი შენობის“ ადგილას უწინ სხვა, მასზე უფრო დაბალი შენობა მდგარა.

სენაკიდან „ჩუქურთმიან შენობაში“ პატარა მრგვალი ხვრელი გადის სარკმელივით. მართლაც, „ჩუქურთმიანი შენობის“ მხარეზე, სამიჯნო კედელში აღნიშნულ ადგილას ჩასმულია წნულჩუქურმიანი ქვა პატარა, მრგვალი სარკმელით, სამწუხაროდ, ამ ქვას ორი გვერდი ჩამოტეხილი აქვს. უნდა აღინიშნოს, რომ იგი ისე უშნოდაა მორგებული კედლის წყობაში და თან სარკმელი ისე დაბლა მოდის იატაკის დონიდან (სულ 0,90-ოდე სიმაღლეზე), რომ ძნელი სათქმელია, აქ ეკუთვნოდა იგი თავიდანვე თუ არა.

საინტერესოა, რომ ამავე კედელზე ზემოდან შენახულია ქვის საწვიმარი ღარი მთლიანად in situ (ჩანს მე-2 სურათზე). ეს ღარი ოთხი ღარისებრ ამოღებული ქვისაგან შედგება, რომლებიც მოთავსებულია სენაკისა და „ჩუქურთმიანი შენობის“ კამარათაგან შექმნილ უბეში და მას წყალი გადაჰყავდა აღმოსავლეთისაკენ ქუჩაში, ასეთი ღარის ქვები მრავლად აღმოჩნდა სამოსახლოს სხვადასხვა ადგილას[1]. ისინი სხვადასხვა სიგრძისაა (0,68 მ-დან 1,70მ-მდე) და სხვადასხვა სიგანის (0,25-დან 0,43-მდე), მძიმე და მეტწილად საკმაოდ მქისედაა დამუშავებული.

„ჩუქურთმიანი შენობაც“ პატარა, უსწორო ოთხკუთხ სადგომს წარმოადგენდა. მისი სიგრძე (N–S) დაახლ. 2,70 მ-ია, სიგანე დაახლ. 2,50 მ. უნდა ყოფილიყო. მისგან ცოტად თუ ნაკლებად დაცულია მხოლოდ O-და N-კედლები, W-კედლის კვალი თითქმის სრულებით წარხოცილია, ხოლო S-კედელი ამჟამად ნანგრევთა გროვითაა წარმოდგენილი, სახურავი ჩაქცეულია, არავითარი ნიშანი საკურთხევლისა აქაც არა ჩანს. პირიქით, კარი სწორედ აღმოსავლეთის კედელშია მოთავსებული. ამ შენობის კედლები (ყოველ შემთხვევაში, O-და S-კედლები) შემოსილი იყო თლილი ქვის პერანგით, რომელშიც ჩასმული იყო ჭყორდულაბი. თუმცა საუკეთესოდ O-კედელია დაცული (სურ. 2), მასაც ლავგარდიანი აღარ აქვს, ისე რომ მისი სიმაღლე აღარ ირკვევა. გარედან იგი შემოსილია, სენაკის O-კედელივით, ლამაზი, საუცხოოდ გათლილია ღვინისფერი ფილაქნებით; მხოლოდ SO-კუთხეში ურევია 3 ქვა მოყვითანო ფერისა. შიგნით კედლის საპირე ქვა უფრო მქისეა. მაგრამ ბათქაშის კვალი არა ჩანს. ამ კედელში, როგორც აღვნიშნე, მოთავსებულია შენობის კარი, რომელიც გარედან მოჩუქურთმებული ჩარჩოთი და ნახევარფარგლოვანი საჩეხითაა შემკული. კარი პატარაა: მისი სიმაღლე მხოლოდ 1,60 მ-ს შეადგენს, ხოლო სიგანე 0,74 მ-ს არ აღემატება. მის წირთხლის ქვას შიგნიდან ნარიმანდი და ორი მრგვალი ფოსო აქვს კუთხეებში, რომელთაგან ერთი ამოტეხილია. ამყოლებს ორივეს შიგნიდან ნარიმანდები აქვს, ხოლო სამხრეთის ამყოლს შუა სიმაღლეზე კიდევ ორი მოგრძო ოთხკუთხედი მოყვანილობის ფოსო აქვს, ალბათ საურდულე.

---

[1] ერთი მათგანი ჩამოტანილია თბილისში და საქართველოს სახ. მუზეუმში ინახება.



სურ. 4. „ჩუქურთმიანი შენობა“ სარკმლის ძირის ქვის გეგმა და განაკვეთი.

ზღურბლი არა ჩანს, მას მიწის თხელი ფენა აყრია. კარის სამხრეთით ამავე კედელში პატარა, ვიწრო, აგრეთვე, მოჩუქურთმებული სარკმელია გამოჭრილი მთლიან ქვაში, ერთი ასეთივე სარკმელი, სამად გადატეხილი, შენობის ახლოს ვნახეთ მიწაზე. იგიც უთუოდ ამავე შენობისაა და ეგებ S-კედელში იყო ჩასმული. აღმოსავლეთის კედელზე, სწორედ სარკმლის ზემოდან, აღმოჩნდა კედელში კარგად ჩაშენებული ფოსოებ-ღარიან-ნარიმანდიანი ქვა[1] (სიგრძით 0,81 მ, სიგანით 0,33 და სისქით 0,24 მ) (სურ. 4), რომელიც შეიძლება სარკმლის ძირის ქვა იყოს. იგი უკვე კამარის სიმაღლეზე მოდის და ამიტომ, თუ აქ კიდევ სარკმელი იყო მოთავსებული, იგი მხოლოდ პატარა და მრგვალი შეიძლებოდა ყოფილიყო, როგორც ძველ ქართულ შენობებში საყვავის ქვეშ იცოდნენ ხოლმე[2]. შენობის SO-კუთხეში, გარედან ერთი კუთხის ქვა, რომელიც თითქმის ზედ ნიადაგის ზედაპირის დონეზე მოდის, ნაცხვირიანია: შესაძლებელია, ეს ნაცხვირი ცხენის დასაბმელად იყო განკუთვნილი.

W-კედლისა, როგორც უკვე აღვნიშნე, მხოლოდ კვალიღა განირჩევა.

სენაკი შიგნით გათხრილი დაგვხვდა – ვიღაცას განძი უძებნია. ნათხარი ჩვენ ამოვწმინდეთ (ამოწმენდისას ნაპოვნი იყო რამდენიმე წვრილი ნივთიც) და კვლავ მიწით ამოვავსეთ, იატაკის კვალი არ ჩანს.

აღსანიშნავია, რომ „ჩუქურთმიან შენობაში“ ეგდო უშველებელი კარის ქვა (სიგრძით 1,49 მ, სიგანით 0,50 მ), რომელიც საწირთხლე უნდა იყოს. მას ორი მრგვალი ფოსო აქვს. არ ჩანს, რომ იგი ამ შენობასვე ეკუთვნოდეს.

„ჯვრიანი შენობაც“ არაა საკულტო დანიშნულებისა, თუმცა მის აღმოსავლეთის ფასადს (სურ. 5) ფანჯრის თავის ქვაზე რელიეფით გამოკვეთილი ჯვარი ამკობს, რის გამოც მას აღნიშნული სახელი ეწოდება. ესეც ოთხკუთხი, ამასთან ორსართულიანი

---

1 იგი ცოტათი ცერად მოდის სარკმელთან.

2 ქვის ღარები, ფოსოები და ნარიმანდი მიგვითითებს, პირიქით, დიდ სარკმელზე, ანდა ორ პატარა სარკმელზე, რომლებსაც დარაბები ჰქონია. ასეთი რამ, რა თქმა უნდა, საყვავის სარკმელს არ დასჭირდებოდა, ამიტომ, შესაძლებელია, ეს ქვა ასე უადგილოდ ჩაშენებული „ჩუქურთმიანი შენობის“ მერმინდელობის ან გადაკეთებულობის გერში იყოს! ამ ქვის ქანიც ლამაზი ღვინისფერია, როგორც შენობის საპირე ქვებისა.

შენობაა, რომელსაც არც აფსიდა და არც რამე სხვა საეკლესიო ნიშნები არა აქვს. ძნელი სათქმელია, თუ რა დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო ეს ნაგებობა. გათხრამაც ამ მხრივ არავითარი გერში არ მოგვაწოდა, მაგრამ ერთი კი ცხადია: იგი მერმეა მიშენებული სენაკზე. ეს ირკვევა იქიდან, რომ ჯერ ერთი, მისმა O-კედელმა ნაწილობრივ დაფარა სენაკის N-კედელის თლილი ქვის წყობა და, გარდა ამისა, მისი სამი მიშენებული კედლის წყობაც თვალსაჩინოდ განსხვავდება მისი S-კედლის იმ ნაწილის წყობაში, რომელიც ამავე დროს სენაკის კედელიცაა. მეორე მხრივ, თუ სენაკისა და „ჩუქურთმიანი შენობის" O-კედლების სტილი და შემკულობა ერთნაირია, რაც ამ ორ ნაგებობას, მიუხედავად ერთი მათგანის შედარებით მერმინდელობისა, ძალიან უახლოვებს ერთმანეთს (შესაძლებელია, ისიც, რომ სენაკის O-კედელი მაშინ იქნა შემოსილი, როდესაც „ჩუქურთმიანი შენობა" ააგეს), „ჯვრიანი შენობა", პირიქით, წყობის სულ სხვა ხასიათს გვიჩვენებს. მისი კედლები ნაშენია არეული ქვით: დიდი, საშუალო ზომისა და პატარა ქვებით, რომლებიც მქისედაა თლილი და სხვადასხვა ქანისაა (მოყვითანო, ლეგა, ღვინისფერი, მომწვანო და სხვ). ზოლოვანობა ამ შენობის კედლების წყობას თითქმის სულ არ ეტყობა. იმ დროს, როდესაც ორი დანარჩენი შენობის O-კედლებს კარგი ძველი ქართული სტილი ახასიათებს ამ მხრითაც. „ჯვრიანი შენობის" კედლების წყობა თითქმის გამტანისია, ბეტონი აქ ძალიან თხელია, იმ დროს როდესაც „ჩუქურთმიანი შენობის" O-და S-კედლებზე მკაფიოდ განირჩევა შუაში ჩასხმული ჭყორდუღაბი და საპირე ქვა. ამგვარად, „ჯვრიანი შენობის" მერმინდელობა უდავოა და თან არა მარტო სენაკის მიმართ, არამედ, ალბათ „ჩუქურთმიანი შენობის" მიმართაც.

სურ. 5. „ჯვრიანი შენობა" სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

ეს შენობა, როგორც ნაშთებიდან ჩანს, ორად იყო გაყოფილი გარდიგარდმო ტიხრით: აღმოსავლეთით ერთი უსწოროდ ოთხკუთხედი ოთახია, სიგრძით (N-S) 5,40 მ, სიგანით N – კედლის გასწვრივ 4,35 მ, ხოლო S-კედლის გასწვრივ 3,50 მ. ამ ოთახს დასავლეთიდან აკრავს მეორე აგრეთვე, ოთხკუთხედი ოთახი, რომლის სიგრძე (O-W), როგორც ეს გათხრამ გვიჩვენა, რადგან მისი W-კედლის კვალი ზედაპირულად აღარა ჩნდა, 5,70-5,80 მ-ს შეადგენდა, ხოლო სიგანე პირველი ოთახის სიგრძეს (5,40 მ) უდრის.

აღმოსავლეთი ოთახის კედლები სხვადასხვა სისქისაა და სხვადასხვა სიმაღლეზეა დაცული: S-კედელი, ე. ი. სენაკის N-კედელი დაახლ. 0,60 მ-ის სისქისაა და დაცულია 2,00 მ-ის ცოტა მეტის სიმაღლეზე; N-კედელი, რომელშიც დაახლ. 1,00 მ-ის სიგანისა და 1,75 მ-ის სიმაღლის, აწ ძალზე შენგრეული კარი ყოფილა, 0,50 მ-ის სიგანისაა და დაახლ. 3,40 მ-ის სიმაღლეზეა დაცული; W-კედელი, რომელიც ამ ოთახს მეორე ოთახისაგან ტიხრავდა ძირითადად, დანგრეულია, მისი კვალი თითქმის სრულებით წარხოცილია, და რამდენადაც ჩანს, იგი საკმაოდ სქელი უნდა ყოფილიფო (0.70-0,80 მ); O-კედელი,. რომლის სისქე 0,65 მ-ს უდრის, დანარჩენებზე გაცილებით უფრო უკეთაა დაცული – მისი სიმაღლე ნიადაგის ზედაპირიდან თითქმის 6,50 მ-ს აღწევს. ამ კედელს აქვს სამი ვიწრო და დაბალი სარკმელი ძირა სართულისა და სამიც ზედა სართულისა, რომელთაგან ორი განის სარკმელი აგრეთვე ვიწროსა და დაბალ ხვრელებს წარმოადგენს[1], შუასარკმელი კი შედარებით მაღალია და ფართოა – მისი სიგანე 0,50 მ-ია (გარედან), სიმაღლე კი 0,81 მ. სარკმელი ყველა კუთხოვანია, მაგრამ დიდი სარკმელი იმით განირჩევა, რომ იგი გარეთკენ ჩვეულებისამებრ კი არ ვიწროვდება, არამედ ერთნაირი სიგანისაა გარედანაც და შიგნიდანაც, ოღონდ შიგნიდან ქანები აქვს, რომლებზედაც მიყრდნობილი იყო ჩარჩო ანუ დარაბა. მართლაც, ფოსოები დაბგაში გვიჩვენებს, რომ ამ სარკმელს დარაბა ჰქონია შებმული. სარკმლები კედელზე სიმეტრიულად არაა განაწილებული: ზედა სართულში დიდი სარკმელი დაახლოებით კედლის შუა ადგილასაა მოთავსებული, ხოლო მასზე უფრო მაღლა მოთავსებულ განის სარკმელთაგან სამხრეთისა დაშორებული მისგან 1,22 მ-ით. ჩრდილოეთისა კი, მხოლოდ 0,64 მ-ით. კიდევ უფრო უწესოდაა განაწილებული ძირა სართულის სარკმლები, რომელთაგან შუათანა ზედ იატაკის დონეზეა მოთავსებული, ორი დანარჩენი კი დაახლ. 1,00 მ-ის სიმაღლეზე მოდის იატაკიდან.

ამავე კედელში, იატაკიდან 1,80-1,90 მ-ის სიმაღლეზე, გაკეთებულია 5 საკოჭე ბუდე, აგრეთვე, სრულებით ასიმეტრიულად განაწილებული, რომლებსაც მეორე სართულის იატაკის კოჭები ეჭირათ. საკოჭე ბუდეებიდან დიდი სარკმლის ძირამდე დაახლ. 1,00 მ-ია. მეორე სართულის ერთი სარკმლის ძირი დაცულია N-კედელშიც. ოთახის სახურავი მთლიანად ჩაქცეულია.

დასავლეთის ოთახის კედლები გაცილებით უფრო დაშავებულია, მაგრამ მაინც უფრო საინტერესო დეტალებს შეიცავს. სად ჰქონდა ამ ოთახს კარი, არა ჩანს. ჰქონდა თუ არა მასაც მეორე სართული, აგრეთვე გაურკვეველია, რადგან ვერავითარი გერში ამისა ვერ აღმოვაჩინეთ. W-კედელი და ოთახის SW-და NW-კუთხეები გათხრამ დაადაფიქსირა. „ჯვრიანი შენობა“ ბაქნის ნაპირას დგას და მისი W-კედელი თითქმის ზედ კბოდეზე იყო მიმდგარი. იგი მთლიანად ჩაქცეულია საძირკვლის გარდა, რომელიც გათხრამ აღმოაჩინა. N-კედელში, NO-კუთხესთან ჩაშენებულია 1,35 მ-ის სიგანისა და დაახლ. 0,50მ-ის სიღრმის თახჩა, რომელსაც, როგორც გამონმენდამ გვიჩვენა, ქვიტკი-

[1] სამხრეთი სარკმლის თავი ჩამონგრეულია.

სურ. 5. „ჯვრიანი შენობა" დასავლეთი ოთახის სამხრეთი კედელი შიგნიდან.

რის იატაკი ჰქონია. დანარჩენი ნაწილი N-კედლისა დანგრეულია ძირამდე. S-კედელი, რომელიც სენაკის N-კედლის გაგრძელებას წარმოადგენს დასავლეთისაკენ და მასზე ცოტათი უფრო სქელია, დაცულია დაახლ. 3,80 მ-ის სიმაღლზე. იგი პიტალო კლდეზე დგას. ქვემოთ,სადაც „ჩუქურთმიანი შენობისა" და სენაკის დასავლეთით მიდგმულს მეოთხე სადგომზე გვაქვს საუბარი, აღწერილია ამ კედლის სამხრეთი პირი. ჩრდილოეთის მხრიდან (სურ. 6) მას მთელ სიმაღლეზე დაცული აქვს საპირე ქვის წყობა. კლდე, ისევე როგორც სამხრეთის მხარეზე, ხელოვნურად არის დამუშავებული. სახელდობრ, SW-კუთხიდან მოყოლებით 1,30 მ-ის სიგრძეზე აქ კლდეში გამოკვეთილია დაბალი და ვიწრო ფიტონი, რომელზედაც უხერხულად ჩამოჯდომა შეიძლება. სადაც ფიტონი, თავდება, მისი ზედაპირიდან დაახლ. 0,25 მ-ის სიმაღლეზე დადგმულია საკმაოდ უმწეო პილასტრი, რომელიც ორი ერთმანეთზე დადგმული თლილი ფილაქნისაგან შედგება და რომლის სიმაღლე 1,05 მ-ს შეადგენს. ამ პილასტრზე დაყრდნობილია ორი ნახევარ-ფარგლოვანი ბრტყელი თაღი, რომელთაგან ერთი დასავლეთისკენ გადადის და კედლის ჩამონგრეულ პირთან ერთად წყდება, მეორე კი აღმოსავლეთისაკენ გადადის და აქ კედლის წყობიდან მეტ-ნაკლებად გამონეულ ერთ ქვას ებჯინება. ამ თაღის სიგანე არ აღეტება 1,50 მ-ს. დაახლ. ასეთივე უნდა ყოფილიყო W-თაღის სიგანეც ეს ორნამენტალური თაღები მხოლოდ 11-13 სანტიმეტრითაა გამონეული კედლის წყობიდან. აღსანიშნავია, რომ ორივე საგანგებოდ არჩეული მოთეთრო ქვის თითქმის კვადრატული ფილაქნებითაა გამოყვანილი, რომლებიც სოლისებურადაა წყობილი. რა დანიშნულება ჰქონდა ამ საკმაოდ ულაზათო და თან დაბალ არკატურას, ძნელი სათქმელია. შესაძლებელია, აქ ხატები იყო დასვენებული (დასავლეთის თაღის ქვეშ, როგორც აღენიშნე, კლდეში ფიტონია გამოკვეთილი).

ოთახის SO-კუთხეში კედლის ძირას პატარა თაღია გადავლებული, ისევ ისე სოლისებურად წყობილი ქვებით. ეტყობა აქ კლდის ნაპრალი ყოფილა და იმის მაგივრად

რომ იგი ამოევსოთ, არჩიეს პატარა თაღის გადაგდება, რომელზედაც კედლის უშიშრად დადგმა შეიძლებოდა.

დასასრულ, აღვნიშნავ კიდევ, რომ „ჯვრიან შენობასაც", „ჩუქურთმიან შენობასავით", ჩრდილოეთის ფასადზე NO-კუთხის ახლოს, ჩაშენებული აქვს ნაცხვირიანი ქვა, რომელიც შეიძლება აგრეთვე, ცხენის დასაბმელად იყო განკუთვნილი. ეს ქვა აქ 1,30 მ-ის სიმაღლეზე მოდის ნიადაგის ზედაპირიდან.

დასავლეთიდან სენაკსა და „ჩუქურთმიან შენობაზე" კიდევ ერთი სადგომი იყო მიშენებული, რომლის ნაშთები თითქმის სრულებით წარხოცილია. არც სამხრეთი და არც დასავლეთი კედლები ამ სადგომისა აღარა ჩანს (აღმოსავლეთიდან მას საზღვრავდა „ჩუქურთმიანი შენობის" W-კედელი და სენაკი). მხოლოდ ჩრდილო კედელზე, რომელიც იმავე დროს „ჯვრიანი შენობის" დასავლეთი ნაწილის S-კედელია, შენახულია წყობა, რომელიც უდავოდ ხდის, რომ აქ მართლა ერთი სადგომი კიდევ ყოფილა, სახელდობრ, აქ დაცულია საპირე ქვების ძირა ერთი წყობა და ერთი პილასტრის ნაშთები. ეს კედელი, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, კლდეზე დგას და ისევე როგორც „ჯვრიანი შენობის" მხარეზე, აქეთაც კლდე გათლილია, ისე რომ მას ფილაქნების წყობის სახე აქვს მიცემული. კლდეშია გამოკვეთილი პილასტრის ხარისხიც და მისი ტანის ძირა ქვაც. ამ კლდეშივეა ოთხკუთხი ფოსო (NW-კუთხის ახლოს), რომლის დანიშნულება გამოურკვეველია. ზედა, უდიდესი ნაწილი ამ კედლისა, მხოლოდ ბეტონის სახითაა დაცული.

* * *

ყველაზე უფრო შესანიშნავი ნაგებობა გუდარეხში არის ზღუდე, რომელიც გარშემო არტყია სამონასტრო სამოსახლოს და რომლის პერიმეტრი დაახლ. 400 მ-ს შეადგენს, იგი საკმაოდ კარგადაა დაცული, განსაკუთრებით, სამოსახლოს NO-, O- და SO[1]-მხარეებზე; სამხრეთიდან, სამხრ.-დასავლეთიდან დიდ ნაკვეთზე, დაახლ. 75 მ-ის მანძილზე, მისი კვალი ზედაპირულად სრულებით წარხოცილია. თითქოს სრულებით წარხოცილია მისი კვალი ერთ ადგილას SO-კუთხეშიც.

ზღუდეს, როგორც საფიქრებელია, ორი კარი უნდა ჰქონოდა[2]. მათგან ასე თუ ისე დაცულია მხოლოდ განის კარი. სახელდობრ, ჩრდილო-დასავლეთის ჭიშკარი, რომლის გათხრების ანგარიში ქვემოთ არის წარმოდგენილი. ეს უნდა იყოს ე. წ. „ცოტანი კარნი".

მთავარი ჭიშკარი კი (ე. წ. „დიდნი კარნი") ზღუდეს ჩრდილოეთიდან უნდა ჰქონოდა. აქ სასახლის აღმოსავლეთით ჩანს კვალი ძველი გზისა, რომლითაც სამოსახლოში ადიოდნენ, რათა სამრეკლოზე გავლით, რომლის ძირა ახდილი ხორში საზეიმო კარის როლს ასრულებდა, სამრეკლოსა და მთავარ ტაძარს შორის მდებარე პატარა მოედანზე გასულიყვნენ, ზღუდის კედლის ჩანგრეულობა ამ ადგილას უმთავრესად სწორედ იმით

---

[1] აქ უკეთ დაცული ადგილები ხშირად ენაცვლება ძალზე ნანგრევს.

[2] ამას გვაფიქრებინებს ამჟამად დაცული კარის (NW-ჭიშკრის) მდებარეობა – ჩრდილო-დასავლეთისა და დასავლეთის მხრიდან ურმით ასვლა ტაძრის ეზოში შეუძლებელია იყო; ერთადერთი მისავალი აქ სამრეკლოს მხრიდანაა. მეორე მხრით, ვაჰანის განგებაში, XIII ს-ის ძეგლში, დაცული გვაქვს პირდაპირი ცნობა იმის შესახებ, რომ მონასტრის ზღუდეში ორი კარის გაკეთება იცოდნენ: ერთი „დიდნი კარნი ზღუდისანი", მხოლოდ საგანგებო შემთხვევაში გაიღებოდა, ჩვეულებრივად კი, „ცოტათა კართა" დაიარებოდნენ ხოლმე (ნ. ვაჰანის ქვაბთა განგება, გამოც. ლ. მუსხელიშვილის მიერ, თბ., 1939, გვ. 90).



სურ. 7. გალავნის კედელი და დეტალები. კლდეში გამოკვეთილი ნაგებობის გეგმა და განაკვეთები

აიხსენება ალბათ, რომ მთავარი ჭიშკრის შედარებით დიდი ხორში ასუსტებდა კედელს ეს კარიც ჯერჯერობით საძიებელია.

ზღუდის კედელი (სურ. 7) თლილი ქვის პერანგითაა შემოსილი. ქვა, უმეტეს წილად, დიდი ზომისაა (1,55×0,57, 1,38×0,40, 1,20×0,62 მ და მისთ), მაგრამ არის საშუალო ზომის (0,53×0,49, 0,48×0,27 მ და მისთ). და ნვრილი ქვაც, თუმცა ასეთი ხშირად შენაკეთებ ადგილებს გვიჩვენებს. ქანი ყველგან ერთია: ეს არის ფოროვანი, მძიმე და მტკიცე, თუმცა მყიფე, მსხვილმარცვლოვანი კირქვა, რომელსაც ამჟამად ლეგა ფერი აქვს, მაგრამ გათლამ დაგვარწმუნა, რომ იგი ნამდვილად მოთეთრო ყოფილა, ისე რომ ზღუდე თავდაპირველად მთლად ლეგა-მოთეთრო უნდა ყოფილიყო. ბეტონი, ჩვეულებისამებრ, ნაგლეჯი ქვისა და ქვიტკირისაგან შედგება, ქვიტკირი სუსტია, ადვილად იფხვნება, რადგან მის შესამზადებლად მიწიანი ქვიშა უხმარიათ (კარგი ქვიშა გუდარეხში არ მოიპოვება, იგი საკმაოდ დაშორებული ალგეთის ნაპირებიდანაა მოსატანი, იმ დროს, როდესაც საუკეთესო ხარისხის კირქვა გუდარეხის მიდამოებში ბლომადაა, ასე რომ, ქვა, ყოველ ეჭვს გარეშე. იქვე უტეხიათ). ამიტომ კედლის პერანგის კილოებში ქვიტკირი მთლად გამოფიტულია და წყობა, ერთი შეხედვით, ყორული ჩანს.

ეს წყობა ძალიან თავისებურია: სწორმწკრიობა დაცულია მხოლოდ ზოგადად, ქვების მწკრივები ერთმანეთს ხშირადა ჰკვეთს, კვადრები და ორთოსტატები ენაცვლება არაწესიერად ჩამოთლილ ქვებს (ტრაპეციისებურს, კუთხეჩამოთლილს, ქანიანს და სხვ.), რომლებიც საუცხოოდა ერთმანეთზე მორგებული. ყველა ეს მეტად ცხოველსახურ იერს აძლევს კედლის ზედაპირს.

NO-ნაწილში, სადაც, როგორც აღვნიშნე, ზღუდე საუკეთესოდაა დაცული, მისი სიმაღლე გარედან საშულოდ 4,00 მ-ს აღწევს მიწის ზედაპირიდან, რომელიც აქაც თავდაპირველზე ცოტათი მაინც, უფრო მაღალი უნდა იყოს[1]. ძირიდან თხემისკენ კედელი თანდათანობით თხელდება, ისე რომ, თუ ნიადაგის დონეზე მისი სისქე 0,70 მ-ს შეადგენს, 4,05 მ-ის სიმაღლეზე იგი 0,60 მ-ს არ აღემატება. კედლის ორივე პირი თანაბარის თანდათანობითაა აქანებული ზევითკენ და კედელი ორსავ მხარეზე თანაბრად ვიწროვდება. ჰქონდა თუ არა მას ქონგურები, არა ჩანს, რადგან მისი ზედაპირი არსად საღად დაცული არაა, არამედ ყველგან ერთი-ორი პირი ქვა მაინც აკლია.

გარედან გარკვეულ ინტერვალებზე (საშუალოდ 8,00 მ-ის მანძილზე ერთი-ერთმანეთისაგან), ჩარიგებულია ლამაზი ბურჯები, რომლებიც ქვემოდან ზევითკენ თანდათანობით ვიწროვდება და სულ მაღლა, როგორც ეტყობა, მთლად ერწყმოდა კედლის წყობას. ზოგიერთი ბურჯი ისეთ სიმაღლეზეა შენახული, რომ თითქმის უკვე კედლის სიბრტყეში იკარგება. ბურჯები სამგვარია: 1) ორწახნაგა, განივ განაკვეთში სამკუთხედის მოყვანილობისა (სურ. 8); 2) მრგვალი, განაკვეთში წრის სეგმენტის მოყვანილობისა და 3) სამწახნაგა, განაკვეთში ტრაპეციის მოყვანილობისა. იყო თუ არა დაცული რაიმე წესი ამ სხავადასხვა ფორმის ბურჯთა მონაცვლეობაში, ეხლა, როდესაც დიდი ნაწილი კედლისა დანგრეულია, ძნელი სათქმელია: NO-კედელზე, მაგ., სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მოყოლებით ჩრდილო-დასავლეთისაკენ ჯერ 3 ტრაპეციისებური ბურჯი მოდის, მერმე 1 სამკუთხედი, 2 მრგვალი, 2 სამკუთხედი და ბოლოს 1 მრგვალი.

სამწახნაგოვანი ბურჯის ქვები სპეციალურადაა გათლილი: ზოგი ორწახნაგაა, ისე რომ, ორი მეზობელი ქვის თითო წახნაგი ერთად ბურჯის ერთ წახნაგსა ქმნის. ზოგი

---

1 შიგნიდან კი, როგორც ზემოთ მოვიხსენიე, სულ ნასახლარებია და აქ ნიადაგი გაცილებით უფრო მაღალია, ისე რომ, კედლის სიმაღლე ზოგან 1,75 მ-ს არ აღემატება.

სურ. 8. ზღუდის ნაწილი ორწახნაგა ბურჯით.

კი სამწხნაგოვანია, ისე რომ, უკვე ბურჯის ფორმა აქვს მიცემული; ზოგჯერ ბურჯის პირი შექმნილია მრავალი დამატებითი ბრტყელი ქვის საშუალებით. ორწახნაგა ბურჯის ქვებიც საგანგებოდაა შემზადებული: ისინი ორწახნაგოვანია, მაგრამ, წყობაში ერთმანეთს ენაცვლება სახელდობრ, ერთი რომ მარჯვნიდანაა დადებული, მეორე, მის ზემოთ, უკვე მარცხნიდან დევს და ა. შ., ისე რომ ნიბო ნიბოსა ხვდება და ამგვარად, ბურჯის ერთიანი ნიბო იქმნება; ორწახნაგა ქვას უეჭველად ავსებს ერთი ან, უფრო ხშირად, ისევე როგორც ტრაპეციისებური ბურჯის წყობაში, რამდენიმე ბრტყელი ქვა. მრგვალი ბურჯების ქვებიც საგანგებოდ მრგვლადაა და მოჭრილი და გათლილი და კომბინირებულია ორი ან სამი ერთად, ან კიდევ ზემოთ, საცა ბურჯი ვიწროვდება, ერთი მთლიანი ქვაა ხოლმე დადებული.

ბურჯებს შორის კედელში დატოვებულია თითო დოლაბი; ესა ვიწრო და მაღალი ოთხკუთხი ხვრელი (ზომით, მაგ., 1,50×0,10 ან 1,00×0,10 ან კიდევ, 0,60×0,14 მ. და მისთ), რომელიც ნიადაგის ზედაპირიდან მაღლა არაა მოთავსებული (მაგ., 1,25 ან 1,15 ან კიდე 0,70 მ-ს სიმაღლეზე მხოლოდ). ეს ხვრელი, ძველი სარკმლების ჩვეულებისამებრ, შიგნით უფრო ფართოა (0, 40-0, 45-მდე), ვიდრე გარეთ (ზემოთ გარე პირის ზომებია მოცემული) და, ალბათ, საბრძოლველად იყო განკუთვნილი. იმ შენობათათვის, რომლებიც ზღუდეზეა მიშენებული შიგნიდან, იგი ერთგვარი სარკმლის როლს ასრულებდა.

ალაგ-ალაგ ზღუდის კედელს გარედან თითქოს დაბალი (0,30 მ-ის სიმაღლის) და კედლის წყობიდან მხოლოდ 10-ოდე სანტიმეტრით გამოწეული ხარისხი ემჩნევა, რომელიც უფრო წვრილი ქვითაა ნაგები და ძალზე დაშავებულია. სხვაგან, სადაც ეს ხარისხი არ ჩანს, იგი შეიძლება ან მიწით იყოს დაფარული, ან მისი ქვები შეიძლება ამოვარდნილიც იყოს კედლის წყობიდან, რასაც გვაფიქრებინებს გალავნის ზოგიერთ ნაკვეთზე შესამჩნევი ყრილი კედლის ძირა ნაწილში.

აღსანიშნავია კიდევ ორ ქვაში ამოჭრილი საპირფარეშო, რომელიც ჩაშენებულია ზღუდის კედლის SO-ნაწილში და ზედ კბოდეზეა გადაკიდებული.

ქვისმთლელობის ის მაღალი კულტურა, რომელიც გუდარეხს ახასიათებს და რომელიც მაშინვე თვალში ეცემა ადამიანს, ჩანს, აგრეთვე, იმ უცნაურ ნაგებობაში, რომელიც სამოსახლოს SW-კუთხეში ამართულ კლდეშია გამოკვეთილი. აქ ზღუდე ორი

მხრით – აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან – პიტალო კლდეზეა მიბჯენილი და ამიტომ წყდება, კლდე თავისთავად მიუვალია. აქ გამოკვეთილია უშნო საფეხურები, რომლებიც ატმოსფერული ზეგავლენით ძალიან დაშავებულია, ხოლო ზედ კლდის თხემზე რაღაც ნაგებობა ყოფილა, რომელიც ნაწილობრივ აგრეთვე, თვით კლდეშია გამოკვეთილი (სურ. 7); შენახულია ლამაზად მოსუფთავებული პატარა ბაქანი, რომელსაც მხოლოდ ორი კლდეში გამოკვეთილი კედელი აქვს დასავლეთიდან და სამხრეთიდან. ბაქანზე შესასვლელი თითქოს ჩრდილოეთიდანაა; სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში კი, თითქოს გასასვლელია გაკეთებული, მაგრამ აქ არსად არ ჩაისვლება, რადგან, გზას ჰკეტავს კლდის ღრმა ნაპრალი. პირიქით, საფეხურები ჩადის ქვევით მდინარისაკენ აბაზანიდან, რომელიც ბაქნის NO-კუთხეშია მოთავსებული, აბაზანის ახლოს, იატაკში და აგრეთვე, კლდეში გამოკვეთილ კედლებში სხვადასხვა ადგილას პატარა ხვრელები და ფოსოებია, ზოგი თითქოს კარის ჩასადგმელ-დასაკეტი. დასავლეთის კედელში, აბაზანის ახლოს, თითქოს ჩარჩოს ჩასადგმელი ნარიმანდია ამოღებული, ხოლო ზემოდან ამ კედელში რაღაც ღარის კვალი ჩანს.

ძნელი სათქმელია თუ რა დანიშნულებას ასრულებდა ეს ნაგებობა, დროთა განმავლობაში კლდე დახეთქილა და მისი ზედაპირიც ძალზე გადარეცხილა, რაც მეტად აძნელებს ვარაუდს.

აქ გათხრის წარმოება არ იყო საჭირო, კლდეს მხოლოდ ხავსი ჩამოვაცილეთ, ნივთები არა იყო რა.

II. გათხრები (1938 და 1939 წწ.)

გადავდივართ გათხრების აღწერაზე ცალკეული ობიექტების მიხედვით.

1938 წლის არქეოლოგიურმა კამპანიამ, როგორც იმთავითვე განზრახული იყო, მოიცვა ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი ზღუდის ფარგლებში მოქცეული ნასახლარებისა, რომელიც მთელი სამოსახლოს დაახლ. 1/3-ს შეადგენს. აღნიშნულ არეზე, რომელიც NW-ჭიშკრიდან მოყოლებით, სამხრეთისაკენ კლდეში გამოკვეთილ ნაგებობამდე, ხოლო აღმოსავლეთისაკენ სამრეკლომდე ვრცელდება (გეგმა I), დაუმთავრებელი დაგვრჩა სასახლის, მის გვერდით მდებარე სენაკისა და მარნის და აგრეთვე, №6 თხრილში აღმოჩენილი კედლის გათხრა. ყველა ეს და აგრეთვე, ზღუდის ნაკედლარის გამოვლინება ვიდრე სასახლის N-კუთხის ხაზამდე, შესრულებული იქნა მეორე არქეოლოგიური კამპანიის დროს, 1939 წ.

ნაგებობანი ჩვენ დავნომრეთ, ანდა ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით დავარქვით მათ შესატყვისი სახელი. თხრილებს შიფრი და ნომერი მიეცა: მთავარი ტაძრის ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით მდებარე თხრილები დაიშიფრა ლიტერით N, ხოლო ტაძრის დასავლეთით მდებარე თხრილებში – ლიტერით W.

1. საჯინიბო (შენობა II)

საჯინიბო (სურ. 9) წარმოადგენს ერთ დიდ სადგომს, მიშენებულს ზღუდის კედელზე სამოსახლოს W-ნაწილში. ეს შენობა ორიენტირებულია, შესაფერისად ზღუდის კედლის მიმართულებისა ამ ადგილას, სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლე-

თისაკენ, მაგრამ განხრა იმდენად უმნიშვნელოა, რომ აღწერისას ჩვენ შეგვიძლია იგი უგულებელვყოთ.

სიგრძე ამ ოთახისა შეადგენს 13,20 მ-ს, ხოლო მისი სიგანე N-ნაწილში ნაკლებია (5,30 მ), ვიდრე S-ნაწილში (5,80 მ). ამგვარად, ოთახს სწორი კუთხები არა აქვს. ასეთ უსწორმასწორობას ხელი შეუწყო, ალბათ, იმ გარემოებამ, რომ O-კედლის დადგმისას, როგორც ეს გათხრებმა გამოარკვია, მტკიცე გრუნტის ჩაჭრა მოუხდათ დიდ სიღრმეზე. ახლა ამ შენობის კედლები შენახულია სხვადასხვა სიმაღლეზე: ზღუდის კედლის სიმაღლე აღწევს საშუალოდ 2,70 მ-ს და რამდენადაც ზღუდის სხვა, უკეთ დაცული კედლების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, მას აქ უნდა აკლდეს კიდევ 1,00-1,50 მ-ის სიმაღლის წყობა; ჩრდილო-კედელი, საიდანაც შენობას შესავალი აქვს, ახლა max.3,70 მ-ის სიმაღლეს აღწევს; O-კედელი საშუალოდ 2,20 მ-ის სიმაღლისაა (ამ სიმაღლეზეა მოთავსებული თარხნებიც); S-კედელი კი ძალზე ჩამონგრეულია და უკეთ შენახულ ნაწილებში მისი სიმაღლე ახლა 1,10 მ-ს არ აღემატება, მაგრამ შენობის SO-კუთხე შედარებით კარგადაა დაცული და აქ როგორც O-, ისე S-კედლის სიმაღლე 3,40 მ-ს აღწევს. სისქე კედლებისა ყველგან ერთია – 0,80 მ, წყობა არ განსხვავდება ზღუდის კედლის წყობაში: აქაც მოზრდილი თლილი საპირე ქვები გვაქვს ქვიტკირით წყობილი, რომელთა შორის ჩასმულია ჭყორდულაბი. მაგრამ ქანი ოთახის სამი მიშენებული კედლის საპირე ქვებისა ხშირად განსხვავდება ზღუდის ქვებისაგან: აქ მრავლადაა ნახმარი მომწვანო ფერის ქვა, რომელიც ზღუდეს მხოლოდ ალაგ-ალაგ ურევია. გარდა ამისა, ოთახის O-კედელს მხოლოდ ერთი, სახელდობრ, შიდაპირი აქვს: აღმოსავლეთიდან ნიადაგი ამაღლებულია და ასე იყო თავდაპირველადაც. როგორც შენობის NOდა SO-კუთხეებთან გარედან დადებულმა შურფებმა გვიჩვენა, თლილი ქვა ნახმარი ყოფილა გარედან მხოლოდ კუთხეებში, ალბათ, უფრო მეტი სიმტკიცის მისაცემად O-კედლისათვის, რომელიც, დაახლოებით რომ ვივარაუდოთ, მხოლოდ 1,50 მ-ის სიმაღლეზე უნდა ყოფილიყო გამოჩენილი, დანარჩენი კი, დაახლოებით, ალბათ 2,50 მ-ის სიღრმეზე, მიწის ქვეშ იკარგებოდა. ამ სიღრმეზე ეს კედელი მხოლოდ შიგნიდან ამოუყვანიათ და მხოლოდ შიგნიდან შეუმოსავთ თლილი ქვით (სურ. 10 და სურ. 9, განაკვეთი A–B).

შესავალი (სურ. 9, განაკვეთი კარზე და განაკვეთი C–D), როგორც აღვნიშნე, ჩრდილოეთიდანაა მოთავსებული. კარის სიგანე შეადგენს 0,90 მ-ს, ხოლო სიმაღლე – 1,80 მ-ს., შიგნიდან იგი გადახურულია ორი მრგვალად ამოჭრილი ქვისაგან შემდგარი თაღით, რომლის სიმაღლე 0,50 მ-ს უდრის. შესავალში, ზღურბლს გარდა, რომელიც 0,15 მ-ის სიმაღლისაა, კიდევ ერთი საფეხურია, სიმაღლით 0,19 მ. გარედან კარის ხორში უბრალო ოთხკუთხედს წარმოადგენს (სურ. 9, ფასადი), შიგნიდან კი მას ძალიან ამშვენებს თაღოვანი გადახურვა. შესავლის ზღურბლში, წირთხლის ქვაში და ამყოლებში ფოსოებია ხის კარის ჩასადგმელად და ურდულის დასამაგრებლად. სარკმლები იმ სადგომს არ ჰქონია, მხოლოდ დასავლეთის, ე. ი. ზღუდის კედელში, ჩვეულებისამებრ, არის ორი ვიწრო და დაბალი ხვრელი, რომლებიც ზღუდეს ჰქონდა და რომელთა ძირი იატაკის დონიდან ისე დაბლა მოდის (სულ 0,35 მ-ის სიმაღლეზეა), რომ, რა თქმა უნდა, ისინი სარკმელების მაგივრობას ვერ გასწევდნენ (სურ. 9, გეგმა და სურ. 7, ზღუდის კედელი)[1].

---

[1] ჩრდილოეთის ხვრელის სიგანე შიგნით 0,45 მ-ია, გარეთ – 0,40 მ, სიმაღლე – 0,80 მ; სამხრეთის ხვრელის სიგანე შიგნით 0,45 მ, გარეთ 0,20 მ, სიმაღლე – 0,40 (ეს ხვრელი, რომელიც შუაბურჯის სამხრეთით მდებარეობს, გეგმაზე ნაჩვენები არაა, იგი უფრო მაღლა მოდის იატაკიდან).



სურ. 9. შენობა II (სოჯინიბო), გეგმა და განაკვეთები.

გადახურვა შენობას არ შემოუნახავს, მაგრამ O-კედელში, იატაკიდან 2,00 მ-ის სიმაღლეზე ჩაშენებული თარხნების მიხედვით (სურ. 9. განაკვ. A–B) საფიქრებელი ხდება, რომ იგი თითქოს კამარით უნდა ყოფილიყო გადახურული, სულ 9. თარხანი იყო, რომელთაგან ერთი ამოვარდნილა. მათი სიგანე max. 0,55, min. 0,40 მ-ია, ხოლო სისქე 0,20-0,25 მ-ს არ აღემატება, ყველა 0,20 მ-ითაა გამოშვერილი კედლიდან. შუამანძილი მათ შორის მერყეობს 0,85 მ-დან 1,30 მ-მდე. ამ თარხნებს ან საჩეხი ეჭირათ, რომელიც ბაგაზე ყოფილა გადახურული, ან კიდევ, რაც თითქოს უფრო საგულვებელია, მათზე იყო დაყრდნობილი თაღები, რომლებსაც კამარა ეჭირათ. საჩეხს გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ მოპირდაპირე კედელს ე. ი. ზღუდის კედელს, თუმცა იგი, როგორც აღვნიშნე, 2, 70 მ-ის სიმაღლეზეა დაცული, თარხნები არ შემოუნახავს, ისე რომ თაღები თუ იყო გადმოგდებული, ისინი აქ საყრდენს ვერ იპოვიდნენ, ან არა და ზედ კედელზე ზემოდან უნდა ყოფილიყვნენ დაყრდნობილნი. მეორე მხრივ, უბრალო საჩეხს რისთვის დასჭირდებოდა ამოდენა და თან ასეთი მტკიცე თარხნები? ცხადია, თარხნების შეშენება ზღუდის კედელში, რომელიც უკვე მზად იდგა, როდესაც საჯინიბოს აგება დაიწყეს, მოითხოვდა მთელ რიგ რთულ სამუშაოს, რასაც მშენებლები როგორმე მოერიდებოდნენ. რომ დასავლეთისაკენაც ყოფილა რაღაც კონსტრუქცია გადახურვის დასაყრდენად, ეს ჩანს იმ ორი თარხნიდან, რომლებიც დაცულია შენობის NW და SW-კუთხეებში და რომელთაგან ერთი შეშენებულია N-კედელში, ხოლო მეორე S-კედელში (სურ. 9, გეგმა და განაკვეთი კარზე, შდრ. სურ. 10). მართალია, ეს თარხნები იატაკიდან გაცილებით უფრო დაბლა მოდის, ისინი სულ 1,35 მ-ის სიმაღლეზეა მოთავსებული. სურათი ჩემთვის მთლად ნათელი არაა.

შიგნით ოთახი ამოვსებული იყო, როგორც გათხრამ გამოარკვია, 0,60-0,70 მ-ის სისქის ნაშალი ფენით, რომლის ზედაპირს გათხრამდე მცირე დაქანება ჰქონდა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. გამოწმენდა წარმოებდა ნაკვეთ-ნაკვეთ, ჰორიზონტალური ფენების თანამიდევრობით აღების საშუალებით. მთელი ოთახი 4 თითქმის თანაბარ ნაკვეთად იყო გაყოფილი და ყველა ნაკვეთი ერთ დონეზე იქნა დაყვანილი. სახელდობრ ხამ, გრუნტამდე, ვინაიდან ზღვე, გარდა ერთი ნაკვეთისა, არსად არ შეგვხვდა და, როგორც გამოირკვა, სწორედ ეს ხამი გრუნტი წარმოადგენდა თავდაპირველი ზღვის დონესაც.

O-კედლის გასწვრივ ნიადაგის თავდაპირველი ზედაპირიდან უკვე 0,20 მ-ის სიღრმეზე გამოჩნდა ბაგა, ანუ უკეთ ბა-

სურ. 10. შენობა II. საერთო ასახულობა სამხრეთიდან.

გის ძირი, რომელიც კედლის წინ 0,70 მ-ის დაშორებით მწკრივად ჩარიგებული, 0,50 მ-ის სიმაღლის მქისედ დამუშავებული და ქვიტკირით შემტკიცებული ბრტყელი ქვებისაგან შედგება (სურ. 9, გეგმა, განაკვეთი A– B, შდრ. სურ. 10). შუახანი კედელსა და ამ ქვებს შორის ამოვსებულია წვრილი ბუტით და ქვიტკირით. რომ აქ ბაგასთან გვაქვს საქმე, ამას გვიჩვენებს ნარიმანდი, ამოღებული S-კედლის საპირე ქვაში სწორედ ბაგის წინაკედლის ხაზზე, რომელიც ცხადლივ ფიცრის ჩასადგმელად იყო განკუთვნილი. ამგვარად, ეს შენობა საჯინიბოს წარმოადგენდა. ბაგას O-კედლის მთელი სიგრძე არ უჭირავს, არამედ იგი წყდება 1,56 მ-ის დაშორებით N-კედლისაგან, N-კედელში S-კედლის შესატყვისი ნარიმანდიც არა ჩანს, ოთახის NO-კუთხესთან აღმოჩნდა პატარა მობაკული ადგილი, რომელიც უსწორო ოთხკუთხედს წარმოადგენს, სიგრძით 3,30 მ-ისას (სურ. 9, გეგმა და სურ. 10). ამ მობაკულის ზოგიერთი ქვა, რომელთა სიმაღლე საშუალოდ 0,60 მ-ს აღწევს, გათხრამდე ზედაპირულადვე ჩნდა. ეს არის დიდი, ბრტყელი, მქისედ დამუშავებული ლოდები, სისქით 0,20-0,30 მ-ისა, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არაა, გრუნტზე კი დაყენებულია სუსტი ხსნარის საშუალებით, რომელიც კირისა და თიხის ცუდ ნარევს უნდა წარმოადგენდეს. ეს მობაკული, როგორც ადგილობრივმა გლეხებმა გვითხრეს, შეიძლება ე. წ. „საწოლი" იყოს, როგორიც ახლაც იციან ბოსლებში მწყემსების თუ მეჯინიბეების საწოლად. მობაკულის შიგნით N-კედლის ძირას, O-კედლიდან 1,60 მ-ის დაშორებით, ზედაპირიდან 0,30 მ-ის სიღრმეზე, გაჯის ფენა აღმოჩნდა, რომლის რადიუსი 0,80 მ-ს უდრიდა და რომლის სისქე დაახლ. 0,15-0,20 მ-ს შეადგენდა; NO-კუთხეში (თითქმის ამავე სიღრმეზე) აღმოჩნდა თხელი ფენა ნაცრისა, რადიუსით 0,60 მ; ხოლო ზედაპირიდან 0,70 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა ნაშთები უსწორმასწორო ბრტყელი ქვებით გრუნტზე დაფენილი ზღვისა (სურ. 9, გეგმა). ქვემოდან ამ ქვებს ქვიტკირი აქვს მოსხმული. ისინი ძალიან უსწორმასწოროდ ეწყო და ზოგი ერთიმეორეზე იყო დადებული, ეს ქვები მობაკულის მხოლოდ NW-კუთხესთან და W-კედლის ახლო-მახლო ეწყო ერთად, სხვაგან კი მხოლოდ ორიოდე ბრტყელი ქვა შეგვხვდა კანტი-კუნტად. ძნელი სათქმელია, მთელი ეს ადგილი იყო მოფენილი ქვით თუ არა.

მიწის ქვეშ სხვადასხვა ადგილას კიდევ აღმოჩდა ცალკეულად მდებარე ქვები, ზოგი თლილი, ზოგი ნაგლეჯი, რომლებიც არსად არ აგვიღია, სანამ ოთახის გაწმენდა არ დასრულდა, მაგრამ მთლიანი სურათი ამ ქვებმა არ მოგვცა: ზოგი გალავნის კედლის ქვა აღმოჩნდა, ოთახში გადმოვარდნილი (ასე ოთხი დიდი კვადრი, რომლებიც ოთახის S -ნაწილში ვნახეთ W-კედლის ძირას), ზოგი ოთახში სრულებით შემთხვევით მოხვედრილ ნანგრევს წარმოადგენდა (ასე, ნაგლეჯი და ბრტყელი სიპი ქვები N-ნაწილში, W-კედლისა და მობაკულის W-კედლის ძირას გარედან), ზოგიც აგრეთვე სრულებით შეუკავშირებლად იდო გრუნტზე, მაგრამ შესაძლებელია განზრახაც ყოფილიყო შეტანილი ოთახში და რაიმე ფუნქციას ასრულებდა, მაგ.; სკამად იყო განკუთვნილი (ასე, 2 თლილი კვადრი, მიდგმული მობაკულის W-კედელზე გარედან, დაუმუშავებელი მოზრდილი ლოდი და მათ პირდაპირ ზღუდის კედლის ძირას, 2 მქისედ ჩამოტეხილი ქვა, დადებული მობაკულის W-კედლის გაგრძელებაზე S-ისაკენ, (სურ. 10), მქისედ გათლილი კვადრი ოთახის NO-კუთხეში და მისთან). არც ერთ ამ ქვათგანს რაიმე ნიშანდობლივი ნახელავი არ ეტყობოდა.

0,25 მ-ის სიღრმეზე კარის ზღურბლში გარდიგარდმო ჩაჭედილი დაგვხვდა დირე, რომელიც მთლად დამპალი იყო, ერთი პატარა ხის ნაჭერი აღმოჩნდა 0,10 მ-ის სიღრმეზე მობაკულის SW-კუთხის ახლოს გარედან. დირე კარებში შიგნიდან ამყოლის ქანებზე იყო მიბჯენილი და, რა თქმა უნდა, მოგვიანოდ ყოფილა გაკეთებული ხის კარის

სურ. 11. შენობა II. შიდაასახულობა ჩრდილოეთიდან.

დასამაგრებლად, ხოლო ხის პატარა ნაჭერი მობაკულის კუთხესთან სრულებით შემთხვევით იყო მოხვედრილი.

ოთახის სხვადასხვა ადგილას გრუნტში ჩაშენებული აღმოჩნდა ერთი ორმო და რამდენიმე თონე (სურ. 9, გეგმა და სურ. 11). ორმო აღმოჩნდა ზედაპირიდან 0,55 მ-ის სიღრმეზე, მისი დიამეტრი უდრის 0,65 მ-ს, ხოლო სიღრმე – 1,50 მ-ს. იგი მიწით და წვრილი ქვით იყო სავსე. ამონმენდისას აქ აღმოჩნდა: საქონლის ძვლები, ღორის ღოჯი, ნახშირის ნატეხები, წითელი და მოშავო, თიხის სადა ჭურჭლის ნატეხები, მინის ერთი პატარა ნატეხი, ერთი პატარა ნატეხი მდარე ფაიანსის ჭურჭლისა, ნატეხი დანის ძვლის კოტისა (კოტა ორნაწილედია, რკინის ფარეშით დამაგრებული, სიგრძით 6 სმ), ძვლის ჩხირი ქალამნისა, სიგრძე 8,5 სმ, მდარე ნახელავი, ოთხწახნაგა, ცოტაზე ჩამოტეხილი მრგვალი წვერით, წახნაგებზე შემკული მქისედ ამოღებული და უსწორმასწოროდ განაწილებული წრეებით და წერტილებით.

თონე სულ 5 იყო. ჩადგმული უსისტემოდ ოთახის სხვადასხვა ადგილას. ზომები მათი სხვადასხვაა, ზოგის დიამეტრი 0,70 მ-ს აღწევს, ხოლო ერთი პატარა თონის დიამეტრი 0,30 მ-ს არ აღემატება, სიღრმეებიც დიდი არაა, არა უმეტეს 0,60-0,65 მ-ისა, ყველა მიწით იყო ამოვსებული და არც ერთი ნაცრისა, საქონლის ძვლებისა, აგურისა და სადა წითელი ჭურჭლის ნატეხებს გარდა არას შეიცავდა. ორი თონე ერთმანეთში იყო ჩადგმული ეტყობა, ერთის გაფუჭების შემდეგ მეორე შიგვე ჩაუდგამთ, ერთი თონე, S-კედლის ძირას, SW-კუთხის ახლოს, საინტერესო იყო იმით, რომ მას დაცული ჰქონდა საქარე მილი. ამ თონის გვერდით და კარის ზღურბლის ძირას დადებული იყო პატარა შურფები გრუნტის შესამოწმებლად. ამ შურფებმა არა მოგვცა რა და დაგვარწმუნა, რომ გრუნტის ქვეშ კულტურული ფენა აღარ მოიპოვება.

განათხარმა წვრილმა ნივთებმა არც მთლიანი სურათი, არც დამათარიღებელი რაიმე გერში არ მოგვცა. კულტურული ფენების რაიმე წესიერი განლაგება ოთახის ნიადაგში არ აღმოჩნდა. ზედაპირიდან გრუნტამდე, ე. ი. 0,60-0,70 მ-ის სიღრმეზე, მხოლოდ ერთი ნაშალი ფენა იყო, რომელშიც სულ ერთნაირი ნივთები სხვადასხვა სიღრმეზე გვხვდებოდა, მთელი ოთახის ფართობზე მოფანტული უსისტემოდ. უეჭველია ამ ნივთებს შორის არის უფრო ძველიცა და უფრო ახალიც, მაგრამ ამის გადაწყვეტა მათი ადგილმდებარეობის მიხედვით არ იქნება. უმრავლესობა ნივთებისა, ჩვეულებისამებრ, კერამიკული ფრაგმენტებისაგან შედგებოდა, რომელთა შორის, თავისი მხრით, ძალზე სჭარბობდა სადა წითელი თიხის ჭურჭელი და სადა და მოჭიქული, კურტნიანი და ქი-



სურ. 12. შენობა II. ჩრდილო ფასადი, ზონდაჟის გეგმა და აღმ. კედლის ფასადი.

მებიანი კრამიტის ნატეხები. იყო რამდენიმე ნატეხი თიხის ფილებისა, ერთი ნატეხი ქვევრის კედლისა, რამდენიმე ნატეხი თიხის მილისა, ალბათ ერთ-ერთი თონის საქარისაგან. გაცილებით უფრო ნაკლებად გვხვდებოდა ანგობიანი მოჭიქული ჭურჭლის ნატეხები, რომელთაგან უმრავლესობა მოჭიქულია ფერადი მინარით უორნამენტოდ, რამდენიმეს შერჩა ფერადებით მინარს ქვეშ დადებული ორნამენტის ნაშთი, ხოლო ერთი სგრაფიტოს ტექნიკით ყოფილა შემკული. ფაიანსის ნატეხები სულ 5 აღმოჩნდა. მათგან 3 ნატეხი ერთი და იმავე ჭურჭლისაა და მათ ეტყობა კობალტის ლურჯით მინარს ქვეშ დადებული ორნამენტის ნაშთი; ერთი ნატეხს კიდევ შავი ფერადით ჰქონია ორნამენტი დადებული გამსჭვირ უფერო მინარს ქვეშ; ერთი ნატეხი უორნამენტოა. ყველა ნატეხი მეტად წვრილია, უფორმო და ჭურჭლების მოყვანილობისათვის არაფერს არ იძლევა. მინისა 3 ნატეხი შეგვხვდა: ორი გამსჭვირი უფერო თხელკედლიანი ჭურჭლის პატარა ნატეხია, ერთი კი შავი მინის სადა მრგვალი სამაჯურის ფრაგმენტს წარმოადგენს. ერთ ადგილას შეგვხვდა რკინის დანის პირი, ორად გატეხილი; დანის სიგრძე 9,4 სმ-ს უდრის; ყუაზე მას ჩამოსაკიდი რკინისავე რგოლი აქვს გაყრილი.

გარდა ამისა, საკმაოდ ბლომად გვხვდებოდა, გაბნეულად მთელს ოთახში, საქონლისა და ფრინველის ძვლების ფრაგმენტები, აღმოჩდა ორი ღოჯიც გარეული ღორისა.

შენობის გარეთ, გარდა NO-და SO-კუთხეებთან დადებული შურფებისა, კარის წინაც ჩავატარეთ ზონდაჟი, კარის ზღურბლისა და N-კედლის ფასადის გამოსაჩენად. რადგანაც აქ აღმოსავლეთიდან კედელი არ იყო აფარებული, ზევით (აღმოსავლეთისაკენ) მდებარე ფერდობიდან დროთა განმავლობაში დიდძალი მიწა ჩამოსულა (სურ. 12C), რომელიც ილექებოდა ზღუდის კედლის ძირას და რომელმაც ნაწილობრივ კარიც დაფარა (ისე რომ გამოწმენდამდე საჯინიბოში მხოლოდ ძალზე დაკუზვით შეიძლებოდა შესვლა) და კარის აღმოსავლეთით N-ფასადის უდიდესი ნაწილიც თავის ქვეშ მოაქცია.

ზონდაჟმა (თხრილის ზომები იყო: 0 – W 3, 60 მ, N – S 3, 30 მ, – სურ. 12, A), შენობის NO-კუთხიდან თუ ვიანგარიშეთ, სადაც ნიადაგის ზედაპირი ყველაზე უფრო მაღალია, 1,80 მ-ის სიღრმეზე ხამ გრუნტზე დაგვიყვანა, რომელშიც ჩადგმული ყოფილა შენობის N-კედელი. ზონდაჟის O-კედლის შვეულმა განაკვეთმა გარკვეული დაფენების სურათი მოგვცა (სურ 12B): ზედაპირული მცენარეული ფენის ქვეშ, რომლის სისქე შენობის N-კედელთან 0,60 მ-ს აღწევდა, მაგრამ რომელიც N-ისაკენ თანდათანობით თხელდებოდა, აღმოჩნდა თიხნარი, რომელიც ნივთებს არ შეიცავდა. თიხნარი ფენის სისქე მთელ სიგრძეზე თითქმის თანაბარი იყო: კედელთან 0,40 მ; N-ისკენ ვიდრე 0,55 მ-მდე. თიხნარის ქვეშ დევს 0,80 მ-ის სისქის კულტურული ფენა, რომელიც შეიცავდა მსხვილფეხა საქონლის (ძროხის?) ძვლებს და მცირედ წითელი თიხის სადა ჭურჭლისა და ფილების ნატეხებს. ეს კულტურული ფენა, შენობის N-კედლიდან მოყოლებული, სოლივით არის შეჭრილი თიხნარსა და ხამ გრუნტს შორის, N-კენ უცებ თხელდება და შემდეგ წყდება. მის ქვეშ გრუნტია, რომელიც შენობის აგებისას ამ ადგილას 1,00 მ-ზე და უფრო ღრმად ყოფილა ჩათხრილი საძირკვლის ჩასაყრელად. სახელდობრ, მხოლოდ 2,70 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა, შენობის N-კედლის ცოკოლი, გამოწეული კედლის წყობიდან 0,12 მ-ით, რომელიც თავისი მხრით კიდევ 0,10 მ-ის სიმაღლისაა და რომლის ქვეშ მოდის მხოლოდ საძირკველი. ზემოაღწერილი დაფენება ადვილი ასახსნელია: როგორც აღვნიშნე, შენობის O-კედლის ჩასადგმელად საჭირო იყო შემაღლებული ნიადაგის გათხრა; იგივე იყო საჭირო N-კედლის ასაგებადაც. მაგრამ, ამ კედელს მიწის ქვეშ ვერ დატოვებდნენ, რადგან აქედან შენობას შესავალი უნდა ჰქონოდა. ამიტომ შესავლის და ამ კედლის წინ კედლის სიგანის თხრილი გათხარეს, რომელიც პატარა შეღმართით ადიოდა საჯინიბოს კარიდან ჩრდილოეთის მიმართულებით. იმ თხრილში, შენობის გაუ-

ქმების და ალბათ, ნანგრევად ქცევის შემდეგ აღმოსავლეთით მდებარე ფერდობიდან ღვარს თანდათანობით ჩამოუტანია და დაულექია ჯერ ზედაფენები, რომლებიც კულტურულ ნაშთებს შეიცავდა, შემდეგ მათ ქვეშ მდებარე თიხნარი, რომელზედაც ბოლოს ზედაპირული მცენარეული ფენა შექმნილა. ეს დაფენება უნდა მომხდარიყო უკანასკნელი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში. როგორც პილასტრებიანი კედლის გასწვრივ და ვიდრე კლდეში გამოკვეთილ ნაგებობამდე ჩატარებულმა ზონდაჟებმა გვიჩვენა, საჯინიბოს აღმოსავლეთით ნიადაგი იმთავითვე თითქმის იმავე დონეზე იდო, როგორც ეხლა კირწყლის ქვედა ფენა, რომელიც ზედ ხამ გრუნტზე დევს., აქ აღმოჩნდა 0,75 მ-ის სიღრმეზე, ხოლო კირწყლის ზედაფენა სულ 0,10-0,20 მ-ის სიღრმეზე იდო (ნ. ქვემოთ აღწერა პილასტრებიანი კედლისა).

ზედაპირიდან 2,50 მ-ის სიღრმეზე, ე. ი. გრუნტის ფენაში აღმოჩნდა დიდი წირთხლის ქვა, რომელიც თხრილის O-ნაწილში იდო (სურ. 12A). ქვა კარგადაა გათლილი, ოთხკუთხი მოყვანილობისაა, სიგრძით 1,90 მ. სიგანით 0,40 და სიმაღლით 0,40 მ. მას კარის მისაბჯენი ქანი და ორი ფოსო აქვს ამოღებული, ეს ქვა არ შეიძლება საჯინიბოს შენობას ეკუთვნოდეს, ამ შენობის კარისათვის იგი მეტად დიდია.

საჯინიბოს S-დან აკრავს მოგვიანებით მასზე მიშენებული მარანი (სურ. 11), რომელშიც ზედაპირიდან 0,20-0,25 მ-ის სიღრმეზე 7 სხვადასხვა ზომის ქვევრი აღმოჩნდა, ერთს გარდა, რომელსაც ზემოდან ქვიტკირი ჰქონდა მოსხმული, ყველა მეტ-ნაკლები სისწორით მოჭრილი და ზოგი თლილი ქვის სარქველებით დახურული. ქვევრები ყველა ცარიელი იყო. ამ ოთახის ძალიან თხელ ნაშალ ფენაში არა აღმოჩნდა რა, გარდა საქონლის ძვლების, წითელი თიხის სადა ჭურჭლისა და ორიოდ ანგობიანი მოჭიქული ჭურჭლის ნატეხისა და ერთი ფილთაქვის ნატეხისა. ეს მარანი კარით არაა დაკავშირებული საჯინიბოსთან და მისი კედლები, როგორც ეს S-კედლის მცირე ნაშთიდან ჩანს (O-კედელი სულ არაა შენახული), ყორულად ყოფილა ნაგები და თან უსაძირკვლოდ (ამიტომაა, რომ O-კედლის კვალიც კი აღარაა დაცული), ცხადია, რომ მარანი აქ გვიან არის გამართული. ამ ოთახში მრავლად ეყარა თლილი კვადრები. შეგვხდა აქ აგრეთვე ღაროვანი სადა ლავგარდანის ორი ქვა. ესენიც აქ შემთხვევით უნდა იყოს მოხვედრილი.

ერთი შეხედვით ისე ჩანდა, რომ მარანს S-დან კიდევ ერთი ოთახი ეკრა ვიდრე იმ კლდემდე, რომელსაც აქ ზღუდე ებჯინება, მაგრამ შემდგომმა დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ არავითარი ნაგებობა აქ არ ყოფილა.

საჯინიბოს დასათარიღებლად ჩვენ არავითარ გერში არ მოგვეპოვება. შეიძლება მხოლოდ იმის თქმა, რომ თუმცა იგი ზღუდეზე უფრო მერმინდელია, მაგრამ მაინცდამაინც ბევრით უფრო გვიან არ უნდა იყოს აშენებული. ამას გვაფიქრებინებს თვით მისი ნაგებობა, რომელიც თავისი სტილითა და ტექნიკით ზღუდისას უახლოვდება. გარდა ბაგისა, რომელიც შენობის თანადროული ჩანს და მის დანიშნულებაზე მიგვითითებს, დანარჩენი ნაგებობანი, როგორც მობაკული და მისი ზღვე, და აგრეთვე ორმოცა და თონეებიც მერმინდელი უნდა იყოს. მობაკულის მერმინდელობაზე მიგვითითებს ის მდარე ხარისხის დუღაბი, რომლითაც მისი ქვები დამაგრებულია ნიადაგზე.

2. „პილასტრებიანი ნაგებობა“ საჯინიბოს გვერდით[1]

ის ადგილი, სადაც ზემოაღნიშნული ნაგებობა ანუ, უკეთ, მისი ნაშთები აღმოჩნდა, უმეშვეოდ აკრავს საჯინიბოს, N-დან ზღუდეს მიჰყვება 16,70 მ-ის მანძილზე ვიდრე ოდნავ ბლაგვ კუთხემდე, რომელსაც ზღუდე აქ აკეთებს, რათა NO-ისაკენ გაუხვიოს. აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ეს ადგილი საკმაო დაქანების მქონე ბექობს წარმოადგენდა, რომლის ჩრდილო-ნაწილში, ნიადაგის ზედაპირის რელიეფი რაღაც ნაგებობის კონტურებს გვიჩვენებდა და ამ ნაგებობის ძიებით დაიწყო თხრა. მეორე მხრით, კარის ქვები, აღმოჩენილი საჯინიბოს გვერდით ჩრდილოეთით (ზონდ. 1 და სხვ.), და ხარვეზი, რომელიც ამ ადგილას ზღუდეს ჰქონდა, გვაგულვებინებდა ზღუდის კიდევ ერთი განის კარის არსებობას სწორედ საჯინიბოს გვერდით, რის გამოც აღნიშნული ბექობის სამხრეთი ნაწილის გათხრაც გადაწყდა. ბექობის N-ნაწილში თითქმის ზედაპირულად აღმოჩნდა ნაშთები მოგვიანო ხანის ყორულად ნაგები პატარა ოთახისა, რომელიც ძალიან ჰგავდა W:9 ოთახს (ნ. ქვემ.). ბექობის S-ნაწილში ზღუდის კარის არსებობა არ დადასტურდა, პირიქით, ზღუდის საძირკველი აქ ყველგან გამტანისად ნაწყობი აღმოჩნდა, და არც რაიმე გერში გვიპოვია ზღურბლისა ან ქვაფენილის, მაგრამ გათხრა მაინც მთლად უშედეგო არ ყოფილა. სახელდობრ, უფრო ღრმა ფენებში ჩასვლამ აღმოგვაჩენინა ნაშთები ზღუდეზე მიშენებული რაღაც კარგი ძველი ნაგებობისა, რომლებიც ისე ცუდადაა დაცული, რომ შენობის რაობის შესახებ არაფრის თქმა არ შეიძლება.

შენობის (სურ. 13) ორ კედლად (დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან) გამოყენებული იყო ზღუდე. აღმოსავლეთის კედლისა მხოლოდ მცირეოდენი ნაშთებიღა დაგვხვდა ქვიტკირით შეკრული რამდენიმე თლილი ქვის სახით. სამხრეთი კედლისა მხოლოდ საძირკველი ვნახეთ, რომელიც მიდგმულია და მიდუღაბებულია ზღუდის კედლის საძირკველზე. სამაგიეროდ, სამხრეთ კედელში აღმოჩნდა კარის ნაშთები ზღურბლისა და ერთი საამყოლე ქვის სახით, მაგრამ ერთდროულია თუ არა ეს კარი და ხსენებული საძირკველი, ძნელი სათქმელია, რადგან აღმოსავლეთის მიმართულებით კარს იქით, საძირკველი აღარა ჩანს.

ეს შენობა მთლიანად, ზღუდესთან შედარებით, რა თქმა უნდა, მერმინდელია. ზღუდეს ამ ადგილას ჩარიგებული ჰქონდა 4 ნახევარსვეტი, რომელთა ხარისხები, დღემდე კარგად დაცული, თავ-თავის ადგილას აღმოჩნდა სხვადასხვა სიღრმეზე. რისთვის იყო განკუთვნილი ეს პილასტრები, დანამდვილებით ვერ ითქმის, მაგრამ ადვილი შესაძლებელია, რომ ამ ადგილას მონასტერს რაიმე ფარდული ჰქონდა გამართული, რომელიც ზემოდან გადახურული, ხოლო ორი მხრიდან (აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან) ახდილი იყო. ზღუდესთან დაკავშირებულ რაღაც უძველეს მოწყობილობაზე მიგვითითებს აგრეთვე ის ნახევრად-მრგვალი თახჩა, რომელიც ზღუდეს აღმოაჩნდა კუთხიდან. 3,20 მ-ის დაშორებით აღმოსავლეთისაკენ და რომელიც შიგნიდან იმეორებს კედლის ამ ადგილას გარედან მოთავსებული ბურჯის ფორმას, რაც სხვაგან არსად არ შეგვხვედრია. შესაძლებელია, ქვიტკირით შეკრული ქვაფენილიც, რომლის ნაშთებიც გრუნტზე მდებარედ აღმოჩნდა არა მარტო „პილასტრებიანი შენობის“ შიგნით, არამედ გარეთაც, საჯინიბოსა და ამ შენობას შორის, ამ უკანასკნელზე უფრო ძველი იყოს და აგრეთვე ძველად აქ არსებულ ფარდულთან იყოს დაკავშირებული.

---

[1] საველე ბარათებში ეს ნაგებობა აღნიშნულია შიფრით „შენობა III“ (1938 წ.) და „W:11“ (1939 წ.)



სურ. 13. პილასტრებიანი ნაგებობა: გეგმა, განაკვეთი.

შემდეგში ზღუდის ეს ნაწილი გამოუყენებიათ „პილასტრებიანი შენობის" ასაგებად, ძველ პილასტრთაგან მხოლოდ სამი მოხვდა შენობის შიგნით. ამავე დროს, შენობის O-კედელს სანახევროდ დაუფარავს ზღუდის ნახევრად მრგვალი თახჩა. ძველი პილასტრები, ეტყობა, ახალი შენობებისათვისაც გამოუყენებიათ, რადგან მის O-კედელშიც აღმოჩნდა ერთი ხარისხის ნაშთი.

ნივთები ამ შენობაში ძალიან ცოტა ვიპოვეთ. სრულებით უმნიშვნელო რაოდენობით ამოვიდა სადა, წითელი და ქაშანური თიხის ჭურჭლის ნატეხები და რამდენიმე რკინის ნივთი. მაგრამ აქ, მართალია, ნაშალში, ისე რომ სიღრმე გაურკვეველი დარჩა. აღმოჩნდა გიორგი ლაშას შავი მონეტა 1210 წლისა, რაც მიახლოებით თარიღს გვაძლევს, თუ თვით შენობისათვის არა, ზღუდისათვის მაინც.

შენობაშო იყო ერთი თონე, რომელშიც, ნაცარსა და ნახშირს გარდა, ამოვიდა წითელი თიხის ჭურჭლის ნატეხები, მოჭიქული კრამიტის ნატეხი, მრგვალი (საწონი?) ქვა, რკინის საჭრეთელი (სიგრძე 17,8 სმ) და ადამიანის ქვედა ყბის ნატეხი. NW-კუთხესთან გრუნტში ჩაშენებული იყო ორმო, რომელიც საგულისხმოს არაფერს შეიცავდა.

ყველაზე უფრო გაუგებარია ამ შენობისა და საჯინიბოს დამოკიდებულება ერთმანეთთან. საქმე ისაა, რომ ეს შენობა ჰკეტავდა საჯინიბოს ერთადერთ შესავალს, და მეორე მხრივ თვით მასაც კარი სწორედ საჯინიბოს მხრიდან ჰქონდა. თუ კი ეს ორი შენობა ოდესმე ერთდროულად არსებობდა, ადამიანი ძნელად თუ მოიგონებდა შესავლების ასეთ უხერხულ განაწილებას: ერთი-ერთმანეთს პირისპირ მდგარი ორივე შესავალი დასავლეთიდან დაკეტილია ზღუდის კედლით, აღმოსავლეთიდან კი რამდენიმე მეტრის სიმაღლის მქონე ბექით, რომელზედაც კიბით თუ შეიძლებოდა ჩასვლა, რომლის ნაკვალევი არსად არ აღმოჩენილა. ამჟამად, მაშასადამე, გაუგებარია, თუ როგორ, რა გზით შედიოდნენ ძველად ან ამ შენობაში, ან საჯინიბოში.

3. ოთახი W:9[1].

ეს პატარა ოთახი მიკრულია ზღუდეზე შიგნიდან NW-ჭიშკრის ყურეზე, სამხრეთ-დასავლეთით. გარდა ზღუდისა, რომელიც გამოყენებულია NW-კედლად, არსებითად მხოლოდ SW-კედელი უჩანდა ამ ოთახს ზედაპირულად, დანარჩენი კედლები კი მკრთალი კონტურით იყო მინის ქვეშ დანიშნული და შენობის გამოწმენდა ისე დამთავრდა, რომ მისი SO-კედელი მაინც ვერ ვიპოვეთ. დაახლოებითი ზომები კი ამ ოთახისა შემდეგია: ზღუდის კედლის გასწვრივ მისი სიგრძე, რომელიც აქ ზუსტად გამოირკვა, რადგან გათხრამ ოთახის N-კუთხე აღმოაჩინა, შეადგენს 5,85 მ; სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ოთახი, როგორც ჩანს, ფართოვდებოდა, და SO-კედლის გასწვრივ მისი სიგრძე დაახლ. 6,00-6,10 მ უნდა ყოფილიყო; სიგანე SW-კედლის გასწვრივ დაახლ. 4,85 მ-ს შეადგენდა, ხოლო NO-კედლის გასწვრივ, რამდენადაც ამ უკანასკნელის ნაშთებიდან ჩანს, დაახლ. 5,70 მ. უნდა ყოფილიყო. ამგვარად, ეს ოთახი ძალიან უსწორმასწოროდ იყო ნაგები. გარდა ზღუდის კედლისა, დანარჩენი მისი კედლები უსაძირკვლოდ და უქვიტკიროდ იყო ნაშენები და, როგორც ეს SW-კედლის ნაშთიდან ჩანს, მათ ასაგებად გამოყენებული ყოფილა როგორც ძველი თლილი ფილაქნები, ისე უშვერი ქვაც. ამით აიხსნება, რომ მაგ., SO-კედლის კვალი თითქმის სრულებით წარხოცილია და მხოლოდ ჩამონოლილი ქვების გროვა გვანიშნებს მის ოდინდელ მდებარეობას. ამით აიხსნება ისიც, რომ NO-კედელი ძირამდე დანგრეულია, SW-კედელიც, რომელიც უსაძირკვლოდ პირდაპირ გრუნტზე დგას, ძალზე ჩამოწოლილ-ჩამონგრეულია და სიმაღლით ეხლა 2,00 მ-ს ძლივსღა აღწევს, ასეთივე მდგომარეობაშია ამ ადგილას ზღუდის კედელიც.

სისქე NO–კედლისა 0,70 მ-ს შეადგენს (დაახლ. ასეთივე სისქისაა SW-კედელიც). NO-კედლისა მხოლოდ ძირა ქვების ერთი წყობაღაა დარჩენილი. ეს ქვები ყველა უშუალოდ გრუნტზე დევს და ქვიტკირით შეკრული არაა. შუა ადგილი უჭირავს კარის ძირის ქვას. სიგრძე – 1,53, სიგანე 0,56 მ. რომელსაც კარის ჩასადგმელი და დასაკეტი ფოსოები აქვს. შესავალი, მაშასადამე, ამ შენობას NO-დან ჰქონდა. მეორე ფოსოიანი ქვა აღმოჩნდა ოთახის SO-კედელთან, აგრეთვე შუაადგილას, შესაძლებელია, ამ მხრიდანაც იყო ერთი შემოსავალი.

---

[1] საველე ბარათებში W:9 აღნიშნულია შიფრით „შენობა IV (შ. IV)".

სურ. 14. ფაიანსის ჯამის ნატეხები.

ოთახის ნაგებობა მიგვითითებს მოგვიანო ხანაზე, როდესაც გუდარეხის სამოსახლო, ნაწილობრივ მაინც, უკვე ნანგრევს წარმოადგენდა. ყორული, უქვიტკირო წყობაც, რა თქმა უნდა, ძველი გუდარეხისათვის ძნელი წარმოსადგენია. განათხარმაც ძველი გერშები არა მოგვცა რა და, პირიქით, უფრო უკანასკნელი საუკუნეები გვაგულვებინა.

ნაშალი მიწის ფენა აქ არ იყო ღრმა: 0,70-0,80 მ-ის სიღრმეზე უკვე გრუნტი გამოჩნდა. არავითარი კვალი ზღვისა არ გვიპოვია, ნაშალიც სულ ერთფეროვანი იყო და ერთგვარ ნაშთებს იძლეოდა, უმთავრესად, კერამიკული ნატეხების სახით. ნატეხების რაოდენობა მაინც და მაინც დიდი არ იყო. მეტწილად ჭურჭლის ნამსხვრევი გვხვდებოდა, რომელიც ფორმების აღდგენის საშუალებას არ იძლეოდა. მაგრამ, იყო რამდენიმე ნატეხი ჯამის ძირისა და ქოთნის კედლებისა. დიდი უმრავლესობა სადა წითელი თიხისა იყო, გაცილებით უფრო ნაკლებად გვხვდებოდა ანგობიანი ქაშანურის ნატეხები და ორიოდე ნატეხი აღმოჩნდა ფაიანსისა, მაგრამ სწორედ ფაიანსის ერთი ჯამის ნაშთები ჩანს საინტერესო იმით, რომ ერთგვარად დამათარიღებელ გერშს იძლევა. ორიოდე ნატეხი ამ ჯამისა, ნაპოვნი იქნა W:9 ოთახის გარეთაც, NW-ჭიშკართან დადებულ B-თხრილში (ნ. ქვემოთ), უმრავლესობა კი აღმოჩნდა ამ ოთახის NO-კედელზე, სახელდობრ, კარის ქვაზე, და აგრეთვე შიგ ოთახში. ეს სუფთა ნახელავი გამსჭვირ, უფერო მინარს ქვეშ, გარედან მოხატულია ყვავილოვანი ორნამენტით, რომლის კონტურები დადებულია შავი ფერადით, ხოლო გულები შევსებულია კობალტის ლურჯი ფერადით. ეს ნახელავი, ორნამენტით და და ტექნიკის მიხედვით, XVI-XVII საუკუნების ნაწარმოები უნდა იყოს (სურ. 14).

ჭურჭლის გარდა, ამოდიოდა კიდევ ქიმებიანი და კურტნიანი მოუჭიქავი კრამიტის ნატეხები, მინისა მხოლოდ ერთი პატარა ნატეხი იყო. ოთახის N-კუთხეში ვიპოვეთ

ორი ძალზე დაშავებული ნატეხი სპილენძის სადა პატარა ჯამისა; ერთ ადგილას კიდევ სპილენძის მოგრძო ფირფიტა ეგდო, უცნობი დანიშნულებისა, რკინა ორი ნივთითაა წარმოდგენილი: ერთი პატარა სადა რგოლით და ერთი პატარა იარაღით, რომელიც შეიძლება საჭრეთელი იყოს, მცირე რაოდენობით აღმოჩნდა საქონლის ძვლებიც, აღსანიშნავია კიდევ ერთი ჩუქურთმიანი ქვის ფრაგმენტი.

ოთახის გრუნტში, ე. ი. ხამ მიწაში ჩაშენებული იყო თონეები და ორმოები. თონე სამი იყო, ყველა მიწით ამოვსებული, მათგან ორი არაფერს შეიცავდა, გარდა ძირზე დარჩენილი ნაცრისა, ერთში კი აღმოჩნდა წითელი თიხის ხელადის ძირი, ჯამის პირის ნატეხი და სხვა ნატეხები სადა წითელი ჭურჭლისა და აგრეთვე, ღორის ღოჯის ნატეხი. ორმოც სამი იყო. ყველა ამოვსებული მიწით. ერთში, რომლის დიამეტრი 1,10 მ-ს და სიღრმე 0,60 მ-ს უდრიდა, აღმოჩნდა სქელკედლებიანი თიხის ჭურჭლის ნატეხები, ორიოდე ნატეხი წითელი თიხის სადა, პატარა ჭურჭლებისა და თიხის წყალსადენი (ან საქარე) მილის პირი. მეორე, უფრო მოზრდილი ორმო, რომლის დიამეტრი 1,15 მ-ს, ხოლო სიღრმე 1,10 მ-ს შეადგენდა, შიგნით ქვიტკირით იყო შემოლესილი და მეტ ნაშთებს შეიცავდა. აქ იყო რკინის პატარა დანის პირი, რკინის დიდი ლურსმნის ნატეხი, ქვის პატარა ფრაგმენტი (ხუთ ნაჩვრეტიანი, გაურკვეველი დანიშნულებისა), პირუტყვის ძვლები მცირედ, მოჭიქული თიხის მძივის ნატეხი, ანგობიანი ქაშანური ჭურჭლის და წითელი თიხის სადა ჭურჭლის ნატეხები, აგურის და მოჭიქული და მოუჭექავი ქიმებიანი და კურტნიანი კრამიტის ნატეხები.

მესამე ორმო ყველაზე უფრო დიდია: მისი პირის დიამეტრი 1,65 მ-ს შეადგენს, შიგნით ის კიდევ უფრო ფართოვდება და 2,00 მ-ის სიღრმეზე არის ამოღებული გრუნტში. როგორც ნაშთებიდან ჩანს, იგი ნაწილობრივ კამარით იყო გადახურული. კამარა ნაგლეჯი ქვებით იყო ამოყვანილი ქვიტკირზე. გამოწმენდის დროს ორმოში აღმოჩნდა: მსხვილფეხა საქონლის ძვლები, მქისე წითელი თიხის და ანგობიანი ქაშანური ჭურჭლის ნატეხები, ბრტყელი და კურტნიანი სადა კრამიტის ნატეხები და ორი ნახევარი კაჭრისა, რომელსაც ნახელავი ეტყობა.

როგორც ნაშალ მიწაში ამოღებული განათხარი, ისე თონეებიცა და ორმოებიც, მიუხედავად ზუსტი აღრიცხვისა, არავითარ მთლიან სურათს არ ̆იძლევა. თონეები და ორმოები სრულებით უსისტემოდ არის გაფანტული მთელი ოთახის არეზე და, რა თქმა უნდა, ყველა გადახურული უნდა ყოფილიყო, რათა ოთახში ადამიანს თავისუფალად მოძრაობა შეძლებოდა.

4. ჩრდილო-დასავლეთის ჭიშკარი („ცოტანი კარნი“)

ჯერ კიდევ ამ 15-20 წლის წინათ NW-ჭიშკარი, რომლის განი 2,75 მ-ს შეადგენს, როგორც ეს ადგილობრივ მცხოვრებლებს კარგად ახსოვს, თაღით ყოფილა გადახურული. ამ თაღის ქვები, რიცხვით 8, ჩვენ დაგვხვდა მიწაში ჩაყრილი კარის ძირას. გარდა ამისა აქვე ეგდო სანახევროდ და ზოგი მთლიანად მიწით დაფარული ნარიმანდიანი და ფოსოიანი ქვები, რომელთაგან ზოგიერთი ეგებ თვით ამ კარისავე იყოს, ზოგი კი სამოსახლოს სხვა შენობებიდან უნდა იყოს აქ მოხვედრილი შემთხვევით.

თაღის ქვები ორგვარია: 5 ქვა სადაა, 3 კი ცალ კუთხეზე ლილვაკივითაა მომრგვალებული. ეს ორნამენტალური დეტალი შეესატყვისება კარის სვეტების ტანისა და თავის ლილვაკებს (ნ. ქვემ). უნდა ვიფიქროთ, რომ თაღი ორმაგი იყო: წინ ლილვაკიანი, უკან სადა (ასეთივე კონსტრუქცია გვაქვს სამრეკლოს ზედასართულის დოლაბებშიც).



სურ. 15. კარის ქვა. გეგმა და განაკვეთი.

ასე ადვილი ასახნელია კარის სვეტისთავების დიდი სიგანე, რადგან მათ ორივე თაღი უნდა დაეჭირათ: სახელდობრ, სვეტისთავის სიგანე აღწევს 0,95 მ-ს, იმ დროს როდესაც თაღის ქვის სიგანე 0,54 მ-ია საშუალოდ.

დანარჩენ შემთხვევით ცალკეულად კარში დაგდებულსა და ზედაპირული გაწმენდისა და აგრეთვე, გათხრის დროს ამოღებულ ქვათაგან აღვნიშნავ შემდეგს, მეტად თუ ნაკლებად საინტერესო ცალებს: ერთი მომწვანო ქანის ქვის ფრაგმენტია, სიგრძე 1,23, სიგანე 0,56 და სისქე ნარიმანდიან, ე. ი. წინა პირზე 0,32, უკანა პირზე კი 0,10 მ-ია; ეს კარის ქვაა და მარჯვენა ნახევრით იგი, როგორცა ჩანს, კარის ამყოლში იყო მოქცეული, მარცხენა ნახევარზე კი, რომელიც მას ნაწილობრივ ჩატეხილი აქვს, ერთი მრგვალი საყუნწურე ფოსო არის ამოღებული (დმ. 0,09, h-0,10 მ) და ფოსოს წინ და აგრეთვე მის მარცხნითაც 0,08 მ-ს სიმაღლის და 0,18 მ-ის სიგანის ქანი (ნარიმანდი) აქვს დატოვებული, რომელსაც კარი ებჯინებოდა[1]. ეს ქვა შეიძლება ზღურბლისაც იყოს და წირთხლისაც და ეგებ თვით ჭიშკარს ეკუთვნოდეს.

მეორე, ღვინისფერი ქანის ქვა კი (სურ. 15) იმდენად პატარაა (სიგრძე 0,70, სიგანე 0,43 მ), რომ ზღუდის კარს არ გამოადგებოდა. მას მთელ სიგრძეზე წინ 0,10 მ-ის სიმაღლის და 0,175 მ-ის სიგანის ქანი გაუდის და 6 ფოსო აქვს. ამათგან ფოსო „ა" (სიგრძე 0,24, სიგანე 0,20, სიღრმე 0,075 მ) საყუნწურეა – მას კარის ჩასადგმელ-ამოსაღები ღარიცა აქვს; ფოსო „ბ" (სიგრძე 0,08, სიგანე 0,055, სიღრმე 0,11 მ) კარის საკეტისთვის იყო ალბათ განკუთვნილი; მესამე ფოსოში კი („გ" სიგრძე 0,11, სიგანე 0,075, სიღრმე 0,055 მ) რომელიც ნარიმანდშია ამოღებული და ისეთივე მოგრძოდ ოთხკუთხია, როგორც ფოსი „ბ", კარის ჩარჩო იქნებოდა ჩადგმული; ნარიმანდის მთელი ზედაპირი „გ" – ფოსოს გარშემო ოდნავ, 2 სმ-ის სიღრმეზე, ამოღებულია. აქ შექმნილია პატარა (0,24 მ-ის სიგრძისა და 0,175 მ-ს, ე. ი. თვით ნარიმანდის სიგანის) ბაქანი, რომელზედაც

[1] მარჯვენა ნაწილი ნარიმანდისა ახლა ჩამოტეხილია, ფოსოს მარცხნით კი იგი ქვის უკანა პირისაკენ თანდათან დაბლდება და ბოლოს სულ იკარგება.



სურ. 16. ჩრდილო-დასავლეთის ჭიშკარი. გეგმა და ფასადი.

იდგა ყუნწურით ფოსოში ჩადგმული ჩარჩოს ფიცარი, რომლის განი, ამგვარად, 20 სმ-ს შეადგენდა. აქ ქვის დანარჩენი ფოსოები მერმინდელი ამოღებული თუა, ანდა რაღაც განსაკუთრებული დანიშნულებისა უნდა იყოს, ეს ქვა უთუოდ საძირეა, ე. ი. ზღურბლის ქვას წარმოადგენს.

მესამე, აგრეთვე ღვინისფერი ქანის, ოთხწახნაგა ქვა (სურ. 16) ძალიან თავისებურია, მისი სიგრძე 1,15 მ-ს შეადგენს, მაგრამ დამუშავებულია მხოლოდ 0,40 მ-ის სიგრძის ნაწილი, ხოლო დანარჩენი მქისედ ჩამოტეხილადაა დატოვებული. ამასთან, დამუშავებული (წინა) ნაწილი ამ ქვისა უფრო ვიწროა (0,42 და 0,24 მ), ვიდრე მქისედ დატოვებული (უკანა) ნაწილი (0,58 და 0,40 მ). ამ უკანა ნაწილით ეს ქვა აშკარად კედელში იყო ჩადგმული. წინა ნაწილის ყველა პირი გათლილია და გარდა ფოსოიანი პირისა, ყველა შემკულიცაა, ისე რომ სრულებით ცხადი ხდება, რომ ეს ქვა სადღაც მაღლა იყო

სურ. 17. ჩრდილო-დასავლეთის ჭიშკარი, ასახულობა შიგნიდან გათხრამდე.

ჩადგმული კედელში, მისი წინა ნაწილი გამოშვერილი იყო კედლის წყობიდან და ამასთან, ფოსოიანი პირი ზევითკენ იყო მოქცეული. ამგვარად, წინა ნაწილის ყველა პირი გამოჩენილი იყო, გარდა ფოსოიანი ზედაპირისა. ფოსო კვადრატულია (0,10×0,10 მ), სიღრმით-0,09მ. მისი ერთი კედელი ჩამოტეხილია. რა იყო ჩადგმული ამ ფოსოში, ძნელი სათქმელია. შეიძლება იგი ფაკელისა ან რაიმე ალმისა ან ეგებ ჯვარისათვის იყო განკუთვნილი და მაშინ ეს ქვა მართლაც შეიძლება NW-ჭიშკრის კუთვნილებას წარმოადგენს: თავის დროზე იგი ეგებ ამ ჭიშკრის გვერდით იჯდა მაღლა კედელში. რომ ამ ქვას ზემოაღწერილი გამოყენება ჰქონია, ამას ადასტურებს ერთი ის, რომ მისი უკანა ნაწილის სისქე და, მაშასადამე, სიმძიმეც მეტია ვიდრე წინა ნაწილისა, რაც ამ ქვის მდგრადობისათვის იქნებოდა საჭირო, და მეორეც ისა, რომ ზღუდის კედელი კარის ახლოს იმდენად სქელია, რომ ადვილად დაიტევდა ამ ქვას: კედლის სისქე ძირში აქ აღწევს 0,90-1,00 მ-ს, ისე რომ შუასიმაღლეზე, სადაც ეს ქვა დაახლოებით იქნებოდა ჩასმული, მისი სისქე 0,85-0,95 მ. უნდა ყოფილიყო, (ახლა კედელი აქ ძალზე ჩამონგრეულია), ხოლო ქვის იმ ნაწილის სიგრძე, რომლიც კედელში უნდა მჯდარიყო, არ აღემატებოდა, ალბათ, 0,65-0,70 მ-ს. მართალია, ჩუქურთმიანი ქვისა და ზღუდის კედლის ქვის ქანი ფერითაც ძლიერ განსხვავდება ერთმანეთში.

ჩუქურთმა ამ ქვას მხოლოდ მარჯვენა პირზე აქვს – იგი წარმოადგენს XI–XIII საუკუნეებში ჩვენში ძალიან გავრცელებულ წნულსახიან მედალიონს. ქვის დანარჩენი პირები პროფილირებულია და შემკულია ნახევარ ლილვაკებით.

საინტერესოა, რომ შიგნიდან ზღუდის კედელში ჩასმულია კრონშტეინივით დამუშავებული ქვა. იგი მოთავსებულია ჭიშკრის აღმოსავლეთი სვეტის გვერდით, სვე-



სურ. 18. ჩრდილო-დასავლეთის ჭიშკარი. სვეტების გეგმები.

ტისათვის ერთი წყებით უფრო მაღლა (სურ. 17). არავითარი შემკულობა ამ ქვას არ მოეპოვება, მაგრამ იგი უთუოდ მიგვითითებს, რაღაც დამატებითი მოწყობილობაზე, რომელიც ჭიშკარს თან ახლდა.

NW-ჭიშკარი სვეტებიანი იყო. სვეტები ჯერ კიდევ თავის ადგილას დგას. დაცულია, როგორც სვეტის ტანი, ისე თავიცა და ხარისხიც. ხარისხი, შვერილიანი კვადრია (სურ. 18ა); მისი შვერილი მომრგვალებულია. სვეტის ტანიც შვერილიანი ქვის ბოძია (სიმაღლ. 1,40 მ), რომლის ერთი კუთხე ლილვაკითაა მომრგვალებული (სურ. 18 ბ). ამ სვეტის უკან მეორე, უფრო სადა სვეტი დგას, აგრეთვე მთლიანი ქვისა, რომელიც წიბოჩამოთლილია, მეორე (მოწინააღმდეგე) შვერილის მაგივრობასა სწევს და აგრეთვე სვეტისათვის საწოლს წარმოადგენს (სურ. 18 ბ). სვესტისთავი, რომელიც, მაშასადამე, ამ ორ სვეტზე წევს, რომლებიც თავისი მხრით ორივე ერთს ხარისხზე დგანან (ხარისხის შვერილი სპეციალურად წიბოჩამოთლილი სვეტისთვისაა განკუთვნილი, სამნაწილედია (თუმცა ერთი მთლიანი ქვაა) და გეგმაში უცალმკვლავო ჯვარს მოგვაგონებს (სურ. 18 გ). გარდა ამისა, მას, შესატყვისად მარტივი სვეტის ჩათლილი წიბოსი, შემხდურ ადგილას აგრეთვე ერთი წიბო ჩათლილი აქვს. წინა და შუა მკლავების წინაპირებზე სვეტისთავი შემკულია წყვილი ნახევარლილვაკით (სურ. 16). აღსანიშნავია, რომ არც ერთი წარმოზიდული ნაწილი სვეტს არა აქვს, რაც იმით აიხსნება, რომ ასეთი ნაწილი (მაგ., წარმოზიდული ხარისხი ან სვეტისთავი) კარის მოძრაობას დააბრკოლებდა.

კარის ნაგებობის შესწავლის მიზნით, აქ ჩატარებულ იქნა მცირე მასშტაბის გათხრა, რომელმაც არსებითად უარყოფითი შედეგი მოგვცა. ორი თხრილი იქნა დადებული (სურ. 19); ერთი გარეთ (a), ხოლო მეორე შიგნით (b).

ვინაიდან თხრილი a, რომლის სიგრძე (NO-SW) 5,00-5,40 და სიგანე (SO-NW) 5,00-5,10 მ-ს შეადგენდა, მთლიანად არაფერს იძლეოდა (არავითარი ნაგებობა აქ არ აღმოჩნდა, კულტურული ფენებიც, ზედაპირიდან 0,60 მ-ის სიღრმემდე, მხოლოდ უმნიშვნელო ნაშთებს იძლეოდა უსისტემოდ გაფანტული კერამიკული წვრილი ნატეხების სახით) და ამიტომ მისი გათხრა მკვიდრ ნიადაგამდე მთელს ტერიტორიაზე მიზანშეუწონარი ჩანდა, შურფები იქნა დადებული ორ ადგილას, რომლებმაც საშუალება მოგვცა ერთის მხრით კულტურული ფენების სიღრმე და შემადგენლობა გამოგვერკვია, მეორე მხრით კი ზღუდის და კარის საძირკვლის ნაგებობაც შეგვესწავლა. ორივე შურფი დაყვანილ იქნა ხამ მინამდე და ორივემ, მცირეოდენ სხვაობას თუ მხედველობაში არ მივიღებთ, ერთნაირი სურათი მოგვცა.

შურფი a', სიგრძით (SO–NW) 1,30 და სიგანით (NO–SW) 1,25 მ. დაიდო ითხრილის O-კუთხეში. ზედაპირიდან ca. 0,80 მ-ის სიღრმეზე იგი ხამ მიწაზე დავიდა, ზედაპირული

მცენარეული ფენის ქვეშ, რომლის სისქე 0,15 მ-ს აღწევს, მოდიოდა თხელი, დაახლ. 0,15 მ-ს სისქის ფენა ნაცრისფერი ნაშალი მიწისა, რომელიც ისევე, როგორც ჰუმუსის ფენა, ძველ ნაშთებს არ შეიცავდა: აქ აღმოჩნდა მხოლოდ რამდენიმე უმნიშვნელო ნატეხი წითელი თიხის ჭურჭლისა და ერთი პატარა ნატეხი მინისა, რომლებიც ყველა თანამედროვეა. ამ ორი ფენის ქვეშ დევს მუქი მოყავისფერო ნაშალი, რომლის სისქე 0,45-0,50 მ-ს უდრის და რომელიც, ნაშთების მიხედვით, ძველ კულტურულ ფენას წარმოადგენს. იგი უმეშვეოდ გრუნტზე დევს. ზოგან ამ კულტურულ ფენასა და ზემოაღნიშულ ნაცრისფერ ფენას შორის კიდევ იყო თხელი (0,20 მ-ის სისქის) შუაფენა წვრილ კენჭნარევი მიწისა.



სურ. 19. ჩრდილო-დასავლეთის ჭიშკარი. სვეტების გეგმები.

კულტურულ ფენაში ნაშთები ძალიან ცოტაა[1]: უმთავრესად, აქ გვხვდებოდა წვრილი, უმნიშვნელო ნატეხები სადა წითელი თიხის ჭურჭლისა და სადა წითელი კრამიტისა, ანგობიანი მოჭიქული ჭურჭლისა, ერთი ნატეხი მოთეთრო თიხის თხელკედლიანი ჭურჭლისა, რომელიც გარედან მოხატული ყოფილა ყავისფერი და წითელი წარნაქით და ერთი ნატეხი ძველი ფაიანსისა, რომელზედაც შენახულია ნაშთები კობალტის ფერადით დადებული ორნამენტისა. უმნიშვნელო რაოდენობით აღმოჩნდა ამ ფენაში პირუტყვის ძვლებიც.

შურფი a[2] დაიდო თხრილის SW-კედლის გასწვრივ. მისი სიგანე 1,85 მ-ს აღწევდა. აქაც 0,85 მ-ის სიღრმეზე ხამ ნიადაგზე დავედით. ზედაპირიდან 0,45 მ-ის სიღრმეზე, ერთ ადგილას, სახელდობრ, SW-კედლის გასწვრივ, SO-კედლიდან 0,60 მ-ის მანძილზე, აღმოჩნდა 0,50 მ-ის დიამეტრის მქონე თხელი ნაცრის ფენა, ნაშთი აქ ოდესღაც დანთებული ცეცხლისა. ამ უკანასკნელზე მიგვითითებს აგრეთვე ნახშირის წვრილი ნატეხები, რომლებიც თხრილის SW-კედლის გასვრივ ჩნდებოდა ალაგ-ალაგ. ზედაპირიდან 0,45 მ-ის სიღრმეზე, ამ ფენის ქვეშ შურფის ნახევერ სიგრძეზე ჩაყრილი იყო მოზრდილი უფორმო და დაუმუშავებელი ქვები, რომლებიც არავითარ მთლიან სურათს არ იძლეოდა.

კარის ზღურბლის ნაშთები აღმოჩნდა ზედაპირიდან 0,40-0,45 მ-ის სიღრმეზე, მას უკან რაც აქ ჩამოვარდნილი, ზემოთ უკვე მოხსენებული თაღისა და სხვა წვრილი ქვები ავიღეთ.

გარდა თაღის ქვებისა, აქ და ზღურბლის ახლომახლო აღმოჩენილი ფოსოიანი და სხვა ქვების შემთხვევითობისათვის დამახასიათებელია, რომ ზედ ზღურბლზე ეგდო საწვიმარი ქვის ღარი, სიგრძით 0,65 მ, რომელიც, ცხადია, სამოსახლოს ერთ-ერთი შენობიდან იქნა აქ ჩამოტანილი და 0,45 მ-ის სიგრძის ფრაგმენტი ექვსწახნაგა ქვის სვეტისა, რომელსაც აგრეთვე კართან საერთო არა უნდა ჰქონდეს რა.

ძველი ზღრუბლისა მხოლოდ ორი ქვაღაა შენახული, ერთი, სიგრძით 1,40, სიგანით – 0,50 (წინა ნაწილის ერთი გვერდი ჩამოტეხილია) და სისქით 0,35 მ-ის ქვა ჭიშკრის NO-კედლის ქვეშა დევს და 1,00 მ-ის სიგრძეზეა გამოშვერილი გარეთ; მეორე პატარა ქვაა (0,40×0,30 მ) და კარის SW-ყურის ძირასა დევს. 1,40 მ-ის სიგრძის მანძილი ამ ორ ქვას შორის ცარიელი იყო, აქ ზღურბლი ქვები აღარ დაგვხვდა და ეს ადგილი ამოვსებული იყო წვრილი ნაგლეჯი ქვით. ზღურბლი პირდაპირ ხამ მიწაზე დევს და დამაგრებულია მხოლოდ შიგნიდან ამოშენებული კედლით (ნ. ქვემოთ b-თხრილის შესახებ).

ზღუდის საძირკველი, როგორც შურფებმა გვიჩვენა, NO-ჭიშკართან 0,50 მ-ის სიმაღლეს აღწევს. იგი მკვრივ ხამ მიწაზე დგას და ნაგებია ჩვეულებისამებრ ნაგლეჯი ქვით ქვიტკირზე, მაგრამ მისი წყობის ზედა ფენა სწორად ჩამოჭრილი ფილაქნებისაგან შედგება, რომლებიც თარაზულადაა ნაწყობი, ისე, რომ ერთგვარი ცოკოლი იქმნება ზღუდის კედლისათვის, თუმცა ეს ცოკოლი საძირკვლისაგან შვერილით გამოყოფილი არაა. უმეშვეოდ ამ ცოკოლზე დევს ზღურბლის ქვა. შემდეგ მოდის ერთი ფენა კედლის ქვებისა (0,32 მ-ის სიმაღლის) და მხოლოდ ამის შემდეგ იწყება სვეტის ხარისხი, ისე, რომ კარის სვეტები ზღურბლიდან 0,5 მ-ის მეტის სიმაღლეზე მოდიოდა. საძირკველი, როგორც აღვნიშნე, ზღურბლს არა აქვს. ამგვარად, ზღუდის კედლის საძირკველი კართან წყდება, რაც უდავოდ ხდის ზღუდისა და NW-ჭიშკრის აგების ერთდროულობას.

---

[1] ქვემომოყვანილი ცნობები შეეხება მთელს a-თხრილს, რომელიც, როგორც ზემოთაც აღინიშნა, მთლიანად 0,60 მ-ის სიღრმემდე მაინც ჩაითხარა ნიადაგის ზედაპირიდან.

თხრილი b სიგრძით (SO–NW) 6,10 და სიგანით (NO–SW) 3,40-3,50 მ-ს აღწევდა. აქ უკვე 0,35-0,40 მ-ის სიღრმეზე ნიადაგის ზედაპირიდან ხამ მიწაზე დავედით. სიღრმეების სხვაობა ამ თხრილსა და a-თხრილს შორის იმით აიხსნება, რომ ნიადაგი ამ ადგილას SO-დან NW-ის მიმართულებით ძალზე დაქანებულია, რის გამოც SO-ისკენ მიწის ზედაფენები დროთა განმავლობაში გადარეცხილა.

მსხვილი ნაშთებიდან აქ აღსანიშნავია ნარიმანდიანი და ფოსოიანი კარის ქვა, რომელიც უკვე ზედაპირულადვე ჩნდა და თხრილის SW-კედლის გასწვრივ იდო, SO-კედლიდან 0,60 მ-ის დაშორებით. რაიმე ნაგებობასთან დაკავშირებული იგი არ აღმოჩნდა. b-თხრილის SW-კედლის გასწვრივ, ე. ი. W:9-ოთახის NO-კედელი, ანუ მისი ნაშთი აღმოჩნდა, რომელსაც თავისი კარის ზღურბლის ქვა აქვს (ნ. ქვემ). შესაძლებელია, ამ კედელთან იყო დაკავშირებული ზემოსხენებული კარის ქვაც, მაგრამ ამის დანამდვილებით თქმა არ შეიძლება.

წვრილი ნაშთები, უმთავრესად კერამიკული ნატეხების სახით, b-თხრილში გაცილებით უფრო მეტი აღმოჩნდა, ვიდრე a-თხრილში, მაგრამ აქაც დიდი უმრავლესობა სრულებით უმნიშვნელო ხასიათისა იყო, უსისტემოდ მოფანტული მთელი თხრილის არეზე და არავითარ მთლიან სურათს არ იძლეოდა, ნატეხების უმეტესობა წარმოადგენდა სადა წითელი თიხის ჭურჭლის ნაშთებს, გვხვდებოდა აგრეთვე წარნაქიანი ნატეხებიც, იყო რამდენიმე ნატეხი მოჭიქული ქიმებიანი და კურტნიანი კრამიტისა. ცალკე აღსანიშნავია თხრილის W-კუთხის ახლოს 0,30 მ-ის სიღრმეზე ნაპოვნი 3 ნატეხი კობალტის ლურჯითა და შავი ფერადებით დადებული ყვავილოვანი ორნამენტით შემკული ფაიანსის ჯამისა, რომლის ნატეხების უმრავლესობა W:9-ოთახში იქნა ნაპოვნი (ნ. ქვემ). გარდა ამისა, ჭიშკრის ზღურბლს ახლოს ეყარა პირუტყვის რამდენიმე ძვალი და კბილი.

ჭიშკრის ზღურბლისა, როგორც აღვნიშნე, მხოლოდ ორი ქვაღაა შენახული. თავდაპირველად ზღურბლის სიგანე, უეჭველია 0,90-1,00 მ-ს შეადგენდა, ისე რომ კარის მთელი ზღვე მოფენილი უნდა ყოფილიყო თლილი ქვით, კედლების გარეპირიდან შიდაპირამდე. SO-დან ზღურბლს ამოშენებული ჰქონია 0,50 მ-ის სისქის საყრდენი კედელი, ეს უკანასკნელი აღმოჩნდა გრუნტის სიღრმეზე. იგი ნაგლეჯი ქვით და ქვიტკირითაა ნაშენი. მას თხრილის მთელი სიგანე უჭირავს (3,40 მ), სიგრძით, მაშასადამე, კარის ხორშს აღემატება და კარის ქანებს უკან შედის. მისი სიმაღლის გამოსარკვევად დავდეთ შურფი b[1], სიგრძით 2,00, სიგანით 0,84 მ, რომელიც გრუნტის ანუ, რაც იგივეა, საყრდენი კედლის ზედაპირიდან 0,65 მ-ის სიღრმეზე ჩაითხარა. ესაა სწორედ სიმაღლე საყრდენი კედლისა, რომელიც, ამგვარად, გრუნტში ზის. შურფის ჩათხრისას რამდენიმე კერამიკული ნატეხი აღმოჩნდა, რომლებიც, უეჭველია, კედლის ჩაშენებისას ყოფილა მოხვედრილი გრუნტში. ამაზე დასარწმუნებლად b-თხრილის სხვა ადგილსაც გავტეხეთ გრუნტი, სახელდობრ, O-კუთხის ახლოს (შურფი b[2]) და აქ მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ 0,50 მ-ის სიღრმეზე ჩავედით, წმინდად ხამი მიწა აღმოჩნდა, რაიმე სხვა ნაშთის გარეშე.

კარის ქვების აღმოჩენის მიზნით (იმედი გვქონდა, მაგ., საყუნწურე ქვების პოვნისა), ორი პატარა შურფი ჩავუთხარეთ ქანების ძირებს (b[3] – სიგრძე 0,60, სიგანე 0,30, სიღრმე 0,90 მ, b[4] – სიგრძე 0,50, სიგანე 0,40, სიღრმე 0,90 მ), მაგრამ ამ შურფებმა 0,50 მ-ის სიღრმეზე გრუნტის ანუ საყრდენი კედლის ზედაპირის დონიდან არა მოგვცა რა.

---

[1] თვით მუშაობის დროს ადგილზე ამ ნაწილს პირობითად Z-ტერიტორია ეწოდა და ამიტომ საველე ბარათებში ის ყველგან აღნიშნულია შიფრით „გუდ: Z (გუდარეხი:Z)".



სურ. 20. პილასტრებიანი კედელი და ფენილი. ასახულობა სამხრეთ-დასავლეთიდან.

ამის შემდეგ ორივე თხრილი (a და b) კვლავ მიწით ამოვავსეთ ზღურბლის დონემდე და თვით ზღურბლსაც საყრდენი კედლითურთ მიწის თხელი ფენა დავაყარეთ მათი შემდგომი დანგრევისაგან დასაცავად.

5. პილასტრებიანი კედელი (სურ. 20 და 21)

1938 წლის გეგმით გათვალისწინებული გასათხრელი ტერიტორიის ის ნაწილი, რომელიც მთავარი ტაძრის დასავლეთით მდებარეობდა, აღნიშნულია შიფრით W[1]. ეს ადგილი მოქცეულია I შენობისა, საჯინობისა, NW-ჭიშკრისა და გუდარეხის მთავარ ტაძარს შორის და ფართობით დაახლ. 500 კვ. მეტრს მოიცავს. W-ტერიტორიის O-ნაწილი პილასტრებიან კედლამდე დიდი დაქანების ბექობს წარმოადგენდა პატარა ტერასით მის 0-ნაწილში, სადაც მე-2 თხრილი (W:2) იქნა დადებული (გეგმა I). მე-2 თხრილის დასავლეთით, მკვეთრი დაქანების ბექობზე პირველი თხრილი დაიდო (W:1), რომელიც დასავლეთით დაახლოებით იქ თავდებოდა, სადაც ბექობის დაქანება ერთბაშად მცირდებოდა და შენობა II-ისაკენ, უკანასკნელის აღმ. კედლის გასწვრივ, გრძელ ტერასად იშლებოდა. შემდეგში ამ თხრილის დას. საზღვართან სწორედ პილასტრებიანი კედელი აღმოჩნდა და ბექობის დიდი დაქანების შემცირება და შეწყვეტა გასაგები გახდა (სურ. 20 და 21).

პირველი თხრილის ფართობი 9×8 მ-ს უდრიდა, კულტურული ფენის სისქე აქ 0,30-0,40 მ-ს არ აღემატებოდა. კერამიკული ნაშთები ჭურჭლისა, კრამიტისა და აგურის

ნატეხებისაგან შედგებოდა. სხვა მნიშვნელოვანი არა იყო რა. 0,40-0,50 მ-ს სიღრმეზე ამ თხრილში კლდე გამოჩნდა.

მე-2 თხრილი. რომლის დაახლოებითი ზომა 9×8,5 მ იყო 1-ის აღმოსავლეთითა და მეზობლად იდო. აქ კლდის დონე ცოტა უფრო ღრმად იყო და კულტურულ ფენასაც მეტი სისქე ჰქონდა, მაგრამ აქაც განათხარმა ღირსშესანიშნავი არა მოგვცა რა. რაიმე ნაგებობის ნაშთი არსად არ აღმოჩენილა.

სურ. 20 პილასტრებიანი კედელი და ფენილი ასახულობა სამხრეთ-დასავლეთიდან

იმ შვიდი თხრილიდან, რომლებიც W-ტერიტორიაზე იყო დადებული ხუთი (W:3-დან W:7-მდე) პილასტრებიან კედელსა და საჯინიბოს შორის მდებარე არეზე მოდის, ეს ადგილი გათხრის დაწყებამდე საჯინიბოს აღმ. კედლის გასწვრივ გაყოლებულ გრძელ, ფართო ტერასას წარმოადგენდა, რომელიც სიმაღლით საჯინიბოს აღნიშნული კედლის უკან, მისი ნანგრევის ზედაპირის დონეზე ცოტა უფრო მაღლა მდებარეობდა და ამგვარად შენობის ზღვესთან შედარებით დაახ. 2,50 მ-ით უფრო მაღლა მოდიოდ., საჯინიბოდან ვიდრე მე-3 და მე-4 თხრილების აღმ. საზღვრამდე 5-6 მ-ის სიგანეზე ეს ტერასა თითქმის მთლად გავაკებულ ადგილს წარმოადგენდა, მცირე დაქანებით დასავლეთსა და სამხრეთისაკენ. ისე რომ ეს ადგილი ბალახით დაფარული და გაუქმებული ქუჩის შთაბეჭდილებას ახდენდა, რომელიც ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ უნდა ყოფილიყო მიმართული. ამ ქუჩის ზევით, აღმოსავლეთისაკენ იწყებოდა ბორცვი, რომლის ფერდობზეც პირველი და მე-2 თხრილი იდო, ხოლო თხემზე შენობა I და გუდარეხის მთავარი ტაძარი არის მოთავსებული.

სამხრეთით ტერასა შესამჩნევად ფართოვდებოდა და W:5-თხრილისა და მე-4 ზონდაჟის ადგილზე და მათ აღმოსავლეთით ფართო მოედნის სახეს ღებულობდა.

გუდარეხი

პილასტრებიანი კედელი



სურ. 21. პილასტრებიანი კედლის და ქვაფენილის გეგმა. ფასადი.



სურ. 22. პილასტრებიანი კედლის ტერიტორია (W:3-W:7) თხრილების განლაგება.

ამ ტერიტორიის გათხრა მე-3 თხრილით დაიწყო, რომელსაც დასავლეთით საჯინიბოს აღმ. კედელი საზღვრავდა (სურ. 22). დანარჩენი საზღვრები ჩვენ მიერ იქნა შერჩეული ადგილობრივი პირობების (რელიეფის) და მიზანშეწონილობის მიხედვით. ჩრდ. საზღვრად αγ-ხაზი დავდეთ, რომელიც საჯინიბოს ჩრდ. კედლის გაგრძელებას წარმოადგენდა და რომლის იქითაც გასათხრელი ფართობი მკვეთრი დაქანებით დასავლეთისაკენ, ე. ი. ზღუდის კედლისაკენ მიემართებოდა.

მთელი გასათხრელი ფართობი ბალახითა და ჩამოცვენილი ფოთლებით იყო დაფარული. მე-3 თხრილში, ჰუმუსისა და კულტურული ფენის ზედა ნაწილში, რომლის საშუალო სიღრმე მიწის ზედაპირიდან 0,20-0,30 მ-ს არ აღემატებოდა, კერამიკული ნამსხვრევი გვხვდებოდა: მოჭიქული და მოუჭიქავი კრამიტისა და ქაშანური ჭურჭლის ნატეხები[1]. გარდა ამისა, აქ აღმოჩნდა ორი ნატეხი მოწითანო თიხის ჭურჭლისა, კვეთილი ფხური ორნამენტით და გარედან დაწახნაგებული წითელი ფერის ჭურჭლის ქვედა ნაწილი ძირითურთ. იმავე სიღრმიდან (0-0,30 მ). ამოღებულ ნაშალ მინაში შეგვხვდა ირიზებული მინის პატარა ზომის ნატეხიც. თხრილის აღმ. ნაწილში, სადაც რელიეფი მაღლდებოდა და ამის გამო სიღრმე უფრო მეტი იყო, 0,40 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა ნაშალი კლდე და კლდის ნაგლეჯში არეული მიწა.

მე-3 თხრილში გათხრის შემდგომმა გაღრმავებამ, ცხადყო, რომ კულტურული ზედაფენა უფრო ძველ და უფრო საინტერესო ფენას ჰფარავდა. ზედაფენის ქვეშ თხრილის აღმოსავლეთ ნაპირთან 0,70 მ-ის სიღრმეზე ფილაქნებისა და კირქვის თარაზული წყობა აღმოჩნდა. ამ ფილაქნების ზომა 1,00×1,20 მ-ს აღწევდა, მათი ზედაპირი კარგად იყო დამუშავებული (გათლილი) და ხშირად ისინი კუთხეებშიც სწორად იყო გამოყვანილი. ზოგიერთ ადგილას ფილაქნები „კირწყლის" საშუალოდ 0,10 მ-იანი სისქის ფენით იყო დაფარული, ხოლო იმ ადგილიდან, სადაც ფილაქნების ხაზი წყდებოდა (მე-3 თხრილის აღმ. კედლიდან 0,75 მ-ის დაშორებით), თხრილის მთელი ფართობის მანძილზე ან მხოლოდ ეს „კირწყალი" იყო მოსხმული, ანდა მქისედ დამუშავებული კირქვა იყო დადებული.

[1] აქვე შეგვხვდა შაშხანის ტყვიის მასრაც.

ფილაქნებისა და „კირწყლის" დონემდე დასვლამ ცხადი გახადა, რომ ამ ადგილის მნიშვნელოვან და საინტერესო ფენასთან გვქონდა საქმე. ფილაქნები მჭიდროდ იყო დაკავშირებული ფენებრივად ამ „კირწყალთან"; იქ, სადაც ფილაქნების წყობა „კირწყლის" ფენას ემთხვეოდა, ორივე ერთსა და იმავე დონეზე მდებარეობდა და ამგვარად შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ისინი თავის დროზე ერთსა და იმავე დანიშნულებას ასრულებდნენ, მთლიანად ეს სურათი მოკირწყლული ქუჩის ან მოედნის შთაბეჭდილებას ახდენდა, რომელიც (ქუჩა იქნებოდა ის, თუ მოედანი) მე-3 თხრილის ფარგლებში ოდნავ იყო დაქანებული დასავლეთისაკენ (განაკვეთი α1-γ1, სურ. 23)[1].

ამის შემდეგ საჭირო იყო ფილაქნებისა და კირწყლის ფენის გავრცელების საზღვრები გამორკვეულიყო. ამ მიზნით გამოყოფილ იქნა მე-3 თხრილის ჩრდილო-ნაწილში 1½ მ-ის სიგანის შურფი (ზონდ. 1), სადაც გადაწყდა გათხრის გაღრმავება ფილაქნებისა და კირწყლის ფენის სისქის გამოსარკვევად. მართლაც. ამ შურფმა კულტურული ფენების განლაგების სრული სურათი მოგვცა და გვიჩვენა, რომ ჩვენთვის საინტერესო ფენა ყამირზე კი არა, ნაშალ, კულტურულ ფენაზე იყო დადებული. მეორე მხრივ გათხრა გაგრძელდა მე-3 თხრილის მეზობლად სამხრეთით (თხრ. 4,5 და ზონდ. 4) და შემდეგ აღმოსავლეთით (მე-6 თხრილი) მდებარე ადგილისაკენ.

მე-4 თხრილში კირწყლის ფენა 0,10-0,30 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა. სიღრმის ეს განსხვავება ნაშალი მიწის არა თანაზული განლაგებით არის გამოწვეული: რადგანაც კირწყლის ფენაზე დაყრილს ნაშალ მიწას უფრო მეტი დაქანება ჰქონდა, ვიდრე თვით კირწყლის ფენას, ამიტომ უკანასკნელის სიღრმე მიწის ზედაპირიდან მე-4 თხრილის აღმ. ნაწილში 0,30 მ-ს, ხოლო დას. ნაწილში 0,10 მ-ს უდრიდა.

დაახლ. ამავე სიღრმეზე იგივე ფენა მე-5 თხრილშიც აღმოჩნდა. მაგრამ მას მთელი თხრილის არე აღარ ეჭირა, არამედ იგი თხრილის სამხრეთ მესამედზე შეწყდა (გეგმაზე, სურ. 22, კირწყლის სამხრ. საზღვარი აღნიშნულია წერტილხაზით). ეს ხაზი კირწყლის



სურ. 23. ზონდაჟი 1. α_1–γ_1 კედლის ფასადი.

[1] ამ შთაბეჭდილებას თითქოს ეწინააღმდეგებოდა მოკირწყლვის თავისებური, ერთი შეხედვით, უჩვეულო ხერხი თხრილის დასავლეთ ნაწილში, ე. ი. იქ, სადაც ფილაქნების მაგიერ დუღაბის მსგავსი, კირისა და წყლის ხსნარი იყო მოსხმული. მით უფრო, რომ ეს ფენა, დროის გავლენით, ალბათ, საკმაოდ სუსტი აღმოჩნდა და ადვილად იფხვნებოდა. მაგრამ თვით სიტყვა „კირწყლვა", „მოკირწყლვა"-ს ეტიმოლოგიიდან ჩანს, რომ ჩვენ მიერ გუდარეხში ნაპოვნი ხერხი ქუჩის მოკირწყლვისა ძველად ჩვეულებრივი და მიღებული უნდა ყოფილიყო [მოკირ-წყ(ა)ლ-ვა].



სურ. 24. ზონდაჟი 5. β_1–δ_1 – კედლის ფასადი.

ფენის უკანასკნელი საზღვარი იყო სამხრეთით, არც მე-3 საზონდაჟო თხრილში, რომელიც ამ საზღვრიდან 2 მ-ის მანძილზე დავდეთ, და აღარც მე-4 საზონდაჟო თხრილში, რომელიც იმავე საზღვრიდან 10 მ-ის მანძილზე იდო. კირწყლის ფენა აღარ შეგვხვედრია. ამის შემდეგ მე-3 და მე-4 ზონდაჟებს შორის მოქცეული არეს გათხრა, რა თქმა უნდა, აღარ ღირდა.

W-ტერიტორიის SO-ნაწილში, მე-3 ზონდაჟის აღმოსავლეთით, საინტერესოდ დამუშავებული. მოღვინისფერო კლდის ნაგლეჯი ქვა ეგდო. მისი სიგრძე-სიგანე 0,80×0,80 მ-ს უდრის, მას დამუშავებული აქვს მხოლოდ ერთი, ეტყობა, ზედა პირი, და ზურგი სოლივითა აქვს ჩამოთლილი, წაწვეტებული ნვერით. დამუშავებულ პირზე ამოჭრილია 0,20 მ-ის სიღრმის ფოსო, რომელსაც სამკუთხედის ფორმა აქვს 0,23 მ-იანი ფუძით.

მე-5 თხრილში, 0,10-0,20 მ-ის სიღრმეზე, გარდა კარგად გამომწვარი სადა წითელი თიხის ჭურჭლის ნატეხებისა და ანგობიანი ქაშანური ჭურჭლის ერთი უფორმო ფრაგმენტისა, აღმოჩნდა კარგად დაცული უორნამენტო ფაიანსის ჭურჭლის პატარა ნატეხიც. ეს უკანასკნელი ზედ კირწყალის ფენაზე იდო.

მე-3, მე-4 და მე-5 თხრილში გათხრების წარმოება კირწყლის ფენაზე შეწყდა. ეს უკანასკნელი აღარ აგვიღია და მისი დაცვისა და შენახვის მიზნით გადავწყვიტეთ გათხრის დამთავრების შედმეგ მასზე მიწის თხელი ფენა დაგვეყარა. მაგრამ სურათი რომ სრული ყოფილიყო, რამდენიმე ადგილას ეს ფენა ჩავჭერით და გათხრა ჩავაღრმავეთ. ამ მიზნით დაიდო ვიწრო (1,00-დან-1,50-მდე) თხრილები ზონდ. 1, ზონდ. 2, ზონდ. 5 და ზონდ 3.

მე-3 საზონდაჟო თხრილის ჩრდ. აღმოს. კუთხეში 0,30 მ-ს სიღრმეზე კლდის მოზრდილი ნაჭერი აღმოჩნდა, რომლის სიგრძეც 1,00 მ-ს აღემატებოდა და რომელსაც სამხრეთისაკენ მიქცეულ ნაწილში დამუშავების (გათლის) ცხადი ნიშნები ეტყობოდა. ამავე სიღრმეზე, მოპირდაპირე, სამხრ.-დასავლეთ კუთხეში ფილაქანი იდო, რომელსაც დამუშავებული ზედაპირი ჰქონდა. თხრილის აღმ. ნაწილში კლდე, დაქანებით სამხრეთისაკენ, თითქმის თხრილის სამხ. საზღვრამდე ვრცელდებოდა, რომლის ცოტა მაღლა, მიწის ზედაპირიდან 0,45-0,50 მ-ის სიღრმეზე, ორი ბრტყელზედაპირიანი ფილაქანი იდო; ერთ მათგანს კუთხეებიც დამუშავებული ჰქონდა და კვადრს წარმოადგენდა. იმავე სიღრმეზე თხრილის დას. ნახევარში ორი ბრტყელზედაპირიანი ქვა ეგდო არა თარაზულად. მე-5 საზონაჟო თხრილში 0,00-0,10 მ-ის სიღრმეზე ორი ქვა იდო ერთმანეთზე კუთხით მიდგმული, შეერთების კუთხე მიქცეული იყო სამხრეთისაკენ, შიგნით მოქცეული პირები ორივე ქვას სწორად ჰქონდა გათლილი. მათი ზომები 1,00×0,30 მ და 0,80×0,20 მ-ს უდრიდა.

1-ლი, მე-5 და მე-2 საზონდაჟო თხრილების ჩაღრმავებამ გამოარკვია, რომ სამივე შემთხვევაში კირწყლის ფენა ნაშალ, კულტურულ ფენაზე იდო. სურათები 23-25 გვიჩ-

ვენებს α_1–γ_1[1], β–δ[2] და η–ϑ-კედლების ფასადებს. ამ ფასადებიდან ჩანს, რომ η–ϑ ხაზზე კირწყლის მხოლოდ ერთი ფენაა, α_1–γ_1 ხაზზე კირწყლის ფენის ქვეშ დუღაბის რამდენიმე ფენაა მოქცეული, რომელიც კირწყალთან შედარებით უფრო ფხვიერი და ნაკლებ მკვრივი იყო. β–δ ხაზზე ამ დუღაბის ფენის კვალი მხოლოდ თხრილის აღმ. ნაწილში ჩანს; მისი სისქე აქ დაახლ. 0,10 მ-ს უდრის და მას 1,20 მ-ის სიგრძე აქვს, კირწყლის ქვეშ მოქცეული კულტურული ფენა პირველ საზონდაჟო თხრილში კერამიკული ნატეხების საკმაოდ დიდ რაოდენობას შეიცავდა. აქ შეგვხვდა კრამიტისა და აგურის ნატეხები, წითელი თიხის დიდი და მცირე ზომის ჭურჭლის ნატეხები, პირუტყვის ძვლები და ნახშირი. ქვევით, ნახაზის (სურ. 23) მარცხენა ნაწილში (ე. ი. თხრილის აღმ. ნაწილში) დუღაბის სქელი (0,10-0,50 მ) ფენა გათიშულია ორი თხელი (0,05-0,07 მ) ფენით, რომლებიც ხამი მიწის მაგვარ მოწითანო მიწას წარმოადგენდა. ბოლოს, კირწყლის დონიდან საშუალოდ 1,00 მ-ის სიღრმეზე, ყამირი (გრუნტი) იყო. საჯინიბოს გარეპირი მოპირკეთებული არ ყოფილა. მას მხოლოდ კუთხე ჰქონდა თლილი ქვით ამოყვანილი.

ფილაქნებისა და კირწყლის ფენის აღმოსავლეთი საზღვრისა და მისი აღმოსავლეთით გავრცელების არის გამოსარკვევად მე-6 საზონდაჟო თხრილი დაიდო. ეს მას შემდეგ, რაც მე-3, მე-4 და მე-5 თხრილების გათხრა უკვე დასრულებული გვქონდა და კირწყლის დასავლეთი და სამხრეთი საზღვრებიც გამორკვეული იყო. თხრილი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ იყო ორიენტირებული და გათხრაც პატარ-პატარა ნაკვეთებით W-დან O-საკენ წარმოებდა. რელიეფი ამ ადგილას თანდათან უფრო ციცაბო ხდებოდა და ამიტომ თხრილის სიღრმე უფრო და უფრო იზრდებოდა. 2,50 მ-ის შემდეგ თხრილი თლილი, დიდი ზომის ქვებით ნაშენ მტკიცედ ნაგებ კედელს მიადგა და ფილაქნების ფენაც სწორედ ამ კედელთან შეწყდა.

ფილაქნების წყობა თარაზული იყო, შეუმჩნეველი დაქანებით დასავლეთისაკენ და ზედ მას კირწყალი ჰქონდა მოსხმული. თხრილის ჩრდ. აღმ. კუთხეში კედელს 1,20 მ-ის სიმაღლის პილასტრი (ნახევარსვეტი) ჰქონდა. ის თვით კედელზე 0,20 მ-ით უფრო მაღალი იყო და 0,10 მ-ის სიმაღლის ხარისხზე იდგა. საჯინიბოსაკენ მიქცეული ზედაწიბო სვეტისა ზედ მიწის დონის პირად იყო, ოდნავ (0,02-0,03 მ-ით) დაფარული ჰუმუსითა და ბალახებით (სურ. 20-21).



სურ. 25. ზონდაჟი 2. η–ϑ – კედლის ფასადი.

0,30-0,40 მ-ის სიღრმეზე ამ თხრილში მწვანედ მოჭიქული ჭურჭლის ნატეხი ამოვიდა; 0,40-0,70 მ-ის სიღრმეზე – მოყვითანო, კარგად დამუშავებული თიხის ჭურჭლის ნატეხები (2 ცალი) გაგლუვებული ზედაპირით, და მოყვითანო და მოწითანო თიხის ჭურჭლის რამდენიმე ნატეხი; ხოლო კედლიდან 0,40-ოდე მ-ის დაშორებით, 1,00 მ-ის სიღრმეზე ამოვიდა მოწითანო თიხის ჭურჭლის (ქილის) ორი

[1] α_1–γ_1 – ფასადი გამოსახულია თხრილის აღმ. ნაწილში ერთი პირი მიწის აღების შემდეგ, ამიტომ ფასადის მარცხენა ნაწილში ჰუმუსისა და ზედა კულტურული ფენა არ ჩანს.

[2] აქ კი ფასადის გამოხაზვის დროს თხრილის დას. ნაწილში იყო ერთი პირი მიწა აღებული.



სურ. 26. თხრილი W:6, სექტორი b. სამხრეთ კედლის ფასადი.

ნატეხი. ნაშალ მიწაში, რომელიც 0,80-1,00 მ-ის სიღრმიდან იყო ამოღებული, ფაიანსის ჭურჭლის კარგად დაცული პატარა ფრაგმენტი აღმოჩნდა: იგი დაბალი ხარისხის თეთრი თიხისაა, ორსავ პირზე უფერო, გამსჭვირი მინარი აქვს მოსხმული; გარეპირი ამ ნატეხს რელიეფით აქვს დამუშავებული; იგი მოხატულია მინარსქვეშეთ კობალტის ლურჯი ფერადით და ორსავ პირზე სპილენძის ლუსტრი აქვს დადებული.

პილასტრიანი კედლის იმ ნაწილის პოვნის შემდეგ, რომელიც მე-6 საზონდაჟო თხრილის ფარგლებში იყო მოქცეული, საჭირო გახდა მისი გაგრძელების ძებნა, როგორც ჩრდილოეთით, ისევე, სამხრეთით. ამ მიზნით თითქმის ერთდროულად ორი თხრილი დავდეთ: მე-6 რომელიც a,b,c და d სექტორებისაგან შედგებოდა და ზონდ. 7, რომელიც ვიწრო (0,80-1,00 მ-ის სიგანის) თხრილის სახით კედლის დას.-ით იდო და მას ჩრდილოეთისაკენ მიჰყვებოდა.

მთელი გათხრების დროს ძირითად მეთოდად ჩვენ ფენებრივი გათხრა გვქონდა მიღებული, ე. ი. მიწის ყოველ გარკვეულ ნაკვეთზე მიწის აღება ზედაპირიდან წარმოებდა ფენა-ფენა, ჰორიზონტალურად. ამიტომ მე-7 საზონდაჟო თხრილსაც, რომლის საერთო სიგრძემ ბოლოს 12-13 მ-ს მიაღწია, პატარ-პატარა ნაკვეთებად ვყოფდით და კედლის მიმართულებას ასე ვარკვევდით. ამავე მიზეზით მე-6 თხრილი 4 პატარა სექტორად დავანაწილეთ.

მე-6 თხრილის a-სექტორში, 0,00-0,30 მ-ის სიღრმის ნაშალში ფაიანსის პატარა ნატეხი შეგვხვდა; 0,20-0,90 მ-ის სიღრმეზე (0,90-მ-ის სიღრმეზე თვით კედელთან და 0,20 მ-ის სიღრმეზე თხრილის დასავლეთ საზღვართან) – ბრტყელი კრამიტისა და წითელი თიხის მსხვილი ჭურჭლის (ქილა? ქვევრი?) ნატეხები, კარგად დამუშავებული და კვეთილი პარალელური ხაზებით შემკული მოყვითანო თიხის ჭურჭლის ნატეხი, მოწითანო თიხის ჭურჭლის ნატეხი ნაჭდევი ჯაჭვისებური ორნამენტით, და შიგნიდან მწვანედ მოჭიქული ჭურჭლის (ჯამის?) პატარა ნატეხი. თხრილის ჩრდ. აღმ. ნაწილში, 1,30 მ-ის სიღრმეზე, ნაცარი შეგვხვდა პატარა არეზე, რომლის დიამეტრი დაახლ. 0,50 მ-ს უდრიდა. ხოლო თხრილის სამხრ. დას. კუთხეში, 0,70 მ-ის სიღრმეზე, ნახშირის ნატეხები ამოვიდა. უნდა ითქვას, რომ ეს ნაცრისა და ნახშირის ფენები ფაქტობრივად ერთ თარაზულ სიბრტყეში მდებარეობდა და ფილაქნებისა და კირწყლის დონიდან 0,05-0,10 მ-ით მაღლა იყო.

ფილაქნების დონეზე, ზედ ზღვეზე, 0,40-0,45 მ-ის სისქის ქვა იდო, რომლის სიგრძე 1,00 მ-ს აღწევდა და რომელიც წვერით თითქმის ზედ კედელეზე იყო მიბჯენილი. ამ ქვის სამხრეთით, მასზე 0,15-0,20 მ-ით უფრო მაღლა, ჩაყუდებული იყო თაღის ქვა, ზომით 0,70×0,30×0,20 მ; იქვე, იმავე დონეზე ნაგლეჯი ქვა ეგდო, ზომ. 0,30×0,30 მ. ზღვეზევე იყო ნაპოვნი, თხრილის SW-კუთხეში, ქამრის აბზინდა რკინისა, ოთხკუთხი, ენამოტეხილი და დაჟანგებული. დასასრულ, თხრილის უკანასკნელ ფენაში, ე. ი. იმ ფენაში, რომელიც უშუალოდ ფილაქნებზე ანუ ზღვეზე იდო (0,20-0,90 მ-დან W-ით 0,65-1,35 მ-მდე O-ით) და სისქით 0,40-0,45 მ-ს უდრიდა, შემდეგი ნივთები იყო ნაპოვნი: შავი თიხის მარტივორნამენტიანი (ნაჩხვლეტებიანი) ნატეხი, ქვევრის (ან ქილის) ნატეხები, შიგნიდან მწვანედ მოჭიქული ჭურჭლის პატარა ნატეხი, შავი თიხის სადა ნატეხები, მოყვითანო თიხის კარგად გამომწვარი და დამუშავებული ჭურჭლის თუ კრამიტის უფორმო ნატეხები და მოწითანო თიხის ჭურჭლის ნატეხები, რომელთაგან ერთი კვეთილი, პარალელური ხაზებით იყო შემკული.

მე-6 თხრილის b-სექტორში, 0,10-0,20 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა: ორმხრივ მწვანედ მოჭიქული ფაიანსის სადა, უორნამენტო პატარა ნატეხი, კრამიტის ნატეხი, მონითანო თიხის ჭურჭლის ნატეხები და ქამრის აბზინდა რკინისა. 0,20-0,40 მ-ის სიღრმეზე – უბრალო თიხის ჭურჭლის რამდენიმე ნატეხი, ქაშანური მწვანედ მოჭიქული ნატეხები და მინის ჭურჭლის პატარა ნატეხი.

0,70-0,90 მ-ის სიღრმეზე, თხრილის სამხრ.-აღმ. ნაწილში ჩამოშლილი დუღაბის ფენა აღმოჩნდა, ხოლო თხრილის ჩრდ.-აღმ. ნაწილში – თლილი და ნაგლეჯი ქვების ფენა, ეს ქვები არაგეგმიანად იყო დაყრილი კედლის წინ და მათ თხრილის თითქმის მთელი ჩრდ.-აღმ. მეოთხედი ეჭირა, პილასტრიდან (ნ. გეგმა) დაწყებული ვიდრე მე-6 თხრილის a-სექტორში აღმოჩენილ ქვებამდე. ფილაქნების დონიდან 0,40-0,60 მ-ის სიმაღლეზე ძვალი, ქაშანური ჭურჭლის ნატეხი და ნახშირი შეგვხვდა. თიხის ნატეხი და ნახშირი თხრილის დას. ნახევარში აღმოჩნდა, ძვალი კი კედლის ძირში, თხრილის სამხრ. აღმ. კუთხეში ვიპოვეთ. ზედ ფილაქანზე, თხრილის ჩრდ.-დას. კუთხეში მოყვითანო თიხის ქილის ყური აღმოჩნდა.

იმისათვის, რომ ნათელი იყოს პილასტრებიანი კედლის გასწვრივ მდებარე ჟთხრილებში არსებული ფენების განლაგება, და იქ აღმოჩენილი ნივთების ქრონოლოგია, მომყავს მე-6 თხრილის b-სექტორის სამხრ. საზღვრის განაკვეთის ფასადი (სურ. 26), რომელზედაც ფენების განლაგება და მათი ხასიათი ყველაზე კარგად იყო შესამჩნევი, ამ ფასადში ასახულობა მოცემულია ჩრდ-დან, ე. ი. თხრილის შიგნიდან. მასშტაბი დაცულია ზუსტად როგორც სიგრძეზე, ისევე, სიღრმეზე (2 სმ-1 მ-ს, ე. ი. 1,50); ეს იძლევა ფენების სისქისა და მდებარეობის თვალნათლივი წარმოდგენის შესაძლებლობას. ამ განაკვეთიდან ჩანს, რომ გარდა ზედა ჰუმუსის ფენისა (სისქე – 0,20 მ). აქ ორი სხვადასხვა ხასიათისა და დროის კულტურული ფენაა წარმოდგენილი, რომლებიც ერთი მეორისაგან დუღაბის (0,10-0,15 მ) ფენითა და სამი ნაგლეჯი ქვით ისაზღვრება. ზედა, მოგვიანო ფენის მიწა ძალიან განსხვავდება ქვედა კულტ. ფენისაგან მიწაში. პირველი ფენა მოყვითანო ფერის მკვრივი ნაშალი მიწისაგან შედგებოდა, რომელსაც წვრილი ნაგლეჯი ქვა ბევრი ერია, მეორეში კი მიწა ძალიან სუფთა, ფხვიერი და ჩვილი იყო. აქ უფრო მოშავო-მონაცრისფრო იერი სჭარბობდა და ღორღი თითქმის სულ არ ერია. განსაკუთრებით მკვეთრად ეს ფენა კედლის ახლოს მდებარე არეზე გამოირჩეოდა და კედელს მთელ სიგრძეზე მიჰყვებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ფენა გუდარეხის

გათხრილი ტერიტორიის სხვა ადგილებშიც ჩნდებოდა და ყველგან იგი სხვა ფენებზე უფრო ღრმად იდო ზედ ხამ გრუნტზე[1].

მე-6 თხრილის c-და d -სექტორებში კედელი უკვე დაზიანებული და ნაწილობრივ დაშლილი აღმოჩნდა. c-სექტორში სამხრ. პილასტრის სამხრეთით მხოლოდ ერთი ქვა იდო კედლის მესამე (ქვევიდან) რიგში, შემდეგ 1,00 მ-ის მანძილზელა შეგვხვდა ქვების ორი რიგი, ამას იქით კი მეორე რიგის ქვაც გადმოწოლილი იყო. 0,60 მ-ის სიღრმეზე სწორედ მესამე რიგის ქვა შეგვხვდა გადმოწოლილი და ჩამოვარდნილი, რომლის გასწვრივაც, ქვაზე უფრო ღრმად, მთელს არეზე დუღაბი იყო ჩამოშლილი. კირწყლის დონიდან 0,30-0,40 მ-ის სიმაღლეზე, თხრილის სამხრეთ აღმ. კუთხეში ცალპირზე ცისფრად მოჭიქული კირქვის ორი პატარა ნატეხი შეგვხვდა, რომელთაც ზურგზე დუღაბის კვალი ეტყობოდა. ასეთივე ნატეხი შეგვხვდა იმავე არისა და იმავე სიღრმის ნაშალ მიწაში. ცოტა უფრო ღრმად, კირწყლიდან 0,10-0,15 მ-ის სიმაღლეზე მინის ჭურჭლის პატარა ნატეხი და ანგობიანი ქაშანური ჯამის ნატეხი აღმოჩნდა. გარდა აღნიშნული ნივთებისა, c-სექტორის მთელს არეზე კედლის ქვებთან ერთად დიდი რაოდენობით გვხვდებოდა ნაგლეჯი ქვებიც.

d-სექტორში კედელი ცალპირადღა მიდიოდა (ძირიდან მხოლოდ ქვის ერთი რიგი იყო შერჩენილი) და თხრილის სამხრ. ნაწილში სულ შეწყდა. ამის გამო თხრის დროს ძალიან ბევრი ქვა და დუღაბი შეგვხვდა. ნაპოვნი ნივთებიდან აღსანიშნავია თხრილის აღმ. მეოთხედში, ე. ი. კედლის ახლოს, 0,80-ოდე მ-ის სიღრმეზე ამოღებული ორმხრივი მოჭიქული ქარსის (კვარცის) ნატეხი (ზომ. 3×2,5×1,7 სმ) და ერთმხრივი მოჭიქული კირქვის ნატეხი (ზომ. 5×3,5×0,8 სმ); პირველს მომწვანო ფერი გადაჰკრავს, ხოლო მეორეს მოცისფრო. ნაშალში (სიღრმის ზუსტი ფიქსაცია ვერ მოხერხდა) ვიპოვეთ შიგნიდან მწვანედ მოჭიქული წითელი თიხის ჭურჭლის სამი ნატეხი, მწვანედ მოჭიქული ფაიანსის პატარა ნატეხი, მოწითანო თიხის კარგად გამომწვარი თეფშის სამი ნატეხი და მინის შენადნობის ნაღვენთი.

პილასტრებიანი კედლის სამხრეთი საზღვრის გამორკვევის შემდეგ, გათხრის მიმართულება შევცვალეთ და კედლის ჩრდილო-საზღვრის ძებნა დავიწყეთ. ამ მიზნით გრძელი და ვიწრო (0,80-1,00 მ) მე-7 საზონდაჟო თხრილი დაიდო, რომლის გათხრაც სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ იყო მიმართული და კედელს პარალელურად მიჰყვებოდა.

მე-7 საზონდაჟო თხრილის დასაწყისიდან, ე. ი. S-პილასტრიდან კედელი 10 მ-ის მანძილზე გაგრძელდა და შემდეგ შეწყდა. მაგრამ ამ ათი მეტრის მანძილზეც ეს კედელი უწყვეტლივ არ მიდის: დაახლოებით შუა ადგილას, S-პილასტრიდან 5 მ-ის დაშორებით, ის წყდება. აქ 1,20 მ-ის სიგრძის ხარვეზია და მხოლოდ ამის შემდეგ იწყება ისევ კედლის წყობა. ამ ხარვეზის ორსავ პირზე კედლების წყობა ორმხრივ გათლილი კუთხის ქვებითაა დამთავრებული, ისე რომ ხარვეზი შემთხვევითი არ არის. იგი თითქოს კარის შთაბეჭდილებას ახდენს (თუმცა, როგორც ქვევით იქნება აღნიშნული, კარი არ არის, სურ. 20 და 21).

მე-7 საზონდაჟო თხრილის ეს ნაწილი (S-პილასტრიდან მოყოლებული თლილი ქვით ნაშენი კედლის დასასრულამდე) აგრეთვე ნაშალი მიწით, ჰუმუსით და ბალახით იყო დაფარული. კედელი მთლად მიწით იყო დაფარული და მხოლოდ ერთ ადგილას (დაახლ. 2,00 მ-ის მანძილზე S-პილასტრიდან) ვიწრო (0,25 მ) თლილი ქვის თავი იყო

[1] შდრ. ქვემოთ აღწერა N:2-N:6 თხრილებისა და სენაკის კომპლექსისა.

მიწიდან ამოშვერილი. გათხრის დაწყების შემდეგ თხრილის S-ნახევარში, 0,10-0,30 მ-ის სიღრმეზე, დიდი რაოდენობით ამოვიდა ბრტყელი და კურტნიანი კრამიტის ნატეხები, მოწითანო თიხის ჭურჭლის ერთი ნატეხი და ერთიც აგურის ნატეხი. 0,30 -0,40 მ-ის სიღრმეზე, კედელთან ძალიან ახლოს და ერთიერთმანეთისაგან 1,25 მ-ის დაშორებით აღმოჩნდა: შიგნიდან ყავისფრად მოჭიქული დმანისური ტიპის ჭურჭლის ნატეხი და მოყვითანო სუფთა თიხის, თხელკედლიანი ჭურჭლის პირის ნატეხი, გარედან დაზოლილი პარალელური ჭდეებით. 0,60 მ-ის სიღრმეზე – ქაშანური ჯამის პირის ნატეხი. N-ნახევარში აღმოჩნდა: 0,20-0,25 მ-ის სიღრმეზე – მოყვითანო თიხის პატარა ჭურჭლის ძირის ნატეხი და კედლიდან დასავლეთისაკენ 0,10 მ-ის და კედლის დასასრულიდან სამხრეთისაკენ 1,00 მ-ის დაშორებით, თარაზულად მდებარე ფილაქანი (ზომ. 0,50×0,40 მ, სისქით 0,04 მ). 0,25-0,30 მ-ის სიღრმეზე ანგობიანი ქაშანური ჯამის ნატეხი, შემკული სგრაფიტოს ტექნიკით და მწვანე საღებავით; 0,40 მ-ის სიღრმეზე – ზემოაღნიშნული ხარვეზის N-სვეტთან გათლილი ქვა; 0,60 მ-ის სიღრმეზე – მოწითანო წარნაქიანი თიხის ლიტრის პირის ნატეხი; 0,60-0,80 მ-ის სიღრმეზე – შავი ლეგა, მოწითანო და მოყვითანო თიხის ჭურჭლის ნატეხები, მოყვითანო სუფთა თიხის კარგი ხარისხის თხელკედლიანი ჭურჭლის ნატეხები და (უფრო რომ დავაზუსტოთ, 0,75 მ-ის სიღრმეზე) რუსუდანის ორი მონეტა – ერთი ხარვეზის -სვეტის კუთხიდან დაახლ. 0,20 მ-ის დაშორებით დასავლეთისაკენ და მეორე მისგან ცოტა უფრო ჩრდილოეთით. ორივე მონეტა რუსუდანის ძალიან გავრცელებულ და ცნობილ ტიპს წარმოადგენს, რომელიც მოჭრილია 1227 წელს.

მე-7 საზონდაჟო თხრილის მეორე, ჩრდ. ნახევარი დაიდო სწორედ თლილი ქვით ნაშენი კედლის დასასრულთან. გეგმიდან (სურ. 21) ჩანს, რომ აქ კედელს სხვა, ნაგლეჯი ქვით ცალპირად ნაშენი გაგრძელება აქვს, რომელიც ჩრდ. აღმოსავლეთისაკენ უხვევს და სულ 3-ოდე მ-ზე გრძელდება. სამხრეთ-აღმოსავლეთით 3 მ-ის შემდეგ პილასტრებიანი კედლის პერპენდიკულარად ნაშენ წყობას ებჯინება და წყდება. ეს უკანასკნელი სამი სწორხაზობრივად დადებული თლილი ქვისაგან შედგება, რომელთაგან ორი (O-ით მდებარე) ბრტყლად დევს, ხოლო მესამე ვიწრო წახნაგზე დგას. ეს წყობა საძირკვლის ნაწილი უნდა იყოს და მას შეიძლება რაღაც კავშირიც ჰქონდეს W:9 ოთახთან, რომლის S-კედლიდან ის დაშორებულია 2 მ-ით. მე-7 ზონდაჟის N-ნახევრის SW-ნაწილში, ნაგლეჯი ქვით ნაშენი კედლის დასაწყისთან, 0,10-0,15 მ-ის სიღრმეზე, აღმოჩნდა მომრგვალებული, შუაში და ბოლოებში აკეცილი რკინის უცნობი დანიშნულების ნივთის ნაწილი, რომელიც შესაძლებელია ქოშის ქუსლი იყოს, და რკინის გასაღები; 0,20-0,30 მ-ის სიღრმეზე – ფაიანსის ჭურჭლის 4 უფორმო ნატეხი, 0,30-0,40 მ-ის სიღრმეზე – გარედან ლურჯი საღებავით დადებული ზოლებიანი ფაიანსის ჭურჭლის ძირის ნატეხი. თლილი ქვით ნაგები კედლის დასასრულთან და მის ძირში, 0,50 მ-ის სიღრმეზე, ქვა იდო თარაზულად, რომელსაც ზევიდან დუღაბი ჰქონდა დასხმული. ხოლო ამავე დონეზე მის გარშემო დუღაბის ფენა იდო. ქვის ზომა 0,45×0,35 მ-ს უდრის. თლილი ქვით ნაგები კედლის დასასრულიდან დასავლეთისაკენ, კედლის გამოსწვრივ. მისგან 1,40 მ-ის დაშორებით, სამი ვერტიკალურად დადგმული ქვა აღმოჩნდა, რომელთაც კედლისაკენ მიქცეული წახნაგები გათლილი ჰქონდათ. მათი ზედა ნაწილები ამოშვერილი იყო ნიადაგიდან 0,15-0,20 მ-ის სიმაღლეზე და ისინი ნაშალ მიწაზე იდგნენ უდუღაბოდ. ნაშალზეევე იდო, 0,10-0,15 მ-ის სიღრმეზე, ერთი თლილი ქვა, ამ სამი ქვით ნაგები „კედლის“ NW-კიდური ქვის წინ. გარდა ზემოთჩამოთვლილი ნივთებისა 0,00-0,50 მ-ის სიღრმეზე დიდი რაოდენობით ამოდიოდა კერამიკა: ქაშანაური ჭურჭლის ნატეხები (შიგნიდან თეთრად

მოჭიქული ჯამის პირის ნატეხი, თეთრ ეზოზე მწვანე სახიანი ჭურჭლის ნატეხი და ორმხრივ ყავისფრად მოჭიქული ჭურჭლის ნატეხი) და მოუჭიქავი ჭურჭლის ნატეხები (ლიტრის პირის, ქილის პირის, ჯამის პირის და სხვ.). 0,50 მ-ის ქვევით – რკინის დანა, რკინის აბზინდა, რკინის ლურსმანი (ბრტყელი თავით), პატარა რგოლი (თითბრის), მინის ჭურჭლის ორი ნატეხი, ფაიანსის ჭურჭლის ძირის ნატეხი. ქაშანური ჭურჭლის ნატეხები, ობსიდიანის ნატეხი, ცხვრის კოჭები (2 ცალი) და სხვ.

დასასრულ, პილასტრებიანი კედლის W-ით, მის N-ნახევარში, მე-7 თხრილი დაიდო. ეს თხრილი სამ (a, b, c) სექტორად დავყავით და გათხრას a-სექტორიდან შევუდექით. ჰუმუსის ფენის გათავების შემდეგ, რომლის სისქეც 0,10-0,15 მ-ს უდრიდა, 0,15 მ-ს სიღრმეზე მომცრო ქვევრის პირის ორი ნატეხი შეგვხვდა: ერთი ასომთავრული წარწერის ნაშთით ქიმზე, და მეორე დამღიანი. ამავე სიღრმეზე დაიწყო ნაშალი დუღაბისა და ქვიტკირით შეკრული ნაგლეჯი ქვის ფენა. როგორც თავდაპირველ რელიეფს, ისევე ნაშალი დუღაბისა და ნაგლეჯი ქვის ფენას და გრუნტს ამ ადგილას დაქანება W-ისაკენა ჰქონდა. ეს ფენა ვრცელდებოდა სექტორის მთელ ფართობზე და პილასტრებიანი კედლიდან დასავლეთისაკენ 4,50-5,00 მ-ის დაშორებით შეწყდა. ამ ფენის შეწყვეტის ადგილას გრუნტი აღმოჩნდა თხრილის N-საზღვარზე 0,80 მ-ის სიღრმეზე, ხოლო S-საზღვარზე 1,00 მ-ის სიღრმეზე.

ამ ფენის დანიშნულების გამორკვევის მიზნით თხრილის NO-კუთხეში 2,00×1,5 მ-ის ზომის შურფი დავდეთ. შურფის ჩაჭრით თვით ფენაც ჩაიჭრა, რომელსაც ამ ადგილას 0,70 მ-ის სისქე ჰქონდა. იგი გრუნტზე იდო. შურფის SW-კუთხეში გრუნტზე მდებარედ აღმოჩნდა ბრტყელი, მომწვანო ფერის ფილაქანი, რომლის სისქე 6,5-7 სმ-ს უდრიდა. ფილაქანი თარაზულად იდო იმავე დონეზე, რომელზედაც მე-3 თხრილში აღმოჩენილი ფილაქნები იყო. ეს გარემოება ცხადყოფდა, რომ ეს ფილაქანიც კედლის W-ით მდებარე მოკირწყლული არის ერთ-ერთი ნაწილს შეადგენდა და ალბათ, ქვაფენილის ნაშთს წარმოადგენდა. ამიტომ, ქვაფენილის გავრცელების არის გამორკვევის მიზნით, მასზე მდებარე ფენის აღება იყო საჭირო. ჩამოშლილი დუღაბისა და ნაგლეჯი ქვის ფენა უმთავრესად ბრტყელი, მომწვანო ფერის ქვებისაგან შედგებოდა, რომლებიც, როგორც აღვნიშნე, დუღაბით იყო შეკრული და ჩამოქცეული კედლისა და კამარის შთაბეჭდილებას ახდენდა.

ამ ფენის ქვეშ მართლაც ფილაქნების წყობა აღმოჩნდა. სურ. 21 გვიჩვენებს ფილაქნების ზუსტ მდებარეობას, ისინი ერთ დონეზე თარაზულადაა დალაგებული და კილოები მათ შორის ნაშალი მიწითაა ამოვსებული. ამ ქვაფენილს თხრილის SO-ნაწილი უჭირავს. დასავლეთით მას წვრილი ნაგლეჯი ქვების ვიწრო (სიგანით 0,60 მ-მდე) ზოლი მისდევდა, რომლის სისქეც 0,60 მ-ს უდრიდა.

ჩამოშლილი დუღაბისა და ნაგლეჯი ქვის ფენაში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა მოუჭიქავი ქიმებიანი კრამიტის ნატეხები. ამას გარდა იქვე იყო მოწითანო თიხის ჭურჭლის უმნიშვნელო ნატეხები და აგრეთვე ოთხფეხის რამდენიმე ძვალი.

მე-7 თხრილის b-სექტორში ჩამოქცეული კედლის ფენა მხოლოდ მის NO-მეექვსედში აღმოჩნდა, მას, ისევე როგორც მე-7 თხრილის a-სექტორში, დასავლეთისაკენ ჰქონდა დაქანება. 0,40-0,50 მ-ის სიღრმეზე, ამ ფენის ცოტა უფრო W-ით და თხრილის N-საზღვრიდან 1,00 მ-ის დაშორებით, წითელი თიხის ქაშანური ჭურჭლის ორი ფრაგმენტი ამოვიდა. მათ შიდაპირზე თეთრი ანგობი და უფერო, გამსჭვირი მინარი აქეს გადავლებული: თეთრ ეზოზე სგრაფიტოს ტექნიკით გამოსახულია მწვანედ და ყავისფრად დაფერილი გაურკვეველი სახე რაღაც ცხოველისა. ამის გარდა, ამავე სიღრმეზე აღმოჩნდა კრამიტის ნატეხი, თიხის ჭურჭლის ნატეხი ყურის ძირის ნაწილით,

ქაშანურის კიდევ სამი ნატეხი, რკინის უცნობი დანიშნულების ნივთი და ცხვრის (?) ძვლები. 0,60 მ-ის სიღრმეზე, რაც ამ შემთხვევაში ფილაქნების დონეს უდრის, თხრილის O-საზღვრიდან 1,05 მ-ისა და S-საზღვრიდან 1,15 მ-ის მოშორებით, აღმოჩნდა ბრტყელი თლილი სარქვლით დახურული, გრუნტში ღრმად ამოჭრილი ორმო (სურ. 22). ორმოს პირი სარქვლის ქვეშ, ოთხი თლილი ბრტყელი ქვით იყო შეკრული, მას მოგრძო ოთხკუთხედის მოყვანილობა ჰქონდა, ზომით 0,60×0,45 მ. ორმო გამოჭრილია მკვრივ, კლდოვან ნიადაგში. ფსკერი მას ბრტყელი აქვს (მისი ძირის დიამეტრი=2,40 მ-ს) და მისი სიღრმე 2,60 მ-ია, ფსკერიდან დაახლ. 1,00 მ-ის სიმაღლეზე ორმო ფართოვდება, შემდეგ კი თანდათანობით დავიწროებას იწყებს. ორმო 0,50 მ-ის სიმაღლზე მიწით იყო ამოვსებული. ამოსუფთავებისას შიგ შემდეგი ნივთები აღმოჩნდა: ქიმებიანი კრამიტის ნატეხები; თიხის მოზრდილი ზომის ჭურჭლის (ქილის?) ნატეხი; მოშავო მქისე თიხის ჭურჭლის ძირის ნატეხი; ქაშანური ჭურჭლის ერთი ფრაგმენტი შიდაპირზე თეთრი ანგობითა და გამსჭვირი მინარით, სგრაფიტოს ტექნიკითა და მწვანე ფერადით შემკული (ზომ. 4,3×3×0,9 სმ); ქაშანური ჯამის ორი ნატეხი, იმავე ტექნიკით დამუშავებული და სოსნად დაფერილი; კარგად ნახელავი წარნაქიანი, თხელკედლიანი ჭურჭლის ნატეხი; ერთი ძვლის ნატეხი (ოთხფეხისა) და მინის ნადნობის ერთი პატარა ნაჭერი. ორმოს, ფსკერიდან 0,20 მ-ის სიმაღლეზე, O-ით ხვრელი აქვს მიმართული ზევითკენ ცერად, რომელიც გამოვსებულია მიწით. მისი დიამეტრი 0,15 მ-ს უდრის, ხოლო მისი სიგრძე გამოურკვეველი დარჩა, მაგრამ ის 1,00 მ-ს აღემატება.

თხილის N-საზღვრის დაახლ. შუაადგილას და თხრილის NW-კუთხესთან კედლის მაგვარი ყორული წყობა შეგვხვდა. პირველ შემთხვევაში ის SW-საკენ იყო მიმართული, მას თხრილის საზღვრებში 1,50 მ-ის სიგრძე ჰქონდა. მეორე შემთხვევაში წყობას N-S-ის მიმართულება ჰქონდა, იგი ზემოხსენებული ორმოს პირის დონეზე იმყოფებოდა და სამი სიგანეზე დადებული ქვისაგან შედგებოდა (მისი სიგრძე =0,50 მ-ს, სიგანე =0,80 მ-ს). ორსავ შემთხვევაში წყობა ცალპირი იყო და გრუნტზე იდო, რომელიც ორმოს პირიდან 0,20-0,30 მ-ის სიღრმეზე გამოჩნდა.

0,80 მ-ის სიღრმეზე, ორმოს პირიდან 0,75 მ-ის დაშორებით და მისგან NNW-ით, ნაცრის ფენა აღმოჩნდა, რომელსაც დაახლ. 0,35×0,25 მ-ის ფართობი ეჭირა. ორმოს პირის დონეზე აღმოჩნდა მეორე უფრო პატარა ზომის მრგვალი ორმო, რომელიც დიდ ორმოსა და NW-კუთხესთან მდებარე წყობას შორის მდებარეობდა (სურ. 22), ესეც გრუნტში იყო ამოჭრილი და მასაც ბრტყელი ფსკერი ჰქონდა. მისი სიღრმე=0,35 მ-ს, პირის დიამეტრი=0,50-,60 მ-ს, ხოლო ფსკერის დიამეტრი =საშ. 0,4 მ-ს.

თხრილის O-ნაწილში, ჩამოქცეული კედლისა თუ კამარის ფენაში აღმოჩნდა: საქონლის ძვლები (8 ც.), მათ შორის, ერთი მსხვილი ოთხფეხის ყბის ძვალი; აგურისა და ქიმიანი სადა კრამიტის რამდენიმე ნატეხი, მოჭიქული კურტნიანი კრამიტის, ქვევრის და ქილის ნატეხები; იმავე ფენაში, თხრილის NO-მეოთხედში – ქილის თუ ქვევრის ბრტყელი ძირის ნატეხი (ფსკერის დიამეტრი =0,20მ-ს, კედლის სისქე =0,17 სმ-ს) და სგრაფიტოს ტექნიკით შემკული ფერადი მოჭიქული ანგობიანი ჭურჭლის ნატეხები (საკმაოდ დიდი რაოდენობით). ჩამოშლილი კედლის ფენის ქვეშ, ნიადაგის ზედაპირიდან 1,00 მ-ის სიღრმეზე, თხრილის NO-კუთხეში აღმოჩნდა ნაცრის ფენა.

მე-7 თხრილის ხ-სექტორის N, O დ S-გვერდების ფასადები (სურ. 27) იძლევა ამ თხრილში განლაგებული ფენების ნათელ სურათს[1].

---

[1] N-კედლის ფასადზე ყორული წყობა დატანილი არაა.



სურ. 27. თხრილი W:7, სექტორი b. ჩრდილოეთის, აღმოსავლეთისა და სამხრეთის კედლის ფასადები.

მე-7 თხრილის b-სექტორი O-დან და S-დან შემოფარგლული იყო ვიწრო (0,40 მ-ის სიგანის) მიწის ტიხრებით, რომლებიც მას მე-7 ზონდაჟისა და a-სექტორისაგან საზღვრავდა. ამ ტიხრების აღების დროს აღმოჩნდა: 0,10-0,20 მ-ის სიღრმეზე რკინის დანის პირი, მოწითალო თიხის ქილის პირის ნატეხი და მსხვილი ოთხფეხის ყბის ნაწილი; 0,40-0,50 მ-ის სიღრმეზე წითელი თიხის ჭურჭლის ნატეხები, სამაჯურის მსგავსი ბრინჯაოს ფირფიტა, ქაშანური ჭურჭლის ნატეხები და დიდი რაოდენობით ქიმიანი და კურტნიანი კრამიტის ნატეხები სადა და მოჭიქული.

დასასრულ, მე-7 თხრილის c-სექტორში, 0,20-0,30 მ-ის სიღრმეზე, ყვითელი ფხვიერი მიწის ფენა გამოჩნდა, რომელზედაც, შუაგულში, დაშლილი კირწყალი იყო მოფენილი. გათხრის შედეგად, კირწყლის ფენამ თხრილის მთელი SO-ნახევარი დაიჭირა (სურ, 22, სადაც ამ ფენის საზღვრები აღნიშნულია წერტილხაზით).

თხრილის N-საზღვართან გრუნტზე დავედით 0,50-0,55 მ-ის სიღრმეზე. S-საზღვართან კი (აბ$_1$-ხაზზე) გრუნტი 0,25-ოდე მ-ით უფრო დაბლა იმყოფება.

აბ$_1$ ხაზის ფასადიდან ჩანდა, რომ კირწყლის ფენა ა-წერტილთან იწყებოდა და W-საკენ მიიმართებოდა. ა-წერტილთან მას 2-3 სმ-ის სისქე ჰქონდა, შემდეგ იგი სქელდებოდა, ბ-წერტილთან მისი სისქე 18 სმ-ს უდრიდა, ხოლო ბ$_1$ წერტილთან იგი ისევ თხელდებოდა და შემდეგ სულ ქრებოდა. კირწყლის ფენაც გრუნტის მსგავსად O-დან W-ისაკენ არის დაქანებული და საფიქრებელია, რომ იგი c-სექტორის S-ით ვრცელდება და მე-5 თხრილის შესაფერ ფენას უნდა უერთდებოდეს.

ამ არის გათხრის დროს 0.20-0,30 მ-ის სიღრმეზე ამოვიდა სადა ქიმებიანი კრამიტისა და ყვითლად მოჭიქული კურტნიანი კრამიტის ნატეხები. შეგვხვდა აგრეთვე მოყვითანო თიხის კარგად დამუშავებული ჭურჭლის ნატეხი, გარედან კონცენტრულად კვეთილი ხაზებით შემკული. 0,30-0,60 მ-ის სიღრმეზე ამოვიდა: მოწითანო თიხის კოკის (?) ნატეხი, სადა ბრტყელი კრამიტის რამდენიმე ნატეხი, ქილის (თუ ქოცოს) ნატეხი, მოყვითანო, თიხის სუფთად დამუშავებული ჭურჭლის პირის ნატეხი, რკინის ნივთი (დანა? ნალი?) და ორი ქაშანური ჭურჭლის ნატეხი.

ამგვარად, გათხრის დასრულების შემდეგ ჩვენ წინაშე ცოტად თუ ბევრად გარკვეული სურათი აღდგა.

პილასტრებიანი კედლის საშუალებით კედლის მშენებლებს ტაძრის დასავლეთით ხელოვნური ტერასა შეუქმნიათ, რომელსაც აღმოსავლეთიდან 19 მ-ის სიგრძეზე თლილი ქვით ნაგები კედელი მისდევს. ქვების ზომა სხვადასხვაა, S-ნაწილში უფრო მომცრო ქვები სჭარბობს, საერთოდ კი, როგორც ფასადიდანა ჩანს (სურ. 21) კედლის ქვების საშუალო ზომა დაახლ. 1,00×0,50 მ-ს უდრის. კედლის ის ნაწილი, რომელიც თლილი ქვითაა ნაგები და რომლის სიგრძეც 19 მ-ს უდრის, თითქმის სრულებით სწორხაზობრივია და ორიენტირებულია N-დან S-საკენ. მისი S -ნაწილი უფრო ცუდადაა დაცული. აქ ქვების მხოლოდ ქვედა პირველი რიგიღა დაგვხვდა. ამ ნაწილის დაზიანების მიზეზი შესაძლებელია ისიც იყოს, რომ აქ კედლის ზედა ქვები პატარა ზომის ქვებზე ეწყო, რის გამოც ჩამონგრევა უფრო ადვილი იქნებოდა. კედლის N-კიდეზეც მხოლოდ ერთი პირი ქვა დარჩენილა, მაგრამ ამ ქვების ზომა უფრო დიდია და მათ კედლის სიმაღლის ერთი მესამედი უჭირავთ. კედელი ნაგებია ერთი პირი ქვით. ქვების წინაპირი თლილია, უკანა დაუმუშავებელი პირით ქვები გრუნტზე, კლდეზეა მიყრდნობილი დუღაბითაა დამაგრებული და იქ, სადაც ქვასა და გრუნტს შორის ხანი რჩებოდა, ეს ხანი ბეტონით არის ამოვსებული (სურ. 28). კედელს შერჩენილი აქვს ორი (N და S) პილასტრი. მანძილი მათ შორის 4,25 მ-ს უდრის. ეს მანძილი გვაფიქრებინებს, რომ N-პილასტრის N-ით კიდევ ერთი პილასტრი უნდა ყოფილიყო, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია და რომლის კვალიც დარჩენილია N-პილასტრიდან 4,08 მ-ის მოშორებით; სახელდობრ, ამ ადგილას ერთი ქვა კედელს აკლია. პილასტრები ხარისხებზე დგას, მათი სიმაღლე 1,20 მ-ს უდრის, და ჩემი აზრით, კედლის თავდაპირველი სიმაღლე ამაზე ბევრად მეტი არ უნდა ყოფილიყო, მხოლოდ ორ ადგილას აღემატება კედლის სიმაღლე პილასტრების სიმაღლეს – S-პილასტრთან და N-პილასტრის ჩრდილოეთით. ამ ორ ადგილას კედელი 8-11 სმ-ით უფრიო მაღალია, ვიდრე პილასტრი, მაგრამ, ვინაიდან პილატრებს თავის დროზე, ალბათ, სვეტისთავები ექნებოდა, თავდაპირველად ისინი კედელზე უფრო დაბალი არ იქნებოდა. ამგვარად, თუ მხედველობაში მივიღებთ ამ გარემოებას, რომ ხარისხების სიმაღლე აგრეთვე 0,10 მ-ს უდრის, კედლის თავდაპირველი სიმაღლე დაახლ. 1,40 მ. უნდა ყოფილიყო.

პილასტრებიან კედელს ჩრდილოეთიდან ნაგლეჯი ქვით ნაგები კედელი აქვს მიდგმული, რომელიც O-ისაკენ იხრება და ამგვარად, SW-დან NO-ისაკენ მიიმართება. მისი სიგრძე 3,00 მ-ს უდრის და ისიც უკანა პირით გრუნტზეა მიბჯენილი; გრუნტი მის უკან 0,30 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა.

პილასტრებიანი კედლის წინ მდებარე არე უსწორმასწორი მოყვანილობის ფილაქნებითა და კირწყლით ყოფილა მოფენილი. ქვაფენილი 3,00-3,50 მ-ის სიგანის ზოლით უნდა მისდევდეს კედლის S-ნაწილს 13 მ-ის სიგრძეზე. გეგმაზე (სურ. 21) დატანილია ქვაფენილის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც გათხრის დროს სრულებით გავაშიშვლეთ. დანარჩენს ფარავს ქვებზე



სურ. 28. პილასტრებიანი კედელი: განაკვეთი ჩრდილო-სვეტზე სამხრეთიდან.

ზემოდან მოსხმული კირწყალი (გეგმაზე ქვაფენილის სავარაუდო საზღვრები შემოფარგლულია პუნქტირით), მაგრამ ალაგ-ალაგ კირწყლის ქვეშ ქვები ჩანს. ვინაიდან კირწყლის აღებით შეიძლებოდა ქვაფენილი დაგვეზიანებინა, ჩვენ იგი ხელუხლებელი დავტოვეთ, ჩრდილო-ნაწილში ქვაფენილი იმთავითვე დაზიანებული დაგვხვდა, მაგრამ ფილაქნები მაინც თავის ადგილას ეწყო. ქვაფენილს ჩრდილოეთითა და დასავლეთით მისდევს ცარიელი კირწყლის ფენა. ჩრდილოეთით ეს უკანასკნელი თითქმის კედლის N-ყურეს აღწევს (ზუსტად იგი მიდის მე-7 თხრილის ხ-სექტორის N-კედლამდე). მე-7 თხრილის ხ-სექტორში კირწყლის ფენა ნამეტნავად დაშავებული იყო აქ ჩათხრილი ორმოებისა, გადმოწოლილი კედლისა და ორი ყორული წყობის მეოხებით, მაგრამ მისი კვალი ალაგ-ალაგ, განსაკუთრებით სექტორის S-ნაწილში, უდავოდ ჩანდა. დასავლეთისაკენ კირწყლის ფენა ვრცელდება დაახლ. საჯინიბოს O-კედლის ხაზამდე, ე. ი. 5-6 მ-ის სიგანეზე. ამ სიგანის ზოლით იგი სამხრეთისაკენ მიჰყვება ქვაფენილს და 8 მ-ით გადასცდება მას, ვიდრე მე-5 თხრილში წერტილხაზით აღნიშნულ მიჯნამდე (სურ. 22). კედელს N-პილასტრსა და მის N-ყურეს შორის ხარვეზი აქვს, რომლის სიგრძეც 1,20 მ-ს უდრის. ამ ხარვეზსა და პილასტრს შუაა მოქცეული თლილი ქვით დუღაბზე ნაგები წყობა, რომელიც ბაგის შთაბეჭდილებას ახდენს. წყობა ერთპირი, ვიწრო წახნაგზე დადგმული ქვისაგან შედგება, ის კედლის პარალელურად მიიმართება და კედლიდან 0,50-0,60 მ-ით არის დაშორებული. ბაგას ფსკერი გრუნტისა აქვს, S-ით ის N-პილასტრთანა წყდება, ხოლო N-დან იგი დაკეტილია ერთი ბრტყელი ქვით, რომელიც აგრეთვე ვიწრო წახნაგზე დგას, კედელზეა მიბჯენილი და თლილი პირით ჩრდილოეთისაკენაა მიქცეული. ამ ქვას შიგნით მიქცეულ პირზე შუა ადგილას ზევიდან ვერტიკალურად ჩაჭრილი კუთხოვანი ღარი აქვს, მისი სიმაღლე 0,28 მ-ია, სიღრმე 0,08 მ და სიგანე 0,08 მ[1].

მთელი ჩვენ მიერ გათხრილი არე, ამგვარად, წარმოადგენს გრძელ, მოკირწყლულ ქუჩას (ან მოედანს), რომლისთვისაც ბექობი ჩაუჭრიათ და ხელოვნური ტერასა შეუქმნიათ. ბექობის შემდგომი ჩამოზვავების თავიდან ასაცილებლად და თარაზული რელიეფის შესანარჩუნებლად არის აშენებული პილასტრებიანი კედელი, რომელიც დაახლოებით იქ წყდება (S-ით), სადაც ბუნებრივი გავაკება იწყება (3-4 მ-ის შემდეგ კედლის დასასრულიდან S-ისაკენ). ძველი ქუჩის თუ ფოლორცის ფარგლები, ალბათ, არ განისაზღვრებოდა იმ არით, რომელზედაც ქვაფენილი და კირწყალი ამჟამად არის მეტად თუ ნაკლებად დაცული, საფიქრებელია, რომ მთელი ფართობი ზღუდის W-კედლის გასწვრივ, NW-ჭიშკრიდან მოყოლებული კლდეში გამოკვეთილ ნაგებობამდე, ოდესღაც მოკირწყლული იქნებოდა, მაგრამ ქვაფენილისა და კირწყლის კვალი ჩემ მიერ აღნიშნულ საზღვრებს გარეთ ახლა წარხოცილია.

კირწყლის ფენას მე-7 თხრილის c-სეტორში დიდი დაქანება აქვს და ეს გამოწვეულია, ეტყობა, მიწის ზედაპირის თავდაპირველი რელიეფით, რომელიც ამ ადგილას თავიდანვე ასეთი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ ერთი გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ამ ძეგლს, გარდა პრაქტიკულისა, სხვა. კერძოდ, საკულტო მნიშვნელობაც უნდა ჰქონოდა.

---

[1] ამ ქვის გვერდზე N-ით კედელზე მიკრული ბრტყელი ქვა (სურ. 21) იმ პილასტრის ხარისხი უნდა იყოს, რომელიც გათხრის დროს არ აღმოჩნდა. აქვე უნდა აღვნიშოთ, რომ ამავე ქვის N-ით, კედლიდან 0,60 მ-ის მოშორებით, ერთი ფილაქანი იდო, 0,30×0,80 მ-ის ზომისა, იმავ დონეზე, რომელზედაც ქვაფენილის ფილაქნები აწყვია, საფიქრებელია, რომ ის ქვაფენილის ერთ-ერთ ფრაგმენტს უნდა წარმოადგენდეს.



სურ. 29. ზონდაჟი 7. CD და AB კედლების ფასადები.

კედლის ხარვეზი, როგორც უკვე აღვნიშნე, ერთი შეხედვით შესავლის, კარის შთაბეჭდილებას ახდენს, მას აქეთ-იქით, ამყოლების მგავსად, ორი ქვა აქვს. ორივე ორი დამუშავებელი პირით. თითო პირი ამ ქვებისა მიმართულია „შესავლის" შიგნით, თითო – კედლის გარეპირს წარმოადგენს. „ამყოლები" ვერტიკალურად გრუნტზე დგას. N-„ამყოლი" ერთ მთლიან ქვას წარმოადგენს, რომლის სიმაღლეც 0,80 მ-ს უდრის. S-„ამყოლი". კი ორი ქვისაგან შედგება, რომელთაგან ზედა ქვის სიმაღლე 0,62 მ-ს უდრის, ხოლო ქვედა ქვისა – 0,25 მ-ს. ამგვარად, „ამყოლების" სიმაღლე ბევრად უფრო ნაკლებია, ვიდრე კედლისა. ორივე „ამყოლი" მიწაში იყო დამარხული, ზედაპირიდან 0,15 მ-ის სიღრმეზე. მათი შიგნით მიქცეული პირების სიგანე 0,40 მ-ია. N-„ამყოლს" ზევით ბაგის ქვის მსგავსად ვერტიკალურად ამოჭრილი კუთხოვანი ღარი აქვს, რომელიც კარგად ჩანს პილასტრებიანი კედლის გეგმაზე და ფასადზეც (სურ. 21). ასეთივე ღარები (რიცხვით ორი) იმავე სიმაღლეზე ამოკვეთილია „ამყოლის" მეზობლად N-დან მდებარე ქვაზე, ისე რომ სამივე ღარი ერთმანეთისგან თანაბარი მანძილითაა დაშორებული. რა დანიშნულება უნდა ჰქონოდა მათ ამის შესახებ ჯერ გადაჭრით არაფრის თქმა არ შეიძლება, მაგრამ ამ ღარებისა და ბაგის N-კედლად გამოყენებული თლილი ქვის ღარს შორის იმდენად დიდი მსგავსებაა, რომ ცხადია, ბაგის აღნიშნული ქვა პილასტრებიანი კედლიდან გადმოვარდნილ ქვას უნდა წარმოადგენდეს და მაშ ბაგა მთლიანად მერმინდელი ხანისა უნდა იყოს.

რომ აქ შესავალი ან კარი არ შეიძლებოდა ყოფილიყო, ეს იქიდან ჩანს, რომ ხარვეზს აღმოსავლეთის მიმართულებით მხოლოდ 1,00 მ-ის სიღრმე აქვს. აქ ნაშალი მიწის აღების შემდეგ ციცაბოდ ამართულ ხელუხლებელ გრუნტს მივადექით. ეს ნაკვეთი, ცხადია, განგებ ყოფილა ჩაჭრილი. AB და BD ფასადებზე (სურ. 29) ჩანს ფენათა განლაგება გრუნტსა და „ამყოლებს" შორის მოქცეულ არეში. აქ ნაშალი მიწის ორი ფენა გვაქვს, N-(AB)-განაკვეთში ნახშირის თხელი ფენით გათიშული. ABCD-ფართობის გათხრის დროს ყურადღებას იპყრობდა ნახშირისა და ნაცრის სიმრავლე[1], რომელიც

[1] ნაშალში (სიღრმის გამოურკვევლად) იყო სხვა საინტერესო ინვენტარიც. მაგ., თხრილის W-ნახევარში ქაშანური ჭურჭლის ოთხი ნატეხი, რომელთაგან ერთს არაბული წარნერის მაგვარი სახეები აქვს გარედან.

ორ სიღრმეზე იყო ფიქსირებული: 0,40-0,50 მ-ის სიღრმეზე ფართობის N- და S-გვერდებთან, „ამყოლებიდან" 0,50 მ-ის მოშორებით ნახშირის მარცვლები შეგვხვდა (AB-გვერდის ფასადი S-დან), ხოლო 0,90-1,00 მ-ის სიღრმეზე საკმაოდ სქელი ნაცრის ფენა დაიწყო, რომელსაც ამ სიღრმეზე 1 კვ. მ-ის ოდენა ადგილი ეჭირა და შემდგ 1,20 მ-ის სიღრმემდე სულ უფრო ფართოვდებოდა და გავრცელდა მე-7 თხრილის ხ-სექტორამდე, სადაც ის თავის ადგილზე არის აღნიშნული (სურ. 27). ნაცრის ფენას ნახშირის მარცვლებიც ერია, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ადგილი პილასტრებიან კედელში დატანებულ წალოს წარმოადგენს, რომლის წინაც კერა ყოფილა და ცეცხლი ხშირად უნთიათ.

ამგვარად, ბაგა, წალო, კერა და საქონლის ძვლების ის დიდი რაოდენობა, რომელიც სწორედ წალოს წინ მდებარე მე-7 თხრილის ხ-სექტორში შეგვხვდა, შეიძლება იმის მაჩვენებელი იყოს, რომ აქ მონასტერს განსაკუთრებული ადგილი ჰქონია, სადაც საქონლის მსხვერპლად შეწირვა ხდებოდა.

პილასტრებიანი კედლისა და ქვაფენილის დასათარიღებლად უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

ზევით უკვე აღვნიშნე, რომ მე-6 თხრილი ხ-სექტროში ფენების განლაგება შედარებით სხვა ადგილებთან უფრო მკაფიო და თვალნათლივი იყო. იქ ეს ფენები დახასიათებული მაქვს. ცხადია, დათარიღებისათვის მხედველობაში მისაღებია ის ფენა, რომელიც ყველაზე უფრო ღრმად და ზედ ფილაქნებსა და კირწყალზე იდო. იქვე აღნიშნული მაქვს, რომ ეს ფენა გუდარეხში სხვაგანაც ჩნდებოდა, რომ იგი ყველგან სხვა ფენებზე უფრო ღრმად მდებარეობდა. ჩამოვთვლი მოკლედ ამ ფენისათვის დამახასიათებელ ინვენტარს პილასტრებიანი კედლისა და მის წინ მდებარე ტერიტორიაზე: რუსუდანის ორი, 1227 წელს მოჭრილი მონეტა, ლუსტრიანი ფაიანსის ჭურჭლის ნატეხი რელიეფით დამუშავებული გარეპირით და თხელკედლიანი, კარგად გამომწვარი და დამუშავებული მოყვითანო თიხის ჭურჭლის ნატეხი[1].

ამისდა მიხედვით, პილასტრებიანი კედლის აგების ხანა XII-XIII საუკუნეებით შეიძლება განისაზღვროს.

6. თხრილები N:1[2]

დაახლოებით ისეთივე სურათი, როგორც W:8-მ და W:9-მ, მოგვცა იმ ნაკედლართა კომპლექსმა, რომელიც მდებარეობდა NW-ჭიშკრის აღმოსავლეთით ზღუდის გასწვრივ და რომელსაც 4-5 მეტრის სიგანის თხრილით 15 მეტრის სიგრძეზე გავყევით დასავლეთისაკენ. ამგვარად, აქ გამოკვლეულ იქნა ის მოგვიანო შენობები, რომლებიც მიშენებულია ზღუდის დღემდე ზედაპირულად დაცულ კედელზე. ამას იქით დასვლეთისაკენ ზღუდის კვალი მიწის ქვეშ იკარგება (სურ. 30).

ამ კომპლექსს მიეცა შიფრი N:I.

ნაკედლარები ისევეა ნაგები, როგორც W:8 და W:9 ოთახების კედლები, ე. ი. წყობა უქვიტკიროა და ნაწილობრივ გამოყენებულია ძველი თლილი ფილაქნები. 15 მეტრის მანძილზე თითქოს რამდენიმე ოთახის კვალი ჩნდა, მაგრამ არც ერთი მთლიანი სახით არ შენახულა, არამედ ყოველ ოთახს ერთი ან ორი კედელი აკლია. ერთ ადგილას აქაც აღმოჩნდა კარის ქვა, მაგრამ მისი დაკავშირება რომელსამე კედელთან ვერ მოხერხდა.

---

[1] შდრ. სენაკის ამავე ფენის ინვენტარი (იხ. ქვემოთ).

[2] საველე ბარათებში ეს თხრილები აღნიშნულია „შენობა" VI (შ.VI)"

სურ. 30. გათხრების საერთო ასახულობა ჩრდ.-დასავლეთი ჭიშკრის აღმოსავლეთი ზღუდის გასწვრივ. თხრილები №№ 1-3 და 5.

ეს კარის ქვებიც თვით შენობების თანადროული არ უნდა იყოს, არამედ ისინიც უფრო ძველი შენობებიდან უნდა იყოს წამოღებული.

საინტერესოა, რომ N:1 ნაკედლართა კომპლექსში აღმოჩნდა უდავო გერში მისი მერმინდელობისა: ერთ-ერთი კედელი აქ თონეზე იყო დაშენებული, რომელიც ნანილობრივ კედლის გარეთ გამოწეულად დარჩენილა.

სიღრმეები აქაც დიდი არ იყო: 0,80-1,00 მ-ის სიღრმეზე უკვე კლდოვან გრუნტზე დავდიოდით ყველგან. განათხარი ინვენტარის მიხედვით განსხვავებული ფენები არსად არ აღმოჩენილა. გარდა იმ ინვენტარისა, რომელიც უფრო დაწვრილებით ჩამოთვლილია W:9-ის აღწერისას, აქ ვნახეთ რამდენიმე მრგვალი სიპი ქვა, რომელიც შეიძლება საწონებს წარმოადგენდეს, და ერთი ხელსაფქვავი, აქა-იქ გვხვდებოდა თონეები, ერთგან პატარა ორმო იყო, ერთ კედელში ჩაშენებული იყო პრიმიტიული წალო, მაგრამ არსად მთლიანი სურათის გამოტანა არ შეიძლებოდა.

NW-ჭიშკრის O-ყურის ახლოს ზღუდის ძირას ადამიანი იყო დამარხული ფიქლებისაგან გაკეთებულ ქვაყუთში. მიცვალებულს არავითარი ინვენტარი არ აღმოაჩნდა.

7. თხრილები N:2-N:6[1].

კომპლექსის N:1 -ის გამოკვლევის შემდეგ გავყევით ძლიერად დაქანებულ ფერდობს აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, ერთის მხრით ძველი ზღუდის მიმართულების გამოსარკვევად, რადგან აქეთკენ, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, ზღუდე ძირამდე მონგრეულია კარგა მანძილზე, ისე რომ ზედაპირულად მისი კვალი არა ჩანდა, ხოლო მეორე მხრით ფერდობის კულტურული ფენების შესანავლად. აქ გარკვეული თანმიმდევრობით დავდეთ თხრილები N:2-N:6 (გეგმა I). 1938 წ. მხოლოდ თხრილები N:2-N:5 იქნა გათხრილი ბოლომდე. თხრილი N:6-ის გამოწმენდა დამთავრდა 1939 წ., როდესაც საზოგადოდ გასუფთავდა სენაკები სასახლის NW-ით.

თხილების ზომები თითოეულ შემთხვევაში შეფარდებული იყო ნიადაგის რელიეფთან, რომელიც ამ ადგილას მეტისმეტად უსწორ-მასწოროა, და მერყეობდა 2,5 მ-სა და 5,00 მ-ს შორის. სიღრმეებიც, ნიადაგის დაქანებულობის გამო, სხვადასხვანაირი იყო: უფრო დაბლა, ე. ი. ჩრდილოეთისაკენ უკვე 1,50-1,70 მ-ის სიღრმეზე ჩნდებოდა კლდოვანი გრუნტი, ხოლო, მაგ., N:3-ში, მხოლოდ 0,70 მ-ის ჩაჭრა იყო საჭირო ხამი ნიადაგის მისაღწევად, უფრო მაღლა კი, სამხრეთისაკენ სიღრმეები გაცილებით უფრო დიდი იყო – 1,90 მ-დან მოყოლებული 2,80 მ-დე. მხოლოდ აღმოსავლეთ ნაწილში შეიცვალა ეს შეფარდება და N:6-ში სამხრეთისაკენ უფრო მალე, სახელდობრ, 1,75 მ-ის სიღრმეზე დავედით გრუნტზე, ვიდრე ჩრდილოეთისაკენ, სადაც გრუნტი ზედაპირიდან 1,80 მ-ის სიღრმეზე გამოჩნდა. თანაც ნიადაგი აქ მხოლოდ ერთი მიმართულებით კი არაა დაქანებული, არამედ მას ძლიერი დაქანება აქვს სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ და უფრო სუსტი, მაგრამ მაინც საგრძნობი დაქანება აქვს აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ (შდრ. სურ. 30).

ზღუდის ნაკედლარი, მართლაც აღმოჩნდა ორ ქვემოთკენ დადებულ თხრილში (N:2 და N:4) და უეჭველია შემდგომი გათხრა მას უფრო შორსაც აღმოაჩენს, ისე რომ შესაძლებელი შეიქნება საინტერესო საკითხის გადაწყვეტა იმის შესახებ თუ როგორ გადიოდა ზღუდე სასახლის წინ.

სხვა საინტერესო ნაგებობა, გარდა N:6-თხრილისა, სადაც ძველი ნაკედლარი აღმოჩნდა, არსად არ შეგვხვედრია. ყორულად ნაგები, ცხადლივ მოგვიანო ხანის კედლის ნაშთი ვნახეთ N:5-ში. N:2-ში, ზედაპირიდან 1,00 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა ბრტყელი ქვებისაგან შეკრული ოთხკუთხი თონე, სიგანით 0,60 მ, სიღრმით 0,90 მ, და შიგ უმნიშვნელო რაოდენობა წვრილი კერამიკული ნატეხებისა, წვრილფეხა საქონლის ძვლებისა და ნახშირისა.

წვრილი ნაშთები სექტორში N:2-N:6 უმეტეს შემთხვეავში არ განსხვავდება იმისაგან, რაც NW-ჭიშკრისა და W:8-ის, W:9-ის, და N:1-ის გათხრის დროს აღმოჩნდა: სადა და მოჭიქული ქიმებიანი და კურტნიანი კრამიტების ნატეხები, წითელი თიხისა და ანგობიანი ქაშანური ჭურჭლის ნატეხები, ბრტყელი კვადრატული აგურის ნატეხები, წვრილი უმნიშვნელო რკინის ნივთები (ხარის ნალი, დანის პირი, ლურსმნები და მისთ), მინის ნამსხვრევი, თევზის, ფრინველისა და საქონლის ძვლები, რამდენიმე ცხვრის კოჭი და ცხენის კბილი, ხარი რქა, მცირედ ფაიანსის ნატეხები, რამდენიმე უფორმო ნატეხი სპილენძისა, ერთი ნატეხი კვამლოვანი ობსიდიანისა. არის რამდენიმე ახალი ნივთიც, როგორც, მაგ., რკინის აბზიდა (N:4) და ბეჭედი (ორივე ძალიან სადაა), ვერცხლის ბეჭე-

[1] საველე ბარათებში ეს თხრილები აღნიშნულია შიფრით „W:5 – W:9"

დი ბრტყელი თავით (W:6, აგრეთვე სრულიად სადა), თიხის საჭრაქის ყურის ნატეხი (N:4) და ერთი ნატეხი თონის პირისა (N:4), რომელზედაც დაცულია ძველი ქართული მთავრული წარწერის ფრაგმენტი. ამაზე გაცილებით უფრო საგულისხმოა ის, რომ ამ თხრილების უმეტესობაში, სახელდობრ N:3-ში, N:4-ში და N:6-ში აღმოჩნდა კვალი XII-XIII საუკუნის კულტურული ფენისა. ეს ფენა ჩნდებოდა სხვადასხვა სიღრმეზე 0,90-დან 1,40-მდე, მისი სისქე მერყეობდა 0,15-დან 0,40-მდე და ნიადაგის განაკვეთში იგი კარგად განირჩოდა თავისი მოშავო ფერითაც და უფრო წმინდა შემადგენლობითაც. დათარიღებულია ეს ფენა თამარის შავი მონეტით, რომელიც აღმოჩნდა N:6-ში და თიხის ჭურჭლის ნატეხებით, რომელთა შორის აღსანიშნავია მოყვითანო სუფთა თიხის თხელკედლიანი ჭურჭლისა და ლუსტრიანი ფაიანსის ჭურჭლის ნატეხები. მდიდარ ნაშთებს მაინცდამაინც არც ეს ფენა შეიცავდა. აღსანიშნავია, რომ იგი გათხრილი სექტორის აღმოსავლეთ ნაწილში გამოჩნდა. N:4-ში, თხრილის NW-ნაწილში, ზედაპირიდან 0,40 მ-ის სიღრმეზე, თითქმის უმეშვეოდ XII-XIII ს-ის ფენის ზემოთ აღმოჩნდა სტეატიტის პატარა ხატი (სურ. 31). ეს პატარა ფილი, სიგრძით 3, სიგანით 0,25 და სისქით 0,6 სანტიმეტრისა, მშვენივრად არის გასიპული. ცალი პირი მას ორიოდე მილიმეტრის სიღრმეზე ამოღებული აქვს და აქ რელიეფით გამოყვანილია ღვთისმშობელი პატარა იესოთი. ღვთისმშობელის გამოსახულება წელსზემოთია, ქრისტე მას მარცხენა მკლავზე უჭირავს. ნახელავი ძალიან სადაა, მოდელირების უიმისოდ, სამოსელი მხოლოდ ჭდებითაა დანიშნული აქა-იქ, არც ღვთისმშობელს, არც ქრისტეს სახეები არა აქვთ (თუმცა აქაც, ჭდეებით დანიშნული ნაკვეთები, შეიძლება, დროთა განმავლობაში გადახეხილა). ხატს ბერძნული მთავრული წარწერა აქვს: ღვთისმშობლის მარჯვენით M͂P Θ͂Y ე. ი. ΜΗΤΗΡ ΘΕΟΥ, ხოლო ქრისტეს ზემოთ I͂C X͂C ე. ი. ΙΗΣΟΥΣ ΧΡΙΣΤΟΣ.

8. სენაკების კომპლექსი სასახლის ჩრდილო-დასავლეთით (სენაკი 2 და 3, მარანი, მთავარი ტაძრის საყრდენი კედელი და სასახლის ძველი კედლები)

ის ადგილი, სადაც სენაკები 2 და 3[1] და მარანი აღმოჩნდა, მთავარი ტაძრის ჩრდილოეთით მდებარეობს და უმეშვეოდ აკრავს სასახლეს ჩრდილო-დასავლეთიდან.

ზედაპირულად აქ არავითარი გერში ნაგებობისა არ ჩნდა, თუ არ ვიანგარიშებთ, იმ პატარა ნაკედლარს, რომელიც I შენობას თითქმის ზედ აკრავს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან და რომელიც ცალკეულად მდგარი და თავისთავად გაუგებარი ნახევარადმრგვალი კუთხის ბურჯის შთაბეჭდილებას ახდენდა. ეს დიდი და საშუალო ზომის ნაგლეჯი ქვების ქვიტკირიანი წყობა, რომელსაც იშვიათად ურევია თლილი ქვაც, სქელ მასივს წარმოადგენს – მისი სისქე აღწევს 3,00 მ-ს ორივე მიმართულებით, – და ნიადაგის ზედაპირიდან 2,00 მ-ით არის ამაღლებული. მას თითქოს გაგრძელება უნდა ჰქონოდა აღმოსავლეთის მიმართულებით, მაგრამ ესეც საეჭვო იყო, რადგან კედელი აქ უცებ თხელდებოდა და თან დაბლდებოდა, მხოლოდ 0,90 მ-ის სისქისა ჩნდა და 0,50 მ-ით იყო ამაღლებული ნიადაგის ზედაპირიდან. ეს წყობა 4-ოდე მ-ის მანძილზე მიდიოდა აღმოსავლეთისაკენ, მერმე კი მისი კვალი სრულებით იკარგებოდა. ამასთან, ეს ნაწილი იმდენად იყო დაფარული მიწითა და ღორღით, რომ ნამდვილად არც კი ითქმებოდა, მართლაც წყობასთან გვქონდა ამ საქმე, თუ უბრალო ქვების გროვას შემთხვევით

[1] სენაკი 1 არის „ჩუქურთმიანი შენობის“ სენაკი (ნ. „ჩუქურთმიანი შენობის კომპლექსის“ აღწერა), სენაკი 2 ე. წ. „სასახლის სენაკი“.

სურ. 31. სტეატიტის ხატი.

მიუღია წყობის სახე. ამგვარად, ნაგებობის აღმოჩენა აქ წინასწარ მაინც და მაინც მოსალოდნელი არ იყო.

ტაძრის ჩრდილოეთი (გეგმა I) ვიწრო ტერასაა, ოდნავ დაქანებული ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ და ჩრდილო-დასავლეთისაკენ, ეს ტერასა გასავალს წარმოადგენს ტაძარსა და სასახლეს შორის. ჩრდილო-დასავლეთით იგი ფართოვდება: სასახლესა და ტაძარს შორის მისი სიგანე 3,00 მ-ს არ აღემატება. სასახლიდან ჩრდილო-დასავლეთი კი იგი აღწევს 5,00 მ-ის სიგანეს, ხოლო სასახლის ჩრდილო-დასავლეთით კედლიდან 4,00 მ-ის მანძილზე სიგანე უკვე 8,50 მ-ს შეადგენს. ასეა ვიდრე ზემოთ ნახსენებ ბურჯისებურ წყობამდე. შემდეგ ტერასა თანდათანობით ვიწროვდება და ბოლოს დიდი დაქანებით ეშვება ზღუდის ჩრდილო-დასავლეთის ჭიშკრისაკენ. ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაპირი ამ ტერასისა ძლიერად დაქანებულ ფერდობს წარმოადგენს, ტერასაცა და ფერდობიც დაფარული იყო ტაძრიდან ჩამოცვენილი ღორღით და ნაშალი მიწით, აქა-იქ მიწაში დაუკავშირებლად მდებარე თლილი ქვაცა ჩნდა. ბალახს გარდა, გასათხრელად დანიშნულ ადგილას რამდენიმე ხეც კი იყო ამოსული.

მთელი ეს ადგილი გათხრამდე დეტალურად აიგეგმა და თხრილების საზღვრები ზუსტად იქნა დადებული. ნიადაგის რელიეფის შესაფერისად, თხრილები ძალაუნებურად უსწორმასწორო მოყვანილობისა და სხვადასხვა ზომისა უნდა ყოფილიყო, რადგანაც ტაძარსა და თხრილებს შორის ვიწრო გასავალი მაინც უნდა დარჩენილიყო, ტაძრის ჩრდილო-კედლიდან მოყოლებით 3,00 მ-ის სიგანის ზოლი ხელუხლებლად იქნა დატოვებული.

პირველი თხრილი დაიდო იმ ადგილას, სადაც ზემოაღნიშნული ტერასა 5,00 მ-ის სიგანეს აღწევს, ისე რომ თხრილის SO-კედელი სასახლის NW-კედლის ხაზზე მოდიოდა. თხრილის NO-კედელი დაახლ. 1,00 მ-ით გადასცდა ტერასის მიჯნას და სასახლის SW-კედლის ხაზზე იქნა დადებული, რადგან უფრო მკვეთრი დაქანება ფერდობისა NO-ისაკენ თხრილის თითქმის მთელს ფართობზე დაახლოებით ამ ხაზის იქით იწყებოდა. ტერასისა და ფერდობის რელიეფმა გამოიწვია ის, რომ თხრილმა უნებლიედ ტრაპეციის ფორმა მიიღო: მისი SO და NW-კედლების სიგრძე თითო 2,80 მ-ს შეადგენდა, ხოლო SW-კედლის სიგრძე არ აღემეტებოდა 3,20 მ-ს იმ დროს, როდესაც NO-კედლისა 3,70 მ-ს აღწევდა. თხრილის SW-კედელი დაახლოებით ზემოხსენებული ბურჯისებური წყობის გარეპირის ხაზზე მოვიდა. ამგვარად, თხრილი არ იყო დიდი და მისი ზომებიც ნიადაგის რელიეფით იყო განსაზღვრული, რადგან მუშაობის სიმარჯვე და განსაკუთრებით მიწის გაზიდვის საშუალებანი გვაიძულებდა მცირე ნაკვეთებად დაგვეყო მთელი გასათხრელი ფართობი.

სიღრმეების საფიქსაციო ხაზად არჩეული იყო თხრილის SW-კედლის ხაზი, რომელიც ყველაზე უფრო მაღლა მდებარეობდა და აქედან იყო ხოლმე ნაანგარიშევი ყველა სიღრმეები თხრილის მთელ ფართობზე. რა თქმა უნდა, ნიადაგის დაქანებულობის გამო ესა თუ ის ობიექტი ზედაპირიდან სულ სხვადასხვა სიღრმეზე მოდიოდა იმისდა მიხედვით თუ ფართობის რომელ პუნქტში მდებარეობდა იგი, მაგრამ რადგანაც იზოჰიფსები 20 სანტიმეტრის კვეთის სიმაღლეზე გვქონდა გატარებული, აბსოლუტური სიღრმის გამოანგარიშება, ყოველთვის ადვილი იყო. გათხრა წარმოებდა ჰორიზონტალური ფენებით: თხრილის მთელ ფართობზე აიღებოდა ერთი პირი წერაქვი და მხოლოდ ამ

ერთხელ მოთხრილი მიწის მთლიანად გადაყრისა და თხრილის ფსკერის მოსუფთავების შემდეგ იწყებოდა მეორე პირი წერაქვის აღება და ა. შ. ამგვარად, ჩვენ უზრუნველყოფილი ვიყავით, რომ გათხრის პროცესში არც ერთი დეტალი არ გამოგვეპარებოდა.

უკვე 0,70 მ-ის სიღრმეზე თხრილის SW-ნაწილში გამოჩნდა საყრდენი კედელი და მისი ბურჯი, რამაც გვაიძულა თხრილის SW-კედელი გადაგვეწია 0,40 მ-ით უფრო მაღლა SW-ისაკენ ვიდრე ამ ადგილას მდგარ ნეკერჩხლის ძირამდე. ამავე დროს საყრდენმა კედელმა ოდნავ შეცვალა თხრილის SW-კედლის განხრაც და ამას უფრო O–W-ის მიმართულება მისცა, მეორე მხრით. თხრილის SO-კედელიც გათხრის პროცესში ჩამოიშალა და ამ მიმართულებითაც მოგვიხდა თხრილის გაფართოება 0,40 მ-ით, ამგვარად, თხრილის ზომები გათხრის დასასრულს ცოტათი განსხვავდებოდა თავდაპირველი ზომებისაგან. შემდეგში თხრილის NW-კედელმაც გადაიწია შესაფერისად სენაკის NW-კედლისა.

თხრილის SW-ნაწილში 2,40 მ-ის სიღრმეზე დავედით პიტალო კლდეზე. NO-ნაწილში კლდე, საფიქსაციო ხაზიდან, 3,95 მ-ის სიღრმეზე გამოჩნდა. ამგვარად, კლდოვანი გრუნტიც ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით დაქანებული აღმოჩნდა და თან გაცილებით უფრო მკვეთრად ვიდრე ბექობის ზედაპირი (გეგმა IV, განაკვეთი E–F).

პირველმა თხრილმა არ მოგვცა ნათელი სურათი. მისი ამოწმენდის დამთავრებისას ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცოდით, რომ ოთახის შიგნით ვიმყოფებოდით. სრულებით ნათელი იყო მხოლოდ SW-კედლის ვითარება (გეგმა III, განაკვეთი C–D): რომ აქ ძველი ტაძრის საყრდენ კედელთამ გვქონდა საქმე, რომელიც ერთ ადგილას, თხრილის S-კუთხეში, ბურჯით იყო გამაგრებული, ეს ცხადი შეიქნა კარგა ხნით ადრე, ვიდრე თხრილის ფსკერამდე დავიდოდით. საფიქრებელი იყო აგრეთვე, რომ ის წყობა, რომელიც I შენობის გვერდით მდგარი ბურჯისებური ნაგებობიდან აქეთკენ მოდიოდა და რომელიც ზემოთ უკვე მოვიხსენიე. სწორედ ამ საყრდენი კედლის ზედაპირულად შერჩენილ გაგრძელებას წარმოადგენდა და რომ ამგვარად ბურჯისებური ნაგებობა საყრდენ კედელთან იყო დაკავშირებული. ეს უკანასკნელი SO-ის ანუ, უკეთ SOO-ის მიმართულებით გრძელდებოდა და მისი სიგრძის სავარაუდოდ – იმ საკითხის გასარკვევად, ჰყოფდა თუ არა იგი ტაძარსა და სასახლეს მთელ სიგრძეზე – საჭირო იყო სათანადო ზონდაჟის ჩატარება სხვადასხვა ადგილას ამ მიმართულებითაც, რაც მერმე კიდეეაც შესრულებულ იქნა. გაურკვევლად რჩებოდა მხოლოდ ამ კედლის დამოკიდებულება XII-XIII ს-ის კულტურულ ფენასთან, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

თხრილის SO-კედელი ჯერჯერობით სრულებით გაურკვევლად გვტოვებდა. აქ ჩვენ გვქონდა ნაგლეჯი ქვების ქვიტკირიანი წყობა, რომელიც ზედაპირიდან 1,55 მ-ის სიღრმეზე კულტურული ზედაფენის ქვეშ აღმოჩნდა და მიდგმული იყო საყრდენ კედელსა და მის ბურჯზე, ცხადია, ნაგვიანევად (შდრ. გეგმა IV, განაკვ. C-D და F–E). ამ წყობაში NO-დან ჩაშენებული იყო თლილი კვადრებიც (3 ცალი) და რადგან ამ ადგილას წყობა წყდებოდა (თხრილის NO-კედელი შემთხვევით სწორედ ხორშის (წალოს) ხაზზე მოვიდა). ისე გამოდიოდა, თითქოს პირი მას NO-დან ჰქონდა. ამ წყობის გადმოხრილობა NW-ისაკენ, ე. ი. კამარის ძირი შეუმჩნეველი დარჩა ვიდრე მისი NO-ნაწილის გათხრამდე მე-2 თხრილში, რადგან კედლის დიდი დაზიანებულობის გამო კამარის კვალი აქ თითქმის სრულებით წარხოცილი იყო და მხოლოდ შემდეგში, როცა კამარა ნამდვილად დადასტურდა მე-2 თხრილში, ცხადი შეიქნა ოდნავი გადმოხრილობა კედლისა პირველ თხრილშიც. ამიტომ, თავდაპირვალდ უფრო საფიქრებელი იყო, რომ ეს კედელი საყრდენ კედელს მისდევდა SO-ის მიმართულებით და რადგან მის უკან სასახლის SW-კედელი გვეგულებოდა, სრულებით გაუგებარი ჩნდა ამ კედლის რაობა და დანიშნულება.

NW-ისაკენ მიგვითითებდა მხოლოდ პირველი (SW) ტიხრის წყობა, რომელიც კონსტრუქციულად დაკავშირებული ჩნდა ხსენებულ კედელთან და NW-ის მიმართულებით თხრილის NW-კედელში იკარგებოდა. მაგრამ ეს ტიხარიც დიდი დაზიანებულობის გამო საეჭვოდ გვქონდა მიჩნეული: მისი ქვები, უკლებლივ ყველა, გარდა ორი ქვისა, რომლებიც S-კედელთან იყო დაკავშირებული, მორღვეული იყო, ქვიტკირი ყველგან სრულებით დაშლილი დაგვხდა – ნამდვილად ვერც კი იტყოდა კაცი, წყობასთან გვქონდა აქ საქმე თუ არა.

ქაოტურ სურათს წარმოადგენდა თხრილის NW-კედელი. აქ შემდეგი ფენები ჩნდა: ზედაპირული მცენარეული ფენის ქვეშ, რომელიც სხვადასხვა ადგიალს სხვადასხვა სისქისა იყო (0,10-დან 0,50 მ-მდე), მოდიოდა მსხვილ და წვრილ ნაგლეჯქვებიანი ნაშალი მიწის სქელი ფენა, ე. ი. კულტურული ზედაფენა (უმთავრესად, კრამიტის ნატეხების შემცველი), რომელშიც გამოირჩეოდა ერთ ადგილას (NO-ისაკენ, ზედაპირიდან დაახლ. 0,50 მ-ის სიღრმეზე) ღორღიანი მოწითანო ფერის მიწის მოგრძო ოთხკუთხედი მოყვანილობის მასა, ეგებ ცეცხლნაკრავი, სისქით 0,60 მ. სიგრძით 0,95 მ. და ორ სხვა ადგილას, სახელდობრ, საყრდენ კედელთან, ზედაპირიდან 1,00 მ-ის სიღრმეზე და 0,50 მ-ით უფრო NO-ისაკენ, იმავე ხაზზე, ცეცხლნაკრავი მიწის ფენის ქვეშ, როგორც მაშინ იყო საფიქრებელი, გადმოვარდნილი კედლის, უფრო ბეტონის (ქვიტკირით შეკრული ნაგლეჯი ქვის) უსწორმასწორო მოყვანილობის მასივები, რომელთაგან პირველის სიგრძე 0,65 მ-ს, ხოლო მეორისა 1,60 მ-ს შეადგენდა. ორივე ერთი სისქისა იყო – 0,70 მ. მხოლოდ მერმე, მე-2 და მე-3 თხრილების დადებისას გამოირკვა, რომ ეს იყო სენაკის NW-კედლის კამარის ძირის სხვაზე უფრო გადმოწეული ნაწილები, რომლებიც ადრე გამოჩნდა, იმ დროს, როდესაც მთელი დანარჩენი კედელი ჯერ ისევ მიწით იყო დაფარული. საყრდენ კედელს ეკრა, უმეშვეოდ „ბეტონის მასივის" ქვეშ, დამინებული ნაცრის ფენა, რომლის სიგრძე 1,75 მ- აღწევდა, და რომელიც საყრდენ კედელთან 0,40 მ-ის სისქისა იყო NO-ისაკენ კი თხელდებოდა ვიდრე 0,25 მ-მდე. ამის ქვეშ საყრდენ კედელსავე ეკრა XII-XIII ს-ის კულტურული ფენა, სიგრძით 0,40 მ, სისქით 0,20-0,30 მ. ამ ორი ფენით, როგორც მერმე გამოირკვა, ამოვსებული იყო სენაკის ნალო. XII-XIII ს-ის ფენას, რომელიც ჩვეულებისამებრ უმეშვეოდ თხრილის ფსკერზე, ე. ი. პიტალო კლდეზე იდო, NO-ისაკენ მისდევდა 1,00 მ-ის სიგრძის მქონე, ჯერ კიდევ ნაცრის ფენის ქვეშ მდებარე ფენა წვრილღორღიანი მიწისა და დაფხვნილი დუღაბისა, შემდეგ მოდიოდა პირველი ტიხრის წყობა, მერმე კვლავ მეორდებოდა (0,60-0,75 მ-ის სისქის) წვრილღორღიანი ფენა, რომელიც ახლა უკვე უმეშვეოდ კულტურული ზედაფენის ქვეშ იდო და ამ წვრილღორღიანი ფენის ქვეშ, ზედაპირიდან 3,15 მ-ის სიღრმეზე, რადგან კლდოვანი გრუნტი აქ უკვე ძალიან დაქანებული იყო, იდო ისევე XII-XIII ს-ის ფენა, ისევ ისე 0,20-0,30 მ-ის სისქისა. ამგვარად, აქ რაიმე დასკვნების გამოტანა ჯერ-ჯერობით ნაადრევი იქნებოდა და ჩვენ შეგვეძლო მხოლოდ ფაქტობრივი ვითარების ფიქსირება.

თხრილის NO-კედელი მხოლოდ სამ მკვეთრად განსხვავებულ ფენას გვიჩვენებდა: მცენარულ ფენას (სისქ. 0,30-0,45 მ) აქ მოსდევდა კულტურული ზედაფენა (სისქ, 2,65 მ-მდე), რომლის ქვეშ XII-XIII ს-ის ფენა იდო (სისქ. 0, 20-0, 25 მ) უმეშვეოდ კლდოვან გრუნტზე. აქედან ნათელი იყო, რომ XII-XIII ს-ის ფენა ფერდობს მიჰყვებოდა NO-საკენ. რაიმე ნაგებობის კვალი აქ არა ჩნდა, გარდა საფეხურებივით დადებული ქვითკირიანი ქვებისა, რომლებიც SO-კედელს მოსდევდა, მაგრამ მაინც და მაინც გაგრძელებას NO-ისაკენ არ გვაგულვებინებდა.

პირველი თხრილის საბოლოოდ ამოწმენდის შემდეგ, მის გვერდით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ დავდეთ მეორე თხრილი, რომლის საზღვრები ბუნებრივად იყო მოცემუ-

ლი სამი მხრით პირველი თხრილის მიერ, რომლის გაგრძელებასაც იგი წარმოადგენდა, მეოთხე (NO-ის) მხრით კი იმ ვიწრო ბილიკით, რომელიც სასახლის მარნის კარიდან მოყოლებით NW-ისაკენ მისდევდა ფერდობის ძირს. ამ თხრილმაც უსწორო ოთხკუთხედის ფორმა მიიღო. SO-კედლის სიგრძე უდრიდა 4,20 მ-ს, NW-ისა =4,55 მ-ს, SW-ისა=3,70 მ-ს და NO-სა=4,50 მ-ს. ჯერჯერობით სასახლის მარნის კარი თხრილის გარეთ დარჩა, 0,50 მ-ის მანძილზე თხრილის SO-კედლიდან, რადგან გათხრის დროს მიწა და ქვები შეიძლებოდა სასახლის მარანში ჩაცვენილიყო და ქვევრები დაეზიანებინა. შემდეგში მოგვიხდა თხრილის SO-საზღვრის გადატანა ვიდრე სასახლის კარამდე. თხრილის NO-კედლის NO-ით, 1,50-2,00 მ-ის მანძილზე იწყებოდა უკვე მაღალი კბოდე, სადაც არავითარი ნაშთები გარდა ზემოდან ჩამოვარდნილი ქვებისა, მოსალოდნელი არაა. სიღრმეების საფიქსაციო ხაზად მე-2 თხრილისათვის არჩეულ იქნა მისი SW-კედლის ზედაპირის ხაზი, რომელიც 0,60 მ-ით უფრო დაბლა მოდიოდა პირველი თხრილის საფიქსაციო ხაზთან შედარებით. გათხრა მე-2 თხრილშიც იმავე წესით მიმდინარეობდა, როგორც პირველში, მაგრამ ვინაიდან ამ უკანასკნელმა უკვე ზონდაჟის როლი გასწია და ფენების განლაგება ჩვენთვის უკვე ცნობილი იყო მე-2 თხრილის გათხრისას, შეიძლებოდა უფრო თავისუფლად მოქმედება, რაც გამოყენებულ იქნა მაშინ, როდესაც გამოირკვა სენაკის NW-კედლის ნაშთის არსებობა: სახელდობრ, იმ დროს მე-2 თხრილში ჩვენ უკვე XII-XIII ს-ის კულტურულ ფენამდე ვიყავით დასული, სენაკის NW-კედლის კვალი კი აქ არსად ჩანდა; რადგან მე-3 თხრილში უდავოდ გამოირკვა ამ კედლის არსებობა და მისი განხრა გვიჩვენებდა, რომ იგი საყრდენი კედლიდან მოყოლებული NW-ისაკენ მიიმართებოდა, ცხადი შეიქნა, რომ მე-2 თხრილში ამ კედელს ნაშალი ფენა ჰფარავდა; რა თქმა უნდა, საინტერესო ქვედაფენის აღებამდე, სჯობდა მისი მოცულობის გარკვევა ოთახის მთელ ფართობზე, რისთვისაც ოთახის NW-მიჯნის პოვნა იყო საჭირო; რადგან კულტურული ზედაფენა, როგორც უკვე გამორკვეული გვქონდა, საგულისხმოს არაფერს შეიცავდა, საქმის დასაჩქარებლად შეიძლებოდა ამ შემთხვევაში საერთო წესი დაგვერღვია და ეს ფენა NW-ის მიმართულებით ზემოდან კი არ აგვეღო, არამედ პირდაპირ გვერდიდან ჩამოგვეშალა; ასე გადაინია თხრილის NW-კედელმა 1,00-1,50 მ-ით NW-ისაკენ ვიდრე სენაკის NW-კედლამდე.

საფიქსაციო ხაზიდან 1,25 მ-ის სიღრმეზე მე-2 თხრილშიც SO-კედლის გასწვრივ აღმოჩნდა ისეთივე კედლის წყობა, როგორიც პირველ თხრილში ვნახეთ. ორსავ ამ კედელს განხრაც ერთნაირი ჰქონდა და მაშინვე ცხადი შეიქნა, რომ ისინი ერთი მეორის გაგრძელებას წარმოადგენდნენ. ამასთან, მე-2 თხრილში ამ კედელს კარგად ჰქონდა დაცული კამარის ძირის მოხრილობა, რაც ცხადლივ იმაზე მიგვითითებდა, რომ NW-ითაც უნდა აღმოჩენილიყო მოპირდაპირე კედლის ნაშთი. ამიტომ ზევით, პირველი თხრილის NW-ით, დადებულ იქნა მე-3 თხრილი, რომელმაც მართლაც მაშინვე მოგვცა მოსალოდნელი შედეგი: აქ უკვე 0,70 მ-ის სიღრმეზე დავედით იმ ნაკედლარის ზედაპირზე, რომელიც პირველი თხრილის NW-კედლის ფასადში „ბეტონის მასივების" სახით იყო წარმოდგენილი და მალე ცხადი შეიქნა, რომ აქ მე-2 სენაკის NW-კედლთან გვქონდა საქმე.

3,35 მ-ის სიღრმეზე, სასახლის მარნის კარის პირდაპირ გამოჩნდა სასახლის უძველესი NW-კედლის ძირა ნაწილი, რომელიც NO-საკენ მიწის ქვეშ, ხოლო SW-საკენ, სენაკის SO-კედლის ქვეშ იკარგებოდა.

თხრილის SW-ნაწილში კლდოვანი გრუნტი საფიქსაციო ხაზიდან 3,60 მ-ის სიღრმეზე გამოჩნდა, NO-ნაწილში კი – 4,30-4,40 მ-ის სიღრმეზე.

სენაკის SO-, SW- და NW მიჯნების გამორკვევის შემდეგ ჩვენ წინაშე ორი ამოცანა იდგა: ერთი მხრით საჭირო იყო ამ შენობის NO-მიჯნის მოძებნა, ხოლო მეორე მხრით უნდა გაგვერკვია მისი და საყრდენი კედლის დამოკიდებულება სასახლესთან. პირველი ამოცანის გადაჭრა შეგვიანდა ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო – უმთავრესად სწორედ სასახლის მხარეზე ძიებამ შეგვიშალა აქ ხელი: ერთადერთი გზა მიწისა და ქვების გასატანად მე-2 თხრილის NO-კედლის გასწვრივ გადიოდა და ვიდრე სასახლის მხარეზე ძიებას არ მოვრჩებოდით, ამ კედლის გადატანა კბოდისაკენ არ იქნებოდა. ამიტომ, 1938 წ. ამ საქმეს გვიან მოვკიდეთ ხელი, შემოდგომის უამინდობამ შეგვაწყვეტინა მუშაობა და გათხრა ამ მხარეზე დაუმთავრებელი დაგვირჩა. სენაკის NO-კედელი ანუ მისი ნაშთი მხოლოდ 1939 წ. იქნა დაფიქსირებული. პირველი ამოცანა, დამოკიდებულება სასახლეს, სენაკსა და საყრდენ კედელს შორის, გადაჭრილ იქნა ზონდაჟის საშუალებით, რომლითაც შევიჭერით სენაკის SO-კედლის ხორშიდან SO-ის მიმართულებით მოგრძო მართკუხედი თხრილის სახით. ზონდაჟი გაჰყვა სასახლის SW-კედელს 3,50 მ-ის სიგრძეზე (სასახლის დასავლეთის გარე-კუთხიდან მოყოლებით SO-ისაკენ) და 1,70 მ-ის სიგანეზე (იმავე კუთხიდან SW-ისაკენ). შემდეგ ამ თხრილს მოება მეორე თხრილი, რომელიც წაყვანილ იქნა SW-ისაკენ ვიდრე საყრდენ კედლამდე[1]. დასასრულ, რადგან, სასახლის W-კუთხესთან ძველი კარის თუ თახჩის ნაშთები აღმოჩნდა, სხვა გერშების საძიებლად საჭირო შეიქნა ხორშიდან NO-ისაკენ შეჭრა შურფის სახით. აქ გამოირკვა სქელი ბეტონის ფენის არსებობა სენაკის SO-კედელსა და სასახლის ახალ NW-კედელს შორის. მაშინ ეს ბეტონი მთლიანად ავიღეთ და მთელ სიგრძეზე, ხორშიდან სასახლის მარნის კარამდე, დავედით სასახლის ძველ NW-კედლამდე (შდრ. გეგმა III).

ყველა კედლის ზემოდან გადაწმენდამ გვიჩვენა, მათი ურთიერთმდებარეობა, ნაგებობათა სხვაობანი და დამოკიდებულება ერთმანეთთან. ამ სენაკის NO-კედლის დაფიქსირება და მე-2 თხრილის საბოლოოდ გაწმენდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1939 წ. მოხდა.

მე-3 თხრილი, როგორც აღინიშნა, NW-დან ეკრა პირველ თხრილს. მისი მოყვანილობაც მოცემული პირობებით იყო განსაზღვრული. ამ თხრილმაც უსწორო ოთხკუთხედის ფორმა მიიღო, მისი SW-კედელი, პირველი თხრილის NW-კედლიდან მოყოლებით 4,90 მ-ის მანძილზე გაჰყვა საყრდენი კედლის ზედაპირულად დაცულ ნაწილს; ეს სიგრძე მიეცა თხრილის ამ კედელს იმიტომ, რომ მის ბოლოში მიწის ქვეშ ემჩნეოდა თითქოს რაღაც წყობა, რომელიც საყრდენ კედელს მოებმოდა და NO-სკენ მიიმართებოდა; მართლაც ამ ადგილას დადასტურდა შემდეგში მარნის NW-კედელი და თითქოს კარიც. მე-3 თხრილის NO-კედელი დაიდო 1-ლი თხრილის NO-კედლის ხაზზე. ამგვარად, მე-3 თხრილის SO-კედლის სიგრძე უდრიდა 3,20 მ-ს, ისევე როგორც პირველი თხრილის NW-კედლის სიგრძე ამ თხრილის გაწმენდის დასრულებისას. მაგრამ მე-3 თხრილის NW-კედელი, როგორც ამას ამ ხაზზე მიწის ქვეშ შესამჩნევი წყობის მიმართულება გვკარნახობდა, თითქმის სწორი კუთხით მოება საყრდენ კედელს და ამიტომ ეს ხაზი, ვიდრე იგი NO-კედლის ხაზს დაემთხვეოდა, SO-კედელზე 0,80 მ-მით უფრო გრძელი მოვიდა. შესატყვისად დაგრძელდა NO-კედელიც, ვიდრე 5,90 მ-მდე. ამ უკანასკნელი კედლის გადატანა შეიძლებოდა უფრო შორს NO-ისაკენ, ვიდრე ბექობის

[1] ეს თხრილიც მოგრძო მართკუხედს წარმოადგენდა, სიგრძით 1,50 მ (იმავ კუთხის ხაზიდან SO-ისაკენ) და სიგანით 1,40 მ (ზონდაჟის პირველი თხრილის SW-კედლიდან SW-ისაკენ საყრდენ კედლამდე).

მკვეთრი დაქანების დასაწყისამდე, რადგან ამ ადგილას, როგორც ზემოთ აღინიშნა, ტაძრის ჩრდილოეთით, მდებარე ტერასა უფრო განიერი იყო, მაგრამ გათხრითი მუშაობის მეთვალყურეობისათვის უფრო მარჯვე ჩნდა აქ პატარა ბაქნის თავისუფლად დატოვება. შემდეგში, როცა მკაფიოდ დაინიშნა მარნის SO-კედელი და საჭირო შეიქნა მისი NO-კედლის ძიება, თხრილი აქეთკენ მართლაც გავაფართოვეთ, ისე რომ თხრილის SO-და NW-კედლები ორივე ერთნაირად დაგრძელდა 5,70 მ-მდე და NO-კედელი გადატანილ იქნა ზედ ტერასის პირამდე, სადაც მალე მარნის NO-კედელიც აღმოჩნდა.

სიღრმეების საფიქსაციო ხაზი მე-3 თხრილისათვის იგივე დარჩა, რაც პირველ თხრილში. როგორც აღვნიშნე, უკვე 0,70 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა სენაკის NW-კედლის ზედაპირი და შემდეგ, 1,10 მ-ის სიღრმეზე, მის უკან მდებარე მარნის SO კედელი (შდრ. გეგმა III და განაკვეთები A–B და C–D). 1,30-1,40 მ-ის სიღრმეზე გამოჩნდა მიწაში ჩადგმული ქოცოები და ქილები და ცხადი შეიქნა, რომ ამ ადგილას ჩვენ მარანთან გვქონდა საქმე. მარანი NO და NW-კედლები საფიქსაციო ხაზიდან 1,50 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა.

ქოცოები თითქოს ხამ ნიადაგში იყო ჩაშენებული, ამიტომ, უფრო ღრმად თხრას აზრი არა ჰქონდა. მხოლოდ ერთი შურფი იქნა დადებული მარნის SO-კედლის ძირას, რომელსაც უნდა დაეზუსტებინა ნიადაგის შემადგენლობა და თან კედლის საძირკველიც უნდა გამოეკვლია. შურფი, რომლის სიგრძე-სიგანე 1,50 მ-ს შეადგენდა და რომელსაც მერე პატარა დანამატი შურფი მიემატა SW-დან, სიგრძით 0,80 მ(SO–NW), და სიგანით 0,50 მ (NO–SW), მარნის SO-კედლის დაახლ. შუა ადგილას მოვიდა და საფიქსაციო ხაზიდან 3,10 მ-ის სიღრმემდე იქნა დაყვანილი, ვიდრე კლდოვან გრუნტამდე, რომელზედაც დგას მარნის კედლის კონტრფორსი. ამ შურფმა გამოარკვია, რომ ქოცოები ჩადგმულია 1,50-1,70 მ-ის სისქის მქონე კულტურულ ფენაში, რომელიც ძალიან ღარიბია განათხარით[1]. ამგვარად მე-3 თხრილმაც საინტერესო შედეგი მოგვცა ნაგებობათა ამ რთული კომპლექსის ისტორიის გარკვევის თვალსაზრისით.

მეოთხე და მეხუთე თხრილები დაიდო მარნის სამხრეთ-დასავლეთითა და სამხრეთით[2]. მეოთხე თხრილში, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, 1938 წ. ნაკედლარი აღმოჩნდა, ნაგები მოზრდილი თლილი ქვებით ქვიტკირზე. ჩრდილოეთისა და სამხრეთის მიმართულებით ამ ნაკედლარის მიყოლებამ და მეხუთე თხრილმა გამოგვარკვევინა კიდევ ერთი სენაკის ნაშთის არსებობა (სენაკი მე-3, ნ. გეგმა III) სასახლის სენაკის გვერდით და მარნის ქვემოთ (ნ. იქვე განაკვეთი CD). შემდეგ გათხრილ იქნა ფერდობის ნაკვეთი ორ დასახელებულ სენაკსა და ზღუდის კედელს შორის[3] და გამოირკვა როგორც მათი NO-კედლის მდებარეობა და სისქე ისე ზღუდის ნაკედლარის, უკეთ, საძირკველის მიმართულება, ვიდრე სასახლის S-კუთხის ხაზამდე.

საყრდენი კედლის მთელ სიგრძეზე გაყოლებამ ვიწრო თხრილით და სასახლის მერმინდელი SW-კედლის აღებამ გამოარკვია საყრდენი კედლის მიმართულება, სისქე და კონსტრუქცია. „კუთხის ბურჯიდან" მიყოლებით იგი NO-დან ზღუდავდა მთავარი ტაძრის შენობას და ეზოს მის აღმოსავლეთით ვიდრე სამრეკლომდე, რომლისკენაც მან

---

[1] უნდა აღინიშნოს, რომ გამორიცხული არაა შესაძლებლობა, რომ ეს ფენა ნამდვილად ქოცოებისა და კედლის ჩადგმის დროს აშლილ გრუნტს წარმოადგენდეს და არა კულტურულ ნაშალს.

[2] გეგმა I-ზე თხრილები N:6 და N:8.

[3] თხრილები N:7 და N:8 გეგმა I-ზე.

ბოლოს შეუხვია და რომლის S-კუთხესაც იგი დაემთხვა. ამ ბოლო ნაწილში იგი ძალიან ცუდადაა დაცული. გარედან, ე. ი. NO-დან მას ჩარიგებული ჰქონია სულ 4 მრგვალი ბურჯი, რომლებიც ერთმანეთზე 6 ან 5 მეტრითაა დაშორებული. სამხრეთ-დასავლეთის ბურჯი თითქმის მთლიანად მონგრეულია, მისი ნაკვალევიღა განირჩევა, დანარჩენები კი შედარებით კარგადაა დაცული. ეს ბურჯები მერმე სრულებით დაუფარავს სასახლის SW-კედელს. ე. წ. „კუთხის ბურჯი", გარედან და შიგნიდან გაწმენდის შემდეგ, არ გამოდგა რაიმე გარკვეული კონსტრუქციის მქონე. ეს უფრო მომრგვალებული კუთხეა, რომლითაც საყრდენი კედელი უხვევს I შენობისაკენ. მართალია, ამ ადგილას კედელი სქელდება. I შენობამდე იგი არ აღწევს, არამედ მათ შორის პატარა ხარვეზი რჩება. არავითარი ნაშთი რაიმე შესავლისა, თუნდაც საძირკველი აქ კედელს არ აღმოაჩნდა, ისე, რომ მისი დამოკიდებულება I შენობასთან გაურკვეველი დარჩა.

საყრდენი კედელი და მისი მრგვალი ბურჯი ნაგებია ნაგლეჯი ქვით და ქვიტკირით. ნაგებობა კარგია, მტკიცე. კედელი გარედანაც ქვიტკირითაა შელესილი, ისე რომ ქვების ზედაპირი მხოლოდ აქა-იქ ჩანს. იგი დგას დიდი უშვერი ლოდების საძირკველზე, რომელიც პიტალო კლდეზეა დაფუძნებული. ზემო ნაწილი კედლისა ჩამონგრეულია, ისე რომ მისი თავდაპირველი სიმაღლე აღარ ირკვევა. ახლა მისი სიმაღლე (საძირკველითურთ) არ აღემეტება 2,40 მ-ს. მისი სისქე 0,70-0,80 მ-ის ფარგლებში მერყეობს. კედლის წყობა გამტანისი არ ყოფილა, არამედ მსხვილი ნაგლეჯი ქვებით წყობილია მხოლოდ კედლის პირები, შიგნით კი ჩასხმულია ჭყორდულაბი.

ამ კედლის დანიშნულება ორში ერთი შეიძლებოდა ყოფილიყო: იგი ან ტაძრის ძველი გალავნის ნაშთს წარმოადგენდა, რომელიც ალბათ რუსუდანის ტაძრის ადგილას მდგარ უფრო ძველ შენობას ჰფარგლავდა, ყოველ შემთხვევაში, ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, ან კიდევ იგი საყრდენი კედლის როლს თამაშობდა, რომელსაც უნდა დაეჭირა ტაძრის ჩრდილოეთით მდებარე ვიწრო ტერასა, რომელიც ამ შემთხვევაში ხელოვნური უნდა ყოფილიყო. პირველ შესაძლებლობაზე მიგვითითებს თითქოს მისი ბურჯები, მეორეს გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ ეს კედელი, როგორცა ჩანს, მხოლოდ ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან საზღვრავს მთავარ ტაძარს. მართლაც, არსად სხვაგან მისი კვალი არ აღმოჩენილა. მე ეს კედელი უფრო საყრდენად მიმაჩნია. როგორც სასახლის სენაკის ფსკერი გვიჩვენებს, კლდე, რომელზედაც ტაძარი დგას, ჩრდილო-მხარეზე მკვეთრად არის დაქანებული და აქედან ტაძრის მოვლა შეუძლებელი იქნებოდა, ხელოვნურად ტერასა რომ არ შეექმნათ. კედლის სიმოკლე მისი უსწორ-მასწორო მოყვანილობა და თავისა და ბოლოს უქონლობაც ამ დანაშაულებაზე მიგვითითებს. სახელდობრ, კედელი ისეა წაყვანილი, რაც გეგმაზე კარგად ჩანს, რომ, ცხადია, მისი აგებისას კლდის რელიეფს მისდევდნენ. ამ მხრით განსაკუთრებით დამახასიათებელია ის მუხლი, რომელსაც კედელი იკეთებს დასავლეთიდან მე-3 ბურჯთან. იგი სრულებით გაუგებარი იქნებოდა, თუ კი ამშენებელი ხსენებული მოსაზრებით არ ხელმძღვანელობდა.

მარნის (გეგმა III) SO-კედელი, ერთადერთი, რომელიც ცოტა-ოდნავ რიგიანად არის დაცული, ნაგებია მქისედ დამუშევებული, მეტ-ნაკლები სისწორის კვადრებად ჩამოჭრილი და თარაზულად წყობილი ქვებით და მოგვაგონებს სასახლის მარნის კედლებს (უძველესს – NO-ისას და SO-ისას). მისი სისქე არ აღემატება 0,85 მ-ს. ალაგ-ალაგ შერჩენილი კვალის მიხედვით, სენაკის მხრიდან იგი, მსგავსად საყრდენი კედლისა, შელესილი ყოფილა ქვიტკირით, რომელიც სრულებით ფარავდა კილოებს და ნაწილობრივ, ქვების ზედაპირსაც. მაგრამ საყრდენ კედელში ეს კედელი მკვეთრად განსხვავდება, როგორც წყობით, ისე, კერძოდ, ქვიტკირის შემადგენლობითაც: საყრდენი კედლის ქვიტკირი ქვა-

სავით მტკიცეა, თეთრია და სუფთა, მარნის კედლისა კი ნაკლებად მტკიცეა და ნაკლებადაც სუფთა. ამ კედელს, როგორც ზემოთაც აღინიშნა, მარნის მხრიდან პატარა კონტრფორსი აქვს, რომელიც მართალია კონსტრუქციულად არ არის მასთან დაკავშირებული, მაგრამ, ძალიან მტკიცედაა მასზე მიბმული ქვიტკირის საშუალებით. კონტრფორსი ნაგებია მქისედ დამუშავებული ქვებით და ქვიტკირით. მისი სისქე უდრის 0,50 მ-ს, სიგანე – 0,70 მ-ს, სიმაღლე – 1,55 მ-ს. იგი პიტალო კლდეზე დგას. კედელი ამ კონტრფორსთან შედარებით ამაღლებულია მხოლოდ 20-45 სანტიმეტრით. რასაკვირველია, კედლის თავდაპირველი სიმაღლის გამორკვევა ახლა შეუძლებელია. მარნის NO და NW-კედლების ნაგებობის ხასიათზე არა ითქმის რა, ისინი ისე ცუდადაა დაცული. SW-კედლად გამოყენებული იყო ტაძრის საყრდენი კედელი, რომელზედაც მიდგმული აღმოჩნდა მარნის როგორც SO ისე NW-კედლები. აქედან ცხადია, რომ მარანი საყრდენ კედელზე უფრო გვიანდელი ნაგებობაა. კარიც მარანს მხოლოდ საყრდენ კედელში აღმოაჩნდა, მაგრამ, როგორც საფიქრებელია, იგი კიდევ უფრო მერმინდელია: საყრდენი კედელი ჩაუტეხიათ და შიგ ჩაუდგამთ კარის ქვები; ჩვენ მხოლოდ ზღურბლის ქვა და ერთი ამყოლის ქვა-ღა დაგვხვდა. ეს ქვები ან სულ არ ყოფილა შეკრული ქვიტკირით, ანდა ეს უკანასკნელი ისეთი სუსტი იყო, რომ მისი კვალი სულ ერთიანად წარიხოცა. რადგან ეს კარი საკმაოდ მაღლა მოდიოდა მარნის ფსკერიდან, საყრდენი კედლის ძირას ამ ადგილას დაუდვიათ ორი თაღის ქვა, რომლებიც საფეხურის როლს თამაშობდა. ყველა ეს საფიქრებელს ხდის ამ კარის მერმინდელობას. სად ჰქონდა მარანს კარი თავდაპირველად, არა ჩანს (გეგმა III, განაკვეთები GH და CD).

ქოცოები სხვადასხვა სიღრმეზე აღმოჩნდა საფიქსაციო ხაზიდან 1,30 მ-დან ვიდრე 1,80 მ-მდე. ისინი სხვადასხვა ზომისაა, უფრო მოზრდილები 1,60 მ-ის სიმაღლეს აღწევს, მომცროები, უბრალო ქილები, 0,50 მ-ის სიმაღლისაა. საერთოდ, მაშასადამე, ქოცოები პატარაა და, ცხადია, ყველა ღვინისათვის არც იყო განკუთვნილი. სულ აღმოჩნდა 14 ქოცო. უწესრიგოდ მოფენილი მარნის მთელ არეზე. ერთს გარდა, ყველას სარქველები ჰქონდა, რომლებიც უსწორმასწოროდ მომრგვალებულ ბრტყელ ქვებს წარმოადგენს. საინტერესოა, რომ ერთ ქვევრს ძველად თავი მოსტეხია და მის მაგივრად ზედ დაუდგამთ მრგვლად ამოჭრილი თლილი ქვა. ქოცოები ყველა თითქმის სრულებით ცარიელი იყო და მხოლოდ მათ ფსკერზე ეყარა წყლის ჩანატანი სუფთა მიწა. ორ ქოცოში, ამ მიწაში, აღმოჩნდა რამდენიმე ნატეხი კრამიტისა და სადა წითელი თიხის ჭურჭლისა და 1 ნატეხიც ანგობიანი ქაშანური ჭურჭლისა.

წვრილი განათხარი საგულისხმოს არაფერს იძლევა. სხვადასხვა კულტურული ფენები არ გაირჩევა. ზედაპირიდან მოყოლებული კლდოვან გრუნტამდე, ანუ 2,40 მ-ის სიღრმეზე[1] სულ ერთნაირი ფენა იყო, ერთნაირი ნივთების შემცველი. აქ იყო უმთავრესად მოჭიქული და მოუჭიქავი კრამიტის ნატეხები, აგურისა და თიხის ფილების ნატეხები (მათ შორის ერთი ნატეხი თითქოს მრგვალი სასვეტო აგურისა), სადა წითელი და მოყვითანო თიხის ჭურჭლის ნატეხები, რომელთაგან საინტერესოა 3 ნატეხი ქვევრის თავისა მთავრული წარწერის ფრაგმენტით, რამდენიმე ნატეხი ანგობიანი ქაშანურისა და წარნაქიანი ჭურჭლისა, ორიოდე ნატეხი მინის ჭურჭლისა, 1 ფრაგმენტი რკინის დანისა, მცირე რაოდენობა ცხვრისა და ქათმის ძვლებისა, ერთი ცხენის კბილი,

[1] საფიქსაციო ხაზიდან 3,10 მ-ის სიღრმეზე, მაგრამ მე ვანგარიშობ ფაქტიური ზედაპირიდან, რომელიც მარნის თითქმის მთელ ფართობზე დაახლ. 0,50 მ-ით უფრო დაბლა მოდიოდა საფიქსაციო ხაზთან. შედარებით.

აქა-იქ პატარ-პატარა გროვები ნაცრისა, მრავლად ნახშირის ნატეხები. ქაშანაურიდან საინტერესოა ორი ნატეხი ნავისებური ჭრაქისა. რაც უფრო დაბლა მივდიოდით, განსაკუთრებით შურფში, განათხარი მით უფრო ნაკლები იყო, მაგრამ, მაინც საგულისხმოა, რომ სწორედ შურფში, ზედაპირიდან უკვე 1,20-1,50 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა 3 ნატეხი მოყვითანო თხელკედლიანი, გარედან გალესილი თიხის ჭურჭლისა, რომელიც, როგორც ეს სასახლის სენაკის განათხარმა გვიჩვენა, XII-XIII ს-ის ინვენტარის ნაშთი უნდა იყოს. აქვე, ამავე სიღრმეზე ნაპოვნი იყო შავი მინის სამაჯურის ნატეხი, კარგი ნახელავი.

აღსანიშნავია, რომ 1,80 მ-ის სიღრმის შემდეგ შურფში აღარაფერი აღარ ამოდიოდა, მაგრამ 2,30 მ-ის სიღრმეზე, ზედ კლდოვან გრუნტზე, მოულოდნელად ისევ ნაცრის გროვა შეგვხვდა, რომელშიც სადღრის ერთი ნატეხიც ეგდო. კლდეში აქ აღმოჩნდა თავთხელი ფოსო, დიამეტრით 0,50 მ-ისა, ეტყობა ხელოვნურად ამოღებული, რომელიც ამოვსებული იყო 5 სანტიმეტრის სისქის ნაცრის ფენით.

სასახლის სენაკის (გეგმა III) კედლები ნაგებია მქისედ ჩამოტეხილი, მეტ-ნაკლებად ბრტყელი, საშუალო ზომისა და პატარა ქვებით ძალიან სუსტი შემადგენლობის ქვიტკირზე, რომელსაც ბლომად ურევია მიწა და ამიტომ სულ ადვილად იფხვნება. კედლები და განსაკუთრებით კიდევ ტიხრები იმდენად ბოშია, ისე ადვილად ირღვევა, რომ გათხრის დროს მათი სახე ჩვენდა უნებურად, წამდაუწუმ იცვლებოდა. წყობა გამტანისია, მასში დაცულია ერთგვარი თარაზულობა, რადგან ეს საჭირო იყო კამარის ასაყვანად. კამარა გადავლებული იყო აგურის წყობის წესით, ე. წ. წარმოზიდვით: ქვების მწკრივები თანდათან იყო წინ გამოშვერილი, რათა ბოლოს კამარა შეკრულიყო. გადახურვა ახლა სრულებით ჩაქცეულია, მაგრამ ზოგ ადგილას კარგადაა შენახული კამარის ძირა ნაწილი.

ყველა ნიშნით, ოთახი ძალიან დაბალი უნდა ყოფილიყო (შდრ. გეგმა III განაკვეთები). W-კუთხეში კამარის გადავლება პირდაპირ გრუნტიდან დაუწყიათ, იგი იმდენად მაღლა ვერც კი ავიდოდა, რომ კაცი მის ქვეშ თავისუფლად გამართულიყო. სენაკის SW-ნაწილში კედლები ეხლა შენახულია max. 1,83 მ-ის სიმაღლეზე გრუნტიდან, ხოლო მაგ., W-კუთხესთან ეს სიმაღლე არ აღემეტება 0,80-0,90 მ-ს. NO-ნაწილში კედლები უფრო მაღალია, ისინი აქ დაცულია 2,35-2,50 მ-ის სიმაღლეზე გრუნტიდან. კამარა ყველგან მაინც ძალიან დაბლა იწყება: ზოგან, როგორც აღვნიშნე, პირდაპირ გრუნტიდან, უმეტეს შემთხვევაში კი 1,00-1,50 მ-ის სიმაღლეზე.

კედლების სისქე სხვადასხვანაირია: NW-კედელი, რომელსაც საყრდენად მარნის SO-კედელი ჰქონდა, დაახლ. 0,30-0,60 მ-ის სისქისაა. SO-კედელი-კი, რომელსაც საყრდენი არ ჰქონია, 1,00-1,20 მ-ის სისქეს აღწევს. წალოდან SW-ით, ვიდრე საყრდენ კედლამდე, სენაკის SO-კედელი კიდევ უფრო სქელია – 2,00 მ-მდე, ხოლო წალოდან NO-ით, ვიდრე სასახლის მარნის კარამდე, ამ კედელსა და სახლის NW-კედელს შორის, 0,60 მ-ის სისქეზე ჭყორდულაბია ჩასხმული. კედლის დიდი სისქე აიხსნება იმით, რომ მას კამარა უნდა დაეჭირა, იმ დროს როდესაც თვითონ წყობა ძალიან სუსტი იყო. ძნელია იმის თქმა, თუ NO-ნაწილში რატომ ამოიყვანეს ჯერ ბეტონის წყობა, და მერმე ზედ მიადგეს კედელი, რატომ აქაც მთლიანად კედლის, წყობა არ აუგიათ, როგორც ეს SW-ნაწილშია გაკეთებული. ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ ბეტონიც საყრდენის როლს თამაშობდა და კედელს ამაგრებდა უკნიდან.

კედლები ზედ კლდეზე დგას, გრუნტის რელიეფს მისდევს და საძირკველი არ გამოირჩევა კედლის საერთო წყობაში. ზღვე არ ჩანს[1]. პირიქით, კამარიანი წყობის დაწყება პირდაპირ გრუნტიდან (W-კუთხესთან) იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ ზღვედ გამოყენებული იყო თვით კლდე თავისი უსწორმასწორო ზედაპირით, რომელზედაც ეგებ მიწის თხელი ფენა იყო მოყრილი. სახელდობრ, იმის გარდა, რომ კლდის რელიეფი ძლიერად და ორ ადგილას პირდაპირ ხარისხებრივ არის დაქანებული NO-ისაკენ, მისი ზედაპირი ძალიან ხაბოიანია. საფიქრებელია, რომ ეს ხაბოები ასე თუ ისე მოსწორებული იქნებოდა მიწით.

სენაკი გადატიხრული იყო სამად ორი გარდიგარდმო ტიხრის საშუალებით. ეს ტიხრები, ნაგები უფრო მსხვილი ნაგლეჯი ქვით ისეთსავე სუსტ ქვიტკირზე, როგორც კედლები, ძლივსლა არის დაცული. SW-ტიხარს შემოუნახავს რამდენიმე წყება ქვა (სულ 80-ოდე სანტიმეტრის სიმაღლისა) სენაკის SO- და NW-კედლების ძირას. SO-კედლიდან ტიხრის წყობა, რომელიც კედელთან აქ კონსტრუქციულად არის დაკავშირებული, წარმოზიდულია სულ 0,35 მ-ით, NW-კედლიდან კი (აქ კონსტრუქციულ კავშირი კედელსა და ტიხარს შორის არა ჩანს, ეს უკანასკნელი უბრალოდ მიდგმულია კედელზე) – 0,90 მ-ით. ტიხრის ამ ორ ნაწილს შორის, 1,70 მ-ის სიგანის ხორშია, რომელზედაც ტიხრის კვალი არ აღმოჩნდა. უეჭველია, ის იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში, წყობის სისუსტის გამო, ძირიანად მონგრეულა, სად ჰქონდა ამ ტიხარს შესავალი, არა ჩანს.

NO-ტიხარი უკეთაა დაცული: NW-კედელთან მისი წყობა შენახულია 1,80 მ-ის სიმაღლეზე; მისი SO-ნაწილი წარმოზიდულია სენაკის კედლიდან 0,70 მ-ით, NW-ნაწილი კი – 2,00 მ-ით. ეს ორივე წყობა კონსტრუქციულად დაკავშირებულია თავ-თავის კედლებთან. ამ ორ ნაწილს შორის 0,80 მ-ის ხორშია და, როგორც ეტყობა, აქ უნდა ყოფილიყო შესავალი: სახელდობრ, ტიხრის SO ნაწილს NO-დან უმეშვეოდ აკრავს, სენაკის კედელთან აგრეთვე კონსტრუქციულად დაკავშირებული წყობა, რომელიც გრუნტიდან 1,60 მ-ის სიმაღლეზე ადის და ზემოთკენ თაღადაა გადახრილი NW-ისაკენ. ეს წყობა ზევით სულ 0,70 მ-ითაა წარმოზიდული სენაკის კედლიდან, მაგრამ მისი მკაფიო გადახრილობა გვაგულვებინებს აქ კარს, რომელიც თაღით იყო გადახურული. ტიხრის სისქე ნამდვილად არ ირკვევა, რადგან წყობა მეტად დაშლილია: დაახლ. იგი 0,80 მ უნდა ყოფილიყო.

SW-ტიხარი უმეშვეოდ კლდოვან გრუნტზეა დაგებული, NO-ტიხარი კი, ყოველ შემთხვევაში მისი NW-ნაწილი (SO-ით სურათი წაშლილია), ნაშალზე, სახელდობრ 0,30 მ-ის სისქის XII-XIII ს-ის კულტურულ ფენაზე დგას, რაც თავისთავად მეტად საინტერესო და ამ ნაგებობის ისტორიისათვის მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს.

უმეშვეოდ NO-ტიხრის უკან, ე. ი. SW-ით, სენაკის ორსავ კედელზე დაბალი და ვიწრო პილასტრებისებური წყობაა ამოშენებული. ამ პილასტრებზე, ალბათ, სართავი თაღი იყო დაყრდნობილი, რომელსაც კამარა ეჭირა. SO-პილასტრის სიგანე უდრის 1,00 მ-ს, 1,50 მ-ის სიმაღლეზეა ამოყვანილი გრუნტიდან და 11 სანტიმეტრითაა წარმოზიდული კედლიდან. NW-პილასტრის სიგანე 1,20 მ-ია, იგიც 1,50 მ-ის სიმაღლისაა და 16,5 სანტიმეტრითაა წარმოზიდული კედლიდან. პილასტრები ისევეა ნაგები, როგორც თვით კედლები.

ამგვარად, ისედაც ვიწრო, პატარა სენაკი, რომლის სიგრძე მხოლოდ 9,5 მ-ს აღწევს, ხოლო სიგანე არ აღემატება 5,5 მ-ს NO-ნაწილში, SW-ნაწილში კი 2,5 მ-საც არ

[1] ქვიტკირიანი ფენის შესახებ NO-ნაწილში, რომელიც შესაძლოა ზღვის ნაშთი იყოს ნ. ქვემოთ.

შეადგენს, დაყოფილი იყო სამ მინიატურულ სადგომად, რომელთაგან შუასადგომის სიგრძე (სენაკის კედლებს შორის) 3,30 მ-ს, სიგანე კი (ორ ტიხარს შორის) 3,20 მ-ს შეადგენდა, SW-სადგომის სიგრძე (სენაკის კედლებს შორის) 2,80 მ იყო, სიგანე კი (ტიხარსა და საყრდენ კედელს შორის) 1,40 მ-ს არ აღემატებოდა (NW-ნაწილში). და ბოლოს, NO-სადგომის სიგრძე-სიგანე 5,00 მ-სა და 3,20 მ-ს შორის მერყეობდა. ამასთან, როგორც თვით სენაკი მთლიანად, ისე მისი განყოფილებები მეტისმეტად უსწორმაწორი მოყვანილობისა იყო – SW-საკენ უფრო ვიწრო და დაბალი, NO-საკენ უფრო ფართო და მაღალი.

სენაკის კედლებში ორი ნალოა ჩაშენებული. ერთი, NW-კედელში, უკანა, SW-ის განყოფილებაზე მოდიოდა. აქ ნალო მიღებული იყო იმ საშუალებით, რომ სენაკის კედლის მარნის კედელზე მიდგმისას, 0,70 მ-ის სიგანის ხორში დაუტოვებიათ. ამგვარად, ნალოს სიღრმე უდრის სენაკის კედლის სისქეს ამ ადგილას (0,45 მ) და ზურგად მას მარნის კედელი აქვს. ამ კედელში ჩაშენებულია დაუმუშავებელი ლოდი, რომელიც ნალოს ძირში ზედ კლდეზე დევს, კედლიდან წარმოზიდულია 12 სანტიმეტრით და, ალბათ, დაბგის როლს თამაშობდა. ნალო პირთამდე სავსე დაგხვდა XII-XIII ს-ის ინვენტარის შემცველი მიწის თუ დამიწებული ნაცრის ფენით. ამიტომ, თავდაპირველად, იგი ბუხრად მივიჩნიეთ, მაგრამ არავითარი ნიშნები ბუხრისა – არც საკვამლე, არც ნაცეცხლარი – მას არ ეტყობა.

მეორე სწორკუთხოვანი, უფრო ღრმა ნალო ჩაშენებულია სენაკის SO-კედელში და შუა განყოფილებაზე მოდის. მისი სიგანე დაახლ. 0,80 მ-ს შეადგენს. სიღრმეც დაახლოებით შეიძლება 1,20 მ-მდე ვივარაუდოთ. ნალოს ძირი ქვიტკირით მოსხმული უშვერი ლოდებითაა დაფენილი და მხოლოდ წინა ნაწილში დევს რამდენიმე მქისედ დამუშავებული ქვა, რომლებიც ორ საფეხურადაა დაგებული. ნალოს SW-კედელი ორი მკვეთრად განსხვავებული ნაწილისაგან შედგება: წინა ნაწილი სენაკის კედლების წყობითაა აყვანილი, უკანა ნაწილი კი კარგად თლილ კვადრებს გვიჩვენებს. ეს წყობა ცხადლივ სენაკისეული არაა. ნალოს NO-კედელი კი მთელ სიღრმეზე სენაკისეული წყობითაა აყვანილი და ეს წყობა გათხრისას ჩვენდა უნებურად ჩამოიშალა. ამიტომ, ნალოს სიგანის გამორკვევა მხოლოდ დაახლოებით შეიძლება. ნალოს ზურგი ჭყორდულაბით იყოს ამოყვანილი და ამასთან ბეტონი ამ ადგილას მეტად დაშლილი დაგვხვდა. აქაც გათხრის დროს წყობა ირღვეოდა. ამიტომ, ნალოს სიღრმეც მხოლოდ დაახლოებით გამოიანგარიშება, სენაკის SO-კედლის სისქისდა მიხედვით.

შუაგანყოფილების ნალოდან სამი ზემოაღნიშნული მიმართულებით ჩატარებული ზონდაჟისა და ყველა კედლის ზედაპირის კარგად გადაწმენდის შედეგად შემდეგი სურათი მივიღეთ (გეგმა III): სენაკის SO-კედელი ნალოს NO-ით სასახლის ძველს NW-კედელზე დგას, ნალოს SW-ით სენაკის კედლის წინა ნაწილი მიდგმულია სასახლის ძველს SW-კედელზე და თლილი ქვების პილასტრზე, ხოლო უკანა ნაწილი დადგმული იყო სასახლის ძველ SW-კედელზე. მთელს ამ სისქეზე რომელიც 2,00 მ-ს აღწევდა, სენაკის კედელი წაყვანილი იყო SW-ისაკენ ვიდრე საყრდენ კედლამდე, რომელსაც ის ებჯინებოდა[1]. NO-ის მიმართულებით კი სენაკის კედელი, ნალოდან 2,50 მ-ის მანძილზე წყდება. სენაკის NO-განყოფილება უცებ ფართოვდება და მის SO-კედლად გამოყენებულია თვითონ სასახლის ძველი კედელი. მისი წყობა კარგია, წესიერი და მასში ურე-

[1] ნახაზზე სასახლის ძველი SW-კედელის საჩვენებლად, მოცემულია ის სურათი, რომელიც მივიღეთ მასზე დადგმული სენაკის SO-კედლის უკანა ნაწილის აღების შემდეგ.

ვია თლილი ქვაც (შდრ. გეგმა III, განაკვ, A–B), მაგრამ ქვიტკირი აქაც სუსტია და წყობა ადვილად იშლება. მისი სისქე 1,30 მ-ს აღწევს. სენაკის SO-კედლის აღების შემდეგ გამოირკვა, რომ მის ქვეშ სასახლის ძველი კედლის საძირკველი თითქმის სულ ერთიანად დარღვეული ყოფილა – ძლივსღა მისი ნაკვალევი განირჩეოდა. მაგრამ მაინც საფიქრელია, რომ წალოს ძირი, საფეხურებივით წყობილი ქვებითურთ, ნაგები გაცილებით უფრო მტკიცედ ვიდრე სენაკის კედლები, მთელ სიგანეზე აგრეთვე სასახლის კედლის ნაშთს უნდა წარმოადგენდეს.

სენაკის NO-განყოფილებაში სასახლის ძველ კედელთან, რომელიც საკმაოდ ღრმად ყოფილა ჩადგმული გრუნტში და ამჟამად max. 2,70 მ-ის სიმაღლითაა დაცული, ზედ ოდესღაც მიდგმული თაღის ნაშთები აღმოჩნდა, სახელდობრ, ორი თაღის ქვა, რომელთაგან ერთი სენაკის SO-კედელში იყო ჩაშენებული, მაგრამ მხოლოდ ზურგით იყო ზედ მიდუღაბებული, მეორე კი სენაკის NO-კედელზე იყო მიყრდნობილი უდუღაბოდ. ორსავ ქვას ხარისხებიც აღმოაჩნდა. SW-ის თაღის ქვის ხარისხი უბრალო ბრტყელ ქვას წარმოადგენს და გრუნტზე დევს უქვიტკიროდ; NO-ის თაღის ქვის ხარისხი კი საუცხოოდ თლილი ქვა გამოდგა, დაბალფიტონიანი და ქვემოდან მომრგვალებული. იგი ნამდვილად სასახლის ერთ-ერთ სვეტისთავს წარმოადგენს, რომელიც შემდეგ ამგვარად გამოუყენებიათ. არც ისაა დაკავშირებული ქვიტკირით არც თაღის ქვასთან და არც სენაკის NO-კედლის საძირკველთან, რომელზედაც იგი დევს. ამ თაღს უეჭველია, ოდესღაც სენაკის კამარა ეჭირა, მაგრამ შესაძლებელია იგი აქ უფრო გვიან, მერმინდელი შეკეთების დროს იყოს ჩადგმული.

სენაკის NO-კედელი 1,10 მ-ის სისქისა გამოდგა, იგი გრუნტშია ჩადგმული საკმაოდ ღრმად და რადგან გრუნტი ამ ადგილას მკვეთრად ეშვება NO-ისაკენ, გარედან ნაკედლარი ბევრად უფრო მაღალია ვიდრე შიგნიდან. სახელდობრ, სენაკის შიგნით მისი სიმაღლე ახლა არ აღემატება 1,70 მ-ს (საძირკვლითურთ), გარედან კი იგი აღწევს 3,10 მ-ის სიმაღლეს. იგი ნაგებია ორპირად: შიდაპირი ნაგლეჯი ქვებისა და ნაწილობრივ მქისედ თლილი საშუალო ზომის ფილაქნებითაა წყობილი, გარეპირი კი – ზღუდისეული მსხვილი ქვებით ქვიტკირზე. მართლაც, არავითარი ეჭვის მიტანა არ შეიძლებოდა იმაზე, რომ ამ კედლის ასაგებად ზღუდის ქვები გამოუყენებიათ. აღნიშნულ ორ პირს შორის ჩასხმულია ჭყორდღაბი. ეს კედელი მიდგმულია სასახლის NW-კედელზე. NW-ით იგი გადასცდება სასახლის სენაკს და მე-3 სენაკსაც ჰფარგლავს NO-დან, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ორივე სენაკი ერთდროულად არის აშენებული.

სასახლის მარნის კარიდან SW-ით, ვიდრე თლილი ქვის პილასტრამდე, სასახლის ძველსა და ახალ NW-კედლებს შორის 15-30 სანტიმეტრის სიგანის ხანი რჩება, რომელიც ბეტონითაა ამოვსებული. სენაკის SO-კედელსა და სასახლის ახალ NW-კედელს შორის, როგორც უკვე აღვნიშნე, ბეტონი იყო ჩასხმული და ეს ბეტონი ჰფარავდა როგორც სასახლის ძველ კედელს, ისე ზემოხსენებულ ხანსაც. სასახლის ახალი NW-კედელი ერთი პირი ქვებისაგან ამოყვანილი აღმოჩნდა უქვიტკიროდ.

ასევეა ნაგები სასახლის ახალი SW-კედელიც. ამ კედლის უკან 0,60 მ-ის სიგანეზე ბუტია ჩაყრილი მშრალად და ამ ბუტის ძგიდის უკან აღმოჩნდა სასახლის ძველი SW-კედელი, რომელიც თავისი წყობით მოგვაგონებს სასახლის მარნის SO-კედელს. ამ კედლის სისქე=0,80 მ-ს. იგი ახლა 2,25 მ-ის სიმაღლეზეა დაცული (საძირკვლითურთ) და კლდოვან გრუნტზე დგას. პირველი თხრილის საფიქსაციო ბაზიდან ამ კედლის ზედაპირი 1,65 მ-ის სიღრმეზე გამოჩნდა, ამ კედელსა და საყრდენ კედელს შორისი, 0,80 მ-ის სიგანის მანძილი ამოვსებულია ბეტონით (ჭყორდღაბით), რომელიც ძველ კედელს ზემოდანაც ჰფარავდა და საყრდენი კედლის დაცულ ნაშთზე უფრო მაღლა

ადიოდა 20-ოდე სანტიმეტრით. როგორც ამ ბეტონის, ისე სასახლის ძველი SW-კედლის ქვიტკირიც ძალიან სუსტია და სულ ადვილად იფხვნება.

ძველ კედელს W-კუთხის ახლოს თლილი კვადრებით მოპირკეთებული კუთხოვანი პილასტრი ჰქონია (ნ. გეგმა III, განაკვეთი G-H), რომლის აწინდელი ზედაპირი, პირველი თხრილის საფიქსაციო ხაზიდან 1,15 მ-ის სიღრმეზე მოდის, რომლის სიგანე 1,20 მ-ს უდრის და რომელიც 0,40 მ-ითაა წარმოზიდული კედლის წყობიდან. იგი ამჟამად დაცულია მხოლოდ 2,20 მ-ის სიმაღლეზე (ხარისხითურთ). სახელდობრ, პილასტრს ხარისხიც აღმოაჩნდა – ერთი თლილი კვადრი, რომელიც ძირითადი წყობიდან 0,15 მ-ითაა გამოშვერილი NO-ისაკენ და რომლის სისქე 0,20 მ-ს უდრის. ეს ქვა აღმოჩნდა პილასტრის O-კუთხესთან. არ ჩანს, რომ ასეთი ხარისხი პილასტრს მთელ სიგრძეზე ჰქონოდეს. რა დანიშნულება ჰქონდა ამ პილასტრს, ძნელი სათქმელია. შესაძლებელია, ამ ადგილას სასახლეს ძველად კარი ჰქონია, თუმცა არავითარი გერში კარისა არსად არ გვიპოვია. მეორე მხრით, აქ შეიძლება აგრეთვე თახჩაც ყოფილიყო. გათხრამ აღმოაჩინა ნიშნები იმისა, რომ პილასტრს სასახლის მხრიდან წინ სვეტი ედგა და რომ მის პირდაპირ NO-ით კიდევ ერთი, ალბათ, ასეთივე პილასტრი უნდა ყოფილიყო.

როდესაც სენაკის წალოს უკან მდებარე მშრალი ბუტის ჩათხრა დავიწყეთ ზონდაჟის სახით, თითქმის ზედ ბუტის ზედაპირზე აღმოჩნდა 0,46 მ-ის სიმაღლის თლილი ქვა, რომელიც განივ განავკვეთში ხუთწახნაგოვანი მოყვანილობისაა მომრგვალებული კუთხეებით (მისი მაქსიმალური სიგრძე არ აღემატება 0,39 მ-ს, სიგანე კი – 0,35 მ-ს.) იგი უნდა წარმოადგენდეს სვეტის ფრაგმენტს. ბუტის ფენაში იგი სრულებით დაუკავშირებლად ეგდო და ცხადლივ შემთხვევით იყო მოხვედრილი. ამ ბუტში, 1,00 მ-ის სიღრმეზე ვნახეთ 3 სხვა ასეთივე ფრაგმენტი, აგრეთვე, შემთხვევით შიგ ჩაგდებული. ამ ფრაგმენტთაგან ერთის სიმაღლე 0,39 მ-ს შეადგენს, ორი კი უფრო მცირეა და თან გვერდებჩამოტეხილი. შემდეგშიც, სასახლის SW-კედლის გაწმენდისას კიდევ აღმოჩნდა ასეთივე ხასიათის რამდენიმე ფრაგმენტი. მეორე მხრით პილასტრის ძირას შვიდიოდე სანტიმეტრით უფრო ზემოთ ვიდრე პილატრის ხარისხია დაგებული, აღმოჩნდა თლილი ბრტყელი ქვა, რომელიც ყველა ნიშნით სვეტის ხარისხს უნდა წარმოადგენდეს (ნ. გეგმა III, განაკვეთი G-H). ამ ქვის სიგრძე 0,58 მ-ია, სიგანე –0, 53 მ. სისქე – 0,14 მ, იგი ოთხკუთხი მოყვანილობისაა, მაგრამ წინა (გამოშვერილი) პირის კუთხეები მომრგვალებული აქვს. სწორედ ისე, როგორც ეს სვეტის ხარისხს შეეფერებოდა. ეს ქვა შედის პილასტრის ქვეშ 0,13 მ-ით და აქ ემთხვევა პილასტრის ხარისხის ქვას. პილასტრის წყობიდან იგი გამოშვერილია SO-ისაკენ 0,40 მ-ით და ცხადლივ გვიჩვენებს, რომ პილასტრის წინ აქ სვეტი იდგა. რამდენიმე სანტიმეტრით ეს ქვა შესულია SW-კედლის ქვეშაც. მის ქვემოთ იწყება უკვე საძირკვლის წყობა: ჯერ თხელი ბრტყელი ქვები, მერმე დიდი მომრგვალო, დაუმუშავებელი ქვა, მერმე ერთი წყება სულ წვრილი ქვებისა – ყველაფერი შეკრული ქვითკირით. საფიქრებელია, რომ ზემოხსენებული სვეტის ქვები სწორედ იმ სვეტის ნაშთებია, რომელიც აღნიშნულ ხარისხზე იდგა SW-კედლის პილასტრის წინ SO-დან.

პილასტრის ძირასვე, მისი ხარისხის ხაზზე ვიპოვეთ მეორე თითქმის სრულებით ისეთივე მოყვანილობის ქვა, როგორც ზემოაღწერილი სვეტის ხარისხი. მართალია, იგი უფრო სქელია (0,195 მ), სიგრძე-სიგანითაც ცოტათი განსხვადება (0,48×0,47 მ), მაგრამ მოყვანილობის მიხედვით, ეჭვს გარეშეა, რომ იგი პირველი ქვის წყვილს უნდა წარმოადგენდეს. სხვათა შორის, საინტერესოა, რომ ორივე ქვის ქანი ერთია, მაშასადამე, აქ, სადღაც მეორე სვეტი მდგარა, ალბათ, ისეთივე მრგვალი პილასტრის წინ. ეს ქვა რამდენიმე სანტიმეტრის სიღრმის უსწოროდ მრგვალი მოყვანილობის, ქვიტკირით

მოსხმულ ფოსოში იდო, რომელთანაც იგი არ იყო დუღაბით დაკავშირებული. ძნელი სათქმელია, განგებ ყოფილა ეს ქვა ოდესღაც ჩადგმული ამ ფოსოში, თუ ეს უკანასკნელი შემთხვევით თავისთავად შეიქმნა ქვის დაწოლის გამო. (იგი, როგორც აღვნიშნე, სულ 4-5 სანტიმეტრის სიღრმისაა), ეს კი ცხადია, რომ თავდაპირველად ეს ქვა აქ არ მდგარა. იგი თითქმის ზედ ეკრა პილასტრის ხარისხს NO-დან. რა თქმა უნდა, პილასტრსა და პილასტრს შორის რამოდენიმე ათეული სანტიმეტრის მანძილი მაინც იქნებოდა დატოვებული, მაგრამ ახლა შეუძლებელია გამორკვევა იმისა, თუ ნიშანდობლივ სად უნდა მდგარიყო მეორე პილასტრი, რადგან ამ ერთი ქვის გარდა სხვა არავითარი გერში არ გვიპოვია. შესაძლებელია, აქ ოდესღაც აგებული კარის თუ თახჩის სიგანეზე მიახლოებით მაინც მიგვითითებდეს მერმინდელი სენაკის წალოს სიგანე, რომელიც, სხვებრ, როგორც აღინიშნა, თვითონაც საკმაოდ გაურკვეველია.

ახლა, რომ დავუბრუნდეთ სენაკის კედლების მიმართებას დანარჩენ მის გარშემო მდებარე ნაგებობათა კედლებთან, ჩვენ შეგვიძლია შემდეგი, ყველა ამ შენობათა შეფარდებითი ქრონოლოგიისათვის მნიშვნელოვანი დასკვნები გავაკეთოთ:

სენაკის NW-მხარეზე, ე. ი. მარნის მხარეზე გათხრამ სამი ზედი-ზედი პლასტი დაადგინა: უძველესი საყრდენი კედელი, შემდეგ მოდის მასზე მიდგმული მარნის SO-კედელი. ამ კედელზე უდავოდ მერმინდელია მასზე მიბჯენილი NW-კედელი სენაკისა.

SO-მხარეზე, ე. ი. სასახლის მხარეზე სურათი ასეთია: აქაც უძველესად საყრდენი კედელი გვევლინება. შემდეგ აუშენებიათ სასახლე და ხანი მის SW-კედელსა და საყრდენ კედელს შორის ამოუვსიათ ბეტონით. სასახლის ნანგრევად ქცევის შემდეგ, NW-კედელზე და ნაწილობრივ, SW-კედელზეც დაუდგამთ სენაკის SO-კედელი. ამ დროს უნდა იყოს ბეტონი ჩასხმული ამ კედლის უკანაც, წალოდან მოკიდებული NO-საკენ. უკვე სენაკის გაუქმების შემდეგ უნდა იყოს ხელმეორედ ამოყვანილი სასახლის მარნის SW და NW-კედლები, ყორული წყობით, ერთპირი ქვით. მაშინაა ამოვსებული ბუტით სასახლის ახალსა და ძველ SW-კედლებს შორისი ხანი. რომ სენაკი ამ დროს უკვე გაუქმებული იყო, ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ ამ კარის ზღურბლი, თითქმის ზედ სასახლის ძველი NW-ნაკედლარის დონეზე მოდიოდა, სასახლის მარანში შესასვლელად ზედ ამ ნაკედლარზე დადიოდნენ. აქედან NW-ით, როგორც აღვნიშნე, ვიწრო ბილიკი მიჰყვება ფერდობს ზღუდის NW-ჭიშკრისაკენ. უეჭველია, მერმინდელ ხანაში ამ ბილიკით სარგებლობდნენ სასახლის მარანში შესავლელად. SO-მხარეზე, მაშასადამე, 4 პლასტი ჩანს და მათგან ყველაზე უფრო მოგვიანოა სასახლის ახალი კედლები

აბსოლუტური ქრონოლოგიისათვის საყრდენი წერტილის მისაღებად უნდა მივმართოთ განათხარ ინვენტარს, რომლის განხილვაზეც ჩვენ ახლა გადავდივართ.

თითქმის მთელი განათხარი ინვენტარი სენაკის შიგნითაა ნაპოვნი, პირველსა და მეორე თხრილებში. სენაკმა ფენათა საინტერესო განლაგება მოგვცა (გეგმა III, განაკვეთი A-B). აქ მკვეთრად განსხვავდება ერთი მეორეში ორი კულტურული ფენა, რომელთაგან ნაშალის უდიდესი ნაწილი ზედაფენას ეჭირა, რომლის ქვეშაც კლდოვან გრუნტზე მდებარე აღმოჩნდა კარგად დათარიღებული XII-XIII ს-ის ფენა. ზედაფენის ზემოდან მცენარეული ფენა იდო, სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა სისქისა (0,20 მ-დან=0,50 მ-მდე).

XII-XIII ს-ის ფენა, ნიადაგის რელიეფისდა მიხედვით, სხვადასხვა სიღრმეზე ჩნდებოდა კულტურული ზედაფენის ქვეშ: პირველი თხრილის სიღრმეთა საფიქსაციო ხაზიდან რომ ვიანგარიშოთ, საყრდენ კედელთან იგი 2,25 მ-ის სიღრმეზე გამოჩნდა, სენაკის შუასადგომის წალოს ხაზზე – 2,70 მ-ის სიღრმეზე (ნიადაგის ზედაპირიდან კი მხოლოდ 1,95 მ-ის სიღრმეზე), მეორე თხრილის SW-ნაწილში – 3,65 მ-ის სიღრმეზე და ა.

შ. მაგრამ ყველგან იგი ისე აშკარად განსხვავდებოდა ზედაფენაში, რომ მისი მიჯნის შეუმჩნევლობა შეუძლებელი იყო. შეიძლება ითქვას, რომ ეს ფენა ძირს ეფინა სენაკს მთელ სიგრძე-სიგანეზე, მხოლოდ სენაკის SW-განყოფილებაში, NW-კედლის ახლოს იგი ერთ ადგილას, სახელდობრ, ტიხრისაკენ წყდებოდა (1,00 მ-ის სიგრძეზე), მაგრამ ტიხარს იქით, ე. ი. შუაგანყოფილებაში კვლავ ჩნდებოდა. იგი შესული იყო რამდენიმე სანტიმეტრის სიღრმეზე საყრდენი კედლის საძირკვლის კილოებშიც.

კულტურული ზედაფენა შედგებოდა, უმთავრესად, წვრილი ღორღისა ან მსხვილი უფორმო ქვებისა და მიწისგან, რომელსაც ქვიტკირის ნაშალი ერია. აქ გვხვდებოდა აუარებელი ნატეხები მოჭიქული და მოუჭიქავი ბრტყელი ქიმებიანი და კურტნიანი კრამიტისა, თიხის ფილების, აგურის, მცირედ სადა წითელი თიხის ჭურჭლის ნატეხები და სულ სამი-ოთხი ნატეხი ანგობიანი ქაშანური ჭურჭლისა. გარდა ამისა, მცირე რაოდენობით შეგვხდა მსხვილფეხა საქონლის, ცხვრისა, და ღორის ძვალიც. ეყარა ამ სქელ ნაშალში რამდენიმე თლილი ქვაც. საინტერესოა, რომ კრამიტი ძალიან მრავალფეროვანია: ბრტყელი ქიმებიანი წითელი და ლეგა თიხისა და მოჭიქული ზოგი მწვანედ, ზოგი სოსნად და ზოგიც ყვითლად; კურტნიანი კრამიტიც წითელი და მოყვითანო თიხისაა ან მოჭიქულია სამი აღნიშნული ფერის მინარით.

XII-XIII ს-ის კულტურული ფენა წარმოადგენს მსუქანსა და წმინდა შავ მიწას, რომელსაც მხოლოდ ერთი-ორგან და ისიც პატარ-პატარა გროვათა სახით ურევია წვრილი ღორღი. SW-განყოფილების წალოს ძირში ეს ფენა არეული იყო დამიწებულ ნაცართან, ისე რომ მისი გამოყოფა აქ ზუსტად არ შეიძლებოდა. დამიწებული ნაცარი, რომელსაც მრავლად ერია ქვა, პირთამდე ავსებდა წალოს (1,50 მ-ის სიმაღლეზე) და იქ, საცა სენაკის NW-კედელი საყრდენ კედელს ებჯინება, ადიოდა კიდევ უფრო მაღლა 0,30 მ-ით, ე. ი. NW-კედლის ზემოდან ეყარა. აქ იგი ერთ ადგილას საყრდენი კედლის ღრმა კილოშიც თუ ამონატეხშიც იყო შესული 0,10-0,15 მ-ის სისქის ფენით, 0,20 მ-ის სიღრმეზე. როგორც ვნახეთ, დამიწებული ნაცარი ისეთსავე ინვენტარს შეიცავდა, როგორც XII-XIII ს-ის ფენა. ეს უკანასკნელი სხვადასხვა სისქისა იყო: 0,20-0,30 მ-დან მოყოლებული (პირველ თხრილში) 0,30-0,50 მ-მდე (მე-2 თხრილში). სისქეთა ეს განსხვავება ნიადაგის რელიეფით აიხსნება: 1-ლ თხრილში, ე. ი. სენაკის SW-ნახევარში ნიადაგი გაცილებით უფრო დაქანებულია, ვიდრე NO-ნახევარში, საითკენაც მიწა დაცურებულა, ან წყალს ჩაუტანია და უფრო სქელ ფენად დაუდვია.

სენაკის ფართობის უდიდეს ნაწილში XII-XIII სს-ის კულტურული ფენა უმეშვეოდ კლდოვან გრუნტზე იდო. მხოლოდ მე-2 თხრილის NO-ნახევარში (უფრო ზუსტად, NO-ტიხრის NO-ით) მის ქვეშ აღმოჩნდა ქვიტკირიანი ფენა (სურ. 32), რომელიც წვრილი ნაგლეჯი ქვების, დულაბის კოშტი წვრილი ნაჭრების, დაფხვნილი ქვიტკირისა და მიწისაგან შედგება და რომლის სისქე სადგომის სხვადასხვა ადგილას მერყეობს 0,25 –დან 0,40-მდე. მართალია, ეს ფენა ახლა სრულებით დაშლილია, ბოშია, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ იგი, სენაკის მთელ NO-განყოფილებაზე ვრცელდება, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ იგი ზღვის ნაშთი უნდა იყოს. აღსანიშნავია, რომ ეს ფენა SW-საკენ 0,20 მ-ით უფრო მაღალ დონეზე იწყება, ვიდრე NO-ისაკენ, რაც აგრეთვე კლდოვანი გრუნტის რელიეფის ბრალი უნდა იყოს. იგი არაფერს არ შეიცავდა, გარდა რამდენიმე უმნიშვნელო კერამიკული ნატეხისა, რომლებიც უთუოდ XII-XIII ს-ის ფენიდან მოხვდა შიგ.

XII-XII სს-ის კულტურულმა ფენამ შედარებით მდიდარი და მრავალფეროვანი წვრილი ინვენტარის კომპლექსი მოგცვა. რადგან ამ ფენის მნიშვნელობა იმთავითვე ცხადი შეიქნა, იგი მთლიანად გაიცხრილა, ისე რომ არც ერთი წვრილი ნივთი არ გამოგვ-



სურ. 32. სენაკი მე-2 თხრილის ჩრდ.-აღმოსავლეთი კედლის ფასადი.

პარვია. ნივთების განლაგებას, რომლებიც, უმეტეს შემთხვევაში, მეტად წვრილ ფრაგმენტებს წარმოადგენდნენ, არავითარი წესიერება არ ეტყობოდა, ჩვენ საქმე გვქონდა ძველ ნაგავთან, რომელშიც ყველაფერი ერთმანეთში არეული იყო, ამიტომ, თუმცა ჩვენ ყოველი ნივთის ადგილმდებარეობის ზუსტ რეგისტრაციას ვაწარმოებდით, აღწერის დროს ჩვენ შეგვიძლია ამ მოსაწყენ დეტალებს გვერდი ავუქციოთ და ინვენტარი მოკლედ მთლიანად ავწეროთ.

ორგანული ნაშთები შედგებოდა ცხვრის, ღორისა და ბატკნის ძვლებისა და კბილების და ქათმის ძვლებისაგან, რომლებიც, განსაკუთრებით, მრავლად შეგვხვდა სენაკის W-კუთხის არეში და აგრეთვე სენაკის შუა ადგილას, ცხენის ყბის ერთი ნატეხისა, კვერცხის ნაჭუჭისა (აგრეთვე, შედარებით უფრო ბლომად ზემოთ ნახსენებ ადგილებში) და ნახშირის წვრილი ნატეხებისაგან. პირველ თხრილში შეგვხვდა თხილის ნაჭუჭიც. მე-2 თხრილში, NW-კედლის ახლოს ვნახეთ ორი ნიჟარა, რომლებიც, ალბათ, სამკაულებად იხმარებოდა. ერთი ცხვრის კოჭი გახვრეტილია, სათამაშოს წარმოადგენს.

საინტერესოა ზოგიერთი ქვა: ასე, სარკმლის ზედანი, პილასტრის ნაწილი (?– უსწოროდ ნახევრად მრგვალი ქვა), თაღის ქვა, ოთხწახნაგა თავკვეთილი პირამიდის მოყვანილობის თლილი ქვა (სვეტისთავი?). ყველა ეს ქვები მე-2 თხრილში ეყარა, სრულებით დაუკავშირებლად შენობასთან, ცხადლივ შემთხვევით მოხვედრილი ამ ფენაში. ერთ ადგილას, მე-2 თხრილშივე ხელსაფქვავის ნატეხი ეგდო, შეგვხვდა აგრეთვე თეთრი ქვის მრგვალი, უშვერად ნახელავი მძივი.

სპილენძი წარმოდგენილია რამდენიმე უმნიშვნელო, დეფორმირებული ფრაგმენტით, ერთი კარგად შენახული ლურსმნით (სიგრძე 5,6 (სმ) და მონეტებით, რომლებიც ნიშანდობლივ ათარიღებენ მთელ ფენას. სულ ნაპოვნი იყო 13 მონეტა სენაკის სხვადასხვა ადგილას, მათ შორის 3 ცალი მოჭრილია გიორგი III-ის მიერ, 5 ცალი – თამარის მიერ (ამათგან 3 ც. 1186 წლისაა), 3 ცალი – გიორგი ლაშას მიერ (ამათგან 1 ც. 1210 წლისაა), 1 ცალი თამარის ან ლაშასი უნდა იყოს, არასწორი ჭედვისა, და 1 ცალიც ლაშას ფულის ყალბს წარმოადგენს. ამგვარად, ფულის ნიშნების მიხედვით სრულებით ცხადია, რომ ჩვენ საქმე გვაქვს XII-XIII ს-ის, შესაძლებელია კიდევაც უფრო ზუსტად XIII ს-ის დამდეგის კულტურულ ფენასთან.

რკინის ნივთები შედარებით უფრო ბლომადაა. მრავლად იყო ლურსმნები, ჩვეულებრივად დიდთავა და მოკლე, ზოგი უფრო მოზრდილი, ზოგი მომცრო, ეტყობა ნალისა. მართლაც, ნალის სამი ფრაგმენტიც შეგვხვდა, რომელთაგან ერთი ცხენისა ჩანს, ორი კი ვირისა უნდა იყოს. არის ერთი სადგისივით გრძელი (14 სმ) და წვრილი რკინა, ერთი კოჭაკი, ერთი პატარა სატეხი (? – დამტვრეულია სამად), დანის ორი ნატეხი (ერთი მათგანი ნაპოვნი NW-კელდის წალოში), პატარა სოლი (იმავე წალოში) და სხვა სრულებით დეფორმირებული ფრაგმენტები. შეგვხვდა იარაღიც: ერთი კარგად დაცული, სამკუთხედი მოყვანილობის, ყუნწიანი ისრის პირი; შვიდი სხვა ნატეხი თითქოს, აგრეთვე, ისრის პირებისა უნდა იყოს; ერთი ისრის პირიც (?) და გურზის (?) ტარის ნატეხი (სიგრძით 18,7 სმ, მასრიანი, სიგრძივ წიბოებიანი, მძიმე) სენაკის W--კუთხეში აღმოჩნდა ერთად, წალოს დაბგის დონეზე; აქვე იყო ნახევარსფერული მოყვანილობის, ჯამისებური, სამყურიანი, თხელკედლიანი რკინის ნივთი, რომლის დიამეტრი 17 სანტიმეტრს, ხოლო სიმაღლე 6,5 სანტიმეტრს შეადგენს და რომელიც, აგრეთვე, შეიძლება საჭურველის ნაწილი იყოს.

აქვე აღვნიშნავ. რომ მე-2 თხრილში აღმოჩნდა კვამლოვანი ობსიდიანის პატარა წვეტიანი ნატეხი, რომელიც, აგრეთვე, შეიძლება ისრის პირის ფრაგმენტიც იყოს.

ძვალი მხოლოდ ერთი უცნობი დანიშნულების ნივთითაა წარმოდგენილი: ეს არის თხელი და წვრილი ორკაპა საგანი, სიგრძით 5,5 სანტიმეტრისა, რომელიც ეგებ საქსოვად იხმარებოდა.

მინაც ბევრი არაა: უმთავრესად, ესაა მეტისმეტად წვრილი ნატეხები უფერო გამსჭვირი თხელკედლიანი ჭურჭლებისა, რომელთა მოყვანილობის აღდგენა ამ ნაშთების მიხედვით სრულებით შეუძლებელია. მხოლოდ NW-კედლის წალოში აღმოჩნდა ერთი ნატეხი ბოთლის ან ჭიქის ძირისა და ერთიც თეფშისა ანუ ლამბაქისა.

სამაგიეროდ, კერამიკა მრავალი კარგი ნიმუშითაა წარმოდგენილი და ამასთან, არა ნაკლებ ნიშანდობლივია, ვიდრე მონეტები: სახელდობრ, ნატეხების დიდი უმრავლესობა საშუალო საუკუნეების იმ ნაწარმოებს ეკუთვნის, რომელიც კარგადაა ცნობილი დმანისიდან და რომელიც იქ XI-XIII საუკუნეებით თარიღდება. გარდა მქისე წითელი თიხის ჭურჭლისა (აქ არის სადუღების, ქვევრების, თონეების, კეცებისა და სხვ. ნატეხები), სადა კერამიკა წარმოდგენილია მრავალი ნატეხით მოყვითანო სუფთა თიხის მომცრო თხელკედლიანი, ჩინებულად ნახელავი ჭურჭლებისა, რომელთაგან ზოგიერთი შიგნიდან გამობერილი ნაზი კუნუბოებითაა შემკული და რომლებმაც საშუალება მოგვცეს ერთი ჭურჭლის ნახევარზე მეტი აღგვედგინა (სურ. 33). ამ ცალყურა ჭურჭლის სიმაღლე 15,6 სანტიმეტრს შეადგენს, პირის დიამეტრი 5,5 სანტიმეტრია, მუცლისა – 9 სმ, დაბალი ქუსლის – 4,7 სმ, ყური ვიწროა და მაღალი, 1,5 სანტიმეტრით ჭურჭლის პირზე უფრო მაღლა მოდის. ჭურჭლის კედლის სისქე არ აღემატება 2 მილიმეტრს, ხოლო ზოგან (მაგ. პირის ქიმთან) უფრო თხელიცაა. კარგად გარეცხილი, შენარევებისაგან სრულებით თავისუფალი, თანაბრად და კარგად გამომწ-



სურ. 33. თიხის ხელადის ფრაგმენტი.

ვარი თიხის ზედაპირი გარედან გალესილია, ისე რომ პენი გადაჰკრავს, თითქოს ზემოდან იმავე ფერის, მაგრამ უკეთესი ხარისხის თიხა გადაუვლებიათო. ჭურჭლის გრძელი და შენეული მუცელი სიგრძივ დაღარულია ღრმა კანელურებით, ხოლო ყელი შემკულია წვეტიანი ჩხირით გავლებული ტალღოვანი და წრფელი ხაზებით, რომლებიც ყელს გარს უვლიან. პირის ქიმიც სიმეტრიულად ალაგ-ალაგ ჩაზნექილია. მთელი ჭურჭელი თავისი სუფთა მასალით, გამოწვისა და გამოჩარხვის მაღალი ტექნიკით, კოხტა მოყვანილობითა და გემოვნებით სავსე შემკულობით საუცხოო შთაბეჭდილებას ახდენს.

ქაშანური ჭურჭელი ყველა ანგობიანია. უმთავრესად ეს არის ჯამების ნატეხები. არის რამდენიმე ფრაგმენტი ნავისებური ჭრაქისაც. ეს ფორმები კარგადაა ცნობილი დმანისიდან. ორნამენტი სამი ჯურისაა: მეტი წილი ამოფხაჭნილია ანგობზე, მინარს ქვეშ (ე. წ. სგრაფიტო); მოიპოვება ნატეხები ანგობიანი მხატვრობით მინარს ქვემოთ, ან კიდევ ფერადმინარიანი მხატვრობით ანგობზე. მინარი მეტ წილად შეფერადებულია (უფრო მწვანედ ამ მოლურჯოდ). ნახმარია მინარსქვეითი ფერადებითაც. როგორც ორნამენტის ტექნიკა, ისე სახეებიც დმანისის სრულს ანალოგიას გვაძლევენ.

ფაიანსი ძალიან ცოტაა, სულ შვიდიოდ პატარა ნატეხი (მათ შორის, ერთი სპილენძის ლუსტრიანია), მაგრამ ისიც დმანისის მიხედვით თავისთავად კარგად თარიღდება.

აღსანიშნავია კიდევ ჭიქამოსხმული კირქვის ან ქარსის (კვარცის) ნატეხები, რომლებიც კარგა ბლომად გვხვდებოდა ამ ფენაში გადაფანტულად სენაკის მთელ არეზე და რომლების მსგავსი სასახლეშიც აღმოჩნდა. ამ ფრაგმენტების დანიშნულება გაუგებარია. მინა გამსჭვირია და მეტ წილად თითქოს უფერო, მაგრამ ზოგჯერ შეფერადებულიცაა ცისფრად (სპილენძის ჟანგით). კირქვის ან ქარსის ასეთ ფრაგმენტებს ყოველთვის ქვიტკირიცა აქვს მოსხმული ცალ პირზე.

გარდა ამ უეჭველი XII-XIII სს-ის ინვენტარისა, ამავე ფენაში სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა სიღრმეზე, ზოგჯერ პირდაპირ ზედ კლდოვან გრუნტზე გვხვდებოდა, მართალია მცირე რაოდენობით, სადა და მოჭიქული კრამიტები, თიხის ფილების და აგურის ნატეხები, რომლებიც არაფრით არ განსხვადებიან კულტურული ზედაფენის ნატეხებში და უთუოდ იქიდან შემთხვევით უნდა იყოს მოხვედრილი XII-XIII ს. ფენაში, ისე, როგორც ზედა ფენაში ნაპოვნი ოთხიოდე ანგობიანი ქაშანურის ნატეხი, ალბათ, უძველესი ფენიდანაა მოხვედრილი შიგ შემთხვევით.

ზემოთაც აღვნიშნე, რომ სენაკის NW-კედლის წალოში, დამიწებული ნაცრის ფენაში ნაპოვნი ინვენტარი არ განსხვავდება XII-XIII ს-ის ფენის ინვენტარში. მართლაც, აქ იგივე ორგანული ნაშთები შეგვხდა (ცხვრის და ქათმის ძვლები, კვერცხის ნაჭუჭი, ნახშირის ნატეხები), იგივე რკინის ნივთები (ლურსმნები და სხვ.), ისეთივე მინის ნატეხები, ისეთივე კერამიკა (ანგობიანი ქაშანური, 1 ფაიანსის ნატეხი, სადა ნითელი ჭურჭლის ნატეხები, კრამიტი და სხვ.) და ამასთან, არავითარი მიჯნის გავლება წალოს ზედა და ქვედა ნაწილებს შორის არ შეიძლებოდა, რადგან მიწის თუ დამიწებული ნაცრის ფენაც ყველგან ერთნაირი შემადგენლობისა იყო და ნივთებიც ზევითა და ქვევით ერთნაირი ჩნდებოდა.

რა დასკვნის გაკეთება შეიძლება ზემოაღნიშნულის მიხედვით?

პირველ ყოვლისა აღვნიშნოთ, რომ XII-XIII ს-ის კულტურული ფენა სენაკს არ ათარიღებს. შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ მისი კედლები მოგვიანოდ არის ჩადგმული ამ ფენაში. ამაზე მიგვითითებს ის ზემოთ უკვე აღნიშნული გარემოება, რომ SO-ტიხრის NW-ნაწილი, რომელიც კონსტრუქციულადაა დაკავშირებული სენაკის NW-კედელთან და მაშასადამე, მასთან ერთადაა აგებული, XII-XIII ს-ის ნაშალზე დგას. ამაზე მიგვითითებს ისიც, რომ სენაკის SO-კედლის წყობაში ჩაშენებული აღმოჩნდა, სხვათა

შორის, ისეთი ნატეხებიც, როგორიცაა 1 ნატეხი მოყვითანო თიხის თხელკედლიანი ჭურჭლისა, 1 ნატეხი ანგობიანი ქაშანური ჭურჭლისა და 1 ნატეხი მინამოსხმული კირქვისა, რომლებიც სრულებით უდავოდ XII-XIII ს-ის ფენის ინვენტარის კუთვნილებას წარმოადგენენ და აღნიშნულ კედელში მხოლოდ იმ დროს შეიძლებოდა მოხვედრილიყვნენ, როდესაც ამ კედლის დაგების მიზნით ძველი კულტურული ფენა აუშლიათ. SO-კედლის წალოს დაბგის კილოებშიც აღმოჩნდა 1 ნატეხი მწვანედ მოჭიქული ჭურჭლისა, მაგრამ უანგობო. სამაგიეროდ, ამ წალოს უკან სასახლის ძველი კედლის პილასტრის ხარისხის დონეზე ვნახეთ ანგობიანი ქაშანურის ნატეხი და სენაკის SO-კედლის უკან ჩასხმული ბეტონის ქვეშ, სასახლის ძველი NW-კედლის დონეზე, სხვათა შორის, აღმოჩნდა 3 ნატეხი ანგობიანი ქაშანურისა და 2 პატარა ნატეხი მოყვითანო თიხის თხელკედლიანი მომცრო ჭურჭლისა, რომელთაგან, ერთი კუწუბოებიანია. ეს უეჭველია ცხადყოფს, რომ აღნიშნული ბეტონიც XII-XIII ს-ზე მერმინდელია და ალბათ, სენაკის აგების დროსაა ჩასხმული.

ამგვარად, სენაკის კედლების ჩადგმისას აუშლიათ XII-XIII ს-ის ფენა, კედლები კლდეზე დაუდგამთ, მაგრამ ძველი მიწა გამოუყენებიათ სენაკის ზღვედ, რადგან, როგორც აღვნიშნე, კლდოვანი გრუნტი მეტისმეტად ხაბოიანია[1]. ძველი ფენის ინვენტარის შემადგენლობაც მაინც და მაინც არ შეეფერება სენაკს, რომელიც ბერის სადგომი უნდა ყოფილიყო. მართალია, ინვენტარი საკმაოდ მწირია, მაგრამ მასში მოიპოვება საჭურველის უეჭველი ცალები, რომლებიც ძნელი წარმოსადგენია, რომ ბერსა ჰქონოდა. ეს ინვენტარი უფრო სასახლისას უდგება, რომელიც, ზოგიერთი ფრაგმენტისა (ფრინველიანი ქაშანური ჯამის ნატეხი, ლუსტრიანია ფაიანსის ჭურჭლის ნატეხი და სხვ). და გიორგი III-ის მონეტის მიხედვით, XII ს-ით უნდა დათარიღდეს.

სასახლეზე ე. ი. XII ს-ზე, უფრო ძველია საყრდენი კედელი. ამ კედლის საძირკვლის კილოებში XII-XIII ს-ის კულტურული ფენის მიწა უეჭველია მაშინ არის მოხვედრილი, როდესაც სენაკს აგებდნენ, რომლის კედლები საყრდენ კედელზეა მიდგმული.

აუხსნელი უნდა დარჩეს, თუ როდის და რა გზით მოხვდა XII-XIII ს-ის მიწა სენაკის NW-კედლის წალოში და აგრეთვე საყრდენი კედლის კილოში მის ზემოთ. ეს გარემოება სულ ერთია გაუგებარი დარჩება, როგორც არ უნდა ვივარაუდოთ საყრდენი კედლის, ძველი კულტურული ფენის და სენაკის ერთმანეთთან დამოკიდებულება.

ძნელი სათქმელია აგრეთვე, თუ ნიშანდობლივ რომელ ხანას მიეკუთვნება კულტურული ზედა ფანა (კრამიტიანი ნაშალი), მაგრამ არა მგონია, რომ იგი XVII ს-ზე ადრინდელი იყოს.

მე-4 თხრილი SW-ისაკენ და NO-ისაკენ გავაყოლეთ იმ ნაკედლარს, რომელიც N:6 თხრილში აღმოჩნდა (ნ. ზემოთ N:2-N:6-თხრილების გათხრის ანგარიში). მალე გამოირკვა, რომ ეს ნაშთი გარეპირს წარმოადგენდა მე-3 სენაკის NW-კედლისას და ამის შემდეგ მე-5 თხრილი დავდეთ შიგ ამ შენობაში, ხოლო მე-6 თხრილით, რომელიც მე-5 თხრილის NO-ით დაიდო, გარედან გავყევით სენაკის NO-კედელს. ეს უკანასკნელი თხრილი იმ

[1] როგორც უკვე აღვნიშნე, ძველი მიწა სენაკის მხოლოდ ერთ ადგილას არ აღმოჩნდა, SW-ტიხრის NW-ნაწილთან. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ ტიხარს ოდესღაც შეკეთება განუცდია, ეგებ სწორედ ამიტომაა იგი კონსტრუქციულად დაუკავშირებელი სენაკის კედელთან. შეკეთებისას და ტიხრის ხელახლად ჩადგმისას აჰყრიდნენ ძველი მიწის ფენასაც მის ახლო-მახლო.

ვარაუდით იქნა დადებული, რომ შიგ მოხვედრილიყო ზღუდის შიდაპირიც, ისე რომ პარალელურად ინმინდებოდა ორივე სენაკის NO-კედლების გარეპირი და ამ ადგილას ძალზე დანგრეული და ღრმად მიწის ქვეშ დაფარული ზღუდის ნაკედლარიც ანუ უკეთ ნასაძირკვლარიც. ამგვარად, გავიტანეთ მთელი ბექობი ვიდრე სასახლის N-კუთხემდე (გეგმა III).

როგორც ზემოთაც აღვნიშნე, სასახლის სენაკის და მე-3 სენაკის NO-კედლის მთლიანობა გვიჩვენებს, რომ ეს ორი ნაგებობა ერთდროულად არის აშენებული. და მართლაც, მათ შორის, შეიძლება ითქვას, არავითარი განსხვავება არ არსებობს. ის რაც ითქვა სასახლის სენაკის ნაგებობის შესახებ, შეიძლება აქაც განმეორდეს, ოღონდ წალოები, პილასტრები და თაღები მე-3 სენაკს არ ჰქონია. სამაგიეროდ, კამარის ქუსლები აქ უკეთ აღმოჩნდა დაცული და ჩვენ შეგვეძლო დაგვედასტურებინა, რომ ზემო ნაწილებში იგი აყვანილი იყო მქისედ დამუშავებული ქვებით, რომელთაგან ზოგიერთს გარეპირი ცერად ჰქონდა ჩამოთლილი.

კარი არც ამ შენობას მოეპოვება და ისევე როგორც სასახლის სენაკისათვის, აქაც საკითხად რჩება, თუ რა საშუალებით შედიოდნენ შიგ.

კულტურული ფენების განლაგებაც აქ იგივე იყო. ინვენტარმა მცირეოდენი ვარიანტები მოგვცა. ზედაფენაში აღმოჩნდა რამდენიმე მეტ-ნაკლებად საინტერესო ქვა. ერთი ზღრუბლის ქვა (ფოსოიანი), ერთი ზედანი სარკმელისა, რამდენიმექანიანი ქვა (ეგებ სასახლის ნახევარსვეტების ნაწილები?) და სადა ღაროვანი ლავგარდნის რამდენიმე ქვა, რომლებიც მთავარი ტაძრის N-მინაშენის ლავგარდნის ნაშთს უნდა წარმოადგენდეს. ეს ქვები უწესრიგოდ ეყარა. XII-XIII ს-ის ფენა, რომელიც აქაც უმეშვეოდ გრუნტზე იდო, აგრეთვე, ძველ ნაგავს წარმოადგენდა და გაფანტულად შეიცავდა სასახლის სენაკისათვის აღწერილ წვრილ ნაშთებს, მაგრამ ზოგი რამ აქ ახალიც აღმოჩნდა: აქ შედარებით მრავლად გვხვდებოდა საკმაოდ სუფთა წითელი თიხის ჭურჭლის (უმთავრესად, ჯამების) ნატეხები ქართული მთავრული ამოკვეთილი ნიშნებით, ვნახეთ ერთი ვერცხლის მონეტა, რომლის შესახებაც მხოლოდ ის ითქმის, რომ იგი XIII ს-ისა და ჩინგიზიდებისა უნდა იყოს, და ბოლოს, თითქმის უვნებლად დაცული რკინის სახნისი, რომელიც დაახლ. 0,80-1,00 მ-ის სიღრმეზე მდებარეობდა აღნიშნულ ფენაში.

ისე, როგორც სასახლის სენაკისათვის ამ მე-3 სენაკზედაც დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იგი XII-XIII ს-ის ფენაზე უფრო მერმინდელია, რომ აქაც ეს ფენა უძველეს ნაგავს წარმოადგენს, რომელშიც მოგვიანო ხანაში ჩადგმულ იქნა სენაკის კედლები და რომელიც ოთახის შიგნით გამოყენებული იყო როგორც ზღვე[1]. სხვა არა იყოს რა, ამ შენობის NO-კედლის გარეპირის ასაგებადაც მოხმარებული იყო ზღუდისეული ქვა და, მაშასადამე, მისი აგება საკმაოდ მოგვიანო ხანაში უნდა გვეგულებოდეს. აქ ეჭვებს იწვევს მხოლოდ სახნისი, რომელიც შედარებით მოზრდილ და მძიმე ნივთს წარმოადგენს და ძნელი დასაჯერებელია, რომ ნაგავში იგი შეუმჩნეველი დარჩენილიყო. შესაძლებელია, იგი, ზედაფენიდან იყოს მოხვედრილი XII-XIII ს-ის ფენაში, რომელშიც იგი თავისი სიმძიმის გამო, დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო ღრმად ჩაწვებოდა. მაგრამ ამის საწინააღმდეგოდ და იმის სასარგებლოდ, რომ სახნისი მაინც შეიძლებოდა შეუმჩნეველი დარჩენილიყო სენაკში მობინადრისათვის, უნდა ლაპარაკობდეს ის გარემოება, რომ XII-XIII ს-ის ფენა მე-3 სენაკში, განაკუთრებით მის SW-ნაწილში,

[1] უნდა აღინიშნოს კი, რომ ამ „ზღვეს" არც სასახლის სენაკში და არც აქ ნატკეპნი არ ეტყობოდა.

სადაც სახნისი აღმოჩნდა შედარებით, ძალიან სქელი იყო და რომ სახნისი, როგორც აღვნიშნე, შიგ ღრმად იჯდა: ნიადაგის ზედაპირიდან XII-XIII ს-ის ფენა დაიწყო 2,00 მ-ის სიღრმეზე, სახნისი კი 2,80-3,00 მ-ის სიღრმეზე იდო.

დასასრულ, აღვნიშნავ კიდევ, რომ მე-3 სენაკში, N-კუთხის ახლოს აღმოჩნდა პატარა ქოცოც, რომელიც გრუნტში იყო ჩადგმული და უმნიშვნელო კერამიკულ ნატეხებსა და მინის გარდა არაფერს შეიცავდა.

9. სასახლე

სასახლე, (ნ. გეგმა III), რომელიც მთავარი ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს, სულ სამიოდე მეტრის დაშორებით, როგორც ძველი ქართული სამოქალაქო ხუროთმოძღვრების ძეგლი, ერთს ყველაზე უფრო საინტერესო შენობას წარმოადგენს გუდარეხში. იგი გაშენებულია, ალბათ, ხელოვნურად შექმნილ ბაქანზე ტაძრის ქვემოთ, ისე რომ ტაძარი დაახლ. 3,00 მ-ით უფრი მაღლა დგას, შედარებით სასახლის ძირა სართულის იატაკის დონესთან. ამიტომ, ტაძრის მხრიდან სასახლის ძირა სართული მიწაში ზის და მხოლოდ ზემო სართული იყო ნიადაგის ზედაპირიდან ამაღლებული. NO-დან კი, საითკენაც ამ შენობას ფასადი აქვს, ბაქანი გასწორებულია ვიდრე კბოდემდე, რომელიც ორიოდე მეტრის მანძილზე იწყება და აქედან ძირა სართულიც მიწის ზემოთა დგას. სამწუხაროდ, ეს შენობა ძალიან ცუდ მდგომარეობაშია, მეტად თუ ნაკლებად დაცულია მხოლოდ NO-კედელი და აგრეთვე SO-კედელი (დაახლ. ნახევარ სიმაღლემდე). SW და NW-კედლენი სულ არა ჩნდა. მათ მაგივრად ჩვენ დაგვხვდა მერმინდელი ულაზათო ყორული წყობა ცალპირი ქვებისა რომლისთვისაც ნაწილობრივ სასახლის ძველი ქვები ყოფილა გამოყენებული. შენობის ძველი კედლები, როგორც გათხრამ გამოარკვია, ამ მერმინდელი წყობის უკან იმყოფებოდა.

რამდენადაც დღესდღეობით ჩანს, სასახლე ერთი ორსართულიანი დარბაზისაგან შედგებოდა, რომელსაც ეგებ მინაშენებიც ჰქონდა SO-დან და NW-დან (ნ. სენაკის კომპლექსის აღწერა და თხრილი N:6). ეს დარბაზი, ცოტა არ იყოს, უსწორო მოყვანილობის მოგრძო ოთხკუთხედს წარმოადგენდა (სიგრძით დაახლ. 17,80 მ-ისას და სიგანით დაახლ. 7,00 მ-ისას), რომლის ძირა სართული მარანს ეჭირა.

შენობა დაფუძნებულია კლდეზე, რომლის მასივები ალაგ-ალაგ, განსაკუთრებით SW-მხარეზე, შიგ შენობაშია შეჭრილი. SW-ით კლდე იატაკის დონეზე მაღლა ამოდის და უეჭველია ის ძველად, აგრეთვე, გაშიშვლებული იქნებოდა მარნის შიგნით. გათხრამ გააშიშვლა NO-კედლის საძირკველი, რომელიც ნაგლეჯი ქვითაა წყობილი და შიგნიდან კონტრფორსებით ყოფილა გამაგრებული, გამოააშკარავა მარნის ქვევრები, რამდენსამე ადგილას დააფიქსირა ძველი იატაკის დონე, რომელიც ქვიტკირის მცირეოდენი ნაშთების სახითაა დაცული, და შეგვძინა წვრილი ინვენტარი (გიორგი III-ის მონეტა, ზოგიერთი დამახასიათებელი კერამიკული ნატეხი და სხვ), რომელიც საშუალებას გვაძლევს ამ შენობის აგების ხანა XII ს-ით განსაზღვროთ.

NO-კედელი, O-კუთხიდან მოყოლებით მხოლოდ დაახლოებით 8,50 მ-ის სიგრძეზეა დაცული მთელი თავისი სიმაღლით, რომლიდანაც ჩანს, რომ სასახლე ორსართულიანი შენობა ყოფილა, შემდეგ კი, ვიდრე სასახლის N-კუთხემდე, რომელიც გათხრამ დააფიქსირა, მხოლოდ ერთი პილასტრის ძირა სახსარი-ღა ჩანდა ზედაპირულად, ხოლო დანარჩენი სულ ერთიანად მიწით იყო დაფარული (სურ. 34).



სურ. 34. სასახლე. პირველი და მეორე სართულის გეგმა და განაკვეთი.

კედლის კარგად დაცული ნაწილი გარეთ, ნიადაგის აწინდელი ზედაპირიდან რომ ვიანგარიშოთ, 7,80 მ-ის სიმაღლეს აღწევს. ზევით მას ლავგარდანის 3 ქვაც შემოუნახავს in situ (სურ. 35). საინტერესოა, რომ ლავგარდანი უბრალო ფიტონს წარმოადგენდა, რომელიც მოგრძო ოთხკუთხი ბრტყელი ფილაქნებისაგან შედგებოდა. მხოლოდ კუთხის ქვასა აქვს დაქანებული ნაპირები და ნარზიდული ნაწილი, რომელიც კუთხეს ამთავრებს.

გარედანაც და შიგნიდანაც NO-კედელი თლილი ქვებითაა შემოსილი. ამ პერანგში ჩასხმულია ბეტონი. კედლის სისქე 1,00 მ-ს შეადგენს. გარეთ საპირე ქვა ჩინებულადაა გათლილი. პერანგი აქ სხვადასხვა ქანის მოყვითანო და ღვინისფერი დიდი და საშ. ზომის ფილაქნებითაა წყობილი[1]. ქვების მწკრივების თრაზულობა კარგადაა დაცული. ეს წყობა ძალიან მოგვაგონებს მთავარი ტაძრის N-კედლის წყობას, სადაც აგრეთვე შიგადაშიგ ღვინისფერი ქვაა გარეული. ეს კია, რომ სასახლის კედელში სხვადასხვა ფერის

[1] აქა-იქ ნვრილი ქვაც ურევია, მაგრამ ეს მერმინდელი შენაკეთები თუა.

სურ. 35. სასახლე. ფასადი.

ქვა არეულად კი არ აწყვია, არამედ ღვინისფერი ფილაქნები უფრო ქვემო ნაწილში სჭარბობს, ლეგა-მოყვითანო კი ზემო ნაწილში. ამიტომ სასახლის ფასადი ვერ ახდენს ისეთ ცხოველსახულ შთაბეჭდილებას, როგორც ტაძრის კედლები. ამასთან ფილაქნები ხშირად უსწორმასწოროდაა ჩამოჭრილი, გონიოში გამოყვანილი არაა (სურ. 36).

შიდაპერანგი ამ კედლისა (სურ. 37) ძირა სართულში ნაგებია საკმაოდ დაუდევრად, დიდი, საშუალო ზომისა და წვრილი, აგრეთვე სხვადასხვა ფერის, მაგრამ მქისედ დამუშავებული ქვებით. ცხადია იმიტომ, რომ ეს კედელი მარნისა იყო და გარედან არა ჩანდა. მეორე სართულში კი შიდაპერანგი ნაშენია თარაზულად წყობილი მოყვითანო და ღვინისფერი დიდი და საშუალო ზომის კვადრებით, რომელთა ზედაპირი განგებ ჩოფურადაა დატოვებული ბათქაშის დასამაგრებლად. სახელდობრ, შიგნით მეორე სართულის კედლები ბათქაშით გალესილი და ფრესკებით შემკული ყოფილა, რომელთა ნაკვალევი სარკმლების კედლებზეა შენახული.

პირველი და მეორე სართულის სიმაღლეები საკმაოდ კარგად ირკვევა. მარნის ზღვე, როგორც გათხრამ გვიჩვენა, დაახლოებით პილასტრების ხარისხთა შუახაზის დონეზე მოდიოდა. აქედან საკოჭე ბუდეებამდე[1] 2,00 მეტრია, რაც უნდა შეადგენდეს

[1] სულ 4 საკოჭე ბუდეა დაცული NO-კედელში (ნ. სურ. 37).



სურ. 36 სასახლე. ჩრდილოეთის ფასადი, განაკვეთი და სვეტისთავები.

ძირა სართულის სიმაღლეს. კოჭების სისქე, ბუდეების სიმაღლის მიხედვით, 0,40 მ. იყო. კოჭებზე დაგებული იყო მეორე სართულის ზღვე, რომლის სისქეს გვიჩვენებს საკმაოდ კარგად დაცული მიჯნა კედლის გალესილსა და გაულესავ ნაწილებს შორის: იგი დაახლ. 0,45 მ-ს შეადგენდა. აქედან კამარის ძირამდე, რომელიც ზოგ ადგილას დღემდე კარგადაა დაცული, დაახლ. 4,00 მეტრია, მართალია, ჩვენ არ ვიცით რა სიმაღლისა იყო კამარა, მაგრამ ზემოაღნიშნული ციფრი მაინც მიახლოებით წარმოდგენას გვაძლევს მეორე სართულის სიმაღლის შესახებ.

შენობა, ალბათ, ჩარდახოვანი კამარით იყო გადახურული, რომლის ძირი, როგორც აღვნიშნე, NO-კედელზე ზოგან დღემდეა დაცული. კამარა ქვემოდან ეჭირა პილასტრებზე დაყრდნობილ 6 თაღს. O-კუთხიდან რომ ვიანგარიშოთ, პირველი სამი პილასტრი NO-კედლისა საღადაა დაცული თავისი ხარისხებითა და სვეტისთავებითურთ. მეოთხისა მხოლოდ ძირა სახსარია შენახული, რომელიც თავის ხარისხზე დგას in situ. ამ პილასტრის დანარჩენი სახსრები და აგრეთვე, საფიქრებელია, მისივე სვეტისთავი აღმოჩნდა სასახლის შიგნით და მის გარეთ NO-ისაკენ დაყრილ ქვებს შორის – ამ ნაწილების მდებარეობა საბუთს გვაძლევდა გვეფიქრა, რომ ისინი სწორედ აღნიშნული პილასტრისა ყოფილა. მე-5 და მე-6 (ე. ი. N-კუთხის) პილასტრისა, როგორც გათხრამ გამოარკვია, მხოლოდ ბაზები დგას თავის ადგილას, სახსრები კი აქეთ-იქით გადმოვარდნილი დაგვხვდა ნანგრევს შიგნით და გარეთ. სვეტისთავები არ გვიპოვია. პილასტრებას ხარისხები ძირა სართულში დგას, როგორც აღვნიშნე, დაახლოებით იატაკის დონეზე. ზემო სართულში სვეტებს ხარისხი არ ჰქონიათ, ალბათ, იმიტომ, რომ ზღვის გადატვირთვას ერიდებოდნენ. ხარისხები, მარტივ თლილ კვადრებს წარმოადგენს. თვით პილასტრებს კი განაკვეთში ნახევარჯვარის ფორმა აქვს, სამმკლავიანია. მხოლოდ კუთხის პილასტრებია ორმკლავიანი. ზოგჯერ სამივე მკლავი ერთი ქვიდანაა გამოთლილი, ზოგჯერ კი ერთი ან კიდევაც ორივე განის მკლავი ცალკეა მიდგმული შუამკლავზე. შუამკლავები უფრო მაღალია და უფრო განიერი, მათ ეჭირათ გარდიგარდმო თაღები, რომლებზედაც დაყრდნობილი იყო კამარა. ცხადია, სასახლის SW-კედელსაც შესატყვისი პილასტრები უნდა ჰქონოდა, რადგან NO-კედელს 6 პილასტრი ჰქონია, მთელი შენობისათვის 12 პილასტრი უნდა ვივარაუდოთ და მართლაც, სასახლეში დაყრილსა და მის ახალს SW-კედელში ჩაშენებულ ქვებს შორის ძალიან ბევრი სწორედ პილასტრებისა და აგრეთვე, თაღების ნაშთებს წარმოადგენს. SW-კედლის პილასტრთაგან მხოლოდ ერთის ძირა ნაწილი დაგვხვდა in situ, S-კუთხეში (ნ. ქვემ.).

შუამკლავების სვეტისთავები თავკვეთილი პირამიდის მოყვანილობისაა და ოდნავადაა პროფილირებული ცალი ღარით ან ფიტონით (სურ. 36). განის მკლავებსაც პატარა, სადა, თავკვეთილი პირამიდისებული სვეტისთავები აგვირგვინებს, რომლებზედაც დაყრდნობილია ნახევარფარგლოვანი დეკორატიული თაღები, რომლებიც კედლის სიგრძივაა გადავლებული. ამგვარად, მთელი კედლების სიბრტყე დანაწევრებული იყო არკატურით, რომლის თითოეულ ნაკვეთში კედელს დატანებული ჰქონდა სარკმელი. პილასტრებშორისი მანძილი მერყეობს 2,70 მ-დან 2,90 მ-მდე, საფიქრებელია, რომ ასეთივე არკატურით შემკული იქნებოდა SW-კედელიც. ამგვარად, მთელი დარბაზი ხუთ ხორშად იყო დაყოფილი ოთხი გარდიგარდმო თაღით და NO-კედელს, ალბათ, 10 სარკმელი ჰქონდა (5 მაღლა და 5 დაბლა). SW-კედელს მხოლოდ ზემო სართულში ექნებოდა სარკმლები, რადგანაც ძირა სართული აქეთა მხრიდან იმთავითვე მიწაში იჯდა.

NO-კედლის ძირა სართულის სარკმლები იატაკიდან დაახლოებით მხოლოდ 0,60 მ-ის სიმაღლეზე მოდის. თვით სარკმლების სიმაღლე არ აღემატება 0,80 მ-ს. შიგნიდან ისინი ბანურადაა გადახურული, ერთი წირთხლის ქვით. შიგნიდან გარეთ სარკმლები

სურ. 37. სასახლე. ასახულობა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

ვიწროვდება: შიგნით მათისიგანე უდრის 0,60 მ-ს, გარეთ კი – მხოლოდ 12 მ-ს. მეორე სართულის სარკმლები ზღვიდან დაახლოებით 0,80 მ-ითაა ამაღლებული, მათი სიმაღლე 1,00 მ-ია. შიგნიდან ეს სარკმლები გადახურულია ორი ქვისაგან შემდგარი ისრული თაღით. გარეკენ ესენიც ვიწროვდება: შიდასიგანე =0,90 მ-ს. გარესიგანე კი – 0,16 მ-ს. გარედან როგორც ძირა, ისე მაღლა სართულის სარკმლებს მრგვალად ამოჭრილი ქუდები ახურავს, აღსანიშნავია, რომ ეს ქვები ასიმეტრიულადაა ამოჭრილი, რაც უსიამო შთაბეჭდილებას ახდენს.

NO-კედლის O-კუთხე გარედან, ცოტა არ იყოს უცნაურადაა დამუშავებული: ორი ზედა ქვის გარდა, კუთხის დანარჩენ ქვებს წიბო ჩამოთლილი აქვს (სურ. 35 და 36). თუ SO-დან სასახლეს თავიდანვე ჰქონდა მიშენებული რაიმე სადგომი, იგი ისევე ცერად უნდა ყოფილიყო ამ კუთხეზე მიდგმული, როგორც ამჟამად III შენობა დგას (ნ. გეგმა III), რომელიც, ყველა ნიშნით, მერმინდელი უნდა იყოს.

სასახლის SO-კედელი ნაგებია NO-კედლის ძირა ნაწილის მსგავსად, მაგრამ კიდევ უფრო დაუდევრად – აქ თლილი ქვები თითქმის სულ არაა ნახმარი, არამედ, უმთავრესად უბრალო ნაგლეჯი ქვაა გამოყენებული. თარაზულობა ქვების მწკრივებში არაა დაცული. ეს კედელი ჩადგმულია O-და S-კუთხეების პილასტრებს შორის, ამ კედელზე, O-კუთხესთან, ჯერ ისევ თავის ადგილას დგას მეორე სართულის პილასტრის ძირა სახსარი თავისი ბაზით, რომელიც ზუსტად ამ სართულის ზღვის დონეზე მოდის. ეს 1,40 მ-ის სიმაღლის თლილი ოთხკუთხედი ქვა მიდგმულია NO-კედლის კუთხის პილასტრზე. უნდა ვიფიქროთ, რომ ზედა სართულში დეკორატიული თაღები გადადიოდა აგრეთვე SO- (და ალბათ NW-), კედელზეც.

სასახლის უძველესი SW-კედელი ჯერჯერობით მხოლოდ ორ ადგილას იქნა გაშიშვლებული: შენობის S-კუთხეში შიგნიდან და W-კუთხესთან როგორც შიგნით, ისე გარეთ

(ნ. სენაკის კომპლესის გათხრის ანგარიში). S-კუთხეში, როგორც ზემოთ უკვე მოვიხსენიე, კუთხის პილასტრის ნაშთი დაგვხვდა ჯერ ისევ in situ. აქ იატაკის დონიდან რომ ვიანგარიშოთ, დაახლ. 0,80 მ-ის სიმაღლეზე გათლილია პიტალო კლდე, რომელზედაც დადებულია ორი მქისედ დამუშავებული ქვა, რომლებიც 0,30 მ-ის სიმაღლის ბაზასა ჰქმნიან პილასტრისათვის. ამ ბაზაზე დგას 1,10 მ-ის სიმაღლის ორმკლავიანი პილასტრის ქვა. ძველი SW-კედელი, როგორც ჩანს, SO-კედლის მსგავსად ყოფილა ნაგები. ამ უძველეს კედელს, როგორც უკვე აღინიშნა, მოგვიანოდ ამოუშენეს წინ ყორული ცალპირი წყობა, რომელიც აგრეთვე ამ მხარეზე ამაღლებულ კლდეზე დგას და რომლისთვისაც საფუძველი შეუქმნიათ ძველი კედლის პილასტრების ქვებისაგან – აქ ეს ორ და სამმკლავიანი ქვები ჩამწკრივებულია კედლის ძირას თითქმის მთელი შენობის სიგრძეზე.

მსგავსადვე, ძველი NW-კედლის წინ ამოყვანილი მერმინდელი ყორული წყობა (შდრ. სენაკის კომპლექსის გათხრის აღწერა), რომელიც ნაშალ მიწაზე დგას. ამ კედელშია დაცული კარი, ერთადერთი მთელი შენობისათვის. კარიც, რა თქმა უნდა, მერმინდელია, მაგრამ, მისი ქვები ძველი ჩანს და მარანს უწინაც გასავალი აქეთკენ უნდა ჰქონოდა, მაგრამ ნიშანდობლივ სად იყო მოთავსებული ძველი კარი, ძნელი სათქმელია (შდრ. სენაკის კომპლექსის აღწერა).

მარნის იატაკის დონიდან რომ ვიანგარიშოთ, SO-კედელი დაცულია საშუალოდ 2,50 მ-ის სიმაღლეზე, ახალი SW- და NW-კედლები კიდევ უფრო დაბალია.

სასახლე გათხრის გაადვილების მიზნით ოთხ (a,b,c და d) სექტორად დავყავით (ნ. სურ. 38) და გათხრას a სექტორიდან შევუდექით. შენობა შიგნით ნანგრევი ქვებით, ბალახით და დიდი ხეებით (ნეკერჩხლებით) იყო მთლად დაფარული. შავი მიწის ფენა შემდეგში გაკეთებული განაკვეთების მიხედვით 0,10-0,30 მ-ს უდრიდა.

a სექტორში მიწის ზედაპირზე სასახლის NO-კედლის კვალიც კი გამქრალი იყო. მისი დადგენა ჩვენ მხოლოდ გათხრის საშუალებით შევძელით და ისიც კარგა ხნის მუშაობის შემდეგ. NW-კედლის სიმაღლე აქ 1,50 მ-ს არ აღემატებოდა, კედლის დაახლ. შუა ადგილას კარის ორი 1,40 მ-იანი სიმაღლის ქვის ამყოლი იდგა, რომელთა სიმაღლე მიწის ზედაპირის ზევით 0,75 მ-ს უდრიდა. მათ შორის, ერთი SW-ით მდებარე შენობის შიგნით იყო შემონეული. ამყოლების წინ სექტორის შიგნით წირთხლის ქვა ეგდო, რომელსაც ამყოლების მსგავსად, შიგნიდან ნარიმანდი ჰქონდა ამოჭრილი. როგორც სასახლის წინასწარ აღწერაში არის აღნიშნული, ეს წყობა მთლიანად მოგვიანო ხანისაა და მის პირვანდელ კედელს არ წარმოადგენს.

SW-კედლის სიმაღლე ამ სექტორში 2 მ-ს არ აღმატებოდა, მისი SO (d სექტორის მოსაზღვრე) ნაწილი ჩამოზვავებული იყო, ზედ ჰუმუსის ფენა იდო, ბალახები და ბუჩქები იყო ამოსული და ამიტომ მიწის რელიეფი a სექტორში მკვეთრად იყო დაქანებული SW-დან NO-საკენ. სექტორის იმ O-კუთხეში, იქ სადაც შემდეგში პილასტრის ხარისხი აღმოჩნდა, დიდი ნეკერჩხალი იდგა, რომელმაც, უეჭველია, პილასტრისა და კედლის ჩამონგრევას ხელი შეუწყო. NW-კედლის N-კუთხეში პილასტრის ქვა ეგდო ცალმხრივი მკლავით. მისი სიგრძე 1,75 მ-ს უდრის, ცენტრალური და ცალი გვერდის მკლავისაგან შედგება და ეტყობა N-კუთხის პილასტრის ნაშთს წარმოადგენს, რომელიც, როგორც შემდეგ გამოირკვა, NW აწინდელი კედლის გარეთ უნდა ყოფილიყო, მისგან 1-1,50 მ-ის მოშორებით. სექტორის მოსუფთავების დროს აღმოჩნდა აგურისა და კრამიტის ნატეხები და ლორფინის ერთი ნატეხი.

d სექტორში დიდი თლილი ქვები ეყარა, რომლის ნაწილი SW-კედლიდან იყო ჩამოშლილი. SW-კედლის ის ნაწილი, რომელიც ამ სექტორის საზღვრებში მოექცა, წინ იყო



სურ. 38. სასახლე. გათხრების გეგმა.

წამოწეული და ზედა ნაწილი გადმონგრეული ჰქონდა. NO-კედლის პილასტრი შიგნით გადანოლილი იყო და მისი მხოლოდ ქვედა ქვა-ღა იდგა ხარისხზე (მისი სიმაღლე =1,52 მ-ს. დანარჩენი ქვები იმავე თანმიმდევრობით ეყარა მიწაზე, როგორითაც ისინი ამართულ პილასტრზე ელაგნენ. მეორე ქვის სიგრძე 1,62 მ-ს უდრის, მესამისა – 1,16 მ-ს და მეოთხისა – 0,72 მ-ს). მათი სიგანე პილასტრის ჩვეულებრივი ზომების შესატყვისია, ოღონდ განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ მეორეს სამივე მკვლავი აქვს, მესამეს – მხოლოდ ცენტრალური და მარცხენა მკლავი, ხოლო მეოთხეს გვერდის მკლავები სულ არ გააჩნია. აქაც ცხადია, პილასტრის ქვები ნაწილებისაგან ყოფილა შემდგარი. ამგვარად, ეს ჩამოყრილი ქვები მთელი პილასტრის წარმოდგენის საშუალებას გვაძლევს, რომლის კაპიტელიც შემდეგში იქნა აღმოჩენილი შენობის გარეთ.

c სექტორი იწყება იქ, სადაც NO-კედლის ჩვენამდე შერჩენილი ნაწილი თავდება. ეს სექტორიც ქვებით, ბალახითა და ბუჩქებით იყო დაფარული. ქვების რაოდენობა შედარებით მცირე იყო, რადგან SW-კედელი აქ ყველაზე უკეთ არის დაცული და არ ჩამონგრეულა. მიწის-ზედაპირი დაქანებული იყო S-კუთხისაკენ. გასხვავება მიწის ზედაპირის დონეში SW-და NO-კედლებს შორის 0,50 მ-ს უდრიდა, კედლის ქვედა ნაწილში, სადაც ის კლდეს ეყრდნობოდა, ოთხი დიდი ზომის თლილი ქვა იდო, რომელთა შორის ორი პილასტრის ქვას წარმოადგენდა ცენტრალური და ცალი გვერდის მკლავით.

უკანსკნელი b-სექტორი, რომელიც ყველაზე საინტერესო გამოდგა და სადაც გათხრა 1939 წელსაც წარმოებდა, – სასახლის SO-კედელთან მდებარეობდა. სექტორი დაფარულ იყო SW-კედლიდან ჩამონგრეული დიდი ზომის თლილი ქვებით. ამ სექტორში SW-კედელი მთლად დანგრეული იყო და მიწის ზედაპირს ზევით კედლის ოდნავი კვალი ჩანდა. ამათ გარდა სექტორის არეს ნაგლეჯი ქვა, ბალახი და ბუჩქი ფარავდა; რელიეფი მკვეთრი დაქანებით მოემართებოდა NO-კედლისაკენ, სადაც (NO-კედელთან) მიწის ზედაპირის დონე სარკმლის თაროდან 0,10-0,40 მ-ით უფრო დაბლა იყო. SO-კედელი ნახევარ სიმაღლეზე არ იყო დაცული, მისი შუა ადგილი უფრო მეტად იყო გადმოწოლილი და ამიტომ შუაში მას ჩაღრმავება გააჩნდა. ამ კედლის S-კუთხის ნაწილი, სულ არა ჩანდა, მიწის ქვეშ იყო დაფარული და ზედ შავი მიწის სქელი ფენა და ბალახი ეფარა.

როგორც გათხრის შედეგად გამოირკვა, სასახლე კლდეზე დგას, რომლის რელიეფი უსწორმასწოროა და დაქანებულია SW-დან NO-ისაკენ. საყურადღებოა ის გარემოება, რომ კლდის დონე SW-კედელთან c-სექტორის SO-ნაწილში 0,48 მ-ით უფრო მაღლაა, ვიდრე ამავე სექტორის პილასტრის ხარისხის ზედა წიბო. შემდეგ, 1939 წლის არქეო-



სურ. 39. მოჭიქული ჯამის ნატეხი ფრინველის გამოსახულებით.

ლოგიური კამპანიის დროს, როცა ეს კედელი ავიღეთ და სასახლის პირვანდელი SW-კედლის საძირკველი ვიპოვეთ, გამოირკვა, რომ ეს განსხვავება უფრო საგრძნობი არის. ასეთ პირობებში, ცხადია, სასახლეს, ქვედა სართულში საგანგებოდ დაგებული ზღვე ან სულ არ ექნებოდა, ანდა ექნებოდა მხოლოდ განსაზღვრულ სივრცეზე, კერძოდ, მის NO-ნაწილში, სადაც კლდის რელიეფი ამის შედარებით შესაძლებლობას იძლეოდა. მართლაც, დუღაბის ის ფენა, რომელიც d სექტორის NW-საზღვრის (d და a სექტორებს შორის დატოვებული ტიხრის) წინ, მის დაახლ. შუა ადგილას იყო აღმოჩენილი და რომელიც ზღვის ნაშთად შეიძლება ჩაითვალოს, d სექტორის პილასტრის ხარისხზე 0,07 მ-ით უფრო დაბლაა მოთავსებული. ხარისხისა და ზღვის დონეთა ეს შეფარდება სრულიად კანონზომიერია, – ზღვე ხარისხის წიბოზე ცოტა დაბლა უნდა ყოფილიყო. მაგრამ თუ ამ კლდის რელიეფს გავითვალისწინებთ საერთოდ, ცხადი გახდება, რომ ზღვე ამ დონეზე სასახლის მთელ ფართობზე ვერ გავრცელდებოდა.

სასახლის მოსუფთავების დროს 0,10-0,20 მ-ის სიღრმეზე აგურებისა და კრამიტების ნატეხები დიდი რაოდენობით ამოდიოდა. კრამიტის ნატეხებს შორის, რომლებიც სასახლის, ან ტაძრის სახურავიდან უნდა იყოს ჩამოცვენილი, – გვხვდებოდა ბრტყელი, კურტნიანი და ქიმებიანი კრამიტის ნატეხები, მოუჭიქავიცა და მოჭიქულიც სხვადასხვა ფერად. შეგვხვდა ქაშანური ჭურჭლის რამდენიმე ნატეხიც: a სექტორში – მწვანედ მოჭიქული შორენკეცი (9×4×1,5 სმ) და მსხვილფეხი საქონლის ყბის ძვალი, და d სექტორში – ორი ქვის პატარა ნატეხი ქართული წნული ორნამეტის ნიმუშით.

d სექტორის S-კუთხის არეში SW-კედლიდან 0,60 მ-ის დაშორებით, 0,60 მ-ის სიღრმეზე ნოლის ხაზიდან[1] დუღაბის ფენა შეგვხვდა ნამტვრევი აგურით; ამ ფენას დაახლ.

[1] NO-კედლის დაუზიანებლობის უზრუნველსაყოფად, ჩვენ იძულებული ვიყავით გათხრის დროს მის გასწვრივ 1,25 მ-ის სიგანეზე მიწა აუღებელი (გაუთხრელი) დაგვეტოვებინა, ამის გამო, ამ ფასადზე მისი NO-კედლის მხარე უცნობია (დატოვებულია თეთრად).

5 კვ. მეტრის ფართობი ეჭირა და c სექტორისაკენ ვრცელდებოდა, სადაც მისი სიღრმე უფრო მატულობდა.

0,80-1,00 მ-ის სიღრმეზე b სექტორში ფაიანსის ჭურჭლის (თეფშის?) ნატეხი აღმოჩნდა, რომელიც თეთრად და ლურჯად მოჭიქული და ორნამენტირებული იყო[1]. იმავე სექტორის N-კუთხის არეში, SW-კედლის ძირში სგრაფიტოს ტექნიკით შემკული ქაშანური ჯამის მოზრდილი ნატეხი ვიპოვეთ. ეს ნატეხი წარმოადგენს წითელ თიხას, შიდა პირზე თეთრი ანგობითა და უფერო გამსჭვირი მინარით. შიდა პირზე ფრინველია გამოსახული, რომლის გარშემოც ხვეული, მცენარეული ორნამენტის ნაწილია შერჩენილი. ფრინველი დაფერილია ყვითელი და მწვანე საღებავით, ხოლო ორნამენტი მწვანე საღებავით, ქიმზე მინარი აცვინულია, ყვითელი ფერი – დაღვრილი. მისი სიმაღლე 7,4 სმ-ს უდრის, სიგანე – 14 სმ-ს, კედლის სისქე – 1,4 სმ-ს (სურ. 39). ჯამიდან 1,50 მ-ის მანძილზე SO-საკენ, მასზე ცოტა უფრო მაღლა ბატკნის თავის ქალა ამოვიდა.

c სექტორში ქაშანური ჯამის ნატეხი აღმოჩნდა (7,5×5,4×1 სმ), რომელსაც შიდაპირზე მცენარეული (?) ორნამენტი აქვს ამოკვეთილი და ამოკვეთილ ხაზებს შორის ბაცი მწვანე, მინარქვევითა საღებავი აქვს დადებული. d სექტორში, ამ სიღრმეზე, დუღაბის კვალი აღმოჩნდა (სექტორის W-ნაწილში), კრამიტის ნატეხები ამოდიოდა და მწვანედ მოჭიქული თიხის ჭურჭლის ორი ნატეხი აღმოჩნდა. a სექტორში – სხვა ნატეხებს შორის, საინტერესოა სახიანი ქაშანური ჭურჭლის ნატეხი (5×4×0,9 სმ) SW – „ამყოლიდან" 0, 60 მ-ის დაშორებით; ფაიანსის ჭურჭლის ნატეხი შემკული ცისფერი და ლურჯი ზოლებით, შიგნიდან ირიზებული (2,5×1,5×0,30 სმ), რომელიც ამყოლების წინ, მათგან 0,40-ოდე მ-ის მანძილზე აღმოჩნდა; და ფაიანსის ჭურჭლის ნატეხი რელიეფიანი გარეპირით. გარდა კერამიკისა b სექტორში, მის SW-კიდესთან, ამავე სიღრმეზე ბატკნის თავის ქალა შეგვხვდა, ხოლო 0,80 მ-ის სიღრმეზე, სექტორის SW-მესამედში SO-დან NW-ისაკენ გავლებული წყობა აღმოჩნდა, რომელიც, როგორც 1939 წლის გათხრით გამოირკვა, ტკბილის დასაწური აუზი იყო. მისი აღწერილობა ქვევით იქნება მოცემული.

1,00-1,60 მ-ის სიღრმეზე c სექტორში გარდა აგურისა და კრამიტის ნატეხებისა და მწვანედ მოჭიქული თიხის ჭურჭლის ერთი ნატეხისა (3×2,7×0,7 სმ) წითელი თიხის ჭურჭლის პატარა ნატეხი, მოჭიქული კრამიტის ნატეხი და მწვანე ჭიქის ნატეხი ამოვიდა. d სექტორში – ქაშანური ჯამის (წითელი თიხის) ფრაგმენტი შიდა პირზე თეთრი ანგობითა და ცისფერი, გამჭვირი მინარით დაფარული (7,6×6×1 სმ) და ქვევრიდან შემოცვივნული დუღაბი აღმოჩნდა აგურის, კრამიტისა და ქვევრის ნატეხებით. a სექტორში – ლითონის (რკინის, ფოლადის?) მილი (სიგრძე 8 სმ, d – 2 სმ), მოყვითანო თიხის ჭურჭლის ერთი ნატეხი (5×4×0,7 სმ), ოთხფეხის ძვლები, ქაშანური ჭურჭლის რამდენიმე ნატეხი და ფაიანსი შეგვხვდა, რომელთა შორის აღსანიშნავია ლუსტრიანი ფაიანსი (2×1,5×0,4 სმ) – ამყოლებს შორის არეში; კარგი თეთრი თიხის, ფაიანსის ჭურჭლის ნატეხი (5,4×3,4×0,5 სმ) – შიდაპირზე ყვავილოვანი ორნამენტითა და კობალტის ლურჯი მინარქვევითა საღებავით; და წითელი თიხის ქაშანური ჭურჭლის ნატეხი, რომელსაც

[1] სასახლის ფართობის რელიეფის დიდი უსწორმასწორობის გამო, რაც გამოწვეული იყო განსაკუთრებით SW-კედლის ჩამონგრევით (და, როგორც შემდეგ გამოირკვა, თვით კლდის, გრუნტის ზედაპირით სასახლის ადგილას), შეუძლებელი იყო სიღრმეების ჩაზომვის დროს მიწის ზედაპირის დონეს დავყრდნობოდით. იმისათვის, რომ უფრო ნათელი იყოს კულტურული ფენის ინვენტარის განგალება, სიღრმეებს აღვნიშნავ „ნოლის ხაზიდან", რომელიც ფიქსირებული იყო ყველა სექტორისათვის ერთ დონეზე. ნოლის დონე იმყოფებოდა საშ. 0,70 მ-ის სიმაღლეზე პილასტრების ხარისხიდან.

შიდაპირი თეთრი ანგობითა აქვს დაფარული და შემკულია სგრაფიტოს ტექნიკით ამოკვეთილი მცენარეული ორნამენტით; ამოკვეთილ ზოლებს შორის მას დადებული აქვს მწვანე, გამსჭვირი მინარი (4,3×3×1 სმ). d სექტორის NW-ნაწილში მდებარე საზონდაჟო თხრილში ამავე სიღრმეზე სხვა ნივთებთან ერთად (რომელთა შორის იყო ლურსმანი, მინის ჭურჭლის ნატეხები, ქაშანური და ფაიანსის ჭურჭლის რამდენიმე ნატეხი და მთელი, ქიმებიანი კრამიტი) აღმოჩნდა აგრეთვე მოწითანო თიხის კურტნიანი კრამიტი და ზედ კლდეზე რკინის (თუ ფოლადის) ხვრელიანი ცული, რომელიც საინტერესოა თავისი ფართო პირითა და ვიწრო ტანით. ხვრელში დარჩენილია ხის ნიშნები, რომელიც ტარის ნაშთს წარმოადგენს.

აღნიშნული კრამიტი წითელი თიხისაგანაა გაკეთებული, ფორმით კურტნიან კრამიტს წარმოადგენს, რომელსაც ბოლო შედარებით უფრო განიერი აქვს. ზურგი მას მრგვალი არა აქვს და კუთხისმაგვარი წიბო მისდევს სიგრძეზე. თავში „კედელი" აქვს ამართული, რომელსაც მომდევნო კრამიტი უნდა დაყრდნობოდა. კრამიტის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ბოლო, სხვა ამ ტიპის კრამიტისაგან გასხვავებით, აკეცილი, ამაღლებული აქვს და ამგვარად, ბოლოს ფასადი წარმოადგენს სამკუთხედის ფორმის სიბრტყეს, რომელზედაც რელიეფური ჯვარია გამოსახული. ჯვარი ტექნიკურად მარტივად არის გაკეთებული: ის ამოკვეთილი კი არ არის კრამიტის ძირითად მასალაზე, არამედ ცალკე დამუშავებული და შემდეგ დაკრული. ეტყობა, ეს კრამიტი სახურავის უკანასკნელ, ბოლო ნაწილისთვის იყო განკუთვნილი, მას შემდეგი, ქვედა რიგი კრამიტების აღარ მოსდევდა და კედლის ფასადზე ჩანდა.

დასასრულ, a სექტორის O-კუთხესა და NO-კედლის არეში მდებარე ქვევრებთან (იხ. 12 და 15 ქვევრი გეგმაზე), მათ ძირში აღმოჩნდა გიორგი II-ის არაწესიერი ბეჭდვის მონეტა, რომელიც მოჭრილია მისი მეფობის პირველი 3-4 წლის განმავლობაში (1156-1160 წ-მდე).

სასახლის ქვედა სართული, რომელიც მარანი გამოდგა, d სექტორში ერთ საინტერესო ნაგებობას შეიცავდა, რომლის დანიშნულება საბოლოოდ 1939 წლის არქეოლ. ექსპედიციის მუშაობის შემდეგ გამოირკვა. სექტორის SW-კიდესთან, 0,80 მ-ის სიღრმეზე, მის SW-მესამედში SO-დან NW-საკენ გავლებული წყობა შეგვხდა, რომელიც SO-კედლიდან იწყება, სექტორის მთელ სიგრძეზე მიიმართება და მის NW-საზღვართან წყდება. კედელი სწორხაზობრივი არ არის. მისი NO-პირი თლილი ქვებისაგან შედგება ზომით საშ. 0,60×0,15 მ. ამ წყობის NO-ით მისგან 0,11 მ-ით უფრო ღმად ზღვის გარკვეული ნიშნები შეგვხვდა[1]. წყობის წინ, მის SO-მეოთხედ ნაწილში ორი ჩაკირული აგური (ზომით 28,5×28,5×3,5 სმ) და ერთი ფილაქანი (0,50×0,30 მ) იდო თარაზუალდ, რომელთა გარშემოც და განსაკუთრებით კი, S0-დან NW-მიმართულებით გრძელდებოდა დუღაბის ფენა აგურებისა და ფილაქნის დონეზე. სექტორის NW-ნახევარში კი აღნიშნული წყობისავე წინ, ე. ი. NO-ით, დამტვრეული ფილაქნები და თარაზულად მდებარე ნახევარ აგური აღმოჩნდა, რომელიც დაზიანებული ზღვის ნაწილს წარმოადგენდა[2]. ამავე სექტორში აღმოჩნდა აგრეთვე კედელი, რომელიც SO-NW მიმართულებით მდებარე ახლა

---

1 რადგანაც ზღვე ამავე სექტორში უფრო ღრმადაც აღმოჩნდა, ამიტომ ამას ჩვენ პირობით ზედა-ზღვეს ვუწოდებთ.

2 ზუსტი ჩანაზომების მიხედვით, დონეთა ურთიერთობა ზღვისა და ამ წყობის შორის, შემდეგნაირია: ზღვე 0,11 მ-ით უფრო დაბლაა, ვიდრე b სექტორში მდებარე პილასტრის ხარისხის ზედა წიბო, ხოლო კედელი 0,11 მ-ით უფრო მაღლაა იმავე ხარისხზე.

აღწერილ წყობას პერპენდიკულარად ეკვრის და სასახლის NO-კედლისაკენ მიიმართება. შემდეგ ის ისევ SO-საკენ უხვევს და გრძელდება ისე, რომ მთლიანად მას რუსული ასო Г-ს ფორმა აქვს (ნ. სურ. 38), ის ნაგლეჯი ქვით არის ნაგები დუღაბზე, მისი სისქე დაახლ. 0,75 მ-ს უდრის, ხოლო სიმაღლე ერთნაირი არა აქვს და ოდნავ NO-საკენ არის დაქანებული. „ზედა ზღვის" აღების შემდგომ სექტორში დუღაბის სქელი (0,55 მ-იანი) ფენა დაიწყო, რომელზედაც, ეტყობა, აგურები და ფილაქნები ყოფილა დაკირული. უნდა აღინიშნოს, რომ დუღაბის ნიშნები Г-ს მსგავსი კედლის NW-ით არ შეგხვდერია და მხოლოდ ამ უკანასკნელსა და სასახლის SO-კედლის შორის არეზე ჩანდა. ამ ფენის შემდეგ კერამიკის ნატეხებნარევი ნაშალი მიწა დაიწყო და ზედა ზღვიდან 0,90-1,00 მ-ით უფრო დაბლა, იმავე ადგილას მეორე „ქვედა ზღვის" ნიშნები შეგვხვდა, აქაც დუღაბზე თარაზულად წყობილი აგური და ფილაქნები აღმოჩნდა, რომელიც კლდეზე ოდნავ უფრო მაღლა მდებარეობდა.

როგორც 1939 წლის გათხრებით გამოირკვა, SO-კედლიდან NW-კედლისკენ მიმართული წყობა სასახლის მარნის S-კუთხეში ამოშენებული აუზის NO-კედელი გამოდგა; ის ორპირადაა ნაგები, შუაში ბეტონი აქვს ჩასხმული და თლილი ქვის პერანგი აქვს შემოკრული. მისი სიგრძე 3 მ-ზე ცოტა მეტია, ხოლო სიგანე საშ. 0,50 მ-ს უდრის (ნ. გეგმა III და განაკვეთი G-H). აუზის S0-დან SW-კედლებად თვით სასახლის შესატყვისი კედლებია გამოყენებული[1], ხოლო NW-დან აუზი იკეტება SW-კედლიდან NO-საკენ წარზიდული ცალპირი თლილი ქვებისაგან შემდგარი წყობით. ნოლის ხაზიდან 1,05 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა აუზის ფსკერი, რომელიც წარმოადგენს ბრტყელი, უსწორმასწორო, მომწვანო ფერის ფიქალებით მოკირწყლულ ქვაფენილს და რომელსაც ოდნავი დაქანებ აქვს NW-დან SO-ისაკენ. ფიქალები ძალიან კარგად არის ჩაწყობილი და ერთმანეთზე მორგებული. გარდა ამისა, გათხრის დროს ნაპოვნი იყო იმის აშკარა ნიშნები, რომ აუზს ფსკერიც და ორივე კედელიც ძალიან კარგად ჰქონდა გალესილი ქვიტკირით[2]. აუზი მთლიანად ამოვსებული იყო ნაშალი მიწით, რომლის გათხრის დროსაც საინტერესო ინვენტარი აღმოჩნდა. 0,65 მ-ის სიღრმეზე მის SO-კედლის ძირში სპილენძის სამფეხი სასანთლე ამოვიდა, სპილენძისავე მასრაში ჩასმული მრგვალი რკინის ღერძით. მისი ზედადგრის სიგანე ფეხებს შორის 8,5 სმ-ს უდრის, ხოლო სიმაღლე ღერძითურთ – 13,5 სმ-ს.

0,90 მ-ის სიღრმეზე აუზის NW-მეექვსედში სგრაფიტოს ტექნიკით შემკული, ანგობიანი ქაშანური ჯამის პირის ნატეხი (8×6,5 სმ) შეგვხვდა, ხოლო 1,00 მ-ის სიღრმეზე, ე. ი. თითქმის უშუალოდ ზედ ფსკერზე – ანგობიანი ქაშანური ჯამის ნატეხები, კურტნიანი, ჯვრიანი კრამიტი (მთელი, ზემოაღწერილი კრამიტის მაგვარი), მოჭიქული და მოუჭიქავი ქიმებიანი კრამიტები და NO-კედლის ძირში და მის დაახლ. შუა ადგილას, ბრტყელი კვადრატული აგურები (28×28×3 სმ, და 29×29×3 სმ) აღმოჩნდა. ასეთი აგურების ნატეხები ბლომად ამოვიდა აუზის სხვადასხვა ადგილას, მათ ქვიტკირი აქვს მოსხ-

---

[1] SW-კედლის ქვედა ნაწილი, რომელიც გამოთლილ კლდეს წარმოადგენს, აქ იმდენად მაღლაა, რომ საკუთრივ კედელი, როგორც წყობა, აუზის მაღლა მოდის. ამიტომ ფაქტობრივად, აუზის SW-კედლად აქ კარგად თლილი კლდეა გამოყენებული.

[2] აუზის S-კუთხეში აღმოჩნდა პატარა, ოთხკუთხად მობაკული ორმო, რომელსაც NW-დან მქისედ დამუშავებული ქვა ჰფარავდა, ხოლო NO-დან SO-დან კი ნაშალზე ვიწრო წახნაგზე დადგმული თიხის აგურები. ცხადია, რომ ეს მერმინდელი დროის უმნიშვნელო ამბავი უნდა იყოს, და თვით აუზთან და მის აშენებასთან არავითარი არსებითი დამოკიდებულება არა აქვს.

მული, მაგრამ გამოურკვეველია მათი დანიშნულება, რადგან არსად არა ჩანს აგურებისაგან წყობილი ნაგებობის კვალი.

0,60 მ-დან მოყოლებული ვიდრე ქვაფენილის (ფსკერის) სიღრმემდე გაფანტულად მთელ აუზში ამოვიდა: ნახშირის ნატეხები მცირე რაოდენობით, ბლომად ძვლები (მსხვილფეხი საქონლის, ცხვრის, შინაური ფრინველისა და თევზის), დიდი რაოდენობით აგურისა და კრამიტის (მოჭიქული და მოუჭიქავი) ნატეხები, მქისე წითელი და შავი გაკვამლული თიხის ჭურჭლის ნატეხები, სადა ქაშანური ჭურჭლის ნატეხები, რამდენიმე ნატეხი მოყვითანო, თხელკედლიანი (მაგრამ გარედან გაულესავი) თიხის ჭურჭლისა, თხელკედლიანი ირიზებული მინის ჭურჭლის ნატეხები და ბოლოს, ორი რკინის ლურსმანი: ერთი კოჭაკისა და ერთიც ნალისა. მთელი ეს ინვენტარი XIII ს-ისად ჩანს.

რომ მთლიანად ეს ნაგებობა წარმოადგენს აუზს და ის გარკვეული დანიშნულებისათვის, კერძოდ, ტკბილის დაგროვებისა და დაწრეტისათვის იყო განკუთვნილი, ამას ადასტურებს მის გასწვრივ, საყრდენ კედელში ამოჭრილი საწნახელი, საიდანაც დაწურული ტკბილი მილით ამ აუზისაკენ მოედინებოდა.

საწნახელი, როგორც ითქვა, საყრდენ კედელშია ჩაშენებული. ამ მიზნით ჩაუნგრევიათ მისი ბეტონი და როგორც ჩანს, შიდაპირიც. ხოლო გარეპირზე დაუტოვებიათ რამდენიმე საპირე ქვა, რომლებიც საწნახელის კედლადვეა გამოყენებული. SW-დან საწნახელის კედლის კვალი მთლად წარხოცილია. საყრდენი კედლის აწინდელი ზედაპირიდან საწნახელის სიღრმე 0,55 მ-ს უდრის, ხოლო მისი NO-კედლის სიმაღლე საშუალოდ – 0,35 მ-ს შეადგენს. თავდაპირველად კი, ცხადია, საწნახელი უფრო მაღალი იქნებოდა. მისი ფსკერი წარმოადგენდა საყრდენი კედლის კარგად გავაკებულ ბეტონს, რაზეც უეჭველია კარგად მორგებული საწნეხი ქვა იდო სპეციალურად ამოკვეთილი წვენის მისადენი ღარებით. ამ ღარებს დაქანება უნდა ჰქონოდა საწნახელის NO-კედლის შუა ადგილისაკენ, სადაც NO-სკენ, ე. ი. აუზისკენ დაქანებული თიხის მილია ჩასმული ტკბილის აუზში გაყვანის მიზნით. ეს ქვა ჩვენი გათხრების დროს აღარსადა ჩანდა, მაგრამ რომ ის არსებობდა და მისი ადგილი შემდეგში დაცარიელდა, იქიდან ჩანს, რომ მილის ზედა ნაწილი საწნახლის აწინდელ ფსკერზე უფრო მაღლაა (დაახლ. 0,25 მ-ით) და თავიდან კი ის, სწორედ, ფსკერის დონეზე უნდა ყოფილიყო.

მილი ჩაშენებულია, როგორც ითქვა საწნახლის NO-კედელში და მის შუა ადგილას. მისი ზედა ნაწილი მუხლს (მოხრილ მილს) წარმოადგენს, ხოლო ქვევით გრძელდება ძველი წყალსადენებისათვის ჩვეულებრივი თიხის მილით. ის გაყვანილია სასახლის SW-კედელში, გარდიგარდმო ჰკვეთს მას და დაქანებულია აუზის ფსკერისაკენ. დასაწყისი ნაწილი (მუხლის პირი) და დასასრული მას ჩამომტვრეული ჰქონდა, და ამიტომ მისი სიგრძის ზუსტი განსაზღვრა შეუძლებელი იყო. მაგრამ იმ ადგილიდან, სადაც მილს ბოლო აქვს ჩამომტვრეული, ჩანს, რომ მილები მეტი სიმაგრისათვის ორმაგად ჩაუნყვიათ და უფრო ვიწრო მილები (d-0,80 მ) მსხვილ მილებში (d-0,12 მ) ჩაუსვამთ. მუხლი კი ცალმაგია. მთლიანად ეს წვეთსადენი, მუხლიცა და მილებიც, გარედან დუღებით იყო მოსხმული[1].

მთლად მარანში 16 სხვადასხვა ზომის და სხვადასხვანაირად დაცული ქვევრი აღმოჩნდა, რომელთა აღწერა გეგმაზე აღნიშნული ნუმერაციის მიხედვით ქვევით

[1] დუღაბი იმდენად კარგად იყო დაცული, რომ ჩვენ მისი აღება მიზანშეწონილად არ დავინახეთ და ეს მილები ადგილზე დავტოვეთ, მაგრამ SW-კედლის ჩანგრევამ და უცაბედმა ჩამოზვავებამ ის სულ გააფუჭა.

არის მოცემული. ყველა ისინი კლდეზე იდგა და, როგორც გეგმიდან ჩანს, შენობის NO-მხარეს იყო მოთავსებული. ქვევრების ასეთი განლაგება კლდის რელიეფით არის გამოწვეული, რომელსაც ძალიან უსწორმასწორო ზედაპირი აქვს და რომელიც დაქანებულია სწორედ NO-კედლისაკენ. ამ უკანასკნელის მოპირდაპირე ნაწილში ქვევრების ჩასაყრელად კლდის ამოკვეთა იქნებოდა საჭირო, მაშინ როცა აქ ამ მიზნისათვის მიზანშეწონილი პირობები ბუნებრივად იყო მოცემული. თუმცა ქვევრის ჩასადგმელად არც ამ საშუალებას მორიდებიან და ერთ შემთხვევაში კლდე საგანგებოდ ამოუკვეთიათ ქვევრის ჩასადგმელად[1].

როგორც გათხრის პროცესის ზემოთ მოყვანილი აღწერიდან ჩანს, სასახლის მთელ არეზე ხანი კლდესა და ზედა, ე. ი. ჰუმუსის, ფენის შორის ნაშალი, კულტურული ფენით იყო ამოვსებული, რომელიც d და c სექტორების SW-ნახევარში კედლიდან ჩამოწოლილი ბათქაშის ფენით იყო გათიშული. მისი სისქე 2,5-4 სმ-ს უდრიდა[2]. აქ ალბათ ბათქაშის ერთდროულად ჩამოწოლას ჰქონდა ადგილი.

ხოლო d სექტორში პილასტრის ხარისხის ზედა წიბოდან 0,10-0,25-იოდე მ-ით უფრო დაბლა დუღაბის მკვრივი ფენის ნიშნები აღმოჩნდა, რომელიც, ჩემის აზრით, ზღვის ნაშთი უნდა ყოფილიყო[3].

სასახლის საბოლოოდ გათხრის შემდეგ გამოირკვა, რომ ჩვენამდე დაცული NO-კედლის ნაწილი ნახევარზე ნაკლები იყო. სასახლის N-კუთხის პოვნის შემდეგ გამოირკვა, რომ მისი სიგრძე 20 მ-ს უდრის და რომ ის კლდეზეა ამოყვანილი.

NO-კედლის ჩვენამდე შერჩენილი ნაწილის დაზიანების თავიდან ასაცილებლად მის გასწვრივ ვიწრო ზოლი გაუთხრელი დავტოვეთ, მაგრამ რამდენიმე საცდელი შურფის დადებამ და NO-კედლის NW-ნაწილის გათხრამ მისი საძირკვლის წყობის გამორკვევის საშუალება მოგვცა. მაგ., b სექტორის NW-პილასტრთან დადებული ვიწრო თხრილდიან[4] გამოირკვა, რომ პილასტრის ხარისხის ზედა წიბოდან კლდემდე, რომელზედაც საძირკველი დგას, 1,55 მ-ია. თვით ხარისხის სიმაღლე 0,30 მ-ს უდრის. საძირკველი საშ. ზომის ნაგლეჯი ქვებით არის ნაგები დუღაბზე, ხოლო ხარისხი ხუთ პირად დანყობილ მოზრდილ მქისედ თლილ ქვებზეა დაყრდნობილი; ეს წყობა პილასტრის მსგავსად, წინ არის გამოწეული ხარისხის ფუძისა და პილასტრის სისქის ზომაზე. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ ადგილის გასწვრივ, კედლის გარეთ ცოკოლი იმავე დონეზე აღმოჩნდა (მიწის ზედაპირიდან 0,60 მ-ის სიღრმეზე), რომელზედაც აქ საძირკველი თავდება და კლდე იწყება. NO-კედლის სხვა ადგილებში კლდის ზედაპირის სიღრმე მისი უსწორმასწორობის გამო რამდენიმედ მეტ-ნაკლებია, მაგრამ, საერთოდ, ყველგან საძირკველი ასეთივე ზომის ნაგლეჯი ქვებითაა ნაგები დუღაბზე და პილასტრებიც ამგვარივე წინ წამოწეული და უფრო მოზრდილ და კარგად თლილ ქვებზეა ამოყვანილი.

ყოველ პილასტრთან (გარდა N-კუთხის პილასტრისა) კედელს შიგნიდან ამოშენებული აქვს მოზრდილი ქვებისაგან ნაგები კონტრფორსები, რომელთა სიმაღლე პილას-

---

[1] მაგ., d-სექტორში გეგმაზე აღნიშნულ ქვევრ 8-ის SW-ით კლდე საგანგებოდაა გამოთლილი (მქისედ) საჭირო დიამეტრის ზომაზე.

[2] თარაზული დონის მიხედვით, c სექტორში ბათქაშის დონე 0,30 მ-ით უფრო დაბლა იყო d-სექტორის იმავე ფენასთან შედარებით.

[3] ამ ფენაზე 0,20 მ-ით უფრო დაბლაა b-სექტორში ნაპოვნი დუღაბის სქელი (სისქით 0,20 მ) ფენა, რომელიც დაახლ. 4 მ-ის მანძილზე ვრცელდება NO-დან SW-საკენ.

[4] სადაც, სხვათა შორის, 1,50 მ-ის სიღრმეზე ქაშანური ჯამის ნატეხი, ნახშირი, ცხოველის ძვლები და აგური ამოვიდა.

ტრის ხარისხებამდე აღწევს, ხოლო სიგრძე-სიგანე საშუალოდ 1,25×1,00 მ-ს უდრის. რადგანაც სასახლის მშენებლებს საძირკველის ჩაყრა ხამ მინაში კი არა, არამედ ტიტველ კლდეზე უხდებოდათ, ამ კონტრფორსებს ეტყობა ერთგვარი საყრდენის სამსახური უნდა გაეწია და აღნიშნული კედელი გაემაგრებინა. ამიტომაა, რომ ყველა ეს კონტრფორსები პილასტრებთანაა მოთავსებული: გუდარეხის სასახლის პილასტრებს ხომ მხოლოდ დეკორატიული მნიშვნელობა არა აქვთ და მათ, როგორც ჩანს (ნ. ზევით), თავის დროზე თაღებზე დაყრდნობილი კამარა ეჭირათ.

სასახლის მარანში მოთავსებული ქვევრების მოკლე აღწერა

პირველი ქვევრი. – გათხრილი იყო მხოლოდ ნაწილობრივ. ზუსტი ზომების აღება ვერ მოხერხდა. ზომებით დაახლოებით უდრიდა მე-6 ქვევრს (ნ. აქვე).

მე-2 ქვევრი. – დარჩენილი იყო მხოლოდ ძირის მცირე ნაწილი. ზომით ეს ქვევრი, ეტყობა, ბევრად უფრო პატარა უნდა ყოფილიყო სხვა ქვევრებთან შედარებით.

მე-3 ქვევრი. – მოწითანო თიხა. პირის d=31 სმ-ს, პირის სისქე=7 სმ-ს, სიღრმე – 1,25 მ. გარედან შემოკირული (რის კვალიც დარჩენილი იყო ქვევრის ზედა ნაწილზე). გარედან კონცენტრული რელიეფური წრეებით ყოველ 20 სმ-ზე.

მე-4 ქვევრი. – დაახლ. 0,15-0,20 მ-ის სიღრმეზე პილასტრის ხარისხიდან. მოყვითანო თიხა; სუფთად, კარგად ნაკეთები. პირის d=0,35 მ-ს, პირის სისქე=0,06 მ-ს. სიღრმე დაახლ. 1,40 მ-მდე (დაახლოებით, რადგანაც ქვევრი გაუთხრელ არეში მდებარეობს). სარქველი მრგვალი, მქისედ თლილი ფიქალისაა.

მე-5 ქვევრი. – მოყვითანო თიხა. პირის d=0,34 მ-ს, პირის სისქე=5,5-6 სმ-ს, მუცლის d=0,80 მ-მდე, სიღრმე – 1,46 მ. კარგად დაცული, გარედან კონცენტრული, რელიეფური წრეებით დაახლოებით ყოველ 0,20 მ-ზე. ყელზე – დაკბილული, კვეთილი, მარტივი ორნამენტით.

მე-6 ქვევრი. – მოწითანო თიხა, სიღრმე დაახლ. 1,60-1,70 მ-ია უპიროდ (პირი მომტვრეული ჰქონდა). კედლის სისქე – 1,5-1,6 სმ; გარედან კონცენტრული რელიეფური წრეებით ყოველ 0,20 მ-ზე. მუცლის d=1,40 მ-ს. ნაშალი მიწისაგან ამოსუფთავების დროს შიგ აღმოჩნდა ქვევრის პირის ნატეხები, ქაშანური ჭურჭლის და კრამიტის ნატეხები და მინის ჭურჭლის რამდენიმე ნატეხი. პირი სწორედ ისეთი, როგორიც მე-5 ქვევრს: იმავე სისქის და იმავე კვეთილი, დაკბილული მარტივი ორნამენტით.

მე-7 ქვევრი. – სიღრმე – 1,52 მ, მუცლის d – 1,00 მ, პირის სისქე – 7 სმ, კედლის სისქე – 2 სმ. დუღაბშემოკრული (შემოკირული), რომელიც ნახევარზე მეტად შემოცვეენილი იყო. სარქველით. გარედან კონცენტრული წრეებით ყოველ 0,12 მ-ზე. მთელი, ოდნავ პირჩამომტვრეული.

მე-8 ქვევრი. – სიღრმე – 1,55 მ; მუცლის d – 0,80 მ; პირი მომტვრეული აქვს პილასტრის ერთ-ერთი ქვით, რომელიც ზედ ეგდო. შემოკირული. კედლის სისქე – 2 სმ; გარედან კონცენტრული წრეები ყოველ 0,80 მ-ზე.

მე-9 ქვევრი. – სიღრმე – 1,65 მ, მუცლის d – 0,95 მ, კარგად შემოკირული ბრტყელი ქვით, კრამიტითა და ქვევრის ნატეხებით. კარგად თლილი სარქველით. პირის სისქე – 8 სმ.

მე-10 ქვევრი. სიღრმე – 1,55 მ; მუცლის d – 1,00 მ; ცუდად შემოკირული და დამტვრეული. პირის სისქე – 6,5 სმ, გარედან ტლანქი, უსწორ-მასწორო კონცენტრული წრეებით, დაახლ. ყოველ 0,14 მ-ზე. კედლის სისქე – 1-1,2 სმ.

მე-11 და მე-12 ქვევრი. დაცული იყო კედლების უმნიშვნელო ნაწილი. მოწითანო თიხა. კედლის სისქე – 1-1,5 სმ.

მე-13 ქვევრი. – მოწითანო თიხა. საშუალო ზომის, პირმომტვრეული. ყელთან ორი კონცენტრული თოკისებური ორნამენტით, რომელიც რელიეფურად არის დამუშავებული. თოკისებური ორნამენტის ქვევით, გარშემო, ოთხი რელიეფური და ჯვარედინად კვეთილი ხაზით ოთხნანილად გაპობილი ნახევარსფეროებით.

მე-14 ქვევრი. – მოწითანო თიხა, შემოკირული. პირი მომტვრეული აქვს, მუცლის d – 1,30 მ, სიღრმე – 1,55 მ, კედლის სისქე – 1-1,5 სმ.

მე-15 ქვევრი. – დაცული იყო მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი.

მე-16 ქვევრი. – მოყვითანო თიხა, შემოკირული და კარგად დაცული, კარგად გათლილი სარქველით. პირის d – 0,34-0,37 მ, სიღრმე – 1,50 მ.

ამ სახით, როგორითაც სასახლე დაცულია ჩვენამდე, ის არსად არ იჩენს მეორე სართულში, ე. ი. დარბაზში, შესავლის უცილობელ კვალს. მაგრამ სასახლის SO-კედლის გასუფთავების შემდეგ, რომლითაც ის III შენობას ეკვრის, სასახლისავე O გარე კუთხის თავისებური სახე, რომელსაც კუთხის ქვის წიბოები ცერადა აქვს ჩამოთლილი და, დასასრულ, ის ქვა (1,40×0,40 მ), რომელიც სასახლის SO-კედელზე O-კუთხეში იყო აღმართული, და ბოლოს პილასტრის ქვა კი არა, კარის ზღურბლის ქვა აღმოჩნდა, – გვაფიქრებინებს, რომ სასახლეს დარბაზში შესავალი სწორედ აქ უნდა ჰქონოდა. კუთხის წიბოს ჩამოთლილობა და გარე წახნაგის ცერად წაღება გაუგებრობას ჰკარგავს, თუ კი დავუშვით, რომ სასახლის ამ კუთხეში გარედან რაღაც წახნაგოვანი სიმრგვალე, კოშკის მაგვარი ნაგებობა იდგა (და როგორც ჩანს სწორკუთხოვან ცოკოლზე, რადგანაც კუთხის ძირა ქვას წიბო ჩამოთლილი არა აქვს და SO-წახნაგიც სწორადაა წაღებული), რომელიც ეგებ სადარაჯოს როლსაც ასრულებდა და რომელშიც სასახლეში ასავალი კიბეც შეიძლებოდა მოეთავსებინათ. შემდეგი გარემოებაც ამ ჩვენ მოსაზრებას ადასტურებს: გარედან სრულიად ცხადია, რომ III შენობა შემდეგშია მიდგმული სასახლეზე, შიგნიდან კი III შენობის N-კუთხე ერთ მთლიანს წარმოადგენს და მისი NO და NW-კედლები თავიდანვე ერთდროულადაა ამოყვანილი. კედლების ჩამოშლილი ქვებისაგან გაწმენდის შემდეგ გამოირკვა, რომ III შენობის N-კუთხეა მთლიანად მიდგმული სასახლეზე და ისე, რომ ამ N-კუთხიდან 1,43 მ-ის მანძილზე SW-საკენ სასახლის SO-კედლისათვის გარედან, ე. ი. III შენობის მხრიდან ახალი კედელი ამოუშენებიათ. აღნიშნულ ადგილას III შენობის NW-კედლის ნაშთის მთელ სიმაღლეზე გარკვევით ჩანდა ვერტიკალური კილო, რომელიც ჰყოფს III შენობის ახალსა და სასახლის ძველ წყობას. თითქოს ერთგვარი სხვაობაც არის შესამჩნევი კედლის ამ ორ ნაწილს შორის; სახელდობრ, III შენობის NW-კედლის წყობა და ქვა N-კუთხიდან 1,43 მ-ის სიგანეზე ისეთივეა, როგორიც მისივე NO-კედლისა, ხოლო ამას იქით ქვაც თითქოს იცვლება და წყობაც უფრო SO-კედლის შიდაპირსა ჰგავს.[1] კილოს არსებობა და მისი შექმნა III შენობის NW-კედლისათვის, N-კუთხის ახლოს, ახალი წყობის ამოყვანით მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო შესაძლებელი, თუ კი სასახლის N-კუთხეს ამ ადგილას გარედან რაღაცა აკლდა, რასაც თავის დროზე ეს ადგილი ეჭირა და რომლის გამოც სასახლის SO-კედელი აღარ გაუგრძელებიათ, ან უკეთ გაუთხელებიათ ვიდრე სასახლის O-კუთხემდე. ასეთი რამ კი შეიძლება მართლაც, კოშკი ან კიბე ყოფილიყო.

---

[1] უნდა ითქვას, რომ 1,43 მ-ის იქით III შენობის NW-კედელს მხოლოდ ერთი მწკრივი ქვა-ღა აქვს შერჩენილი და საპირე ქვებიც სულ ჩამონგრეულია, რის გამოც, კედლის ამ ნაწილის შესახებ გადაჭრით რაიმეს თქმა შეუძლებელია.

როგორც ჩანს. სასახლეს მეორე სართულზე სარკმლები SW-კედელშიც (ე. ი. ტაძრის მხრითაც) უნდა ჰქონოდა. მართლაც, ტაძარსა და სასახლის SW-კედელს შორის სარკმლის გატეხილი ქვა აღმოჩნდა, რომელსაც კარგადა აქვს შერჩენილი ხვეული ორნამენტით მოჩუქურთმების კვალი. სარკმელი, როგორცა ჩანს, ერთ მთლიან ქვაში ყოფილა ამოკვეთილი; მისი ზომა აღდგენილი სახით დაახლ. 1,30×0,70 მ-ს უდრის.

10. შენობა III[1]

ეს შენობა (ნ. გეგმა III) მიდგმულია სასახლეზე SO-დან, თანაც ისე, რომ მისი NO-კედელი მიკავშირებულია სასახლის NO-კედელზე დუღაბის ერთი ფენით, ხოლო NW-კედელი, რომელიც ამ შენობას თავისთვის დამოუკიდებლადა აქვს აგებული, მიდგმულია სასახლის SO-კედელზე. შენობა ორი ოთახისაგან შედგება. სასახლიდან პირველი ოთახი წარმოადგენს უსწორო ოთხკუთხედს, რომელსაც გასავალი აქვს მხოლოდ იმავე შენობის მეორე ოთახში, სასახლისაკენ კი არა. მისი კედლები, რომელთაგან მეტად თუ ნაკლებად კარგად დაცულია მხოლოდ ჩრდილო-აღმოსავლეთისა, ნაშენი იყო გვერდებჩამოტეხილი და მქისედ ნათალი, ქვიტკირზე ნაგები ქვით. NO-კედელში ყოფილა 2 სარკმელი. SW-კედლად გამოყენებული იყო ტაძრის საყრდენი კედელი. ოთახი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ ისეთსავე მკვეთრად დაქანებულ კლდეზე დგას, როგორც სასახლე, იატაკის ნაშთი არსად არ აღმოჩნდა. თავის ნაკედლართა პირთამდე ეს ოთახი ამოვსებული იყო ქვითა და მიწით. მრავლად ეყარა აქ ნათალი კვადრები და თაღის ქვები, რომლებიც უთუოდ სასახლიდან იყო ამ ოთახში მოხვედრილი. ამ ქვების ამოკრეფის შემდეგ ნაშალი მიწის სისქე არ იყო დიდი – იგი არ აღემატებოდა რამდენსამე ათეულ სანტიმეტრს და საგულისხმოს არას შეიცავდა: ამოდიოდა, უმთავრესად, უბრალო თიხის ჭურჭლის, კრამიტისა და აგურის ნატეხები, საქონლისა და ფრინველის ძვლები; მცირედ შეგვხვდა ანგობიანი ქაშანური ჭურჭლის ნატეხებიც და ორიოდე რკინის ფრაგმენტი. მაგრამ არავითარი დაფენება ნაშალს არ ეტყობოდა და განათხარიც ისე იყო მოფანტული მთელი ოთახის არეზე, რომ მთლიან სურათს არ იძლეოდა. ზედ გრუნტზე, ოთახის NO-ნაწილში, შეგვხვდა უსისტემოდ განლაგებული ხუთი ქვევრის ძირი. S-კუთხის ახლოს კლდეში ჩაჭრილია უსწორმასწორო მოყვანილობის ღრმა ორმო. მისი პირი უსწორო ოვალის მოყვანილობისაა, სიგრძით 1,25 მ, სიგანით 0,90 მ, სიღრმე 1,60 მ-ია. ორმო მიწით იყო ამოვსებული და ზედ პირქვე ეგდო ადამინის ჩონჩხი, რომელზედაც აუარებელი წვრილი ქვა ეყარა, თითქოს ადამიანი ჩაუქოლიათო. მიწის გაცხრილვის დროს აქ აღმოჩნდა ქვევრის, მოშავო და წითელი თიხის ჭურჭლის ნატეხები, მდარე ფაიანსის ჭურჭლის სამი ნატეხი, რკინის ლურსმანი, რაზა და კოჭაკი, მინის ერთი პატარა ნატეხი, ირმის რქა და მცირედ ნახშირი.

მეორე ოთახს, რომელიც მიშენებულია პირველზე SO-დან და მის მსგავსადვეა ნაგები, შესავალი აქვს SO-დან. აქ ნაშალი მიწის ფენა იმდენად თხელი იყო, რომ პირველივე წერაქვის შემდეგ გრუნტზე დავედით. განათხარი აქ არა იყო რა. ოთახს ტრაპეციისებური ფორმა აქვს.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს შემდეგი: მართალია, ზემოთ ჩვენ ვთქვით, რომ ამ შენობის NW-კედელი მიდგმულია სასახლის SO-კედელზე, მაგრამ დამოკიდებულება ამ ორ კედელს შორის, მათი ნაშთების მიხედვით, ნამდვილად და ზედმიწევნით ვეღარ

[1] 1938 წლის საველე ბარათებში ეს შენობა აღნიშნულია შიფრით „შენობა V (შ. V)".



სურ. 40. მთავარი ტაძარი. გეგმა.

ირკვევა. ამიტომ ჩვენს გეგმაზეც (III, IV და სურ. 34) ორივე აღნიშნული კედელი სრულად დაშტრიხული არაა და მათ შორის, დატოვებულია თეთრი ხანი იმის საჩვენებლად, რომ საკითხი გაურკვეველია (შდრ. აგრეთვე სასახლის აღწერა აქვე).

11. მთავარი ტაძრის კარიბჭე

გუდარეხის მთავარი ტაძარი, როგორც ცნობილია, აშენებულია რუსუდანის მეფობაში, XIII ს-ის მეორე მეოთხედში (სურ. 40). ეს თლილი ქვით ნაგები დიდი ერთნავიანი შენობა, შიგნით ბათქაშით გალესილი, აქა-იქ ფრესკების ნაშთებით კედლებზე, დროთა განმავლობაში ძალზე დაშავებული, 1938 წელს საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის კომიტეტმა შეაკეთა. მას ორი მინაშენი ჰქონია. ჩრდილოეთიდან მიშენებულია ეკვტერი, რომელსაც მეტად დაზიანებული აქვს მხოლოდ სახურავი. ამ შენობის მერმინდელობას გვიჩვენებს ის გარემოება, რომ მას დაუფარავს ტაძრის ჩრდილო კედლის თლილი ქვის პერანგი, რომლითაც, რა თქმა უნდა, ამ კედელს არ შემოსავდნენ, აქ რომ იმ თავითვე ეკვტერის აგება ყოფილიყო განზრახული. ეკვტერისათვის ძველი ნათალი ქვებიც გამოუყენებიათ, რომელთაგან ზოგი უთუოდ მთავარ ტაძარზედაც კი უფრო ძველია, ეკვტერის ჩრდილო-კედელში ჩასმულია ორი წარწერიანი ქვა და ეს წარწერები პალეოგრაფიულად X-XI საუკუნეებზე მიგვითითებს. ერთ ქვაზე (სურ. 41), რომელიც ტორსზე დგას, ისე რომ წარწერა ვერტიკალურადაა დაყენენული, ამოკოდვილია მსხვილი (12,5 სმ-იანი) – მთავრული ასოებით: „ქ̅ე შ̅ე გ̅ი", ე. ი. „ქრისტე შეიწყალე გიორგი". თვითონ ეს მდგომარეობა კედელში ცხადყოფს, რომ იგი აქ სხვაგნით მოუტანიათ და მეორედ გამოუყენებიათ – წარწერას, რა თქმა უნდა, ვერტიკალურად არავინ



სურ. 41. მთავარი ტაძარი. ეკეტერის ჩრდილო კედელში ჩაშენებული წარწერიანი ქვა.

მოათავსებდა.[1] მეორე ქვაზე (სურ. 42) ამოკოდვილია აგრეთვე, ძველი, მსხვილი (12 სმ-იანი) მთავრული ასოებით: „ქ˜ე შ˜ე ად˜მ", ე. ი. „ქრისტე, შეიწყალე ადამ".[2]

ორივე ეს წარწერა მიგვითითებს იმაზე, რომ, ალბათ, მთავარი ტაძრის ადგილსავე რუსუდანამდე ყოფილა უკვე რაღაც ძველი, ყოველ შემთხვევაში, X-XI ს-ის ნაგებობა.

მეორე მინაშენი ტაძარს სამხრეთიდან ჰქონდა. ეს ის კარიბჭეა, რომლის შესახებაც ე. თაყაიშვილი მოგვითხრობს, რომელიც ტაძრის მთავარ წარწერას ჰფარავდა, რის გამოც, ე. თაყაიშვილს იგი მოუნგრევინებია. ზედაპირულად ამ კარიბჭის ნაშთები თითქმის სრულებით წარხოცილი იყო და მისი ნაკედლარების აღმოსაჩენად და გეგმის აღსადგენად საჭირო შეიქნა მცირე გათხრების ჩატარება ტაძრის S-ფასადის გასწვრივ.

ტაძრის შესავლის W-ით დაცულია ამ კარიბჭის ერთი სვეტის ნაშთი, ხოლო გათხრამ სულ 0,10-0,15 მ-ის სიღრმეზე აღმოაჩინა კარიბჭის ნაკედლარები, უმთავრესად საძირკვლის სახით, ისე რომ შესაძლებელი შეიქნა მისი გეგმაზე დატანა. მისი სიგრძე=9,20 მ-ს, სიგანე=2,60 მ-ს, ხოლო მისი კედლების სისქე 0,88 მ-ს აღწევს. იგი მოგრძო სწორკუთხედს წარმოადგენდა, რომლის შუაზე მოდიოდა ტაძრის შესავალი. ნაშთებიდან ჩანს, რომ კარიბჭე თლილი ქვით ყოფილა ნაგები და, როგორც აღვნიშნეთ, სვეტებიანი იყო. მისი O და W-კედლები მიდგმულია ტაძრის საფუძვლის ქვედა ხარისხზე და ჰფარავს მას თავისი საძირკვლებით, ხოლო W-კედელი, როგორც ეს ქვიტკირის ნაშთებიდან ჩანს, ტაძრის ქვედახარისხზე, პირდაპირ ზედ ყოფილა დადგმული. სვეტები ტაძრის ქვედახარისხზე დაუდგამთ, რისთვისაც საჭირო გახდა სათანადო ადგილას ზედახარისხის ჩამოჭრა. ეს ჩანს როგორც იმ ადგილას, სადაც სვეტის ნაშთი დაცულია

[1] ქვის ზომები: 0,73×0,465 მ.

[2] ქვის ზომები: 0,75×0,58 მ.

დღემდე, ისე კარის O-ითაც, შესატყვის ადგილას, სადაც სვეტისა აღარა დარჩენილა რა. უფრო მაღლა, ისევ-ისე სვეტების კედელზე მისაყრდნობად, საჭირო გამხდარა იმ თარხნების ნაწილის ამოჭრა, რომელსაც ეყრდნობა კარის ტიმპანი. ამ ორი ცენტრალური სვეტის პირდაპირ კარიბჭეს შესატყვისი სვეტები უნდა ჰქონოდა S-კედელთანაც. ამ სვეტების კვალი სრულებით წარხოცილია, მაგრამ რამდენიმე თლილი ქვა თითქოს უსაძირკვლო წყობას გვაგულვებინებს, რომელიც კარის ორსავ მხარეზე გარდიგარდმო სტიხრავდა კარიბჭეს. ჰქონდა თუ არა კარიბჭეს კუთხის სვეტებიც, ძნელი სათქმელია. თაყაიშვილის დროს კარიბჭე დახურული იყო და მისი კედლების წყობა, თაყაიშვილის სიტყვით, მეტად უშვერი ყოფილა. შესაძლებელია, რომ კარიბჭეს მხოლოდ მერმინდელ ხანაში ამოუშენეს კედელი, თავდაპირველად კი, იგი ოთხივ მხრით ახდილი უნდა ყოფილიყო. ამას გვაფიქრებინებს ჯერ ერთი ის გარემოება, რომ, როგორც აღვნიშნე, თლილი ქვის წყობის ნაშთების მიხედვით, კარიბჭის ნაგებობა თავდაპირველად არ უნდა ყოფილიყო მაინც და მაინც უშვერი, მეორე მხრით კი ის, რომ, იგი თავიდანვე დახურული ყოფილიყო და მას შესავალი მხოლოდ S-დან ჰქონოდა, ტაძრის შესავლის პირდაპირ, ტაძარში შესვლა საკმაოდ მოუხერხებელი იქნებოდა, რადგან სწორედ სამხრეთით, კარიბჭის კედლიდან უკვე 1,00 მ-ის დაცილებით, კბოდე იწყება. მაშასადამე, მისავალი აქედან ძალიან ვიწრო იქნებოდა. არც დასავლეთიდან აქვს კარიბჭეს მარჯვე მისავალი, რადგან აქაც მხოლოდ 1,00 მ-ის სიგანის ვაკე ადგილია, რის შემდეგ შემაღლება იწყება I შენობისაკენ. ამგვარად, ერთადერთი და საუკეთესო მისავალი კარიბჭეს O-დან ჰქონდა და სწორედ აქედან არ შეიძლებოდა მისი ამოშენება. მხოლოდ ძალიან გვიანდელ ხანაში, როდესაც მონასტერი დაცარიელდა და სამონასტრო ცხოვრება შეწყდა, შეიძლებოდა ამა თუ იმ მიზნით ამოეშენებინათ კარიბჭე აღმოსავლეთიდან.

ტაძრის სამხრეთით, კარიბჭის ტერიტორიაზე და მის გარეთაც, საკმაოდ ბლომად იყო დაყრილი თლილი, შენობის ამა თუ იმ ნაწილისათვის დამუშავებული (კარის,



სურ. 42. მთავარი ტაძარი. ეკეტერის ჩრდილო კედელში ჩაშენებული წარწერიანი ქვა.

სარკმლის ან ლავგარდნის თუ სვეტის) და აგრეთვე, მოჩუქურთმებული ქვები და მათი ფრაგმენტები. უმეტეს შემთხვევაში, შეუძლებელი იყო გადაწყვეტა თუ ნიშანდობლივ რომელი შენობის კუთვნილებას წარმოადგენდა ესა თუ ის ქვა. ამ ადგილას, როგორც ჩანს, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირთა მიერ ყოფილა შეგროვილი მეტად თუ ნაკლებად საინტერესო ფრაგმენტები სამოსახლოს მთელი ტერიტორიიდან. სწორედ, ტაძრისა და კარიბჭის ნაშთები აქ ძალიან ცოტა აღმოჩნდა. კარიბჭის სვეტების რამდენიმე უმნიშვნელო ფრაგმენტი შეგვხვდა. იყო აქ ერთი ჩუქურთმიანი ქვაც, რომელიც ცხადლივ სამრეკლოს სამხრ-აღმოსავლეთით მდებარე ჩუქურთმიანი შენობიდან იყო აქ მოტანილი. აღმოჩნდა ტაძრის კანკელის ორიოდე ფრაგმენტიც. გათხრისას შეგვხვდა კიდევ რამდენიმე ფრაგმენტი მოჩუქურთმებული ქვებისა და აგრეთვე რამდენიმე ფრაგმენტი წარწერიანი ქვებისა. მოგვიანო ხანაში კარიბჭე საფლავებისათვის გამოუყენებიათ, მაგრამ არც ერთი საფლავი XVIII ს-ზე ადრინდელი არა ჩანს და ერთი-ორის გარდა, რომელთა აღება აუცილებელი იყო, ხელი მათთვის არ გვიხლია. ეს საფლავები, უმეტეს შემთხვევაში ფიქლებითაა ამოშენებული და ზევიდან ბრტყელი ქვითაა გადახურული და არც ერთი მიწაში ღრმად არ ზის, არამედ ყველა უკვე რამდენიმე სანტიმეტრის ან ათეული სანტიმეტრის სიღრმეზე ჩნდებოდა.

სხვა საგულისხმო ნაშთები, გარდა უმნიშვნელო კერამიკული ნატეხებისა (უმთავრესად კრამიტის სახით) და რამდენიმე რკინის კოჭაკისა, გათხრამ არა მოგვცა რა.

შურფების საშუალებით იქნა გამორკვეული ტაძრის საძირკვლის სიღრმე. იგი გამოჩნდა უკვე 0,35 მ-ის სიღრმეზე ნიადაგის თავდაპირველი ზედაპირიდან; საფუძვლის ქვედა ხარისხის სიმაღლე 0,30 მ-ს შეადგენს.

რადგანაც, როგორც აღვნიშნე, კბოდე ძალიან ახლო უდგება კარიბჭეს სამხრეთიდან, ამიტომ მისთვის დაბალი საყრდენი კედელი აუშენებიათ გარედან, რომელიც SW-კუთესთან დასავლეთისაკენ უხვევს და ორიოდე მეტრის მანძილზე მიჰყვება კარიბჭის დასავლეთის კედელსაც. აღმოსავლეთისაკენ ამ საყრდენი კედლის კვალი შესავლის პირდაპირ იკარგება. ამ საყრდენი კედლის გათხრისას აღმოჩნდა, რომ კარიბჭეს გარედან სამხრეთითა და დასავლეთით მისდევს ვიწრო ზოლი მიჯრით ერთი-ერთმანეთზე მიწყობილი, ფიქლებით ამოშენებული და გადახურული საფლავებისა.

ტაძარი ვიწრო ზოლით და სულ ათიოდე სანტიმეტრის სიღრმეზე შემოითხარა აღმოსავლეთიდანაც და ჩრდილოეთიდანაც ვიდრე მინაშენამდე. ეს საჭირო იყო მისი საფუძვლის ქვედა ხარისხის გამოსაჩენად, რომელიც მიწის თხელი ფენით იყო დაფარული. ეს ხარისხი ძლიერ დაზიანებული აღმოჩნდა და მას საფუძვლიანი შეკეთება დასჭირდა. ტაძრის NO-კუთხის ახლოს კიდევ ერთი საფლავი ვნახეთ. ამ კუთხიდან ჩრდილოეთით, სამიოდე მეტრის მანძილზე, აღმოჩნდა ქვევრი. აქ გათხრა და გამოკვლევა ვეღარ ვაწარმოეთ, რადგან ეს ადგილი ტაძრის შესაკეთებლად საჭირო ხარაჩოების დასადგმელად იყო განკუთვნილი. ჩრდილო მინაშენის O-კედლის ძირას დაიდო შურფი, რომელმაც გამოარკვია, რომ ტაძარი კლდეზეა დაფუძნებული. ჩრდილო მინაშენის ჩრდილო კედელი თითქმის მთელ სიმაღლეზე დაფარული იყო მიწით და ნაშალი ქვით, რომელიც ზევიდან, ამ მინაშენისავე სახურავიდან და ტაძრის N-კედლიდან იყო ჩამოცვენილი. ამ მიწისა და ქვების აღების შემდეგ აღმოჩნდა ის ორი წარწერა ჩრდილო მინაშენისა, რომლებიც ზემოთ აღვწერეთ.

აღვნიშნავ კიდევ, რომ ტაძარს ძველი მოჩუქურთმებული კანკელი ჰქონია (სურ. 43), რომლის ნაშთების უმრავლესობა ჩაშენებული იყო მერმინდელი, უშვერი ქვით და აგურით ნაგებსა და გარედან ბათქაშით გალესილს და მოგვიანო მხატვრობით შემკულ კანკელში. ეს უკანასკნელი არავითარ მხატვრულ ღირებულებას არ წარმოადგენდა.



სურ. 43. მთავარი ტაძარი. ძველი კანკელის ქვა.

ამიტომ ფრესკების ნაშთები მთლიანად ჩამოვჭერით (თაბაშირზე გადასატანად), ხოლო კანკელი დავშალეთ და ყველა ფრაგმენტი ძველი კანკელისა ამოვკრიბეთ. ისინი ყველა ჩამოტანილია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში, სადაც კანკელი აღდგენილ იქნება თავისი პირვანდელი სახით.

12. შენობა I

ეს შენობა მთავარი ტაძრის უკან მდებარეობს, სამიოდე მეტრის დაშორებით დასავლეთისაკენ (სურ. 44. შდრ. გეგმა III, ზ). იგი წარმოადგენს ქვიტკირით შემტკიცებული ნაგლეჯი ქვის ოთხოთახიან ნაგებობას. ჩრდილოეთით მდებარე ორი ოთახი სართულებადაა დადგმული (ქვედა სართულის ოთახი C, ზედა სართულისა – C[1]); ამათგან სამხრეთით ორი სხვა ოთახია: სამხრ.-აღმოსავლეთისა (ოთახი A) და ჩრდ.-დასავლეთისა (ოთახი B). ამ ორ უკანასკნელ ოთახს ერთმანეთისაგან მხოლოდ ტიხარი ჰყოფს. ეს შენობა უშუალოდ კლდეზეა დადგმული და შეიძლება ითქვას, განსაზღვრულია კლდის რელიეფით: C-ოთახის S-ნაწილიდან მოყოლებით კლდე იმდენად მაღლა იწევს სამხრეთის მიმართულებით, რომ განსხვავება C-ოთახისა და A- და B-ოთახების იატაკის დონეს შორის 2,30 მ-ს უდრის, ისე რომ A- და B-ოთახები მეორე სართულის სიმაღლეზე მდებარეობს (ნ. სურ. 45, განაკვეთი AB); ხოლო A- და B-ოთახების SW-კედლების ძირიდან S-სკენ მკვეთრი დაქანება იწყება და კედლები უშუალოდ კლდის ფერდობის ნაპირზე დგას; შენობის სხვადასხვა მხარეზე (O-მხარეზე A-ოთახისათვის, W-მხარეზე B-ოთახისათვის, S-მხარეზე C-ოთახისათვის) კედლების მაგივრობას ნაწილობრივ, კლდე ასრულებს, ისე რომ მხოლოდ კედლების ზემო ნაწილები წარმოადგენს წყობას.

C'-ოთახის SW-კედელი A- და B-ოთახებისათვის NO-კედელს წარმოადგენს. A- და C'-ოთახების SO-კედელი ერთი მთლიანი კედელია. საერთო კედლები აქვს A- და B-ოთახებს, როგორც S-მხარეს, ისე N-მხარეზე, ხოლო B-ოთახის NW-კედელი C'-ოთახის NW-კედელზე მიდგმული ჩანს. შენობის სახურავი მთლიანად ჩაქცეულია, ხოლო კედლები მეტ-ნაკლებად დაზიანებულ-დანგრეული.

A-ოთახის გეგმა წესიერი არ არის – თითოეული მხარის კედელი სხვადასხვა სიგრძისაა: SO-კედლის სიგრძე უდრის 5,40 მ-ს, NW-კედლისა – 5,75 მ-ს, SW-კედლისა=3,75 მ-ს და NO-კედლისა=4,05 მ-ს. ამგვარად, ოთახის W-ნაწილი უფრო გრძელია, ვიდრე O-ნაწილი, ხოლო N-ნაწილი უფრო განიერია, ვიდრე S-ნაწილი. განსხვავდება ოთახის კედლების სისქეც: SO-კედლის სისქე=0,85 მ-ს. NW-კედლისა=0,80 მ-ს. SW-ისა=0,65 მ-ს,



სურ. 44. შენობა I. გეგმები.



სურ. 45. შენობა I. განაკვეთები.

NO-ისა=0,75 მ-ს (ნ. სურ. 44). არც კედლების წყობაა ერთნაირი: თუ SO-SW- და NO-კედლები ქვიტკირით არის ნაშენი, NW-კედელი, რომელიც A- და B-ოთახების შუაგამყოფია, ყორულად არის ნაგები. საერთოდ ეს კედელი მერმინდელი ტიხრის შთაბეჭდილებას სტოვებს.

ამ ოთახის კედლებიდან ყველაზე უკეთ SO-კედელია შენახული (სიმაღლე 2,20 მ) და ნაწილობრივ, NO-კედელი (სიმაღლე 2,00 მ), ხოლო SW-კედელი და განსაკუთრებით NW-კედელი (სიმაღლე 0,30 მ) თითქმის მიწასთან არის გასწორებული. ოთახს კარები SO-კედლის N-ნახევარში ჰქონია დატანებული. კარის სიგანე=1,25 მ-ს. მისი ორივე ამყოლი უსწორ-მასწოროდ არის ჩამონგრეული. ვერ ირკვევა კარის სიმაღლეც, რადგან გადახურვაც ჩანგრეულა. S კუთხის ახლოს SO-კედელში ჩაშენებული ყოფილა ბუხარი, რომლის ისრული თაღი ბრტყელი, ე. წ. ქართული აგურისაგან არის შეკრული (აგურის ზომა: 0,24×0,25 მ, სისქე 0,03-0,05 მ). ოთახი იმდენად იყო მიწით ამოვსებული, რომ ბუხრის თაღის საყრდენები არა ჩანდა. ბუხარს თავზე შიგნიდან დატანებული ჰქონია საკვამლე ხვრელი. აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თაღს ზემოთ, ნაგლეჯ ქვებს შორის კედელში დატანებულია სიბრტყეზე დადებული ისეთივე ტიპის აგურები, როგორითაც ბუხრის თაღია შეკრული.

SW-კედელი, S-კუთხიდან 0,55 მ-ის დაშორებით, 1,20 მ სიგანეზე ჩამონგრეულა და გათხრამდე მიწასთან იყო გასწორებული. იქნებ, ამ ადგილას ოთახს სარკმელი ჰქონდა?

სწორედ იმ ადგილას, სადაც NW-კედელი C¹-ოთახის კედელს ებჯინებოდა, ეს უკანასკნელი ძირამდე მონგრეულია და 1,20 მ-ით არის დაშორებული A-ოთახის NW-კედელს.

B-ოთახი კიდევ უფრო უსწორო ოთხკუთხედს წარმოადგენს, ვიდრე A-ოთახი. მისი SW-კედლის სიგრძე 4,00 მ უნდა ყოფილიყო, ხოლო NO-კედლის სიგრძე 2,80 მ-ს უდრის; ორ დანარჩენ კედელს შორის სიგრძეში განსხვავება თუმცა მცირეა, მაგრამ მაინც არსებობს: SO-კედლის სიგრძე 5,75 მ, NW-კედლისა კი 6,05 მ უნდა ყოფილიყო. აქაც

განსხვავდება კედლების სისქე: SO-კედლისა უდრის 0,85 მ-ს, SW-ისა=0,75 მ-ს, NW-ისა=0,75 მ-ს და NO-ისა=0,80 მ-ს. B-ოთახის კედლები ისეა დაზიანებულ-ჩამონგრეული, რომ არსად სარკმლისა თუ კარის კვალი არ დარჩენილა. მხოლოდ, რადგან B-ოთახის W-კუთხე შეკრული არაა, შესაძლებელი იყო ადამიანს ეფიქრა, რომ აქ კარის ნიშანი უნდა აღმოჩენილიყო.

პირველი შენობის ოთახებს შორის ყველაზე უფრო საყურადღებო როგორც აგებულებით, ისე დეტალებით C- და განსაკუთრებით, C¹-ოთახებია, როგორც გეგმაზე ჩანს, ეს ოთახებიც არ ყოფილა წესიერად ნაგები, თუმცა თვალისათვის ეს განსხვავება სიგრძე-სიგანეში შეუმჩნეველი რჩება; SO-კედლის სიგრძე=4,60 მ-ს, მისი მოპირ-

სურ. 46. შენობა I. ორსართულიანი ოთახის ჩრდილო-დასავლეთი კედელი შიგნიდან.

სურ. 47. შენობა I. ასახულობა აღმოსავლეთიდან.

დაპირე NW-კედლისა – 5,15 მ-ს; განსხვავება, მაშასადამე, 0,55 მეტრია. SW-კედლის სიგრძე=7,90 მ-ს, მოპირდაპირე NO-კედლისა=7,30 მ-ს; აქ განსხვავება 0,60 მ-ს უდრის. C¹- და C-ოთახების კედლების სისქე=0,85 მ-ს, გარდა C-ოთახის SW-კედლისა, რომლის შესახებაც ქვემოთ ვილაპარაკებთ. ამ ოთახების კედლებიც თუმცა ნაგლეჯი ქვებით არის ნაშენი, მაგრამ ნაგლეჯი ქვებით ამოყვანილ პირებს შორის ჩასხმულია ჭყორდუღაბი (გარდა C-ოთახის SW-კედლისა) და ამგვარად, ისინი უფრო მტკიცედ არის ნაშენი, ვიდრე გამტანისი წყობით ნაგები კედლები A- და B-ოთახებისა. შესაძლებელია ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ყველა ოთახს შორის ყველაზე უკეთ ეს ოთახებია შენახული. იმდე-

ნად კარგად არის დაცული C- და C'- ოთახების კედლები, რომ ადამიანმა შეიძლება წარმოიდგინოს არა მარტო C-ოთახის სიმაღლე, არამედ C'-ოთახისაც, რასაკვირველია, მიახლოებით. ამის გამორკვევის საშუალებას შემდეგი გარემოება იძლევა: SW- და NO-კედლებში, იატაკიდან min. 1,75 მ-ის და max. 2,25 მ-ის სიმაღლეზე დატანებულია საკოჭე ბუდეები. ამ კოჭებზე C'-ოთახის იატაკი იქნებოდა დაგებული.[1] გარდა საკოჭე ბუდეებისა, მეორე სართულის დონეზე მიგვითითებს ბათქაში, რომელიც გარკვეულ სიმაღლეზე იწყება საკოჭეებს ზემოთ. ბათქაშის დონე კარგად ირკვევა განსაკუთრებით NW-კედელზე (სურ. 46). აქ იატაკიდან 2,00 მ-ის სიმაღლეზე კედლის პირი მთელ სიგრძეზე ამონგრეულია – ცხადად ჩანს, რომ აქ კედლის გასამაგრებელი ძელი ყოფილა ჩადებული; ბათქაში კი იატაკიდან 2,70 მ სიმაღლეზე იწყება. ცხადია, ამ სიმაღლეზე იქნებოდა C'-ოთახის იატაკი. მისი ჭერის სიმაღლეზე მიგვითითებენ SO- და NW-კედლები, რომელთა შუა ნაწილები ნივნივების სიმაღლემდეა დაცული (სურ. 47). ეს გარემოება იმის მაჩვენებელია, რომ ოთახი ორფერდა სახურავით ყოფილა გადახურული და მაშასადამე, ჭერი ნივნივების ძირების დონეზე იქნებოდა. ამგვარად, NW-კედლის საერთო სიმაღლეს (6,50 მ) უნდა გამოვაკლოთ ქვედა სართულის სიმაღლე (2,70 მ), და იმავე კედლის შუა-ნაწილის სიმაღლეს 0,60 მ მაინც უნდა დავაკლოთ, რათა ჭერის დონე განვსაზღვროთ და მეორე სართულის ოთახის სიმაღლე მივიღოთ (3,20 მ).

C-ოთახის გაწმენდამდე მისი SW-მხარე მთელ სიგრძეზე, C'-ოთახის SW-კედლის ძირამდე, სულ მიწითა და ღორღით ´იყო დაფარული, ისე რომ ამ ადგილას წარმომდგარ S-დან N-ისკენ დაქანებულ ბექობზე ავლით ადამიანი პირდაპირ A- ან B-ოთახში შედგამდა ფეხს. რაღა თქმა უნდა, მიწით იყო დაფარული აგრეთვე, C-ოთახის იატაკის დანარჩენი ნაწილიც, მაგრამ აქ მიწის ფენა მეორე სართულის საზღვრამდე არ აღწევდა და ამგვარად, ზოგიერთი დეტალი თავიდანვე ჩნდა.

SO-კედლის N-ნახევარში დატანებულია ისრული თაღით გადახურული კარი, რომლის სიმაღლე გათხრამდე მიწის ზედაპირიდან 1,15 მ-ს, ხოლო სიგანე 1,10 მ-ს უდრიდა. რაც შეეხება NO-კედელს, იგი W-საკენ ჩამონგრეულია მთელ სიმაღლეზე და NW-კედლისაგან, რომელთანაც კუთხეს უნდა ჰკრავდეს, დაცილებულია 2,40 მეტრით. NO-კედელში, O-ნახევრისაკენ, მიწის ზედაპირიდან დაახლ. 1,50 მ-ის სიმაღლეზე, დატანებულია 0,40 მ-ის სიგანის სარკმელი, რომელიც შიგნიდან გარეთ ვიწროვდება, გარედან მისი სიგანე მხოლოდ 0,20 მ-ს უდრის. C-ოთახის კედლები ბათქაშით არ არის შელესილი.

ამ ოთახს NW-კედელზე გარედან მიშენებული ჰქონია ორი პატარა ბეღელი ქვიტკირითა და მომცრო ნაგლეჯი ქვებით ნაგები. ერთმანეთისაგან ეს ბეღლები გაყოფილია ტიხრით. შიგნით მათი კედლები გალესილი იყო ბათქაშით. მიუხედავად იმისა, რომ ბეღლები პირთამდე მიწით იყო ამოვსებული, მაინც გარკვევით ჩანდა, რომ ისინი თავდაპირველად, კამარით ყოფილა გადახურული. კამარებში მარცვლეულის ჩასაყრელი ბანები იქნებოდა დატანებული. ამჟამად კამარები ჩაქცეულია.[2]

შენობის SW-ითაც, სამიოდე მეტრის დაშორებით, ერთ ადგილას ისე ელაგა ნაგლეჯი ქვები, რომ ადამიანს შეეძლო აქ განცალკევებულად მდგარი პატარა ნაგებობა ეგულვებინა, მაგრამ გათხრამ ეს შთაბეჭდილება არ დაგვიდასტურა, თუმცა აქ, კერა-

---

[1] განსხვავება სიმაღლეში იატაკიდან საკოჭე ბუდეებამდე აიხსნება ოთახის კლდოვანი, უსწორ-მასწორო იატაკით, რომლის დონე ოთახის სხვადასხვა ადგილას სხვადასხვაა.

[2] ბეღლებში ამოწმენდისას არაფერი საგულისხმო არ აღმოჩნდა.

მიკულ ნაშთებს გარდა, დამუშავებული ქვებიც აღმოჩნდა (სარკმლის, ღარის, თაღის და სხვ.), რომლებიც უსისტემოდ და დაუკავშირებლად ეყარა სხვადასხვა ადგილას.

ყველაზე მეტად საცხოვრებელი ოთახის მოთხოვნილებებს C'-ოთახი აკმაყოფილებს, მისი კედლები შელესილი ყოფილა საკმაოდ მკვრივი, 0,30 მ-ის სისქის ბათქაშით. ბათქაშის ნაშთები ყველა კედელზე კარგად ჩანს, და, განსაკუთრებით, კარგადაა იგი შენახული NW-კედელზე. უკეთესია C'-ოთახის განათებაც: SO-კედელში, 4,00 მ-ის სიმაღლეზე,[1] დატანებულია საკმაოდ ფართო სარკმელი, რომელიც საეკლესიო ნაგებობათა სარკმლების მსგავსად, შიგნიდან გარეთ ვიწროვდება. ამ სარკმლის სიგანე 0,80 მ-ს უდრის, ხოლო სიმაღლე – 0,90 მ-ს. მეორე სარკმელი დატანებულია NO-კედელში, აგრეთვე, დაახლ. 4,00 მ-ის სიმაღლეზე. ეს სარკმელიც შიგნიდან გარეთ ვიწროვდება; გარედან მისი სიგანე 0,25 მ-ს უდრის. დღეს ამ ოთახს მესამე სარკმელიც აქვს NW-კედელში, მაგრამ ამ ადგილას თავდაპირველად თახჩა უნდა ყოფილიყო და არა სარკმელი. ეს ჩანს შემდეგიდან: ა) ეს სარკმელი შიგნიდან გარეთ თანდათანობით არ ვიწროვდება, ბ) თახჩას, რა თქმა უნდა, ზურგი უნდა ჰქონდეს, ხოლო ამ სარკმელს, რომელიც, ეტყობა, თახჩის ზურგის განგრევით არის წარმომდგარი, დაბგაზე საფეხურივით აქვს დარჩენილი თახჩის ზურგის ნაწილი, რომელიც სარკმლისათვის ყოვლად გაუმართლებელია, გ) როგორც გეგმაზეც ჩანს, თახჩის ზურგის ნაწილი დარჩენილა N-გვერდითაც, ისე რომ, თუ შიგნიდან სარკმლის სიგანე 0,50 მ-ს უდრის, გარედან იგი მხოლოდ 0,30 მეტრია. შესაძლებელია ამ ოთახს კიდევ ჰქონდა სარკმლები იმ ადგილას, სადაც დღეს მისი კედლები ჩამონგრეულია, მაგრამ გადაჭრით ამის თქმა ძნელია.

C'-ოთახს თახჩებიც ჰქონია: SO-კედელში, 3,40 მ-ის სიმაღლეზე, მრგვალ-კამარიანი, ლამაზი თახჩა არის დატანებული, რომლის კედლები ბათქაშით არის შელესილი; თახჩის სიგანე უდრის 0,65 მ-ს, სიმაღლე – 0,80 მ-ს, სიღრმე – 0,30 მ-ს. მეორე თახჩა, რომელიც SW-კედელშია დატანებული 3,90 მ-ის სიმაღლეზე, ოთხკუთხია; მისი სიგანე – 0,45 მეტრს, სიმაღლე – 1,10 მ-ს, ხოლო სიღრმე – 0,50 მ-ს. მესამე თახჩა NW-კედელში ყოფილა, რომელიც როგორც აღვნიშნე, შემდეგ სარკმლად უქცევიათ; ეს ოთხკუთხი, უთაღო თახჩაა. NO-კედელში დატანებული მეოთხე თახჩა აგრეთვე უთაღოა; მისი სიგანე 0,40 მ-ს უდრის, ხოლო სიღრმე – 0,35 მ-ს.

რა თქმა უნდა, C'-ოთახსაც ექნებოდა კარი, ან, შესაძლებელია, 2 კარიც, საფიქრებელია იმ ადგილას, სადაც დღეს კედლები ჩამონგრეულია, მაგრამ კარის კვალი აღარსად დარჩენილა.

მას შემდგომ, რაც პირველი შენობის ოთახები მცენარეებისა და ზედაპირულად დაყრილი ქვებისაგან გავწმინდეთ, შევუდექით A-ოთახის გათხრას. ამ ოთახის SW-კედლის გასწვრივ, მთელ სიგრძეზე წინასწარ 1,50 მ-ის სიგანის თხრილი დავდეთ. ამგვარად, ბუხარი მთლიანად პირველ თხრილში მოჰყვა. ამ თხრილმა ზოგიერთი საინტერესო დეტალი გამოარკვია. ოთახის იატაკი, რომელიც უსწორმასწორო კლდეს წარმოადგენდა, მინის ზედაპირიდან მეტად ახლო აღმოჩნდა: ოთახის უდიდეს ნაწილში უკვე 0,40 მ-ის სიღრმეზე მივადექით კლდეს. მართალია, SW-კედლის ძირას 1,20 მ-ზე ჩავედით, მაგრამ კედლიდან უკვე 0,80-1,00 მ-ის მანძილზე N-ისაკენ მიწის ფენის სიმაღლე 0,40 მ-ს არ აღემატებოდა. ბუხრის სიგანე, როგორც აღვნიშნე, უკვე გათხრამდე ჩანდა,

[1] C- და C'-ოთახების სიმაღლეები როგორც ამ შემთხვევაში, ისე სხვა შემთხვევებში გაზომილია C-ოთახის იატაკის დონიდან.

ხოლო სიმაღლე გაურკვეველი იყო. გათხრამ გამოარკვია, რომ ბუხრის სიმაღლე 1,70 მ-ს უდრიდა.

ოთახის S-კუთხიდან 2,25 მ-ის მანძილზე, SW-კედლის ძირას, 0,40 მ-ის სიღრმეზე, თონე აღმოჩნდა, რომელიც ცალი მხრით კედელზე იყო მიბჯენილი. მისი დიამეტრი უდრიდა 0,80 მ-ს, სიღრმე, აგრეთვე, – 0,80 მ-ს. მის გვერდით O-საკენ ნაცრის ფენაც იდო. თონის აღების დროს გამოირკვა, რომ ერთი თონე ჩადგმული ყოფილა მეორე, უფრო დიდი დიამეტრის თონეში. ეს იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ შიდა თონე ამ საშუალებით უფრო მეტ ხანს ინარჩუნებდა სიმხურვალეს. თონე მიწით იყო ამოვსებული და არავითარ ინვენტარს არ შეიცავდა. W-კუთხიდან 0,85 მ-ის მანძილზე, მიწის ზედაპირიდან 0,60 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა SW-კედელში დატანებული თიხის მილი, რომელიც გარეთ გადიოდა. ამ მილით, უეჭველია, ჭუჭყიანი წყალი, ნარეცხი ისხმებოდა გარეთ.

იქ, სადაც A-ოთახს ვარაუდით კარი უნდა ჰქონოდა (SO-კედელში, O-კუთხის ახლოს), აღმოჩნდა ორი თლილი ქვა, დადებული საფეხურებივით. ერთი, შედარებით უფრო მოგრძო ქვა, კლდეზე იდო, ხოლო მეორე უფრო მოკლე და სქელი პირველი ქვის წინ მდებარეობდა, უფრო მაღლა. ამგვარად იქნებოდა ორი საფეხური. აშკარა იყო, რომ ეს ქვები აქ მეორეჯერ იყო გამოყენებული; ერთსაც და მეორესაც ნარიმანდები აქვს, რაც ზღურბლის ქვისათვის არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს. გარდა ამისა, ზედა ქვა, როგორც ჩანს, ჩამონატეხს წარმოადგენს. კარის სხვა ნიშნები არა აღმოჩენილა რა, ხოლო ეს გვიან გაკეთებული ზღურბლი, რა თქმა უნდა, ძველი კარის ნაშთი არ არის.

როგორც უკვე აღვნიშნე, SW-კედელი O-ნახევარში 1,10-1,15 მ-ის სიგანეზეა გარღვეული. გარედან გათხრამდე ჩანდა, ხოლო შემდეგ ოთახის შიგნიდან გაწმენდამ დაადასტურა, რომ ეს კედელი გამტანისი ყოფილა, მაგრამ, შესაძლებელია, ამ ადგილას სარკმელი ან თახჩა იყო. კარი აქ ვერ იქნებოდა, რადგან ამ კედლის ძირიდან კლდე S-მხარეზე მკვეთრად არის დაქანებული და ადამიანი აქედან ძნელად მიუდგებოდა სახლს. გაწმენდის შემდეგ დადასტურდა აგრეთვე, რომ NW-კედელი კლდეზე უბრალოდ დადებული ქვების გროვას წარმოადგენს.

რაც შეეხება ამ ოთახის გათხრის დროს აღმოჩენილ ნივთებს, კერამიკის მრავალ უმნიშვნელო ფრაგმენტებს გარდა თითო-ოროლა საინტერესო ნივთი თუ ფრაგმენტიც აღმოჩნდა. უკვე 0,10-0,15 მ-ის სიღრმეზე, SW-კედლის ძირას აღმოჩნდა გროვა მოყვითანო ფერის ლამაზად მოჩუქურთმებული ქვების ფრაგმენტებისა (სურ. 48). საფიქრებელია, რომ ყველა ეს ქვა ნაგებობის დეტალებს წარმოადგენს. სულ 20 ფრაგმენტია. ამ ქვებს, ცხადია, A-ოთახთან და, საერთოდ, პირველ შენობასთან არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონოდა, არამედ ისინი შემთხვევით უნდა ყოფილიყო აქ მოტანილი. რომ ეს ასეა, ჩანს თუნდაც იქიდან, რომ თითქმის ყველა ფრაგმენტი ერთად იყო დაყრილი ბუხრის მახლობლად, SW-კედლის ძირას. აქვე აღმოჩნდა თლილი, უორნამენტო ქვების სხვა ნატეხებიც, ზოგი მათგანი ნარიმანდიანი. ყურადღების ღირსია 0,70 მ-ის სიღრმეზე აღმოჩენილი ანგობიანი, მოჭიქული ჯამის ძირის ნატეხი, რომელზედაც სგრაფიტოს ტექნიკით ფრინველი ყოფილა გამოსახული (ფრაგმენტზე შენახულია ფრინველის კისერი, მკერდი და ტანი ბოლომდე). აღსანიშნავია აგრეთვე, ფაიანსის ერთი პატარა მძივი, ცისფერი მინარით დაფარული, მრგვალ-ბრტყელი, რომელიც SW-კედლის ჩამონგრეულ ნაწილში აღმოჩნდა 0,75 მ-ის სიღრმეზე. ეს პატარა ნივთი, რომელიც ორნაჩვრეტიან თანამედროვე პატარა ღილებს მიაგავს, იმით არის საყურადღებო, რომ ასეთი მრგვალ-ბრტყელი, ცისფრად მოჭიქული მძივები დმანისშიც აღმოჩნდა. თიხის ჭურჭლების



სურ. 48. ჩუქურთმიანი ქვის ფრაგმენტი.

ნატეხებს შორის, საზოგადოდ, სჭარბობდა სადა წითელი თიხის ჭურჭლების წვრილი ნატეხები. შიგადაშიგ მოჭიქული ჭურჭლის ნატეხებიც ერია, მაგრამ ესენი იმდენად პატარა ზომისა იყო, რომ ჭურჭლების არც ფორმებსა და ხშირად არც ორნამენტების შესახებ წარმოდგენას არ იძლეოდა.

B-ოთახს შენობის დეტალებში ახალი არაფერი შეუტანია, რადგან ამ ოთახის SW- და NW-კედლები, როგორც ზევით აღვნიშნე, არ იკვროდა, ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ აქ კარის არსებობის ნიშანი აღმოჩნდებოდა, მაგრამ გათხრას საამისო საბუთი არ მოუცია; აქ შიშველი კლდის გარდა, არაფერი გამოჩენილა. A- და B-ოთახების ტიხრის შესახებ B- ოთახის გათხრამაც დაადასტურა ის გარემოება, რომ ეს ტიხარი მერმინდელია.

საინტერესო აღმოჩნდა B-ოთახის განათხარი ინვენტარი: სხვადასხვა ტიპის კერამიკის ნატეხებს შორის აღმოჩნდა ორი პატარა ნატეხი ფაიანსის ჭურჭლისა; ორივე ნატეხი ოთახის NW-მეოთხედში ვიპოვეთ, 0,50-0,60 მ-ის სიღრმეზე; ერთი მათგანი გარედან სპილენძის ლუსტრითაა შემკული; მეორე კობალტის ლურჯი ზოლებით და მწვანე წინწკლებითაა შეფერადებული მინარის ქვეშ და აგრეთვე კარგ ნახელავს წარმოადგენს. ოთახის SW-მეოთხედში, 0,30 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა ქვევრის პირის ნატეხი ასომთავრული წარწერის ნაშთით. აღსანიშნავია კიდევ 3 ფრაგმენტი სპილენძის დიდი ზარისა, მაგრამ მათგან არც ერთი 0,10 მ-ზე უფრო ღრმად არ აღმოჩენილა. გარდა ამისა, ამ ოთახშიც აღმოჩნდა როგორც მოყვითანო ქვების ჩუქურთმიანი პატარ-პატარა ფრაგმენტები, ისე მოჭიქული ანგობიანი ჭურჭლის ფრაგმენტებიც. ბლომად იყო მოჭიქული თუ მოუჭიქავი, ბრტყელი ქიმებიანი და კურტნიანი კრამიტის ნატეხებიც.

C-ოთახმა ზოგიერთი საინტერესო ნაგებობა გვიჩვენა. ამ ოთახის აწერის დროს ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მისი SW-კედელი ძირიდან მეორე სართულის სიმაღლემდე მიწითა და ღორღით იყო დაფარული. მას შემდეგ, რაც C-ოთახი ამ მიწისა და ღორღისაგან გავწმინდეთ, გამოირკვა, რომ ეს ბექობი მთლიანად მიწისა და ღორღისაგან კი არ შედგებოდა, არამედ NW-კედლიდან მოყოლებით 4,50 სიგრძეზე და საშუალოდ, 1,70 მ-ის სიგანეზე ოთახში ამოყვანილია ნაგლეჯი ქვებით და ქვიტკირით ნაშენი კედელი, რომელიც 1,00 მ-ის სიმაღლისაა და რომლის გაგრძელებაზე ოთახის SO-კედლამდე, ე. ი. 3,20 მ-ის მანძილზე, ოთახში კლდეა შემოჭრილი 1,40 მ-ის სიგანით. ამგვარად, C-ოთახის SW-კედელი ნაწილობრივ იყო მხოლოდ ამოშენებული. ნაწილობრივ კი, მის მაგივრობას პიტალო კლდე ეწეოდა. რადგან კლდე SO-დან NW-საკენ არის დაქანებული და ამასთან ერთად, მას საკმაოდ უსწორ-მასწორო რელიეფი ჰქონია, კლდეზედაც ქვები დაუშენებიათ ქვიტკირით და ერთგვარად გაუსწორებიათ მისი ზედაპირი. ორ ადგილას დღემდეა დარჩენილი კლდის ხაბოში ჩაშენებული ქვების ნაგლეჯები.

როგორც C-ოთახის გეგმასა და განაკვეთზედაც ჩანს, SW-კედელი დასავლეთ ნაწილში უფრო მაღალ დონეზეა დაცული, ვიდრე სხვაგან: სახელდობრ, აქ ერთი წყება ქვებისა 0,70 მ-ითაა ამაღლებული კედლის დანარჩენ წყობასთან შედარებით. საფიქრე-

ბელია, რომ ამ კედლის სიმაღლე მეორე სართულამდე აღწევდა და ერთგვარ საყრდენს წარმოადგენდა იმ კოჭებისათვის, რომლებზედაც მეორე სართულის იატაკი იქნებოდა დაგებული. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ კლდისა და C-ოთახის SW-კედლის სიგანე თითქმის ერთნაირია, ხოლო მეორე მხრით კლდე C[1]-ოთახის სიმაღლემდე აღწევს, უნდა ვიფიქროთ, რომ C[1]-ოთახის SW-კედლის სიმაღლეც კლდის სიმაღლეს უნდა გათანაბრებოდა. ამგვარად, თუმცა C-ოთახი შიგ შემოჭრილი კლდისა და მის გასწვრივ ჩაშენებულ კედლის გამო დავიწროებული იყო, სამაგიეროდ, კლდის შემოჭრით შექმნილი უსწორ-მასწორობა მოუსპიათ.

მეორე საინტერესო დეტალი, რომელიც გათხრამ გამოარკვია, იყო ამ ოთახის W-კუთხესთან აღმოჩენილი ქვაფენილის ნაშთი (სურ. 46). როგორც ჩანს, ოთახის კლდოვანი ნიადაგის უსწორ-მასწორობა თხელი ბრტყელი ქვებით ყოფილა გასწორებული. გათხრამდე ამ ქვებს 0,90 მ-ის სისქის მიწის ფენა ჰფარავდა. ქვები მშრალზე დევს.

C-ოთახის კარის ძირას ნაცრის საკმაოდ სქელი ფენა აღმოჩნდა, რომელიც ნაცეცხლარის ნაშთს უნდა წარმოადგენდეს. ყოველ შემთხვევაში, აქ ბუხარი რომ არ შეიძლება ყოფილიყო, ჩანს იქიდან, რომ SO-კედელში, რომელშიც ეს კარია დატანებული, არაა საკვამლე მილი, რაც ბუხრისათვის აუცილებელი იყო. მეორე მხრით, აქ რომ ბუხარი ყოფილიყო, მას ხომ ზურგი უნდა ჰქონოდა, კედელი კი ამ ადგილას გახსნილია და არავითარი კვალი იმისა, რომ კედელი ოდესღაც მთლიანი შეიძლებოდა ყოფილიყო, არა ჩანს. თუმცა კარს საჭირო სიმაღლე არა აქვს (მისი სიმაღლე უდრის 1,55 მ-ს), მაგრამ ეს ძველი შენობისათვის ჩვეულებრივია, მით უმეტეს, რომ ამ ოთახის მთელი სიმაღლე, როგორც აღვნიშნე, 1,75-2,25 მ-ს არ აღემატება.

ოთახში ნაყარ მიწაში მრავლად ერია ნაგლეჯი ქვა და ქვიტკირის ნატეხები. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მიწის ფენა ოთახს შიგნით ერთნაირი სისქისა არ ყოფილა: თუ SO-მეოთხედში 0,60 მ-ის სიღრმეზე უკვე კლდე გამოჩნდა, NW-ნახევარში 1,00 მ-ის სიღრმემდე მოგვიხდა ჩასვლა. ჰუმუსის თხელი ფენა რომ მხედველობაში არ მივიღოთ. ისევე, როგორც A- და B-ოთახებშიც, C-ოთახშიც არსებითად ერთი ფენა იყო, მაგრამ ფენის სისქის ნახევარზე მეტი ღორღისაგან შედგებოდა, ხოლო მისი საშუალოდ 0,20 მ-ის სისქის ქვედა ნაწილი შეიცავდა მცირეოდენ ინვენტარს. სადა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებს გარდა, აქაც აღმოჩნდა ნივთები, რომლებსაც ამ შენობის დათარიღებისათვის ერთგვარი მნიშვნელობა აქვს. ოთახის W-ნახევარში, უმთავრესად, SO-კედლის ძირას, 0,90 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა 39 ფრაგმენტი ფხური ორნამენტით შემკული წითელი თიხის წარნაქიანი ჭურჭლისა. ასეთი ორნამენტით შემკული ფრაგმენტები მრავლად გვხვდება დმანისშიც. იქ ისინი XIII ს-ითაა დათარიღებული. ვნახეთ, აგრეთვე ანგობიანი ქაშანურის ორი ნატეხიც.

ამ შენობის აგების თარიღის დადგენა საკმაოდ ძნელია. არა მგონია, რომ იგი მთავარ ტაძარზე ადრე ყოფილიყო აშენებული,[1] მაგრამ იგი არც ძალიან გვიანდელი უნდა იყოს, რადგან განათხარი ინვენტარი XII-XIV საუკუნეებზე მიგვითითებს (ასეთია ლუსტრიანი ფაიანსის ნატეხი, ფრინველიანი ქაშანურის ფრაგმენტი, მოჭიქული მძივი და ფხური ორნამენტით შემკული წითელი თიხის ჭურჭლის ნატეხები).

---

[1] ამ მხრით მნიშვნელობას არ უნდა იყოს მოკლებული ის გარემოება, რომ ეს შენობა სრულებით ჰფარავს ტაძრის W-სარკმლის საუცხოო ჩუქურთმას. უნდა ვიფიქროთ, რომ ტაძრის აგებისას ეს შენობა რომ უკვე თავის ადგილას მდგარიყო, W-სარკმელს ასე არ შეამკობდნენ.

13. საჟამნო ზღუდეს გარეთ

საჟამნო პატარა ზომის ერთნავიანი ტაძარია (სურ. 49). ძალიან ცუდია მისი დაცულობა: O-ფასადი 2/3-ზე დანგრეულია; აქ კარგადაა შენახული მხოლოდ ხარისხი და პირველი (ძირა) წყება გარეპერანგისა, დანარჩენი გარედან ბეტონის სახით დგას; W-ფასადი სულ დაქცეულია ხარისხამდე. N-ფასადზე ხარისხიც დაფარულია ნანგრევით, კედელი თითქმის მთლიანად დაქცეულია. S-ფასადი შედარებით კარგადაა დაცული, იგი 2/3-ით საღად დგას ლავგარდნითურთ.

სარკმელი O-კედელში შიგნიდანაა დაცული მხოლოდ, მისი გარეპირის ორი ქვა იქვე ეგდო (რეკონსტრუქცია: სურ. 50). გარედან შენობას ორსაფეხურიანი ხარისხი დაუცავს: ძირა საფეხური კუთხოვანია, მეორე კი – მომრგვალებული.

პერანგის თლილი ქვა გარედან ორი ქანისაა: ლეგა-მოყვითანო სილა-ქვა და მოყავისფრო-ღვინისფერი ფილაქნები. S-ფასადზე ჯერ მოდის ხარისხის ღვინისფერი ზოლი, შემდეგ პირველი წყება მოყვითანო ფილაქნებისა, მე-2 წყება – ღვინისფერი, მე-3 წყება – ყვითელი ფილაქნებისა, მე-4 წყება – ღვინისფერი (ამ წყებაშია სარკმელიც, იგი ყვითელი ქვისაა), მე-5 წყება – მსხვილი და საშუალო ზომის ყვითელი ფილაქნების, მე-6 წყება – ჭრელია: ღვინისფერი კვადრი, გვერდით ყვითელი და ა. შ. კედელს აგვირგვინებს ყვითელი ქანის ჩუქურთმიანი ლავგარდანი.

ორფერდა სახურავი ბეტონის სახითაა დაცული აფსიდის კონქის ნაშთითურთ შიგნით. სახურავი, როგორც ტაძრის გარშემო ნაპოვნი ნაშთი გვიჩვენებს, ლეგა-მომწვანო ქანის ლილვაკიანი ლორფინებით ყოფილა დაფენილი (სამრეკლოსავით).

აფსიდის თლილი ქვის პერანგის ზედაპირი შიგნით გალესილი ყოფილა ბათქაშით. ნაშთების მიხედვით ტაძარი თითქოს ფრესკული მხატვრობით უნდა ყოფილიყო შემკული შიგნით, გარედან კი, იგი უხვად ყოფილა შემკული ჩუქურთმით. ლავგარდანი სულ ერთიანად მოჩუქურთმებული ყოფილა და თან სხვადასხვა ფასადზე სხვადასხვანაირად (სურ. 51).

ტაძრის სრული გეგმის აღდგენისა და ჩამოვარდნილი ჩუქურთმიანი ქვების პოვნის მიზნით მის გარშემო დაიდო დიდი თხრილი, ზომით 20×12 მ. პირველსავე დღეს ტაძრის გარშემო ზედაპირულად აღმოჩნდა ნიშანდობლივი ქვების ნატეხები სხვადასხვა ზომისა. ასეთი ქვების რიცხვს მიეკუთვნება ჩუქურთმიანი ქვების ნატეხები ლავგარდანისა, სარკმლისა, კარისა, მთელი ქვა აღმოსავლეთი ფასადის ჩუქურთმიანი ჯვრისა, ლორფინის ნატეხები, თაღის ქვების ნატეხები და სხვ.

ტაძრის S-კედლის გასწვრივ გაითხარა მიწის ზოლი 3,0 მ-ის სიგანეზე მხოლოდ, რადგან უფრო მოშორებით არაფერი იყო მოსალოდნელი. დაახლოებით 0,20 მ-ის სიღრმეზე ყველგან კლდოვანი გრუნტი გამოჩნდა. ნივთები არა იყო რა. ანალოგიური მდგომარეობა იყო ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით; აქაც 0,20 მ-ის სიღრმეზე კლდე გამოჩნდა, ხოლო ზედაპირულად ამოდიოდა მცირე რაოდენობის კრამიტისა და სადა წითელი და გაკვამლული ჭურჭლის ნატეხები. შენობის W-ით კედლის გასწვრივ დაიდო 2,00 მ-ის სიგანის თხრილი, ხოლო N-ით – 2,40 მ-ის სიგანისა. ამ მხარეზე მრავლად აღმოჩნდა ჩუქურთმიანი ქვების ნვრილი ნატეხები. 0,35-0,40 მ-ის სიღრმეზე აქაც კლდე გამოჩნდა.

ტაძრის შიგნით ზედაპირიდან 0,15 (O-ით) – 0,35 (W-ით) მ-ის სიღრმეზე გამოჩნდა მოსწორებული ზღვე. ტაძრის NW-ით კუთხის ახლოს ზღვე ჩატეხილი აღმოჩნდა. შემონმების მიზნით, ჩატეხილი ზღვე უფრო ღრმად ჩაითხარა. აღმოჩნდა, რომ ზღვე ქვითკირისა კი არ იყო, როგორც ეს თავდაპირველად ჩანდა, არამედ წარმოადგენდა



სურ. 49. საუამნო ზღუდის გარეთ. გეგმა, განაკვეთი, ფასადები.

ერთ მთლიან უზარმაზარ ქვას (ფილს), რომელიც დაგებული ჰქონია ტაძარს მთელ სიგრძეზე. ფილი რბილი იყო და ადვილად იშლებოდა. მისი ზედაპირი 0,15 მ-ით უფრო დაბლა მდებარეობდა, შედარებით კლდოვანი გრუნტის ზედაპირიდან, რომელზედაც ტაძარი დგას. ფილი მხოლოდ O-ით და S-ით ებჯინებოდა უმეშვოდ ტაძრის კედლებს, W-ით და N-ით კი მას და კედლებს შორის კლდე იყო. აფსიდაში ფილის სისქე 0,10 მ-ს არ აღემატებოდა.

ფილის ქვეშ კიდევ 0,22 მ-ის სისქის ნაშალი შავი და რბილი მიწის ფენა მოდიოდა. ამ ფენის ქვეშ აღმოჩნდა ბრტყელი საფლავის ქვები, რომლებიც ჩატეხილ ადგილას გამოჩრილი იყო რამდენიმე სმ-ით.

გამოირკვა, რომ ჩატეხილი ადგილი უფრო ფართო იყო, ვიდრე თავდაპირველად გვეგონა; ამ ადგილას აღმოჩნდა მიწაში არეულად და სრულიად უწესრიგოდ მდებარე ნაშთები ადამიანის ჩონჩხისა, ისიც, მეტად მცირე რაოდენობის. აქვე იყო ჩაგდებული



სურ. 50. საჟამნო ზღუდის გარეთ. აღმ. ფასადის რეკონსტრუქცია, ლავგარდანი და დეკორის ფრაგმენტი.

ტაძრისეული ორი ქვა ჩუქურთმიანი და ორი პატარა ნატეხი ლურჯად მოჭიქული ანგობიანი ჭურჭლისა, რომელთაგან ერთზე სგრაფიტოს ტექნიკით შესრულებული ორნამენტის ნაშთი იყო შერჩენილი.

კლდოვანი გრუნტი S-მხარეზე უფრო დაბალ დონეზე აღმოჩნდა. მასში სამარესავით ამოღებული იყო ორმო უწესო ოთხკუთხედის მოყვანილობისა. ამ ორმოში მხოლოდ S-მხარეზე აღმოჩნდა ბრტყელი ფილაქნები სისქით 0,40-0,80 მ-ისა. ეს ქვები წარმოადგენდნენ ფიქალის მსგავსად კლდიდან ახეთქილ ქვებს.

ტაძრის W-კედლის გადაწმენდის შემდეგ აღმოჩნდა კარის ზღურბლი საყუნწურითა და კარის ჩასადგმელი ღარითურთ in situ. კარის სიგანე უდრიდა 0,60 მ-ს.

რაც შეეხება საფლავს, იგი ორიენტირებული იყო W-დან O-საკენ. აღმოსავლეთის მხარეზე დატოვებული იყო ქედივით ამოწეული გრუნტის კლდე, რომელიც საფლავს

ორ განყოფილებად ჰყოფდა: S-განყოფილებად, რომელსაც ბრტყელი ქვები ეხურა და N-განყოფილებად, რომელსაც სახურავი არ გააჩნდა.

თხრა დაიწყო S-განყოფილებაში სახურავის აღების შემდეგ. საფლავი ამოვსებული იყო ფხვიერი მიწით. მის SO-კუთხეში აღმოჩნდა ადამიანის ჩონჩხის არეული ძვლები ერთად შექუჩებული. სავარაუდოა, რომ აღნიშნული ჩონჩხის ძვლები ეკუთვნოდა უფრო ძველ მიცვალებულს და ახალი მიცვალებულის დასამარების დროს ეს ძველი საფლავის SO-კუთხეში შეუქუჩებიათ. ახალი მიცვალებული ზურგზე დაუწვენიათ გაშვეტილი. მარცხენა ხელი მკერდზე ედო, ხოლო მარჯვენა – მენჯზე. მის ფეხებთან ეყარა ორი სხვა თავის ქალა და ორი ჩონჩხის ძვლები. SO-კუთხის ჩონჩხის ახლოს, საფლავის O-კედლის ძირას, 0,20-0,25 მ-ის სიღრმეზე საფლავის ზედაპირიდან აღმოჩნდა თხელკედლიანი, გამსჭვირი, უფერო მინის ჭურჭლის მინიატურული ნატეხი. საფლავში სხვა არა აღმოჩენილა რა. S-საფლავის სიგრძე უდრიდა 2,15 მ-ს, სიგანე – 0,85 მ-ს, ხოლო სიღრმე – 0,60 მ-ს.

ამოიწმინდა N-საფლავიც, რომლის ზომებიც თითქმის ისეთივე იყო, როგორიც პირველისა. ამ საფლავსაც, აგრეთვე, არა მოუცია რა. ძვლები აქაც აყრილ-დაყრილი აღმოჩნდა.



სურ. 51. საჟამნო ზღუდის გარეთ. დეტალები.

14. გუდარეხის კერამიკა

გუდარეხის კერამიკა რაოდენობის მხრივ, საგრძნობლად ჩამოუვარდება საქართველოს სხვა პუნქტებში (დმანისი, რუსთავი, თბილისი) აღმოჩენილ კერამიკას. მიუხედავად ამისა, გუდარეხის კერამიკის შესწავლა არაა მოკლებული ინტერესს, მით უფრო, რომ აღმოჩენილი მასალა შედეგია კარგად დაყენებული არქეოლოგიური გათხრისა.

გუდარეხის კერამიკის დათარიღების საშუალებას იძლევა სტრატიგრაფიული მონაცემები და ნუმიზმატიკური მასალა, რომელიც, უმთავრესად, კერამიკასთან ერთადაა აღმოჩენილი. დათარიღების საკითხის გარკვევისათვის, აგრეთვე მეტად მნიშვნელოვანია მდიდარი შედარებითი მასალა აღმოჩენილი როგორც საქართველოში (დმანისი, თბილისი, რუსთავი და სხვ.), ისე მის გარეთაც (სომხეთი, აზერბაიჯანი, ბიზანტია, ირანი და სხვ.). როგორც წინამდებარე ანგარიშიდან ჩანს, გუდარეხში ორი კულტურული ფენა გამოირჩეოდა: ზედა ფენა – გვიანი და ქვედა – XIII ს. ფენა. ეს უკანასკნელი უშუალოდ კლდოვან გრუნტზე იდო. ზედა ფენაში, უმთავრესად, სააღმშენებლო კერამიკის ნიმუშები მოიპოვებოდა და, როგორც განსვენებული ლ. მუსხელიშვილი ფიქრობდა, ეს ფენა XVII ს-ზე ადრინდელი არ უნდა იყოს. ზედა ფენაში, აღმოჩნდა ფაიანსის იმ ჯამის ნატეხები, რომლებიც მოხატულია ჭიქურსქვეითი მხატვრობით ლურჯი და მოშავო ფერის საღებავებით (სურათი 14). გუდარეხის მთელი დანარჩენი კერამიკა – მოუჭიქავი და მოჭიქული ჭურჭელი, აგრეთვე, ფაიანსის პატარა ნატეხი – თითქმის მთლიანად აღმოჩენილია XIII ს. კულტურულ ფენაში და, ცხადია, ამ საუკუნის პროდუქციას წარმოადგენს. ამ მოსაზრებას ადასტურებს აღნიშნულ ფენაში აღმოჩენილი მონეტებიც.

გუდარეხში აღმოჩნდა სულ 19 მონეტა, აქედან 18 ქართულია, ხოლო ერთი – ვერცხლის მონღოლური მონეტაა. მონეტების საერთო რაოდენობიდან 2 მონეტა გაურკვეველია (თუმცა მათი ქართულობა ეჭვს არ ბადებს). ამას გარდა, 3 მონეტა (ერთი თამარ მეფისა და ორი რუსუდანისა) ზედაპირულადაა ნაპოვნი, ხოლო დანარჩენი 16 მონეტა



სურ. 52. მოუჭიქავი ჭურჭლის ფრაგმენტები.

სურ. 53. წერნაქით დაფარული ჭურჭლის ფრაგმენტი.

კი, კულტურულ ფენაშია აღმოჩენილი არქეოლოგიური გათხრის პროცესში: გიორგი III – 3 მონეტა; თამარ მეფის – 6 მონეტა; გიორგი ლაშასი – 5 მონეტა; რუსუდანის – 2 მონეტა (შდრ. გვ. 50-51, 61, 79, 85, 96).

დანიშნულების მიხედვით, გუდარეხის კერამიკაში გამოირჩევა: სააღმშენებლო (აგურები, კრამიტები, ფილები, წყალსადენის მილები) და საყოფაცხოვრებო კერამიკა.

თიხა, რომლისგანაც უკეთებიათ გუდარეხში აღმოჩენილი კერამიკა, ორგვარია: ფერადი და თეთრი თიხა.

კრამიტები ორგვარი ტიპისაა: ბრტყელი ქიმებიანი და ღარისებრი, რომელსაც ლ. მუსხელიშვილი ყველგან „კურტნიან კრამიტებს" უწოდებს. გვხვდება სხვადასხვა ფერის გამსჭვირი ჭიქურებით დაფარული კრამიტებიც.



სურ. 54. მოჭიქული ჯამების ფრაგმენტები.

ბრტყელი ქიმებიანი კრამიტები თავში უფრო განიერია და საგრძნობლად შევიწროებული ბოლოში. ამგვარი მთელი კრამიტის ზომებია: 0,41×0,30×0,25 მ. ღარისებრი კრამიტები ორგვარი ტიპისაა: ჭრილში ნახევარსფერული და ჭრილში სამკუთხოვანი. მეორე ტიპის ღარისებრ კრამიტებს მთელ სიგრძეზე, შუაზე დაბალი ქედი მიუყვება. აღმოჩნდა ისეთი ღარისებრი კრამიტებიც, რომელთაც თავი მკვეთრად აქვთ ამოწეული კეხივით და გარედან თიხისაგან გაკეთებული პატარა, ბრტყელი ჯვარი აქვთ დაძერწილი (ანტეფიქსი); ამგვარი კრამიტის ზომებია: სიგრძე – 0,38 მ. მაქსიმალური სიგანე – 0,15 მ. კრამიტების მოსაჭიქავად გამოყენებულია სამი ფერის ჭიქური: მწვანე, სოსანი და მოყავისფრო.

აგურები კვადრატული ფორმისაა და ბრტყელია. ზომები მცირეოდენი გადახრებით საშუალოდ უდრის: 0,28×0,28×0,03 მ. გუდარეხში აღმოჩენილი ფილაქნის ზომებია: 0,50×0,30 მ. სასახლეში აღმოჩნდა მწვანედ მოჭიქული ერთი შორენკეცი ზომით: 0,09×0,04×0,15 მ.

რაც შეეხება თიხის მილებს, ყველა მილი აღმოჩენილი იყო თონეებთან ერთად და აშკარად ჩანდა, რომ საქარავეებად იყო თავის დროზე გამოყენებული. მილების დიამეტრი ერთმანეთისაგან უმნიშვნელოდ განსხვავდება და უდრის 0,08-0,12 მ-ს.

მოუჭიქავი ჭურჭლის ნაწილი შემკული ყოფილა სხვადასხვა ხერხით: რელიეფური სარტყლებით, წნულსახოვანი ზოლებით, დაძერწილი სახეებით, კლაკნილი ხაზებით, ამოკაწრული წრეებით და სხვ. (სურ. 52).



სურ. 55. მოჭიქული ჯამების ფრაგმენტები.



სურ. 56. ლუსტრიანი ფაიანსის ფრაგმენტები.

გუდარეხში აღმოჩნდა აგრეთვე წერნაქით დაფარული მუცლიანი და ყელიანი ჭურჭლის ნატეხები. ამგვარი წერნაქით დაფარული ჭურჭლების ნატეხების ზედაპირი ძალიან ხშირად შემკულია წინვოვანი სახეებით, რომლებიც ღრმადაა ამოკაწრული ზედაპირზე ერთმანეთის დაშორებით (სურ. 53). გუდარეხისათვისაც, ისევე, როგორც დმანისისათვის, დამახასიათებელია ანგობით მოხატული მცირე ზომის ჭურჭელი. გუდარეხის კოლექციაში ღიაფერად გამომწვარი თიხის თხელკედლიანი ჭურჭლის ნატეხები უხვად მოიპოვება და ამ მხრივ, ეს კოლექცია სხვა პუნქტების (დმანისის, თბილისის, იყალთოს) კოლექციებთან შედარებით, უფრო მდიდარია და საინტერესო (ნ. სურ. 33).

ერთფეროვან მოჭიქულ კერამიკაში გვხვდება უმთავრესად, სამი ფერის: ყავისფერი, მწვანე და სოსანი ფერის გამსჭვირი ჭიქურით დაფარული წითელკეციანი ჭურჭელი (სურ. 54, მარცხენა 3 ნატეხი). ფორმების მიხედვით, განათხარი ერთფეროვანი კერამიკის ძირითადი ნაწილი ჯამების ნატეხებს წარმოადგენს, მეტად მცირე რაოდენობით გვხვდება სხვა დანიშნულების ჭურჭლის ნატეხებიც.

მრავალფეროვანი მოჭიქული კერამიკა არსებითად განსხვავდება ერთფეროვანისაგან; მრავალფეროვანი მოჭიქული კერამიკის შემკულობისათვის გამოყენებულია ოთხი სხვადასხვა ფერის კერამიკული საღებავი: ცისფერი, მწვანე, ყავისფერი და სოსანი ფერისა. მოხატულობა ჭიქურს ქვეითია, ჭიქური უფერო გამსჭვირია. ოთხივე საღებავი ერთად, ერთსა და იმავე ჭურჭელზე არ გვხვდება (ნ. სურ. 39, 54 და 55).

გუდარეხში აღმოჩენილი ფაიანსის ნატეხების საერთო რაოდენობა სამოცამდე აღწევს. გუდარეხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ფაიანსი მთლიანად უცხო ქვეყნების (უმთავრესად, ირანი) პროდუქციას უნდა წარმოადგენდეს (ნ. სურ. 56). აქვეა აღმოჩენილი მოგვიანო ფაიანსის 14 ნატეხი, რომელთა მეტი ნაწილი ერთმანეთს უდგება და შეკონწიებულია (ნ. სურ. 14).

დასასრულ, მოჭიქულ ჭურჭელთან დაკავშირებით, საჭიროა აღინიშნოს ერთი მეტად საგულისხმო გარემოება: გუდარეხში, გათხრების შედეგად მოპოვებულ ჭურჭლის ნატეხებს შორის, მოიპოვება ისეთი ნატეხებიც, რომლებიც კერამიკულ ნახევარფაბრიკატებს წარმოადგენენ. ამგვარი ნატეხები რამდენიმე ათეულს აღემატება. ყველა ჯამის ნაწილს წარმოადგენს. თეთრი ანგობით დაფარული მათი შიდაპირი შემკულია ამოკანვრის ხერხით და ცალკეული მხატვრული მოტივების დეტალებით. შეღებილია სხვადასხვა ფერის საღებავებით, მაგრამ ჭიქური არა აქვთ გადავლებული და, მაშასადამე, დაუმთავრებელ კერამიკულ პროდუქტს წარმოადგენენ.

ОТЧЕТ ПЕРВОЙ И ВТОРОЙ ГУДАРЕХСКИХ АРХЕОЛОГИЧЕСКИХ ЭКСПЕДИЦИЙ

РЕЗЮМЕ

Проведение археологических раскопок в Гударехи, на месте развалин монастыря XIII в., расположенных в верховьях горной речки Гударехис-цхали, правого притока р. Алгети, в Тетри-Цкаройском районе Грузии, было решено Отделом по охране памятников культуры в связи с намечавшимися там реставрационными ряботами. Археологические работы Отделом велись совместно с Гос. Музеем Грузии. Выполнение всего плана работ было намечено на три кампании. Проведены были две археологические кампании: в августе-сентябре 1938 г. и в сентябре-октябре 1939 г. В результате, всю сев.-зап. часть древнего поселения можно считать окончательно обследованной (см. планы I и II с нанесением всех раскопов).

Древнее поселение делится на две части: за пределами ограды к северо-западу находится остатки маленького села, не представляющие интереса; внутри ограды, на довольно высоком скалистом холме и его склонах расположен был монастырь (рис. 1, вид с сев.-зап.).

Кроме культовых зданий краткое описание которых имеется у Е. Такаишвили,[1] здесь в юго-восточном направлении от главного храма, находим интересный комплекс зданий, определить назначение которых не представляется возможным, но, вопреки мнению Такаишвили, не являющихся культовыми (рис. 2-6). Это – маленькая сводчатая келья (на плане I, здание №16) с пристроенным к ней с юга, также довольно малых размеров зданием, состоявшим из двух комнат (на плане I, №15); восточный фасад обоих зданий облицован превосходно тесаными камнями и украшен резьбой. С северной же стороны к келье пристроено было более крупное двухкомнатное и двухэтажное здание (на плане I, №14), фасад которого украшен крестом. Из других деталей следует отметить каменный дождевой желоб, лежащий in situ на крыше кельи (видно на рис. 3), большую круглую нишу, вделанную в северную стену западной комнаты здания с крестом, орнаментальные арки на южной стене той же комнаты и др.

Одной из самых замечательных построек в Гударехи является каменная стена, окружающая все монастырское поселение и имеющая в периметре около 400 метров (рис. 7, 8). В некоторых местах она сохранилась почти в целости и достигает высоты в 4 метра. Она облицована тесаными плитами большею частью крупного размера. Кладка имеет своеобразно-живописный вид. Снаружи стену поддерживают расположенные на определенном расстоянии друг от друга контрфорсы, имеющие в поперечном разрезе различную форму (трехугольные, трапецевидные и круглые) и чрезвычайно способствующие украшению монастырской ограды. Ограда, повидимому,

---

[1] См. Известия Кавк. Отдел. Моск. Археолог. Общ. вып. I, Тифлис, 1904, стр. 26-39. Главный храм (на плане I, здание №6) и колокольня (на плане здание №12) имеют надписи, датирующие их XIII веком.

имела два входа, из которых в более или менее целом виде сохранились только боковые (малые) ворота в сев.-западной части. Подняться к главному храму с арбой или с телегой отсюда нет возможности. Следов главных (больших) ворот городской стены не сохранилось, но, по всей видимости, остатки их нужно искать к сев.-востоку от главного храма, откуда, проехав через сквозной открытый пролет нижнего этажа колокольни, служивший, очевидно, торжественными воротами, попадали прямо на небольшую площадку, оставленную в качестве двора между главным храмом и колокольней.

Раскопками получены следующие результаты.

Конюшня (ср. рис. 9-12 и план I, здание №2) представляет из себя удлиненный неправильный четырехугольник, пристроенной к стене ограды в западной части монастырища. Перекрытие не сохранилось, а стены имеют в настоящее время приблизительно 2/3 своей первоначальной высоты. Судя по консолям в восточной стене, здание было перекрыто цилиндрическим сводом, поддерживаемым арками. Вход имеется только в северной стене, причем внутри дверной проем перекрит двумя лекальными камнями, снаружи же архитравом. Окон нет, если не считать узких амбразур в стене ограды, приходящихся на высоте всего в 0,35 метров от пола.

На назначение этой постройки указывают остатки (каменное основание) яслей, обнаруженные на глубине всего 0,20 м от поверхности насыпной почвы, вдоль восточной стены. О том, что это действительно были ясли, говорит фальц, выдолбленный в лицевом камне южной стены, приходящийся на внешнюю линию каменного основания и служивший, очевидно, для закрепления доски. Вся площадь здания до раскопа была покрыта слоем насыпной земли, толщиною в 0,60-0,70 м, под которым лежит скалистый грунт. В насыпи не различались отдельные культурные слои, хотя вещи, обнаруженные в ней, состоящие из сравнительно незначительного числа керамических обломков и других мелких, мало характерных предметов, могут принадлежать разным эпохам. В северо-восточном углу часть площади конюшни оказалась огороженной грубо тесаными, поставленными на ребро в один ряд и скрепленными друг с другом слабым раствором камнями. Здесь нашлись остатки грубого каменного настила. Это, безусловно, поздняя постройка, назначение которой не совсем ясна. Позднейшими должны быть и ямы и хлебные печи (торне), вделанные в грунт, не содержавшие ничего интересного.

В результате очистки этого здания не найдено никаких индиций, позволяющих его датировать. Нужно, однако, заметить, что по времени своей постройки она не должна сильно отстоять от монастырской стены. На это указывают кладка стен и теска лицевых камней, не отличающихся от монастырской стены.

Последняя же должна быть датирована, по всей видимости, временем постройки главного храма, т. е. XIII-ым веком (ср. ниже описание «здания с пилястрами»).

К югу от конюшни оказался винный погреб, пристроенный к ограде и конюшне, по всем признакам, в еще более позднее время.

Рядом с конюшней, к северу от нее были обнаружены остатки «здания с пилястрами» (рис. 13, план I, здание №3). Раскопки здесь были предприняты, собственно, с целью найти следы вторых (или же третьих) ворот крепостной ограды, существование которых, судя по некоторым определенным признакам, можно было в этом месте ожидать. На самом деле их не оказалось, но мы наткнулись на остатки какого-то здания, сложенного из тесаных камней и имевшего каменный настил, оно было пристроено к городской стене, так же, как и конюшня. Так как монастырская стена здесь заворачивает почти под прямым углом к востоку, она была использована для двух (западной и северной) стен пристройки. Вход имелся с юга, где были найдены остатки его в виде каменного порога и одного монолитного косяка.

Стена ограды имела, от конюшнии к северу, четыре, установленных приблизительно на одинаковом расстоянии друг от друга пилястра, от которых сохранились базы. Можно предполагать, что первоначально здесь было устроено вроде навеса, открытого с двух (южной и восточной) сторон. К этой первоначальной постройке относятся, вероятно, и полукруглая ниша, вделанная в северную стену ограды против контрфорса, и настил из грубо тесаных камней, на растворе, ибо остатки его были обнаружены и за пределами пристройки, на пространстве между ней и конюшней. Позднее пилястры, а также и настил, были использованы для пристройки, в восточной стене которой в одном месте также оказалась база для пилястры остальная часть этой стены вообще сохранилась плохо. Стена эта частично закрыла и вышеупомянутую нишу.

Внутри здания, среди других мелких остатков, была найдена одна медная монета Георгия IV-го, чекана 1210-го года. Монета эта скорее всего датирует крепостную ограду и первоначальный навес с пилястрами, а не пристройку, относящуюся, как и конюшняя, по всей вероятности, к более позднему времени.

Комната W:9 (план I, около №4) очень поздняя пристройка; стены ее, пристроенные к монастырской стене, не имеют фундаментов и выведены не на растворе. Выявленная раскопками картина тоже указывает на последние века, когда Гударехское поселение, во всяком случае – частью, представляло собой руины (ср. рис. 14 фаянсовые фрагменты века XVI-XVII: клише поставлено вниз головой).

Северо-западные («малые») ворота городка стояли по словам местного населения со своим арочным оформлением еще в 20-х годах (ср. рис. 15-19). Для выявления деталей построения входа были проведены небольшие раскопки по обе стороны входа. Фундамент монастырской стены достигает, как это выяснилось здесь, – 0,50 м высоты; он сложен прямо на земле из рваного камня на извести с выделением ровного верхнего ряда, образующего нечто в роде цоколя.

По плану 1938 года та часть территории раскопок, которая расположена западнее храма и которая обозначена шифром W (а в полевой картотеке шифром Z) равняется примерно 500 кв. метрам. Это площадь со значительным уклоном в сторону монастырской стены с запада. Восточнее конюшни в итоге заложенных раскопов (3 и 4) была обнаружена стена с пилястрами (рис. 20-22). Восточнее ее на пригорке находится здание №1 и храм. После того, как в 3-ем раскопе обнаружена примечательная находка, именно мощеная, б. ч. поверх культурного слоя, улица или площадь из каменных плит, а в западном конце из известковой массы, работы на всем участке были проведены в южном направлении. Детальное исследование направлено на выяснение границ мощеной площади, а также на определение культурного слоя под нею, ради чего заложены глубокие шурфы (ср. рис. 22 и шурфы нв рис. 23-29). Вышедшая на один уровень с мощеной частью скала была подтесана. Раскоп 6 и шурф 6 и шурф 7 (общим протяжением в 20 с лищним метров) проводились определенными отрезками с послойной расчисткой горизонтально. Установлены два культурных слоя (рис. 26), между которыми известковый слой в 10-15 см толщины с несколькими камнями.

В итоге проведенных раскопок выяснилась более или менее определенная картина. При помощи стены с пилястрями создана с западной стороны храма искусственная терраса. Стена оканчивается в южном направлении примерно там, где начинается естесвенное ровное пространство. На протяжении 19 м она облицована тесаными квадрами, средним размером 1,00×0,50 м (ср. рис. 21). Высота стены и пилястр не превышала 1,40 м. К северному концу этой стены примыкает еще, на 3 м длиной, стена из рваного камня, которая, видимо, имеет какую-то связь со стеной комнаты W:9, от которой находится в 2-х метрах. Перед стеной с пилястрами на протяжении 13 метров в ее южной части тянулась мощеная каменными плитами широкая

полоса (на чертеже – рис. 21 – указаны только полностью раскрытые ее части; предполагаемые же пределы означены пунктиром). Вероятно, вся площадь до западной линии городской стены от северо-западных ворот до выдолбленного в скале сооружения когда-то была вымощена.

Позднейшее использование стройматериала стены в дополнительных сооружениях, как и подъемный материал говорят об использовании одного определенного участка (7-го раскопа Ь-сектор) для заклания жертв при церкви.

Для датировки стены с пилястрами и мощеной площади решающее значение имеет самый нижный культурный слой, который встречен и в других частях Гударехи и всегда является самым глубоким, непосредственно на нетронутом грунте, как и здесь. Он отмечен в 7-ом шурфе находкой двух монет Русудан, широко распостраненного чекана 1227 года, обломком люстрового фаянсового сосуда с рельефной поверхностью и другими керамическими находками, определяющими возведение стены в XII-XIII вв.

Раскопы комплекса развалин восточнее NW-ворот городской стены (рис. 30), означаемые шифром N:1 (в полевой картотеке это «здание VI») выявили такую же картину поздных зданий, как и W:8 и W:9. Глубина слоя от 0,80 до 1,00 м; он однородный.

Раскопы N:2- N:6 (в полевой карточке они были обозначены шифром «W:5-W:9») заложены с целью выявить следы разваленной до низу монастырской стены и изучения культурных слоев этого склона. Установлено, как проходила эта стена перед дворцом. Имеются части древнейшего слоя (с находкой медной монеты Тамары, фрагментов хороших глиняных и фаянсовых с люстром сосудов, а также поздних). Поверх древнейшего (XII-XIII вв.) слоя найден небольшой стеатитовый образок (рис. 31).

Участок, на котором открыты комнати 2 и 3 (см. план I, №9 и 8), а также погреб («марани»: план I, №7), подпорная стена с северной стороны храма и «дворцовая камера», расположен севернее храма и непосредственно примыкает ко дворцу с северо-запада. До начала раскопок нельзя было ожидать открытия здесь построек, так все было завалено землей и кучами камня.

На север от храма находится узкая терраса с наклоном, вначале в 3 м шириной, затем до 5 и 8,5. А далее она снова сужается и затем дает сильный уклон к NW-воротам городской стены (см. план I).

Культурные слои четко выяснены старательным снятием слоя за слоем прежде всего в 1 и 2 раскопах (рис. 32). Нижный слой в 20-30 см толщины образовался непосредственно поверх скалы, около подпорной стены и определен XII-XIII веком.

В процессе раскопок только постепенно и медленно, частью лишь в кампанию 1939 года, были выявлены комнаты (2-ая раскопами 1-3, а третья – раскопами 4 и 5). Затем выявлена подпорная стена храмового участка, которая укрепляет узкую террасу с северной и северо-восточной стороны храма. Стена эта имеет ряд башенных выступов (см. план III и I). «Марани» (см. план III, ფ) частью не плохо сохранился; он более позднее сооружение по сравнению с подпорной стеной. В «марани» размещено 14 кувшинов для хранения вина. Раскопки выявили единство всего слоя с обломксми керамики, черепицы, кирпича и др., являющимися согласно такому же инвентарю из «дворцовой камеры» остатками инвентаря XII-XIII вв.

«Дворцовая камера» (см. план III, ᲒᲐ) очень низкая, перекрытая кирпичным сводом, перегороженная на три крохотных, иррегулярных форм комнатушки, примыкала к стене «марани».

В результате раскопок выяснилось, что в NW-части «камеры», т. е. расположенной в сторону марани, установлено три слоя: древнейший – подпорная стена, затем идет приложенная SO-стена марани и, наконец, NW-стена камеры. В SO-части же, т. е. расположенной в сторону дворца,

различаются четыре пласта: древнейший и здесь – подпорная стена. Затем возвели дворец и заполнили щель между SW-стеной дворца и подпорной стеной бетоном. После разрушения дворца на его NW-стене и частично на SW-стене поставили SO-стену «камеры»; в это время, очевидно, было бетоном заполнено пространство за этой стеной. Наконец, уже после ликвидации «камеры» вторично были выведены SW- и NW-стены дворцового марани; тогда заполнено бутом пространство между новой и старой SW-стенами дворца.

Хронологически определяются эти пласты раскопочным инвентарем, который почти полностью поднят в пределах «камеры» (в 1-ом и 2-ом раскопе: план IV, разрез F-E). Резко разделяются два слоя, из которых хорошо датируемый XII-XIII веком нижний расположен поверх скалистого грунта.

В разных местах «камеры» найдены 13 монет, среди которых три – чекана Георгия III-го, 5 – Тамары (из них 3 монеты 1186 года), 3 – Георгия-Лаша (одна 1210 года) и, наконец, две либо Тамары, либо Лаша. Таким образом монеты совершенно ясно говорят о XII-XIII веке или точнее – о начале XIII-го.

При этих раскопах обнаружены не только части древней стены дворца, но и случайные части пилястр, баз, двух столбов, навершие окна, арочные квадры.

Согласно выявленным показателям возведение «камеры» падает на более позднее, чем XIII век, время. Причем оно кое-где расстроило древный слой.

Хотя нет прямых данных к датировке верхнего культурного слоя, но едва ли он древнее XVII-го века.

Комната №3 (см. план I, №8) возведена одновременно с «дворцовой камерой» также на древнем слое, который по инвентарю совпадает со слоем в «камере», заключал чужие фрагменты каменных деталей, и наконец, монету монгольскую XIII-го века.

Дворцовая постройка (план I, №10 и план III, ъ и рис. 34-39), отстоящая метра на 3 от храма, была возведена на откосе, так-что храм стоит примерно на 3 метра выше пола в нижнем этаже дворца. От дворца уцелела только NO-стена на высоту ее в обоих этажах; позднее же встроены другие помещения. Древняя стена высится на 7,80 м и сложена из тесаных квадров, совпадающих с облицовкой храма. Все здание было выведено прямо на скале, которая кое-где проступала в нижнем этаже.

Раскопки выявили в углу марани специально выведенное сооружение для накопления виноградного сока («сацнахели») с трубопроводом, который пришлось врубить в подпорную стену, образовывавшую террасу у храма. А в северной части марани находились 16 кувшинов для вина, заложенных в земле (только отмеченный за номером 8-ым частью врублен в скалу).

Сейчас нет ясных показателей, где был вход во второй этаж дворца; но есть данные предполагать его на юго-восточном углу. Повидимому, найденный между храмом и SW-стеной дворца поломанный наличник с орнаментальной резьбой подтверждает, что дворец имел окна и в сторону храма, т. е. в SW-стене.

Ко дворцу с SO примыкало «здание III», которое в полевой картотеке 1938 года обозначалось шифром «здание V» (см. план III, ъ). Оно состояло из двух комнат. Первая от дворца комната иррегулярной формы четырехугольник со входом из второй комнаты. В качестве SW-стены использована подпорная стена храмовой террасы. Инвентарь не дает ясной картины. Вторая комната трапецевидного плана, почти на голом грунте. Находок не было.

Хотя «здание III» несомненно приложено к стене дворца, но фактическое соотношение остается не выявленным, что и отражено на плане первого этажа дворца (рис. 34, вверху и план III).

Раскопки около Гударехского храма, построенного царицей Русудан во второй четверти XIII-го века (планы I, №6 и III, ᲒᲐ и рис. 40), носили характер выяснения только некоторых не вполне ясных пунктов. Ремонт храма проведен в 1938 году Комитетом охраны памятников культуры Грузии. С севера к храму примыкает придел, который закрывает облицовку из тесаного камня по северному фасаду храма, что заставляет полагать, что придел пристроен позднее. В облицовке придела использованы тесаные квадры, которые несомненно древнее самого храма по палеографическому характеру надписей (рис. 41 и 42), указывающему на X-XI века.

С южной стороны также была пристройка, именно притвор перед входом. Остатки его разобрал Е.С. Такайшвили в начале текущего века. так как они закрывали часть строительной надписи на южном фасаде. Раскопки позволили восстановить план этого притвора. Несомненно он первоначально был открыт на все стороны, а в «безобразные» приделы (Такайшвили) он превращен лишь в позднее время. При раскопках обнаружено довольно много обработанных частей разных зданий, почему-то собранных с южной стороны храма, тогда как от притвора найдены лишь незначительные фрагменты. Погребения в этой части не древнее XVIII-го века.

Шурфами установлена глубина фундамента храма. Верхняя линия его встречена на 0,35 м от первоначального уровня поверхности.

Узкая полоса обхода у притвора была укреплена против юго-западного угла подпорной стеной, как выяснилось при раскопе.

По восточному фасаду был расчищен цоколь, именно, его нижняя ступень, потребовавшая основательного ремонта. А также цоколь по северной стороне до линии придела. Шурф у восточной стены северного придела выявил, что храм основан на скале.

Расчистка с севера северного придела как раз и вскрыла облицовочные камни с поминальными надписами.

Внутри храма иконостас, сложенный из фрагментов древней алтарной преграды и оштукатуренный, был раскрыт, отдельные куски преграды расчищены (рис. 43) и вывезены в Музей искусств, где составлены вместе.

Позади храма в расстоянии каких-нибудь трех метров на запад расположено «здание I» (рис. 44-48 и план III, ᲖᲐ). Это руина двухэтажного частью здания из четырех комнат. В нижнем этаже две комнаты, а в верхнем – при двойной площади – три, причем стена создающая две малых комнаты встроена позднее. Здание стоит на скале; скала же частью использована и в стенах. Все комнаты неправильных форм.

К нижней комнате с северо-запада был пристроен амбар, имевший сводчатое перекрытие.

Среди кучи обработанных камней обнаружен один орнаментированный фрагмент (рис. 48). А также ряд интересных фрагментов керамики, фаянса и др., хорошо датируемых XII-XIII-ым веком. Именно этот материал позволяет при отсутствии характерных черт в самом здании, относить его ко времени после возведения храма, хотя и не очень поздних веков.

Часовня вне городских стен сохранилась очень плохо (рис. 49-51 и план I, №17): только южная стена ее стоит почти вся с облицовкой и карнизом; да еще бетонная по фасаду масса уцелела с востока. Остальные части облицовки и орнаментации выявлены раскопками. Внутри абсида сохранилась с облицовкой, она покрыта штукатуркой. Повидимому, церковь имела фресковую роспись. Богато были украшены резбой фасады часовни.

Хотя керамические находки из раскопок Гударехи количественно уступают находкам из раскопок в Дманиси или Рустави и Тбилиси, однако значение их нельзя недооценить. Прежде всего сами археологические раскопки были исключительно хорошо, осторожно и внимательно проведены и исключительно четко фиксированы. А для датировки этих керамических материалов

имеются стратиграфические показатели и нумизматический материал. В Гударехи различаются два культурных слоя – верхний поздний и нижний XII-XIII-го века, всегда расположенный непосредственно поверх скалистого грунта. Верхний слой содержал преимущественно образцы строительной керамики, относящиеся ко времени не ранее XVII-го века. Нижний же – состоял из поливной и неполивной посуды, из обломков фаянса и является в целом продуктом эпохи XII-XIII века, что подтверждают и монетные находки того же слоя.

Всех монет в Гударехи найдено 19, из них 18 грузинских, 1 серебряная монгольская. 16 монет найдены в ходе археологических раскопок, а три (одна царицы Тамары и две царицы Русудан) на поверхности. Из числа грузинских монет 6 – Тамары (1184-1212 гг.) 5 – Георгия IV Лаша (1207-1222 гг.) и 2 – Русудан (1222-1247 гг.); 2 монеты не определяются точно (Тамары, Георгия).

Черепица – поливная и простая, есть антефиксная. Длина – 41 и 38 см. Кирпичи квадратные по 28 см сторона и 3 толщина, а также крупные 50×30 см. Гончарные трубы диаметром от 8 до 12 см.

Неполивная посуда украшена то рельефно, то прочерчиванием узоров (рис. 52 и 33). Ангобированная посуда с узорами (рис. 53), однотонная и многоцветная с подглазурной росписью (рис. 39, 54 и 55).

Число фаянсовых обломков достигает в Гударехи – 60; гударехский фаянс – завозная продукция, преимущественно из Ирана (рис. 56). Обнаружен также поздний фаянс – 14 фрагментов (рис. 14).

Особо надлежит отметить, что в Гударехи раскопками выявлены также керамические полуфабрикаты (несколько десяков): по белой ангобе нанесены на фрагментах узоры, они покрашены той или иной краской, но глазурью не покрыты.

არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავრის ხეობაში

წინასიტყვა

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ანგარიშს იმ არქეოლოგიური ექსკურსიებისას, რომლებიც ჩატარებული იქნა დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1936 და 1937 წლების ზაფხულის თვეების განმავლობაში[1]. ეხლა, როდესაც ეს მასალები გამოსაცემად დამუშავდა, მე ვხედავ, რომ ჩვენი მოგზაურობების ექსტენსივობა მათი ინტენსივობის ხარჯით ხდებოდა. ეს დიდი ნაკლია და პირადად ჩემთვისაც გაცილებით უფრო სასურველი იქნებოდა ამ მასალების გამოქვეყნება მათი სათანადოდ შევსების შემდეგ. მაგრამ ერთია სურვილი და მეორე – შესაძლებლობა მისი ასრულებისა. რადგან ადვილი მოსალოდნელია, რომ, სხვა სამუშაოთა გამო, ბოლნის-დმანისის რაიონში კარგა ხანს აღარ მომიხდება ყოფნა ისე ხანგრძლივად, რომ საშუალება მქონდეს აღნიშნული ნაკლი შევავსო, ხოლო უკვე ისიც, რაც ჩვენი ექსკურსიების მიერ არის დაგროვებული, ჩემის აზრით, ყურადღების ღირსია და მრავალ ახალ მითითებას შეიცავს, გადავწყვიტე ამ მასალის წარმოდგენა მკითხველის წინაშე იმ სახით, როგორიც მას ამჟამად აქვს. თანაც ერთი ღირსება რაიონის შესასწავლად ექსტენსიურად წარმოებული ექსკურსიებისა არ შეიძლება უარვყოთ, სახელდობრ, ის, რომ ამით სწრაფად იზრდება ჩვენი თვალსაწიერი და ზოგადი მიმოხილვის საშუალება.

რაც შეეხება თვით ამ გამოცემას, მე მინდა აქ შემდეგი შევნიშნო: უკეთუ ეს ნაშრომი ტექნიკური გაფორმების მხრით უნაკლო გამოვიდა თუ, კერძოდ, კლიშეთა მკაფიობა ხელს შეუწყობს ტექსტის გაგებას, ამის მიზეზი საქ. სახ. მუზეუმის გამომცემლობის ხელმძღვანელის, ამხ. შ. ჩხეტიას, ტექ. რედაქტორის, ამხ. დ. ემუხვარის და კორექტორის, ამხ. ეკ. კაკაბაძის, უანგარო ენერგია და საქმის სიყვარულია, რისთვისაც გულწრფელი მადლობის გადახდით მე შემიძლიან ჩემი დავალიანების მხოლოდ უმცირესი ნაწილი გამოვიხსნა.

I. უკანგორი[2]

დამბლუტის წყალი, რომელზედაც უკანგორი მდებარეობს, ლოქის მთაში გამოდის და მარჯვნიდან ერთვის მაშავერს კაზრეთისა და ბალიჭის ხევებს ზემოთ. დამბლუტის ხევის შესართავს უკანგორი დაშორებულია შვიდიოდე კილომეტრით. მე გორუნჯუკიდან მომიხდა უკანგორში ასვლა[3]. აქ მანძილი სულ მცირეა, 4-5 კილომეტრს არ აღემატება.

---

[1] იხ. ჩემი „დმანისი (ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა)", კრებული „შ. რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა", თბ., 1938, გვ. 319-320.

[2] ეს თავი დაიბეჭდა ენიმკი-ს მოამბის X ტომში შემდეგი სათაურით: „უკანგორის ისტორიული ნაშთები".

[3] 1937 წ., შემდეგ იქ იყვნენ არქიტექტორები ც. გაბაშვილი და რ. მეფისაშვილი, რომლებმაც ძეგლი გაზომეს.

დამბლუტის ხეობა ჯერ ისევ-ისე თითქმის სრულებით უკაცრიელია. უკანგორამდე მთების კალთები შემოსილია ხშირი ფოთლოვანი ტყით. სახნავი მიწები უჭირავთ გორუნჯუკელებს, რომლებმაც დიდი ხანი არ არის რაც ტყე გაჰკაფეს მდინარის გასწვრივ. უკანგორში ამ რამდენიმე წლის წინათ დასახლებულა ვარდისუბნიდან გამოსული გლეხობა (17 კომლი). სოფლის ზემოთ ამათ მცირე სახნავი მიწები აქვთ. არის ვენახებიც. მერმე იწყება უფრო ხშირი და უღრანი ტყე და ვიდრე თათრებით დასახლებულ ჯანდარამდე მოსახლეობა აღარაა.

ვახუშტის რუკა ამ ხეობაში უჩვენებს, უკანგორს გარდა, რამდენსამე დასახლებულ ადგილს (ვანი, კრკონი, ტანძია და სხვ.), რომლებიც დღეს ადგილობრივ აღარ ახსოვთ. ნაშთების მიხედვით ცხადია, რომ მოსახლეობა აქ, ყოველ შემთხვევაში უკანგორამდე, ოდესღაც მჭიდრო უნდა ყოფილიყო. ამასთან, აქ ძველთა-ძველი ნაშთები ჩანს. ზოგიერთი ადგილების სახელები, რომლებიც ადგილობრივ მკვიდრთ ახსოვთ, უთუოდ ძველი გადმონაცემია, ზოგი კი შეიძლება ახლად შერქმეული იყოს.

გორუნჯუკიდან დაახლ. 1,5 კმ-ის მანძილზე დამბლუტის ხევს მარცხნიდან ერთვის მაღაროს ხევი, რომლის ზემოთ მარაბდის ნანგრევები მდებარეობს[1]. აქ ჩანს ნასოფლარი (ქვის საძირკვლების ნაშთები), რომლის ერთნავიანი მცირე ეკლესია, ნაგები უბრალო ქვით ქვითკირზე (თლილი ქვა მხოლოდ კუთხეებშია ნახმარი), საინტერესოა იმით, რომ შიგ ბოლნური მედალიონიანი ქვა გდია, უთუო ნიშანი ამ ნასახლარის დიდი სიძველისა. კიდეე ორიოდე კილომეტრით უფრო ზევით დამბლუტის წყალს მარცხნიდანვე ერთვის რიყის ხევი, რომლის ცოტა ზემოთ მარჯვნიდან, ე. ი. აღმოსავლეთიდან ჩამოდის წოწოლაველის ხევი. მის ზემოთ დგას ერთნავიანი მცირე ეკლესიის ნანგრევი კვრინჩხიანისა, რომელიც მე არ მინახავს. ცოტა უფრო ზემოთ დამბლუტის წყალს მარჯვნიდან ერთვის კაზრეთის ხევი[2]. აქედან უკანგორამდე დაახლ. 1 კმ-ია. მთელ ამ ადგილს კაკლიანს ეძახიან ნიგვზის ხის სიმრავლის გამო. კაკლიანის თავში, დამბლუტის წყლის მარცხენა ნაპირას დგას უკანგორი. უკანგორს ზემოთ ტყეში უჩვენებენ რაღაც ძველ მადნებს და საყდრის ნანგრევს, რომელსაც წიწვიანს უწოდებენ და რომელიც, ვითომ, საინტერესო „დაწერილ“ ქვებს უნდა შეიცავდეს.

უკანგორში ორი ეკლესია ყოფილა. ერთი, წყლის მარცხენა ნაპირას, სრულებით დაუნგრევიათ და მისი ქვა აბანოს ასაშენებლად გამოუყენებიათ ოქროს მაძიებლებს, რომლებიც უკანასკნელ დროს რამდენიმე წლის განმავლობაში რეცხავდნენ აქ ოქროს ქვიშას, რომელიც მცირედ ჩამოაქვს დამბლუტის წყალს. შენობის დანგრევისას თვალს მოეფარა ერთი წარწერიანი ქვა, რომელიც, ადგილობრივთა მოთხრობის მიხედვით, მეტად საინტერესო იქნებოდა, მით უმეტეს, რომ, როგორც ვნახავთ, ეს შენობა ძალიან ძველი უნდა ყოფილიყო. რამდენადაც მახსოვს, შენობა ისე საფუძვლიანადაა დანგრეული, რომ თითქმის მისი კვალიც კი აღარა ჩანს, თუმცა, ყველა ნიშნებით,

---

[1] 1721 წლ. ხალხ. აღწ. დავთარში რომ მე-179 გვერდზე მარაბდა იხსენიება, სწორედ ეს შეიძლება იყოს, რადგან იგი ჩატანილია ბოსლების და დამბლუტის გვერდით, როგორც „დმანისის ხეობაში“ მდებარე (შდრ. იქვე, გვ. 335, საცა იგივე სოფელი უკვე ვანისა და წყნეთის გვერდით გეხვდება).

[2] ეს კაზრეთი ნასოფლარია მთაში, უკანგორიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. ან ცნობილ სოფ. კაზრეთთან, რომელსაც ჯალდამსაც და ტაბახმელასაც ეძახიან და რომელიც უფრო მოშორებით მდებარეობს ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, თითქმის ზედ მაშავრის პირას, მას, სახელს გარდა, საერთო არა აქვს რა (შდრ. ჩემი „დმანისი“, გვ. 328, შენ. 4).

იგი მეორე ეკლესიაზე უფრო პატარა უნდა ყოფილიყო, რომელიც წყლის მარჯვენა ნაპირასა დგას და რომელსაც „ორკარიან ეკლესიას" უწოდებენ.

ეს უკანასკნელი, ი. სტრიგოვსკის ტერმინოლოგიით, სიგრძივ მიმართულს ერთნავიან ცილინდრულ შენობას წარმოადგენს[1], ორიენტირებულს სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ (ტაბ. I, სურ. 1). იგი ორსაფეხურიან ხარისხზე დგას[2] და გარედან მისი ძირითადი ოთხკუთხედი სიგრძით 14,10 მ-ს, ხოლო სიგანით 7,40 მ-ს შეადგენს. სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მას აკრავს ოთხკუთხი სადიაკვნო, რომლის სიგრძე 6,00 მ-ს, ხოლო სიგანე 3,00 მ-ს უდრის და რომელსაც შესავალი მხოლოდ ეკლესიის შიგნიდანა აქვს.

კედლები ძალიან სქელია (საშუალოდ, 1,25 მ.) და როგორც გარედან, ისე შიგნიდანაც შემოსილია თლილი ქვის პერანგით, რომლის შიგნით ჩასხმულია ჭყორდულაბი (ბეტონი). პერანგის ფილაქნები სხვადასხვა ზომისაა, მაგრამ სჭარბობს დიდი ზომის ქვები (1,00×0,70 მ. და მისთ.). წყობაში კარგადაა დაცული თარაზულობა (ტაბ. I, სურ. 2). მასალა ერთფეროვანია, ლამაზი მოყვითანო ქანისაა, მაგრამ აქა-იქ სხვა მასალის მოჩუქურთმებული ქვებიცაა ჩადგმული კედლებში, თუმცა არც ერთი თავის თავდაპირველ ადგილზე არ იმყოფება.

რით იყო დაფენილი ორფერდა სახურავი, აღარა ჩანს, რადგან მისი უდიდესი ნაწილი, ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, დაფარულია მიწითა და მცენარეულობით, ხოლო სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი სულაც ჩაქცეულია და აქ შენობის კედლებიც (განსაკუთრებით, ჩრდილო-დასავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის კედლები) ნაწილობრივ ჩამონგრეულა. სხვაფრივ შენობა ჯერჯერობით კარგადაა დაცული. მას ორი კარი აქვს (აქედან მისი სახელწოდება – რა თქმა უნდა, ახლახან შექმნილი), ერთი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, მეორე სამხრ.-დასავლეთიდან, ორივე განით 0,70 მ. და სიმაღლით 1,97 მ. სარკმელი სამია: სამხრ.-დასავლეთიდან, სამხრ.-აღმოსავლეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელს, აფსიდის სარკმელს, განის კედლები გარეთკენ ჩვეულებისამებრ კი არ უვიწროვდება, არამედ პარალელური აქვს. ეს თავდაპირველად მაღალი და განიერი სარკმელი (1,30×0,60 მ.) მერმე ქვემოდან 0,50 მ-ის სიმაღლეზე ამოშენებული წყობით დაუმოკლებიათ და ვიწრო ტიხრით გაუყვიათ ორად.

შიგნით ეკლესია წარმოადგენს მოგრძო ოთხკუთხედს, სიგრძით 9,10, სიგანით 4,90 და სიმაღლით 6,65 მეტრისას, რომელიც გადახურულია ცილინდრული კამარით და შუაზედ დანაწევრებულია ნახევარფარგლოვანი სართავი თაღით და რომელსაც ჩრდილო-აღმოსავლეთიდან საკურთხევლის მომრგვალება ამთავრებს. უსწოროდ მრგვალი აფსიდა სიგანით 3,35, ხოლო სიღრმით 2,70 მეტრისაა. აღსანიშნავია, რომ აფსიდის მარცხენა მხარე ნალისებურადაა მოღუნული (თუმცა, შეიძლება, ეს შემთხვევითი გარემოებით იყოს გამოწვეული).

ზღვე ერთი საფეხურით ორსავ კარზე უფრო დაბალია და ახლა მიწითა და ნაგვითაა დაფარული.

ამბიონი შემაღლებულია ერთი საფეხურით. საკურთხევლის უკანა კედელზე, სარკმლის ქვეშ, მიშენებულია ქვის ტრაპეზი, სიმაღლით 0,75 მ.

---

[1] J. Strzygowski, Die Baukunst Armenier und Europa, Wien, 1918, Bd. I, S. 71, Abb. 49.

[2] ზედაპირულად ხარისხი მხოლოდ NO-და NW-მხრიდანა ჩანს, სხვაგან კი მიწითაა დაფარული. შესაძლებელია, მისი საფეხურების რიცხვი ორზე მეტიც იყოს.

შემკულობა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ უადგილო ადგილას ჩაშენებულ ორნამენტირებულ ქვებს, ეკლესიას, როგორცა ჩანს. არც გარეთა ჰქონია და არც შიგნით. შიგნით მხოლოდ 0,70 მ-ზე წინ გამოშვერილი და 0,65 მ-ის სიგანის პილასტრების ხარისხებია პროფილირებული[1].

სადიაკვნო, რომლის სიგრძე შიგნით 3,50 და სიგანე 1,80 მ-ს შეადგენს. მართკუთხედს კი არ წარმოადგენს, არამედ ცოტათი უფრო განიერია სამხრეთ-დასავლეთისაკენ, მაგრამ თვალისთვის ეს შეუმჩნეველი რჩება. მას ერთი სარკმელი აქვს ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელში და ამ სარკმლის განის კედლებიც პარალელურია[2].

„ორკარიანი ეკლესია" ძირითადად ძალიან ძველი შენობის შთაბეჭდილებას ახდენს, თუმცა მას, ალბათ, არა ერთგზისი შეკეთებაც განუცდია, რომლის ერთი ნიშანი, სხვათა შორის, ზემოხსენებული ორნამენტირებული ქვებიცაა, რომლებიც უადგილო ადგილებშია მოქცეული კედლის წყობაში.

დიდ სიძველეზე მიგვითითებს, ჩემის აზრით, უკვე არაჩვეულებრივი სისქე კედლებისა, მათი მძიმე, მკვიდრი წყობა, დიდი ზომის ფილაქნები.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ შენობა აღმოსავლეთისაკენ არაა ორიენტირებული. ეს მოვლენაც გვხვდება უძველეს ქართულ ეკლესიებში. ასე, მაგ., სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენაა ორინტირებული ძველი გავაზის ტეტრაკონქი (VI ს.)[3] და კიდევ უფრო უსწოროდაა მიმართული ნეკრესის უძველესი ტაძარი (IV ს.)[4].

კიდევ ერთი დეტალი შეიძლება იყოს დამახასიათებელი. უკვე მოვიხსენიე, რომ აფსიდის სარკმლის კედლები პარალელურია. ეს მოვლენა, რამდენადაც შემოწმება შემეძლო, მხოლოდ უძველეს ტაძრებში გვხვდება, სომხეთშიც და საქართველოშიც. ასეთი ქეშო კედლებიანი სარკმლის მქონე აფსიდა აქვს დირაკლარის IV ს-ის ტაძარს[5], ერერუიქის ბაზილიკას, რომელსაც ი. სტრიგოვსკი V ს-ის პირველი ნახევრით ათარიღებს[6], ქასახის იმავ საუკუნის შუახანებში აშენებულ ტაძარს[7], აშტარაკის ტაძარს, რომელიც აგრეთვე იმავე საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება[8], ხოლო საქართველოში ძველი გავაზის უკვე ხსენებულ VI ს-ის ტეტრაკონქს[9].

---

[1] აღმოსავლეთის ფასადზე სარკმელთან მოთავსებულია მერმინდელი ჯვარი.

[2] უცნაურია, რომ ეს ვიწრო სარკმელი, რომელიც უფრო ხვრელსა ჰგავს, ცერადა სჭრის კედელს.

[3] იხ. გ. ჩუბინაშვილის ქართ. ხელოვნების ისტორია, ტ. I, თბ., 1936, გვ. 57, სურ. 35.

[4] იქვე. გვ. 25, სურ. 1.
ტაძრების არაკანონიკური ორიენტაცია, მართალია, მერმეცა გვხვდება გამონაკლისის სახით. ასე, შორეთის მონასტერი მესხეთში, რომელსაც ე. თაყაიშვილი XII-XIV საუკუნეებით ათარიღებს და კალმახის ტაძარი, რომელიც, გეგმის მიხედვით, XI ს-ის ძეგლი ჩანს, ორიენტირებულია სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ (იხ. ე. თაყაიშვილის გამოც. ქართ. ხუროთმოძღვრების ალბომი, თბ., 1924, ტაბ. 1 და 15 და Материалы по Археологии Кавказа, вып. XII, стр. 13; ხუჯაბის ტაძარი (XIII-XIV ს.) ორიენტირებულია ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ (გეგმა ინახება შ. რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმში), შდრ. აგრეთვე ქვემოთ კიანეთის გეგმა.

[5] Strzygowski, დასახელ. ნაშრ., გვ. 140, სურ. 52.

[6] იქვე, გვ. 153, სურ. 177.

[7] იქვე, გვ. 150, სურ. 172.

[8] იქვე, გვ. 147, სურ. 167.

[9] გ. ჩუბინაშვილი, ნახსენ. ადგ. და გვ. 59, სურ. 38.

ამგვარად, ის პარალელები, რომლებიც ზემოთ იქნა დასახელებული, ყველა IV-VI საუკუნეების ფარგლებში თავსდება.

თავისი გეგმითაც უკანგორის ტაძარი უძველეს ერთნავიან შენობებს უნდა მიეკუთვნოს[1]. ამ მხრით განსაკუთრებით დამახასიათებელია სამხრეთიდან მიშენებული სადიაკვნო, რომელსაც შესავალი მხოლოდ ეკლესიის შიგნიდანა აქვს და რომელსაც სტრიგოვსკი ძველი აღმოსავლური (მესოპოტამიური) ტრადიციის ზეგავლენას მიაწერს.

დაბოლოს, მორთულობის უქონლობაც შეიძლება უძველეს ეკლესიას ახასიათებდეს.

გარდა იმ ორნამენტირებული ქვებისა, რომლებიც ტაძრის კედლებშია ჩადგმული, უკანგორში აღმოჩნდა წარწერიანი და მოჩუქურთმებული ფრაგმენტების მთელი კომპლექსი, რომლის განხილვასაც ჩვენ ეხლა შევუდგებით და რომელიც, ჩემის აზრით, საშუალებას გვაძლევს ტაძრის ქრონოლოგია უფრო ნიშანდობლივადაც განვსაზღვროთ.

ეკლესიის გარშემო პატარა სასაფლაოა. აქ გდია წარწერიანი ჯვარის კვარცხლბეკი (ტაბ. II, სურ. 3), რომელიც დიდ ქვის კუბს წარმოადგენს, ზომ. 0,70×0,47×0,35 მ. ზემოდან ამ ქვაში ამოღებულია მრგვალი ბუდე ჯვარის ჩასადგმელად. ბუდის ნაპირები სანახევროდ ჩამოტეხილია ისე, რომ მისი დიამეტრის გამორკვევა ზედმინევნით არ შეიძლება. ბუდის ფსკერში, შუაადგილას, ამოღებულია პატარა ფოსო, ცხადია, ლითონის ღერძის ჩასადგმელად, რომელზედაც ჯვარი იყო ჩამოცმული. კვარცხლბეკის ერთ გრძელ პირზე გამოქანდაკებულია 6 სტრიქონიანი მთავრული წარწერა, რომელიც შემდეგნაირად იკითხება:

1. ˈქˈ პეტრწს ხოკცსობას[ა]
2. მე თათვარაზ აღხოკ
3. ˈმˈ[ა]რთე ესე ჯოკარი სახე
4. [ლითა] ღ˜ჲ[თა] შეˈწˈეკნითა იმ----[2]
5. ———————————
6. ———————————

რადგან ქვის ქანი რბილია, წარწერა ძალზე დაშავებულია ატმოსფერული ზეგავლენით. ზოგგან გადარეცხილი ასოების ნაკვალევი ჯერ კიდევ კარგად ჩანს (ასე, მე-4 სტრიქონში), სამაგიეროდ, მე-5 და მე-6 სტრიქონები სულ აღარ იკითხება.

სასვენ ნიშნებს ჩვენი წარწერა არ იცნობს. ქარაგმა მხოლოდ ერთხელაა ნახმარი (სტრ. 4: ღ˜ჲ[თა]) და წარმოადგენს მარტივ პატარა ხაზს.

პალეოგრაფიულად დამახასიათებელია ტანდაბალი, განიერი ასოები და შეკრული „ჯ“ და „ბ“[3]. „შ“-ინი თავგახსნილია.

ყველა ზემოჩამოთვლილი ნიშნებით და ხანმეტობით[4] ეს წარწერა ენათესავება ბოლნისის უძველეს წარწერებს, რომლებიც VI ს-ის დამდეგით, სახელდობრ, 502/3 წლით და მისი ახლო ხანითაა დათარიღებული[5].

---

[1] შდრ. დირაკლარის და ეღევარდის გეგმები Strzygowski-ს ნახსენებ შრომაში.

[2] ან „ღმ“.

[3] „ბ“-ანი კარგად აღარა ჩანს, მაგრამ ნაკვალევის მიხედვით იგი თავშეკრული იყო.

[4] საინტერესოა, რომ უკანგორის ხანმეტი ფორმა პირველი პირისა: „აღხოკმართე“, ჰაემეტი სახით გვხვდება წყისის წარწერაში („აღჰოკმართე“), რომელიც 616-619 წლებით თარიღდება (იხ. ა. შანიძე, ძვ. ქართ. ქრესტომათია I, თბ., 1935, გვ. 25 და 108).

[5] იხ. ჩემი „ბოლნისი“, მარის სახელ. ინსტ-ტის მოამბე III, თბ., 1938, გვ. 326 შშ.
502/3 წლის წარწერიანი ქვა საქ. კულტ. ძეგლთა დაცვის განყოფილებამ ჩამოიტანა თბილისში. იგი ინახება საქ. სახ. მუზეუმის ისტორიულ განყოფილებაში. შენიშვნაში (ნახსენ.

აღსანიშნავია, რომ „ჯ"-ს ხმარება სიტყვაში „შე'ნ'ეკნითა" კიდევ უფრო უახლოვებს ამ წარწერას ბოლნისის ორ უძველეს წარწერას, სახელდობრ, 502/3 წლისას და დავით ეპისკოპოსისას, საცა ანალოგიური მართლწერა გვაქვს სიტყვებში „თაკყანისხცეს" და „თაკყანისმცემელ'ნ'ი"[1].

მგონია არ შევცდებით, თუ თათვარაზის წარწერასაც VI ს-ის დამდეგით განვსაზღვრავთ.

სახელი „თათვარაზ", ცხადია, ერანული უნდა იყოს[2].

საგულისხმოა ხუცესობით ინსტიტუტის არსებობა დამბლუტის ხეობაში ამ უძველეს ხანაში. ჩვენს წარწერას უთუოდ საერო ან ნახევრად საერო პირი ჰყავს მხედველობაში პეტრე ხუცესის ქვეშ. ეგებ აქ ·ხევისბრობის მსგავს მოვლენასთან გვქონდეს საქმე.

შიგ ეკლესიაში გდია უფრო პატარა ჯვარის კვარცხლბეკი მოვარდისფრო ქვისა, ზომ. 0,39×0,355×0,31 მ., რომლის ერთ პირზე გამოქანდაკებული იყო 7-სტრიქონიანი მთავრული წარწერა. წარწერის უდიდესი ნაწილი სრულებით ჩამოტეხილია. დაცულია მხოლოდ შემდეგი:

1. ————————
2. თა ————————
3. და 'მ'————————
4. 'ა'ღხ'ო'————————
5. ესე ჯ'ო'————————
6. ლოცვე————————
7. 'ჩ'ნდა

წარწერის გამოქანდაკებულობა, ასოთა მოხაზულობა (იგივე დაბალი, განიერი ასოები), დაბალყელიანი „დ"-ონი, ხანმეტობა (სტრ. 4), იმდენად აკავშირებს მას პირველ წარწერასთან, რომ საგულვებელი ხდება მათი თანადროულობა. თუ ასეა, მაშინ მეორე სტრიქონში შეიძლება იმავ თათავარაზის სახელი ამოვიკითხოთ, ხოლო მესამე სტრიქონში მისი მეუღლის სახელი ვიგულვოთ და მთელი წარწერა აღვადგინოთ შემდეგნაირად[3]:

1. [სახელითა ღმრთისაჲთა[4] მე]
2. თა[თვარაზ]
3. და 'მ'[არიამ][5]
4. 'ა'ღხ'ო'[კმართეთ]

ადგ., შენ. 1) მე მომყავს პროფ. ა. შანიძის მიერ წამოყენებული წინადადება ამ წარწერის აღდგენისა, რომელსაც მე არ ვეთანხმებოდი. ახალი დაკვირვების შემდგომ მე ვფიქრობ, რომ პატივცემული მეცნიერის ცდა სწორი უნდა იყოს, მაგრამ ჰ. ინგოროყვას მიერ შემოტანილი არსებითი ხასიათის კორექტივის მიხედვით, წარწერა უნდა დათარიღდეს არა 492/3 წ., არამედ 502/3 წ.

[1] იქვე, გვ. 326 და 328.

[2] მართალია, F. Justi, Iranisches Namenbuch, ასე შედგენილ სახელს არ იცნობს.

[3] აღდგენისას გათვალისწინებული მქონდა სტრიქონების სიგრძე – ისინი ძალიან მოკლეა, რაც თვით ქვის ზომიდანაც ჩანს. რა თქმა უნდა, ჩემი აღდგენის ცდა მხოლოდ პირობითია.

[4] ეს ორი სიტყვა, რა თქმა უნდა, დაქარაგმებული იქნებოდა.

[5] სინამდვილეში აქ, შესაძლებელია, სულ სხვა, მაგ., სპარსული სახელი ეწერა, რაც იმ დროისათვის ადვილი წარმოსადგენია.

5. ესე ჯ'ო'[ჯვარი სა]
6. ლოცვე[ლად]
7. 'ჩ'ნდა

მეორე, დანგრეული ეკლესიის ადგილას აღმოჩნდა ჯვრიანი ლორფინი, (ტაბ. II, სურ. 4)[1], ზომ. 0,39×0,325×0,07 მ., რომელზედაც ჯვარის ქვეშ გამოქანდაკებული ყოფილა 2-სტრიქონიანი მთავრული წარწერა. უდიდესი ნაწილი წარწერისა გადარეცხილია, რადგან ქვის ქანი ძალიან რბილია, დაცულია მხოლოდ ორივე სტრიქონის ბოლო ასოები:

1. ———— -ოჯ
2. ———— ან

„ჯ" შეკრულია. პალეოგრაფიული ხასიათი შემონახული ასოებისა ისევ-ისე VI ს-ის დამდეგზე მიგვითითებს. ამასთან, წარწერა ჩასმული ყოფილა საგანგებოდ ამოღებულ ჩარჩოში, მსგავსად ბოლნისის უძველესი წარწერებისა[2].

ამ ქვაზე ყველაზედ უფრო საინტერესოა ჯვრიანი მედალიონი: ტოლმკლავებიანი, ფართო- და შეზნექილ-კიდეებიანი გამოქანდაკებული ჯვარი ჩასმულია მრგვალს, აგრეთვე გამოქანდაკებულ ჩარჩოში. ასეთი მედალიონები კარგადაა ცნობილი ბოლნისიდან. ჯვარი, ჩვეულებრივად, ორკანტიანია, მკლავების გულები ამოღებული აქვს ცერადკვეთით[3], ჩარჩოსა და მკლავების ჩაზნექილ ნაპირებს შორის დარჩენილი მახვილოვალური ღრმული შეუმკობლადაა დატოვებული, ხოლო მკლავებშორისი, სფერული სამკუთხედის მოყვანილობის მქონე არე ან აგრეთვე ჩაღრმავებულია და გლუვი[4], ან

---

[1] სურათზე ქვის ზემონაწილი, ფოტოგრაფირების დროს მომხდარი შეცდომის გამო, სამწუხაროდ, კარგად აღარა ჩანს: ზედ დამთხვეულია მეორე ქვის გადანაღები.

[2] იხ. ჩემი „ბოლნისი", გვ. 326-331. რადგან ქვა VI ს-ის დამდეგისაა, შესაძლებელია, რომ ის დანგრეული ტაძარიც, საიდანაც ეს ქვა მოტანილი იყო, მაგ ხანის შენობა ყოფილიყოს. „ჩარჩოს" შესახებ უნდა შევნიშნო შემდეგი: იგი შექმნილია იმის წყალობით, რომ გამოქანდაკებული ასოების მისაღებად წარწერის გრუნტი მთლიანად არის ხოლმე ამოღებული და მხოლოდ კიდეებზე არის დატოვებული სწორხაზოვანი ქიმი. თუ გრუნტის ამოღებისას ასო შემთხვევით გაუფუჭდებოდათ, მას სულაც ამოჰკვეთავდნენ და ახალ ადგილას გააკეთებდნენ ხოლმე. ამის გამო ერთი და იგივე სიტყვის ასოები ზოგჯერ ძალზე შორი-შორ მოდიოდა ერთი-ერთმანეთისაგან, რაც განსაკუთრებით ხშირად ეტყობა ბოლნისის 502/3 წლის წარწერას (იხ. ნახს. ადგ. სურ. 10 და 11) და რაც დაზიანებული ადგილების აღდგენისას ასოთა რაოდენობის ვარაუდს აძნელებს.

[3] ამ ტერმინს მე ვხმარობ იმ ტექნიკის აღსანიშნავად, რომელსაც ი. სტრიგოვსკი „Schrägschnitt"-ს უწოდებს (იხ. მისი Altai-Iran und Völkerwanderung, Lpz. 1917. S. 136 fl.). ცერად- ანუ ელმადკვეთილი იმას ჰნიშნავს, რომ რელიეფის კიდეები შეეულად კი არაა ჩაჭრილი, არამედ ცერად განზეა წაღებული ისე, რომ ორნამენტის ეზო არსებითად გაუქმებულია ანუ მიჩქმალულია. სტრიგოვსკის ეს ტექნიკა ტორევტიკიდან გამოჰყავს (იხ. იქვე). ჩვენში იგი გავრცელებული იყო უძველეს ხანაში ქვაზე, მერმე კი ხეზეც გვხვდება (იხ., მაგ., ჩუქურთმიანი კარი სვანეთიდან, Матер. по Археол. Кавказа. X, табл. XXXVIII: 65, საცა როზეტების გულებია ამოღებული ამ წესით). ქართული ხისმკეთებლობის ნიმუშები V-VI საუკუნეებისა, სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება. შდრ. ხევსურული ტერმინი „ცერად ჩაჭრა" ირიბად ამოღარული ორნამენტისათვის ხეზე (ვ. ბარდაველიძე და გ. ჩიტაია, ქართული ხალხური ორნამენტი I – ხევსურული, თბ., 1930, გვ. 25).

[4] ასეთია, მაგ., დავით ბოლნელის ჯვარი (იხ. გ. ჩუბინაშვილის ქართ. ხელოვნ. ისტ., გვ. 42, სურ. 26) და აგრეთვე ერერუიქის სამხრ. კარის ბალავარზე მოთავსებული ჯვარი (იხ. J. Strzygowski, Baukunst der Armenier und Europa, S. 413, Abb. 442).

ბურცულია, სიგრძივ შუაზე წიბო გაუდის და დაფარულია ჭდეული წინწოვანი ორნამენტით, რომელიც ფოთლების ან ნაჟვების შთაბეჭდილებას იძლევა[1].

მრგვალი ჩარჩო, რომელშიც ჩასმულია ეს ჯვარი, ჩვეულებრივად, ორი კონცენტრული წრისაგან შედგება, რომელთა შორისი ვიწრო ოლე დატიხრულია ცერად დადგმული, ცერადკვეთით ამოღებული თხელი ძგიდეებით, ისე რომ იქმნება მოპირისპირე ღრუ სამკუთხედების უსასრულო მწკრივი[2].

ვარიანტებს უფრო ჩარჩო გვიჩვენებს, ვიდრე თვით ჯვარი. მაგ., დავით ბოლნელის მედალიონის ჩარჩო სამი კონცენტრული წრისა და ორი სამკუთხედებიანი მწკრივისაგან შედგება, ხოლო „ვარსქენ ნახაპეტის" ჯვარს, ასეთი ჩარჩოს მაგივრად, გარშემო ამკობს ოთხად დახვეული, ირიბი ჭდეებით დასერილი რტო, რომლის ბოლოები სამყურა ყვავილებით მთავრდება – ჯვარი თითქოს მცენარეულ ხოირში არის ჩასმული.

ჯვარი ზოგჯერ ვიწრო და დაბალ ზედადგარზე დგას ჩარჩოს შიგნით[3].

იშვიათ გამონაკლისებს გარდა, აღწერილი მედალიონი, რომელსაც მე, სიმოკლისათვის, ბოლნურს ვუწოდებ[4], ყოველთვის მეტად გულმოდგინედ და დიდის ხელოვნებითაა შესრულებული. ამასთან, ყველა მრუდების წინასწარი ნახაზი ქვაზე, როგორც ეს განსაკუთრებით კარგად „ვარსქენ ნახაპეტის" ჯვარს ეტყობა ადგილზე და როგორც ჩანაზომები ადასტურებენ, ფარგლითაა ხოლმე გაკეთებული. რელიეფი ღრმად და მკვეთრადაა ამოღებული, ჭდეები კი მკრთალადაა დასმული.

უკანგორის ქვაზე მედალიონის ზემოთ აშიაა გავლებული, რომელზედაც რელიეფით გამოსახულია ჰორიზონტული მწკრივი ლოტოსის ყვავილებისა[5]. ყვავილის ფურცლები ცერადკვეთითაა ამოღებული. უბეები ყვავილებს შორის შევსებულია ისეთივე ბურცული წინწოვანი ორნამენტით, როგორიც მოთავსებულია ჯვარის მკლავებს შორის.

ამ ქვის დანიშნულება ისეთივე უნდა იყოს, როგორიც „ძნაჲს" ჯვრიანი ქვისა, რომელიც ჩასმულია ბოლნისის ტაძრის კედელში[6]. ეს სამახსოვრო ძეგლია. ასეთივე ხასიათი აქვს „ვარსქენ ნახაპეტის" ჯვრიან მედალიონს, რომელიც ცალკე ქვაზე კი არაა გაკეთებული და მერმე ჩასმული კედელში, არამედ პირდაპირ სვეტზეა გამოქანდაკებული. ტაძრის კედელში ჩასმულად შეიძლება წარმოვიდგინოთ უკანგორის ქვაც.

---

[1] ასეთია, მაგ., „ვარსქენ ნახაპეტის" ჯვარი ბოლნისში (იხ. ჩემი „ბოლნისი", გვ. 330, სურ. 14), რომლის მკლავებს შორის გამოყვანილი ორნამენტის ფოთლოვანი შთაბეჭდილება იმითია გაზრდილი, რომ წიბოზე ჭდეა გატარებული (აღსანიშნავია, რომ ამ ჯვარის მკლავებში ბურთულები ყოფილა ჩასმული). ასეა დამუშავებული უკანგორის მოცემული ჯვარიც.

[2] ასეთი ჩარჩო აქვს „ძნაჲს" ჯვარს ბოლნისში (ნახსენ. ადგ., გვ. 331, სურ. 15), რომელიც, სხვებრ, საკმაოდ მქისედაა შესრულებული, ისე რომ ჩარჩოს გარეთი წრე თითქმის სულ გამოუვლინებელია. ერერუიქის ზემოხსენებულ ჯვარსაც იგივე ჩარჩო ამკობს და ასეთივეა უკანგორის მოცემული ჯვარის ჩარჩო.

[3] იხ., მაგ., ჩემი „ბოლნისი", გვ. 338, სურ. 18. ეს მედალიონი საინტერესოა იმითაც, რომ ჯვარის მკლავებშორისი უბეებიც ცერადკვეთითაა დამუშავებული და წიბოიანია, თითქოს ცაცხვის ნაყოფის მოყვანილობის ბურცულებითაა ამოვსებულიო.

[4] შდრ. ჩემი „ბოლნისი", გვ. 323, სადაც ლაპარაკია „ბოლნურ (ბოლნისურ) ჯვარზე". მართლაც ამ გამოსახულებას მთლიანად „ჯოკარი" ერქვა ძველად. ახლა, რა თქმა უნდა, გამონათქვამი „მედალიონი" აჯობებს.

[5] ლოტოსს ამ ყვავილს მხოლოდ პირობით ვეძახი. მოტივი ისეა სტილიზებული, რომ მისი რეალური სახის გამოცნობა შეუძლებელია.

[6] იხ. ჩემი „ბოლნისი", გვ. 332.

მეორე მხრით, ჩვენ გვაქვს ბოლნური მედალიონით შემკული სტელები, რომლებიც უფრო საფლავის ძეგლებსა ჰგავს[1]. უკანგორშიც არის ერთი ოთხწახნაგა პრიზმული მოყვანილობის, ბოლნური მედალიონით შემკული უწარწერო ქვა[2], რომელიც აგრეთვე საფლავის ძეგლი უნდა იყოს. შესაძლებელია ჩვენი ქვაც, რომლის ქვემო ნაწილი ცოტაზე ჩამოტეხილია, თავის დროზე საფლავზე იდგა.

მისი თარიღი მოცემულია მისივე წარწერით. ასევეა დათარიღებული მთელი რიგი ბოლნური მედალიონებისა თვითონ ბოლნისში[3].

მართლაც, ეს მედალიონი მხოლოდ უძველეს სომხურსა და ქართულ ძეგლებზე გვხვდება: იგი ამკობს ერერუიქის ტაძრის (V ს.) სამხრეთი და დასავლეთი კარების ბალავრებს[4] და ბოლნისის სამეკლესიანი ბაზილიკის (VI ს.) კედლებს[5]. უფრო მოგვიანო ხანაში იგი სხვანაირადაა ხოლმე გამოსახული. უკვე VII ს-ის დამდეგის ძეგლის, მცხეთის ჯვრის ცნობილი „ძლევამოსილების ჯვარი"[6] თუმცა ძალიან გვაგონებს ზოგიერთ ბოლნურ ჯვრებს, განსაკუთრებით, თავისი ნახევარპალმეტებითა (შდრ. ქვემ. ტაბ. VIII, სურ. 15 და 16) და ცერადკვეთილობით, მაგრამ ამავე დროს, იგი თვალსაჩინოდ განსხვავდება იმით, რომ მას აკლია ტიპური, სამკუთხედებით თუ სხვა ორნამენტით შემკული ჩარჩო და მკლავებშორისი უბეების შევსება[7].

ამგვარად, ბოლნური მედალიონის თარიღად თამამად შეგვიძლია V და VI საუკუნეები დავდოთ[8].

---

1 ჩემი „ბოლნისი", 338, სურ. 18.

2 ამ ქვის უფრო ნიშანდობლივ აღწერა, სამწუხაროდ, აღარ მოესწრო. არის ფოტოგადანაღები. ჯვარი სამკუთხედებიან ჩარჩოშია ჩასმული, რომელიც მრგვალ სადა ბუნზე დგას. რაზე იდგა თვითონ ბუნი, აღარ ჩანს, ორნამენტი გადარეცხილია. ეგებ აქ ქვემოთ ისეთივე პალმეტებიანი კვარცხლბეკი იყო, როგორც თეკენების სტელაზე (იხ. ქვემ. ტაბ. VII, სურ. 15). მთელი კომპოზიცია, როგორც ეტყობა, ჩასმული იყო კიდევ სწორხაზოვან ჩარჩოში.

3 გამოსავალი წერტილი 502/3 წლის წერწარაა. ეს ბალავრის ქვაც შემკული ყოფილა ბოლნური მედალიონით, რომლის ქვემო ნაწილია მხოლოდ შენახული (იხ. „ბოლნისი", გვ. 325, სურ. 11). შემდეგ, წარწერები ათარიღებს დავით ეპისკოპოსის ქვაზე გამოსახულ ჯვარს და აგრეთვე „ვარსქენ ნახაპეტის" ჯვარს.

4 J. Strzygowski, დასახელ. ნაშრ., გვ. 413, სურ. 442 და გვ. 414, სურ. 443 (ამ უკანასკნელზე ჯვარის ჩარჩო კარგად არა ჩანს, შესაძლებელია, იგი ჩვეულებრივისაგან განსხვავდებოდეს). ასეთივე მედალიონები უნდა ამკობდეს ტეკორის ტაძრის (V ს.) ჩრდილო-კარის ბალავრის ქვასაც (იქვე. გვ. 323, სურ. 368), მაგრამ სურათზე იგი კარგად არა ჩანს.

5 შდრ. „ბოლნისი", გვ. 323.

6 იხ. J. Baltrusaitis, Etude sur l'Art Médiéval en Géorgie et en Arménie, P. 1929, Pl. LXXVI: 125 შდრ. გ. ჩუბინაშვილი და ნ. სევეროვი, ქართული არქიტექტურის გზები, თბ., 1936, გვ. 27 (ქვემოთ).

7 სომხეთში საინტერესო ვარიანტს გვაძლევს ერთი კაპიტელი არუჭიდან, რომელზედაც სამი წრისაგან შემდგარი სადა ჩარჩო სიმეტრიულად ოთხ ნაკვეთადაა დანაწევრებული, ხოლო ჯვარის მკლავებს შორის ჩასმულია დამოუკიდებელი მახვილი ოვალები (Strzygowski, დ. ნ., გვ. 411, სურ. 440). არა მგონია ეს ქვა VII ს-ზე უფრო გვიანდელი იყოს.

8 ბოლნური მედალიონის მსგავსი გამოსახულება უცნაურად გვხვდება ერთ სომხურ XVI-XVII ს-ის მინიატურაზე (В. Стасов, Славянский и восточный орнамент, ПБ., 1887, табл. 148:4): კვარცხლბეკზე დგას ჯერ მაღალი და ვიწრო ჯვარი, რომელზედაც ზემოდან დადგმულია ტოლმკლავებიანი წითელი ჯვარი მწვანედ შეფერადებული კიდეებით, ჩასმული მრგვალ ჩარჩოში. ჩარჩო ყვითელია, გარდიგარდმო ოლვილი მწვანე ირიბი ზოლებით და შემკული რვა

უკანგორში აღმოჩნდა ერთი ქვის ფრაგმენტი, რომელიც ბოლნური მედალიონის მეტად საინტერესო და თავისებურ ვარიანტს იძლევა (ტაბ. III, სურ. 5)[1].

ორნამენტის შემონახული ნაწილი საშუალებას გვაძლევს იგი მთლიანად აღვადგინოთ (ტაბ. II, სურ. 6)[2].

ცერადკვეთით ამოღებული ჯვარი ჩასმულია გლუვ მრგვალ სალტეში. მკლავებს შორის „ფოთლებია". ეს პატარა მედალიონი ჩაწერილია ოთხნაწილედ როზეტში, რომელიც ტეტრაკონქის გეგმას მოგვაგონებს. მედალიონი ისეა ჩაწერილი როზეტში, რომ ამ უკანასკნელის აფსიდები ერთმანეთს არ ემთხვევა და შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს იგი ზემოდან იყოს როზეტზე დადებული. აფსიდებში ჩაწერილია ნახევარჯვრები, „ფოთლებით" მკლავებს შორის. ჯვრებიცა და აფსიდებიც თვალისთვის შევსებას მოითხოვს – თითქოს ოთხი პატარა, სიმეტრიულად დალაგებული მედალიონი ერთმა უფრო დიდმა შუაზე ზემოდან სანახევროდ დაჰფარაო. აფსიდებშორისი უბეები ამოვსებულია პალმეტებით. მთელ ამ კომპოზიციას გარშემო უვლის პრტყელი და განიერი სალტე, რომელიც ერთ დიდ მთლიან მედალიონსა ჰქმნის.

შემდეგი სამი ფრაგმენტი მხოლოდ ფოტოგრაფიულად იქნა გადაღებული, ხოლო მათი აღწერა ვერ მოესწრო. სამივე სტელებს წარმოადგენდა. მათგან ორი, შესაძლებელია, საფლავის ძეგლი იყო.

ერთ პატარა ფრაგმენტზე შენახულია ვერტიკალურად განლაგებული რელიეფური ორნამენტის, ალბათ, ძირა ნაწილი: მართკუთხედში ჩასმულია სამყურა პალმეტი, მსგავსი იმისა, რომელიც როზეტიან ფრაგმენტზე (ტაბ. II, სურ. 5) აფსიდებშორის უბეებს ავსებს, ოღონდ ნაკლებად გადაშლილი; კუთხეები ამოვსებულია ბურცული წიწვოვანი ორნამენტით („ფოთლებით"); ზემოდან ამ მართკუთხედზე მეორე, უფრო ვიწრო მართკუთხედი იდგა, ასევე შევსებული, რომლისაც მხოლოდ მცირე ნაწილიღაა შენახული. ეს მართკუთხედები ძალიან გვაგონებს თეკენების ქვემო ეკლესიის სტელაზე გამოსახული მედალიონის კვარცხლბეკს (იხ. ქვემ. ტაბ. VII, სურ. 15 და 16), თუმცა იქ მართკუთხედები უფრო დაბალია და თითოეულში რამდენიმე პალმეტია ჩასმული; შესაძლებელია, უკანგორის ფრაგმენტზეც ამ მართკუთხედებზე დადგმული იყო ბოლნური მედალიონი.

მეორე, უფრო მოზრდილს, ოთხწახნაგა პრიზმისებურ ქვაზე სწორხაზოვან ჩარჩოში ვერტიკალური განლაგებით ჩასმული იყო მცენარეული ორნამენტი: ფოტოსურათზე კარგად განირჩევა მხოლოდ შუალა სახე, რომელიც სტილიზებულ ლოტოსის ყვავილს წარმოადგენს (უფრო შროშანსა ჰგავს); მის ქვემოთ კიდევ რაღაც სახის ნაშთი ჩანს; დანარჩენი ჩამორეცხილია: ორივე ფრაგმენტის რელიეფი იმავე კარგი ტექნიკითაა დამუშავებული, როგორც ზემოთ აღწერილი სხვა V-VI საუკუნეების ძეგლებისა.

მესამე ქვა, შესაძლებელია, სწორედ ის ჯვარი იყოს, რომელიც თათვარაზს აღუმართავს[3]. ეს მეტად მძიმე, გრძელი ოთხკუთხი სტელა (სიგრძ. 2,50, სიგან. 0,35, სისქ. 0,31

წყვილ-წყვილად სიმეტრიულად განაწილებული მწვანე ქაცვებიანი წითელი ბოლქვებით, ისე რომ გრეხილი ხოირის შთაბეჭდილებას ახდენს, მთელი კომპოზიცია მოგვაგონებს თეკენების ქვემო ეკლესიის სტელის შემკულობას (იხ. ქვემ. ტაბ. VII, სურ. 15).

[1] სამწუხაროდ, ამ ფრაგმენტის გაზომვა ვერ მოვასწარი, იგი არაა დიდი.

[2] ნახაზი შესრულებულია მხატვრის მ. ხუციშვილის მიერ. ფრაგმენტის მიხედვით საფიქრებელია, რომ მთელი ქვის ორნამენტი მარტო ამ აღდგენილი ნახატით არ ამოიწურებოდა. შესაძლებელია, მედალიონი ორნამენტულ კვარცხლბეკზე იდგა.

[3] ამ ქვის ძირა ნაწილი (სიგრძ. 0,385; სიგან. 0,36, სისქ. 0,345 მ.) მქისედ და უორნამენტოდაა დატოვებული. ეს ძირი ჩადგმული იყო კვარცხლბეკში, ძირის ნერჩში ამოღებულია ფოსო

მ.) ეკლესიის სამხრეთი შესავლის ახლოს გდია და სამად არის გადატეხილი. სხვაფრივ იგი კარგადაა დაცული, მხოლოდ აქა-იქ ანახეთქები აქვს. სამივე ან ეგების ოთხივე პირი[1] ამ ქვისა შემკულია მთელ სიგრძეზე სხვადასხვა გამოქანდაკებული ორნამენტით. ერთ პირზე ერთი-ერთმანეთის ზემოდან გამოსახულია პალმეტებიანი ბოლნური მედალიონები კვარცხლბეკებზე, ანალოგიური თეკენების ქვემო ეკლესიის სტელისა (იხ. ქვემ. ტაბ. VII, სურ. 15 და 16). სრულებით ცხადია, რომ თუ ეს ქვა მაინც და მაინც თათვარაზის კვარცხლბეკზე არ იდგა, იგიც დაახლოებით იმავ ხანისა უნდა იყოს.

მეტად საინტერესოა სამი კიდევ სხვა ბარელიეფიანი ქვა.

ერთი სვეტისთავის ფრაგმენტს უნდა წარმოადგენდეს[2]. იგი მტკიცე ლეგა ქანისაა, გვერდებჩაზნექილი ოთხწახნაგა პრიზმისებური მოყვანილობის (ზომ. 0,19×0,105×0,105 მ.). თავსა და ძირზე მას ოთხივე მხრით ამოღებული აქვს ვიწრო და დაბალი ქანები, ისე რომ ორსავ ბოლოში დაბალი ოთხკუთხი შვერილები იქმნება. ძირა შვერილი ძალიან მქისედაა ქანებით გამოყოფილი, სიმაღლით არა უმეტეს 2 სანტიმეტრისაა (ზოგ მხარეზე კიდევაც ნაკლებია) და მთელი უნდა იყოს. შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ქვა ამ ნაწილით რაღაც ბუდეში უნდა მჯდარიყო და ნერჩსაც ეტყობა, რომ იგი რაღაც მტკიცე საგანზე, ალბათ ქვაზე დგომით გადახეხილ-გადალესილია. თავის შვერილის პირები კი უკეთაა ჩამოჭრილი და სიმაღლით 2,5 სმ-ს აღწევს, მაგრამ შვერილი თითქოს ჩამოტეხილი უნდა იყოს, თავდაპირველად, იგი უფრო მაღალი უნდა ყოფილიყო. ამ მხარეზე, მაშასადამე, ქვას ყელი ჰქონია.

ბარელიეფებით შემკული იყო ქვის მხოლოდ სამი პირი.

წინა პირზე მეტად თხელი რელიეფით და მქისედ გამოსახულია ბორბალი ანუ თვალი, რომელიც ძალზე გადახეხილა. მისი დიამეტრი უდრის 0,08 მ-ს. განირჩევა ფერსო, ხშირი სოლები და ცენტრში მორგვი. ეს ის ორნამენტია, რომელსაც „მზის ნიშანს" ეძახიან. მის ზემოთ 0,03 მ-ის სიგანის აშიაა გავლებული, ამოვსებული უფრო ღრმად ამოღებული, მონაცვლეობით დაპირისპირებული სამკუთხედების უსასრულო მწკრივით, როგორიც ბოლნური მედალიონების ჩარჩოებზე გვხვდება.

აქედან მარცხენა პირზე ისევ-ისე თხელი და მქისე რელიეფით გამოსახული ყოფილა რაღაც გეომეტრიული ფიგურა, რომლის ქვემო ნახევარი სრულებით ჩამოტეხილია. ფიგურა თითქოს ასე შეიძლება აღვადგინოთ: კონცენტრულად ორ წრეში ჩასმული იყო სამი რომბი (მათგან შიგნითა უფრო მომსხო ხაზებითაა გამოყვანილი), ხოლო ცენტრში მრგვალი (?) ღილი იჯდა. მთელი ფიგურის დიამეტრი უდრის 0,067 მ-ს. ზემოდან აქაც სამკუთხედებიანი აშია იყო გავლებული, რომლის მარცხენა ნახევარი მთლად ჩამოტეხილია.

მარჯვენა პირზე კი მოთავსებულია ფარშევანგი (ტაბ. III, სურ. 7). აქაც რელიეფი თხელია, ფიგურის დამუშავება მეტად მქისე. სიგრძით და სიმაღლით მთელი ფიგურა

ღერძისათვის. ასეთივე ფოსო აქვს, როგორც ვნახეთ, თათვარაზის კვარცხლბეკის ბუდეს ფსკერში. მაგრამ სვეტის ძირი ოთხკუთხია და მისი სისქე თითქოს აღემატება კვარცხლბეკის მრგვალად ამოჭრილი ბუდის დიამეტრს, ისე რომ ნამდვილად არ ითქმის, ერთად ეკუთვნის ეს ორი ქვა თუ არა.

[1] დიდი სიმძიმის გამო ამ ქვის გადაბრუნება ვერ მოვახერხეთ, ფოტოსურათიც უვარგისი გამოვიდა, რადგან ქვა ჩრდილიან ადგილზე გდია (იხ. ჩემი ზემოხსენ. წერილი ენიმკის მოამბის X ტომში, სურ. 6).

[2] ეს ქვა ჩამოტანილია თბილისში და ამჟამად შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმში ინახება.

0,09 მ-ისაა. ფარშევანგს ახასიათებს ქოჩორი, რომელიც აქ სამღეროიანია. სხვაფრივ ძნელი მისახვედრი იქნებოდა, თუ რის გამოსახვა უნდოდა მხატვარს, მით უმეტეს, რომ ტანი ძალიან მილეულია, ფრთა და განსაკუთრებით კუდი ძალიან მოკლეა. პროპორციები სრულებით არაა დაცული: განსაკუთრებით დიდია თავი და ქოჩრის ბოლოები და ნამეტანი უშნოდ გრძელია ფეხები, რომლებიც ამასთანავე მეტის-მეტად წინაა მოთავსებული სხეულზე. ფრთები აღნიშნულია თხელი და წვრილი დიაგონალური ჭდეებით. ქოჩრის თავები დაწერტილი იყო (წერტილი შენახულია კარგად მხოლოდ უმოკლესი ღეროს თავზე). დაწერტილია თვალიც და ბიბილოც მის ქვეშ. ბრჭყალები თითო ფეხზე სამ-სამია და ეტყობა, რომ ფრინველს დეზებიც ჰქონია. ფრთა აწეულია და მის ზემოთ კიდევ რაღაც გრძელი და ვიწრო ფიგურაა, რომელსაც ორი ბოლო აქვს და რომელიც ფრინველის კისერზეა მიბჯენილი და თითქოს თავისუფლადაა დაკიდებული ჰაერში.

როგორც აღვნიშნე, ყველა რელიეფი ამ ქვაზე მეტად მქისედაა შესრულებული და უფრო ნახაზსა ჰგავს, ვიდრე ნამდვილ რელიეფს (ფარშევანგიც).

ფარშევანგის გამოსახულება უკვდავებისა და გაზაფხულის ძველი ქრისტიანული სიმბოლოა. კერძოდ, ჩვენშიც იგი ძალიან ადრე გვხვდება ბოლნისში, სადაც იგი სვეტისთავზეა გამოხატული რელიეფით[1]. მაგრამ აქ იგი გაცილებით უფრო უკეთაა შესრულებული – რელიეფიც უფრო მაღალია, პროპორციებიც უკეთაა დაცული და დეტალებიც უფრო სუფთად და ხელოვნურადაა დამუშავებული. აქაც ფარშევანგებს სამღეროიანი ქოჩრები ამკობს.

გავრცელებული იყო ფარშევანგის გამოსახულება VIII-X საუკუნეების სპარსულ ვერცხლის ჭურჭელზეც[2], მაგრამ აქაც ყველგან გამოსახულება გაცილებით უფრო უკეთ და სულ სხვა სტილითაა შესრულებული და უკანგორისას არ უდგება. მხოლოდ ერთი გამოსახულებაა, ზერელედ ამოფხაჭნილი ლენინგრადის ერმიტაჟში დაცული ერთი ვერცხლის თეფშის ფსკერზე[3], რომელიც თავისი სიმქისითა და სამღეროიანი ქოჩრით უკანგორის გამოსახულებას მოგვაგონებს შორეულად.

უფრო მოგვიანო ხანაში, X-XIII საუკუნეებში, ფარშევანგის გამოსახულება ძალიან იყო გავრცელებული მინიატურულ მხატვრობაში[4], მაგრამ აქაც ანალოგიებს ვერ ვპოულობთ.

გავრცელებული იყო ფარშევანგის გამოსახულება ქსოვილებზეც. ასე, მაგ., იგი გვხვდება უკვე VI ს-ის ბერძნულ აბრეშუმის ქსოვილზე[5]. შემდეგში, XI-XIII საუკუნეებში ხომ ეს გამოსახულება ხშირად გვევლინება, განსაკუთრებით, მავრიტანულ ესპანეთში[6],

---

[1] შდრ. გ. ჩუბინაშვილი, ქართ. ხელოვნ. ისტ., გვ. 42.

[2] იხ. Я. Смирнов, Восточное серебро, მაგ., табл. LXVI:111 და LXVII:116.

[3] Смирнов-ის დასახელ. ალბომი, ტაბ. LXI:98.

[4] იხ. Стасов-ის დასახელ. ალბომი, ტაბ. 134, სურ. 12 და 13 (კოფტური), ტაბ. 141, სურ. 24 და ტაბ. 142, სურ. I (სომხური), ტაბ. 53, ტაბ. 57, სურ. 1 და ტაბ. 60, სურ. 17 (რუსული).

[5] იხ. O. v. Falke, Kunstgeschichte der Seidenweberei. B. 1913, Bd. I, Abb. 43. აქ ფარშევანგები წყვილ-წყვილად არიან ქსოვილზე დასმული, უკან მიბრუნებული თავით; ქოჩრები სამღეროიანი, ნისკარტში თითოს პატარა რტო უჭირავს. სტილი, გამოსახულება და პოზა არაფრით არ ჰგავს უკანგორისას.

[6] იქვე, ტ. I, სურ. 176 (XI ს.: ფარშევანგი ორთავიანია, დგას en face, კუდი გაშლილი აქვს), სურ. 178 (XI ს.: აქაც ფარშევანგები დგანან en face, მიბრუნებული თავით, გაშლილი კუდით).

სიცილიაში[1] და იტალიაში[2]. მაგრამ ვერსად ვერ ვპოვებთ თვითონ ფრინველის გამოსახულებისათვის ანალოგიას და მხოლოდ ერთი დეტალი აახლოვებს უკანგორის ფარშევანგს იმ გამოსახულებას, რომელიც ერთს XI-XII ს-ის სპარსულ ქსოვილზე გვხვდება[3]. აქ ერთი მეორის პირისპირ ფარშევანგების წყვილი დგას. მათ შორის ორნამენტული ხეა დადგმული. კომპოზიცია წმინდა ჰერალდიკური ხასიათისაა. ფრინველებს თავი აუწევიათ და ნისკარტი დაუღიათ, თითქოს ხესა ჰკორტნიანო. ორივეს ცალი ფეხი აწეული აქვს, სამღეროიანი თავდიდი ქოჩრები ჰაერში ფრიალებს. ეს გამოსახულება არაფრით არ ჰგავს უკანგორისას, გარდა ერთი დეტალისა: ეს არის შარფი, რომელიც ფრინველს თავისუფლადა აქვს მოხვეული ყელზე და რომლის ბოლოები უკანაა გადაგდებული და ჰაერში ფრიალებს. როგორც აღვნიშნე, უკანგორის ფარშევანგსაც აწეულ ფრთას ზემოთ კისერზე რაღაც გრძელი და ვიწრო, ორბოლოიანი ფიგურა აქვს მიბჯენილი, რომელიც თითქოს ჰაერში თავისუფლად ჰკიდია. ეს უცნაური ფიგურა, ვგონებ, ჰპოულობს თავის ახსნას ზემოხსენებული სპარსული ქსოვილის ფარშევანგის ყელსახვევში. უკანგორელ მოქანდაკეს სწორედ ასეთი ყელსახვევი უნდოდა გადმოეცა თავისი უმწეო უდრეკი ფიგურით, რომელიც მას ყელზე შემობმულად არც კი გამოუხატავს. სხვანაირად ამ მოტივის გაგება ძნელია. თუ ასეა, მაშინ სხვა ანალოგიებსაც ადვილად მოვძებნით. საქმე ისაა, რომ ეს მოტივი ძველი სპარსულია, სახელდობრ, სასანური და სასანური სამეფო ტანისამოსიდანაა გადასული პირუტყვებზედაც, როგორც წმინდა ორნამენტი[4], სპარსეთიდან იგი გავრცელდა დასავლეთისკენაც – აქ იგი გვხვდება უკვე VI ს-ის ბიზანტიურ ქსოვილებზე[5], და აღმოსავლეთისკენაც, საცა მას ვხედავთ კედლის მხატვრობაზე ჩინეთის თურქისტანში[6]. უფრო გვიან, X-XI საუკუნეებში, ბიზანტიიდან ეს მოტივი დასავლეთ ევროპაშიც შევიდა[7]. თვით სპარსული მაგალითებიც ბლომად მოიპოვება, როგორც სასანური, ისე ადრეულ-ისლამური ხანისა[8]. განსაკუთრებით, სწორედ ფრინველებს ამკობდნენ ასეთი შარფებით და ამ სახით გადაიღეს ეს მოტივი, კერძოდ, ბიზანტიაშიც[9].

---

[1] იქვე, ტ. I, სურ. 207 (XII ს.: ფარშევანგები დგანან ერთი-ერთმანეთის პირისპირ, ჰერალდიკურად; მათ შორის ორნამენტული ხე დგას; ორღეროიანი ქოჩრები ჰაერში ფრიალებს), სურ. 209 (XII ს.: აქაც ჰერალდიკური კომპოზიცია; ქოჩრები სამღეროიანი, დანერტილი თავებით; კუდები გაშლილი; სულ სხვა სტილი).

[2] იქვე, ტ. I, სურ. 205 (XI-XII ს.: აქაც წყვილ-წყვილი ფრინველები, ხით მათ შორის, დაკიდებული ორღეროიანი ქოჩრებით, გაშლილი კუდებით; კომპოზიცია ძალიანა ჰგავს სიცილიური ქსოვილისას, სურ. 207). ტ. II. სურ. 282 (XIII ს.: ისეთივე კომპოზიცია; სამღეროიანი ქოჩრები).

[3] იქვე, ტ. I, სურ. 155.

[4] Falke, დასახელ. ნაშრ. ტ. I, გვ. 39.

[5] იქვე, ტ. I, სურ. 48 და 49 (შარფიანი რაშები), სურ. 50 (შარფიანი ჯიხვები).

[6] იქვე, სურ. 100 (შარფიანი იხვები); შდრ. А. Ю Якубовский, Культура и Искусство Востока, Лигр., стр. 25.

[7] იქვე, სურ. 137 (შარფიანი მტრედები).

[8] ხოსრო II-ის ნადირობის რელიეფზე ტაკიბოსტანში (ციტირ. Falke-ს მიხედვით, ტ. I, გვ. 39, შენ. 4), ვერცხლის ჭურჭელზე (გამოცემული აქვს Смирнов-ს თავის ალბომში, სურ. 108, 109, 128, 134, 152. ციტირ. Falke-ს მიხედვით, ტ. I, გვ. 97, შენ. 5), ქსოვილებზე (Falke, ტ. I, სურ. 136) და სხვ.

[9] Falke, დასახელ. ნაშრ., ტ. I, გვ. 98.

რაც შეეხება იმას, რომ უკანგორის ფარშევანგს შარფი ყელზე შემოხვეული არა აქვს, ესეც შეიძლება მოქანდაკის გარკვეულ სურვილს გადმოგვცემდეს. თავდაპირველად, ეს სამკაული მეფეთა თავსაბურავის შემადგენელი იყო და სასანურ ჭურჭელზე იგი ქუდზეა ხოლმე მიმაგრებული თავისუფლად უკანიდან[1]. ფრინველებსაც ზოგჯერ შარფი ყელზე კი არა აქვთ მოხვეული, არამედ თავზე ქოჩრის ქვემოთ აქვთ თავისუფლად დამაგრებული. შესაძლებელია, ამის გამოხატვა ჰსურდა უკანგორელ მოქანდაკესაც, რომელსაც, მართალია, თავზე კი არა, ყელზე მიუკრავს ეს სამკაული თავისი ფრინველისათვის. მაგრამ მაინც, სწორედ, ეს გარემოება შეიძლება გამოსახულების სიძველის მანიშნებელი იყოს.

ყველა ზემოხსენებული პარალელები თავსდება VI-X საუკუნეების ფარგლებში. უკანასკნელად მოხსენებული გარემოება შარფის ყელზე შემოუხვევლობის შესახებ და ზემოხსენებული სამკუთხედებიანი აშიები, რომლებიც ამ ქვის ორ დანარჩენ ბარელიეფს ამკობს და ბოლნური ჯვრების ჩარჩოების მოტივს იმეორებს, გვაფიქრებინებს, რომ ჩვენი ქვის თარიღი აღნიშნული პერიოდის უფრო დასაწყისთან უნდა დავდოთ, ვიდრე დასასრულთან. დაბოლოს, თვით ქვაც, თუ კი იგი ნამდვილად სვეტისთავს წარმოადგენს, თავისი მოყვანილობითა და სიმარტივით ქართული ხუროთმოძღვრების უძველეს ხანას გვაგულვებინებს.

ორი დანარჩენი ბარელიეფი, სამწუხაროდ, ძალიან დაზიანებული ფრაგმენტების სახითაა შენახული. ორივეზე ადამიანის ფიგურა იყო გამოსახული (ტაბ. III, სურ. 8). ერთს (ზომ. 0,33×0,17×0,075 მ.) ალბათ, თუ მეტი არა, მთელი ნახევარი უნდა აკლდეს. აქ გამოსახული იყო მამაკაცი, როგორც ეტყობა, en face: ჩანს მისი მოგვებშემოსილი თუ მესტებ-საცვეთებიანი ფეხები და წამოსასხამის ქვემო ნაწილი, ხოლო მის ქვეშ კაბის ქობა მოჩანს[2], რომელიც თხელი და წვრილი ირიბი ჭდეებითაა დასერილი, რაც, ალბათ, ორნამენტს გადმოგვცემს. ადამიანის ფიგურის მარჯვნით, ალბათ, ჯვარის კვარცხლბეკი დგას, რომელიც აგრეთვე ჭდეებითა დამუშავებული: შენახულია კვარცხლბეკის ძირა ნაწილი, რომელზედაც მოკლე ბუნი დგას და შემდეგ, შესაძლებელია, პალმეტები მოდიოდა, რომლებზეც მოკლე ბუნი დგას და შემდეგ, შესაძლებელია, პალმეტები მოდიოდა, რომლებიც ჯვარს ქვემოდან ევლებოდნენ, როგორც ეს, მაგ., თეკენების სტელაზე გვაქვს[3]; მაინც და მაინც ნამდვილად არაფერი ითქმის, რადგან ბუნის ზემოთ ორნამენტის მხოლოდ მცირე ნაშთიღაა დარჩენილი. კიდევ უფრო მარჯვნით, ფრაგმენტის კუთხეში, აგრეთვე რაღაც გაურკვეველი ორნამენტის ნაშთია შენახული. აქეთა პირიც ქვას ჩამოტეხილი აქვს. კვარცხლბეკის ქვემოთ ჰორიზონტულად ერთსტრიქონიანი, ხოლო ადამიანის ფიგურის მარცხნით ვერტიკალურად ორსტრიქონიანი მთავრული წარწერა იყო გამოქანდაკებული, რომელიც ისეა გადარეცხილი, რომ აღარ იკითხება – ცალკეული ასოების გარჩევა შეიძლება მხოლოდ, ისიც სათუოდ: კვარცხლბეკის ქვეშ ორი თავშეკრული ასო („ბ" და „ყ"?) და თითქოს „ʒ", ფიგურის მარცხნით ორი „ა"-ნი? ასოების პალეოგრაფიული ხასიათი თითქოს ბოლნისის უძველეს წარწერებს მოგვაგონებს.

მეორე ფრაგმენტზე (ზომ. 0,21×0,15×0,13 მ.) დაცულია მხოლოდ ერთი ფიგურა, რომელსაც თავი აკლია. აქ უნდა დაკარგული იყოს ქვის უდიდესი ნაწილი, ხოლო ნიშან-

---

[1] იხ. მაგ., იქვე. სურ. 47.

[2] იხ. იქვე გვ. 82, სურ. 101. აქ შეიძლებოდა კაბა და პერანგი გვეგულისხმა და არა წამოსასხამი და კაბა, მაგრამ ასე უფროა საფიქრებელი მეორე ბარელიეფის ანალოგიით (იხ. ქვემ.).

[3] იხ. ქვემ. ტაბ. VIII, სურ. 15.

დობლივ რამდენი, არა ჩანს. რელიეფი ჩასმული იყო სწორხაზოვან ჩარჩოში. ფიგურის ტანისამოსი აქ უკეთ განირჩევა, ვიდრე პირველ ფრაგმენტზე: ესეც მამაკაცია და მას აცვია მოგრძო სახელოიანი მოკლე წამოსასხამი, რომლის ქვეშაც კაბის ქობა მოჩანს[1]. კაბაც მოკლეა, ცოტაზე ჰფარავს მუხლებს, ისევე, როგორც ეს პირველ ფიგურაზეა. წამოსასხამი წელში ვიწროა, მერმე კი ორმხრივ რკალივით ჩამოდის ქვევითკენ. კაბაც მის ქვეშ ასეთი მოყვანილობისა ჩანს და თან მისი კალთა ამოჭრილია რკალად ზევითკენ, რაც პირველ ფიგურასაც ეტყობა, თუმცა უფრო ნაკლებად. წამოსასხამის ერთი კიდე, სახელდობრ, მარჯვენა, მეორეზეა გადაგდებული. სახელო არაა მაინც და მაინც გრძელი, მაგრამ შიგ კაცს ხელი არა აქვს გაყრილი. გამოსახულია მხოლოდ მარჯვენა სახელო, მარცხენა კი არა ჩანს. ფეხზე ამ ფიგურას აცვია საცვეთები და რბილი და კოხტა უქუსლო წუღები. სახელდობრ, რელიეფს კარგად რომ დავაკვირდეთ, შევამჩნევთ, რომ კოჭებთან იგი პროფილირებულია: ეს უნდა მიგვითითებდეს იმაზე, რომ მოქანდაკეს მოგვების გადმოცემა კი არ სურდა, არამედ წუღებზე ჩამოცმული საცვეთებისა[2].

ეს ფიგურაც, როგორც ჩანს, იდგა en face და მარცხენა ხელი მას ზევითკენ განზე გაწვდილი უნდა ჰქონოდა[3].

ორივე ბარელიეფი ძალიან მქისედაა დამუშავებული, სქემატურად და, განსაკუთრებით, პირველი, ყოველგვარი მოდელირების უიმისოდ, მაგრამ მეორე მაინც ბევრით სჯობს პირველს. მეორე ფრაგმენტზე ფიგურას საგანგებო მინა აქვს შექმნილი ქვის გრუნტის ამოღების საშუალებით და იგი აქ გაცილებით უფრო თავისუფლადა დგას, რაც მას განსაკუთრებით, ფეხებზე ეტყობა, რომლებიც პერსპექტივაშია მოცემული, იმ დროს, როდესაც პირველი ფიგურის ფეხები უმწეოდ ბრტყლად არის შესრულებული. რელიეფის ზედაპირიც მეორე ფრაგმენტზე უფრო სუფთაა. ამასთან, თუმცა ორივე ბარელიეფი თხელია, მაინც მეორე ფიგურა უფრო მაღალი რელიეფითაა გამოყვანილი და ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს ის გარემოება, რომ იგი სიღრმეში ზის და ჩარჩოთია შემოვლებული.

პირველი ფრაგმენტის თარიღი ასე თუ ისე განსაზღვრულია მისი წარწერის ნაშთებით: დაახლოვებით, იგი უნდა ეკუთვნოდეს უკანგორის უძველესი ნაშთების ხანას.

მეორე ფრაგმენტის ქრონოლოგიურად განსაზღვრა უფრო ძნელია, მაგრამ, მგონია, ძალიან არ შევცდებით, თუ ამასაც იმავ ხანას მივაკუთვნებთ. მიახლოებითი თარიღის დასადგენად მნიშვნელობა აქვს აქ გამოსახული ფიგურის კოსტუმის სამ დეტალს.

ასეთივე, ან ამის მსგავსი ფეხსაცმელი გვაქვს მცხეთის ჯვრის ერთ-ერთ ბარელიეფზე. სახელდობრ, დემეტრე კპატოსს აცვია სწორედ ასეთივე რბილი, წოპწოპა უქუსლო წუღები და კოჭებთან ვიწრო, მუხლისკენ ძაბრისებურად გაგანიერებული საცვეთები (ტაბ. IV, სურ. 9). მართალია, აქ საცვეთები ფეხზე დამაგრებულია კიდეე ე. წ. საკოჭურებით ან პაჭანაგებით, მაგრამ ეს ხომ ყოველთვის საჭირო არ იყო.

ანალოგია დემეტრე კპატოსის გამოსახულებასთან იმით ძლიერდება, რომ მასაც წამოსასხამი აცვია, რომლის სახელოშიც მას ხელი არა აქვს გაყრილი. მართალია, სახელო აქ გაცილებით უფრო გრძელია, ვიდრე უკანგორის ბარელიეფზე და თვით წამო-

---

[1] დღიურში მინერია, რომ ამ ფიგურის ქობაც, მსგავსად პირველი ფიგურისა, ირიბი ჭდეებით არის დასერილი. ფოტოსურათზე ეს აღარა ჩანს.

[2] პირველი ფიგურის ფეხსაცმელიც კოჭებთან პროფილირებულია, თუმცა უფრო უმწეოდ, უბრალო ხაზით. აქაც, მაშასადამე, მესტები და საცვეთები უფრო უნდა ვიგულვოთ, ვიდრე მოგვი.

[3] ეს საგულვებელია ამ ხელის ნაშთის მიხედვით, რომელიც ქვის ზემო მარცხენა კუთხეში ჩანს.

სასხამიც ხალვათია, წელში არაა მოჭერილი როგორც უკანგორში, მაინც იქაც და აქაც ერთნაირი დანიშნულების და ერთნაირად ხმარებული ტანსაცმელი გვაქვს[1].

თუ უკვე წამოსასხამი და ფეხსაცმელი VI-VII საუკუნეზე მიგვითითებს, ჩვენი ბარელიეფის კაბის დეტალიც, სახელდობრ, ზევითკენ რკალად ამოჭრილი კალთა, ანალოგიას პოულობს ამავ ხანის ერთ სომხურ ძეგლზე. ეს არის, ბალტრუშაიტისის განსაზღვრით, V-VI საუკუნეების სტელა, რომლის კვარცხლბეკზე გამოხატულია დანიელი ლომების ხნარცვში[2]. სტრიგოვსკის აზრით, ამ დანიელს სპარსული სამოსელი აცვია[3] და იგი თუმცა სხვაფრივ განსხვავდება უკანგორის ბარელიეფის ტანისამოსისაგან, მაგრამ ჰგავს მას იმით, რომ იგიც მოკლეა, წელში ვიწრო (დანიელს წელზე ქამარი აქვს შემორტყმული), წელსქვემოთ რკალად ჩამოდის და განსაკუთრებით იმით, რომ მის კაბასაც კალთა ზემოთკენ რკალად ამოჭრილი აქვს[4].

ამ ბარელიეფების დანიშნულების შესახებ ძნელია რისიმე თქმა დანამდვილებით, რადგან დაზიანებულობის გამო მათი შინაარსი ნათელი არაა. ყოველ შემთხვევაში, ეს უნდა ყოფილიყო პატარა ლორფინები, მსგავსი დმანისის სიონის საკურთხევლის სამხრ. კედელში ჩადგმული ბარელიეფიანი ქვისა და შეიძლება მასავით ტაძრის კედელში იყო მოთავსებული.

დასასრულ, აღვნიშნავ კიდევ, რომ უკანგორის „ორკარიანი ეკლესიის" სასაფლაოზე არის ერთი საფლავის ქვა, რომელზედაც მდარე რელიეფით გამოსახულია გულხელდაკრეფილი კაბიანი ფიგურა მაღალქუსლიანსა და ჭვინტებიან ჩექმებში. ეს ქვა XVII-XVIII ს-ის ნაშთი უნდა იყოს.

ამგვარად, უკანგორში ჩვენ გვაქვს მეტად საყურადღებო და მდიდარი კომპლექსი საქართველოს ისტორიის უძველესი ხანისა. მეორე მხრით, უკანასკნელად ხსენებული საფლავის ქვა გვიჩვენებს, რომ ეს ადგილი XVIII ს-შიც ჯერ კიდევ დასახლებული ყოფილა[5].

---

[1] გრძელსახელოიანი ხალვათი წამოსასხამი ერთ დროს, უძველეს ქრისტიანულ ხანაში და ვიდრე X ს-მდე, ძალიან გავრცელებული ყოფილა ჩვენშიც და სომხეთშიც. იგი გვაქვს მცხეთის ჯვრის მეორე ბარელიეფზეც (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართვ. ერის ისტ., ტ. II, გვ. 218=Strzygowski, Baukunst der Armenier, Bd. I, S. 87, Abb. 73=გ. ჩუბინაშვილი, ქართ. ხელოვნ. ისტ., გვ. 109, სურ. 80), ატენის ბარელიეფებზე (VII ს.; ჯავახიშვ., გვ. 394), კუმურდოში (X ს.; Baltrusaitis, ტაბ. LXXXIII: 140=Матер. по Арх. Кавк. XII, ტაბ; VII), ჯავახეთის ზეგანში (X-XI ს.; Матер. по Арх. Кавк. XII, გვ. 67, სურ. 40), თალინში (V-VI ს.; Baltrusaitis, ტაბ. LXXXI:135), მრენში (VII ს.; Strzygowski, Bd. I, S. 430, Abb. 469 u. 470).

[2] იხ. J. Baltrusaitis, დასახელ. ნაშრ., ტაბ. LXX:115=J. Strzygowski, დასახელ. ნაშრ. ტ. I, გვ. 718, სურ. 682.

[3] Strzygowski, იქვე.

[4] უკანგორის ბარელიეფების დეტალები ძალიან გვაგონებს დმანისის სიონის საკურთხევლის სამხრეთ კედელში ჩაშენებული ქვის ბარელიეფის ზოგიერთ დეტალს (იხ. ჩემი „დმანისი". გვ. 367-371 და სურ. 29). უკანგორის პირველი ფრაგმენტის კომპოზიციაც შორეულად დმანისისეული ქვის კომპოზიციას მიემსგავსება. ამისდა მიხედვით, შეიძლებოდა დმანისის ბარელიეფის ქრონოლოგიურად განსაზღვრა. ფიგურების თავსაბურავი და განსაკუთრებით გრძელბოლოებიანი სარტყელი (რომელიც ჩვენში, რამდენადაც ვიცი, საკმაოდ გვიან შემოდის სპარსეთიდან) რომ სიფრთხილეს არ გვიკარნახებდეს. შდრ. აგრეთვე ენიმკი-ს მოამბე IX, გვ. 92, სურ. 60 (ბოლნისი).

[5] უკანგორის შესახებ ისტორიული ცნობები არ მოგვეპოვება. იგი, როგორც აღვნიშნე, დატანილია ვახუშტის რუკაზე. გარდა ამისა, 1738 წლის ორი საბუთიდან, რომლებიც

II. დმანისიდან ქვეშამდე

ამ მარშრუტზე, გზატკეცილის გასწვრივ, პატარ-პატარა ნანგრევები მისდევს ერთი მეორეს, რომელთა ცალ-ცალკე გამოყოფა არ ღირს.

აბულბუგი. აბულბუგის მცირე ერთნავიანი ეკლესიის ნანგრევი ბალიჭების პირდაპირ მდებარეობს, მაშავრის მარცხენა ნაპირას, გზატკეცილის გადაღმა[1]. ეკლესია ერთ დროს (XVIII ს-ში?) რესტავრირებული ყოფილა: სახელდობრ, მისი ქვემო ნაწილი გარედან ძველი თლილი ფილაქნებითაა ნაგები, თაღებიც შიგნით თლილი ქვისაა, ხოლო შიდაპირი კედლებისა და გარედანაც მათი ზემო ნანილი უბრალო ქვითაა ნაშენი. ეს აშკარად მერმინდელი წყობაა. კედლები გალესილი ყოფილა ბათქაშით. შენობის სახურავი ერთ ადგილას ჩანგრეულია, სხვაფრივ კი იგი ჯერ კარგადა დგას.

აღმოსავლეთის კედელში გარედან უადგილო ადგილას ჩასმულია ორი ჩუქურთმიანი წითელი ქვა (გამოსახულია ჯვარი, ფოთოლი). აქვე სარკმლის ძირის ქვად გამოყენებულია ძველი წარწერიანი ფილაქანი, ისე რომ წარწერის ზემო ნაწილი შუაზე ამოჭრილია, ხოლო მისი მარცხენა ნახევარი მეტად დაზიანებული და ნაწილობრივ, სულაც ჩამოტეხილია. წარწერა მთავრულია, რვასტრიქონიანი. იგი თავიდანვე ძალიან დაუდევრად ყოფილა გაკეთებული: სტრიქონები უსწორმასწოროა, ასოების მოხაზულობა უხეშია, თანაც ისინი თხლადაა ამოკოდვილი, რამაც მათ გადარეცხვას ხელი შეუწყო. ამიტომ წარწერის ამოკითხვა ვერ მოხერხდა, რაც სამწუხაროა, რადგან უყელო „დ"-ონის მიხედვით, იგი ძველი უნდა იყოს. სხვა დამახასიათებელი ასოები წარწერას არ მოეპოვება. იკითხება მხოლოდ შემდეგი:

——— გზ[2] | ——— ღ[ი] | ——— ვე[3] |
——— მეოხ[ე|ბითა] ——— წდცთჩმ-[4] |
——— -და-ოი[5]- | ღ----- ენ˜ღ-| - და
სფო[6] -ან

გამოცემული აქვს ე. თაყაიშვილს (საქ. სიძვ. II, გვ. 392 და 393), ვტყობილობთ, რომ აქ მიწები სჭერიათ თურქისტანიშვილებს, რომლებიც იძულებული ყოფილან მიეყიდათ ისინი ყაფლანიშვილებისათვის, ე. ი. ორბელიანებისათვის. უკანგორი იხსენიება 1721 წლ. ხალხის აღწერის დავთარშიც (გვ. 79, 80, 81, 83, 84).

ნაშთები უკანგორში იმაზე მეტია, რაც ზემოთ არის აწერილი. დროის უქონლობის გამო, ბევრი საინტერესო ჩუქურთმიანი ქვა, განსაკუთრებით ის, რაც თვით ტაძრის კედლებშია ჩაშენებული, ფოტოგრაფიულადაც ვერ იქნა გადაღებული, ზოგი კი ფოტოგრაფიულად გადავიღეთ, მაგრამ ვერც გავზომეთ და ვერც ავწერეთ ადგილზე. აუცილებლად საჭიროა უკანგორში ხელმეორედ წასვლა არა მარტო ყველა ფოტოსურათების გადასაღებად და ნაშთების უფრო ნიშანდობლივი აღწერილობის შესასრულებლად, არამედ მათი უმნიშვნელოვანესი ნაწილის თბილისში ჩამოსატანად, რათა ეს ძვირფასი განძი მუზეუმში იქნას შემდგომი განადგურებისაგან დაცული. განსაკუთრებით საინტერესოა, თათვარაზის წარწერას გარდა, დიდი „ჯვარი". შესაძლებელია აგრეთვე, რომ აღმოჩნდეს ის ნარწერიანი ქვა, რომელიც მეორე ეკლესიის დანგრევის დროს დაკარგულა.

[1] ძველი წყაროების ცნობები აბულბუგის შესახებ იხ. ჩემს წერილში „დმანისი", გვ. 327, შენ. 1.

[2] ორივე ასოს წაკითხვა სათუოა.

[3] სათუოა „ე".

[4] „თ"-ანს გარდა, ყველა დანარჩენი ასოს წაკითხვა საეჭვოა.

[5] სათუოა „ი".

[6] სათუოა „ო".

დასავლეთის კედელში გარედან ჩასმულია მოლურჯო თირის ბოლნურმედალიონიანი ქვა: ჯვარი ჩასმულია სამკუთხედებიან ჩარჩოში. ჯვარი ისეთივეა, როგორც უკანგორისა, რომელსაც მე-4 სურათი გვიჩვენებს, ოღონდ იგი აქ ორკანტიანი არაა, უკანტოდაა ცერადკვეთით ჩაჭრილი ქვაში.

მედალიონის ქვემოთ ბერძნული მთავრულით სწერია:

AΩ

წარწერა ზერელადაა ნაფხაჭნი, მაგრამ შეიძლება ძველი იყოს (იხ. ქვემოთ სირიული მედალიონების შესახებ)[1].

ეკლესიის შიგნით გდია კიედვ ერთი ბერძნული მთავრული ამოკოდვილი წარწერიანი ქვის ფრაგმენტი. მოვახერხე მხოლოდ შემდეგის გარჩევა:

1. ΥΑΡΑΚΟΡ[2]

2. – – ΠΚ – Τ[3]

სულ ორი სტრიქონია.

ორსაყდრები. აბულბუგის ცოტა უფრო ქვემოთ, გზიდან სამხრეთით, თითქმის კაზრეთის პირდაპირ, მაშავრის მარცხენა ნაპირას ორი პატარა ეკლესიის ნანგრევია, რომლებსაც „ორსაყდრებს" ეძახიან. ერთი იქვე გზის პირასა დგას, მეორე ცოტა მის ზემოთ ფერდობზე. ეს უკანასკნელი, მცირე ერთნავიანი შენობა, საყურადღებოს არაფერს შეიცავს: იგი უწარწეროა და უორნამენტო, შეიძლება აღინიშნოს მხოლოდ ბათქაშით გალესილი და კარგად შენახული, მაგრამ სრულიად სადა კანკელი შიგნით. ეკლესიის ახლოს მცირე სასაფლაოცაა.

გზისპირის ეკლესია აგრეთვე მცირე ერთნავიანი შენობაა, რომლის ზემო ნაწილს რესტავრაციის ნიშნები ეტყობა. ძირითადად იგი თლილი ქვითაა ნაშენი. ორფერდა სახურავი დაფენილია ლორფინით. წარწერა ამ შენობასაც არა აქვს, სამაგიეროდ, მის კედლებში მრავალი მეტად საინტერესო ორნამენტიანი ქვებია ჩაშენებული. განსაკუთრებით ბევრია ასეთი ქვები ჩრდილო-კედელში: არის აქ სამი ხელაპყრობილი კაცის ბარელიეფი, ჯვარი, ირიბი ჭდეებით დასერილი მედალიონი ასეთსავე კვარცხლბეკზე, ყვავილოვანი სახეები და სხვ.[4] ცალკე აღვნიშნავ ორ ქვას, რომელთა ფოტოგადანაღები ხელთ შემრჩა[5].

ერთი წარმოადგენს მოგრძო და ვიწრო ოთხწახნაგოვანი სტელის ფრაგმენტს, რომელსაც ზედმინევნით ისეთივე ტალღოვანი ვაზის რტო ამკობს, როგორც ბოლნისის სიონის დასავლეთ კედელში ჩადგმულს ცნობილ ორნამენტირებულ ქვას[6].

---

[1] შდრ. აგრეთვე ჩემი „ბოლნისი", გვ. 342, წარწერა № 12-ზ, საცა აგრეთვე თითქოს ბერძნული ნიშნები ჩანს, რომლებიც ეგებ X და Ω კი არაა, როგორც მეგონა, არამედ A და Ω.

[2] პირველი ასოს წინ კიდევ რაღაც ნიშანია, რომელიც სომხურ მთავრულ Ա-სა ჰგავს. მესამე ადგილას Ρ-ს მაგივრად შეიძლება Φ იყოს; უკანასკნელი Ρ საეჭვოა, რადგან თავშეკრული არაა.

[3] უკანასკნელი ასო საეჭვოა, შეიძლება Ι იყოს, რადგან Τ-სთვის თავი ძალიან მოკლე აქვს.

[4] სხვათა შორის, ერთ ქვას, აღმოსავლეთის კედელში ჩასმულს გარედან, უსასრულო სახის ჩუქურთმა (Muster ohne Ende) ამკობს, წმინდა გეომეტრიული ნრეებისაგან შემდგარი, მსგავსი იმისა, რომელიც ხშირად ამკობს სვეტითავებსა და ხარისხებს ბოლნისში (შდრ. გ. ჩუბინაშვილის ქართ. ხელოვნების ისტ., გვ. 42 და გვ. 45, სურ. 29).

[5] ამ ეკლესიის ჩუქურთმიანი ქვები იმდენად საყურადღებოა, რომ ღირს სპეციალურ შესწავლად ადგილზე. სამწუხაროდ, იქ ყოფნისას ზოგი ორნამენტი ფოტოგრაფიულად ვერ გადავიღეთ, ზოგის გადანაღებიც უვარგისი გამოდგა.

[6] იხ. გ. ჩუბინაშვილის ქართ. ხელოვნ. ისტ., გვ. 214, სურ. 168.

ვაზის რტო ქართული და აგრეთვე სომხური უძველესი ორნამენტის საგანძურს ეკუთვნის და ერთ დროს ძალიან გავრცელებული იყო ჩვენში[1]. ეს მოტივი, რამდენადაც ვიცი, VII ს-ს არ გადმოსცდება[2]. მოგვიანო ხანაში გვხვდება შვეულად ამართული და სტილიზებული ფოთლებით დაგვირგვინებული ვაზის ხე, რომლის მოკლე, მარჯვნით და მარცხნით განშტოებული ლერწები პალმეტიზირებულ ფოთლებსა და მტევნებს ატარებენ. ასეთი რელიეფი გვაქვს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის დასავლეთ ფასადზე[3] და ანანურის ტაძარზე[4]. ყურძნის მტევანიც ხშირად არის გამოყენებული ქართულ მერმინდელ ჩუქურთმაში, ასე, მაგ., ბაგრატის ტაძრის სვეტისთავზე ქუთაისში (XI ს.)[5], ნიკორწმინდის ტაძარზე (XI ს.)[6], სვეტიცხოვლის ერთ ჩუქურთმიან ქვაზე[7], სამთავისში (XI ს.)[8], თბილისის მეტეხის ტაძარზე (XIII ს.)[9], მაგრამ ვაზის რტო აქ უკვე აღარა გვაქვს, არამედ მტევანი ჩართულია სულ სხვა, ჩვეულებრივად წმინდა გეომეტრიულ სახეთა შორის და გამოყენებულია უბეებისა და კუნჭულების შესავსებად. ამ მერმინდელი ხანისათვის დამახასიათებელია, სხვათა შორის, ფოთლების სულ სხვა ყაიდაზე შესრულება.

ძველი ვაზის რტოც აბსტრაქტულად, გეომეტრიულადაა დამუშავებული, მხატვარი არავითარ ყურადღებას არ აქცევს მცენარის ნატურალურ სახეს, ანგარიშს უწევს მხოლოდ წმინდა ორნამენტულ კანონებს და მხოლოდ იმის ცდაშია, რომ მოცემული არე შეავსოს და სიმეტრია დაიცვას. იგი ცხადლივ მასზე უკვე ბევრად უფრო ადრე შემუშავებულ ფორმებს ჰბაძავს.

ორსაყდრების რტოც ასეთ ხასიათს ატარებს, მაგრამ სტილიზაცია აქ უკიდურესობამდეა მიყვანილი და თანაც იმდენად თავისებურია, რომ გარდა ზედმიწევნით ისე-

---

[1] ვაზი და მტევანი აგრეთვე ძველი ქრისტიანული სიმბოლოა: პირველი ითვლებოდა თვით ქრისტესი და ეკლესიის, ხოლო მეორე – ქრისტესი და მარტვილთა სისხლის სიმბოლოდ (იხ. А. С. Уваров, Христианская символика, ч. I, М. 1908, стр. 172 и 174); ძველ სპარსულ ჭურჭელზეც ვაზის რტო ხშირადა გვხვდება (იხ., მაგ., Я. Смирнов, Восточное серебро, табл. LII:86, LXVI:III და სხვ.).

[2] იხ. Матер. по Археол. Кавказа, вып. XII, табл. XIX:35 (ბანა, VII ს.), გ. ჩუბინაშვლის დ. ნ., გვ. 106, სურ. 76 და 77 (მცხეთის ჯვარი, VII ს.), Baltrusaitis, დ. ნ., ტაბ. LXXII = გ. ჩუბინაშვილი და ნ. სევეროვი, ქართ. არქიტექტურის ნაგები, თბ., 1936, გვ. 31 (მარტვილი, VII ს.); ბოლნისშიც იგი ხშირია.

სომხეთისათვის იხ. J. Strzygowski, Baukunst der Armenier, Bd. I, S. 406, Abb. 432 (გარნისი, V-VI ს.) S. 45, Abb. 39 (მასტარა, VII ს.), S. 114, Abb. 113, S. 115, Abb. 115 (ზვართნოცი, VII ს.), აქ ნაგვიანევად გვხვდება ვაზის ტალღოვანი, რტო. მაგ., თალინის ტაძარზე (იქვე, გვ. 173, სურ. 202), რომელსაც პროფ. გ. ჩუბინაშვილი X ს-ის მეორე ნახევრით ათარიღებს (იხ. მისი Georgrische Baukunst, Bd. II: Zromi, Tifl. 1934, S. 85), მაგრამ ორნამენტის ყაიდა უკვე სულ სხვანაირია.

[3] იხ. გ. ჩუბინაშვილის და ნ. სევეროვის დ. ნ., გვ. 105. ეს სახე შეიძლება XI ს-ზე ბევრით უფრო გვიანდელიც იყოს (XV ს.?).

[4] იხ. Матер. по Археол. Кавказа, вып. VII, табл. VIII (სურათი ძალიან პატარაა და ვაზის ხეები ძლივსლა განირჩევა კედელზე, ჯვარის ორსავ მხარეს).

[5] ჩუბინაშვილი-სევეროვი, დ. ნ., გვ. 101.

[6] Baltrusaitis, დ. ნ. ტაბ. XXVI.

[7] ინახება მეტეხის ხელოვნების მუზეუმში.

[8] Baltrusauris, ტაბ. XLV.

[9] იქვე, ტაბ. XCIV:168.

თავე ბოლნური ნიმუშისა, რომელიც ზემოთ უკვე მოვიხსენიე, ქართულსა და სომხურ ორნამენტიკაში მას სხვა პარალელი ვერ მოვუძებნე.

ბარელიეფი შესრულებულია ბრტყლად და ფაქიზად, ნაქარგსა ჰგავს. ორნამენტი მოთავსებულია ვიწრო სწორხაზოვან ჩარჩოში, რომელიც ქვის ნაპირებს მიჰყვება. რტო ტალღოვანია. უბეები შევსებულია მონაცვლეობით ერთი-ერთმანეთის საწინააღმდეგოდ მიმართული მტევნებითა და ფოთლებით[1]. რადგანაც უბეები საკმაოდ დიდია, მტევნებიც და, განსაკუთრებით, ფოთლები სრულებით არაბუნებრივადაა წაგრძელებული სივრცის შესავსებად. ორივე მკაცრი სიმეტრიის კანონების მიხედვითაა დამუშავებული. მტევნებს ძირზე არაბუნებრივი კანტი გაუდის. ისევ-ისე სივრცის შესავსებად, მტევნებსა და ფოთლებს შორის ზემოდან და ქვემოდან რტოზე დამაგრებული სპირალური კულულებია ჩართული, რომლებიც ერთი მეორის საწინააღმდეგო მიმართულებითაა დახვეული. სრულებით უჩვეულოდაა სტილიზებული ორკანტიანი ფოთოლი, რომლის ქვემო ნაწილი ცერადკვეთითაა ამოღებული, წვერო კი დაშტრიხულია თხელი წიწვოვანი ჭდეებით.

ასეთსავე გეომეტრიულ ხასიათს ატარებს მეორე ქვის ორნამენტი, რომელიც აგრეთვე სწორხაზოვან ჩარჩოში ჩასმულს პალმეტებიან ორმაგ მშვილდა კოზმიდს წარმოადგენს (ტაბ. V, სურ. 10). საინტერესოა, რომ ამ სახის ზუსტი გამეორება ისევ-ისე ბოლნისში აღმოჩნდა ერთ განათხარ ქვაზე[2].

ეს ორნამენტი შეიძლება მიეკუთვნოს ე. წ. „უსასრულო სახეების" კატეგორიას[3].

თუ პირველი ქვა ქრონოლოგიურად განსაზღვრულია უკვე თავისი ორნამენტის მოტივის მიხედვით (ვაზის რტო), მეორეს განსაზღვრავს მისი ორნამენტის სტილი, რომელიც პირველისთვისაც დამახასიათებელია. ეს არის ორნამენტის „ძირითადი ელემენტის – ფოთლის, ყვავილის და სხვ. – სრულიად განცალკევებულად დაყენება, როგორც თავისთავად დამთავრებული მომენტისა, რითაც იქმნება ნაწარმოების დიდი ცხოველმყოფელობის ილუზია. მხოლოდ თვითონ ამ თვითთავადი ერთეულების

---

[1] შემონახულ ფრაგმენტზე სულ ორი მტევანია და მხოლოდ ერთი ფოთოლი, მაგრამ ცხადია, რომ ორნამენტი ასევე გრძელდებოდა.

[2] ბოლნისისეული ქვა თბილისშია ჩამოტანილი და ინახება შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმში. ამ ორი ქვის ქანიც კი ერთია (წითელი თირი). ზომები განსხვავდება: ორსაყდრების ქვის ზომები არის 0,65×0,24 მ., ხოლო თვით ორნამენტული ოლის განი=0,14. მ-ს; ბოლნისის ქვის სიგრძე=0,565 მ., სიგანე=0,135 მ., ხოლო ორნამენტ. ოლის განი=0,115 მ.

[3] ი. სტრიგოვსკის ტერმინოლოგიით: „Muster ohne Ende", ა. რიგლით: „Unenlicher Rapport" (A. Riegl, Stilfragen, B. 1893, S. 207 ff; შდრ. აგრეთვე გ. ჩუბინაშვილი, ქართ. ხელოვნ. ისტ., გვ. 42). კ. მიატევს „უსასრული სახეების" ქვეშ ესმის „ის წმინდა ორნამენტული, ერთი ან რამდენიმე მოტივისაგან შემდგარი კომპოზიციები..., რომლებიც, გადაბმულია თუ გათიშული, მაინც ყოველთვის ისეა განლაგებული, რომ მოცემულ სიბრტყეს მთლიანად ავსებს. ასეთი კომპოზიციის მოტივები... ყოველთვის აბსტრაქტულადაა დამუშავებული, სახელდობრ, ისე რომ, შემკული არის კიდური ხაზიდან თუ კუთხიდან მოყოლებით, სიმეტრიულად შეიძლება მათი დაყოფა ორ ან ოთხ ნაწილად. ასე დაყოფილი მოტივები ყოველთვის ადვილად შეიძლება შეივსოს მხილველის წარმოდგენაში და ამგვარად, კომპოზიცია ღებულობს უსასრულო ორნამენტირებული არის ხასიათს, რომელსაც არც ცენტრი აქვს და არც საზღვრები". ამასთან, მიატევი ასეთი პრინციპით შევსებულს ჰორიზონტულ კოზმიდებსაც, რომლებიც ჩარჩოს როლს თამაშობენ, ჩემი აზრით, სავსებით სამართლიანად მიარიცხავს უსასრულო კომპოზიციებს (იხ. K. Miatev, Die Keramik von Presiav, Sofia 1936, S. 76). ორსაყდრების ორნამენტიც ასეთი კოზმიდის მსგავსია.

მწკრივად, სრულიად თანაბრად, რიტმულად ასხმის ფაქტი ჰქმნის ორნამენტს"[1]. ასეთი იყო ქართული ჩუქურთმა უძველეს ხანაში. შემდეგ კი მოდის ჩვენი ცნობილი წნული ან, უკეთ, ხლართული სახეები, რომლებიც თავისი არაბესკული მანერით ისე მკვეთრად განსხვავდებიან ძველი ხანის „კლასიკური" სტილის, ხაზოვანი ხასიათის[2] ორნამენტისაგან, რომ ადამიანს ყოველთვის შეუმცდარად შეუძლიან გადასწყვიტოს, XI ს-ზე ადრინდელია ესა თუ ის ძეგლი თუ არა[3].

ამგვარად, ორსაყდრების ორივე აღწერილი ბარელიეფი VI-VII საუკუნეებით შეგვიძლია განვსაზღვროთ.

კიანეთი[4]. ორსაყდრები რუს. გენ შტაბის 5-ვერსიან რუკაზე თითქოს ნაჩვენებია, როგორც ეკლესიის ნანგრევი, კაზრეთის პირდაპირ. აქედან კიანეთამდე 5 კილომეტრია. მაგრამ ვიდრე კიანეთში ჩავიდოდეთ, ორსაყდრებიდან 1 კილომეტრის მანძილზე კიდევ ორი პატარა ნანგრევია გზიდან მარცხნით. მათგან პირველს **„დაქცეულ საყდარს"** ეძახიან, იგი სულ მცირე პერანგახდილი შენობაა, რომელიც საგულისხმოს არაფერს შეიცავს, მეორე კი ე. წ. **სვეტიცხოვლის ტაძარია,** რომელიც მშვენივრად თლილი მოყვითანო ქვით ნაგებს ერთნავიან პატარა შენობას წარმოადგენს, რომელსაც სახურავი სრულებით ჩაქცეული აქვს, მაგრამ სამხრეთიდან ლამაზი წნულჩუქურთმიანი შესავალი შემოუნახავს. გარშემო ფართო სასაფლაოა. „დაქცეული საყდარიცა" და „სვეტიცხოველიც" რუს. გენ. შტაბის რუკაზე აღნიშნულები არიან ორსაყდრებსა და კიანეთს შორის.

სვეტიცხოვლის ეკლესიის აღმოსავლეთი კედლის ახლოს გარეთ ერთი საფლავის ქვის ფრაგმენტი გდია, რომელსაც მხედრული წარწერა ჰქონია. ფრაგმენტზე იკითხება:

„მოიხ|[ს]ენე უ|ფალო | მონა შენი"...

ტაძრის შიგნითაც, შესავლის ახლოს, კედლის ძირას საფლავის ქვა დევს მხედრული ამოკოდვილი წარწერით:

1. ქ:· მოიხსენე:· უფ[ალო:·] მონა:· შენი:· ხბუ
2. ა:·[5] სასუფეველსა:· შენსა:· ამინ:· ქკს:·[6] ტმვ

---

[1] გ. ჩუბინაშვილი, ქართ. ხელოვნ. ისტ., გვ. 165.

[2] ტერმინები „კლასიკური" და „ხაზოვანი" ნახმარია აქ H. Wölfflin-ის გაგებით, „ბაროკოსა" და „ცხოველსახულთან" დაპირისპირებით (იხ. H. Wölfflin, Kunstgeschichtliche Grundbegriffe, Münch. 1921).

[3] წნული ჩვენში ადრე შემოდის, უკვე VII ს-ში (მცხეთის ჯვარში, წრომში – Baltrusaitis, Pl. I:2, 3, მარტვილში – ჩუბინაშვილი, დ. ნ. ტაბ. IV), მაგრამ ეს სწორედ წნულია და არა ხლართული. წრომში და მცხეთის ჯვარში წნული გოდრულია, სრულებით მარტივი, ხოლო მარტვილის მოდილიონებზე უკვე უფრო რთული სახეები გვაქვს. როგორც პროფ. გ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს (იქვე, გვ. 165), ჩანასახი მერმინდელი ქართული ორნამენტისა უკვე ამ უძველეს ხანაშივე მოგვეპოვება. და მაინც X-XI ს-ში ცვლილებები ხდება, რომლებიც ძირითად ხასიათს ატარებენ. ეს პროცესი ზოგადი ხასიათისაა (შდრ. Г. Н. Чубинашвили Н. П. Северов, Пути грузинской архитектуры, Т. 1936, გვ. 81-83 და განსაკუთრებით გვ. 96 და 131-132).

[4] კიანეთი შეტანილია 1721 წლ. ხალხ. აღწ. დავთარში (გვ. 28, 60, 62; არის ერთი კიანეთისეული საბუთი 1725 წლისა (იხ. Д. Пурцеладзе, Грузинские церковные гуджари, Т. 1881, стр. 12); იგი დატანილია ვახუშტის რუკაზეც. სხვა ცნობები კიანეთის შესახებ ჩვენს საისტორიო წყაროებში არ შემხვედრია.

[5] შეიძლება წავიკითხოთ აგრეთვე „ხზუა". მაგრამ ასეთი სახელი ძნელი წარმოსადგენია.

[6] ეს სამი ასო ცოტა უცნაური მონოგრამითაა დაწერილი.

ქორონიკონი უდრის 1658 წ.

თვითონ კიანეთში საინტერესო ნაშთებია როგორც გზატკეცილის პირას, ისე სოფელში, რომელიც გზიდან ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს 1/2 კილომეტრის მანძილზე და სომხებითაა დასახლებული.

გზის პირას დგას პატარა ერთნავიანი შენობა, ორიენტირებული სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, რომელიც გარედან მოგრძო ოთხკუთხედს წარმოადგენს, სიგრძით 7,90 მ., ხოლო სიგანით სამხრეთ-დასავლეთით 4,58 მ., ჩრდილო-აღმოსავლეთით კი 4,50 მ. (ტაბ. V, სურ. 11)[1]. თვალისთვის ეს განსხვავება სიგანეში შესამჩნევი არაა. შენობის სახურავი მთლად ჩანგრეულია. კედლები, რომლებიც შენახულია ლავგარდანითურთ 5,00 მ-ის სიმაღლეზე და რომელთა სისქე 0,75 მ-ს შეადგენს, შემოსილია კარგი თლილი ქვებით, რომელთაგან ზოგიერთი საკმაოდ დიდი ზომისაა (1,25×0,70 მ. და მისთ.). პერანგის წყობა თარაზულია, მაგრამ, როგორც ეს ქართულ საშუალო საუკუნეებში იყო მიღებული, თარაზულობა ანუ ზოლ-ზოლობა აქა-იქ დარღვეულია ქანებამოღებული ქვების ჩაკერებით. რაც, სხვადასხვა ზომისა და პროპორციების, ხოლო ზოგან ფერითაც განსხვავებული ფილაქნების მოხმარებასთან ერთად, ცხოველსახულს, თვალისთვის სასიამოვნო შთაბეჭდილებას ჰქმნის. ლავგარდანი სადა ფიტონს წარმოადგენს. სარკმელი ორია – ჩრდილო-აღმოსავლეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. შესავალიც ეკლესიას სამხრეთ-აღმოსავლეთიდანა აქვს (სიგანით 0,88, სიმაღლით 1,35 მ.). შიგნით ეკლესიის მოგრძო ოთხკუთხედი, სიგრძით 4,50 და სიგანით 3,10 მ., ცოტა არ იყოს, მრუდი ხაზით გარდიგარდმო ორ ნახევრად იყო გაყოფილი 0,20 მ-ით კედლებიდან გამოშვერილი და 0,45 მ-ის სიგანის მქონე პილასტრებზე დაყრდნობილი სართავი თაღით. როგორც ამას კამარის შენახული ძირა ნაწილი გვიჩვენებს, იგიც და თაღიც ნახევარფარგლოვანი უნდა ყოფილიყო. პილასტრებს ხარისხები არა აქვს, მათი სვეტისთავებიც სადაა. ოთხკუთხედს ჩრდილო-აღმოსავლეთით ამთავრებს აფსიდის ოდნავ ნალისებური მომრგვალება, რომლის სიგანე 2,65 მ-ს სიღრმე 1,95 მ-ს შეადგენს. აფსიდის კედლებში პატარა წალოებია: ჩრდილო-დასავლეთის კედელში კუთხოვანი (სიგან. 0,37 მ.), სამხრეთ-აღმოსავლეთის კედელში კი მრგვალი (სიგან. 0,40 მ.). სხვა არავითარი შემკულობა შიგნით ტაძარს არა აქვს, გარედან კი მრავალ ადგილას არის ჩაშენებული ჩუქურთმიანი და ჯვრიანი ქვები. მათგან განსაკუთრებით საინტერესოა ერთი, ჩრდილო-კუთხეში მოთავსებული, რომელზედაც გამოსახულია ბოლნური ჯვრიანი მედალიონი. ამ ქვას მთავრული ამოკოდვილი 4-სტრიქონიანი წარწერაცა აქვს, მაგრამ ეხლა ქვა ისეა ჩადგმული კედელში, რომ წარწერა ვერტიკალურად არის დაყენებული. ამგვარად, ამ ტაძრის შეკეთების უდავო ნიშანი გვაქვს. წარწერა ძალზე დაზიანებულია (გადარეცხილია და ზოგან ჩამოტეხილიც) და, სამწუხაროდ, აღარ იკითხება. მხოლოდ რამდენიმე ასოს გარჩევა მოვახერხე:

1. ————————————————
2. ———— ა- ———— [სალ]ოცველად ----
3. -თ--- და[2] ვინ ———— [შე]ოცვალა მოგიჴსენი-
4. -[ღ]ნ და[3] ა--- ———— იოვ ———— ღნიაზიზსტყგ[4]

---

1 ნახაზები შესრულებულია არქიტექტორის ც. გაბაშვილის მიერ.

2 „დ“ სათუოა.

3 „ა“ სათუოა.

4 აქ სათუოა „ღ“, „ყ“ (შეიძლება „კ“ იყოს): „ნ“.

წარწერა ძველი ჩანს, ეგებ XI-XII საუკუნისა იყოს, მაგრამ, რა თქმა უნდა, იგი ამ ჯვრიან ქვაზე შედარებით გვიანაა გაკეთებული. მედალიონი ჩვეულებისამებრ კარგადაა გამოყვანილი რელიეფით, თუმცა იგი ძალზე გადარეცხილია, წარწერა კი საკმაოდ დაუდევრადაა შესრულებული, უსწორმასწორო ასოებითა და სტრიქონებით.

ჯვარი ორკანტიანია, უბეები თითქოს არ უნდა ჰქონდეს ამოვსებული „ფოთლებით", ჩარჩო საინტერესო ვარიანტს იძლევა: იგი სამკუთხედებით კი არაა შემკული, არამედ დასერილია ხშირი პარალელური ჭდეებით და ამით მოგვაგონებს ოროზმანის მედალიონს[1].

აღმოსავლეთი კედლის ძირში ჩადგმულ ქვაზე კი ნაფხაჭნია მთავრულით:

1. ქე შე მქელ
2. ბხტ[2]

გარდა ამისა, ტაძრის შიგნით ნანგრევთა შორის აღმოჩენილი იყო პატარა ფრაგმენტი მთავრული წარწერის ნაწყვეტით, რომელზედაც „ჯ" შეკრული ეწერა[3].

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ კიანეთში რაღაც უძველესი ხანის ძეგლი უნდა ყოფილიყო და რომ აწინდელ ეკლესიას ოდესღაც შეკეთებაც განუცდია. რომ იგი თვითონ უძველესი ხანის შენობა არაა, ეს ცხადია როგორც მისი გეგმის[4], ისე კედლების წყობისა (გარეგანი გაფორმებისა) და წნულჩუქურთმიანი და მოგვიანო ფორმის ჯვრებით შემკული ქვების მიხედვით. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ლავგარდანიც. ასეთი სადა ფიტონის მაგვარი ლავგარდანი X-XII საუკუნეების ძეგლებზე გვხვდება[5]. ზემოაღნიშნული წარწერაც ჯვრიან ქვაზე პალეოგრაფიულად თითქოს ამ ხანაზე მიგვითითებს. მე უფრო XII-XIII საუკუნეებით განვსაზღვრავდი ამ პატარა ტაძრის აგების ხანას.

თვით სოფელ კიანეთშიც არის ერთი ძველი ერთნავიანი პატარა შენობა, ნაგები მოყვითანო ქანის თლილი ქვით, გამტანისი წყობით (უპერანგოდ). ეკლესიის სამხრეთ კედელში რამდენიმე ორნამენტიანი ქვაა ჩაშენებული, რომელთაგან საინტერესოა ბაცი მომწვანო ქანის ქვა (სარკმლის ჩარჩოს ნაწილი?) ლამაზი წნული ჩუქურთმით. ეს ქვა ცხადად სხვაგნით არის აქ მოტანილი. შენობას ორი სომხური წარწერაცა აქვს: ერთი, რომლის წაკითხვა ვერ მოვასწარი, აღმოსავლეთის კედელზეა მოთავსებული გარედან, მეორე კი სამხრეთის კედელზეა, შესავლიდან მარცხნით. აქ ფილაქნის შუაგულზე მქისე

---

[1] იხ. ქვემ. ტაბ. XII, სურ. 29.

[2] ეს სამივე ასო შებრუნებულად სწერია. „ბხტ"=„ბახუტა"?

[3] ეს ქვა ჩამოტანილია თბილისში და საქ. მუზეუმში ინახება.

[4] ასეთივე გეგმითაა აგებული გუდარეხის „შალვას ეკლესია" (XIII ს.?), რომელიც თავისი ზომებითაც უახლოვდება კიანეთის ტაძარს (ოღონდ „შალვას ეკლესიაში" თაღი დაყრდნობილია თარხნებზე და არა ნახევარსვეტებზე), და აბელიის ტაძარი, რომელიც, მართალია, თითქმის ორჯერ უფრო დიდია კიანეთისაზე (გუდარეხისა და აბელიის ეკლესიების გეგმები ინახება საქ. მუზეუმის ისტორიულ განყ-ში. აბელია XIII ს-ით თარიღდება; შდრ. ე. თაყაიშვილის Археологич. Экскурсии, разыск. и зам., Изв. Кавк. Отд. Моск. Археол. Общ., вып. I, Т., 1904, стр. 15-19 и 30). შდრ. აგრეთვე 1152 წლით დათარიღებული საორბისის ტაძრის გეგმა (იხ. გ. ჩუბინაშვილის „Саорбисская церковь", Христианский Восток, т. IV, табл. I, рис. 2).

[5] ასე, ნ. ქიაგმის-ალთის ეკლესიაზე ტაოში (Материалы по археологии Кавказа, вып. XII, стр. 86, рис. 58), რომელსაც ე. თაყაიშვილი X ს-ით ათარიღებს (იქვე, გვ. 88) და ჯავახეთის წყაროსთავის მონასტერზე (იქვე, ტაბ. IX:17, 18), რომელიც XI-XII ს-ით თარიღდება (იქვე, გვ. 51). ასეთივე ლავგარდანი აქვს გუდარეხის სასახლესაც, რომელიც აგრეთვე XII ს-ში უნდა იყოს აშენებული (გეგმები და ფოტოგადანაღები ინახება საქ. მუზეუმის ისტორიულ განყ-ში.)

რელიეფით გამოსახულია მოგვიანო ხანაში ძალიან გავრცელებული სომხური სამზოლიანი, კიდეებზე წყვილ-წყვილი „ფოთლებით" შემკული ორი ჯვარი, რომელთა შორის ბორბლის მსგავსი როზეტია მოთავსებული. ჯვრების მარჯვნით და მარცხნით უშნო და ზოგჯერ ძნელად გასარკვევი მთავრული ასოებით ამოკოდვილია:

მარჯვნით (9 სტრიქონი):

Տ՛Ր Ա՛Ծ |ՅՍ ՔՍ| ՈՂՐՄ(ԵԱ)[1] |ՏՐ
ՍԱՐԳ|ԻՍ Ա|ԻԱՔԵԲԷ|Ց Ի ՀՈԳՈՅՆ:

მარცხნით (6 სტრიქონი):

ՋԿԵ | ԳՐԻ|ԳՐ Է|ՐԷՑ |ԾԱ|ՌԱՅ[2]

ქართულად: „უფალო ღმერთო, იესო ქრისტე, შეიწყალე ბატონი სარგის დეკანოზი სულისა მიერ. – 965. გრიგოლ ხუცესი მონაᲐ".

სომხური წელთაღრიცხვის 965 წ. უდრის ჩვენს 1516 წ.

ეკლესიის დასავლეთი კედლის ძირას გარედან, სამხრ.-დასავლეთი კუთხის ახლოს, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ორიენტირებული საფლავია. ბრტყელ ოთხკუთხ საფლავის ქვაზე (ზომ. 1,63×0,53 მ.) დაბალი რელიეფით გამოქანდაკებულია ულვაშიანი და თითქოს წვერგაპარსული შუახნის მამაკაცი (ტაბ. VI, სურ. 12). თავზე მას გვირგვინი ახურავს[3]; აცვია წელში ვიწრო და ქამარშემორტყმული, ტოტებგანიერი, მკერდზე ჩაფრასტებიანი ტანისამოსი და მაღალქუსლიანი ჩექმები. ხელში მას სამძალიანი მრგვალმუცლიანი საკრავი (ჩონგური თუ ფანდური) უჭირავს, რომელზედაც უკრავს. მის გვერდით, მარცხნით, მოხრილი, ვადიანი ხმალია, რომელზედაც მრგვალი ფარი დევს; ფარს ამკობს კვეთილი ბრიალა („მზის ნიშანი"). მარჯვნით მრგვალთავიანი და აგრეთვე კვეთილი სახეებით შემკული გურზი დევს. ფეხთით რაღაც ხელსაწყოთა გარნიტურია ოთხკუთხ ჩარჩოში ჩასმული (ეგებ სარტყელ-ყანმის ვერცხლის ნაწილები იყოს); უფრო ქვემოთ (ფოტოსურათზე აღარ ჩანს) გამოქანდაკებულია ლითონის (ვერცხლის) სურა, მაღალყელიანი და მრგვალმუცლიანი უყურო ლითონის ჭურჭელი, ყანწი და ტაშტ-ნურნუმა.

მთელ სურათს გარშემო უვლის განიერი და სადა, მხოლოდ თავისკენ პროფილირებული აშია.

ბარელიეფი თავისთავად ძალიან პრიმიტიულია, ფიგურა მხოლოდ კონტურებშია გამოყვანილი, პროპორციათა დაუცველად, მაგრამ მაინც ნამუშევარი სუფთაა, ცუდ შთაბეჭდილებას არ ახდენს. გაცილებით უფრო მდარეა ის ბარელიეფები, რომელთა მოყვანა შეიძლება საანალოგიოდ და რომელთა საშუალებით ჩვენი საფლავის ქვა XVI ს-ით განისაზღვრება. ეს არის ორი სომხური ბარელიეფი, მოთავსებული აგრეთვე საფლავის ქვებზე, რომელთაგან ერთი დათარიღებულია 1501 წლით და რომლებიც ვ. სისოევს უნახავს 1908 წელს შარურო-დარალაგიოზის ოლქში, სოფლ. კოდუხ-ვანქსა და ჯანისში[4]. ორივეს გამოსახულება ძალიან განსხვავდება კიანეთისეულისაგან, მაგრამ დედააზრი აქაც იგივეა: გამოსახულია მოლხენილი მიცვალებული (კოდუხ-ვანქის ქვაზე

---

[1] ამ სიტყვის უკანასკნელი მარცვალი (ԵԱ) ნამდვილად სულ არ სწერია, მე ჩავურთე.

[2] ამ წარწერის წაკითხვასა და თარგმანში თავაზიანად დამეხმარა დოც. ილ. აბულაძე, რისთვისაც მას დიდად ვმადლობ.

[3] ფოტოსურათზე მთლიანად არ გამოვიდა.

[4] იხ. Матер. по Археол. Кавк., вып. XIII, стр. 96, рис. 38 и стр. 97, рис. 40.

ცენტრში, ჯანისის ქვაზე მარცხნით), რომელსაც ხელში საკრავი უჭირავს და, ალბათ, დაპმღერის, ხოლო გარშემო მისთვის სააქაოს უძვირფასესი საგნები ახვევია – შეკაზმული ცხენი, ღვინის ჭურჭელი (ცხადია, ღვინით სავსე), იარაღი და მისთ.

ამასთან, ზოგიერთი დეტალი საგულისხმო პარალელებს გვაძლევს: კოდუხ-ვანქის ქვაზე მიცვალებულს აგრეთვე განიერტოტებიანი შარვალი აცვია[1] და მისგან მარცხნით ზემოთკენ იმ ბრიალა ნიშანს ვხედავთ, რომლითაც კიანეთისეულ ბარელიეფზე ფარია აღბეჭდილი და რომელიც იქ შეიძლება მართლაც მზის სიმბოლო იყოს[2]. ჯანისის ქვაზე კი მიცვალებულს, რომელიც სულ სხვა (სპარსულ) ტანისამოსშია წარმოდგენილი, მარჯვნით ისეთივე მოხრილი და ვადიანი ხმალი უდევს, როგორიც კიანეთის ბარელიეფზე გვაქვს.

1501 წლით დათარიღებულია კოდუხ-ვანქის ქვა. ამისდა მიხედვით მე შესაძლებელად მიმაჩნია კიანეთის ბარელიეფიც XVI ს-ის დასაწყისით განვსაზღვრო, მით უმეტეს, რომ ეკლესიის წარწერაც ამ ხანაზე მიგვითითებს.

ფეხთით კიანეთის საფლავის ქვას ოთხკუთხი ქვა უდგას, (ზომ. 0,95×0,74×0,12 მ.), ლამაზი რელიეფით გამოქანდაკებული და გარშემო ჩუქურთმით შემკული ჯვარით. ნახელავი კარგია[3].

დავით – საგარეჯო. ეს ნანგრევი მდებარეობს მაშავრის მარჯვენა ნაპირას, ტყით მოცულ მთის ფერდობზე, სოფ. კიანეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლ. 3 კილომეტრის მანძილზე[4].

როგორც ჩანს, აქ მონასტერი ყოფილა, რადგან, ორ ეკლესიას გარდა, აქ რამდენიმე ქვის შენობის საძირკვლებიც მოიპოვება[5].

მთავარი ტაძარი საშუალო ზომის ერთნავიან შენობას წარმოადგენდა, რომლისგან მხოლოდ ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის კედლებიღაა დაცული. დანარჩენი თითქმის ძირამდე დანგრეულია. შენობას ერთსაფეხურიანი ხარისხი ჰქონია. იგი შემოსილი იყო საუცხოოდ თლილი ბაცი მომწვანო ქანის ფილაქნებით, ხოლო დახურული იყო ჩინებ-

---

[1] ისე ტანისამოსი სხვანაირია, თუმცა მასაც წელზე ქამარი აკრავს. მიცვალებული იქ თითქოს ფეხმორთხმული ზის. შეიძლება ორსავ შემთხვევაში არა შარვალი, არამედ განიერკალთებიანი კაბა გვქონდეს.

[2] სისოევის სურათზე კარგად არა ჩანს, მაგრამ აქაც საკრავი თითქოს სამძალიანია.

[3] მცირე შენიშვნა კიანეთის შესახებ მოუთავსებია თავის მოგზაურობაში ს. ჯალალიანცსაც. კიანეთის სოფლის ეკლესიას იგი წმ. გრიგოლისად ასახელებს. გზის პირის ტაძარი მას, ეტყობა, არ უნახავს, ან არ ჩაუთვლია ღირსად აღნიშვნისა (იხ. Ս. Ջալալեանց, Ճտնապարհորդութիւն ի Մեծն Հայաստան, մասն II, S., 1858, გვ. 91-92). ამ წიგნზე მიმითითა პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა.

[4] ვახუშტი ბატონიშვილს „დავითი" აქვს აღნიშნული თავის რუკაზე კაზრეთის ხევში, სოფ. კაზრეთის ქვემოთ. მაგრამ ვახუშტს კაზრეთის ხევად აქვს მიღებული ის პატარა ხევი, რომელიც მაშავერს ქვეშის ქვემოთ ერთვის და ნამდვილ კაზრეთის ხევს, რომელიც ქვეშის ზემოთ ერთვის მაშავერს, ის არ უჩვენებს. კიანეთი ამ ორ ხევს შორის მდებარეობს მაშავერზე. ამგვარად, კაზრეთი და ისპიანი ვახუშტთან თავის ადგილას არაა, „დავითი" კი დაახლოებით სწორედ იქაა ნაჩვენები, სადაც „დავით-საგარეჯოს" ნანგრევი მდებარეობს, ისე რომ შეიძლება მართლაც ამ უკანასკნელს გულისხმობდეს.

[5] დავით-საგარეჯოში მისავალ გზაზე, მონასტრიდან ასიოდე ნაბიჯის დაშორებით (კიანეთისკენ), თიხის მილით გამოყვანილი წყაროა. ადგილობრივები ირწმუნებიან, რომ აქედან წყალსადენია წაღებული დაახლ. 2 კილომეტრის მანძილზე სამხრ.-დასავლეთით მდებარე ღორისთავის ნასახლარში (ღორისთავის შესახ. ცნობები იხ. ჩემს „დმანისში", გვ. 328, შენ. 3).

ულად ნახელავი ლორფინებით. შესავალი მხოლოდ სამხრეთიდან ჩანს. ტაძარი მდიდრულად იყო შემკული ბარელიეფებითა და ჩუქურთმით. ბარელიეფები აღმოსავლეთის კედელზეა შენახული გარედან: ჯვრები, არწივები, კალატოზები თავისი იარაღით. ჩუქურთმით მორთული იყო შესავალი, რომლის ახლოს ნანგრევებში სხვა ჩუქურთმიანი ქვებიც ჰყრია.

მეორე, სულ მცირე ეკლესია, რომელიც მთავარი ტაძრის სამხრ.-დასავლეთითა დგას, მხოლოდ გარედანაა შემოსილი იმავე ქანის თლილი ქვებით. იგი უფრო გვიან უნდა იყოს ნაგები, რისთვისაც, ეტყობა, ძველი ტაძრის ნანგრევი ქვა გამოუყენებიათ.

მთავარი ტაძარი XIII-XIV ს-ის შენობის შთაბეჭდილებას ახდენს[1].

ქვეში[2]. კიანეთიდან ქვეშამდე ორიოდე კილომეტრია. ლუქსემბურგიდან იგი დაშორებულია 8 კილომეტრით.

ეს საკმაოდ დიდი ციხე გზის პირას მდებარეობს (მაშავრის მარჯვენა ნაპირას), მაღალს, ობლად ამართულ კლდეზე, ოთხივ მხრით თითქმის სრულებით მიუვალია და გარედან საუცხოვო ლამაზს სურათს წარმოადგენს (ტაბ. VI, სურ. 13). მართალია, შიგნით შთაბეჭდილება ფუჭდება, რაც ხშირად ახასიათებს ქართულ ციხე-სიმაგრეებს.

შესვლა ციხეში მხოლოდ აღმოსავლეთიდან შეიძლება, პიტალო კლდეში გაჭრილი მოკლე გვირაბით. შესავლის ზემოთ კლდეში გამოჭრილია მოგრძო ოთხკუთხი ბუდე, რომელშიც, ეტყობა, წარწერიანი ფილაქანი უნდა ყოფილიყო მოთავსებული. მართლაც, ადგილობრივნი ამბობენ – ციხეს წარწერა ჰქონდა, რომელშიც ორბელიანი იხსენიებოდაო.

ციხის კედლები, რომელთა სისქე საშუალოდ 1,15 მ-ს აღწევს, შემოსილია გვერდებ-ჩამოტეხილი ქვით ქვითკირზე, ხოლო შიგნით ამ პერანგში ჩასხმულია ჭყორ-დუღაბი. პერანგის ქვებს კარგი თარაზული წყობა აქვს. შიგნით კედლებს ზოგან დაბალი ხარისხი მიჰყვება. აქა იქ შერეულია აგურის წყობაც. ზოგან ხის კოჭების ნაშთები ჩანს. ბევრია სათოფურები. საზოგადოდ ეტყობა, რომ ციხეს არა ერთგზისი შეკეთება განუცდია და არა მგონია, რომ აქ უძველესი ხანიდან იყოს რაიმე გადარჩენილი, გარდა შესანიშნავი, 1,50 მ-ის სიგანის კიბისა, რომელიც ნაწილობრივ ამოჭრილია შიგ პიტალო კლდეში, ნაწილობრივ კი თლილი ქვითაა ნაგები, და რომელიც, შესავალი გვირაბის ახლოს, ციხის მეორე სართულში ადის (ტაბ. VII, სურ. 14).

---

[1] მე კიანეთიდან ავედი დავით-საგარეჯოში. იგი უკეთესი მისავალია კაზრეთიდან. დავით-საგარეჯო გავლით საჩქაროდ ვინახულე, ისე რომ ფოტოსურათების გადაღებაც ვერ მოხერხდა. საჭიროა ამ ტაძრის გაზომვაც, მით უმეტეს, რომ იგი საცაა სულ ერთიანად დაინგრევა. ნანგრევი, ხროვად მდებარე ქვის გაჩხრეკამ შეიძლება ნარწერაც აღმოაჩინოს.

[2] XVIII ს-მდე ქვეშის ციხის შესახებ ცნობა არა გვაქვს, თუმცა „ქვეშის ჭალა" უკვე XI ს-ში იხსენიება (ნ. ზ. ჭიჭინაძის გამოც. ქართლის ცˇა. გვ. 332); ღრტილას 1307 წლის წარწერაში მოხსენებულია ლიპარიტ ქვეშელი (იხ. Сборн. Матер. для Опис. Мести. и Плем. Кавк., вып. XIII, стр. 130 და Mélanges Asiatiques, tirés du Bull. Hist.-Philol. de l' Acad. Imp. des Sc. St.-Pét., t. II, p. 343); შეიძლება იგივე ლიპარიტ ქვეშელი იხსენიება იერუსალიმის ჯვარის მონასტრის აღაპებშიც იხ. ნ. მარის გამოც. გვ. XXVII, № 29); 1486 წლის ქვეშ გვაქვს ცნობა „ქვეშისჭევის" შესახებ (იხ. ჭიჭინაძის გამოც. ქცˇა, გვ. 704). XVIII ს-ში კი ქვეში, რომელიც ორბელიანთა ხელში იყო, ძალიან მაგარ ციხედ ითვლებოდა და არა ერთხელ იხსენიება სამშვილდის გვერდით (იხ. ზ. ჭიჭინაძის გამოც. პაპუნა ორბელიანის ისტორია, გვ. 77, 127, 195, 238). მდებარეობა ამ ციხისა ისეთია, რომ მას არ შეიძლება წინათაც დიდი როლი არ ეთამაშნა, ისე რომ ძველი წყაროების დუმილი შემთხვევითი მოვლენა უნდა იყოს.

სხვა საინტერესო ციხეში არა მოიპოვება რა. საცხოვრებელი სახლები ძალიან მდარედაა ნაგები ქვით. კლდეში ორ ადგილას ამოჭრილია ღრმა ორმო ქვევრის მოყვანილობისა. არის სულ პატარა ეკლესია, ნაშენი თლილი ქვით, რომელსაც ჩრდილო-კედელზე სასიამოვნო ნნული ჩუქურთმა ამკობს.

ქვევით სოფელში, რომელიც სომხებითა და ქართველებითაა დასახლებული, მცირე ერთნავიანი სომხური ეკლესია დგას, ნაგები ნაწილობრივ თლილი ქვით, რომელშიც აღსანიშნავია მხოლოდ შიგნით თაღზე გამოქანდაკებული სტილიზებული ყურძნის მტევნების რელიეფი. გარშემო სასაფლაოა მოგვიანო ხანის საფლავის ქვებით.

ს. ჯალალიანცს უნახავს ქვეშში სომხური წარწერები, რომელთაგან ერთი დათარიღებული ყოფილა ჩვ. წელთაღრიცხვის 1439 წლით[1].

III. ტნუსის თეკენები[2]

მაშავრის კანიონი დმანისიდან სოფ. ტნუსამდე, ეხლა სრულებით უკაცური, ძველად მჭიდროდ დასახლებული ყოფილა[3]. მარცხენა სანაპიროზე, დმანისის ნაქალაქარიდან 0,50 კილომეტრის დაშორებით ზემოთკენ, კანიონის შუასიმაღლეზე, ერთნავიანი მცირე ეკლესია დგას, ნაშენი მქისედ დამუშავებული საშუალო ზომისა და პატარა კვადრებით ქვითკირზე. ქვის ქანი ლეგა და ფოროვანი, დმანისისათვის ჩვეულებრივი ბაზალტია. შენობის კედლის წყობაში განირჩევა მეტ-ნაკლებად სწორი ფენებით წყობილი პირები და მათ შორის ჩასხმული ჭყორ-დუღაბი (ბეტონი). სახურავი ჩავარდნილია. კარი ეკლესიას ორი ჰქონია, სამხრეთიდან და დასავლეთიდან. სარკმელიც ორია, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან. დასავლეთიდან პატარა კარიბჭეც ყოფილა, რომლის კამარა ჩაქცეულია. გარშემო ფართო სასაფლაოა ისეთივე ძველი კუბოსებური საფლავის ქვებით, როგორც დმანისის გარეუბნის ქრისტიანულ სასაფლაოზე. ერთი ბრტყელი საფლავის ქვა კი მეტად საინტერესოა იმით, რომ ძველი, შეიძლება, XIII ს-ის ჩუქურთმითაა შემკული: ნნულ ჩარჩოში ჩასმულია ისეთივე წყვილ-წყვილი ნახევარპალმეტები, რომლებიც დმანისის სიონის დასავლეთი კარიბჭის ერთ-ერთ პილასტრს ამკობს[4]. ამ პალმეტებისაგან შედგენილია ლამაზი ფიგურები, მაგ., ვარსკვლავი. ჩუქურთმა კარგი ნახელავია, ღრმადაა ამოღებული რბილ ქანში, მაგრამ დროთა განმავლობაში ძალზე გადარეცხილა.

ეს ადგილი უსახელოა. აქედან დაახლოებით 1 კილომეტრის მანძილზე კლდეში გამოდის ქვითკირით ამოშენებული წყარო, ხოლო ცოტა უფრო ზემოთ ე. წ. „იმერლის

---

[1] იხ. მისი დასახ. შრ., გვ. 91. როგორც პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა გადმომცა, რომელსაც ქვეშის სომხური წარწერები გადმოღებული აქვს, ჯალალიანცს თარიღი სწორად არ ამოუკითხავს: ეს წარწერა ნამდვილად XVII ს-ისაა.
ქვეშსა და ლუქსემბურგს შორის, გზიდან ჩრდილოეთით, რაღაც საინტერესო თლილი ქვით ნაგები ტაძრის ნანგრევი დგას, რომლის ნახვა ვერ მოვახერხე.

[2] თეკენები სომხური სახელია. 1721 წლ. ხალხის აღწერის დავთარში (გვ. 182, 356) ეს სახელი უფრო სწორადაა დაცული: „თეკენამ", როგორც პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა გადმომცა, ასეთი სახელწოდების ეკლესია ყოფილა ძველად თბილისშიც. „თეკენამ" სომხურად ნიშნავს: „რათა ვცხონდე".

[3] შდრ. ჩემი „დმანისი", გვ. 328, შენ. I.

[4] იხ. ჩემი „დმანისი", გვ. 380, სურ. 38.

ჭალაა". აქ ჩანს ძველი ნასოფლარი (ქვის შენობების ნაშთები), რომლისგანაც შედარებით რიგიანად შენახულია მხოლოდ ერთნავიანი საშუალო ზომის ეკლესია, ნაგები ისევისე ბაზალტის ლეგა, მქისედ დამუშავებული კვადრებით. კუთხეებში ნახმარია უკეთესად თლილი ქვა. კედლის წყობაში აქაც განირჩევა პირები და ბეტონი. ორფერდა სახურავი ჩავარდნილია, გარდა აფსიდის კონქისა ერთი ნახევარფარგლოვანი თაღითურთ. კარი მხოლოდ სამხრეთიდანაა, სარკმელი ორია (აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან). აქა-იქ შეკეთების ნიშნები ჩანს. ჩრდილოეთიდან მიშენებულია პატარა საყოფელი უსაკურთხევლოდ. ტაძრის სამხრ.-დასავლეთ კუთხეში გარედან ჩასმულია ბაცი მომწვანო ქანის ქვა, ზომ. 0,69×0,60×0,44 მ., რომელზედაც დასავლეთის მხრიდან მქისე თხელი რელიეფით გამოქანდაკებულია სომხური სამზოლიანი ჯვარი, წყვილი „ფოთლებით" კიდურებზე, ისეთივე, როგორც კიანეთის სოფლის ეკლესიაზე, ოღონდ ამ ჯვარს აქ ძირთან კიდევ უშნო კანელურები ამკობს ფრთებივით, რომლებიც, შესაძლებელია, ძველად ჩვენშიც და სომხეთშიც ძალიან გავრცელებული ნახევარპალმეტების გადაგვარებულ ნაშთს წარმოადგენდეს. მარჯვნით და მარცხნით ამ ჯვარს კიდევ პატარა სადა ჯვრები უსხია. ჩარჩოს გაკეთების უმწეო ცდას წარმოადგენს რომაული II-იანების მწკრივი, რომელიც მარჯვენა პატარა ჯვარიდან გამოდის და დიდ ჯვარს ქვემოდან უვლის.

მარცხნით ქვემოთ ამ ქვაზე საგანგებოდ ამოტეხილი პატარა ოთხკუთხი ადგილია, რომელზედაც სომხური მთავრულით უშნოდ ამოკოდვილია ხუთსტრიქონიანი წარწერა, რომელსაც მე ასე ვკითხულობ:

[ՍԲ] ԽՉԱ։ |ԱԻԱՔ Պ՛Ր| [Յ]ԻՇԷ։ ԴՈ։ |ՎԼԱԹ։ |ՋԿԴ

წარწერის შინაარსი ჩემთვის მთლად ნათელი არაა, თარიღი კი ცხადია: 964=1516 წ. აქაც, მაშასადამე, ისე როგორც კიანეთში, XVI ს-ის სომხური ძეგლი გვაქვს.

სოფ. ტნუსის ახლოს, დმანისიდან დაახლ. 6 კილომეტრის მანძილზე, მაშავრის მარცხენა ნაპირას კლდეში ქვითკირით ამოშენებული გამოქვაბულია, უფრო დაბლა კი ერთნავიანი, თლილი ქვის პერანგიანი პატარა ეკლესიის ნანგრევი დგას, რომლის გარშემო სასაფლაოც არის. მაშავრის მარჯვენა ნაპირას კი, 1 კილომეტრით უფრო ქვემოთ, მრავალი ნასახლარია, სასაფლაოები და მთელი რიგი ეკლესიებისა. აი, ამ ადგილს ეძახიან ეხლა ტნუსის თეკენებს. დმანისიდან აქ მომავალ გზაზე ბლომად ჰყრია კვამლოვანი ობსიდიანის ნამსხვრევები. მე-5 კილომეტრზე ძველი საწისქვილე არხი დაგხვდებათ, მდინარიდან გამოყვანილი; აქვე რამდენიმე ერთბორბლიანი წისქვილის ორმო ჩანს. ხოლო მე-6 კილომეტრზე, მაღალ კლდოვან ნაპირზე დგას ნანგრევი, რომელსაც მე თეკენების ქვემო ეკლესიას ვუწოდებ, რადგან მის ზემოთ ტაძარი დგას, რომელსაც „შველის ეკლესიას" ეძახიან. ეს უკანასკნელი მოშორებულია მაშავრის ნაპირს, უფრო მაღალ კლდეზეა ამართული და დანარჩენ შენობებს ზემოდან დასცქერის. აქედან 1,5 კილომეტრის მანძილზე, ისევ მაღალ კლდეზე ამართული ერთნავიანი ეკლესიის ნანგრევი ჩანს, რომელიც სწორედ ტნუსის პირდაპირ მოდის და მე არ მინახავს.

თეკენების ქვემო ეკლესიას გალავანი ჰქონია, რომლის კარის ნაშთები ჯერ კიდევ შედარებით კარგადაა დაცული. გალავნის შიგნით, ტაძარს გარდა, სხვა მრავალი ქვის შენობის ნაშთი ჩანს. თვითონ ტაძარი ერთნავიანი საშუალო ზომის შენობაა, ნაგები დმანისის სიონის ტიპზე. სახურავი ჩავარდნილია. შიგნით კედლები გალესილი და ფრესკებით შემკული ყოფილა. ჩრდილოეთიდან მიშენებულია ეკვტერი, რომლის ჩრდილო-კედლის წალოში არის კარგად შესრულებული პატარა ბარელიეფი[1]. წარწერა

[1] სამწუხაროდ, ფოტოსურათზე ეს ბარელიეფი ძალიან გაურკვევლად გამოვიდა. რამდენადაც მახსოვს, თხელი რელიეფით გამოსახულია მაღალი კაცის ფიგურა, რომელსაც გრძელი,

ტაძარს არა აქვს. მხოლოდ დასავლეთის შესავლის მარჯვნით და მარცხნით გარედან ნაფხაჭნია მთავრულით რამდენიმე ასო: მარჯვნით „დ˜ე", ხოლო მარცხნით „დვე" (უკანასკნელი ორი ასო შეწიაღებულია „დ"-ონში) და ქვემოდან კიდევ არის მიწერილი ერთი „ვ." ამ შესავლის ბალავარი და ზღურბლი სადაა, ხოლო ამყოლები, რომლებიც რამდენიმე სხვადასხვა ზომის ქვისაგან შედგება, გარედან შემკულია ნახევარპალმეტებიანი ტალღოვანი რტოის რელიეფით. ნახელავი კარგია, ლამაზი. რტო ხან სამზოლიანია, ხან ორზოლიანი. პალმეტები, რომლებიც მონაცვლეობით მარჯვნით და მარცხნით ასხია რტოს, ყველა გადმოზნექილია ერთი, რტოის მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით. პალმეტები ხუთფურცლიანია: ძირა ფურცელი მრგვალია და ბურღით დაწერტილი[1], ხოლო დანარჩენი ფურცლები ზოგი ცერადკვეთითაა ამოღებული, ზოგს კი შუაზე დატოვებული აქვს ვიწრო და მახვილი, ან წვეთისებურად მომრგვალებული გული. კუნჭულები პალმეტებსა და რტოს შორის შევსებულია ან მთლიანი სამკუთხედით ან ღრუ სამკუთხედითა და მასში შეწიაღებული პატარა რელიეფური სამკუთხედით თუ წერტილით. ეს რელიეფი, დეტალებში უმნიშვნელო სხვაობას თუ მხედველობაში არ მივიღებთ, სრულებით ისეთივეა, როგორიც ახტალის ტაძრის ერთ-ერთი პილასტრის ხარისხზე გვხვდება[2].

ასეთივე რტოით შემკული ქვა გამოუყენებიათ აფსიდის სარკმლის ზედანად, რისთვისაც ეს ქვა მრგვლად ამოუჭრიათ და ორნამენტიც ოდნავ დაუზიანებიათ. რა თქმა უნდა, ეს უკვე ტაძრის მერმინდელი შეკეთების დროს მომხდარა.

ჩრდილო-ეკვტერის აღმოსავლეთი სარკმლის თავის ქვადაც გამოყენებულია ძველი სტელის ფრაგმენტი, რომლის ორნამენტი ბარბაროსულადაა დაზიანებული მთელი ერთი დიდი ნაკვეთის ამოჭრით (ტაბ. VII, სურ. 15). თითქმის მთელი ქვემო ნახევარი ამ ქვას აკლია, მაგრამ ნაშთების მიხედვით შესაძლებელი ხდება სრული ორნამენტის აღდგენა (ტაბ. VII, სურ. 16)[3]. ქვემო ნაწილის ორნამენტის შემონახული ნაშთები – მედალიონი, ნაწილი მისი ბუნისა და პალმეტების წვეროები – გვაფიქრებინებს, რომ იგი იმეორებდა ზემო ნაწილის სახეს, რომ ქვემოთაც კვარცხლბეკზე და ვიწრო ბუნზე დადგმული პალმეტებიანი მედალიონი იყო გამოსახული[4]. ეს ვერტიკალურად განლაგებული ჯვრიანი მედალიონების კომპოზიცია ჩვენ უკვე შეგვხვდა უკანგორის დიდ სტელაზე და ბუნებრივია დავასკვნათ, რომ თეკენების ქვაც ისეთსავე „ჯვარის" ფრაგმენტს წარ-

---

ნაკეცებიანი კაბა აცვია. მის ქვემოთ მოდის ორი ნახევარლილვაკი და შემდეგ კიდევ ერთი ულვაშიანი ფიგურის პრტყლად გამოყვანილი სახეა. დანარჩენს ფარავს ბათქაში. ბარელიეფი ჩასმულია ნახევარლილვაკებისაგან შემდგარ სწორხაზოვან ჩარჩოში. ნახელავი კარგია, განსაკუთრებით ხელოვნურადაა მოდელირებული ზემო ფიგურის კაბის კალფები. ქვა აშკარად მოგვიანებითაა ჩასმული თახჩაში და თავდაპირველად აქ არ ეკუთვნოდა. ბარელიეფი ძველი უნდა იყოს (XII-XIII ს.).

[1] ასეთ ფურცელს I. Strzygowski "Kreislappen"-ს, ე. ი. წრეფურცელს ეძახის (იხ. მისი Altai-Iran und Vülkerwanderung, S. 27).

[2] Baltrusaitis, დ. ნ., ტაბ. XLIII:68 (ხარისხის ზემოდან აშიაზე).

[3] ნახატი შესრულებულია მხატვ. მ. ხუციშვილის მიერ.

[4] ქვემო ნაწილის აღდგენილი სახე ჩვენს სურათზე ზუსტად იმეორებს ზემო ნაწილის დეტალებს. რა თქმა უნდა, ეს მაინც და მაინც ასე არ იქნებოდა: როგორც ქვედა ჯვარის ჩარჩო საკუთარ ვარიანტს გვიჩვენებს, ისე ეგებ კვარცხლბეკიც და მისი შევსებაც ქვემო ნაწილში თავისებურად იყო ვარირებული. მაგრამ საერთოდ კომპოზიცია ერთი და იგივე უნდა ყოფილიყო.

მოადგენს. ზედ გამოსახული მედალიონები ბოლნურია. ჯვრების მკლავებშორისი არე, ჩვეულებისამებრ, ამოვსებულია „ფოთლებით". ქვედა ჯვრის ჩარჩო სამკუთხედებიანია, ზედა ჯვრისა კი შევსებულია ისეთივე მოქნილი პარალელური ჭდეებით, როგორც ოროზმანის ჯვარის ჩარჩო (იხ. ქვემ. ტაბ. XII, სურ. 29). ზედა მედალიონი მაღალს, ვიწრო და პრტყელ ბუნზე დგას, რომლის გული მთელ სიგრძეზე თავთხელად ამოღებულია და დასერილია ირიბი პარალელური ჭდეებით. ბუნის ღეროდან, ძირზე ცოტა უფრო ზემოთ, გამოდის ორი ნახევარპალმეტი, რომლებიც ფრთებივით იშლება ბუნის მარჯვნით და მარცხნით და მედალიონს ქვემოდან ევლება. პალმეტები ხუთფურცლიანია, რომელთაგან ძირა ფურცელი მრგვლად ამოღებულ წრეფურცელს წარმოადგენს („Kreislappen"), დანარჩენები კი ცერადკვეთითაა ამოღებული[1].

აქ გვაქვს, მაშასადამე, ე. წ. პალმეტებიანი ანუ „აყვავებული" ჯვარი, რომელიც მერმეც ძალიან გავრცელებული იყო როგორც ჩვენში, ისე სომხეთშიც[2].

მედალიონი ბუნითა და პალმეტებით დადგმულია სამსაფეხურიან კვარცხლბეკზე, რომელიც სამსართულიან გოდოლს მოგვაგონებს. თითოეული სართული კვარცხლბეკისა წარმოადგენს მოგრძო ოთხკუთხედს, რომელიც შევსებულია სამფურცელა პალმეტების მწკრივით. ძირა ოთხკუთხედში სამი პალმეტია, შუა და ზედა ოთხკუთხედებში კი ორ-ორი[3]. ამ პალმეტების ფურცლებიც ცერადკვეთითაა ამოღებული. პალმეტებშორისი უბეები და ოთხკუთხედის კუნჭულები ამოვსებულია ისეთივე „ფოთლებით", რომლებიც ჯვრების მკლავებს შორისაა მოთავსებული.

მთლიანად ეს თავისებური კომპოზიცია თავის პირდაპირ ანალოგიას პოულობს მხოლოდ უკანგორის ქვებს შორის (შდრ. ენიმკი-ს მოამბე IX, გვ. 92, სურ. 59).

მიუხედავად იმისა, რომ ქვა ძალზე დაშავებულია, კარგი ძველი ტექნიკა მშვენიერ შთაბეჭდილებას ახდენს.

ბოლნისისა და უკანგორის პარალელები ათარიღებენ ამ ფრაგმენტს V ს-ის მეორე ნახევრით და VI ს-ის დამდეგით.

თეკენების მეორე, ე. წ. „შველის ეკლესია" ლამაზ პატარა ერთნავიან შენობას წარმოადგენს, გარედან საუკეთესოდ თლილი სოსანი ფერის ქვით შემოსილს, შიგნით კი უწინ, ალბათ, ბათქაშით გალესილს, რადგან აქ პერანგი მას არ უჩანს[4]. ეს ტაძარი სომხურია. შიგნით, ჩრდილო-კედლის ნალოში, ჩადგმულია, როგორც ეს სომხურ ეკლესიებში იყო ხოლმე მიღებული, ქვის ემბაზი, რომელზედაც სომხური მთავრულით ამოკოდვილია:

Թ՚ՎՆ Ռ՚ՃԼԵ

ე. ი. „წელსა 1137-სა" სომხური წელთაღრიცხვით, ანუ ჩვენებურად 1688 წ.

---

[1] მთლიანადაა შენახული მხოლოდ მარჯვენა პალმეტი (იხ. ტაბ. VIII, სურ. 15).

[2] გავიხსენოთ, მაგ., მცხეთის ჯვრის ძლევამოსილების ჯვარი (Baltrusaitis, Pl. LXXVI:125) და სომხური ხაჩქარები (იქვე, ტაბ. XIV:24, XXIV:40, 41 და მრ. სხვ.). შდრ. აგრეთვე Матер по Археолог. Кавк. VII. табл. XII (ეხვევი). მეტად საინტერესოა, რომ ეს მოტივი ჩვენში ასე ადრე გვხვდება.

[3] ზედა ოთხკუთხედის მარცხენა ნახევარი ჩამოჭრილია, მაგრამ ძირი პალმეტისა მაინც ჩანს (იხ. ტაბ. VIII, სურ. 15).

[4] ვინაიდან თავის დროზე ეს ძეგლი რიგიანად არ ამინერია, ჩანაზომებიც არა მაქვს და ფოტოგადანაღებიც უკმარია, უსრულ აღწერილობას ისევ აუწერლობა ვარჩიე. ძეგლი თავისთავად საინტერესოა და ღირსია შემდგომი შესწავლისა.

გარედან ტაძრის კედლები შემკულია ბარელიეფებით. აღმოსავლეთის ფასადზე ერთ ფილაქანზე, სარკმლიდან მარჯვნით, გამოსახულია მტაცებელი ფრინველი (ალბათ, არწივი), რომელსაც ბრჭყალებში თითქოს დუმიანი ცხვარი უჭირავს. მეორე ქვაზე, სარკმლიდან მარცხნით, რომბია, ხოლო ფილაქნის კუთხეები ოთხი ლომის ფიგურითაა შევსებული. არის აქ კიდევ სხვა რელიეფებიც.

სამხრეთის ფასადზე, ლავგარდანის ქვეშ, სამხრეთ-დასავლეთი კუთხის ახლოს, გამოსახულია ამხედრებული და შუბოსანი წმინდა გიორგი, რომლის ცხენი ფეხებით ვეშაპსა სთრგუნავს; შუბით გიორგი მას დაღებულ პირში სცემს, (ტაბ. VIII, სურ. 17). მხედრის მარცხნითა და მარჯვნით თავისუფალი არე შევსებულია სომხური მთავრული წარწერით:

Մ՛Բ Գ՛Ք

ე. ი.: „წმინდა გიორგი", პირველი ორი ასო მარცხნითაა ამოკოდვილი, მეორე ორი კი მარჯვნით (სურათზე დაფარულია ტოტებით).

ამ ქვის ქვეშ მეორე ქვაზე ორი მტაცებელი ოთხფეხი დგას ერთი მეორის ზემოდან. ესენი, ალბათ, ლომებს უნდა წარმოადგენდნენ. ერთი, რომელიც ქვემოდანაა, თავით მარჯვნითაა მიმართული, მეორე კი მის ზემოთ – მარცხნით იცქირება. ორივეს ბოლობოლქვოვანი კუდები აშვერილი, შუაზე მარყუჟულად დახვეული და თავებისკენ გადმოგდებული აქვს[1].

ეს ბარელიეფები ყველა ძალიან მდარე ნახელავია. ყველა გაკეთებულია თითქმის სრულებით პრტყლად და ყველას აშკარად ეტყობა მხატვრის ზრუნვა მოცემული სივრცის შევსებისათვის. პროპორციები არსად დაცული არაა. არწივს აღმოსავლეთის ფასადზე უშველებული განიერი კუდი აქვს, იმიტომ, რომ სხვანაირად დიდი არე ქვისა ცარიელი დარჩებოდა. მისი ფრთები დანიშნულია თხელი პარალელური შტრიხებით. რომბის გარშემო დალაგებულ ლომებს ოდნავი მოდელირება ამჩნევიათ, მაგრამ საზოგადოდ, ისინი საშინელ შთაბეჭდილებას ახდენენ: ზოგიერთი უფრო ძროხასა ჰგავს; განსაკუთრებით საზარელია მათი უზომოდ გრძელი კუდები – ესეც ცარიელი ადგილების შესავსებად. ვერც სამხრეთი ფასადის ლომებს იცნობდა ადამიანი, ფეხებზე რომ მათ ბრჭყალები არა ჰქონდეთ. მათი თავები უფრო ცხენისასა ჰგავს, ვიდრე ლომისას. წმინდა გიორგი ხომ, რომელიც ნამეტან გრძელსა (ესეც ფილაქნის შესავსებად!) და თავისთან შედარებით ვეებერთელა ცხენზე ზის და ტანითა და თავით en face არის გამოსახული, სრულებით უმწეო ფიგურას წარმოადგენს: მისი ქვედატანი სრულებით არაა დანიშნული, ისე რომ იგი კენტავრივითაა შეზრდილი თავის ცხენთან. მართალია, ოდნავი მოდელირება ამის ზედატანსა და მკლავებსაც ეტყობა[2].

ამ ბარელიეფებში სასიამოვნოდ გამოირჩევა სამხრეთი ფასადის მესამე ბარელიეფი (ტაბ. VIII, სურ. 18), რომელიც მოთავსებულია აგრეთვე ლავგარდნის ქვეშ, კედლის შუა ადგილას. აქ გამოსახულია ხარი ირემი, რომელიც მისდევს ფურს[3].

---

[1] მსგავსად შეკვანძული და თავისკენ გადმოშვერილი აქვს კუდი გრიფონს სანაინის ერთ ბარელიეფზე (Baltrusaitis, დ. ნ., გვ. 44, სურ. 69). შდრ. აგრეთვე Матер. по Археол. Кавк. XIII, табл. XXIX (გრიფონი ე. წ. სელიმის ქარვასლის შესავლის მარცხნით).

[2] წვრილმანებზე, როგორიც არის, მაგ... ლომების ბრჭყალებისა და ცხენის ფაფრის გადმოცემა პარალელური შტრიხებით და მისთ., შეჩერება არ ღირს.

[3] უეჭველია, ამ ბარელიეფმა მისცა სახელი ეკლესიასაც, მაგრამ, რა თქმა უნდა, ირემი შველს კი არ მისდევს, არამედ თავისავე ფურს. შველისთვის ეს გამოსახულება ნამეტანი დიდიცაა.

უკვე წმინდა ფორმალური მომენტები განასხვავებს ამ ბარელიეფს. იმ დროს, როდესაც დანარჩენი ბარელიეფები ქვაზე ზემოდან პრტყლად დაკრული (დატყაპუ-ული) და ჰაერში ჩამოკიდებული, სრულიად აბსტრაქტულად აღქმული გამოსახულების შთაბეჭდილებას ახდენს, აქ, პირიქით, ნახატი ორგანულად შეზრდილია თავის მიწას-თან, გამოსახულება კონკრეტიზირებულია, შეკრული და დამთავრებული, და ეს მიღ-წეულია იმით, რომ ბარელიეფი ჩასმულია ჩარჩოში. მოგრძო ოთხკუთხი ქვის გული ამოღებულია რამდენიმე სანტიმეტრის სიღრმეზე ისე, რომ ნაპირებზე დატოვებულია სადა ვიწრო ქიმი. ერთის მხრით, ამის გამო რელიეფი უფრო მაღალი ჩანს, უფრო მკა-ფიოა, ხოლო მეორე მხრით, ამით შექმნილია საკუთარი სივრცე, რომელშიც მოქმედება სწარმოებს; ფიგურებს ფეხქვეშ ნიადაგი აქვს მიცემული, რომლის როლს ჩარჩოს ქვედა თამასა ასრულებს და შიგ სურათში შეტანილია ჰაერი. რაც მას დიდ ცხოველმყოფ-ელობას ანიჭებს. ამავე დროს წარმოდგენილი სცენა სავსებით რეალურ ხასიათს ატ-არებს და დამუშავებულიც რეალისტურადაა. სურათი შინაარსიანია. ჩვენ წინ დადგ-მულია ბუნების ცხოვრების ნაჭერი. პირველ ყოვლისა, თვალში გეცემათ მოძრაობა, რომელსაც დანარჩენი ბარელიეფები სრულებით მოკლებულნი არიან და რომელიც აქ გამოხატულია ძალიან ოსტატურად: არა მარტო პრიმიტიული ხერხით, როგორიც არის წინა ფეხების ზემოთ აშვერა, არამედ მთელი ტანის დაძაბულობითა და სახის გამომ-ეტყველებით. დანარჩენი ბარელიეფები მხილველს გულგრილად ტოვებს, ეს პანო კი აღძრავს ჩვენში გრძნობების და აზრების მთელ მწკრივს. უნებლიედ გვინდა მოცემული სცენა წარმოსახვით შევავსოთ, მისი ჩარჩო გადავლახოთ.

დამახასიათებელია, რომ მხატვარს სივრცისა არ ეშინია. ის ზრუნვა ცარიელი ადგილების შევსებისათვის, რომელიც დანარჩენ ნახატებში ასე აშკარად გამოსჭვივის, ამ ნახატს სრულებით არ ეტყობა. სურათი ჰაერითაა სავსე და არსად ზედმეტი ნა-კვთი ჩართული არაა. პროპორციები საერთოდ კარგადაა დაცული და მათი დარღვევა ზოგჯერ შეიძლება მხატვრის გარკვეული განზრახვით იყოს გამოწვეული. ხარირმის ტანი ნორმალურზე ცოტა უფრო გრძელია და მასთან შედარებით ფეხები ცოტათი მოკლე მოვიდა, რაც წინა ფეხებს უფრო ეტყობა, სახეც ნამეტანი წაგრძელებულია და თითქოს კუდიც უფრო მოკლე უნდა ყოფილიყო, რქებს დამახასიათებელი ბუდე აკ-ლია, ქედი ნამეტანი შორსაა წაღებული კისრიდან, თითქმის შუაზურგზეა მოქცეული კუზივით. მაგრამ მაინც გაზიდული, ფერდებში შეწეული ტანი, გრძელი და ღონიერი კი-სერი, ფეხები და განსაკუთრებით, მახვილი, ვიწრო კოხტა ჩლიქები, რქების უიმისობაც, საკმაოდ ახასიათებენ კავკასიურ ირემს (Cervus elaphus). თუმცა საერთოდ მხატვარმა კარგად მოახერხა თავისი ფიგურების დალაგება მოცემულ არეზე, მაგრამ ფურის წინა ფეხები უშნოდ არის დამოკლებული იმის გამო, რომ მას აქ ფილაქანი არ ეყო. გარდა ამისა, მარცხენა ფეხი უმწეოდაა მიდგმული კისერზე, რომლის წინა ნაწილი ნამეტანი წერილია და წაგრძელებული. სახეც ფურს გრძელი აქვს, გავა ნამეტანი გამოშვერილია, მაგრამ საერთო შთაბეჭდილება აქაც კარგია: ფური ასეთი უნდა იყოს – ნაზი და სუსტი.

რელიეფი აქაც საერთოდ პრტყლადაა მოცემული, პერსპექტივა დაცული არაა, რაც განსაკუთრებით ეტყობა ხარის რქებს და ფურის წინა ფეხებს. მაგრამ ფიგურების ზო-გიერთი ნაწილი მაინც ოდნავ მოდელირებულია: ასე, გავა, უკანა ფეხები. უნდა აღინიშ-ნოს, რომ ბარელიეფი დროთა განმავლობაში საკმაოდ დაზიანებულია, ქვის ზედაპირი ალაგ-ალაგ ახეთქილია, ისე რომ ბევრი დეტალი დღეს უკვე აღარ ჩანს. ფიგურების ზედაპირი გლუვადაა დატოვებული, მხოლოდ ხარის კუდს ეტყობა თითქოს თხელი შტრიხებით დამუშავება.

ყველაზე უფრო საინტერესოა ის გამომეტყველება, რომლის მიცემაც შესძლო მხ-ატვარმა თავისი ფიგურებისათვის. ხარი ირემი უკვე მოეწია ფურს. მისი წინა ფეხები

საკმაოდ უმწეოდაა აშვერილი ჰაერში, მაგრამ მისი სახტომად გამზადებული გავა, წაგრძელებული ტანი, გაძაბული კისერი, აწეული თავი, უკან გადაგდებული რქებითა და დაცქვეტილი ყურებით და განსაკუთრებით წინ გამოშვერილი სახე, განივრად ახელილი თვალითა და ოდნავ დაღებული პირით, საუცხოოდ გადმოგვცემენ ძლიერ ვნებას. ხოლო ფურის მოქნილად მოხრილი ტანი, მოღერებული კისერი, აგრეთეევე დაცქვეტილი ყურები და თითქოს ოდნავ გაკვირვებული თვალის გამომეტყველება, კრთომითა და სინაზით არის სავსე.

აღსანიშნავია, სხვათა შორის, როგორც საგულისხმო დეტალი ისიც, რომ ირმების თვალები პატარა მრგვალ ფერსოში გაკეთებულს უსწოროდ მრგვალ ფოსოს კი არ წარმოადგენს, როგორც ამას ლომებზე ვხედავთ და არც ისე უმსგავსად ჰიპერტროფირებულია, როგორც წმინდა გიორგის თვალები, არამედ პატარა ოვალით ამოღებულია ოვალურს, უკან გაგანივრებულსა და წვეტით დაბოლოვებულ რელიეფში. ყველა სხვა დეტალების უფრო მუყაითი, უფრო ხელოვნური დამუშავებაც მკვეთრად განასხვავებს ამ ნახატს ამ ეკლესიის დანარჩენ ბარელიეფებში.

ზემონათქვამიდან, ჩემის აზრით, სრულებით უდავოდ გამომდინარეობს, რომ ირმების ბარელიეფი სხვა ხელოვანის მიერ არის შესრულებული და დანარჩენ ბარელიეფებთან საერთო არა აქვს რა. იმ ფილაქნის ქანი, რომელზედაც მოთავსებულია ირმების ბარელიეფი, არ განსხვავდება ეკლესიის საპირე ქვების ქანში და პანოც კედელში კარგად, ბუნებრივად არის მორგებული, თორემ უფრო დაბეჯითებით შეიძლებოდა გვევარაუდნა, რომ ეს ქვა თავდაპირველად ამ შენობას არ ამკობდა, არამედ სხვა, უფრო ძველი ძეგლიდან წამოულიათ აქ, მეორედ გამოსაყენებლად. არა მგონია, რომ თვითონ შენობა („შველის ეკლესია“) ისე ძველი იყოს, როგორიც ეს ბარელიეფი ჩანს. საქმე ისაა, რომ ეს უკანასკნელი ზედმიწევნით იმეორებს იმ კომპოზიციას, რომელიც კარგადაა ცნობილი ოშკიდან (ტაბ. VIII, სურ. 19) და რომელიც, ამ ტაძართან ერთად, X ს-ით თარიღდება. მსგავსება ისეთი განმაცვიფრებელია, რომ შემთხვევითი ის არ შეიძლება იყოს. ორში ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება მხოლოდ: ან ორსავ კომპოზიციას ერთი და იგივე სათავე აქვს, საზიარო ორიგინალი, რომლისგანაც თითოეული მათგანი დამოუკიდებლად იქნა გადმოღებული, ან კიდევ, რაც თითქოს უფრო დასაშვებია, ერთი მათგანი ორიგინალს წარმოადგენს, ხოლო მეორე მისი მიბაძვაა. თუ ასეა, მაშინ ორიგინალს უფრო თეკენების ბარელიეფი ჰგავს.

მსგავსება ამ ორ კომპოზიციას შორის ისე შორს მიდის, რომ თითქმის ყველა დეტალზე ვრცელდება: მაგ., ოშკის ბარელიეფზეც მხატვარს თითქოს ფილაქანი აღარ ეყო ფურის წინა ფეხების სრულად გამოსასახავად და ისინი უშნოდ დაუმოკლებია; ამასთან, მარცხენა ფეხი მას სწორედ ისევე უმწეოდ მიუბამს პირუტყვის კისერზე, როგორც ამას თეკენების ბარელიეფზე ვხედავთ; სახელდობრ, მარჯვენა რქაზე იქაც ორმხრივ სამ-სამი შტოა განაწილებული სიმეტრიულად, ხოლო რქის წვერო ორკაპაა (მარცხენა რქა ორსავ ბარელიეფზე დაზიანებულია და მისი დეტალები კარგად აღარ განირჩევა, მაგრამ ნაშთის მიხედვით საფიქრებელია, რომ ისიც სრულებით ერთნაირი იყო). ოშკის სურათი ისეთსავე ჩარჩოშია ჩასმული. ორივე პირუტყვის პოზები ზუსტად არის განმეორებული. თვითონ ფილაქნების პროპორციები კი განსხვავდება. ოშკის მხატვარს შედარებით უფრო მოკლე და განიერი ფილაქანი აუღია[1]. ამის გამო მისი ფიგურებიც

[1] ფილაქნის ზომა მულაჟის მიხედვით, რომელიც მეტეხის ხელოვნებათა მუზეუმში ინახება, არის 0,785×0,385 მ.

უფრო მოკლეა. გარდა ამისა, მას ეტყობა ის ტენდენცია, რომელიც თეკენების ბარელიეფზე ჩვენ ვერ შევნიშნეთ: სახელდობრ, ტენდენცია მოცემული არის რაც შეიძლება უფრო სრულად შევსებისა. თუ თეკენების ფიგურების სიმაღლესთან შედარებით გადაჭარბებული სიგრძე (განსაკუთრებით ხარირმისა) შეიძლება ავხსნათ მხატვრის მისწრაფებით მეტი დინამიკა მიეცა თავისი გამოსახულებისათვის, ოშკის ფიგურები აშკარად ამჟღავნებენ მხატვრის შიშს ცარიელი სივრცის წინაშე: შედარებით განიერი ფილაქნის ზედაპირის შესავსებად მას მოუხდა ფიგურების ამაღლება, თუ ამით ხარირემმა, მხატვრისდა უნებურად, ცოტათი მოიგო (მისი უკანა ტანი ისე არანორმალურად დამჯდარი აღარ არის, როგორც თეკენების ბარელიეფზე და მისი სიგრძე-სიმაღლის პროპორციები უფრო უახლოვდება ბუნებრივს), სამაგიეროდ, მეტის-მეტად დაუშნოვდა ფური, რომლის უკანა ფეხები და ყელი სრულებით არაბუნებრივად გრძელი გამოვიდა. თეკენების ბარელიეფი ჰაერითაა სავსე, ოშკის ბარელიეფს კი სივრცე აკლია[1]. საზოგადოდ, ერთი შეხედვითაც ეტყობა, რომ თეკენების მხატვარი თავისუფლად ჰქმნის, ის ჰფლობს თავის მასალას, ოშკელი კი შეზღუდულია როგორც თავისი ორიგინალით, ისე მასალითაც. თუმცა ზოგიერთი დეტალი ოშკში სჯობია (ასე, როგორც უკვე აღვნიშნე, ხარირმის საერთო პროპორციები, ქედის უფრო ახლო დასმა კისერთან, რაც აგრეთვე მხატვარს უნებლიედ გამოუვიდა ფიგურის დამოკლებასთან დაკავშირებით, შეიძლება, კუდის უქონლობაც, რომელიც თეკენების ბარელიეფზე უსიამოვნოდ გრძელია, ხოლო ხარირემს ნამდვილად ძალიან მოკლე აქვს და პროფილში შეიძლება სულ არ გამოჩენილიყო), მაგრამ საზოგადოდ, შესრულების მხრივ თეკენების პანო გაცილებით უფრო მაღლა დგას. ხარს ოშკში ტანი ისეთი გაზიდული და კოხტა არა აქვს, მისი წინაფეხები მქისედაა დამუშავებული, კისერი, აგრეთვე სიმაღლის მოსაგებად, ნამეტანი გრძელია და თან უფორმო, ფურის კისერიც უშნოა, სრულებით უფორმო, პირი ნამეტანი ბლაგვია, უკანა ფეხების დადგმა უმწეოა. უმთავრესი კი ისაა, რომ ოშკის გამოსახულებას აკლია ის მეტყველება, ის დინამიკა, რომელიც ასე ახასიათებს თეკენების ბარელიეფს. ოშკის ფიგურები მძიმეა და მოუხეშავი, თეკენებისა კი, პირიქით, გვაკვირვებს თავისი სიმსუბუქითა და მოქნილობით.

ამგვარად, მგონია, რომ თუ რომელსამე ამ ორ გამოსახულებათა შორის ორიგინალობა შეიძლება მიეკუთვნოს, ეს ისევ თეკენების ბარელიეფია. მით უფრო საკვირველია, რომ ეს უკანასკნელი სრულებით განცალკევებითა დგას „შველის ეკლესიის" დანარჩენ ბარელიეფთა შორის, იმ დროს, როდესაც ოშკის გამოსახულება ბუნებრივად შედის იმავე ტაძრის დანარჩენ ცნობილ ბარელიეფთა კომპლექსში, რომლებთან ერთად ის თითქოს ერთსა და იმავე სტილის დაღს ატარებს[2].

„შველის ეკლესიის" სხვა შემკულობიდან მოვიხსენიებ კიდევ ძალზე სტილიზებულ პალმეტებიან ბორდიურს, რომელიც დასავლეთ შესავალს ამშვენებს გარედან (ტაბ. IX, სურ. 20). ეს მოგვიანო არაბესკული დაუპროფილირებელი პალმეტები, შუბის ანუ ისრის

---

[1] რელიეფიც აქ უფრო თხელი ჩანს, მიწა სულ 2-3 მილიმეტრის სიღრმითაა ამოღებული.

[2] შდრ. Baltrusaitis, ტაბ. LXVI:106, ტაბ. LXXIII:120, 121 და აგრეთვე ტაბ. LIV:83, LXIII:98, LXXI:118, LXXV:123, რომლებიც შეცდომით ხახულისეულადაა აღნიშნული და ნამდვილად ოშკისეულია.

ირმებიანი კომპოზიციის პარალელები შეიძლება ძველ (ჩვ. წელთაღრ. პირველი საუკუნეების) გემებზე აღმოჩნდეს. პატივცემულმა ირ. სონღულაშვილმა, მეტეხის ხელოვნ. მუზეუმის მცირე ხელოვნების განყ-ბის გამგემ, მაჩვენა ერთი ლაპისლაზურის გემა, ნაპოვნი ქართლის ახალქალაქში (ნითელ-ქალაქში), რომელზედაც გამოსახულია ორი გაჭენებული და ერთმანეთთან მობუღრავე ხარირემი.

პირის სახისა, რომელთა წვერო ნავისებური თაღის მსგავსადაა მოყვანილი, ღერო კი შეკვანძული ჩანს, ჩემის აზრით, XV-XVI ს-ს გვაგულვებინებს[1]. შეიძლება ამავე ხანის მანიშნებელი იყოს ნავისებური თაღით გადახურული და ასეთივე ჩარჩოთი შემკული სარკმელიც აღმოსავლეთი ფასადისა[2], თუმცა ეს არაბულ-ერანული ფორმა სომხეთში გაცილებით უფრო ადრეც იჩენს თავს (არა ერთ ძეგლზე, მაგ., ანისში).

ამგვარად, „შველის ეკლესია" სხვადასხვა ხანის ელემენტებს გვიჩვენებს. მთავარი კი ისაა, რომ ეს ძეგლი საკმაოდ შესწავლილი არაა და ამიტომ მისი დათარიღებაც ჯერ-ჯერობით ნაადრევი იქნებოდა.

დასასრულ, აღვნიშნავ კიდევ ექვსსვეტიან პატარა სამრეკლოს, რომელიც ტაძრის აღმოსავლეთითა დგას, სულ სხვა სტილზე, გაცილებით უფრო მდარედაა ნაგები და ქართული მხედრულ წარწერიან ქვას შეიცავს. წარწერა საძაგლადაა ნაჯღაბნი და არ იკითხება. იგი XVII ან XVIII ს-ისა უნდა იყოს.

IV. ბოსლების სამება

სოფ. ბოსლები დმანისის ნაქალაქარიდან ხუთიოდე კილომეტრის მანძილზე მდებარეობს ჩრდილო-დასავლეთით, ბოსლების წყალზე რომელიც მარცხნიდან ერთვის მაშავერს[3]. აქედან ერთი კილომეტრია სამებამდე, რომელიც ბოსლების წყლის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. ეს მშვენიერი პატარა ტაძარი თითქმის სრულებით დანგრეულია და გაძარცული (პერანგახდილი). თლილი ქვები გარშემო სოფლელებს დაუტაცნიათ. გადმოცემით, ტაძარს წარწერაც ჰქონია. ეხლა ადგილ-ადგილაა დაცული საპირე ქვა და აქა-იქ შენახულია ჩუქურთმაც. არსებითად შენობის მხოლოდ ორი კედელიღა დგას – სამხრეთისა და აღმოსავლეთის (ტებ. IX, სურ. 21). ორივე შენახულია 7-8 მეტრის სიმაღლეზე, მაგრამ არც ერთს არ დაუცავს ლავგარდანი. ჩრდილო-კედლისა აფსიდის ნაწილია დაცული 6-7 მეტრის სიმაღლეზე, დანარჩენი კი ეხლა მხოლოდ ორიოდე მეტრის სიმაღლეს აღწევს. ასეა ჩამონგრეული დასავლეთის კედელიც. გადახურვა სრულებით აღარაა, გარდა აფსიდის კონქის მცირე ნაწილისა. ასეთსავე მდგომარეობაშია ჩრდილოეთის ეკვტერიც, რომელსაც კედლები მხოლოდ 1,00-2,50 მეტრის სიმაღლეზე შერჩა.

ტაძრის გარშემო ძველი გალავნის ნაშთები ჩანს, რომელსაც შესავალი სამხრეთიდან ჰქონია, ხოლო ტაძრის სამხრეთ-დასავლეთით, გალავნის ფარგლებში, ერთი ქვის შენობის (საცხოვრებელი სახლის?) ნანგრევი დგას.

ტაძარი წარმოადგენდა აღმოსავლეთისაკენ ორიენტირებულს ერთნავიან საშუალო ზომის შენობას, რომლის გარეგანი ოთხკუთხედის სიგრძე 11,20 მ-ს, ხოლო სიგანე 6,00 მ-ს უდრიდა (ტაბ. X, სურ. 22). შენობა ორსაფეხურიან ხარისხზე იდგა. ხარისხის ქვედა საფეხური სწორკუთხოვანი იყო, ზედა კი მომრგვალებული[4]. 0,85 მ-ის სისქის კედლები

---

[1] შორეულად მსგავსი სახე, თურქულ XVII ს-ის კერამიკაზე (შორენკეცებზე) ფერადით გამოყვანილი, იხ. Alex. Raymund-თან, Alttükische Keramik, Münch. 1922, Taf. 25.

[2] შდრ. გავეთის ტაძრის S-ფასადის სარკმლის მსგავსი ჩარჩო, MAK XII, таб. IV:7.

[3] ბოსლები დატანილია ვახუშტის რუკაზე, მაგრამ ნამეტანი შორაა წაღებული დმანისიდან ჩრდილო-დასავლეთით. სხვა ცნობები ამ სოფლის შესახებ იხ. ჩემს წერილში „დმანისი", გვ. 324, შენ. 2.

[4] ასეა სამხრეთიდან, საცა ხარისხი, შესავლის ახლოს, შედარებით კარგადაა დაცული. აღმოსავლეთიდან მხოლოდ ერთსაფეხურიანი ხარისხი ჩანს, რომელიც სწორკუთხოვანია. ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან ხარისხი აღარაა ან მიწითაა დაფარული.

შემოსილი იყო, როგორც გარეთ ისე შიგნით, მშვენივრად თლილი ბაცი მომწვანო რბილი ქანის კვადრებით[1]. ასეთივე ქვითაა შემოსილი დმანისის სიონის დასავლეთი კარიბჭე[2]. სარკმელი ხუთი ჩანს: სამი აფსიდაში, ორიც სამხრეთის კედელში[3]. შესავალი მხოლოდ ერთია, სამხრეთიდან. მისი განი 1,30 მ-ს უდრის, ხოლო სიმაღლე გამოურკვეველი რჩება, რადგან ეხლა იგი გამონგრეულია 3,20 მ-ის სიმაღლეზე.

აღმოსავლეთის ფასადში ჩაშენებულია ლამაზი კუთხოვანი თახჩები (ტაბ. X, სურ. 23), სიგანით 1,0- მ., სიღრმით 0,30 მ., რომლებსაც ამკობდა ოთხმაგი გლუვი სვეტები მოჩუქურთმებული კაპიტელებით და ზედ დაყრდნობილი ნახევარფარგლოვანი, ორმაგი, ფესტონებით შემკული დეკორაციული გლუვი თაღებით. ამ თახჩებში გამოდიოდა აფსიდის განის სარკმლები. თახჩების ქვემო ნაწილი სრულებით ჩამონგრეულია. მათი სიმაღლე, კედლის ხარისხიდან თაღის თავამდე, 5,90 მ-ს უდრის.

ეს მოტივი შემოდის ჩვენში VII ს-ში, მისი ფართოდ გავრცელებისა და დეკორაციულად განვითარების ხანა X ს-ში იწყება[4] და, რამდენადაც ჩანს, XIII-XIV ს-ს იგი არ უნდა გადმოსცდებოდეს. ჩვენი თახჩები თავისი გეგმითა და მორთულობით პარალელებს პოულობენ მოგვიანო ხანის ძეგლთა შორის, რომელთაგან ზოგიერთი, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ნიშანდობლივ დათარიღებულად ვერ ჩაითვლება. ასეთივე გეგმაში სამკუთხოვანი და შიგნით დეკორაციულად დაუნაწევრებელი თახჩები გვხვდება ყინცვისის (XIII ს.)[5], ფიტარეთისა (XIII-XIV ს.)[6] და წულრულაშენის (XIII-XIV ს.)[7] ტაძრებზე და აგრეთვე დმანისის სიონის დასავლეთ კარიბჭეზე (XIII ს.)[8]. ხოლო სამების თახჩების მორთულობა (სვეტები, სვეტისთავები, ფესტონებიანი თაღები) სხვაზე უფრო ისევ-ისე დმანისის კარიბჭის თახჩებს გვაგონებს[9].

შიგნით ტაძრის ოთხკუთხედს, რომლის სიგრძე 6,85 მ-ს ხოლო სიგანე 4,30 მ-ს შეადგენს, აღმოსავლეთიდან აფსიდის ოდნავ ნალისებურად მოხრილი და საკმაოდ უსწორმასწორო მომრგვალება ამთავრებს, რომლის განი 3,95 მ-ს, ხოლო სიღრმე 2,30 მ-ს

---

1 დაცულია მცირე რაოდენობით გარეთ მხოლოდ სამხრეთიდან (შესავლის მარჯვნით) და აღმოსავლეთიდან (თახჩებში), ხოლო შიგნით ჩრდილოეთის კედელზე, აფსიდაში და ეკეტერის კართან.

2 იხ. ჩემი „დმანისი", გვ. 371.

3 შეიძლება დასავლეთიდანაც ყოფილიყოს ერთი სარკმელი.

4 იხ. გ. ჩუბინაშვილის Georgische Baukunst, II. S. 38.

5 ე. თაყაიშვილის გამოც. ქართ. ხუროთმოძღვრ. ალბ., ტაბ. 48.

6 იქვე. ტაბ. 47; ყინცვისში და ფიტარეთში სარკმლები არაა გაჭრილი თახჩებში.

7 იქვე, ტაბ. 45.

8 იქვე, ტაბ. 36; აქ ზოგი თახჩა კუთხოვანია, ზოგი მრგვალი.

9 იხ. ჩემი „დმანისი", გვ. 372, სურ. 30, გვ. 373, სურ. 31 და აგრეთვე გვ. 388, სურ. 43. მართალია, დმანისის თახჩებს მხოლოდ ორმაგი სვეტები აქვს და არა სვეტების კონები, როგორც სამებაში. სამწუხაროდ, არც სამებაში და არც დმანისში არც ერთ თახჩას ფესტონები საღად არ შემოუნახავს, ისე რომ მათი მოყვანილობის შესახებ სრული წარმოდგენა არა გვაქვს. ერთი დეტალი შეიძლება აღინიშნოს: სამებაში თახჩების ფესტონები სწორედ ისევეა ხშირი და ნაზი შტრიხებით დასერილი, როგორც დმანისის ზოგიერთი თახჩის ფესტონები (ასე, ჩემი „დმანისი" მე-43 სურათზე წარმოდგენილი თახჩისა) – შტრიხები ფესტონების ძირებიდან გამოდის, მარაოსავით იშლება და მისდევს რკალებს. ასევეა დაშტრიხული თახჩების ფესტონები გუდარეხის მთავარი ტაძრისა, რომელიც აშენებულია რუსუდან დედოფლის მიერ XIII ს-ის პირველ ნახევარში (იხ. ე.. თაყაიშვილის არქეოლოგ. მოგზაურ., Изв. Кавк. Отд. Моск. Археол. Общ., I, 31-32).

უდრის. შიდა ოთხკუთხედი ორ ხორშად იყო გაყოფილი შუათაღით, რომელიც პილასტრებს ეყრდნობოდა. დაცულია მხოლოდ სამხრეთი პილასტრის ძირა ქვა, რომელიც 0,20 მ-ზეა გამოშვერილი კედლიდან და 0,50 მ-ის სიგანისაა, და ზემო ნაწილი, პილასტრისა (4 ქვა), სადა ღაროვანი სვეტისთავითურთ. ხარისხი პილასტრს არ ჰქონია. ჩრდილოეთის კედელს პილასტრი არ დაუცავს, მაგრამ იგი აქ უთუოდ მონგრეულია. სადა ღაროვანი სვეტისთავი აქვს აფსიდის შემონახულ სამხრეთის ქანსაც. აფსიდის ჩრდილო და სამხრეთ კედლებში თითო წალოა, სწორკუთხოვანი, განით 0,40 (N) და 0,35 მ. (S), სიღრმით 0,30 (N) და 0,25 მ. (S).

ჩრდილოეთიდან ტაძარს ეკვტერი ჰქონია, რომელიც გარედან აგრეთვე მოგრძო ოთხკუთხედს წარმოადგენს, სიგრძით 5,75 მ., სიგანით 3,15 მ. ეკვტერს ორი კარი აქვს: ერთი, ტაძრის ჩრდილო-კედელში, 1,00 მ-ის სიგანისაა, მეორე, დასავლეთიდან, 0,40 მ-ის სიგანის. სარკმელი მხოლოდ ერთია, აფსიდაში. ეკვტერის შიდა ოთხკუთხედი, სიგძრით 3,00 მ., სიგანით 2,50 მ., აღმოსავლეთიდან ისეთივე მოყვანილობის მომრგვალებით მთავრდება, როგორიც ტაძარსა აქვს. ეკვტერის აფსიდის განი უდრის 2,20 მ-ს, ხოლო სიღრმე – 1,45 მ-ს. კედლების სისქე 0,65 მ-ს არ აღემატება.

შიგნით ტაძრის კედლები მოგვიანებით გაულესიათ ბათქაშით[1] და მოუხატიათ ფრესკებით. მხატვრობის ნაშთები ალაგ-ალაგღა ჩანს (უმთავრესად, აფსიდაში), მაგრამ ამ ნაშთების მიხედვითაც ცხადია, რომ იგი კარგი გემოვნებით ყოფილა შესრულებული (განსაკუთრებით საინტერესოა, გეომეტრიული და სტილიზებული მცენარეული სახეები). სხვა მორთულობა ტაძარს შიგნით არა აქვს. გარედან კი იგი, როგორც ჩანს, მდიდრულად ყოფილა მორთული ჩუქურთმით, რომლის მცირეოდენი ნაშთები შენახულია აღმოსავლეთისა და სამხრეთის ფასადებზე.

1) აღმოსავლეთის ფასადი. აქ შემოუნახავს ჩუქურთმა ჩრდილო-თახჩის მარჯვენა სვეტსა (ზემო ნაწილის ორი სარტყელი) და მის კაპიტელს; აფსიდის შუასარკმლის ამყოლისაგან მხოლოდ ერთი ჩუქურთმიანი ქვაღაა დაცული (მარცხენა მხარეზე, შუანაწილისა); სამხრეთი თახჩის ორსავ სვეტზე დაცულია ზემო ნაწილის სარტყლების და კაპიტელების შემკულობა.

2) სამხრეთის ფასადი. აქ შენახულია უდიდესი ნაწილი აღმოსავლეთი სარკმლის ამყოლისა, რომელსაც მხოლოდ თავი, მარჯვენა სვეტების წყვილი და კაპიტელი, და გულის მარჯვენა ზემო ნახევარი აკლია. მთლიანად ამყოლი შედგებოდა, როგორც ეს ჩვეულებრივია ქართული სარკმლების მორთულობისათვის, სწორკუთხოვან, ზემოდან თაღით გადახურულ ჩარჩოში ჩასმული მოჩუქურთმებული გულისაგან. ჩარჩოს შეადგენდა მრგვალი სვეტების ორი წყვილი თავისი ხარისხებითა და სვეტისთავებით, რომლებზედაც იდგა, ალბათ, ნახევარფარგლოვანი თაღი. აღსანიშნავია ჩარჩოს ერთი დეტალი: სახელდობრ, მისი ძირის თამასა ისეთსავე წყვილედ სვეტს წარმოადგენს, როგორიც მას გვერდებზე აქვს. ასეთი უცნაური, ბალტრუშაიტისის არ იყოს, ატექტონიკური გამოყენება სვეტისა, თუნდაც დეკორაციულად, მხოლოდ შედარებით მოგვიანო ძეგლებზე გვხვდება, მაგ., ფიტარეთში (XIII-XIV ს.)[2], წულრუღაშენში (XIII-XIV ს.)[3],

---

[1] მოგვიანებით იმიტომ, რომ, წინააღმდეგ შემთხვევაში, კედლებს შიგნიდან თლილი ქვით არ შემოსავდნენ.

[2] Baltrusaitis, Pl. XXVII:45.

[3] იქვე, ტაბ. XXVIII:46. სურათზე ძირა თამასა, სამწუხაროდ, დაფარულია ხით.

თბილისის მეტეხის ტაძარზე (XIII ს.)[1]. გვაქვს ასეთი ამყოლის ძირი გელათშიც (XII ს.)[2]. ამყოლის ჩარჩოს დეტალებიც ყველა, გარდა ბურთულებისა, მოჩუქურთმებულია.

სამხრეთის ფასადზე ჩუქურთმა შემონახული აქვს კარის ამყოლის მარჯვენა დეკორაციულ სვეტსაც, რომელიც, როგორც ყველა დეკორაციული სვეტები ამ შენობისა, წყვილედი ტანისა, ზევით და ქვევით სარტყლებს შუა ჩასმული წყვილი ბურთულებისა, ხარისხისა და სვეტისთავისაგან შედგებოდა. სვეტისთავი ეხლა დაკარგულია. აქაც ყველა დეტალი მორთულია ჩუქურთმით, გარდა ბურთულებისა.

არსად სხვაგან ჩუქურთმიანი ნაშთები დაცული არაა.

სამების ჩუქურთმა წმინდა გეომეტრიულია და უმთავრესად, წნული ანუ, უკეთ, ხლართული სახეებისაგან შედგება, რომლებშიც ჩართულია გეომეტრიული პალმეტები. მისი მოტივები ფართოდ არის გავრცელებული საქართველოში XI-XIII საუკუნეებში. ორ და სამზონრიანი, ე. წ. გოდრული წნული ხომ ძალიან ადრე შემოდის ჩვენში[3] და მერმეც ყოველთვის ხმარებაში იყო. ზონარი მუდამ სამზოლიანია. ასეთი წნულებით და აგრეთვე ფხური რელიეფით შემკულია სამებაში სვეტების ორნამენტული სარტყლები.

ხოლო სამხრეთი თახჩის მარცხენა სვეტზე ერთი სარტყელი ისეთსავე ნახევარპალმეტებიან ტალღოვან რტოს წარმოადგენს, როგორიც, მაგ., ახტალაში გვხვდება[4] და რომელიც თეკენების ქვემო ეკლესიის კარის ამყოლზე მოთავსებული რტოისაგან იმით განსხვავდება, რომ ყველა პალმეტები ერთი მიმართულებით კი არაა მოხრილი, არამედ მხოლოდ ქვედა პალმეტები მიჰყვება ერთსა და იმავე მიმართულებას, ზედა პალმეტები კი მონაცვლეობით ზოგი მარჯვნითაა მოხრილი, ზოგი მარცხნით. ამასთან, სამების პალმეტები სამ და ოთხფურცლიანია, თეკენებისა და ახტალისა კი ყველა ხუთფურცლიანია. აფსიდის შუასარკმლის ამყოლის ნაშთზე ჩანს ისეთივე ძირზე წრეფურცლებიანი, გადაჯაჭულ წრეებში ჩასმული სრული პალმეტების კოზმიდი, როგორიც ახტალის ტაძრის სარკმელზე გვაქვს (XI-XII ს.)[5]. სამხრეთი თახჩის მარჯვენა სვეტის კაპიტელი შემკულია კვადრატული მედალიონით, რომელშიც ჩაწერილია და რომელთანაც გადახლართულია ორი ლათინური S-ის მსგავსი ორნამენტი: S-ები ერთი-ერთმანეთის პირისპირ დგანან, ქვემო ნაწილით გადაჯაჭულნი არიან, ბოლოები ნახევარპალმეტებითა აქვთ დამშვენებული, ხოლო ეზო მათ შორის შევსებულია სრული პალმეტით, რომელიც მათი თავებიდან იზრდება. აქაც ზონარი სამზოლიანია. ასეთი S-იანი მედალიონები გვაქვს, მაგ., ნიკორწმინდის ტაძრის ერთ-ერთი სვეტისთავსა და სვეტის ხარისხზე (XI საუკ.)[6]. მართალია, მოტივი აქ ოდნავ სხვანაირადაა ვარირებული და პალმეტებიც სხვანაირი მოყვანილობისაა.

თავისებური წნული გვაქვს იმავე თახჩის მეორე სვეტის კაპიტელზე (ტაბ. XI, სურ. 24)[7]. მედალიონი აქ მრგვალია, ოღონდ ქვის კუთხეებში მარყუჟებს იკეთებს. ეს იმისათვის, რომ კვადრატული ქვის არე შეივსოს და კუნჭულები ცარიელი არ დარჩეს. ამ მარყუჟებიან წრეში კონცენტრულად ჩაწერილია მეორე პატარა წრე. ამ ორ წრეს

---

1 იქვე, ტაბ. XCIV:168.

2 იქვე, ტაბ. XIII:22.

3 ასე, მაგ., ასეთი წნული გვაქვს უკვე მცხეთის ჯვრის ერთი კოზმიდის ფრაგმენტზე (Baltrusaitis, Pl. I:2).

4 Baltrusaitis, Pl. XXXI:49.

5 იქვე, ტაბ. XLI:65.

6 იქვე, ტაბ. XL:62 და 64.

7 ნახატი შესრულებულია მხატვ. მ. ხუციშვილის მიერ.

შორის სიმეტრიულად განაწილებული შვიდი 8-იანი გადახლართულია ორსავ წრესთან, რის გამოც, უსასრულო ბორბლისებური ფიგურა იქმნება. ცენტრში ეზო მრგვალია, რვიანებს შორის კი გულის მოყვანილობისაა[1].

ორი სხვა მედალიონი ე. წ. უსასრულო მარყუჟებს შეიცავს. ერთზე, რომელიც მოთავსებულია კარის ამყოლის სვეტის ხარისხზე, ოთხყურა მარყუჟში ორი კონცენტრული წრეა გაყრილი (ტაბ. XI, სურ. 25)[2]. ეს მოტივი, სხვადასხვა ვარიაციებით, ძალიან გავრცელებული იყო საქართველოშიც და სომხეთშიც X-XIII საუკუნეებში. ასე, იგი გვხვდება ტბეთში (X ს.)[3], ბედიაში (X-XI ს.), ჯავახეთის ზეგანში (X-XI ს.)[4], ერთაწმინდაში (XI-XII ს.)[5] და სხვ.; სომხეთში: ანისში (X-XI ს.)[6], ამაღუში (XIII ს.)[7], ხაჩქარებზე ძალიან ხშირად[8] და სხვ. იხმარებოდა ეს სახე მინიატურულ მხატვრობაშიც[9].

მეორე მედალიონი ამკობს ჩრდილო-თახჩის სვეტისთავს. აქ უსასრულო მარყუჟი ჩაწერილია კვადრატსა და შიგ შეწიაღებულ რომბში და სამივე ფიგურა უსასრულოდ არის ერთმანეთთან გადახლართული (ტაბ. XI, სურ. 26)[10]. ამის მსგავსი სახე გვაქვს აგარის კანკელზე (აჭარა, XIII-XIV ს.)[11], ახპატის ხაჩქარზე[12] და სხვ.

სამხრეთი კედლის სარკმლის ამყოლის ჩარჩოს ერთ ხარისხზე მედალიონი წარმოადგენს პატარა წრიდან დიაგონალურად ოთხი მიმართულებით განშტოებული წნულებისაგან გამოყოფილ მართკუთხედს, რომელიც კუთხეებში გადახლართულია მასზე დადებულ კვადრატთან; ეს უკანასკნელი თავისი მხრით იქმნება წრეში ჩაქსოვილი ჯვრის კიდურებზე გადაშლილი პალმეტების წვეროებისაგან. აქ ერთი სახე ისე უწყვეტლივ გადადის მეორეში, რომ მათი გარჩევა ძალიან ძნელია. ამავე ამყოლის ჩარჩოს მეორე

---

1 ამ ფიგურას შორეულად მოგვაგონებს მარტვილის ტაძრის ერთ-ერთი მედალიონის სახე (იხ. გ. ჩუბინაშვილის ქართ. ხელოვნ. ისტ., ტაბ IV).
ზემოთ წარმოდგენილ სურათზე ორნამენტის ეზოების მოყვანილობა ვერაა სავსებით სწორად გადმოცემული.

2 ნახატი შესრულებულია მხატვ. მ. ხუციშვილის მიერ.

3 Матер. по Арх. Кавк., III, табл. XI, VII: აქ გარეგანი წრე გადახლართულია კიდევ კვადრატთან.

4 Матер. по Арх. Кавк., XII, стр. 68, рис. 43: აქ მარყუჟში გაყრილია წრე და შიგ შეწიაღებული კვადრატი.

5 Baltrusaitis, Pl. IV:7: აქ უსასრულო მწკრივია შექმნილი გადაჯაჭვული მარყუჟებისა და შიგ გაყრილი და აგრეთვე გადაჯაჭული წრეებისაგან.

6 Strzygowski, Baukunst der Armenier, Bd. II, S. 317, Abb. 355: აქ მარყუჟი კომბინირებულია წრესა და შიგ შეწიაღებულ რომბთან.

7 იქვე, გვ. 533, სურ. 573: აქ კომბინირებულია მარყუჟი და ერთი წრე.

8 იქვე, ტ. I, გვ. 257, სურ. 288; Baltrusaitis, Pl. XVIII:29: აქ ისეთივე უსასრულო მწკრივია შექმნილი, როგორც ერთაწმინდის ზემოხსენებულ ორნამენტზე. აღვნიშნავ კიდევ, რომ თავისებური სახე გვაქვს თალინის ჯვარის კვარცხლბეკზე (Strzygowski დ. ნ., ტ. II, გვ. 716, სურ. 678), საცა რომბია გაყრილი ოთხყურა მარყუჟში, რომლის ყურები მახვილი კი არაა ჩვეულებისამებრ, არამედ მომრგვალებულია. ეს ქვა X ს-ზე უფრო ძველი ჩანს. ხაჩქარებზე გვხვდება აგრეთვე მრავალყურა მარყუჟები.

9 იხ., მაგ., Стасов, Славянский и восточный орнамент, табл. 150:25 (XI-XII ს-ის ქართული მინიატურა).

10 ნახატი შესრულებულია მხატვ. მ. ხუციშვილის მიერ.

11 Мат. по Арх. Кавк., IV, табл. XV. აქ კვადრატისა და რომბის ეზოები შევსებულია კიდეე ხლართული სახეებით.

12 Baltrusaitis, Pl. XXV:43: მარყუჟი ჩაწერილია კვადრატსა და ორ რომბში.

ხარისხის კვადრატული მედალიონი უბრალო ნნულებს შეიცავს. ყველგან ამ სიმეტრიულად აწყობილი და თავჩაკეტილი ფიგურების ზონარი სამზოლიანია.

აღსანიშნავია კიდევ ერთი სახე, რომელიც გრძელი და ვიწრო, ჩვეულებრივად ვერტიკალური ან თაღოვანი კონსტრუქციების შესამკობად ხშირად იხმარებოდა ჩვენში XI-XIII საუკუნეებში. ამ მოტივს შეიძლება „წვეთების მწკრივი" ვუწოდოთ. ეს სახე სამებაში მოხმარებულია კარის ამყოლის წყვილედი სვეტის ტანის შესამკობად (ტაბ. XI, სურ. 27). იგივე სახე ამკობდა, როგორც ნაშთიდან ჩანს, სამხრეთი კედლის სარკმლის ამყოლის ჩარჩოს სვეტებისა და აფსიდის შუასარკმლის ამყოლის ჩარჩოს სვეტების ტანსაც. „წვეთები" ვერტიკალურადაა განლაგებული და ორკანტიანია, თითქოს ორი „წვეთი" ერთი მეორეში იყოს შეწიაღებული. სამებაში ისინი თავთხელადაა ამოღებული ქვაში და თითოეული გამოყოფილია სვეტზე გარდიგარდმო და დაქანებით გატარებული წვრილი ორმაგი ზოლებით. ეს ორნამენტი ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს ფარდის შემკულობის ერთ-ერთი დეტალი გადაეტანოთ ქვაზე. ეს მოტივი თითქმის იმავე სახით გვხვდება ნიკორწმინდაში (XI ს.)[1], ერთაწმინდაში (XI-XII ს.)[2] და დმანისში (XIII ს.)[3].

დასასრულ, აღვნიშნავ კიდევ, რომ სამებაში აღმოჩნდა ფრაგმენტი ჯვარის ტიპის გუმბათოვანი ეკლესიის ქვის მოდელისა. ქვა ლეგა მომწვანო ქანისაა. მოდელს ჩამოტეხილი აქვს გუმბათი და ძირა ნაწილი. სიმაღლე მისი ეხლა 0,40 მ-ს არ აღემატება, ხოლო ფრონტონებშორისი სიგრძე-სიგანე თითქმის ერთნაირია (0,37 და 0,36 მ.). ქვა კარგადაა ნათალი, მაგრამ საკმაოდ მქისედაა გამოყვანილი სარკმლები, თახჩები, ჯვარი და ფრონტონების სადა ნნული ჩუქურთმა[4].

როგორც მოვიხსენიე, „წვეთების მწკრივი" სამებაში თავთხელადაა ამოღებული ქვაზე. ყველა დანარჩენი ჩუქურთმა კი საკმაოდ მაღალია, რელიეფის კიდეები ღრმად და შვეულადაა ჩაჭრილი ქვაში[5], ისე რომ შექმნილია მუქად დაჩრდილული გრუნტი, რომელზედაც ორნამენტის ნათელი ხაზები უფრო მკაფიოდ იხატება[6]. ტექნიკურის

---

[1] Baltrusaitis, Pl. XXII:37: აქ „წვეთები" უფრო ღრმადაა ამოღებული ცერადკვეთით.

[2] იქვე, ტაბ. VII:14: აქ კანტები უფრო რელიეფურია და „წვეთების" შუაგულში წიბურია დატოვებული.

[3] სიონის დასავლეთი კარიბჭის დასავლეთი ფასადის ჯვარის ქიმებზე: აქაც „წვეთების" შუაგულში წიბურებია დატოვებული. იმ დროს, როდესაც სამებაში „წვეთების" შუაგული ჩაჭრილია. ორნამენტი ამკობს ჯვარის ყველა ქიმებს, როგორც ვერტიკალურს ისე ჰორიზონტულსაც (იხ. ჩემი „დმანისი", გვ. 384. სურ. 42. საცა, სამწუხაროდ, ორნამენტი ძლივსღა განირჩევა).
არ შეიძლება უარვყოთ ამ მოტივის მსგავსება და, ალბათ, ნათესაობაც იმასთან, რომელსაც სტრიგოვსკი ბოთლისებურს უწოდებს („Flaschenartiges Motiv", იხ. მისი Altai-Iran und Völkerwanderung, S. 97, Abb. 92 – სამარა. S. 219, Abb. 183 – ანისი). მართლაც, სამარისეულ მაგალითზე მას გარკვევით ბოთლისებური, მრგვალძირიანი, მაღალ და ვიწროყელიანი შუშის მოყვანილობა აქვს. თანაც ამ მოტივის ვერტიკალური განლაგებაც აქ ჩვენსას გვაგონებს. სამარისეულ ბათქაშის კედელზე იგი რელიეფურია. ანისისეული მაგალითი კი ქვაზე სწორედ ისეთსავე ჩაჭრილ ორნამენტს გვიჩვენებს, როგორიც სამებაში გვაქვს: მისი მოყვანილობა უფრო წვეთისებურია, ვიდრე ბოთლისებური.

[4] ეს ფრაგმენტი ჩამოტანილია თბილისში და ამჟამად შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმში ინახება.

[5] გარდა პალმეტების ფურცლების გულებისა, რომლებიც, ჩვეულებისამებრ, ცერადკვეთითაა ამოღებული.

[6] ყველა ამ თვისებებით სამების ორნამენტი, მართალია, ძალიან დაშორებულია, მაგ., იკორთის ტაძრის ჩუქურთმის სიმშვენიერეს.

თვალსაზრისით, ჩუქურთმა უზადოდაა შესრულებული – წნული ყველგან მკაფიოა, ხაზები მკვეთრი, ზედაპირი სუფთა. მას არ შეიძლება სილამაზე წავართვათ, მაგრამ ცხოველსახულობა და სიტურფე მას აკლია, იგი სიმშრალის შთაბეჭდილებას ტოვებს[1]. ამ მხრით სამების ორნამენტიკა ახლო ენათესავება ქართული მოგვიანო ბაროკოს ძეგლების შემკულობის სტილს (თბილისის მეტეხი და სხვ.)[2]. მრავალი საერთო ნაკვთი აკავშირებს ამ ტაძარს დმანისის სიონის დასავლეთ კარიბჭესთან და, მგონი, ჩვენ არ შევცდებით, თუ მასაც XIII ს-ის პირველი ნახევრის ძეგლად მივიჩნევთ.

V. სამება – ბაშქიჩეთი

სამებიდან 1 კილომეტრით უფრო ზევით ბოსლების წყალზევე მდებარეობს თათრებით დასახლებული **კაკლიანი**. აქ მცირე უსახური ეკლესია დგას, რომელიც გომურადაა ქცეული. კაკლიანს ოთხიოდე კილომეტრითაა დაშორებული, სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, **ყიზილ-ქილისა**, რომლის ჩრდილოეთით ვახუშტის რუკაზე დატანილი და რუს. გენ. შტაბის რუკაზეც აღნიშნული სოფ. ტანძიის ნანგრევი მდებარეობს. ყიზილ-ქილისაშიც თათრები ცხვორობენ. აქ ყოფილა ერთნავიანი საშუალო ზომის ეკლესია, შემოსილი თლილი ლეგა ქვის კვადრებით. ეხლა მხოლოდ ჩრდილოკედელიღა დგას ამ შენობისა. დანარჩენი ძირამდე დანგრეულია. ტაძრის ჩრდილოეთით, დაახლ. 30 ნაბიჯის მანძილზე, მიწაში ვერტიკალურად ჩასმულია დიდი, კარგად გათლილი ფილაქანი, რომლის ერთ მხარეზე ლამაზი ჩუქურთმის მცირე ნაწილი ჩანს. დანარჩენი, სამწუხაროდ, მიწაში იკარგება.

კიდევ სამხრეთ-დასავლეთით, სულ 2,5 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს **შინდლარა**[3]. აქაც მოსახლეობა თურქულია. სოფლის თავზე ერთნავიანი მცირე ეკლესია დგას, კარგად ნაგები თლილი ქვით და კარგადაც დაცული, რომლის გარშემო პატარა სასაფლაოცაა. ტაძრის სამხრეთ კედელში ჩასმულია ერთი ჩუქურთმიანი ქვა. სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, დაახლ. 0,5 კილომეტრის მანძილზე, კიდევ არის პატარა ერთნავიანი ტაძარი, აგრეთვე თლილი ქვით ნაგები უპერანგოდ. აქ გალავნის ნაშთებიცა ჩანს.

შინდლარას 3,5 კილომეტრითაა დაშორებული სამხრეთ-დასავლეთისაკენ მაშავრის მარცხენა ნაპირას მდებარე **ბაშქიჩეთი**, რომელიც დუხობორებითაა დასახლებული. როგორც ჩანს, აქ ოდესღაც დიდი სამოსახლო უნდა ყოფილიყო. თვით აწინდელ სოფელში

---

[1] სწორედ, ესაა ამ ჩუქურთმის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი, მაგ., იკორთის ჩუქურთმაში.

[2] დეკორის ანსამბლიც, რამდენადაც ეს აღმოსავლეთი ფასადის ნაშთების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, ქართული გვიანი ბაროკოს ხასიათს ატარებს.

[3] ვახუშტის რუკაზე ორი შინდლარაა ნაჩვენები: ერთი ტანძიის სამხრეთ-დასავლეთით. მეორე კი პირველი შინდლარიდან პირდაპირი მიმართულებით დასავლეთისაკენ, პირველი უნდა იყოს ის სოფელი, რომელიც მე დამითვალიერებია. გენ. შტაბის 5-ვერსიან რუკაზეც აღნიშნულია მეორე შინდლარა, ოღონდ იგი აქ მაშავრის ნაპირას მდებარეობს, ბაშქიჩეთს ზემოთ.

შინდლარა იხსენიება 1706 წლის ერთ სიგელში (საქ. სიძვ. II, გვ. 361), მაგრამ ძნელი გადასაწყვეტია თუ რომელი შინდლარა იგულისხმება, 1721 წლ. ხალხ. აღწ. დავთარში „ორივე შინდლარის“ მოსახლეობა ერთადაა აღრიცხული. (გვ. 205, 297).

სხვათა შორის, თუ ბაშქიჩეთის მდებარეობას პირველ შინდლარასა და ყალამშიას მიმართ შევადარებთ ტამალიას მდებარეობას ვახუშტის რუკაზე, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ბაშქიჩეთი დაახლოებით ამ უკანასკნელი სოფლის ადგილასაა აშენებული.

დგას ძველი ერთნავიანი ეკლესიის ნანგრევი, რომელიც საინტერესოა თავისი უჩვეულო, ნახევარფარგლოვანი მოხაზულობის სარკმლებით, ხოლო სოფლის განაპირას, სამხრეთ-დასავლეთით, დიდ მინდორზე კიდევ ერთი ეკლესიის ნანგრევია, ძველი სასაფლაო და მრავალი ძველი შენობის მწკრივებად ჩარიგებული ქვის საძირკვლები. ადგილობრივებს ახსოვთ, რომ მაშავერზე, რომელიც ამ ადგილას ღრმა კანიონით მიმდინარეობს, გვირაბიც ჩადიოდა, რომლის შესავალი მათ თვითონ ამოუქოლიათ. ამგვარად, შესაძლებელია აქ ერთ დროს მცირე ქალაქი და ციხე ყოფილიყოს.

ისე, როგორც დმანისის და ტნუსის პირდაპირ, აქაც მაშავრის ნაპირების მაღალსა და ციცაბო კლდეებში მრავალი გამოქვაბულია, რომელთაგან ზოგს ადამიანის ხელიც ეტყობა. ერთი გამოქვაბულის დათვალიერება უფრო ახლოს მომიხდა. ვიწრო და დაბალ ხვრელებში მხოლოდ ცოცვით შეიძლებოდა გასვლა რამდენიმე მოსახვევის შემდეგ მიწის ქვეშ აღმოჩნდა პატარა საყოფელი ოთახივით, რომელშიც კლდეში ხელოვნურად გამოკვეთილია წყარო. ერთ ადგილას ხვრელი ღრმად მიდიოდა მიწაში, მაგრამ შესავალი ჩანგრეული იყო და შიგ არ შეისვლებოდა.

VI. ჰამამლუ[1]

ჰამამლუში ორი გზით შეიძლება ასვლა დმანისიდან: ერთი აჰყვება მდ. ყარა-სუს ანუ ჰამამლუს წყალს, რომელიც დმანისიდან 5 კილომეტრით უფრო ზემოთ მარცხნიდან ერთვის ლოქ-ჯანდარის წყალს ანუ ვახუშტის ფინეზაურს და რომლის შუაწელს ზემოთ, შესართავიდან დაახლ. 8 კილომეტრის მანძილზე, თვით სოფ. ჰამამლუ მდებარეობს; ხოლო მეორე მიდის ლოქ-ჯანდარის წყლის (ფინეზაურის) ხევით, ყარა-სუს შესართავიდან 2 კილომეტრის შემდეგ გადაუხვევს სამხრეთ-დასავლეთისკენ მუღანლუს წყლის ხევში, რომელიც მარცხნიდან ერთვის ლოქ-ჯანდარის წყალს, აჰყვება მას დაახლ. 5 კილომეტრის მანძილზე ვიდრე ყაშხათალამდე და აქედან გადაუხვევს ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ჰამამლუსაკენ, რომელიც დაშორებულია ყაშხათალას აგრეთვე ხუთიოდე კილომეტრით[2].

---

[1] ეს თავი დაიბეჭდა აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილს საქ. სახ. მუზეუმის მოამბეში № X-B, 1940 წ;. გვ. 23-47, შემდეგი სათაურით: „თორელთა გენეალოგიის გარკვევის ცდა ჰამამლუს XII ს-ის წარწერებთან დაკავშირებით". აქ იბეჭდება მცირეოდენი შეესებაშესწორებით.

[2] ჩემს „დმანისში" შეცდომა შემპარვია: მე იქ ყარა-სუ ანუ ჰამამლუს წყალი მაქვს მიჩნეული ძველ ფინეზაურად (იხ. გვ. 320 და 325). ნამდვილად ვახუშტის ფინეზაური აწინდელ ლოქ-ჯანდარის წყალს უდრის. თავის „გეოგრაფიაში" ვახუშტი პირდაპირ ამბობს: „ფინეზაურის ჴევი არს მომდინარე ლოქის მთიდამ" (ჯანაშვ. გამოც. გვ. 49) და რუკაზეც ჯანდარს დაახლ. ფინეზაურის შუაწელზე უჩვენებს. ეს სწორედ აწინდელი ლოქ-ჯანდარის წყალია, რომელიც ლოქის მთიდან და ჯანდარზე ჩამოდის. ვახუშტს აწინდელი ყარა-სუ რუკაზე დატანილი აქვს უსახელოდ, მაგრამ წარწერა: „მდ. ფინეზაური", ლოქის მთისკენ კი არ ნაუღია, როგორც უნდა ყოფილიყო მისივე განმარტების მიხედვით, არამედ დასავლეთით, ისე რომ ფინეზაურის ზემოწელი თითქოს აწინდელი მუღანლუს წყალი გამოდის (ასეა, ყოველ შემთხვევაში, ბროსეს მიერ გამოცემულ რუკაზე; მართალია, მუღანლუს წყალი ვახუშტის რუკაზე მეტის-მეტად დაშორებულია ყარა-სუს შესართავს). დაახლოებით იმ ადგილას, სადაც ეხლა ჰამამლუ მდებარეობს, ვახუშტი უჩვენებს თაგუთს.

ყარა-სუს შესართავის ახლოს რამდენიმე პატარა ძეგლია. შესართავს ცოტა ქვემოთ, ლოქ-ჯანდარის წყლის მარჯვენა ნაპირას უჩვენებენ ძველი ფინეზაურის ნასახლარს[1]. ყარა-სუს მარჯვენა ნაპირას ტყიან ფერდობზე მდებარეობს წინაისტორიული სასაფლაო, რომელიც ამ შვიდიოდე წლის წინათ შემთხვევით აღმოჩნდა ახალი გზის გაჭრისას[2]. ყარა-სუს მარცხენა ნაპირას, შესართავიდან 1 კილომეტრის მანძილზე, მაღალ კლდოვან ფერდობზე, თათრებით დასახლებული სოფ. **საფარლუ** მდებარეობს, რომლის განაპირას ერთნაივიანი მცირე ტაძრის ნანგრევი დგას, რომელსაც გარშემო ფართო სასაფლაო აკრავს. ტაძარი თლილი ქვითაა ნაგები, მაგრამ წარწერა ან ორნამენტი არ მოეპოვება. საფლავის ქვები, უხეშ გამოსახულებათა მიხედვით[3], XVI-XVII საუკუნეებისა უნდა იყოს. ერთ ქვას წარწერა აქვს. თითქოს სომხური.

ცოტა უფრო ზემოთ, საფარლუსა და მამიშლუს შორის[4], ყარა-სუს მარჯვენა ნაპირას ტყეში, ერთი მეორის ზემოთ ორი ერთნავიანი პატარა შენობა დგას. ერთსაც და მეორესაც სასაფლაოები აკრავს. ამ ადგილს თათრები **„ჯომუშ-ბათანს“**[5] ეძახიან. ქვემო ეკლესია საინტერესოა იმით, რომ მას სახურავის ლორფინები შემოუნახავს. ზემო ეკლესია კი თავისთავად მნიშვნელოვანს არაფერს წარმოადგენს, მაგრამ აქ საინტერესოა სასაფლაოს ბარელიეფებიანი ქვები. ერთ საფლავის ქვას სომხური წარწერა აქვს, რომლის თარიღი „ՌՃԵ“ 1656 წელს უდრის[6].

ლოქ-ჯანდრისა და შემდეგ მუღანლუს ხეობით მიმავალი გზა უღრან ფოთლოვან ტყეშია გაჭრილი. აქ სიძველეები, ვიდრე ყაშხათალამდე, რამდენადაც ცნობების შეკრება შემეძლო, არ მოიპოვება. ყაშხათალაში ამ 50-ოდე წლის წინათ თურქეთიდან გადმოსახლებული ბერძნები ცხოვრობენ. აქედან 1,00-1,50 კილომეტრის მანძილზე ჩრდილო-აღმოსავლეთით, მუღანლუს წყლის მარცხნით, მაღალ მთის ფერდობზე ტყეში დგას **კზილ-ქილისას**[7], ანუ, როგორც ბერძნები ამბობენ, „ღუზულ-ქილისას“ ნანგრევი. ეს ძეგლი გავლით საჩქაროდ დავათვალიერე. იგი საინტერესო ნაშთებს შეიცავს. აქ, როგორც ჩანს, მონასტერი ყოფილა. აღმოსავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან შენახულია ძველი ქვის გალავნის კარგად ნაგები დუღაბიანი კედელი. გალავნის ფარგლებში, ეკლესიას გარდა, სხვა შენობების ნაშთებიც ჩანს. ერთი ქვის შენობის კედელი მთლიანად არის დაცული. შესაძლებელია, ესეც ეკლესია იყო. აქვე წყაროცაა, რომელიც გადახურულია ქვის საჩეხით. ეკლესია ერთნავიანი პატარა შენობაა, შემოსილი წითელი თირის პერანგით. სახურავი დაფენილი იყო ლორფინით, რომელიც,

---

[1] მოკლე ცნობა ამ ნასახლარის შესახებ იხ. ჩემს „დმანისში“, გვ. 323, შენ. 4.

[2] გზამ კარგა ბლომად გააფუჭა საფლავები, მაგრამ სასაფლაოს უდიდესი ნაწილი ჯერ ისევ ხელუხლებელია. საფლავების ინვენტარი საქ. მუზეუმის არქეოლოგიურ. განყოფილებაში ინახება. მცირე მასშტაბის გათხრები ნაწარმოები აქვს გ. ნიორაძეს (იხ. Г. К. Ниорадзе, Могильник «Стеклянного завода», Пробл. ист. докапит. общ., изд. ГАИМК, 1934, №3). 1936 წელს მეც მომიხდა იქ რამდენიმე ქვაყუთის გახსნა, რომლებიც ყველა ცარიელი აღმოჩნდა.

[3] ერთი გამოსახულება გულხელდაკრეფილ კაცს წარმოადგენს.

[4] მამიშლუ დაშორებულია საფარლუს სულ სამიოდე კილომეტრით.

[5] თათრულად, ასე მითხრეს, „კამეჩის საფლობს“ ნიშნავსო.

[6] სამწუხაროდ, ყარა-სუს ხეობაში ისე გვიან მომიხდა წასვლა, რომ „ჯომუშ-ბათანში“ უკვე დაგვიბნელდა. ამის გამო, ვერც ფოტოსურათები გადავიღეთ და ვერც წარწერების წაკითხვა მოვასწარით. მეორედ იქითკენ ასვლა უკვე ვეღარ მოვახერხე. საფლავის ქვები უთუოდ შესწავლის ღირსია, ერთი, მახსოვს, უნაგირიან ვერძს წარმოადგენს.

[7] თურქულად „ქალწულის ეკლესიას ნიშნავს“.

ნაწილობრივ, დღემდე თავის ადგილასაა დაცული. შესავალი ეკლესიას მხოლოდ ერთი აქვს, სამხრეთიდან, შიგნით, შესავლიდან აღმოსავლეთით, სამხრეთი კედლის ქვაზე გამოქანდაკებულია სომხური მთავრული წარწერა, რომელიც, დაზიანებულობის გამო, კარგად აღარ იკითხება. სულ ორი სტრიქონი უნდა იყოს. მის ქვემოთ, იმავ ქვაზე, მეორე ორსტრიქონიანი, მაგრამ უკვე ამოკოდვილი წარწერა ყოფილა (სომხური?), რომელიც თითქმის სრულებით გადარეცხილია. აფსიდის ორივე ქანი და მათი თარხნები შემკულია ბარელიეფებით (ჩანს ჯიხვები, წრეებში ჩასმული ტოლმკლავებიანი ჯვრები, მცენარეული სახეები, მათ შორის, ყურძნის მტევნები). ჩრდილო-კედელში ჩასმულია ორ წრეში ჩაწერილი ტოლმკლავებიანი ჯვრიანი ქვა.

გარეთ, აღმოსავლეთის კედელში, სარკმლის ზემოდან 4 ბარელიეფიანი ფრაგმენტია ჩაშენებული: აქ გამოსახულია ჯვარი, სტილიზებული მცენარეული ორნამენტი, ყურძნის მტევანი, გრიფონები. ეს ქვები ნაგვიანევადაა ამ ადგილას ჩასმული, უსწორმასწოროდ. დასავლეთის კედელში, სარკმლის ზემოთ, ჩაშენებულია მაღალი რელიეფით გამოქანდაკებული ჯვრიანი სწორკუთხოვანი ქვა.

ყაშხათალიდან ჰამამლუში მისასვლელად დიდ პანტის კორომზე უნდა გაიაროთ. პანტიანის განაპირას, ჰამამლუდან დაახლ. 1 კილომეტრის მანძილზე აღმოსავლეთისაკენ, ყარა-სუს მარჯვნით, მცირე სამოსახლოს ნაშთებია, რომელსაც რამდენიმე ათეული ნაბიჯითაა დასავლეთისაკენ დაშორებული გალავნით შემორტყმული ეკლესია და მცირე სასაფლაო.

სამოსახლოში შენახულია რამდენიმე სახლის ქვის საძირკველი. კედლები უდუღაბოდ ყოფილა ნაგები. საინტერესოა ერთი მოზრდილი სწორკუთხოვანი ნაგებობა, რომელიც ბაკსა ჰგავს[1]: უშველებული პრტყელი კლდეები ჩასმულია ღრმად მინაში ფარღალალა მნკრივად; სამხრეთიდან ამ ნაგებობას თითქოს კარი ჰქონია – აქ ორი განსაკუთრებით დიდი სწორკუთხოვანი ქვა დაახლ. 2,00 მეტრითაა ერთი მეორეს დაშორებული; მათგან ერთის ზომებია 2,15×1,10×0,80 მ., მეორისა – 1,80×1,05×0,60 მ.

ეკლესიის გალავანიც ამ „ბაკის" მსგავსადაა ნაგები, თუმცა უფრო მცირე ზომის კლდეებით, ისე რომ სამოსახლო წარმოშობით, ნაწილობრივ მაინც, უთუოდ ეკლესიასთან არის დაკავშირებული.

სასაფლაოზე საინტერესო ჩუქურთმიანი და ბარელიეფებიანი საფლავის ქვები მოიპოვება. უმეტესობას სომხური წარწერები აქვს. ასეთი ქვა სულ ოთხი დავთვალე. ერთზე ცალ მხარეზე გამოსახულია მშვილდ-კაპარჭოსანი, მეორე მხარეზე კი ორი სიმეტრიულად მდგარი შეკაზმული ცხენი, რომლებიც მათ შუა მდგომ კაცს უჭირავს; ამ კაცის მარჯვნით, მხარგასწვრივ და ცხენს ზემოდან გურზია გამოსახული, მარცხნით კი ფარი[2]. არის აქ უწარწერო ქვის ვერძიც. შემდეგ, ერთი ვიწრო და გრძელი (3 მ-მდე), ოთხწახნაგა პრიზმისებური მოყვანილობის კარგად გათლილი ქვა, რომელზედაც გამოსახულია ჯვარი, ამოგდებულია თავისი კვარცხლბეკიდან და განზე გდია, ეტყობა, საფლავის გაჩხრეკის მიზნით.

ეკლესია კარგადაა შენახული, ორფერდა სახურავითურთ, თუმცა შეკეთების ცხად ნიშნებს ატარებს. იგი შემოსილია კარგად გათლილი ლეგა შაჰნაზარული ქვის კვადრე-

---

[1] კრომლეხსაც შეიძლება მივამსგავსოთ, თუმცა მრგვალი არაა.

[2] ეს ქვა, ანალოგიურ სომხურ გამოსახულებათა მიხედვით (შდრ. Материалы по Археологии Кавказа, XIII, стр. 96, рис. 38, стр. 97, рис. 40 და стр. 151, рис. 85), XV-XVI საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს.

ბით და წარმოადგენს დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ორიენტირებულს მცირე ერთნავიან შენობას (ტაბ. XII, სურ. 28.), რომლის სიგრძე 6,60 მ-ს, ხოლო სიგანე 4,60 მ-ს უდრის. კედლების სისქე 0,80 მ-ს არ აღემატება. სარკმელი სამია: აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით. შესავალი ეკლესიას მხოლოდ სამხრეთიდან აქვს. კარის სიგანე 0,85 მ-ს, სიმაღლე 1,79 მ-ს შეადგენს. შიგნით 3,70 მ-ის სიგრძისა და 3,00 მ-ის სიგანის ოთხკუთხედს აღმოსავლეთიდან ამთავრებს ოდნავ ნალისებურად მოხრილი აფსიდა, სიგანით 2,80 მ., სიღრმით 1,50 მ., აფსიდის კედლებში ორი ერთნაირი სწორკუთხოვანი ნალოა, სიგანით 0,29, სიმაღლით 0,38. სიღრმით 0,40 მ. აფსიდის წინა ქანები 0,10 მ-ის სიგანისაა. ისინი პილასტრებივით არიან დამუშავებული და მათს სადა კაპიტელებზე დაყრდნობილია აფსიდის კონქის ნახევარფარგლოვანი პირი. სიმაღლე მთელი შენობისა შიგნით დაახლ. 5,00 მ-ს აღწევს. ქვის ტრაპეზზე, რომელიც ეხლა საკურთხეველში გდია, რელიეფით გამოსახულია დიდი, ფრთოსან კვარცხლბეკზე მდგარი ჯვარი.

სხვა შემკულობა შიგნით ეკლესიას არ ჰქონია. გარედანაც ეკლესია ძალიან სადაა შემკული. შესავლის ბალავრის ქვაზე გამოსახულია ორხარისხოვან კვარცხლბეკზე მდგარი ჯვარი, გადახურული ორნამენტული თაღით. დასავლეთის კედელში სარკმლის მარცხენა ქვა შემკულია დაბალი რელიეფით გამოყვანილი ორი ჯვარედინად გადახაზული წრით. ამ სარკმლის ზემოთ ჯვრიანი ქვაა: რელიეფით გამოსახული ჯვარი ჩასმულია თავთხელად ამოღებულ „თახჩაში" და კვარცხლბეკზე დგას. ჯვარის გასწვრივ. მარცხნით და მარჯვნით, ამოკოდვილია წვრილი მთავრული ასოებით შემდეგი 4-სტრიქონიანი წარწერა (მარცხენა და მარჯვენა ნაწილები გაყოფილი მაქვს ვერტიკალური ხაზით):

1. წ˜ი	გ˜რგლ
2. ზ˜ღსა	მცველი
3. ვრძგა	რჩთა
4. მზღვ	რჩა>[1]

თუმცა თითქმის ყველა ასო კარგად ჩანს და წანაკითხი თავისთავად ეჭვს არ იწვევს, მაინც წარწერის აზრის გაგება ძნელია. პირველი ორი სტრიქონი ადვილად გაიხსნება: „წმიდაი გრიგოლ, ზღვსა მცველი", დანარჩენი კი გაუგებარია. მე-3 სტრიქონის ხაზზე თვით ჯვარზე ჩანს თითქოს რაღაც ასოს ნაშთი, ეგებ „უ" იყო. მაშინ ამ სტრიქონის მეორე სიტყვა შეიძლებოდა წაგვეკითხა, როგორც „ურჩთა"[2].

ამავ ქვაზე, ქვემო მარცხენა კუთხეში, მთავრულით ამოკოდვილია:

1. ქ˜ე შ˜ე
2. ი˜ე

ე. ი.: „ქრისტე, შეიწყალე იოანე".

ამ ქვის ზემოთ, უმეშვეოდ ლავგარდნის ქვეშ ჩასმულ ოთხკუთხოვან ქვაზე მთავრულით ამოკოდვილია ორი წარწერა.

ზემოდან 2 სტრიქონი:

---

[1] ქარაგმა მხოლოდ სამჯერაა ნახმარი; უკანასკნელ სტრიქონში ბოლოდან მეორე ასო („ჩ") სათუოა.

[2] სამწუხაროდ, ჰამამლუს ფოტოგადანაღებმა სულ ერთთავად გვიღალატა. ამიტომ, წარნერის პალეოგრაფიულ თვისებათა შესახებაც ვერაფერს ვიტყვი. წარწერების გადაღება ჰამამლუში ძნელდება იმით, რომ მათ წინ ამოსული ხის ტოტები ჰფარავს.

1. ქ ად˜ნ: ღ˜ნ მფ˜თა: მ˜[ფე]
2. თმ˜რ: ე˜ვი კ˜ხჲ[1]

დამწერლობა კიდურწერტილოვანია, ასოები მსხვილი, ლამაზი. უნდა აღინიშნოს, რომ მე-2 სტრიქონის ბოლოში თითქოს კიდევ ორი ასო ყოფილა, რომელთაგან მეორე „კ"-ანად შეიძლება წავიკითხოთ, მაგრამ ეს ასოები ძალიან საეჭვოა – ეს ადგილი უფრო ქვის შემთხვევით ნაოჭსა ჰგავს.

ქარაგმების გახსნით წარწერა ასე წაიკითხება:

„ქ. ადიდენ ღმერთმან მეფეთა მეფე თამარ. ერისთავი კახაჲ".

იმავე ქვაზე, ამ ორი სტრიქონის ქვემოთ, ისეთივე ხელით სხვა 4 სტრიქონია ამოკოდვილი:

1. ქ˜ე შ˜ენ: ბღლ – – –
2. ძე: ოქრ˜პი[რ] – –
3. კრვი: ძენი: მ[თნი:]
4. ამისნი: მშნბლ [ნი:][2]

უნდა აღინიშნოს შემდეგი: ყველა ასო კარგად იკითხება, გარდა პირველი სტრიქონის „ლ"-ასისა. სახელდობრ, აქ შეიძლება „ზ"-ენი იყოს, თუმცა ასო „ლ"-ასს უფრო ჰგავს. წარწერის მარჯვენა ნახევარი, როგორც ეს ჩემი გადმონაწერიდანაცა ჩანს, გაფუჭებულია – აქ ქვა არის ახეთქილი. პირველ სტრიქონში მე ვუჩვენებ 3 ასოს დანაკლისს. მართლაც, სტრიქონის ნაშთის მიხედვით, აქ სამი ასო უნდა დატეულიყო. მაგრამ ადვილი შესაძლებელია, რომ ამ ადგილას ასოები შორი-შორ ეწერა და მხოლოდ ორი იყო მოთავსებული, ე. ი. მთელი სტრიქონი 10 ასოს შეიცავდა, ისევე, როგორც მე-2 სტრიქონი. თუ ეს დავუშვით, მაშინ შეიძლება მთელი წარწერა ასე აღვადგინოთ, ქარაგმების გახსნით:

„ქრისტე, შეინდვენ ბეღელ[ას]ძე[3] ოქროპი[რ და] კრავაი. ძენი მ[ათნი], ამისნი მაშენებელ[ნი]".

ორივე წარწერა სრულებით უდავოდ ერთდროულია: ერთ ქვაზეა მოთავსებული, ერთი ხელითაა დაწერილი და ერთსა და იმავე საგანს შეეხება, სახელდობრ, ტაძრის აშენებას.

პირველი წარწერიდან ცხადია, რომ ტაძარი აშენებულია თამარის დროს, XII ს-ის დამლევს ან XIII ს-ის დამდეგს. ეკლესიის მაშენებელნი ყოფილან, მეორე წარწერის მიხედვით, ვინმე კრავაი და „ძენი მ[ათნი]". რასაკვირველია, რახან მე აქ ვკითხულობ: „მ[ათნი]", შეიძლება წარწერა ისეც გავიგოთ, რომ მაშენებელნი არიან ოქროპირ ბეღელ[ას]ძე, მისი ცოლი კრავაი და მათი ძენი. მაგრამ ოქროპირი, როგორც თვით ამ სახელიდანა ჩანს, სასულიერო პირი უნდა იყოს. კრავაი, პირიქით, საერო პირია. აქ არავითარი ეჭვის მიტანა არ შეიძლება, რადგან „კრავაი" ქრისტიანული სახელი არაა. ამგვარად, იმ თავითვე საფიქრებელი ხდება რომ „მ[ათნი]" შეეხება მხოლოდ კრავას და ნახმარია როგოორც pluralis maiestatis. ოქროპირ ბეღელ[ას]ძე გარეშე პირია, რომელიც,

---

[1] განკვეთილობის ნიშნები და ქარაგმები გადმოღებულია ზუსტად.

[2] სასვენი ნიშნები და ქარაგმები ზუსტადაა გადმოღებული; აღდგენისას გათვალისწინებული მქონდა სტრიქონის სიგრძე.

[3] რა თქმა უნდა, შეიძლება, მაგ., „ბაღალ[ას]ძე"-ც ყოფილიყო ან „მ[ისნი]", მაგრამ აქ მრავლობითი უფრო მოსალოდნელია.

მართალია, რაღაც უშუალო დამოკიდებულებაში იმყოფება ტაძართან და, შესაძლებელია, მის ამშენებლობასთანაც[1]. გვარის მიხედვით არ ჩანს, რომ იგი ნათესავურ კავშირში მაინც იმყოფებოდეს კრავასთან[2]. და რომ ეს ასეა, ამას, მგონი, საკმაო სიცხადით გამოამჟღავნებს ის, რაც შეიძლება ითქვას კრავაის და მის ძეთა ვინაობის შესახებ.

მარტო პირველი წარწერა რომ შემონახულიყო, ჩვენ ბუნებრივად დავასკვნიდით, რომ ტაძრის მაშენებელი იყო კახა ერისთავი. მაშასადამე, კახა ყოფილა კრავაის ძე და მეორე წარწერის „ამისნი მაშენებელ[ნი]", რომელიც მხოლოდ კახას შეიძლება შეეხებოდეს, აგრეთვე pluralis maiestatis-ს წარმოადგენს.

კრავაცა და კახაც თამარის ხანის ცნობილი ისტორიული პირები არიან. სახელი „კრავაი" ძალიან იშვიათია. ჩვენს წყაროებში, რამდენადაც ვიცი, იგი მხოლოდ სამჯერ გვხვდება, სამჯერვე მესხეთში. პირველად გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში, საცა კრავაი სამცხის დიდებული აზნაურის მირეანის მეუღლეს ეწოდება[3]. მეორედ ვალეს VIII-IX ს-ის ტაძრის წარწერაში[4]. ხოლო მესამედ თამარის ანონიმური ისტორიკოსის თხზულებაში. სახელდობრ, აქ ვკითხულობთ: ყუთლუ-არსლანის შეპყრობის შემდეგ, მის მომხრე დიდებულთა დასაშოშმინებლად, თამარმა „წარავლინნა ორი საპატიონი დიოფალნი, რომელ იყო ერთი ხუაშაქი ცოქალი, დედა ქართლისა ერისთავისა რატისი, მეორე კრავაი ჯაყელი, დედა აწ მყოფთა სამძივართა, უბრძანა ფიცით მინდობა" და სხვ.[5]. ეს მოხდა 1186/7 წ. კრავაი ყოფილა ჯაყელის ქალი, გათხოვილი ვინმე სამძივარზე, სამძივართა დედა[6]. მართლაც, იგივე ისტორიკოსი იხსენიება კახა სამძივარს, რომელიც, სარგის თმოგველთან ერთად, თამარმა ტაოში გაგზავნა 1190/91 წ., განდგომილი გუზანის წინააღმდეგ საბრძოლველად[7]. ისტორიკოსის ცნობებისა და ჰამამლუს წარწერის ასეთი შეხვედრა შეუძლებელია შემთხვევითი იყოს და სრულებით ცხადია, რომ წარწერაში მოხსენებული კრავაი სწორედ ჯაყელის ქალია და კახა სამძივარი მისი შვილია. წარწერა გვამცნევს, რომ კახა ერისთავი ყოფილა, რაც ისედაც საფიქრებელი იყო იმ

---

1 შეიძლება ოქროპირი ხელოსანიც იყოს, ტაძრის ფაქტიური ამშენებელი. ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ მეორე წარწერა მისი გაკეთებულია.

2 დამახასიათებელია, რომ ოქროპირი გვარით იხსენიება, საფიქრებელია სწორედ იმიტომ, რომ იგი „უგვაროა". კრავასა და კახას, როგორც დიდგვარიანებს. ასეთი ნიშანდობლივი დასახელება არ სჭიროდათ.

3 იხ. ნ. მარის გამოცემული „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება", Тексты и Разыск. по Арм.-Груз. Филологии, кн. VII, ПБГ. 1911, ქართული ტექსტის გვ. „კე".

4 იხ. ე. თაყაიშვილის „Археологич. экскурсии, разыск. и заметки", Изв. Как. Отд. Моск. Археол. Общ., вып. II, стр. 71.

5 იხ. ზ. ჭიჭინაძის გამოც. „ქართლის ცხოვრება", თბ. 1897, გვ. 409 და ე. თაყაიშვილის გამოც. „ქართლის ცხოვრების მარიამისეული ვარიანტი", გვ. 630 (ხელნაწერისა). ამას იქით ამ ორსაე გამოცემას ასე ვუჩვენებ შემოკლებით: ქცˇა, 409 (630).

6 შეიძლებოდა ადამიანს ეფიქრა, რომ კრავაი ჯაყელის ასული კი არ იყო, არამედ ჯაყელზე იყო გათხოვილი და რომ, ამგვარად, ჯაყელები იყვნენ სამძივართა გვარისანი. ამას თითქოს ადასტურებს ამ ადგილის მარიამისეული ქართლის ცხოვრების ვარიანტი, რომელიც ასე იკითხება: „კარავი ჯაყელთა დედა აწ მყოფთა სამძღუართა". მაგრამ მარიამისეულ ვარიანტს, რომელიც ყოელად უვიცი გადამწერისგანაა გადაწერილი და, როგორც ცნობილია, უამრავი შეცდომებითაა სავსე, ვერ დავენდობით. აქაც, უეჭველია, გადამწერის შეცდომასთანა გვაქვს საქმე. არც ერთი სხვა ცნობა არ მოგვეპოვება, რომ ჯაყელთა სამძივრობას ამტკიცებდეს. ჩვენი გაგება ტექსტისა უფრო ბუნებრივიცაა და მას შემდგომი ცნობებიც დაგვიდასტურებს.

7 ქცˇა, 432 (657).

როლის მიხედვით, რომელსაც იგი ასრულებს ანონიმის ერთადერთი ზემოხსენებული ცნობის თანახმად.

ამგვარად, ჰამამლუს ტაძარი აშენებული ყოფილა ერისთავის კახა სამძივრის მიერ და, საფიქრებელია, სწორედ იმავ წლებში, როდესაც ის ისტორიაში იხსენიება, ე. ი. 1190/1 წლების ახლო ხანებში. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ კახა თავის წარწერაში მხოლოდ თამარს ასახელებს. ყველაზედ უფრო მოსალოდნელია ეს იმ დროს, როდესაც თამარი პირველ ქმარს გაეყარა, ან კიდევ, როდესაც ის ჯერ ახლად გათხოვილი იყო დავით სოსლანზე. მაგრამ ტაძრის აგების თარიღის ნიშანდობლივად განსაზღვრის საკითხი ახდილად დავტოვოთ და გავყვეთ ჩვენს წარწერას სხვა მიმართულებით.

რატომ უნდა აეშენებინა სამძივარს ტაძარი ჰამამლუში? რა ხელი ჰქონდა XII ს-ში მას ქვემო-ქართლის ამ უკიდურეს დასავლეთ მხარეში? ამ საკითხის მეტ-ნაკლები სისრულით გასაშუქებლად უნდა განვიხილოთ სამძივართა გვარის ისტორია.

ცნობები თვით სამძივართა შესახებ, სამწუხაროდ, ძალიან ცოტა მოგვეპოვება. პირველად ეს გვარი იხსენიება ანდრია მოციქულის მიმოსვლის ქართულ თარგმანში. სახელდობრ, ანდრია რომ აწყვერში მისულა, იქ მაშინ მთავრობდა თურმე „დედაკაცი ვინმე ქურივი სამძივარი"[1]. ეს ცნობა, ისე, როგორც ყველა დანარჩენი ცნობები ანდრიას მიმოსვლის შესახებ საქართველოში, შეტანილი უნდა იყოს ამ თხზულებაში მისი მთარგმნელის ექვთიმე მთაწმინდელის მიერ, რომელიც X ს-ის მეორე ნახევარსა და XI ს-ის პირველ მეოთხედში მოღვაწეობდა[2]. ამგვარად, X ს-ის მეორე ნახევარში სამძივარნი სამცხეში, სახელდობრ, აწყურის რაიონში სხედან. უწინაც აქ იყვნენ ისინი, თუ საიდანმე გადმოსახლებულები არიან, ამის თქმა ძნელია. ეს გვარი შეიძლება გეოგრაფიული სახელისგან იყოს ნაწარმოები. რუს. გენერ. შტაბის 5-ვერსიან რუკაზე დიდი ლიახვის სათავეებში დატანილია ერთ-ერთ მარჯვენა შემდინარე ხევზე მდებარე სოფ. მზივი[3], რომლის სახელწოდებიდანაც შეიძლება იყოს წარმომდგარი „სა-მზივ-არი> სა-მძივ-არი", ისე, როგორც, მაგ., ხახულისა, ტბეთისა და ოპიზის სახელებისაგან წარმომდგარია „ხახულ-არი", „მ-ტბე-ვ-არი" და „ოპიზ-არი", ან კიდევ სლესისაგან – „სლეს-არი", იმ განსხვავებით, რომ ეს სახელი ნაწარმოებია „სა"-თავსართის დართვით. მეორე მხრით, სამოქალაქოში, ხონის ახლოს არის ადგილი „სამზიარი"[4] და სამძივართა გვარი

---

[1] ქც ̄ა. 55: საბინინის მიერ „საქართველოს სამოთხეში" გამოცემულ ტექსტს ეს ცნობა აკლია (იხ. გვ. 36. საცა ლაპარაკია ანდრიას მისვლის შესახებ სოსანგელთა სოფელში). ეტყობა, ორი რედაქცია ყოფილა ანდრიას მიმოსვლისა – უფრო მოკლე (საბინინის ტექსტი) და უფრო ვრცელი, რომლითაც უსარგებლია ვახტანგისეულ კომისიას ქართლის ცხოვრების ტექსტის შედგენისას. მიმოსვლის ტექსტი ჯერ კრიტიკულად შესწავლილი და გამოცემული არ არის. შესაძლებელია მასში სხვადასხვა დროის პლასტებიც აღმოჩნდეს. ჯერჯერობით კი არა დაგვრჩენია რა გარდა იმისა, რომ ვრცელი ტექსტიც ექვთიმე მთაწმინდელის კალამს მივაწეროთ.

[2] იხ. ივ. ჯავახიშვილის „ანდრია მოციქულის და წმ. ნინოს მოღვაწეობა საქართველოში", ჟურნ. „მოამბე", ტფ., 1900 წ. № VI; ექვთიმეს ცხოვრების წლების შესახებ შდრ. კ. კეკელიძის „ქართ. ლიტერატ. ისტორია", I, ტფ., 1923, გვ. 183-184.

[3] Пагирев-ი თავის საძიებელში უჩვენებს შემდეგ კოორდინატებს: 61-30 და 42-30. ვახუშტის „გეოგრაფიის" ცნობების მიხედვით, ის ხევი, რომელზედაც მზივი მდებარეობს. თითქოს ან კოშკის ან როკის ხევი უნდა იყოს (იხ. ჯანაშვილის გამოც. გვ. 113).

[4] Пагирев-ით შემდეგ კოორდინატებზე: 60-00 და 42-15.

შეიძლება პირდაპირ ამ ადგილის სახელს იმეორებდეს. ამგვარად, შესაძლებელია, რომ სამძივარნი სამცხეში გადასახლებულნი იყვნენ ქართლიდან ან იმერეთიდან. არც ერთი და არც მეორე გასაკვირველი არ იქნებოდა, რადგან, როგორც სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებიდან ვიცით, IX ს-ში სამცხე უღვანი, მცირედ კაცრიელი იყო და მხოლოდ X ს-ში იქნა ხელახლა დასახლებული[1].

შემდეგი ორი ცნობა სამძივართა შესახებ, რომლებიც თამარის ისტორიკოსს ეკუთვნის, ზემოთ უკვე მოვიყვანე[2]. სამძივარი მოხსენიებულია აგრეთვე სამცხე-საათაბაგოს საკათალიკოზო სამწყსოს თავადთა და სოფელთა სიაში, ამასთანავე, მეორე ადგილას[3]. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ XIII-XIV საუკუნეებში სამძივარნი ისევ-ისე სამცხეში სხედან[4].

გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს კიდევ ორი ცნობა სამძივართა შესახებ, რომლებსაც ქვემოთ ცალკე განვიხილავთ.

ამგვარად, თვით სამძივართა შესახებ შემონახული ცნობების მიხედვით არ ჩანს, თუ რა კავშირი შეიძლებოდა ჰქონოდათ მათ ჰამამლუს რაიონთან. მართალია, ფეოდალიზმის პირობებში, როცა მემკვიდრეობა და პირადი წყალობა ასეთ დიდ როლს თამაშობდა, სულ ადვილი წარმოსადგენია, რომ სამცხელ აზნაურებს მიწები ჰქონოდათ ქვემო-ქართლშიც. დიდგვარიანთა შორის (და რომ სამძივარნი დიდგვარიანნი არიან, ეს ზემომოყვანილიდან სრულებით ცხადია) ასეთი გაფანტული, ერთი მეორეს ძალზე დაშორებული მიწის მფლობელობა ხშირი მოვლენა იყო. მაგრამ ცოტა სხვანაირად წარმოგვიდგება საქმის ვითარება, თუ დავუშვით, რომ სამძივრები იგივე თორელები იყვნენ, ანუ უკეთ, რომ თორელების ნამდვილი გვარი სამძივარი იყო. ეს იმიტომ, რომ თორელებს, თორსა და ახალციხეს გარდა, ახალქალაქიც და საზოგადოდ მთელი ჯავახეთიც ეჭირათ სამოხელეოდ და, როგორც ჩანს, ერთ დროს მათს სახელოში შედიოდა ჯავახეთზე უშუალოდ მიკრული მაშავრის სათავეებიც, სადაც ჰამამლუ მდებარეობს.

რატომ შეიძლება დავუშვათ, რომ კახა სამძივარი თორელი იყო? – ამას გვაფიქრებინებს თვით მისი სახელი „კახა". ცნობილია, რომ ქართველ მსხვილ ფეოდალთა შორის მიღებული იყო ა. ვ. საგვარეულო სახელების ტარება, რომლებიც პაპიდან შვილი-შვილზე, ხოლო ზოგჯერ მამიდან შვილზეც გადადიოდა. ასე, ჯაყელებში გავრცელებული იყო სახელები ბოცო, ბეშქენ და მემნა, ორბელიანებში – ლიპარიტ, რატი და ნიანია, რაჭის ერისთავებში – კახაბერი, მჭარგრძელთა შორის – სარგის და ზაქარია და მისთ.. სახელი კახა, შალვასა და ივანეს გვერდით, მიღებული იყო სწორედ თორელთა საგვარეულოში. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ კმარა, რომ კახა სამძივარი მაინცდამაინც თორელად გამოვაცხადოთ. თორელთა შესახებ დაცული ცნობების განხილვა, მგონი, უცილობლად გამოარკვევს, რომ ჩვენი ჰიპოთეზა სწორი უნდა იყოს.

---

[1] იხ. ივ. ჯავახიშვილის „ქართვ. ერის ისტ.", ნ. II, თბ., 1913, გვ. 320.
საინტერესოა, რომ ერთ ხევსურულ თქმულებაში დაცული არის ქალის ქართული წარმართული სახელი „სამძიმარა", რომელსაც ეგებ რაიმე კავშირი ჰქონდეს სამძივართან (იხ. გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, ნ. II, თბ. 1939, გვ. 25-26; ამ თქმულებაზე მიმითითა აკად. ივ. ჯავახიშვილმა).

[2] აღვნიშნავ კიდევ, რომ XII ს-ის დამლევს ცხოვრობს ვინმე არსენ სამძივარი, თამარ მეფის საწოლის და საჭურჭლის მწიგნობარი (იხ. თ. ყორდანიას „ქრონიკები", II, 74).

[3] იხ. დ. ბაქრაძის „Археологическое путешествие по Гурии и Адчаре", ПБГ, 1878, стр. 79.

[4] აღნიშნული ძეგლი დაუთარიღებელია. ტექსტი კრიტიკულად შესწავლას მოითხოვს. საერთო შთაბეჭდილებით, იგი XIV ს-ში ჩანს შედგენილი.

თორელებში ძალიან გავრცელებული იყო აგრეთვე სახელი „გამრეკელი“ და აი, ერთი პირველ ცნობათაგანი გამრეკელების შესახებ დაცული აქვს X ს-ის სომეხთა ისტორიკოსს ასოღიკს: 998 წლის ქვეშ, ადარბადაგანის ამირა მამლანთან ბრძოლის აღწერილობისას, მას მოხსენებული ჰყავს „სახელოვანი ძმები მესხნი გამრეკლები“[1]. აქ „გამრეკელი“ გვარი ჩანს და არა სახელი და მართლაც, მოგვიანო ხანაში, გადმოცემით, თორელებს გამოეყვნენ ეხლანდელი გამრეკლები. მაგრამ ძველ ქართულ წყაროებში, როგორც ვნახავთ „გამრეკელი“ ხან გვარად იხმარება და ხან სახელად და მეტ-ნილად ისე, რომ არ შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ამ წოდების ქვეშ გვარი იგულისხმებოდეს[2]. ამასთან, ერთ სათუო გამონაკლისს გარდა (იხ. ქვემოთ ვარაზ-ბაკურ გამრეკელის შესახებ), არც ერთი შემთხვევა არა გვაქვს, რომ წოდება „გამრეკელი“ ვისმე სხვას, თორელებს გარდა, ეტარებინოს[3]. ამგვარად, ასოღიკის მესხნი გამრეკლები თორელები უნდა იყვნენ. ესენი ჩნდებიან, მაშასადამე, სამძივართასავით X ს-ის მეორე ნახევარში და ესენიც სამცხეში სხედან[4]. XI ს-ში, სახელდობრ, 1060 წლის ქვეშ იხსენიება უკვე ვინმე ბერი ბასილ, თორელ-ყოფილი, რომელსაც ოთხთავი გადაუწერია კალიპოსის მონასტერში (სირიაში)[5]. ხოლო 1065 წლის ახლო ხანებში ვხვდებით ვინმე ერისთავს ვარაზ-ბაკურ გამრეკელს, რომელმაც ბაგრატ IV-ის ბრძანებით კვირიკე სო-

---

[1] იხ. Ստեփանոսի Տարոնեցւոյ Ասողկան Պատմութիւն Տիեզերական, ՊՏԲ. 1885, გვ. 273. ამ წყაროზე მიმითითა აკად. ივ. ჯავახიშვილმა (შდრ. მისი „ქართვ. ერის ისტ., II, 418). ამაზე ცოტა უფრო ადრე, სახელდობრ, 990 წლ. ახლო დროის ბრძოლის აღწერილობისას ამირა მამლანთან, გამრეკელი მოხსენებული ჰყავს მათე ედესელს. მისი ცნობით, გამრეკელი ამ ომში დავით კურაპალატის ჯარის უფროსი ყოფილა (იხ. M. Brosset. Addit. et Eclairc, á l'Hist. de la Géorgie, p. 181). შესაძლებელია, ეს ერთი იმ ძმათაგანი იყოს, რომლებსაც ასახელებს ასოღიკი. 998 წლ. ომს მათე ედესელი არ იხსენიებს.

[2] თუ სახელი „გამრეკელი“, როგორც ეს აკად. ივ. ჯავახიშვილმა კერძო საუბრის დროს შესაძლებლობის სახით გამოსთქვა, სამოხელეო წოდებისაგან მომდინარეობს, მაშინ ასოღიკს შეიძლება სწორედ ეს წოდება ჰქონდეს მხედველობაში, როცა ის ზემოხსენებულ ძმებს „გამრეკლებს“ ეძახის. შდრ. ამ წოდებას მჭარგრძელთა წოდება, რომელიც, როგორც ცნობილია. უფრო გვარად იხმარებოდა, მაგრამ ვაჰანის ძეგლში სახელადაც გვევლინება (იხ. ვაჰანის ქვაბთა განგება, გამოც. ლ. მუსხელიშვილის მიერ, თბ., 1939, გვ. 16-18).

[3] მართალია, პატივცემული პ. ინგოროყვა ჰფიქრობს, რომ აძიკვის ბარელიეფზე გამოსახული „გამრეკელი“ და ჟამთააღმწერელთან 1245 წლის ქვეშ მოხსენებული „გამრეკელი“ ორბელები არიან (იხ. მისი „რუსთველიანა“, I. თბ. 1926, გვ. 339). მაგრამ ეს ასე არ უნდა იყოს. ჟამთააღმწერელის გამრეკელი (ქცᲜა, 551) არის იმ დროს კარგად ცნობილი გამრეკელი თორელი (იხ. იქვე, გვ. 527, 547, 549), ხოლო ორბელი (ქცᲜა, 551), ალბათ, სუმბატ ორბელია (იხ. იქვე, გვ. 559). მოგვიანო ხანაში კი სახელი გამრეკელი გავრცელებული ჩანს. ასე, იგი გვხვდება ორ სომხურ წარწერაში, რომლებიც გამოცემული აქვს კ. კოსტანიანცს: ერთში, რომელიც 1425 წლითაა დათარიღებული, იხსენიება ვინმე ზაქარია, შვილიშვილი გამრეკლისა (იხ. Վիմական Տարեգիր, կազմեաց Կ.Կոստանեանց, ՊՏԲ. 1913, გვ. 172); მეორე წარწერა, სადაც კიდევ იხსენიება გამრეკელი, 1447 წელს ეკუთვნის (იქვე).

[4] ვახუშტს თორი ქართლში შეაქვს (იხ. მისი „გეოგრაფია“, ჯანაშვილის გამოც., გვ. 83-84: „აღწერა თორისა და ან გუჯარეთისა“, შდრ. გვ. 123-124: „აღწერა სადგრის ჭეობისა“), მაგრამ ძველად, როგორც ეს ლ. მროველის ცნობიდან გარკვევით ჩანს, ქართლის საზღვარი მხოლოდ ტასისკარამდე მიდიოდა, ხოლო „ტასისკარითგან ვიდრე არსიანთამდის“ სამცხე იყო (ქცᲜა, 39/21). ამგვარად, თორი სამცხეში შედიოდა.

[5] იხ. თ. ჟორდანიას „ქრონიკები“, I, 207-208.

მეხთა მეფე შეიპყრო (ქცˆა, 332/498). აქაც „გამრეკელი“, როგორც ვხედავთ, გვარის აღმნიშვნელია და თუმცა დანამდვილებით არა ითქმის რა, არა მგონია შევცდეთ, თუ ეს ვარაზ-ბაკურიც თორელად ჩავთვალეთ.

თორელები, ცხადია, ამათ იმიტომ დაერქმეოდათ, რომ ისინი თორსა ჰფლობდნენ და გარკვეულ ხანაში, ალბათ, თორში ისხდნენ კიდეც[1]. მართალია, თორის საზღვრები უძველეს ხანაში ცნობილი არაა (შესაძლებელია, მაგ., რომ X-XI საუკუნეებში თორი აწყვერსაც მოიცავდა), მაგრამ ის ცხადია, რომ ამ პროვინციაზე გადადიოდა მაშინაც და დღესაც სავაჭრო და სტრატეგიულის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი ორი გზა: ერთი მტკვრის ხეობით, სამცხიდან ქართლში და მეორე ცხრაწყაროს უღელტეხილზე, ჯავახეთიდან ქართლში. მაშასადამე, თორს, როგორც სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულს, დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, განსაკუთრებით საქართველოს გაერთიანების ხანამდე. შემდეგში თორელების საგამგეო, როგორც ვნახავთ, ძალიან გაფართოვდა და მათი წოდება XII ს-ში, არსებითად, უკვე ცარიელი ტრადიციაღა ჩანს: თორელებს ყველგან ვხედავთ მმართველ-გამგეებად, გარდა თვითონ თორისა[2].

თორელების გენეალოგიის მეტ-ნაკლები სისრულით დასადგენად უნდა გათვალისწინებული გვქონდეს ის გარემოება, რომ მემატიანენი, რომლებიც ხშირად მათ მიერ აღწერილი ამბების თანამედროვენი და ზოგჯერ თანადამხდურნიც არიან, ჩვეულებისამებრ, გულუბრყვილოდ ჰფიქრობენ, რომ ის სახელოვანი პირნი, რომლებსაც ისინი იხსენიებენ ამა თუ იმ გამოჩენილი ამბის მონაწილედ, მკითხველებისთვისაც ცნობილნი არიან. ამიტომ ხშირად მარტო სახელია ხოლმე აღნიშნული, ან მარტო გვარი ან კიდევ თანამდებობას გარდა არაფერია მოხსენებული და ეს საკმარისად არის მიჩნეული, რომ მკითხველი მიხვდეს თუ ვის შესახებაა ლაპარაკი. ამის გამო, ამა თუ პირის ვინაობის გამოსარკვევად, ჩვენ მოგვიხდება ხშირად ერთი-ერთმანეთზე ქრონოლოგიურად ძალზე დაშორებული ცნობების მონაცემის შეთანაპირება.

1060 წლის შემდეგ მთელი ერთი საუკუნის მანძილზე არავითარი ცნობა თორელების შესახებ არ მოგვეპოვება. მხოლოდ 1163 წლის ქვეშ კვლავ იხსენიება თორელი, რომელიც ანისში ზის და ამაგრებს მას[3]. ეს უნდა იყოს XII ს-ის მეორე ნახევრის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე გამრეკელი თორელი. მემატიანე მას უწოდებს „დიდსა და სახელგანთქმულ მოლაშქრეს“[4]. დიდი თორელი მხოლოდ ერთი იყო XII ს-ში, სახელდობრ, გამრეკელი, რომლის შესახებ ცნობა შემოგვინახა სომეხმა ისტორიკოსმა სტეფანოს ორბელიანმაც. სტეფანოსის სიტყვით, 1177 წელს. დემნა ბატონიშვილის განდგომის დროს, მას მიემხრნენ პირველ ხანებში, სხვა ქართველ დიდებულებთან ერთად, „ჯავახნიც – კახა და შვილნი მისნი და დიდი გამრეკელი და ჯაყელი მემნა“ და სხვ.[5].

---

[1] შესაძლებელია, თორი იყო მათი „მკვიდრი მამული“.

[2] მხოლოდ ერთხელ, XIII ს-ის შუახანებში. იხსენიება ვინმე ლიპარიტ თორელი, რომელიც თორში ზის (ქცˆა, 559/812).

[3] ქცˆა, 391 (607).

[4] იქვე.

[5] იხ. Պատմութիւն Նահանգին Սիսական, արարեալ Ստեփաննոսի Օրբելեան Արքեպիսկոպոսի Սիւնեաց, Թիֆլիս, 1911, გვ. 384.

ա՝ո՝ ս՝ր՝ ս՝ ամենայն գլխաւորք և ազատք Վրաց ընդ Իվանէի և ամենեքեան համագունդ դիմեալ եկեալ էին առ նա յԱգարակն դարապաս՝ Քարթլիս Հերիսթաւքն և Ղաւրդաւրայքն և Ջաւախուրքն. Կախայն և որդիք իւր և Կամրագէն մեծ և Ջաղել Մեմնայն և Տաշրացիքն և Կայենեցին Հասան“ ... და სხვ.

1187 წელს გამრეკელ თორელს მიეცა ამილახორობა[1], 1190/91 წ. მას უკვე ამირ-სპასალარად ვხედავთ[2]; ამავ წლებში ის გარდაიცვალა[3] და მერმე მის შესახებ ცნობები აღარ მოგვეპოვება. მემატიანე მას ერთხელ „თორელს" ეძახის (გვ. 391/607), ერთხელ „გამრეკელ თორელს" (გვ. 410/632) და ორჯერ „გამრეკელს" (გვ. 428/652 და 431/657), და მის მიერ ამილახორობის პატივის მიღების აღნიშვნის დროს ისტორიკოსს რომ არ მიეწერა – ეს ის გამრეკელი თორელია, „რომელი შემდგომად სარგის მჴარგრძელისა ამირ-სპასალარცა იქმნაო"[4], ჩვენ ისევ მიხვედრა დაგვჭირდებოდა, რომ ყველგან ერთსა და იმავე პირზე არის საუბარი. ერთ ადგილას კი ანონიმი სწერს: 1186/7 წელს თურქებმა რომ მოარბიეს „ქუეყანა პალაკაციოსი, ძაღლის-ჴევად წოდებული, მაშინ მიუჴდა მათ ზედა გამრეკელი კახასძე" და დაამარცხა და ამოსწყვიტა ისინიო[5]. ვინ უნდა იყოს ეს გამრეკელი კახას ძე, თუ არა ისევ დიდი გამრეკელი თორელი, რადგან სხვა მხედართმთავარს გამრეკელს XII ს-ში ჩვენ არ ვიცნობთ. ამასთან, დამახასიათებელია, რომ პალაკაციოში სწორედ ის ლაშქრობს და არა სხვა რომელიმე ერისთავი, რადგან, როგორც ვნახავთ, ეს ქვეყანა თორელების საგამგეოს ეკრა უმეშვეოდ და უთუოდ მათ სახელოს შეადგენდა. მაშასადამე, გამრეკელი თორელი კახას ძე ყოფილა. აქ უნებლიედ მოგვაგონდება საორბისის ეკლესიის წარწერა. გაკეთებული ამ ტაძრის მაშენებლის, ერისთავთ-ერისთავის კახას შეკვეთით 1152 წელს[6]. ცნობილია, რომ თეძმის ხეობა, სადაც მდებარეობს საორბისი, ჯავახიშვილების მამული იყო და რომ ჯავახიშვილები თორელების ჩამომავალნი არიან. სრულებით ბუნებრივია დავასკვნათ, რომ კახა ერისთავთ-ერისთავიც თორელია და რომ თორელები უკვე XII ს-ში დამკვიდრებულან თეძმის ხეობაში. კახა თავის წარწერაში იხსენიებს კიდეც თავის სოფელსა და მიწას. მას, როგორც წარწერიდან ჩანს, რამდენიმე შვილი ჰყოლია. ერთი მათგანი გამრეკელი

„და ყველა ქართველი მთავარნი და აზნაურნი ივანეს თანახმანი იყვნენ, ყველამ ერთად მიმართეს და მივიდნენ მასთან აგარაკის დარბაზში: ქართლის ერისთვიანნი და ყვარყვარაანი და ჯავახნი, კახა და ძენი მისნი და დიდი გამრეკელი და ჯაყელი მემნა და ტაშირელნი და კაენელი ჰასან"...).

ამგვარად, ქართველ მთავართაგან სტეფანოსი ასახელებს ქართლის ერისთავს და მის თანამოგვარეებს და ხელქვეითებს (ამიტომაა ნახმარი მრავლობითი: „Քարթլիս Հերիսթաւքն" = ქართლის ერისთვიანნი"; ეს პატივი ამ დროს, როგორც ვიცით, ლიპარიტ ორბელს ეჭირა – იხ. ქცˇა, 397); ყვარყვარელთ ანუ ყვარყვარაანთ (Ղաւրդաւրայքն), ე. ი. ჯაყელებს; და ჯავახებს, რომლებიც ნიშანდობლივ არიან კახა და შვილნი მისნი და დიდი გამრეკელი. სამი დიდი გვარია, მაშასადამე, დასახელებული: ორბელნი, ჯაყელნი და თორელნი. სხვანაირად ამ ტექსტის გაგება ძნელია. გარდა ამისა, ცალკე საგანგებოდაა მოხსენებული. გამრეკელის გვერდით, მემნა ჯაყელიც და ეს, როგორც ვნახავთ, შესაძლებელია არც თუ შემთხვევით მოსვლოდეს სტეფანოსს: ეგებ, სწორედ მემნა ჯაყელი იყო კრავაის მამა და, ამგვარად, გამრეკელის სიმამრი (იხ. ქვემ.).

სხვა ძველ სომხურ წყაროებში ცნობები თორელების შესახებ არ მოიპოვება. უღრმეს მადლობას მოვახსენებ პატივცემულ პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს, რომელმაც დრო არ დაიშურა და ჩემთან ერთად გადაათვალიერა ყველა შესატყვისი სომხური წყაროები.

[1] ქცˇა. 410 (632).

[2] იქვე, 428 (652).

[3] იქვე, 431 (657).

[4] გვ. 410 (632).

[5] ქცˇა, 415 (637).

[6] იხ. გ. ჩუბინაშვილის „Саорбисская Церковь" Христианский Восток, т. IV, ПТГ р., 1915, стр. 184.

უნდა ყოფილიყო. მეორე, შესაძლებელია, ის კახა ჯავახია, რომელსაც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, სტეფანოს ორბელიანი იხსენიებს გამრეკელის გვერდით. როგორც ამ კახას (სტ. ორბელიანის ცნობით)[1], ისე გამრეკელსაც შვილები ჰყოლიათ. ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ გამრეკელის გარდაცვალების შემდეგ, „თმოგვისაგან კიდე არა-რა დააკლეს შვილთა მისთაო"[2]. თმოგვი გადაუციათ სარგის მწარგრძელისათვის, რომელიც ამის შემდეგ თმოგველად იწოდებოდა[3].

ვინ იყვნენ გამრეკელის შვილები, არსად გარკვევით ნათქვამი არ არის და მისი შთამომავლობის დასადგენად ჩვენ იძულებული ვიქნებით ისევ ერთგვარი ვარაუდი გავწიოთ. პირველ ყოვლისა, აქ საინტერესოა იმ წარწერის ფრაგმენტი, რომელიც ივ. როსტომაშვილს უნახავს ჯავახეთის ახალქალაქში და რომელშიც ამირ-სპასალარი გამრეკელი იხსენიება[4]. ჩვენთვის საგულისხმო და არსებითი ნაწილი ამ წარწერისა შეიძლება შემდეგნაირად იქნას აღდგენილი:

„[ქ.] აღვაშენე ესე წმიდაი [მეფობასა თამარი]სსა და ამირ-სპ[ასალარისა] გამრეკელისა ძეთა [და] ------ რატის პატრონობასა შინა"...

სრულებით ცხადია, რომ ეს ამირ-სპ[ასალარი] გამრეკელი არის დიდი გამრეკელი თორელი. სხვა ამირ-სპასალარს გამრეკელს ჩვენ არ ვიცნობთ. პალეოგრაფიულად წარწერა თამამად შეგვიძლია XII ს-ისად ჩავთვალოთ[5]. კონტექსტიდან საფიქრებელია, რომ გამრეკელი ამ დროს უკვე გარდაცვლილია, ე. ი. რომ წარწერა 1190/91 წლების შემდეგაა გაკეთებული, როდესაც ჯავახეთს მისი შვილები პატრონობდნენ. ამგვარად, სრულებით უდავოა, რომ XII ს-ის დამლევს თორელები ჯავახეთს ჰფლობენ, სადაც, ალბათ, უკვე დიდი გამრეკელი მმართველობდა. ჩვენ ვიცით, რომ მას თმოგვი ეჭირა, რომელიც ჯავახეთის ფარგლებში შედიოდა. სტეფანოს ორბელიანიც მას ჯავახს უწოდებს და ახლა გასაგები ხდება თუ რატომ უნდა ელაშქრა პალაკაციოში, რომელიც სამხრეთიდან აკრავს ჯავახეთს, სწორედ მას. მის შვილებს თმოგვი ჩამოართვეს და გადასცეს სარგის მწარგრძელს, მაგრამ სხვა მათთვის არა დაუკლიათ რა. და აი, ბასილი ეზოსმოძღვარი, თამარის მეორე ისტორიკოსი, თავის შესანიშნავ ცნობაში საქართ-

---

[1] სტეფანოსის სიტყვები ისეც შეიძლება გავიგოთ, რომ გამრეკელი ერთ-ერთი შვილია სწორედ ამ კახასი. ე. ი. რომ ეს იგივე საორბისის წარწერის კახაა. მაგრამ მაშინ ის არ იხმარდა კავშირს „და" („კახა და შვილნი მისნი და დიდი გამრეკელი"). გარდა ამისა, გამრეკელი, სტეფანოსისავე ცნობით, ძალიან დამოუკიდებლად იქცევა: მან პირველმა მიატოვა დემნა და მას მიჰყვნენ სხვა დიდებულნიც (იხ. იქვე). ასე რომ ეს უფრო კახა II უნდა იყოს, ძმა და არა მამა გამრეკელისა. დროის მანძილიც საორბისის წარწერასა და სტეფანოსის ცნობას შორის (1152 წ.-1177 წ.) საკმაოდ დიდია, რათა ერისთავთ-ერისთავი კახა უკვე გარდაცვლილად ვიგულვოთ. გარდა ამისა, რადგან ჯერ კახაა დასახელებული, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ იგი უფროსი ძმა იყო, მაგრამ ეს სტეფანოსს შემთხვევითაც შეიძლებოდა მოსვლოდა. როგორც აღვნიშნე, გამრეკელი ისე სუვერენულად მოქმედებს, რომ უფროსი სწორედ ეგა ჩანს.

[2] ქცˇა, 431 (657).

[3] იქვე, 432 (657).

[4] იხ. ივ. როსტომაშვილის „Ахалкалакский уезд в археологическом отношении" Сборн. Матер. для Опис. Местн. и Плем. Кавказа, вып. XXV, стр. 37-38.

[5] რატი შეიძლება ქართლის ერისთავი რატი სურამელი იყოს (ქცˇა, 409/630, 411/632), რომლის ხელი ამ დროს ეგებ ჯავახეთსაც მისწვდებოდა, ან კიდევ მას შეიძლება მინები ჰქონდა ახალქალაქის რაიონში. მაშინ შეიძლება ნაკლული ადგილიც შევავსოთ: „... გამრეკელისა ძეთა [და ქართლისა ერისთავის]ა რატის პატრონობასა შინა".

ველოს სანაპიროთა შესახებ გადმოგვცემს, რომ ჯავახეთის მონაპირენი იყვნენ სარგის მწარგრძელი თმოგველი და შალვა თორელი[1]. ეს, უეჭველია, თამარის შეგნებული პოლიტიკა იყო, რომ სამხედრო-ადმინისტრაციული ოლქები მას ჩაბარებული ჰქონდა არა ერთი რომელიმე ერისთავისათვის, არამედ თითოეულში რამდენიმე, როგორც ჩანს, თანასწორუფლებიანი მეთაური იყო, რომლებიც ერთმანეთს, ცხადია, კონტროლს უწევდნენ[2]. რადგანაც ეს ამბავი ხდება გამრეკელის სიკვდილის შემდეგ, როდესაც თმოგვი უკვე სარგის მწარგრძელს უჭირავს, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ არ შევცდებით, თუ შალვა თორელს სწორედ გამრეკელის შვილად მივიჩნევთ.

შალვას შესახებ ვიცით, რომ მას ახალციხელიც ეწოდებოდა და რომ მისი უმცროსი ძმა ივანე ანუ იოანე ახალციხელი იყო.

ყველა ამის დასადგენად საჭიროა ორივე ისტორიკოსის სხვადასხვადროინდელი ცნობების შეჯერება.

ჯერ ერთი საინტერესოა, რომ ბასიანის ომის აღწერილობისას ანონიმი ორჯერ იმეორებს, რომ წინამბრძოლად, ზაქარია ამირ-სპასალარს გარდა, იყვნენ „ორნიცა იგი ძმანი ახალციხელნი, შალვა და ივანე... და სხუანი თორელნი"[3], ანუ: „ახალციხელნი შალვა და ივანე და სხუანი თორელნიო"[4]. ამ ორი წინადადებიდან[5] უკვე საფიქრებელი ხდება, რომ შალვაცა და ივანეც თორელნი არიან და ამასთან, რახან შალვა ყველგან პირველ ადგილზე იხსენიება, იგი უნდა იყოს უფროსი ძმა. „სხუანი თორელნი", მემატიანეს პირში, რა თქმა უნდა, მხოლოდ დიდებულებსვე ჰგულისხმობს, შალვასი და ივანეს ახლობელ ნათესავებს.

ზემოციტირებულ ადგილთაგან პირველიდან ჩანს, რომ შალვა იმ დროს (1206 წ.) მანდატურთ-უხუცესი ყოფილა. მთელი ფრაზა აქ ასე იკითხება: „ხოლო წინამბრძოლად იყო ზაქარია მწარგრძელი ამირ-სპასალარი, და ორნიცა იგი ძმანი ახალციხელნი შალვა და ივანე, დაღათუ შალვა მანდატურთ-უხუცესი იყო, ჭიაბერი და სხუანი თორელნი, და წარემართნეს ბასიანის კერძოსა"[6]. მგონი, ეს გაუგებარი წინადადება ასე უნდა შევასწოროთ: „... და ორნიცა იგი ძმანი ახალციხელნი შალვა და ივანე (დაღათუ შალვა მანდატურთუხუცესი იყო, ჭიაბერი [გარდაცულილ იყო]) და სხუანი თორელნი..." საქმე ისაა, რომ, გარდა ამ ერთი გაუგებარი ადგილისა, 1195 წლის შემდეგ[7] მანდატურთუხუცესის ჭიაბერის ხსენება აღარაა. უნდა ვიფიქროთ, რომ ჭიაბერი ან იმავ 1206 წელს გარდაცვლილა, ან ცოტა უწინ და ამიტომ დასჭირდა მემატიანეს მისი ხსენება შალვა ახალციხელის გვერდით. წინადადება: „დაღათუ შალვა"... და სხვ. (ჩემს მიერ მრგვალ ფრჩხილებში ჩასმული), სქოლიოს წარმოადგენს, ხოლო მისი დამახინჯება შემდეგდროინდელ გადამწერთა ბრალი უნდა იყოს[8]. რომ შალვა მართლაც ყოფილა ერთხანს მანდატურთ-უხუცესად, ამას დაგვიდასტურებს წალკიდან, სახელდობრ გუნია-ყალიდან გ.

---

[1] იხ. ვ. დონდუას რუსული თარგმანი: „Басили, историк Царицы Тамары" сборник «Памятники эпохи Руставели», изд. Гос. Эрмитажем, Литр., 1938, стр. 57.

[2] იხ. იქვე, გვ. 56-57.

[3] ქც˜ა, 467 (701). ამაზე უწინ ანონიმი კიდევ იხსენიებს შალვა ახალციხელს 1195 წლ. ქვეშ ქც˜ა 450 (678).

[4] ქც˜ა, 468 (702).

[5] პირველის განმარტებისათვის იხ. ქვემ.

[6] ქც˜ა, 467 (701).

[7] ქც˜ა, 448 (677).

[8] შეიძლება თვით ინტერპოლაციაც ერთ-ერთ მერმინდელ გადამწერს ეკუთვნოდეს.

ჩიტაიას მიერ ჩამოტანილი და აწ საქ. მუზეუმში დაცული ხელიანი და თამარის ნიშნიანი ქვის წარწერა[1], რომელშიც ხუთივე ვეზირი რიგზე არის ჩამოთვლილი და შალვა მესამე ადგილას იხსენიება. წარწერა გვეუბნება: „სახელითა(ა) ღმრთისაჲ(თა), ბრძანებითა (ღმრ)თის სწორთ თამარის და გიორგისითა(ა), ჭყონდიდელის, ზაქარია, შალვ(ა), ოვსიყმ(ა), (ი)ვანესითა, ჯულაბაჲს მოჭირვებჲთა, სანობაჲს ძისა ინაჲსა ჴელითა(ა), დაჲსვა ჴელი ესე ღმრთის სწორთა მეფეთ-მეფის(ა) გიორგჲსი“[2]. ჭყონდიდელ-მწიგნობართ-უხუცესის სახელი არაა მოყვანილი. ეს უნდა იყოს თამარის ისტორიიდან კარგად ცნობილი ანტონი გლონისთავისძე, რომელიც, ჭიაბერივით, 1195 წლის შემდეგ აღარ იხსენიება, მაგრამ იმ დროს ჯერ კიდევ „შესახედავად ჭაბუკი“ ყოფილა[3]. ზაქარია ამირ-სპასალარია, მჴარგრძელი. შალვა მანდატურთ-უხუცესია[4], თორელი-ახალციხელი. ოვსიყმა დღემდე უცნობი მეჭურჭლეთ-უხუცესია[5]. ხოლო ივანე მსახურთ უხუცესია, მჴარგრძელი, ზაქარიას ძმა. მაგრამ შალვა დიდხანს არ უნდა ყოფილიყო მანდატურთ-უხუცესად, რადგან ლაშა-გიორგის-დროინდელი მემატიანის ცნობით მანდატურთ-უხუცესობა მერმე ზაქარია მჴარგრძელს სჭერია[6]. ეს კარგად ათარიღებს, სხვათა შორის, წალკურ წარწერასაც:

---

[1] რადგანაც ეს მეტად საინტერესო ქვა სხვა კომპლექსში უნდა დამუშავდეს, აქ მას არ ვაქვეყნებ. მისი სურათი იხ. ვ. ბარდაველიძისა და გ. ჩიტაიას ნაშრომში: ქართული ხალხური ორნამენტი. I – ხევსურული, თბ., 1939, გვ. 20, სურ. 21; იქვე, გვ. 19, შენ. I, ავტორებს მოპყავთ წარწერაც, პ. ინგოროყვას წანაკითხის მიხედვით.

[2] წაკითხულია პ. ინგოროყვას მიერ.

[3] ქც˜ა, 444 (672). ცნობილია აგრეთვე მისი 1202 წლის სხალტბური სიგელი (იხ. თ. ჟორდანიას „ქრონიკები“, II, გვ. 79-82). გარდა ამისა, ერთი წარწერის მიხედვით, ანტონ ჭყონდიდელს ზღუდე აუშენებია ვაჰანის მონასტრისათვის ჯავახეთში 1204 წელს (იხ. ნ. ბერძენიშვილის „სავაზირო ფეოდალურ საქართველოში“. ენიმკი-ს მოამბე. ტ. V-VI, მიძღვნილი აკადემიკ. ივ. ჯავახიშვილისადმი, გვ. 397, შენ. 7). შესაძლებელია, რომ გუნია-ყალას წარწერაში უკვე თეოდორე იგულისხმებოდეს მწიგნობართ-უხუცესად, რომელიც 1205/6 წლების ქვეშ იხსენიება (იხ. ნ. ბერძენიშვილის დასახელებ. წერილი, და ჟორდანიას „ქრონიკები“, I, 292).

[4] ვაზირთა რიგის მიხედვით, მართალია, მანდატურთ-უხუცესი ამირ-სპასალარზე წინ უნდა ყოფილიყო დასახელებული (იხ. ივ. ჯავახიშვილის „ქართ. სამართლ. ისტ.“, II:1, გვ. 123-124) და მართლაც, როდესაც მერმე ზაქარია მჴარგრძელს დაუჭერია მანდატურთ-უხუცესობის პატივიც, მემატიანე ყოველთვის პირველად მის ამ პატივს იხსენიებს და მერმე ამირ-სპასალარობას (იხ. „ლაშა-გიორგის-დროინდელი მემატიანე, გამოც. ივ. ჯავახიშვილის მიერ, თბ., 1927, გვ. 15 და 18), მაგრამ ჩვენს წარწერაში რიგი დარღვეულია, ალბათ იმიტომ, რომ ზაქარია მჴარგრძელი განსაკუთრებით საპატიო პირი იყო თამარის კარზე. სხვაფრივ ვაზირთა რიგი ჩვენს წარწერაში ზედმიწევნითაა დაცული.

[5] უკანასკნელად თამარის ისტორიაში 1187 წლის ქვეშ იხსენიება მეჭურჭლეთ-უხუცესი კახაბერ ვარდანისძე (ქც˜ა, 410/632). მას უკან მეჭურჭლეთ-უხუცესად, როგორც ეტყობა, ერისთავთ-ერისთავი აბულასანი დაუდგენიათ (იხ. ანდრია პირველწოდებულის ხატის წარწერა, გამოც. ე. თაყაიშვილის მიერ, Изв. Кавк. Отд. Моск. Археол. Общ., вып. I, стр. 70), რომელიც გადააყენეს, ალბათ, გიორგი რუსის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, 1190-91 წელს. მერმე აღარა ჩანს, თუ ვის სჭერია ეს პატივი თამარის დროს. სახელისათვის „ოვსიყმა“ შდრ. ქვემო-ჯინისის წარწერა, გამოც. ე. თაყაიშვილის მიერ (იხ. მისი „Археол. экск., разыск. и заметки“, Изв. Кавк. Отд. Моск. Археол. Общ., вып. III, стр. 51).

[6] იხ. დასახელ. ადგ., ერთი ცნობა ამ მემატიანისა (გვ. 18) აშკარა ანაქრონიზმს წარმოადგენს, რადგან აქ ისე გამოდის, თითქოს ზაქარია უკვე 1193 წ., ლაშას დაბადებისას, მანდატურთ-უხუცესიც ყოფილა. ამ დროს კარგად ვიცით, რომ ეს პატივი ისევ-ისე ჭიაბერს ეპყრა. მეორე ცნობა კი (გვ. 15) სწორი უნდა იყოს: აქ ზაქარია მანდატურთ-უხუცესად გვეელინება

იგი უნდა იყოს შედგენილი 1207 წლის ახლო ხანებში, დავით სოსლანის გარდაცვალების შემდეგ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ეს უკანასკნელიც შიგ, ალბათ, მოხსენებული იქნებოდა. ამ წლებში (1206-1208) ეჭირა, ალბათ, შალვას მანდატურთ-უხუცესობა[1].

კარის აღების შესახებ ორი ცნობა გვაქვს შენახული. ერთი ეკუთვნის ანონიმს, მეორე – ბასილ ეზოსმოძღვარს. ორივე სხვადასხვანაირად მოგვითხრობს კარის დაპყრობის ამბავს, მაგრამ ერთი დეტალი მანიშნებელია. ანონიმი მოგვითხრობს, რომ „მეფემან აღიღო კარი და დაუტევა კარის მცველად ახალციხელი იოანე და აჩინა მონაპირედ და უბოძა ათაბაგობა და ამირთა-ამირაობა... და ივანესვე უბოძა კარული და მისი მიმდგომი ქუეყანანი"[2]. ბასილი ეზოსმოძღვარის ცნობის მიხედვით კი თამარს კარი არავისთვის არ ჩაუბარებია, არამედ სამეფოდ დაუჭერია. მაგრამ წინასწარ ისტორიკოსი შენიშნავს, რომ „მრავლით ჟამითგან ჰბრძოდეს (კარისთვის) სარგის თმოგველი, შალვა თორელი და მესხნი, გარნა ვერა ღონე ქნეს აღებისაო"[3]. ამ ორი თითქოს ერთი-ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობის შეთანხმება არაა ძნელი: თამარს, უეჭველია, ისე ჰქონია ჩაბარებული კარი, როგორც ბასილი მოგვითხრობს, მაგრამ საგამგეოდ, რა თქმა უნდა, ვერც ის და ვერც მცირეწლოვანი ლაშა იქ ვერ დარჩებოდნენ და ქალაქის და მისი ოლქის მმართველობა (და არა ხარაჯა) მას ივანე ახალციხელისათვის ჩაუბარებია. მაგრამ სწორედ ის გარემოება, რომ კარისათვის ჯავახეთის მონაპირენი, სარგის თმოგველი და შალვა თორელი, მბრძოლობდნენ, მერმე კი კარის მონაპირედ ივანე ახალციხელი გააჩინეს, გვიჩვენებს, რომ შალვა თორელი იგივე შალვა ახალციხელი უნდა იყოს, ივანეს ძმა. და მართლაც, ჟამთააღმწერელი პირდაპირ ამბობს, რომ ფარადავლა იყო „თორელის ახალციხელის შალვას ძე"[4].

1213 წ.. როდის მიიღო მან ეს პატივი, არ ჩანს. აღსანიშნავია, რომ ჰარიჭის ერთ სომხურ წარწერაში, რომელიც 1201 წლითაა დათარიღებული, ზაქარია თავის თავს იხსენიებს აგრეთვე მანდატურთ-უხუცესად და ამირ-სპასალარად (იხ. კოსტანიანცის Վիմական Տարեգիր გვ. 43). აქ, საფიქრებელია, თარიღი არაა სწორად ამოკითხული, მას ერთეული უნდა აკლდეს.

[1] შალვას ვაზირობის ხანმოკლეობა ეგებ მისი პირადი განწყობილებით აიხსნებოდეს: მანდატურთ-უხუცესი, ჩვეულებრივად, არ ლაშქრობდა (იხ. ივ. ჯავახიშვილის „ქართ. სამართლ. ისტ.", II:1, გვ. 160-161), შალვას კი, შესაძლებელია, მონაპირეობა ერჩიენა მეფის კარზე ყოფნას. შეიძლება სწორედ ამით აიხსნებოდეს მემატიანის სქოლიო: „დაღათუ შალვა მანდატურთ-უხუცესი იყო", რადგან ამ მანდატურთ-უხუცესს, ეტყობა, მაინც ვერ მოუსვენია და ომში გარეულა, რაც უჩვეულო იყო.

[2] ქც§ა, 463 (699).

[3] ქცˇა. 474 და ვ. დონდუას რუს. თარგმანის გვ. 70. ეს ცნობა მარიამისეულ ვარიანტში არ მოიპოვება. იგი, მაშასადამე, შეტანილია ქართლის ცხოვრებაში ვახტანგისეული კომისიის მიერ და რადგან აქ სხვადასხვა ავტორის ცნობა სხვადასხვა ადგილასაა შეტანილი, ვახტანგისეული ტექსტის მიხედვით ისე გამოდის, თითქოს კარი ორჯერ იქნა აღებული სხვადასხვა პირობებში.

[4] ქცˇა, 528 (770), თორელებს, ამგვარად, XII ს-ში ახალციხეც სჭერიათ. ეს, ცოტა არ იყოს, უცნაურია, რადგან ამავე დროს სამცხის სპასალარობის პატივი ეპყრათ, როგორც ცნობილია, ჯაყელებს და თითქოს მათვე უნდა სჭეროდათ ახალციხეც, სამცხის ერთი უმნიშვნელოვანესი სიმაგრე. მაგრამ, როგორც ჩანს, სწორედ ახალციხე წარმოადგენდა მიჯნას თორელთა და ჯაყელთა სამფლობელოებს შორის: ჯაყელები ახალციხის დასავლეთითა და სამხრეთ-დასავლეთით ისხდნენ (ამიერ-ტაოში – თუხარისი, ქცˇა, 324-325; არტაანში, დონდუას რუს. თარგმ., გვ. 57; ერუშეთში – ყუელი, ქცˇა, 336; ფოცხოვში – ჯაყა; და ოძრკეში). ამას თითქოს ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ მათ ციხისჯვარიც ეჭირათ, მაგრამ, როგორც

ცნობილია, როგორ ტრაგიკულად დასრულდა ამ ორ ძმათა ახალციხელთა ცხოვრება. გარნისის ომში, 1225 წ., ივანე ათაბაგმა „აჩინა წინამბრძოლად თორელნი და ძმანიცა იგი ორნი ახალციხელნი, შალვა და ივანე, სახელოვანნი მბრძოლნი, ვითარ წესად არს სახლისა მათისდა წინამბრძოლობა. ხოლო ვითარ დაეახლნეს წინამბრძოლნი და სულტანი (ჯალალ-ედინი), აქა დაიპყრა ფეჴი ივანე ათაბაგმან. იტყჳან, ვითარმედ შურითა ყო ახალციხელთა შალვა და ივანესითა", მოგვითხრობს ჟამთააღმწერელი: ... „ხოლო ვინეთგან წინამბრძოლნი თორელნი და უმეტეს ახალციხელნი შალვა და ივანე ახოვან იყუნეს და წყობათა შინა სახელოვანნი, არღარა ჰრიდეს სიმრავლესა სულტანისა სპათასა... ხოლო ივანე ათაბაგი და სპანი ქართუელთანი ხედვიდეს ძლიერსა ომსა და არა შეიწყალებდეს თანამონათესავეთა და ერთ-სჯულთა.... თორელთა და მათ თანა მრავალთა სახელოვანთა, არამედ დგეს შორით და არა ინებეს შველა . . . .

„და ვითარ განგრძელდა ომი, ორთავე ძმათა ახალციხელთა დაუჴოცნეს ცხენნი და ქვეითნი მჴნედ იბრძოდეს და მოისრნეს ორგნითვე ურიცხუნი და უმეტეს თორელნი და ვითარ შენივთდა ძლიერად ომი, ჴრმალნიცა ახალციხელთანი გატყდეს ჩაბალახსა ზედა. მაშინ ივლტოდეს ქართუელნი. ხოლო შალვა მუნვე შეპყრობილ იქმნა სიმრავლისა ფრიადისა მიერ და ივანე, გარნისისა კლდეთა შინა შელტოლვილი, ზენა-კერძო მოტეეებულითა ქვითა მოიკლა მუნ". შალვამ კი, ისტორიკოსის გადმოცემით, ერთი წლის შემდგომ მიიღო მოწამებრივი სიკვდილი ჯალალ-ედინის მიერ, რომელსაც მისი გამაპმადიანება უნდოდა[1].

შალვას, როგორც აღვნიშნე, დარჩა შვილი ფარადავლა, რომელიც შელტოლვილი იყო რუმის სულტან ყიას-ედ-დინთან და 1234 წლ. ახლო ხანებში ამის ჯარში იბრძოდა მონღოლთა წინააღმდეგ. მონღოლთაგან დამარცხების შემდეგ ყიას-ედ-დინმა ფარადავლა მოჰკლა[2]. ივანეს შვილი კი, დავითი, ავაგ ათაბაგის ეჯიბი, ცნობილია თავისი თავგანწირულობით, რომლის ამბავი დაწვრილებითა აქვს მოთხრობილი ჟამთააღმწერელს[3]. ეს მოხდა 1235-იან წლებში. ამის შემდეგ დავითი აღარ იხსენიება.

საფიქრებელია, რომ, რადგან შალვა უფროსი ძმა იყო ივანესი და მხოლოდ ის იწოდება თორელად და ახალციხელად, ივანე კი მაინცდამაინც არც ერთხელ პირდაპირ თორელის ეპითეტიც მოხსენებული არაა, თორელობა მაინც განსაკუთრებული პატივი იყო და მამისაგან მხოლოდ უფროს შვილზე გადადიოდა. ამიტომ შეიძლება დავუშვათ, რომ ის გამრეკელი თორელი, რომელიც, საქართველოს სხვა მთავრებთან ერთად, ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ „მიენდო" ახლად შემოსეულ მონღოლებს 1234 წლის ახლო ხანებში[4], აგრეთვე შალვას შვილი იყო და თანაც ფარადავლაზე უფროსი. საინტერესოა, რომ ჟამთააღმწერელიც ამ მეორე გამრეკელს მაინცდამაინც ისევ სარგის თმოგველთან ერთად იხსენიებს, საფიქრებელია იმიტომ, რომ ორნივე ისევ-ისე ჯავახეთის მონაპირენი იყვნენ შეთავსებით.

ეს ნ. ბერძენიშვილმა შენიშნა, ეს შეუძლებელია თორის ციხისჯვარი ყოფილიყო, არამედ ასეთი სახელწოდების სიმაგრე. ეტყობა, მეორეც ყოფილა, ალბათ, სადღაც ოძრჴის ახლოს. ახალციხე და მისი მიმდგომი ჯაყელებმა უფრო გვიან, ალბათ XIII ს-ის მეორე ნახევარში ჩაიგდეს ხელთ.

1 ქცᲗა, 510-511 (744-746).

2 ქცᲗა, 528 (770), 529 (772), შდრ. მალაქია აბელას ცნობა შალვას შვილის შესახებ (Brosset, Addit. et Eclairs. á l'Hist. de la Géorgie, p. 446).

3 იქვე, გვ. 532-533 (776-777).

4 ქცᲗა, 527 (768).

1245 წ., უმეფობის დროს საქართველოს ახალი ადმინისტრაციული დაყოფისას, მონღოლებმა გამრეკელ თორელს მისცეს საგამგეოდ „ჯავახეთი, სამცხე და აღმართ ვიდრე კარნუქალაქამდე"[1]. სხვა ქართველ ერისმთავრებთან ერთად გამრეკელიც აუმხედრდა ეგარსლან ბაკურციხელს და ულუ-დავითის ძიება გადასწყვიტა[2], რომელსაც მიეგება კიდეც, როდესაც იგი რუმიდან საქართველოში შემოვიდა[3]. დაბოლოს, კოხტის შეთქმულებაშიც გამრეკელი თორელი მონაწილეობას ღებულობს[4]. ამ ამბის შემდეგ (1247 წ). იგი აღარ იხსენიება. აძიკვის ბარელიეფზე გამოსახული გამრეკელი[5] შეიძლება სწორედ ეს იყოს.

1249 წლის ქვეშ იხსენიება უკვე ლიპარიტ თორელი, „რომელსა დევისყურცა ეწოდებოდა"[6] (გამრეკელ II-ის ძე?), ხოლო 1259 წელს თორელად ვხედავთ კახა მეჭურჭლეთ-უხუცესს, ახალქალაქის ერისთავთ-ერისთავს[7].

კახას შთამომავლობა უცნობია. ჩვენ არ ვიცით, ვისი შვილი იყო ის. რკონის შეწირულობის წიგნიდან, რომელიც ქართული დიპლომატიკის ერთ უშესანიშნავეს ძეგლს წარმოადგენს და დაწერილია კახას შეკვეთით 1259 წლის ახლო ხანებში, ვტყობილობთ, რომ მას ცოლად ჰყავდა მსახურთ-უხუცესი გრიგოლ სურამელის ქალი ხათუთა და რომ ამ დროს იგი უშვილო იყო. მამამისი უკვე მიცვალებულია, მას ჰყავს ბიძა და რამდენიმე ძმა, რომელთაგან ერთს ასიბა ჰრქმევია. ვიღაც საჰმადავლა მისი ახლო ნათესავი ჩანს[8]. რკონის მონასტრისათვის კახას შეუწირავს მისი ნასყიდი სოფელი ხოვლე. ამგვარად, მეჭურჭლეთუხუცესს კახა თორელს, რომელიც ამავე დროს ახალქალაქის ერისთავიცაა, ე. ი. ჯავახეთის განმგებელია, მამულები უჭირავს თეძმის ხეობაშიც[9]. ჩვენ ვნახეთ

---

[1] ქც˜ა, 541 (787); ის „თორელიც", რომელიც იმერეთიდან გადმოსულ დავით ნარინს მიეგება (ქც˜ა, 531/773), იგივე გამრეკელი უნდა იყოს.

[2] ქც˜ა, 549 (799).

[3] ქც˜ა, 551 (801); აქ მარტო „გამრეკელი" სწერია, მაგრამ სრულებით ცხადია, რომ იგულისხმება იგივე გამრეკელი თორელი (შდრ. ზევით გვ. 61, შენ. 1).

[4] ქც˜ა, 547 (795).

[5] იხ. ე. თაყაიშვილის „Археол. экск., разыск. и зам." Изв. Кавк. Отд. Моск. Археол. Общ., вып. III, стр. 9. და პ. ინგოროყვას „რუსთველიანა", I, გვ. 330-331; როგორც აღვნიშნე, პ. ინგოროყვას ეს გამრეკელი ორბელი ჰგონია.

[6] ქც˜ა, 559 (812).

[7] ქც˜ა, 569 (826); აქ ნათქვამია, რომ ულუ-დავითს განუდგნენ და ყაენთან წავიდნენ, სხვებთან ერთად, „ორბელი და თორელი და კახა, ერისთავი ახალქალაქისა", ისე რომ „თორელი" თითქოს ვიღაც სხვა უნდა იყოს, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ აქ იგულისხმება ლიპარიტ თორელი, მაგრამ მარიამისეულ ვარიანტში სიტყვები: „ორბელი და თორელი და" აკლია. იქ დასახელებულია მხოლოდ კახა, ერისთავი ახალქალაქისა. გარდა ამისა, იქ, სადაც ლაპარაკია ომის შესახებ მონღოლებსა და ულუ-დავითს შორის, მონღოლთა მხარეზე იბრძვის „თორელი კახა" (ქც˜ა, 571/829), ცხადია, იგივე კახა ახალქალაქის ერისთავი, ისე რომ წინათ მოხსენებული „თორელიც" ქც˜ის ტექსტში კახას ეკუთვნის, ხოლო კავშირი „და" შეცდომით უნდა იყოს ჩართული ამ სიტყვასა და „კახას" შორის. თავდაპირველად ასე იქნებოდა: „ორბელი და თორელი კახა, ერისთავი ახალქალაქისა".

[8] იხ. თ. ჟორდანიას გამოც. „ქრონიკები", II, 133-134.

[9] კახა სწერს: „პატრონმა მამამან ჩემმა ეზომი მამული დამ[იგდო, რომე თუმცა] სხუა რომელი მამულისა სოფელი შემომეწირა, ესეც ჴელ[მეწიფებოდა]" (ნახსენ. ადგ., გვ. 133), ისე რომ აქ, ცხადია, მამულები იგულისხმება ისევე-ისე რკონის რაიონში. სიგელში კახას ეწოდება მხოლოდ ერისთავთ-ერისთავი და მეჭურჭლეთ-უხუცესი, რომ ეს იგივე თორელი კახაა, ახალქალაქის ერისთავი, გამოირკვევა ქვემოთ.

უკვე, რომ თორელების დამკვიდრება ამ ხეობაში გაცილებით უფრო ადრე, XII ს-ის შუახანებში უნდა მომხდარიყო.

დავუბრუნდეთ ახლა სამძივრებს. ჩვენ ვნახეთ, რომ ჯავახეთის მონაპირენი იყვნენ თმოგველნი და თორელნი. ამიტომ იყო, რომ კარისთვის მბრძოლობდნენ ერთად სარგის თმოგველი და შალვა თორელი[1] და, ალბათ, ამიტომვე იხსენიებს ჟამთააღმწერელი გამრეკელ თორელს სარგის თმოგველის გვერდით[2]. კახა სამძივარიც, როგორც გადმოგვცემს თამარის ანონიმური ისტორიკოსი, 1190/91 წ. ლაშქრობს განდგომილი გუზანის წინააღმდეგ, თამარის ბრძანებისამებრ, სარგის თმოგველთან ერთად[3]. ეს შეთავსებითი მხედართმთავრობაც არ შეიძლება შემთხვევითი იყოს, არამედ მას სარჩულად უნდა ედოს ის გარემოება, რომ კახა სამძივარიც ჯავახეთის მონაპირეთა შორის ირიცხებოდა. ეს აძლიერებს ჩვენს ეჭვს, რომ სამძივარიც თორელთა გვარეულობისა იყო, ისე, როგორც ივანე ახალციხელი და ხშირად მოხსენებულნი „სხუანი თორელნი". ყველა ესენი მონაპირეებად ითვლებოდნენ, მაგრამ უფროსი მათ შორის და სანაპიროს განმგებელი (სარგის თმოგველის გვერდით) შალვა იყო. თუ ასეა, მაშინ ადვილი დასაშვებია, რომ კახა სამძივარი შალვა და ივანე ახალციხელების ძმა იყო. კრავაი ჯაყელი, „დედა აწ მყოფთა სამძივართა"[4], ამგვარად, დიდი გამრეკელის მეუღლე გამოდის. შეიძლება კაცმა იკითხოს, თუ რატომ არ ასახელებს მემატიანე კრავაის ქმარს და, ცოტა არ იყოს, უცნაურად, მხოლოდ მისი დედობა აქვს აღნიშნული, ცოლობა კი არა. მაგრამ ასევე იქცევა ის ხუაშაქ ცოქალის მიმართაც, რომელსაც აგრეთვე ახასიათებს მხოლოდ როგორც ქართლის ერისთავის რატის დედას. საქმე ისაა, რომ მემატიანე ამ ადგილას, ცხადლივ, მხოლოდ იმ დროის ვითარებას უწევს ანგარიშს, როდესაც იგი სწერს. ხოლო ეს ადგილი დაწერილია ისე, როგორც „ისტორიათა და აზმათა" მთელი პირველი ნაწილი, XII ს-ის 90-იანების შუანლებში[5], როდესაც გამრეკელი თორელი უკვე გარდაცვლილი იყო. სწორედ ამიტომაა, რომ ავტორი წერს: „დედა აწმყოფთა (ე. ი. ამჟამად ცოცხალთა, ლ. მ.) სამძივართაო". თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, ეს სამძივარნი არიან შალვა, ივანე და კახა, შვილები დიდი გამრეკელისა. მაგრამ ეს დამახასიათებელი გამონათქვამი შესაძლებლობას იძლევა კიდევ ერთი ჰიპოთეზა წამოვაყენოთ. სტეფანოს ორბელიანის მიერ მოხსენებული ჯავახი კახა ჩვენ ჩავთვალეთ გამრეკელ თორელის ძმად. ხოლო კახას, სტეფანოსისავე ცნობით, შვილები ჰყავდა. თუ გამრეკელი და კახა მართლაც ძმები იყვნენ, მაშ კახაც და მისი შვილებიც სამძივარნი ყოფილან და შესაძლებელია, მემატიანეს ზემოაღნიშნული ფრაზით – „დედა აწ მყოფთა სამძივართა" – სწორედ იმის თქმა უნდოდა, რომ 1195/96 წლებში, როცა ის წერდა, ცოცხლები იყვნენ მხოლოდღა კრავაის, ე. ი. გამრეკელის შვილები, კახას შთამომავლობა კი გადაშენებულა.

თუ კრავაი გამრეკელის ცოლი იყო, მაშ თორელები და ჯაყელები XII ს-ში დანათესავებულან. ქვემოთ ვნახავთ, რომ ამ ნათესაობას სხვა საბუთებიც დაგვიდასტურებენ[6].

---

[1] ვ. დონდუას რუს. თარგმ., გვ. 70 და ქცᲜა, 474.

[2] ქცᲜა, 527 (768).

[3] ქცᲜა, 432 (657).

[4] ქცᲜა, 409 (630).

[5] იხ. ივ. ჯავახიშვილის „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა", თბ., 1916 წ. გვ. 167-168.

[6] შემდეგი ლოგიკური ჯაჭვი, მგონი, უეჭველადაც კი ხდის კრავაის და დიდი გამრეკელის ცოლ-ქმრობას: 1. ჰამამლუს წარწერიდან ვიცით, რომ კრავაი კახა სამძივრის დედაა და, 2. გამორკვეული გვაქვს დანამდვილებით, რომ შალვა და ივანე დიდი გამრეკელის შვილები

ერთი XII-XIII ს-ის ძეგლის მიხედვით ჩანს, რომ ამ დროს სამძივრები მარუშიანებსაც დამზახლებიან. ეს არის უწინ ლეხაურის ეკლესიაში დაცული წმ. იაკობის ხატის წარწერა, რომელშიც იხსენიება სამძივართა ასული ხათუთა, მეუღლე ვარდანისძე მარუშიანისა[1]. ამ ნათესაურ კავშირსაც მარუშიანებთან დაგვიდასტურებს ერთი მერმინდელი წარწერა.

მაგრამ ყველა ეს მხოლოდ მინახვედრებია. საკითხს, ჩემის აზრით, სრულებით უდავოდ სწყვეტს ერთი ადგილი ჟამთააღმწერელის თხრობიდან, რომელიც შეეხება კახა თორელს, „რომელსა აქუნდა პატივად მეჭურჭლეთაუხუცესობაჲ“, ე. ი. ჩვენთვის უკვე ცნობილს კახა ახალქალაქის ერისთავს. ის ეპიზოდი, რომელიც ამ ადგილას ჟამთააღმწერელს მოტანილი აქვს, მისი თხრობის თანამიმდევრობისდა მიხედვით, 1269 წლის ახლო ხანებში მომხდარა. მარბიელმა თათრებმა, თოლაქ-დემურის და სხვათა მეთაურობით, ჯავახეთიდან წაასხეს კახა თორელისა და ვინმე ყურუმჩი ბადურის ჯოგები. „ესმა ყურუმჩი ბადურსა და მოუწოდა კახას თორელსა და დევნა უყვეს“. დევნას, მაშასადამე, ეს ორნი მეთაურობენ პირადად. „თათარნი განსრულ იყუნეს მტკუარსა, სადა მოერთვის წყალი გურკლისა და ესენი (ე. ი. მდევარნი) მივიდეს პირსა მტკურისასა“. რადგან მდევარნი მეტნი იყვნენ, ყაჩაღებმა „იძიეს ღონე: თოლაქ-დემურ განვლო მტკუარი ოცდაათითა კაცითა უგრძნულად, და სხუანი დაუდგეს პირსა მტკურისასა. თოლაქ-დემურ აღვლო ჴევი და აღვიდა ქედსა და აღაბა ალამი რაჲმე სხუა დროშისა და მიუტევა ხმითა მაღლითა“. მდევრები მოტყუებულან, ზურგიდან მომდგარი ლაშქარი ჰგონებიათ, „ყურუმჩი ბადურ . . . . შეშინებულ იქმნა და ივლტოდა მსწრაფლ შეშფოთებული, სადა იგი სიმრავლე მოიკლა კაცთა კეთილთა და ორთა კოხტელთა მიიღეს აღსასრული“. მთელ ამ პანიკისა და დამარცხების ამბავში კახა თორელი არსად არა ჩანს. მაგრამ ზემომოყვანილ პასაჟს მემატიანე ასე ამთავრებს: „და სამძივარი, ცხენმოკლული, ცურვით ივლტოდა და აწყუერს შევიდა“[2]. მგონი, სრულებით უეჭველად უნდა ჩაითვალოს, რომ ამ სამძივარის ქვეშ სწორედ კახა თორელი იგულისხმება. სხვანაირად მემატიანის თხრობა გაუგებარი და ულოგიკო გამოდის. იგი არავის არ ასახელებს, გარდა მეთაურებისა, ე. ი. ყურუმჩი ბადურის და კახა თორელისა. ამბის დასასრულს ჩვენ ვხედავთ, თუ რა დაემართა ყურუმჩი ბადურს: იგი ივლტოდა და შემდეგ, როგორც ჩანს, მოკლულ იქნა. ბრძოლის დროს დაღუპულა ბევრი „კეთილი კაცი“ და მათ შორის ორნი კოხტელნიც, რა თქმა უნდა, დიდებულნი (სწორედ ამიტომ იხსენიებს მემატიანე მათ სიკვდილს საგანგებოდ), რომლებიც კახა თორელის ჯარში იქნებოდნენ[3]. მაგრამ რა დაემართა თვით კახა თორელს? – ამის მოუხსენებლობა სრულებით აუხსნელი დარჩება, თუ რომ იგი სამძივრად არ ჩავთვალეთ. ცხადია, მემატიანემ და მისმა

არიან, 3. ხოლო ჟამთააღმწერელი გვამცნევს, რომ თორელები სამძივრები ყოფილან (იხ. აქვე ქვემ. კახა მეჭურჭლეთ-უხუცესის შესახებ). 4. ამგვარად, ანონიმის „აწ მყოფნი სამძივრები“ უთუოდ შალვა და ივანე არიან, რომლებიც ცოცხალნი იყვნენ ჯერ კიდევ 1225 წელსაც და მაშასადამე, კრავაი ამათი დედაცაა. 5. აქედან ცხადია, რომ კახა ამათი ძმაა და რომ კრავაი დიდი გამრეკელის თანამეცხედრეა.

[1] იხ. ე. თაყაიშვილის „არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი“, წიგნი, I, თბ., 1907, გვ. 26; შდრ. Изв. Кавк. Отд. Моск. Арх. Общ., II, 79-80.

[2] ქც˜ა, 595 (864).

[3] სხვათა შორის, აქედან ცხადი ხდება, რომ კოხტის შეთქმულება თორში მომხდარა. მართლაც, ბაკურიანის ახლოს მდებარე კოხტა-გორა უნდა იყოს ის ძველი ადგილი.

თანამედროვეებმა კარგად იცოდნენ, რომ კახა თორელი სამძივართა გვარისა იყო და ამიტომაც ჟამთააღმწერელი სიტყვას არ აგრძელებს.

მართლაც, სამცხე-საათაბაგოს საკათალიკოზო სამწყსოს თავადთა სიაში, როგორც უკვე აღვნიშნე, სამძივარნი ჩატანილნი არიან, თორელნი კი არა და არც გამრეკელები, იმ დროს, როდესაც თორი, იმავე სიით, მაწყვერელის სამწყსოში შედის, ხოლო ჯავახეთი – კუმურდოელისაში[1]. რას ნიშნავს ეს, თუ არა იმას, რომ არც „თორელი" და არც „გამრეკელი" გვარი არ იყო, არამედ ისინი ამ სიაშიც, როგორც ეხლა უკვე გამორკვეულად შეიძლება ჩაითვალოს, სამძივართა ქვეშ იგულისხმებიან[2].

XIII ს-ის მეორე ნახევარში სამძივრები დამოყვრებიან სადუნ მანკაბერდელსაც. ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, რომ სადუნ მანკაბერდელმა მეფეთაგან მიიღო კარი (რომელიც, როგორც ვიცით, თამარის შემდეგ უმეშვეოდ მეფეთა ხელში იყო). 1271 წლის ახლო ხანებში სადუნს ცოლად მოუყვანია ახალციხელის ასული და კარის „მიმდგომი ქუეყანა მოიერაგა ახალციხელთაგანაო"[3]. ახალციხელებიც, როგორც ეხლა ვიცით, სამძივრები იყვნენ[4].

1300 წლის ახლო ხანებში იხსენიება გამრეკელი კახას ძე, რომელსაც ბაყათარ ოსთა მთავარმა წაართვა ციხე ძამისა[5]. მას ეხმარება მანდატურთ-უხუცესი ბექა ჯაყელი, რომელიც ბაყათარს ამარცხებს[6]. ეს გამრეკელი ეგებ მეჭურჭლეთ-უხუცესის კახას ძე იყოს, რომელიც 1259 წ., როგორც ვნახეთ, უშვილო იყო, მაგრამ შემდეგში შეიძლება შვილები მიეცა.

დამახასიათებელია, რომ ბექა მანდატურთ-უხუცესი მაშინათვე დაეხმარებია გამრეკელს. ბექა მანდატურთ-უხუცესისა და კახა [სამძივარის] კეთილმოყვრობის წიგნში, რომელიც, ჯავახიშვილთა სხვა საბუთებთან ერთად, გამოცემული აქვს ე. თაყაიშვილს[7] და რომელიც 1300 წლის ახლო ხანით თარიღდება[8], ბექა წერს: „[ნათესავ]ნი ყოფილან ჩუენი სახლი, და თქუენი ოდეს მამ[აი იყო] და მათი უკანით რაი მე დავრჩი, ჩ(უ)ენისა სახლისა [ე]რთმანერთისა მოყუარენი, მომწმარებელნი, მეშუელნი (ვიყავით). [და] ძემან ჩემმან თქუენი დაი შეირთო და ვეღარაი სიყუარულით ყოფილ ვიყვენით...აწ ამას იქით ვიყუნეთ ჰაგრევე [ვითა წი]ნას ყოფილ ვართ გაუყრელნი და მოდაწერილენი".

„ნათესავნი ყოფილან ჩუენი სახლი" ისეა ნათქვამი, რომ ამით, უეჭველია, ძველი ამბავი იგულისხმება და შეიძლება იმას გულისხმობდეს, რომ ჯაყელნი და სამძივარნი

---

1 იხ. დ. ბაქრაძის, „Археол. путеш. по Гурии и Аджаре", 79 და 81 და თ. ჟორდანიას „ქრონიკები", II, 53.

2 ვახუშტი თავის „ძველთა მთავართა" სიაში ასახელებს როგორც სამძივრებს, ისე გამრეკელებსაც და ჯავახიშვილებსაც (თორელებს ისიც არ იცნობს გვარად!), მაგრამ სრულებით ცხადია, რომ ვახუშტი მერმინდელი ვითარებით ხელმძღვანელობს.

3 ქცᲜა, 602 (874).

4 მართალია, ახალციხე ამ დროს, შეიძლება. უკვე ჯაყელების ხელში იყო.

5 ტექსტში: „რამისა".

6 ქცᲜა, 645.

7 საქ. სიძველენი, II, გვ. 7-8.

8 მანდატურთ-უხუცესად ბექა მხოლოდ ამ დროს იხსენიება (ქცᲜა, 641), რაც შემთხვევითი არ უნდა იყოს (ჯერ კიდევ 1284 წლ. ახლო. მანდატურთ-უხუცესი იოანე მჭარგრძელია, იქვე, 612). მეორე მხრით, ამ კეთილმოყვრობის წიგნში ბექას უმრწემესი ძე შალვა მოხსენებული არაა, ალბათ იმიტომ, რომ ჯერ არ ჰყოლია. შალვა პირველად იხსენიება 1315 წლ. ახლო ხანებში, როდესაც ბექაც კვდება (იქვე, 650 და 653). ამგვარად, წიგნი 1300 წელზე არც ძალიან გვიან იქნება დაწერილი.

ჯერ კიდევ XII ს-ში დანათესავებულან (კრავაი ჯაყელი და დიდი გამრეკელი). ხოლო სიტყვები „და თქუენი ოდეს მამაი იყო . . . . ერთმანერთისა მოყუარენი, მომჴმარებელნი და მეშუელნი (ვიყავით)", უნებლიედ გვაგონებს ჟამთააღმწერელის ზემომოყვანილ თხრობას ბექას მიერ გამრეკელ თორელისათვის გაწეული დახმარების შესახებ. ამიტომ, კახა, რომელთანაც ბექა კეთილმოყვრობის წიგნსა სდებს. შეიძლება გამრეკელის შვილი და კახა ერისთავთ-ერისთავის შვილიშვილი იყო.

აკადემიკოსმა ივ. ჯავახიშვილმა გადმომცა მის მიერ სოფ. ხოვლეს ახლოს, ზესხევის თევდორეს ეკლესიიდან გადმოღებული ნაფხაჭნი წარწერები (ე. წ. სგრაფიტი), რომლებიც, შიგ მოხსენებული სახელების მიხედვით, XIV ს-ის დამდეგით შეიძლება დათარიღდეს. წარწერები ყველა ერთი ხელითაა გაკეთებული. აკად. ჯავახიშვილის სიტყვით, ეს ხუცური მთავრული დამწერლობა ჯავახურია, იმასა ჰგავს, რომლის ნიმუშებიც ივ. როსტომაშვილს მოჰყავს თავისი მოგზაურობის აღწერილობაში[1]. საინტერესოა ეს წარწერები იმით, რომ შიგ მოხსენებულნი არიან ჯაყელები და მარუშიანი, რაც ჩვენ უკვე აღარ გვაკვირვებს, არამედ გვიდასტურებს იმას, რაც ზემოთ ითქვა სამძივართა ნათესაური დამოკიდებულების შესახებ ამ ორ გვართან.

წარწერები შემდეგნაირად იკითხება[2]:

ეკლესიის SO-კუთხეში გარედან ჩასმული ქვის O-მხარეზე:

1. „იშვლნ მისცენ ზენრ ღო ყორყრს"

ე. ი.: „შვილნ(ი) (იშვილენ?) მისცენ, ზენაარ(ი) ღმერთო, ყორყორეს".

2. „ქორცკს შნ ღნ ივნეს ღნ"

ე. ი.: „ქურციკს შეუნდვენ ღმერთმან, ივანეს (შუენდვენ) ღმერთმან".

3. „პტრონს თამარ ადღეგრძელე ღო

4. ჩემნი ცდვნ მოყრნ ესე მამოლი გო.

5. თავე და მტერნი დსცნ თმრისნი"

ე. ი.: „პატრონს თამარ(ს) ადღეგრძელე, ღმერთო, ჩემნი ცოდვან(ი) მოუყარენ(?). ესე მამული გაუთავე და მტერნი დასცენ თამარისნი".

იმავე ქვის S-მხარეზე:

1. „მაღდელ[მ]ოლაზონს (sic) ავგრზს /// /// /// ///

2. „////ს შნ ღნ"

3. „////ოღასა კ[ლ] შესნბოლის მაროშიანისა შნ ღნ /////"

ე. ი.: „მღდელ[მ]ოლაზონს ავგაროზს – შეუნდვენ ღმერთმან. [აღბ]უღასაკ[ლ](?) შესუენებულის მარუშიანისა, შეუნდვენ ღმერთმან".

4. „/// /// /// /// ნებლსა როდანსა (sic) შნ ღნ ბასილს შნ ღნ ქობოლსძეს /// /// //"

ე. ი.: „–– [შესუე]ნებულსა როდანსა შეუნდვენ ღმერთმან, ბასილს შეუნდვენ ღმერთმან, ქობულისძეს [შეუნდვენ ღმერთმან]".

ამ ქვის გვერდით მოთავსებულ ქვაზე:

1. „[პ]ტრონსა ამრსპსრლს (sic) აღ[ბღს]

---

[1] ეს დამწერლობა საკმაოდ თავისებურია. იხ. ივ. როსტომაშვილის ნახსენ. შრომაში ნიმუშები შემდეგ გვერდებზე: 29, 31, 35, 39 და სხვ.

[2] განსვენებულმა აკადემიკოსმა თავაზიანად ნება დამრთო ამ წარწერების გამოცემისათვის. სამწუხაროდ, ისინი ჯერ, ეტყობა, თავიდანვე ნაჩქარევად და დაუდევრად იყო გაკეთებული და მერე კი დროთა ვითარებისაგან და ადამიანის ხელით ძალზე დაზიანებულა, ისე რომ მრავალი სიტყვა აღარ იკითხება. სწორ ფრჩხილებში ჩასმულია ის, რის ნაკვალევიც კიდევ განირჩევა, მრგვალ ფრჩხილებში... ჩანამატი, აზრის მიხედვით.

2. // გ//მარჯოს ნ(?)ამარვლ მი

3. //// ღნ ჩემნ ცდვნი მუ(?) ნყრნი(?) ყმ". აქ თითქმის მხოლოდ იმის გაგება შეიძლება, რომ იხსენიება პატრონი ამირ-სპასალარი აღბუღა.

4. „//// შნ ღნ სრგის შნ ღნ ბექას შნ ღნ

5. შლვს შნ ღნ შვლნ ყოვლ ჩა

6. ძოლთ ახლთ შნ ღნ"

ე. ი.: „-- შეუნდვენ ღმერთმან, სარგის(ს) შეუნდვენ [ღმერთმან, ბექას] შეუნდვენ ღმერთმან, შალვას შეუნდვენ ღმერთმან, შვილთა (შვილნი?) ყოველ(თა) ჩემთა ძუელთ(ა) (და) ახალთ(ა) შეუნდვენ ღმერთმან".

როგორც აკად. ჯავახიშვილი შენიშნავს, აღბუღა მოხსენებულია 1259 წლ. რკონის სიგელში[1], ხოლო ბექა, სარგის და ყვარყვარე ჯაყელნი იხსენიებიან 1300 წლ. ახლო დროის ზემოხსენებულ კეთილმოყვრობის წიგნში[2].

როგორც ეტყობა, XIII ს-ის დამლევს და XIV-ის დამდეგს სამძივართა საგვარეულოში (უკეთ, ამ საგვარეულოს იმ შტოში, რომელიც დამკვიდრებულა თეძმის ხეობაში) შემოდის სახელი ჯავახი და შეიძლება უკვე XIV ს-ის პირველ ნახევარში ისინი იწოდებოდნენ ჯავახიშვილებად[3].

სამძივართა გენეალოგიური შტოის შედგენა ჯერჯერობით ნაადრევი იქნებოდა. უნდა დავკმაყოფილდეთ იმას, რის თქმაც შეიძლება ამჟამად ჩვენ ხელთ მყოფი საბუთების მიხედვით[4].

---

[1] თ. ჟორდანიას გამოც. „ქრონიკები", II, 133, 134.

[2] საქ. სიძვ., II, 7.

[3] სახელი „ჯავახი" XIV ს-ზე გაცილებით უფრო ძველია (იხ.: ნ. მარის გამოც. ჯვარის მონასტრის აღაპებში № 18, საცა იხსენიება აფაქის ძე ჯავახი (მინაწერი ძველი ხელითაა გაკეთებული). შემდეგ შდრ. იქვე № 127 და 195, საცა იხსენიება თორელი ჯავახი და გვ. XXVI, № 15 – ჯავახი ჭილას ძე).

ჯავახის შვილი გამრეკელი გვხვდება უკვე 1306 წლ. ქვეშ (ქცᲜა, 648/928); ეს იგივე გამრეკელი უნდა იყოს, რომელიც იხსენიება 1345 წლ.; წყალობის წიგნში (საქ. სიძვ., II, 10). მეორე მხრივ, უკვე 1338 წლ. (ე. თაყაიშვილის ვარაუდით) წყალობით წიგნში გვხვდება თორელი ჯავახიშვილი (და არა ჯავახის შვილი) ივანე (იქვე, 8-9), რაც თითქოს მიგვითითებს იამაზე, რომ ეს სახელი გვარადაა ქცეული, თუ აქ გამომცემელმა შეცდომა არ დაუშვა.

[4] ს. კაკაბაძე (იხ. მისი „წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის", წიგნი I, თბ., 1914, გვ. 58-65: თორელთა გვარეულობის შესახებ) ჰფიქრობს, რომ თორელები მწარგრძელთა გვარისანი არიან. ამისათვის მას ორი საბუთი მოეპოვება: 1. ერთი ის, რომ კირაკოს განძაკელის ცნობით, ვარამ გაგელის ბიძას, სარგის მწარგრძელს. შვილები ჰყავდა შალვა და ივანე (იხ. Պատմութիւն Հայոց, արարեալ Կիրակոսի Վարդապետի Գանձակեցւոյ, Թիֆլիս, 1909, გვ. 154=მ. ბროსეს ფრანგული თარგმანის გვ. 82). მაგრამ არსაიდან არ ჩანს, რომ ეს შალვა და ივანე, რომლებიც, ბროსეს სიტყვით, სხვაგნით სრულებით უცნობნი არიან, მაინცდამაინც შალვა და ივანე ახალციხელები იყვნენ. პირიქით, კირაკოსისავე მეორე ცნობა, გარნისის ომის შესახებ, სადაც ის წინამბრძოლად იხსენიებს ქართველთა მთავარს შალვას და მის ძმას ივანეს (იქვე, გვ. 212=ფრანგ. თარგმ. გვ. 112), ე. ი. ახალციხელებს, ამტკიცებს, რომ ამ უკანასკნელთ სარგისის შვილებთან საერთო არა უნდა ჰქონდესთ რა: ავტორი ამ ადგილას ისე იხსენიებს ამ ძმებს, რომ ცხადია, იგი აქ პირველად ლაპარაკობს მათზე, მკითხველისათვის ისინი ჯერ უცნობად არიან ნაგულისხმევი; 2. მეორე საბუთი ს. კაკაბაძისა თამარის ისტორიკოსის ერთი ცნობაა. რომელიც ასე იკითხება: „მაშინ უბრძანა (თამარ მეფემ) ამირ-სპასალარსა გამრეკელსა, ოთხთავე მწარგრძელთა და სხუათა თორელთა

* * *

ამ საკმაოდ გრძელი ისტორიული ექსკურსის შემდეგ დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს მოგზაურობას.

თათრებით დასახლებულ სოფ. ჰამამლუში მისასვლელად საჭიროა მდ. ყარა-სუზე გადასვლა[1].

ყარა-სუ სამხრეთიდან მოდის, ხოლო დასავლეთიდან ამ ადგილას მას ერთვის მეორე წყალი, რომლის მარცხენა ნაპირას, შესართავის ახლოს, მდებარეობს სოფელი. შიგ სოფელშიც არის ნანგრევი თლილი წითელი ქვით ნაგები ერთნავიანი საშუალო ზომის ეკლესიისა. დაცულია მხოლოდ მისი ჩრდილო-კედელი, რომელშიც ოთხიოდე ორნამენტირებული ქვის ნატეხი ჩანს. აქვე პატარა ძველი სასაფლაოცაა.

VII. ქვემო და ზემო ოროზმანი[2]

თათრებით დასახლებული ქვემო-ოროზმანი მაშავერის მარჯვენა შემდინარე მაპმუდლი-დარიაზე მდებარეობს და 5 კილომეტრითაა დაშორებული ბაშქიჩეთს სამხრეთისაკენ. აქ დგას საკმაოდ მდარედ ნაგები პატარა ერთნავიანი ეკლესია. ორნამენტი ან წარწერა არა ჩანს. მხოლოდ დასავლეთის კედელში გარედან ჩასმულს ერთ ქვაზე განირჩევა რამდენიმე ქართული მთავრული ამოკოდვილი ასო, მაგრამ წარწერა აქ მაინც არ უნდა ყოფილიყო. პატარა სასაფლაოზე ეკლესიის გარშემო არის ძველი საფლავის ქვები (უნაგირიანი ცხენი, ვერძი).

ზემო-ორზმანი ორიოდე კილომეტრითაა დაშორებული ქვემოს. აქაც თათრები სახლობენ. აქ დგას თლილი ქვით ნაგები ერთნავიანი მცირე შენობა, კარგად დაცული. აღსანიშნავია ზოგიერთი მეტად დიდი ზომის საპირე ქვა, აღმოსავლეთი კედლის სარკმლის ამყოლი შემკული ყოფილა ჩუქურთმით, რომელიც ძალზე გადარეცხილია. სხვა ორნამენტი ან წარწერა არ მოიპოვება. ეკლესია რამდენიმე მეტრით შემაღლებულ კლდეზე დგას. კლდეში გამოკვეთილია დარანი, რომელიც შიგნითაც დავათვალიერე. აქ რამდენიმე ვიწრო გვირაბი მიდის ღრმად, რომელთაგან ერთი ვითომ თვით ეკლესიაში ადის, მეორე კი ერთ მაღალ მთაზე, რომელიც ოროზმანს ჩრდილო-დასავლეთიდან გადმოჰყურებს.

ეკლესიის გარშემო მცირე სასაფლაოა ძველი საფლავის ქვებით (არის გამოქანდაკებული ვერძი, აქლემი? და სხვ.). ერთ პატარა ქვას მხედრულად აწერია:

„ქ: სეხნიას |ქალი:| თინა".

წარწერის გარშემო ლამაზი ჩუქურთმაა.

ზემოთა და ქუემოთა წარსლვა და მიგებება ნინა (გიორგი რუსისა) ქუეყანასა ჯავახეთისასა" (ქც˜ა, 428 (652). „და სხუათა თორელთა" რახან სნერია, ცხადია, მჯარგრძელნიც თორელნი და აქედან თორელნი მჯარგრძელნი უნდა იყვნენო. ნამდვილად ტექსტი აქ დამახინჯებული უნდა იყოს. თავდაპირველად, ალბათ, ასე იქნებოდა: ... „ოთხთავე მჯარგრძელთა, ამირსპასალარსა გამრეკელსა და სხუათა თორელთა"... და შემდ. ამ დროის მჯარგრძელები კარგად არიან ცნობილი და თორელებთან მათ საერთო არა აქვსთ რა.

[1] გამყოლს დაავინყდა ეჩვენებინა ჩემთვის ამ ადგილას, მისი სიტყვით, რაღაც საინტერესო ძეგლი, აღწერილობის მიხედვით, აქ თითქოს ქვაჯვარი უნდა იდგეს.

[2] 1721 წლ. ხალხ. აღწ. დავთარში შეტანილია „ორზმანი" (გვ. 356-357), ვახუშტის რუკაზე დატანილია „ორმოზანი" (თუ აქ უბრალო კორექტურული შეცდომა არაა).

იმ გორაზე, რომელზედაც ვითომ გვირაბი ადის ეკლესიიდან, რევოლუციამდე, გადმოცემით, რუსის ჯარი მდგარა. ყაზარმების გასაშენებლად მიწის თხრის დროს წასწყდომიან თურმე ძველ შენობებს, მრავალი დახატული ქვა ამოუღიათ და ვითომ დიდი სიმდიდრეც ნაუღიათო. ეს უკანასკნელი ამბავი, რა თქმა უნდა, ჩვეულებრივი არაკი იქნება. მაგრამ რომ იმ გორაზე მართლაც რაღაც, ძველი და, ალბათ, საინტერესო ნაგებობა უნდა მდგარიყო, ეს შეიძლება დავასკვნათ იმ ჯვრიანი ქვის მიხედვით, რომელიც სრულებით შემთხვევით აღმოჩნდა ზემო-ოროზმანელი ერთი გლეხის სახლში და რომელიც მას სწორედ იმ მთიდან წამოეღო[1]. გვიანდებოდა და მთაზე ასვლა იმ დღესვე აღარ შეიძლებოდა, მერმე კი აღარ მოვხვედრილვარ იმ ადგილებში.

ეს ქვა[2] ბოლნური მედალიონის მეტად საინტერესო ვარიანტს წარმოადგენს (ტაბ. XII სურ. 29). სამწუხაროდ, მას ერთი ნაწილი ჩამოტეხილი აქვს. მაინც, რადგან იგი ორმხრივ საღადაა დაცული, მისი მთლიანი ზომების აღდგენა შესაძლებელია. ესაა რბილი და მსუბუქი წითელი თირის თითქმის კვადრატული ლორფინი, სიგრძით 0,215 მ., სიგანით 0,21 მ. და სისქით 0,09 მ.. მისი ყველა პირი გათლილია. ცალ პირზე გამოსახულია მრგვალ ჩარჩოში ჩასმული ჯვარი, დანარჩენი პირი კი გლუვადაა დატოვებული.

ჩარჩო წარმოადგენს ორ კონცენტრულ წრეს, რომელთა სალტეები გლუვი და მრგვალი რელიეფითაა გამოყვანილი. გარეწრის დიამეტრი =0,20 მ-ს, შიდაწრისა =0,145 მ-ს.. წრეებშორისი ოლე შევსებულია ფრჩხილისებური რელიეფური, ხშირი მრუდებით, რომელთა კიდეები ცერადკვეთითაა ამოღებული. ჩარჩოში ჩასმული ტოლმკლავებიანი ჯვარი აგრეთვე ცერადკვეთითაა დამუშავებული. იგი ერთკანტიანია. მახვილი ოვალები ჯვარის ჩაზნექილ კიდეებსა და ჩარჩოს შორის ღრმული კი არაა, არამედ ამოვსებულია ნუშისებური, მახვილწიბოიანი, ცერადკვეთით დამუშავებული რელიეფით. ჯვარის მკლავებშორისი უბეები კი ამოვსებულია ჩვეულებრივი „ფოთლებით", მაგრამ წიწვოვანი ჭდეები აქ ამოღებულია ღრმად და ცერადკვეთით. ტექნიკურის თვალსაზრისით, ორნამენტი საუცხოოდაა შესრულებული, ძალიან სუფთა და ამასთან თამამი ხაზებით. განსაკუთრებით დამახასიათებელია და სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს ყველგან გამოყენებული ცერადკვეთილობა და ღრმად ამოღებული ჭდეები. თუმცა ეს მედალიონი სადაა, მაინც თავისი სილამაზით იგი შეიძლება გვერდით ამოუდგეს ბოლნური მედალიონების ისეთ საუკეთესო ცალებს, როგორიცაა ვარსქენ ნახაპეტის ჯვარი, უკანგორის როზეტიანი მედალიონი და თეკენების პალმეტებიანი ჯვარი.

ჩვენ უკვე საკმაოდ დაგვიგროვდა მასალა ბოლნური მედალიონის შესახებ, რათა მიზანშეწონილად ჩაითვალოს ერთგვარი შეჯამების მოხდენა. საბოლოო დასკვნების გამოტანა ჯერ ნაადრევია, მაგრამ ზოგიერთი მოსაზრების გამოთქმა მაინც შეიძლება[3].

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ეს თავისებური ორნამენტი ჩვენს რაიონში უდავოდ უძველესი ქართული კულტურის ნაკვალევს წარმოადგენს. სხვადასხვა ადგილას აღმოჩენილი წარწერიანი ცალების მიხედვით ცხადი ხდება, რომ ეს ორნამენტი

---

[1] რისთვის წამოეღო, ვერ გავიგე, ქვა მისი ეზოს ყორეში იყო ჩადგმული. გლეხმა უყოყმანოდ მიჩვენა იმ გორაზე, საიდანაც ქვა ჩამოუტანია. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მან არ იცოდა, რომ სხვებს ჩემთვის უკვე ნაამბობი ჰქონდათ იქ აღმოჩენილი ნაშთების შესახებ.

[2] იგი ჩამოტანილია თბილისში და ამჟამად ინახება შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმში.

[3] რადგან წინამდებარე ტექსტი სტამბაში უკვე აწყობილი იყო, მე აღარ შემეძლო ანგარიში გამეწია იმ მოსაზრებათათვის, რომლებიც ამ ორნამენტის შესახებ გამოთქმული აქვს პროფ. გ. ჩუბინაშვილს თავის ახლად გამოსულ „ბოლნისში" (ენიმკი-ს „მოამბე", IX, თბ., 1940 წ.).

ქართული ხელოვნების ნაწარმოებია. ასეთი წარწერიანი ცალების მთელი რიგი გვაქვს ბოლნისში[1], ერთი ცალი გვაქვს სამწევრისში[2] და ერთიც უკანგორში[3].

ამ ორნამენტის გეოგრაფიული გავრცელების არე შემდეგნაირად შეიძლება შემოიხაზოს: იგი გვხვდება ბოლნისის ხევში (ბოლნის-ქალაქის მთავარი ტაძარი[4], ბოლნისის სიონი[5], სამწევრისი[6]), ბალიჭის ხევში (ბალიჭები[7]) დამბლუტის ხევში (მარაბდა, უკანგორი)[8], მაშავრის ხევში (კიანეთი, აბულბუგი, თეკენები), მაჰმუდლი-დარიას ხევში (ოროზმანის ახლოს).

ამგვარად, ამ ორნამენტის გავრცელების არე მაშავრის სისტემას არ სცილდება და ისიც, რამდენადაც ჯერჯერობით ჩანს, შეიძლება ითქვას, არსებითად ამ მდინარის ჩრდილოეთით არ გადადის (მართალია, კიანეთი და აბულბუგი ჩრდილოეთით მოდის, მაგრამ ისინი ზედ აკრავს მაშავრის მარცხენა ნაპირს). აღმოსავლეთით უკიდურეს საზღვარს წარმოადგენს ბოლნის-ქალაქი (ბოლნის-ქაფანაქჩი), ე. ი., არსებითად, ფოლადაურის შესართავი, დასავლეთით კი – კეჩუთის მთის აღმოსავლეთი კალთები (ოროზმანის ახლ.), სადაც მაშავრის სათავეები იმყოფება.

სამხრეთით ჩვენ ეს ორნამენტი გვხვდება საკმაო დაცილებით ბოლნის-დმანისის რაიონიდან სომხეთში, სახელდობრ, ანისის რაიონში – ერერუიქსა და ტეკორში[9]. ეს უსათუოდ მიგვითითებს იმ გზაზე, რომლითაც ეს მედალიონი ჩვენში შემოვიდა. მართლაც, ი. სტრიგოვსკი ამბობს[10]: სომხეთის უძველეს ეკლესიებში, მაგ., ეღევარდსა და ერერუიქში, „წრე, ამოვსებული სიმეტრიული ბერძნული ჯვარით[11] ან ვარსკვლავით, შეადგენს, კერძოდ, სამხრეთი შესავლების ბალავრის შემკულობის მთავარ მოტივს. ეს მოტივი განსაკუთრებით დამახასიათებელია სირიისათვის, სადაც იგი ასობითაა წარმოდგენილი მრავალნაირი ვარიაციებით და იქაც, როგორც ცვა-ფარვითი ნიშანი, ტაძრების კარების კოჭებს ამკობს. სირიაში იგი, უეჭველია, არაელინისტური ნაკადიდან წარმომდინარეობს, რომლითაც გამსჭვალულია სირიული ხეროთმოძღვრება და რომელიც ძველი აღმოსავლური მოტივების გამოყენებას განაგრძობს ქრისტიანობაშიც“.

ამგვარად, ჩვენი ბოლნური მედალიონი ახლო აღმოსავლეთის უძველესი ორნამენტიკის კომპლექსში შედის.

---

[1] იხ. ჩემი „ბოლნისი“, გვ. 325, სურ. 11, გვ. 326, სურ. 12, გვ. 330, სურ. 14, გვ. 331 სურ. 15 (და აგრეთვე, ენიმკი-ს „მოამბე“, IX, გვ. 101-102 და სურ. 75 და 76).

[2] იქვე, გვ. 336, შენ. 1 (წარწერა აქ, მართალია, ამოტეხილია, მაგრამ იგი უთუოდ ქართული იყო).

[3] იხ. აქვე ტაბ. III, სურ. 4.

[4] იხ. ჩემი „ბოლნისი“, გვ. 323.

[5] იქვე, ზემოთნახსენები სურათები და გვ. 338, სურ. 18.

[6] იხ. ზემოთნახსენებ ადგილას.

[7] იხ. ჩემი „დმანისი“, გვ. 328, შენ. 5.

[8] იხ. აქვე ზემოთ.

[9] იხ. Strzygowski, Baukunst der Armenier, Bd. I, S. 413, Abb. 442, S. 414, Abb. 443, S. 323, Abb, 368. როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ტეკორის მედალიონი სურათზე კარგად არა ჩანს.

[10] იქვე, გვ. 414.

[11] ტექსტში დაბეჭდილია: „Das Rund, gefüllt mit dem gleichmässigen griechischen Kranz“.. მე მგონია, აქ კორექტურული შეცდომაა და უნდა ეწეროს „Kreuz“ და არა „Kranz“. ბერძნული ჯვარი ჰერალდიკაში ტოლმკლავებიან ჯვარს ეწოდება.

სირიულ მედალიონებს რომ დავაკვირდეთ, რომლებიც იქაც განსაკუთრებით V და VI საუკუნეების ძეგლებზე გვხვდება, ჩვენ ვნახავთ შორეულ ნათესაობას ქართულ მედალიონებთან და დიდ სხვაობას როგორც ორნამენტის, ისე ტექნიკის მხრითაც. H. C. Buttler-ს მთელი ტაბულა აქვს შედგენილი ამ სირიული დისკოების ტიპებისა, რომელზედაც რამდენიმე ათეული ნიმუშია წარმოდგენილი[1]. აქედან მხოლოდ ორი ცალი შორეულად ემსგავსება ჩვენს მედალიონებს:

№ 12. (ტაბ. XII, სურ. 30). ჯვარი ჩასმულია ორ კონცენტრულ წრეში. იგი ტოლმკლავებიანია და ფართო კიდეებიანი. მაგრამ მკლავების გულები ამოუღებელია, გლუვად და ბრტყლადაა დატოვებული[2], მათი გვერდებიც შეზნექილი კი არ არის, არამედ სწორია და სადა. კიდეები გაცილებით უფრო ვიწროა, ვიდრე ქართულ ცალებზე და თან მათი ნაპირები მომრგვალებით კი არაა ამოჭრილი, არამედ კუთხურად. ამიტომ ჯვარის კიდეებსა და ჩარჩოს შორის ოვალები კი არ იქმნება და ჯვარის მკლავებშორისი უბეებიც სფერული სამკუთხედის მოყვანილობისა კი არაა, როგორც ჩვენთან, არამედ იქაც და აქაც შუა არე წარმოადგენს სადა სამკუთხედს, რომელთა მხოლოდ ერთი (ჩარჩოს) გვერდი არის ამოზნექილი. მკლავებშორისი უბეები დატოვებულია სადად, ოღონდ შიგ ჩასმულია მრგვალი პატარა ღილები[3]. წრეები უბრალო ნახაზს წარმოადგენს. წრეებშორისი ოლე ამოვსებულია ზიგზაგით, რომელიც მოგვაგონებს ჩვენი მედალიონების სამკუთხედებიან მწკრივს. ჯვარი, ღილები და ზიგზაგი გამოქანდაკებულია, მაგრამ რელიეფი მეტად თხელია და უფრო ნახაზსა ჰგავს.

№ 24 კიდევ უფრო შორეულ ანალოგიას წარმოადგენს. აქ ტოლმკლავებიანი ჯვარი ჩასმულია სამ კონცენტრულ წრეში, რომელთაშორისი ოლეები ამოვსებულია დაფნის გვირგვინით, რაც „ვარსქენ ნახაპეტის" მედალიონის ხოირს მოგვაგონებს. ჯვრის მკლავებს შორის ჩაწერილია ბერძნული მთავრული A და Ω, რაც ჩვენ აბულბუგის მედალიონზე შეგვხვდა. საზოგადოდ, ეს A და Ω ხშირად გვხვდება სირიულ სხვა მედალიონებზეც (იხ. იქვე №№ 21 და 26). ამიტომ, შესაძლებელია აბულბუგის მედალიონზე ნაფხაჭნი ასოებიც ძველი იყოს. სხვაფრივ № 24-ის როგორც ჯვარს, ისე ჩარჩოს ქართულ ცალებთან საერთო არა აქვს რა.

დანარჩენი დისკოები სხვა სახეებითაა შევსებული და ზოგი მათგანი ამა თუ იმ დეტალით აგრეთვე უახლოვდება ქართულ მედალიონებს: ასე, მაგ., № 15-ის ჩარჩო ღრმული სამკუთხედების მწკრივს წარმოადგენს, № 25 მოგვაგონებს უკანგორის როზეტიან ცალს, თუმცა აქაც მსგავსება ძალიან შორეულია, და ა. შ. მაგრამ მთავარი მაინც ეს არ არის. როგორც უკვე აღვნიშნე, სირიულ მედალიონებზე რელიეფი საზოგადოდ ძალიან თხელია და არსებითად ნახაზს წარმოადგენს. ეს ეტყობა როგორც ჯვრიანს, ისე სხვა სახეებიან მედალიონებს; მხოლოდ სამიოდე ცალი გვიჩვენებს შედარებით მაღალ რელიეფს (№№9, 13, 14). შემდეგ: სირიულ მედალიონებზე ცერადკვეთილობა სულ არ გვხვდება და ყველგან, ორიოდე ცალის გამოკლებით, რომლებზედაც მთელი არე ბრიალა ორნამენტს უჭირავს (№№ 1 და 3), მკაფიოდ განირჩევა ცარიელი ბრტყელი მიწა და ზედ გამოყვანილი („დახატული") სახე. ეს გარემოება მაშინვე თვალში ეცემა ადამიანს ქართულ ნიმუშებთან შედარების დროს, საცა რელიეფი ასეთ მკვეთრ

---

[1] H. C. Buttler, Architecture and other Arts, II, N. J., 1903, p. 33, Types of Disks. ამ წიგნზე მიმითითა პროფ. გ. ჩუბინაშვილმა, რისთვისაც დიდად ვმადლობ.

[2] სხვა ჯვრების მკლავების გულები სადა წიბოიანია.

[3] შეესატყვისება ზოგიერთი ჩვენებური ჯვარის მკლავებში ჩასმულ ბურთულებს.

ხასიათს ატარებს, ცერადკვეთილობა ასეთი ხშირია და ყველა უბეც შევსებულია, რის გამოც აქ შეუძლებელი ხდება მიწისა და სახის გარჩევა, მიწა, არსებითად, გაუქმებულია. შემკულობა სირიული მედალიონებისა შედარებით სადაა და საზოგადოდ, მთელი ორნამენტი იქ, განსაკუთრებით თუ მხედველობაში ვიქონიებთ მხოლოდ ქართული ნიმუშების ანალოგიურ ცალებს, გაცილებით უფრო ღარიბი, უფერული და, შეიძლება ითქვას, განუვითარებელია. პირიქით, ბოლნური მედალიონი სავსებით ჩამოყალიბებული, დასრულებული სახისაა. ამ ორნამენტს უკვე ვეღარაფერს შემატებთ და ვერც ვერაფერს დააკლებთ. მასში ჩამარხული, ა. ვ. იმანენტური განვითარების შესაძლებლობა აქ ამოწურულია, უკიდურესობამდეა მიყვანილი. ზოგიერთი ცალი, როგორც, მაგ., უკანგორის როზეტიანი მედალიონი და ოროზმანისეული ჯვარი, საკვირველის თანამიმდევრობით გატარებულს მრუდების მთელ სისტემას წარმოადგენს. სწორი ხაზები აქ თითქმის არ მოიპოვება, ან მხოლოდ მეორე ხარისხოვანი სახეებისთვისაა გამოყენებული[1], რაც, განსაკუთრებით თუ გავიხსენებთ რომ წრეხაზები ფარგლის საშუალებით კეთდებოდა, უეჭველია, სიმშრალის შთაბეჭდილებას მოახდენდა, მაღალი რელიეფი, ცერადკვეთილობა და ლამაზი კომპოზიციები რომ არ ასწორებდეს ამ ნაკლს. ფართოდ და თამამად მოხაზული მრუდები, მიზანშეწონილად, მოფიქრებით შევსებული უბეები, ზომიერად მაღალი რელიეფი, დაქანებული ზედაპირები და ცერადკვეთილი სიბრტყეები, რომელთა საშუალებითაც შუქ-ჩრდილების ცხოველი თამაში წარმოიქმნება, დაბოლოს, რთული ორნამენტული კომპოზიციებიც[2], ამყღავნებს დიდი მხატვრული გემოვნების და ტექნიკური დახელოვნების მიღწევას, რომელსაც, უეჭველია, ხანგრძლივი განვითარება უსწრებდა წინ.

Buttler-ს მოჰყავს E. Littman-ის აზრი, რომ სირიული მედალიონები ძველ-ბაბილონურ და ასურულ სიმბოლურ გამოსახულებათაგან მომდინარეობს[3]. სტრიგოვსკის ზემომოყვანილი სიტყვებიდან ჩანს, რომ მასაც ეს მოტივი ქრისტიანობის უწინარესად მიაჩნია აღმოსავლეთში. თუ იგი სამხრეთიდანაა ჩვენში შემოსული (და რომ ეს

---

[1] სირიულ ჯვრებს, პირიქით, სწორედ სწორხაზოვანობა ახასიათებს. მოყვანილობით ჩვენებურს უფრო უახლოვდება ის ჯვარი, რომელიც გამოსახულია ათინის აკროპოლში სტრიგოვსკის მიერ ნახულს ერთ-ერთ ქვის ფრაგმენტზე, რომელსაც იგი V-VI საუკუნეებით ათარიღებს (იხ. მისი Altai-Iran und Völkerwanderung, S. 75, Abb. 68, S. 76 und 242), მაგრამ აქაც მსგავსება შორეულია.

კაირის მუზეუმში დაცულ ერთ VI-VII ს-ის ქვის თახჩაში მაღალი რელიეფით გამოქანდაკებულია წრეში ჩასმული ტოლმკლავებიანი და ფართოკიდეებიანი ჯვარი (იხ. სურათი O. Dalton-თან, Byzantin Atr and Archaeology, p. 39 Fig. 21), რომლის მკლავების გვერდები შეზნექილია ისე, რომ მკლავებშორისი უბეები სფერული სამკუთხედის მოყვანილობისაა, ხოლო მკლავების გულები თითქოს სამფურცელა პალმეტებითაა ამოვსებული, რომელთა გულები თითქოს ცერადკვეთითაა ამოღებული. ამგვარად, ეს ეგვიპტური ჯვარი კიდევ უფრო უახლოვდება ჩვენსას, მაგრამ განსხვავება აქაც მაინც დიდი რჩება.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ჰაურანის (სირია) ერთ უძველეს ტაძარში მრგვალი სარკმელი ისეა ამოჭრილი ქვაში, რომ ალათებს მიცემული აქვს ბოლნური ჯვარის მკლავების მოხაზულობა, რომლებიც ერთად ორი გადაბმული ექვს-ქიმიანი როზეტის სახეს იძლევიან (იხ. Vogüé, Syrie Centrale, Pl. 13, ქვემოთ მარჯვენა სურ.).

[2] აღსანიშნავია, რომ მედალიონების და პალმეტების კომპოზიციები, რომლებიც საქართველოში გვხვდება, სირიაში სულ არა ჩანს.

[3] იხ. ნახსენ. ადგ. გვ. 32, შენ. 1.

ასეა, ამას, მგონი, მისი გავრცელების არე თვით საქართველოს ფარგლებშიც ნათლად გვიჩვენებს), აუცილებელი არაა, რომ ეს მაინცდამაინც ქრისტიანობასთან ყოფილიყო დაკავშირებული. მართალია, ჩვენში მე არ მახსოვს მაგალითი, რომ ასეთი გამოსახულება ქრისტიანობაზე უფრო ძველს, წინაისტორიულ საგნებზე გვხვდებოდეს, მაგრამ რომ V ს-ში ჩვენ უკვე დიდი ხნის ტრადიციასთან გვაქვს საქმე, ამას, ჩემის აზრით, გვიმოწმებს არა მარტო ამ ორნამენტის სისრულე, არამედ ის მრავალნაირი გამოყენებაც, რომელიც მას ამ დროს ჩვენში აქვს: იგი გვხვდება არა მარტო ეკლესიების შესავლების ბალავრებზე, როგორც ბოლნისის სიონში, არამედ, როგორც ვნახეთ, ცალკეულ სტელებზეც, ლორფინებზეც და სვეტებზეც.

სირიაშიც მას მრავალნაირი გამოყენება აქვს (არა მარტო ეკლესიებზე!). დამაფიქრებელია, რომ საქართველოში მხოლოდ ჯვრიანი მედალიონები გვხვდება. მაგრამ მარტო ეს გარემოება არ იკმარებს იმისათვის, რომ ამ მოტივის წარმოშობა ჩვენში პირდაპირ ქრისტიანობას დავუკავშიროთ. თუ გავითვალისწინეთ, რომ ეს გამოსახულება სარწმუნოებრივ სიმბოლოს წარმოადგენს, მაშინ ისეთ კომპოზიციაში, როგორსაც გვიჩვენებს, მაგ., ვარსქენ ნახაპეტის მედალიონი (იხ. ენიმკი-ს „მოამბე", ტ. III, გვ. 320, სურ. 14 და ტ. IX, გვ. 185, სურ. 113), არ შეიძლება არ დავინახოთ რაღაც გარკვეული კავშირი ჯვარისა (და ეგების მაინცდამაინც ტოლმკლავებიანი და ფართო კიდეებიანი ჯვარისა) და მცენარეული რტოის ანუ ხის გამოსახულებათა შორის, კავშირი, რომელიც, მაგ., ძველი ელამისათვის დამოწმებულია ერთი საბეჭდავი ცილინდრით (აქ გამოსახულია ხე ორ მალტურ ჯვარს შორის)[1], ხოლო საქართველოში შეიძლება იქნას ნაჩვენები ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზედაც, და რომელიც მცენარეულობისა და ნაყოფირების ანუ აღორძინებული ბუნების ღვთაების ძველ-წინააზიური წარმართული კულტის გარდმონაშთად გვევლინება[2].

ჩვენი ორნამენტი გაცილებით უფრო მაღალ საფეხურზე დგას, სირიულთან შედარებით. თუ იგი ჩვენში სირიიდან შემოვიდა, რაც სრულებითაც თავისთავად ცხადი არ არის, ეს არ შეიძლება უშუალოდ მომხდარიყო. პირიქით, ყველა ნიშნით, რაღაც შუალედი ეტაპები უნდა ვივარაუდოთ, რომლებიც ამ მოტივს გაუვლია, სანამ იგი საქართველოს მოაღწევდა. რომ მას თავისი განვითარების გზა თავიდან ბოლომდე საქართველოში გაევლოს, ეს არ ჩანს, მაგრამ აქ მას, უეჭველია, ორიგინალური დამუშავება განუცდია.

უთუოდ უნდა გაიხაზოს ის გარემოება, რომ ტექნიკა ამ ორნამენტისა, განსაკუთრებით თვით ჯვარის გამოსახულებისა, მასალასთან შეუფარდებელი ჩანს. წარმოუდგენელია, რომ თავიდანვე ასე ემუშავნათ ქვაზე და მოცემული სახით რელიეფი პირდაპირ ქვისმთლელობაში გამომუშავებულიყო. ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ სტრიგოვსკის ცერადკვეთილობა ლითონის დამუშავების ტექნიკიდან გამოჰყავს. ასეთი ტექნიკა ხეზეც, ყოველ შემთხვევაში, გაცილებით უფრო მოსალოდნელია და ბუნებრივი, ვიდრე ქვაზე. ადვილი შესაძლებელია, რომ უძველესი ნიმუშები ჩვენი ორნამენტისა ხეზე ან ლითონზე იყო მოთავსებული და ამიტომ არის, რომ მათ ჩვენ ეხლა ვეღარა ვპოულობთ.

---

[1] იხ. G. Gontenau, Manuel d'Archéplogie Orientale, t. I, P. 1927, p. 378, Fig. 284.

[2] ამ აზრზე დამაყენა სარა ბარნაველის საინტერესო წერილმა „ხეების თაყვანისცემის ერთ-ერთი გარდმონაშთის შესახებ საქართველოში", რომელიც ჯერ-ჯერობით ხელნაწერის სახითაა წარმოდგენილი და რომელშიც ციტირებულია, სხვათა შორის, კონტენოს ზემოხსენებული რეპროდუქციაც.

დასასრულ, აღვნიშნავ კიდევ, რომ საქართველოში ამ მოტივის მოგზაურობისა და განვითარების ეტაპების გამოსარკვევად დიდი მნიშვნელობა ექნებოდა არა მარტო ზემოხსენებულ სომხურ ძეგლებზე მოთავსებულ გამოსახულებათა უფრო ნიშანდობლივ შესწავლას, არამედ, განსაკუთრებით, ტაშირისა და ბამბაკის ძეგლების გამომზეურებასაც, რაც საშუალებას მოგვცემდა ხიდი გადაგვეგდო ბოლნის-დმანისის რაიონიდან სომხეთის შირაქში.

* * *

ჩვენი მოგზაურობის შედეგად მაშავრის ხეობის ისტორიისათვის შეიძლება რამდენიმე საგულისხმო დასკვნა გამოვიტანოთ.

1. აქ ჩვენ მოგვეპოვება უძველესი ქართული ძეგლები. დიდი მონუმენტური ძეგლების კვალი თითქმის სრულებით წარხოცილია, სამაგიეროდ, ყოველ ნაბიჯზე გეხვდება წვრილი ნაშთები, უეჭველი მოწმენი ოდესღაც აყვავებული კულტურისა. არქეოლოგიური კვლევა-ძიება ამ რაიონში ჯერ კიდევ მრავალ ახალსა და მოულოდნელს მოგვიტანს. განსაკუთრებით ბევრს უნდა მოველოდეთ არქეოლოგიური გათხრებისაგან.

V და VI საუკუნეების ძეგლების ასეთი სიმდიდრე ჯერ არსად სხვაგან საქართველოში არა გვაქვს[1].

2. სამაგიეროდ, VII-IX საუკუნეები აშკარა ხარვეზს წარმოადგენს. ამ დროის ქართული აღმშენებლობის კვალი აქ სრულებით არა ჩანს. ეს, უეჭველია, უბრალო შემთხვევა არ არის, არამედ დაკავშირებული უნდა იყოს პოლიტიკურ ვითარებასთან, სახელდობრ, არაბათა მფლობელობასთან, როდესაც ქართული კულტურის მაჯისცემა აქ შესწყდა.

თვითონ არაბებს რაიონში თითქმის არავითარი კვალი არ დაუტოვებიათ. მხოლოდ ერთი არაბული ძეგლი შემხვდა ბალიჭების ახლოს[2]. მათი კვალი უფრო დმანისში ჩანს, სადაც მათი ამირები ისხდნენ („მეჩითები", აბანოები და სხვ.)[3].

X-XI საუკუნეების ქართული ძეგლებიც ჯერჯერობით ნაკლებად ჩანს. გვაქვს მხოლოდ რამდენიმე წარწერა ბოლნისიდან[4]. ზოგიერთი ზემოხსენებული წარწერაც (აბულბუგი, კიანეთი) შეიძლება ამ ხანას ეკუთვნოდეს.

---

[1] როგორც ცნობილია, მაშავრის ხეობა ძველი გუგარკის ფარგლებში შედიოდა. ეს იბერიული ქვეყანა, სტრაბონის გადმოცემით, 190 წლ. ახლ. ქ. წ. სომხებმა დაიპყრეს და მათ ხელში დარჩა იგი თითქოს IV ს-ის შუახანებამდე. როდესაც ის ისევ იბერიას დაუბრუნდა. როგორცა ჩანს, სომხეთის მფლობელობას აქ დიდი გავლენა არ უნდა ჰქონოდა. მაშავრის ხეობაში ამ ხანის სომხური მატერიალური კვალი არ მოიპოვება. H. Hübschmann-ი ჰფიქრობს (Die altarmenischen Ortsnamen, Strassb. 1904, გვ. 239 და 275-276), რომ გუგარკი ეთნოგრაფიულად ყოველთვის იბერიული იყო და რომ ამ მხარის მხოლოდ სამხრეთი ნაწილების (ტაშირის და სხვ.) გასომხება არის საგულვებელი აღნიშნულ ხანაში. არქეოლოგიური ნაშთების მონაცემი სავსებით ადასტურებს Hübschmann-ის ვარაუდს მაშავრის ხეობისათვის. რაც შეეხება ტაშირის, აშოცის და სხვ. გასომხებას, ამას ჯერ კიდევ გამორკვევა სჭირდება. საზოგადოდ, უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი აღმოჩენები არმაზში, უეჭველია, გამოიწვევს როგორც გუგარკის, ისე მთელი იბერიის უძველესი ისტორიის საფუძვლიან გადასინჯვას, რის შედეგადაც, ჩვენ მოგვიხდება, ალბათ, არა ერთი აქამომდე ურყევად მიჩნეული დებულების შეცვლა.

[2] იხ. ჩემი „დმანისი", გვ. 328, შენ. 5.

[3] იხ. „დმანისი".

[4] იხ. ჩემი „ბოლნისი", გვ. 337-342.

სომხებსაც თავისი ხანმოკლე ბატონობის დროს, X ს-ის განმავლობაში და XI ს-ის პირველ ნახევარში, როდესაც მათი მეფენი სამშვილდეში ისხდნენ, რაიონში აღმშენებლობის კვალი არ დაუტოვებიათ[1].

3. XII-XIV საუკუნეები, არაბთა განდევნის შემდეგ და ვიდრე თემურის შემოსევამდე, ისევ ქართული ინტენსიური აღმშენებლობის ხანაა. ამ ხანიდან შემონახული გვაქვს როგორც მთელი რიგი მონუმენტური ხასიათის ძეგლებისა (წულრულაშენი, თევდორწმინდანი, ხუჯაბი[2], კიანეთი, დმანისის სიონის კარიბჭე[3], ბოსლების სამება, ჰამამლუ და სხვ.), ისე მრავალი წარწერაც და სხვა ნაშთებიც, როგორიცაა საფლავის ქვები, წვრილი განათხარი ინვენტარი და მისთ.

4. XV-XVI საუკუნეებში ამ მხარის მოსახლეობა იცვლება, აქ მიმდინარეობს ძლიერი სომხური იმიგრაცია და მაშინ ჩნდება სომხური ძეგლებიც[4].

ამ ხანის განმავლობაში, უეჭველია, ქართული აღმშენებლობაც წარმოებდა ამ რაიონში. განსაკუთრებით საფიქრებელია ეს ალექსანდრეს დროს, თუმცა მე არ შემიძლია ამჟამად XV ს-ის არც ერთ ქართულ ძეგლზე მითითება.

სამაგიეროდ, XVII ს-ში, განსაკუთრებით, როსტომ მეფის დროს, აქ ისევ-ისე დიდი ქართული აღმშენებლობითი და აღდგენითი მუშაობა მიმდინარეობს. მთელი რიგი რესტავრირებული ძეგლებისა, უეჭველია, ამ ხანაში უნდა იყოს შეკეთებული (ზოგი, ალბათ, უკვე ალექსანდრეს დროს შეაკეთეს). შემდეგ, ახალი აღმშენებლობაც უხვად არის წარმოდგენილი ციხე-სიმაგრეების, ხიდების, ქარვასლების და სხვ. სახით. ასეა XVIII ს-ის შუახანებამდე[5].

---

[1] ამ მხრით საეჭვოდ რჩება მხოლოდ ერთი ძეგლი, სახელდობრ, თეკენების „შველის ეკლესია", რომელიც შემდგომ შესწავლას მოითხოვს.
ძველი სომხური მოსახლეობა იყო, როგორც ცნობილია, დმანისში, სადაც მათი ძეგლები XII-XIII ს-ისა ბევრია (იხ. ჩემი „დმანისი", გვ. 435). შეიძლება სომხური იყოს აგრეთვე სამშვილდის ბაზილიკაც, მაგრამ რაიონში მათი ძეგლები არა ჩანს.

[2] იხ. ჩემი „ბოლნისი", გვ. 333-337.

[3] იხ. „დმანისი", გვ. 371-389.

[4] შდრ. ჩემი „დმანისი", გვ. 328. შენ. 5 (სომხ. წარწერა ბალიჭებში) და „ბოლნისი", გვ. 319-320 (ბოლნის-ხაჩინის ეკლესია და წარწერები), გვ. 334, შენ. 1 (ხუჯაბის საფლავის ქვა), გვ. 336, შენ. 1 (სამწევრისის და თურუნ-ახპერის ეკლესიები და წარწერები). იხ. აგრეთვე იქვე, გვ. 346-349 და 374-375.

[5] შდრ. ჩემი „ბოლნისი" და „დმანისი".



1. უკანგორი. ორკარიანი ეკლესიის გეგმა და განაკვეთები.

2. უკანგორი. ორკარიანი ეკლესია სამხრეთიდან.

II



3. უკანგორი. თათვარაზის წარწერა.

4. უკანგორი. ბოლნური მედალიონიანი ლორფინი.



5. უკანგორი. ბოლნური მედალიონიანი ქვის ფრაგმენტის (სურ. 5) ორნამენტის აღდგენილი სახე.

6. უკანგორი. ბოლნური მედალიონიანი ქვის ფრაგმენტი.

III

7. უკანგორი. ბარელიეფიანი ქვა ფარშეეანგის გამოსახულებით.

8. უკანგორი. ორი ბარელიეფიანი ქვის ფრაგმენტები.

IV

9. მცხეთის ჯვარი. დემეტრე ეიპატოსის ბარელიეფი.
ერმაკოვის გადანაღების მიხედვით.

V



10. ორსაყდრები. ორნამენტირებული
ქვა ქვემო ეკლესიის ჩრდილო-კედელში.



11. კიანეთი. გზისპირის ეკლესიის გეგმა, განაკვეთი და ფასადები.

VI

12. კიანეთი. ბარელიეფიანი საფლავის ქვა სოფლის ეკლესიასთან.



13. ქვეშის ციხე სამხრეთიდან.

14. ქვეშის ციხე. მეორე სართულის კიბე. მარჯვნით ჩანს შესაელის გვირაბი.



16. თეკენების ქვ. ეკლესიის კედელში ჩადგმული ქვის (სურ. 15) ორნამენტის აღდგენილი სახე.

15. ტნუსის თეკენების ქვემო ეკლესია. ეკვტერის აღმოსავლეთ კედელში ჩასმული ორნამენტირებული ქვა.

VIII

17. თეკენების „შველის ეკლესია". სამხრეთი კედლის ბარელიეფები.



18. თეკენების „შველის ეკლესია". სამხრეთი კედლის ბარელიეფი.

19. ოშკის ბარელიეფი. ე. თაყაიშვილის ექსპედიციის მულაჟიდან.

IX

20. თეკენების „შველის ეკლესია". დასავლეთის შესავალი.

21. ბოსლების სამება. ასახულობა სამხრეთიდან.

X

ს ა მ ე ბ ა.



22. ბოსლების სამება. გეგმა და განაკვეთი.



23. ბოსლების სამება. აღმოსავლეთის ფასადი.







24-26. ბოსლების სამება. ჩუქურთმის მედალიონები.

27. ბოსლების სამება.
კარის ამყოლის სვეტი.

XII

ჰამამლო.



28. ჰამამლუს მცირე ეკლესია. გეგმა.

29. ბოლნური მედალიონიანი ქვის ფერაგმენტი ზემო ოროზმანიდან.

30. სირიული მედალიონი. Buttler-ის მიხედვით.

სოციალურ-ეკონომიკური
პრობლემები

დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიები XVI-XVII სს.

(მასალები სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის)

წინამდებარე ნაშრომი ამოღებულია ვრცელი სტუდიიდან, რომელსაც ავტორმა ხელი მოჰკიდა აკად. ივ. ჯავახიშვილის დავალებით ჯერ კიდევ 1928 წ. და რომელიც დას. საქართველოს ეკონომიურ ისტორიას შეეხებოდა XVI-XVIII საუკუნეებში.

XVI ს-დან მოყოლებული დას. საქართველო მიდიოდა საკუთარი, მრავალმხრივ თავისებური გზით. მაგრამ ვინაიდან აღმოსავლეთ საქართველოსთან მას საერთო წარსული ჰქონდა და აღნიშნულ საუკუნეთა განმავლობაშიც კავშირი ამ ორ მხარეს შორის მჭიდრო იყო, მთელი რიგი ძირითადი საკითხების გასაშუქებლად აუცილებელი შეიქმნა აღმოსავლეთი საქართველოს მონაცემის გათვალისწინება. ხოლო აღმ. საქართველოს ეკონომიური ისტორია XVI-XVIII საუკუნეებში ნამდვილ terra incognita-ს წარმოადგენს. ამ გარემოებამ ერთი-ორად გაზარდა სტუდიის თავდაპირველად განზრახული ზომა. მისი დამთავრება შეფერხდა, მით უმეტეს რომ ავტორს მას უკან თავისი მუშაობის სულ სხვა დარგში გადატანა მოუხდა.

ამ ექსცერპტის გამოქვეყნება ავტორს მაინც მიზანშეწონილად მიაჩნია იმდენად, რამდენადაც ჩვენს საისტორიო ლიტერატურაში თითქმის არა მოგვეპოვება რა დას. საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის აღნიშნულ ხანაში. ავტორი იმედოვნებს, რომ ეს ნაშრომი, როგორც მასალა, თავის დანიშნულებას შეასრულებს. მეტის პრეტენზია მას არა აქვს.

I

ვიდრე თვით საგანს შევუდგებოდეთ, საჭიროდ მიმაჩნია სამი თვალსაზრისით მისი ნიშანდობლივ განსაზღვრა.

1. ტერიტორიალურად ჩვენი მასალა ვრცელდება დას. საქართველოზე თითქმის მთლიანად. საბუთები შემონახული გვაქვს ამ მხარის თითქმის ყოველი კუთხიდან, აფხაზეთისა და სვანეთის გამოკლებით. ისინი დაახლოებით ერთსა და იმავე სურათს გვიხატავენ როგორც სამეფოში, ისე სადადიანოსა და საგურიელოშიც.

2. საგამოსავლო დავთრები და უმრავლესობა სხვა საბუთებისა, რომლებსაც მე ვემყარები, ეკუთვნის XVI ს-ის დამლევს და XVII-ის შუახანებს. ამგვარად ჩვენი საგნის ქრონოლოგიური მიჯნები უფრო ნიშანდობლივ ესაა. მაგრამ, რამდენადაც მოგვეპოება, გამოყენებული მაქვს XVI ს-ის პირველი ნახევრის მასალაც. XVII ს-ის მეორე ნახევარიც საკმაო რაოდენობის საბუთებითაა წარმოდგენილი, რომელთაგან ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში დამეხმარა. ზოგიერთი მოვლენის ასახსნელად და

საილუსტრაციოდ მივმართავ XVIII ს-ის საბუთებსაც. სამწუხაროდ, XVIII ს-ის საბეგრო ნუსხები, ხონის საგამოსავლო დავთარს გარდა, არ მოგვეპოება. რადგან XVIII ს-ში ბევრი რამ გამოიცვალა გრიგოლ კათალიკოზის რეფორმების შემდეგ, ამ ხანის საბუთების გამოყენება სიფრთხილეს მოითხოვს.

3. ჩვენი საბუთების დიდი უმრავლესობა საეკლესიო ხასიათისაა[1]. მართალია, ამ საბუთებშიც მოიპოვება აქა-იქ ცნობები საერისკაცო (სააზნაურიშვილო და სამეფო) გლეხების შესახებ, მაგრამ ეს მასალა იმდენად ნაკლულოვანია, რომ მაზე დაყრდნობა არ იქნება. მთავარი წყარო საერისკაცო გლეხობის ვითარების შესასწავლად XVII ს-ის შუახანებში ჯერჯერობით ისევ არქ. ლამბერტის გადმონაცემია. მაგრამ ლამბერტის ცნობები ზოგად ხასიათს ატარებს და ისიც მხოლოდ ოდიშს შეეხება. ამიტომ მე იძულებული ვიყავი მხოლოდ საეკლესიო გლეხების ვითარება განმეხილა. უნდა კი აღინიშნოს, რომ როგორც ლამბერტის მონათხრობი, ისე ის მცირეოდენი ცნობები, რომლებიც საეკლესიო საბუთებშია გაბნეული, საფიქრებლად ხდის, რომ საერისკაცო გლეხობა ისეთსავე, ან თითქმის ისეთსავე კატეგორიებად იყო დაყოფილი, როგორც საეკლესიო.

II

XVI-XVII სს-ში „გლეხი" საკმაოდ რთულ ცნებას წარმოადგენს.

1. „გლეხი" კრებითი ცნებაა და გამონათქვამი „გლეხი ერთი" ყოველთვის ერთ კაცს არ აღნიშნავს. როგორც კრებითი ცნება, „გლეხი" უდრის „კომლს". 1569 წლ. საბუთში, მაგ., ვკითხულობთ: „შემოგწირეთ... გლეხი გვ(ე)ნცელაძე ღმერთისიაი მისით შვილებით და ძმისწულითა... კვამლი ერთი" (საეკლ. საბ. 118). 1685 წლ. საბუთში ეს უკეთაა გამოთქმული. აქ სწერია: კათალიკოზმა „ორი გლეხი გვთხოეთ და მოგართვით, ერთი კვამლი კაცი ახალდაბას, კუბლუასშვილი ნასხიდაი და ორი მისი ერ(თ)სახლი ძმები და მეორე გლეხი ხრესილზედ, გიორგა ობოლაძის შვილები, ზაქარია, ხახუტა, გიორგი და ქრისტეშია. ეს ორი მოსახლე... გლეხი მათის ცოლშვილითა, ერ(თ)სახლის ძმითა, სახლკარითა, ჭურ-მარნითა, ტყითა, ველითა" და სხვ. „მოგვირთმევიაო" (იქვე 80). აქედან ნათლად ჩანს, რომ „გლეხი" შეიძლება ოთხ კაცსაც აღნიშნავდეს მათი ოჯახებითურთ. ამასთანავე, უპირატეს გლეხად ითვლება უფროსი მამაკაცი კომლში და შემდეგ უმცროსი მამაკაცობა, ხოლო დედაკაცები და წვრილშვილი „გლეხად" არ ითვლებიან, ამ ცნებაში არ შედიან, ესენი „გლეხთან", „მისნი" არიან ისე, როგორც მისი სახლკარი, ჭურ-მარანი და სხვ.

2. „გლეხი" მემკვიდრეობით მიწაზე მჯდომს ეთქმის, ის უდრის „მოსახლე კაცს". ასე, მაგ., აფხ. საკ˜ზო დიდ იადგარში[2] ვკითხულობთ: „თუ გლეხი იყოს რომელმან

---

[1] დ. ფურცელაძის „Дворянские" და „Крестьянские грамоты" მხედველობაში მისაღები არაა, რადგან მათი გამოყენება, თუ შეუძლებელი არა, ყოველ შემთხვევაში მეტად საფრთხილოა. სრულიად გამოუყენებელი დამრჩა აგრეთვე სასისხლო სიგელები (რომელთა უმრავლესობა ყალბია), რადგან მათი დათარიღება სჭირს.

[2] საკათალიკოზო იადგარი ნატყუარი საბუთია, მაგრამ მაინც ვიყენებ აქ და ერთგან ქვემოთაც იმ მოსაზრებით, რომ ყალბისმქნელი იქ, სადაც ამას ნატყუარობის მიზანი არ მოითხოვდა, არ შეიტანდა მოგონილს და სინამდვილესთან შეუფერებელ ცნობებს. ეს იადგარი შეთხზული უნდა იყოს XVI ს-ის დამლევს (პირველი მინაწერი, ეფთვიმი საყვარელიძისა, დაახლ. ამ ხანას ეკუთვნის) და მას მიზნად ჰქონდა საკათალიკოზო მამულების და იურისდიქციის სრული

ჰკადრა (უპატიება), მისითა მამულითა საყდარს დაეურვოს" (გუჯრები 132=საისტ. მ-ბე 1925 II 184), ე. ი. გლეხი წარმოდგენილია მხოლოდ მისი მამულითურთ. მართლაც, გლეხი ჩვენს საბუთებში ყოველთვის შეიწირება „მისითა სახლ-კარითა, მამულითა" და სხვ. და როდესაც, მაგ., ლევან დადიანის შენირულობის სიგელში ვკითხულობთ: „შეგვინირავს... ორი მოსახლე... მესამე და მეოთხე მოსახლე" და ა. შ. (საეკლ. საბ. I 43), ყველგან შეგვიძლია „მოსახლეს" მაგივრად „გლეხი" დავსვათ ისე, რომ წინადადების აზრი არ შეიცვალოს. მართალია, ყოველი „მოსახლე" გლეხი არაა, მაგრამ ყოველი გლეხი მოსახლეა, თუ არა და „აყრილი გლეხი", „უალაგოდ" დარჩენილი (იქვე 55) უნდა იყოს. ტერმინს „კუამლი" ცხოვლად შენარჩუნებული ჰქონდა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა და ზოგან ასეთ გამონათქვამებს ვხვდებით: „რასაც კუამლი ამოსდიოდეს" ესა და ეს ბეგარა გამოიღოსო (იქვე 23). სრულიად უმიწო, უსახლკარო გლეხი ჩვენს საბუთებში გარკვეულ ხანამდე არა ჩანს.

3. დასასრულ, „გლეხი" დას. საქართველოში, ვიდრე XIX ს-ის შუახანებამდე, არ ნიშნავდა ერთი სოციალურ-ეკონომიური ფენის კაცს, გლეხობა არ წარმოადგენდა ერთ მთლიანს წოდებრივ ფენას. გლეხი რამდენივე კატეგორისაა იყო და ამ კატეგორიათა შორის დიდი სოციალურ-ეკონომიური სხვაობა არსებობდა.

შეუვალობის, ყმების სისხლის ფასის და, როგორც ჩანს, ზოგიერთი შენირულობის დაყალბება. აი ამ ძეგლის ნატყუარობის ზოგიერთი ნიშნები: 1. რვა კათალიკოზის ხელრთვათაგან 3 პირველი იადგრის ტექსტის ხელითაა დასმული, ხოლო მე-4 და მე-5 სხვა, მაგრამ ორივე ერთი ხელით სწერია (ეჭვის მომგვრელია უკვე ის გარემოება, რომ რვავე ხელრთვა ხუცურია და არა მდივანმწიგნობრული (იხ. საქ. ცენტრარქ. გრაგნილი № 5033), 2. ბაგრატ III თავისავე თავს „დიდად" იხსენიებს, 3. მამია დადიანი (გარდაიცვალა 1532/3) წ. პირველი პირით ლაპარაკობს და დადიანებად იხსენიებს თავის ძეს ლეონს და შვილისშვილებს გიორგის და მამიას (გარდ. 1590 წ.), რომელთა დადიანობას, რასაკვირველია, ვერ მოესწრებოდა, ისე რომ გამოდის, თითქოს ყველა შეწირულობანი ოთხსავე ერთად გაეკეთებინოთ. ასევე იქცევა როსტომ გურიელი, რომელიც გურიელად ასახელებს თავის შვილს გიორგის, 4. გიორგი II სწირავს ხოშტიბელას და ჩუნეშს „ბიჭვინტის ღვთისმშობელს", იმ დროს, როდესაც მისივე 1569 წლ. სიგლით მას შეუწირავს ეს ადგილები გელათის საკ˜ზო წმ. გ˜ის ეკლესიისათვის (საეკლ. საბ. I 17-19), 5. დიდი ნაწილი იადგარში შეწირულად მოხსენებული სოფლებისა აფხ. საკ˜ზო დავთარში შეტანილი არაა (წუგნა, კუებლევი, კუხი, აითარნე, არუხა, რაბინა და სხვ.), რაც გაუგებარი რჩება, თუ კი, როგორც კაკაბაძე ჰფიქრობს, ეს ძეგლი XVI ს-ის დამლევს შეუვსიათ თუ „გადაუწერიათ", 6. სისხლის ფასი არაჩვეულებრივად მაღალია (მაგ. 600.000 თეთრი დასაურვებლად, 300.000 სისხლად და 15.000 სანახშიროდ), მოგვაგონებს სასისხლო სიგლებს და ამ მხრით საერთო არა აქვს რა „კათალიკოზთა და კრებისა მიერ სამართალთან", რომელიც შედგენილი უნდა იყოს 1543-49 წლ.

ამ ძეგლის ნატყუარობაზე ყურადღება მიმაქცევინა აკად. ივ. ჯავახიშვილმა.

III

გლეხობის სოციალური დანაწილების საკითხს ძველს საქართველოში შეეხნენ, უფრო დაწვრილებით, ალ. ხახანაშვილი[1] და, გაკვრით, ს. კაკაბაძე[2].

ხახანაშვილის მიდგომა საგნისადმი მცდარია: ის არ არჩევს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს, მთლიანად საქართველოზე ლაპარაკობს XVI-XVIII სს-ებშიც, რის გამოც შეუძლებელი ხდება გარკვევა იმისა, თუ რა არის სწორი სრულიად საქართველოსათვის და რა შეეხება მხოლოდ ამა თუ იმ მხარეს ჩვენი ქვეყნისას. შემდეგ: ხახანაშვილი ემყარება უცხო (ევროპის და რუსეთის) ისტორიის ფაქტებს და ქართული მოვლენებისათვის მზამზარეული სქემა მოაქვს გარედან. ამ ანალოგიის მეთოდის წყალობით მისი სწორი დასკვნებიც კი საჭიროებენ ხელახალ გაცხრილვასა და დასაბუთებას.

ს. კაკაბაძესაც გლეხობის სოციალურ კატეგორიათა საკითხი XVI-XVII სს-ების დას. საქართველოსათვის გადაწყვეტილი აქვს შეუსატყვისი მასალების მიხედვით: ის ეყრდნობა 1864 წლის ცნობებს, რომლებიც ეკუთვნის რუსის მოხელეებს და Бороздин-ს. ამათი ცნობებით, ბატონ-ყმობის გადავარდნის დროისათვის, ყველგან დას. საქართველოში გლეხები განიყოფებოდნენ ოთხ ფენად: აზატებად, მსახურებად, გლეხებად და მოჯალაბეებად. ამისდა მიხედვით ს. კაკაბაძე ჰფიქრობს, რომ ეს „წინადაც" ასე ყოფილა და სწერს: „გლეხები (დას. საქართველოში) წინადაც დაყოფილი იყვნენ არა ორ ფენად, როგორც ეს იყო ქართლში ვახტანგის კანონების შედგენის დროს და წინა საუკუნეებშიც (მსახურნი და გლეხნი), არამედ 4 ფენად: აზატნი, მსახურნი, გლეხნი და მოჯალაბენი. ასე იყო როგორც იმერეთსა და გურიაში, აგრევთე სამეგრელოშიც"[3]. ასეთი მსჯელობაც მეთოდოლოგიური შეცდომაა, რომელსაც აუცილებლობით მოჰყვება მცდარი დასკვნები. ქვემოთ ვნახავთ, რომ საკითხი ასე მარტივად არა დგას და რომ აზატებსაც და მოჯალაბეებსაც თავისი ისტორია ჰქონდათ[4].

გლეხობის სოციალური დანაწილების შესახებ საკმაოდ გარკვეული ცნობები მოგვეპოება როგორც XVI ისე XVII საუკუნეებისათვის.

აი როგორ ჩამოსთვლის წოდებებს დას. საქართველოში „მცნება სარჯულო", 1470-74 წწ. ძელგი: „თ(ა)ვადნი, აზნაურნი, გინა აზნაურისშვილნი, მსახურნი გინა გლეხნი" (იხ. მცნება სარჯულო, გამოც. ს. კაკაბაძის მიერ. ტფ. 1913 წ., გვ. 14, შდრ. გვ. 13 და 6). მაღალ წოდებათა გარეშე, აქ წარმოდგენილია ორი დაბალი წოდება: მსახურნი

---

[1] იხ. მისი „ბატონ-ყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდე". ქუთ. 1910, გვ. 21-29 და სხვ.

[2] იხ. მისი „მასალები დასავლეთ საქართველოს სოციალურ და ეკონომიურ ისტორიისათვის", საისტ. კრებ. I 5, 7, 8.

[3] იქვე, გვ. 7. შემდეგ კაკაბაძე, როგორცა ჩანს, აიდენტივებს ზემოხსენებულ „გლეხს" და ძველ „მოინალეს" (იხ. იქვე, გვ. 10 და შემდ.).

[4] ზემონათქვამი, ცხადია, იმას არ ნიშნავს, რომ XIX ს-ის მასალები და ცნობები ვერ გამოდგება წინა-საუკუნეების მოვლენათა გასარკვევად. პირიქით, ის, რაც შემოგვენახა XIX ს-დან, ჯერ სრულიად არ არის დაფასებული. ამ უშრეტი მასალის დამუშავება და გამოყენება მომავლის საქმეა. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მასალებს საერისკაცო გლეხობის ვითარების გასარკვევად. მაგრამ არასოდეს თვალიდან არ უნდა გავუშვათ ისტორიული პერსპექტივა: მე მგონია, რომ ამ მასალებით დაწყება კვლევისა და მათზე დაყრდნობით მსჯელობა არ შეიძლება, სანამ სავსებით შესწავლილი და დადგენილი არ არის წინა საუკუნეების დოკუმენტალური ჩვენებანი.

და გლეხნი. მაგრამ „სამართალი კათალიკოზთა და კრებისა მიერ", პროფ. კ. კეკელიძის განსაზღვრით, 1543-49 წლ. ძეგლი, მოწინავე წოდებათა გარდა, იცნობს მხოლოდ გლეხებს. აქ დასახელებულია: თავადისშვილი, აზნაურისშვილი და გლეხი (იხ. ს. კაკაბაძე, სამართალი კათალიკოზისა და მისი შედგენის დრო, ტფ. 1913 წ., გვ. 3, 5; კეკელიძე, ქართ. ლიტერატ. ისტ. I, ტფ. 1923, გვ. 617-18, შდრ. ჯავახიშვილი, ქართ. სამართლის ისტორია I, ტფ. 1928, გვ. 50-51). ასევეა, მაგ., ბაგრატ III-ის 1527 წლ. წყალობის წიგნში (საეკლ. საბ. I 9), ვახუშტი აბაშიძის XVI ს-ის შეწირულობის წიგნში (იქვე 26) და სხვ. ყველგან აქ მსახურთა მოუხსენებლობა გაუგებარი დარჩება, რადგან რიცხვობრივ ესენი აზნაურებზე მაინც გაცილებით უფრო მეტნი იყვნენ, ხოლო უფლებრივ გლეხებზე უფრო მაღლა იდგნენ, თუ არ დავუშვებთ, რომ მსახურნი სადღაც იგულისხმებიან და რომელიღაც ტერმინის ქვეშ უნდა იმალებოდნენ. მართლაც, ამის შერსახებ გარკვეულ ცნობას გვაძლევს გელათის 1545 წლ. დავთარი. აქ, რიონელ ყმათა შორის, ნაცვალი მამრიკისშვილი უდავოდ მსახურია, მას ჰმართებს, ბეგარას გარდა, „ცხენით სამსახური" (ქრონიკები II 337=საკ˜ზო დავთ. 62); ბოლოში დავთარი ჩამოსთვლის რამდენსამე ყმას, მათ შორის ხსენებულ ნაცვალს მამრიკისშვილს, და დასძენს: "ესე გლეხნი" ასე და ამრიგად შევიძინეთო (ქრონიკები 340=საკ˜ზო დავთ. 67). აქედან ცხადია, რომ მსახური მამრიკისშვილიც გლეხად ითვლებოდა და რომ ზემომოყვანილ საბუთებში, საცა მსახურთა ხსენება არაა, ისინი გლეხთა შორის იგულისხმებიან. ამგვარადვე, ხორის საკათალიკოზო ყმები XVI ს-ში მსახურნი არიან, ჰმართებს საკლავი პურის-ჭამა, ლაშქრობა და სამსახური, მაგრამ ნუსხა მათ გლეხებს უწოდებს: „არის ხო(ი)რს საკათალიკოზო გლეხნი 28 კვამლი" (საკ˜ზო დავთ. 56).

მაშასადამე, ტერმინს „გლეხი" კიდევ ორგვარი მნიშვნელობა ჰქონია: ფართო მნიშვნელობით ის აღნიშნავს, აზნაურებს გარდა, მთელს მიწათმოქმედეს მოსახლეობას, როგორც მაღალი, ისე დაბალი ფენისას, ხოლო უფრო ვიწროდ, ისე, როგორც ის ნახმარია „მცნება სარჯულოში", ეს ტერმინი აღნიშნავს მხოლოდ დაბალი ფენის მიწის მუშას.

ეს უფრო ნათელი გახდება ჩვენთვის, როდესაც გავითვალისწინებთ XVII ს-ის ცნობებს, რომლებიც უფრო ნიშანდობლივ ხასიათს ატარებენ.

აქ ყველაზე უფრო საინტერესოა არქ. ლამბერტის ცნობა, რომელიც სამეგრელოში ცხოვრობდა 1633-დან 1653-მდე. ლამბერტი ოდიშის მთელს მოსახლეობას ორად ჰყოფს და თვითეული ნაწილი მოსახლეობისა, მეორესთან შედარებით, ერთს მთლიანს წარმოადგენს, მაგრამ როგორც თავად-აზნაურობა თავისი მხრით კიდევ ორად განაწილდება, ისე დაბალი მოსახლეობაც ორი ფენისაგან შედგება, მსახურებისა და მოინალეებისაგან (Saccúr e Moinalli: A. Lanberti, Rellat. della Colchide, Nap. 1654, გვ. 30=ლამბერტი 34). სამეგრელოში საგლეხო მოსახლეობის დაბალი ფენისათვის, როგორც ვხედავთ, საკუთარი ტერმინიც ყოფილა ხმარებაში, მოინალე. ამასთან დაკავშირებით, მნიშვნელობა ეძლევა აფხ. საკ˜ზო დიდი იადგრის ცნობასაც, სადაც გლეხები აგრეთვე ორად არიან დაყოფილი. სახელდობრ, იქ საცა სისხლის ფასზეა ლაპარაკი, იადგარში ვკითხულობთ: „სხუანი რანიცა აგარანი და სოფელნი, მეტოქი, მონასტერი და ქალაქი სწერია, იმათ შინა მსახლობელნი გლეხნი, მსახურნი და მოინალე, ვინცა მოკლას", ამდენი და ამდენი სისხლის ფასად დაეურვოსო (გუჯრები 132-133=საისტ. მ-ბე 1925, II 184). მართალია, აქ მსახურის და მოინალის სისხლი თანაბრადაა შეფასებული, ხოლო იქვე ზემოთ „საყდრის მოინალის" სისხლი უფრო მეტადაც ფასობს, მაგრამ ეს გარემოება მაინც გაუგებარი და ცალკე გასარკვევი დარჩება, როგორც არ უნდა გავხსნათ ზემომოყვანილი წინადადება. და რომ ჩვენი ახსნა სწორია, ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ იგივე ძეგლი,

წოდებათა ჩამოთვლისას, მხოლოდ დიდებულებს, თავადებს, აზნაურებს და გლეხებს ასახელებს (გუჯრები 127=საისტ. მ-ბე 182), რაც იმის დამადასტურებელია, რომ ზემომოყვანილ წინადადებაში ტერმინი „გლეხი" ნახმარია მისი ზოგადი მნიშვნელობით, ხოლო „მსახური" და „მოინალე" აქაც, როგორც ლამბერტისთან, ორი მისი შემადგენელია. ამგვარად რაკი ეს იადგარი, როგორც საკათალიკოზო, მთელს დას. საქართველოს ეხება, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ტერმინი „მოინალე" დაბალი ფენის გლეხისათვის საყოველთაოდ მიღებული იყო და გურიასა და იმერეთშიც იხმარებოდა; ასე შეიძლებოდა გვეფიქრა, ძეგლი რომ ნატყუარი არ იყოს და „მოინალე" სადმე სხვაგან, ოდიშის გარეთაც, გვხვდებოდეს.

მეგრული ტერმინი „მოინალე" წარმომდგარია სიტყვისაგან „ნინალა", სამსახური (იხ. И. Кипшидзе, Грамматика мингрельскаго (иверскаго) языка, СПБ, 1914, ლექსიკ. „ნინალა"). „მო-ინალე" ანუ „მო-ნინალე" არის, მაშასადამე, ქართული „მო-სამსახურის" შესატყვისი.; აქედან ადვილი წარმოსადგენია, რომ ეს ქართული „მსახურის" შესაფერისი მეგრული ტერმინი იყოს, რომ „მოინალე" და „მსახური" ერთსა და იმასვე აღნიშნავდეს, ასეთ მოსაზრებას ადასტურებს თითქოს არა მარტო საკ˜ზო იადგრის ზემომოყვანილი ცნობა, სადაც მსახურის და მოინალის სისხლის თანაბრადაა შეფასებული, არამედ სხვა საბუთებიც. „მოინალე" რამდენჯერმე იხსენიება აფხ. საკ˜ზო გლეხების დიდ დავთარში და ორჯერ ისეა მოხსენებული, რომ ადამიანს მართლაც ეჭვი შეეპარება – მსახურთან ხომ არა გვაქვს აქ საქმე. „მართებს უჩაიას ბატონისა არაფერი – ვკითხულობთ ერთგან – სამოინალოს ადგილზედ სახლობს და საპურობო მ(ა)რთებს" (გვ. 28). მარტო საპურობო, უბეგროდ, ევალებოდა, როგორც ვნახავთ, „დაუბეგრავ" მსახურს, ხოლო თუ „სამოინალო ადგილსაც" საპურობოს მეტი არა მართებს რა, გამოდის, რომ „მოინალე" მსახური უნდა იყოს. მეორე ადგილას, იმავე დავთარში ვკითხულობთ: „მართებს მოინალეს ბაბაშური ჟვანესკირიას ერთის კვირის ყ˜ლის დღის სამსახური" (გვ. 34). აქ ჯერ ისაა გასაკვირველი, რომ მოინალეს მხოლოდ „ერთის კვირის" (ცხადია, წელინადში) სამსახური მართებს და მერე ის, რომ ამას გარდა სხვა არაფერი გადასახადი არ ადევს. აქაც, მაშასადამე, იბადება საკითხი, ეს „მოინალე" მსახური და ისიც სრულიად დაუბეგრავი მსახური ხომ არ არის?

მაგრამ იმავე დავთრის ხოირის ნუსხაში დასახელებულია ორი „მოინალე", რომელთაგან ერთს მართებს „ტკრთი და ერთი ხმელი თევზი", ხოლო მეორეს – „ბარგის ზიდვა და ერთი თევზი" (გვ. 30). ამათი გამოსაღები ძალიან მცირედია, რაც კერძო ხასიათის მიზეზით უნდა აიხსნას. ჩვენთვის საინტერესოა მათი სამსახურებრივი ვალდებულება, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. საქმე ისაა, რომ „ტვირთის ზიდვა" ყველაზე უფრო სათაკილო და დამამცირებელი სამსახური იყო (იხ. ქვემ.). ცხადია, რომ ეს ვალდებულება მოინალეს განსაზღვრავს, როგორც უდაბლესი ფერის გლეხს[1].

ლამბერტი ხომ პირდაპირ გვეუბნება, რომ მოინალენი ოდიშის მოსახლეობის უდაბლეს ფენას შეადგენდნენ და, სხვათა შორის, იმასაც იხსენიებს, რომ ბარგის ზიდვა მართლაც სამოინალო სამსახური იყო (იხ. ქვემ.). ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ლამბერტიმ თითქმის 20 წელი დაჰყო სამეგრელოში და მას ენაც სავსებით შეთვისებული უნდა ჰქონოდა და ქვეყნის ვითარებაშიც იგი კარგად ერკვეოდა. ამასთანავე, მისი განათლება სრულს შეძლებას აძლევდა მას ზუსტად და ზედმიწევნით გადმოეცა ნახულიც და გაგონილიც. ყოველ ეჭვს გარეშე უნდა დარჩეს, რომ ორჯერ ეგზომ

[1] ასეთი მოსაზრება გამოსთქვა პროფ. არნ. ჩიქობავამ.

უცნაურად განსაზღვრული სამოინალო ვალდებულება რაღაცა სხვა, განსაკუთრებული პირობებით უნდა აიხსნებოდეს.

მეტად საინტერესოა ის გარემოება, რომ XVII ს-ის სამეგრელოში ორი სემასიოლოგიურად თითქოს ადექვატი ტერმინი. „მსახური" და „მოინალე", ასეთი გარჩევით იხმარება და რომ მათგან ქართული ტერმინი მაღალი ღირსების ყმას აღნიშნავს, ხოლო მეგრული – დაბალი ღირსებისას[1]. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნე, „მო-ინალე" უფრო „მო-სამსახურეს" უნდა უდრიდეს, ხოლო „მოსამსახურე" და „მსახური" სრულებითაც ერთი და იგივე არაა.

რას გვეუბნებიან საგლეხო კატეგორიათა შესახებ XVII ს-ის სხვა საბუთები?

ტერმინი „გლეხი" XVII ს-შიც იხმარება ზოგადი მნიშვნელობით. 1675-80 წლ. ახლო დროის სიგელში დასახელებულია მხოლოდ ორი, ცხადია, მთავარი წოდება – აზნაურები და გლეხები (საეკლ. საბ. I 78); 1700 წლ. ახლო დროის შენირულობის წიგნი ჩამოსთვლის თავადს, აზნაურისშვილს და გლეხს (იქვე 84). აქ ყველგან მსახური იგულისხმება გლეხთა შორის. აგრეთვე, მაგ., სოფ. ხიბულას ჯუმალი, აფხ. საკ"ზო დავთარში, ხიბულელ ყველა მებეგრეებს გლეხებად იხსენიებს: „არის ხიბ(უ)ლას კუამლი გლეხი ჯუმლად 58", ხოლო ნუსხაში ჩანს როგორც დაბალი ფენის გლეხები, მებეგრე-მეტვირთენი და მომუშავენი, ისე მსახურნიც, მხოლოდ გოჭკუმურის და ლაშქრობის ან კიდე მგზავრობის მოვალენი (გვ. 19-24).

მეორე მხრით, XVII ს-შიც გვხვდება ტერმინი „გლეხის" ხმარება მისი ვიწრო მნიშვნელობით, როდესაც ის აღნიშნავს მხოლოდ დაბალი ფენის გლეხს, სამეგრელოში მოინალეს. ასე, მაგ., 1684 წლ. კაცხის საბუთში ჩამოთვლილია შემდეგი წოდებანი: თავადნი, აზნაურნი, მსახურნი და გლეხნი (საისტ. კრებ. III 56); მსგავსადვე დავით კ"ზის დაახლ. ამავე ხანის წყალობის წიგნში მოწმეებად დასახელებულნი არიან „აზნაურისშვილნი, მსახურნი და გლეხნი" (საქ. სიძვ. II 89). XVIII ს-ში ხომ წოდებათა ასეთი დანაწილება უფრო ხშირად გვხვდება (იხ., მაგ., საისტ. კრებ. III 59, საეკლ. საბ. I, 94 და სხვ.).

მგონია ზემოთქმული საკმაო უნდა იყოს იმისათვის, რომ ტერმინი „გლეხის" ტერმინის ორგვარი მნიშვნელობა ცხადი შეიქნეს. ამავე დროს უნდა გაიხაზოს ის გარემოება, რომ ყველგან მხოლოდ ორს საგლეხო სოციალურ კატეგორიას ვხედავთ – მსახურებს და გლეხებს (მოინალეებს).

ქვემოთ მეც იძულებული ვიქნები ტერმინი „გლეხი" მისი ორივე მნიშვნელობით ვიხმარო, მაგრამ, რათა გაუგებრობა ავიცდინო, ყოველთვის, როდესაც მას ვიწრო აზრით ვიხმარ, გვერდით ფრჩხილებში დავუსვამ მეგრულ შესატყვის ტერმინს „მოინალეს". ამ უკანასკნელის საყოველთაოდ გამოყენება, თუმცა უფრო მარჯვე იქნებოდა, უმართებულოდ მიმაჩნია, რადგან მას ადგილობრივი ხასიათი აქვს.

XVIII ს-ში, იმერეთში შემოდის ტერმინი „მესეფე კაცი" (საისტ. კრებ. I 39-40 და 50 შშ.), რომელიც, თუ გავითვალისწინეთ, რომ „სეფეობა" კვირეულ სამინდვრე მუშაობას ანუ „ნიადაგ მუშაობას" ნიშნავს (იხ. საისტ. კრებ. III 70, საეკლ. საბ. II 89), უნდა მეგრული „მოინალის" შესატყვისი იყოს, მაგრამ რადგანაც ეს ნაგვიანევი ტერმინია და შეიძლება მას სპეციალური მნიშვნელობაც ჰქონოდა, ამიტომ მე ის არ გამომიყენებია.

---

[1] როგორც ანახეთ, XVII ს-ში ზოგან მსახურსაც დაევალა ტვირთის ზიდვა, მაგრამ იმავე დროს ის საპატიო სამსახურის, ლაშქრობის შესრულებასაც განაგრძობდა. ხოირელი მოინალეები კი მხოლოდ მდაბიო სამსახურს ასრულებენ.

IV

გლეხის საბატონო ვალდებულება ორგვარი ხასიათისა იყო: ერთის მხრით მას უნდა გამოელო ბეგარა, ხოლო მეორე მხრით უნდა გეაწია თავისი ბატონისათვის სამსახური.

ბეგარა ეწოდებოდა ყოველგვარს, ფულადსა თუ სულადს, გადასახადს, რომელიც მიწას ედო და მიწისჭერასთან იყო დაკავშირებული. ეს გადასახადები სხვადასხვა ხასიათისა და დანიშნულებისა იყო, მაგრამ ზოგადად ყველას „ბეგარა" ეწოდებოდა. საბეგრო ნუსხებს ხშირად უწერიათ სათაურად: „ამა და ამ ბეგრის ნუსხა", ხოლო ნორმებში მოხსენიებულია როგორც თავი-ბეგარა, ისე პურის-ჭამაც, ძღვენიც, აღაპიც და სხვ. (იხ., მაგ., ქუთ. დავთ. 4[1]; ცშ. დავთ. 12; საეკლ. საბ. I 27 და სხვ.). ნივთიერი შემადგენლობის მხრით იყო „თეთრის ბეგარა" (საეკლ. საბ. I 95), „ღორის ბეგარა" (იქვე II 2), „ხორცის ბეგარა" (ეიქვე I 124), „ღვინის ბეგარა" (იქვე II 10), „სანთლის ბეგარა" (იქვე I 95) და სხვ.

მაგრამ „ბეგარა" ჩვენს საბუთებში ხშირად დაპირისპირებულია სხვა სამამულო გადასახადებს. ასე, მაგ., საცაიშლოს დავთარში ზოგიერთი ყმის ნორმა „ბეგრისა" და „გოჭკუმურისაგან" შედგება, ყმას მართებს განსაზღვრული „ბეგარა" და ცალკე განსაზღვრული „გოჭკუმური" (გვ. 26 და სხვ.). ამ ორი, ცხადია, სხვადასხვა გამოსაღების აშკარა დაპირისპირება გვხვდება იქვე, ჩოხათის ნუსხაში, სადაც ვკითხულობთ: „ჯეგემორდილსა კაცი რომე მივეცით: ბეგარა ჯეგემორდილსა და სხვა გოჭკუმური" ცაიშელსა (გვ. 36); ამ კაცის გამოსაღები პირდაპირ ორადაა განაწილებული – „ბეგარას" ერთ ბატონს აძლევს, ხოლო „გოჭკუმურს" მეორეს. საქუთათლოს დავთარში კიდევ ასეთი დაპირისპირება გვხვდება: „ჩიბურდანიძე, ამათ ხად(ი)ლი მართებს; შავგულიძენი, ესენი მებეგრე არიან" (§ 43ა, შეად. § 225_2); აქ გახაზულია სხვაობა მეხადილეთა და მებეგრეთა შორის, თუმცა ხადილი ან საპურობო, იგივე პურის-ჭამა, ბეგარა იყო ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით.

აქ ყველგან ტერმინ „ბეგარას" ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს ე. წ. „თავი" ანუ „მთავნი ბეგარა". ეს კარგად ჩანს გაბრიელ ცაგერლის აღაპის წიგნიდან. ცაგერელს მის მიერ შეწირული ყმების ბეგარა განკვეთილი აქვს ორად: ერთია „თავი-ბეგარა" და მეორე „სანააღდგომეო"; გარდა ამისა მათ მართებს „მუშაობა, ლაშქრობა და სამსახური" (ცგ. დავთ. 17). ასეა გაწერილი რამდენიმე ყმის ვალდებულება. მაგრამ ერთი მებეგრის შესახებ ცაგერელი სწერს: „აგრეთვე კაცია ლემსნვერიძეს მართებს ცაგერლის მუშაობა, ლაშქრობა და სამსახური. სხვა, მისი ბეგარა და გამოსავალი, თემისათვის მიმიცემიაო" (იქვე 18). ცხადია, რომ ამისი „ბეგარა" არის სხვა გლეხების „თავი-ბეგარა", ხოლო „გამოსავალის" ქვეშ იგულისხმება სხვების „საანაღდგომეო", ალბათ ძღვენი, რომელიც თავისთავად ბეგრის, როგორც ზოგადი სახელის, შემადგენელი ნაწილია. აგრეთვე, მაგ., ნაგუაზავის და საქუჩულორიოს 1622 წლ. ნუსხებში ერთსა და იმავე ნორმაში ცალკეა ჩამოთვლილი „თავი-ბეგარა" და ცალკე „გოჭკუმური" (საკ˜ზო დავთვ. 17-19). აქედანაც ცხადი ხდება, რომ, როცა საცაიშლოს დავთარში მებეგრეს „ბეგარა" და „გოჭკუმური" მართებს, „ბეგარა" უნდა გავიგოთ როგორც „თავი-ბეგარა".

---

[1] გავიხსენოთ, ამასთან დაკავშირებით, რომ მეგრული ტერმინი „მარგალი"-ც=მეგრელი, უმთავრესად გლეხს აღნიშნავს, გლეხს ეწოდება. ი. ყიფშიძე ამბობს: „Это слово имущественно обозначает Мингрельца-крестьянина в противоположность другим сословиям" იხ. И. Кипшидзе, დასახელ. შრომა, ლექსიკ., „ინგირი" და „მარგალი".

მაგრამ ეს არ კმარა. უმეტეს შემთხვევაში თავი-ბეგარა მოთავსებულია ნორმის თავში უსახელოდ. ასე, მაგ., ხევთის ნუსხით (ცშ. დავთ. 5-12) მებეგრეთა უმრავლესობას მართებს უსახელო ბეგარა (საკლავი, ქათამი, პური, ღომი, ღვინო) და გოჭკუმური (ზოგიერთს კიდევ „საყანო", იხ. იქვე, 38-40); ხონის დავთრით ზოგიერთი ყმის ნორმა შედგება უსახელო ბეგრისაგან (პირველ ადგილზე) და საპურობო-საბატკობო-სამაჭრობო-საყველიერო-სამეჯინიბოსაგან; ბაშელ ყმებს (ქუთ. დავთ. §§ 122-150) მართებს უსახელო ბეგარა[1] და სათეთრო, სამარიობო, საჯინიბო, რიკრიკა (პურის-ჭამა) და სხვ. სრულიად ცხადია, რომ ყველგან აქ უსახელო ბეგარა არის სწორედ თავი-ბეგარა, რომელსაც, როგორც საკუთრივ ბეგარას, სახელწოდება არ სჭირია. მაგრამ, მაგ., ოცხანის XVI ს-ს ნუსხაში (საქ. სიძვ. I 56) თავი-ბეგრის საკლავი „სასტუმროიანად" (შდრ. ბარის ნუსხა, საკ˜ზო დავთ. 1) მოთავსებულია ხადილის შემდეგ და ხადილის პირველობა უნდა აღნიშნავდეს მეხადილეთა წარჩინებულობას დანარჩენ მებეგრეებთან შედარებით.

„თავი-ბეგარა", ცხადია, ნიშნავს მთავარ ბეგარას, საკუთრივ ბეგარას. მე გვერდს ვუხვევ იმ საკითხს, თუ რატომაა ეს ბეგარა მთავარი[2]. ჩვენთვის საინტერესოა ამჟამად მხოლოდ ის, რომ „ბეგარა" ვიწრო მნიშვნელობით განირჩევა პურის-ჭამისა და ძღვენისაგან. ეს ორი უკანასკნელი გამოსაღები, თავისი მხრით, სხვადასხვა სახელწოდების ქვეშ გვხვდება. პურის-ჭამას ეწოდება ხან „ხადილი", ხან „საპურობო", „პურობა", „ჭამა-სმა", „გოჭკუმური" (მეგრული ტერმინია), „რიკრიკა" და სხვ. ქვემოთ ვნახავთ, რომ ყველა ეს პურის-ჭამა, წვეულება იყო, მაგრამ სხვადასხვა ხარისხისა და ღირსებისა: რაც უფრო საპატიო იყო პურის-ჭამა, ის მით უფრო უხვი და მდიდრული უნდა ყოფილიყო. ჩვენ ვნახავთ აგრეთვე, რომ „პურის-ჭამა" ზოგჯერ დამოუკიდებელ ნორმას შეადგენდა, „ბეგარასთან", ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, აუცილებლად დაკავშირებული არ იყო, რაც არ ითქმის ძღვენზე (საქრისტეშობო, საყველიერო, სანააღდგომეო და სხვ.), რომელიც ცალკე არასოდეს არა გვხვდება, არამედ ზედ ერთვის რაიმე სხვა ბეგარას, იქნება ეს თავი-ბეგარა თუ პურის-ჭამა ან სხვ. თავი-ბეგარა განირჩევა, როგორც ვნახეთ, აგრეთვე სპეციალური დანიშნულების ბეგრებისაგან (მაგ. სამეჯინიბოსაგან). ეს ბეგრებიც დამოუკიდებლად გაწერილი არა გვხვდება, არამედ ზედ-ერთიან ან თავ-ბეგარას ან პურის-ჭამას.

ტერმინს „ბეგარა" მეც ორი მნიშვნელობით ვიხმარ: ფართო მნიშვნელობით, ყოველგვარი სამინო (სამამულო) გამოსაღებისათვის და როგორც საკუთრივ ბეგარას, თავი-ბეგრისათვის[3].

---

[1] საქუთათლოს დავთარს საზოგადოდ ეწოდება: „დავთარი ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრისა", ისე რომ აქ ტერმინი „ბეგარა" თითქოს უფრო ფართოდაც იხმარება და მოიცავს ყმების სამსახურებრივ ვალდებულებასაც.

[2] თავი-ბეგარა, ამავე სახელწოდებით ცნობილი იყო სამეგრელოში XIX სის შუახანებშიც. ეს იყო, როგორც რ. ერისთავი გადმოგვცემს, „უმთავრესი ანუ ძირითადი გადასახადი", რომელიც მებეგრეს ევალებოდა (იხ. ბატ.-ყმ. სამეგრელოში, გვ. 89). მაგ., ქვემო სამეგრელოში იგი შეიცავდა: 1 ღორს 4-5 მანეთიანს, 1-10 კოკა ღვინოს, 15 ქილა ღომს და ერთ ქათამს" (იქვე 90). ჩვენი საბეგრო ნუსხების „საკლავი" სწორედ ღორს უნდა ჰგულისხმობდეს და ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რომ ღორი იყო ძირითადი შემადგენელი თავი-ბეგრისა (იხ. ექსკურსი აზატების შესახებ).

[3] ქართული ბეგარა და მისი კლასიფიკაცია ცალკე მონოგრაფიულ შესწავლას მოითხოვს. ზემოთ მოკლედ წარმოვადგინე ის, რაც ჩვენი საგნისათვის აუცილებლად საჭირო არის. გზა-

ბეგარაზე კიდევ უფრო საინტერესოა ჩვენთვის ყმების სამსახურებრივი ვალდებულება.

ტერმინი „სამსახური" ჩვენს ძეგლებში შედარებით იშვიათად იხმარება ზოგადად ყოველგვარი პირადი ვალდებულების აღსანიშნავად, მაგრამ მე მაინც შემოვიღე ეს ტერმინი ამ ზოგადი მნიშვნელობით სხვა უკეთესის უქონლობის გამო. ჩვენ შეგვიძლია გავარჩიოთ სამგვარი სამსახურებრივი ვალდებულება: ლაშქრობა, საკუთრივ სამსახური და მუშაობა.

ლაშქრობა არამც თუ განსაკუთრებით საპატიო სამსახური იყო, რაც იქიდან ჩანს, რომ ის აზნაურსაც ევალებოდა (იხ. მალაქია კ˜ზის მოლაშქრეთა სია, საკ˜ზო დავთ 45-41), არამედ, როგორც საქვეყნო სამსახური, განსაკუთრებით მნიშვნელოვანიც იყო: მაგალითად, შენირულ ყმას ჩვეულებრივ ყოველგვარი სამსახურისაგან ათავისუფლებდნენ, „თვინიერ ლაშქარ-ნადირობის მეტი" (საისტ. კრებ. III 50), ლამბერტი გადმოგვცემს, რომ ლაშქრობა შეიძლებოდა ცხენითაც და ფეხითაც (ლამბერტი 36; შდრ. ქუთ. დავთ. § 221: „ცხენით ლაშქრობაᲘ").

„საკუთრივ სამსახური" იყო როგორც საპატიო, ისე სათაკილოც. ზოგადად შეიძოლება ითქვას, რომ საპატიო სამსახურს ასრულებდა, ჩვეულებრივად, მსახური, ხოლო სათაკილოს – გლეხი (მოინალე), თუმცა ზოგჯერ, როგორც ვნახავთ, ამასაც ანდობდნენ ხოლმე საპატიო სამსახურს. საპატიო სამსახურიც შეიძლებოდა „ცხენით სამსახური" (ქუთ. დავთ. § 512 და სხვ.) ყოფილიყო და, რასაკვირველია, ფეხითაც. პირველი უფრო საპატიოდ ითვლებოდა. სათაკილო სამსახური ფეხით სრულდებოდა; ლამბერტის გადმოცემით, მოინალე თავის ბატონს ცხენით, კიდევაც რომ ჰყოლოდა, ვერ ეახლებოდა (ლამბერტი 36). მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ შემდეგი საპატიო სამსახური: „მოურავობა" (საეკლ. საბ. I 100, 121-123), „ჭელოსნობა" ანუ „ჭელოსნობით სამსახური" (ქუთ. დავთ. § 13 და სხვ.), შემდეგ: სახლთხუცესობა, მოლარეობა (ლამბერტი 35) და სხვა მრავალი. დაბალი ღირსების სამსახურად უნდა ჩაითვალოს, მაგ., „მოინალობა" (საკ˜ზო დავთ. 26 და სხვ.), როგორც თვითონ ტერმინი გვაფიქრებინებს, შემდეგ (თუმცა არა ყოველთვის) „მზარეულობა" (ლამბერტი 35), ალბათ „სასახლის სამსახურიც" (საკ˜ზო დავთ. 34 და სხვ.), რომელიც, თუ გავითვალისწინებთ, რომ „სასახლე" სამოსახლო ადგილს ეწოდებოდა თავისი მიწა-მამულით, საცხოვრებელი და სამეურნეო შენობებით (იხ. საისტ. მ-ბე 1925 II 190-191), უნდა ჰგულისხმობდეს თვით „სასახლის" მოვლას, მის კარზე საჭირო სამეურნეო სამუშაოს შესრულებას ან, ეგებ, მიწის დამუშავებასაც და რომელიც უნდა უდრიდეს სხვაგნით ცნობილს „სასახლის მუშაობას" (ქუთ. დავთ. § 124 და სხვადასხვ.); განსაკუთრებით დამამცირებელ სამსახურად ითვლებოდა „ტვირთის ზიდვა" (საკ˜ზო დავთ. 54 და სხვ.), ან „ბარგის ზიდვა" (იქვე 24 და სხვ.), ან მარტივად „ტკრთი" (ქუთ. დავთ. § 21 და სხვ.), „ზიდვა" (იქვე, § 87 და სხვ.). ეს ჯერ დღესაც ახსოვს ხალხს, მაგ., გურიაში: მსახური არაფრის გულისთვის არ დასთანხმდებოდა ტვირთის ზიდვას და ტვირთის მოვალეს ზიზღით

დაგზა, ნუსხების გარჩევისას, ამა თუ იმ მოვლენაზე უფრო დაწვრილებითაც შევჩერდები. საერთო ორიენტაციისათვის შეიძლება დამატებით აღინიშნოს, რომ ბეგარა, ფართო მნიშვნელობით, შემდეგი სახეებისა იყო: 1. თავი-ბეგარა (თითქოს ფუნქციონალურ დამოკიდებულებაში მყოფი მიწის ოდენობასთან), 2. პურის-ჭამა (წოდებრივ ხასიათს ატარებდა), 3. ძღვენი, 4. სპეციალური დანიშნულების ბეგრები (მაგ. „საყანე", „აღაპი", „სამეჯინიბო" და სხვ.), რომელთაგან ზოგი ეგების ძღვენის კატეგორიასაც ეკუთვნოდეს.

იხსენიებდნენ (გადმომცა ნ. ბერძენიშვილმა); ლამბერტიც გადმოგვცემს, რომ ბარგის ზიდვა სპეციფიკურ სამოინალო სამსახურს შეადგენდა (ლამბერტი 36) და საბეგრო ნუსხებიც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ამ ცნობას ადასტურებენ. საინტერესოა, რომ „ტვირთის მოკიდება" უდიერობად ითვლებოდა და ამასთანავე ყველაზე უფრო სათაკილო და საძნელო უდიერობის, ქვრივის გამოგვრისა და ობლის ან ძიძის გამოყვანის გვერდით იხსენიება (ასე, საისტ. კრებ. III 59). საპატიოც შეიძლებოდა ყოფილიყო და სათაკილოც, იმისდა მიხედვით, ალბათ, თუ რა პირობებში სრულდებოდა, მაგ., „მგზავრობა" (საკ˜ზო დავთ. 14, 32 და სხვ.), რომელიც მსახურსაც ევალებოდა ხოლმე და გლეხსაც (მოინალეს).

„სამსახური" ზოგჯერ გადაკვეთილია, ასე, მაგ., „ერთის კვრის" (იქვე 35), ან „ყოვლის დღის სამსახური" (იქვე 34; ქუთ. დავთ. § 355, შდრ. § 121: „ცხენით სამსახური ნიადაგ"), ზოგჯერ კი ბატონის ნებაზეა მიგდებული, განსაზღვრული არაა – „სამსახური... როდესაც მოვიკითხავთ" (საკ˜ზო დავთ. 34).

„სამსახური", ვიწრო მნიშვნელობით, ეწოდებოდა პირადად ბატონისადმი, მის კარზე ან მისი დავალებით გაწეულ სამსახურს, ან კიდევ რაიმე ადმინისტრაციული თანამდებობის შესრულებას, მოხელეობას. ხოლო „მუშაობა" ჰგულისხმობდა ბატონის სახლ-კარის და მამულის მოვლა-დამუშავებას, უფრო კი სამინდვრე მუშაობას. იგი, თავისი მხრით, განიყოფებოდა საკუთრივ „მუშაობად" ანუ, მოგვიანო ტერმინით, „ნიადაგ მუშაობად" და ნადობად. საკუთრივ მუშაობას XVIII ს-მდე სახელი არ უჩანს, პირდაპირ ამბობდნენ: „მუშაობა". მე შესაძლებლად მიმაჩნია შემოვიღო ნაგვიანევი ტერმინი „ნიადაგი მუშაობა" (საეკლ. საბ. II 81)[1], ხოლო მარტივად „მუშაობა" ვიხმარო როგორც ამის აღსანიშნავად, ისე ნადობისაც.

ნიადაგი მუშაობა ხან განსაზღვრულია დროისა და შინაარსის მხრით, ხან კიდევ პირდაპირ სწერია: „მუშაობა"; ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში მისი რაობა და ხანგრძლივობაც დამოკიდებული იყო ბატონის მოთხოვნილებაზე. სხვაგან ნიადაგი მუშაობა განსაზღვრულია დღიურად: „ორის დღის მუშაობაჲ" (საკ˜ზო დავთ. 9), ან „მესამეს დღეს მუშაობაჲ" (იქვე 22), „კვრეში ორ-ორის დღის მუშაობა" (საეკლ. საბ I 23), ანდა „ყოვლის დღის მუშაობაჲ" (ქუთ. დავთ. § 306). გადაკვეთილი მუშაობა მრავალგვარი იყო: „ზურის მუშაობ(ა)ჲ", „საყდრისა და სასახლის მუშაობაჲ" (იქვე § 21 და სხვ.), ზოგჯერ დროგანსაზღვრული: „ყ˜ლ დღე ყანის მუშაობაჲ" (საკ˜ზო დავთ. 19), შემდეგ: „ჭურის რეცხა" (იქვე 34), „მცეხველობა" (იქვე 51), „ხორის (ე. ი. შეშის) ზიდვა" (ქუთ. დავთ. § 87) და სხვ.

ნადობაც გადაკვეთილი იყო, რადგან ცხადია, რომ ნადობა მხოლოდ დიდი, ცხარე მუშაობის დროს თუ იქნებოდა საჭირო, გაზაფხულს ხვნა-თესვისას, ზაფხულს თიბვა-მკისას და შემოდგომაზე ყურძნისა და ხის კრეფისას. „ნადობა", სამუშაოს ხასიათის მოუხსენებლივ, საკმაოდ ხშირად გვხვდება ჩვენს საბუთებში, მაგრამ უფრო ხშირად სამუშაოს ხასიათიც განსაზღვრულია. ნადობად ჩავთვალე სამუშოს ხასიათის მიხედვით: „თოხნა" და „მარგვლა" (საკ˜ზო დავთ. 37), „თივის თიბვა" (იქვე 17 და სხვ.), „ხის კრება" (იქვე 41). „ყურძნის კრება" (იქვე 19, 27) და „იფქლის მკა" (იქვე 19). „ყანის შველა"

---

[1] სოლომონ I შეწირული გლეხების შესახებ სწერს: „სხვა, ამ ზემოთქმულმა კაცებმან, ნადად თუ დაპატიჟოს წინამძღვარმან, ყანაშიდ მოეხმარონ, ვენახი სადც ქონდეს კიდეც დაუმუშაონ და კიდეც მოუკრიფონ საყდარს, როგორათაც დაეჭიროს მუშაობა და წინამძღვარმან უბრძანოს, ისე იმუშაონ. სხვა, ნიადაგი მუშაობა არ განგვიწესებია". „ნიადაგი მუშაობა" აქ დაპირისპირებულია „ნადობას".

ხან ნიადაგ მუშაობას ჰგულისხმობს და მაშინ უდრის „ყანის მუშაობას“, ხან კიდე ნადობაა. ასე, მაგ., თილითის ნუსხაში ვკითხულობთ: „კკრაშიდ ორის დღის ყანის შ(ე)ლა“ (იქვე 35), ან კიდევ ხიბულას ნუსხაში: „კკრაშიდ ერთის დღის ყანის შ(ე)ლაჲ“ (იქვე 23), რაც, ცხადია, ნიადაგს კვირეულ მუშაობას აღნიშნავს, ხოლო მუხურის ნუსხაში მოხსენებულია „სამის დღის ყანის შ(ე)ლაჲ ნადათ“ (იქვე 32) და საფიქრებელია, რომ სამი დღე აქ წლიურადაა განსაზღვრული. ამისი ბადალივე ტერმინია „ყანობა“ (იქვე 24), რომელიც შეიძლება უფრო სანადო მუშაობას აღნიშნავდეს.

ნიადაგი მუშობა, თუ განუსაზღვრელი და მთლად ბატონის ნებაზე არაა მიგდებული, ყოველკვირეულია, პერიოდულ ხასიათს ატარებს, თუმცა შესაძლებელია წლიურადაც ყოფილიყო გაწერილი. სანიადაგო სამუშაოზე თითო კაცი გამოდიოდა. ეს კარგადა ჩანს ვახუშტი აბაშიძის დაახლ. 1550-70 წლ. შეწირულობის წიგნიდან, სადაც ვკითხულობთ: შეწირულ გლეხებს მართებს „კუამლზედა კვირაში ორ-ორის დღის მუშაობა“ (საეკლ. საბ. I 23). ცხადია, რომ „კუამლზედა“ აქ ჰგულისხმობს თითო კაცს. ამას გვიდასტურებს ლამბერტი, რომლის სიტყვით ბატონს კომლზე თითო კაცი ემსახურებოდა მორიგეობით (ლამბერტი 34). სანადოდ კი გლეხი გადიოდა მთელი თავისი ოჯახობით, კომლობრივ და საკუთარი იარაღით და საქონელითაც კი. ესეც ლამბერტის მოწმობაა (იქვე 36) და, უეჭველია, ასე იქნებოდა მიღებული ყველგან და ყოველთვის, თუ გავითვალისწინებთ სანადო სამუშაოს სიცხარეს და მოსწრაფებულობას. სამაგიეროდ, ბატონი ალბათ ჩვენშიც, როგორც ეს სხვაგანაც ცნობილია, ვალდებული იყო თავის ხარჯით გამასპინძლებოდა მონადეებს. პირდაპირი ცნობა ამის შესახებ არა გვაქვს, მაგრამ სოლომონ I-ის ზემოთ უკვე მოყვანილი სიტყვები: „ნადად თუ დაპატიჟოს წინამძღვარმან“ და აქ ხმარებული გამოთქმა „დაპატიჟოს“, გვაფიქრებინებს, რომ მონადენი ბატონის სტუმრებად ითვლებოდნენ და მისი მასპინძლობით სარგებლობდნენ. მართალია, სოლომონი XVIII ს-ში სწერდა, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღეთ ნადობის ხასიათი, გლეხისათვის თავის გამოკვების შეუძლებლობა, თუ კი სამუშაოზე მთელი ჯალაბობით იყო გასული, ცხადი შეიქნება, რომ წინათაც ყოველთვის ასე უნდა ყოფილიყო.

ტერმინი „სამსახური“ ჩვენს საბუთებში ზოგჯერ იხმარება პირდაპირ „მუშაობის“ მნიშვნელობითაც. საქუთათლოს დავთარში გვხვდება გამონათქვამი „სამსახური ოჩისა“ (§ 457 შმ.). „ოჩე“ მეგრულად ჰნიშნავს ყანას (იხ. И. Кипшидзе, დასახელ. შრომა, ლექსიკ., „I ოჩე“) და „სამსახური ოჩისა“ უდრის სამინდვრე მუშაობას ანუ საქუთათლოსავე დავთარში სხვაგან მოხსენებულს „ყანის მუშაობას“ (§ 22 და სხვ.) და ნიადაგ მუშაობას უნდა აღნიშნავდეს. იმავე ნუსხის მერმინდელი მინაწერი გვიდასტურებს, რომ ეს ასეა: აქ სწერია „ორჩის მუშაობაჲ“ (ქუთ. დავთ., გვ. 70) და არა სამსახური[1]. მუშაობასვე უნდა ჰგულისხმობდეს, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, „სასახლის სამსახური“, ხოლო მე ამ ტერმინს ვხმარობ მხოლოდ ორი პირველი მნიშვნელობით: როგორც ზოგად სახელს ყოველგვარი პირადი ვალდებულებისათვის და როგორც „საკუთრივ სამსახურს“.

ის, რაც ზემოთ ითქვა „ბეგრისა“ და „სამსახურის“ შესახებ, რასაკვირველია, სისრულეს ძალიან დაშორებულია, მაგრამ რადგანაც ეს ჩვენს პირდაპირ საგანს არ შეადგენს, დეტალების გარკვევა გზადაგზა, ნუსხების გარჩევისას ვამჯობინე. საბეგრო ნუსხების დამუშავებისას ჩვენი ყურადღება მიპყრობილი ექნება უმთავრესად სამსახურებრივ ვალდებულებას. ყმები განირჩეოდნენ ერთმანეთში უპირველესად ყოვლისა სწორედ ამ ვალდებულების მიხედვით. პატრონყმურ დამოკიდებულებაში მთავარი მნიშვნელობა სამსახურს უნდა ჰქონოდა: დამამცირებელი თუ აღმაზევებელი

[1] შდრ. ს. კაკაბაძე: საისტ. კრებ. III 12 და საისტ. მ-ბე 1925, I, 245.

თავისთავად მხოლოდ საპატიო თუ სათაკილო სამსახური შეიძლებოდა ყოფილიყო და სოციალური მომენტი სამსახურში გამოიხატებოდა. როგორც ვნახავთ, ზოგიერთი ბეგარაც ატარებდა წოდებრივ ხასიათის და ამგვარად ბეგარაც იქნებოდა საპატიო და სათაკილო, მაგრამ მთავარი მომენტი აქ ყოველთვის მაინც ეკონომიური ხასიათისა უნდა ყოფილიყო და მხოლოდ ნართაულად მიეცემოდა ხოლმე მას სოციალური ელფერიც. მაგრამ ჩვენი ძეგლები ხშირად მეტად ლაკონურ ცნობებს იძლევიან, მათი ტერმინოლოგია, განსაკუთრებით მოგვიანო ხანაში, იმდენად ნებისმიერია და ისე უხვად არის, ზოგან მაინც, წარმოდგენილი ნარევი ტიპის ნორმები, რომ ყმების სოციალური სახის გამოსარკვევად საჭირო იქნება არა მარტო ხანგრძლივი დაკვირვება და თვითეული ნორმის გულდასმითი და ყოველმხრივი შესწავლა, არამედ სხვა დავთრების ჩვენებათა მოშველიებაც და სამსახურისა და ბეგრის კომბინაციაც. მიუხედვად ყოველივე ამისა, როგორც დავინახავთ, თითქმის ყოველ საბეგრო ნუსხაში დაგვრჩება რამდენიმე „გაურკვეველი ღირსების" ყმა, რომელთა ნამდვილი ვითარებისა და სოციალური კატეგორიის გამოცნობა ჩვენი აწინდელი საშუალებით შეუძლებლად უნდა ჩაითვალოს.

V

დავიწყოთ საკათალიკოზო ნუსხებით. ბიჭვინტის საკ"ზო საყდარს თავისი სახასო, ე. ი. საკუთარი ყმები ჰყავდა, რომელთა ბეგარა და სამსახური კათალიკოზს ეკუთვნოდა. 1622 წლ. ე. წ. „აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი" წარმოადგენს კ"ზის სახასო ყმების ბეგრისა და სამსახურის აღწერას. აქ აღრიცხვაზე აყვანილი არიან საკ"ზო ყმები როგორც იმერეთს (რაჭითურთ), ისე ოდიშს და გურიას. ვინც თვით საბეგრო ნუსხებში არ მოჰყვა (უმთავრესად აზნაურები), ის მოხსენებულია ცალკე დართულს მოლაშქრეთა სიაში, ისე რომ, ეჭვი არ არის, ეს დავთარი საკ"ზო სახასო ყმების სრულს შემადგენლობას შეიცავდა. როგორც ჩანს, XVI ს-შიც აღუწერიათ საკ"ზო ყმების გამოსავალი, მაგრამ XVI ს-დან შემონახული გვაქვს მხოლოდ 3 სოფლის (ნაჟანეულის, ხოირის, ოცხანის) ნუსხები მთლიანად და სოფ. ბარის ნუსხის ფრაგმენტი[1]. ამ სოფლების საბეგრო ნუსხები შეტანილია აგრეთვე 1622 წლ. დავთარში. აქვე შეტანილია გელათის საკ"ზო წმ. გიორგის ეკლესიის ზოგიერთი სოფლებიც, შენირული 1545 წ. ბაგრატ III-ის მიერ. ამ შენირულობის დავთარმაც ჩვენამდე მოაღწია. ამგვარად, აღნიშნული სოფლების საკ"ზო ყმების მდგომარეობა ცნობილია როგორც XVI ს-ის, ისე 1622 წლ. ნუსხებით და ამიტომ ესენი ძვირფას მასალას გვაძლევენ საკ"ზო ყმების ვითარების შესასწავლად XVI-XVII ს-ებში[2].

---

[1] დედნები ინახება საქ. ცენტრარქივში (№№ 3322 3326, 3828) და პალეოგრაფიულად (შექცეული „პ" და შექცეული ოთხკბილიანი „ო"), ს. კაკაბაძის სამართლიანი განსაზღვრით, უდავოდ XVI ს-ს ეკუთვნის. ხელრთვა (უცნობი კ"ზის) ყველგან ერთია, ისე რომ ნუსხები ერთსა და იმავე დროს შეუდგენიათ (ან, ეგებ, ერთსა და იმავე დროსაა გადაწერილი).

[2] აკად. ივ. ჯავახიშვილს საკათ. დავთრის რაობა სათუოდ, ხოლო შემადგენლობა გაურკვევლად მიაჩნია (იხ. საქ. ეკონომ. ისტორია I, ტფ. 1930, გვ. 77-90). რომ ეს დავთარი საკ"ზოა, ამის ნიშნები ბლომად მოიპოვება (იხ., მაგ., გვ. 1, 13, 14, შენ.*, 15, 18, 40, 47-50 და სხვ.),. იგი ხალხის აღწერის დავთარი არაა, მაგრამ რომ მას საკათ. სახასო ყმების აღწერაც ჰქონდა მიზნად, ეს, სხვათა შორის, იქიდანაც ჩანს, რომ ნუსხებში ისეთი ყმებიც არიან მოხსენებული, რომლებსაც არა მართებდათ რა. ხონის და ცაიშის დავთრების საკ"ზში ჩართვა შემთხ-

მას უკან, რაც ბეგარასა და სამსახურს გავეცანით, ადვილად დავადგენთ საბეგრო ნორმათა ზოგიერთს ძირითად სხვაობას. საბეგრო ნუსხებში გაწერილი ნორმები განსხვავდება არა მარტო მათში აღნიშნეული სამსახურებრივი ვალდებულების მიხედვით (საპატიო და სათაკილო სამსახური), არამედ ბეგრითაც; ზოგი ნორმა შედგება თავი-ბეგრისა და სხვა ბეგრებისაგან (პურის-ჭამა, სპეც. ბეგარა, ძღვენი), ან მარტო თავი-ბეგრისაგან, ზოგი კი შეიცავს მხოლოდ პურის-ჭამას და ნართაულ ბეგრებს (სპეც. ბეგარა, ძღვენი), ანდა მარტო პურის-ჭამით ამოიწურება. პირველი ტიპის ნორმისათვის პურის-ჭამაც ნართაულია, უმეტეს შემთხვევაში, ან მეორე თუ მესამე ადგილას სწერია, ან ნუსხის ბოლოშია გაწერილი საყოველთაოდ და ძირითადი ბეგარა არის თავი-ბეგარა. მეორე ტიპის ნორმაში კი მთავარი ადგილი უჭირავს პურის-ჭამას, აქ, თუ შეიძლება ითქვას, „თავი-ბეგარა" ეს არის და დანარჩენი ბეგრები ამას ერთვის. ამისდა მიხედვით, შეგვიძლია გავარჩიოთ „ბეგრიანი", ე. ი. თავი-ბეგრიანი ნორმა, და „უბეგრო", ე. ი. უთავ-ბეგრო ნორმა. უკეთუ ყმა „დაბეგრილია" (აღნიშნული აზრით), იგი აუცილებლად და პირველ რიგში ვალდებულია თავი-ბეგარა გამოიღოს, ხოლო დანარჩენი ბეგრები შეიძლება სულაც არ ჰქონდეს გაწერილი. „დაბეგვრა", ამ აზრით, იქნება სწორედ თავი-ბეგრის დადება.

ავიღოთ ნაჟანეულის (ოდიში) XVI ს-ის ნუსხა (საკ˜ზო დავთ,. 53-56). ეს ნუსხა იმითაა განსაკუთრებით საინტერესო რომ პირდაპირ ცნობას გვაწვდის მსახურთა ვალდებულების შესახებ. აქ, სახელდობრ, ვკითხულობთ: „არის კონჯარია ოთხი კვამლი მსახური, მართებს ამათ ლაშკრობა და კარგი პურისჭმევნა. არის სამი კვამლი ფიოლია. მართებს ლაშქრობა და სამსახური და კარგი პურის-ჭმევნა, კარგის საკლავებითა, ქათმითა, ნედლის და ხმელის თევზითა, ღომითა, პურითა და ღვინითა, თივითა და ღომითა, ფეტვითა, მარილითა" – როგორც ვხედავთ, ღომი ორჯერ სწერია. მართლაც, თივა, ღომი და ფეტვი უნდა ცალკე გამოვყოთ, როგორც სპეც. ბეგარა, სამეჯინიბო. ამას გვიჩვენებს ხოირის 1622 წლ. ნუსხა, სადაც საყოველთაოდაა გაწერილი თივა, ღომი და ფეტვი „სამეჯინიბოდ" (იქვე 31) და აგრეთვე ძაძუების ნორმა ნაჟანეულისავე ნუსხაში, სადაც ეს ბეგარა განკუთვნილია „ცხენისათვის" (იხ. ქვემ.). მაშასადამე, მსახურს ევალებოდა: 1. პურის-ჭამა, 2. სამეჯინიბო, 3. ლაშქრობა, ან კიდევ 4. სამსახური. თავი-ბეგარა აქ არ ჩანს.

შემდეგ, იქვე ყოფილა „ოთხი კვამლი მსახური ძაძუა", რომელთაც მართებიათ: პურის-ჭამა, სამეჯინიბო („თივა, ღომი და ფეტვი ცხენისათვის"), ლაშქრობა და კიდევ „მეექვსეს წელიწადსა ოთხთ განაყოფთა ორი ზროხა", ე. ი. თითო კომლზე ნახევარი ზროხა ყოველ მე-6 წელს. რას უნდა წარმოადგენდეს ეს ბეგარა? 1/2 ზროხა მე-6 წელს, ან, რაც იგივეა, 1 ზროხა მე-12 წელს, როგორც ვნახავთ, ნაჟანეურ სხვა მებეგრეებსაც მართებდათ და ეს გადასახადი თითქოს თავ-ბეგარაში შედიოდა. საქმე ისაა, რომ ნაჟანეულის 1622 წლ. ნუსხიდან საფიქრებელი ხდება, რომ ამ გადასახადს „საზროხე" ეწოდებოდა. იქ ზოგს „საზროხე" მართებს, ზოგს კი „ზროხა" (იქვე 25). ამიტომ შესაძლებელია, რომ ეს რაიმე სპეც. დანიშნულების ბეგარა ყოფილყოს და XVI ს-ის ნუსხაში უსახელოდ ჩაეტანათ. ამას თითქოს ადასტურებს ის გარემოება, რომ ძაძუების ნორმაში პირველი ადგილი უჭირავს პურის-ჭამას. ამგვარად, მხოლოდ პირობით შეიძლება ჩაითვალოს ეს გადასახადი თავ-ბეგარად, ისიც შეკვეცილად. თავი-ბეგრის შეკვეცა კი შეიძლება მივაწეროთ გარდამხდელის სოციალურ მდგომარეობას.

ვევითი გარემოებით აიხსნება – 1622 წ. მალაქია კ˜ზი ცაიშელ-ჯუმათელ-ხონელიც იყო (გვ: 46); საჯუმათლოს დავთარი კი დედანს, როგორცა ჩანს, ჰკლებია.

უკეთუ ზროხა თავ-ბეგარად მივიჩნიეთ, მაშინ ძაძუებს შეიძლება ვუწოდოთ, ვიწრო მნიშვნელობით, „დაბეგრილი", უკეთ, „მსუბუქად დაბეგრილი მსახურნი". მართლაც, სხვა ნუსხები დაგვიდასტურებენ ამ ტერმინოლოგიას (იხ. გურიის საქუთათლო ნუსხა ქვემ.). ხოლო კონჯარია და ფიოლია, რომელთაც თავი-ბეგარა ყოველ ეჭვს გარეშე არ მართებს, აღნიშნული აზრით „დაუბეგრავნი" იქნებიან. ამ „დაუბეგრავი" მსახურების მდგომარეობაში იყვნენ „აზატნიც" (ამათ შესახებ დაწვრილებით იხ. ქვემ.).

როგორც დაუბეგრავი, ისე მსუბუქად დაბეგრილი მსახურნი (თუ ესენიც დაუბეგრავნი არ არიან), ნაჟანეულის XVI ს-ის ნუსხაში საგანგებოდ ბოლოში არიან მოთავსებული.

დანარჩენ ყმებს მართებს სრული ბეგარა (საკლავი, ღვინო, ღომი, ქათამი, მე-12 ნ. I ან 1/2 ზროხა), პურის-ჭამა და სამეჯინიბო (ეს ორი გამოსაღები გაწერილია ნუსხის ბოლოში ყველასთვის ერთად, გვ. 56). სრული უსახელო ბეგარა (ზოგიერთს შეკვეცილი აქვს, ან ესა თუ ის გამოსაღები ნაკლები მართებს), როგორც ვიცით, თავი-ბეგარაა. ეს ყმები, მაშასადამე, დაბეგრილები არიან. მაგრამ ესენიც, სამსახურებრივი ვალდებულების მიხედვით, ორ კატეგორიად უნდა დავყოთ – ზოგს მართებს „ლაშქრობა" ან „სამსახური", ზოგს – „ტვირთვის ზიდვა" ან „მუშაობა". ამათი ერთმანეთში არევა და ზოგადად ერთი წოდებრივი კატეგორიის ქვეშ მოქცევა არ შეიძლება[1]. როგორც უკვე აღვნიშნე, უმთავრესად სამსახური, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, იყო აღმაზევებელი და დამამცირებელი. ამიტომ, თუ ერთი ყმა ტვირთს ეზიდება და არ ლაშქრობს, ხოლო მეორე, წინაუკმოდ, ლაშქრობს და ტვირთს კი არ ეზიდება, თუნდაც რომ ორსავე თანაბარი ბეგარა მართებდეს, ერთი დაბალი ღირსებისა უნდა იყოს, სათაკილო სამსახურს ასრულებს, ხოლო მეორე მაღალი ღირსებისაა, რადგან საპატიო სამსახური ევალება. „ლაშქრობა" მსახურის მოვალეობას შეადგენდა, როგორც ზემოთ ვნახეთ, და ამიტომ ლაშქრობის მოვალე, თუნდაც დაბეგრილი, ყმები მსახურებად უნდა ჩავთვალოთ. ხოლო რომ საზოგადოდ მსახურის დაბეგვრა, ე. ი. თავი-ბეგრის გაწერა, შეიძლებოდა, ეს თუ ნაჟანეულისავე ნუსხიდან ნათლად არა ჩანს, სხვა ნუსხებით მაინც უდავოდ მტკიცდება (იხ. ქვემ.). მაგრამ თუ ზემოთ ძაძუებს „მსუბუქად დაბეგრილი მსახურნი" ვუწოდეთ, ნაჟანეურ დანარჩენ მსახურებს (ე. ი. დაუბეგრავებს გარდა) შეიძლება პირდაპირ „დაბეგრილი მსახურნი" დავარქვათ, რადგან ამათ სრული ბეგარა მართებს და ამ მხრით მოინალეთაგან არ განსხვავდებიან. ამათგან მხოლოდ ერთს მართებს „ყოვლის დღის სამსახური" და არა ლაშქრობა. ესეც თავისუფალია ტვირთის ზიდვისა და მუშაობისაგან და ესეც მსახურთა შორის უნდა ჩავრიცხოთ, მხოლოდ იგი დანარჩენებზე უფრო დაბალი ღირსებისა უნდა ყოფილიყო, როგორც გვაფიქრებინებს გამონათქვამი „ყოვლის დღის".

ტვირთის ზიდვის მოვალე გლეხები, როგორც ვიცით, უდაბლესი ფენის მოინალეები არიან. ამათ კატეგორას უნდა ეკუთვნოდეს აგრეთვე ის ერთი ყმა, რომელსაც „მუშაობა" მართებს და არა „ტვირთი", მაგრამ ამავე დროს ეს მოინალე ღირსებით დანარჩენებზე უფრო მაღლა უნდა მდგარიყო.

ამგვარად, ნაჟანეურ ყმათა შორის ასეთი გრადაცია ჩანს: I. მოინალე: 1. მეტვირთე, 2. მომუშავე. II. მსახური: 1. დაბეგრილი, ყოვლის დღის სამსახურის მოვალე, 2. დაბეგრილი – მოლაშქრე, 3. მსუბუქად დაბეგრილი, 4. დაუბეგრავი – მოლაშქრე-მოსამსახურე, 5. დაუბეგრავი – მოლაშქრე.

---

[1] ს. კაკაბაძე ჰფიქრობს, რომ ესენი ყველა ერთი კატეგორიისანი, მოინალენი არიან (საისტ. კრებ. III 26).

რიცხვობრივ ეს ყმები განაწილდებიან შემდეგნაირად. სულ არის 44 კომლი[1]. აქედან: 7 კ. დაუბეგრავი, 4 კ. მსუბ. დაბეგრილი და 23 კ. დაბეგრილი მსახური, ანუ ერთად 34 კ. მსახურია, 7 კ. მოინალე და 3 კომლიც უსამსახუროა (ამათ შესახებ ცალკე ქვემ.). პროცენტულად იქნება: 15,9% დაუბეგრავი, 9% მსუბ. დაბ. და 52% დაბეგრ., სულ 77% მსახური და მხოლოდ 15,9% მოინალე. გასაოცარია მოინალეთა რაოდენობის უმნიშვნელობა. ქვემოთ ვნახავთ, რომ ეს მარტო ნაჟანეულს არ ახასიათებდა. საკ˜ზო ყმათა შორის მსგავსი წოდებრივი შეფარდება შედარებით ხშირი მოვლენა იყო და ამის მიზეზი, შესაძლებელია, უნდა ვეძიოთ ამ ყმათა წარმოშობილობაში: სახელდობრ, დიდი უმრავლესობა საკ˜ზო ყმებისა შეწირული და სხვადასხვა უპირატესობით დაჯილდოვებული იყო.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს შემდეგი. ზემოთ ვთქვი, რომ დაბეგილ მსახურთა ბეგარა არ განირჩევა მოინალეთა ბეგრისაგან. მაგრამ ეს ეხება მხოლოდ ა. ვ. პრინციპულ მხარეს: იგივე თავი-ბეგარაა და ამასთანავე თანაბარი შემადგენლობისა. სამაგიეროდ, რაოდენობრივი სხვაობა აშკარად ჩანს. სამწუხაროდ, ყველა ბეგარის გამოანგარიგშება არ შეგვიძლია, რადგან ზოგიერთი სხვადასხვა საზომითაა გაწერილი (ასე, ღვინო გაწერილია ხან ურმობით, ხან გუდობით, ხან კოკობით; ღომი – ატარებით და გობებით), არ შეგვიძლია აგრეთვე ბეგრების გადაყვანა ერთ მთლიან სისტემაზე, მაგ., მათი ფასის გამოანგარიშება (რეალური ოდენობის გამორკვევაზე ხომ ლაპარაკიც მეტია), რადგან არც საზომთა ოდენობა, არც ფასი ცნობილი არაა, მაგრამ ზოგიერთი გამოსაღებისათვის მაინც შესაძლებელია საშუალო ციფრების გამოანგარიშება. ასე, თითო დაბეგრილ მსახურზე (მსუბ. დაბეგრილთა გამოკლებით) საშუალოდ მოდიოდა 4,68 საკლავი, 2,86 ქათამი და 0,77 ზროხა; თითო მოინალეზე კი – 6,12 საკლ., 3,87 ქათ. და 0,5 ზროხა (თითო საპურობოზე ვანგარიშობ 2 საკლავს და 1 ქათამს, იხ. იქვე, გვ. 56). მართალია, ზროხა მსახურებზე ცოტათი უფრო მეტი მოდიოდა, მაგრამ საკლავების და ქათმების ოდენობიდან კარგადა ჩანს, რომ მსახური უფრო ნაკლებად იყო დაბეგრილი, თუმცა, ვიდრე სხვა ბეგრებიც გამოანგარიშებული არ იქნება, ეს დასკვნა სიზუსტეს მოკლებული დარჩება.

მე განგებ შევჩერდი ნაჟანეულის ნუსხაზე ასე ვრცლად, რათა სრულიად ნათელი გამხდარიყო ჩვენი კვლევის მეთოდი. ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება ნიშანდობლივ დასაბუთებას თავი დავანებოთ, ყოველი განსახილველი ნუსხისათვის თითქმის ცარიელი ციფრებიღა მოვიყვანოთ, და მხოლოდ სრულიად ახალ მოვლენებს შევეხოთ უფრო ვრცლად.

ხიორს (ოდიში) XVI ს-ში ყოფილა სულ 28 კომლი საკ˜ზო ყმა (საკ˜ზო დავთ. 56; მიწერილი აქვს ნაჟანეულის ნუსხას ბოლოში). თითოს მართებია: 1. პურის-ჭამა, 2. სამეჯინიბო, 3. საკლავი, 4. ლაშქრობა, 5. სამსახური, ე. ი. მსუბუქად დაბეგრილი მსახურნი არიან (თუმცა აქაც „საკლავი“ ბოლოში სწერია). არც-ერთი მოინალე კ˜ზს ხიორს არ ჰყოლია.

ოცხანის (გურია) XVI ს-ის ნუსხაში (საქ. სიძვ. I. 56-57 და საკ˜ზო დავთ. 50-51), თუ ორ მცეხველს არ ვიანგარიშებთ, სამსახური სულ არ იხსენიება, მაგრამ მაინც განირჩევა მებეგრეთა ორი კატეგორია: 1. მეხადილენი (სასტუმროც მართებსთ) და 2.

---

[1] ნუსხას თავში აკლია, არა უმეტეს 1 ან 2 მეკომურის ნორმისა, ისე რომ მთლიანად ეგებ 45 ან 46 ყმა უნდა ვიანგარიშოთ, მაგრამ ეს ორიოდე ყმა მთელს სურათს ვერ შესცვლის (რომ ნუსხას ერთი ნორმა მაინც უნდა აკლდეს, ეს ჩანს ჯუმლიდან).

მესასტუმრენი (ხადილი არ მართებსთ)[1]. ოცხანის 1622 წ. ნუსხა (საკ˜ზო დავთ. 41-42) გვიდასტურებს, რომ მეხადილენი დაბეგრილი მსახურნი არიან, ხოლო მესასტუმრენი – გლეხნი (მოინალენი). სულ ოცხანას XVI ს-ში ყოფილა, განაყოფებითურთ, 19 კომლი საკ˜ზო ყმა. აქედან: 10 კ. მეხადილეა, 7 კ. მესასტუმრე და 2 მცეხველია. პროცენტულად: 52,6% მეხადილე და 36,8% მესასტუმრე. მაგრამ მეხადილე, ანუ, ეჭვს გარეშე, დაბეგრილი მსახური (შრდ. ქვემ. გურიის საქუთათლო მეხადილენი) ოცხანას მდაბიო გლეხზე უფრო მძიმედ ყოფილა დაბეგრილი. თითო მეხადილეზე საშუალოდ მოდის: 0,65 ზროხა, 1,5 საკლავი, 1,9 საწონი თუ წონა ღომი, 6,6 სამესხო ღვინო, 1,9 ქათამი, პური (თავაქრთილაძის ცალკე მოხსენებულ „ღვინო"-ს არ ვანგარიშობ, ხოლო ციცუნაშვილის ბეგარაში კაკაბაძეს შეცდომა შეჰპარვია – „[ს]ორც"-ის მაგივრად უნდა ეწეროს „ოთჴი" (sic) ქათამი, იხ. ცენტრარქ. № 3322). თითო მესასტუმრეზე კი მოდის: 1,42 საკლავი, 1,71 საწონი თუ წონა ღომი, 4 სამესხო ღვინო, 1,85 ქათამი, პური (2 სამადგანი 2 წონად ჩავაგდე, რაც მცირე სხვაობას მოიცემა). ყველა ბეგრები მესასტუმრეებს დაკლებული აქვსთ, ხოლო „ზროხა" სულ არ მართებსთ. ეს სწორედ „ხადილი" ანუ „საპურობო" ზროხაა (საქ. სიძვ. I 56).

ორი მცეხველის მდგომარეობა, რომელთაც არა მართებს რა „სამსახურისა და მც(ე)ხველობის მეტი", გაურკვევლად რჩება[2].

გელათის (იმერეთი) 1545 წლ. დავთარში (ქრონიკები II 336-340=საკ˜ზო დავთ. 58-69, შდრ. საქ. სიძვ. I 16-23) სულ 2 დაბეგრილი მსახური ჩანს და ორსავე, სხვებთან შედარებით, ბეგარა ოდნავ დაკლებული აქვს. ერთს უფრო საპატიო სამსახური, „ცხენით სამსახური", ევალებოდა, მეორეს – მარტივად „სამსახური". გელათის დავთარში საინტერესოა მხოლოდ ნავენახევის ნუსხა. აქ ყველა გლეხი – მეტვირთე ყოფილა, ხოლო „მუშაობა შეალნებული" (ე. ი. მიტევებული) ჰქონიათ. ცოტა არ იყოს, უადგილო ადგილას, თავშივე კი არა, არამედ პირველი მებეგრის ნორმის შემდეგ, სწერია: „შეგიალნა ბატონმა მუშაობა, მისთვს თითო კოდი პური, თითო კოდი ქერი, ორი ქათამი, თითო ძღუენი და ქათამი". ეს ზედმეტი ბეგარაა და მომდევნო ნორმებიდან ჩანს, რომ ეს განკარგულება ყველას ეხება. აქ საინტერესოა, რომ „მუშაობა" სულადით შეუფასებიათ და ამ სანაცვლო ბეგრის ოდენობა კარგად გვიჩვენებს, თუ რა მძიმე ვალდებულება ყოფილა ეს სამსახური. მაგრამ საქმე ისაა, რომ პირველ მეკომურს გარდა, ყველას მაინც კიდევ ცალკე უწერია „მუშაობა". ამიტომ, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მხოლოდ

---

[1] აქ უნდა აღინიშნოს შემდეგი გარემოება. „სასტუმრო", როგორც თვით ტერმინი გვაფიქრებინებს, ძღვენი ან სპეც. დანიშნულების ბეგარა უნდა იყოს. ზემოთაც აღვნიშნე, რომ საბეგრო საკლავი ზოგიერთ ნორმაში „სასტუმროიანად" არის ჩათვლილი; მაგრამ არის ნორმები, რომლებშიც გაწერილია მხოლოდ „ერთი საკლავი სასტუმროდ, 1 წონა ღომი, 3 სამესხო ღვინო, მისი პური, 1 ქათამი" (საქ. სიძვ. I 56-57). ისე გამოდის, თითქოს ამ ყმებს სამესტუმროს მეტი არა მართებდეს რა, ე. ი. დაბეგრილები არ იყვნენ და ამგვარად მეხადილეებზე უფრო მაღლაც კი იდგნენ. მაგრამ სასვენი ნიშნები რომ სხვარიგად დავუსვათ: „ერთი საკლავი, სასტუმროდ: 1 წონა ღომი, 3 სამესხო ღვინო" და სხვ., გამოვა, რომ საკლავი აქ საბეგროა, ხოლო სასტუმრო უსაკლავოდ იანგარიშება. მართლაც, თუ „სასტუმრო" სპეციალური დანიშნულების ბეგარაა ან ძღვენია, ტექსტის ასეთი გაგება ეგებ უფრო მართებული იყოს.

[2] რ. ერისთავის ცნობით (იხ. ბატ.-ყმ. სამეგრელოში, გვ. 86), სამეგრელოში ღომის ცეხვა ყველაზედ „ტლანქ და უღირს სამუშაოდ" ითვლებოდა და მოჯალაბეთა მოვალეობას შეადგენდა. შეიძლება ჩვენი მცეხველებიც მოჯალაბენი იყვნენ. მათი „სამსახურის" ქვეშ მაშინ უნდა ვიგულისხმოთ ბატონის მომსახურეობა მის სახლში.

პირველს ჰქონია მუშაობა შეალნებული, მაგრამ დანარჩენებს ყველას ისე წესიერად მართებს თითო კოდი პური, თითო ქერი, ძღვენი და 3 ქათამი, – რაც განსაკუთრებით კარგად ჩანს 1622 წლის უკეთ დაცული ნუსხიდან (საკ˜ზო დავთ. 4-6) – რომ, ეჭვი არ არის, ყველას უნდა გამოელო მუშაობის სანაცვლო ბეგარა. ქვემოთ, საქუთათლოს დავთარში, ასეთსავე მოვლენას შევხვდებით: „მუშაობა" შეფასებულია სულადით და ყველას ევალება სანაცვლო ბეგრის გამოღება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თვითეულს მაინც კიდევ ცალკე უწერია „მუშაობა"-ც. შენაცვლებული „მუშაობა", ალბათ, სპეციალური ხასიათისა ყოფილა, საქუთათლოს დავთრისავე მიხედვით საფიქრებელია, რომ აქ ღომის ყანის დამუშავება იგულისხმებოდა, და მხოლოდ ეს იყო შეალნებული, ხოლო ამას გარდა სხვა მუშაობა ყმას კვლავინდებურად მართებდა. მეორე მხრით, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ყმას არჩევანის უფლება ჰქონდა და, თუმცა ნორმაში ორივე ეწერა, უნდოდა იმუშავებდა, უნდოდა ბეგარას გადაიხდიდა. ხოლო უფრო დასაჯერებელია, რომ არჩევანი ბატონის ნებაზე თუ საჭიროებაზე იყო დამოკიდებული: უკეთუ ბატონს ყმის პირადი დახმარება არ სჭიროდა, იგი ართმევდა მას სანაცვლო ბეგარას.

ამ ბეგარას სამეგრელოში, XIX ს-ის შუახანებში, როგორც რ. ერისთავი და მურიე გადმოგვცემენ, საუნადო ეწოდებოდა. უკეთუ ბატონს მუშაობა არა სჭირდებოდა, ან გლეხები ამა თუ იმ მიზეზით სამუშაოზე არ გამოცხადდებოდნენ ისინი იხდიდნენ წელიწადში 109 ქილა ღომს ან მის საფასურს ფულად (იხ. ბატ.-ყმ. სამეგრელოში, გვ. 93, 95 და 126).

საგენათლო დავთრის დანარჩენ ნუსხებში (სორმონელ 8 მომუშავეს გარდა) ყველგან მხოლოდ უსამსახურონი იხსენიებიან. როგორც ვხედავთ, თუ უსამსახურო ყმებს არ ჩავთვლით, მსახურნი გელათის წმ. გიორგის საკ˜ზო ყმათა შორის ძალიან ცოტანი ყოფილან. მაგრამ საზოგადოდ ეს ყმები შეღავათიან პირობებში იმყოფებოდნენ: სხვებთან შედარებით, ბეგარაც ნაკლები მართებდათ და, როგორც ვნახავთ, მათი მდგომარეობაც უფრო მყარი იყო.

ბარის (რაჭა) XVI ს-ის ნუსხა (საკ˜ზო დავთ. 52) ფრაგმენტს წარმოადგენს, ნორმები ყველა უსამსახუროა და ამიტომ არაფერს იძლევა.

ქუთაისის საეპ-ზოს, 1578 წლ. დავთრით, სახასო ყმები ჰყავდა როგორც იმერეთს ისე (ერთი ნუსხით) გურიასაც. ჩვენთვის არაა საჭირო ყველა ნუსხების განხილვა, საკმაო იქნება, რომ რამდენიმე მთავარი ნუსხა შევისწავლოთ.

თვით ქუთაისში (§§ 1-19) საყდარს არც ერთი გლეხი (მოინალე) არ ჰყოლია: 14 კომლიდან 1 უსამსახუროა (მართებს მხოლოდ პურის-ჭამა) და 13 კომლი დაუბეგრავი მსახურია. პარტახტებიდანაც არც ერთი საგლეხო (სამოინალო) პარტახტი არ არის. დაუბეგრავი მსახური ყველა თანაბარი ღირსებისა არ ყოფილა: ზოგს „ცხენით სამსახური" მართებს, ზოგს კი უბრალოდ „სამსახური", ზოგიერთის სამსახურიც გადაკვეთილია – „ომფორის სამსახური", „საყდრის სამსახური და ჭელოსნობაჲ", „საყდრის ჭედა და ჭელოსნობაჲ", „ჭურჭლის სამსახური". ამასთანავე, ზოგი სულ უბეგროა, ზოგს პურის-ჭამა მართებს, ერთს კი, ამის მაგივრად, 20 თეთრი უწერია. აქ გვაქვს, მაშასადამე, ხოირის ანალოგია, სადაც აგრეთვე არც ერთი მოინალე კ˜ზს XVI ს-ში არა ჰყოლია.

მაღლაკში (§§ 45-88) სულ 32 კ. ყმაა (ერთს პარტახტი უჭირავს, § 69) და 11 საგლეხო (სამოინალო) პარტახტი. 1 კომლს გარდა (§ 88), ყველას მართებს „ხორის (ე. ი. შეშის) ზიდვა და სადაცა დაეჭირების სამძლავრო საქმე, სახლსა ზედა ხარურმითი სამსახური" (§ 87), მაგრამ ყველა თანაბრად დაბეგრილი არაა, რაც ქონებრივ სხვაობას უნდა მიეწეროს. სამსახურებრივი ვალდებულება კი 31 კომლს განსაზღვრავს როგორც

მდაბიო გლეხებს. ასევე განისაზღვრებიან პარტახტებიც. „სამძლავრო საქმე" იგივე „ტვირთის ზიდვა" უნდა იყოს.

ბაშს (§§ 122-150) 31 კომლია და 1 გაცემული პარტახტი (§ 145). ყველა გლეხია (მოინალე) და, სამს გარდა, ყველას მართებს მუშაობა სასახლისა, თევზობა და „ტკრთი". ერთს (§ 143) მართებს „ხელოსნობით სამსახური", რაც, როგორც ვნახეთ, საპატიო სამსახური იყო და ამიტომ მას საგანგებოდ უწერია „ტკრთი არაი". აქედან ჩანს, რომ ესეც მდაბიო გლეხი ყოფილა, ოღონდ მისთვის საპატიო სამსახური მიუნდვიათ და საგლეხო (სამოინალო) სამსახურისაგან განუთავისუფლებიათ. საფიქრებელია, რომ მას მუშაობაც არ მართებდა, რადგან ნორმაში ცალკე არ უწერია. ცხადია, რომ ეს დაწინაურებული გლეხი (მოინალე) ყოფილა. ორი უსამსახურო ყოფილა – ერთი „მოსასახლე" და მეორე „მესაღობე" (გვ. 22), ბეგარაც ორსავე დაკლებული აქვს, მაგრამ ესენიც მდაბიო გლეხნი არიან, რადგან ამათაც მართებს ე, წ. „რიკრიკა". აქ სწერია: „საოკტობო პურის-ჭამა, რიკრიკას ეტყკან, ყოველთაი დარამად (ე. ი. ყველას უკლებლივ. ლ. მ.) ბაშელთა მართებს" (გვ. 22). ხოლო „რიკრიკა" საგლეხო (სამოინალო) პურის-ჭამა იყო, წოდებრივ ხასიათის ატარებდა. შუბანის ნუსხაში ვკითხულობთ: „მართებს კუამლის თავს მუშაზედან თკთო ჯერის პურის-ჭამა რიკრიკაი" (§ 300, შდრ. § 373). მუშაობის ვალდებულნი სწორედ მდაბიო გლეხნი იყვნენ. ბაშის ნუსხაში „რიკრიკა" კიდევ ერთი მხრითაა განსაზღვრული: ეს პურის-ჭამა ყოფილა თურმე „რითაც შეიძლოს" (გვ. 21-22). ხადილი, რომელიც მსახურის პურის-ჭამა იყო, ზემოთ ოცხანის ნუსხაში გავიცანით – იგი ზრუხას ჰგულისხმობდა, თუმცა, როგორც ვნახავთ, ყოველთვის არა (იხ. ქვემოთ ხონის დავთ.), და მძიმე გადასახადი იყო. ამის შესახებ პირდაპირი ცნობაც გვაქვს შენახული საქუთათლოს დავთარში. აქ ერთი XVIII ს-ის ჩანართი აი რას გვეუბნება: „გიორგობიანები გაღარიბებული იყვნენ და ხადილის გადახდა ვეღარ შეიძლეს. ახლა დავადევით ამათ წელიწადში მოსახლის თავს მარჩილის საკლავი და სამი კასრი ღვინო, თითო კოდი პური და თითო ქათამი" (§ 255$_3$). აზნაურის პურის-ჭამა იყო „ზროხიანი კარგი საჭმელი თ(ა)ვისთავი... რარიგადცა თავი ესახელებოდეს" (ცშ. დავთ. 45). ხოლო „რიკრიკა", ე. ი. რიგ-რიგა, მდაბიო გლეხების რიგ-რიგობით წვეულება „რითაც შეიძლოს", ცხადია, უფრო დაბალი ღირსების, გაცილებით უფრო ღარიბული საჭმელი უნდა ყოფილიყო.

ბაშის ნუსხაში რიკრიკა იმიტომაა გაწერილი „დარამად", რომ 3 ყმას, როგორც ვნახეთ, „მუშაობა" არ ევალებოდა და მაშასადამე ამ ნიშნით მათ რიკრიკას ვერ მოსთხოვდნენ. მაგრამ სწორედ ის, რომ ამათაც (ხელოსანს, მოსასახლეს და მესაღობეს) ეს გადასახადი მართებდათ, განსაზღვრავს მათ როგორც მდაბიო გლეხებს. ცალკე გამოსარკვევია, თუ რატომ აქვს მოსასახლეს და მესაღობეს ბეგარა დაკლებული და რატომ არავითარი სამსახური მათ არ მართებს.

როკითს, ულურულითურთ, (§§ 178-254) სულ მოხსენებულია 71 კომლი ყმა (ჩაუთვლელია ულურული ყმები § 245-ით, რადგან არ ჩანს თუ რამდენნი იყვნენ) და 10 პარტახტი (§§ 207, 215, 217-19, 254). აქედან, პარტახტებს რომ თავი დავანებოთ, 12 კომლი დაუბეგრავი, 7 კ. დაბეგრილი და 3 კომლი გაურკვეველი ღირსების, ანუ ერთად 22 კ. მსახურია, 40 კ. გლეხია (მოინალე), 1 კომლის ღირსება გაურკვეველად რჩება და 8 კომლიც უსამსახუროდაა მოხსენებული (§§ 216, 225, 236, 244 გაცემულნი არიან, §§ 229, 243, 249, 252). პროცენტულად: 16,9% დაუბეგრავი, 9,85% დაბეგრილი და 4,22% გაურკვეველი ღირსების, ანუ სულ 30,97% მსახური და 56,33% გლეხი (მოინალე)[1].

[1] აზატებს აქაც და სხვაგანაც დაუბეგრავ მსახურთა შორის ვანგარიშობ.

მდაბიო გლეხებს (§§ 178-206, 208-09, 211-14, 241-42, 246-248) ყველას, ერთს გარდა, მართებს „ტკრთი და მუშაობაᲲ". მხოლოდ ერთი (§ 242) ტვირთისაგან თავისუფალია და ღირსებით დანარჩენებზე უფრო მაღლა დგას, რაც იმითაც მტკიცდება, რომ მუშაობისაგანაც განუთავისუფლებიათ ეს ყმა შემდეგში, სიტყვა „მუშაობაᲲ" გადუხაზავთ (იხ. გვ. 33, შენ. 3).

დაბეგრილი მსახურების (§§ 215, 230, 232, 237-40) ბეგარა თვალსაჩინოდ დაკლებულია. თითო მსახურზე საშუალოდ მოდის: 118 ლიტრა ღვინო[1] (max. 196, min. 70), 0,57 ნაოთხალი ცეხვილი, 0,85 საკლ., 0,71 გოჭი, 0,85 ქათამი, 0,42 თეთრის ყავარი; თითო გლეხზე (მოინალეზე) კი საშუალოდ მოდის: 367,15 ლიტრა ღვ. (max. 560, min. 70), 1,65 ნაოთხ. ცეხვ., 1 საკლ., 0,975 გოჭი, 0,975 ქათ., 1 თეთრის ყავ., 0,925 ურემი ღომი, 26,25 მკლავი ფეტვი, 0,85 ლიტრა ყველი. როგორც ვხედავთ, ურმეული ღომი, ფეტვი და ყველი მსახურების ბეგარაში სულ არ შედის. ქვემოთ გამოირკვევა, რომ ურმეული ღომი განსაკუთრებული ხასიათის ბეგარა იყო და წოდებრივ ნიშანს ატარებდა. ერთ დაბეგრ. მსახურს მხოლოდ ღვინო, ყავარი და პურის-ჭამა მართებს, სხვებს კი, ისე როგორც გლეხებს, პურის-ჭამა აკლიათ. სამსახურის მხრით დაბეგრ. მსახურებში განირჩევიან „სამსახურის" და „ლაშქრობის" მოვალენი.

გაურკვეველი ღირსების მსახურებს (§§ 250-51, 253) მართებს 1 ცხვარი, ძღვენი და ლაშქრობა, მაგრამ ძნელი სათქმელია, ცხვარი უნდა ჩაითვალოს თავ-ბეგარად, ე. ი. ეს მსახურნი დაბეგრილნი არიან, თუ არა?

დაუბეგრავ მსახურებს (§§ 210, 216, 220-24, 226-28, 234, 235[2]), ჩველებისამებრ, მართებს მხოლოდ პურის-ჭამა და სპეც. ბეგარა (ყავარი), ოღონდ განირჩევიან უფრო საპატიონი, „ცხენით სამსახურის" და „ცხენით ლაშქრობის" მოვალენი და უფრო მდაბიონი, მარტივად „ლაშქრობის" მოვალენი. დაუბეგრავ მსახურთაგან ორი (§ 210, 234) მდაბიო გლეხი ყოფილა და გაუაზატებიათ (იხ. ცალკე ქვემოთ).

გაურკვეველი ღირსების ყმა (§ 233) საინტერესოა იმით, რომ მას მართებს მხოლოდ ღვინო და ყავარი და ევალება მუშაობაც და ლაშქრობაც. შეკვეცილ-დაკლებული ბეგრის მიხედვით საფიქრებელია, რომ ეს ყმა მსახური უნდა იყოს, და მაშინ აქ პირველი შემთხვევა გვექნება XVI ს-ისათვის, რომ მსახური მუშაობდეს.

მდაბიო გლეხთათვის საინტერესოა კიდევ აღინიშნოს შემდეგი: ერთი (§ 191) მჭედელია და ცეხვილის, ურმეულის, საკლავის, გოჭ-ქათმის და ყავრის მაგივრად უნდა გამოიღოს „ოთხის ცხენის ნალუსმარი"; ორს (§§ 185, 192) ურმეული არ მართებს; ერთს (§ 198) შეუძლია ირჩიოს ან სრული ბეგარა, ტვირთი და მუშაობა, ან მეჯინიბობა. ეს უნდა გვიჩვენებდეს, რომ „მეჯინიბობა" საპატიო სამსახური იყო[3] და ამასათნავე სამძიმოც, თუ კი ბეგრისგან სრულიად ათავისუფლებდა კაცს.

---

[1] ერთს (§ 215) ათიანი კოკა მართებს, დანარჩენებისას თოთხმეტლიტრიანად ვანგარიშობ, როგორც საგულისხმებელია პირველი ნორმიდან (§ 178).

[2] გვარის მიხედვით (კარგარეთლისშვილები) ეს ყმა შეიძლებოდა აზნაურადაც მიგვეღო, მაგრამ აზნაური, ჩვეულებრივად, დასახელებულია როგორც ასეთი, ხოლო ვალდებულების მიხედვით საბუთი არა გვაქვს ეს კომლი დანარჩენებზე უფრო მაღლა დავაყენოთ.

[3] სახელდობრ, საპატიო იმიტომ, რომ სათაკილო სამსახურისაგან ათავისუფლებს ამ ყმას. ასეთივე არჩევანის უფლება ჰქონდა მუშაობა-ტვირთსა და ცხენით სამსახურს შორის გააზატებულს შალაბერიძეს (§ 210).

შუბანს (§§ 256-300, დაბეჭდ,. „ბუბანს") ყოფილა 40 კომლი ყმა და 4 პარტახტი (§§ 293-95, 299). 40 კომლიდან 2 კ. დაუბეგრავი, 3 კ. დაბეგრილი, ე. ი. სულ 5 კ. მსახურია, 31 კ. გლეხია (მოინალე) და 4 კომლის ღირსება გაურკვეველი რჩება. პროცენტულად: 5% დაუბეგრავი, 7,5% დაბეგრილი, ანუ სულ 12,5% მსახური და 77,5% გლეხი (მოინალე).

მდაბიო გლეხებს (§§ 256, 258-87) მართებს „თივის თიბა, იფქლისა და ქერის მუშობაჲ" და „ქუთათის საყდრის მუშაობაჲ", ე. ი. ნადობა და ნიადაგი მუშაობა. შუბანელი გლეხნი, მაშასადამე, საერთოდ უფრო შეღავათიან პირობებში ყოფილან სამსახურის მხრით, ვიდრე, მაგ., როკითელნი, რომელთაც მუშაობას გარდა ტვირთიც ემართათ. საყდრის მუშაობა, როგორც ჩანს, შეკვეთით ყოფილა განწესებული (იხ., მაგ., §§ 261, 266), შეიძლება რამდენჯერმე წელიწადში, ყავრის მიტანასთან ერთად, „როდისცა შემოგკუჱთოს" ქუთათელმა.

დაბეგრილი მსახურების (§§ 288, 289, 297) ბეგარა აქაც შეკვეცილ-შემცირებულია. საშუალოდ თითო მსახურზე მოდის: 700 ლიტრა ღვინო (max. 1000, min. 400)[1], 1 ფურბეწი, 1 ცხვარი, 1 თეთრის ყავარი, 0,66 ურემი ღომი; თითო გლეხზე კი – 394,92 ლ. ღვინო (max. 770, min. 168), 1 ფურბ., 1 ცხვ., 1 თეთრ. ყავ., 1 ურემი ღომი, 12,12 თეთრის საკლავი, 2,67 თეთრი 20 კვერცხი, 0,96 საბელი, 1 ქათამი. ღვინო ნაკლებია, სამაგიეროდ საკლავი, თეთრი, კვერცხი, საბელი და ქათამი მსახურებს სულ არ მართებს (ერთს დაბეგრ. მსახურს მართებს „ზროხა", რომელიც არ მიანგარიშია). დაბეგრილი მსახურები მეხადილენი ყოფილან, გლეხებს კი რიკრიკა ევალებოდათ. „საბელი" სამოინალო ბეგარად ჩანს, აგრეთვე ურმეული. მაგრამ ურმეული ორს დაბეგრ. მსახურსაც მართებს. სამსახურად ამათ უწერიათ „საყდრის სამსახური" და, ბეგარას გარდა, ამითაც განირჩევიან მდაბიოთაგან, რომლებსაც ყველას „საყდრის მუშობაჲ" მართებს. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ორი მსახური მდაბიოთაგან აღზევებულან და სამოინალო ბეგარა ჯერ-ჯერობით გამოჰყოლიათ. ერთი მათგანი (§ 297) დაუბეგრავი მსახურის ყმა ყოფილა.

დაუბეგრავ მსახურებს მართებს: ერთს (§ 296) ხადილი, ფურბეწი და ცხვარი (აქედან ჩანს, რომ ეს ძღვენი იყო ან სპეც. ბეგარა – განერილიც საყოველთაოდაა, § 298), ყავარი და – ცხენით სამსახური", მეორეს (§ 298) ხადილი, ყავარი და „ჴელოსნობით სამსახური". ამათაც მართებს „საყდრის სამსახური".

გაურკვეველნი (§§ 257, 290-92) ყველანი იმით განირჩევიან, რომ ნიადაგი მუშაობა და ნადობა არ მართებსთ, არ უწერიათ აგრეთვე „საბელი", ერთს ურმეულიც აკლია, ხოლო სამს ცალკე უწერია პურის-ჭამა და, მაშასადამე, „რიკრიკა" არ ევალებოდათ. მაგრამ ყველას მართებს „საყდრის მუშობაჲ" და არა „სამსახური", ხოლო ერთს კიდევ „ჴელოსნობით სამსახური". საფიქრებელია, რომ ესენი საშუალო მდგომარეობაში ყოფილან, თუმცა, ალბათ, მდაბიოთა შორის ირიცხებოდნენ. „ჴელოსნობის" მოვალე გლეხი (მოინალე) უკვე ზემოთაც შეგვხვდა, ბაშის ნუსხაში.

---

[1] ორს მართებს 10-ლიტრიანი კოკა, ერთს კი არაფერი უწერია და, როგორც პირველი ნორმიდანაა (§ 256) საფიქრებელი, საბეგრო კოკა უნდა მართებდეს, ხოლო საბეგრო კოკას 14-ლიტრიანად ვანგარიშობ (ასეა თითქოს ფერსათის ნუსხის მიხედვით იხ. ქვემ.). მდაბიო გლეხებს ყველას საბეგრო უნდა მართებდეს.

საინტერესოა აღინიშნოს კიდევ, რომ ერთ გლეხს (მოინალეს) „საბელი" არ უწერია (§ 272). მე მგონია, რომ ეს ყმაც ოდნავ უფრო მაღალი ღირსების უნდა ყოფილიყო, ვინემ საბელის გარდამხდელი.

ფერსათს (§§ 304-373) 59 კომლი ყმა (ჩაუთვლელია მერმინდელი ჩართული §§ 308, 319) და 9 პარტახტი (§§ 320-22, 332, 346-47, 357, 362, 371) ყოფილა. 59 კომლიდან 2 კ. დაუბეგრავი, 8 კ. დაბეგრილი, სულ 10 კ. მსახურია, 33 კ. გლეხია (მოინალე), 9 კ. გაურკვევლად რჩება, 11 კ. უსამსახუროა (§§ 312-13, 356, 358-59, 361, 365, 368 bis-70), ხოლო 2 კ. უარარაოდაა ნახსენები: ერთი (§ 372) ნაყიდია და მეორე (§ 373) ნაბოძები (ორნივე გიორგი მამასახლისისანი უნდა იყვნენ). პროცენტულად: 3,38% დაუბეგრავი, 13,55% დაბეგრილი, სულ 16,93% მსახური და 55,93% მდაბიო გლეხი.

მდაბიო გლეხს (§§ 305-07, 310-11, 314-17, 323, 325-27, 330-31, 333-34, 336-37, 339-45, 348-54) აქ იგივე სამსახური მართებს, რაც შუბანს (იხ. § 373). ამათს ბეგარაში აქაც სისტემატურად შედის ურმეული ღომი და საბელი. ურმეულის შესახებ საინტერესო ცნობაა დაცული: „ეს ფერსათელნი თუ მუშაობენ, ურმეულს არ გამოიღებენ, თუ არ მუშაობენ, ურმეული უნდა გამოიღონ" (გვ. 44). მაშასადამე, ეს ბეგარა დაკავშირებული იყო მუშაობის ვალდებულებასთან. მიზეზი ამისა ირკვევა ახალსოფლის ნუსხიდან (§§ 21-35), რომელშიც ვკითხულობთ: „თუ ღომი მუშაოს (მებეგრემ), 2 ნაოთხალი ღომი გამოიღოს, და თუ არ მუშაოს ყანა, 8 ნაოთხალი ღომი გამოიღოს". ცხადია, რომ ფერსათსაც ურმეული დაწესებული იყო საბატონო ღომის ყანის დამუშავების სანაცვლოდ. ეს ბეგარა გამოიწვია წმინდა ეკონომიურმა მოსაზრებამ: რადგანაც შესაძლებელი იყო, გლეხს საბატონო მიწა არ დაემუშავებია, მას უნდა ეზღო ბატონისათვის ზედმეტი ხარჯი და შეიძლება დანაკლისიც; მაგრამ რაკი ნიადაგი მუშაობის მოვალე ჩვეულებრივად მდაბიო გლეხი იყო, ამ ბეგარამ წოდებრივი (სამოინალო) ელფერი მიიღო, თუმცა ზემოთ შეგვხვდა ორი დაბეგრილი მსახური, რომელთა ბეგარაში ურმეული შედიოდა. ფერსათის ნუსხის თვითეულ საგლეხო (სამოინალო) ნორმაში ურმეულიც სწერია და „ყოვლის დღის მუშაობა"-ც; კიდევ ევალებოდათ ფერსათელებს „ქერის მუშაობა" (§ 373). ეს ისე უნდა გავიგოთ, რომ ურმეული მხოლოდ ღომის ყანის დამუშავების სანაცვლო იყო და არა საზოგადოდ მუშაობისა. მაგრამ ფერსათელ გლეხს ეგების არჩევანის უფლებაც ჰქონდა. შუბანს და როკითს კი, რადგან იქ ურმეული განმარტებული არაა, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მუშაობა შეუფასებიათ და პირდაპირ შესატყვისი გადასახადი მიჰქონდათ (ურმეულისათვის საინტერესოა კიდევ § 272: „ან საფერი შენებაᲘ და ან ღომი ურემი ერთი").

დაბეგრილი მსახურის (§§ 324, 328-29, 338, 360, 363-64, 366) ბეგარა აქაც შეკვეცილ-შემცირებულია. თითო მსახურზე საშ. მოდის: 296,25 ლიტ-რა ღვინო (max. 770, min. 120)[1], 1,37 ზროხა, 1 ცხვარი, 4,5 თეთრის საკლავი, 1,25 თეთრი, 1 თეთრის ყავარი (სულ 6,75 თეთრის ბეგარა), 0,25 ურემი ღომი, 5 კვერცხი, 0,37 ქათამი; ხოლო თითო გლეხზე (მოინალეზე) საშ. მოდის: 420 ლ.ღვ. (max. 1050, min. 168), 1 ზროხა, 1 ცხვ.[2], 12 თეთრ. საკლ., 3,45 თეთრი, 1 თეთრ. ყავარი (სულ 16,45 თეთრის ბეგარა), 0,94 ურემი ღომი, 20 კვერცხი, 0,96 ქათ., 0,96 საბელი.

---

[1] ხუთს მართებს 10-ლიტრიანი კოკა, დანარჩენებს „საბეგრო" უნდა მართებდეს, ისე როგორც მდაბიო გლეხებს (იხ. § 323), რომელიც, როგორც პირველი ნორმიდანაა თითქოს საფიქრებელი (§ 305), 14-ლიტრიანი იყო.

[2] თითო ზროხა და ცხვარი ყველას ემართა (გვ. 45).

ზოგს მართებს „ცხენით სამსახური", ზოგს კი უფრო დაბალი ღირსების სამსახური: „სამსახური" ან „მსახურობაᲘ", „ან სოფლის მოხელობაᲘ და ან ბატონის სამსახური". ორს ურმეულიც მართებს და ესენი შუბანელი 2 მსახურის ანალოგიას წარმოადგენენ. ცხენით მოსამსახურენი მეხადილენი არიან, ხოლო გლეხებს (მოინალეებს) რიკრიკა ევალებათ.

დაუბეგრავ მსახურთაგან ერთს (§ 335) მართებს პურის-ჭამა, ყავარი და „ყოველის დღის მსახურობაᲘ", ერთსაც (§ 367) – „კარკაცობით პურის-ჭამა" და ყავარი. ეს უკანასკნელი მამასახლისი ყოფილა, ე. ი. ხელოსნობით სამსახურს ეწეოდა.

გაურკვეველთაგან (§§ 309, 318, 355) ორს საგლეხო (სამოინალო) ბეგარა მართებს (ურმეული, საბელი) და მუშაობა და სამსახური, ხოლო ერთს „საბელი" აკლია და უწერია: „ღომი ურემი ერთი და ან მსახურობაᲘ". ყველა ნიშნებით ესენი მდაბიო გლეხნი უნდა იყვნენ, მაგრამ, რა აზრითაა აქ ნახმარი ტერმინი „სამსახური" თუ „მსახურობა", ძნელი სათქმელია. უფრო სათუოა მესამე ყმის მდგომარეობა.

ფერსათის ნუსხაში § 319 მერმინდელი ჩართულია (იხ. გვ. 47, შენ. 1, შდრ. საქ. მუზ. ხელნაწ. ფონდის № 626, გვ. 53 R), მაგრამ აქ დასახელებული მებეგრის ვალდებულება საინტერესოა და უჩვეულო. ამას მართებს სრული ბეგარა, გარდა „საბელისა" და „ღომი ურემი ერთი და ან მსახურებაᲘ ცხენითა". შესაძლებელია, რომ ცხენით სამსახური მთელი ბეგრის სანაცვლო იყოს და არა მარტო ურმეულისა, მაგრამ შეიძლება აგრეთვე, რომ „მსახურებაᲘ ცხენითა" აქ ცხენით ყანის დამუშავებას ჰგულისხმობდეს და ამიტომ ურმეულის კორელატი იყოს, და მაშინ XVI ს-ისათვის პირველი ნიშანი გვექნება იმისა, რომ სამინდვრე მუშაობისათვის ცხენსაც იყენებდნენ (შდრ. ქვემოთ გურიის საქუთათლო მეხადილეთა შესახებ).

ცალკე აღვნიშნავ კიდევ, რომ ფერსათსაც მოიპოება ერთი გლეხი (მოინალე), რომელსაც „საბელი" არ მართებს (§ 323), მაგრამ ეს პირვანდელი მოვლენა არ უნდა იყოს, რადგან სწორედ იმ ადგილას, საცა „საბელი" უნდა წერებულიყო, ერთი სიტყვა ამოფხეკილია (გვ. 47, შენ. 2).

გურიის (გვარების მიხედვით) საქუთათლო ნუსხაში (§§ 457-518). სულ 59 მეკომურია (პარტახტებს არ ვანგარიშობ; ნუსხიდან ჩანს, რომ დაახლ. 15 მეკომურის ნორმა დაკარგული უნდა იყოს). აქედან 4 კ. მსუბუქად დაბეგრილი და 10 კ. დაბეგრილი, სულ 14 კ. მსახურია, 38 კ. მდაბიო გლეხია, 2 კომლი გაურკვევლად რჩება და 5 კ. უსამსახუროა (§§ 468, 491, 493, 504, 518). პროცენტულად: 6,7% მსუბ. დაბ., 16,9% დაბეგრ., სულ 23,6% მსახური და 64,4% გლეხი (მოინალე).

მდაბიო გლეხს (§§ 457-67, 469-72, 481-87, 489, 490, 492, 495-500, 503, 505-09, 511) მართებს „სამსახური ოჩისა", ე. ი. სამინდვრე მუშაობა, ხოლო დაბეგრილ მსახურს (§§ 473-80, 501, 502) ევალება „სამსახური მეჯინიბობით", ერთს „ხელოსნობით სამსახური", ერთს „სამსახური", რაც უეჭველია, ოჩის სამსახურზე უფრო საპატიო იყო. მაგრამ ბეგრით ესენი მდაბიოთაგან არ განირჩევიან. საშუალოდ თითო მსახურზე მოდის 6,6 ჩითახური (max. 12, min. 5), თითო მდაბიოზე – 7,71 ჩითახ. (max. 30, min. 1), დანარჩენი ბეგრები კი (საკლავი, ქათამი, ღომი, ღვინო, პური) თანაბარია.

სამაგიეროდ მსუბუქად დაბეგრილი მსახური (§§ 488, 510, 512, 515) ორივე ზემოხსენებული კატეგორიისაგან თვალსაჩინოდ განირჩევა: მას მართებს მხოლოდ ჩითახური (საშ. 9,18, max. 20, min. 2 1/2), პურის-ჭამა და ცხენით სამსახური. ჯუმლიდან ჩანს, რომ ამათ „მეხადილენი" ეწოდებოდათ. „ჩითახური", როგორც ყველა ნორმა გვიჩვენებს, უდავოდ თავი-ბეგრის ერთი ძირითადი შემადგენელია ამ ნუსხაში.

გაურკვეველი ღირსების ყმებიც (§§ 494, 513) მეხადილენი არიან, ე. ი. მაღალი ღირსების ყმები უნდა იყვნენ, მაგრამ ამათ მართებს „ცხენით სამსახური ოჩისა". რომ ამ ნუსხაში „ოჩე" სასახლეს კი არ ჰგულისხმობს, არამედ პირდაპირ ყანას, ეს ჩანს მერმინდელი მინაწერიდან (გვ. 70), რომელშიც „სახლის მუშაობა" ცალკეა აღნიშნული. მაშასადამე, ორი დასახელებული მეხადილე ემსახურებოდა ცხენით ყანას. ამგვარად, ყანას ზოგჯერ ცხენითაც ამუშავებდნენ. ამისი ნიშანი ზემოთაც შეგვხვდა ფერსათის ნუსხაში.

ამით ვათავებ საქუთათლოს დავთრის განხილვას. დანარჩენი სოფლების ნუსხები ახალს არაფერს შეგვძენს, ხოლო ზოგან მარტო უსამსახურო ყმები არიან ჩამოთვლილი (მაგ., ჩუნეშს, ოფისკვიჯს, კორთხას).

ეს არის სულ ის, რაც XVI ს-დან მოგვეპოება. როგორც ვხედავთ, ძეგლების სიმრავლე არ სჭარბობს, მაგრამ მაინც სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ გლეხების სოციალურ-ეკონომიკურ კატეგორიათა ვითარების მკაფიო სურათი წარმოვიდგინოთ:

1. ჩვენ გამორკვეული გვქონდა, რომ გლეხობა ორი ფენისაგან შედგებოდა: მსახურებისა და გლეხების ანუ, ოდიშში, მოინალეთაგან. საგამოსავლო დავთრების ნიშანდობლივი განხილვა გვიჩვენებს, რომ ასეთი დანაწილება საკმარისი არაა, რომ ნამდვილად გლეხობის მასა ასეთი ორფეროვანი კი არა, არამედ გაცილებით უფრო მრავალფეროვანი იყო, რომ ის ორი მთავარი კატეგორია თვითეული თავისი მხრით, დანაწილებული იყო რამდენსამე ქვეკატეგორიად და რომ გარედან, ვთქვათ, აზნაურობის მიმართ, მთლიანი გლეხობა შიგნით წარმოადგენდა უწყვეტელ წოდებრივ კიბეს, დაწყებული უდაბლესი მეტვირთიდან ვიდრე უმაღლეს დაუბეგრავს მსახურამდე.

ასეთი რამ იმთავითვე მოსალოდნელი იყო პატრონ-ყმურ წყობილებაში. პატრონ-ყმური დამოკიდებულება პირადი ხასიათის დამოკიდებულებაა და ამიტომ დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ყმის დამსახურებას, ერთგულებას, „სიკეთეს". ამ ნიადაგზე ხდებოდა ყმის აღზევებაც და დაქვეითებაც და, რასაკვირველია, შესაძლებლობანი აქ განუსაზღვრელი იყო. რამდენადაც მრავალსახოვანი იყო პატრონისა და ყმების პირადი დამოკიდებულება, იმდენადვე სახემრავალი უნდა ყოფილიყო ყმების სოციალური მდგომარეობაც.

რასაკვირველია საერთო განვითარება ძირითადად ეკონომიურ საფუძველზე იყო დამყარებული, მაგრამ თვითეულ კერძო შემთხვევაში პირადი დამოკიდებულება დიდ როლს თამაშობდა და საერთო სურათსაც თავის დაღს ასვამდა.

ამგვარად, XVI ს-ისათვის შეიძლება შემდეგი საგლეხო წოდებრივი სქემა წარმოვადგინოთ, უდაბლსიდან უმაღლესისკენ:

გლეხი:

I. გლეხი (მოინალე):	1. მეტვირთე,	2. მომუშავე.
II. მსახური:	a. დაბეგრილი:	1. მოსამსახურე,
		2. მოლაშქრე,
	b: დაუბეგრავი:	1. მოსამსახურე,
		2. მოლაშქრე.

გლეხი (მოინალე) განირჩევა, როგორც ვხედავთ, მარტო სამსახურის მიხედვით, რადგან გლეხი ყველა დაბეგრილი იყო, ყველას მართებდა თავი-ბეგარა. მსახურთა ფენა კი განაწილდებოდა ორ მთავარ ქვეკატეგორიად. კიდევ შეიძლებოდა მსახურთა განაწილება ფეხით და ცხენით მოსამსახურეებად, მაგრამ, აქ, ალბათ, უფრო ქონებრი-

ვი სხვაობა იყო, თუმცა ცხენით მოსამსახურეს პატივიც მეტი ექნებოდა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი სქემიდან მაინც ჩანს მსახურთა ფენის მრავალფეროვნება შედარებით გლეხებთან: ესენი ორ ქვეკატეგორიად განაწილდებიან, მსახურნი კი ოთხი კატეგორიისანი არიან. ერთის მხრით ეს დამოკიდებულია იმაზე, რომ მსახურთა დანაწილება ბეგრისა და სამსახურის კომბინაციით ხდება, მხოლოდ ამავე დროს ეს ადასტურებს ზემოგამოთქმულ აზრს პირადი დამოკიდებულების შესახებ პატრონ-ყმურ წყობილებაში: ცხადია, რომ მსახურნი უფრო ახლო დამოკიდებულებაში იყვნენ თავის ბატონთან, მათი დამოკიდებულება უფრო მრავალგვარი იყო და ამიტომ მათი წოდებრივი მდგომარეობაც უფრო მრავალსახოვანი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ, არც ეს ჩვენი სქემაა სრული: ჩვენ საკმოდ მრავლად შეგხვდა საშუალო მდგომარეობის ყმები, ზოგი გლეხთა (მოინალეთა) კატეგორიიდან გამოსული, მაგრამ, უეჭველია, ჯერ კიდევ ამ კატეგორიაში შემავალი („ჭელოსანი", მოსასახლე, მესაღობე), ანდა უკვე მსახურთა უდაბლეს ქვეკატეგორიაში შესული (ურმეულის მოვალე მსახურნი), ზოგიც მსახურთა კატეგორიიდან თითქმის აზნაურობამდე აღზევებული („კარკაცობით" პურის-ჭამის მოვალე მამასახლისი). გარდა ამისა, ჩვენ ვნახეთ დაბალი ფენის გლეხნი (მოინალენი), რომელთაც ესა თუ ის შეღავათი ჰქონდათ მინიჭებული (მაგ. „საბელის" გარდუხდელობა), შემდეგ, მარტო „სამსახურისა და მცეხველობის" მოვალე მცეხველნი, მრავალი უსამსახურო, რომელთა შესახებ ქვემოთ ცალკე გვექნება საუბარი, და აგრეთვე მომუშავე-მოლაშქრე და მომუშავე-მოსამსახურე ყმები.

ყველა ეს ფორმა ჩვენს სქემაში არ მოხვდა, იმიტომ რომ თვითეულს საბეგრო ნუსხებში მხოლოდ ერთი-ორი წარმომადგენელი ჰყავს და სრულებით ცხადია, რომ ასეთი ტიპის ყმები გამონაკლისს და იშვიათობას წარმოადგენდნენ.

მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი ქვეკატეგორია თუ საშუალო ტიპი წოდებრივ ხასიათის ატარებდა, მემკვიდრეობითი იყო, რაც იმ დროისათვის საზოგადო მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ, ამავე დროს, ყმის სოციალური მდგომარეობა არ იყო ურყევი რამ. ერთი და იგივე ყმა, დღეს მეტვირთე, ხვალ შეიძლება ამ მოვალეობისაგან განთავისუფლებულიყო და სულ სხვა კატეგორიაში მოხვედრილიყო. ხდებოდა როგორც აღზევება (მაგ. გააზატება), ისე დაქვეითებაც (მაგ. დაბეგვრა). ამის შესახებ პირდაპირი ჩვენებანიც მოიპოება ჩვენს საბუთებში (ზოგიერთი მაგალითი ზემოთაც გზადაგზა მოვიყვანე) და XVII ს-ის საბუთებთან შედარებაც ამას ცხადჰყოფს. უამისოდ წარმოუდგენელიცაა ის წოდებრივი მრავალფეროვნება, რომელიც მე ვეცადე სქემატურად გადმომეცა. წოდებრივ კიბეზე ყველას შეეძლო ასვლაც და ჩამოსვლაც.

2. მართალია, გლეხობა XVI ს-ის დას. საქართველოში, სოციალური თვალსაზრისით, უწყვეტელ წოდებრივ კიბეს წარმოადგენდა, მაგრამ ორ ადგილას ამ კიბის საფეხურები ერთმანეთს უფრო დაშორებული იყო და თანდათანობითი გარდამავლობაც დარღვეული ჩანს.

პირველად იქ, საცა მსახური გამოეყოფოდა გლეხს (მოინალეს). აქ საკითხსა სწყვეტდა სოციალური მომენტი. მთავარი მნიშვნელობა ჰქონდა სამსახურს, ამ სიტყვის ფართო მნრიშვნელობით: ერთის მხრით დადებული იყო საპატიო სამსახური და ლაშქრობა, მეორე მხრით – მუშაობა, ე. ი. ნიადაგი მუშაობა და ნადობა და ტვირთი. XVI ს-ში თითქმის არ გვხვდება მსახური, რომელიც მუშაობდეს, მაგ. ნადობდეს, და გლეხი (მონალე), რომელიც ლაშქრობდეს ან „მსახურობდეს". ეს, უეჭველია, არსებითი სხვაობა იყო და მსახურთა

ფენას გარკვეულ მთლიანობას ანიჭებდა გლეხთა (მოინალეთა) ფენის მიმართ. საჭირო იყო ერთგვარი ნახტომი, რომ გლეხი (მოინალე) მსახურთა შორის ჩარიცხულიყო.

მაგრამ მაინც, XVI ს-შიც, გვხვდება რამდენიმე შემთხვევა, როდესაც გლეხი (მოინალე) ფაქტიურად საპატიო სამსახურს ეწევა: საეჭვო და სადავო შემთხვევებს რომ თავი დავანებოთ, ვიცით, რომ ბაშს და შუბანს მდაბიო გლეხი „ჭელოსნობდა" და რომ ფერსათს ორი ყმა მუშაობდა და მსახურობდა ერთდროულად (თუმცა არაა საჭირო, რომ ეს სამსახური მაინცდამაინც საპატიო ყოფილიყო). მეორე მხრით, როკითს ერთ მებეგრეს ევალებოდა მუშაობა და ლაშქრობა. მაგრამ, ეს არის და ეს. რამდენიმე დანარჩენი შემთხვევა ყველა სადავოა და ამიტომ ვერაფერს გვეტყვის.

ამგვარად, ცხადია, რომ მიჯნა გლეხებსა და მსახურებს შორის XVI ს-ში კარგად იყო დაცული. მაგრამ ეს იყო სამსახურებრივი ვალდებულების მხრით, ხოლო ეკონომიკურად დაბეგრილი მსახური, როგორც დავინახეთ, ზოგან თითქმის არ განირჩეოდა მდაბიო გლეხისაგან.

3. მეორე ადგილას თანდათანობითი გარდამავლობა დარღვეული იყო იქ, საცა დაუბეგრავი მსახური გამოეყოფოდა დაბეგრილს. სხვაობა აქ უფრო ეკონომიური ხასიათისა იყო, ხოლო რამდენადაც ბეგარა წოდებრივ ელფერს ატარებდა, სოციალურ-ეკონომიურისაც. ჯერ ერთი რომ დაუბეგრავი მსახური, ჩვეულებრივად (თუმც ყოველთვის არა!), ნაკლებს იხდიდა ვიდრე დაბეგრილი, ხოლო, რასაც იხდიდა, ის საპატიოდ ითვლებოდა, საპატიო ბეგარა იყო. იგი თავისუფალი იყო თავი-ბეგრისა და აგრეთვე სხვა მრავალი ბეგრისაგან, რომელიც ევალებოდა დაბეგრილ მსახურს და მდაბიო გლეხს. აქაც ერთგვარი ნახტომი იყო საჭირო, რომ დაბეგრილი მსახური დაუბეგრავთა შორის მოხვედრილიყო. სამსახურის მხრით ამათ შორის განსხვავება არ იყო, მაგრამ რომ ბეგრის სხვაობას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა, ამას კარგად დავინახავთ ქვემოთ, როდესაც გააზატებას გავეცნობით. ამ გარემოებამ, უეჭველია, დაბეგრილ მსახურთა მერმინდელ ვითარებასთან დაკავშირებით, უფრო გვიან თავისი ნაყოფი მოგვცა და გლეხობის სოციალურ დანაწილებაში თვალსაჩინო ცვლილება შეიტანა.

4. ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ საკათალიკოზო ყმათა შორის, თუ განსაკუთრებულ პირობებში მყოფ საგენათლო წმ. გიორგის ყმებს მხედველობაში არ მივიღებთ, როგორც ეტყობა, საზოგადოდ მსახურთა პროცენტი მეტი იყო, ვიდრე საქუთათლო ყმათა შორის.

ქუთაისის საყდარს მხოლოდ თვით ქუთაისში ჰყავდა განურჩევლად ყველა მსახურნი, რაც სწორედ მათი საცხოვრებელი ადგილით უნდა აიხსნებოდეს. მართალია, საკათალიკოზო ნუსხა სულ სამი მოგვეპოება, მაგრამ, უეჭველია საზოგადო მოვლენის მომასწავებელი უნდა იყოს ის გარემოება, რომ ოდიშსაც და გურიასაც მსახურთა პროცენტი ბევრით სჭარბობდა მდაბიო გლეხობისას.

VI

XVII საუკუნისათვის მოკლე, სქემატური, მაგრამ ზუსტი და მხოლოაზროვანი ცნობა საგლეხო ვალდებულებათა შესახებ დაგვიტოვა არქ. ლამბერტიმ. იგი ჰგულისხმობს საერისკაცო გლეხობას, მაგრამ თითქმის ყველა მის ცნობებს საეკლესიო საბუთებიც ადასტურებენ, თუმცა, როგორც დავინახავთ, ზოგი რამ ლამბერტის არ აღუნიშნავს. ლამბერტი არჩევს შემდეგ ბეგრებს: 1. პურის-ჭამას და 2. ყოველწლიურ გამოსაღებს, რომელიც ღალას ანუ ჩვენთვის ცნობილ თავ-ბეგარას უნდა წარმოადგენდეს; ორივე

განისაზღვრება მიწის ოდენობით და, საზოგადოდ, ყმის შეძლებით, 3. სხვადასხვაგვარ ძღვენს: სასტუმროს, სადღესასწაულოს, საშობოს, სამარხოს, 4. მასპინძლობას, რომელიც იგივე პურის-ჭამაა, ოღონდ ჩვეულებრივი, საზეიმო ხასიათს არ ატარებს და 5. ე. წ. შინ ჩადგომას ან ჩაყენებას (ლამბერტი 36). როგორც ვხედავთ, სპეც. დანიშნულების ბეგარას ლამბერტი არ იხსენიებს. იგი არ არჩევს მსახურსა და მოინალეს ბეგრის მიხედვით, ე. ი. არ იცნობს დაუბეგრავ მსახურებს, რაც იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ ესენი საერისკაცო ყმათა შორის ან სულ არ მოიპოებოდნენ, ან იმდენად მცირე რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილი, რომ მათი მოხსენებაც არ ღირდა. სამაგიეროდ, სამსახურებრივი სხვაობა ლამბერტის გარკვეულად აქვს აღნიშნული. მსახურს ევალებოდა: 1. მორიგეობით სამსახური ბატონის კარზე, 2. ლაშქრობა, 3. მგზავრობა და 4. ნადობა. მოინალეს კი, გარდა ამისა, 5. შეშის მოტანა და 6. ბარგის ზიდვა. მსახურს შეეძლო, თუ ჰყავდა, ცხენით ემსახურა, მოინალე კი, რომც ჰყოლოდა, ცხენით ვერ ეახლებოდა თავის ბატონს (იქვე 35-36). ნიადაგ კვირეულ მუშაობას ლემბერტი არ იხსენიებს, (თუ იგი მორიგეობით სამსახურში არ იგულისხმება), რაც სრულიად გაუგებარია. დანარჩენი კი სავსებით ეთანხმება XVI ს-ის დავთრების ჩვენებებს, გარდა იმისა რომ XVI ს-ში ნადობის მოვალე მსახური და ლაშქრობის მოვალე მოინალე არ შეგხვედრია (მხოლოდ როკითს ვნახეთ ერთი ყმა, რომელსაც მუშაობა და ლაშქრობა ევალებოდა). ქვემოთ ვნახავთ, რომ XVII ს-ის დავთრები ლამბერტის ამ ცნობასაც ადასტურებენ. „მგზავრობა" ხშირად შეგვხვდება ქვემოთ და მართლაც ეს სამსახური მსახურსაც ევალებოდა ხოლმე და გლეხსაც. მოინალე, ლამბერტის სიტყვით, საკუთრივ სამსახურსაც ასრულებდა ბატონის კარზე – ცხადია, რომ მას მხოლოდ დაბალი ღირსების სამსახურს თუ არგუნებდნენ.

საკ˜ზო ნუსხათაგან პირველად გავეცნობით ხიორის 1622 წ. ნუსხას (საკ˜ზო დავთ. 29-31). XVI ს-ში, როგორც ვნახეთ, აქ იყო 28 კომლი მსუბუქად დაბეგრილი მსახური. XVI ს-ის ნუსხაში, სამწუხაროდ, მებეგრეთა გვარები მოყვანილი არაა, მაგრამ იმ 28 კომლიდან 24 კომლი ყოველ ეჭვს გარეშე შეიძლება მოიძებნოს 1622 წლ. ნუსხაშიც. აქაც ეს 24 კ. მსუბუქადაა დაბეგრილი, სწორედ ისე, როგორც XVI ს-ში: მართებსთ საპურობო, 1 საკლავი და სამეჯინიბო[1]. ამათ შეიძლება დავუმატოთ 2 კომლი, რომელთაგანაც ერთს 1/2 საკლავი მართებს და არა 1, ხოლო მეორეს, საკლავის მაგივრად, 1 ქანდაქი სამოგვე უწერია, სხვაფრივ კი დანარჩენთაგან არ განირჩევიან (იშამორთა კაკუა და უსკუამ(ია) ლასურია). ამათთვის, მაშასადამე, მხოლოდ თავი-ბეგარა შეუცვლიათ XVI ს-ის შემდგომ. ყველას ძველებურადვე ევლება ლაშქრობა და სამსახური. როგორც ვხედავთ, XVI ს-ის 28 კომლიდან 26 კ. 1622 წლის ნუსხაშიც მოიპოება. მაგრამ თამამად შეგვიძლია ეს რიცხვი შევავსოთ კიდევ ორი მებეგრით. ესენი განირჩევიან მხოლოდ იმით, რომ ლაშქრობა არ მართებსთ (გოკურცხია გრიგოლია და სკუამილეი ჯიქია). შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ XVI ს-ის შემდგომ ეს ყმები ლაშქრობის მოვალეობისაგან განუთავისუფლებიათ. ასე მივიღებთ მსუბუქად დაბეგრილ მსახურთა სრულს

[1] 1. ხახუტა დიდია, 2. კაკაია ჩაგუა, 3. გ˜ია ჩაგუა, 4. უკულაში ლასურია, 5. მიხილია მუხურგ˜ნია, 6. მ(ა)მულია წებელარა, 7. ჯგეგერშია ჩაგუა, 8. გურმიხილა ჩ., 9. ხუხული ჩ., 10. ქაქალია ჩ., 11. ბაბადია ქუნია, 12. ჯიტა, 13. ჯუარისა ჯიტა, 14. გრიგოლია ვაჟობა, 15. გამიგონი ბიჭვა, 16. მუშატია დიდია, 17. თოლიოქრო დიდია, 18. გავაშელი და მაკოჩია, 19. დაბალა და ჰრაღუნა, 20. ხუხულია ამბალია, 21. ხუცესი ამბ., 22. გამიგონა ჯომნია, 23. მხიარ(უ)ლა კაკუა, 24. კოსატაია.

შემადგენლობას 1622 წლ. ნუსხით, 28 კომლს, ე. ი. იმდენსავე, რამდენიც იყო XVI ს-ში. როგორც აღვნიშნე, აქედან მხოლოდ 24 კომლი არ იწვევს არავითარ ეჭვს. მით უფრო საინტერესოა ის ახალი სამსახურებრივი ვალდებულება, რომლითაც დაუტვირთავთ ეს ყმები XVI ს-ის შემდგომ სახელდობრ, 1622 წლ. ნუსხით მსუბ. დაბეგრილ მსახურებს ყველას ევალება მუშაობა და ყურძნის კრეფა. ყურძნის კრეფა, ცხადია, ნადობას ჰგულისხმობს (ერთს, სხვათა შორის, უწერია: „ერთის დღის ყურძნის კრეფაᲘ"), ხოლო „მუშაობა" უნდა უდრიდეს „ყანის შვ(ე)ლას", როგორც საფიქრებელი პირველი მებეგრის ნორმის მიხედვით. „ყანის შველა", როგორც ვიცით, ნიადაგ მუშაობასაც აღნიშნავს და, ზოგჯერ, ნადობასაც ეთქმის. ჩვენ არა გვაქვს საბუთი, რომ ხოირის ნუსხაში ყანის შველა ნადობად ჩავთვალოთ. იგი აქ სრულიად განუსაზღვრელია და ამიტომ ბატონის მოთხოვნილებაზე დამოკიდებულ ნიადაგ მუშაობად უნდა მივიჩნიოთ. მაშასადამე, XVI ს-ის შემდგომ, ხოირელი დაბეგრილი მსახურნი მომუშავე-მონადენი გამხდარან. გარდა ამისა, საინტერესოა რომ 4 კომლისათვის ახალი ბეგარაც დაუდვიათ: ორს (ხუხულია და ივანე ამბალიებს[1]) დაადვეს 7 კოკა ღვინო და 7 ჯამი ღომი, ერთს (გამიგონა ჯომნიას) – 3 კ. ღვ. და 4 ჯ. ღომი, ერთსაც (მხიარ(უ)ლა კაკუას) – 4 კ. ღვ. და 2 ჯ. ღომი. ეს რაღაც სპეც. დანიშნულების ბეგარა უნდა იყოს, რაც იქიდან ჩანს, რომ იგი სრულიად ცალკეა მოხსენებული და თვითეული ყმის ნორმაში არ შედის.

გარდა 28 კ. დაბეგრილი მსახურისა ხოირის 1622 წლ. ნუსხაში 4 კომლი დაუბეგრავი მსახურია და 2 კ. მოინალეა. დაუბეგრავ მსახურებს თავი-ბეგარა (საკლავი) არ მართებს. მაგრამ ამათგან 2 კ. (ვაჟიკოჩა ჯომნია და მოირდინა კაკუა) ყმების ძველ შემადგენლობას უნდა ეკუთვნოდეს, რასაც მათი გვარები ამჟღავნებს და აგრეთვე ის გარემოება, რომ ერთს მუშაობაც მართებს, ხოლო მეორეს (ჯომნიას) მუშაობა, ყურძნის კრეფა და ახალი ბეგარის (3 კ. ღვინის და 4 ჯამი ღომის) გამოღება ევალება. XVI ს-ის შემდგომ ესენი გააზატებულან, მაგრამ სამსახურებრივი ვალდებულება ამათაც გაურთულდათ, ხოლო ერთს ბეგარაც ფაქტიურად თუ არ წაემატა, არც დაჰკლებია. 2 კომლი დაუბეგრავი მსახური გამკერვ(ა)ლია კი ახლად შენაძენი ყმები უნდა იყვნენ და უპირატეს მდგომარეობაშიც არიან: მართებსთ მხოლოდ „სმაᲘ და ჭამაᲘ ლაშკრობ(ა)Ი და სამსახური", ე. ი. როგორც თავი-ბეგრის, ისე სამეჯინიბოსგანაც თავისუფალნი ყოფილან.

მოინალეებს (ქურიას და ხუხინია ჯაკობიას) მართებს: ერთს „ტკრთი და ერთი ხმელი თევზი", ხოლო მეორეს „ბარგის ზიდვაᲘ და ერთი თევზი". ორსავე მართებს კიდევ სამეჯინიბო. ერთსაცა და მეორესაც ნუსხა პირდაპირ „მოინალეს" უწოდებს. ამათი ბეგარა სრულიად უმნიშვნელო ყოფილა, რასაც თავისი კერძო ხასიათის მიზეზი ექნებოდა. სამსახურებრივი ვალდებულებაც ამათ შეკვეცილი აქვსთ, მაგრამ მსახურთაგან გარკვეული ნიშნით განირჩევიან და ეს ნიშანი („ტკრთის" მოვალეობა) ადასტურებს ლამბერტის ზემომოყვანილ ცნობას.

პროცენტულად ხოირელი საკ˜ზო ყმები 1622 წ. განაწილდებიან შემდეგნაირად. სულ არის 34 კ. და აქედან: 11,76% დაუბეგრავი და 82,35% დაბეგრილი, სულ 94,11% მსახურია და მხოლოდ 5,88% მოინალე. XVI ს-ში, როგორც ვიცით, კ˜ზს ხოირს მოინალე სულ არ ჰყოლია, მაგრამ კიდევ უფრო საინტერესოა ის გარემოება, რომ უწინ მომუშავე ყმებიც არა ჩანდა, 1622 წელს კი უკვე 88,23% მუშაობს და ნადობს.

---

[1] ივანე ამბალია იგივე ხუცესი ამბალია უნდა იყოს.

ნაჟანეულის 1622 წლ. ნუსხაში (საკ˜ზო დავთ. 24-28) სულ 58 კომლია მოხსენებული. ამათგან, XVI ს-ის ნუსხასთან შედარებით, ახლად შემატებული არიან (ახალი გვარები): 2 კ. კონტარია და თითო კომლი – აბრამაისშვილი. მჭითანაას ჩარაჩუ, ჭვიტიშია, დაშურიმორთა, კოჩივარა კუატარა, მარკოზია, თოთიბია ჯომნია, ბაგუძლა, მესტუმრია, ციკუტია – სულ 12 კომლი. XVI ს-ში, როგორც ვიცით, აქ იყო 44 კ. საკ˜ზო ყმა. აქედან ამოვარდნილან და 1622 წლ. ნუსხაში აღარ ჩანან: 2 კ. ფიოლია და თითო კომლი – გაბელია, მგიშია(?) კაკაურა, ქრისტესშია ქაჯაია, ხუხუშია – სულ 6 კომლი[1]. დანარჩენი სხვაობა ბუნებრივი გამრავლებით აიხსნება. ვნახოთ ახლა თვითეული გვარის ყმას რა დაემართა XVI ს-ის შემდგომ.

1. დაუბეგრავი მსახურები. ფიოლია 1622 წ. მხოლოდ 1 კომლიღა ჩანს (იყო 3); ამ 1 კომლს მართებს გოჭკუმუ (XVI ს-ის „პურის-ჭმევის" შესატყვისი), თივა (XVI ს-ის, აწ შეკვეცილი, სამეჯინიბო), საბაზიარო ქათამი[2] (ძღვენი, ახალი ბეგარა) და ლაშქრობა. „სამსახური" აღარ უწერია; მაშასადამე, ფიოლიას მდგომარეობა არ შეცვლილა, იგი 1622 წელსაც დაუბეგრავი მსახურია, ვალდებულებათა მცირეოდენი სხვაობით.

კონჯარია 1622 წ. უკვე 5 კომლია (იყო 4) და ორს წაემატა „სამსახური", ორს კი აღარც შეკვეცილი სამეჯინიბო მართებს, ხოლო ყველას ევალება საბაზიარო ქათმის გამოღება. ესენიც დაუბეგრავ მსახურებადვე დარჩნენ.

2. დაბეგრილი მსახურნი. მსუბუქად დაბეგრილ ძაძუათა (4 კ.) მდგომარეობა არ შეცვლილა, ოღონდ 1/2 ზროხა ექვსწლიურიდან ყოველწლიურად გამხდარა[3], ხოლო სამეჯინიბო ამათთვისაც შეუკვეციათ (თივა).

შუშანია 1622 წ. უკვე 4 კომლია (იყო 2) და ამათგან 1 გაურკვეველთაგანია (იხ. ქვემ.), 2 გააზატებულა (გოჭკუმუ, საბაზ. ქათამი, ლაშქრობა), ერთს კი ახლა მართებს „გოჭკუმუ, 20 მწყრთა ტილო, ნავტობ(ა)Ჲ და მუშაობ(ა)Ჲ". ბეგარა ამას, XVI ს-თან შედარებით, აუცილებლად დაკლებული აქვს, მაგრამ, როგორც ვხედავთ, მომუშავედ გამხდარა, ხოლო წინანდელი „ლაშქრობის" მაგივრად მისთვის „ნავტეობა" დაუვალებიათ. ჩვენ უკვე ხიორის ნუსხიდან ვიცით, რომ XVII ს-ისათვის დაბეგრილ მსახურებს ნიადაგი მუშაობაც დაევალათ, ხოლო ნავტეობა, რამდენადაც ჩანს, საპატიო სამსახური უნდა ყოფილიყო (ასე, ნაჟანეულსვე, დაუბეგრავ მსახურს დიდიას სამსახურად მხოლოდ ნავტეობა აქვს გადაკვეთილი (გვ. 25), ხოლო ტყავრუს მეთევზე-მენავტენი ყველანი დაუბეგრავი მსახურები არიან (იქვე 39); მეორე მხრით, მეტვირთე ყმა რომ მენავტეც იყოს, ასეთი შემთხვევა არსად არ გვხვდება. ამგვარად, ამ ყმისთვის ერთი საპატიო სამსახური, ლაშქრობა, მეორით შეუნაცვლებიათ, ამიტომ იგი დაბეგრილ მსახურადვე უნდა ჩაითვალოს.

ხუთივე კომლი უჯაია (ანუ უჩაია) 1622 წელსაც წარმოდგენილია და მათგან 1 გაურკვეველთაგანია (იხ. ქვემ.), 4 კი მენავტეებად ქცეულან. სამს მართებს, ნავტეობას გარდა, კიდევ „ყანობა", ერთს კი – „მუშაობა". „ყანობა" ნიადაგი მუშაობაა თუ ნადობა, არ ვიცით, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ესენი დაბეგრილ მსახურებადვე დარჩენილან, ხოლო ამა თუ იმ სახით მუშაობაც დავალებიათ. ამათი ბეგარა შემცირებული არ უნდა

---

[1] - არ ჩანს კიდევ ვინმე „მამასფერი", რომელიც XVI ს-ის ნუსხაში მამისმამა ღრუბელაიას შემდეგაა მოთავსებული და რომელსაც ამიტომ ღრუბელაიად ვთვლი.

[2] „თითო საბაზიარო ქათამი ყ˜ლათ მ(ა)რთებს", გვეუბნება საყოველთაო მინაწერი ნუსხის ბოლოს.

[3] თუ ვადა საგანგებოდ აღნიშნული არაა, ბეგარა საზოგადოდ წლიურადაა გაწერილი.

იყოს, თუმცა, XVI ს-ის და 1622 წლ. ნუსხების საწყაოთა სხვაობის გამო, დანამდვილებით ამის თქმა არ შეიძლება (იხ. ქვემ.).

დიდია 1622 წ. უკვე 3 კომლია (იყო 1) და ამათგან 1 დაუბეგრავი მსახურია (მენავტე), 2 კი მენავტე-მომუშავეა.

ჯგუბურიათაგან (2 კ.) ერთი მენავტე-მონადეა, მაშასადამე დაბეგრილ მსახურადვე დარჩენილა, ხოლო მეორე მომუშავე-მონადეა. ამას მართებს ბეგრად მხოლოდ 2 ქათამი და ყანის შველა, თიბვა, ყურძნის კრება. როგორც ვხედავთ, არავითარი საპატიო სამსახური ამას არ უწერია და ამის მიხედვით მსახურად მას ვეღარ ჩავთვლით, მაგრამ ბეგრის სიმცირე (2 ქათამი უფრო ძღვენს წააგავს) სათუოდ ხდის ამ ყმის სოციალურ ვითარებას.

ჯაკობია და სუბუქია 1622 წ. უკვე მენავტეები არიან და, ნავტეობას გარდა, ერთს მართებს კიდევ ყანობა, ხოლო მეორეს მუშაობა და თიბვა.

მატუფიას (ანუ მატოფიას) დაევალა, ლაშქრობას გარდა, ყანობა და თიბვაც.

გურუას კი, ლაშქრობის მაგივრად, მართებს ახლა მგზავრობა და კრება, მომგზავრე-მონადეა და, რადგან მგზავრობა შეიძლება საპატიო სამსახურიც ყოფილიყო, დაუბეგრავ მსახურებსაც მართებდათ ზოგჯერ (იხ., მაგ., ხიბულას ნუსხა, საკ˜ზო დავთ. 22, 23), ამიტომ საბუთი არა გვაქვს ეს ყმა მსახურად აღარ ჩავთვალოთ. ამისათვის ერთი საპატიო სამსახური, ლაშქრობა, მეორით, მგზავრობით, შეუნაცვლებიათ და კიდევ ნადობა დაუვალებიათ.

ელიშია 1622 წ. 3 კომლია (იყო 2) და ამათგან 1 დაუბეგრავი მსახურია (გოჭკუმუ, სამსახური, ლაშქრობა), ხოლო ორს, ლაშქრობას გარდა, ახლა მუშაობაც მართებს, ე. ი. მომუშავე მსახურები გამხდარან.

ღრუბელაიათაგან[1] ერთი დაბეგრილ მსახურადვე დარჩენილა, ლაშქრობა მართებს, ოღონდ მონადეც გამხდარა (თიბვა), მეორეს კი საპატიო სამსახური, ლაშქრობა, ჩამოერთვა და ამის სანაცვლოდ ახლა მუშაობა მართებს. ამისდა მიხედვით ცხადია, რომ ეს უკანასკნელი არამცთუ ჩამომცრობილა, არამედ პირდაპირ მოინალეთა ფენაში მოხვედრილა. აქ გვაქვს, მაშასადამე, პირველი მაგალითი მსახურის გამოინალებისა. ჩვენ დავინახავთ, რომ ზოგიერთი მსახური მოინალეთა უდაბლეს ფენაშიც კი მოექცა.

ლოგუას 1622 წ. მართებს „ყანის მუშაობაᲐ", ე. ი. ესეც მოინალეთა ფენაში გადასულა.

რუსაყიას მართებს „მუშაობაᲐ", ლოგუას მდგომარეობაში ყოფილა. ეს რუსაყია საინტერესოა. მას ჰქვიან „მ˜რსალია", ხოლო XVI ს-ის ნუსხაში რუსაყიას ეწოდებოდა „მარცვალია" და თუ ეს ერთიდაიგივე პირია, მაშინ ყველა ზემოჩამოთვლილი ცვლილება ერთი თაობის განმავლობაში მომხდარა. ამის ნორმას ბოლოში ერთი სიტყვა წაშლილი ჰქონია (გვ. 27, შენ.) და კონტექსტიდან საფიქრებელია, რომ აქ ან „ტკრთი" ან „ლაშქრობაᲐ" უნდა წერებულიყო, ე. ი. ნუსხის შედგენისას ეს გლეხი ან მეტვირთე იყო, ანდა მომუშავე-მოლაშქრე. თუ „ლაშქრობა" წაუშლიათ, მაშინ აქ გვექნებოდა თანდათანობითი ჩამომცრობის მაგალითი: XVI ს-ის შემდგომ ამ ყმას, ლაშქრობასთან ერთად, დაევალებია მუშაობაც, ე. ი. ის მომუშავე მსახური გამხდარა, შემდეგ კი ლაშქრობა სულ ამოუკვეთიათ და პირდაპირ მოინალედ ჩარიცხულა. თუ „ტკრთია" წაშლილი, მაშინ გამოდის, რომ ეს რუსაყია ჯერ ჩამომცრობილა და შემდეგ ისევ აღზევებულა, თუმცა პირვანდელი მდგომარეობისათვის ვერ მიუღწევია.

---

[1] როგორც უკვე შევნიშნე, XVI ს-ის „მამასფერი" ღრუბელაიად მიმაჩნია.

ცისტარია 2 კომლია 1622 წლ. ნუსხაში[1] (იყო 1). ერთს მართებს ყანობა, ე. ი. ის მომუშავე-მოინალეა, მეორეს კი – მუშაობა და ტვირთი, ე. ი. ის მომუშავე-მოინალეთა უდაბლეს ფენას ეკუთვნის. ჩვენ არა გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ მეტვირთე ცისტარია მაინც და მაინც ახლად შენაძენი ყმა იყოს. უფრო წარმოსადგენია, რომ XVI ს-ის შემდეგომ ერთი კომლი ცისტარია გაყოფილა, ორივე განაყოფი მოინალეთა ფენაში მოქცეულა, ხოლო ერთი მეტვირთედაც კი გამხდარა.

კოდუა (ანუ კოდია) 1622 წ. 4 კომლია; ყველა მეტვირთე. ხოლო XVI ს-ში იყო 3 კ. კოდუა – ერთი დაბეგრილი მსახური და ორი მეტვირთე. არც აქა გვაქვს საბუთი მაინც და მაინც დაბეგრილი მსახური ამოვარდნილად წარმოვიდგინოთ, უფრო ბუნებრივი იქნება მისი გამოინალება ვიგულისხმოთ (ბეგარა, თუ ზემოთ ცალკე არ ამინიშნავს, ყველგან სრულია).

3. მოინალენი. ორი კომლი კოდუა (ანუ კოდია), რომელთაც XVI ს-ში მხოლოდ ტვირთი – ემართათ, 1622 წ. მუშაობის მოვალენიც გამხდარან.

გოგილავა (ანუ გოგილაა)-თაგან ერთი პირვანდელ მდგომარეობაში დარჩენილა, ხოლო მეორე აღზევებულა: მას, ტვირთის მაგივრად, თიბვა დავალებია.

სამელიას კი, ტვირთს გარდა, წაემატა ყანის შველა, ე. ი. ის მომუშავედაც გამხდარა.

4. უსამსახუროთაგან ერთი, ხუხუშია, ამოვარდნილა, ხოლო ორი, ქაჯაია და კოდია, 1622 წლ. ნუსხაშიც უსამსახუროებად გვხვდებიან.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ დაუბეგრავი მსახურების, მოინალეების და უსამსახუროთა სოციალური მდგომარეობა არ შეცვლილა, ხოლო დაბეგრილ მსახურთა მდგომარეობა, პირიქით, დიდ რყევადობას განიცდის. ამ მხრით ნაჟანეულისათვის ორგვარი პროცესია აღსანიშნავი. ერთის მხრით აქაც, როგორც ხოირს, დაბეგრილი მსახურის სამსახურებრივი ვალდებულება გართულდა, ახალი და სამძიმო სამსახური დააკისრეს მას (ნადობა და მუშაობა); იგი დაუახლოვდა მოინალეს, ისე რომ თითქმის უმნიშვნელო ნიუანსითღა განირჩევა მისგან (ტვირთი); ბეგრის შესახებ, სამწუხაროდ, XVII ს-ისათვის არაფერი ითქმის (იხ. ქვემ.), ხოლო XVI ს-ში, როგორც ვიცით, მსახური ნაკლებსაც იხდიდა და სამსახურითაც გარკვევით განირჩეოდა მოინალისაგან (ლაშქრობა და სამსახური – მუშაობა და ტვირთი); ამასთან დაკავშირებით, დაბეგრილი მსახური დაშორდა დაუბეგრავს და ამ უკანასკნელის მდგომარეობა, შეფარდებით, უკეთესი შეიქნა, რადგან უმრავლესობის მდგომრეობა გაუარესდა. მეორე მხრით, ნაჟანეულს ჩვენ ვხედავთ დიფერენციაციის პროცესს დაბეგრილ მსახურთა ფენაში; ერთი ნაწილი (4 კ.) გააზატებულა, მეორე, უდიდესი ნაწილი (6 კ.)[2] გამოინალებულა. ხოირსაც ვნახეთ 2 კომლის გააზატების შემთხვევა. ესეც იმის ნიშანია, რომ დაბეგრილ მსახურთა ფენა, როგორც სხვა საკ˜ზო ნუსხები გვიდასტურებს, საკ˜ზო ყმათა შორის მაინც, XVII ს-ისათვის იშლებოდა. უცვლელი დარჩა მხოლოდ 4 მსუბუქად დაბეგრილის მდგომარეობა, მაგრამ ესენი ხომ ჯერ XVI ს-შივე კითხვითი ნიშნის ქვეშ დავაყენეთ.

საინტერესოა აგრეთვე, თუ ახლად შემატებულ ყმათაგან 1622 წ. რომელი ნიშანდობლივ რა წოდებისა იყო. ახლად შემატებულია, როგორც აღვნიშნე, სულ 12 კომლი და აქედან: 4 დაუბეგრავი მსახურია – აბრამაისშვილი (გოჭკუმუ და სამსახური), მჭი-

---

[1] ერთი დაბეჭდილია როგორც „ხისტარია" (გვ. 27), მაგრამ ცხადია, რომ აქ გამომცემელს შეცდომა მოსვლით ხუცური დამწერლობის ნიადაგზე.

[2] ვანგარიშობ გამრავლებულ კომლებს 1622 წლ. ნუსხით და ამიტომ პროცენტული რიცხვები არ მომყავს.

თანაას ჩარაჩუ (გოჭკუმუ და ლაშქრობა), ჭვიტიშია (საპურობო და ლაშქრობა) და დაშურიმორთა (გოჭკ. და ლაშქრ.); 5 მოინალეა – მარკოზია (გოჭკუმუ, ბეგარა, ყურძნის კრება, ყანობა), კოჩივარა კუატარა და თოთიბია ჯომინია (ბეგარა, მოინალობა), მესტუმრია დ˜თია (1/2 გოჭკუმუ, ბეგარა, მუშაობა, ტვირთი), ბაგუძლა (უბეგრო და უსამსახურო, აღნიშნულია როგორც „მოინალე"); 1 უსამსახურაა – ციკუტია; 2 გაურკვეველი ღირსების კონტარიები (იხ. ქვემ.). არც ერთი დაბეგრილი მსახური ახლად შემატებულთა შორის არაა.

მოინალეთა ფენაშიც 1622 წლისთვის დიფერენციაცია მომხდარა და საერთოდ 1622 წლის ნუსხა გაცილებით უფრო რთული შემადგენლობისაა. XVI ს-ში იყო ორი ტიპის დაუბეგრავი მსახური: მოლაშქრე და მოლაშქრე-მოსამსახურე; 1622 წ. სამი ტიპი უნდა გავარჩიოთ: მოლაშქრე, მოსამსახურე და მოლაშქრე-მოსამსახურე. სრული ბეგრით დაბეგრილი მსახური იყო აგრეთვე 2 ტიპის: მოლაშქრე და მოსამსახურე; ახლა 4 ტიპი ჩანს: მოლაშქრე-მონადე, მოლაშქრე-მომუშავე, მენავტე-მონადე და მენავტე-მომუშავე, მოინალეც ორი ტიპისა იყო: მომუშავე და მეტვირთე; ახლა 5 ტიპისაა: მომუშავე, მომუშავე-მონადე, მომუშავე-მეტვირთე, მეტვირთე, მემოინალე.

1622 წ. ნუსხაში გაურკვეველი ღირსების ყმებიც მოიპოება, 4 კომლი: ორი კონტარია, რომელთაც „არა მ(ა)რთებს რაჲ", შეიძლება აზნაურებიც ყოფილიყვნენ: სავალდებულო, მართალია, არ იყო, რომ აზნაურს არა მართებოდა რა, მაგრამ აქ ეს გარემოება საგანგებოდაა აღნიშნული. ერთი ყმის შესახებ ნათქვამია მხოლოდ რომ „არის ს(უ)ლთამა შუშანიაჲ", ერთსაც, უჩაიას, მართებს „ბატონისა არაფერი, სამოინალოს ადგილზედ სახლობს და საპურობო მ(ა)რთებს".

ნაჟანეური 58 კ. 1622 რიცხვობრივ შემდეგი შემადგენლობისაა: 14 კ. დაუბეგრავი, 4 კ. მსუბუქად დაბეგრილი, 15 კ. დაბეგრილი, სულ 33 კ. მსახური, 18 კ. მოინალე, 3 კ. უსამსახურო და 4 კ. გაურკვეველი ღირსების პროცენტულად: 24% დაუბეგრავი, 6,89% მსუბ. დაბეგრილი, 25,96% დაბეგრილი, სულ 56,85% მსახური და 31% მოინალე. XVI ს-ში იქვე იყო, როგორც ვიცით, 77% მსახური და მხოლოდ 15,9% მოინალე. სხვაობა ღირსშესანიშნავია. იმ დროს, როდესაც დაუბეგრავ მსახურთა და მოინალეთა პროცენტმა იმატა (დაუბეგრავი მსახურნი XVI ს-ში 15,9%, 1622 წ. 24%; მოინალენი XVI ს. 15,9%, 1622 წ. 31%), დაბეგრილ მსახურთა პროცენტმა მთელი ნახევრით იკლო (XVI ს. 61%, 1622 წ. 32,75%).

მაგრამ, თუ მომუშავე ყმებს დავითვლით, სულ სხვა ციფრებს მივიღებთ: XVI ს-ში მუშაობის მოვალე იყო მხოლოდ 1 ყმა, ე. ი. მებეგრეთა 2,2%; 1622 წელს კი ამა თუ იმ სახით მუშაობის (ე. ი. ნადობის თუ ნიდაგი მუშაობის) მოვალე 29 კომლია, ანუ ყმების 50%. ცხადია, რომ რომელიღაც მიზეზის მეოხებით მუშაობის მნიშვნელობა გაიზარდა.

ამავე დროს, ლაშქრობის მოვალე კომლთა რიცხვი შემცირდა: XVI ს-ში ლაშქრობის მოვალე იყო 33 კომლი, ე. ი. ყმების 75%, 1622 წელს კი ლაშქრობის მოვალეა მხოლოდ 20 კომლი, ანუ 34,4%[1].

საინტერესოა აგრეთვე, რომ XVI ს-ში არც ერთი მენავტე ნაჟანეულს არ იყო, ხოლო 1622 წ. 11 კომლია ნავტეობის მოვალე, ე. ი. ყმების 18,9%.

---

[1] მოლაშქრეთა სია ნაჟანეულს 1622 წ. აღნიშნავს 35 მოლაშქრეს, მაგრამ სრულებით ცხადია, რომ სია „თავებსა" სთვლის და არა კომლებს, ხოლო რამდენი „თავი" გამოჰყავდა 33 კომლს XVI ს-ში, არ ვიცით (მოლაშქრეთა სიის შესახებ იხ. ქვემ.).

ბეგრის შესახებ საზოგადოდ შეიძლება ითქვას, რომ ზემოაღნიშნულ გამონაკლისებს გარდა, მომატებული უნდა იყოს. თუმცა საწყაოთა სხვაობა შედარებას აძნელებს, მაგრამ, თუ 1622 წლ. „ტილო" XVI ს-ის „საკლავის" შესატყვისად ჩავთვალეთ, მაშინ სრულიად ახალი გადასახადი იქნება უსახელო „ბეგარა" და ზოგიერთი ყმის „საყანეც"[1]. კერძო ხასიათის ნიუანსებს თუ მხედველობაში არ მივიღებთ, სრული ბეგრით დაბეგრილ მსახურთა და მოინალეთა შორის ბეგრის მხრით (ოდენობრივადაც) სხვაობა არ ჩანს, ხოლო საშუალო ციფრების გამოანგარიშება არ შეიძლება, რადგან გადასახადები სხვადასხვა და უცნობი ოდენობის საზომებითაა გაწერილი.

ოცხანის 1622 წლ. ნუსხაში (საკ˜ზო დავთ. 41-42) 20 კომლია ჩამოთვლილი[2]. აქედან 7 კ. დაბერგ. მსახურია, 12 კ. გლეხია (მოინალე) და 1 კ., მსახურის ყმა, უსამსახუროდაა მოხსენებული.

დაბეგრილ მსახურს მართებს ბეგარა, საპურობო და ლაშქრობა.

გლეხი (მოინალე) ორი კატეგორიისა განირჩევა: ორი მომუშავეა და მათგან ერთი მონადეცაა (ყურძნის კრება), ათი კომლი კი მეტვირთეა და ამათ, ტვირთს გარდა, ევალებათ ყანის მუშაობა და ყურძნის ან ხის კრება. მეტვირთეთაგან ერთი „სადგომად" ყოფილა გაცემული, ორისა ბეგარა გაუციათ, მაგრამ ამჟამად ეს ჩვენთვის საინტერესო არაა – ცხადია, რომ ეს გლეხები საკ˜ზონი არიან. სამსავე ბოლოში მიწერილი აქვს: „სამსახური, მუშაობაᲲ, ტკრთი და ხის კრებაᲲ მ(ა)რთებს". ვინაიდან „ტვირთის" ვალდებულება ამ ყმების სოციალურ ვითარებას განსაზღვრავს[3], უნდა ვიფიქროთ, რომ ტერმინი „სამსახური" ან ზოგადი სახელია აქ და მომდევნო „მუშაობით, ტკრთით და ხის კრებით" განიმარტება, ანდა დაბალი ღირსების საკუთრივ სამსახურს ჰგულისხმობს, მსგავსად სხვაგნით ცნობილი „მოინალობისა" ან „ხელზედ სამსახურისა".

თითო მსახურზე საშუალოდ მოდის: 2,28 სამოსელი, 1,14 საკლავი, 1,14 ქათამი, 1,14 გოდორი ღომი, 3 კოკა ღვინო; თითო მდაბიოზე საშუალოდ – 2,12 სამოსელი, 0,91 საკლ., 0,91 ქათ., 11 გოდ. ღომი, 2,75 კოკა ღვ.[4]; XVI ს-ში, როგორც ვიცით, მეხადილე უფრო მძიმედ იყო დაბეგრილი, ვიდრე მესასტუმრე. 1622 წ. კი გლეხი (მოინალე) 10 გოდორი ღომით მსახურზე უფრო მეტს იხდის. ეს არის საქუთათლოს დავთრიდან ცნობილი „ურმეული ღომის" მსგავსი გადასახადი „საოჩი", რაც ეტიმოლოგიურად „საყანეს" ნიშნავს და მეგრული ტერმინის „ოჩე"-საგანაა ნაწარმოები. მე-16 ნორმის შემდეგ ნუსხაში სწერია: „ვისაცაᲲ მუშაობაᲲ ემართოს, კუამლის თ˜ვ ზ˜ა ათ-ათი გოდორი ღომი გ(ა)მოიღოს", ხოლო ჯუმალში შეტანილია „საოჩის ჯუმალი... ასი გოდორი („ბეგრის" ღომი ცალკეა

---

[1] „ბეგარა" და „საყანე" ერთიდაიგივე არაა, იხ. სუბუქიას და აგრეთვე ბაბუტია კოდიას ნორმები. რა არის თვით „ბეგარა", ზოგან „ორი" ან „სამი ბეგარა", თუ თავი-ბეგარა არაა, ჯერჯერობით კითხვადვე რჩება.

[2] ჩათვლილია თავართქილაძის განაყოფი, ორივე გოგიბერიძე და სესია კალანდაძის ძმა (მამისთვალი ურატაძის ძმა, ხუტუნა, ჩაუთვლელი დარჩა, რადგან ბეგარა ცალკე არ უნდა ჰქონდეს შეწერილი); რაკი XVI ს-ის ნუსხაშიც განაყოფებს ვანგარიშობდი, შედარებისას დაბრკოლება არ იქმნება.

[3] თუმცა XVII ს-ში უკვე აღარც ეს ნიშანია უთუო (იხ. ქვემ.).

[4] შოშიაისშვილს არ ვანგარიშობ; საკლავები და ქათმები ვივარაუდე თითო საპურობოზე 1 საკლ. და 1 ქათ., როგორც ეს განსაკუთრებით 3 გაცემული გლეხის ჯუმლიდან ჩანს; საოჩი ნაანგარიშევია 120 გოდორი (12 მომუშავე ყმა, გაცემულებიც), 60 თეთრი ჩაგდებულია 6 სამოსლად, სამეჯინიბოები არ ჩამირიცხავს.

შეჯამებული[1]. აქაც ეს გადასახადი საბატონო ღომის ყანის დამუშავების სანაცვლოდ უნდა იყოს შემოღებული (თუმცა აქაც „მუშაობა" თითო ყმას ცალკეც უწერია ნორმაში). გარდა ამისა, ზოგიერთ მდაბიოს 1622 წლ. ნუსხით სამეჯინიბოს გამოღებაც დაევალა. პირიქით, მსახურის ბეგარამ XVI ს-ის შემდგომ იკლო: სამოსელი თუ უწინდელი ზროხის სანაცვლოდ ჩავთვალეთ (ისიც, საფიქრებელია, ზროხაზე უფრო იაფი უნდა ყოფილიყო), საკლავის და ქათმის ბეგარა უეჭველად შემცირებულია (XVI ს. საშუალ. 1,5 საკლ. და 1,9 ქათ., 1622 წ. 1,14 საკლ. და 1,14 ქათ.; დანარჩენი ბეგრების შედარება, საწყაოთა სხვაობის გამო, არ შეიძლება). მართალია, შემცირდა გლეხის (მოინალის) საკლავის და ქათმის ბეგარაც, მაგრამ ამისთვის 1622 წლ,. სამოსელიც სრულიად ახალი ბეგარაა და XVI ს-ში შესატყვისი არ უჩანს (საპურობო უწინდელი სასტუმროს ბადალია).

რომ XVI ს-ის მეხადილენი მართლაც მსახურნი არიან და მესასტუმრენი კი მდაბიო გლეხნი, ამას ამტკიცებს შემდეგი გარემოება: ვინც მეხადილე იყო XVI ს-ში და მას უკან არ ამოვარდნილა, 1622 წ. ლაშქრობის მოვალე მსახურია: – 2 თავაქრთილაძე, 2 კალანდაძე, 1 რებიძე; ხოლო ვინც მესასტუმრე იყო, ის 1622 წლ. ნუსხით მუშაობის და ტვირთის მოვალე მდაბიო გლეხია – ორი ურატაძე, ორი კალანდაძე.

მეხადილეთა და მესასტუმრეთა შეფარდება XVI ს-ში იყო: 52,6% მეხადილე და 36,8% მესასტუმრე; 1622 წ. შეფარდება ასეთია: 35% დაბეგრ. მსახური და 60% გლეხი. ეს ციფრები სავსებით ადასტურებენ ოდიშის ნუსხათა ჩვენებებს. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია შემდეგი გარემოება: XVI ს-ის ნუსხაში 2 რებიძე იხსენიება (ორი განაყოფი) და ორნივე მეხადილენი არიან. 1622 წლ. ნუსხაში რებიძენი უკვე 3 კომლია, მაგრამ ამათგან შენაწირი რებიძე სულ ახლად, ნუსხის შედგენის შემდეგ შენაძენი ყმა უნდა იყოს, რადგან ის ნუსხის ბოლოშია მოთავსებული, ჯუმლების შემდეგ, და მისი გამოსაღები ჯუმალში შეტანილი არაა, თუმცა არც თვით იგი, არც მისი ბეგარა გაცემული არ ყოფილა. ხოლო ორ დანარჩენთაგან ერთი, მამაგულისშვილი, მსახურია, მეორე კი, გიორგი, გლეხი (მოინალე) არის. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ორი უკანასკნელი რებიძენი იმავე მეხადილე რებიძეების ჩამომავალნი არიან: XVI ს-ის შემდეგ ესენი საბოლოოდ გაყოფილან და ერთი მათგანი მდაბიო გლეხის მდგომარეობაში ჩავარდნილა, „ტკრთიც" კი დასდებია. ამგვარად, აქაც, როგორც ნაჟანეულს, მსახურის გამოინალების მაგალითს ვხედავთ[2]. საზოგადოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ ოცხანას მეტი სიმყარე ჩანს ყმების მდგომარეობაში, ვიდრე, მაგ., ნაჟანეულს, მაგრამ რომ ტენდენცია, მიმართულება აქ იგივეა, რაც ოდიშს, ეს ცხადია[3].

---

[1] ნამდვილად, 16 კომლიდან მხოლოდ 8-ს მართებს მუშაობა და საოჩის ჯუმალი 80 გოდ. უნდა ყოფილიყო, მაგრამ ასევე შეცდომითაა ნაჩვენები, ბეგრის ღომს გარდა, დანარჩენი ჯუმლებიც – თუ რატომ, ამას ცალკე გარკვევა სჭირდება. ეგების მსახურთაგანაც 2 კომლი ღომის ყანის დამუშავების ვალდებული იყო?

[2] რადგან XVI ს-ის ნუსხა, თუ 2 მცეხველს არ ვიანგარიშებთ, სამსახურებრივ ვალდებულებას არ აღნიშნავს, ამიტომ ცვლილებათა ნიშანდობლივი გამორკვევა არ შეგვიძლია.

[3] რადგან XVI ს-ის ნუსხა, თუ 2 მცეხველს არ ვიანგარიშებთ, სამსახურებრივ ვალდებულებას არ აღნიშნავს, ამიტომ ცვლილებათა ნიშანდობლივი გამორკვევა არ შეგვიძლია.

ეს უფრო აშკარად ჩანს გურიის საქუთათლო ყმათა ნუსხის მერმინდელი მინაწერიდან[1]. აი რას გვეუბნება ეს მინაწერი: „ამ(ას) შინაჲ ყ(ო)ვე(ლ)თაჲ ვისცაჲ ცხენით სამსახური არ მართებს, მას სახლისა და ორჩის მუშაობაი მართებს"[2].

მოვიგონოთ, რომ გურიის საქუთათლო ყმები შემდეგ კატეგორიებად განაწილდებიან: მეხადილეებს, ანუ, ჩვენი ტერმინოლოგიით, მსუბუქად დაბერგილ მსახურებს მართებდათ ცხენით სამსახური; საშუალო ტიპის ყმებს, ჩვ. ტერმინ., დაბეგრილ მსახურებს – სამსახური, ხელოსნობით სამსახური თუ მეჯინიბობით სამსახური, და დაბალი ღირსების ყმებს, ჩვ. ტერმ., გლეხებს (მოინალეებს) – სამსახური ოჩისა (დანარჩენები ამჟამად არ გვაინტერესებს).

აღნიშნულ მინაწერში საინტერესოა უპირველესად ყოვლისა ის გარჩევა, რომელიც გატარებულია „სამსახურსა" და „მუშაობას" შორის: ერთის მხრით, ცხენით „სამსახური", მეორე მხრით კი სახლისა და ორჩის „მუშაობაჲ". ცხადია, ტერმინი „მუშაობა" უკეთ გადმოგვცემს ამ სამსახურებრივი ვალდებულების შინაარსს, ვიდრე თვით ნუსხის „სამსახური ოჩისა" („ოჩე" და „ორჩე" რომ ერთი და იგივეა, ამას მტკიცება არ უნდა). ცხადია აგრეთვე, რომ ყველა ზემოაღნიშნული კატეგორიის ყმათა შორის ეს მინაწერი ჰგულისხმობს, ჩემ მიერ წოდებულს, დაბეგრილ მსახურებს, რადგან მხოლოდ ესენი არიან, რომელთაც არ მართებს ცხენით სამსახური და ამასთანავე არ მართებს „სამსახური ოჩისა"-ც. ეს მინაწერი გვიმტკიცებს, რომ მანამდე მართლაც არსებითი სხვაობა ყოფილა ოჩეს დამუშავების მოვალეთა და მეჯინიბობით სამსახურის მოვალეთა შორის და რომ ჩვენ მართალი ვიყავით, როდესაც ეს უკანასკნელნი ცალკე კატეგორიად გამოვყავით და უფრო მაღალი ღირსების ყმებად ვცანით. მაგრამ მას უკან მდგომარეობა შეცვლილა, ამ ყმებსაც დავალებიათ ოჩის, ყანის დამუშავება, ე. ი. ესენიც ნიადაგი მომუშავენი გამხდარან. მინაწერი მეტსაც გვეუბნება: როგორც ამ ყმებს, ისე „ოჩის სამსახურის" მოვალეებს, მიემატათ კიდევ ახალი სახის სამსახური: „სახლის მუშაობა", საფიქრებელია, სხვაგნით ცნობილი „სასახლის სამსახურის" თუ „მუშაობის" მსგავსი ვალდებულება, რომელიც მანამდე არც ერთ ყმას არ ემართა.

აქაც, მაშასადამე, ჩვენ ვხედავთ, რომ დაბეგრილ მსახურს საგლეხო (სამოინალო) სამსახური დაეკალა (თუმცა უდრიდა ეს სრულს გამოინალებას თუ არა, ჯერ კიდევ საკითხავია), რომ მდაბიო გლეხის ვალდებულება გართულდა და რომ, პირიქით, მსუბუქად დაბეგრილი მსახურის მდგომარეობა მყარი ჩანს (შდრ. ნაჟანეური მსუბ. დაბეგრ. მსახურნი)[3].

---

[1] ამ მინაწერის შესახებ ე. თაყაიშვილი შენიშნავს, რომ იგი „წერილი ასოებით და მქრალის მელნით სწერია, მერმე უნდა იყოს მიმატებული" (ქუთ. დავთ. 70, შენ 1). მე დავუმატებ, რომ თუმცა მინაწერის ხუცური, პირველი შეხედვით, დავთრის ტექსტის ხელს წააგავს, მაგრამ განსაკუთრებით „ბ"-ისა და „მ"-ის მოხაზულობას ეტყობა, რომ სხვა ხელითაა დაწერილი (იხ. საქ. მუზ. ხელნან. ფონდის № 626, გვ. 78 R). ხოლო, რომ იგი მერმინდელია და ისტორიული განვითარების ფაქტს აღნიშნავს, ამას თვით მისივე შინაარსი გვეტყვის. ხელის მიხედვით მინაწერი უნდა მიეკუთვნოს დაახლ. საქუთათლოსავე დავთრის შედგენის ხანას (1578), ე. ი. XVI ს-ის დასასრულს ან XVII ს-ის დამდეგს.

[2] დაბეჭდილ ტექსტში და დედანშიც სწერია: „ამ შ"ჲ ხვეთაჲ ვისცაჲ..." და სხვ.; მე ქარაგმა გავხსენი, ხოლო დანარჩენი შევავსე და შევასწორე, როგორც წინადადების აზრი მოითხოვდა.

[3] გურიის საქუთათლო ყმათა შორის, როგორც ვიცით, ორს მართებდა „ცხენით სამსახური ოჩისა". თუ მათი ვითარების ჩვენი გაგება სწორია, მაშინ აღნიშნული მინაწერი ამ ყმებს

საგენათლო წმ. გიორგის 1622 წ. ნუსხები (საკ˜ზო დავთ. 4-6 – ნავენახევი, 7-8 – ოხომირა, ნაბოსლევი, კურსები, რიონი, სორმონი, 10-11 – ფარსმანაყანევი, მესხეთი), შედარებით 1545 წ. დავთართან, მცირეოდენ ცვლილებას უჩვენებენ, რაც ამ საყდრის და მისი ყმების განსაკუთრებული მდგომარეობით უნდა აიხსნებოდეს. არ ჩანს რაიმე ძირითადი ცვლილება აგრეთვე ბარის 1622 წლ. ნუსხაში (იქვე 1-3), მით უმეტეს რომ აქაც სამსახური სრულებით აღნიშნული არაა, და XVI ს-ის ნუსხა ხომ ფრაგმენტს წარმოადგენს. ამიტომ აღნიშნულ ნუსხათა გარჩევაზე ხელს ავიღებ.

დანარჩენი საკ˜ზო 1622 წლ. ნუსხები (ოდიშიდან და იმერეთიდან) თავისთავად ძალიან საინტერესონი არიან, მაგრამ მათს განხილვაზედაც ამჟამად შეგვიძლია უარი ვთქვათ და მხოლოდ საზოგადოდ აღვნიშნავ, რომ ეს ნუსხები სავსებით ადასტურებენ განხილული ნუსხების ჩვენებებს: აქაც დაუბეგრავი მსახურის მდგომარეობა უფრო მყარი ჩანს, თუმცა მუხურს გვხვდება ერთი დაუბეგრავი მსახური „სამი დღის ყანის შველის“ მოვალე (იქვე 32, მმულია არტონია); აქაც დაბეგრილ მსახურს ევალება ნადობა და ნიადაგი მუშაობა, თუმცა ზოგან არის შენახული დაბეგრ. მსახურის წმინდა ტიპიც (მაგ. ხაუჟელს, იქვე 37, გუგურიში წებლარია და სხვ.); აქაც ბეგარა გაცილებით უფრო რთულია და მრავალსახოვანი, ვიდრე XVI ს-ის ნუსხებში და სხვ.

ცალკე უნდა აღინიშნოს ორი გარემოება. ერთი რომ ოდიშის ნუსხებში ყველგან ძალიან დიდია ამა თუ იმ სახით მომუშავე ყმათა რაოდენობა. ჩვენ ვნახეთ, რომ 1622 წ. ნაჟანეულს მუშაობდა 50%, ხოლო ხოირს – 76%, ხიბულას მუშაობს 54%, მუხურს – 58%, თილითს – 62%, ხაუჟელს – 73%. ამავე დროს იმერეთში მომუშავეთა პროცენტი ძალიან მცირედია: მანთხოჯს მხოლოდ 6,6%, ისიც მონადე, ჯიქთუბანს – არც ერთი საჩხეურს, ბაკისუბანს, ხონს სულ უსამსახურონი არიან; მხოლოდ ჯიმაშტაროს მუშაობს 85,71%, მაგრამ აქ კ˜ზს სულ 7 კომლი ჰყოლია (იქვე, გვ. 9-10). როგორცა ჩანს, კ˜ზებს XVI ს-ის შემდგომ დიდძალი მიწები შეუძენიათ სახასოდ ოდიშს. ამასთან უნდა იყოს დაკავშირებული ზოგიერთ სოფელში მოსასახლეთა („სასახლის სამსახურის“ ვალდებულთა) დიდი რაოდენობა (ხიბულას 14,54%, თილითს 24,32%) – ე. ი. კ˜ზებს გაუშენებიათ სასახლეები და ზედ მოსასახლენი დაუსახლებიათ. უნებლიედ გვაგონდება საკ˜ზო იადგრის ერთი შესანიშნავი მინაწერი (უტყუარი, თუმცა თვით იადგარი ნატყუარია), რომელიც ეკუთვნის მალაქია გურიელ – კ˜ზს და რომელშიც ეს ენერგიული და მეთავისე მებატონე თავის აღმშენებლობითს მოღვაწეობას აგვიწერს (გუჯრები, 140-147=საისტ. მ-ბე 1925, II 189-192). მინაწერი დაწერელია 1625 წლ. შემდეგ, მაგრამ მალაქია ასწერს მთელ თავის მოქმედიანობას მანამდისაც და, სხვათა შორის, 1622 წლ. საკ˜ზო დავთრის შედგენამდისაც. ოდიშის საბეგრო ნუსხები გვაფიქრებინებს, რომ ამ მიმართულებით კათალიკოზების ცდა წარმოებდა გაცილებით უფრო ადრეც, მალაქიამდისაც, თუმცა ამის შესახებ პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება. იმერეთში კი საკ˜ზო დავთრის შედგენის შემდეგ უნდა გადმოეტანათ მათ თავისი მოქმედიანობა. საზოგადოდ იმერეთში (და გურიაშიც), საკ˜ზო დავთრის მიხედვით, საკათალიკოზო სახასო მფლობელობა უმნიშვნელო იყო, შედარებით ოდიშის მფლობელობასთან.

„ცხენით მუშაობის“ და არა „სამსახურის“ მოვალეებად სთვლიდა ალბათ, და ამიტომ „სახლის მუშაობა“ ამათზედაც გავრცელდებოდა.

მეორე ცალკე აღსანიშნავი გარემოება შემდეგია: ზოგიერთ სიაში გვხვდებიან მეტ-ვირთე-მოლაშქრე ყმები (ხიბულას 16 კომლი, მუხურს 1 კომლი)[1]. როგორ უნდა გვეს-მოდეს ამ ყმების სოციალური მდგნომარეობა?

ორში ერთი: ან მოინალეებიც ასრულებდნენ ზოგან უკვე XVII ს-ში ლაშქრობის სამ-სახურს, ანდა, პირიქით, ზოგან დაბეგრილ მსახურებს ტვირთიც დავალებიათ.

ლამბერტის ცნობით, როგორც ვიცით, მოინალეც ლაშქრობდა. მაგრამ ლამბერტი ჰგულისხმობს საერისკაცო ყმებს. პირიქით, კ˜ზის მალაქია გურიელისძის 1622 წლ. მოლაშქრეთა სიაში (საკ˜ზო დავთ. 45-46) აღრიცხულნი არიან, როგორც მოლაშქრენი, მხოლოდ აზნაურნი და მსახურნი. არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ სიას არავითარი კავშირი არა ჰქონდეს საბეგრო ნუსხებთან: იგი დართული აქვს საკ˜ზო დავთარს ბო-ლოში, ჩამოსთვლის თითქმის ყველა იმ სოფელს, რომელიც შეტანილია დავთარში (ზოგიერთ სოფელში, მაშასადამე, მოლაშქრენი არ ყოფილან) და წარმოადგენს ამ სო-ფლების საკ˜ზო მოლაშქრეთა ჯუმლებს (ჯუმლები არ ეთანხმება საბეგრო ნუსხებში აღნიშნულ ლაშქრობის მოვალე კომლთა ჯამებს, მაგრამ ეს აიხსნება იმით, რომ სია „თავებსა“ სთვლის და არა კომლებს). წარმოუდგენელია, რომ სიაში მოხსენებული მსახურნი კიდევ სხვა ყმები იყვნენ, ვინემ შესატყვისი საბეგრო ნუსხების მსახურნი. ამგვარად, აქ სავსებით მხოლოაზროვანი ჩვენება გვაქვს: მდაბიო გლეხი (მოინალე) არ ლაშქრობს. უნდა დავუშვათ, რომ ზოგან, გამონაკლისის სახით, საეკლესიო მსახურები ისე ჩამომცრობილან, რომ ტვირთის ზიდვაც დავალებიათ და თითქმის აღარაფრით განირჩეოდნენ მოინალეთა უდაბლესი ფენისაგან. ზემოთ, ოცხანაში, 1622 წლ. ნუსხით, ჩვენ შეგვხვდნენ სამსახურისა და ტვირთის მოვალე ყმები და ამ უკანასკნელი ვალდე-ბულების მიხედვით ჩვენ ისინი განვსახლვრეთ, როგორც მოინალენი. ნამდვილად, შეს-აძლებელია, აქაც ერთი მაგალითი გვაქვს იმისა, რომ დაბეგრილ მსახურებს ტვირთის ზიდვაც დააკისრეს[2].

იმერეთიდან შემონახული გვაქვს, გარდა საკ˜ზო ნუსხებისა, ხონის საყდრის დაახლ. 1622 წლ. დავთარი[3]. ხონის საყდარს ჰყოლია ხონს, ღანირს, ხუნწს და ჭანგას სულ 59 კომლი ყმა და აქედან 7 კომლი მეხადილეა, 17 კ. დაბეგრილი მსახურია, 30 კ. გლეხია (მოინალე), 4 კ. უსამსახუროა და 1 კ. მეხადილეც (ჭანგას, გვ. 16) ამოგდებული ყოფილა და მისი მამული პარტახტად ქცეულა – პროცენტულად; 13,5% მეხადილე (ამოგდებუ-

---

[1] საცაგერლოს დავთრით, ზოგიერთ მებეგრეს მართებდა თავისი ბატონის ბეგარა და ტვირთის და „მეფის ლაშქრობა“ (ცაგ. დავთ., გვ. 7); აქაც, მაშასადამე, მეტვირთე-მოლაშქრე ყმები ყოფილან.

[2] საინტერესოა, რომ ბოროზდინის ცნობით სამეგრელოში, XIX საუკუნის შუახანებში, ყველა მებეგრე მსახურები, მდაბიო გლეხებთან ერთად, ტვირთის ზიდვის მოვალენიც იყვნენ (იხ. ბატ.-ყმ. სამეგრელოში, გვ. 46).

[3] ამ დავთარს ათარიღებს საკ˜ზო დავთარი, რომელშიც ის თითქმის მთლიანად ყოფილა შეტ-ანილი. თვითონ ხონის გრაგნილი ამჟამად დაზიანებულია, ბევრი აკლია (იხ. ცენტრარქ. № 5034). მაგრამ საკათ. დავთარში მებეგრეთა რიგი სხვა იყო და რამდენიმე მებეგრე შეტანილი არ ყოფილა – გიორგა წაბრალეისშვილი (ხონ. დავთ. 8, დაბეჭდ. შეცდ. „აბრალეისშვილი“), ქრისტესშია ქაცარავა (იქვე 13) და ხუნწელი ყმების, ჯაველის და მამფორიას, სახელები (იხ. გლეხების ნუსხა საკათ. დავთ., გვ. 44-45). მიუხედავად ამისა, თანხმობა ცალკე გრაგნილსა და საკათ. დავთრის ნუსხას შორის ისეთი თვალსაჩინოა, რომ ხონის დავთრის შემონახული ტექსტი, ყოველ ეჭვს გარეშე, დაახლ. 1622 წელსვე უნდა ეკუთვნოდეს.

ლითურთ), 28,8% დაბეგრ. მსახური, სულ 42,3% მაღალი ღირსების ყმა და 50,8% გლეხი (მოინალე)[1].

მეხადილეებს (გვ. 15) სამსახური არ უწერიათ, მაგრამ უსამსახუროთაგან გამოვყავი, რადგან, როგორც ვიცით, მეხადილენი მაღალი ღირსების ყმები იყვნენ და აქ, ხონის დავთრის მიხედვით, თითქოს დაუბეგრავ მსახურებად უნდა მივიჩნიოთ: ხადილს გარდა (2 საკლ., 2 ქათ., 2 თეთრის თევზი და სხვ.) ამათ არა მართებს რა, ხოლო მათი სამსახურებრივი ვალდებულება „ლაშქრობა" უნდა იყოს[2]. მოლაშქრეთა სიით ხონს ითვლებოდა მოლაშქრედ 30 მსახური (საკ˜ზო დავთ. 46), ხოლო ხონის დავთარში „ლაშქრობა" არ-

---

[1] ხონის დავთრის გამოცემის მიხედვით ყმათა რაოდენობის გამორკვევა შეუძლებელია. როგორც ეს გამოცემაშიც აღნიშნულია, 2 მეხადილე (ხახუტა სანოძე და მასორდია ფანცულეია) და 2 მსახური (მამფორია ორქოშია და კოჩია კეთილაძე) ხონის დავთრის პირვანდელ ტექსტში არ უნდა ყოფილიყვნენ მოთავსებული, შემდეგში „სხვა მელნით და ხელით" მიუწერიათ (იხ. ხონ. დავთ. გვ. 16) და ამიტომ მათ ძირითად ყმათა შორის არ ვანგარიშობ. სხვა დეტალების გასარკვევად უნდა მივმართოთ დედანს (იხ. საქ. ცენტრარქივის საარქ. ფონდის გრაგნილი № 5034): მსახური გიორგა წაბრალეისშვილი (იხ. გამოც. გვ. 8) მოთავსებულია სრულიად ცალკე, ზომით დანარჩენებზე გაცილებით უფრო პატარა, უდავოდ მერმე ჩაკერებულ კეფზე, სულ სხვა ხელით, და მის ზემოთ მოთავსებული თალგამაძის ნორმის უკანასკნელი სამი სიტყვა „ოთხი მთელი ტკპილი" ამას (წაბრალეისშვილს) ეკუთვნის, ხოლო თალგამაძის ნორმის ბოლო სტრიქონები წაჭრილია და ამიტომაა იგი ეხლა წარმოდგენილი უსამსახუროდ. ამის გამო წაბრალეისშვილსაც ძირითად ყმათა შორის არ ვანგარიშობ. შემდეგ: გამოცემის მე-12 გვერდზე მამაგულა ღვიცაძის ნორმას რაღაც უცნაურობა ეტყობა. აქ ჩამოთვლილია, ჩვეულებისამებრ, თავი-ბეგარა. საპურობო, საბატკობო, სამაჭრობო და საყველიეროს ნაწილი: „ხუთი კოდი ცეხვილი, 7 მრთელი ღვინო" და ამის შემდეგ მოსალოდნელი იყო „ერთი ურემი ღომი, ერთის საყველიერო", სამეჯინიბო და მუშაობა, ანდა პირდაპირ „ერთის თეთრის საყველიერო" და სამსახური. ამის მაგივრად, აღნიშნულ სიტყვებს მოსდევს: „ორის თეთრის თეუზი, სამი კოდი ღომი, ორი კოკა ღვინო, ოთხი ქათამი სამაჭრობო" და სხვ., შემდეგ საყველიეროა ჩამოთვლილი (თუმცა, „საყველიერო" აღნიშნული არაა), სამეჯინიბო და მუშაობა. ცხადია, რომ აქ რაღაც გაუგებრობა უნდა იყოს: ღვიცაძის საყველიეროს ჩამოთვლა ჯერ დასრულებული არაა და მოულოდნელად მეორდება საბატკობოს ნაწილი, სამაჭრობო და ისევ საყველიერო. დედანთან შეჯერებისას აღმოჩნდა, რომ სწორედ იქ, სადაც სწყდება ღვიცაძის საყველიერო, სიტყვების „შვიდი მრთელი ღვინო"-ს შემდეგ, ტექსტი გადადის ახალ კეფზე (იხ. ხელნაწ. კ. 12-13) და თუმცა გადაკერებულზე კეფებს ზიანი არ ეტყობა, მაინც ტექსტის შეუსაბამობა გვაფიქრებინებს, რომ გრაგნილს აქ უნდა რაღაც აკლდეს და, რადგან გადაკერებულს არა ეტყობა რა, უნდა აკლდეს მთელი ერთი კეფი მაინც. ამგვარად, ხონის ძირითად ყმათა რიცხვი 59-ს, ალბათ, ბევრით აღემატებოდა, ხოლო რადგან ღვიცაძეს ან, უკეთ, მის მომდევნო უცნობს ბოლოში „მუშაობა" უწერია, მე ესეც (ღვიცაძეც) ჩავთვალე გლეხთა (მოინალეთა) შორის. სამწუხაროდ, დაკარგულ კეფზე ზედმეტი კომლების ვარაუდი დაახლოვებითაც არ შეიძლება რადგან კეფები სხვადასხვა ზომისაა.

[2] ამ ყმებს დაუბეგრავ მსახურებად ვთვლი მხოლოდ პირობით. ოცხანის XVI ს-ის ნუსხიდან და აგრეთვე მანთხოჯის ნუსხებიდან (იხ. ქვემ.) ვიცით, რომ ხადილი ზროხას ჰგულისმობდა. ამიტომ, შერსაძლებელია ხონის მეხადილეების 2 საკლავი და სხვ. ცალკე ბეგარა, თავი-ბეგარა, იყოს და მაშინ ესენი ოცხანელი მეხადილეების მსგავსი მებეგრენი იქნებიან. მაგრამ ხადილის ნივთიერი შემადგენლობა მაინც და მაინც სავსებით გარკვეული არაა. ასე, მაგ., 1730 წლ. შეწირულობის წიგნში ხადილი განსაზღვრულია თითქოს თეთრით (2 მარჩილი, ღვინო, ღომი, ქათამი: საეკლ. საბ. I 222).

ცერთ მსახურს არ უნერია. ცხადია, რომ იგი აქ ნაგულისხმევია, ისევე როგორც, მაგ., საცაიშლოს დავთარში და სხვ., როგორც მაღალი ღირსების ყმები, ხონის მეხადილენიც, დაბეგრ. მსახურებთან ერთად, უთუოდ ასრულებდნენ ამ საპატიო სამსახურს.

მსახურებს ყველას მართებს „სამსახური" და, ალბათ, ლაშქრობაც, და სხვადასხვანაირად არიან დაბეგრილი, თუმცა ორი მთავარი ტიპი გამოირჩევა.

1. ხონელი მსახურების ბეგარა შემდეგი ნაწილებისაგან შედგება: a) თავი-ბეგარა[1], b) საპურობო, c) საბატკობო, d) სამაჭრობო, e) საყველიერო. ასეა დაბეგრილი სულ 9 კომლი მსახური, მაგრამ ამათგან მხოლოდ 3-ს მართებს სრული ბეგარა[2], 1-ს აკლია საბატკობო[3], 2-ს – საპურობო[4], 2-ს – საბატკობო და სამაჭრობო[5], ხოლო 1-ს თითქმის ყველა ბეგარა შეკვეცილი აქვს[6]. მაგრამ მაინც ცხადია, რომ ყველა ესენი ერთი სისტემით არიან დებაგრილი.

2. ჭანგელი მსახურების[7] ბეგარა განაწილდება ამგვარად: a) თავი-ბეგარა და b) რაღაც უცნობი ბეგარა, ალბათ, ძღვენი[8]. ასეა დაბეგრილი სულ 6 კომლი მსახური (გვ. 16).

დეტალებს რომ არ გავყვეთ, ფორმალური შედარებიდანაც ცხადია, რომ ეს უკანასკნელი მსახურები უფრო შეღავათიან პირობებში იმყოფებოდნენ, ვიდრე ხონელნი. იქ ბეგრების სხვაობა შეიძლება ავხსნათ წმინდა ეკონომიური მიზეზებით – ერთი ყმა ეგების მეტად შეძლებული იყო და მეტი გამოჰქონდა, მეორე ნაკლებად. აქ კი განსხვავება როგორც ეკონომიური, ისე სოციალური ხასიათისაც უნდა იყოს: ის თეთრი, ე. ი. ფულადი გადასახადი, რომელიც ჭანგელების თავ-ბეგარაში შედის, ნაცვლად ხონელების საკლავებისა, ე. ი. სულადი გადასახადისა, მაჩვენებელია ჭანგისათვის სხვა სამეურნეო პირობებისა, ხოლო ჭანგელების სისტემატურად უფრო მსუბუქი დაბეგვრა ნიშანი უნდა იყოს მათი უფრო მაღალი ღირსებისა ხონელ მსახურებთან შედარებით (რასაკვირველია ამ მოსაზრებას მაინც პირობითი ხასიათი თუ ექნება).

ხუნწელ ორ მსახურს თითქოს მართებს რამდენიმე საკლავი, ქათამი, თითო ჭური ღვინო, „შინეთ ჩაჯდომა და მას(პ)ინძლობა"[9].

---

[1] „თავი-ბეგარა" თვით ტექსტში დასახელებული არაა, უსახელო ბეგარაა; სახელწოდება მე შემოვიღე სხვა, ჩვენთვის უკვე ცნობილი, საბეგრო ნუსხების მიხედვით, სხვათა შორის, საინტერესოა, რომ ბეგრის ეს ნაწილი, ჯერ რომ ყველგან პირველ ადგილზეა მოთავსებული და, გარდა ამისა, ყველა ბეგარაზე უფრო მეტ სიმყარეს იჩენს. ყველაზე ნაკლებად იცვლება.

[2] მიდიოდა მებუკეს, კაცია მებუკეს და გუგუვა წივწივაძეს.

[3] მიხილია ტაბიძეს.

[4] სულმამა მებუკეს და ნასყიდა ბახტაძეს.

[5] მახიტა ტაბიძეს და ივანა სანოძეს.

[6] ხეცესს კეთილაძეს, რომლის საკლავი და ქათამი შეკვეცილი თავი-ბეგარაა, 3 კოდი ღომი, 2 კოკა ღვინო და 4 ქათამი სამაჭრობოა და 10 მთელი ღვინო შეკვეცი. საყველიერო უნდა იყოს.

[7] ესენი შესაძლებელია მართლაც ბაკისუბნელები იყვნენ, როგორც ს. კაკაბაძე ჰფიქრობს (იხ. საისტ. კრებ. I, გვ. 21).

[8] რომ აქ აუცილებლად ორი ბეგარა გვაქვს და არა ერთი, თუმცა არც ერთის სახელი მოხსენებული არაა და პირდაპირაა ჩამოთვლილი სხვადასხვა გადასახადი, ამას გვიჩვენებს ღვინის გამოსაღების გამეორება: თავ-ბეგარაში ღვინო შედის კოკობით, ხოლო უცნობ ბეგარაში – მენახევრე კოკობით.

[9] დაბეჭდილ ტექსტში: „მასიმძლობა".

გლეხის (მოინალის) ბეგარა შემდეგი ნაწილებისაგან შედგება: a) თავი-ბეგარა, b) საპურობო, c) საბატკობო, d) სამაჭრობო, e) საყველიერო, f) სამეჯინიბო. ამას გარდა, ყველას მართებს „მუშაობა". 30 მეკომურიდან სრული ბეგარა მართებს მხოლოდ 17 მებეგრეს[1], სამს აკლია სამაჭრობო[2], ორს – სამეჯინიბო[3], 6-ს – საბატკობო და სამაჭრობო[4], 1-ს – საბატკობო და სამეჯინობო[5] და 1-ს – საბატკობო და სამაჭრობო და სამეჯინიბო[6]. მაგრამ ცხადია, რომ ყველა ერთი სისტემითაა დაბეგრილი. ზოგიერთს ესა თუ ის ბეგარა მეტი ან ნაკლები მართებს, სამეჯინიბოდ ზოგს თივა და მჭადი მართებს, ზოგს მხოლოდ თივა ან ურიში ან ფეტვი და სხვ., მაგრამ ყველა ამას ამჟამად ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს. ამ ყმათა ბეგარა, პირველივე შეხედვით, ძალიან წააგავს ხონელი მსახურების ბეგარას. მართლაც, ყველა გლეხები (მოინალენი) ხონელები არიან. მაშასადამე, ხონელი მსახურნი და გლეხნი ერთნაირად ყოფილან დაბეგრილი, ერთი სისტემით, მაგრამ მათ შორის არის ამასთანავე არსებითი სხვაობაც. სახელდობრ, მსახურთა ბეგარას აკლია „სამეჯინიბო". რა შეადგენს სამეჯინიბოს? სამეჯინიბოში შედის ერთი ურემი თივა ან ურიში და ან ფეტვი და ერთი ურემი შეშა, ან კიდევ ერთი ურემი თივა, ერთი გოდორი მჭადი, ერთი ურემი შეშა. მსახურს რომ „სამეჯინიბო" არ მართებს, ეს იმას ნიშნავს, რომ მას არ მართებს შეშის, თივის და მჭადის ბეგარა. შეშაც, თივაც და მჭადიც ხონს საგლეხო (სამოინალო) ბეგარა ყოფილა. თივასა და მჭადს რომ თავი დავანებოთ, უნებლიეთ მოგვაგონდება ლამბერტის ზემომოყვანილი ცნობა იმის შესახებ, რომ მის დროს ოდიშსაც შეშის მოტანა მოინალის ვალდებულებას შეადგენდა, მოინალე იყო რომ უნდა ეზრუნა ბატონის სახლში ცეცხლის გაუქრობლობაზე. მოვიგონოთ აგრეთვე, რომ საქუთათლო დავთარშიც „ხორის ზიდვა" საგლეხო (სამოინალო) სამსახურს შეადგენდა. მაგრამ ხონის დავთარში მსახურთა ბეგარა კიდევ ერთი ნიშნით განსხვავდება გლეხების ბეგრისაგან: გლეხის (მოინალის) „საყუელიეროში" შედის „ერთი ურემი ღომი", ხოლო მსახურთა „საყუელიეროს" ეს „ურემი ღომიც" სისტემატურად აკლია. ეს ბეგარაც წოდებრივ საგლეხო (სამოინალო) ხასიათს ატარებს. ესეც ეთანხმება საქუთათლოს დავთრის ჩვენებას.

ამგვარად, სახონო მსახურნი განსხვავდებოდნენ გლეხთაგან ბეგრითაც. ხონს 1622 წელსაც ზოგიერთი ბეგარა ატარებდა საგლეხო (სამოინალო) ხასიათს. მაგრამ მსახური მაინც მძიმედაა დაბეგრილი, განსაკუთრებით, თუ საქუთათლო XVI ს-ის ნუსხებს შევადარებთ (გურიის ნუსხის გამოკლებით), ამ მხრით ახლო დგას მდაბიო გლეხთან და მეტად დაშორებულია დაუბეგრავ მეხადილეს. სამწუხაროდ, არ ვიცით თუ ნიშანდობლივ რაში გამოიხატებოდა მსახურის „სამსახური" და გლეხის „მუშაობა", მაგრამ

---

[1] 1. მამისთვალა ლაითაძეს, 2. გიორგი ხურციძეს, 3. ნასყიდა ხოხობაძეს, 4. მიქელა გოგევას, 5. გოჩია(=კაცია) ფენჩაისშვილს, 6. მახარა ფენჩაისშვილს, 7. ცოტნია ბახტაძეს, 8. გიორგისა ბახტაძეს, 9. ყუფარაძეს, 10. ივანა გოფოძეს, 11. გიორგა წივწივაძეს, 12. დათვია სანოძეს („საყუელიერო" პირდაპირ არ უწერია), 13. მიხილია სანოძეს, 14. მაღლაკელიძეს („სამეჯინიბო" პირდაპირ არ უწერია), 15. მამაგულა ღვიცაძეს (ამის შესახებ იხ. ზემ. გვ. 496, შენ. 1), 16. გაბრიელ ბახტაძეს და 17. გამსაჯა ბა(ხ)ტაძეს.

[2] მახარა ლაითაძეს, ამინადარა კუატუშაძეს და ნატრია ბახტაძეს.

[3] ხუცესს ქაცარავას და ქრისტეშია ქაცარავას.

[4] მახარა ჭამჭიანიძეს, კაკუა სანოძეს, ლომინა ყლარტაისშვილს, ეფრემიძეს, მახარა კოპეშავიძეს, ხოხონა სანოძეს.

[5] ნასყიდა ჩიტის ღულაისშვილს.

[6] ნასყიდა ფარცხელაძეს.

ბეგრის მიხედვით შესაძლებელია, თუ სოფელი ხონის ფარგლებში დავრჩებით (მეხადილენიც ხონელები არიან), ერთგვარი წოდებრივი სქემის შედგენა, თუმცა, რაკი ეს ბეგრის მიხედვით ხდება, ამ სქემის რეალობა სათუოდ უნდა დარჩეს: I. გლეხი (მოინალე) – 1. სრული ბეგრის მოვალე, 2. სამაჭრობოსაგან, ან საბატკობოსა და სამაჭრობოსაგან თავისუფალი, 3. სამეჯინიბოსა, ან საბატკობოსა და სამეჯინიბოსაგან თავისუფალი, 4. თავისუფალი საბატკობოსა, სამაჭრობოსა და სამეჯინიბოსაგან: II. დაბეგრილი მსახური – 1. სრული ბეგრის მოვალე, 2. საბატკობოსაგან, ან საპურობოსაგან, ან საბატკობოსა და სამაჭრობოსაგან თავისუფალი, 3. ბეგრებ-შეკვეცილი; III. დაუბეგრავი მსახური (მეხადილე: ხადილი და ლაშქრობა).

ამ სქემიდან ჩანს თანდათანობითი წოდებრივი გარდამავლობა და ამავე დროს დაუბეგრავი მსახურების მდგომარეობის სიმყარე. შედარებით დანარჩენ კატეგორიათა მრავალფეროვნებასთან.

ყველა ეს სხვაობანი შეიძლება აიხსნას წმინდა ეკონომიური მიზეზებით, ყმების მეტ-ნაკლები ქონებრივი შეძლებით, მაგრამ ხონის დავთარში ბეგარას ისეთი სისტემატური ხასიათი აქვს, ისეთის მტკიცე წესით ჩანს შედგენილი, რომ უფრო საფიქრებელია წოდებრივი ხასიათის სხვაობა. ამის დასადასტურებლად ხონის დავთრიდანვე შეიძლება მოვიყვანოთ ერთი მაგალითი. ორი ქაცარავა, დავთრის შედგენისას მუშაობის მოვალე მდაბიო გლეხნი, შემდეგში აღზევებულან და დაბეგრილ მსახურთა კატეგორიაში გადასულან. მათ ნორმებს მინერილი აქვს სხვა ხელით: „სამსახური" (გვ. 13 და 14), მაგრამ „მუშაობა" არ წაუშლიათ, მომუშავე მსახურებად დარჩენილან. და აი საინტერესოა, რომ მანამდისაც, ე. ი. აღზევებამდე, მათ არ მართებდათ სამეჯინიბო, მაშასადამე, უკვე მაშინ გაუპირატესებული მდაბიონი ყოფილან, მათი აღზევება თანდათანობითი იყო.

ბეგრებისათვის საშუალო ციფრების გამოანგარიშება არ შეიძლება, ვიდრე დადგენილი არ იქნება საბოლოოდ თვითეული ბეგრის შემადგენლობა.

საცაიშლოს დავთარზე, თუმცა ბეგრების სისტემა აქ ძალიან საინტერესოა და ყმების წოდებრივად დანაწილებას შესაძლებლად ხდის, აღარ შევჩერდები, მით უმეტეს რომ სამსახურებრივი ვალდებულება არც ერთ ნუსხაში მოხსენებული არაა. არ შევჩერდები აგრეთვე ე. წ. საცაგერლოს გამოსავლის დავთრის ფრაგმენტზე, რადგან ეს ნაწყვეტი ჯერ-ჯერობით დაუთარიღებელია (შდრ. ი. ჯავახიშვილი, საქ. ეკონომ. ისტ. I 90-91).

მაგრამ ისიც, რაც განვიხილეთ, საკმაოა რათა რამდენიმე ძირითადი დასკვნა გამოვიტანოთ XVII ს-ისათვის.

1. გლეხობის ორი უდაბლესი ფენის მდგომარეობა, XVI ს-სთან შედარებით, საერთოდ შეიძლება ითქვას, გაუარესებულია: ბეგარა წამატებულია (თუმცა არის დაკლების შემთხვევაც), სამსახურებრივი ვალდებულება გართულდა.

2. საკ"ზო და, ნაწილობრივ, საქუთათლო მსახურებს დააკისრეს მანამდე მხოლოდ საგლეხო (სამოინალო) სამსახური: ნადობა და ნიადაგი მუშაობა, ხოლო ზოგან ტვირთიც კი, თუმცა აქა-იქ შენახული არის დაბეგრილი მსახურის წმინდა ტიპიც. საკ"ზო დაბეგრილი მსახური იმდენად დაუახლოვდა მდაბიო გლეხს, რომ მათი ერთმანეთში გარჩევა ხშირად სჭირს. სრულებით ცხადია, რომ დაბეგრილ მსახურთა ფენას გაქრობის და ორი საწინააღმდეგო მიმართულებით, მდაბიოთა და დაუბეგრავთა შორის, გათქვეფის ტენდენცია აქვს. ამასთანავე, ძნელი დასაშვებია, რომ ასეთ მოვლენას მხოლოდ საკ"ზო ყმათა შორის ჰქონოდა ადგილი, თუმცა 1622 წელს ზოგან მათ შორისაც ჯერ კიდევ მთლიანად იყო დაცული დაბეგრილი მსახურის წმინდა ტიპი (ოცხანა).

3. დაუბეგრავი მსახურის მდგომარეობა კი, პირიქით, გასაოცარ სიმყარეს იჩენს.

საკ˜ზო ნუსხების მიხედვით შეიძლება შემდეგი საგლეხო ნოდებრივი სქემა შევადგინოთ XVII საუკუნისათვის (უდაბლესიდან უმაღლესისაკენ):

გლეხი:
- I. გლეხი (მოინალე): 1. მეტვირთე, 2. მომუშავე, 3. მონადე.
- II. მსახური: a. დაბეგრილი: 1. მეტვირთე, 2. მომუშავე, 3. მონადე, 4. მოსამსახურე, 5. მოლაშქრე.
- b. დაუბეგრავი: 1. მოსამსახურე: 2. მოლაშქრე.

უდაბლესი სამსახურის მოვალეს შეიძლება უმაღლესიც მართებდეს, მაგრამ წინაუკმოდ არა: ასე, მაგ., მეტვირთე შეიძლება მომუშავე-მონადეც და მოლაშქრეც იყოს, ხოლო მომუშავე მეტვირთე არ იქნება, მონადე არ იქნება მომუშავე და ა. შ.

მხედველობაში არ ვიღებ საშუალო ტიპის ყმებს და ცალკეულ მოვლენებს, როგორც, მაგ., მონადე თუ მომუშავე რამდენსამე დაუბეგრავ მსახურს და სხვ., ხოლო სქემიდან ჩანს, რომ სწორედ დაბეგრილ მსახურთა ფენაში მძლავრი დიფერენციაცია მოხდა და რომ მათი სამი პირველი ქვეკატეგორიის მდაბიო გლეხთაგან გარჩევა ხშირად მეტად ძნელი უნდა იყოს.

VII

ჩვენ ვნახეთ, რომ დაუბეგრავი მსახურების მდგომარეობა მყარი იყო. ეს გარემოება გასაგებად ხდის მათს გამოყოფას XIX ს-ისათვის ცალკე საგლეხო სოციალურ კატეგორიად, ე. წ. აზატებად. XVI-XVII საუკუნეებში კი აზატი მსახურთა შორის ირიცხებოდა. მართლაც, აზატს პირდაპირ ასახელებს მხოლოდ საქუთათლოს 1578 წლ. დავთარი, მანთხოჯის დაახლ. 1700-იანი წლების ნუსხა და საკ˜ზო დავთრის დაახლ. 1730 წლ. მინაწერი[1]. მაშასადამე, 1578-იდან 1700-მდე, სრული 120 წლის განმავლობაში, აზატის ხსენება არსად არ არის. საბუთებიდან ვიცნობთ ე. წ. „განთავისუფლებით", ანუ, რაც იგივე უნდა იყოს, „აზატობით" შენირვას (იხ., მაგ., საეკლ. საბ. I 72 – 1669 წლ., 74 – 1660-1670 წლ., II 9 – 1757 წლ., და სხვ.), მაგრამ ასეთი შეწირვით სრულებითაც ახალი სოციალურ-ეკონომიური ფენა არ იქმნებოდა. ხოლო, თუ კი აზატობა ცალკე ფენას წარმოადგენდა, ე. ი. აზატებს მსახურთაგან მკვეთრად განსხვავებული უფლება-მოვალეობანი ჰქონდათ, ნუთუ დასაჯერებელია, რომ ისინი საბეგრო ნუსხებში, საქუთათლოს დავთარს გარდა, ერთხელაც არის მაინც, არ მოეხსენებიათ. რატომაა, რომ აზნაურებსაც აღნიშნავენ, მსახურებსაც, და აზატებს კი არა? არც ერთი XV-XVI ს-ის ძეგლი, ნოდებთა ჩამოთვლისას. არც არქ. ლამბერტი და მალაქია გურიელისძის მოლაშქრეთა სია XVII ს-ში აზატებს, როგორც ცალკე კატეგორიას გლეხებისას, არ იცნობენ. ჩვენ ვიცით, რომ აზატებს ლაშქრობა ევალებოდათ და ნუთუ საკათალიკოზო და აგრეთვე ხონის, ცაიშის და ჯუმათის საეპისკოპოზო ყმათა შორის 1622 წ. არც ერთი აზატი არ იყო, რომ მალაქიას სია მათ არ იხსენიებს? ჩვენ გვაქვს მთელი რიგი XVII-XVIII საუკუნეების საბუთებისა, რომლებშიც მოწმეებად დასახელებულნი არიან აზნაურნი, მსახურნი და ერთხელ გლეხნიც კი, ხოლო აზატნი არასოდეს (საქ. სიძვ. II 89, 522, საეკლ.

[1] საკათ. დავთ. 47; ათარიღებს ალექსანდრე V-ის ცოლის, მარიამ დედოფლის, გარდაცვალების წელი.

საბ. I 127, II 21), რაც გაუგებარი იქნებოდა, აზატობა რომ მართლა განთვისებული კატეგორია ყოფილიყო, ვინაიდან საზოგადოებრივ ისინი, ყოველ შემთხვევაში, მსახურებზე დაბლა არ იდგნენ. ყველა ეს ადასტურებს, რომ XVI-XVIII საუკუნეებში აზატობა მსახურთა ფენის ერთი შემადგენელი უნდა ყოფილიყო.

ვნახოთ, რას გვეტყვიან ის საბუთები, რომლებშიც აზატი პირდაპირაა დასახელებული.

საქუთათლოს დავთარში ერთხელ ვკითხულობთ (§ 210): შალაბერიძეს მართებს სრული ბეგარა, ტვირთი და მუშაობა, ე. ი. შალაბერიძე მდაბიო გლეხიია, მაგრამ ბოლოში მიწერილი აქვს, რომ „ან უნდა იქნას ესე და ან რაც სხუამან აზატმან ქნას, პურის-ჭამა და ცხენით სამსახური". მეორეჯერ ასეთი განმარტებაა (§ 234): როსტევანა მდაბიო გლეხი ყოფილა (სრული ბეგარა, ტვირთი, მუშაობა), მაგრამ გაუაზატებიათ და „ამას ნუღარა იქს, რაც სხუამან აზატმან ქნას, პურის-ჭამა და ცხენით სამსახური და ლაშქრობაი, ქუთაის საყდრის მუშოობაი". აქ საკმაოდაა განსაზღვრული აზატის მოვალეობა. მაგრამ რით განსხვავდება აზატი, მაგ., ნაუანეური XVI ს-ის დაუბეგრავი მსახურისაგან? ამასაც ხომ პურის-ჭამა, სამსახური და ლაშქრობა მართებს? და თუ ნაუანეურ მსახურს კიდევ სპეციალური ბეგრის, სამეჯინიბოს, გამოღება ევალებოდა, საქუთათლო აზატი ხომ საყდრის მუშაობის მოვალეცაა? საქუთათლოს დავთარშიც გვხვდება ცხენით სამსახურის მოვალე ყმა, რომელსაც სპეც. ბეგარაც უნდა გამოეღო (ყავარი, მაგ. § 288). ხოლო ცხენით სამსახური, თავისთავად, ხომ ყველა მსახურების პრივილეგიას შეადგენდა, როგორც ლამბერტი გადმოგვცემს. არც ერთი ნიშნით, მაშასადამე, აზატის გარჩევა მსახურისაგან არ შეიძლება[1].

ახლა მანთხოჯის ნუსხა ერთ შესანიშნავ ცნობას გვაწვდის იმის გასაგებად, თუ რაში გამოიხატებოდა გააზატება. მანთხოჯის ნუსხა ორი სხვადასხვა დროისა მოგვეპოვება: ერთი შეტანილია საკ"ზო დავთარში (გვ. 12-15) და ეკუთვნის 1622 წ., მეორე კი (საისტ. კრებ. I 39-40), როგორც უკვე აღვნიშნე, დაახლ. 1700-იანი წლებისა უნდა იყოს[2]. ამ უკანასკნელში ყმები ძალიან საინტერესოდ არიან დაყოფილი: 1. აზნაური 1 კომლი, 2. მეზროხენი ანუ აზატნი 15 კ., 3. მესეფენი ანუ მეურმეულნი 21 კ., 4. ურმეულ-ამოკვეთილნი 2 კ., 5. ხატის-კაცნი 11 კ., 6. მეთევზენი 3 კომლი.

უკანასკნელი ორი კატეგორიის შესახებ არაფერს ვიტყვი, ხოლო ურმეულ-ამოკვეთილნი ჩვენთვის საინტერესონი არიან, თუ მოვიგონებთ, რომ საქუთათლო და აგრეთვე ხონის დაბეგრილ მსახურებსაც ურმეული ღომი ამოკვეთილი ჰქონდათ. ყოველ შემთხვევაში, მანთხოჯის ნუსხა მსახურებს პირდაპირ არ ასახელებს. მესეფენი კი, სეფეობის ანუ ნიადაგი მუშაობის მოვალენი, მდაბიო გლეხნი არიან. სხვათა შორის, საინტერესოა ამ მესეფეთა, ე. ი. მომუშავე ყმათა, დიდი რაოდენობა (39,62%). როგორც

---

[1] საქუთათლო ყმათაგან გააზატებულია კიდევ ერთი მელაძე (§ 29), მაგრამ არაა აღნიშნული არც მისი წინანდელი და არც ახალი ვალდებულება.

[2] თარიღს დაახლოებით განსაზღვრავს დავით ნემსაძის დროინდელი „მანთხოჯის ანაწერი" (საქ. სიძვ. I 54). სახელდობრ, იქ ჩამოთვლილ ყმათაგან 14 კაცი მოხსენებულია 1700-იანი წლების ნუსხაშიც (ბარაბაძენი: მამაგულა, მამისთვალა, გიორგი; ადამია: მამუკელა, საყვარელა, ხახუტელა; ფიცხალავა: კაცობელა, შუშუა; დოჭვირი: ბაჩუნია, მამუკა; ჩიმაგაძე სვიმონ, კარსანიძე ხახუტა, ხუროძე ბუჭუელა). ამასთანავე, ჩვენი ნუსხა მერმინდელია: 1622 წ. მანთხოჯს იყო 30 კომლი, დავით ნემსაძის დროს (კათალიკოზად დაჯდა 1673 წ.) – 48 კ. ანაწერით), ჩვენს ნუსხაში კი უკვე 53 კომლია.

ვიცით, 1622 წ. მანთხოჯს სულ 6,6% იყო მომუშავე, ისიც მონადე, ყმა. ეს ადასტურებს ჩემ მიერ ზემოთ გამოთქმულს მოსაზრებას, რომ იმერეთში კათალიკოზებს უფრო გვიან, სახელდობრ XVII ს-ის პირველი მეოთხედის შემდეგ უნდა დაეწყოთ სახასო მიწების შეძენა და სასახლეების გაშენება.

მესეფენი დაპირისპირებულნი არიან აზატებს, რადგან ნუსხაში ასე სწერია: „ეს აზატი კაცი, აწ ამას გარდა მესეფე კაცი". რაში გამოიხატება ამ მეზროხეთა აზატობა? ერთ-ერთ მათგანს, შუშუა ფირცხალავას, მიწერილი აქვს: „ახლად ამოკვეთილი". რადგანაც ურმეულ-ამოკვეთილნი ცალკე სწერია, ამიტომ ამ აზატს ფირცხალავას რაღაც სხვა უნდა ჰქონდეს ამოკვეთილი, რაც მას განასხვავებს როგორც მეურმეულეთაგან ისე ურმეულ-ამოკვეთილთაგანაც. აი ამის შესახებ გარკვეულ ცნობას იძლევა მანთხოჯის 1622 წლ. ნუსხის ერთი მინაწერი. ეს მინაწერი ასე იკითხება: „შუშუა ფიცხელავას და მის შვილებს საკლავი ემრ˜თა ახლა ის ამომიკვეთია და ხადილი დამიც. ყლ˜მა ჩ˜მა შემდგომმა კ˜ზბმა ასე დაუმტკიცეთ" (საკ˜ზო დავთ. 13, შენ.*). სრულებით ცხადია, რომ ფაქტების ასეთი შეხვედრა შემთხვევითი ვერ იქნება და რომ ეს შუშუა ფიცხელავა იგივეა, რომელიც 1700-იანი წლ. ნუსხაში ახლად-ამოკვეთილადაა მოხსენებული. ამ მინაწერიდან ჩანს, მაშასადამე, თუ სახელდობრ რაში გამოიხატებოდა ამოკვეთა: ამოკვეთილია საკლავი და ამის მაგივრად დადებულია ხადილი, რომელიც, როგორც 1700-იანი წლ. ნუსხიდან ირკვევა, ზროხისაგან შედგებოდა. მაგრამ საქმე ზროხასა და საკლავში არაა. იმ მუშია ფიცხელაურს, რომლის ნორმის გასწვრივ აშიაზე მოთავსებული ყოფილა აღნიშნული მინაწერი და რომელიც, უეჭველია, შუშუა ფიცხელავას წინაპარი იყო, მართებდა: „ურემი ღომი, 9 მრთელი ღჳნო, 2 საკლავი, საპურობო, ცეხული 3 ნაოთხალი ღომი, ბარგის ზიდვა". ეს უკანასკნელი ვალდებულება მას განსაზღვრავს როგორც მდაბიო გლეხს. საკლავი, როგორც ვხედავთ, შედის თავ-ბეგარაში. საპურობოც, ალბათ, ჰგულისხმობდა საკლავს, მაგრამ ეს პირდაპირ აღნიშნული არაა[1]. მაშასადამე, მინაწერის „საკლავი ემართა" ეხება თავ-ბეგარას და ამოკვეთილია სწორედ თავი-ბეგარა, რომლის მთავარი შემადგენელი საკლავი ყოფილა[2]. გააზატება გამოიახატა ბეგრის სახის შეცვლაში: თავი-ბეგრის მაგივრად – ხადილი. საქუთათლოს დავთარშიც, ბეგრების სანაცვლოდ, გააზატებულს უნდა გადაეხადა პურის-ჭამა, მაგრამ მანთხოჯის ნუსხა გვიჩვენებს, რომ საქმე სწორედ თავ-ბეგარაში იყო და არა სხვა რომელსამე ბეგარაში (ფიცხელავას ამოეკვეთა, რასაკვირველია, ურმეულიც და სხვ., მაგრამ გახაზულია მხოლოდ საკლავი). მეორე მხრით, საქუთათლოს დავთარი გვიჩვენებს, რომ გააზატებულს საგლეხო (სამოინალო) სამსახურის მაგივრად საპატიო სამსახური ევალებოდა. ყველა ეს სწორედ დაუბეგრავი მსახურის ნიშნებია: ამასაც თავი-ბეგარა არ მართებს და საპატიო სამსახური ევალება. ე. ი. აზატი დაუბეგრავი მსახური იყო, ანუ, უკეთ, გააზატებული დაუბეგრავი მსახურის მდგომარეობაში გადადიოდა. მნიშვნელობას მოკლებული არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ზემომოყვანილ შემთხვევაში ყველგან მდაბიო გლეხია გააზატებული (მანთხოჯის ნუსხაში ხომ, როგორც აღვნიშნე, მესეფენი და აზატნი დაპირიპირებულნი არიან). აქედან საფიქრებელი

---

[1] რომ აღნიშნული საკლავები საპურობოსი არაა, იხ., მაგ., იქვე, იმედისა ღუძაძის და მამისბედა კაისარიძის ნორმები, სადაც საპურობოს ან თავისი ციფრი უწერია ანდა იგი სულ ბოლოშია გადასმული.

[2] შდრ. „თავი" ანუ „მთავნი საკლავი" და, როგორც ჩანს, ამას დაპირისპირებული „სასტუმრო (საკლავი") ბარის 1622 წლ. ნუსხაში (საკ˜ზო დავთ. 1).

ხდება, რომ აზატობა შეფარდებითი ცნება იყო და სიტყვა „აზატი" ნახმარია მხოლოდ როგორც ეპითეტი, „გააზატებულის" მაგივრად.

უეჭველია, დაბეგრილ მსახურთა გააზატებაც ხდებოდა. როგორც ვთქვი, დაბეგრილ მსახურთა ისტორია XVI-XVII საუკუნეებში გასაგებად ხდის, თუ რატომ უნდა გამოყოფილიყვნენ აზატნი, როგორც ცალკე სოც.-ეკონომიური კატეგორია. უკვე XVII ს-ში დაბეგრილი მსახური ისე დაიტვირთა, იმდენად დაუახლოვდა თავისი მდგომარეობით მდაბიო გლეხს და იმავე დროს დაშორდა დაუბეგრავ მსახურს, რომ ეს უკანასკნელი უკვე მაშინ მსახურთა მასაში საგანგებოდ გამოირჩეოდა, როგორც პრივილეგირებული ყმა. ეს პროცესი დასრულდა მხოლოდ XIX ს-ისათვის. მანამდე კი მსახურთა ფენა, შიგნით რამდენსამე ქვეკატეგორიად დაყოფილი, მდაბიო გლეხთა მიმართ ერთ მთლიანს წარმოადგენდა[1].

რაც შეეხება დაუბეგრავი მსახურის მდგომარეობის სიმყარეს, აქ არა მცირედი როლი მიეკუთვნება იმ გარემოებას, რომ ყოველი გააზატება, როგორც ინდივიდუალური ნებისყოფის აქტი, წერილობით მტკიცდებოდა, რომ აზატნი ყოველთვის სიგლოსანნი იყვნენ, ხოლო სიგლის გაცუდება ძალმომრეობით თუ შეიძლებოდა, უკანონობა იყო – იგი ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრავდა აზატის უფლება-მოვალეობას.

გარდა აზატებისა, XIX ს-ში ცალკე საგლეხო კატეგორიად გვხვდებიან მოჯალაბენი. მოჯალაბე ისეთი ყმაა, რომელიც ბატონის სახლში, ან მის კარ-მიდამოში ცხოვრობს, მიწა ჩვეულებრივად არა აქვს და მთელის თავისი ჯალაბით მუდმივ ბატონის განკარგულებაშია (ბატ.-ყმ. სამეგრელოში, გვ. 41, 86-87, 124). რუსის მოხელენი 1864 წ. პირდაპირ სწერენ: „Моджалабы находятся целым семейством в полном распоряжении помещика" (საისტ. კრებ. I 5). XIX ს-ში მოჯალაბე მონა იყო.

ჩვენ ვნახეთ, რომ განხილულ საბუთებში მოჯალაბე არსად არა გვხვდება. მართლაც, იგი იხსენიება პირველად 1637 წლ. საბუთში, რომელშიც განკუთვნილია გელათისადმი „ბაჯს სასახლე მისის მოჯალაბით და სახასოს ალაგებით" (ქრონიკები II 451-52). მეორედ, უკვე „მოსახლე" მოჯალაბე გვხვდება 1696-1704 წ. საბუთში (საეკლ. საბ. I 88). მაგრამ საზოგადოდ მოჯალაბე უმოსახლო, უმიწო იყო და მისი „დასახლება" დამოკიდებული იყო ბატონის ნებაყოფლობაზე. ეს კარგად ჩანს დაახლ. 1750 წლ. საბუთიდან, სადაც ვკითხულობთ: „შენგელია ქუემოთგან მივიყვანეთ და მოჯალაბეთ დავაყენეთ წინამძღუარისთვის და თუ წინამძღუარმა ინებოს და მამული მისცეს, ბეგარა როგორც სხუას გლეხს ხდებოდეს, ისე გარდაახდევინოს და იმსახუროს" (იქვე 160, შდრ. 141 და II 31, 80). აქედანვე ცხადი ხდება, რომ დასახლდებოდა თუ არა მოჯალაბე, ის ბეგარით დანარჩენი გლეხებისაგან არ განირჩეოდა. საინტერესოა აგრეთვე ერთი დაპირისპირება, რომელიც გვხვდება 1774-75 წლ. გურულ სიგელში: ერკეთის ეკლესიას უდაბნოსათვის დროებით უთხოვებია თავისი „კომლი კაცი", იმ პირობით, რომ „ოდესაც მაგიერი შესაბამი კომლი კაცი ანუ სამოჯალაბო კ˜ცი მიეცეს უდაბნოს, მთავრ˜ნგზ˜ს (ერკეთისას) მისი კომლი კ˜ცი ის(ევე) დანებდეს უდაბნოსაგ˜ნ" (საქ. ცენტრარაქ. № 6/14). აქ, ცხადია, „კომლი კაცის" ქვეშ იგულისხმება მოსახლე გლეხი, ხოლო ამისაგან განირჩევა „სამოჯალაბო კაცი", რომელიც თავისთავად მოსახლე არ არის. კაცია დადიანის 1766 წლ. შეწირულობის წიგნიდან ჩანს, რომ მოსახლე მოჯალაბესაც სამსახური

[1] მესამე საბუთი, რომელშიც „აზატი" იხსენიება, გრიგოლ კ˜ზის დაახლ. 1730 წლ. მინაწერი, არსებითად არაფერს გვეუბნება და ამიტომ მას ვრცლად არ შევეხე. აქ იხსენიება ერთი „გლეხი" და ერთი „აზატი". „გლეხი" უნდა უდრიდეს „მოინალე"-ს.

მაინც სხვაზე უფრო დამამცირებელი და სათაკილო მართებდა. დადიანი სწერს: ჩემ დედ-მამას კახიძისეულ სასახლეზე „მოჯალაბე დაესახლებინათ... და უდაბნოსათვის შეეწირათ მოსამსახურეთ, საფქვავ-საცეხვათ და პირუტყვის მოსავლელათ და პურის მრჩეველათ"-ო (საეკლ. საბ. II 31). ხოლო, როგორც უკვე ვიცით, XIX ს-ის ცნობები გვაქვს, რომ ღომის ცეხვა ყველაზედ უფრო სათაკილო სამსახურად ითვლებოდა სამეგრელოში (ბატ.-ყმ. სამეგრელოში, გვ. 86, 124). სოციალურ კიბეზე, როგორც უმინო და მონა, მოჯალაბე ერთი საფეხურით მდაბიო გლეხზე (მოინალეზე) დაბლა იდგა. ჩვენს საბუთებში იმის ნიშნებიც მოიპოვება, რომ მოჯალაბე „გლეხად" არც კი ითვლებოდა. გრიგოლ კ"ზის 1733 წლ. გუჯარში, მაგალითად, ყველა ყმას ან მარტივად „მოსახლე კაცები", ან „მოსახლე გლეხები" ეწოდება. ხოლო მოჯალაბე საგანგებოდ აღნიშნულია, როგორც „მოსახლე მოჯალაბე" (საეკლ. საბ. I 142-143).

ის გარემოება, რომ მოჯალაბე XVII ს-მდე, უკეთ, XVII ს-ის შუახანებამდე, არსად არ იხსენიება, შეიძლება ორი მიზეზით აიხსნას:

1. მოჯალაბეობა მანამდეც არსებობდა, ოღონდ მოჯალაბეთა დასახლება და შენირვა მიღებული არ იყო, რის გამოც ისინი ჩვენს საბუთებში, რომლებიც მეტწილად შენირულობის წიგნებს წარმოადგენენ, ვერც მოხვდებოდნენ. XVIII ს-ისათვის, ქვეყნის გაუკაცურების გამო, დაიწყო მოჯალაბეთა დასახლება და ამის შემდეგ ისინი ჩვენს საბუთებშიც საკმაოდ ხშირად იხსენიებიან. შესაძლებელია აგრეთვე, რომ მაგ., ოცხანელი XVI ს-ის მცეხველნი მოჯალაბენი ყოფილიყვნენ (შდრ. ს. კაკაბაძე, საისტო. კრებ. III 16-17), ე. ი. რომ თვითონ ტერმინი „მოჯალაბე" მოგვიანო იყოს, ხოლო შესატყვისი სოციალური ფენა მანამდეც არსებულიყო.

2. ანდა მათი მოუხსენებლობა, რომელსაც ზემომოყვანილი მოსაზრება სავსებით ვერ ახსნის, ნიშნავს იმას, რომ მოჯალაბენი, როგორც ასეთნი, ე. ი. უმინო, მთელი თავისი ოჯახით ბატონის კმაყოფაზე მყოფი ყმები, მანამდე არც მოიპოვებოდნენ (ან შეიძლება მხოლოდ გამონაკლისის სახით არსებობდნენ – არ უნდა დავივიწყოთ, რომ ლამბერტიც მოჯალაბეებს არ იცნობს!), რომ ყოველგვარ შინაურ სამსახურს ბატონის სახლში მხოლოდ მსახურთა და მდაბიო გლეხთაგან მორიგეობით გამოსული მოსამსახურენი ასრულებდნენ, და რომ მოჯალაბეთა გაჩენა XVII ს-ის განმავლობაში უნდა აიხსნებოდეს ახალი ეკონომიური პირობებით. მოჯალაბეთა გაჩენას XVII ს-ში არ შეიძლება არ დავუკავშიროთ მოსასახლეთა გამრავლება საკათალიკოზო სოფლებში 1622 წლისათვის, „ამოგდებული" გლეხის მოხსენიება ხონის დავთარში (გვ. 16) და „აყრილ" გლეხზე ლაპარაკი 1656 წლ. საბუთში (საეკლ. საბ. I 55) და სხვ. ყველა ეს ერთი კატეგორიის მოვლენა უნდა იყოს.

ჩემს ზემოწარმოდგენილ სქემაში მოჯალაბე დაიჭერს, მაშასადამე, პირველ ადგილს.

ცალკე შევჩერდები უსამსახურო და უბეგრო ყმებზე. უსამსახურო და უბეგრო ნორმების მიხედვით ყმები, უმეტეს შემთხვევაში, არ განმისაზღვრავს და აი რატომ. ჩვენ მოგვეპოვება პირდაპირი ჩვენება იმისა, რომ ერთი ყმა შეიძლებოდა ორი ბატონის მოვალე ყოფილიყო და რომ ასეთ შემთხვევაში მისი ვალებულება შეიძლება სწორედ ბეგარად და სამსახურად განაწილებულიყო. ს. კაკაბაძის განსაზღვრით, 1660-85 წლებში გელოანნი სწერენ გაბრიელ ჭყონდიდელ-ცაგერელს: „თუ თქ(ვე)ნ თქ(ვე)ნი ყმა ფოჩიანი ჩვენს ალაგზედ დაასახლოთ, ბეგრის მეტს სხვას ჩვენ იმ კაცისას არას შემოგეცილოთ. მუშაობა, მგზავრობა და სამსახური ყველა თქ(ვე)ნი იყოს და ბეგარას ჩვენ მოგვცემდეს" (საეკლ. საბ. I 81, შდრ. იქვე 78, საისტ. მ-ბე 1925, II 191). აქედან ცხადი ხდება,

რომ, როდესაც საბეგრო ნუსხებში უსამსახურო ყმა გვხვდება, ჩვენ უფლება არა გვაქვს იგი, მაგ., გაუპირატესებულ ყმად მივიჩნიოთ – შესაძლებელია, რომ ასეთი ყმა „მკვიდრი" არ იყოს, საეკლესიო მიწაზე სახლობდეს, როგორც ხიზანი თუ თავისი მკვიდრი ბატონისაგან ნასესხები, ხოლო სამსახურს თავის ბატონს უწევდეს. ასეთ შემთხვევაში მხოლოდ ზოგიერთი, განსაკუთრებით დამახასიათებელი ბეგარა თუ გვიჩვენებს ყმის ნამდვილ წოდებრივ მდგომარეობას. მეორე მხრით, ბეგრისაგან მრავალი სხვადასხვა მიზეზით ათავისუფლებდნენ ხოლმე ყმას, მაგ., რაიმე მოხელეობის შესრულებისათვის, ან სამსახურისათვის, ან უსახსრობისათვის და სხვ. (იხ. საისტ. კრებ. I 69, 72, 77, 94 – ეს ცნობები XIX ს-ს ეკუთვნის). თილითის ნუსხაში, როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნე, გვხვდება „მოინალე", რომელსაც „ერთის კვირის ყ˜ლის დღის სამსახურის" მეტი არა მართებს რა (საკ˜ზო დავთ., გვ. 34). მაშასადამე, უბეგრო ყმასაც ხშირად, თუ მისი სამსახური დამახასიათებელი არაა, ვერ განვსაზღვრავთ.

საბუთებში გვხვდება ბევრი სხვა, განსაკუთრებული ხელობის თუ ვალდებულების ყმა, როგორც „მესაღობე", „მეახორე", „მეთევზე", „მესანთლე" და მრ. სხვ., მაგრამ ყველა ესენი ან მსახურები არიან, ან მდაბიო გლეხები.

შემოკლებათა სია

ბატ.-ყმ. სამეგრელოში=კ. ბოროზდინი, რაფ. ერისთავი და მურიე, ბატონ-ყმობა სამეგრელოში, თარგმანი თ. სახოკიასი, ტფ. 1927.

გუჯრები=ალ. ხახანაშვილი, გუჯრები, ქუთ. 1891.

ლამბერტი=არქ. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, ალ. ჭყონიას თარგმანი, ტფ. 1901.

საეკლ. საბ.=დასავლეთ საქართველოს საეკლესო საბუთები, გამოც. ს. კაკაბაძის მიერ, I და II, ტფ. 1921.

საისტ. კრებ. I და III=საისტორიო კრებული, გამოც. ს. კაკაბაის მიერ, წიგნი I, ტფ. 1928, წიგი III, ტფ. 1928.

საისტ. მ-ბე, 1925, I და II=საისტორიო მოამბე, საქ. ცენტრარქივის გამოც. ტფ. 1925, წიგნი I და II.

საკ˜ზო დავთ.=აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი, გამოც. ს. კაკაბაძის მიერ, ტფ. 1914.

საკ˜ზო იადგ=აფხაზეთის საკათალიკოზო დიდი იადგარი, გამოც. ს. კაკაბაძის მიერ: საისტ. მ-ბე, II 177-185.

საქ. სიძვ. I და II=საქართველოს სიძველენი, საქ. საისტ. და საეთნ. საზ-ბის გამოც., ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტ. I, გამოც. მეორე, წიგნი I, ტფ. 1920 და ტ. II, ტფ. 1909.

ქრონიკები II=ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, გამოც. თ. ჟორდანიას მიერ, წიგნი II, ტფ. 1897.

ქუთ. დავთ.=დავთარი ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრისა, შედგენილი 1578 წელს. გამოც. ე. თაყაიშვილის მიერ: ძველი საქართველო, საქ. საისტ. და საეთნ. საზ-ბის გამოც., ტ. IV, ტფ. 1914-1915, გვ. 1-72.

ცგ. დავთ.=საცაგერლოს გამოსავლის დავთარი, გამოც. ს. კაკაბაძის მიერ, ტფ. 1914.

ცშ. დავთ.=საცაიშლოს გამოსავლის დავთარი, გამოც. ს. კაკაბაძის მიერ, ტფ. 1913.

ხონ. დავთ.=ხონის საყდრის დავთარი 1600 წლის ახლოს დროისა, გამოც. ს. კაკაბაძის მიერ, ტფ. 1913.

რეცენზია

ს. კაკაბაძე. მასალები დასავლეთ საქართველოს სოციალურ და ეკონომიურ ისტორიისათვის

საისტორიო კრებული, წიგნი I. გვ. 1-94 და წიგნი III. გვ. 10-76. ტფილისი, 1928 წ.

დასახელებული ნაშრომი გამოქვეყნდა ამ ათიოდე წლის წინათ. წინამდებარე რეცენზიაც მაშინაა დაწერილი. იმ დროს, აკად. ივ. ჯავახიშვილის დავალებით, მე შევუდეგი დასავლეთი საქართველოს ეკონომიური ისტორიის შესწავლას. ახლა, როდესაც ჩემი სტუდიიდან ექსცერპტს ვაქვეყნებ[1], ვფიქრობ, დროული და მიზანშეწონილი იქნება საჯაროდ შეფასდეს ს. კაკაბაძის ნაშრომიც, რომელიც იმავე საგანს ეხება. და ეს მით უფრო, რომ, მიუხედავად აკად. ივ. ჯავახიშვილის კაპიტალური შრომებისა ქართული სამართლის და საქართველოს ეკონომიური ისტორიის დარგში, ჩვენი სამეცნიერო ლიტერატურა ჯერ-ჯერობით მაინც მეტად ღარიბია სოციალურ-ეკონომიური ხასიათის ისტორიული ნარკვევებით, რომლებსაც ასეთი აქტუალური მნიშვნელობა აქვს და მკითხველიც ხარბად ეტანება. დას. საქართველოსათვის ხომ თითქმის არა მოგვეპოვება რა. ალ. ხახანაშვილს გარდა, დას. საქართველოს სოც.-ეკონომიური ისტორიის საკითხებს უახლეს საუკუნეებში არავინ შეეხებია და ხახანაშვილიც დას. საქართველოს, როგორც ცალკე პოლიტიკურ-ეკონომიურ ერთეულს XVI ს-დან მოყოლებით, არა სცნობს. მაგრამ ლიხთ-იმერეთის ისტორიას საქართველოს დაყოფის შემდეგ, როგორც ეს სავსებით შეეფერება იმდროინდელ პრიმიტიულ მეურნეობას, თავისებური ხასიათი ჰქონდა. ამიტომ მეთოდოლოგიურად ვახუშტი ბატონიშვილი სავსებით მართალი იყო, როდესაც თავის შრომაში „ცხოვრება იმერეთისა" ცალკე გამოჰყო. ამ მხრით ს. კაკაბაძის ნამონყება უთუოდ მისასალმებელია. აღსანიშნავია ისიც, რომ ავტორი პირდაპირ „ისტორიის" წერას კი არ იწყებს, არამედ ამჟამად კმაყოფილდება „მასალებს" სოც.-ეკონომიური ისტორიისათვის. მართლაც, ვიდრე მასალები დამუშავებული არა გვაქვს, სოც.-ეკონ. ისტორიის წერა ნაადრევი იქნებოდა.

ვნახოთ ახლა, როგორ დაამუშავა ავტორმა თავისი მასალები.

ამგვარი შრომისაგან აუცილებლად უნდა მოველოდეთ სამი შემდეგი პირობის შესრულებას მაინც: 1. მოცემული საკითხისათვის მნიშვნელობის მქონე მასალის წარმოდგენას შეძლებისდაგვარად სრულად, 2. წყაროების კრიტიკულად გაცხრილვას და ნედლი მასალის ტექნიკურ დამუშავებას და 3. კრიტიკულად განხილული მასალის სისტემატიზაციას. უკეთუ ეს მინიმალური მოთხოვნილება დაკმაყოფილებული არაა,

---

[1] ნ. ენიმკი-ს მოამბე, ტ. V-VI, მიძღვნილი აკად. ივ. ჯავახიშვილისადმი, გვ. 267-319; ლ. მუსხელიშვილი, დასავლეთი საქართველოს გლეხობის სოციალურ-ეკონომიური კატეგორიები XVI-XVII სს.

„მასალებმა" შეიძლება უფრო არევ-დარევა შეიტანოს საკითხში, ვიდრე მის გაშუქებას ხელი შეუწყოს.

რამდენად აკმაყოფილებს კაკაბაძის ნაშრომი ამ მინიმუმს?

ავტორი სარგებლობს არა მარტო ლიტერატურაში უკვე ცნობილი წყაროებით, არამედ ჯერ გამოუქვეყნებელი საარქივო მასალითაც, რომელიც მას ნაწილობრივ თავის შრომაში ჩართული და გამოცემულიცა აქვს. რასაკვირველია, საარქივო მასალის სრულად წარმოდგენა ვერავის მოეთხოვება, მაგრამ გამოცემული ძეგლების გამოუყენებლობა და მოუხსენებლობა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მათ შესასწავლი საგნისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, მკვლევარს არ ეპატიება. კაკაბაძის „მასალებში" გამოტოვებულია: 1. მის მიერვე გამოცემული ორი საბეგრო ნუსხა: საკათალიკოზო ჯგალის ციხისა და ჯგალის სასახლის ყმებისა (საკათალიკოზო დავთარი, გვ. 43-44). „მასალებში" დამუშავებული ჯგალის ნუსხა (კრებ. III, 29-30) ამოღებულია საცაიშლოს დავთრიდან (გვ. 42-43): გამოტოვებული საკათალიკოზო ნუსხები, სხვათა შორის, გასაგებად ხდიან ჯგალის მოლაშქრეთა დიდ რაოდენობას, თორემ, კაკაბაძის ანგარიშით, ჯგალის 2 კომლ აზნაურსა და 11 კომლ მსახურზე მოდიოდა 38 თავი მოლაშქრე, ე. ი. თითო კომლს საშუალოდ 3 თავი გამოჰყავდა, რაც სრულებით დაუჯერებელია; 2. ე. თაყაიშვილის მიერ გამოქვეყნებული ოცხანის XVI ს-ის ნუსხა (საქ. სიძ., I, 1920, გვ. 56-57). კაკაბაძე სარგებლობს მხოლოდ თავისი გამოცემული ვარიანტით, იმ დროს როდესაც თაყაიშვილისეულ ვარიანტს არსებითი მნიშვნელობა აქვს ოცხანის მებეგრეთა კლასიფიკაციისათვის[1]; 3. არ იხსენიებს კაკაბაძე ე. წ. „მანთხოჯის ანაწერსაც", აგრეთვე თაყაიშვილის მიერ გამოქვეყნებულს, რომელსაც მნიშვნელობა აქვს სამანთხოჯო ყმების ისტორიის გასათვალისწინებლად და რომელიც, შესაძლებელია, კაკაბაძისეული „მე-XVIII ს-ის" ნუსხის (კრებ. I, 39-40) დასათარიღებლადაც გამოდგეს (ნ. ქვემ.); 4. ზოგიერთი სხვა ნუსხებიც ავტორის „მასალებში" გამოუყენებელი დარჩა: ასე, მაგ., რამდენიმე სოფლის საგამოსავლო ჯუმლების შემცველი უთარიღო ნუსხა (საქ. სიძვ. I, 57-58), მანთხოჯისავე ერთი XVII ს-ის ნუსხა (იქვე, გვ. 58), ე. წ. „ნუსხა კოხურის ბეგრისა" (დას. საქ-ს საეკლ. საბ. I, 27-28) და სხვ.

რაც შეეხება წყაროების კრიტიკულად განხილვას და მასალების ტექნიკურად დამუშავებას, უკვე გარეგნული შთაბეჭდილება ავტორის სასარგებლოდ არ ლაპარაკობს. მის „მასალებს" უჭირავს ჩვეულებრივი ზომის 159 გვერდი, ხოლო თუ ტექსტებიც გამოვაკელით, სულ 100 გვერდი დარჩება. ამავე დროს წყაროები ავტორს არ აკლია: მისსავე ქრონოლოგიას რომ დავუჯეროთ, მისი „მასალები" მოიცავენ პერიოდს XV ს-დან მოყოლებული ვიდრე XIX ს-ის პირველ მეოთხედამდე, ე. ი. სრული 4 საუკუნის შედარებით მდიდარი მასალა მას მოუხერხებია და საშუალო ზომის 100 გვერდზე დაუტევია.

ავტორის საბუთიანობას ქვემოთ გავეცნობით კონკრეტულ მაგალითებზე. აქ ზოგადად აღვნიშნავ, რომ მას თითქმის არც ერთი წყარო კრიტიკულად შეფასებული არა აქვს. ამის შესახებ მას ან თითო-ოროლა შენიშვნა მოეპოვება მხოლოდ, ისიც სხოლიოში, ანდა იგი მიგვითითებს თავის წინანდელ წერილებზე, სადაც მკითხველი, ჩვეულებრივად, ისევ-ისე მოკლე უკრიტიკო შენიშვნას ჰპოულობს. ამიტომ, მაგ., 1. ჩვენ არ ვიცით, თუ რატომაა საკათალიკოზო დავთარი „მასალებში" დათარიღებული 1622 წლით, როდესაც გამოცემაში იგი ავტორმავე (უმართებულოდ) 1621 წელს მიაკუთვნა[2];

---

[1] ნ. ჩემი დასახელებული წერილი, გვ. 284-285 და 304.

[2] ნ. ჩემი დასახელ. წერილი, გვ. 281, შენ. 2.

2. არ ვიცით, ხონის დავთარი რატომ „უნდა იყოს შედგენილი 1580 წლის ახლო ხანებში" (კრებ. I, 21) და განცვიფრების მეტი არა დაგვრჩენია რა, როდესაც ავტორი სხოლიოში გაკვრით იხსენიებს, რომ „1622 წელს საკათალიკოზო დავთრის გადამწერს ხონის დავთარი ხელთ ჰქონდა დაშლილ მდგომარეობაში" და რომ „მოწევნილი დავთარი შეიძლება იყოს ძველი დროის პირი და არა დედანი" (იქვე, შენ. 1) და ამავე დროს გულდამშვიდებით მიგვითითებს თავისი გამოცემის წინასიტყვაზე, სადაც აღნიშნული გარემოება ვითომ დასაბუთებული უნდა იყოს და სადაც, ამის ნაცვლად, ვკითხულობთ, რომ ხონის დავთარი, „რომელიც დედანს უნდა წარმოადგენდეს... ალბათ 1621 წ... ჯერ შეკრული არ იყო და საკათალიკოსო დავთრის შემდგენელს ცნობები არეულად ჩაუწერია" (ხონის დავთ., გვ. 4); 3. არ ვიცით, თუ რა შემადგენლობისაა საკათალიკოზო დავთარი, რატომაა „მასალებში" დარჩელის, ჩოხათის, ჭალის, ჯგალის, ჯორიელის და წყარიგზურის ნუსხები მიჩნეული საკათალიკოზოდ, გამოცემაში კი ისინი საცაიშლოს დავთარში არიან შეტანილი? ამის შესახებ ისევ სხოლიოში ვკითხულობთ: საცაიშლო დავთრის გამოცემაში „შეტანილია საკათალიკოზო ყმებიც. სახელდობრ დარჩელის სასახლის მიმდგამი კაცები და ამის შემდეგ მიმყოლი ყმები (გვ. 26-45) უკვე საკათალიკოზო არიან. ეს სჩანს, სხვათა შორის, საკათალიკოზო დავთრის ბოლოში მოლაშქრეთა მოთავსებულ (?) სიიდან... საცაიშლო აზნაურისშვილი და მსახური აქ ნაჩვენებია 63, ხოლო დარჩელისა (ცალკე) – 85 და შემდეგ სხვა საკათალიკოზო სოფლებისაც რიცხვობრივად" (კრებ. I, 32, შენ. 1). აქ ისიც კი არაა ნათქვამი, რომ გამოცემაში საკათალიკოზო ყმები შეცდომით ყოფილან შეტანილი. მაგრამ ხომ ჰქონდა ავტორს რაღაც საბუთი, როდესაც ეს ყმები საცაიშლოს დავთარში შეიტანა? რატომ ამის შესახებ არაფერს ამბობს, არამედ პირდაპირ აცხადებს ამ ყმებს საკათალიკოზოდ, რაც, „სხვათა შორის", მოლაშქრეთა სიიდან უნდა გამომდინარეობდეს, თითქოს ამის დამადასტურებელი სხვა რამ საბუთიც არსებობდეს? – თუმცა ამის შესახებ კაკაბაძე დუმს და დარჩელის და დანარჩენი ნუსხები მან თავის დროზე უსიტყვოდ შეიტანა საცაიშლო დავთრის გამოცემაში, მაინც მაშინ ის უფრო მართალი იყო და ახლა სცდება, როდესაც ეს ნუსხები საკათალიკოზო დავთარში გადმოაქვს. მალაქია კათალიკოზის მინაწერი საცაიშლო დავთარში პირდაპირ აღნიშნავს: „დარჩელისა და ჩოხათის სოფლისა, ჭალას სოფელს სათემოს (დაბეჭდ. „სათუმოს") გზას დაბლა ხე(ვ)თისაკენ, ბარცხილას ღელეს აქეთ ცაიშის ეკლესიისაა და იქეთ საერთო საცაიშლო კაცისა და ქო(რ)თ(ო)ძის საყმოსი", და შემდეგ: „საცაიშლო სოფლების გარდასახადი ამ საერთო გუჯარშიდ სცანით, აგრევე საკათალიკოზო ჯგალისა და მისი ადგილ-მამულის საზღურისა და გარდასახადისა" (საცაიშლოს დავთ., გვ. 41). ეს მინაწერი მოთავსებულია დარჩელის, ჩოხათის და ჭალის ნუსხების შემდეგ. ამას მიჰყვება ჯგალის საცაიშლო ნუსხა, ხორიელის და წყარიგზური ნუსხები. ჯგალის ნუსხიდან ჩანს, რომ აქ ჰქონია ქორთოძეს ხელი: სახელდობრ, 300 წყრთა ტილოდან 100 წყრთა ცაიშელს ქორთოძისათვის უნდა მიებარებინა (საცაიშლოს დავთ., გვ. 42) – ეს ნუსხა ყოფილა, მაშასადამე, „საერთო საცაიშლო კაცისა და ქო(რ)თ(ო)ძის საყმოსი". რადგანაც ამას იქითაა ჯორიელის და წყარიგზური ნუსხები, თუმცა აქ ეს პირდაპირ არსაიდან ჩანს, უნდა ვიფიქროთ, რომ აქაური ყმებიც „ბარცხილას ღელეს იქეთ" იდგნენ და ესენიც საერთონი იყვნენ. ამის შემდეგ მოთავსებულია „ჯუმლები", ე. ი. თვითეული სოფლის გამოსავლის ჯამები (იქვე, გვ. 45-46): წყარიგზურის, ხევთის, ცაიშის, დარჩელის, ჩოხათის, ჭალის, ჯგალის, ჯორიელის. მართალია, აქ სოფლების რიგი ისეთივე არაა, როგორც საბეგრო ნუსხებში, მაგრამ ზემომოყვანილის შემდეგ ვითარება ცხადი

უნდა იყოს: როგორც ხევთის[1] და „ცაიშის მიმდგამის კაცების“ (საცაიშლოს დავთ., გვ. 12-26), ისე დარჩელის, ჩოხათის და ჭალის ნუსხები (იქვე, გვ. 26-40) საცაიშლონი არიან, ხოლო ჯგალის, ჯორიელის და წყარიგზურის, თუ თვით ნუსხები არა, ყმები მაინც საერთო საცაიშლო და საქორთოძონი ყოფილან. მოლაშქრეთა სია ამ საკითხს ვერ გადასჭრის: აქ ცალკე არიან გამოყოფილი არა მარტო დარჩელისა და სხვ. მოლაშქრენი, არამედ ხევთის მოლაშქრენიც (დაბეჭდ. „ხუთას მსხური 30“) და მაშინ ხევთის სასახლეც საკათალიკოზოდ უნდა მიგვეჩნია; საჯუმათლო მოლაშქრენიც ცალკე სოფლების მიხედვით არიან ჩამოთვლილი (სახელდობრ, „ლაჩხუთს და ლესას აზნაურისშვილი და მსახური 30“ საჯუმათლონი უნდა იყვნენ, რადგან საკათალიკოზო დავთარში ამათი საბეგრო ნუსხები შეტანილი არაა). ცაიშის ეკლესია, შედარებით, მაგ., ხონის ეკლესიასთან, ძალიან მდიდარი ყოფილა, მას რამდენსამე სოფელში ჰყოლია ყმები, ისიც მრავალი, და ამიტომ მოლაშქრეთა სია ცალკე სოფლების მიხედვით ჩამოსთვლის საცაიშლო მოლაშქრეებს, ისე როგორც საკათალიკოზოებსაც. აქ მხოლოდ ერთი გარემოებაა დამაფიქრებელი: ჯგალის მოლაშქრენი ერთად არიან დასახელებული მოლაშქრეთა სიაში. ხოლო ჯგალის საბეგრო ნუსხა, როგორც აღვნიშნე, სულ სამია და მათგან ორი გამოტოვებულია კაკაბაძის „მასალებში“. ეს ორი საკათალიკოზო ნუსხა მოთავსებული ყოფილა საკათალიკოზო დავთარში ზემოხსენებული საცაიშლო ჯუმლების შემდეგ (საკათალ. დავთ., გვ. 43-44), რაც იმის მაჩვენებელია, რომ საცაიშლოს დავთართან ამ ნუსხებს მხოლოდ რაღაც გარეგნული კავშირი უნდა ჰქონდეს, თუმცა ზემომოყვანილი მინაწერი გვეუბნება, „ამ (საცაიშლო) გუჯარშიდ სცანით აგრევე საკათალიკოზო ჯგალისაო“. რატომაა ეს ორი საკათალიკოზო ნუსხა მოთავსებული საცაიშლო დავთრის შემდეგ და არა საკათალიკოზო სხვა ნუსხებთან ერთად, რატომ არა აქვს ამ ნუსხებს საკუთარი ჯუმლები, თუმცა თითქმის ყველა დანარჩენ საკათალიკოზო ნუსხებს ჯუმლებიც თან ახლავს, რატომ ჩაუთვლიათ მოლაშქრეთა სიაში ჯგალის სამივე ნუსხის მოლაშქრენი ერთად – ყველა ეს საკითხები ჯერ-ჯერობით ახდილად უნდა დარჩეს. ყოველ შემთხვევაში, სრულებით ცხადია, რომ კაკაბაძის „მასალებში“ დარჩელის, ჩოხათის, ჭალის, ჯგალის, ჯორიელის და წყარიგზურის ყმები ტყუილად არიან შეტანილი ოდიშის საკათალიკოზო ყმათა რიცხვში (კრებ. III, 25-35): ნამდვილად ისინი უნდა მიეკუთვნონ „საცაიშლო ყმებს 1622 წ.“ (კრებ. I, 32-36). 4. დასასრულ, ავტორისავე საიდუმლოებად რჩება, თუ რატომაა ე. წ. „საცაგერლოს გამოსავლის დავთარი“ მაინც და მაინც საცაგერლოსი და არა რომელიმე სხვა საეპისკოპოზოსი ან საბატონოსი. ამის შესახებ არც „მასალებშია“ რამე ნათქვამი და არც დავთრის გამოცემაში, თუმცა არსაიდან არ ჩანს, რომ ეს დავთარი საცაგერლოსი იყოს და ასეთ განსაზღვრას დამტკიცება სჭირდება, ამგვარად, მთელი ერთი თავი ავტორის ნაშრომისა: „საცაგერლოს ყმები XVI-XVII ს-ნის მიჯნაზე“ (კრებ. I, 36-38), კითხვითი ნიშნის ქვეშ უნდა დაისვას, მით უმეტეს რომ აღნიშნული დავთრის „დათარიღებაც“ (ნ. საცაგერლოს დავთ., გვ. 16) კრიტიკას ვერ უძლებს (შდრ. ჯავახიშვილი, საქ. ეკონ. ისტ., I[3], გვ. 90-91).

იქ საცა ავტორს ნაცადი აქვს წყაროების კრიტიკულად გაცხრილვა, მისი საბუთიანობა ყოვლად შეუწყნარებელია. ასე, მაგ., გურიის საქუთათლო ნუსხა ავტორს გამოუყვია ცალკე და დაუთარიღებია 1400 წლის ახლო დროით. იგი ამბობს: საქუთათლო

[1] ხევთის ნუსხა საცაიშლოს დავთარში პირველ ადგილზეა მოთავსებული, გვ. 5-12, უსახელოდ, და მხოლოდ ჯუმლიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს სწორედ ხევთის ნუსხა უნდა იყოს. შდრ. კაკაბაძე, კრებ. I, 32.

„დავთარს ბოლოში მიმატებული ჰქონია კიდევ უფრო ძველი დავთრის ტექსტი... რომ ქუთაისის საყდრის დავთრის ეს ნაწილი უფრო ძველი (XIV-XV ს-ნის ხანის) დავთრიდან არის გადმოწერილი, ეს გარემოება ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული" (კრებ. I, 9), და მიგვითითებს თავის 1925 წელს გამოქვეყნებულ წერილზე: „ქუთაისის საყდრის დავთრის უძველესი ნაწილი" (საისტ. მოამბე, 1925, II, 244-247). აქ, ამ ნუსხის უძველესობის დასამტკიცებლად, მხოლდ ერთადერთ საბუთს ვპოულობთ: „ნაწყვეტის საერთო მოცულობის (?) მიხედვით – ამბობს ავტორი – ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქუთაისის დავთრის ეს უძველესი ნაწილი უნდა წარმოშობილიყო მე-14-15 საუკუნის სიგრძეზე, უფრო ახლოს მე-14 საუკუნესთან" (იქვე, გვ. 246). რას ჰგულისხმობს კაკაბაძე „ნაწყვეტის საერთო მოცულობის" ქვეშ? – ეს გახლავთ: ტერმინოლოგია, „რომელიც უფრო ძველი ხანის მაჩვენებელი უნდა იყოს", სხვათა შორის. „მეგრელიზმები", როგორც მაჩვენებელი იმ ხანისა, როდესაც მეგრულის გავლენა „ქვემო-იმერულ კილოში (სახელდობრ, 1925 წ. ეს ნუსხა ჯერ კიდევ „ქვემო-იმერული" იყო, ლ. მ.) უფრო მძლავრად იყო წარმოდგენილი, ვიდრე ამას მე-16 საუკუნეში ჰქონდა ადგილი", და ის გარემოება, რომ ხსენებული ნუსხა უსახელოა, ხოლო საქუთათლოს დავთრის ყველა დანარჩენ ნუსხებს კუთვნილი სოფლის სახელი მიწერილი აქვს.

რატომ უნდა იყოს ამ ნუსხის ტერმინოლოგია „უფრო ძველი ხანის მაჩვენებელი", არ ვიცით. „ჩითახურს" ს. ს. ორბელიანიც იცნობს (ნ. მისი ლექსიკონი), „ოჩე" დღესაც იხმარება იმერეთსა და გურიაში, ხოლო „ფსომიარეს" არაფერი საერთო მეგრულთან არა აქვს. ესაა ავტორის ძველი ტერმინები. სოფლის სახელი რომ აღნიშნული არაა, ამას ვერ ჰხსნის ვერც კაკაბაძის ჰიპოთეზა, თითქოს ეს ნუსხა რომელიმე ძველი დავთრიდან გადმოეღოთ, რადგან მაინც კიდევ საკითხად რჩება, თუ რატომ არ უნდა გადმოეწერათ სოფლის სახელიც. „მასალებში" ავტორს ახალი საბუთები მოჰყავს ძველი დებულების შესამტკიცებლად: გურიის საქუთათლო ნუსხას, როგორც ეს ჯუმლიდან მართლაც ჩანს, 15 მეკომურის ნორმა უნდა აკლდეს და „ამავე დროს – სწერს ავტორი – ხელნაწერს... ამ ადგილას არაფერი აკლია.. ხელნაწერის ეს რვეული (ე. ი. რომელზედაც გურიის ნუსხაა მოთავსებული, ლ. მ.) სრული ფურცლებით არის წარმოდგენილი" და ამიტომ „ეჭვს გარეშეა... რომ დავთრის გადამწერს 1578 წ. ამ ნუსხის ტექსტი ხელთ უკვე ნაკლულევანად ჰქონდა" (კრებ. I, 9). ნამდვილად კი ეს ნუსხა მოთავსებულია ორ უკანასკნელ რვეულზე და ხელნაწერის „უკანასკნელი რვეული", როგორც ეს უკვე თაყაიშვილმა აღნიშნა, „შესდგება ოთხი ფურცლისაგან" (საქ. სიძვ. I, ქუთ. დავთ., გვ. 1), ე. ი. მას ოთხი ფურცელი აკლია, და სწორედ ასე, სრულებით ბუნებრივად უნდა აიხსნებოდეს ხსენებული 15 ნორმის დაკლებაც. შემდეგ, „ნუსხის ლოკალიზაციის შესახებ" ავტორი აღნიშნავს, „რომ ის ეხება გურიის ერთი კუთხის გლეხებს, როგორც ეს საფიქრებელია გვარების მიხედვითაც" (თითქოს ამისათვის რაიმე სხვა საბუთიც მოიპოვებოდეს, გვარებს გარდა!) და იძლევა საკმაოდ ვრცელს, მაგრამ სრულებით მიზანშეუწონელ კომენტარებს იმის ასახსნელად, „თუ როგორ მოხვდა ეს ნუსხა ქუთაისის საყდრის არქივში" (კრებ. III, 11). ავტორს ავიწყდება, რომ ეს ნუსხა ქუთაისის საყდრის „არქივში" კი არაა მოხვედრილი, არამედ დავთარშია შეტანილი და მთელი ამ მსჯელობის დროს მას ერთხელაც არ დაუსვამს საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ, რა მოსაზრებით უნდა შეეტანათ ეს ძველთა-ძველი, „1400 წლის ახლო დროის" ნუსხა (იქვე, გვ. 10), ორი საუკუნის შემდეგ, 1578 წლის საქუთათლოს დავთარში, რომელსაც ხომ წმინდა პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა?

ამგვარსავე გულუბრყვილობას იჩენს ავტორი, როდესაც 1622 წლის საკათალიკოზო დავთარში შეტანილ ბარის ნუსხას XVI ს-ის „პირველ ნახევარში ან პირველ მესამედში"

შედგენილად აცხადებს იმის გამო, რომ აქ, შედარებით ბარისავე ნუსხის, მისი განსაზღვრით, XVI ს-ის შუახანების ნაწყვეტთან, ბეგარა მომატებული ჩანს, და როდესაც ასეთ დათარიღებას მხოლოდ იმით ასაბუთებს, „რომ ჩვეულებრივ უფრო ხშირად ადგილი ჰქონდა გლეხების მეტი დაბეგვრის მიდრეკილებას" (იქვე, გვ. 23), თითქოს არ შეიძლებოდა, რომ რომელსამე კერძო შემთხვევაში ბეგარა დაეკლოთ კიდეც.

ზერელედ მსჯელობს ავტორი აგრეთვე მანთხოჯის ნუსხის დათარიღებისას, რომელიც, მისი სიტყვით, „გარეგან თვისებების მიხედვით (ხელი და ნიშნები) XVIII ს-ის პირველ ნახევარს, დაახლოებით 1720-1740 წლის ახლო ხანებს მიეკუთვნება" (კრებ. I, 39). როგორ შეიძლება ხელის და ნიშნების (?) მიხედვით ძეგლის განსაზღვრა ოციოდე წლის ფარგლებში, სრულებით გაუგებარია. როგორც უკვე აღვნიშნე, ავტორი უკეთ იზამდა, ეს ნუსხა რომ თაყაიშვილისეული „მანთხოჯის ანაწერისათვის" შეედარებინა, რომელიც, უფრო ნიშანდობლივ, დავით ნემსაძის დროს შეიძლება მიეკუთვნოს და, მაშასადამე, კაკაბაძისეული ნუსხის დასათარიღებლადაც შეიძლება გამოდგეს[1].

ავტორის კრიტიკული აპარატის გასათვალისწინებლად ეს მაგალითებიც კმარა.

მასალების ტექნიკური დამუშავებაც ძალიან ნაკლულია. ავტორის მთელს ნაშრომში მხოლოდ ერთადერთი ცხრილი მოიპოვება: ეს არის ე. წ. „ტაბულა საქუთათლო ყმების რაოდენობისა 1560 წლ. ახლ. (?) და 1578 წ." (კრებ. I, 19), და, რასაკვირველია, სასურველი იქნებოდა, რომ ავტორს ასეთივე ცხრილები შეედგინა, მაგ., საკათალიკოზო ყმებისთვისაც. სასურველი და „მასალებში სოც.-ეკონ. ისტორიისათვის" აუცილებელიც იყო, რომ წარმოდგენილი ყოფილიყო საგამოსავლო ცხრილებიც. ასეთი ცხრილები უკეთეს წარმოდგენას მოგვცემდა ცალკე საბატონოების შემოსავლის შესახებ, ვიდრე ავტორის, როგორც ვნახავთ, საეჭვო ღირსების ანგარიშები. გარდა ამისა, ავტორს რატომღაც არ შეუჯამებია საკათალიკოზო სახასო ყმების რაოდენობა და მათ გამოსაღებსაც ავტორი მთლიანად არ ანგარიშობს, თუმცა, მას უკან რაც ვიცით, რომ საკათალიკოზო ნუსხებში ავტორის მიერ საცაიშლოს ნუსხებია ჩართული, ასეთი ანგარიში ფუჭი იქნებოდა, ისევე როგორც ფუჭია საცაიშლოს გამოსავლის და ყმების ავტორისეული ვარაუდი. შემდეგ, არა აქვს მიქცეული ჯეროვანი ყურადღება სახალხო მეურნეობის საკითხებს: სად რას მოითხოვდნენ ბეგარად, ე. ი. სად რა მეურნეობა იყო გავრცელებული, სად ტრიალებდა თეთრი და სად არა, სად რა გვარი მრეწველობის ნიშნები ჩანს? – ყველა ეს და სხვა მეტად საგულისხმო, ეკონომიური ისტორიის და გეოგრაფიის საკითხები ავტორის მხედველობის გარეშე დარჩა. მხოლოდ თითო-ოროლა შენიშვნა აქვს ავტორს აქა-იქ გაბნეული, ასე, მაგ., რომ „საცაიშლო გლეხებს სდებია გარდასახადი მხოლოდ ნატურით, ფულით გარდასახადი სრულებით არ სჩანს" (კრებ. I, 36), ან რომ „ლეჩხუმში... პურს ბევრად მეტი ხვედრითი წონა ჰქონდა ადგილობრივ სასოფლო მეურნეობაში, ვიდრე ღომს და ამით ეს მხარე თვალსაჩინოდ განსხვავდებოდა დას. საქართველოს დანარჩენ კუთხეებისაგან" (იქვე, გვ. 38); ეს შენიშვნები, რა თქმა უნდა, არსებითს არაფერს იძლევა. კარგი იქნებოდა, რომ ავტორს ეკონომიური რუკებიც შეედგინა.

დასასრულ, ზედმეტი არ იქნებოდა, რომ ავტორს წარმოედგინა ბეგრების კლასიფიკაციაც არსებული მასალების მიხედვით, რადგან ამ საკითხს საბეგრო ნუსხების გასარკვევად ძირითადი მნიშვნელობა აქვს.

კაკაბაძის მასალები, თუ ზოგიერთ ახალ ტექსტს მხედველობაში არ მივიღებთ, ყველა ერთგვარია, ყველა ან საგამოსავლო დავთარს, ან საბეგრო ნუსხას წარმოადგენს,

---

[1] ნ. ჩემი ხსენებ. წერილი, გვ. 314, შენ. 2.

ისე რომ შინაარსის მიხედვით მათს დალაგებაზე ლაპარაკი ზედმეტია, მაგრამ ავტორს თავისი მასალები უნდა დაელაგებინა რაიმე გარეგანი ნიშნის მიხედვით მაინც. ნამდვილად კი მისი „მასალები" სრულებით დაულაგებელია, ისე რომ მკითხველი იბნევა და თანამიმდევრობას ჰკარგავს. ქრონოლოგიურად „მასალები" ასეა დაწყობილი: 1578 წ., XVI-XIX სს., 1622 წ., XVI-XVII სს., XVII-XVIII სს., 1809 წ., 1819 წ., 1400 წლ. ახლ., XVI ს. – 1622 წ., 1545 წ., XVI ს. – 1622 წ., XVI-XVII სს., XVI-XIX სს.; პოლიტიკური ერთეულების მიხედვით: იმერეთი, ოდიში, იმერეთი, გურია, იმერეთი, ოდიში, იმერეთი; საბატონოების მიხედვით: საქუთათლო, სახონო, საცაიშლო, საცაგერლო, საკათალიკოზო (მანთხოჯის), საჯრუჭო, საქუთათლო და საკათალიკოზო და სხვ., საქუთათლო, საკათალიკოზო, საკაცხო. რად დასჭირდა ავტორს ასეთი ქაოსის შეტანა თავის ნაშრომში, გაუგებარია. არავითარი შინაგანი მიზეზი მის მასალებში არ მოიპოვება, რომელსაც შეეძლო ავტორი აეძულებინა ასეთი უთავბოლო დალაგება ერჩია.

ს. კაკაბაძეს თავისი შრომისათვის დაუსახავს უმთავრესად ორი ამოცანა: 1. საბეგრო ნუსხების განხილვა ყმების სოციალური შემადგენლობის თვალსაზრისით და 2. ცალკე საბატონოთა ყმებისა და შემოსავლის რაოდენობის გამორკვევა.

თავის „მასალებს" ავტორმა შესავლის სახით წარუმძღვარა შემდეგი თავი: „სოციალური დანაწილება ახალს საუკუნეებში" (კრებ. I, 1-8). ამ თავს ავტორი იწყებს არაფრისმთქმელი ფრაზით: „დას. საქართველოს მოსახლეობის სოციალური დანაწილება ახალს საუკუნეებში წარმოადგენდა (ისე, როგორც დანარჩენ საქართველოში) წინა საუკუნეების სოციალურ განვითარების შედეგს". მოწინავე წოდებას შეადგენდნენ, ავტორის სიტყვით, დიდებულნი, თავადნი და აზნაურნი, „რომელთაც შემდეგ მიყობოდა (sic!) გლეხობის მასსა". რადგანაც ავტორის მასალა თითქმის სულ ერთიანად საეკლესიო ხასიათისაა, მას აინტერესებს უმთავრესად საეკლესიო აზნაურნი (თავადები და დიდებულნი ეკლესიას ყმებად არ ჰყოლია) და გლეხობა. ამ უკანასკნელის შესახებ, ამბობს ავტორი, „ერცელი და გარკვეული ცნობა მოყვანილი აქვს არქანჯელო ლამბერტს, რომლის თხრობა მართალია XVII ს-ნის ნახევრის სამეგრელოს შეეხება, მაგრამ ამ საკითხში შეიძლება მთელი დას. საქართველოს XVII ს-ნის მოსახლეობის დასახასიათებლადაც გამოყენებულ იქნას" (იქვე, გვ. 1-2). რატომ უნდა გამოდგეს ლამბერტის ცნობა მთელი დასავლეთი საქართველოსათვის, ავტორი არ გვიზიარებს. ლამბერტის ცნობით, გლეხობა ორი ფენისაგან შედგებოდა: უმაღლეს ფენას შეადგენდნენ მსახურნი და უდაბლესს – მოინალენი. ამ უკანასკნელი ტერმინის შესახებ კაკაბაძე შენიშნავს სხოლიოში: „XVI ს-ნეში ეს ტერმინი გლეხის აღსანიშნავად იხმარებოდა იმერეთშიც" (იქვე, გვ. 2, შენ. 1). საიდანა აქვს ავტორს ეს ცნობა? – ასეთ კატეგორიულ განცხადებას დასაბუთება სჭირდება. თუ ეს ტერმინი იმერეთშიც იხმარებოდა, ამას ხომ დიდი კულტურულ-ისტორიული ინტერესი აქვს, მით უმეტეს რომ, ავტორისავე მოწმობით, ეს ტერმინი „წარმოებულია მეგრულ სიტყვიდან ნინალა – სამსახური" (იქვე) და რომ, მაშასადამე, იგი შეიძლება ქართული „მსახურის" ექვივალენტი იყოს. მაგრამ ავტორი თავის წყაროს არ ასახელებს, ისე რომ იძულებული ვართ ჩვენ თვითონ მოვძებნოთ ამ განცხადების სათავე. ერთადერთი ძეგლი, რომელსაც ავტორი აქ ჰგულისხმობს არის ე. წ. „აფხაზეთის საკათალიკოზო დიდი იადგარი", რომელშიც ტერმინი „მოინალე", რაკი იადგარი საკათალიკოზოა, ე. ი. მთელ დას. საქართველოს შეეხება, თითქოს საყოველთაოდ არის ნახმარი. მაგრამ „საკათალიკოზო იადგარი", ყოველ ეჭვს გარეშე, ნატყუარი ძეგლია[1]. იგი შეთხზულია გარკვეული მიზნით XVI ს-ის დასასრულს, და განა შეიძლება

[1] ნ. ჩემი დასახელებული წერილი, გვ. 269, შენ. 1.

ასეთი მნიშვნელოვანი დებულების წამოსაყენებლად მკვლევარი ნატყუარ საბუთს დაეყრდნოს? ეგებ სწორედ ოდიშშია ეს ძეგლი დაყალბებული, ან ეგებ ყალბის-მქნელი მეგრელი იყო? იმისათვის, რომ „მოინალე" საყოველთაო ტერმინად იქნას აღიარებული, საჭიროა რომ, ოდიშს გარეთ, სადმე სხვაგან იგი კიდევ იხსენიებოდეს, და თანაც არა ერთხელ და ორჯერ, არამედ მრავალგზის. მაგრამ, მეგრული ტერიტორიის გარეთ, არსად „მოინალის" ხსენებაც არაა. ამგვარად, უკვე აქედან ჩანს, რომ ლამბერტის ცნობის გამოყენება „მთელი დას. საქართველოს XVII ს-ნის მოსახლეობის დასახასიათებლად" არ შეიძლება.

მოათავა რა ლამბერტი, ავტორი მოულოდნელად „ბატონყმობის გადვარდნის ეპოქიდან" შემონახულ ცნობებზე გადადის. იგი ასე ამზადებს ნიადაგს ამ ცნობების გამოსაყენებლად: „ეს ცნობები მიეკუთვნება – ამბობს იგი – მე-1860 წლებს, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში წოდებრივ ურთიერთობის ერთგვარ მუდმივობას (?), ყოველს შემთხვევაში თვალსაჩინო ხანგრძლივობას (!), აგრეთვე ამ ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებათა ხანგრძლივ მუდმივობას (?), ეს ცნობები შეიძლება რეტროსპექტიულად გამოყენებულ იქნას წინა ხანების სათანადო მასალების ჯეროვნად გასარკვევად" (იქვე, გვ. 3). ამ დროის ცნობებით გლეხობა იმერეთსა და გურიაში შემდეგი ფენებისაგან შედგებოდა: 1. აზატები, 2. მსახურები, 3. გლეხები, 4. მოჯალაბეები. სამეგრელოსთვის მოგვეპოვება Бороздин-ის ცნობა, რომელიც იმავე ხანას ეკუთვნის და რომლის მიხედვითაც სამეგრელოს გლეხობაც იმავ ოთხ კატეგორიად განიყოფებოდა (იქვე. გვ. 5 და 8). აქედან ავტორს გამოჰყავს შემდეგი დასკვნა: დას. საქართველოში „გლეხები წინადაც დაყოფილი იყვნენ არა ორ ფენად, როგორც ეს იყო ქართლში ვახტანგის კანონების შედგენის დროს და წინა საუკუნეებშიც (მსახურნი და გლეხნი). არამედ 4 ფენად: აზატნი, მსახურნი, გლეხნი და მოჯალაბენი. ასე იყო – დასძენს ავტორი – როგორც იმერეთსა და გურიაში, აგრეთვე სამეგრელოშიც" (იქვე, გვ. 7). ჯერ ერთი რომ ასეთი „რეტროსპექტიული" დასკვნა თავისთავად ყოვლად შეუწყნარებელია და ვერავითარი „ხანგრძლივი მუდმივობა" მას ვერ გაამართლებს. მაგრამ, ამასაც რომ თავი დავანებოთ, სადღა დარჩა ლამბერტი თავისი „ვრცელი და გარკვეული" ცნობით? ის ხომ გარკვევით გვეუბნება, რომ XVII ს-ის სამეგრელოს გლეხობა მხოლოდ ორი ფენისაგან შედგებოდა, ის ხომ არ იცნობს არც აზატებს და არც მოჯალაბეებს?[1] მაგრამ ავტორი, როგორც ვნახეთ, ლამბერტის ცნობებს მართებულად აღიარებდა „მთელი დას. საქართველოსათვის" და მაშ რა საბუთით გადაჰყავს ავტორს XIX ს-ნის აზატნი და მოჯალაბენი XVI-XVII საუკუნეების დას. საქართველოში? – ამის შესახებ ავტორი სდუმს.

მოჯალაბეთა შესახებ ავტორი აღნიშნავს, რომ ისინი „საბუთებში XVII ს-ის დასასრულიდან დადასტურებით" გვხვდებიან, ხოლო „წინად, როგორც სჩანს, მეახორეს სახელით" იყვნენ „ცნობილნი" (იქვე, გვ. 1), ვინაიდან ტერმინი „მეახორე" უკავშირდება მეგრულ „ოხორუუს" – სამოსახლო, საიდანაც მოდის „დელმახორე", მისახლებული, რომელიც მეგრულად XIX ს-ში მოჯალაბეს ანიშნავდა" (კრებ. III, 20). მაგრამ „მეახორე" დას. საქართველოს საბუთებში, თუ ძალიან არა ვცდები, მხოლოდ ორჯერა გვხვდება – 1545 წლ. გელათის დავთარში (საქ. სიძვ. I, 19) და გრიგოლ კათალიკოზის 1733 წლ. გუჯარში (დას. საქართვ. საეკლ. საბ. I, 141), ორჯერვე გელათის მახლობლად მოსახლედ

[1] ძველ „მოინალეებს" ავტორი; როგორც ეს მომდევნო გვერდებიდან ირკვევა (ნ. მაგ., იქვე, გვ. 10 შმდ.) XIX ს-ის „გლეხებთან" აიდენტივებს.

ჩანს და ორსავ ზემოხსენებულ საბუთში არც ერთი ნიშანი არ მოიპოვება, რომლის მიხედვითაც შეიძლებოდა მისი მიჩნევა მოჯალაბედ. ხოლო თუ წმინდა ლინგვისტიკურ მოსაზრებებს დავენდეთ, ეს ტერმინი გაცილებით უკეთ შეიძლება დავუკავშიროთ „ახორს“ და დაახლოვებით „მეჯინიბის“ ფარდად ჩავთვალოთ. „მოჯალაბის“ შესახებაც ავტორი სცდება: იგი გვხვდება უკვე 1637 წლის საბუთში (ქრონიკები II, 452), ე. ი. გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე ავტორს ჰგონია[1].

ასეთია ავტორის მსჯელობა, მას ერთხელაც არ უკითხავს, ეთანხმება თუ არა სხვა საბუთები, ლამბერტის რომ თავი დავანებოთ, XIX ს-ის ცნობებს, საზოგადოდ მას არც უცდია სხვა საბუთების მოპოვება. იგი სავსებით დაენდო რაღაც მითიურ „ხანგრძლივ მუდმივობას“.

ასეთი შესავლის შემდეგ ავტორი საბეგრო ნუსხების გარკვევაზე გადადის და ახლა უკვე თავისთავად ცხადია, რომ მისი ძიება წინასწარ განწირული უნდა იყოს. მართლაც, ავტორი თავის მასალაში ვერ გარკვეულა. საბეგრო ნუსხებში ყმების წოდებრივი მდგომარეობა ძალიან იშვიათადაა აღნიშნული. უმეტეს შემთხვევაში ამის დადგენა შეიძლება მხოლოდ ყმის მართებლობის მიხედვით. გავეცნოთ რაც შეიძლება მოკლედ ავტორის მეთოდს. ავიღოთ რამდენიმე სხვადასხვა ტიპის მართებლობა და ვნახოთ, რა დასკვნები გამოჰყავს ავტორს ვალდებულის წოდებრივი მდგომარეობისათვის: ა) უსამსახურონი (ე. ი. ყმები, რომლებსაც მხოლოდ სულადი თუ ფულადი გადასახადი, ე. წ. ბეგარა მართებს) ფარცხანაყანევს, ჩუნეშს, ოფისკვიჯს და სხვაგან მოინალეები ყოფილან (კრებ. I, 12), ფერსათს კი 7 კომლი მსახურებად არიან გამოცხადებული (იქვე, გვ. 15); მაგრამ ფერსათსვე 4 სხვა კომლი უსამსახურო მოინალეები უნდა იყვნენ (იქვე); კორთხას ყველა უსამსახურო მსახურადაა მიჩნეული (იქვე, გვ. 16); ასევე დიანტყას 11 კომლი (იქვე); ჯვარისას კი 3 კომლი უსამსახურო „ალბათ“ მოინალეები არიან (იქვე, გვ. 18) და ა. შ.; ბ) პურისჭამის და ლაშქრობის მოვალენი როკითს 7 კომლი აზნაურები ყოფილან (იქვე, გვ. 13), ნაჟანეულს კი 4 კომლი კონჯარია მსახურები არიან (კრებ. III, 26); მაგრამ ამათ ნუსხაშივე უწერიათ თავიანთი წოდება, სამაგიეროდ უსახელოს I კომლს წოდება არ უწერია, მაგრამ „საფიქრებელია“, რომ მსახური უნდა იყოს (კრებ. I, 37); ასევე ნაკურალეშს 1 კომლი (იქვე); ხიბულას კი ხადილის (ე. ი. პურის-ჭამის) და ლაშქრობის მოვალე 1 კომლი აზნაურადაა გამოცხადებული (კრებ. III, 34); გ) პურის-ჭამის ან საპურობოს მოვალენი მუხურს 1 კომლი მოინალედაა მიჩნეული (კრებ. III, 32), ნაკურალეშს კი 1 პარტახტი მსახურისადაა აღიარებული (კრებ. I, 37); დ) პურის-ჭამის ან გოჭკუმურის, სამსახურის და ლაშქრობის მოვალენი ხოირს ყველა მოინალეები უნდა იყვნენ (კრებ. III, 31), ნაჟანეულს კი კონჯარია მსახურადაა აღიარებული, ხოლო ელიშია ისევ-ისე მოინალედ (იქვე, გვ. 27); ე) ხადილის და საპატიო სამსახურის მოვალენი „გუბს ქვეით“ 2 კომლი მსახურებად არიან მიჩნეული (კრებ. I, 17), შუბანს კი 1 კომლი აზატია (იქვე, გვ. 14); ვ) ცხენით სამსახურის მოვალენი ქუთაისს 3 კომლი აზატები არიან (იქვე, გვ. 11), გეგუთს 2 კომლი მსახურნი არიან (იქვე, გვ. 12), ხოლო დიანტყას 2 კომლი შინაყმებია (იქვე, გვ. 16. ამათ მართებს „ულაყით სამსახური“, რაც, ავტორის განმარტებით, იქვე შენ. 3, იგივე „ცხენით სამსახური“ უნდა იყოს) და ა. შ.

ზემომოყვანილიდან ჩანს, რომ ავტორს არავითარი საზომი ვალდებულებათა მიხედვით ყმების სოციალური მდგომარეობის განსასაზღვრავად არა აქვს. ანდა რად გვინდა ამდენი ჩხრეკა, როდესაც თვითონ ავტორი მე-16 გვერდზე გვიცხადებს კორთხელ

[1] აზატების შესახებ ნ. ჩემს ხსენებულ წერილში, გვ. 312-316.

უსამსახუროთა შესახებ, რომ „ყოველ კომლის შესახებ ნაჩვენებია ბეგარა, მაგრამ არაა ნაჩვენები, მართებდათ მათ მუშაობა ან სამსახური თუ არა. მაგრამ რათგანაც მუშაობა მათ, როგორც სჩანს, არ მართებდათ, ამიტომ როგორც პრივილეგიურ მდგომარეობაში მყოფთ ჩვენ მათ მსახურებად ვთვლით“ (კრებ. I, 16, შენ. 2), მე-18 გვერდზე კი, ჯვარისელ უსამსახუროთა შესახებ, აი რას გვეუბნება: „სამსახური და მუშაობა არაა ნაჩვენები და რადგანაც სამსახური არაა ნაჩვენები, ამიტომ ეს გლეხები ჩვენ მიერ მოინალეებად არიან ჩათვლილი“ (იქვე, გვ. 18); ან კიდევ, როდესაც იგი მე-21 გვერდზე. „მართებული ბეგრის რაობიდან“, სახონო 6 კომლის შესახებ დაასკვნის, რომ ესენი მსახურნი არიან, „ბეგრის გარდა ხადილი“ მართებთ (იქვე, გვ. 21), მე-22 გვერდზე კი აგრეთვე სახონო სხვა 2 კომლის შესახებ სწერს, რომ ისინი მოინალენი უნდა იყვნენ, რადგან „ბეგრის გარდა ხადილი“ მართებთო (იქვე, გვ. 22). ეს ხომ დაუჯერებელია, მაგრამ სამწუხაროდ ასე არის.

იმის ნაცვლად, რომ საბეგრო ნუსხების ჩვენებანი კრიტიკულად შეეფასებინა, ავტორი დაკმაყოფილდა იმას, რომ საქუთათლოს დავთარში ორგან აზატის ვალდებულებაა განსაზღვრული, დარჩელის ნუსხაში კიდევ აზნაურისა, ნაჟანეულისაში – მსახურის, ეს მეტად ლაკონიური და უკმარი ცნობები ყმების სოციალური დანაწილებისათვის „საკმაოდ მიახლოვებით (მაგრამ თუნდაც რომ არა ყველა შემთხვევებში სრული დაჭეშმარიტებით)“ (კრებ. I, 10 და III, 26) გამოსადეგად სცნო და სრული უმწეობა გამოიჩინა ნუსხებში წარმოდგენილ ფორმათა სიმრავლის წინაშე. ესეც არ იყოს, ვიდრე ავტორი მართებლობათა მიხედვით ყმების სოციალური ვითარების გამორკვევას შეუდგებოდა, მას უნდა ზოგადად მაინც შეესწავლა თვით ეს მართებლობა, ბეგარა და სამსახური.

რად უნდა ღირდეს ამის შემდეგ ავტორის ანგარიში სხვადასხვა საბატონოთა ყმების ნოდებრივი შემადგენლობის პროცენტული შეფარდებისათვის, თავის-თავად გასაგებია.

რაც შეეხება ჯამებს, აქ მდგომარეობს კიდევ უფრო უარესია: ჯერ ხალასი შეცდომები: ავტორის ანგარიშით, გურიის საქუთათლო ნუსხის ჯუმალი უდრის 497 1/2 ჩითახურს და 48 ქათამს (კრებ. I, 9), ნამდვილად კი არის 514 1/4 ჩ. და 47 ქ.; მაღლაკს 31 კომლს, ავტორით, მართებს 321 კოკა ღვინო, 11 პარტახტს კი – 102 კ. ღვ. (იქვე. გვ. 12), ნამდვილად კი არის 303 და 93; ხონის მეხადილეებს ავტორი 6 კომლს ანგარიშობს (იქვე, გვ. 21), ნამდვილად 7-ია; საცაგერლოს დავთარში მოხსენებულია სულ 58 კომლი და 6 პარტახტი (იქვე, გვ. 36), ნამდვილად კი 57 კომლია და 8 პარტახტი, რომელთაგან 1 გაცემულია; მანთხოჯის XVIII ს-ის ნუსხაში ავტორი ანგარიშობს სულ 50 კომლ ყმას, ნამდვილად კი 53 ან 52 კომლია[1], და ა. შ. მთელი „მასალები“ აჭრელებულია ასეთი აჩქარებით გამოწვეული შეცდომებით, რომლებიც სრულებით აბათილებენ ავტორის ჯამებს.

ბეგრების ჯამების შესადგენად ავტორს ყველა გამოსაღები თეთრზე გადააქვს. შემდეგ ის ანგარიშობს საშუალო ციფრებს თითო კომლზე და რადგანაც, მისი აზრით, მას გამორკვეული აქვს საკლავის ფასი, ეს ციფრები მას საკლავებზე გადააქვს, ე. ი. ის არკვევს ბეგრის რეალურ ღირებულებასაც. აქ ავტორისათვის არავითარი დაბრკოლება არ არსებობს, მისთვის ყველაფერი ცნობილია და ერთი კალმის მოსმით ის სწყვეტს ყველა

[1] თუ მახარობელი ადამია არ ვიანგარიშეთ; სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ თვით ნუსხაც იქვეა დაბეჭდილი, მაგრამ ეს შეცდომა კორექტურული კი არაა, არამედ ავტორს უნდოდა, რომ ეს ციფრი მაინც და მაინც იგივე ყოფილიყო, როგორც ერთ სხვა ნუსხაში, ნ. იქვე გვ. 40 და შენ.

საჯახირო საკითხებს. მაგ., ურემი ღომი 1578 წ. ღირდა თურმე 20 თეთრი (კრებ. I, 20); ეს ნაანგარიშევია „რეტროსპექტიულად“: 1753 წელს იგი ღირდა 1 1/4 მარჩილი და ამავე დროს საკლავი ღირდა „ჩვეულებრივ“ 3 რუბი; XVI ს-ის ნახევარში საკლავი ღირდა 10-12 თეთრი, „უფრო 12 თეთრი“ (!) და „ურემი ღომი ამ დროს ამიტომ საანგარიშებელია 20 თეთრი“ (იქვე, გვ. 27, შენ. 1). ეს ფასები საიდანღა იცის ავტორმა? – ღომის შესახებ იგი მიგვითითებს 1753 წლის საბუთზე, რომელშიც გაბრიელ ჭყონდიდელი სწერს: ბეგარა „ურმოული ღომი გარდავიღეთ და თითო მარჩილის სანთელი და თითო რუბის საკმეველი დავადევით“ შეწირულ ყმებსაო. მაგრამ აქ ცხადია, რომ ჭყონდიდელმა ამ ყმებს ბეგარა დაუკლო, ისე რომ 1 მარჩილი და 1 რუბი ურმეული ღომის ექვივალენტი არაა; ეს, სხვა არა იყოს რა, კარგადა ჩანს იქვე ქვემონათქვამიდან: სამს სხვა გლეხს „ურმოული ღომი შევაწიეთო“ და მარჩილი და რუბი დავადევითო (დას. საქ. საეკლ. საბ. II, 2). საკლავის ფასისათვის ავტორი ასახელებს „ხონის საყდრის საბეგრო დავთრებს“, რომლებიც XVIII ს-ის შუახანებს უნდა ეკუთვნოდეს; XVI ს-ისათვის კი საკლავის ფასი მას თურმე საქუთათლოსავე დავთრიდან ამოუღია. მაგრამ ამ დავთარში საკლავი არის 6, 10, 12, 15, 20 და სხვა რაოდენობის თეთრისა და რატომ მაინც და მაინც 10-12, ისიც „უფრო 12 თეთრის“ საკლავი არჩია ავტორმა? იმიტომ რომ სხვაზე უფრო ხშირად 12 თეთრის საკლავია გაწერილი? – ავტორს ავიწყდება, რომ ეს ციფრები უმეშვეოდ მხოლოდ ყმების ქონებრივ ვითარებას ახასიათებენ და არა საკლავის ფასს. დაბოლოს, ავტორის მიერ მოტანილი ციფრები კიდევაც რომ სწორი იყოს, განა უეჭველია, რომ ღომის და საკლავის ფასთა შეფარდება იგივე უნდა ყოფილიყო XVI ს-ში, რაც XVIII-ში იყო?

1 კოდი ღომი 1578 წ., ავტორის მტკიცებით, ღირდა თურმე 3,3 თეთრი (კრებ. I, 20); ეს იქიდან ირკვევა, რომ „ურემი XVI ს-ში იმერეთში შეიცავდა... 24 სანაოთხლოს (უნდა იგულისხმებოდეს კოდისას). ურემში მაშასადამე 6 კოდი ყოფილა“ და ამიტომ კოდი უნდა ღირებულიყო 3,3 თეთრი (იქვე, გვ. 27, შენ. 1). ვსთქვათ, ურემი ღომის ფასი მართლაც ცნობილი ყოფილიყო – 20 თეთრი. საიდან ვიცით, რომ ასე ღირდა სწორედ 24 სანაოთხლოს შემცველი ურემი? თუ, ვსთქვათ, შუბანში ყველას იმ ზომის ურემი ემართა, ეს ჯერ კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ, მაგ., ბაშსაც ასეთი ურემი იხმარებოდა. და ან რატომ უნდა „იგულისხმებოდეს“ სანაოთხლოს ქვეშ კოდის მეოთხედი? – ეს არსაიდან არ ჩანს.

ღვინის ფასი ხონში XVI ს-ისათვის ავტორს ასე აქვს გამორკვეული: 1684 წლის „კაცხურ სიგელიდან სჩანს, რომ კოკა ღვინო ამ დროს 1 თეთრად იანგარიშებოდა. რადგანაც XVII ს-ნის სიგრძეზე ფასებს იმერეთში თეთრის ანგარიშზე ერთგვარი მუდმივობა ეტყობა (?), ამიტომ ჩვენ შესაძლებლად ვსთვლით ასეთივე ფასი ღვინოზე დავუშვათ XVI ს-ის მეორე ნახევრისათვისაც“ (იქვე, შენ. 2). მაგრამ საიდან იცის კაკაბაძემ, რომ 1684 წლის კაცხური კოკა და XVI ს-ის მეორე ნახევრის ხონური კოკა ერთი და იგივე ოდენობისა იყო? კოკა ხომ ერთსა და იმავე ადგილას და ერთსა და იმავე დროს იყო რვიანიც და იყო ოცდაოთხიანიც! ორი კოკის შედარება, თუ მათი საწყაო აღნიშუნლი არაა, სრულებით შეუძლებელია...

აი ამგვარი ანგარიშით აქვს გამოანგარიშებული ავტორს, რომ, მაგ., ქუთაისის საყდრის ყმები (პარტახტებიანად) 1578 წელს იხდიდნენ დაახლ. 22 1/2 ათას თეთრს „447 საკომლოზე (გარდა აზნაურისა და აზატისა)“ და რომ „თითო საკომლოზე“ მოდიოდა „დაახლ. 50 თეთრის ბეგარა, საკლავზე გადატანით (საკლავი 12 თეთრის ანგარიშით) თითო კომლზე 4,17 საკლავის ღირებულების ბეგარა“ (იქვე, გვ. 20). რა თქმა უნდა, აქ არც ერთი ციფრი სარწმუნო არაა.

ზემოხსენებულ ორ მთავარ ამოცანას, გარდა, ავტორი გზა-და-გზა არკვევს მოსახლეობის მოძრაობის საკითხებსაც. აქაც იგი ჩვეულებრივის გულუბრყვილობით მსჯელობს. მოვიტან ერთ მაგალითს: XVI ს-ის ნუსხასთან შედარებით ნაჟანეულის 1622 წლის ნუსხაში მეკომურთა რიცხვი მეტია, იხსენიება ახალი გვარები, ხოლო ზოგიერთი ძველი გვარი აღარა ჩანს (თუმცა ცვლილება არც ისეთი „თვალსაჩინოა", როგორც ეს ავტორს გამოჰყავს, რომელსაც აქაც ბევრი შეცდომა ეპარება გვარების შედარებისას)[1]. ამის გამო ავტორი დაასკვნის: ასეთი ცვლილება, „ჩვენის აზრით, არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ რომელიმე დიდ მოარულ სენის (მაგ., ჟამის) შედეგად ანდა სიმშილობიან წელიწადის შედეგად, არამედ აქ მოქმედებდა, საფიქრებელია, იგივე მიზეზი, რამაც XVII ს-ნის მეორე ნახევარში ნაჟანეული მთლად გაავერანა, სახელდობრ თარეშები და თავდასხმანი" (კრებ. III, 27). ავტორი ივიწყებს, რომ მოცემული ნუსხების მიხედვით ჩვენ უფლება არა გვაქვს ვარაუდი გავსწიოთ სოფ. ნაჟანეულის მთელი მოსახლეობისათვის, რადგან ეს ნუსხები წარმოგვიდგენენ მხოლოდ საკათალიკოზო მფლობელობას, ხოლო მთელი სოფლის არათავისუფალი მოსახლეობა შეიძლება გაცილებით მეტიც იყოს, რადგან ნაჟანეულში სხვა ბატონებსაც შეეძლოთ ყმები ჰყოლოდათ. კათალიკოზს კი შეეძლო ახალი ყმები შეეძინა შემოწირვით, ძველები შეიძლებოდა ამოვარდნილიყვნენ, საზოგადოდ მთელი ცვლილება გაცილებით უფრო ბუნებრივად მომხდარიყო, ვიდრე ეს კაკაბაძესა აქვს წარმოდგენილი. ისეთი შორს წასული დასკვნებისათვის, როგორიც ავტორს გამოჰყავს, მეტი საბუთებია საჭირო. სხვა არა იყოს რა, მოსახლეობამ, XVI ს-სთან შედარებით, იმატა, ხომ არ იკლო, და რისთვის დასჭირდა ავტორს ან „მოარული სენი", „ან „შიმშილობა" და ან „თარეშები", სრულებით გაუგებარია.

ავტორი, სხვათა შორის, ატარებს თავის შრომაში იმ აზრსაც, რომ XVI ს-მდე მსახურნი გაცილებით უფრო მსუბუქად ყოფილან დაბეგრილი. ამას ასკვნის ავტორი გურიის საქუთათლო ნუსხის მიხედვით, რომელსაც იგი, როგორც ვნახეთ, სრულიად უსაფუძვლოდ, 1400 წლის ახლო ხანას მიაკუთვნებს. აქ მხოლოდ მეხადილეები მიაჩნია მას მსახურებად. ამათ, ამბობს ავტორი, „მართებთ მცირედი ფულადი გარდასახადი, ხადილი და ცხენით სამსახური. შემდეგ ხანებში მსახურნი დას. საქართველოში თანდათან მრავლდებიან და მათი მდგომარეობაც თანდათან უარესდება, ვიდრე ბოლოს თავისი ბეგარით მსახური უთანასწორდება ჩვეულებრივს მებეგრე გლეხს" (კრებ. III, 12-13). თავისი დებულების შესამტკიცებლად ავტორი იმოწმებს ბექას კანონებს: „მართლაც – განაგრძობს იგი – ბექას კანონების მიხედვით 1300 წლის ახლო ხანებში საკმაოდ ცნობილია მსახურის მდგომარეობა" და განმარტავს, რომ ბექა სხვადასხვა ღირსების მსახურს იცნობდა (იქვე, გვ. 13). ავტორი ვერ ამჩნევს, რომ მისი მოწმობა მისსავ დებულებას აბათილებს: მოსალოდნელი იყო, რომ ბექა „მართლაც" მხოლოდ მსუბუქად დაბეგრილ მსახურებს იცნობდა და თურმე, პირიქით, უკვე ბექა არჩევდა მსახურსა და მსახურს შორის. და მართლაც, როგორც XVI ისე XVII საუკუნეებში და, ავტორისავე მასალებით, XIX ს-შიც, მსუბუქად დაბეგრილი ან სრულებით დაუბეგრავი მსახურის გვერდით გვხვდება დაბეგრილი მსახურიც და, უეჭველია, ამისდა მიხედვით არჩევდა მსახურებს ბექაც, თუმცა ბეგრების შესახებ მას პირდაპირ არაფერი აქვს ნათქვამი.

ზემომოყვანილის შემდეგ ჩვენ იძულებული ვართ დავასკვნათ, რომ ს. კაკაბაძის „მასალები" არამც თუ ნათელს არა ჰფენს დასავლეთი საქართველოს სოც.-ეკონ.

---

[1] შდრ. ჩემს ხსენებულ წერილში გვ. 298.

ისტორიას, არამედ, პირიქით, ბევრ ცხადსა და ნათელ საკითხს ბურუსში ჰხვევს და მკითხველის გონებას აბნევს.

დასასრულ, აღვნიშნავ კიდევ, რომ ავტორის ენაც სავსებით გამართულად ვერ ჩაითვლება.

„მასალებშივე", შიგადაშიგ, რაც თავისთავად მეტად უხერხულია, ავტორს ჩართული აქვს ახალი ტექსტები, დავთრები, ცალკე ნუსხები და სიგლები. ამ ტექსტების გამოცემა არაა დამაკმაყოფილებელი. ავტორს გათვალისწინებული არა აქვს, რომ გამოცემული ტექსტი ერთის მხრით დაწმენდილი უნდა იყოს, მეორე მხრით კი იგი დედნის მაგივრობასაც უნდა სწევდეს, თორემ სხაფრივ მას სანახევროდ ფასი ეკარგება.

ზოგიერთი საწყაოს ოდენობა დას. საქართველოში XVI-XVIII სს.

(ფოხალი, მენახევრე, მახათელი, მთელი კოკა, საპალნე)

1) ფოხალი = 2,5 ლიტრას[1].

აკად. ივ. ჯავახიშვილი, საბა ორბელიანისა და ვახტანგ მეფის ცნობების მიხედვით, ფოხალს განსაზღვრავს როგორც კოდის ნახევარს, ე. ი. 5 ლიტრას[2]. ასეთი იყო ფოხალი XVIII ს. აღმოს. საქართველოში[3].

იმერეთის მეფის ალექსანდრე V-ის 1730 წლ. შენირულობის წიგნში ღომის ბეგარა გადაკვეთილია ურმობით, ფოხლობით და ერთხელაც ურმეულით[4]. ღომის გამოსაღები რომ შევკრიბოთ, მივიღებთ 7 ურემს, 8 ფოხალს და 1 ურმეულ ღომს. სიგლის ჯუმალში კი, რომელიც მას ბოლოში აქვს დართული, ნაჩვენებია „7 ურემი ღომი" და „2 კოდი გაცეხვილი ღომი" (იქვე, გვ. 123). აკად. ივ. ჯავახიშვილი ჰფიქრობს, რომ „ურმეული" ან „ურმოული" „ურმის" მაგიერია (ნუმიზმ.-მეტროლ., გვ. 77). ეს ერთი „ურმეული ღომი" სიგლის ჯუმალში არ ჩაუანგარიშებიათ: წარმოუდგენელია, რომ იგი „2 კოდი გაცეხვილი ღომის" ქვეშ იგულისხმებოდეს – ეს მეტის-მეტად პატარა ურემი იქნებოდა, მით უმეტეს რომ ჯუმალში უნდა ჩაეტანათ კიდევ 8 ფოხალი ღომიც. მაგრამ ამ წიგნის ჯუმალში ბეგარა რატომღაც სრულად არაა შეტანილი, სახელდობრ, ჯუმალში არაა აღნიშნული თეთრის გამოსავალი, რომელიც სულ 2 მარჩილსა და 4 რუბს უდრის. მა-

---

[1] ლიტრის ოდენობის საკითხს ახდილად ეტოვებ. გიულდენშტედტით 1772 წ. დას. საქართველოში ლიტრა 8 გირვანქას იწონიდა (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, თბ., 1925 = ჯავახიშვილი, ნუმიზმ-მეტროლ, გვ. 101; ლიტ.რის შესახებ ვრცელი სტუდია იხ. იქვე, გვ. 99-104). დასავლეთი საქართველოს საბუთებში არის ნიშნები იმისა, რომ XVII-XVIII სს. იქ „ლიტრის" ქვეშ, თუ ყოველთვის არა, მეტ წილად მაინც ე. წ. „შამახური ლიტრა" იგულისხმებოდა, მაგრამ სანამ ახალი საბუთები არ აღმოჩნდება, ამის გადაჭრით თქმა არ იქნება. თუმცა, რამდენს იწონიდა შამახური ლიტრა, ესეც ჯერ გამოურკვეველია (შდრ. ჯავახიშვილი, ნუმიზმ.-მეტროლ., გვ. 72).

[2] ჯავახიშვილი, ნუმიზმ.-მეტროლ., გვ. 109.

[3] დას. საქართველოსათვის ს. კაკაბაძე აღნიშნავს, რომ ფოხალი XIX ს-ის შუახანებში რაჭაში, Кавказский Календарь-ის მიხედვით, უდრიდა 50 ოყას ანუ 16 ფუთს, 62 მისხალს და 92 დოლიას, ხოლო ოდიშში (იგულისხმება, ალბათ, ძველად) ფოხალი ვითომ კოკის ფარდი ყოფილა (იხ. ს. კაკაბაძე, ქართული მეტროლოგია, საქ. ცენტრ. არქივის გამოც. „საისტორიო მოამბე", წიგნი I, თბ., 1925 = კაკაბაძე, მეტროლ., გვ. 60, 77). ეს უკანასკნელი ცნობა სრულებით დაუსაბუთებელია.

[4] იხ. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, გამოც. ს. კაკაბაძის მიერ. თბ., 1921 = საეკლ. საბ., ტ. I, გვ. 121-122.

შასადამე, შესაძლებელია, რომ „ურმეული ღომიც" ჯუმალში არ უანგარიშიათ. თუ რატომ არ ეთანხმება წიგნის ჯუმალი გამოსაღებთა ჯამებს, ამის გადაწყვეტა ძნელია. ამ საკითხის გამოსარკვევად საჭირო იქნებოდა დედნის გასინჯვა (რომელიც აღარ არსებობს): ადვილი შესაძლებელია, რომ როგორც თეთრის გამოსავალი, ისე ურმეული ღომიც მერმინდელი ჩანართი იყოს – გამოცემული ტექსტიდან ეს არა ჩანს. იმავე ალექსანდრე V-ის დაახლ. 1750 წლ. შეწირულობის წიგნში, რომელიც იმავე გლეხებს ეხება (იხ. საეკლ. საბ., I, გვ. 158-161), ურმეული ღომი კვლავინდებურად გადაკვეთილი აქვს იმავე გლეხს, დანარჩენებს კი ისევ-ისე ურემი ღომი უწერიათ, მაგრამ 1750 წლ. წიგნის დადებისას, ალბათ, თვალწინ ექნებოდათ 1730 წლ. სიგელი, რომელშიც ურმეული უკვე შეტანილი უნდა ყოფილიყო (თეთრის გამოსაღები კი 1750 წ. ამოკვეთილია). ყოველ შემთხვევაში, სწორედ 1750 წლ. წიგნი გვაძლევს საშუალებას 1730 წლ. ჯუმალის „2 კოდი გაცეხვილი ღომის" დანიშნულება და მასთან ერთად კოდისა და ფოხლის შეფარდება გამოვარკვიოთ. ფოხლობით გადაკვეთილი ღომი 1730 წ. მოურავს უნდა რგებოდა, თვითეული მებეგრე ვალდებული იყო 2 ფოხალი მიეცა მოურავისათვის. და აი რას ვკითხულობთ 1750 წლ. სიგელში (იქვე, გვ. 160): „2 ფოხალი გ(ა)ცეხვილი მოურავისა იყო და ესეც წინამძღუარს მიერთმეოდეს და ეგრეთვე სხვათა მოსახლეთაგ(ა)ნცა, ამისთჳს რომ ყველას ასე ედვა". ამგვარად ცხადია, რომ 1730 წლ. სიგელში ფოხლობით გაწერილი ღომის ქვეშ იგულისხმებოდა გაცეხვილი ღომი და რომ ჯუმალში ჩატანილი 2 კოდი გაცეხვილი ღომი ფოხლის ჯამი ყოფილა. მაშასადამე. 8 ფოხალი=2 კოდს, ანუ 1 ფოხალი კოდის 1/4, ე. ი. 2 1/2 ლიტრა გამოდის.

2) მენახევრე=8 ლიტრას.

იმავე 1730 წლ. შეწირულობის წიგნის ჯუმალი საშუალებას გვაძლევს მენახევრის ოდენობაც გამოვარკვიოთ. თვითეული გლეხის გამოსაღებიდან გარკვეული რაოდენობა ღვინისა ჭელოსანს უნდა რგებოდა. ეს რაოდენობა ასეა განსაზღვრული: გლეხს მართებს სულ 20 მენახევრე ღვინო, ხოლო „ამისგან ერთი მენახევრე ღვინო ჭელოსნისა არის", ან კიდევ გლეხს მართებს სულ 20 კოკა ღვინო და ამისგან „ერთი კოკა ჭელოსანსა", ანდა გლეხს მართებს სულ 28 მენახევრე ღვინო და „ღვინისაგან ერთი კოკა ჭელოსნისა არის". აქედან უკვე საფიქრებელი ხდება, რომ „მენახევრე" და „კოკა" ერთიმეორის ეკვივალენტს უნდა წარმოადგენდეს. ღვინის გამოსაღები რომ შევკრიბოთ, მივიღებთ 207 მენახევრეს და 33 კოკას. ჯუმალში კი ნაჩვენებია 120 კოკა ღვინო. ჩვენ ვნახეთ უკვე, რომ ამ ძეგლის ჯუმალში ნორმებით გაწერილი ყველა გამოსაღები არაა შეტანილი, მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევაში განსხვავება დიდია და უბრალო ჩანართით ან სხვა რაიმე გარეშე მიზეზით ვერ აიხსნება. უფრო დასაშვებია, რომ აქ საწყაოთა ოდენობის სხვაობასთან უნდა გვქონდეს საქმე. მართლაც, რომ წარმოვიდგინოთ, რომ მენახევრე კოკას უდრის და მათი ჯამებიც შევკრიბოთ, მივიღებთ: 207+33=240 მენახევრეს ანუ კოკას, ე. ი. სწორედ ორჯერ უფრო მეტს, ვიდრე ჯუმალშია ნაჩვენები. აქედან საფიქრებელი ხდება, რომ ნორმებში გადაკვეთილი კოკა სხვა ოდენობისაა, სახელდობრ, ორჯერ უფრო მცირეა, ვიდრე ჯუმალში ნაგულისხმევი. ერთ-ერთ მებეგრეს ღვინო კოკობით კი არა აქვს გადაკვეთილი, არამედ ასე უწერია: „მართებს ცხრა რვიანი ღვინოო". ამგვარად, ნორმებში იგულისხმება რვალიტრიანი კოკა ანუ მენახევრე, რომლის ჯამი 240-ს გვაძლევს, ჯუმალში კი – თექვსმეტლიტრიანი და ამიტომ სულ 120 კოკა იანგარიშება. სხვანაირად ამ ციფრების ასეთი ზუსტი შეფარდება (2:1) ვერ აიხსნება.

ამისდა მიხედვით, მენახევრე აქ უდრის 1 რვიან კოკას, ანუ არის 1 თექვსმეტიანი კოკის ნახევარი[1].

3) მახათელი=10 ლიტრას.

მახათელის შესახებ აკად. ივ. ჯავახიშვილის მეტროლოგიაში ვკითხულობთ[2]: „მახათელის ოდენობის გამოსარკვევად ცნობები არ მოგვეპოვება. დასავლეთ საქართველოს 1628 წლ. საბუთითგან მხოლოდ იმის გამორკვევა შეიძლება, რომ მახათელი ქილაზე მოზრდილი საზომი უნდა ყოფილიყო. იქ ნათქვამია: „ხუთი მახათელი მარილი... რომ გაგვიჩენია, ამისგან იმ სამს მწირველს ხუცებს ერთი ქილა მისცენო". როგორც გამორკვეული გვქონდა, ქილა 5 ლიტრას უდრიდა. ამიტომ მახათელი 5 ლიტრაზე მოზრდილ ერთეულად უნდა გვეგულებოდეს".

მაგრამ იმავე საბუთში, რომელიც ლევან დადიანს ეკუთვნის და ოდიშშია გაცემული[3], ზემომოყვანილი ამონაწერის ცოტა ქვემოთ, მოიპოვება განკარგულება, რომელიც საშუალებას გვაძლევს მახათელის ნამდვილი ოდენობაც გამოვარკვიოთ. სახელდობრ, ზემოხსენებული დადგენილების შემდეგ: „5 მახათელი მარილიდან 1 ქილა ხუცებს მისცენო", იქ ნათქვამია: „ვინცა ამ აღაპისა გამრიგე და ჩენილი ბატონისაგან იდგეს, იმ კაცებმან, ვისაც ბატონის მარილი ებაროს, აღაპისა დროსა გამოართვას და როგორაცა ერსა ხუდებოდეს, იმ რიგად გასცეს ის ოთხი მახათელი და ერთი ქილა მარილიო". ამგვარად, გამოდის რომ, მას უკან რაც ხუცებს მათი კუთვნილი 1 ქილა მარილი მიეცემოდა, ერზე გასაცემად, ე. წ. კარგაღებული აღაპის გადასახდელად, რჩებოდა კიდევ 4 მახათელი და 1 ქილა მარილი, ე. ი. 5 მახათელი იგივე იყო, რაც 4 მახათელი და 2 ქილა, ანუ 1 მახათელი ოდიშში, XVII ს-ში, უდრის 2 ქილას და თუ ქილა 5 ლიტრას შეიცავდა[4], მახათელი 10 ლიტრის წონისა ყოფილა.

იმავე საბუთის საბეგრო ნორმებიც გვიდასტურებს ამ ანგარიშს. ასე, მაგ., მე-5 და მე-6 მოაღაპე გლეხების ნორმებს შორის არავითარი განსხვავება არაა, გარდა იმისა, რომ მათი გამოსაღები ღომის ოდენობა სხვადასხვა საწყაოთია განსაზღვრული: ორივეს თანაბრად მართებს 1 ძროხა, 3 გუდა ღვინო, 1 ქათამი, 1 თეფში პური, მაგრამ პირველს უწერია 2 ქილა ღომი, მეორეს-კი – 1 მახათელი ღომი. ამგვარადვე, მე-7, მე-8 და მე-9 მოაღაპეთა ნორმები ერთნაირია: 1 ცხვარი, 3 გუდა ღვინო, 1 ქათამი, ოღონდ მე-7-ს კიდევ 2 ქილა ღომი უნდა გამოეღო, მე-8-ს და მე-9-ს კი – თითო მახათელი. ყველგან აქ, ცხადია, 1 მახათელი და 2 ქილა ერთი მეორის ეკვივალენტად იგულისხმება.

4) მთელი კოკა = 24 ლიტრას.

ს. კაკაბაძის მიერ გამოცემული კაცხის გუჯრებიდან ერთი საბუთი, 1580-90 წლებისა, საშუალებას გვაძლევს „მთელი კოკის" ოდენობა განვსაზღვროთ[5]. კაცხის მაცხოვრისადმი შეწირული ყმის შვილი-შვილს „ხუცობით წირვის მაგიერად ეს ბეგარა

---

[1] რომ 1730 წლ. სიგელში მენახევრე და კოკა ერთი მეორის სანაცვლოდაა ნახმარი, ამას გვიდასტურებს ზემოხსენებული 1750 წლ. სიგელიც. 1730 წლ. წიგნში ვკითხულობთ: „მართებს მაჩალაძეს 20 მენახევრე ღვინო", 1750 წლისაში კი: „მართებს მარჩალაძეს 20 კოკა ღვინო". რადგან დანარჩენი მართებლობა მაჩალაძისა ორსავ სიგელში იგივეა (ოღონდ 1750 წ. ზოგიერთი გადასახადი ამოკვეთილია, ზოგს კი სხვა დანიშნულება აქვს მიცემული), ცხადია, რომ 1730 წლ. 20 მენახევრე=1750 წლ. 20 კოკას.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ნუმიზმ.-მეტროლ., გვ. 117.

[3] იხ. საეკლ. საბ., ტ. I, გვ. 41 და 42.

[4] იხ. ჯავახიშვილი, ნუმიზმ.-მეტროლ., გვ. 110.

[5] იხ. ს. კაკაბაძის გამოც. „საისტორიო კრებული", წიგნი III, თბ., 1928, გვ. 48.

დასდებოდა: 5 მთელი კოკა ღვინო, 3 თეთრის საკლავი, 2 1/2 კოდი პური და 5 ქათამი". ან რადგან ისევ-ისე წირვა დაევალა, ამოეკვეთა „ამ წირვისათჳს 5 თორმეტიანი ღვინო ცხუარისათჳს, 1 საკლავი, 3 ქათამი, 1 1/2 კოდი პური". მაგრამ, სწერს ჩაისელი დავით, „ბეგრისაგან სულა ვერ გამოვედით" და შეწირულ ყმას საწინამძღვროდ მაინც უნდა მიეტანა 5 თორმეტიანი ღვინო, 1 კოდი პური, 2 ქათამი და 1/2 კვერცხი. ცხადია, ეს არის ნაშთი ძველი ბეგრისა, წირვისათვის ამოკვეთილის გამოკლებით: საკლავი მთლად ამოუკვეთიათ, რის მაგივრადაც, ალბათ, ბეგარას წაჰმატებია მოჩვენებითი გადასახადი 1/2 კვერცხისა, ხოლო დანარჩენი ასე განაწილდა: იყო 5 ქათამი, ამოიკვეთა 3, დარჩა 2

„ 2 1/2 კოდი პური, „ 1 1/2, „1

„ 5 მთელი კოკა ღვინო, „ 5 თორმეტიანი, „ 5 თორმეტიანი.

ამისდამიხედვით 10 თორმეტიანი კოკა = 5 მთელ კოკას და, მაშასადამე, 1 მთელი კოკა = 1 ოცდაოთხლიტრიან კოკას.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ აფხაზეთის საკათალიკოზო დიდ დავთარში მოხსენებული „მრთელი" და „ნახევარი მრთელი", რომლის შესახებ აკად. ივ. ჯავახიშვილი ამბობს, რომ „უეჭველია" ეს ტერმინი „გარკვეულ საზომს ჰგულისხმობს, მაგრამ ჯერ-ჯერობით არ ჩანს, თუ რომელს" (ნუმიზმ.-მეტროლ., გვ. 94), ჩემის აზრით, სწორედ მთელს, ე. ი. 24-ლიტრიანს და ნახევარს, ე. ი. 12-ლიტრიან კოკას უნდა აღნიშნავდეს. ასე ჰფიქრობს ს. კაკაბაძეც: „მრთელი... შესაძლებელია უდრიდა კოკას" (მეტროლ., გვ. 81.).[2]

5) საპალნე = 72 ლიტრას.

საპალნის შესახებ აკად. ივ. ჯავახიშვილს ნათქვამი აქვს: „საპალნის სიდიდე ქართულ წყაროებში, თუ არ ვცდები, არსად განსაზღვრული არ არის". შემდეგ განსვენებულ აკადემიკოსს მოჰყავს შარდენის ცნობა, რომ „საქართვკელოში საპალნე ღვინო 300 ლიტრას იწონიდაო" და დასძენს, რომ ლიტრად აქ ფრანგული libre-ი უნდა იგულისხმებოდეს და რომ ამგვარად საპალნე 114-165 კილოგრამის ანუ რუს. 7-10 ფუთის წონა გამოდის, რის ტარებაც ცხენს მართლა შეუძლია (შარდენი ლაპარაკობს ცხენის საპალნეზე; იხ. ივ. ჯავახიშვილი, ნუმიზმ.-მეტროლ., გვ. 114-115).

ს. კაკაბაძე, Кавказский Календарь-ის მიხედვით, აღნიშნავს, რომ „ქართლში XIX საუკ. ნახევარში (საპალნე) შეიცავდა 480 ჩარექს, მაშასადამე 120 ლიტრას, ხოლო ზემო-იმერეთში ამავე დროს მხოლოდ 40 ლიტრას" (მეტროლ., გვ. 73).

დას. საქართველოს საეკლ. საბუთებში (ტ. II, გვ. 120) მოგვეპოვება ცნობა, რომლის მიხედვითაც შეიძლება საპალნე განისაზღვროს. დარეჯან ბატონიშვილის 1801 წლ. შეწირულობის წიგნში, გელათის მაცხოვრისადმი შეწირული გლეხის ბეგარა ასეა განსაზღვრული: მას „მართებს 6 თორმეტიანი ღჳნო"; გარდა ამისა, მას ემართა: დარეჯანის „სამღთო და წირვა და მას(პ)ინძლობა ხუც(ე)ბის"; ამ უკანასკნელი ვალდებულების „სამაგიეროდ", სწერს დარეჯანი, „დავად(ე)ვით 3 მარჩილიო" და შემდეგ დასძენს: „ყ(ოვე)ლს შამოდეგზედ ერთს საპანე ღვინოს და სამს მარჩილს წინამძღვარს მიართმევდეს გენათს". ცხადია, ეს „ერთი საპა(ლ)ნე ღჳნო" არის ზემოთ მოხსენებული „ექვსი თორმეტიანი ღვინო". მაშასადამე, საპალნე უდრიდა 6 თორმეტლიტრიან კოკას, ე. ი. 72 ლიტრას შეიცავდა. თუ ლიტრა, გილდენშტედტის ცნობისდამიხედვით, 8 რუსულ გირვანქად ვიანგარიშეთ, საპალნე 576 გირვანქის ანუ 14 ფუთის და 16 გირვანქის წონისა გამოდის.

ყველა ზემომოყვანილიდან ერთი ზოგადი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ: ძველი ქართული საზომ-საწყაოები, ყოველ შემთხვევაში უკანასკნელ საუკუნეებში, ძალიან განსხვავდებოდა დროისა და ადგილის მიხედვით. მათი განსაზღვრისას ეს გარემოება ყოველთვის მხედველობაში უნდა იქნას მიღებული.

მალაქია კათალიკოზის 1622 წლის მოლაშქრეთა სია

საკათალიკოზო საბეგრო ნუსხების განხილვის შემდეგ ანგარიში უნდა გავუწიოთ ერთ საბუთს, რომელიც თავისი შინაარსით თითქოს ეწინააღმდეგება ზოგიერთს ჩვენ მიერ ზემოთ წამოყენებულ დებულებას და ჩვენს კრიტიკას ნაწილობრივ თითქოს აბათილებს. ეს არის მალაქია კათალიკოზის მოლაშქრეთა სია.

მოლაშქრეთა სია დართული აქვს 1622 წელს შედგენილს ა. წ. აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდ დავთარს. სათაურად მას აქვს: „მოლაშქრე კ(ა)ცები კ˜ზის გურიელის შვილის მალაქიასი". ამ სიით აღრიცხულნი არიან საკათალიკოზო და ხონის, ცაიშის და ჯუმათის საეპისკოპოზო მოლაშქრენი, რათგან მალაქია კათალიკოზი ცაიშელ-ჯუმათელ-ხონელიც იყო ერთდროულად. სიაში აღნიშნულია ზოგადად მოლაშქრეთა რაოდენობა ამა თუ იმ სოფელსა თუ სასახლეში, ყმების სახელების მოუხსენებლივ. მხოლოდ რამდენიმე კაცის სახელი და გვარიც მოყვანილი არის და ისინიც უმთავრესად აზნაურები არიან.

ეს სია წარმოადგენს თვითეული სოფლის თუ სასახლის საკათალიკოზო მოლაშქრეთა ა. ვ. ჯუმლებს. თითქმის ყოველი სოფლისათვის, რომელიც კი შეტანილია მოლაშქრეთა სიაში, იმავე დავთარში მოიპოვება საბეგრო ნუსხაც. ბეგრის ჯუმალი დართული აქვს თითქმის ყოველ ნუსხას ცალკე, მოლაშქრენი კი გამოუყვიათ და ყველა ერთ სიაში მოუქცევიათ. ჩვენ ვიცით რომ ზოგიერთ საბეგრო ნუსხაში ლაშქრობის მოვალე ყმებიც არიან აღნიშნული. და აი, მოლაშქრეთა სიის შედარებისას შესატყვის საბეგრო ნუსხებთან, ირკვევა რომ არ არის შემთხვევა რომ სიის ჩვენება, ერთხელაც იყოს მაინც, ნუსხისას ეთანხმებოდეს – ლაშქრობის მოვალე ყმათა რაოდენობა საბეგრო ნუსხებში ხან მეტია ხან ნაკლები, ვიდრე იმავე სოფლების მოლაშქრეთა რიცხვი მოლაშქრეთა სიით. ასე, მუხურს, სიით იყო 30 მოლაშქრე კაცი, ნუსხით კი მხოლოდ 28 კომლს უწერია ლაშქრობა; ნაჟანეულს, სიით 35 მოლაშქრე უნდა ყოფილიყო, ნუსხაში კი ჩანს მხოლოდ 20 კომლი ლაშქრობის ვალდებული; ოცხანას, სიით 9 მოლაშქრე იყო, ხოლო ნუსხით მხოლოდ 4 კომლს ევალებოდა ლაშქრობა[1]. პირიქით, ნაგვაზაუს, სიით იყო 4 მოლაშქრე, ნუსხით კი 7 კომლს მართებდა ლაშქრობა; ხაუჟელს, სიით 15 მოლაშქრე გამოდიოდა, ნუსხით კი 38 კომლი იყო ლაშქრობის მოვალე; ხოირს, სიით 22 მოლაშქრე უნდა ყოფილიყო, ნუსხით კი 30 კომლს უწერია ლაშქრობა; ხობულას, სიით 30 მოლაშქრე ყოფილა, ხოლო ნუსხით ჩანს 44 კომლი ლაშქრობის ვალდებული.

ასეთი შეუსაბამობა შეიძლება აიხსნას, ჩვენის აზრით, ერთი მიზეზით: მოლაშქრეთა სია აღრიცხავს მხოლოდ ფაქტიურად არსებულ რაოდენობას მოლაშქრეებისას, იმ ა.ვ. აქტივს, რომელიც 1622 წ., სიის შედგენისას, ნამდვილად მოიპოვებოდა და საჭიროებისამებრ სალაშქროდ გამოვიდოდა. ამრიგად, მაგალითებრ ნაჟანეულს, საცა სია მეტს უჩვენებს, უნდა წარმოვიდგინოთ რომ 35 „თავი" გამოდიოდა 20 კომლიდან, ე. ი. ზოგ კომლს 2 ან 3 მოლაშქრე გამოჰყავდა 1622 წ., ხოლო, პირიქით,

[1] განაყოფებითურთ, 7 კომლს.

ხოირს 30 კომლს ლაშქრობის მოვალეს მხოლოდ 22 მოლაშქრე გამოჰყავდა, ე. ი. იყო კომლები, რომლებსაც ლაშქრობა ევალებოდათ, მაგრამ ფაქტიურად მოლაშქრე ვერ გამოჰყავდათ. მაგრამ მარტო ეს მიზეზი არ კმარა. ჩვენ აღვნიშნეთ უკვე რომ მოლაშქრეთა სია ყმების გვარებს არ ასახელებს. ამიტომ ძნელდება ამ სიის შედარება საბეგრო ნუსხებთან. სამაგიეროდ, ყველგანაა აღნიშნული მოლაშქრეთა წოდება და საინტერესოა რომ ყველა ან აზნაური ყოფილა ან მსახური. არც-ერთი გლეხი (მოინალე) მოლაშქრეთა სიაში აღნიშნული არაა. ეს, რასაკვირველია, ჯერ კიდევ იმას არ ნიშნავს რომ მდაბიო გლეხები არ ლაშქრობდნენ და, მართლაც, დამოუკიდებელმა კვლევამ ჩვენ დაგვარწმუნა რომ საბეგრო ნუსხებში საკმაოდ ხშირად გვხვდება ლაშქრობის მოვალე გლეხები (მოინალენი). მაგრამ მოლაშქრეთა სიაში ესენი აღრიცხვაზე აყვანილი არ არიან. ეს უნდა იყოს მეორე მიზეზი ზემოაღნიშნული შეუსაბამობისა. ამ ორი მიზეზის გამოისობით, საბეგრო ნუსხების გარჩევისას, ჩვენ არ გვისარგებლია მოლაშქრეთა სიის ჩვენებებით და ვცდილობდით სრულიად დამოუკიდებლად გაგვერკვია ყმების სოციალი შემადგენლობა[1]. მაგრამ რას ნიშნავს ის გარემოება, რომ მოლაშქრეთა სია მოინალე-მოლაშქრეებს არ იცნობს? აი მაგ., ხიბულას საბეგრო ნუსხაში 16 კომლს მეტვირთეს, ე. ი. მდაბიო გლეხს, უწერია ლაშქრობაც, მოლაშქრეთა სიით კი ხიბულას არის მოლაქშრე „აზნაურისშვილი და მს(ა)ხური 30". ხიბულას, როგორც ვიცით, სულ 44 კომლია ლაშქრობის მოვალე და ამათგან 28 კომლი (44-16) რომ მსახურებად ჩავთვალოთ, რაც, როგორც ვნახეთ, კიდევ სათუოა[2], უცნაურია რომ იმ 16 უეჭველი გლეხიდან (მოინალიდან) მაინც და მაინც არც-ერთი მოლაშქრეთა სიაში არ მოხვდა. აგრეთვე მუხურს ჩვენ შეგვხვდა ერთი მეტვირთე ყმა, რომელსაც ლაშქრობაც ევალებოდა, სიით კი მუხურსაც 30 მოლაშქრე, მხოლოდ „აზნაურისშვილი და მს(ა)ხური", ყოფილა[3].

---

[1] ცხადია რომ, რაკი სიისა და ნუსხების ცნობათა შორის აღნიშნული შეუთანხმებლობა არსებობს, ჩვენ აღარა გვაქვს უფლება, იქ საცა ნუსხაში სამსახური სრულებით აღნიშნული არაა ანდა „ლაშქრობა" არავის უწერია, მოლაშქრეთა სიის მიხედვით ვიანგარიშოთ ამდენი და ამდენი მსახური და აზნაური, ნუსხის ჩვენებებს ძალა დავატანოთ და მაინცდამაინც მსახური ვეძიოთ იქ სადაც ის არ ჩანს. აზნაურების შესახებ, მაგალითებრ, ნამდვილად ვიცით, რომ ისინი შესაძლებელია საბეგრო ნუსხაში სულ არ შეეტანათ. ასე, სიით, ნავენახევს ყოფილან კათალიკოზის მოლაშქრე აზნაურნი ბეჟან და იოთამ ლალიძენი, ბარს ყოფილა აზნ. ოთარ ჩიკვატიძე, მაგრამ არც ნაკენახევის და არც ბარის ნუსხაში არც-ერთი მათგანი არა ჩანს (ალბად გამოსაღები არა მართებდათ რა). ბარს ყოფილა კიდევ სამი მსახური, ჯიმაშტაროს – მსახური (?) მგალობელი ათანასე და ორი სხვა მსახური, მაგრამ ბარის ნუსხაში ყველა უსამსახუროა და ბეგრის მიხედვით ყმათა შორის სხვაობა არ ჩანს, ხოლო ჯიმაშტაროს, ნუსხით, 6 მეტვირთეა, ე. ი. მდაბიო გლეხი, 1 უსამსახუროა, 1 გაცემული ყმა არის და არც-ერთი მსახური არ ჩანს (არც მგალობელი ათანასეა დასახელებული). მაშასადამე, შესაძლებელი იყო რომ მსახურნიც არ შეეტანათ საბეგრო ნუსხაში. რასაკვირველია, ასეთი შესაძლებლობა უფრო ნაკლებადაა მოსალოდნელი, რათგან მსახურს ჩვეულებრივად გარკვეული გამოსაღების გადახდა ევალებოდა, და ამიტომ ჩვენ უფლება გვაქვს, მოლაშქრეთა სიაში აღნიშნული „თავების" მოხედვით მიახლოებით ვივარაუდოთ მსახურთა რაოდენობა ამა თუ იმ საბეგრო ნუსხაში, მაგრამ ამაზე მეტის უფლება ჩვენ არა გვაქვს.

[2] ხიბულას, ზემოთ, კიდევ 4 მოინალე, ლაშქრობის მოვალე, განვსაზღვრეთ, მაგრამ ესენი მეტვირთენი არ ყოფილან; აზნაურები საბეგრო ნუსხაში აქაც შეტანილი არ ყოფილან.

[3] მუხურსაც და მაგ. ხაუუელსაც ბევრი სხვა მდაბიო გლეხი ჩანს, რომელთაც ლაშქრობა უწერიათ საბეგრო ნუსხებში, მაგრამ ჩვენ განგებ გვერდს ვუხვევთ მომუშავე და მონადე ყმებს და მხოლოდ მეტვირთეებს ვასახელებთ, რათა მოლაშქრეთა სიის უსრულობა უფრო აშკარად

მოლაშქრეთა სიას თუ მივხედეთ, ლაშქრობის ვალდებულება, ისე როგორც ეს მე-XVI ს-ში იყო, 1622 წელსაც აზნაურთა და მსახურთა პრივილეგიად დარჩა.

წარმოვიდგინოთ რომ ეს მართლაც ასე იყო. მაშინ გამოგვივა რომ მე-XVII ს-ისათვის მსახურებს „ტვირთის ზიდვაც" დავალებიათ. მაგრამ ეს ეწინააღმდეგება ყველა იმას, რაც ჩვენ მე-XVI ს-იდან ვიცით, (საქუთათლოს დავთარი), წინააღმდეგია აგრეთვე მრავალი სხვა პირდაპირი ჩვენებისა (ლამბერტი, „უდიერობა" და სხვ.) და მე-XIX ს-მდი, ზეპირად დღემდისაც კი, მოხნეული ტრადიციისა, არღვევს მთელს ჩვენს კონცეპციას, აბათილებს საზოგადოდ ჩვენს წარმოდგენას პატრონ-ყმური დამოკიდეულებისა და სამსახურებრივი ვალდებულების შესახებ, დაბოლოს აღარავითარ სხვაობას აღარ სტოვებს მსახურსა და მოინალის შორის. სრულებით ცხადია რომ ასეთ შესაძლებლობას ჩვენ ვერ დავუშვებთ: ყველაფერი შეიძლება დავთმოთ, ნადობაც, ნიადაგი მუშაობაც, მაგრამ ტვირთის ზიდვას მსახურს ვერ დავაკისრებთ.

მეორე მხრით, შეიძლება წარმოვიდგინოთ რომ საკათალიკოზო გლეხები (მოინალენი) კათალიკოზის მოლაშქრენი კი არ იყვნენ, არამედ სხვა რომელიმე ბატონისა, მაგ. მეფისა. ასე, საცაგერლოს დავთრით, ზოგიერთ მებეგრეს მართებდა თავისი ბატონის ბეგარა და სამსახური ან ტვირთი და „მეფის ლაშქრობა"[1]. მაგრამ ეს იქნებოდა ნაძალადევი ჰიპოთეზი, ვინაიეთგან საკათალიკოზო დავთარში არსად არ მოიპოვება თუნდაც უმცირესი ნიშანი ამგვარად განსხვავებული ვალდებულებისა, მით უმეტს რომ რაღა მარტო მოინალები უნდა ყოფილიყვნენ მეფის მოლაშქრენი, აზნაურები და მსახურები კი არა.

ასე მივდივართ ერთადერთ დასაშვებ დასკვნამდი: ლაშქრობის მოვალე მდაბიო გლეხი (მოინალე) „მოლაშქრედ" არ ითვლებოდა. მისთვის ლაშქრობა არ იყო საპატიო სამსახური, რომელიც მას მიანიჭებდა სახელს და წარჩინებულ ადგილს საზოგადოებაში. მდაბიო გლეხის „ლაშქრობა" ალბად სხვა პირობებში სრულდებოდა, აზნაურთა და მსახურთა ამ საპატიო სამსახურისაგან განსხვავდებოდა და მისთვის მხოლოდ ზედმეტი ტვირთი იყო. ამიტომ, ყველგან ზემოთ ჩვენ ვლაპარაკობდით არა „მოლაქშრე", არამედ „ლაშქრობის მოვალე" მდაბიო გლეხებზე (მოინალეებზე). მეორე მხრით, მაშინდელ შფოთიან დროს, ეს ვალდებულება, რაგინდ პირობებშიც არ უნდა ყოფილიყო იგი შესრულებული, დიდს ქონებრივ სახსარს მოითხოვდა და თუ მდაბიო გლეხს ლაშქრობა მართებს, უნდა ვიფიქროთ რომ იგი დანარჩენებზე უფრო შეძლებულიც იქნებოდა[2].

გამოჩნდეს და არავითარი ეჭვი არ დაგვრჩეს რომ მართლაც ლაშქრობის მოვალე მოინალეებთან გვაქვს აქ საქმე.

[1] საცაგერლო. გამოს. დავთ., მაგ. გვ. 5 და 7.

[2] ლამბერტის ცნობით, როგორც ვიცით, საერისკაცო მოინალენი ყველა ლაშქრობის მოვალენი იყვნენ. საეკლესიო ყმათა შორის, როგორც ვნახეთ, ეს ასე არ იყო. მაგრამ აქაც ლაშქრობის მოვალე მდაბიო გლეხი ლაშქრობდა ალბად ფეხით, თავისი იარაღი იშვიათად თუ ექნებოდა და უმთავრესად ასრულებდა სამოინალო სამსახურს, ტვირთის ზიდვას. „მოლაშქრედ" კი აღირიცხებოდა ალბად ის, ვინც ლაშქარში დამოუკიდებელ ბრძოლისუნარიან ერთეულს წარმოადგენდა, გამოდიოდა თავისი იარაღით და, თუ ჰყავდა, კაცებით (მაგ. „ბეჟან ლაღიძე და იოთამ მ̆თმთის მსახურებითა", „ჩიკვატიძე ოთარი მისის მ(სა)ხურითა", აფხ. ს̆კზო დავთ., 45).

ინგლისური ვილენაჟი და ქართული ყმობა[1]

I

ჩემს მოხსენებას მხოლოდ წინასწარი ხასიათი აქვს და აქ მოვიტანე უმთავრესად იმიტომ რომ თვითონ საკითხები, რომლებსაც ვეხები, თავისთავად დიდს ინტერესს წარმოადგენენ და აგრეთვე იმისათვის რომ ამხანაგურმა, თუნდაც მკაცრმა, კრიტიკამ ხელი მომიმართოს და შეძლება მომცეს ზოგიერთს ჩემთვის ბნელით მოცულს საკითხში გავერკვიო.

მოგეხსენებათ რომ ამჟამად მე ვმუშაობ მე-XVI-XVII სს.-ის საბუთებზე და ვეცნობი დას. საქართველოს სოფლის სოციალ-ეკონომიურს ვითარებას იმ ხანებში. და აი მე მგონია, რომ თუ გავითვალისწინეთ ინგლისური ვილენაჟი, ისე როგორც ის გვევლინება მე-XI ს-ში, შესაძლებელია რომ მრავალს ბნელს საკითხს ნათელი მოვფინოთ.

როგორც ხედავთ, ურთიერთს ვუდარებ ორს ერთიმეორისგან მეტად დაშორებულს ხანას. მე-XI ს-ის ინგლისში კულტურა ეს არის ფეხს იკიდებდა, ეს იყო, შეიძლება ითქვას, დამდეგი ინგლისის ისტორიისა, ხოლო მე-XVI ს-ის საქართველო, პირიქით, უკვე გამოსული იყო დიდს აყვავების ხანას და როგორც კულტურულად ისე ეკონომიურად დაქვეითების გზას ადგა. მაგრამ ეგება სწორედ ეს, პირველშეხედვით სრულიად საწინააღმდეგო გარემოებანი უახლოვებდეს და ამსგავსებდეს ამ ორ ხანას საქართველოში და ინგლისში ერთმანეთს? დასაწყისი და დასასრული ხშირად საოცრად წააგავს ერთიმეორეს! გარდა ამისა, საქართველო არასოდეს არ გამოსულა საშუალო-საუკუნოებრივი პირობებიდან (ამ ტერმინს მე ვხმარობ პირობითი მნიშვნელობით). ცნობილია აგრეთვე, რომ საზოგადოდ საშუალ-საუკუნოებრივი პირობები, განსაკუთრებით სოციალ-ეკონომიური ორგანიზაცია, ძალიან მყარი იყო და ამასთანავე გაცილებით უფრო მყარი სოფლად ვინემ ქალაქად. კერძოდ, ინგლისის შესახებ შეგვიძლია ვთქვათ რომ, თუმცა სოფლის ეკონომიური ვითარება და, მასთან დაკავშირებით, სოციალური ურთიერთობა, მუდმივ ცვალებადობას განიცდიდა, – მაგრამ ახალი ისეთის ნელი ნაბიჯით შემოდიოდა, ისეთის თანდათანობით იკიდებდა ფეხს, იმდენად ურყევი იყო მაინც სოფლის მთლიანი სახე, რომ მე-XV ს-ის ინგლისური სოფელი, ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ დეტალებში, მხოლოდ ზოგიერთი გარეგნული მხარით (როგორც მაგ. ფულადი ბეგარა სულადის მაგიერ) განსხვავედებოდა მე-XI ს-ის სოფლისაგან. არსებითი ცვლილებანი გამოიწვია მხოლოდ მე-XV ს-ის შუახანებიდან დაწყებულმა შემოღობვათა პროცესმა, რომელმაც მე-XVI ს-ის დამლევისათვის ინგლისის ტერიტორიის დაახლ. 1/5 მოიცვა; ისე რომ დიდი ნაწილი სოფლებისა ჯერ მე-XVIII ს-შიც კვლავინდებურად საშუალ-საუკუნოებრივ პირობებში იმყოფებოდა. რასაკვირველია, მე შემეძლო სახელმძღვანელოდ ამეღო მე-XVI ს-ის ინგლისური სოფელი, თუკი, როგორც ვთქვი, იგი მაშინაც მეტწილად საშუალ-საუკუნოებრივი ხასიათისა იყო, მაგრამ მე-XI ს. იმითი სჯობია, რომ იმდროინდელი

---

[1] ლიტერატურა: სარგ. კაკაბაძე – დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ტფილისი 1921, წიგნი I (გვერდები ჩვენს ტექსტში ყოველთვის ამ წიგნისაა). 1929. I. 30.

ინგლისური სოფელი ფორმათა ა. ვ. წმინდად ჩამოყალიბებულ სქემას წარმოადგენდა, რომელიც შემდეგმა დროთა ვითარებამ მრავალი წვრილმანი ნაზარდით გაართულა და მთლიანი, ნათელი სურათი დაჩრდილა, ისე რომ თვით ინგლისური მე-XVI ს-ის გასაგებად საჭიროა მე-XI-XII სს-ის მოშველიება.

განვიხილოთ პირველად ინგლისური manor-ი, ანუ მამულო, მე-XI ს-ში. Manor-ი იყოფოდა ორ მთავარ ნაწილად: 1. Domen-ად, საბატონო მიწად და 2. Villenagium-ად, საყმო მიწად. როგორც domen-ი ისე villenagium-ი ეკუთვნოდა ლორდს, ბატონს, მაგრამ domen-ი უმეშვეოდ მის განკარგულებაში იმყოფებოდა, villenagium-ი კი გაცემული იყო ყმებზე და იქიდან ლორდი იღებდა ბეგარას, მიწის ნაკვეთის ოდენობის მიხედვით. ეს ბეგარა შედგებოდა შემდეგი სამუშაო-გადასახადებიდან: 1) ყოველკვირეული მუშაობა, 2-3 დღე კვირაში. 2) დამატებითი მუშაობა, რამდენიმე დღე გაზაფზულსა და შემოდგომაზე ხვნა-თესვა-მკის დროს, ა. წ. precationes. როგორც კვირეული მუშაობა, ისე precationes სწარმოებდა, რასაკვირველია, domen-ზე. 3) გარდა ამისა, ლორდები იღებდენ წელიწადში რამდენიმეჯერ სულად გადასახადს, რომელიც თვითეულ მენორში სხვადასხვანაირი იყო და უმნიშვნელო ფულად გამოსაღებელს ყოველ 3 თვეში. 4) შემდეგ, ყმას ევალებოდა სხვადასხვა მენორში განსხვავებული სამუშაონი, როგორც განსაკუთრებით საურმე ბეგარა (summagium) და სხვ. სასამართლო ჯარიმებს, საბატონო წისქვილს და სხვ. აღარ გამოვუდგები. Domen-ზე მუშაობას თვალყურს ადევნებდა ლორდის მოურავი, bailiff-ი, (იხ. Эшли, Экономическая История Англии, 1897, გვ. 8 და შმდ.).

ახლა გადავიდეთ ქართული წყაროების განხილვაზე: მე-XVI-XVII სს-ის ქართულ საბუთებში (ვგულისხმობთ, დას. საქართველოს) საგლეხო და აგრეთვე სააზნაურო ყოველგვარი გადასახადის და მოვალეობის აღსანიშნავად იხმარება ორი საზოგადო მნიშვნელობის ტერმინი: „ბეგარა" და „სამსახური". ეს ორი ტერმინი ზოგჯერ თითქოს ერთიმეორის მაგივრობასა სწევს: ასე მაგ. ჭყონდიდელ-ცაგარელ-ბედიელის გაბრიელ ჩიქვანის მე-XVII ს-ის მე-2 ნახევრის საბუთში ვკითხულობთ (გვ. 78): „მართებს ხატის ათი ლაღარიკონი სამთელი, ერთი ნარგისი ზეთი, ერთი ნალბაქი საკმეველი, სხვა ამის მეტი არაფერი ამას არ მართებს... არაფერი სხვა უდიერობა ხატის სამსახურის მეტი არა მართებს რა". აქ, თითქოს „ხატის სამსახურის" ქვეშ იგულისხმება ზემოჩამოთვლილი ბეგარა სანთელი და სხვ. აგრეთვე, კ"ზის გრიგოლ ლორთქიფანიძის 1706 წლის სიგელში ვკითხულობთ (გვ. 93): (სამს გლეხს) „ბატონის სამსახურის მეტი სხი ბეგარა არა მართებს რი, თუნიერ საყდრის სამსახური". აქაც „ბეგარა" „სამსახურის" მაგივრად იხმარება და წინაუკმოდ. როგორც ჩანს, „სამსახურის" სანაცვლოდ იხმარება ტერმინი „მუშაობა" ხონის მე-XVI ს-ის დამლევის დავთარში, თუმცა შესაძლოა რომ აქ ეს ორი სიტყვა სხვადასხვასაც აღნიშნავდეს. „ბეგარას" უდრის კიდევ ტერმინი „გამოსავალი": სვიმონ ნიკორწმინდელის მე-XVII ს-ის მე-2 ნახევრის შენირულობის წიგნში ვკითხულობთ (გვ. 81): „დაგვიც ბეგარა და გამოსავალი თქვენი და ასრე მოგვიხსენებია ერთი შამახური სანთელი, ერთი მარჩილის ცხვარი, ერთი კოდის დამცხვარი პური, ერთი შაურის საკმეველი თქვენს ტაძარს მოვიდოდეს". ვრცლად მოვიყვანე ეს ციტატა, რათა ნათელი იყოს რომ „გამოსავალის" ქვეშ აქ არაფერი განსხვავებული არ იგულისხმება. მაგრამ „გამოსავალი", „მოსაკრებელი" და სხვა ტერმინების გარკვევას მე აღარ მოუნდები, რათგან ეს შორს წაგვიყვანდა. ამჟამად ჩვენთვის საინტერესოა ტერმინები „ბეგარა" და „სამსახური".

საქმე იმაშია, რომ თუმცა ზოგჯერ, როგორც აღვნიშნეთ, ეს ტერმინები ერთიმეორის სანაცვლოდ იხმარება, მაგრამ საზოგადოდ საბუთებს ეტყობა, რომ ამ ტერმინებს

ორი სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. არის მთელი რიგი საბუთებისა, სადაც ეს ორი მცნება, „ბეგარა" და „სამსახური", ერთმანეთს დაპირისპირებულნი არიან და ეს ისე აშკარად, ისე ხაზგასმით რომ ეს საბუთები პირდაპირ გვაიძულებენ ეჭვი შევიტანოთ ზემორემოყვანილი და მსგავსი საბუთების გაგებაში, საცა „ბეგარა" და „სამსახურო" თითქოს ერთი-მეორის სანაცვლოდ იხმარება, მით უმეტეს რომ ხშირად ძელგები დაზიანებულია და გამოცემაც უზადო არ არის.

II

ის საბუთები, რომლებშიც „სამსახური" დაპირისპირებულია „ბეგარას" საშუალებას გვაძლევენ გამოვარკვიოთ „სამსახურის" ფუნქცია და მისი შინაარსი.

ბეგარა, როგორც ვიცით, მამულს, მიწას ადევს და შედგება სხვადასხვა ფულადი თუ სულადი გადასახადიდან.

რას წარმოადგენს „სამსახური"?

მთავარეპ˜ზის გაბრიელ ჩიქვანის მე-XVII ს-ის მე-2 ნახევარის სიგელში ვკითხულობთ (გვ. 78): „ხატს მარტო ალაგის ბეგარა ეძლეოდა, თვარამ კაცი ყველა კაცია ჭილაძეს მსახურებდა". აქაც „ალაგის ბეგარა" ისეა ნახმარი, რომ შეიძლება ვიფიქროთ თითქოს „კაცის სამსახურსაც" ბეგარა ეწოდებოდა, თუნდაც, ვთქვათ, „კაცის ბეგარა". მაგრამ აი გელოანთა სიგელი, იმავე ხანისა, სადაც ბეგარა უკვე სავსებით გამოყოფილია სხვა ვალდებულებათაგან: გელოანნი სწერენ (გვ. 81): „თუ თქვენ (ჭყონდიდელმა) თქვენი ყმა, ფოჩიანი, ჩვენს ალაგზედ დაასახლოთ, ბეგარის მეტს სხვას ჩვენ იმ კაცისას არას შემოგეცილოთ, მუშაობა, მგზავრობა და სამსახური ყველა თქვენი იყოს და ბეგარას ჩვენ მოგვცემდეს". მაშასადამე, ბეგარას გელოიანნი მოითხოვენ იმიტომ რომ ყმა მათს ალაგზე, მათს მამულზე სახლობს, მაგრამ რათგანაც ყმა მათი არ არის, არამედ ჭყონდიდელისაა, ამიტომ დანარჩენი ვალდებულებანიც ჭყონდიდელის სასარგებლოდ უნდა შეასრულოს.

ყვაპუ შარვაშიძეს მიუთვისებია საკ˜ზო მამულები ნაჟანეურს, საკ˜ზო ყმებითურთ და დიდი დავისა და ხვეწნის შემდეგ, დაახლ. 1700 წ., მან დასდო ასეთი შინაარსის საფიცრის წიგნი (გვ. 88): „ეს ათი მოსახლე კაცი მოჯალაბიანად, როგორც სხვა ქათალიკოზს (მ)სახურებდა, აგრე გამსახუროთ და თქვენი სამსახური არ დაუშალოთ და არც ჩვენგან ამ კაცებს არც აყრით და არც გაყიდვით არა უშავდეს რა". მართალია, ყვაპუ ბეგარას სულ არ იხსენიებს, მაგრამ აშკარაა რომ კზ˜ს მან დაუბრუნა მხოლოდ მისი ყმები, მამული კი თავისთვის დაიტოვა და ამრიგად იგულისხმებოდა, რომ ბეგარაც მისი უნდა ყოფილიყო. ყველა ამ საბუთებიდან უდავოდ ირკვევა, რომ „ბეგარის" საწინააღმდეგოდ, „სამსახური" ადევს ყმას პირადად, მამულთან უმეშვეოდ დაკავშირებული არაა და რომ ყმა შეიძლება ერთ მებატონეს მსახურებდეს, ხოლო ბეგარას მეორეს უხდიდეს.

ახლა, მას უკან რაც ვიცით, რომ „სამსახური" გარკვეული და ბეგრისაგან განსხვავებული ცნება იყო, ჩვენ შეგვიძლია გამოვარკვიოთ მისი შინაარსიც. რა და რა შეადგენდა „სამსახურს"?

ამაზე პასუხს გვაძლევს იგივე, უკვე რამდენიმეჯერ მოყვანილი, გაბრიელ ჩიქვანის სიგელი. ჩიქვანი სწერს (გვ. 78): „მართებს ხატის ათი ლაღარიკონი სამთელი, ერთი ნარგისი ზეთი, ერთი ნალბაქი საკმეველი, სხვა ამის მეტი არაფერი ამას არ მართებს,

არც ლაშკრობა, არც ნადობა, არც შინაყმობა, არც მუახლობა, არც სხვა საქმრობა, არაფელი სხვა უდიერობა" და სხვ. თუ გავიხსენებთ რომ ამას წინათ ჩიქვანი ამბობს: „ხატს მარტო ალაგის ბეგარა ეძლეოდა, თვარამ კაცი ყველა კაცია ჭილაძეს მსახურებდა", მაშინ ჩვენთვის აშკარა იქნება რომ მას ეს კაცი სწორედ ამ „სამსახურისაგან" გაუთავისუფლებია და „ლაშქრობით", „ნადობით" და სხვ. ის სწორედ ამ სამსახურს ჰგულისხმობს.

„ლაშქრობა" და „ნადობა" მოხსენებულია აგრეთვე ს˙ნ ნიკორნმინდელის შეწირულობის წიგნში. (გვ. 82): „ეს გლეხი ასრე ხელშეუვალად შემოგვიწირავს, რომ თუ მსახუროს ხატსა და მის საყდარს, თვარამ ჩვენ არც ვალაშკროთ და არც ვანადოთ". ხოლო გელოანთა სიგელში იხსენიერება, როგორც ზემოთ მოვიყვანეთ, „მუშაობა, მგზავრობა და სამსახური".

მაშასადამე, „სამსახურის" ცნებაში შედის: მუშაობა, ნადობა, მგზავრობა, ლაშქრობა, შინაყმობა და მუახლობა (გელოანთა სიგელში ხმარებულმა სიტყვამ „სამსახური" არ უნდა შეგვაცდინოს – ცხადია, რომ აქ ეს სიტყვა უფრო ჩვეულებრივი, ა. ვ. ზეპირი და ამასთანავე ვიწრო მნიშვნელობითაა ნახმარი და უდრის სხვაგან მოხსენიებულს „შინაყმობას" და „მუახლობას"; ზემორე ჩამოთვლილმა მაგალითებმა ნათლად გვიჩვენეს, რომ „სამსახური" უფრო ზოგადი ხასიათის ტერმინია და აღნიშნავს ყმის პირადს მოვალეობის, იმას რაც მას მართებს როგორც ასეთს). სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, აღარ გამოუდგები ტერმინების „ლაშქრობა", „მგზავრობა", „შინაყმობა", „მუახლობა" და სხვათა ნიშანდობლივ გარკვევას. ვეცდები გამოვარკვიო მხოლოდ რა არის „მუშაობა" და „ნადობა". ტერმინი „მუშაობა" ყველაზედ უფრო ხშირად იხმარება. როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ხონის დავთარი მხოლოდ ორ ტერმინს იცნობს – „მუშაობას" და „სამსახურს".

ს. ს. ორბელიანი თავის ლექსიკოში ასე განმარტავს სიტყვას „მუშა" – „ქუეყანის მოქმედიო". გამოდის რომ „მუშაობა" ქუეყანის, ე. ი. მიწად-მოქმედებაა. მაშასადამე, თუ საბას განმარტებას დაუჯერეთ, ის ყმა, რომელსაც მუშაობა მართებდა, ვალდებული იყო ბატონის მიწაზე ემუშავნა, ალბად გარკვეული დროის განმავლობაში და გარკვეული რაოდენობით. მართლაც, ვახუშტ აბაშიძის მე-XVI ს-ის შეწირულობის წიგნში ვკითხულობთ (გვ. 23): „კუამლზედა კვირეში ორ-ორის დღის მუშაობა". ე. ი. „მუშაობა" გაწერილია კვამლზე, მთელი კვამლიდან მხოლოდ ერთი კაცი გამოდის სამუშაოდ და ეს „მუშაობა" ყოველკვირეულია. რასაკვირველია, შეიძლება აბაშიძემ სწორედ იმიტომ აღნიშნა საგანგებოდ „ორ-ორის დღის მუშაობა", რომ საზოგადოდ რაიმე სხვა ნესი იყო მიღებული, შეიძლება წინაუკმოდაც, მან მხოლოდ გამოსთქვა ის, რაც სხვაგან თავისთავად იგულისხმება – ამას ჯერ ძიება სჭირია, ყოველ შემთხვევაში, მე მგონია, ცხადი უნდა იყოს, რომ ტერმინი „მუშაობა" მიწაზე, ბატონის მამულზე, მუშაობას ჰგულისხმობს (ე. ი. საბას განმარტება სწორია) და რომ კვამლზე ერთი კაცი გამოდის სამუშაოდ.

თუ „მუშაობა", ვახუშტ აბაშიძის სიგელის წყალობით, შემადგენლობის მხრით გარკვეულია, სამაგიეროდ „ნადობის" ნიშანდობლივ განმარტებას ჯერ-ჯერობით ვერსად ვერ შევხვდი. მაგრამ მისი მნიშვნელობა ისედაც ცხადია, ეს ტერმინი დღესაც იხმარება დას. საქართველოში და საბასაც შესაფერისად აქვს განმარტებული თავის ლექსიკონში – „ნადი-მუშაკნი შეყრილიო". როდისაა საჭირო ნადობა? – სწორედ დიდი სამუშაოს დროს, გაზაფხულისა და შემოდგომის ხვნა-თევსა-მკის და რთველის დროს, როდესაც კვამლზე გამოსული მუშა, ალბად, სამუშაოს ვერ გასწვდებოდა საჭირო იყო მრავალი პირის შეყრა მებატონის შედარებით დიდი მამულის მოსავლელად.

ახლა გვიხსენოთ ის, რაც ზემოთ მოვიყვანეთ ინგლისური მენორიალი სისტემის შესახებ:

1) იქაც ვილანს ევალებოდა კვირეული მუშაობა ბატონის domen-ზე 2-3 დღის განმავლობაში. რასაკვირველია, ეს მუშაობა, განსაკუთრებით ზამთარში, მარტო მინის დამუშავება არ იქნებოდა – ვილანი ალბად ტყესაც ჰკაფავდა, ბატონის ფარასაც უვლიდა და სხვ. და სხვ. და საფიქრებელია, რომ ჩვენშიც კვირეული მუშაობა მინის დამუშავებასთან ერთად სხვა სამუშაოსაც ჰგულისხმობდა, ისე როგორც მაგ. ხონის დავთარში ერთი-ორგან დასახელებულია „სამეჯიბინო მუშაობა". მაგრამ უმთავრესად ეს მაინც მინის დამუშავება იქნებოდა.

2) გარდა ყოველკვირეული მუშაობისა, როცა კუამლზე თითო კაცი გამოდიდა, ინგლისელი ვილანი ვალდებული იყო გაზაფხულსა და შემოდგომაზე დამატებით პრეკაციონებზე გამოსულიყო, რაც ჩვენებური „ნადობის" სრულს ანალოგიას წარმოადგენს და საფიქრებელია, რომ როგორც იქ პრეკაციონებზე ლორდი გამოიწვევდა ხოლმე ხშირად მთელს ოჯახს, დედაწულიანად, იმ დროის განმავლობაში თავისი ხარჯით აჭმევდა და სხვ., ისე ჩვენშიაც ნადობაზე, ალბად, კომლობით გამოდიოდნენ და პურიც ბატონისა იქნებოდა. მაგრამ ამ წვრილმან საკითხებს ჯერ კიდევ კვლევა-ძიება ესაჭიროება.

3) შემდეგ: ინგლისში ლორდი იღებდა წელიწადში რამდენიმეჯერ სულად გადასახადს, რომელიც სხვადასხვანაირი იყო თვითეულ manor-ში. ჩვენში ამის შესატყვისი უნდა იყოს „ძღვენი", რომელიც აგრეთვე წელიწადში რამდენიმეჯერ მოჰქონდათ და სხვადასხვა მამულში სხვადასხვანაირი იყო.

4) ჩვენებური „ბეგარის" შესატყვისი უნდა იყოს ის ფულადი გადასახადი, რომელსაც ლორდი ჰკრებდა წელიწადში ოთხჯერ. მაგრამ ამას ჯერ კიდევ გამორკვევა სჭირია და აქ აღარ გამოუდგები.

დავანებოთ აგრეთვე თავი იმ სხვადასხვანაირს კერძო ხასიათის სამსახურს, რომელსაც ლორდი კიდევ ითხოვდა თავისი ყმებისაგან (როგორიცაა, მაგალითად, საურმე ბეგარა) – ყველაფერი ეს უკვე წვრილმანია შედარებით იმასთან რაც საერთოდ ჩანს ინგლისურს ვილენაჟსა და ქართულ ყმობას შორის. ზემოჩამოთვლილი კმარა იმის ნათელსაყოფად თუ რა საოცარი მსგავსებაა ამ მხრით მე-XI ს-ის ინგლისსა და მე-XVI-XVII სს-ის საქართველოს შორის. მსგავსმა პირობებმა, როგორც ყოველთვის, აქაც მსგავსი შედეგები მოგვცა.

III

მე მაინტერესებს ეხლა domen-ის საკითხი საქართველოში. როგორც აღვნიშნე, ყველა ეს სამუშაონი ინგლისში ბატონის domen-ზე სწარმოებდა. A piori საფიქრებელია, რომ ქართველ მებატონესაც თავისი „domen"-ი ექნებოდა – იგი სოფლად ცხოვრობდა და ალბად, სახლ-კართან ერთად დაიტოვებდა თავის უმეშვეო სარგებლობაში მამულის საკმაოდ დიდ ნაკვეთსაც, მთელი მიწა საბეგროდ გაცემული არ ექნებოდა. სწორედ ამისთვის სჭირდებოდა მას ყმის როგორც კვირეული მუშაობა, ისე ნადობაც. მაგრამ ჩვენს წყაროებში ჯერ-ჯერობით არსად არ შევხვედრივარ ისეთს ადგილს, რომელიც პირდაპირ მიგვითითებდეს domen-ზე, პირდაპირ ლაპარაკობდეს „საბატონო მიწაზე". ჩვენ არ ვიცით რამოდენა იყო ეს მიწა, ერთი მთლიანი ნაკვეთიდან შედგებოდა თუ გაფანტული იყო საყმო მიწებს შორის, არ ვიცით ნიშანდობლივ როგორ სწარმოებდა მისი დამუშავება. ვინ მეთვალყურეობდა სამუშაოებს და სხვ. ჩვენს ძეგლებში ხშირად იხსენიებს „მოურავი", რომელიც თითქოს ინგლისურ bailiff-ს უნდა უდრიდეს, მაგრამ

ჯერ-ჯერობით მაინც არაფრის თქმა გადაწყვეტით არ შემიძლია. ამ საკითხს სამერმისოდ გადავდებ...

ჩვენ დავინახეთ რომ ქართული ყმობის კვალიფიკაციისთვის დიდს სამსახურს გვინევს ინგლისური ვილენაჟი. მაგრამ თვალსაჩინო მსგავსებასთან ერთად არ უნდა დავივიწყოთ არანაკლებ თვალსაჩინო სხვაობაც:

1) ჯერ ერთი რომ ქართველი ყმის მდგომარეობა მე-XVI-XVII სს-ში გაცილებით უფრო რთული იყო, ვინემ ინგლისელი ვილანის მდგომარეობა მე-XI-XII სს-ში. ქართველი ყმის ვალდებულებანი უფრო მრავალმხრივი იყო: გარდა საბატონო ბეგარისა, სამსახურისა, ძღვენის და სხვ. ჩვენს ძეგლებში იხსენიება „სამოურაო მოსაკრებულო" (გვ. 100). „გასამყოფლო" (გვ. 93), „სამეფო თეთრი" (გვ. 37), „ბატონის" ე. ი. მეფის „სამსახური" (გვ. 93) და სხვ., ერთს საბუთში „სამეფო ბეგარა" პირდაპირ გამოყოფილია, როგორც ხელშეუხებელი მებატონის მიერ. ქაიხოსრო იაშვილის 1639-57 წწ-ში მიცემულს წიგნსიგელში სახელდობრ ნათქვამია: „რაც ჩვენს ყმობაშიდ სამეფო ბეგარა, გამოსავალი და სამსახური მართებია, ის ჩვენგან არ გაიუ(ქ)მოდა და საჩვენო უკლებლად მოგვირთმევია" (გვ. 59); ხოლო კ˜ზის გრიგოლ ლორთქიფანიძის 1706 ნლის შენირულობის წიგნიდან ჩანს რომ „სანთლის ბეგარა" კ˜ზის სასარგებლოდ ედო როგორც აზნაურიშვილის ყმას ისე სახასოსაც (გვ. 95, 96). ყველა ამას ჯერ კიდევ გულდასმითი და ხანგრძლივი კვლევა-ძიება სჭირია, რომ ნათელი შეიქმნეს ქართველი ყმის იურიდიული და ეკონომიური მდგომარეობა მე-XVI-XVII სს-ში. ინგლისელ ვილანს კი, მე-XI-XII სს-ში ევალებოდა მხოლოდ საბატონო ბეგარისა და საეკლესიო ათეულის გადახდა, სხვას ის არავის ემსახურებდა. მართალია, შემდეგში გართულდა მისი მდგომარეობაც, მაგრამ ამ მხრივ ქართველი ყმის მდგომარებისაგან შემდეგშიდაც თვალსაჩინოდ განირჩეოდა.

2) ამაზედ უფრო მნიშვნელოვანია შემდეგი განსხვავება: როგორც გამოვარკვიეთ, ქართველ ყმას „სამსახური" პირადად ედო, უმეშვეოდ მიწასთან დაკავშირებული არ იყო, ყოველ შემთხვევაში ჯერხნობით ვერ აღმოვაჩინე „სამსახურის" კავშირი მიწასთან, მიწაზე ჯდომასთან. პირიქით, როგორც ვნახეთ, ყმა უხდის ბეგარას იმას, ვის მიწაზედაც ზის, ხოლო ემსახურება იმას, ვისი ყმაც არის, ვისაც ეკუთვნის პირადად. ამრიგად, ჩვენებური ყმობა თავისი ერთი მხრით ევროპაში ცნობილს სერვიტუტს მოგვაგონებს. ინგლისელი ვილანსაც ედო ზოგიერთი პირადი ხასიათის ვალდებულებანი, რომლებიც ყველა დანარჩენზე უფრო დამამცირებლად იყო მიჩნეული და .რომელთაგან განთავისუფლება შემდეგში, როდესაც ე. ნ. თავისუფალი ჭერა შემოვიდა, ერთ-ერთი ნიშანი იყო ამ თავისუფალი ჭერისა. ასეთი იყო ქალის გათხოვების და საქონლის გაყიდვის შეუძლებლობა ბატონის ნებადაურთველად და ბაჟის გადაუხდელად. მაგრამ საფიქრებელია რომ ეს წესებიც მიწასთან იყო დაკავშირებული, იმ დროიდან მომდინარეობდა, როდესაც მებატონისათვის განსაკუთრებით ძვირფასი იყო თვითეული მუშახელი და თვითეული მუშა-საქონელი manor-ში (Эшли, გვ. 23-24). ყოველ შემთხვევაში, მე არ ვიცი რომ ინგლისში ყმური ბეგარა გაყოფილი ყოფილიყოს მიწის პატრონსა და ყმის პატრონს შორის. ინგლისელ ლორდს ჰყავდა სერვები (servi), მაგრამ ესენი ნამდვილი მონები იყვნენ, მიწა არ ჰქონდათ და პირადად მას ემსახურებოდნენ ან მისი დავალებით ასრულებდნენ სხვადასხვა სამსახურს domen-ზე (მაგ. bailiff-ი ხშირად სერვი იყო ხოლმე). როდესაც რომ შემდეგში ეს სერვები მიწაზე დასხდნენ, პირველ ხანს, მართალია, მათი ბეგარა უფრო მძიმე იყო ვიდრე დანარჩენი ვილანებისა, მაგრამ მალე ისინი სავსებით დაედარნენ სხვა ვილანებს. ისინიც ვილანებივით მიმაგრებულნი იყვნენ მიწაზე, ხოლო მიწა, ადათით, წინაუკმოდ მიმაგრებული იყო მათზე, მაგრამ თუ ლორდი მათ მიწიდან აპყრიდა, ისინი თავისუფლები იყვნენ და შეეძლოთ წასვლა საცა უნდოდათ.

3) ძალიან ბევრის მანიშნებელია მე-3 სხვაობაც: ქართულს ძეგლებში პირველი ადგილი უჭირავს მიწის ანუ „ალაგის" ბეგარას, შემდეგ ძღვენს და მხოლოდ ამის შემდეგ სამსახურს და მუშაობას. ზოგიერთს ძეგლებში, როგორც მაგ. ხონის დავთარში, რაოდენობით ყველა დანარჩენს გამოსაღებელს თვალსაჩინოდ სჭარბობს „ძღვენი". სამსახური კი ბევრგან, შეიძლება ითქვას მეტწილად, სულ არ იხსენიება, ე. ი. ყმას სულ არ მართებს. ინგლისში, პირიქით, პირველი ადგილი უჭირავს კვირეულ მუშაობას და პრეკარიებს და მხოლოდ შემდეგ მოდის ძღვენი, ფულადი ბეგარა და სხვანი. რატომაა ასეთი განსხვავება? ამის ასახსნელად უნდა მოვიგონოთ რომ მე-XI ს-ის manor-ის უმნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენდა domen-ი, რომელზედაც იჯდა ლორდი და რომელიც უმთავრესად ფარავდა მის ხარჯებს. ამ domen-ს დამუშავება უნდოდა და ეს დამუშავება იყო სწორედ უმთავრესი ფუნქცია მთელი manor-ისა. ამიტომაცაა რომ ვილანის მუშაობას ეგზომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ცნობილია, რომ ამ მუშაობამ თავისი მნიშვნელობა დაკარგა და გადანაცვლებულ იქმნა ფულად თუ სულად გამოსაღებელზე მას შემდეგ, რაც მენორიული სისტემა დაირღვა და სოციალ-ეკონომიური პირობები გამოიცვალა, მაშინ როდესაც domen-ის დიდი ნაწილი გაიცა, დანაწევრდა მჭერელთა შორის, როდესაც სოფლის მუშა გაჩნდა, რომლის დაქირავებული შრომით ლორდს შეეძლო თავისი domen-ის ხელშეუხებლად დარჩენილი ნაწილის დამუშავება, როდესაც მისთვის უფრო ხელსაყრელი გახდა ფულის თუ სულადის მიღება ვილანებისაგან მათი პირადი სამსახურის მაგიერ. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ რომ მე-XVI-XVII სს-ის დას. საქართველოშიც domen-ი, საბატონო მიწა, მთელი მამულის მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენდა, რომ მეტწილად მიწა გაცემული იყო საბეგროდ და რომ ზოგიერთ მამულში, შესაძლებელია, საბატონო მიწა სულაც აღარ მოიპოვებოდა ანდა იმდენად მცირედი იყო რომ ბატონს ადვილად შეეძლო დაემუშავებინა იგი რამდენიმე დაქირავებული მუშის შემწეობით, ხოლო ყმებისგან ბევრად უფრო ერჩივნა გადიდებული ძღვენის თუ ბეგარის მიღება, ვინემ მათი პირადი სამსახური. ასეთი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ჯერჯერობით ზოგადად, ხოლო აქვე უნდა აღინიშნოს რომ ეს საკითხი კიდევ დამუშავებას და კვლევა-ძიებას მოითხოვს. თუ ეშლი ინგლისური მე-XI ს-ის manor-ის შესახებ ამბობს, რომ „მამულის მთელს ორგანიზაციას თვალში ჰქონდა შრომის მიწოდება მიწის იმ ნაწილის დასამუშავებლად, რომელიც ლორდს საკუთარ ხელში ეჭირა" (გვ. 31), ჩვენ შეგვიძლია, ცოტა უშნო პერიფრაზით, ვთქვათ, რომ დას. საქართველოს მამულის ორგანიზაციას მე-XVI-XVII სს-ში თვალში ჰქონდა უმეშვეოდ (მებატონის გამოკვება და მისი პირადი ხარჯების დაფარვა) პროდუქტების მიწოდება მებატონისადმი.[1]

[1] ფრჩხილებში ჩასმული წინადადება დედანში გადაშლილია, ხოლო ტექსტის ბოლო სამი სიტყვა ზემოდანაა მიწერილი (რედ.).

ეპიგრაფიკა

სამშვილდის სიონის წარწერები და აშენების თარიღი[1]

სამშვილდის სიონის ქართული წარწერა პირველად გამოსცა მ. ბროსემ, ბართოლომეს გადმონახატის მიხედვით[2], მეორედ, უკეთესად, ე. თაყაიშვილმა[3]. მაინც არც ეს უკანასკნელი გამოცემაა სრული. პირველმა წარწერა და მასთან ერთად, ტაძარიც დაათარიღა იმერეთის მეფის, ნარინ-დავითის ძის კონსტანტინეს ხანით, 1313 წლით, მეორემ – ლეონ აფხაზთა მეფის ხანით, 958 წლით. ორივე გამოცემის მიხედვით ცხადია, რომ წარწერა ამ ასიოდე წლის წინათაც, ბართოლომეს დროს, სწორედ ისეთსავე მდგომარეობაში იყო, როგორც დღეს, ე. ი. მას უკან მას არა დაჰკლებია რა. ხანგრძლივმა და გულდასმითმა დაკვირვებამ საშუალება მოგვცა სრულად ამოგვეკითხა წარწერის შემონახული ნაშთი, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა ნაკლული ადგილების სავარაუდოდ შევსება იმდენად, რომ წარწერის შინაარსი, მიუხედავად იმისა, რომ მას მთელი ორი მესამედი აკლია, სავსებით ნათელი გამხდარიყო. დაბოლოს, მისი თარიღიც და მასთან ერთად, ტაძრის აშენების თარიღებიც სრულებით უდავოდ ირკვევა. ყველა ამის გამო აუცილებელი შეიქნა ამ ფრიად მნიშვნელოვანი წარწერის გამოცემა მესამედ, რასაც წინ უნდა უძღოდეს, პირველ ყოვლისა, მისი ზედმიწევნითი აღწერილობა.

წარწერა მოთავსებულია ტაძრის აღმოსავლეთის ფასადზე, შენობის ხარისხიდან მესამე წყობის ქვებზე, ნიადაგიდან 1,70 მ-ის, ე. ი. ადამიანის საშუალო სიმაღლეზე, ერთ გრძელ სტრიქონად, რომელსაც მთელი ფასადი უჭირავს ანუ, უკეთ, ეჭირა, ალბათ, უმეშვეოდ მოყოლებული შენობის SO კუთხიდან, ვიდრე შენობის NO კუთხემდე. ვინაიდან აღმოსავლეთი ფასადი ტაძრისა, შიგ ჩაშენებული ოთხი თახჩის გამო, დატეხილ ხაზს წარმოადგენს, წარწერაც ამ ხაზს იმეორებს, ე. ი. მისდევს ფასადის ყველა ტეხილებს და მრგვალ ორმაგ პილასტრებზედაცაა გადავლებული, რომლებიც თახჩებშია ჩადგმული.

თავდაპირველი სიგრძე მთელი წარწერისა, ჩემი ვარაუდით, რომელიც დამყარებულია ზუსტ ჩანაზომებზე და აგრეთვე, ჩემ მიერ ქვემოთ წარმოდგენილ აღდგენის ცდაზე, დაახლოებით, ალბათ, ფასადის ტეხილი ხაზის მთელ სიგრძეს, ანუ 26,00 მეტრს უდრიდა. ახლა მას 2/3 აკლია, სახელდობრ, თავში უნდა აკლდეს არა ნაკლებ, ალბათ, 3,40 მეტრისა, რა სიგრძეზედაც აქ ტაძარს, შენობის SO კუთხიდან მოყოლებით, პერანგი აქვს ახდილი; ცენტრში აკლია 5,90 მ (ტეხილი ხაზით), რადგან შუა აფსიდა ტაძრისა სრულებით ჩაქცეულია; ბოლოში უნდა აკლდეს აგრეთვე, ალბათ, იმდენი, რამდენზედაც პერანგია გაძარცული, წარწერის უკანასკნელ შემონახულ სიტყვასა და შენობის NO კუთხეს შორის, რა მანძილიც 2,90 მეტრს შეადგენს; ამას გარდა, შიგა და შიგ წარწერა

---

[1] წაკითხულია საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის საჯარო სხდომაზე 1941 წლ. მაისის 22-ს.

[2] Mélanges Asiatiques tirés du Bulletin hist.-philol de l'Académie des Sciences de St.-Pétersbourg. t. II, St.-Pet, 1896, p. 99-102.

[3] Археологические экскурсии, разыскания и заметки. Известия Кавказского Отделения Моск. Археол. Общ., вып. I., Тифл., 1904, стр. 42-43.

ისეა გადარეცხილი, რომ სრულებით აღარ იკითხება და ასეთი ადგილების ჯამი სულ ერთად 5,00 მ-ის სიგრძეს მოგვცემს. ისე რომ, საბოლოო ანგარიშში, წარწერას 17,20 მ-ის სიგრძის ტექსტი აღარ გააჩნია, ხოლო დაცული არის მეტ-ნაკლებად საღად მხოლოდ 3,80 მ-ის სიგრძის ტექსტი, რომელიც ასე იკითხება (იხ. ქვემ., გვ. 538 და 539, მულაჟის მიხედვით შესრულებული ნახატი)[1]:

I	II	III	IV	V	VI
...თე 14	სავი:თ[2] პტ˜ხშნი ნ˜ლა 23 51	კ˜მფ˜ბაკო 44	სტანტი :ნეიისა[3] 40	დაიდვა საძირკველი ‿ელ 46 46	ითა მ 22

VII	VIII[4]	IX	X		XI
36	45	ა 54	[ღ]შენებაᲲ ვზბ˜კრ 55	შეისოკ[ე] 26	ნა და მისა ოკკოკან 60

XII	XIII		
83	იოვანე იწ'რ'აფდის[5] აესროკ 48	170	250

	XIV	XV	XVI	XVII	
170	[6] ა?დ? 44	73	64	-ი---ო? სრ 35	ოკ'ლ'იად ა'ღ'შე 50

[1] თვითეული ფილაქანი გამოყოფილი მაქვს შვეული ხაზით, ხოლო თახჩის პილასტრები – წყვილი შვეული ხაზებით; შვეული პუნქტირი უჩვენებს კუთხის ქვის ნიბოს, ე. ი. კუთხეს, ანდა ორმაგი პილასტრის ნახევარს. ფილაქნებს და პილასტრებს ზემოდან მიწერილი აქვთ რიგითი ნომერი, რომაული ციფრით, და ქვემოდან სიგრძე (პილასტრებისათვის დაახლოებით), არაბული ციფრით, სანტიმეტრებში.

[2] პირველი „თ"-ანის მხოლოდ მარჯვენა ნახევარი ჩანს კარგად.

[3] ასეა და არა „კოსტანტნესა" ან „კოსტანტიᲲსა", როგორც ბროსე და თაყაიშვილი ჰკითხულობდნენ.

[4] ორ უკანასკნელ ფილაქანს (№№ VII და VIII) არავითარი ნაშთი წარწერისა აღარ ეტყობა, ისე რომ არაა გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ეს ქვები, რომლებიც ქანით დანარჩენებში არ განსხვავდება, ერთ-ერთი შეკეთების დროს ჩაუდგამთ აქ პირვანდელი წარწერიანი ფილაქნების მაგივრად.

[5] თუმცა ამ ადგილას წარწერა ძალზეა გადარეცხილი, მაინც ნამდვილად „იწრაფდის" სწერია, რაც საინტერესოა და უძველეს ფორმას უნდა წარმოადგენდეს ამ სიტყვისას. მერმინდელ ფორმაში („სწრაფვა") „ს"-ანი, მაშასადამე, ძირეული კი არაა, არამედ პრეფიქსალური წარმოშობისა უნდა იყოს. ასეთივე უ-ს-ანო ფორმა გვხვდება უძველეს ხანმეტ ტექსტებში (ივ. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძვ. ქართ. ხელთნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის, ტფ. უნივ. მოამბე, II, 1922-1923, გვ. 385, სტრ. 3 ქვემოდან: „იწრაფე") და აგრეთვე, X ს-ის ტექსტებში იპოლიტეს თარგმანების (ნ. მარრის გამოცემა, TP, III, СПБ, 1901, თავი 2, გვ. იე, სტრ. 155: „იწრაფა") და სახისმეტყველისა (ნ. მარრის გამოცემა, TP, IV, СПБ, 1904. იგავი იდ, სტრ. 18: „იწრაფეთ" იგავი, ლა, სტრ. 28: „წრაფაᲲ"). ნ. მარრს (აქვე, გვ. XXIV, § 6b) სანიანი ფორმები მიაჩნია უძველესად, ნამდვილად კი, სწორედ უ-ს –ანოა ძველი ს-ანიანი ფორმები მიაჩნია უძველესად, ნამდვილად კი სწორედ უ-ს-ანოა ძველი.

[6] უკანასკნელი სამი გრძელი ხაზი ჩაქცეული შუააფსიდის წახნაგებს აღნიშნავს.

XVIII	XIX	XX		XXI
ნებაᲘ ნ̄ დ--[1]		ᲐᲓᲜᲐ სტო	ვათა[2] და ნ̄ ლა გ̄ ლეონ მეფ̄Ა	დღესა ენკენია
38	78	23	81	41

XXII	XXIII	XXIV	
სა ყᲐოᲜ საᲐტ	ფოკრებაᲘ[3] ვ̄ დღე	დიდითა ᲐკᲜ რებითა	განშოკ...
28	53	28	51



სამშვილდის სიონის სამხრეთი ფასადის (სანათლავის კედელზე მოთავსებული) ქართული და სომხური წარწერები. ნახატი შესრულებულია მულაჟის მიხედვით. ზომ. 1/5. იხ. ტექსტი, გვ. 547-554.

---

[1] ქვა № XVIII ამჟამად ჩამოვარდნილია; იგი იქვე ახლოს, ტაძრის აღმოს. ფასადთან ეგდო. ამ ქვაზე, ამოკოდვილია სხვა მთავრული ხელით კიდევ შემდეგი ხუთსტრიქონიანი წარწერა: „განრ?ᲚᲚ | ნეო? ე | ოკ? ლ? ი | სამა | გ̄კნა?“ (შვეული ხაზებით გამოვყავი სტრიქონები; ქარაგმის ნიშანი აქ ისეთივეა, როგორც ძირითადი წარწერისა, რომელთანაც ამ რამდენსამე სტრიქონს სხვებრ საერთო არა უნდა ჰქონდეს რა).

[2] ბროსეს წანაკითხი აქ უდავოდ სწორეა.

[3] ამ სიტყვაში ასო „ფ“-არისა მხოლოდღა ერთი, მარჯვენა მარყუჟი ჩანს, რომელიც სრულად შეკრულ რგოლს წარმოადგენს, რაც უცნაურია და რის გამოც ამ ასოს ნამდვილი სახის აღდგენა ძნელდება.



სამშვილდის სიონის აღმოსავლეთი ფასადის წარწერა. დასაწყისი.

ქარაგმების გახსნით და უთუმცაო ადგილების შევსებით:

„... [ნა]თესავით პიტიახშნი[1]. წელსა კ[2] მეფობასა კოსტანტინეჲსა დაიდვა საძირკველი ჴელითა მ... ა[ღ]შენებაჲ. ვარაზბაკურ შეისოკ[ე]ნა და მისა ოკკოკან[ით] ... იოვანე იწ'რ' აფდის. აესროკ[ლა] ... სროკ'ლ'იად ა'ღ'ᲨᲔᲜᲔᲑᲐᲲ წმიდ[ისა ამის ეკელესიაჲსაჲ] 'და' სტოვათა. და წელსა გ[3] ლეონ მეფისასა, დღესა ენკენიასა, ყ'ო' სა'ტფ,ოკრებაჲ ვ[4] დღე დიდითა 'კ'რებითა, განშოკ...

---

1 ანდა „პატიახშნი" – ძველ ქართულ წყაროებში ეს ფორმა კიდევაც უფრო ხშირად გვხდება, თუმცა უძველესი მაინც უფრო „პიტიახში" ჩანს.

2 ე. ი. „მეოცესა".

3 ე. ი. „მესამესა".

4 ე. ი. „ექვს".



სამშვილდის სიონის აღმოსავლეთი ფასადის წარწერა. დასასრული.
ნახატი შესრულებულია მულაჟის მიხედვით. ზომ. 1/5. იხ. ტექსტი, გვ. 535-540.

ამოკოდვილი ღრმად არაა და ამიტომ არის, რომ ბევრგან წარწერა ძალზე გადარეცხილა, ხოლო ზოგგან, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, მისი კვალი იმდენად წარხოცილია, რომ ეჭვი იბადება, ეგების ზოგიერთი წარწერიანი ფილაქანი იმავე ქანის უწარწერო ფილაქნით იყოს შეცვლილი. აქა-იქ თითქოს წითელი საღებავის ნაკვალევი ჩანს ამოთა ამოჭრილებში. საზოგადოდ, ტექნიკური თვალსაზრისით, წარწერა ვერაა რიგიანად შესრულებული: ზოგი ასო მსხვილია, ზოგი წვრილი, ზოგი უფრო მაღალია, ზოგი უფრო დაბალი[1], სტრიქონში ყველა ერთნაირად არა ზის, ერთ დონეზე არაა

[1] ერთი და იგივე ასოების სიმაღლეც განსხვავდება: ასე. „ტ" არის 5,5 სანტიმეტრისა და არის 9 სანტიმერის სიმაღლის, „შ" – 7,5 და 10 სანტიმეტრის სიმაღლის, „ე" – 5,5 და 6,5 სანტიმეტრის სიმაღლის და ა. შ., ზოგი ასო ნამეტანი მაღალია, მაგ., „კ" 11,5 სანტიმეტრს აღწევს, ზოგი კი, შედარებით, სულ დაბალია, მაგ., „ა" 4 სანტიმეტრს იშვიათად გადააცილებს და მისთ. (იხ. მასშტაბში შესრულებული გადმონახატი წარწერისა).

მოქცეული, არამედ ზოგიერთი მეტ-ნაკლებად ამოვარდნილია სტრიქონიდან და მისთ. განსაკუთრებით დამახასიათებელია ამ მთავრული დამწერლობისათვის, რომ მრავალი ასო ორხაზოვან ბადეში არ ეტევა, არამედ ქვევითკენ სცილდება მას, რის გამოც დამწერლობას სამხაზოვანი სისტემის ხასიათი ეძლევა[1]. ასეთი ასოებია, ჯერ ერთი, Ъ (მაგრამ ყოველთვის არა), ϥ, ϥ (ესეც ყოველთვის არა), Φ, Ч და Ϩ, რომლებიც სხვა მთავრულ წარწერებშიც ზოგჯერ სამხაზოვნად გვევლინებიან (იხ. ჯავახიშვილის პალეოგრაფია, ტაბულა I). უფრო საინტერესოა, რომ ჩვენს წარწერაში სამხაზოვანია აგრეთვე Ϣ, Ϣ, Ꙋ, Ѣ და ზოგჯერ Ꙗ, Ꙗ, Ѧ და Ꙗ. გარდა ამისა, ჩვენს წარწერაში ორჯერ გვხვდება ქართულისათვის უჩვეულო, სომხური მთავრულისათვის დამახასიათებელი ლიგატურები ՍԲ და ՄՀ სიტყვაში „პტ˜ხშნი“. ორივე ზემოაღნიშნული გარემოება სამშვილდის სიონის წარწერას თავისებურს, ძველი ქართული წარწერებისათვის უჩვეულო იერს ანიჭებს.

ქარაგმის ნიშანი წარმოადგენს გრძელ სწორ ხაზს, რომელიც მთელ დაქარაგმებულ სიტყვასა ჰფარავს.

პალეოგრაფიულად ამ წარწერის გადმოტანა X ს-ზე აქეთ შეუძლებელია, ისე რომ ბროსეს ზემომოყვანილი დათარიღება უკვე ამის გამო იხსნება. მაგრამ X ს-ზე ადრინდელი წარწერები ისე ცოტა მოგვეპოვება, რომ ჩვენი წარწერის განსაზღვრა ზოგადი პალეოგრაფიული თვალსაზრისით, უფრო ნიშანდობლივ ძნელია. შეიძლება ითქვას მხოლოდ, რომ იგი VII-X საუკუნეებს შორის უნდა მოექცეს. „ჯ“ და „ყ“ გახსნილებია, მაგრამ ეს მოვლენა IX ს-ის შუახანებში უკვე გვხვდება (იხ. ატენის სიონის 853 წლ. წარწერა ჯავახიშვილის პალეოგრაფიულ ტაბულაში). „ბ“, თავისი ბუნის სიგრძით და კუთხოვანობით, მიაგავს წრომის VII ს-ის წარწერისას (იხ. გ. ჩუბინაშვილის Georgische Baukunst, Bd. II, Tifl., 1934. S. 6, Abb. I). ასევე, სამხაზოვანი „შ“-ც მიაგავს მცხეთის ჯვრის ეკლესიის ქობულ-სტეფანეს VII ს-ის წარწერისას (იხ. ჯავახიშვილის ტაბულა). „ჯ“ სრულებით ისეთივეა, როგორც ვეჟან ატენელის VIII ს-ის წარწერისა (იხ. იქვე). „პ“, თავისი სრულებით სწორი, მარტივი წარზიდულით („რქით“), არქაულია და ჯავახიშვილის პალეოგრაფიული ტაბულის მიხედვით VIII ს. არ გადმოსცდება. ამგვარად, დამწერლობა თითქოს უფრო VIII ს-ზე მიგვითითებს, მაგრამ დანამდვილებით არაფრის თქმა არ შეიძლება. პირიქით, თვითონ ეს წარწერა, რომელიც, როგორც ვნახავთ, თავისი შინაარსის მიხედვით შეიძლება ზედმიწევნით დათარიღდეს, საფუძვლად უნდა იქნას დადებული გარკვეული რაიონისა და გარკვეული ხანის ქართული პალეოგრაფიის ნიშანდობლივი თვისებების დასადგენად.

როგორც უკვე აღვნიშნე, ზემომოყვანილს, სრულად და ზუსტად ამოკითხულ ტექსტს თუ ჩავუკვირდებით, ჩვენთვის ნათელი გახდება მთელი წარწერის შინაარსი და შესაძლებელი შეიქნება შემონახული ფრაგმენტის შევსება იმდენად, რომ ზოგან ტექსტი სავარაუდოდ, სინამდვილესთან მეტ-ნაკლები მიახლოებით იქნას შევსებული, ზოგან კი, სადაც ასეთი შევსების საშუალება უკვე აღარ არსებობს, ზოგადად მისი სავარაუდო შინაარსი იქნას აღწერილი. ამისათვის საჭიროა გათვალისწინებული გვქონდეს შემდეგი:

1) ზუსტი გამოანგარიშება ცხადყოფს, რომ ჩვენი წარწერის თითოეულ ასოს ფილაქანზე საშუალოდ 5 სანტიმეტრის სიგანის ადგილი უჭირავს[2]. 2) შემონახული

---

[1] ზედა ხაზი ყველა ასოსთვის საერთოა და ამიტომ ეს დამწერლობა ოთხხაზოვნად ვერ ჩაითვლება, მაგრამ იგი არც ორხაზოვანია, როგორც ჩვეულებრივი ასომთავრული დამწერლობა (იხ. ივ. ჯავახიშვილის ქართული პალეოგრაფია, თბ. 1926, გვ. 105).

[2] სახელდობრ, II ფილაქნის მე-2 ნახევარი რომ ავიღოთ, აქ 10 ასოს 51 სანტიმეტრი დასჭირდა, III ფილაქანზე 7 ასომ 44 სმ დაიჭირა, V-ზე 8 ასომ – 46 სმ, VI-ის 1-ელ ნახევარზე 11 ასომ

ფრაგმენტი წარწერისა სრულებით გარკვევით გვაუწყებს, რომ წარწერა ტაძრის აღმაშენებლებს ეკუთვნის, მათი შეკვეთითაა გაკეთებული (ამას თავისთავად მოწმობს უკვე მისი მოთავსება აღმოსავლეთის ფასადის სიგრძეზე, რასაც საზეიმო ხასიათი აქვს); იგი განსაზღვრავდა ტაძრის აშენების თარიღებს და მოკლედ მოგვითხრობდა ამ ხნის განმავლობაში, მშენებლობასთან დაკავშირებით, აღმშენებელთა საგვარეულოში თუ ოჯახში მომხდარ ცვლილებს.

3) შემონახული ტექსტიდან ცხადია, რომ ორი პირველი სიტყვის შემდეგ: „[ნა]თესავით პიტიახშნი", წერტილი უნდა დაისვას – აქ დამთავრებულია ერთი წინადადება და იწყება მეორე. ამავე დროს, აზრის მიხედვით, საფიქრებელია, რომ აღნიშნული ორი სიტყვა მთელი წარწერის სწორედ პირველ წინადადებას ამთავრებდა, რომ წარწერას თავში ბევრი არა უნდა აკლდეს რა, არამედ აქ მხოლოდ ღვთაებისადმი მიმართვა და ტაძრის მშენებელთათვის წყალობის ვედრება იყო მოთავსებული. აქ, როგორც ვიცით, კედლის პერანგი გაძარცულია 340 სანტიმეტრის სიგრძეზე, შენობის SO კუთხიდან მოყოლებით, და, ამგვარად, ადგილი მართლაც იძლევა საშუალებას, წარწერის დასაწყისი ზემოაღნიშნული შინაარსით აღვადგინოთ[1].

4) ცხადია, აგრეთვე, რომ შემდეგ სიტყვებისა: „დაიდვა საძირკველი ჴელითა", უნდა მოდიოდეს დასახელება იმისა, ვისი ხელითაც საძირკველი დაიდვა. ყოველ ეჭვს გარეშე, ეს არის ვარაზბაკური, რომელიც იქვე, ლაკუნის შემდეგ, იხსენიება შესვენებულად, ე. ი. გარდაცვლილად. აქედან ნათელი ხდება, რომ მას მხოლოდ საძირკველი დაუდვია და აღშენების დასრულება კი ვეღარ მოუსწრია. ლაკუნაში სწორედ ეს გარემოება უნდა ყოფილიყო მოხსენებული, მის წოდებულებასთან ერთად[2].

– 46 სმ, მე-2 ნახევარზე 4 ასომ – 22 სმ, XX-ის მე-2 ნახევარზე 18 ასომ – 81 სმ და XXIV-ზე 12 ასომ 51 სმ. ეს მაგალითები იკმარებს შუაციფრის მისაღებად – 51:10≈5 44:7≈6, 46:8≈5,5, 46:11≈4, 22:4=5,5, 81:18=4,5, 51:12≈4; 5+6+5,5+4+5,5+4,5+4=34,5:7≈5 სმ.

[1] მაგ., ასე: „[ქ ყ˜დ ნ˜ო ღისმშ˜ბლო შეინყალენ მაშენებელნი ამის ნ˜ა ეკლესიისანი ეზ˜ბკრ ი˜ე და ... ნა]თესავით პტ˜ხშნი". რა თქმა უნდა, ასე „აღდგენილ" ტექსტში ყოველი სიტყვა პირობითია, მაგრამ საერთო აზრი მაინც ასეთი უნდა იყოს. მრავალწერტილი გულისხმობს უცნობი მაშენებლის ან მაშენებლების სახელებს (იხ. ქვემოთ). აღდგენილი ნაწილისათვის სულ რომ დაახლ. 70 ასო ვიანგარიშოთ, იგი კარგად დაეტოდა ზემოაღნიშნულ, 340 სმ-ის სიგრძის ადგილზე (70 ასო X 5 სმ = 350).

[2] ეს ხარვეზი კიდევ უფრო პირობით შეიძლება „აღვადგინოთ", ვინემ წარწერის დასაწყისი: ვინაიდან ლაკუნა (ფილაქნები № № VII-IX) სულ 135 სმ-ის სიგრძისა, მასში შეიძლება მოთავსდეს დაახლ. 27 ასო (რა თქმა უნდა, აქ დასაშვებია ცოტა მეტ-ნაკლებობაც). ლაკუნის წინ დაცული ასო „მ" არ შეიძლება არც საკუთარი სახელის დასაწყისი იყოს, რადგან საძირკვლის დამდები ვარაზბაკური იყო, არც ნაცვალსახელისა („მ[ისითა]"), რადგან წინამავალ ტექსტში ნიშანდობლივ ჯერ არავინ ყოფილა დასახელებული, არამედ საფიქრებელია, რომ იგი რაიმე წოდებულების პირველ ასოს წარმოადგენს. ეგებ აქ „მამფალი" უნდა ვიგულვოთ; – „მეუფე", რა თქმა უნდა, გამორიცხულია, ხოლო „მაგისტროსი" ამ დროს ქვემო-ქართლში ძნელი წარმოსადგენია (ამ მხრივ დამახასიათებელია, რომ მოქცევაᲘ ქართლისაᲘს მატიანით, ქართლის განმგებელნი VII-VIII საუკუნეებში, ე. წ. დიდნი ერისთავნი მხოლოდ ვარაზბაკურამდე ატარებენ ბერძნულ ტიტულატურას, შემდეგ კი, მთელი VIII ს-ის განმავლობაში, ვიდრე აშოტ კურაპალატამდე, მათ ეს ტიტულატურა აკლიათ, იხ. СМОМПК, XLI, გვ. 64-67). უბრალო ეპითეტიც, მაგ., „მცირისა", ნაკლებადაა საგულვებელი. „მამფალი" კი სავსებით დასაშვებია (შდრ. ოძრჴის წარწერა, ე. თაყაიშვილის გამოც., ИКОМАО, I, გვ. 63-66). ამისდა მიხედვით, ლაკუნა, სავარაუდოდ, ასე შეგვიძლია შეავსოთ: „მ[ფ˜ლა და ე˜სა

5) მომდევნო ტექსტი ნათელჰყოფს, რომ ვარაზბაკურის შემდეგ („მისა ოკკოვან[ით]") იოვანეს განუგრძია მშენებლობა და ამ უკანასკნელი სახელის წინ არსებულ ლაკუნაში, ალბათ, განსაზღვრული იყო მისი დამოკიდებულება განსვენებულ ვარაზბაკურთან და, ალბათ, მისი წოდებულებაც[1].

6) ამას იქით ჩვენს ტექსტს ძალიან ბევრი აკლია, თითქმის 8 მეტრამდე, მაგრამ წარწერის ბოლოდან ცხადია, რომ იოვანეს მიცვალების შემდეგ ვიღაც მესამეს დაუსრულებია ტაძრის აშენება („სროკ'ლ'იად ა'ღ'ᲨᲔᲜᲔᲑᲐᲘ წ'დ[ისა ამის ეკლესიაისაᲘ][2] 'და' სტოვათა") და რომ ეს უკანასკნელი პირი უთუოდ ეპისკოპოსი ყოფილა, რადგან, როგორცა ჩანს, მანვე, მშენებლობის დამთავრებისას, „ყ'ო' სა'ტფოკრებაᲘ", ე. ი. აკურთხა ახალი ეკლესია[3].

7) დასასრულ, ბოლოში, აზრის მიხედვით, ისევე, როგორც თავში, წარწერას ბევრი აღარაფერი უნდა დაჰკლებოდეს, რადგან ყველა ის, რაც საჭიროა აღმშენებლობისათვის, უკვე მოთხრობილია. ფრაგმენტის უკანასკნელი სიტყვა შეიძლება გავიგოთ თითქოს მხოლოდ როგორც „განშოკ[ენებად]" ან „განშოკ[ენდა]", შემდეგ ტექსტს კიდევ რამდენიმე სიტყვა უნდა აკლდეს და ბოლოში – ჩვეულებრივი და სავალდებულო „ა˜ნ". მაინც აქ როგორ თავდებოდა წინადადება, ნათელი არაა.

წარწერა, ალბათ, შენობის NO კუთხემდე იყო მიყვანილი, რათა SO კუთხესთან სიმეტრია ყოფილიყო დაცული[4].

ვზბ˜კრთა და ვერღა მოესწრო] ა[ღ]შენებაᲘ", რის შემდეგაც, აზრის მიხედვით, წერტილი უნდა დაისვას.

1 რადგან იოვანე „იწ'რ'აფდის", ე. ი. ჩქარობდა და მაინც კიდევ ისიც გარდაცვლილა („აესროკ[ლა]") მშენებლობის დამთავრებამდე, ამიტომ საფიქრებელია, რომ ვარაზბაკურის მიცვალებისას იგი უკვე ხანში შესული ან კიდევაც მოხუცი იყო (სწორედ ამიტომ „იწრაფდის"). აქედან შეიძლება დავუშვათ, რომ იგი ვარაზბაკურის ძე კი არ იქნებოდა, არამედ სხვა ახლო ნათესავი, მაგ., ძმა, და ამისდა მიხედვით ლაკუნა შემდეგნაირად, ისევ-ისე პირობით და სავარაუდოდ, შევავსოთ: „და მისა ოკკოვან[ით ძმაᲘ მისი ერ˜თვი] იოვანე იწ'რ'აფდის" (ლაკუნის სიგრძე 83 სანტიმეტრია, ისე რომ შიგ შეიძლებოდა 16-17 ასოც დატეულიყო).

2 ლაკუნა აქ 88 სანტიმეტრის სიგრძისაა, ისე რომ 18 ასო შიგ კარგად ჩაეტეოდა.

3 რასაკვირველია, 8 მეტრის სიგრძის ხარვეზში იმოდენა ტექსტი დაეტეოდა (დაახლ. 30-მდე სიტყვა შეიძლება ვივარაუდოთ), რომ, ვინ იცის, შინ რა ამბები იყო მოთხრობილი და მშენებლობის შემსრულებელი, ვარაზბაკურის შემდეგ, მესამე კი არა, ეგებ, მეოთხე პირიც ყოფილიყოს, მაგრამ ის მაინც ცხადია, რომ ეკლესია მასვე უკურთხებია. საფიქრებელია აგრეთვე, რომ ისიც „ნათესავით პიტიახშთა" საგვარეულოს ეკუთვნოდა.

4 არა მგონია, რომ წარწერა NO კუთხეს მოუხვევდა და ჩრდილოეთის ფასადზე გადადიოდა, რომლის პერანგი ამჟამად გაძარცულია.

ზემოთ მე ვეცადე ლაკუნები ასეთ თუ ისე შემევსო. ამგვარად „აღდგენილი" ტექსტი შემდეგ სახეს მიიღებს, ქარაგმების გახსნით:

„[ქ. ყოვლად წმიდაო ღმრთისმშობელო, შეიწყალენ მაშენებელნი ამის წმიდისა ეკლესიისანი, ვარაზ-ბაკურ, იოვანე და..., ნა]თესავით პიტიახშნი. წელსა კ˜ მეფობასა კოსტანტინეისა დაიდვა საძირკველი ჴელითა მ[ამფლისა და ერისთავისა ვარაზბაკურისათა და ვერღა მოესწრო] ა[ღ]შენებაᲘ. ვარაზბაკურ შეისოკ[ე]ნა და მისა ოკკოვან[ით ძმაᲘ მისი, ერისთავი] იოვანე, იწ'რ'აფდის. აესროკ[ლა იოვანეცა] (და მის შემდეგ ვიღაც სხვას, უთუოდ ეპისკოპოსს და, ალბათ, აგრეთვე პიტიახშთა ნათესავს, მისცა უფალმან) სროკ'ლ'იად ა'ღშენებაᲘ წმიდ[ისა ამის ეკლესიაისაᲘ] და სტოვათა. და წელსა გ˜ ლეონ მეფისასა, დღესა ენკენიასა, ყ'ო' სა'ტ' ფოკრებაᲘ ვ˜ დღე დიდითა 'კ'რებითა, განშოკ[ენებად]...

როგორც მოვიხსენიე, გარეგნული ნიშნების მიხედვით, პალეოგრაფიულად, ეს წარწერა VII-X საუკუნეების ფარგლებში უნდა მოექცეს. ვნახოთ ახლა, რას გვეტყვის მისი შინაარსი.

სამშვილდის სიონი „[ნა]თესავით" (ე. ი. ჩამომავლობით) პიტიახშებს აუგიათ. ვინ არიან წარწერაში მოხსენებულნი ვარაზბაკურ და იოვანე, ჩვენ არ ვიცით, რადგან ამ პირთა შესახებ ქართულს (და არც სომხურს) საისტორიო წყაროებში არავითარი ცნობები შენახული არაა, მაგრამ საგულისხმოა, რომ „პიტიახშთა ნათესავნი" ჯუანშერის თხზულებაში გვხვდებიან, სადაც ისინი იხსენიებიან VII ს-ის შუახანების ამბებთან დაკავშირებით.

უძველეს პიტიახშებს რომ თავი დავანებოთ[1], ქართული საისტორიო წყაროები ქართლისა პიტიახშს პირველად იხსენიებენ V ს-ში. ეს არის არშუშა (იაკობ ხუცესი), რომელსაც სომხური წყაროებიც იცნობენ (კორიუი, ლაზ. ფარპელი) და მ. ხორენელი გუგარკის ბდეშხს ეძახის, და რომელიც V ს-ის პირველ ნახევარსა და შუახანებში ცხოვრობდა (შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართვ. ერის ისტორია, I[3], თბ. 1928, გვ. 218 და H. Hübschmann, Die altarmenischen Ortsnamen, 1904, გვ. 276). ამისი შვილი იყო ვარსქენ ქართლისა პიტიახში (იაკობ ხუცესი, ლაზ. ფარპელი, მოქც. ქართლისაᲘს მატიანე), რომელიც ვახტანგ გორგასალმა 482/3 წელს მოკლა (ჯავახიშვილი, იქვე, გვ. 221). ამ პიტიახშებს, როგორც ეს ლაზარე ფარპელისა და იაკობ ხუცესის მოთხრობიდან ჩანს, ჰნიშნავდა და ამტკიცებდა სპარსეთის მპყრობილი. VI ს-ის პირველ ნახევარში, სახელდობრ, 540 წელს, იხსენიება არშუშა II ქართლისა პიტიახში (ევსტათი მცხეთელის ცხორება). სხვა ქართლის პიტიახშები, რამდენადაც ვიცი, ცნობილნი არ არიან, მაგრამ ზემომოყვანილის მიხედვითაც სრულებით ცხადია, რომ V-VI საუკუნეებში პიტიახშობა გარკვეულ ადმინისტრაციულ თანამდებობას აღნიშნავდა და ამ თანამდებობის შემსრულებელი პირი ერთი იყო[2]. მეორე მხრით, ის გარემოება, რომ სამ ცნობილ პიტიახშთაგან ორს, ქართული წყაროების მიხედვით, საკმაოდ იშვიათი სახელი არშუშა[3]

კიდევ გავიმეორებ, რომ აღდგენილი ტექსტი მეტწილად სავსებით პირობითია და მომყავს აქ მხოლოდ იმისათვის, რომ წარწერის შინაარსი სავსებით ნათელი შეიქნეს. თვით ეს უკანასკნელი კი (ე. ი. შინაარსი), ვგონებ, ეჭვებს არ უნდა იწვევდეს.

[1] ვგულისხმობ არმაზში წარმოებული არქეოლ. გათხრების შედეგად ცნობილს, ქრისტიანობის პირველი საუკუნეების პიტიახშებს (ამათ შესახებ იხ. გ. წერეთლის Армазская билингва, თბილისი, 1941, გვ. 50-65).

[2] სხვათა შორის, ლ. მროველისა და ჯუანშერის ცნობებიდან ჩანს, რომ ძველად „პიტიახში" ანუ „პატიახში" „ერისთავის" სინონიმად მიაჩნდათ. ასე, მაგ., ლ. მროველი გადმოგვცემს, რომ ფარსმან ქველის დამარცხების შემდეგ სპარსელებმა არმაზში დატოვეს თავისი ერისთავი – „ერისთავი არმაზისი" (მარიამის. ქც˜ა, გვ. *163), რომლის ქვეშაც, ცხადია, სპარსთა პიტიახში უნდა იგულისხმებოდეს, ხოლო ჯუანშერი ვარსქენ პიტიახშს რანის ერისთავს ეძახის (იქვე, გვ. *404-405). ე. ი., მას პიტიახშობა და ერისთავობა ერთი-მეორის სინონიმად მიაჩნია. სხვა ადგილას კიდევ ჯუანშერი ამბობს, რომ ვახტანგის ჯარს მეთაურობდნენ „პატიახშნი და სპასპეტნიო" (იქვე, გვ. *39). აქედანაც ცხადია, რომ სპარსული „პატიახშნი"=ქართულს „ერისთავნი"-ს (შდრ. გ. წერეთლის დასახელებული ნაშრომის გვ. 55-58).

[3] იბერიის გამგეთა შორის VII ს-ის დამდეგს სომხური ეპისტოლეთა წიგნი ასახელებს ეინმე არშუშასაც (ჯავახიშვილის ქართვ. ერის ისტ., I[3], გვ. 241). შესაძლებელია ეს იგივე არშუშა იყოს, რომელიც მოხსენებულია როგორც მამფალი, პატრიკი და ქართველი ერისთავი, ზემოთ უკვე დასახელებულ ორძჭის წარწერაში (Изв. Кавк. Отд. Моск. Арх. Общ., I, გვ. 63). გარდა ამისა, მე ვიცნობ კიდევ სამ სხვა არშუშას: მათგან ერთი, არშუშა კურაპალატი,

ჰრქმევია, საფიქრებელსა ჰხდის, რომ ეს თანამდებობა ერთ გარკვეულ გვარსა ჰქონდა დამკვიდრებული, რომ სპარსეთის მეფე ქართლის პიტიხშებად მაინც და მაინც ერთი და იმავე გვარის შვილებს ნიშნავდა ხოლმე[1]. აქედან გასაგები ხდება თუ როგორ გაჩნდნენ შემდეგნი „ნათესავით პიტიახშნი".

ქართლის პოლიტიკური ისტორია VI-VII საუკუნეების მიჯნაზე გვაფიქრებინებს, რომ პიტიახშობა, როგორც ქვეყნის საგამგეო, ჩვენში უნდა მოსპობილიყო ან უკვე VI ს-ის დამლევს, მავრიკი კეისრის დროს, ანდა, ყოველ შემთხვევაში, VII ს-ის პირველი მეოთხედის განმავლობაში, ჰერაკლე კეისრის ლაშქრობათა შედეგად, რის შემდეგაც აქ ჯერ ბერძენთა და მერმე არაბთა მფლობელობა დამყარდა, სულ სხვა ადმინისტრაციული ერთეულებით და თანამდებობებით. ამას იქით პიტიახშობა უკვე უბრალო წოდებად უნდა გვეგულებოდეს IV-VI საუკუნეების პიტიახშთა ჩამომავალთათვის. ახლა უკვე პიტიახში ერთი კი აღარ იქნებოდა, არამედ რამდენიმე, რადგან გვარიშვილები ბევრნი იყვნენ. მაინცა და მაინც დამახასიათებელია, რომ VII ს-ის ამბების მოყოლისას ჯუანშერი სამჯერ იხსენიებს პიტიახშებს მრავლობითი რიცხვით[2]. ერთგან ის ამბობს: არაბთა პირველი შემოსევისას (რომელსაც იგი, როგორც ცნობილია, შეცდომით მურვან ყრუს ლაშქრობას უკავშირებს), ე. ი. 643 წ., „ყოველნი მთავარნი და პატიახშნი, ნათესავნი ერისთავთა, წარჩინებულნი ქართველთანი შევიდოდეს კავკასიადო" (ჭიჭინაძის გამოც. ქცˇა, გვ. 249, მარიამის. ქცˇა, გვ. *419). მეორედ, ამავე ამბავთან დაკავშირებით, ჯუანშერი გადმოგვცემს, რომ ანაკოფიის ციხეში შეხიზნულ მირსა და არჩილთან იყვნენ „სიმრავლე მცირედ ტაძრეულისა მათისა და ნათესავნი ერისთავთა და პატიახშთა ათასი ოდენო" (იქვე, გვ. 253 და *422). თუ პირველ წინადადებაში სადავოდ შეიძლება იქცეს, თუ რა აზრითა აქვს ჯუანშერს ნახმარი სიტყვა „პატიახშნი", მეორე წინადადებიდან სრულებით ცხადია, რომ იგი პიტიახშთა გვარიშვილებს გულისხმობს, ერისთავთა გვარიშვილების, ე. ი. გუარამ კურაპალატის ჩამომავალთა გვერდით[3]. ამასთანავე,

---

რომელსაც მოქცევაᲘ ქართლისაᲘს მატიანე იხსენიებს, ამ წყაროს მიხედვით, ბაგრატიონთა საგვარეულოს წევრი იყო და VII ს-ის მეორე ნახევარში ცხოვრობდა (СМОМПК, XLI, გვ. 65), მეორე, არშუშა დაფანჩული, გრ. ხანძთელის ცˇაში იხსენიება (გვ. იგ.), მესამე კი ბაგრატ III-ის „საკუთართაგანი" ყოფილა ყოფილა და ღრტილას კრებას დაჰსწრებია 1046 წ. (საქ. სამოთხე, გვ. 615).

[1] ნიშანდობლივ რომელია ეს გვარი, ჩვენ არ ვიცით. ჯუანშერის წარმოდგენით, ქართველი პიტიახშები თითქოს იმ ფეროზის ჩამომავალნი ყოფილან, რომელიც მირიანის სიძე იყო, ბარდავში იჯდა ერისთავად და რომელსაც მერმე ბაქარმა სამშვილდის საერისთვო მისცა. ეს ჩანს ჯუანშერის ცნობიდან, რომ არჩილმა თავისი ერთ-ერთი ძმისწული მიათხოვა „პატიახშსა, ნათესავსა ფეროზისსა, რომელი ჰმთავრობდა თრიალეთს, ტაშირს და აშოცს" (მარიამის. ქცˇა, გვ. *428).

[2] როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ჯუანშერს ერთხელ ვახტანგის დროსაცა აქვს ნახმარი მრავლობითი რიცხვი: „პიტიახშნი და სპასპეტნიო", მაგრამ, როგორცა ვთქვი, აქ ეს ტერმინი „ერისთავნი"-ს მაგივრობასა სწევს. ერთხელაც ჯუანშერი ვიღაც პიტიახშს ასახელებს, რომელიც „ჰმთავრობდა თრიალეთს, ტაშირს და აშოცს", ე. ი. ძველ საპიტიახშოს ეს ცნობაც ზემოთ უკვე მოვიხსენიე. აქ საინტერესოა უმთავრესად ის, რომ სამშვილდის საერისთვო VII ს-ის შუახანებში კვლავინდებურად პიტიახშთა გვარიშვილს უჭირავს, რომ ის ერთადერთი პიტიახში არ იყო და რომ პიტიახშობა უკვე აღარ იყო დაკავშირებული გარკვეულ თანამდებობასთან, ეს ჩანს ჯუანშერისავე სხვა, ქვემომოყვანილი, ცნობებიდან.

[3] ჯუანშერის მესამე ცნობით, „პატიახშნი ვინმე არა შეეშვნეს კლარჯეთს... და წარვიდეს ნახევარნი მათგანნი და შეიპყრეს კლდე ერთი ტაოს, რომელსა ერქვა კალმახი და აღაშენა ციხე" (იქვე, გვ. 261 და *431-432). ეს ამბავი ვითომც 657 წლის ახლოს უნდა იყოს მომხდარი.

ჯუანშერის „ნათესავნი პატიახშთა“ პირდაპირ ეხმაურება სამშვილდის წარწერის „[ნა]თესავით პიტიახშნი“-ს.

VII ს-ის შემდეგ ჩვენი ისტორიული წყაროები პიტიახშებს აღარ იცნობენ. არც ქართლის მატიანე, არც სუმბატ დავითისძე პიტიახშებს აღარ იხსენიებენ და ასეა შემდეგაც – არც ერთი ჩვენი ისტორიკოსი XII-XIV საუკუნეებისა, რამდენადაც ვიცი, პიტიახშებს აღარ იხსენიებს[1].

ამგვარად, თუ პალეოგრაფიული ნიშნები ჩვენს წარწერას უფრო VIII ს-ისაკენ მიეზიდებიან, ჯუანშერის ცნობებთან შეთანაპირებით მისი შინაარსი თითქოს VII ს-ზე მიგვითითებს[2].

მაგრამ სრულებით ზედმიწევნით შეიძლება განისაზღვროს წარწერის თარიღი, თუ კი ნამდვილად გამოვარკვევთ კოსტანტინეს და ლეონის ვინაობას, რომელთა მეფობის წლებითაც დანიშნულია ტაძრის აგების თარიღები. როგორც ვიცით, ე. თაყაიშვილს პირველი მიაჩნია აფხაზთა მეფე კოსტანტი II ბაგრატის ძედ, რომელიც, აფხაზთ „მეფეთა დივანის“ მიხედვით, 873 წლიდან 912-მდე მეფობდა (ძვ. საქ., II, განყ. III, გვ. 46-54), მეორე კი – ამ უკანასკნელის შვილი-შვილად, ლეონ II აფხაზთა მეფედ, რომლის მეფობის წლები, იმავე წყაროს მიხედვით, 957-967-ითაა განსაზღვრული.

აქაც ძნელი სათქმელია, ავტორი გარკვეულ გვარიშვილებს ჰგულისხმობს, თუ ტერმინ პიტიახშს იგი ჰხმარობს, როგორც საზოგადო სახელს?

[1] ქართლის ცხოვრების გაგრძელება, XV ს-ში, ასახელებს ვიღაც „ლორის პატიახშებს“ (მარიამის ქც˜ა, გვ. 892) და კონტექსტით ისე გამოდის, თითქოს პიტიახშნი ამ დროს კახეთსაც, შირვანსაც და სამცხესაც ყოფილან, რაც, ცხადია, სინამდვილეს არ შეეფერება. ეს ადგილი ავტორის პეიტრობის მაჩვენებელია, რომელსაც მკითხველისათვის თავისი სწავლულობა და ნაკითხობა უნდა ეჩვენებინა.

ტერმინ „პიტიახშს“ იცნობს ს. ს. ორბელიანიც, რომელიც, მისი ახსნით, არის იგივე „პატახში“, ე. ი. ტაძრის ეპარხოზი ანუ დიდი ვეზირი (იხ. მისი ლექსიკონი). როგორც ვხედავთ, საბას გაგება ამ ტერმინისა საკმაოდ დაშორებულია მის ძველ შინაარსს.

[2] ჯუანშერს, როგორც ცნობილია, VII და VIII ს-ის ამბები ერთმანეთში არეული აქვს. მურვან ყრუს შემოსევა (737/42 წწ.) მას არაბთა პირველ შემოსევად მიაჩნია საქართველოში. მაშასადამე, ან უნდა ვიფიქროთ, რომ მას გამოპპარვია თითქოს მთელი ერთი საუკუნე არაბთა ბატონობისა (654/5-737 წწ.), რაც ძნელი დასაჯერებელია, ანადა, როგორც მისი თხრობის თანამიმდევრობაც გვაგულვებინებს და მის საერთო ისტორიულ-ქრონოლოგიურ კონცეფციასაც სავსებით შეეფერება, რომ მას მხოლოდ ანაქრონისტული ხასიათის შეცდომა დაემართა მურვანის ლაშქრობის მიმართ, რაც, პირიქით, ადვილი დასაშვებია, და რომ ძირითადად, იგი VII ს-ის შუახანების ამბებს მოგვითხრობს, რომლებშიც ჩართულია VIII ს-ის ამბებიც. ვინაიდან ჰაბიბ იბნ-მასლამას მეორედ და მკვიდრად შემოსვლა ჩვენში (654/5 წ.), ყველა ნიშნებით, მშვიდობიან ხასიათს ატარებდა, საფიქრებელია, რომ ის რბევა და აოხრება, რომელიც ჯუანშერსა აქვს მოთხრობილი (და რომელიც უთუოდ გაზვიადებულია მურვან ყრუს დროინდელი ამბების ზეგავლენით), არაბთა მარბიელის პირველ შემოსევასა ჰგულისხმობს, იმავე ჰაბიბის მეთაურობით, 643 წ.. მირი და არჩილი, ამგვარად, ამ ხანის მოღვაწეები უნდა იყვნენ (ისევ-ისე, თანახმად ჯუანშერის კონცეფციისა). არჩილი ამის შემდეგ იწამა „ვითარ გარდაჴდეს წელიწადნი ორმეოცდაათნი“, ე. ი. 690-იანებში. იგი რომ მართლა მურვან ყრუს თანამედროვედ მივიჩნიოთ, მისი სიკვდილი VIII ს-ის 90-იანებში უნდა დავდოთ და მაშინ მისი შვილების, იოვანესა და ჯუანშერის, ერისთავობა IX ს-ში უნდა გადავიტანოთ. რაც შეუძლებელია (ზემომოყვანილისათვის იხ. ივ. ჯავახიშვილის ქართვ. ერის ისტ., II, გვ. 343, 350-52, 360, კ. კეკელიძის ქართ. ლიტერ. ისტ., I[1], გვ. 250-251, ს. ჯანაშიას არაბობა საქართველოში, თბ., 1936, გვ. 17-18, 22-23, 31-35).

ამიტომ ე. თაყაიშვილი ჩვენს წარწერას X ს-ის შუახანებით ათარიღებს[1]. – რამდენად შესაწყნარებელია თაყაიშვილის ეს დებულება?

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს შემდეგი: წარწერა განსაზღვრავს ტაძრის აგების თარიღებს: მშენებლობა დაწყებულა (საძირკველი დაუდვიათ) კოსტანტინეს მე-20 წელს და დასრულებულა (ტაძარი სრულიად აუშენებიათ) ლეონის მე-3 წელს. ე. თაყაიშვილით, ეს თარიღები იქნება: 892 წ. (873-დან მე-20 წელი 892-ზე მოვა) და 959 წ. (957-დან მე-3 წელი 959-ზე მოვა). გამოდის რომ ტაძარი 68 წლის განმავლობაში უშენებიათ (892-959), რაც ძნელი დასაჯერებელია.

შემდეგ: როგორც ვიცით, მთელი X ს-ის განმავლობაში სამშვილდე სომეხთ მეფეთა ხელში იყო. ქართული დიდი მშენებლობა, მაშასადამე, ამ დროს აქ, თუ სულ გამოცემული არა, ყოველ შემთხვევაში, ძალზე შეზღუდული და სათუო უნდა იყოს. ხოლო სრულებით გამორიცხულია მშენებლობის დათარიღება აფხაზთა და არა სომეხთა მეფეების წლებით. მართალია, ამ ხნის განმავლობაში სულ ადვილი შესაძლებელია, რომ, ჩვენ არ ვიცოდეთ ისე, სამშვილდე დროებით აფხაზთ მეფეთა ხელშიც ჩავარდნილიყოს, მაგრამ რომ ეს მდგომარეობა 68 წელიწადი გაგრძელებულიყოს, სრულებით დაუჯერებელია.

დავუმატოთ ამას ისიც, რომ სამშვილდის წარწერაში კოსტანტი კი არაა დასახელებული, როგორც თაყაიშვილსა ჰგონია, არამედ კოსტანტინე, ხოლო X ს-ის აფხაზთა მეფეს, „მეფეთა დივანის" მიხედვით[2], მაინც და მაინც კოსტანტი ერქვა და ამ სახელის გაიგივება კოსტანტინესთან სრულებითაც სავალდებულო არაა.

ყველა ზემოჩამოთვლილი მიზეზების გამო, ე. თაყაიშვილის დებულება უნდა უარვყოთ.

აფხაზთ „მეფეთა დივანში" კიდევ მოიპოვება ერთი კოსტანტინე[3] და მისი მომდევნო ლეონი, რომლებიც შესაძლებელია ვინმემ ჩვენი წარწერის მეფეებად ჩათვალოს. ესენი არიან, უფრო ნიშანდობლივ, ლეონ I აფხაზთა მეფე, რომელიც, „დივანით", 746 წლიდან 791-მდე მეფობდა, და მისი (უფროსი) ძმა კოსტანტინე, რომელიც მისი წინამორბედი იყო ვითომც სამეფო ტახტზე, მაგრამ რომლის „მეფობის" ხანგრძლივობა „დივანში" აღნიშნული არაა. ქართლის მატიანეს გარკვეული ჩვენებით კი აფხაზთა მეფედ თავი გამოაცხადა პირველად სწორედ ლეონმა, რომელმაც აფხაზეთის საზღვარიც აღმოსავლეთით ლიხამდე გადმოიტანა (ჭიჭინაძის გამოც. ქცˇა, გვ. 268, მარიამი. ქცˇა, გვ. *441). მანამდე, მაშასადამე, საზღვარიც უფრო დასავლეთით იდო და აფხაზეთის განმგებელნიც ერისთავებად იწოდებოდნენ და არა მეფეებად. ამ მხრივ დამახასიათებელია, რომ, როგორც ეს აკადემიკოს ს. ჯანაშიასაცა აქვს აღნიშნული[4], „მეფეთა დივანი" ლეონამდე არც ერთი „მეფის" ზეობის ხანგრძლივობას არ აღნიშნავს, რაც იმის მოწმობად უნდა ჩაითვალოს, რომ ლეონის დროს „დინასტიის განვითარებაში რაღაც ცვლილება, ან კიდევაც გარდატეხა მომხდარა"[5]. ეს ცვლილება სწორედ მეფედ გამოცხადება იყო თავისი ლეონის მიერ, რაც, როგორც ეს აკად. ს. ჯანაშიასა აქვს

---

1 იმ დროს, როცა ე. თაყაიშვილმა სამშვილდის წარწერები გამოაქვეყნა, „მეფეთა დივანი" ჯერ ცნობილი არ იყო. ამიტომ, თაყაიშვილის თარიღები მცირედ განსხვავდება ზემომოყვანილთაგან.

2 და დოსითეოსითაც!

3 დოსითეოსით, კოსტანტი.

4 იხ. მისი წერილი, О времени и условиях возникновения Абхазского царства, ენიმკი-ს მოამბე, VIII, თბ., 1941, გვ. 139.

5 იქვე, გვ. 139.

გამორკვეული[1], VIII ს-ის დამლევს, 790-იანებში უნდა მომხდარიყო. თუ „მეფეთა დივანი" ლეონის წინაპრებსაც მეფეებად ჰხადის, ეს მხოლოდ დინასტიის განდიდების სურვილით აიხსნება. მართლაც, იოანე საბანისძე 780-იანებში აფხაზეთის მმართველად იცნობს მხოლოდ მთავარს და არა მეფეს და ამ ქვეყნის საზღვრების აღნიშვნისას მას აზრადაც არ მოსდის ლიხის ხსენება[2]. ლეონამდე, მაშასადამე, აფხაზეთის ერისთავებსა თუ მთავრებს არ შეიძლება ისეთი პოლიტიკური გავლენა ჰქონოდათ ქართლზე, რომ დიდი მონუმენტალური მშენებლობა აქ მათი ზეობის წლებით დაეთარიღებინათ. კოსტანტინეც ჯერ კიდევ უბრალო ერისთავი იყო და ამგვარად სამშვილდის წარწერაც მას მეფედ ვერ მოიხსენიებდა.

ხოლო თუ სამშვილდის წარწერის კოსტანტინე და ლეონი აფხაზთ მეფეთა შორის ვერ მოიძებნა, მაშინ ერთად-ერთი შესაძლებლობა რჩება, სახელდობრ ის, რომ ესენი ბიზანტიის კეისრები არიან, რადგან ასეთი სახელების მქონე მეფეები არც ქართლში და არც სომხეთში არა ყოფილან.

საკმარისია ადამიანმა ბიზანტიის კეისრების სიას თვალი გადაავლოს, რომ დარწმუნდეს, რომ სამშვილდის წარწერის კოსტენტინე შეიძლება იყოს მხოლოდ კოსტანტინე V კოპრონიმე (740-775, იხ. М. В. Левченко, История Византии, М.-Л., 1940, стр. 122) და ლეონი კი – ლეონ IV ხაზარი (775-780). საქმე ისაა, რომ არსად კოსტანტინე და ლეონი ერთმანეთს ისე არ მისდევენ ბიზანტიის კეისრების სიაში, რომ შეიძლებოდეს მათი გაიგივება სამშვილდის წარწერის მეფეებთან, გარდა ხსენებული კოსტანტინე V-ისა და ლეონ IV-ისა. ამასთანავე, მხედველობაში მისაღებ სხვა შესაძლებელ კოსტანტინე კეისრებს, IV პოგონატს (688-685) და VI-ს (780-797), ზეობის წლებიც არა ჰყოფნით, ორივეს 20 წელზე ნაკლები უმეფიათ და უკვე ამიტომ ისინი ჩვენთვის გამორიცხულნი არიან[3].

ამგვარად, სამშვილდის სიონის საფუძველი დაიდო კოსტანტინე V კოპრონიმეს მეფობის მე-20 წელს, ე. ი. 759-ს (740-დან მე-20 წელი 759-ზე მოვა), ხოლო ტაძრის მშენებლობა დასრულდა ლეონ IV ხაზარის მე-3 წელს, ე. ი. 777-ს (775-დან მე-3 წელი 777-ზე მოვა) და, მაშასადამე, მთელი მშენებლობა 19 წელიწადი გაგრძელებულა (759-777). მოქცევაჲ ქართლისაჲს მატიანეს ცნობით, წილკნის ეკლესიის აშენებას ბაკურ მეფე 25 წელიწადი მოუნდა (СМОСПК, XLI, გვ. 60) და ბოლნისის სიონიც, როგორც ეს

---

[1] იქვე, გვ. 152.

[2] იქვე, გვ. 147-148.

[3] დანარჩენი კოსტანტინეები არ არიან მხედველობაში მისაღები იმიტომ, რომ არც ერთს ლეონი არ მისდევს.

კოსტანტინე VI მამამისმა, ლეონ IV-მ, თანამოსაყდრედ გახადა ჯერ კიდევ 776 წ., და აქედან თუ ვიანგარიშებდით, მისი მე-20 წელი 795-ზე მოვიდოდა. აქედან შეიძლებოდა დაგვესკვნა, რომ ლეონის ქვეშ სამშვილდის წარწერაში ლეონ V სომეხი (813-820) იგულისხმება, რომლის მე-3 წელი 815-ზე მოვა, ისე რომ, ტაძარი, გამოვიდოდა, 20 წლის განმავლობაში აშენებულა, რაც თავისთავად ძნელი დასაშვები არაა. მაგრამ სრულებით ცხადია, რომ წელთაღრიცხვის საჭიროებისათვის თანამოსაყდრეობას არასოდეს მხედველობაში არ მიიღებდნენ, რადგან ეს უთავბოლო არეულობას გამოიწვევდა: ასე, მაგ., ლეონ IV-ის მე-3 წელი იმავე დროს კოსტანტინე VI-ის მე-2 წელი იქნებოდა და ა. შ. გარდა ამისა, ბიზანტიის პოლიტიკური ვითარებაც, ლეონ IV-ის გარდაცვალების შემდეგ, შინაური ქიშპობისა და საგარეო საქმეთა წარუმარტებლობის გამო, ისეთი შეიქნა, რომ მისი გავლენა ქართლზე თვალსაჩინოდ უნდა შემცირებულიყო. ამდენადვე, კოსტანტინე VI-ისა და ლეონ V-ის ხსენება სამშვილდის წარწერაში საეჭვო ხდება.

მისი უკანასკნელად აღმოჩენილი წარწერიდანა ჩანს, 24-25 წელიწადი უშენებიათ[1], ისე რომ 19 წელიწადი სამშვილდის დიდი, ისიც გუმბათიანი ტაძრისათვის კიდევაც ცოტაა. იქნება ეს იმით აიხსნებოდეს, რომ, როგორც წარწერა გადმოგვცემს, მშენებლობა სწრაფი ტემპით უწარმოებია, ყოველ შემთხვევაში, იოვანეს.

სატფურება, ე. ი. ტაძრის კურთხევა მომხდარა, ჩვენი წარწერით, ლეონის მეფობის მე-3 წლის „დღესა ენკენიასა", ანუ 777 წლის სექტემბრის 13-ს. იგი, ეტყობა, დიდის ზეიმით ჩაუტარებიათ, 6 დღის განმავლობაში, „დიდითა კრებითა", რის შემდეგაც სამშვილდის სიონი მომქმედ ეკლესიად გადაიქცა[2].

დასასრულ მაინც კიდევ უნდა ვიკითხოთ, თუ რამდენად შესაძლებელია, რომ VIII ს-ის მეორე ნახევარში, როდესაც, როგორც ცნობილია (მურვან ყრუს ლაშქრობისა და განსაკუთრებით, ბაღდადში აბასიანთა გაბატონების შემდეგ), არაბთა რეჟიმი აღმოსავლეთ საქართველოში საშინლად გამკაცრდა (ივ. ჯავახიშვილი, ქართვ. ერის ისტ., II, გვ. 354, 361-362), დაიწყო დევნა ქრისტიანობისა და არაბული მმართველობა ყოველნაირ ცდას აწარმოებდა, რათა ეს მხარე სრულებით მოეწყვიტა საზოგადოდ დასავლეთისაგან და მისი გავლენის სფეროდან გამოეთიშა, – რამდენად დასაშვებია, რომ ასეთ პირობებში დიდი საკულტო მშენებლობა ქვემო-ქართლში ბიზანტიის კეისრების მეფობის წლებით დაეთარიღებინათ? – ამ კითხვაზე დადებითი პასუხი უნდა გავცეთ და აი, რატომ:

სწორედ ეს რეჟიმის გამკაცრება იწვევს შესატყვის რეაქციას ქართლში, განსაკუთრებით სამღვდელოებას შორის, რის საუკეთესო მოწმედ იოანე საბანისძე და მისი თხზულება უნდა ჩაითვალოს (იხ. ივ. ჯავახიშვილის ქართვ. ერის ისტ., II, გვ. 364-366). ამასთანავე, თუმცა აღმოსავლეთ საქართველოში (განსაკუთრებით, ქართლში) არაბები სრული ბატონ-პატრონები არიან, დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ამ დროსაც კვლავინდებურად ბიზანტიის პოლიტიკურ-კულტურული გავლენის ქვეშ იმყოფება (ივ. ჯავახიშვილი, ქართვ. ერის ისტ., II, გვ. 357, 390 შშ.). ბიზანტია ბატონობს ამ დროს ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში და შავ ზღვაზე უცილობლად. ხმელეთზე კი მას მცირე აზია უჭირავს, მისი უმეშვეო მფლობელობა კარნუ-ქალაქამდე ვრცელდება (იხ. Левченко, დასახელ. ნაშრ., გვ. 124, 126) და იგი უმეშვეოდ ესაზღვრება მესხეთს. ამიტომაა, რომ მესხეთის (არტანუჯის) მთავრები, დამკვიდრდნენ თუ არა არტანუჯში, მაშინათვე ბიზანტიის კეისრის ვასალები შეიქნენ და იქაური საკარისკაცო წოდებანი მიიღეს. ამიტომ სრულებითაც გასაკვირველი არ უნდა იყოს, თუ რომ ბიზანტიის კულტურული გავლენა ამ ხანებშიც კვლავინდებურად ქართლსაც მოიცავდა და რომ აქაური შევიწროებული სამღვდელოება

---

[1] წარწერა იხ. გ. ჩუბინაშვილის „ბოლნისში", ენიმკი-ს მოამბე, IX, გვ. 69. მშენებლობა დაწყებულა პეროზის მე-20 წელს, ე. ი. 477/78-ს, და დამთავრებულა კავადის მე-15 წელს (პ. ინგოროყვას მიხედვით), ე. ი. 502/03-ს.

[2] პატივცემულ პ. ინგოროყვასთან კერძო საუბარის დროს გამოირკვა, რომ ჩემდა სასიამოვნოდ, იგიც, სრულებით დამოუკიდებლად, სწორედ ზემომოყვანილ დასკვნებს დასდგომია სამშვილდის სიონის აშენების თარიღის საკითხში, რაც, ჩემი აზრით, იმას მოწმობს, რომ ჩვენი მსჯელობა საეალდებულოა ყველასათვის, ვინც ამ საკითხს ჩაუკვირდება.
აღსანიშნავია ისიც, რომ თვითონ ტაძრის გეგმა და შემკობილობა, წინააღმდეგ ე. თაყაიშვილის აზრისა, გვაგულვებინებს არა X ს-ს, არამედ VIII-IX საუკუნეებს. მაგრამ ამ საკითხს ცალკე განხილვა ესაჭიროება.

იქითკენ იცქირებოდა, იქიდან მოელოდა ხსნას და შეიძლება პირდაპირ განზრახაც უგულებელყოფდა, საცა კი შეეძლო, ბაღდადის მფლობელებს და ბიზანტიის კეისრების უზენაესობას აღიარებდა თეორიულად მაინც. ამ მხრივ დამახასიათებელია, რომ იოანე საბანისძეც, თუმცა ხალიფასაც ასახელებს, მაინც, აბო ტფილელის მარტვილობის თარიღის განსაზღვრისას, პირველ ადგილას კოსტანტინეპოლის კეისარს, კოსტანტინე ლეონის ძეს აღნიშნავს (კეკელიძის გამოც. გვ. 68).

ამგვარად, ჩვენს წინადადებას, სამშვილდის წარწერის კოსტანტინე და ლეონი ბიზანტიის კეისრებად მივიჩნიოთ, წინ არავითარი დაბრკოლება არ ეღობება[1].

* * *

სამშვილდის სიონს კიდევ ორი წარწერის ფრაგმენტები შემოუნახავს სამხრეთის ფასადზე – ერთი ქართული და ერთიც სომხური (იხ. ზემ. გვ. 537, მულაჟის მიხედვით შესრულებული ჩანახატი), რომელთაგან პირველი ბროსესაცა და თაყაიშვილსაც აღმოსავლეთი ფასადის წარწერის დასაწყის ნაწილად მიაჩნიათ. მართლაც, ეს წარწერა სწორედ იმავე სიმაღლეზეა მოთავსებული, როგორც ზემოთ განხილული წარწერა, ისევეა ამოკოდვილი და პალეოგრაფიულად სავსებით უდგება მას, ისე რომ იმავე ხანას უნდა მიეკუთვნოს. და თუ მე იგი აღმოსავლეთი ფასადის წარწერის თავში არ მოვაქციე, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მისი კავშირი ამ უკანასკნელთან მაინც და მაინც ნათელი არაა[2]. ამჟამად იგი ასე იკითხება[3]:

---

[1] კოსტანტინე V-ცა და ლეონ IV-ც, როგორც ცნობილია, სასტიკი იკონოკლასტები იყვნენ. ამიტომ შეიძლება ვისმე საეჭვოდ ეჩვენოს მათი დასახელება დიდი საკულტო მშენებლობის დათარიღებისას ჩვენში, სადაც ხატთამებრძოლეობას ადგილი არ ჰქონია (ივ. ჯავახიშვილი, ნახსენ. ადგ., გვ. 406-407). მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ეს მოძრაობა ქართლს არ შეეხებია, მას, რამდენადაც ჩანს, არც არავითარი რეაქცია არ გამოუწვევია ჩვენში და ამიტომ ჩვენს სამღვდელოებას, თავისი ორიენტაციის გამორკვევისას, თავისუფლად შეეძლო ეს მომენტი მხედველობაში სულაც არ მიეღო.

[2] ასოთა მოხაზულობაც, რაზედაც აკადემიკოსმა გ. ჩუბინაშვილმა მიმითითა, მიუხედავად დიდი მსგავსებისა, განსხვავებასაც გვიჩვენებს. ჯერ ერთი საერთო შთაბეჭდილებით, S ფასადის წარწერის ასოები უფრო წვრილია, უფრო წოწოლა და თან თითქოს უფრო მუყაითადაა გამოყვანილი (შდრ.: ერთმანეთს, მაგ., ორივე წარწერის „ა", „ე", „ს", „ფ", „ყ"). მერმე, ცალკეული ასოები რომ ავიღოთ, S ფასადის „ჯ"-იეს კაუჭი შუაბუნზე ებმის, O ფასადისას კი ბუნის ზემო ნახევარზე; ამგვარადვე, S ფასადის „რ"-აეს ცხვირი თითქმის ზუსტად ზედ შუაღერძზე მოდის, O ფასადისა კი უფრო მოკაუჭებულია, ვიდრე O ფასადისა; დაბოლოს, „ლ"-ასიც, რომელიც გადამწყვეტია ამ ორი წარწერის მჭიდრო სიახლოვისათვის. ქართული პალეოგრაფიისათვის კი იქაც და აქაც ერთნაირად უჩვეულოდაა მოყვანილი, რადგან მუცელი მას გვერდიდან კი არა აქვს მიბმული, არამედ ქვემოდან, ისე რომ ღერძი თითქმის ზედ მუცლის შუაზე მოდის, მაინც განსხვავდება – S ფასადისა უფრო მეტადაა დაშორებული ამ ასოს ჩვეულებრივს მოყვანილობას.

[3] თითო ფილაქანი გამოყოფილი მაქვს შვეული ხაზით და თითოს ქვემოდან თავისი სიგრძე აქვს მიწერილი სანტიმეტრებში.

|———--ითა[1] | კაცთმოყჯ,ა,რე-----[2] ,ს,აყოფელი ესე | ...
82. 127.

ამ ფრაგმენტის გამონათქვამი: „საყოფელი ესე"..., გვაფიქრებინებს, რომ ეს წარწერა მთელ ტაძარს კი არ შეეხებოდა, არამედ მხოლოდ სანათლავს[3], რომლის სამხრეთ კედელზედაც იგი მოუთავსებიათ და რომელიც, ადვილი შესაძლებელია, ცალკე პირის ხარჯით იყო აშენებული. ეს ფრაგმენტი რომ აღმოსავლეთი ფასადის წარწერის დასაწყისი ნაწილის ნაშთი ყოფილიყო, აქ ჩვენ გრძელი ვედრებითი და დიდებისმეტყველებითი ტექსტი უნდა გვეგულვა, რადგან ფრაგმენტის უკანასკნელი სიტყვიდან ტაძრის სამხრეთ აღმოსავლეთ კუთხემდე 4,62 მეტრის მანძილია[4] და მერმე კი, უკვე თვით აღმოსავლეთის ფასადზე, კედლის პერანგი, როგორც ვიცით, კიდევ 3,40 მეტრის სიგრძეზეა გაძარცული. ამის ნაცვლად, რამდენიმე სათაური სიტყვის შემდეგ, აქ უკვე თხრობითი ნაწილი, იწყება, როგორც ამას „,ს,აყოფელი ესე"... გვაფიქრებინებს, რომელშიც მოხსენებული იქნებოდა, ალბათ, სანათლავის აღმშენებელი და მისი შემოწირულება.

თავში ამ წარწერას, პირველი ფილაქნის ზომის მიხედვით (82 სანტიმ.) დაახლ. 10-11 ასო უნდა აკლდეს[5].

რა თქმა უნდა, შესაძლებლობა, რომ ეს ფრაგმენტი მაინც აღმოსავლეთი ფასადის წარწერის ნაწილს წარმოადგენდეს, სავსებით გამორიცხული არაა – ამოდენა ლაკუნებში ტექსტი, ვინ იცის, რანაირად იყო გადაბმულ-დაკავშირებული, მაგრამ ეს, მგონი, ვერ შეცვლიდა ამ წარწერის საერთო შინაარსსა და აზრს.

სომხური წარწერის ფრაგმენტი დაცულია იმავე კედელზე და იმავე ორ ფილაქანზე, რომლებზედაც უკანასკნელად ხსენებული ქართული წარწერაა მოთავსებული „საყოფელის" შესახებ. სომხური წარწერა ქართულის ქვეშაა ამოკოდვილი მსხვილი

---

[1] გრძელი ხაზით აღნიშნულია სულ ერთიანად გადარეცხილი ნაწილი, ორი პატარა ხაზი კი აღნიშნავს ასოებს, რომელთა ძირები ჯერ კიდევ ჩანს. ამათგან მეორეს ბროსეცა და თაყაიშვილიც კითხულობენ როგორც „ს"-ანს, რაც სინამდვილეს უნდა შეეფერებოდეს, მაგრამ მაინც გადაწყვეტით არა ითქმის რა, რადგან, ნაშთის მიხედვით, აქ შეიძლება მუცელშეკრული ასოც გვქონოდა, მაგ., „ზ"-ენი. პირველი ასო კი ან „ე"-ნ უნდა იყოს, ან „ი"-ნი.

[2] ხარვეზით აღნიშნულ ადგილას ფილაქანი გახეთქილა და დუღაბით შეულესიათ, რის გამოც ნაწერისა აღარა დარჩენილა რა. აქ უნდა დატეულიყო, ვარაუდით, 4-5 ასო და მათგან უკანასკნელი, ნაშთის მიხედვით, თითქოს „ა"-ნი უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, თაყაიშვილი ტყუილად კითხულობს აქ „ბთა"-ს (ე. ი. „მოყოჯარებთა"), რადგან ნამდვილად არც „ბ" და არც „თ" არა ჩანს. მომდევნო სიტყვის პირველი ასოს, „ს"-ანის, ზედა ნაწილი ჯერაც კარგად განირჩევა.

[3] თუმცა შდრ. ბაგრატ IV-ის წარწერა ატენის სიონზე: „შევწირე წმიდასა სიონსა ატენისასა, საყოფელსა წმიდისა ღმრთის მშობლისასა" (Христ. Восток, I, გვ. 290).

[4] აქ ჯერ ორი ფილაქანი მოდის, რომელზედაც წარწერა სრულებით გადარეცხილია, მერმე კი, ვიდრე კუთხემდე და იმას იქითაც, პერანგის ქვები მორღვეულია.

[5] სანათლავის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეს პირველი ფილაქანი დაშორებულია 89 სანტიმეტრით. აქ კუთხემდე 2 სხვა ფილაქანია, ჯერ ვიწრო, 30 სანტიმეტრის სიგანის მქონე. მერმე კი ორჯერ უფრო გრძელი კუთხის ფილაქანი. ამ უკანასკნელზე ნამდვილად შეიძლება ითქვას, რომ ზედ არაფერი ეწერა, ვიწრო ფილაქანზე კი ეგებ რამდენიმე ასო იყო მოთავსებული, რომლებიც სულ გადარეცხილა.

მთავრული ასოებით[1]. მასაც თავში რამდენიმე ასო უნდა აკლდეს, ხოლო ბოლო ნაწილი მისი, ქართულივით, სრულიად გადარეცხილია. იგი ასე იკითხება[2]:

|ԴԱ՝Մ՝--Ա[3]--Տ՛|Ն ԳԵՐԳԱ Հ[Ա][ՅՈ]Յ[4] ԿԱԹԱ[ՂԻԿՈՍԻ]...

ეს წარწერა გამოცემული აქვს პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს[5], რომელიც მას ასე კითხულობს:

„Հրամանաւ տեառն Գեորգեա հայոց կաթա[ղիկոսի]...“

ე. ი.: „ბრძანებითა უფლისა გეორგისა, სომეხთა კათალიკოსისა...“

პატივცემული მკვლევარის წანაკითხი სწორია, თუ პირველ სიტყვას მხედველობაში არ მივიღებთ. საქმე ისაა, რომ აქ „Հ“ სრულებით არა ჩანს და არც Ր სწერია, არამედ ამ ადგილას, რომელიც, მართალია, ძალზეა გადარეცხილი, მაინც ნამდვილად ან Դ იყო, ან Ռ. არც დანარჩენი ასოები ამ სიტყვისა არ ჰპოულობს გამართლებას შემონახული ნაშთების მიხედვით.

სხვებრ, ეს სომხური წარწერა საკმაოდ უწიგნურადაა შედგენილი, რასაც ცხადჰყოფს შედარებაც ნამდვილი ტექსტისა (ԳԵՐԳԱ) მელიქსეთ-ბეგის მიერ გამოცემულ ტექსტთან (Գեորգեա). უკანასკნელი სიტყვაც (ԿԱԹԱ[ՂԻԿՈՍԻ]), როგორც პროფ. მელიქსეთ-ბეგი შენიშნავს, ქართულ ყაიდაზეა ახმოვნებული და არა სომხურისაზე, სადაც უნდა ყოფილიყო „կաթողիկոսի“ ან „կաթուղիկոսի“.

წარწერაში მოხსენებული გეორგ კათალიკოსი ლ. მელიქსეთ-ბეგს გეორგ ლორელად მიაჩნია, რომელიც თანამოსაყდრე იყო გრიგოლ II კათალიკოსისა XI ს-ის მეორე ნახევარში, 1067-დან (ან 1069-დან) 1072-მდე[6]. ეს მართლაც, ასე უნდა იყოს. გეორგ ლორელამდე ცნობილია კიდევ მხოლოდ ორი გეორგი: ერთი კათალიკოსობდა 792-დან 795-მდე, მეორე კი 877-მდე[7]. მათგან პირველი გამორიცხულია იმიტომ, რომ X ს-ის დამდეგამდე სომხები სამშვილდეში არ შესულან. მეორის სუფევაც სამშვილდეში ძალიან საეჭვოა, თუმცა მისი უკანასკნელი წლები ემთხვევა სუმბატ I ბაგრატუნის (893-914) პირველ წლებს, რომელმაც პირველმა სომეხთ მეფეთა შორის შედგა ფეხი სამშვილდეში (იოანე დრასხანაკერტელის ცნობით, იხ. ილ. აბულაძის გამოც., თბ., 1937, გვ. 56). მაგრამ ეს უნდა მომხდარიყო, ყველა ნიშნებით, ან IX ს-ის მიწურულში, ანდა, უკეთ, X ს-ის დამდეგს, რასაც გეორგ კათალიკოსი ვეღარ მოესწრებოდა. ძნელი დასაჯერებელიცაა, რომ პირველ დაპყრობისთანავე სომეხთა კათალიკოსს, ანდა მისი სახელით ვისმე სხვას სამშვილდეში წარწერა გაეკეთებინა, ისიც ახლად აშენებულს ქართულ ტაძარზე.

---

[1] ასოები სიმაღლით აქაც განსხვავდება ერთმანეთში: ასე, მაგ., Ե 9 სანტიმეტრის სიმაღლისაა, Ա – 10,5 სმ-ის, მაგრამ არის აქვე 5 სმ-ის სიმაღლის Ա, Ր 9 სმ-ის სიმაღლისაა, Թ კი 4,5 სმ-ს არ აღემატება და მისთ.

[2] ფილაქნები გამოყოფილი მაქვს შვეული ხაზებით.

[3] ამ სიტყვის (თუ აქ ერთი სიტყვაა!) პირველი ასო შეიძლება აღვადგინოთ აგრეთვე როგორც Ռ; პატარა ხაზები აღნიშნავს ასოთა ნაშთებს, რომელთა აღდგენა ჭირს.

[4] სწორ ფრჩხილებში ჩასმული ასოების ადგილას ფილაქანი გახეთქილა და დუღაბით შეულესიათ.

[5] ჟურნალი „Արշալ“, თბ. 1940, № 4, გვ. 54.

[6] იხ. Մաղաքիա արքեպիսկոպոս Օրմանեան, Ազգապատում, I, Կոստանդն., 1912 §§ 879-883.

[7] იქვე, 628 და §§ 674-695.

XI ს-ის შუახანებში, როგორც ვიცით, სამშვილდეში ჯერ ისევ სომეხთ მეფენი ისხდნენ. 1065 წლის ახლო ხანებში ჩამოართვა ბაგრატ V-მ კვირიკე სომხეთა მეფეს ეს ქალაქი და „იპყრა სახლად თჳსად"[1]. მართალია, გეორგ ლორელის თანამოსაყდრეობა ცოტა უფრო გვიან დაიწყო, 1067-სა თუ კიდევაც 1069-ში, მაგრამ ამ დროს აქ სომხის მრევლი მტკიცედ ფეხმოკიდებული უნდა გვეგულებოდეს და სომეხთა კათალიკოსის ხსენება სომხურ წარწერაში არ უნდა გვაკვირვებდეს, თუმცა მაინც კიდევ უცნაურია, რომ ეს წარწერა ქართულ ტაძარზე მოუთავსებიათ. სამწუხაროდ, მისი შინაარსი ნათელი არაა, თორემ ამ საკითხსაც შუქი მოეფინებოდა.

ქართულ-ბერძნული ფორმაც სიტყვისა „կաթա[ղիկոսի]", რა თქმა უნდა, XI ს-ისათვის უფრო გასაგებია, ვიდრე IX ს-ის დამლევისათვის[2].

პალეოგრაფიულადაც გეორგ კათალიკოსის წარწერა, მიუხედავად თავისი არქაული შესახედაობისა, რასაც განსაკუთრებით ასოთა სიმსხო უწყობს ხელს, მაინც თითქოს უფრო XI ს-ით უნდა განისაზღვროს. ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია თანაბარი სიმაღლის გვერდების მქონე Ն, რომლის მსგავსი 1028 წლის წარწერასა და 1057 წლის ხელნაწერში გვხვდება[3], კუთხოვანი Մ, ჩამოშვებული ცხვირით, რომელსაც იმავე 1057 წლის ხელნაწერში ვხედავთ, და სამნანილედი Հ, ჰორიზონტული თავით, რომლის მსგავსი იმავ 1028 წლის წარწერაში გვევლინება.

ამგვარად, სომხური წარწერა სრულებით არა ჩანს დაკავშირებული ქართულ წარწერებთან.

* * *

სამშვილდის სიონის აღმოსავლეთი ფასადის წარწერა შინაარსით ძალიან მდიდარი წარწერაა. შეიძლება ითქვას, რომ იგი ამ მხრივ პირდაპირ იშვიათი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლია და ამიტომ მეტის-მეტად აფსუსია, რომ ჩვენამდე მას ასეთი ძალზე ნაკლული სახით მოუღწევია. აღვნიშნოთ ის, რაც შეგვმატა მისმა ზედმიწევნით დათარიღებამ.

1. აქამდის ჩვენ ვიცოდით, ჯუანშერის ერთი ცნობის მიხედვით (იხ. ზემ. გვ. 544, შენ. 2), რომ VII ს-ის შუახანებში სამშვილდის საერისთვო, იგულისხმება, თვითონ ქალაქითურთ, პიტიახშთა ჩამომავლების ხელში იყო. VII ს-ის მეორე ნახევარისა და მთელი VIII ს-ისათვის კი, სრული საუკუნე-ნახევარის სიგრძეზე, აღარავითარი ცნობა ამ ქალაქის და მისი ტერიტორიის შესახებ ჩვენ აღარ მოგვეპოვებოდა. ახლა, ტაძრის წარწერის წყალობით, ჩვენ ვიცით, რომ VIII ს-ის გასულსაც ქალაქი და მასთან ერთად, ალბათ, საერისთვოს ქვეყნებიც ისევ-ისე „ნათესავით პიტიახშთა" ხელში ყოფილა, ე. ი. უნდა ვიფიქროთ, რომ VII ს-ის შუახანების შემდეგ და ვიდრე IX ს-ის მეორე ნახევრამდე, როდესაც ქართლის გულისათვის ბრძოლა დაიწყო სომეხთა და აფხაზთ მეფეებს შორის, სამშვილდეს თავისი მფლობელი არ გამოუცვლია. მართლაც და ქალაქისთვის

---

[1] იხ. ივ. ჯავახიშვილის ქართვ. ერის ისტ., II, გვ. 449 და ჭიჭინაძის გამოც. ქცᲜა, გვ. 332 (მარიამის. ქცᲜა, გვ. *498-499).

[2] შდრ. ასეთივე ფორმა ანისის 1218 წლ. წარწერაში ეტიფანე კᲜისა: „կաթաղիկոսին" წარწერის მე-20 სტრ., ვ. დონდუას გამოცემით. Сборник Н. Я. Марру, стр. 648-649.

[3] იხ. Գարեգին Վարդապետ Յովսեփեան, Քարտեզ հայ հնագրութեան, „Շողակաթ", գիրք առաջին, Վաղարշ., 1913, სურ. 19 (Երերոյք) და სურ. 53 (ხელნაწერი).

მთავარი ტაძრის აგება მხოლოდ მის მფლობელს თუ შეეფერებოდა, რომელიც თავის რეზიდენციას ამკობდა, ხოლო ასეთი დიდი მშენებლობის წარმოება მხოლოდ დიდ მფლობელს და ქვეყნის მმართველს თუ შეეძლო.

2. წარწერის დათარიღების წესი (ბიზანტიის კეისრების წლებით) სრულებით უჩვეულოა, მოულოდნელი და ამ დროს მაინც, და მთელ რიგ საკითხებსა ჰბადებს. რას უნდა ნიშნავდეს ის? – ეგებ აქ უბრალო ტრაფარეტთანა გვაქვს საქმე, რომელიც სხვას არაფერს მოასწავებდა, გარდა ბიზანტიის კეისრების იდეალური წინამძღოლობის აღიარებისა ქართული ეკლესიის მიერ, რაც ცნობილი იყო არაბთა მმართველობისათვის, არსებითად არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენდა და ამიტომ მის მიერ შეიძლებოდა იგნორირებული ყოფილიყო?[1] – მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ რომ სწორედ გამონაკლის მოვლენასთანა გვაქვს საქმე? – არსად საქართველოში, არც უწინ და არც მერმე, რამდენადაც ვიცი, მონუმენტალური ძეგლების დათარიღების ასეთი წესი არა გვხვდება[2]. და თუ მაინცა და მაინც სამშვილდეში ვხედავთ მას, VIII ს-ის მეორე ნახევარში, მკაცრი სარწმუნოებრივი დევნის ხანაში, მე მგონია რომ სხვანაირად მისი გაგება არ შეიძლება, თუ არა როგორც შეგნებული პოლიტიკური დემონსტრაციისა, რომლის წინაშეც არაბთა მმართველობა, ეტყობა, უძლური აღმოჩნდა. ნამდვილად პოლიტიკურ დემონსტრაციას წარმოადგენდა უკვე თვით ფაქტი ისეთი გრანდიოზული საკულტო შენობის აგებისა, როგორიცაა სამშვილდის სიონი, რომლის მსგავსი აღნიშნული ხანისათვის ქვემო-ქართლში სხვა არცაა ჯერ ცნობილი. დემონსტრაციულ ხასიათს ატარებს სატფურებაც – ექვსი დღის განმავლობაში[3], „დიდითა კრებითა"! ჩვენი წარწერა ერთი ნიშანია იმისა, რომ ქართველი ერი, ანუ უკეთ, მოწინავე წოდება ფეოდალებისა, სამღვდელოებითურთ, ახალგაზრდული ძალღონის მქონე, თავის შეძლებაზე დანდობილი და შეუპოვარი რწმენით აღსავსე, იმ დროს ქედს არ იდრეკდა სახლში შემოსული სასტიკი მტრის წინაშე

---

[1] ეს საკითხი დაგვისვა პროფ. ნ. ბერძენიშვილმა.

[2] როგორც აკადემიკოსმა გ. ჩუბინაშვილმა შენიშნა, ამგვარი მოვლენა VII ს-ში გვხვდება სომხეთში, სადაც ალამნის 637 წლისა, ბაგავანის 639 წლისა და მრენის 639/640 წლების წარწერები ჰერაკლე კეისრის ზეობის წლებს ასახელებენ, არუჭის წარწერა კი კონსტანტინე (კონსტანტი) II-ის მე-25 (მე-29?) წლითაა დათარიღებული (იხ. И. Орбели, Багаванская надпись 639 ш. и. т. д. Христианский Восток, т. II, вып. I (1913), стр. 131, 122, 138 и 139). მაგრამ ეს სავსებით გასაგებია მაშინ, როდესაც სომხეთში ჯერ ისევ ბიზანტიელები ბატონობდნენ, ანდა არაბები ჯერ ახლად შესულები იყვნენ. უფრო საინტერესოა, რომ სამშვილდის წარწერა სხვა ანალოგიებსაც გვიჩვენებს სომხეთის ამ უძველეს წარწერებთან. ასე, ბაგავანის ტაძარზე წარწერა სწორედ ისევეა მოთავსებული S კედლის აღმოსავლეთ ნახევარზე და შემდეგ თითქმის მთელი O ფასადის სიგრძე, ერთ სტრიქონად, 1,20 მ-ის სიმაღლეზე შენობის ხარისხიდან, როგორც სამშვილდეში (იხ. ორბელის დასახ. ნაშრ., გვ. 108). ალამნშიც, არსებითად, ასეთივე წესია დაცული, თუმცა იქ წარწერა უფრო მაღლა ყოფილა მოთავსებული (იქვე, გვ. 131). ბაგავანში თითქოს ნითელი საღებავის ნაკვალევიცა ჩანს ასოთა ამოჭრილებში (იქვე, გვ. 108), როგორც მე ეს ზემოთ სამშვილდისათვის აღვნიშნე. გარდა ამისა, ბაგავანისა და შემდეგ ბაგარანის (631 წ.) წარწერებში გვხვდება გამონათქვამები: „հիմն արկի" – „დავდე (ან ჩავყარე) საძირკველი" (იქვე, გვ. 122) და „Ձգեաց հիմունս" – „ჩაყარა საძირკველი ესე" (იქვე, გვ. 129), რომლებიც ძალიან მოგვაგონებენ სამშვილდის წარწერის გამონათქვამს: „დაიდვა საძირკველი". მე მგონია, რომ ყველა ეს კიდევ ერთხელ ამ წარწერის დიდ სიძველეზე მიგვითითებს.

[3] რაც, უთუოდ, შესაქმის ექვსი დღის სიმბოლურ გამოხატულებას წარმოადგენდა.

და თუ ფიზიკურად ვერა, მორალურად მაინც დიდსა და აქტიურ წინააღმდეგობას უწევდა მას. ამის ნიშნები, მიუხედავად იოანე საბანისძის გოდებისა, სხვაც ბევრია – ასეთი წინააღმდეგობის მაგალითებია ნერსე ერისთავის ისტორია (ივ. ჯავახიშვილი, ქართვ. ერის ისტ., II, გვ. 354-356), აშოტ კურაპალატის ამბავი, გრიგოლ ხანძთელის და მის თანამოსაგრეთა მოღვაწეობა და მრ. სხვ...[1]

3. ჩვენი წარწერა ზედმიწევნით ათარიღებს ერთ უმნიშვნელოვანეს და უშესანიშნავეს ძეგლს ძველი ქართული ხუროთმოძღვრებისას. სამწუხაროდ, თვითონ ეს ძეგლიც ძლიერ დაშავებული ფრაგმენტის სახითაა დაცული. ჩვენი წარწერა ადასტურებს და აზუსტებს აკადემიკოსი გ. ჩუბინაშვილის მიერ, ქართული მშენებლობის ისტორიის საფუძველზე, მიახლოებით დადგენილ თარიღს: VIII-IX ს. (იხ. მისი „ბოლნისი", გვ. 85), და ამით თვალსაჩინო წვლილი შეაქვს ჩვენი ხელოვნების ისტორიაში.

4. ეს წარწერა არა მარტო ათარიღებს სამშვილდის სიონს, არამედ ზუსტად განსაზღვრავს მისი მშენებლობის ხანგრძლივობასაც. ასეთი ცნობები ჩვენ ძალიან ცოტა მოგვეპოვება და ისინი უაღრესად საინტერესოა ჩვენი ტექნიკის ისტორიის თვალსაზრისით. მე მგონია, რომ ის გარემოება, რომ რთული ნაგებობის სამშვილდის ტაძარი 19 წლის განმავლობაში აშენდა, იმ დროს, როდესაც წილკნისა და ბოლნისის გაცილებით უფრო მარტივი შენობების აგებას 24-25 წელიწადი დასჭირებია, უნდა მიგვითითებდეს, სხვათა შორის, გარკვეულ ტექნიკურ პროგრესზეც, რომელიც მიღწეული იყო VIII ს-ში, შედარებით IV და V საუკუნეებთან[2].

---

[1] საკმარისია, საზოგადოდ, ჯუანშერის მიერ მოთხრობილი VII ს-ისა და ქართლის მატიანეში მოთხრობილი VIII ს-ის ამბები „უამთააღმწერელის" მიერ გადმოცემულ XIII ს-ის ამბებს შევადაროთ და გავიხსენოთ ის გახრწნილება უმაღლეს წრეებში, რომელიც მონღოლთა შემოსევისთანავე გამომჟღავნდა, რათა ნათელი გახდეს დიდი განსხვავება არაბთა დროინდელ ჯანმრთელ საზოგადოებასა და მონღოლთა დროინდელ დაძაბუნებულ საზოგადოებას შორის. ამ მორალური წინააღმდეგობით აიხსნება ის, ერთი შეხედვით, უცნაური გარემოება, რომ არაბებს მანამდე არ დაუმჩნევიათ რაიმე თვალსაჩინო, ყოველ შემთხვევაში, შეცნობილი კულტურული კვალი ქართველობაზე, სანამ ისინი პოლიტიკურად არ დასუსტდნენ.

[2] მართალია, ეს უნდა გავიგოთ ა. ვ. cum grano salis. ჩვენ მოგვეპოვება მთელი რიგი ცნობებისა სომხური დიდი ტაძრების შესახებ, რომლებიც გაცილებით უფრო მოკლე ხანში აუგიათ (იხ. ორბელის დასახ. ნაშრ, გვ. 117-118 და 122). ბევრი იქნებოდა დამოკიდებული, რა თქმა უნდა, ნიუთიერ სახსრებზე.

Л. В. Мусхелишвили

НАДПИСИ САМШВИЛДСКОГО СИОНА И ВОПРОС О ВРЕМЕНИ ЕГО ПОСТРОЕНИЯ

РЕЗЮМЕ

Грузинская надпись Самшвилдского Сиона, этого, судя по развалинам, великолепного купольного здания, издавалась М. Броссе, датировавшим ее 1313 годом и затем, несколько лучше, Е. Такайшвили, со своей стороны приурочившим ее к 958 году. Однако и это последнее издание не полно.

В настоящей статье дается полный текст уцелевшего фрагмента, составляющего 1/3 всей надписи (остальные 2/3 были утеряны уже тогда, когда Бартоломей снял первую копию), исполненной древнегрузинским письмом «мтаврули» и помещенной в одну строку, на высоте человеческого роста, во всю длину восточного фасада.

Фрагмент этот читается следующим образом:

«... [ро]дом питиахшей. В 20-й год царствования Константина положено основание рукою... построить. Варазбакур почил и пос[ле] него... Иован спешил. Сконча[лся]... вполне построить свя[тую сию церковь] и портики. И в 3-ий год царя Леона, в день обновления (энкении), совершил освящение в течение 6-ти дней, при большом собрании. Укра[сился?]...» .

Отсюда видно, что: 1. Храм строили потомки питиахшей, т. е. известных с V века правителей Нижней Картлии (древняго Гугарка), с центром именно в Самшвилде, 2. Положил его основание Варазбакур, после кончины которого продолжал стройку, очевидно, его близкий родственник Иован, 3. Этот последний тоже не успел довести дело до конца, а довершило постройку уже третье, неизвестное нам лицо, вероятно, также из питиахшей, бывшее очевидно епископом, ибо ему же пришлось совершить и торжественное освящение нового храма. Конец надписи не ясен, но не хватает, по всей видимости, всего нескольких слов. В общем, почти все содержание надписи, по смыслу, можно сказать, на лицо.

Надпись можно точно датировать.

Палеографический характер письма заставляет предполагать скорее всего VIII век, но во всяком случае, по внешним признакам, надпись эту никак нельзя приурочить к эпохе позднее X века. Таким образом, дата, предлоденная Броссе, отпадает уже по чисто формальным соображениям.

Мы не знаем, кто такие Варазбакур и Иован, но потомки питиахшей упоминаются, в связи с событиями середины VII-го века, у грузинского историка Джуаншера.

Однако, совершенно точную дату мы может получить, установив личность царей Константина и Леона, годами царствования которых датировано построение храма. Такайшвили видел в них абхазских царей X века. Но, во первых, согласившись с Такайшвили, мы получим, что храм строили в продолжение 68 лет, что мало вероятно, а во вторых нам известно, что в Самшвилде, в продолжение всего X века резидировали армянские цари, почему никто бы и не стал в это время датировать постройку годами царствования абхазских царей, к тому же не владевших еще в эту эпоху Восточной Грузией. Значит, и дата Такайшвили оказывается не обоснованной.

Но если в Константине и Леоне нашей надписи нельзя предположить абхазских царей, то остается только одна единственная возможность, именно, что они являются византийскими императорами Константином V Копронимом (740-775) и Львом IV Хазаром (775-780), ибо, с одной стороны, ни среди грузинских, ни среди армянских царей мы не знаем ни одного, который

бы носил эти имена, с другой же стороны, среди византийских императоров, за исключением Константина V и Льва IV, нет других царей с этими именами, которые бы следовали друг за другой так, чтобы их можно было идентифицировать с царями Самшвилдской надписи (Константин IV и Константин VI царствовали менее 20-ти лет, а остальные цари с этим именем исключены потому, что за ними не следует царь с именем Льва).

Итак, основание Самшвилдскому Сиону было положено в 759-ом году, закончено же было построение храма в 777-ом году, т. е. его строили в продолжение 19 лет, что для того времени модно считать несколько даже малым сроком.

Освящение храма произошло в год окончания постройки, в день энкении, т. е. 13-го сентября 777-го года.

Фрагмент грузинской надписи на южной стене крешальни, принимавшийся и Броссе и Такайшвили на начальную часть надписи восточного фасада, по мнению автора, хотя приблизительно и одновременен с этой последней, но представляет из себя остаток самостоятельной надписи, относяшейся, по всей вероятности, к постройке только крешальни, а не всего храма.

Фрагмент же армянской надписи там же, изданный недавно впервые проф. Л. Меликсет-Бековым в котором упоминается армянский Католикос Георг, должен быть датирован, как правильно полагает проф. Меликсет-Беков, второю половиною XI века, именно, от 1067-го по 1072-ой год, когда патриарший престол в Армении занимал Георг III Лорийский. Таким образом, армянская надпись, смысл которой остается неясным, не связана с грузинскими.

მცხეთის სვეტი-ცხოვლის ტაძრის უძველესი წარწერები და მათი დამოკიდებულება მელქიზედეკ კათალიკოსის ანდერძთან[1]

სახეში მაქვს სამი ცნობილი წარწერა, რომლებიც შესრულებულია მელქიზედეკ კათალიკოსის დროს (დაახლ. 1010-1033 წწ.) და რომლებიც, უფრო ნიშანდობლივ, შეიძლება 1029 წლით დათარიღდეს, როდესაც მელქიზედეკს „სვეტი-ცხოვლის" მეორედ აშენება დაუმთავრებია და, როგორც ეს ნ. ბერძენიშვილმა გამოარკვია[2], მიუცია ამ ტაძრისათვის თავისი „დაწერილი".

ამ წარწერებს დღეს უკვე საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა მოეპოვება, რომლის გაცნობა მსურველს ნ. ბერძენიშვილის ზემოხსენებულ ნაშრომში შეუძლია. მაინც, მათი წაკითხვა და განსაკუთრებით კი, ურთიერთისადმი დამოკიდებულება საბოლოოდ დადგენილად და გამორკვეულად ვერ ჩაითვლება.

ამიტომ, ჩვენი ამოცანა, პირველ ყოვლისა, იქნება, ერთის მხრით, ვეცადოთ, სადაც კი ამის შესაძლებლობა არსებობს, საბოლოოდ დავადგინოთ ამ წარწერათა ტექსტი და, მეორე მხრით, მათი პალეოგრაფიული თვისებების ნიშანდობლივი შესწავლის საფუძველზე, ვცადოთ წარწერების სინქრონიზმის საკითხის უფრო დაზუსტებით გადაწყვეტაც.

ამ წარწერათა შორის პალეოგრაფიულად ყველაზედ უფრო შესანიშნავია გარეთი ბჭის წარწერა (სურ. 1)[3], რომელსაც მარჯვენა გვერდზე, ძირს ერთი ან რამდენიმე სიტყვა აკლია და შევსებას მოითხოვს. ეს წარწერა მოთავსებულია ტაძრის დასავლეთით მდებარე ძველი ბჭის მეორე სართულის ფასადზე. სახელდობრ, მრგვალსვეტებიანი ახდილი თაღედი შენობის შუბლსა და გვერდებზე. წარწერის ამოკოდვა ოსტატს ზემო

---

[1] მოჰხსენდა საქ. მეცნ. აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყ-ის IV სამეცნიერო სესიის სხდომას 1941 წლ. დეკემბრის 29-ს.

[2] იხ. მისი „მცხეთის საბუთი XI საუკუნისა", საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. VI, თბ., 1931, გვ. 251-254.

[3] წინამდებარე წერილისათვის საჭირო საილუსტრაციო მასალების გამო უნდა შევნიშნო შემდეგი: გარეთი ბჭის წარწერა თუმცა გადაღებულია ფოტოგრაფიულად, მაგრამ ფოტოსურათს ისეთი ნაკლი სჭირს, რომ კლიშესთვის იგი არ გამოდგებოდა; ამიტომ ვარჩიე ზუსტად შესრულებული ნახაზის მოცემა, რომელიც დამყარებულია ადგილობრივ წარმოებულ ჩანაზომებსა და აგრეთვე აღნიშნულ ფოტოსურათზე. ტაძრის აღმოსავლეთი ფასადის წარწერა გადაღებულია საქ. კულტ. ძეგლთა დაცვის განყოფილების მიერ, როდესაც იგი აქ სარესტავრაციო სამუშაოებს ანარმოებდა და ტაძრის გარშემო ხარაჩოები იყო ამართული. სამწუხაროდ, ასეთივე ფოტოსურათი ჩრდილო-ფასადის წარწერისა განყოფილებას არ აღმოაჩნდა. სამაგიეროდ, როგორც აკადემ. გ. ჩუბინაშვილმა მიმითითა, არსებობს ერმაკოვის მიერ გადაღებული ფოტოსურათი ჩრდილო-ფასადის დეტალისა, რომელზედაც ხსენებული წარწერა იმდენად კარგად ჩანს, რომ შესაძლებელი იყო მისი ნახაზის გაკეთებაც (სურ. 2).



სურ. 1. სვეტი-ცხოველის გარეთი ბჭის წარწერა.

მარცხენა კუთხეში დაუწყია და თავდაპირველად, ასოები შედარებით ფართოდ გაუშლია, მერმე კი, რაც უფრო უახლოვდებოდა მარჯვენა კუთხეს, ალბათ იმიტომ, რომ ადგილის სიმცირე შეამჩნია, ასოები უფრო და უფრო მიჯრით მიუწყვია. მაინც შუბლი მას არ ეყო, იგი ჩამოვიდა ნაგებობის მარჯვენა გვერდზე და აქ კი, რატომღაც, უკუღმა მოქცეულა: ჯერ უფრო მიჯრით უწერია, ქვევითკენ კი თვითეულ სტრიქონს მეტი ადგილი დაუთმო, ასოების სიმაღლესაც ოდნავ უმატა. რადგან არც მარჯვენა გვერდის სიგრძე აღმოჩნდა საკმარისი წარწერის დასატევად, ოსტატი იძულებული გამხდარა ორი უკანასკნელი სიტყვა მარცხენა გვერდზე გადაეტანა. აქედან ცხადია, რომ წინასწარი ნახაზი, ესკიზი წარწერისა ოსტატს ხელთ არ ჰქონია, მას არ გაუთვალისწინებია წარწერის მოსათავსებლად მოცემული ადგილის ზომები, რათა მეტი თანამიმდევრობა და სიმეტრია დაეცვა. მიუხედავად ამისა, წარწერა ისე კარგადაა შესრულებული, რომ, გარდა საერთო სიმეტრიის უქონლობისა, ყველა ზემოაღნიშნული წვრილი ნაკლი თვალისთვის შეუმჩნეველი რჩება და მთლიანი შთაბეჭდილება საუცხოოა – სწორედ ისეთი საზეიმო, როგორიც დამწერს უთუოდ განზრახული ჰქონდა (სამწუხაროდ, ნახაზი, მინიატურობის გამო, სავსებით ვერ გადმოსცემს ამ შთაბეჭდილებას).

შუბლისა და მარცხენა გვერდის წაკითხვა არავითარ ეჭვს არ იწვევს.

მარჯვენა გვერდის შესახებ კი უნდა შევნიშნო შემდეგი: 1. ერთ ადგილას მწერალს შეცდომა მოჰსვლია, რომელიც შეუსწორებლად დაუტოვებია, რათა წარწერა არ გაეფუჭებინა – სიტყვა „რომელმან“ მას 4 ასოთი უნდოდა გამოეხატა, როგორც „რ˜ლმნ“, მაგრამ ლ-ასის მაგივრად ნ-არი ამოუკოდვია („რ˜ნმნ“). 2. უკანასკნელ შემონახულ სიტყვას მ. ბროსეც და თ. ჟორდანიაც აღუდგენლად ჰკითხულობდნენ: „კათოლიკე“[1].

[1] იხ. Voyage archéol., I-e rapp., p. 20 და ქრონიკები, I, გვ. 176.

დღეს ამ სიტყვის ვითარება ასეთია: თ, ლ და ი სანახევროდ აღსადგენია[1]; ბოლომარცვალი კი ამ სიტყვისა თითქმის სრულებით აღარ ჩანს, მაგრამ ნაკვალევის მიხედვით შეიძლება მაინც აღვადგინოთ კ და, უფრო სათუოდ, თითქოს ᲩᲐ და არა ე. ამგვარად, ამ სიტყვას მე უფრო ასე წავიკითხავდი: „კა'თ'ო'ლი'[კᲩ]"[2]. 3. ამ სიტყვის წინამავალ სიტყვაში „[ნ]ᲬᲐ"=„[წმიდა]Ა", ნ სრულებით გადარეცხილია, ქარაგმა კი კარგადა ჩანს. ბროსეს და ჟორდანიას დროს ეს ასოც თითქოს დაცული ყოფილა. 4. უკანასკნელად აღნიშნული დეფექტები წარწერისა აიხსნება ქვის ქანის სირბილით, რის გამოც სწორედ ეს ადგილი (მარჯვენა გვერდის ძირი). ატმოსფერული ზეგავლენით, ისეა დაშლილ-დახეთქილი, რომ ფენა-ფენა ცვივა.

კონტექსტიდან ჩანს, რომ წარწერას, სიტყვა „კათოლიკᲩ"-ს შემდეგ, ერთი ან რამდენიმე სიტყვა კიდევ უნდა აკლდეს. თ. ჟორდანიას (ნახსენ. ადგ.) აქ ერთი სიტყვა ეგულებოდა: „სალოცველად", ან „მოსაჴსენებლად". ნ. ბერძენიშვილის აზრით (ნახსენ. ადგ., გვ. 268), წარწერაში თვით ბჭის აშენებაც უნდა ყოფილიყო აღნიშნული და ამიტომ აქ აღსადგენია: ან „ეკლესიაᲐ და ბჭᲩ ესე სალოცველად", ან, უფრო მოკლედ, „და ბჭᲩ სალოცველად".

თავისუფალ ადგილზე, საცა წარწერა წაშლილია, ბევრი-ბევრი, 5 სტრიქონი თუ დაეტეოდა, ისიც გაჭირვებით. თაღედის სამხრეთი (მარჯვენა) სვეტის ხარისხი მთლიანად არაა მიწით დაფარული, ისე რომ მისი ზედაპირის ხაზის დონე ცნობილია (იხ. სურათი). უკიდურეს შემთხვევაში მხოლოდ ამ ხაზამდე შეეძლო ოსტატს წარწერის ჩამოყვანა მარჯვენა გვერდზე, რადგან უფრო ღრმად წასვლა წარწერის დაფარვას უდრიდა – მის წაკითხვას ქვემოდან უთუოდ ხელს შეუშლიდა ბჭის ძირა სართულის ლავგარდანი. მარჯვენა გვერდზე, სანახევროდ აღდგენილი სიტყვის „კა'თ'ო'ლი'[კᲩ]"-თურთ, ახლა სულ 19 სტრიქონია დაცული, რომელთაგან თითოეული ორი ან ერთი ასოსაგან შედგება. ამ 19 სტრიქონს უჭირავს 202 სანტიმეტრის სიმაღლის ადგილი, ე. ი. თითო სტრიქონზე საშუალოდ 10,5 სანტიმეტრი მოდის. ძირს რჩება, ხარისხის ხაზამდე, სულ 50 სანტიმეტრის სიმაღლის ცარიელი ადგილი, რომელზედაც, ჩვენი ვარაუდის თანახმად, 4 და გაჭირვებით 5 სტრიქონი შეიძლებოდა კიდევ მოთავსებულიყო. ამგვარად, ნ. ბერძენიშვილის მიერ წამოყენებული აღდგენის ვარიანტებიდან პირველი, უფრო გრძელი ვარიანტი, ყოველ მიზეზ გარეშე უნდა უარვყოთ, მოკლე ვარიანტი კი, შეიძლება სავარაუდოდ მივიღოთ, თუ კი მას ასე დავაქარაგმებთ: „[და ||ბჭ||Ჩ ||სლ||ცდ]"; ქარაგმებისა და სტრიქონების ამაზე მეტად შემჭიდროება თითქოს შეუძლებელია. ამნაირად აღდგენილი წარწერა მიყვანილი იქნებოდა, მაშასადამე, ზედ ხარისხის ხაზამდე, ე. ი. იმდენად დაბალ დონემდე, რომ მისი წაკითხვა ქვემოდან მეტად თუ ნაკლებად გაძნელებული იქნებოდა. ამაზე მეტი აღნიშნულ ადგილზე ვეღარა დაეტეოდა რა.

მაგრამ ნამდვილად საჭირო და აუცილებელი კია ბჭის ხსენებაც, რახან წარწერა მასზეა მოთავსებული? – არა მგონია. წარწერა გაკეთებულია მთავარს, საზეიმოდ გამართულ შესასვლელზე, რომელიც ტაძრისკენ მიიმართებოდა. იგი მიგვითითებს ამ

---

[1] ნახაზზე (სურ. 1) ეს ასოები მთლიანადაა გადმოცემული, რადგან მათი წაკითხვა უეჭვოა.

[2] თუმცა, როგორც აღვნიშნე, ბროსეც და ჟორდანიაც აღუდგენლად ჰკითხულობენ ამ ადგილს, მაინც ძალიან ვეჭვობ, რომ მათ დროს ამ სიტყვის უკანასკნელი მარცვალი და განსაკუთრებით კი, უკანასკნელი ასო ისე ყოფილიყო დაცული, რომ ჯერ კიდევ თავისუფლად შეიძლებოდა მისი წაკითხვა. ამას მაფიქრებინებს ჯერ ერთი ის, რომ იმ დროსაც უკვე უშუალოდ მომდევნო ადგილი სრულებით მოშლილი თუ გადარეცხილი ყოფილა და მეორეც ის, რომ ორივე ხსენებული ავტორი ძალიან ზერელედ მოჰკიდებია ამ წარწერას საერთოდ.

უკანასკნელის ამშენებლობაზე, თორემ თვითონ ბჭის აშენება შიგ თავისთავადაც ნაგულისხმევია, რაკი წარწერა ზედაა მოთავსებული. ამიტომ, სრულიად ბუნებრივი იყო პირველი შთაბეჭდილება თ. ჟორდანიასი, რომელმაც აქ მხოლოდ ერთი სიტყვა ჩაურთო[1] და რომელსაც ეჭვიც არ შეჰპარვია იმაზე, რომ ბჭე თავისთავადაც იგულისხმებოდა[2].

მთლიანად ამ წარწერას მე ასე წავიკითხავდი, ქარაგმების გახსნით:

„ქრისტე, ადიდე შენ მიერ დამყარებოკლი მეოკფე ჩოკენი, ქრისტეს მიერ მელქიზედეკ ქართლისა კათალიკოზი, რომელმან[3] მეორედ აღაშენა [წმიდა]Ჲ კა'თ'ო'ლი'[კᲫ ესე სალხინებელად[4]] სოკლისა მათისა“.

ეს წარწერა პალეოგრაფიულად მეტად საინტერესოა: იგი იშვიათის გულმოდგინებითაა შესრულებული ლამაზი კიდურისრებიანი და ე. წ. ტყუბწვეტიანი[5] მთავრული დამწერლობით. ეს არის კლასიკური მთავრული იმ მხრით, რომ მისი არც ერთი ასო ორხაზოვან ბადეს არა სცილდება[6]. როგორც ეს აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილსა აქვს აღნიშნული, ასეთი „მრგვლოვან-კიდურწვეტიანი დამწერლობა ხასიათდება ასოთა მსხვილი და ბეწვებრივი ხაზების თვალსაჩინო დაპირისპირებით“[7] და პირდაპირ გასაოცარია, თუ როგორის ზედმიწევნილობითა აქვს ეს შესრულებული ჩვენს ოსტატს ქვაზე: ამ მხრით განსაკუთრებით საყურადღებოა ისეთი ასოების მოხაზულობა, როგორიცაა ა, დ, თ. Ჲ, ო, რომელთა გვერდები ყოველთვის თანაბარ მანძილზეა გასქელებული, თითქოს მწერალი ერთხანს კალამს დააწვაო. ისრები ან მთელია, ან ნახევარი და ამშვენებს ასოთა უდიდესი ნაწილის კიდურებს. ზოგ ასოს კი, როგორიცაა ო, რ, ს, შ და ჩ, კიდურებზე „ტყუბწვეტიანი სამკაული“ აქვს, რომელიც ზოგჯერ მეტად, ზოგჯერ (ს-ანზე, ჩ-ინზე) ნაკლებადაა გამომუშავებული. ქარაგმაც, რომელიც სულ სამჯერაა ნახმარი, წარმოადგენს მარტივ ხაზს, რომლის ბოლოები ისრებითაა შემკული, თუმცა ისრები აქ ძალიან დაუდევრადაა შესრულებული.

ამ წარწერისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ქართულ კლასიკურ პალეოგრაფიაში იშვიათი ლიგატურა, რომელიც ერთხელა გვხვდება[8], უცნაურად მოყვანილი, ორთავიანი „ქანწილი“ და ე-ნის თავისებური ჩასმა დ-ონში, სიტყვაში „მეორედ“, მარჯვენა გვერდზე. ეს უკანასკნელი ჩართვა ერთი ასოსი მეორეში, ისევე როგორც, ხსენებული ლიგატურა და აგრეთვე, ორჯერ ხმარებული შეწიაღება ასოებისა[9] გამოწვეულია ადგილის ეკონომიის საჭიროებით ნაგებობის გვერდებზე.

---

[1] რაც მხოლოდ 2-3 სტრიქონს მოითხოვდა: „[სლ||ცდ]“, ან „[სლ||ცლ||დ]“.

[2] აღარას ვამბობ იმაზე, რომ ნ. ბერძენიშვილის მოკლე ვარიანტი გადაჭარბებით მოკლე გამოდის: მას უთუოდ აკლია განმსაზღვრელი ნაცვალსახელი „ესე“ („ბჭᲫ ესე“), რომელიც კიდევ 2 სტრიქონს დაიჭერდა.

[3] როგორც უკვე აღვნიშნე, ნამდვილად აქ სწერია „რ˜ნმნ“.

[4] შდრ. მელქიზედეკის ანდერძი, ნ. ბერძენიშვილთან, ნახსენ. ადგ., გვ. 288, სტრ. 13-14; ეს სიტყვა ჩვენს წარწერაში ასე შეეძლოთ შეემოკლებინათ: „[სლ||ხნ||დ]“. წინამავალი ნაწევრითურთ („ესე“) აღდგენილი ადგილი მოითხოვდა სულ, ალბათ, 5 სტრიქონს და ამაზე მეტი, მაშასადამე, იქ ვეღარაფერი დაეტეოდა. რა თქმა უნდა, დასაშვებია აგრეთვე, მაგ., ასეთი აღდგენა: „სალოცველად“, ან „საჴსრად“ და სხვ., მაგრამ „ესე“ მაინც ყველგან უნდა ყოფილიყო.

[5] იხ. ივ. ჯავახიშვილის პალეოგრაფია, გვ. 122-123.

[6] იქვე, გვ. 105.

[7] იქვე, გვ. 123.

[8] მნ სიტყვაში „რ˜ლმნ (რ˜ნმნ)“, მარჯვენა გვერდზე.

[9] სიტყვაში „მეორედ“, მარჯვენა გვერდზე, რ შეწიაღებულია ო-ნში და სიტყვაში „სოლისა“, მარცხენა გვერდზე, ლ შეწიაღებულია ო-ნში.

სვეტი-ცხოვლის ტაძრის გარეთი ბჭის წარწერა, თავისი პალეოგრაფიული თვისებებით, განმარტოებით არ გვევლინება. აქ ჩვენ უსათუოდ გარკვეულ კალიგრაფიულ სკოლასთანა გვაქვს საქმე, რომელიც, დღეს-დღეობით ჩვენ ხელთ მყოფი მასალების მიხედვით, XI -ის დამდეგისათვის ჩამოყალიბდა, შესაძლებელია, შიდა-ქართლში. ასე, მაგ., ისრებიანი (უფრო ზუსტად, ნახევარისრებიანი) დამწერლობითაა შესრულებული რუისის წარწერა, რომელშიც ბაგრატ IV-ის დედა, მარიამ დედოფალი, იხსენიება[1]. კიდევ უფრო ნიშანლობლივია ზედაზნის კანკელის ერთი ბარელიეფის წარწერა, რომელიც ისეთის მუყაითობით არაა შესრულებული, როგორც სვეტი-ცხოვლის გარეთი ბჭის წარწერა, მაგრამ სრულიად ზუსტად იმეორებს მის კალიგრაფიულ ხერხებს[2]. მაგრამ საუკეთესო, შეიძლება ითქვას, კლასიკურ ნიმუშს ასეთი დამწერლობისას ქვაზე წარმოადგენს სამთავისის ტაძრის აღმოსავლეთი ფასადის წარწერა ილარიონ ყანჩაელისა, რომელზედაც აკად. გ. ჩუბინაშვილმა მიმითითა და რომელიც, ტაძართან ერთად, 1030 წლით თარიღდება[3].



სურ. 2. სვეტი-ცხოველი. წარწერა ჩრდილო-ფასადზე.

ჩრდილო-ფასადის წარწერა (სურ. 2) მოთავსებულია ცენტრალური სარკმლის ზემოთ, ორ ფილაქანზე, რომელთა შორის კედელში ჩასმულია მესამე ფილაქანი ხელისა და კუთხედის (გონიოს) რელიეფური გამოსახულებით. წარწერა 2 სტრიქონადაა ამოკოდვილი და ასე იკითხება (მარცხენა და მარჯვენა ფილაქნები გაყოფილი მაქვს შვეული ხაზით):

1. ჴ˜ლი მო|ნისა
2. არს˜კს |ძ˜ᲂ შ˜დთ

ქარაგმების გახსნით: „ჴელი მონისა არსოკკისძისაᲂ[4]. შეოჴნდვეთ“.

---

[1] იხ. აკად. ივ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი ენიმკი-ს მოამბე, V-VI (1940), გვ. 447, სურ. 13; შდრ. იქვე სურ. 12, გიორგი ეპისკოპოსის წარწერა იმავე ხანისა, შესრულებული ტყუბწვეტიანი დამწერლობით.

[2] ბარელიეფი ინახება მეტეხის ხელოვნების მუზეუმში.

[3] იხ. ქრონიკები, I, გვ. 171. მოძრავ ნივთებზე ასეთი სახის წარწერები შიდა-ქართლის გარეთაც გვხვდება, მაგ., ცნობილ გელათის ვერცხლის პინაკზე (ჯავახიშვ., ქართვ. ერის ისტ., II, სურ. მე-652 გვერდთან) და კაცხის მაცხოვრის ხატზე (აკად. გ. ჩუბინაშვილის ცნობით).

[4] რადგანაც მოქცევაᲂ ქართლისაᲂს მატიანე რამდენჯერმე დაეინებით ასახელებს „არსუკს“ (ანუ „არსოკს“, რაც მერმინდელ მცდარ წაკითხვას უნდა წარმოადგენდეს ო-ნით დაწერილი არსუკისას; Е. Такайшвили, Опис. рукописей Общ. Распр. Грам., II, Т. 1906-12., с. 709-710); ხოლო არც აქ, არც სხვა ქართულ წყაროებში სახელი „არსაკ“ ცნობილი არაა და თანაც ჯერ კიდევ საკითხავია ამ ორი სხვადასხვა ფორმის იგივეობა (შდრ. Fr. Justi-სთან, Iran. Namenb., 'Αρσύκης || Arsukes და 'Αρσάκης), ამიტომ, ჩემი აზრით, მცხეთის წარწერაშიც ეს სახელი ზემომოყვანილი ფორმით უნდა გავხსნათ და არა ისე, როგორც ეს ს. კაკაბაძესა აქვს (ე. ი.

აღმოსავლეთი ფასადის წარწერა ამოკოდვილია მაღლა კედლის წყობაში შუათაღის ქვეშ მოქცეულ ქვის დისკოებზე. აქ სიმბოლური გამოსახულება გვაქვს ვაზისა: მაღალი რელიეფით გამოქანდაკებულია სამწერობელის მსგავსი ფიგურა, რომლის ტარზე ძირს ორი ყურძნის მტევანია შებმული სიმეტრიულად; „სამწერობელი" 24-შტოიანია; თითოეული შტო სოლისებრი მოყვანილობისაა, კოვზებრივაა ამოღრმავებული და თითოეულს ბოლოში რელიეფური პატარა დისკო უზის ღილივით; „სამწერობლისაგან" რადიალურად, ნახევარწრის ფართობზე, გადაშლილია კიდევ 12 ასეთივე, მაგრამ უფრო დიდი შტო, რომელთაგან თითოეული ისევ-ისე რელიეფური დისკოთია შემკული. აი, ამ დიდ დისკოებზეა ამოკოდვილი წარწერა და მხოლოდ პირველი და უკანასკნელი დისკოებია ცარიელად დატოვებული

წარწერა ასე იკითხება[1]:

1. – 2. ად˜ნ 3. ღ˜ნ ქ˜ეს 4. მრ˜მქი[2] 5. ზედ˜კ 6. ქკ˜ზი | ა˜ნ[3] 7. აღშ˜ნა | ესე ნჲ ეკჲ 8. ჴ˜ლთა | გლხკისა 9. მნ˜სა | მთს 10. 'ა'რს˜კს 'ძ'თა[4] 11. ღნ˜გსე | სლსა 12.[5]

ქარაგმების გახსნით:

„ადიდენ ღმერთმან ქრისტეს მიერ მელქიზედეკ ქართლისა კათალიკოზი, ამენ. აღეშენა ესე წმიდაჲ ეკლესიაჲ ჴელითა გლახაკისა მონისა მათისა 'ა'რსოკკის'ძ'ისაჲთა, ღმერთმან განოკსოკენე სოკლსა [მისსა]".

ამ წარწერიდან, სხვათა შორის, ცხადი ხდება, რომ ხუროთმოძღვარი არსუკისძე მშენებლობის დამთავრების წელსვე უნდა გარდაცვლილიყოს, რადგან ცოცხალი ადამიანისათვის ღმერთს არავინ შესთხოვდა: „განუსუენე სულსა [მისსაო]". ამასვე გვიდასტურებს ჩრდილო-ფასადის წარწერაც თავისი „შეუნდვეთ"-ით. საფიქრებელია, რომ როგორც თვით ეს წარწერა, ისე ბარელიეფის მოთავსებაც ტაძრის ფასადზე, რაც არ წარმოადგენდა ჩვეულებრივ მოვლენას, გამოწვეული იყო სწორედ აღნიშნული გარემოებით.

რა დამოკიდებულებაშია ეს ორი უდავოდ თანადროული წარწერა გარეთი ბჭის წარწერასთან პალეოგრაფიულის თვალსაზრისით?

ს. კაკაბაძემ გარეთი ბჭის წარწერა გამოყო, როგორც უფრო მოგვიანო (საისტ. კრებ. I, 105). იგი ემყარება კ-ანის მოხაზულობას, რომელიც ტაძრის ფასადებზე, მისის აზრით, უფრო არქაულ სახეს ატარებს. ამ გარემოებამ მისცა ს. კაკაბაძეს საბაბი, ეს წარწერები და მათთან ერთად, სვეტი-ცხოვლის აშენება X ს-ის პირველ ნახევარში გადაეტანა (იქვე, გვ. 107). მაგრამ ს. კაკაბაძის მსჯელობიდან არ ჩანს, თუ რატომ უნდა

„არსაკისძისაჲ", იხ. საისტ. კრებ., I, გვ. 99).

[1] თვითეული დისკო დანიშნულია ნომრით; ყოველი შემთხვევისათვის 1-ლი და მე-12 დისკოებიც დავნიშნე, რომელთაგან უკანასკნელზე უნდა ყოფილიყო სიტყვა „[მისსა]"; 1-ლი დისკოს ზედაპირი კარგადაა დაცული, ზედ არავითარი ნიშანი წარწერისა არა ჩანს, მე-12 დისკოს ზედაპირი კი ძალზეა ჩამოშლილი. როდესაც ერთ დისკოზე ორი სტრიქონია მოთავსებული, ისინი გაყოფილი მაქვს შვეული ხაზით.

[2] აქ ქარაგმა ორივე სიტყვისთვის საერთოა, რისთვისაც მე იგი სიტყვათა შორის მოვაქციე.

[3] აქ ქარაგმის ნიშანი აღსადგენია, შენახულია მხოლოდ მისი კიდურების წერტილები; აღსანიშნავია, რომ მეორე სტრიქონებისათვის, ადგილის სიმცირის გამო, ქარაგმის ნიშანი არ იხმარება, გარდა ამ ერთი შემთხვევისა.

[4] ამ სიტყვაში მეორე ს-ანი, რახან დისკოზე ვერ დაეტია, იქვე გვერდით თვით „სოლის" ზედაპირზეა ამოჭრილი (იხ. სურ.).

[5] ასე აქვს ამოკითხული ეს წარწერა პირველად ს. კაკაბაძეს (იხ. საისტ. კრებ. I, გვ. 99).

იყოს ამ წარწერების მოკლეფეხიანი კ-ანი „გარდამავალი სახისა“ და უფრო ძველი, ვიდრე გარეთი ბჭის წარწერის კ-ანი.

ნ. ბერძენიშვილს კი სამივე წარწერა პალეოგრაფიულად ერთნაირი ჰგონია და კ-ანის სხვანაირ მოხაზულობას ის უბრალო შემთხვევითა ჰხსნის (იხ. მისი წერილის გვ. 269).

ნამდვილად, ს. კაკაბაძის დაკვირვება უფრო სწორეა. გარეთი ბჭის წარწერა მართლაც თვალსაჩინოდ განირჩევა ორ დანარჩენ წარწერაში, მაგრამ არც იმდენად, რომ ამის გამო იგი სხვა ხანას მივაკუთვნოთ. და მაინცდამაინც არავითარი საბუთი არ მოიპოვება მის გადასატანად უფრო მოგვიანო ხანაში, შედარებით ტაძრის ფასადების წარწერებთან. პირიქით, თუ სამივე წარწერის სინქრონიზმის მიმართ ეჭვი შეიძლება არსებობდეს, მაშინ, როგორც ვნახავთ, დამწერლობის თვალსაზრისით, მეტი საბუთები მოგვეპოვება აღმოსავლეთი ფასადის წარწერის გადასატანად უფრო მოგვიანო ხანაში.

დავაკვირდეთ ჯერ ჩრდილო-ფასადის წარწერას (სურ. 2). იგი ეკუთვნის ქართულ ეპიგრაფიკაში ძალიან გავრცელებულს კიდურწერტილოვანი დამწერლობის ტიპს და არა კიდურისრებიანისას ან ტყუბწვეტიანისას, როგორც გარეთი ბჭის წარწერა. ზოგან, მართალია, თითქოს დაუდევრად გამოყვანილი ისრებიცა ჩანს (ა-ნზე, დ-ონზე, თ-ანზე) და ნ-არის ფეხიც ძირისკენ ისეა გასქელებული, თითქოს ტყუბწვეტიანი სამკაულით თავდებაო, ისე რომ ამ მხრით გარეთი ბჭის წარწერასთან ერთგვარი სიახლოვე ჩანს, მაგრამ, სამწუხაროდ, რადგან ჩვენ არ მოგვეპოვება ჩრდილო-ფასადის წარწერის ფოტოსურათი, გადაღებული en face, და დურბინდით დაკვირვებაც, ნამეტანი სიმაღლის გამო, გაძნელებულია, დეტალების ზედმიწევნით გარკვევა შეუძლებელი ხდება.

სხვაობა ცალკეულ ასოებშიც აღინიშნება: ა-ნი უყელოა, იმ დროს, როდესაც გარეთი ბჭის ა-ნს დაბალი, მაგრამ მკაფიოდ გამოყვანილი ყელი აქვს; დ-ონიც ამ უკანასკნელ წარწერაში დაბალყელიანია, ჩრდილო-ფასადზე კი, თითქმის სულ უყელოა, მის მაგივრად უბრალო წერტილი უზის; კ-ანი მკვეთრად კუთხოვანია, მაგრამ დაბალფეხიანი მას არ ეთქმის; ი დაბალია და განიერი, იმ დროს როდესაც ბჭეზე იგი კოხტა წონოლა მოყვანილობისაა; რ-აე, პირიქით, აზიდულია, ფეხი მას თითქმის ზედ ბუნის თავზე ებმის; ს-ანიც ისეთი მოქნილი არაა, როგორც ბჭეზე.

მაგრამ საერთო შთაბეჭდილებით, ვიმეორებ, არა ჩანს ისეთი განსხვავება, რომ სხვა ხანა გვაფიქრებინოს. აქ ჩვენ გვაქვს იმავე ხანის, ე. ი. XI ს-ის პირველი ნახევრის მთავრული, ოღონდ სხვა ხელით შესრულებული. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ წარწერების დანიშნულება სხვადასხვანაირი იყო: გარეთი ბჭის წარწერა დაბლაა მოთავსებული, აქ ყველა დეტალი ნათლადა ჩნდა, და საზეიმო შესასვლელისათვის მას უნდა სამკაულის როლიც შეესრულებინა. ფასადების წარწერები კი ორივე ძალიან მაღლაა გამოკვეთილი, აქ მაყურებლის თვალი დეტალებს ვერ შენიშნავდა და ამიტომ საჭიროც არ იყო მათი მუყაითად გამოყვანა. პირიქით, ერთგვარი სიმქისე ნაკარნახევი იყო სწორედ მათი წაკითხვის გასაადვილებლად დიდ მანძილზე. ამიტომაა, მაგალითად, რომ მსხვილი და ბეწვებრივი ხაზები აქ არაა ისე მკვეთრად დაპირისპირებული, როგორც ბჭეზე, და ამიტომვეა ორივე ფასადის ბარელიეფებიც – ხელი და მტევანი – გამოუმუშავებლად დატოვებული. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ჩრდილო-ფასადის წარწერაში ნ-არი (როგორც უკვე მოვიხსენიე) და აგრეთვე ქარაგმის ნიშანიც თითქმის სრულებით ისეთივეა, როგორც ბჭეზე, ხოლო დაბალი და განიერი ი ასეთივე სახით გვხვდება მარიამ დედოფლის ზემოხსენებულს რუისის წარწერაში. მეორე მხრით, აღმოსავლეთი ფასადის წარწერის ერთი რ (მე-4 დისკო) ძალიან მიაგავს გარეთი ბჭის რ-აეს.

აღმოსავლეთი ფასადის წარწერის ხელი თითქმის ზედმიწევნით ისეთივეა, როგორც ჩრდილო-ფასადის წარწერისა, როგორც საერთო სტილის თვალსაზრისით, ისე ცალკეუ-

ლი ასოების მოხაზულობით (ა-ნი, დ-ონი, თ-ანი, ჲ, მე-11 დისკოს რ-აე, ს-ანი), ოღონდ აქ განსხვავდება კ-ანი, რომელიც ოთხჯერვე (მე-5, მე-6, მე-8 და მე-10 დისკოები) დაბალია, განიერი და მოკლეფეხიანი, ნ-არი, რომლის ფეხი ბუნის ძირამდე ჩამოდის, იმ დროს, როდესაც ჩრდილო-ფასადზე მას, ისე, როგორც ბჭეზე, მოკლე ფეხი აქვს, და აგრეთვე ზოგიერთი ქარაგმის ნიშანიც, რომელიც ან მარტივ ხაზს წარმოადგენს, რომელსაც „თავში... ზევითკენ, ბოლოში კი ქვევითკენ მიმართული კალმის მსხვილი დანაჭირები ამშვენებს"[1] (მე-4 დისკო), ანდა ასეთივე დანაჭირებით შემკული უფრო მოკლე კლაკნური ხაზია (მე-3 დისკო).

ყველა სხვა ასოები სამივე წარწერისა, ზემოთ ცალ-ცალკე გარჩეულთ გარდა – ე-ნი, ზ-ენი, ი-ნი, ლ-ასი, მ-ანი, ო-ნი, ღ-ანი და შ-ინი, რომლებიც თუ სამივეში არა, ორ-ორში მაინც თანაბრად გვხვდება, ერთმანეთში არავითარ განსხვავებას არ გვიჩვენებენ, თუ კი განზე დავტოვებთ იმ გარემოებას, რომ მათგან უმეტესობას ბჭეზე ისრები ან ტყუბნვეტიანი სამკაული ამშვენებს, ფასადებზე კი – წერტილები.

მაგრამ აღმოსავლეთი ფასადის წარწერას განსაკუთრებით ახასიათებს ხშირი ლიგატურები ანუ ბუნშეზრდილი ასოები. თუ გარეთი ბჭის წარწერაში ლიგატურა მხოლოდ ერთხელა გვხვდება, აქ მას ექვს ადგილას ვპოულობთ. თანაც ზოგი მათგანი მეტად უჩვეულო და ხელოვნურიცაა: ასეთია, მაგ., ე-ნისა და ს-ანის ლიგატურა სიტყვაში „ეკჲ"=„ეკლესიაჲ" (მე-7 დისკო), ე-ნისა და ს-ანის ლიგატურა სიტყვებში „ქ˜ეს"=„ქრისტეს" (მე-3 დისკო) და „ესე" (მე-7 დისკო) და აგრეთვე (არა თავისი მოყვანილობით, არამედ უფრო თავისი შემადგენლობით ორი სხვადასხვა სიტყვის კუთვნილი ასოებისაგან) ე-ნისა და ნ-არის ლიგატურა სიტყვებში „ესე ნჲ"=„ესე წმიდაჲ" (მე-7 დისკო); უფრო ჩვეულებრივია და ძველადაც გვხვდება შ-ინისა და ნ-არის ლიგატურა სიტყვაში „აღშ˜ნა"=„აღეშენა" (მე-7 დისკო) და ღ-ანისა და ნ-არის ლიგატურა სიტყვაში „ღ˜ნ"=„ღმერთმან" (მე-11 დისკო).

აი, ეს ხშირი ხმარება თხზული ასოებისა, წინააღმდეგ ს. კაკაბაძის აზრისა, თავისთავად სწორედ ამ წარწერის გვიანდელობას უნდა გვაფიქრებინებდეს. ნ. ბერძენიშვილს „იმ დროისთვის სრულიად უჩვეულო ლიგატურები" უნდა აეხსნას „საწერი მასალის (დისკოები ქვებზედ) თავისებურებით" (ნახსენ. ადგ., გვ. 269), მაგრამ არა მგონია, რომ ეს ახსნა დამაკმაყოფილებელი იყოს. დისკოების მოყვანილობა თავისთავად სრულებითაც ლიგატურებს არ მოითხოვს; ადგილის სიმცირე აიძულებდა მწერალს, მაგრამ არც იმდენად. – აქ ჩვენ თვალსაჩინო მაგალითი გვაქვს იმისა, რომ ბუნშეზრდილი ასოები ქართულ პალეოგრაფიაში, რომელიც ჯერ საკმაოდ შესწავლილი არაა, ბევრით უფრო ადრე შემოდის, ვიდრე აქამდე გვეგონა. გავიხსენოთ, რომ ზოგიერთი (უფრო მარტივი სახის) ლიგატურა უკვე სამშვილდის სიონის წარწერაში გვხვდება, რომელიც VIII ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება.

ამგვარად, ფორმალურის თვალსაზრისით, ორივე ფასადის წარწერა თამამად შეგვიძლია გარეთი ბჭის წარწერის თანადროულად მივიჩნიოთ და სხვაფრივ კი, მათი ქრონოლოგიურად გათიშვისათვის არავითარი საბუთი არ არსებობს. გარეთი ბჭის ამშენებელი მელქიზედეკ კათალიკოსი და ტაძრის ამშენებელი მელქიზედეკი ერთი და იგივე პირია[2].

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, პალეოგრაფია, გვ. 138.

[2] სვეტი-ცხოვლის უძველესი წარწერების რიცხვი სამი ზემოაღნიშნული წარწერით არ ამოიწურება. კარბელაშვილს ხარაჩოებიდან ამოუკითხავს, ჩრდილო-ფასადზე, არსუკისძის წარწერის ზემოთ მოთავსებულს ბარელიეფიან ქვაზე, კიდევ ერთი წარწერა, რომელშიც მელქიზედეკი იხსენიება: „ის ქᲩ | ადე მქდკ" (იხ. А. Натроев, Мцхет и его собор Свети-

დასასრულ, მოკლედ შევეხები ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე არა ერთგზის განხილულ საკითხს იმის თაობაზე, თუ რა დამოკიდებულება არსებობს მცხეთის საკათალიკოსო საყდრის უძველეს წარწერებსა და მელქიზედეკ კათალიკოსის ანდერძს შორის, რომელიც სვეტი-ცხოვლის ტაძრის აშენებაზე რატომღაც დუმს. აქ აღარ გავიმეორებ ამ საკითხის ვითარებას მთელი მისი სიგრძე-სიგანით. მსურველს ადვილად შეუძლია გაეცნოს მას ნ. ბერძენიშვილის შრომაში (იხ. განსაკუთრებით, გვ. 261-287). გავხაზავ მხოლოდ იმ გარემოებას, რომ ჩვენამდე არ მოულწევია არც მელქიზედეკის „დაწერილს", მიცემულს სვეტი-ცხოვლისათვის 1029 წელს (ბერძენიშვილი, გვ. 253) და არც დედანს მისი ანდერძისას, რომელიც შედგენილია 1031-1033 წლებში და რომელშიც პირველ ნაწილად შეტანილია 1029 წლის „დაწერილით" (იქვე, გვ. 254); ამ ანდერძის უძველეს ჩვენამდე მოღწეულ პირს XII ს-ისას სწორედ ის ადგილი აკლია, სადაც ტაძრის შენებაზე უნდა ყოფილიყო ლაპარაკი, ისე რომ „ხსენებულ ადგილს ჩვენ ვიცნობთ მხოლოდ XVII-XVIII ს-ის პირის მიხედვით, რომელსაც შეცდომა-დამახინჯების გზით კვლავ ახალი ნაბიჯი წარუდგამს წინ" (იქვე, გვ. 261).

ჩვენთვის საინტერესო საკითხის გასარკვევად უნდა გავიხსენოთ კიდევ შემდეგი: აკადემიკოსმა გ. ჩუბინაშვილმა კარგა ხანია უკვე გამოარკვია, რომ ხელოვნების ისტორიის თვალსაზრისით, სვეტი-ცხოვლის ტაძარი „წარმოადგენს, თავისი ძირითადი ნაწილებით, მელქიზედეკ კათალიკოზის შენობას". აგებულს XI ს-ის პირველ მესამედში[1]. ეს დასკვნა დღეს უკვე სავალდებულოდ უნდა ჩაითვალოს ყველასთვის, ვინც ცოტაოდნად მაინც იცნობს ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიას. იგივე დასკვნა მიიღო ნ. ბერძენიშვლმა წარწერებისა და ანდერძის ცნობათა ანალიზის საფუძველზე[2] და ვინაიდან ეს საკითხი უდავოდ არის გადაწყვეტილი, ჩვენ მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანაღა დაგ-

---

Цховели, Тифл., 1900. გვ. 178). ეს, ალბათ, იგივე XI ს-ის კათალიკოსი მელქიზედეკი იქნება. სამწუხაროდ, წარწერა ქვევიდან სრულებით არა ჩანს, ისე რომ დამწერლობის ხასიათის შესახებაც არა ითქმის რა. თ. ჟორდანიასაც ვითომც ამოუკითხავს (დურბინდით) ამავ ფასადზე, არსუკისძის წარწერის ზემოთ, როგორც ის ამბობს, „უალაგ-ალაგოდ არევ-დარევით ჩატანებულ წარწერილიან ქვებზე", რაღაც ნაშთები, რომლებშიც თითქოს ისევ-ისე მელქიზედეკი და ვიღაც გალატოზი (?) იხსენიება (იხ. ქრონიკები, I, გვ. 176). ამ ნაშთებსაც მე ვერ მივაგენი.

ჩრდილო-ფასადზევე, სულ მაღლა, საყვავის ქვეშ, მოთავსებულია ერთი დიდი ფილაქანი ერცელი წარწერით, რომელიც კარბელაშვილს ასე ამოუკითხავს:

„ნ. ქ. ნებითა ღვთისათა განახლდა სამირონო ესე ბრძანებითა ქრისტეს მიერ ქათალიკოზისა მელქიზედეკისათა. შეინყალე უფალო მონა შენი ამის გალატოზნი ოთხნი ამინ" (Натроев, დასახელ. ადგ.).

ამ წარწერის ამოკითხვაც დურბინდით შეუძლებელია, მაგრამ კარგადა ჩანს, რომ ხელი გაკრულია, არსებითად განსხვავდება ყველა უძველესი წარწერების ხელისაგან და გაცილებით უფრო გვიანი უნდა იყოს, შესაძლებელია, XVI ს-ისა, როდესაც ცნობილია სხვა მელქიზედეკ კათალიკოსიც. თუ კარბელაშვილის წანაკითხი სწორეა, საინტერესოა აღინიშნოს, რომ ფორმალურად ეს წარწერა სხვა მხრითაც განსხვავდება გარეთი ბჭისა და აღმოს. ფასადის წარწერებისაგან: აქ ორსავ შემთხვევაში ასეთი ფორმულა გვაქვს – „ქრისტეს მიერ მელქიზედეკ ქართლისა კათალიკოზი", იქ კი ასეთი; „ქრისტეს მიერ ქათალიკოზისა მელქიზედეკისათა".

[1] იხ. კრებული „არილი", თბ., 1925, გვ. 110; აქ მხოლოდ ერთია შესასწორებელი: შენობა დასრულდა 1029 წ., როგორც ზემოთაც აღვნიშნე, და არა 1020 წ.

[2] ხსენებ. ნაშრ., გვ. 282.

ვრჩენია: მელქიზედეკის ანდერძში ეს ცნობა უთუოდ მოიპოვებოდა, მაგრამ ჩვენამდე მოღწეულს ნუსხაში იგი გადამწერთა უგულისყურობით გამოტოვებული უნდა იყოს. ამ აზრს დაადგა ნ. ბერძენიშვილიც, რომელიც წინადადებას იძლევა, ანდერძის სათანადო ადგილას, სიტყვა „შევამკევ"-ის ნაცვლად, „აღვაშენე", ან „კ˜დ აღვაშენე" ვიგულვოთ (იქვე, გვ. 287).

მართლაც, ეს ადგილი (საბუთის თავი), იმ სახით, როგორც იგი შენახულა, „არამცთუ დამახინჯებულია, არამედ პირდაპირ გაუგებრადაა ქცეული. ჩვენ ვიცით, რომ „დაწერილი" შედგენილ იქნა 1029 წელს („ქრონიკონი იყო :ს:მ[:თ:]")[1]; თავში კი ნათქვამია: „ესე დაწერილი მოვაჴსენე და შევსწირე... საყდარსა მცხეთისასა... ჩუენ... ქართლისა კათალიკოზ-პატრიარქმან მელქიზედეკ. მას ჟამსა ოდეს... ღირს ვიქმენ საჭეთ პყრობად წმიდისა ამის ტაძრისა... და შევამკევ სალხინებელად სულისა ჩემისა..." და სხვ. (იქვე, გვ. 288, სტრ. 4-14).

აქ თითქოს ისე გამოდის, რომ მელქიზედეკს თავისი „დაწერილი" შეუდგენია და სვეტი-ცხოველისათვის მოუხსენებია მაშინ, როდესაც ის კათალიკოსად დაჯდა, ე. ი. 1010 წლის ახლ. ცხადია, ასეთი წინააღმდეგობა ერთისა და იმავე ძეგლის ორ ჩვენებას შორის მხოლოდ ტექსტის დამახინჯებით შეიძლება აიხსნას.

მეორე კიდევ, რაც შემონახულ ტექსტში გასაკვირველია, ეს ტაძრის შემკობაა, რომელიც თითქოს ისე ღრმად ჩასჭდევია გულში მელქიზედეკს, რომ მწიგნობარს იგი სამჯერ ზედიზედ ამეორებინებს: „და შევამკევ სალხინებელად სულისა ჩემისა და წარსამართებელად ქრისტიანეთა, და შევამკევ ყოვლითავე სამკაულობითა, გარეთითა ბჭითა და გარეშემო სტოითა მოქმნითა და ზედადაბურვითა, და შევამკევ ყოვლითა სამკაულობითა, ოქროჲთა და ვეცხლითა... და სხვ. (იქვე, სტრ. 13-17). თუ მეორე შემკობა შენობის გარეგან მორთულობას ჰგულისხმობს და ნაწილობრივ იქვეა განმარტებული[2], მესამე კი – შემკობას ეკლესიისას სხვადასხვა ძვირფასი სამსახურებელით, რომელიც აგრეთვე იქვეა ჩამოთვლილი, პირველი „შევამკევ" რაღას უნდა აღნიშნავდეს, გაუგებარი რჩება. აქ ან უნდა ქართული ძველი საბუთებისათვის უჩვეულო მრავალსიტყვაობა და ერთისა და იმავეს ჭარბი გამეორება დავწამოთ ჩვენს ძეგლს, ანდა უნდა დავუშვათ, რომ აქაც გადამწერთაგან ჩადენილ შეცდომასთანა გვაქვს საქმე.

მაგრამ პატარა შესწორება, შეტანილი ხსენებულ ტექსტში, ამ წინააღმდეგობასა და გაუგებრობას სრულებით მოსპობს და ძეგლის ჩვენებას სავსებით გააზრიანებს. მომყავს მთელი დასაწყისი ნაწილი საბუთისა (ბერძენიშვ., სტრ. 1-18) ჩემი პუნქტუაციითა და ზემოხსენებული მცირე შესწორებით, რომელიც განგებ გახაზული მაქვს:

„ქ. სახელითა ყოვლად სახიერისა ღმრთისა მამისა და ძისა და სულისა წმიდისაჲთა, მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღმრთის მშობელისაჲთა, ძლიერებითა ცხოველს მყოფელისა და პატიოსნისა ჯუარისაჲთა, შეწევნითა ყოველთა ღმრთისა წმიდათა ზეცისა და ქუეყანისათა, ესე დაწერილი მოვაჴსენე და შევსწირე ყოველთავე ჩრდილოეთისა კედართა შორის უაღრესსა და უაღმატებულეს-უდიდებულესსა, წმიდასა და კათოლიკე და სამოციქულოსა საყდართა მცხეთისასა, სალოცველსა და სახლსა ღმრთისა დიდები-

[1] იქვე, გვ. 291, სტრ. 23; გამომცემელი აქ რატომღაც არ აღადგენს მის მიერვე დადგენილს და ერთადერთ შესაძლებელ წაკითხვას „:ს:მ[:თ:]", არამედ სტოვებს ნაკლულ ქორონიკონს „:ს:მ".

[2] „ნაწილობრივ", ვამბობ იმიტომ, რომ მელქიზედეკი აქ, უეჭველია, შენობის მოჩუქურთმებასა და სხვა დეკორატიულ მორთულობასაც ჰგულისხმობს, რასაც ეგზომი მნიშვნელობა მიენიჭა სწორედ ამ ხანებში (ჩუბინაშვილი, ნახსენ. ადგ., გვ. 109).

სასა და მას შინა ღმრთივ აღმართებულსა სუეტსა ცხოველსა, კუართსა სამეუფოსა და მირონსა ღმერთ მყოფელსა და წმიდა მყოფელსა, ჩუენ, ქრისტეს მიერ კურთხეულმან ქართლისა კათალიკოზ-პატრიარქმან მელქიზედეკ[1].

„მას ჟამსა, ოდეს უღირსი ესე ღირს ვიქმენ საჭეთ პყრობად წმიდისა ამის ტაძრისა კათოლიკე სამოციქულოჲსა ეკლესიისა, [*ვიწყე შენებად*][2] სალხინებელად სულისა ჩემისა და წარსამართებელად ქრისტიანეთა, და შევამკევ ყოვლითავე სამკაულობითა, გარეთითა ბჭითა და გარეშემო სტოითა მოქმნითა და ზედადაბურვითა, და შევამკევ ყოვლითა სამკაულობითა, ოქროჲთა და ვეცხლითა, თუალითა და მარგალიტითა და საღმრთოთა [წიგნთა] დაწერითა...“ და სხვ.

ჩემ მიერ დასმული განკვეთილობის ნიშნებისაგან ახსნას მოითხოვს აბზაცი. მე მგონია, რომ სხვანაირად გააზრიანება ამ ადგილისა შეუძლებელია. მართლა საკათალიკოსო საყდრის დაპყრობის წელსვე ხომ არ „მოაჴსენა“ მელქიზედეკმა თავისი „დაწერილი“ სვეტი-ცხოველის ტაძარს? – არა: ჩვენ ვიცით, რომ ეს მოხდა მხოლოდ 1029 წელს, ე. ი. დაახლ. 19 წლის შემდეგ. მაშასადამე, იქ, საცა მე აბზაცი გამოვყავი, მთავრდება ერთი ნაწილი საბუთისა, მისი შესავალი, და იწყება მეორე, თხრობითი ნაწილი, ისე რომ წინადადება: „მას ჟამსა, ოდეს... ღირს ვიქმენ საჭეთ პყრობად... კათოლიკე... ეკლესიისა“, უნდა მიეკუთვნოს არა წინამავალს, არამედ მომდევნო ტექსტს. ამ სიტყვების წინ ნუსხა დედანში, უეჭველია, ძველ ქართულ მწერლობაში აბზაცისათვის მიღებული განკვეთილობის ნიშანი, ორწერტილი და ე. წ. წარზიდული (: –), ანდა სამწერტილი (∴) იჯდა, რომელიც მერმინდელ გადამწერლებს გამოჰრჩენიათ და ძეგლის უკანასკნელმა გამომცემელმაც სიფრთხილისა გამო არ აღადგინა.

ამნაირად შესწორებული ტექსტი ჩვენ გვაუწყებს არა მარტო იმას, რომ მელქიზედეკს სვეტიცხოვლის ტაძარი აუშენებია, არამედ იმასაც, რომ მას ეს ამშენებლობა თავისი კათალიკოსობის პირველსავე წელს დაუწყია. მართლაც, ჩვენი ძეგლის სხვა ადგილებიდანაცა ჩანს, რომ მელქიზედეკს თავისი მოღვაწეობა სვეტი-ცხოვლის სასარგებლოდ ჯერ კიდევ ბაგრატ III-ის (+1914 წ.) დროს ჰქონია დაწყებული (ბერძენიშვ., გვ. 291 და 255).

---

[1] გამოცემებში აქ აბზაცი არაა, უკეთეს შემთხვევაში (თ. ჟორდანიასთან) აქ მძიმეა დასმული.

[2] XVII-XVIII ს-ის ნუსხაში, ამ ორი სიტყვის მაგივრად, სწერია: „და შევამკევ“.
შეიძლება მნიშვნელობას არ იყოს მოკლებული ის გარემოება, რომ ე. წ. თეიმურაზისეულ ქართლის ცხოვრებაში, რომელშიც შეტანილია ცნობები, თითქმის სიტყვა-სიტყვით ამოღებული მელქიზედეკის „დაწერილიდან“, ეკითხულობთ: მელქიზედეკ კათალიკოსი, ბასილი კეისართან ყოფნის შემდეგ ბიზანტიაში, „მოიწია... ქალაქად მცხეთად და იწყო შენებად გარეთითა ბჭითა და გარეშემოთა სტოითა მოქმნითა და ზედადაბურვითა...“ და სხვ. (იხ. ჭიჭინაძის გამოც, გვ. 308). ნ. ბერძენიშვილის აზრით, თეიმურაზისეულ ქცˇა-ში შეტანილი ცნობები ამოღებული უნდა იყოს მელქიზედეკის ანდერძის XVII-XVIII ს-ის პირიდან (ნახსენ. ადგ., გვ. 230), მაგრამ მის მიერვე მოყვანილი შედარებითი მასალა (იქვე, შენ. 1), თუმცა საკმარისია იმისათვის, „რომ განვაცხადოთ: ქ-ცა-ს ეს ადგილები“ XVII-XVIII ს-ის „პირთან უფრო ახლოა, ვიდრე“ XII ს-ის პირთან, მაინც არაა საკმარისი იმისათვის, რომ ქართლის ცხოვრების ტექსტის დედნად ჩვენამდე მოღწეული XVII-XVIII ს-ის პირი ვიცნათ. მთელი რიგი სხვა კონკრეტული ცნობებისაც მოეპოვება თეიმურაზისეული ვარიანტის შემავსებელს, რომლებიც გვაფიქრებინებს, რომ მას, შესაძლოა, უფრო სრული ნუსხა (თვით პირვანდელი „დაწერილის“ პირი?) ჰქონია ხელთ, და მაშინ სიტყვები: „იწყო შენებად“, ეგების, დედნის პარაფრაზას წარმოადგენდეს.



აღმოსავლეთის ფასადის წარწერა მცხეთის სვეტი-ცხოველი.

მაშასადამე, ჩვენ ვღებულობთ საკმაოდ ზუსტ თარიღებს სვეტი-ცხოვლის ტაძრის მშენებლობის დაწყებისას და დამთავრებისას: იგი დაიწყო 1010 წლის ახლ. და დამთავრდა 1029 წელს, ე. ი. სულ დაახლ. 19-20 წელიწადი გაგრძელებულა. საქმე ისაა, რომ „დაწერილი", მის მიერ „ნაქმარის" აღნუსხვით, მელქიზედეკს ბუნებრივად მაშინ უნდა შეედგინა და მოეხსენებინა ახალი ტაძრისათვის, როდესაც მშენებლობა დამთავრდა და ახალი შენობა მზად იდგა, ისე რომ ჩვენი საბუთი ზემოთ გარჩეულ წარწერებსაც ეჭვმიუტანლად 1029 წლით ათარიღებს.

რაკი მშენებლობა დაახლ. 19-20 წელიწადს გაგრძელებულა, აქედანაც კიდევ ერთხელა ჩანს, რომ მელქიზედეკის „ნაქმარი" არ შეიძლება მანამდე არსებული ძველი ნაგებობის თუნდაც ძალიან საფუძვლიანი შემკობა ანდა გადაკეთება ყოფილიყო, არამედ ეს იყო ძირითადად სრულებით ახალი შენობის აგება, რომლის „საერთო მწკრივში" ხუროთმოძღვარს „უფრო ძველი შენობის ნაწილებიც" მოუქცევია (ჩუბინაშვილი, ნახს. ადგ., გვ. 110, შენ. 1).

აღდგენილი ტექსტი ააზრიანებს მის უშუალოდ მომდევნო წინადადებასაც, რომელიც ახლა ამ „[ვიწყე შენებად]"-ის კონკრეტიზაციად და ერთგვარ განმარტებად გვევლინება: სახელდობრ, მელქიზედეკი გვიხსნის, თუ რაში გამოიხატა მის მიერ წარმოებული მშენებლობა. ეს ყოფილა: 1. დეკორატიული მორთვა ტაძრის ფასადებისა, 2. გარეთი ბჭის აშენება, 3. ტაძრის მოქმნა სტოითა და 4. მისი ზედადაბურვა. საკმარისია თუ არა ეს აღწერილობა იმის შემდეგ, რაც ზემოთ ზოგადად იქნა უკვე მოხსენებული მშენებლობა? – მე მგონია, რომ სავსებით საკმარისია და რომ მელქიზედეკს, როგორც ყოველ პროფანს, რომელიც ბუნებრივად ყურადღებას შენობის მხოლოდ გარეგნობას აქცევს, იმას, რაც მხილველს, გონების დაუჭიმავად, მაშინათვე თვალში ეცემა, ჩვენ

მეტს ვერც კი მოვთხოვდით. თუ მის აღწერილობას რაიმე აკლია, ეს არის გუმბათით გადახურვა ახალი შენობისა, რაც, ცხადია, გარეგანი შთაბეჭდილების მთავარ მომენტს შეადგენს. უკეთუ გუმბათის დადგმას მელქიზედეკი „ზედადაბურვის", ამ ცოტა არ იყოს ბუნდოვანი გამოთქმის ქვეშ არ გულისხმობს, მაშინ ეს ნაკლიც გადამწერთა უგულისყურობას უნდა მივაწეროთ, მით უმეტეს, რომ ჩვენი აღდგენის ცდაც, ალბათ, პირვანდელი სახით არ წარმოგვიდგენს ანდერძის თავის ტექსტს. თავდაპირველ „დაწერილში", ყოველ შემთხვევაში, მეტი უნდა ყოფილიყო ნათქვამი.

ჩვენი დასკვნები, მაშასადამე, ასეთია:

1. სვეტი-ცხოვლის ტაძრის უძველესი წარწერები ყველა ერთ დროს არის შედგენილი, სახელდობრ, 1029 წელს, ალბათ ყველა ერთ პირს, მელქიზედეკ კათალიკოსს, ეკუთვნის და ყველა ერთსა და იმავე საგანს შეეხება – სვეტი-ცხოვლის ახალი ტაძრის აშენებას.

2. ამ ახალი ტაძრის ამშენებელი ხუროთმოძღვარი, გენიალური ნიჭის მქონე ქართველი ხელოვანი, არსუკისძე, მშენებლობის დამთავრების წელსვე, ე. ი. 1029 წელს გარდაცვლილა.

3. ტაძრის აშენება 1010 წლის ახლო ხანებში დაუწყიათ და 1029 წელს დაუმთავრებიათ[1].

---

[1] აკად. კ. კეკელიძის აზრით, რომელიც მან საქ. მეცნ. აკადემიის IV სესიაზე 1941 წლ. 27 იანვარს წაკითხულ მოხსენებაში: „ცნობები ქართული მწერლობის შესახებ მეთერთმეტე საუკუნის მცხეთის სიგელში", გამოთქვა, მელქიზედეკ კათალიკოსის „დაწერილი" ისევ-ისე 1040 წლით უნდა დათარიღდეს, როგორც ეს უკვე დ. ბაქრაძეს ეგონა (იხ. საქ. მეცნ. აკად. საზოგ. განყ-ის IV სამეცნ. სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1941 წ., გვ. 9). პატივცემული მეცნიერის მიერ მოხსენების დროს მოკლედ წარმოდგენილმა საბუთებმა ვერ დაგვაჯერა ნ. ბერძენიშვილისაგან დადგენილი თარიღის უკუგდების ან თუნდაც გადასინჯვის საჭიროებაზე.

წყაროთმცოდნეობა

ვაჰანის ქვაბთა განგება (XIII ს.)

წინასიტყვა

ვაჰანის განგება ძველი ქართული საკორპორაციო სამართლის უმნიშვნელოვანეს ძეგლს წარმოადგენს. იგი დაცულია მეტად თუ ნაკლებად მთლიანი სახით, იმ დროს, როდესაც ამგვარი დანარჩენი ძეგლები ან ძალზე დამახინჯებული ფრაგმენტებია, ან მხოლოდ გადმოცემის წყალობითაა ასე თუ ისე ცნობილი. საერო ხასიათის საკორპორაციო სამართლის ძეგლები, როგორც ცნობილია, მხოლოდ XVIII ს-დან მოგვეპოვება. უფრო ძველი ხანისათვის ჯერჯერობით საეკლესიო ძეგლებს უნდა დავკმაყოფილდეთ და მათ შორის ვაჰანის განგებას პირველი ადგილი უჭირავს. მისი მნიშვნელობა საკმაო სისრულით აქვს გაშუქებული აკადემიკოსს ივ. ჯავახიშვილს თავის „ქართული სამართლის ისტორიაში" (იხ. ტ. II:2, ტფ, 1929, გვ. 3-107 და 321-356).

სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია უღრმესი მადლობა გადავუხადო აკადემ. ივ. ჯავახიშვილს არაერთგზისი რჩევა-დარიგებისათვის ამ ძეგლის აღწერისა და გამოსაცემად დამზადების დროს, პროფ. ა. შანიძეს აღწერის კრიტიკული ნაწილის გადაკითხვისა და გამართვისათვის და დოც. ნ. ბერძენიშვილს მრავალი საგულისხმო მითითებისათვის ამ გამოცემის შესავლის შედგენისას.

შესავალი

1. ვაჰანის ქვაბის ადგილმდებარეობა

„ვაჰანი" საქართველოში დღეს აღარსადა ჩანს. მხოლოდ იმერეთში არის ვახანი, ვახანის ციხე და ჩხერიმელას შემდინარე ვახანის ხევი (იხ. ვახუშტის „გეოგრაფია", მ. ჯანაშვილის გამოც. გვ. 276-277). თ. ჟორდანია ჰფიქრობდა, რომ მესხეთში თურქების გაბატონების შემდეგ, ძველი ვაჰანიდან ჩხერიმელას ზემოწელში გადმოსახლებულებმა „ახალს სოფელს უწოდეს იგივე სახელი ძველის თვისის სოფლისა ვაჰანი ანუ ვახანი" (იხ. მისი „ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა", ტფ. 1896, გვ. 29.). ძველი ვაჰანი კი მას „ტაო-კლარჯეთის მთაში" ეგულებოდა (იხ. იქვე, გვ. 28). ამასთან, ჟორდანია მიგვითითებს ვახუშტის „გეოგრაფიაზე", სადაც ნამდვილად მოხსენებულია სადღაც სამცხეში მდებარე ვანის მონასტერი „და მუნვე ქვაბნი გამოკვეთილნი დიდ-დიდნი, კლდესა შინა" (ჯანაშვ. გამოც. გვ. 210). მაგრამ ვანი საქართველოში ბევრია. კერძოდ, ტაოშიც ყოფილა ვანის ხევი ჭოროხის ხეობაში, პარხალის სამხრეთით. რომელი ვანი უნდა უდრიდეს ძველს ვაჰანს?

ამ საკითხის გამორკვევა ნამდვილად არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს.

უპირველესად ყოვლისა, აღვნიშნოთ, რომ ვაჰანის ქვაბებს უკვე XIV ს-ის მეორე ნახევარში, მართლაც, „ვანის ქვაბებს" უწოდებდნენ. ვაჰანის განგების ხელნაწერს დარ-

თული აქვს სხვადასხვა დროის მინაწერები – აღაპები[1] (იხ. ქვემ. აღერა, § 1). ერთი მათგან დათარიღებულია 1393 წლით და აქ უკვე ვაჰანი ვანად იწოდება (იხ. თ. ჟორდანიას გამოც., დასახ. ადგ., გვ. 44).

შემდეგ: ამავ აღაპებში მრავლად მოხსენებულია გეოგრაფიული სახელები (მონასტრისადმი შეწირული მამულების ჩამოთვლის დროს), რომლებიც ვაჰანის ქვაბის მიახლოვებითი ლოკალიზაციის საშუალებას იძლევიან. აქ არის: ვარძია და ზედა-ვარძია, თმოგვი, კუმურდო, ტოლოში, ფია, მირაშხანი, ერკოტა (ერკუატა), ჭაჭკარი და სხვ.[2], რომლებიც, მინაწერების მიხედვით, ვაჰანის ქვაბის რაიონში მდებარეობენ და სრულებით უდავოდ ხდიან, რომ ვაჰანის ქვაბი არც ტაო-კლარჯეთსა და არც სამცხეში არ უნდა გვეგულებოდეს, არამედ მტკვრის ხეობაში უნდა ვეძიოთ, სადღაც ჯავახეთისა და ერუშეთის საზღვარზე.

მართლაც, ახალქალაქის რაიონში ცნობილი ვანის ნანგრევები მტკვრის მარჯვენა ნაპირას, ვარძიის მონასტრის ცოტა ქვემოთ, ეჭვს გარეშე, ძველი ვაჰანის ნაშთს წარმოადგენს. აქაც ქვაბებია, მსგავსად ვარძიისა, და აქაც ფართო სავანე უნდა ყოფილიყო. მოიპოვება აქ მოგვიანო ხანის (XV ს.) წარწერებიც, რომლებშიც მოხსენებულნი არიან რჩეულასძენი და რჩეულაშვილები, რომლებსაც აგრეთვე ვაჰანის აღაპებიდან ვიცნობთ (იხ. თ. ჟორდანიას გამოც., დასახ., ადგ., გვ. 48 და 49)[3].

2. ვაჰანის ძეგლის დადების თარიღი

ვაჰანის განგება დათარიღებული არაა. თარიღი, ალბათ, თავში იქნებოდა აღნიშნული, რომელიც გრაგნილს აკლია. პალეოგრაფიულად ხელნაწერი ვერ დათარიღდება: დამწერლობის მიხედვით, იგი მიეკუთვნება XII-XIV საუკუნეებს, მაგრამ უფრო მიახლოებით მისი თარიღის განსაზღვრა ამ ნიშნით შეუძლებელია (იხ. აღწერა, § 9). ორთოგრაფიულად ჩვენი ძეგლისათვის დამახასიათებელია ჷ-ს ხმარება უმარცვლო უ-ს შემდეგ (იხ. აღწერა, § 18), მაგრამ ესეც საზოგადო მოვლენაა XII-XIV საუკუნეებში. ამგვარად, თარიღის გამოსარკვევად სხვა საბუთები უნდა მოიძებნოს.

განვსაზღვროთ ჯერ terminus ante quem non.

ვაჰანის განგებას კათალიკოზი გიორგი ამტკიცებს. XII ს-ის კათალიკოზთა სია, მართალია, სრულის თანამიმდევრობით ცნობილი არაა, მაგრამ ის მაინც შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ XII ს-ში არც ერთ კათალიკოზს გიორგი არ ჰრქმევია (იხ. თ. ჟორდანიას გამოც. კათალიკოზთა სია, ქრონიკები I, გვ. 80 და იქვე ჟორდანიას შენიშვნები). მაშასადამე, ჩვენი ძეგლის თარიღი XII ს-ის აქეთ უნდა გადმოვიტანოთ.

---

[1] ეს მერმინდელი მინაწერები, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ვაჰანისა და მისი რაიონის ისტორიისათვის (განსაკუთრებით, მდიდარია ეკონომიური ხასიათისა და ისტორიულ-გეოგრაფიული ცნობები), დამზადებული მაქვს გამოსაცემად.

[2] ნაწილი ამ სახელებისა რუკებზე აღნიშნული არაა, არამედ შეგროვილია ადგილობრივ ნ. ბერძენიშვილისა და ჩემ მიერ.

[3] ვანის ნანგრევები 1933 წლ. ზაფხულში ინახულა და წარწერებიც გადმოიღო ნ. ბერძენიშვილმა, რომელმაც ზემოაღნიშნული ცნობაც გადმომცა, რისთვისაც მას დიდად ვმადლობ.
ვანი არის კიდევ მდ. ტაშლაყაშიას (მტკვარს მარცხნიდან ერთვის ტოლოშთან) ზემონელზე, თმოგვიდან ჩრდილო-დასავლეთით. არ ვიცი, არის აქაც ქვაბები თუ არა, მაგრამ არა მგონია, რომ მას რაიმე საერთო ჰქონდეს ძველ ვაჰანთან.

ახლა ვანის ნანგრევებში ერთი წარწერიანი ქვა აღმოჩნდა, რომლიდანაც ჩანს, რომ თამარის მეფობის მე-20 წელს (ე. ი. 1204-ს) ვაჰანის მონასტრისათვის ზღუდე აუშენებია ანტონ [ჭყონდიდელს][1]. ანტონი ჭყონდიდელი მწიგნობართუხუცესი, მეფის პირველი ვეზირი იყო. მის მიერ ზღუდის აშენება ვაჰანში იმას ნიშნავს, რომ ეს მონასტერი 1204 წელს ჯერ კიდევ სამეფო იყო, საბატონო მფლობელობაში არ გადასულა. განგებიდან კი ვიცით, რომ ვაჰანის ქვაბი ვინმე მწარგრძელის და მისი ჩამომავლების საპატრონო გახდა. ეს უნდა მომხდარიყო 1204 წლის შემდეგ, რადგან საბატონო მონასტერს პირველი ვეზირი, რასაკვირველია, ზღუდეს არ აუშენებდა. ამგვარად, 1204 წ. არის terminus ante quem non ჩვენი ძეგლისათვის.

გამოვარკვიოთ ახლა terminus ante quem non.

ერთი შეხედვით ვაჰანის განგება შეიძლება XIII ს-ის დამლევის ან XIV ს-ის დამდეგის ძეგლად მოგვეჩვენოს. ორი მოსაზრება ლაპარაკობს თითქოს ამის სასარგებლოდ:

1. ამ ძეგლში მეფე არაა მოხსენებული. ამიტომ შესაძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ იგი შედგენილია მაშინ, როდესაც მესხეთი გამოყოფილი იყო და საქართველოს მეფეს არ ემორჩილებოდა, ე. ი. 1265-დან ვიდრე გიორგი ბრწყინვალის გამეფებამდე (1318 წ.).

2. მეორე მოსაზრება თითქოს საშუალებას იძლევა უფრო ნიშანდობლივადაც განვსაზღვროთ ჩვენი ძეგლის თარიღი. საქმე ისაა, რომ ვაჰანის განგების გრაგნილზე მიწერილ აღაპთა შორის უძველესი სამი აღაპი ვინმე მურვან ღარიბაᲘსძეს ეკუთვნის და ამათგან ერთი, როგორც უკვე აღვნიშნე, დათარიღებულია 1393 წლით (ამ დროს მურვან ღარიბაᲘსძე უკვე ხანში შესული ჩანს, იხ. ჟორდანიას გამოც., გვ. 44-45). აქედან თითქოს დასაშვებია შემდეგი დასკვნა: თუ კი უძველესი მინაწერები XIV ს-ის მეორე ნახევარს მიეკუთვნება, თვითონ ძეგლი დიდი ხნით ამაზე ადრე არ უნდა იყოს დადებული. რადგან ძეგლის დამდების, მწარგრძელის შემდეგ მისი შვილი სარგისიც ამტკიცებს ვაჰანის განგებას (იხ. აღწერა, § 26), შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მწარგრძელი XIII ს-ის დამლევს და XIV-ის დამდეგს ცხოვრობდა და ძეგლიც ამ ხანებში არის დადებული (1318-მდე).

მაგრამ ორივე ზემომოყვანილი მოსაზრება ძალას ჰკარგავს, თუ გავითვალისწინეთ შემდეგი: შემონახულ ტექსტს თავი აკლია და სწორედ აქ უნდა ყოფილიყო მოხსენებული მეფე, ისე რომ პირველი საბუთი ex silentio-ც არ გამოდგება. მეორე მხრით, არც ძეგლის დამდებს, მწარგრძელს, არც მის შვილს, სარგისს, აღაპები არ გაუჩენიათ, ყოველ შემთხვევაში, ვაჰანის განგების გრაგნილზე არ ნაუწერინებიათ. მათი მინაწერები (იხ. აღწერა, §§ 27 და 28), მათი საკუთარი ხელით დაწერილი და მოთავსებული აშიებზე და არა ეტრატის ზურგზე ან ტექსტის ბოლოში, სულ სხვა შინაარსისაა და სულ სხვა გარემოებით იყო გამოწვეული (იხ. ქვემოთ). მაშასადამე, ადვილი შესაძლებელია, რომ მურვან ღარიბაᲘსძემდეც მწარგრძელისა და სარგისის ჩამომავალნი თავის სააღაპო ჩანაწერებს ვაჰანის განგების გრაგნილზე არ ათავსებდნენ. მართლაც, როგორც ეს ნ. ბერძენიშვილმა შენიშნა, ამ ძეგლს თავისი პირვანდელი დანიშნულება უნდა დაპკარგოდა, რომ ზედ აღაპების წარწერა დაეწყოთ. ამგვარად, მურვან ღარიბაᲘსძის მინაწერი არავითარ შემთხვევაში არ ათარიღებს თვითონ ძეგლს.

შემდეგი საბუთები მაიძულებს ჩვენი ძეგლის თარიღი XIII ს-ის პირველ მესამედში დავდო:

---

[1] ეს წარწერა გადმოღებული აქვს ნ. ბერძენიშვილს, იგი ჯერ გამოუცემელია.

ძეგლის ენა, ზოგიერთ უმნიშვნელო თავისებურებათა გამოკლებით, დახვეწილი კლასიკური ქართულია. ეს ის ენაა, რომელიც XI ს-ის განმავლობაში ჩამოაყალიბეს ეფთვიმემ და განსაკუთრებით, გიორგი მთაწმინდელმა თავისი თხზულებებისა და ნათარგმნების საშუალებით. და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, არც ერთი მონღოლური ან მათი მეშვეობით შემოსული ახალი ტერმინი მთელს ამოდენა ტექსტში არ მოიპოვება. ეს კი XIV ს-ისათვის ან XIII ს-ის დამლევისათვის ძნელი წარმოსადგენია.

სხვაგვარადაც მონღოლების კვალი ძეგლში არსად ჩანს. მონღოლთა შემოსევა საქართველოში მოასწავებდა განსაკუთრებით ძლიერ ეკონომიკურ გარდატეხას, რასაც არაერთი XIII ს-ის ძეგლი გვიმოწმებს. ვაჰანის განგება სრულის სიმყუდროვის, კეთილდღეობისა და დოვლათიანობის შთაბეჭდილებას ახდენს. და რომ ეს ეკონომიკური სიმკვიდრე ძეგლის დადების შემდეგ მოკლე ხანში უნდა დარღვეულიყო, ამას გვიჩვენებს მწარგრძელისა და, განსაკუთრებით, მისი შვილის სარგისის მინაწერები.

ძეგლის დადების შემდეგ მწარგრძელს საჭიროდ უცვნია მონასტრის ბერების ულუფის გამოცვლა, თავის სიცოცხლეშივე ახლად გაუწესებია ეს ულუფა და ძველს ტექსტში საკუთარის ხელით ახალი ციფრები ჩაუწერია (იხ. აღწერა, § 15). იქვე მას მინაწერიც გაუკეთებია, რომელიც, სამწუხაროდ, სრულად არ იკითხება (იხ. აღწერა, § 27), მაგრამ რომლიდანაც ის მაინც ცხადია, რომ მწარგრძელი ამტკიცებს ამ თავის ახალ განკარგულებას ულუფის შესახებ და აკრძალავს ულუფის შემატებასაც და დაკლებასაც. რასაკვირველია, აქ უნებლიედ იბადება ეჭვი, რომ მან თვითონ ულუფას დაუკლო და არა შემატა. მართლაც, რა მოსაზრებით უნდა შეემატებინა, როდესაც განწესებისას ის „ყოვლით-კერძო უზრუნველობისა და უმოქენეობისა [ძმ]ათაჲსა მეძიებელ" იყო და იმ ანგარიშით სწერდა, „რაჲთა არა რაჲთ იყვნენ ნაკლულევანნი" (იხ. ტექსტი, გვ. 70).

ხოლო თუ მწარგრძელის მინაწერის აზრი ეჭვებს იწვევს, სრულებით გარკვეულ ენას ლაპარაკებს მისი შვილის სარგისის მინაწერი (იხ. აღწერა, § 28). ეს მინაწერი გვამცნევს, რომ უკვე სარგისს, ძეგლის დამდებისა და მონასტრის აღმშენებლის ან, უკეთ, გამფართოებლის შვილს, უგულებელუყვია მამის გაგებული და მონასტერი შეუვიწროებია: დაურღვევია მისი ტიბიკონი და მონატრის სარგო („[წლითი]წლად მოგებაი მათ[ი]... რომელი ჩუე[ნგან] ეგებუდა") ან დაუკლია, ან სულაც წაურთმევია. ამის შემდეგ სარგისს რაღაც უბედურება შემთხვევია („[მა]მისა ჩემის[ა] ღ˜თი ჩემ[სა შვი]ლსა გა[ური]სხდა"), ეს აუხსნია „მ[ონასტრისა]... [ო]ბლობ[ისა მიზ]ეზითა", შეეშინებია ბრალთგადამხდელობისა განგების დარღვევისათვის და მამის დადებული კვლავ აღუდგენია („კულა [განვა]წესეთ ი[გივე]... [და] იგივე ბ˜ბი ჰაგრევე მტკიცედ გავჰ[მ]ართეთ"). სრულებით ცხადია, რომ მხოლოდ დიდი ეკონომიკური გაჭირვება თუ აიძულებდა სარგისს თავისი მამის ანდერძი დაერღვია და თავისი საპატრონო მონასტრისათვის მისი შემოსავალი წაერთმია („ბირები[თა] ეშმაკისა[თა] გუეწია [ესე]", სწერს იგი). XIII ს-ში ასეთი გაჭირება, ასეთი უეცარი გარდატეხა მხოლოდ მონღოლთა შემოსევას შეიძლებოდა მოჰყოლოდა. მწარგრძელის მინაწერი გვაფიქრებინებს, რომ იგი ამ ხანებში ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და ეს უბედურება უკვე მას დასტეხია თავს. ჩვენი ძეგლი დადებული უნდა იყოს მონღოლთა შემოსევამდე, ე. ი. 1234 წ-მდე.

ამგვარად, ვაჰანის განგება დათარიღებულია 1204-1234 წლების ფარგლებში. დავუმატოთ ამას ისიც, რომ თ. ჟორდანიას მიერ გამოქვეყნებული სიის მიხედვით, თითქოს, მართლაც ამ ხანებში ჩანს კათალიკოზი გიორგიც (ქრონიკები I, გვ. 80).

3. ძეგლის დამდების ვინაობა

ვაჰანის ძეგლის დამდების ვინაობის გასარკვევად გასათვალისწინებელია სამი გარემოება: 1. ვაჰანის ანუ ვანის ქვაბი მდებარეობს ვარძიის ქვემოთ და თმოგვის ზემოთ, მის რაიონში ერთადერთი დიდი საბატონო თმოგვი იყო, 2. ძეგლი დადებულია XIII ს-ის პირველ მესამედში, 3. ძეგლის დამდები არის ერისთავთ-ერისთავი მწარგრძელი, სარგისისძე და სარგისის მამა (იხ. ტექსტი, გვ. 86 და 89; აღწერა, § 28; გიორგი კათალიკოზის სიმტკიცე ტექსტის ბოლოში).

აქედან სრულებით ძალდაუტანებლივ გამომდინარეობს, რომ ძეგლის დამდები და მონასტრის პატრონი თმოგველი იყო.

1190-91 წლიდან მოყოლებული თმოგვი მწარგრძელებს ეჭირათ. მწარგრძელების ხელში გადასვლამდე იგი უმეშვეოდ მეფის განკარგულებაში იყო და დიდ მოხელეებს ებოძებოდა ხოლმე სასიცოცხლო სამფლობელოდ. 1190-91 წლამდე იგი ეჭირა ამირსპასალარს გამრეკელ თორელს, მანამდე კიდევ აფრიდონ მსახურთ-უხუცესს. გამრეკელის გარდაცვალების შემდეგ, მხოლოდ თმოგვი ჩამოერთვა მის შვილებს და ებოძა სარგის ვარამისძე მწარგრძელს, რომელიც მას უკან სარგის თმოგველად იწოდებოდა. თმოგვი მწარგრძელთა ხელში სამემკვიდრეო სამფლობელოდ იქცა. დიდი ფეოდალური სამფლობელოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ატრიბუტი საგვარეულო მონასტერი იყო. თმოგველებისათვის ეს იყო ვაჰანის ქვაბი, რომელიც, როგორც ვნახეთ, ჯერ კიდევ 1204 წ. სამეფო მონასტრად ითვლებოდა. აი, ამ წლის ახლო ხანებში, როდესაც სარგისი გარდაიცვალა და თმოგვი საბოლოოდ გამტკიცდა მისი ჩამომავლობის მემკვიდრეობაში, უნდა ჰბოძებოდეს თმოგველებს ვაჰანის ქვაბიც და ამ წლის ახლო ხანებშივე უნდა იყოს დადებული ამ მონასტრის განგებაც. უნდა ვიფიქროთ, რომ ახალი პატრონი აღარ დააყოვნებდა მონასტრის პატრონობას და პირველსავე წლებში დაუდებდა მას ახალ განწესებას.

მართლაც, 1206 წლის ახლოს სარგის თმოგველი გარდაცვლილა და ამის შემდეგ იხსენიება თაყიადინ თმოგველი (მისი ძე?), რომელსაც 1210 წელს მხედართმთავრად ვხედავთ ქართველი ჯარის სპარსეთზე ლაშქრობის დროს. 1234-35 წ. ისევ სარგისია თმოგველად, ალბათ, შვილიშვილი პირველი სარგისისა. მეორე სარგისი, როგორც ჩანს, XIII ს-ის სამოციანებში გარდაცვლილა (ზემომოყვანილისათვის იხ. მარიამ დედოფლისეული ქართლის ცხოვრება, გამოც. ე. თაყაიშვილის მიერ, გვ. 406, 444, 503, 517, 599, 690 და ზ. ჭიჭინაძის გამოც. „ქართლის ცხოვრება", ტფ. 1897, გვ. 408, 431, 432, 479, 527, 582).

მაგრამ აქ ერთი რამ მაინც ეჭვებს იწვევს. პირველ თმოგველთა გენეალოგია შემდეგნაირად გვეხატება:

ისტორიული წყაროების მიხედვით: სარგის I – თაყიადინ – სარგის II.

ვაჰანის ძეგლის მიხედვით: სარგის I – მწარგრძელი – სარგის II.

გამოდის, რომ თაყიადინ და მწარგრძელი ერთი და იგივე პირია. როგორც ვნახეთ, თმოგველნი, მართლაც, მწარგრძელები იყვნენ, მაგრამ ვაჰანის ძეგლში „მწარგრძელი" სახელი ჩანს და არა გვარი.

აი, ეს არის ერთადერთი გარემოება, რომელიც ჯერჯერობით აუხსნელად უნდა დარჩეს. ან უნდა ვიფიქროთ, რომ თაყიადინს რამდენიმე სახელი ჰქონდა, ან კიდევ შესაძლებელია, რომ თაყიადინსა და სარგის II-ს შორის (1210-1234) კიდევ რამდენიმე თმოგველი ყოფილა, რომელთა შესახებ ისტორიულ წყაროებს ცნობები არ შემოუნახავს. არც ერთი და არც მეორე გასაკვირველი არ იქნება, თუ გავითვალისწინეთ ჩვენი

წყაროების ნაკლულევანება და ის სიძუნწე, რომლითაც ისინი ცნობებს გადმოგვცემენ. ყოველ შემთხვევაში, ყველა დანარჩენი საბუთი იმდენად მხოლოაზროვანია, რომ ეს ერთი გაუგებარი გარემოება ჩვენს დასკვნებს ვერ შეარყევს[1].

აღწერა

§§ 1-15. ხელნაწერის გარეგანი აღწერა

§ 1. გრაგნილის აწინდელი მდგომარეობა

საქართველოს მუზეუმის პალეოგრაფიული განყ-ის ხელნაწერი № 933 Ad წარმოადგენს ერთ ყუბარზე[2] დახვეულს ეტრატის გრაგნილს, სიგრძ. 5,62 m, სიგან. 19-იდან $27_{1/2}$ cm-მდე, რომელიც ახლა 13 სხვადასხვა სიგრძე-სიგანის კეფისაგან შედგება[3]. ეს კეფები ერთმანეთზე გადაკერებულია ფერადი ძაფით. გრაგნილის მთელი პირიმხარე (Recto) უჭირავს ვაჰანის განგებას კათალიკოზის გიორგი სიმტკიცითურთ; მხოლოდ უკანასკნელი, მე-12[15] კეფის[4] პირიმხარეზე, ბოლოში, მოთავსებულია მურვან ღარიბაიძის პირველი მინაწერი. გრაგნილის ზურგი კი შევსებულია 20 სხვადასხვა დროის მინაწერით[5].

§ 2. კეფი № 1[2] და დაკარგული № [1]. ზომა $39_{1/2}$×21 სმ, R – მხარე შეიცავს 39 სტრიქონს. ეს კეფი მეტად დაზიანებულია, რადგან გრაგნილის ყუბარზე დახვევისას ზემოდანაა მოქცეული: აშიები დაგლეჯილი აქვს, შუაკეფიც ბევრგან ამოგლეჯილი და ხშირად დახეულია; პირიმხარე დაფარულია ჭუჭყით, ხოლო ტექსტი ბევრგან გადასულია და აღარ იკითხება; განსაკუთრებით, დაზიანებულია მარჯვენა აშია – ამას მთელი დიდი ნაჭრები მოგლეჯილი აქვს და ამიტომ სტრიქონების ბოლო ასოები ერთი-ორგანღა იკითხება; მარცხენა აშიას კი, მე-11 სტრიქონიდან მოყოლებული, აღარაფერი აკლია, თუ საერთოდ წაჭრილი არაა. ზურგის მხარეზე, უკანასკნელი, № 21 მინაწერის შემდეგ, კიდევ 16 cm-ის სიგრძის თავისუფალი ადგილია, რომელზედაც, თითქოს, აღარაფერი უნდა წერებულიყო, თუმცა, სწორედ, ამ ადგილზე დაკრულია მუზეუმის ეტიკეტი და წებოს ხშირი წასმით ეტრატი ისე გაშავებულა, რომ დანამდვილებით წარწერის შესახებ არაფრის თქმა არ შეიძლება.

მეტად დაზიანებული აქვს ამ კეფს ზემო აშიაც, ისე რომ პირველი სტრიქონისაგან, როგორც ეს ჩვენი გამოცემიდან ჩანს, შენახულია მხოლოდ რამდენი ასო; მაგრამ ეს რამდენიმე ასო, ყოველ ეჭვს გარეშე, ამ კეფის პირველ სტრიქონს ეკუთვნის, ვინაიდან ამ ასოებს ზემოთ ნაკერი ჩანს, ე. ი. აქ ეს კეფი გადაკერებული ყოფილა წინამავალ

---

[1] 1933 წლის ზაფხულამდე იმედი მქონდა, რომ ვანის ნანგრევებში ისეთი წარწერები აღმოჩნდებოდა, რომლებიც ნამდვილად გაგვირკვევდა თმოგველთა გვარის გენეალოგიას, სამწუხაროდ, ეს იმედი გამიცრუვდა.

[2] ასე ეძახიან, როგ. ს. იორდანიშვილმა გადმომცა, ფშავში იმ ხის ტაბიკს, რომელზედაც დაიხვევა გრაგნილი; ჩვეულებრივად ყუბარი ორია, ერთი გრაგნილის თავში, მეორე ბოლოში, რომ მისი გაშლა ადვილი იყოს.

[3] ყველაზედ გრძელია კეფი № 12[15]-57 cm, ყველაზედ მოკლეა № 7[10]-36 cm.

[4] თუმცა, როგორც აღვნიშნე, გრაგნილი შეიცავს 13 კეფს, მე მხოლოდ 12-ს ვანგარიშობ – ამისა და საერთოდ, კეფების ნუმერაციის შესახებ იხ. ქვემოთ.

[5] თუ გამოვაკლებთ R-მხარის აშიებზე მოთავსებულს მინაწერებს, გრაგნილი შეიცავს სულ 21 მინაწერს, სხვადასხვა პირთა მიერ გაჩენილს აღაპებს; ამათგან თ. ჟორდანიას თავის გამოცემაში აღნიშნული აქვს მხოლოდ 15 მინაწერი.

კეფზე. რადგან ძეგლის შინაარსიდან ირკვევა, რომ თავში მას ბევრი არაფერი უნდა აკლდეს, ამიტომ მე ვვარაუდობ ერთს დაკარგულ კეფს, რომელზედაც მოთავსებული იქნებოდა ძეგლის შესავალი, „ა˜"-თავის ზანდუკი და მისი პირველი სტრიქონები, ხოლო შემონახულს კეფს № 1-ს კუთხოვან ფრჩხილებში აღვნიშნავ მე-[2] კეფად.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ერთი გარემოება: ზემოაშიის ის ადგილი, რომელსაც ნაკერი ეტყობა, სიგრძით 4-ოდე cm-ისაა და საფიქრებელია, რომ მწარგრძელის ხელრთვის (იხ. ქვემ. § 28) ნაკვალევი უნდა შემონახულიყო, ნამდვილად კი არაფერი ჩანს და ეჭვს გარეშეა, რომ პირველი კეფები მწარგრძელს არ დაუნიშნავს. მაგრამ ასევე დაუნიშნავია უკანასკნელი, მე-11[14] და მე-12[15] კეფების გადანაკერი – ეტყობა, გრაგნილის თავში და ბოლოში დანიშვნა ზედმეტად მიუჩნევიათ – და ეს დეტალი გვიდასტურებს, რომ თავში ერთი კეფის მეტი გრაგნილს არა უნდა აკლდეს რა.

§ 3. კეფი № 2[3], ზომ. 50×19 სმ, R – მხარეზე 53 სტრ. ეს კეფიც ძალზე დაშავებულია, ისე რომ დაწვრილებითი აღწერა მისი ყოვლად შეუძლებელია, ოღონდ ზემო და ქვემო აშიებზე (როგორც პირის ისე ზურგის მხარეზე) მწარგრძელის ხელრთვის ნაკვალევი ჩანს და აქედან ცხადი ხდება, რომ სიგრძით მას არაფერი დაჰკლებია.

§ 4. კეფი № 3[6], ზომ. 40×22 სმ, R – მხარ. 43 სტრ. ესეც ზემოაღწერილი კეფების მდგომარეობაშია, ქვემოაშიას (R – და V – მხარეზე) აჩნია მწარგრძელის ნიშნები. განსაკუთრებით დაზიანებულია ზემონაწილი ამ კეფისა, ზემო აშია მთლად მოგლეჯილია და აქ რამდენიმე სტრიქონიც აკლია, თუმცა, როგორც ეს კეფის სიგრძიდან ჩანს, მაინცდამაინც ბევრი არ უნდა დაჰკლებოდეს. ძეგლის შინაარსიდან ირკვევა, რომ მე-2 და მე-3 შემონახულს კეფებს შორის, სულ ნაკლები, ორი დაკარგული კეფი უნდა ვივარაუდოთ. საქმე ისაა, რომ „ბ˜"-თავი, რომელიც მე-2[3] კეფით წყდება, ზანდუკის მიხედვით, საკმაოდ გრძელი უნდა ყოფილიყო, მას ერთი კეფი მაინც დასჭირდებოდა კიდევ; ამას მიჰყვებოდა „გ˜"-თავი, რომელიც დაახლოებით კიდევ ერთ კეფს დაიჭერდა, ალბათ, და გარდა ამისა, „დ˜"-თავსაც, რომელიც მოთავსებულია მე-3[6] და მე-4[7] კეფებზე, ზანდუკი და პირველი სტრიქონები აკლია. ამის მიხედვით, მინიმუმად ვვარაუდობ ორს დაკარგულ კეფს და მე-3 კეფს კუთხოვან ფრჩხილებში აღვნიშნავ მე-[6] კეფად.

§ 5. კეფები №№ 4[7], 5[8], 6[9], 7[10], 8[11] მთლიანად არიან შენახული. ამათგან № 4[7] ცოტათი დაზიანებულია, განის აშიები ზოგგან წაგლეჯილი და ჩამოჭრილი აქვს, № 5[8]-ს მარჯვ. (R) აშია ადგილ-ადგილ მოგლეჯილი აქვს, ამასა და № 6[9] მარცხ. (R) აშია თავიდან ბოლომდე ჩამოჭრილი აქვს, № 8[11]-ს კი ჩამოჭრილი აქვს მარჯვ. (R) აშია.

§ 6. კეფი № 8'[11'], ზომ. 19×27 სმ, R – მხარ. 18 სტრ., შენახულია მთლიანად, ოღონდ ჩამოჭრლი აქვს ორივე განის აშია. პირიმხარეზე ტექსტი მთლად გადასულა ისე, რომ მისი წაკითხვა მხოლოდ სანთლის შუქზე გაჭვრეტით შეიძლება, ზურგზე კი ტექსტი კარგადაა დაცული. კარგადაა დაცული, აგრეთვე, მინაწერები აშიებზე (R) და სარგისის ნიშნები გადანაკერებზე.

ეს კეფი მერმინდელი ჩაკერებულია. როგორცა ჩანს, მე-8[11] კეფის ქვემო ნაწილი, რაღაც მიზეზის გამო, მწარგრძელის გარდაცვალების შემდეგ, მოუჭრიათ, აქ ახალი ეტრატის ნაჭერი ჩაუკერებიათ და ზედ ძველი ტექსტი გადმოუწერიათ. აი, ამისი საბუთები: 1. ეს კეფი, ქვემო და ზემო აშიებზე, როგორც R – ისე, V – მხარეზე, ჩანიშნულია სარგისის მიერ, ხოლო ყველა დანარჩენ გრაფებს მწარგრძელის ნიშანი აზის, 2. მე-8[11] კეფის ზემო კიდეზე ჩანს ჩამოჭრლი სტრიქონის ქარაგმები და ასოების ზედა კიდურები, 3. მე-8'[11'] კეფის ტექსტი დაწერილია სხვა მელნით: a) წითური მელანი უფრო ღია და მკვეთრი ფერისაა, b) შავი მელანი, თუმცა იმავე ჟანგის ფერისა ყოფილა, როგორც დანარჩენი ტექსტის მელანი, მაგრამ სხვა შემადგენლობისაა, რადგან მთლად

გამოფიტულა – ხოლო რომ გამოფიტვა გარეგანი რაიმე მიზეზის ბრალი არაა, ამას გვიმტკიცებს ჩინებული დაცულობა სარგისის ნიშნებისა და მისი მინაწერისა მარჯვ. (R) აშიაზე, რომლებიც სხვა, შავი მელნით წერია და გარეშე მიზეზი (მაგ. სინესტე) რომ ყოფილიყო, აგრეთვე დაზიანდებოდა, 4. მე-8'[11'] კეფის ტექსტი დაწერილია სხვა ხელით – დანარჩენი ტექსტის ხელზე ოდნავ უფრო წვრილია, 5. რომ მე-8[11] კეფის ჩამოჭრილი ნაკვეთის ტექსტი უცვლელად გადმოულიათ ახლად ჩაკერებულს ნაჭერზე, ეს ჩანს „ვ"-თავის ზანდუკიდან და უმეშვეო გადაბმულობიდან მე-8[11] კეფის უკანასკნელსა და მე-8'[11'] კეფის პირველ სტრიქონებს შორის; ამასვე გვიდასტურებს ორივე კეფის საერთო სიგრძე: 38,5+19=57,5 cm-ს, ხოლო მთელი გრაგნილის უგრძესი კეფი № 12[15] 57 cm-ის სიგრძისაა. უნდა აღინიშნოს მაინც, რომ ამ კეფის ტექსტს ერთგვარი უწესობა ეტყობა: მე-3 პარაგრაფში ზედმეტად გამეორებულია ის, რაც უკვე ნათქვამია მე-2 პარაგრაფში.

მე-8'[11'] კეფს მივიჩნევ მე-8[11] კეფის ნაწილად და ამიტომ მას ცალკე ნომრით არ აღვნიშნავ.

§ 7. კეფები №№ 9[12], 10[13], 11[14], 12[15] ყველა მთლიანად და კარგადაა შენახული, ოღონდ ყველას განის აშიები ჩამოჭრილი აქვს; მე-9[12] კეფის ზემო აშია (R), საცა სარგისის ნიშანი სწერია, გადაფხეკილი უნდა იყოს, უფრო მუქი ფერი ადევს – მწარგრძელის ხელრთვა თუ გადაუფხეკიათ (V – მხარეს არაფერი ეტყობა); მე-11[14] და მე-12[15] კეფების გადანაკერს მწარგრძელი არ ამტკიცებს (არც R, არც V); მე-12[15] კეფის ქვემო ნახევარი ძალზე დანაოჭებულია ყუბარზე დახვევის გამო.

§ 8. გრაგნილის პირვანდელი შემადგენლობა. ამრიგად, ზემონათქვამიდან ირკვევა, რომ მთელი გრაგნილი თავდაპირველად, სულ ნაკლები, 15 კეფისაგან შედგებოდა, დღეს კი, თუ ჩამატებულს მე-8' კეფს გამოვაკლებთ, შენახულია მხოლოდ 12 კეფი. სამს დაკარგულ კეფზე მოთავსებული იყო: 1. მთელი შესავალი, სადაც ნიშანდობლივ მოხსენებული იქნებოდა ძეგლის დამდები, მიზეზი მისი დადებისა, შეიძლება თარიღიც და სხვ., 2. „ა"-თავის ზანდუკი პირველი სტრიქონებითურთ, 3. უმნიშვნელოვანესი ნაწილი „ბ"-თავისა, 4. მთელი „გ"-თავი, 5. „დ"-თავის ზანდუკი პირველი სტრიქონებითურთ.

§ 9. ვაჰანის ძეგლის დამწერლობა. ვაჰანის ძეგლი დაწერილია XIII-XIV საუკუნეების მსხვილი მრგვლოვანი ნუსხახუცურით[1], კარგი ხელით. ხელი და ჟანგისფერი მელანი[2] ყველგან ერთია, გარდა მე-8'[11'] კეფისა (იხ. ზემ. § 6); ოღონდ მე-11[14] კეფის მე-47 სტრიქონიდან, სიტყვებიდან „დიდნი კარნი ზღუდისანი", ვიდრე მე-12[15] კეფამდე ხელი შესამჩნევად ფუჭდება, თითქოს, მწერალს ნაჩქარევად უწერიაო, ხოლო მე-12 კეფზე ისევ გამოკეთებულია, მაგრამ მელანი აქ უფრო მუქია.

---

[1] შეუძლებლად მიმაჩნია ამ დამწერლობის განსაზღვრა უფრო ნიშანდობლივ. უკვე XII ს-ის დამდეგის ძეგლები (მაგ., დავითის 1122 წლ. ანდერძი, იხ. ს. კაკაბაძის გამოცემა, ფოტოტიპია) მსგავსი ხელითაა გადაწერილი. ასეთივე ხელით სწერენ ნიკოლოზ კატარანისძე XIII ს-ში (საქ. მუზ. ხელნაწ. განყ-ის № 26 A) და ავგაროზ ბანდაისძე 1348-65 წწ. (საქ. მუზ. ხელნაწ. განყ-ის № 575 A). პირდაპირ ძნელია ამ მრგვლოვანი დამწერლობის გარჩევა ერთმანეთში. უეჭველია, აქ გარკვეულ კალიგრაფიულ სკოლასთან გვაქვს საქმე, რომელიც XII ს-ის დამდეგისათვის ჩამოყალიბდა და საყოველთაო გავრცელება მოიპოვა. ამ ლამაზ შრიფტს შეიძლება კლასიკური ხანის ნუსხახუცური ვუწოდოთ.

[2] მელანი თავდაპირველად, ალბათ, უფრო მუქი იქნებოდა და აწინდელს ჟანგის, ანუ, უკვე, ძველი რკინის ფერს დროთა განმავლობაში მიიღებდა.

უ ოთხკბილიანია, მაგრამ ორჯერ გვხვდება სამკბილიანიც: 63_{15} „უთ˜ყნე[მდენ]", საცა სამკბილიანობა გამოწვეულია ადგილის სიმცირით, რადგან სტრიქონი მეტისმეტი გრძელი გამოვიდა, და 73_{31} „მყუდროთა"; ო ერთგან ოთხკბილიანია: 69_{22} „მრონინეთა".

რამდენჯერმე გვხვდება შეწიაღებული ასოც: 76_{5} „კ˜დცა", „დ" ჩასმულია „კ"-ში, 87_{1} „აწ", „წ" ჩასმულია „ა"-ში, 89_{6}, 89_{30}, „და", „ა" ჩასმულია „დ"-ში.

§ 10. სავსენ ნიშნებად იხმარება: a) სამი წერტილი (:·) და ერთი-ორგან ორი წერტილი და პატარა ხაზი (:–), რომლებსაც ჩვენი ახლანდელი წერტილის ძალა აქვს. მხოლოდ სამი წერტილის შემდეგ იწყება წინადადება მთავრული ასოთი (თუმცა ყოველთვის არა), b) ორი წერტილი (:) და, შედარებით იშვიათად, წერტილ-მძიმე (;) – ესენიც ჩვენს წერტილს, ხოლო ზოგჯერ ჩვენს წერტილ-მძიმეს უდრიან, მაგრამ სამ წერტილზე უფრო სუსტი ნიშნებია, c) წერტილი (.) და მძიმე (,) – ესენი ერთმანეთს უდრიან და მძიმის ძალა აქვთ, თუმცა მათი ხმარება აწინდელისაგან სრულიად განსხვავებულია; მძიმე ზოგჯერ, თითქოს, ჩვენებურს ორ წერილს უდრის, d) კითხვის ნიშანი: სიტყვის ზემოდან დასმული გადაბრუნებული მძიმე (ʻ), გვხვდება მხოლოდ ერთხელ (78_{8-9} ვითარ), e) განცვიფრების ნიშანი: სიტყვის ზემოდან დასმული პატარა ირიბული ხაზი (ˋ), გვხვდება სამჯერ (66_{14} მე, 71_{28} რაჲსმე, 76_{12} თნებისა), f) სიტყვის უკან სტრიქონში დასმული პატარა ირიბული ხაზი, ისეთივე, როგორც განცვიფრების ნიშანი (ˋ), თითქოს აწინდელი ორი წერტილის მნიშვნელობა აქვს; გვხვდება მხოლოდ ერთხელ (69_{14}).

საერთოდ უნდა შევნიშნო, რომ განკვეთილობის ნიშნები ჩვენს ძეგლში უსისტემოდ იხმარება. განსაკუთრებით ნებისმიერია წერტილისა და მძიმის ხმარება, რომელიც, ჩემი აზრით, არავითარ წესს არ ემორჩილება. მხოლოდ სამი წერტილი სრულიად წესიერად ისმის იქ, სადაც დამთავრებულია მთელი წინადადება, ან აბზაცი, ან გარკვეული აზრი.

§ 11. კორექტურული ნიშნები. როცა სიტყვა ჩამატებულია სტრიქონს-ზემოდან, ჩვენს ძეგლში იხმარება (თუმცა არა ყოველთვის) ნიშნები, რომლებმაც უნდა გვიჩვენოს სიტყვის ადგილი სტრიქონში: a) პატარა ირიბული ხაზი (ˋ), მსგავსი განცვიფრების ნიშნისა (იხ. ზემ. § 10 e), რომელიც დასმულია ჩართული სიტყვის გვერდით და სათანადო ადგილას სტრიქონში (63_{4-5}), b) წერტილმძიმე და სამი წერტილი (;:·), იხმარება ისევე, როგორც ირიბული ხაზი (72_{3}), c) მრავალწერტილი, რომელიც იწყება სათანადო ადგილიდან სტრიქონში და მოყვანილია ჩართულ სიტყვამდე (მაგ., 84_{12-13}).

გარდა ამისა, ერთგან იხმარება შეერთების ნიშანიც, შესაერთებელ სიტყვათა ქვემოდან დასმული ფრჩხილი: 83_{10} უქმ სიტყუაობაჲ.

§ 12. ქარაგმები. ქარაგმა ორგვარია: a) პატარა დაკლაკნილი ხაზი (ˆ), რომელიც იხმარება როგორც ხმოვანთა, ისე თანხმოვანთა დასაქარაგმებლად და აგრეთვე „ა"-ს დასაქარაგმებლადაც, b) გადაბრუნებული მძიმე, მსგავსი კითხვითი ნიშნისა (იხ. ზემ. § 10 d), მაგრამ უფრო წვრილი. ამ ნიშნით იქარაგმება „ა", ისიც, უმთავრესად, სიტყვის ბოლოში, მხოლოდ ორჯერ შევნიშნე ასეთი ქარაგმის ხმარება „ო"-სათვის: 68_{31} უფრასღა და 80_{22} „მ˜ნზნი" – ამ უკანასკნელ შემთხვევაში შეიძლებოდა სხვანაირადაც გამეხსნა ეს სიტყვა და ყველგან დამეწერა „მონოზანი" და არა „მონაზონი", როგორც ჩემს გამოცემაშია, მაგრამ რადგანაც მეორე შემთხვევაცა გვაქვს „ო"-სათვის ასეთი ქარაგმის ხმარებისა, მეც ჩვეულებრივი და უფრო სწორი გახსნა ვამჯობინე.

§ 13. სტრიქონს ზემოდანაა ჩართული 63_{4-5} „მთავარ", 72_{3} „და არა ყოფისათჳს დიაკონთაჲსა", 77_{21} „რაჲთა", 78_{21} ასო „რ" სიტყვაში „გარნა", 84_{12-13} „გინა მღდელყოფილობისა".

§ 14. სტრიქონს-ქვემოდანაა მიწერილი 72_{25} ასო „ი" სიტყვაში „მოიკუეთოს", 65_{6-7} ასო „ი" სიტყვაში „ყოველნივე".

§ 15. მერმინდელი ჩანართი. პირვანდელი ტექსტი გადაფხეკილია და ზედ წარწერილია მჴარგრძელის ხელით მხედრულად: 70_{18} „ექსი", 70_{19} „ოთხ ოთხი", $70_{22, 24}$ „სამ სამი", 70_{26} „ესრევე სამ სამი", 71_{3} „ორი" $71_{5,7}$ „ბოტინატი და დოკატი"; პირვანდელი ტექსტი გადაფხეკილია და ზედ წარწერილია მთავრული ხუცურით: 71_{16}:გ˜:გ˜: (იხ. აგრეთვე ზემ. § 6, მე-8[1] კეფის ჩართულობის შესახებ).

§§ 16-21. ტექსტის კრიტიკა

§ 16. შეცდომები.

a) დიტოგრაფიული: 72_{30} „ღულარჭნილილი".

b) ხარვეზები და დამახინჯებანი: 71_{9} „მიეცემოდი" და არა „მიეცემოდის"; 85_{25} „მწრთა" და არა „მწირთა" – აქ შეიძლებოდა ქარაგმის გამოტოვება გვეფიქრა, ჩვენი ძეგლი რომ „ი"-ს მეტად იშვიათად არ აქარაგმებდეს (იხ. ქვემ. § 24); 90_{8} „თჳნიე" და არა „თჳნიერ"; 90_{11} „უდღესსწ˜ილოდ" და არა „უდღესსწ˜ლოდ"=„უდღესასწაულოდ".

c) დაუქარაგმებელი სიტყვები: 69_{3} „მესმესა" და არა „მეს˜მესა"; 69_{23} „მეჴრე" და არა „მეკ˜რე"; 76_{15}, „ეგრეთვე" და არა „ეგრ˜თვე"; 89_{23} „მარსვთასა" და არა „მარხვ˜თასა"; 89_{24} „თევდრობასა" და არა „თევდ˜რობასა", თუმცა ეს უკანასკნელი გამოცემაში შეიძლება ტყუილად შევასწორე და „ო"-ს რედუქციით წარმოებულ მიცემით ბრუნვას წარმოადგენდეს.

d) ენიანი ენებითი, რომელიც მოითხოვს მიცემითს, შეთანხმებულია ნათესაობითთან: 83_{28-29} „აღაპი... გარდაეჴდებოდის... ძმისათჳის", იმის ნაცვლად, რომ ეწეროს: „აღაპი... გარდაიჴდებოდის... ძმისათჳს", როგორც მე შევასწორე[1].

§ 17. ორთოგრაფიული სხვაობანი.

63_{3} „გეზისი" – 72_{21} „გიეზისსა" – 87_{24} „გეეზის".

70_{18} და სხვ. „დუკატი" – $71_{5,7}$ „დოკატი", თუმცა ეს უკანასკნელი მერმინდელი ჩანართია (იხ. ზემ. § 15).

71_{11} და სხვ. „ექუსი" – 70_{18} „ექსი", თუმცა ესეც მერმინდელი ჩაწერილია (იხ. § 15), ან შეიძლება ქარაგმა იყოს გამოტოვებული.

64_{1}, 83_{19} „ზეშთა" – 89_{2} „ზესთა".

71_{20} და სხვ. „თჳთოჲ", 90_{3} „თჳთცა" – 62_{3} „თითოეულსა".

ყველგან იწერება „მონაზონი", ხოლო 85_{13} „შემოლაზუნდებოდენ" (უმარცვლო „უ"-ნით).

66_{2-3}, 72_{16} „ნანდჳლე" – 82_{18} „ნამდჳლე".

66_{11} და სხვ. „ო˜სა=ოჳფლისა", 66_{15} და სხვ. „ო˜ნ=ოჳფალმან" – 62_{17} „უფალთა", თუმცა ეს უკანასკნელი ამ ადგილას „ბატონის" მნიშვნელობითაა ნახმარი და არა „ღმერთისა".

ყველგან იწერება „უკუეთუ", ხოლო 69_{5} „ოჳკუეთუ"; „უ"-ს ასეთი გადმოცემა აქ, ალბათ, იმის მიზეზია, რომ ეს სიტყვა ასომთავრულით იწყება.

§ 18. ფონეტიკური თავისებურებანი.

---

[1] აქ შეიძლებოდა წარმოგვედგინა „ე"-ნისა და „ი"-ნის აღრევა და მართლაც, ჩვენს ძეგლში „ე"-ს, ერთი-ორგან, იმდენად მოკლე ფეხი აქვს, რომ კაცმა შეიძლება „ი"-ნად მიიღოს, მით უმეტეს, რომ სხვა ასოებთან გადაბმისას სარქველიც ეკუმშება. მაგრამ სიტყვაში „გარდაეჴდებოდის" „ე" სრულებით გარკვევით და ამასთანავე გადაუბმელად სწერია.

a) ასო „Ჩ“ დაისმის ყველგან და მხოლოდ უმარცვლო „უ“-ნის შემდეგ, მაგრამ ორჯერ გვხვდება სწორი ხმარებაც:

76_{30} „მეუფᲩ“ (სახელობითში) და 74_{14-15} „ი˜Ჩლსა=ისრაᲩლსა“. ორჯერ კი მარცვლიანი „უ“-ნის შემდეგაც „Ჩ“ ზის: 63_{26} და 83_4 „უᲩჭ˜ლად=უᲩჭუᲩლად“.

„მეუფᲩ“ არ გამომიცვლია, სხვაგან კი „Ჩ“ „ე“-ნით შევცვალე. მომაქვს აქ სია „Ჩ“-ანი სიტყვებისა, ოღონდ, თუ კი ერთი ძირი ერთხელ შემხვდებოდა, მეორედ და მესამედ მას აღარ აღვნიშნავდი. ამოვიღე მხოლოდ სრულად დანერილი, დაუქარაგმებელი სიტყვები: 61_{19} „შუᲩნიერებრისა“, 63_{18} „უკუᲩ“, 64_{14} „განსუᲩნებისა“, 65_{23} „მეტყუᲩლისა“, 68_3 „მოიკუᲩთენ, 68_9 „წუᲩნი“, 68_{27} „ძუᲩლ“, 69_9 „ქუᲩმ[ოᲲ]“, 75_{1-2} „ჰავჩუᲩულნი“, 75_{21} „სხუᲩბრ“, 75_{25} „უწუᲩრული“, 77_{25} „მოხუᲩჭაᲲ“, 81_9 „მემსხუᲩრპლეობისა“, 85_{14-15} „შეშუᲩბასა“, 85_{20} „ყუᲩლაᲲთა“, 87_{18} „უსუᲩმით“, 88_{21-22} „შეჩუᲩნებულ“.

b) „ვ“-ს ნაცვლად დასმულია უმარცვლო „უ“: 73_2 „რისსუაᲲ“, თუმცა სხვაგან ეკითხულობთ: 87_{27} და სხვ. „რისხვისა“, 89_9 „შერისხვითა“ და არა „რისხჳსა“, „შერისხჳთა“. მრავლობ. რიცხვის პირვ. პირის ობიექტური პრეფიქსი არის ყოველთვის „გუ“, მაგ. 73_{5-6} „გუასწავებს“, ხოლო მომდევნო ი-სთან ერთად „გკ“, მაგ. 89_{26} „დაგკწერია“ და სხვ.

c) „ვ“ იკარგება ონის შემდეგ ხმოვნის წინ: 74_9 „გამოეთხოოს“, 77_{12} „განეზაოს“, 79_{25} „ვჰპოებთ“, 78_{20} „იპოა“, 70_4 „იპოებოდეს“, 85_6 „იპოოს“, 81_1 „მჴცოანნი“, 68_{27} „ჯეროან“; თუმცა გვხვდება აგრეთვე 66_4 „ასწავოს“; და 74_{4-5} „რავზომცა“, საცა ზედმეტი ვ შეიძლება „რავდენის<რაოდენის“ ანალოგიით იყოს გაჩენილი, ოღონდ უნდა შევნიშნო, რომ ჩვენ ძეგლში ყველგან „რაოდენი“ იხმარება და არა „რავდენი“.

d) „ჰ“ იხმარება ისეთ სიტყვებში, როგორც 72_{14} და სხვ. „ანგაჰარებითისა“, 89_{17} „ვაჰანის“, ხოლო „ჰასაკი“, „ჰავი“ და სხვ. ხომ ჩვეულებრივია.

e) პრევერბები ზოგჯერ შეკვეცილია: 89_{25} „ამაღლებასა“, თუმცა სხვაგან ყველგან „აღ“-პრევერბი იხმარება. განსაკუთრებით ხშირია „გან“-პრევერბის შეკვეცა: 75_{31} „გატეხად“, 89_{19} „გაგებული“, სხვაგან კი ყოველთვის „განგებული“, 80_{29} „გაიგზავნებოდინ“, 80_{26} „გაიმართვოდეს“, 85_7 „გაიყოს“, 84_5 „გაიყოფდენ“, 84_{18} „გაუყოფდნე“, 69_{16-17} „გაისტუმრებდენ“, ხოლო 69_{23} „განისტუმრებდეს“, 85_{16-17} „გაიჩინებოდეს“, 69_{15} „გასაყოფელი“, 70_{15}, 71_{8-9} „გაუჩინე“ 90_{18} „გაჰმართონ“; 89_{22} „წაიკითხვოდეს“, 90_{15} „წაკითხვასა“, მაგრამ 89_{28-29} „წარიკითხვიდეს“, 89_{27} „წარკითხვაᲲ“, 90_1 „წარეკითხვოდეს“; 74_3, 80_{29} „წასულაᲲ“, ხოლო 74_8 და სხვ. „წარვიდეს“, 71_{31} „წარსლვად“.

f) მეტათეზისი: 76_{24-26} „წარმოიცარიელენ“ და არა „წარმოიცალიერენ“; 74_3, 80_{29} „წასულაᲲ“, ხოლო 71_{31} „წარსლვად“, 75_{22} და სხვ. „შესლვაᲲ“; 88_{13} „აღნამკნი“ და არა „აღნაკმნი“.

g) საინტერესოა აგრეთვე, წმინდა ბერძნული ფორმა სიტყვისა „ტკპიკონისა“ 75_{31}.

§ 19. მორფოლოგიური თავისებურებანი.

a) ბრუნება: ა) სახელობითს ნიშანი არა აქვს, თუ სახელი „ე“-ნით თავდება, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნე, (იხ. § 18 a), „Ჩ“ მხოლოდ უმარცვლო „უ“-ს შემდეგ ისმის, ხოლო მის ბგერინაცვალს „ᲩᲲ“ ან „ეი“-ს ჩვენი ძეგლი არ იცნობს. ასე, მაგ., ეკითხულობთ 85_5 „ყოველი საქმე მისისა სულისაᲲ“ და არა „საქმᲩ“ ან „საქმეᲲ“, არც „საქმეი“; მხოლოდ ერთხელ აქვს „ე“-ზე დაბოლოებულ სახელს ნიშანი სახელობითში: 76_{30} „Ყმობს მეუფᲩ“ (შეად. ზემ. 6 18 a); ერთხელ კი „ო“-ზე დაბოლოებული სიტყვაც სახელობითში უნიშნოდაა: 71_{18} „თჳთო საპალნე ღჳნოᲲ“, თუმცა იქვე, 71_{24-25} წერია: „ღჳნოთ... თჳთოᲲ საპალნე“. ბ) ნათესაობითი უსრულია თუ რომ მსაზღვრელი და საზღვრული ერთ მთლიან კომპლექსადაა მიჩნეული, მაგ., 63_{26} „ღმრთისმოშიშნი“, 89_{25} „ჯუარისამაღლებასა“, 66_{12} „სიტ[ყ]ჳსმიცემაᲲცა“ და სხვ.; ასეთი კომპლექსები გამოცემაში ერთ სიტყვადაა დაბე-

ჭდილი (იხ. ქვემ. § 22); გარდა ამისა, გვხვდება 81_{22} „კანონისგანცა“ და არა „კანონისაგანცა“, საცა შეკვეცა „ცა“-ნაწილაკის გამოწვეული უნდა იყოს და 82_{10-11} „შემდგომად სერობის გამ[ოსლვისა]“ და არა „სერობისა გამ[ოსლვისა]“, თუ აქაც ზემოაღნიშნულ კომპლექსთან არა გვაქვს საქმე. მაინც აღსანიშნავია, რომ ორივე უკანასკნელი მაგალითი დედანს არ ეკუთვნის (იხ. ზემ. § 6). ერთხელ ძეგლის დროისათვის ისეთი უცნაური შეკვეცა გვხვდება, რომ lapsus-ად ჩავთვალე და გამოცემაში შევასწორე: 78_{3-4} „გარეშე საჭიროჲ მიზეზისა“ და არა „საჭიროჲსა მიზეზისა“; 78_{6} „ზედაჲ-ზედა“ და არა „ზედაჲს-ზედა“.

გ) ნათესაობითი შეუთანხმებელია სახელობითთან: 82_{4} „მოგებაჲ სენაკთა“ და შემდ. და არა „სენაკთაჲ“ და შემდ., 79_{29-30} „უჴმს... ძმათა მორჩილებაჲ მწყემსისა“ და შემდ. და არა „მწყემსისაჲ“ და შემდ., 79_{21-22} „მოლოდებაჲ კეთილისა რაჲსმე“ და არა „კეთილისაჲ რაჲსმე“, ოღონდ აქ შეკვეცა იმითია გამოწვეული, რომ კანონზომიერად უკანასკნელ სიტყვას „რაჲსმე“ უნდა მიეღო შეთანხმების ნიშანი, მაგრამ ეს სიტყვა ჩვენს ძეგლში ყოველთვის უნიშნოდაა.

დ) მოქმედებითთან შეთანხმებისას ამოვარდნილია „ჲ“: 69_{2} „მიზეზითა ლოცვისათა“ და არა „ლოცვისაჲთა“, და 66_{9-10} „მოსწრაფებითა სათნოებისა მისისათა“ და არა „მისისაჲთა“.

ე) აღსანიშნავია აგრეთვე ურედუქციო წარმოება ნათესაობითისა სიტყვანი „მღდელი“: 84_{15} „მღდ˜ლისა=მღდელისა“.

ვ) „ე“-ზე დაბოლოებული სიტყვა ნათესაობითში ამ „ე“-ს ჰკარგავს, მაგ. 76_{30} „მეუფტ“ – 85_{28} „მეუფისა“, 65_{9} „მოწამე“ – 85_{30} „მოწამისა“ და სხვ.; მხოლოდ სახელი „ქრისტე“ „ე“-ს ინარჩუნებს: 66_{13} „ქრისტესსა“.

ზ) უღვლილება: ა) ორჯერ მეშველი ზმნა „არს“ იხმარება შეკვეცილი სახით: 69_{8}, 84_{4} „წესია“. ბ) I თურმეობითი გვხვდება როგორც ძველი, ისე ახალი სახითაც: 76_{15} „განმიწესებიეს“, 79_{10} „განგჳწესებიეს“ და სხვ., ხოლო 69_{14-15} „განმიწესებია“, 71_{22} „დაგჳწესებია“, 89_{26} „დაგჳწერია“ და სხვ. გ) მრავლობითობის მაჩვენებელი „ნ“ ნებისმიერ იხმარება, ასე მაგ. ზმნა „იქმნენ“ ყოველთვის უამ-„ნ“-აროდაა, მაგრამ ერთხელ 88_{12-13} ეკითხულობთ: „სრულიქმნნეს... აღნამკნი ზენანი“ და სხვ. დ) მესამე პირის ობიექტური პრეფიქსი ყოველთვის იხმარება, დამატება პირდაპირია თუ ირიბი, უკეთუ იგი მიცემითში დგას: 67_{17} „ჰმადლობდენ“, 70_{4} „ჰმსახურებდეს“, 70_{5-6} მოჰვლიდეს, 71_{7} „ჰქონდეს“, 73_{5}, 81_{10} „ჰშუენის“, 74_{14} „შეჰყვაო“, 74_{24}, 79_{25} „ვჰპოებთ“, 75_{8}. „გულისჴმავჰყოფ“, 75_{18} „დაჰყოფს“, 76_{11} „დაჰჴსნის“, 77_{11} „განსთსევდეს“, 77_{17} „ჰხედვიდენ“, $78_{4,8}$ „ჰყოფდენ“, 82_{16} „ვჰრიდებ“, 90_{14} „სწერია“, 90_{19} „სწერიან“; წარმოშობით მიცემით დამატებიან ზმნებს შერჩენილი აქვთ ჰ: 76_{21-22} „დაჰჴსნას“, 90_{18} „გაჰმართონ“.

ორჯერ გვხვდება უპრეფიქსო ფორმაც: 75_{29} „შლიდეს“, 82_{27} „შუენის“.

§ 20. სინტაქსი

მასდარი ვითარებით ბრუნვაში ზოგჯერ მოითხოვს მიცემითს, მას ჯერ კიდევ შერჩენილი აქვს გარდამავლობის ძალა:

62_{27}-63_{1} „ნუმცა ვის... უკადრებიეს... უწესოსა საქმესა ჴელყოფად... მოგებად რასმე განგდებულთაგანსა თჳსაგან“.

65_{5-13} „კაცი... შემძლებელი ტჳრთვად ესოდენსა სულებსა ძმათასა“.

75_{25-28} „ნუცამცა ვინ იკადრებს... შვილსა უჰასაკოსა და უწუერულსა შემოყვანად მონასტერსა შინა“.

76_{10-20} „უკუეთუ... კაცმან იმეცადინოს დაჴსნად კეთილსა ამას წესიერებასა“.

სხვაგან კი ასეთი მასდარი მოითხოვს ნათესაობითს:

68_{5-7} „განწ[ვალებაჲ] არა იყოს შეკრებასა ძმათასა მიღებად საზრდელისა".

75_{30-31} „ჴელყოს განრყუნად მონასტრისა და გატეხად ტკპიკონისა".

76_{6-8} „არავის ჴელეწიფების უწუერულისა ყრმისა გინა დიაკონისა შემოყვანად მონასტრესა ამას შინა".

ზმნისებრ სინტაქსურ ძალას ორჯერ იჩენს მიმღეობაც:

61_4 „კმად დამტევნელი სიმრავლესა" და არა „სიმრავლისა"[1]; 64_{4-6} „მორჩილნი ნამისყოფასა მწყემსისა და მა[მისა] სული ერისასა"; ხოლო იქვე ზევით 63_{27}-64_1 ვკითხულობთ: „ღმრთისად განმკუთვნველნი ყოვლისა ცხო[რებ]ისა თჳსისანი".

საინტერესოა აგრეთვე ორმაგი ადგილობითი ზმნისზედის „მუნ სადა" ცოტა უცნაური განაწილება წინადადების თავში და ბოლოში, რაც ერთგვარი რიტორიკული ხერხი უნდა იყოს: 79_{18-22} „რამეთუ სადა ძირი ყოველთა ბოროტთაჲ, რომელ-არს ვეცხლისმოყუარებაჲ, დამკჳდრებულ-იყოს მუნ, ნამეტნავ-არს მიერ მოლოდებაჲ კეთილისა რაჲსმე ოდესცა".

§ 21. დიალექტიზმები.

90_7 „უხარებოდე" და არა „უხარებოდ", თუმცა სწორედ ის ადგილი, საცა ეს სიტყვა მოიპოვება, ნაჩქარევადაა ნაწერი (იხ. ზემ. § 9) და მწერალს, შეიძლება, უბრალო შეცდომაც მოჰსვლოდეს.

85_{20} „ყუჩლაჲთა", რომლის ნაცვლად სხვაგან ყოველთვის „ყოვლითა" იხმარება და ამ ადგილას უფრო მართებული „ყოვლითავე" იქნებოდა და ამიტომ მე, ყოველ შემთხვევაში, ვულგარული ფორმა მგონია, რომელიც შემთხვევით თუ გამოჰპარვია მწერალს.

85_{13} „შამოლაზუნდებოდენ" და არა „შემონაზონდებოდენ".

90_{12} „წინუკუანთა" და არა „წინაუკმოთა"?

§§ 22-25. ჩვენი გამოცემისათვის

§ 22. ჩემ მიერ დედანში შეტანილი ცვლილებანი და ნიშნები. რადგანაც ჩვენი ხელნაწერი დედანს წარმოადგენს, მე ვერიდებოდი ტექსტში რაიმე ცვლილების შეტანას. მაგრამ დედნის ა. ვ. ფოტოგრაფიული პირის გადმოღება მაინც შეუძლებელი იყო: აშკარა შეცდომები შევასწორე (იხ. ამის შესახ. ზემ. § 16) და სასვენი ნიშნებიც ჩემი შევიტანე. როგორც ზემოთ (§ 10) უკვე აღინიშნა, განკვეთილობის ნიშნები თითქმის სრულებით უწესოდ იხმარება ჩვენს ძეგლში და ამის გამო თანამედროვე მკითხველისათვის ხშირად განსაკუთრებით ძნელია ამა თუ იმ წინადადების აზრის გაგება. მოვიტან მხოლოდ ერთ მაგალითს: 75_{28}-76_4 „ხოლო უკუეთუ ვინმე გლისპობდეს. და შლიდეს წესსა მონასტრისასა, და ჴელყოს განრყუნად მონასტრისა და გატეხად ტკპიკონისა, და შემოიყვანოს ყრმაჲ უჰასაკოჲ და ერთიცა, ღამე დააყოფიოს: გარეშე ყოვლისა ხუაშნისა მეყსეულად მითურთ განიდევნოს მონასტრით. და მოიკუეთოს ვითარცა ასოჲ დამპალი:·"

განსაკუთრებით, არეულია სასვენი ნიშნები 70_{18}-დან მოყოლებული 71_7-მდე, რადგან აქ ძველის გადანაფხეკზე ახალი ტექსტია ჩართული, განკვეთილობის ნიშნები კი მეტნილად ძველი დარჩენილა (შდ. ზემ. § 15).

---

[1] აქაც, როგ. ზემ. (§ 16 d., შენ 1), შეიძლებოდა „ე"-ნისა და „ი"-ნის აღრევა გვეფიქრა, მაგრ. აქაც გარკვეულად „ე" სწერია; ხოლო რომ „სიმრავლესა" ნათესაობითი არაა, ამის შესახებ იხ. ზემ. § 19, a, ვ.

დედნის ორ-ორი წერტილი დავუტოვე მხოლოდ ასოებით აღნიშნულ ციფრებს, რათა ჩვენს ტექსტშიც ეს ასოები გამოყოფილად ჩნდეს.

ტექსტში შევიტანე დეფიზი და ბრჭყალები. ბრჭყალებით გამოყოფილია ციტატები დაბადება-სახარებიდან, ხოლო დეფიზი დავსვი რთული შემასმენლის სახელ-ნაწილსა და ზმნას შორის, უკეთუ ან სახელი თავდება, ან ზმნა იწყება ხმოვნით და უკანასკნელ შემთხვევაში მაშინ, როდესაც სახელის ფორმა უსრულია; ასეთი ორნაწილედი შემასმენელი ჩვენს დედანში ხშირად ერთ სიტყვად იწერება, ხოლო მაგ. „ჯერ-არს", ერთ-ორ შემთხვევას გარდა, ყოველთვის იქარაგმება როგ. „ჯერ˜რს". გარდა ამისა, დეფიზი დავუსვი კიდეე ისეთ გამოთქმებს, როგორც „მცირედ-მცირედ", „კაცად-კაცადსა", „სასლითი-სასლად", „შემდგომითი-შემდგომად" და მისთან., და ისეთ რთულ სიტყვებს, რომლებსაც მაინცდამაინც მჭიდრო გადაბმულობა არა აქვს, როგორც, მაგ., „ხუთ-ქალაქთაებრ", „მკითხველ-კანანასობაჲცა", ანდა ფორმით არიან გადაბმული, როგორც „უშაბათ-კკრაოდ", „ოთხშაბათ-პარასკევთა" და სხვ.; ასეთი გამოთქმები დედანში მეტნილად ცალ-ცალკე წერია.

ერთ სიტყვადა მაქვს გადმოცემული მსაზღვრელ-საზღვრული, ბრუნვისდა მიუხედავად, როდესაც იგი ათვისებულია ერთ მთლიან კომპლექსად, რაც მსაზღვრელის ფორმის უსრულობიდან ჩანს (შეად. ზემ. § 19 a:ბ). ასეთი გამოთქმები, მაგ., „სრულყოფაჲ", „წამისყოფასა", „ღმრთისმოშიშნი", დედანში ერთადაც იწერება და ცალ-ცალკეც, ოღონდ ერთხელ გარკვევით კორექტურული შემაერთებელი ნიშნითაა გადაბმული ორი ცალ-ცალკე დაწერილი სიტყვა: 83_{10} „უქმ სიტყუაობაჲ".

თანდებულებს, გარდა „მიერ", „შინა", „თანა", და „ზედა"-სი, ცალკე არა ვწერ, თუმცა არის შემთხვევა, როცა, მაგ., „გან", ან „თკს" დედანში ცალკე ზის, ხოლო ზემოჩამოთვლილნი, თითო-ოროლა შემთხვევას გარდა, დედანშიც ყოველთვის ცალკე იწერება.

„არავის" „ეგევითარი" და მისთან. დედანში ხშირად გაყოფილია, მე ყველგან ერთად ვწერ.

ასომთავრულები და წითურად დაწერილი, გარდა თავების ზანდუკებისა, რომლებიც შავად აიწყო, არ გადმომიცია; მხედრულად ჩანაწერი ჩემს გამოცემაში ბაცი შრიფტითაა დაბეჭდილი (ე. წ. კირილეს ასოთი).

აბზაცებიცა და ტექსტის პარაგრაფებად დაყოფაც ჩემია; გრაგნილის კეფები სათანადო ნომრებით დავნიშნე; დედნის სტრიქონები გამოყოფილია ვერტიკალური ხაზებით.

§ 23. დაქარაგმებული სიტყვების გახსნა და მათი სია. ჩვენს გამოცემაში ყველა დაქარაგმებული სიტყვა გახსნილია და ქვემოთ მომაქვს ამ სიტყვებით სია. რამდენადაც სასვენი ნიშნების ხმარება ჩვენს ძეგლში ნებისმიერია და უწესო (იხ. ზემ. § 10), იმდენად მტკიცე და გარკვეული წესია დაცული დაქარაგმებისას, რაც ქვემომოყვანილი სიიდან კარგად ჩანს. ქარაგმების გახსნისას ეჭვი აღმიძრა მხოლოდ რამდენიმე შემთხვევამ: ასე 74_{14-15} „ი˜Ჩლსა" გავხსენი როგორც „ისრაᲩლსა", მაგრამ შეიძლება ეიფიქროთ აგრეთვე უსწორო დაწერილობა „იᲩრუსალემსა", მით უმეტეს, რომ ციტატა ბიბლიიდან, რომელსაც ეს სიტყვა ეკუთვნის, ვერ აღვადგინე; შემდეგ 76_{26}, 89_{20} „ა˜ნ" გავხსენი როგორც „ამენ", თუმცა შეიძლებოდა წარმოგვედგინა არქაული დამწერლობა „ამᲩნ", რადგან არქაულად იწერება ისეთი სახელები, როგორც 66_{15} „ო˜ნ"="ოუფალმან"; $66_{11, 10}$ „ო˜ისა=ოკფლისა", 76_{30} „მ˜ფᲩ=მეუფᲩ", ხოლო შედარებით ნაგვიანები ფორმა „ამინ" ჩვენი ძეგლისათვის, მგონია, მიუღებელი უნდა იყოს; 75_{5} „წნ˜ყლი" გავხსენი როგორც „წინაჲსწარმეტყუელი", თუმცა დასაშვებია აგრეთვე „წინასწარმეტყუელი"; 72_{1} „ყ˜ფისთ˜ს" და 72_{3} „ყ˜ფისათ˜ს" ორივე გავხსენი როგორც „ყოფისათკს", აგრეთვე

61_{21}-62_1 „მონ˜სტრისგ˜ნ“, 85_{10-11} „ს˜ლისთ˜ს“ და სხვ. გავხსენი როგ. „მონასტრისაგან“, „სულისათჳს“ და სხვ. და არა „მონასტრისგან“, „სულისთჳს“ და სხვ., რადგან „ა“-ნის გამოტოვება თუ გამოუტოვებლობა დაქარაგმებისას ხშირად სრულიად ნებისმიერია; მხოლოდ 62_{21} „ყ˜ლისგ˜ნვე“ გავხსენი როგორც „ყოვლისგანვე“, ვინაიდან „ვე“-ნაწილაკს შეეძლო პირველი „ა“-ნის რედუქცია გამოეწვია.

ბრუნვის მაწარმოებელი „ი“ არასოდეს არ იქარაგმება და ამისდა მიხედვით 64_5 „წამისყფ˜სა“ გავიგე როგორც მიცემითი და გავხსენი როგ. „წამისყოფასა“ (რასაც ისედაც გვიკარნახებს მომდევნო 64_{5-6} „სულიერისასა“), ხოლო 80_{12} „ს˜ლს“ გავიგე როგორც ადგილობითი ზმნისზედა და გავხსენი როგ. „სოფელს“ და არა „სოფლის“, როგორც ამ ადგილას თითქოს უფრო მართებული უნდა ყოფილიყო.

ზოგიერთი დაქარაგმებული სიტყვა ტექსტში სრულად დაწერილიც მოიპოვება ამა თუ იმ ფორმით და ასეთ შემთხვევაში, რასაკვირველია, მივსდევდი ტექსტის მართლწერას. ასეთი სრულად დაწერილი სიტყვები ქვემოთ სიაში ნაჩვენებია მრგვალ ფრჩხილებში, ხოლო თუ დაქარაგმებული სიტყვა იმავე სახით გახსნილიც გვხვდება, მრგვალ ფრჩხილებში აღნიშნულია მისი ადგილი (გვერდი და სტრიქონი).

დაქარაგმებული სიტყვების სია:

ა˜დ 62_{26} და სხვ.=არამედ.
ამ˜თ 62_2 და სხვ., ამ˜ს 62_{29} და სხვ.,=ამათ, ამას.
ამ˜რ 84_{21} და სხვ., ამ˜რითგ˜ნ 62_{28} და სხვ.=ამიერ, ამიერითგან.
ამპ˜რტვნ˜ბის˜ჲთა 74_{17-18}=ამპარტავნებისაჲთა.
ამღლ˜ბასა 89_{25}=ამაღლებასა.
ა˜ნ 76_{26}, 89_{20}=ამენ.
ანგ˜ლზნიცა 68_{29}=ანგელოზნიცა.
არ˜ნ 90_{18}=არიან.
არ˜ჲ 71_2 და სხვ.=არაჲ.
ა˜ქს 71_{16} და სხვ.=აქუს (აქუნდეს 69_{21}).
აღბორგებ˜ლნი 78_{27-28}=აღბორგებულნი.
აღსრ˜ლნი 64_2=აღსრულნი.
აღსძრ˜ვს 72_{28}=აღსძრავს.

ბ˜ნბით 88_{15}=ბუნებით.
ბრ˜ლი 73_{22}=ბრალი (ბრალთა 78_{23}).
ბრ˜ტ 79_{23}, ბრ˜ტისად 68_{13-14}, ბრ˜ტთა 75_3, სიბ˜რტისა 72_{15}=ბოროტ, ბოროტისად, ბოროტთა, სიბოროტისა.
ბრძ˜ნოს 85_{8-9}, ბრძ˜ნბითა 68_{26}, ბრძ˜ნებასა 80_{6-7}, უბრძ˜ნოს 74_{11}=ბრძანოს, ბრძანებითა, ბრძანებასა, უბრძანოს (ბრძანებისა 66_{18}).

გვდრ˜ბი 83_7=გეველრები.
გზ˜სა 69_4=გზასა.
გ˜ლბისა 88_{25}, გ˜ლბის˜ჲ 82_{17}=გალობისა, -საჲ.
გ˜ლი 62_{24} და სხვ., გ˜ლის 75_8 და სხვ., გ˜ლს 61_8 და სხვ.=გული, გულის, გულს.
გლ˜ხკთ˜ჲთა 72_{12}=გლახაკთაჲთა.

გ˜მოირჩეოდის 65_4=გამოირჩეოდის.
-გ˜ნ, -გ˜ნნი $61_{20, 21}$ და სხვ.=-გან, -განნი.
გ˜ნგბ˜ჲ 86_2, გ˜ნგებაჲ 87_{29}, გ˜ნგებ˜ჲ 66_1, 87_5, გ˜ნგებისა 86_{16}, გ˜ნგებასა 87_{15}=განგებაჲ, -ბისა, -ბასა.
გ˜ნგდებ˜ლი 62_6=განგდებული.
გ˜ნიჴ˜დების 72_{5-6}=განიჴადების (გ˜ნიჴადებიან 73_{30}).
გ˜ნკრძლ˜ლი 70_{1-2}=განკრძალული.
გ˜ნსუჱნ˜ბისა 64_{14} – განსუენებისა.
გ˜ნქიქებ˜ლი 79_2=განქიქებული.
გ˜ნყვანებ˜ლი 67_{21}, შემოიყვ˜ნოს 75_{31}-76_1=განყვანებულ, შემოიყვანოს.
გ˜ნშორბ˜ლთა 86_{12-13}=განშორებულთა.
გ˜ნწესებ˜ჲ 61_{18} და სხვ.=განწესებაჲ.
გონბ˜ჲ 62_{25}, გნ˜ბისა 83_{19}, გნ˜ბითა 86_{13}, $_{28}$ და სხვ. =გონებაჲ, -ბისა, -ბითა (გონებად 88_{13}).
გ˜რდამვ˜ლთა 79_8=გარდამავალთა.
გ˜რე 68_3, გ˜რეგ˜ნ 71_{31} და სხვ., გრეთ 63_{12},. გ˜რეშე 74_{18-19} და სხვ. =გარე, გარეგან და სხვ.
გ˜რნა 68_{24} და სხვ. =გარნა (78_{21}).

დაკლებ˜ლ 77_{21-22} და სხვ. =დაკლებულ.
დაკუჱთებლ˜დ 74_{24}=დაკუეთებულად.
დამტევნ˜ლი 61_4=დამტევნელი.
დაუცხრმ˜ლდ 88_{25}=დაუცხრომელად (89_2).
დაჭირებ˜ლთა 72_{11-12}=დაჭირებულთა.
დბ˜ლი 90_{8-9}, დბ˜ლისა 76_9=დიდებული, დიდებულისა.
დ˜ბჲ 82_{21}, დ˜ბის $81_{5-6, 15}$, დბ˜სა 89_3=დიდებაჲ, -ბის, -ბასა.
დეკ˜ნზსა, დკნ-ზსა 70_{18} და სხვ., დკ˜ნზისგ˜ნ 69_{13}=დეკანოზსა, -ზისაგან.
დ˜კნი 75_{24}, დ˜კნისა 76_7, დ˜კნნი 63_{19} და სხვ., დ˜კნთა 63_5=დიაკონი, -ნისა, -კონნი, -კონთა.
დ˜კტი 71_{16}=დუკატი (70_{18}).
დღ˜სა 84_{26}, დღ˜თა 86_6=დღესა (84_{28}), დღეთა.

ეგრ˜თვე 71_{22}=ეგრეთვე (70_{22}).
ემ˜სპინძლებოდის 69_{8-9}=ემასპინძლებოდის (69_{14}).
ეპისკ˜პსი 69_6=ეპისკოპოსი.
ეშმ˜კისგ˜ნ 78_{28}, ეშმ˜კისსა 66_{18}, საეშმ˜კოჲსა 82_{17}, =ეშმაკისაგან, ეშმაკისსა, საეშმაკოჲსა.

ვ˜ა $62_{5, 8}$ და სხვ.=ვითარცა.
ვ˜დ 61_{15}, 63_9 და სხვ.=ვითარმედ.
ვ˜ემე 63_{19} და სხვ.=ვიდრემე.
ვინ˜ჲთგ˜ნ 61_{20} და სხვ.=ვინაჲთგან.
ვნ˜ბითა 80_{7-8}, ვნებ˜ლი 83_{10}, ვნებ˜ლისა 77_{16}=ვნებითა, ვნებული, -ბულისა.
ვნ˜ჲცა 83_{6-7}, ვინ˜ჲცა 61_8 და სხვ.=ვინაჲცა.
ვ˜რ 63_7, ვ˜რი 63_7 და სხვ., ვ˜რსა 73_{19} და სხვ., ვ˜რთა 73_7 და სხვ.=ვითარ (66_2), ვითარი, -რსა, -რთა.
ვყ˜ვ 64_{25}=ვყავ.

ზ˜ა 67_{15} და სხვ. =ზედა (64_{21}).
ზ˜აჲ˜-ზ˜ა 78_{6}=ზედაჲ-ზედა.
ზეგ˜რდამოთა 61_{5-6}=ზეგარდამოთა.
ზ˜შთა 64_{1}=ზეშთა (83_{19}).
ზ˜ცისა 88_{23}=ზეცისა.

თ˜ა, თ˜ნა 66_{12} და სხვ. =თანა (70_{24}).
თ˜ვდთა 71_{21}=თავადთა (უთავადესთა 71_{15}).
თ˜ვი 66_{7} და სხვ.=თავი.
თ˜ვნობად 71_{27}, თავნობ˜დ 72_{8}=თავნობად.
თით˜ლი 63_{8}, 83_{12}=თითოეული (თითოეულ[ლსა] 62_{3}).
თ˜ლ 79_{7}, თ˜ლითა 83_{19}, თ˜ლნი 75_{2}=თულა, თუალითა, -ლნი.
თ˜ნრ 83_{5}, თკნ˜რ 75_{14} და სხვ.=თკნიერ (69_{11}).
თ˜ს 69_{15} და სხვ., თ˜სი 66_{7} და სხვ., თ˜სისა 65_{20} და სხვ.=თკს, თკსი, თკსისა (62_{22}).
თქ˜მდ 82_{17}, თქ˜მად 66_{13-14}, თქ˜მლ 73_{26} და სხვ., ითქ˜მოდენ 76_{14}, ით˜ქს 73_{16}, ითქ˜ასა 66_{6}=თქუმად, თქუმულ, ითქუმოდენ, ითქუას (72_{16}, ვთქუათ 85_{20}).
თქ˜ნ 72_{18} და სხვ., თ˜ქნით 82_{26-27}=თქუენ, თქუენით.
თ˜ყნის 88_{15} და სხვ., თ˜ყნებულ 70_{21}, უთ˜ყნე[ბდენ] 63_{15}=თაყუანის, -ნებულ, უთაყუანე[ბდენ].

იგ˜ნი 69_{16}=იგინი.
ი˜ჱლსა 74_{14-15}=ისრაელსა.
იკ˜დროს 79_{14}=იკადროს.
იკითხ˜ვს 67_{11}=იკითხავს.
იტყ˜დის 75_{5}=იტყოდის.
იტყ˜ს 82_{25}=იტყკს (74_{15}).
ი˜ჯ 65_{21}=იესოკ.
იყ˜ვნ 73_{23}=იყავნ.
კ˜დ 62_{20} და სხვ.=კუალად.
კეთილ˜რსო 61_{13-14}, კ˜თილსა 76_{20}, კ˜თილად 65_{19} და სხვ., კ˜თილისა 79_{22}=კეთილ-არსო, კეთილსა, -ლად, -ლისა.
კიდეგ˜ნისა 68_{17}=კიდეგანისა.
კ˜ნდელ˜კსა 70_{25-26}=კანდელაკსა.
კნ˜ნსა 74_{13} და სხვ., კ˜ნონისჲ 62_{13}, კნ˜ნთა 90_{19}=კანონსა, კანონისაჲ, კანონთა (კანონიცა 73_{24}).
კრ˜ბლისა 75_{10} და სხვ.=კრებულისა.
კრ˜ლ 88_{14} და სხვ.=კრულ.
კრნ˜ბსა 77_{8}, მკრნ˜ლო 66_{6}=კურნებასა, მკურნალო.
კრძ˜ლლებისა 83_{6}, კრძ˜ლლებით 83_{13}=კრძალულებისა, -ლებით (კრძალულებითა 79_{4-5}).
კ˜ცი 65_{5} და სხვ.; კ˜ცმ˜ნ 76_{19}, დედაკ˜ცი 68_{31}, ერისკ˜ცი 69_{10}, ერისკ˜ცნი 80_{22}, ერისკ˜ცთგ˜ნ 72_{19}=კაცი, კაცმან, დედაკაცი, ერისკაცი, -კაცნი, -კაცთაგან.
კხ˜ჲ 74_{10} და სხვ., კხ˜ვისასა 84_{24}=კურთხევაჲ, -ვისასა.

ლალვ˜ჲ 73_{25}=ლალვაჲ.
ლ˜ცვჲ 74_{9-10} და სხვ., ლ˜ცვისა 62_{14}, ლ˜ცვასა 78_{6}, სალცვ˜ლ 72_{17}=ლოცვაჲ, -ვისა (69_{18}), -ვასა, სალოცველ.

მაგინებ˜ლსა 73_{27}=მაგინებელსა.
მარხვ˜თა 90_{6-7}, მრხვ˜თა 90_{10}, მ˜რხვისა 62_{15}=მარხვათა, მარხვისა.
მაღ˜ლთა 64_{22}=მაღალთა.
მ˜დის 81_{10}=მარადის.
მ˜დლსა 87_{1-2}, მ˜დლთა 86_{23}=მადლსა, -ლთა.
მეკ˜რე 69_{23}=მეკარე.
მეს˜მისა 71_{4}, მეს˜მესა 69_{3}=მესამისა, -მესა (84_{26}).
მეტყ˜ლი 83_{21}, მეტყ˜ლებისა 81_{6}, მეტყ˜ლებ˜სა 83_{14-15}, მეტყ˜ლებდ 81_{16}=მეტყუელი, -ლებისა, -ლებასა, -ლებად (მეტყუელისა 65_{23}).
მეყს˜ლდ 76_{2}=მეყსეულად.
მეცნ˜რი 69_{17}=მეცნიერი.
მეჭ˜რჭლესა 70_{25}, საჭ˜რჭლესა 84_{7}, 85_{10}=მეჭურჭლესა, საჭურჭლესა.
მ˜თ 64_{20} და სხვ., მ˜თი 63_{8-9} და სხვ.=მათ, მათი.
მთ˜ვრ 63_{4-5} და სხვ.=მთავარ.
მიდევნ˜ბად 80_{19}, მიდევნებ˜ლი 78_{3-4}=მიდევნებად, მიდევნებულნი.
მიით˜ლვიდენ 77_{8-9}=მიითუალვიდენ.
მიცვალებ˜ლისა 83_{29}, მიცვ˜ლბ˜ლსა 84_{27}=მიცვალებულისა, მიცვალებულსა.
მ˜მჲ 88_{5}, მ˜მისა 72_{17}, მ˜მსა 74_{25}, მ˜მნო 87_{3}, მ˜მთჲსა 61_{10-11}, 63_{24}, =მამაჲ, მამისა, მამასა, მამანო, მამათაჲსა.
მ˜მლობით 81_{17}=მამულობით.
მ˜მთმ˜ვლთა 78_{16}=მამათმავალთა.
მ˜ნ 66_{5} და სხვ.=მან.
მნ˜ზნი 69_{9-10} და სხვ., მნ˜ზნნი 63_{25-26} და სხვ., მნ˜ზნთა 80_{12}, მნ˜ზონთ˜ჲ 64_{11-12}=მონაზონი, -ზონნი, -ზონთა, -ზონთაჲ.
მნ˜სტრი 75_{12-13}, მნ˜სტრისა 63_{12} და სხვ., მნ˜სტრსა 62_{29} და სხვ. მნ˜სტრით 72_{6}=მონასტერი, -ტრისა, -ტერსა, -ტრით (მონასტერს 85_{23-24}).
მოგ˜ბდ 63_{11}=მოგებად.
მომ˜რთ 87_{12}=მომართ.
მოსრ˜ლ 69_{19}, მოსრ˜ლთა 69_{1}=მოსრულ, -თა.
მოსწრ˜ფებითა 66_{9}=მოსწრაფებითა.
მპ˜რვი 73_{17}, მპ˜რვთა 78_{17}=მპარავი, -რავთა.
მ˜რ 64_{1} და სხვ., მ˜რი 74_{23}=მიერ, მიერი.
მრ˜ვლ 75_{2} და სხვ., მრ˜ვლი 65_{7} და სხვ., მრ˜ვლითა 78_{26}, სიმრ˜ვლესა 61_{4}, უმრ˜ვლესსა 64_{10-11}=მრავალ, -ლი, -ვლითა, სიმრავლესა, უმრავლესსა.
მ˜რთ 62_{14-15} და სხვ.=მიმართ.
მრჯ˜ნემ˜ნ 83_{23}=მარჯუენემან.
მ˜ს 61_{13} და სხვ.=მას.
მსგ˜ვსად 70_{15} და სხვ.=მსგავსად.
მს˜ფლიოთა 72_{11}=მსოფლიოთა.
მსწრ˜ფლ 74_{22}=მსწრაფლ.
მსხ˜რბჲ 87_{12-13}, მსხ˜რბისათ˜ს 64_{2-3} და სხვ., მსხ˜რნი 64_{6}, მსხ˜რთა 71_{5-6}, სმსახ˜რისა 74_{6}, სამსახ˜რსა 64_{8}, სამსხ˜რად 81_{3}, ნამს˜ხური 85_{21}, ჰმსხ˜რბდეს 70_{4}=მსახურებაჲ, მსახურებისათჳს, -რნი, -რთა, სამსახურისა, -რსა, -რად, ნამსახური (85_{17}), ჰმსახურებდეს.
მ˜ფჱ 76_{20}=მეუფჱ.

მ˜ფისა 85_{28}=მეუფისა.
მ˜ქმედ 66_{4}=მოქმედ.
მღდ˜ლისა 84_{15}, მღდ˜ლნი 63_{18} და სხვ., მღდ˜ლთა 63_{4}, მღდ˜ლთ˜ისა 65_{4} და სხვ. =მღდელი, მღდელისა, მღდელნი, მღდელთა, მღდელთაჲსა (მღდელყოფილთა 84_{10}).
მ˜ღწე 61_{19}, მ˜ღწებისა 86_{17}, მ˜ღწებით 86_{8}, მ˜ღწებითისა 80_{31}-81_{1} და სხვ., მ˜ღწებრისა 61_{11-12}, სამ˜ღწეოჲსა 62_{12-13}=მოღუანე, -ნებისა, -ნებით, -ნებითისა, -ნებრისა, სამოღუნეოჲსა (ღუნად 65_{14}).
მ˜ყრებ˜ჲ 79_{20}, მ˜ყრების˜ჲ 62_{9} და სხვ., მოყ˜რეთა 86_{12}=მოყუარებაჲ, -რებისაჲ, მოყვარეთა.
მყფ˜ლნი 63_{21}, მყფ˜ლთა 77_{18}=მყოფელნი, -ლთა.
მყ˜ფთა 66_{27} და სხვ.=მყოფთა.
მშ˜ნვე 85_{7}, მშ˜ნცა 75_{17}=მაშინვე, მაშინცა.
მშჳდთ˜ნი 73_{31}=მშჳდთანი.
მციქ˜ლი 73_{1} და სხვ., მოციქ˜ლთა 62_{7}, მცქ˜ლთსა 90_{10}=მოციქული, -ქულთა, -ლთასა.
მცნბ˜ჲ 68_{27-28}=მცნებაჲ.
მცხ˜ვრისა 85_{29-30}=მაცხოვრისა.
მძღ˜რი 72_{4-5} მოძღ˜რ 66_{28}-67_{1}, მძღ˜რისა 63_{10-11} და სხვ., მძღ˜რსა 71_{9} ქვემოთ და სხვ., მძღ˜რმ˜ნ 74_{11}, მოძღ˜რად 66_{25}, მძღ˜რის˜ჲთა 68_{26}, მძღ˜რთა 77_{1-2}=მოძღუარი, მოძღუარ, მოძღურისა (74_{2-3}), მოძღუარსა, -რმან, მოძღურად, -რისაჲთა, მოძღუართა.
მწირვ˜ლნი 84_{4}=მწირველნი.
მწირთ˜ისა 63_{5}=მწირთაჲსა.
მწ˜მე 65_{9}, მწ˜მისა 85_{30}=მოწამე, მოწამისა.
მწ˜ფე 62_{12} და სხვ., მწ˜ფთა 63_{11}=მოწაფე, -ფეთა.
მხ˜ლჲ 83_{15}, მხ˜ლოსა 83_{15}=მხოლოჲ, მხოლოსა.
მჴარგრძელმ˜ნ 86_{1}=მჴარგრძელმან.

ნთ˜ლი 76_{28}=ნათელი.
ნთ˜სვი 69_{17}, ნთ˜სვსა 75_{26}, ნთ˜სვთა 83_{27}=ნათესავი, -ვსა, -ვთა.
ნყ˜ფი 80_{4}=ნაყოფი.
ნ˜ხევარი 85_{9}, ნხ˜ვრი 85_{7}=ნახევარი.

ო˜ისა 66_{11}, ო˜ნ 66_{15}=ოჳფლისა, ოჳფალმან.
ორგ˜ლობ˜ჲ 77_{24}=ორგულობაჲ.
ორთ˜ჲვე 73_{22}=ორთაჲვე.
ოქრ˜ჲთა 85_{19}=ოქროჲთა (85_{26}).

პ˜დ 77_{5}=პირველად.
პ˜ლი 83_{3}, პ˜ლსაცა 74_{24-25}=პირველი, -ლსაცა.
პრსკ˜ვთა 90_{12-13}=პარასკევთა.
პ˜ტივისაგ˜ნ 77_{22}, საპ˜ტიოჲ 69_{5} და სხვ. =პატივისაგან, საპატიოჲ (საპატიონი 69_{7}).
პ˜ტჳი 73_{19}=პატიჳი (73_{24}).
პტრ˜ნთა 63_{15}, =პატრონთა.
პ˜ტსნებისათ˜ს 80_{31}, პ˜ტ[სნნი] 63_{21}=პატიოსნებისათჳს, პატ[იოსანნი].

ჳ˜მი 65_{8}, ჳ˜მისა 90_{16}, ჳ˜ა 67_{8}=ჳამი, -მისა, -მსა.

რ˜ 61_{13} და სხვ. =რამეთუ.
რ˜ა 62_{1} და სხვ., რ˜ჲთა 70_{14}, რ˜ამცა 78_{20}=რაჲთა, რაჲთამცა.
რ˜ი 72_{19}, რ˜ლი 64_{22} და სხვ., რ˜ლისა 61_{16-17} და სხვ., რ˜ლსა 64_{25-26}, რ˜ითა 82_{23}, რ˜ლითა, 81_{15}, რ˜ნ 65_{23}, რ˜ნი 64_{6-7} და სხვ., რ˜ლთა 64_{20} და სხვ.=რომელი, -მლისა, -მელსა, -მლითა, -მელმან, -მელნი, -მელთა.
რისხუ˜ჲ 73_{2}=რისხუაჲ.
რ˜ლმცა 84_{21}=რომელმცა.
რ˜ჲ 77_{17} და სხვ., რ˜ჲმე 80_{25}, რ˜ჲცა 70_{7} და სხვ., რ˜ჲსაცა 72_{9}, რ˜ჲსმე 69_{19}, =რაჲ, რაჲმე, რაჲცა, რაჲსაცა, რაჲსმე (71_{28}).
რწმუნებ˜ლ 77_{2}=რწმუნებულ.
რ˜ჲთ˜რთით 62_{28} და სხვ. =რაჲთურთით.

სათ˜ნდო 63_{8}=სათანადო.
სამკჳდრბ˜ლსა 62_{29-30} და სხვ., სმკჳდრბ˜ლსა 63_{17}, =სამკჳდრებელსა.
სამ˜რთ[ლ] 66_{3}, სმ˜რთლდ 72_{16}=სამართ[ალ], სამართლად.
საპ˜ლნე 71_{18}=საპალნე (71_{13}).
სასურვ˜ლსა 83_{17-18}=სასურველსა.
სატ˜ნისმ˜სლდ 87_{19}=სატანისამოსლედ (71_{6}).
საურ˜ვისათ˜ს 74_{4}, საურ˜ვთგ˜ნ 80_{28}=საურავისათჳს, საურავთაგან.
საფ˜სეთაგ˜ნ 62_{52}=საფასეთაგან.
საჴმ˜რნი 73_{29}, ს˜ჴმრობ˜ჲ 71_{2}=საჴმარნი, საჴმრობაჲ.
ს˜დ 77_{29} და სხვ., სრ˜ლ 63_{20} და სხვ. =სრულიად, სრულ (61_{7}).
ს˜ვსებ˜ჲ 63_{13-14}=სავსებაჲ.
სთნ˜ბისა 66_{9}, სთნ˜ბათა 65_{10}=სათნოებისა, -ბათა.
სიკ˜დილი 80_{4}=სიკუდილი.
სიტყ˜ყაობ˜ჲ 83_{10}, სტყ˜ჲ 82_{26} და სხვ. =სიტყუაობაჲ, სიტყუაჲ.
სიყ˜რლისა 87_{14}=სიყუარულისა.
სიხ˜რლით 90_{2}=სიხარულით.
ს˜კნოჲსა 64_{24}, ს˜კნოდ 89_{11}=საუკუნოჲსა, -ნოდ.
ს˜ლი 66_{21}, ს˜ლისთ˜ს 85_{10-11}=სული, სულისათჳს.
სლკ˜ხლისა 89_{3-4}=სულკურთხეულისა.
ს˜ლრ 67_{1}, ს˜ლრისა 63_{6}, ს˜ლრსა 70_{16-17}=სულიერ, სულიერისა, -რსა.
ს˜ჲდმლ˜ჲსა 63_{20}=საჲდუმლოჲსა.
ს˜რგისის 89_{4}=სარგისის.
სრ˜ლ 63_{20} და სხვ. დასსრ˜ლ 72_{14}, დაუსრ˜ლბლი 87_{27-28}, აღმსრ˜ლებელთათ˜ს 86_{17-18}, სრ˜ლყფ˜ჲ 79_{6}=სრულ, დასასრულ, დაუსრულებელი, აღმასრულებელთათჳს, სრულყოფაჲ.
სს˜ბჲ 86_{5}, ს˜სობისა 87_{13}, ს˜სბასა 87_{8}, ს˜სობსა 87_{15}, სს˜ბით 86_{14}=სასოებაჲ, -ბისა, ბასა, -ბით (სასოებითა 85_{28}).
სს˜ფვლი 76_{27-28} და სხვ. =სასუფეველი.
ს˜სყიდელი 79_{10}=სასყიდელი.
სსჯ˜ლიმცა 87_{26-27}, ს˜სჯელისა 89_{6}, ს˜სჯელ˜დ 89_{11}=სასჯელიმცა, -ლისა, -ლად.
ს˜ფლისა 64_{2}, ს˜ფლს 80_{12}, ს˜ფლით 86_{12}, ს˜ფლთა, 80_{20}=სოფლისა, სოფელს, სოფლით, სოფელთა.
ს˜ქმე 69_{10} და სხვ., ს˜ქმისა 74_{4}, ს˜ქმით 65_{17-18}=საქმე, -ქმისა, -ქმით.

სყდ˜რთა 88_{26-27} და სხვ. =საყდართა.
სშნ˜ლთა 87_{25}=საშინელთა.
სწ˜ელად 65_{22}=სწავლად.
სწორ˜დ 84_{9-10} და სხვ. =სწორად (84_{15}).
ს˜ხე 61_{11}, ს˜ხეთა 75_{3}=სახე, სახეთა (სახედ 68_{13}).
ს˜ხლითი ს˜ხლდ 69_{24}=სახლითი-სახლად (სახლისა 85_{12}).
ს˜ხიბაჲ 81_{19}=სახიობაჲ.
სხ˜ჲ 68_{23} და სხვ., სხ˜ასა 67_{1-2}, სხ˜თა 65_{6} და სხვ. =სხუაჲ, სხუასა, სხუათა.
სხრ˜ბთა 76_{30}=სახარებათა.
სჯ˜ლისგ˜ნ 88_{4}=სჯულისაგან.

ტრ˜პეზისა 64_{7}, ტრ˜პზსა 62_{4} და სხვ., ტრ˜პზით 67_{22}, მეტრ˜პზე[სა] 70_{25}=ტრაპეზისა, -ზსა, -ზით, მეტრაპეზესა.

უაღკრ˜ჲ 74_{27}=უაღკროჲ.
უჭჭ˜ლად 63_{26}=უეჭუელად.
უკ˜თრბით˜რთ 73_{4}=უკეთურებითურთ.
უკ˜თუ 66_{3} და სხვ. =უკუეთუ (77_{12}).
უმიმწ˜ხროჲ 76_{28}=უმიმწუხროჲ.
უმნკ˜ჲთა 86_{13}=უმანკოჲთა.
უფ˜ლთა 62_{17}=უფალთა.
უფ˜ჲსლა 68_{31} და სხვ. =უფროჲსლა (66_{7}).
უქუჭგ˜ნესი 85_{23}=უქუეგანესი.
უშ˜ბთ 90_{10}=უშაბათ.
უძლ˜რ˜დ 70_{8}=უძლურად.
უწუჭრ˜ლსა 75_{27}=უწუერულსა (უწუერული 75_{25}).
უხილ˜ვსა 83_{20}=უხილავსა.
[უ]ხ˜ცესსა 68_{20}=უხუცესსა (უხუცესთა 68_{11}).
უჰს˜კჲ 76_{1}=უჰასაკოჲ (უჰასაკოსა 75_{26}).

ფ˜დ 61_{1} და სხვ., ფ˜დითა 67_{16}=ფრიად, ფრიადითა.
ფ˜რჴნი 73_{31}=ფერჴნი.

ქდ˜გთა 61_{9-10}=ქადაგთა.
ქ˜ლქისა 73_{9}, მქ˜ლქბ˜ჲ 66_{5}, მოქ˜ლქობის˜ჲ 79_{28} და სხვ. =ქალაქისა, მოქალაქობაჲ, მოქალაქობისაჲ.
ქ˜ს 85_{29}, ქ˜ესაა 66_{13}=ქრისტეს, ქრისტესსა.
ქ˜სტნმ˜ნ 88_{1}, ქ˜ნეთაჲსა 88_{4}=ქრისტეანემან, ქრისტეანეთაჲსა.
ქ˜ყნის˜ნი 76_{29}, ქ˜ყნისანი 88_{9-10}=ქუეყანისანი (ქუეშე 87_{26}, ქუემო 87_{26}).

ღ˜თ 82_{20}, ღ˜თი 62_{20} და სხვ., ღ˜თის 62_{14} და სხვ., ღ˜ჲ 66_{2} და სხვ., ღ˜თისად 63_{27} და სხვ., ღ˜თივ 61_{9} და სხვ., ღ˜ნ 85_{2}, საღ˜თოდ 86_{8}, სღ˜თოჲ 78_{13}, სღ˜ჲსა 81_{5}, სღ˜თოთა 61_{9}=ღმერთ, ღმერთი, ღმრთის, ღმრთისაჲ, ღმრთისად, ღმრთივ, ღმერთმან, საღმრთოდ, საღმრთოჲ, საღმრთოჲსა, საღმრთოთა.
ღ˜თეებისა 88_{16}=ღმრთეებისა.

ღ˜ისმშბ˜ლისათა 89_{7-8}=ღმრთისმშობელისათა.
ღ˜რს 85_{15}=ღირს.
ღუნის˜ჲთა 86_{22-23}=ღუნისაჲთა.
ღ˜ღდებ˜ჲ 73_{3}=ღაღადებაჲ.

ყ˜ი 73_{2} და სხვ., ყ˜ლიევე 62_{26} და სხვ., ყ˜ისა 63_{27} და სხვ., ყ˜ა 77_{11} და სხვ, ყ˜ით 64_{12} და სხვ., ყ˜დ 62_{5} და სხვ., ყ˜ნ 66_{20-21}, ყ˜ნი 65_{9} და სხვ., ყ˜ლნევე 65_{6-7}, ყ˜თა 65_{19}, ყ˜თაჲ 65_{6}, საყ˜თაოსა 68_{16}=ყოველი, -ველიევე, -ვლისა, -ველსა, -ვლით, -ვლად, -ველმან, -ველნი, -ველნიევე, -ველთა, -ველთაჲ, საყოველთაოსა.
ყ˜ით˜რთ 68_{2}, ყ˜თ˜რთ 86_{4}=ყოვლითურთ.
ყ˜ლისგ˜ნევ 62_{21}=ყოვლისგანევ.
ყ˜ფდ 72_{20}, ყ˜ფისათ˜ს 72_{3}, ყ˜ფისთ˜ს 72_{1}, გასაყ˜ფელი 69_{15} გიყ˜ფიე[ს] 72_{18}, გიყ˜ფიე[ს] 72_{18}, გ˜ნყ˜ფჲ 83_{25}, საყ˜ფელი 73_{28}, საყ˜ფად 76_{8}=ყოფად, ყოფისათვს, გასაყოფელი, გიყოფიე[ს], განყოფაჲ, საყოფელი, საყოფად.

შ˜ა 61_{13} და სხვ., შ˜აგ˜ნ 63_{12} და სხვ. =შინა, შინაგან.
შ˜ბთ 90_{12}, უშ˜ბთ 90_{10}=შაბათ, უშაბათ.
შ˜დ 83_{22} და სხვ., შ˜დგმი 73_{17-18}, შემდგ˜მი 66_{22}, შმდგ˜მითი 87_{6}=შემდგომად, შემდგომი, შემდგომითი.
შემოიყვ˜ნოს 75_{31}-76_{1}=შემოიყვანოს.
შემოსაწირ˜ვისათ˜ს 83_{24}, შემოსაწირ˜ვსა 84_{3}=შემოსაწირავისათვს, შემოსაწირავსა.
შემსჭლ˜ლ 86_{10}=შემსჭუალულ.
შეურ˜ცხყფ˜დ 73_{11}=შეურაცხყოფად.
შეჩუცნბ˜ლ 88_{21-22}, შეჩუცნებ˜ლ 88_{24}=შეჩუენებულ.
შეცვ˜ლოს 88_{3} შეიცვ˜ლნენ 78_{10}=შეცვალოს, შეიცვალნენ.
შ˜ნსა 83_{22} შენმ˜ნ 83_{23}=შენსა, შენმან.
შვილებ˜ლ 80_{16}=შვილებულ.
შ˜ს 64_{20} და სხვ. =შორის.

ჩ˜მ 86_{4}, ჩ˜მდა 62_{23}, ჩ˜მსა 62_{29}, ჩ˜მთა 62_{2} და სხვ. =ჩემ, ჩემდა, -მსა, -მთა.
ჩ˜ნისა 75_{14-15} და სხვ., ჩ˜ნსა 63_{17} და სხვ. =ჩუენისა, ჩუენსა.
ცდვ˜ნი 89_{5}=ცოდვანი.
ც˜ცხლ˜დ 89_{11}=ცეცხლად.
ცხვნბ˜დ 78_{9}=ცხოვნებად.
ცხვ˜რთა 66_{22}=ცხოვართა.
ცხრ˜ბისა 65_{9} და სხვ., ცხორ˜ბისა 64_{24}=ცხორებისა.

ძ˜ლ 78_{9}, ძ˜ლნი 88_{13}, ძ˜ლთა 88_{27}=ძალ, ძალნი, ძალთა.
ძლ˜რ 74_{22}, ძლრ˜დ 77_{7}=ძლიერ, ძლიერად.
ძმ˜ჲ 83_{25}, ძმ˜თჲ 63_{14}, და სხვ., ძმ˜თჲსა 62_{16}, ძმ˜თსა 72_{29-30}=ძმაჲ, ძმათაჲ, ძმათაჲსა, ძმათასა (ძმათა 67_{9}).

წამისყ˜ფსა 64_{5}=წამისყოფასა.
წდ˜ჲ 71_{12} და სხვ., წმიდ˜ჲ 71_{17}, წ˜დისა 81_{11}, წ˜თა 62_{6}, წ˜თჲსა 81_{11}, წ˜თნი 88_{14}, წ˜ნი 63_{31}, წ˜ნო 87_{2}, სიწ˜დისადა 81_{12}, სიწ˜იდესა 87_{1}, უწ˜დესად 81_{9}, =წმიდაჲ, წმიდისა, წმიდათა, წმიდათაჲსა, წმიდათანი, წმიდანი, წმიდანო, სიწმიდისადა, სიწმიდესა, უწმიდესად.

წ˜ე 66_{10} და სხვ. =წინაშე.
წინუკუ˜ნთა 90_{12}=წინუკუანთა.
წ˜მბ˜Ჲ 66_{15}, წამებ˜ლნი 80_{31}=წამებაᲲ, წამებულნი.
წოდებ˜ლნი 63_{25}=წოდებულნი.
წ˜რმრთებითა 65_{20}=წარმართებითა.
წ˜რსლვად 71_{31}=წარსლვად.
წყ˜ლბითა 61_{7}, მოწყ˜ლებათ˜Ჲთა 85_{29-30}=წყალობითა, წყალებათაᲲთა.
წყ˜ლლებ˜Ჲ 74_{23}, წყლ˜ლებათა 75_{4}=წყლულებაᲲ, წყლულებათა.
წწყ˜ლი 75_{5}=წინაᲲსწარმეტყუელი.

ჭ˜ტი 88_{5}, ჭ˜დ 88_{19}, ჭ˜ტების˜Ჲ 77_{27-28}=ჭეშმარიტი, ჭეშმარიტად, ჭეშმარიტებისაᲲ.

ხ˜ 62_{23} და სხვ.=ხოლო.
ხილ˜ლნი 88_{10}=ხილულნი.
ხ˜რთო 76_{29}=ხართო.

Ყ˜ლეწიფების 63_{10} და სხვ.=Ყელეწიფების.
Ყ˜ლისუფ˜ლთა 63_{6-7} და სხვ.=Ყელისუფალთა.
Ყ˜ლმწიფეთ˜Ჲსა 72_{2-3}=ᲧელმწიფეთაᲲსა.
Ყ˜ლყოს 75_{30}, Ყ˜ლყოფად 62_{29}=Ყელყოს, -ყოფად.
Ყ˜რცთ˜Ჲცა 64_{16}=ᲧორცთაᲲცა.
Ყ˜რცი˜ლად 66_{25-26}=Ყორციელად.
Ყ˜რცილებრ[ისა] 65_{11}=Ყორციელებრისა.
Ყსნ˜ბლისა 65_{3}=Ყსენებულისა.

Ჯერ˜ვნად 86_{20}=Ჯეროვნად.
Ჯერ˜რს 68_{5} და სხვ.=Ჯერ-არს (63_{7}).
Ჯ˜ის 89_{25}=Ჯუარის.

§ 24. აღდგენილი ტექსტისათვის. ვინაიდან ჩვენი დედანი მეტად დაზიანებულია, საკმაოდ დიდი ნაწილი ტექსტისა აღუდგენელი დარჩა, ოღონდ ვეცადე, სადაც კი შესაძლებელი იყო, ნიშანდობლივ აღმენიშნა თუ რამდენი სიტყვა ან ასო აკლია ტექსტს: სიტყვის აღსანიშნავად ვხმარობ სწორ ხაზს (–) და რამდენიმე ასეთი ხაზი აღნიშნავს დაახლოებით იმდენსავე სიტყვას, ხოლო თუ ხაზი გრძელია, იგი აღნიშნავს მთელ სტრიქონს; ასოების აღსანიშნავადაც სწორი, მაგრამ გაცილებით უფრო პატარა ხაზი შემოვიღე (-). აღდგენილი ტექსტი კუთხოვან ფრჩხილებში [ ] ჩავსვი.

ქვემოთ წარმოვადგენ სიას იმ აღდგენილი ადგილებისას, რომელთა აღდგენა დამყარებულია ტექსტის შესწავლაზე, ასოების ნაშთებზე და სხვ., ხოლო რაც ამ სიაში არ მოხვდა ჩემით შევიტანე კონტექსტის მიხედვით, ანდა თ. ჟორდანიას გამოცემიდან გადმოვიღე და, მაშასადამე, სავალდებულო და მაინცდამაინც სწორი არაა. შევნიშნავ მხოლოდ, რომ აღდგენისას ყოველთვის გათვალისწინებული მქონდა დაზიანებული ადგილის რაოდენობა და სიტყვების შესაძლებელი დაქარაგმება.

61_{2-3} „მო[ნასტრა]დ“ – „დ“-ზე პატივი ზის; შეიძლებოდა აღგვედგინა: „მო[ნასტერი ფრია]დ“, მაგრამ ამდენი ადგილი არაა.

61_{5} „[მოწესეთასა]“ – „მ“-ს მუცელი ჩანს.

61_{8} „გულსვიდგი[ნე აღწერად]“, შდ. 61_{18} „აღვწერე განწესებაჲ ესე“.

61_{8-12} „და კანონთ[ა] ღმრთივჴმოანთა საღმრთოთა ქადაგთა და წ[მიდათა ღმერ-თშემოს]ილთა მამათაჲსა განეგებვოდის ყოველივე სახე მოღუაწებრისა ქცე[ვისა]“... ნათესაობითთან შეთანხმებული „მამათაჲსა“, რომელიც თითქოს მიეკუთვნება სახელს „კანონთ[ა]“, გვიჩვენებს, რომ ამ წინადადებაში სადღაც ნათესაობითში მდგარი სახელი უნდა იმალებოდეს და მაშინ ჩემი აღდგენა სწორი არაა; ანდა სიტყვა „კანონთ[ა]“ მხ-ოლოობითის მოქმედებითში უნდა იდგეს: „კანონ(ი)თ[ა]“, ე. ი. მწერალს შეცდომა მოსვ-ლია; ბოლოს, ისიც შეიძლება დავუშვათ, რომ „კანონთ[ა]“ ნათესაობითია (იგულისხმება „მიერ“) და „მამათაჲსა“ ეთანხმება მხოლოობითით, „მამათაჲთა“-ს ნაცვლად. ყოველი შემთხვევისათვის ეს ადგილი, თ. ჟორდანიას მიერ აღდგენილი, მეც უცვლელად გად-მოვიღე.

62_{4} „ყ[ოველი იგ]ი“ – „ვ“, „ე“, „გ“-ასოების ქვემო ნაწილები ჩანს.

62_{8-9} „მ[იზეზი]“ – შდ. 68_{11} „მიზეზითა“, 81_{24} „მიზეზი“.

63_{11} „[და]“ – „დ“-ს სარქვლის მარცხენა კიდური ჩანს.

63_{13} „განი[ყოფების]“ – აქ ეტრატი დახეულია; აღდგენილია ასოების ნაშთების მიხედვით, ორივე ქარაგმა კარგად ჩანს: „გ˜ნი[ყ˜ფების]“.

63_{16} „[ხოლო]“ – აქ ჩანს მხოლოდ წითური პატარა ხაზი, ალბათ, მთავრული ასოს ნაშთი, შეიძლება „რ“ იყოს, მაშინ: „[რამეთუ]“.

63_{18} „[ვაჰ]ანის“ – შდ. 89_{17} „ვაჰანის“.

64_{5} „მა[მისა]“ – მეორე „მ“-ს მუცელი ჩანს.

65_{10} „[შემკ]ობილი“ – „შ“-ს ქვედანაწილი ჩანს.

66_{17} „ა[მისა]“ – დედანშია მხოლოდ „ა˜-“.

68_{1-2} „[საზოგადოჲსა] – შდ. 62_{26} „საზოგადოდ“.

68_{5-6} „განწ[ვალებაჲ]“ – შდ. 68_{18} „განწვალ[ვისა]“.

68_{17} „[არამედ]“ – პირველი „ა“-ს სარქვლის მარცხენა ნაწილი ჩანს.

68_{11} „[ვნებუ]ლისა“ – „ვ“-ს მარცხენა ნახევარი შენახულა; შდ. 77_{16} „ვნებულისა“, 83_{10} „ვნებული“.

68_{22} „[დაე]გების“ – 68_{17} „დაგებაჲ“.

69_{9} „ქუემ[ოჲ]“ – ბოლომარცვალი „ოჲ“ ძლივსღა გაირჩევა.

71_{26} „[თ]ავი“ – „თ“-ს მხოლოდ მუცლის ნიღრი ჩანს.

72_{7} „[ა]რავის“ – პირველი „ა“-ს მხოლოდ მარჯვენა კიდურები ჩანს.

72_{10} „უე[ჭ]უელად]“ – შდ. 63_{26} „უეჭ˜ლდ“=„უეჭუელად“.

73_{31} „სტკებ[ნიდენ]“ – მარცვალი „ნი“, თუმცა ძნელად, მაგრამ მაინც გაირჩევა, „დ“-ს სარქვლის და მუცლის ნაწილიცა ჩანს.

81_{24-26} „ნ[ივთთმოყუარებისაჲ და სხვ...] – შდრ. 62_{9-11}.

§25. ციტატები ბიბლიიდან და სახარებიდან. ქართული სიმფონიის უქონლობის გამო, სამწუხაროდ, ყველა ციტატები ბიბლიიდან და სახარებიდან ვერ აღვადგინე. აქ მოვიტან რამდენსამე ციტატას, რომელთა წარმომავლობა სათუოდ დარჩა.

74_{14-15} „მცირედ-მცირედ შეჰყვაო ი˜Ჩლსა (ისრაელსა) – რომ. 11_{26} „უამად შეჰყვა ის-რაელსა“?

74_{25-26} „შუენიერ იყოო ხილვად“ – შესაქ. 24_{16} „შუენიერ იყო ხილვითა“?, 26_{7} „შუე-ნიერ იყო იგი ხილვითა“?

62_{19-20} „მოიცალეთ და გულისჴმაყავთ, რამეთუ მე ვარ ღმერთი“ – იოვ. 3_{17} „სცანთ ვითარმედ მე ვარ ოჳფალი ღმერთი თქუენი“? ეს. 41_{10} ან 48_{17} „მე ვარ ღმერთი შენი“?

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ჩვენს ძეგლში შეტანილი დაბადებისა და სახარების ტექსტი ზოგჯერ განსხვავდება ცნობილი ტექსტისაგან.

§ 26. მწარგრძელისა და სარგისის ნიშნები გადანაკერებზე

როგორც უკვე ზემოთ (§§ 2, 6) გაკვრით მოვიხსენიე, გარდა კეფებისა №№ [1]-1[2] და 11[14]-12[15], ყველა დანარჩენი კეფების გადანაკერი დანიშნულია მწარგრძელის, ხოლო კეფები 8[11]-8'[11'] და 8'[11']-9[12] სარგისის მიერ, საკუთარის ხელით. ორივე მხედრულად სწერს. ინიშნებოდა როგორც პირის (R) ისე ზურგის (V) მხარე და ნარნერა ისე უნდა გაკეთებულიყო გადაკერებულზე, რომ ორსავე კეფს მოჰხვედროდა.

მწარგრძელი ასე ნიშნავს:

კეფები 1-2
" 4-5
5-6
6-7
7-8
კეფები 9-10
პირი: „მე მწარგრძელსა: დამინიშნავს: – "
ზურგი: „მე მწარგრძელი ვამტკიცებ: – "

პირი: „მე მწარგრძელსა: აქაც დამინიშნავს: – "
ზურგი: „მე მწარგრძელი ვამტკიცებ"

კეფები 10-11 პირი: „ესე მწარგრძელსა დამინიშნავს: – "
ზურგი: „მე მწარგრძელი ვამტკიცებ".

მე-2-3 და მე-3-4 კეფების ნიშნები გადასულია, მხოლოდ ნაკვალევი ჩანს, ხოლო ორი უკანასკნელი კეფის ზურგის მხარეზე იკითხება: „მე მწარგრძელი"...

სარგისის ნიშნები:

კეფები 8-8'
8'-9

პირი: „მე სარგისს: დამინიშნავს: – "
ზურგი: „მე სარგის ვამტკიცებ ამათი ძე: – "

V – მხარეზე მწარგრძელი ყველგან შავი მელნით სწერს, ხოლო R – მხარეზე ყველგან, ერთ შემთხვევას გარდა, ძეგლის ტექსტის, ჟანგისფერი მელნით, მხოლოდ კეფები 9-10 R დანიშნულია შავი მელნით. სარგისის ნიშნები კი, ისევე, როგორც მისი მინაწერი აშიაზე, ყველა გაკეთებულია შავი მელნით.

სხვათა შორის, შეიძლება აღინიშნოს აქვე, რომ, როგორც ზემომოყვანილიდან ჩანს, R – მხარეზე დანიშვნას „დანიშვნა" ეწოდებოდა, V – მხარეზე კი, ე. ი. სუფთა, უტექსტო მხარეზე – „დამტკიცება".

§§ 27-29. მინაწერები

როგორც უკვე აღვნიშნე (იხ. ზემ. § 1), ჩვენი გრაგნილი შეიცავს 21 სხვადასხვა დროის მინაწერს – აღაპს. გარდა ამისა, R – მხარეზე აშიებზე მოთავსებულია სამი მინაწერი, რომლებსაც აქვე მოვიტან. ამათგან ორს, მწარგრძელისას და სარგისისას, უმეშვეო კავშირი აქვს ვაჰანის ძეგლთან, ხოლო უღალაშვილის მინაწერი წარმოადგენს ნასყიდობის სიგელს, ძეგლთან თითქოს მხოლოდ გარეგნულადაა დაკავშირებული და აქ იმიტომ მოვიტანე, რომ ჯერ ერთი აშიაზეა წარწერილი და, გარდა ამისა, არც აღაპებთანა აქვს რაიმე საერთო. სამივე მინაწერი მხედრულია.

§ 27. მწარგრძელის მინაწერი დაწერილია მისი საკუთარი ხელით მე-4 კეფის მარჯვენა აშიაზე. უკვე მოვიხსენიე (§ 15), რომ ამ კეფზე მწარგრძელს გადუფხეკინებია ზოგიერთი ციფრი და საკუთარი ხელით ჩაურთავს ახალი. აი, ამავე დროს და ამასთან დაკავშირებით, მას უნდა გაეკეთეობინოს თავისი მინაწერიც. მელანი, როგორც ტექსტში ჩართული სიტყვებისა ისე მინაწერისაც, იგივე ჟანგისფერი, ძეგლის ტექსტის მელანია. ხელი XIII-XIV ს-ისაა. მინაწერი შეიცავდა 16 სტრიქონს, რომელთაგან, აშიის დაზიანებულობის გამო, ასე თუ ისე გაირჩევა მხოლოდ 9 სტრიქონი. მომყავს რაც წავიკითხე უცვლელად, ოღონდ აღდგენილ ადგილებს კუთხოვან ფრჩხილებში ვსვამ:

ბრ[ძანებითა] | თ̄ (?) – | დავწ[ერე] | აქ აკლია 7 სტრიქონი | ხო[ლო] | არავინ აკი[1] – | რთეს დაჴ[სნად:] | თუნდა შემატებ[ად] | და თუნდა: დაკ[ლე]|ბად: –

§ 28. სარგისის მინაწერი მოთავსებულია მე-8-8'-9 კეფების მარჯვენა აშიაზე და დაწერილია მისი საკუთარი ხელით, რაც ჩანს ამ მინაწერისა და მე-8-8' და მე-8'-9 კეფების გადანაკერზე სარგისის მიერ დასმული ნიშნების ხელთა იგივეობიდან. ზემოთ (§ 6) გამოვარკვიეთ, რომ მე-8 კეფი წაუჭრიათ და ამიტომ მე-8' კეფი დამტკიცებულია სარგისის მიერ. ამ წაჭრასთან და ახალი კეფის ჩაკერებასთან თითქოს რაღაც კავშირი უნდა ჰქონდეს სარგისის მინაწერს, თუმცა, ჩემი აზრით (იხ. § 6), მე-8 კეფის ტექსტი უცვლელად გადმოუწერიათ მე-8' კეფზე. ყოველ შემთხვევაში, უნდა ვიფიქროთ, რომ სარგისის მინაწერი გაკეთებულია იმ დროს, როდესაც მას ახლად ჩართული კეფი დაუნიშნავს, რადგან მისი ნიშნების და მისი მინაწერის მელანი ერთმანეთში სრულებით არ განსხვავდება. მხედრული ხელი აგრეთვე XIII-XIV ს-ისაა. აშია აქაც დაზიანებულია, ისე რომ ბევრის აღდგენა მომიხდა; ტექსტში არავითარი ცვლილება არ შემიტანია:

8[11]

:უდეს პ[ატ]|რონისა: და |ღ̄თისა ჩემის[ა მა]|მისა ჩემის[ა]| ღ̄თი ჩემ[სა შვი]|ლსა[2] გა[ური]

8'[11']

| სხდა: მ[ონასტრისა] | ჩემისა [ო]|ბლობ[ისა

---

[1] თუ „ავი?", ან „აკე", თუ „ავე"? საერთოდ, აქ მოსალოდნელი იყო „აკა[დ] |როს", მაგრამ ასე არ იკითხება.

[2] ჟორდანია კითხულობს „[მეუღ]ლისა", მაგრ. „ი" ნამდვილად არა სწერია. შეიძლება აღვადგინოთ: „[მშობე]ლსა".

მიზ]ეზითა:· ე[სე[1] ან]|დერძი და ბ[ბ˜აი]|მათი: ჴელ[დ]|ებული: იკ[უნო] | ვისგანცა[2] ჩე[ნილიყო:·] | ბირები[თა] |: გუეწია [ესე:·] | და: ვიგო[ნე]|თ: ესე: დ[ა]| უგულმო[დგინეთ] | სყუდარსა[3]: [წლითი] | წლად მოგ|ებაი მათ[ი:·]|დვსხედ[ით] | და კულა: [განვა]|ნესეთ ი[გივე]||რომელი ჩუე[ნგან]|ეგებუდა: [და] | იგივე ბბ˜ის ჰაგრევე მტ|კიცედ გავპ[მ]ართეთ: – [მე] | სარგის: ძემან ს[უ]||ლკურთხე[უ]||ლისა: მამისა | ჩემისა: მჴარგ|რძელისამან: და:| დედამან ჩემმან: ხა|თუთამან: და: ძმა|თა ჩემთა: რაი|სც კცისაგან: მთის ბ˜ბლის და: გა|გებულისა: შლ|აი და: შეცილება|აი: იკადრო[ს]||ამისი კანონი: დ[ა]|შეჩუენებაი: ბ|ულოსა მათ|განვე ბ˜ბლ[ია:]| და ჩუენგანაც | უკდ[რე]|ლად უწ[ყა]|ლობელნი | ვიყვენით | შვილნი და [მო]|მავალნი ჩ[უენ]|ნი: –

§ 29. უღულაშვილების მინაწერი მოთავსებულია მე-9 კეფის მარცხენა აშიაზე, დაწერილია XV ს-ის მხედრულით, შავი მელნით. მომყავს უცვლელად, ხოლო აღდგენილი მოვაქციე კუთხოვან ფრჩხილებში, ჩემ მიერ ჩამატებული კი ჩასმულია მრგვალ ფრხილებში:

მე-9 კეფის მარცხენა აშიის გასწვრივ

ქ:· მოგეც:· მე: უღულაშვილმა:· გოგინამან:· და: ბატატამა: შენა კანდელაკიშვილსა ბასილსა და: შენთა ძმათა: და: მომავალთა: სახლისა: თქვენისათა| ჯალაბადინის:· ტბასა: ყორიანი: ყანა: ხუთისა: დღისა: ნასყიდობითა: ავიღე:· ფასი:· რაც: შუათა: დაფასებული: იყო: ბაშიაი: ლამბრას: ძმა: და: მარკოზი: შუანიც: ისინი: არიან: და: დამფასებელიც: არა: დარჩომიარა: ჩვენი: სრული: ფასი: აგვიღიან: ღმერთმა: მშვიდობაშინ: მოგაჴმაროს: [საუკუ]ნოთ: [ვინცა |კ]აცმა:· დღეის იქით პრთ(პირთ?): მოიღოს. ან: ჩვენი: გვარის: კაცი: შემოგეცილოს კრულმც[ა არს][4] ||და: შეჩვენებული: ღმრთისა და: პატიოსნისა:· მაცხოვრის:· ხატისა: | პირითა:· უღულასა:· შეუნდნეს: ღმერთმა:· ამისი :· მწერელი: | ხიმშიაშვილმა: დაყუდებულმა: დაეწერ(ე): მი(თ)ც: ადვილსა: შენდობა(სა): || მიბრძანე(ბდე)თ: ღმერთმა, მშვიდობაში: მოაჴმაროს.

გადადის შუაკეფის თავისუფალ ადგილზე. გადმოდის კვლავ მარცხ. აშიაზე.

---

[1] ჟორდანია კითხულობს „ზ"---" და მართლაც, „ე"-ს თავი მეტად მომრგვალებულია, მაგრ. იგი: 1) თითქოს სტრიქონს ქვემოთ სწერია, 2) წინა „ზ"-ზე („[მიზ]ეზითა") გაცილებით უფრო პატარაა.

[2] ამ სიტყვის წაკითხვა სათუოა, რადგან „კ" სხვას არა ჰგავს, თავი მოქცეული აქვს მარჯვნით; „უ"-ს თავი კი კარგადა ჩანს.

[3] ამ სიტყვის წაკითხვაც სათუოა: „დ" და მეორე „ს" უფრო „ნ"-არებს წააგავს, „რ"-ც საეჭვოა; თითქოს, ასე უფრო უნდა იკითხებოდეს: „სეუნონ", ან „სუენენ" – „საყანენი"?, ან „სკუნონო"=„საკანონო"? – „საუკუნოდ"?

[4] მთელი ეს ადგილი ჩამოჭრილია აშიასთან ერთად, მხოლოდ ზოგგან ასოების თავები ჩანს და იმის მიხედვით აღვადგინე.

თ. ჟორდანიას გამოცემის შესახებ

ვაჰანის ძეგლი პირველად გამოსცა თ. ჟორდანიამ თავის 1896 წ. გამოსულს კრებულში „ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა"[1]. ამ გამოცემას მრავალი ნაკლი აქვს: 1. გრაგნილი აღწერილი არაა და მისი შემადგენლობის შესახებ მხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენის გამოტანა შეიძლება, 2. რადგანაც ძეგლი დაუთარიღებელია, დიდი მნიშვნელობა ეძლევა ენას, ხოლო ამ მხრით ჟორდანიას გამოცემა სრულიად უკრიტიკოა – იგი ზუსტად არ იცავს ძეგლის ენის ნორმებს, 3. მრავალ წვრილმან შეცდომასთან ერთად ჟორდანიას შიგადაშიგ შეჰპარვია მნიშვნელოვანი, ტექსტის შემბღალველი შეცდომაც, 4. საკმაოდ დიდი ნაწილი ტექსტისა წაუკითხავი ან აღუდგენელი დარჩა, როცა ეს შესაძლებელი იყო, 5. სრულიად დამახინჯებული აქვს ჟორდანიას მჭარგრძელის, სარგისის და უღულაშვილების მინაწერები.

ვინაიდან ვაჰანის ძეგლი საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი და, ამგვარი ხასიათის, თითქმის ერთადერთი დოკუმენტია, ამიტომ საჭირო იყო მისი შეძლებისდაგვარად რიგიანი გამოცემა მეორედ.

ტექსტი

I[2]

1. – – – [მო]ნასტერსა ფრიად მც[ირესა][2] – – |[აღგი]შენე მო[ნასტრა]დ ვრცელი – --- | -- [და] კმად დამტევნელი სიმრავლესა [მოწესეთასა, რომელი იგი | მ]ოქმედებითა ზეგარდმოთა შენევნათაჲთა[ა და] – – | წყალობითა სრულ-იქმნა.

2. ვინაჲცა გულსვიდგი[ნე აღწერად] | და კანონთ[ა] ღმრთივჴმოანთა საღმრთოთა ქადაგთა და წ[მიდათა ღმერთშემო|ს]ილთა მამათაჲსა განეგებვოდის ყოველივე სახე მოღუაწებრისა ქცე[ვისა, | რომელ]ნი მკჳდრ იყვნენ მას შინა. რამეთუ „არცა კეთილი კეთილ-არსო", თქუმ[ულ-არს], | „----ად იქმნებოდის" და ვითარმედ „მცირე იგი არა მცირე ა[რს, უკუეთუ |დი]დთა მშობელ იქმნებოდის". | რომლისათჳსცა დიდითა გულსმოდგინებითა და გამო[კითხვითა] | აღვწერე განწესებაჲ ესე, მოღუაწეშუენიერებრისა წეს[ისათჳს.] |

3. ვინაჲთგან იპოვნეს მას შინა ვიეთნიმე მონაზონთაგანნი, რომელთა [მიეცა]| მონასტრისაგან ორნატნი, აგარაკნი და ვენაჴნი, რაჲთა აქუ[ნდეს.] | ამათ საფასეთაგან ჩემთა მივეც ს----დი[3] თითოეუ[ლსა რაო]|დენიცა ენება და ით[ხო]ვა და ყ[ოველი იგ]ი ტრაპეზსა მიუდგინე. | ესე ვითარცა ყოვლად უწესო[ჲ დ]ა განგდებული კანონთაგან წმიდათა და ღმრთივგ[ანბრძო]|ბილთა მოციქულთა და ყოვლადმსოფლიოთა კრებათაგან და ვითარცა მ[იზეზი]| ნივთთმოყუარებისაჲ და საძაგელისშეძინებისაჲ, ვაჭრობისა და [მოფა]|რდულობისაჲ და ვითარცა უცხოჲ და წინააღმდგომი და დამა[რღუე]ელი ყოვლისავე სამოღუაწეოჲსა კანონისაჲ და უცალო-მყო[ფელი] | ღმრთისმიმაახლებელი-

---

[1] გვ. 28, „ძეგლი" ანუ „განგება" ვაჰანის ქუაბთა მონასტრისა. გარდა ამისა, 1897 წ. გამოსულს „ქრონიკებში და სხვ". ჟორდანიამვე დაბეჭდა ერთი ნაწყვეტი ამ ძეგლისა (იხ. ტ. II, გვ. 91).

[2] ასო „ც" სათუოა, შეიძლება იყოს „ტ" ან „ხ"; აღდგენილი, კუთხოვან ფრჩხილებში ჩასმული ტექსტის შესახებ საზოგადოდ იხ. ზემ. „აღწერა", § 24.

[3] ასო „დ"-ს წაკითხვა საუაოა.

სა ლოცვისა მიმართ და მარხვისა მო--- |უვალობისაგან ერთსულთა ძმათაჲსა. რამეთუ ნერილ-არს: „შეუძლ[ებელ-არს] | ორთა უფალთა მონებაჲ, ესე იგი არს ღმრთისა და მამონაჲ[სი“, და სხუთ იტყჳს:] | „მოიცალეთ და გულისჴმაყავთ, რამეთუ მე ვარ ღმერ-თი“, და კუალად: „[რომელმან არა] | იჯმნას ყოვლისგანვე მონაგებისა თჳსისა, ვერ შე[მძლებელ-არს]| მოწაფე-ყოფად ჩემდა“, და სხუთ ნერილ-არს: „ხოლო სიმრავლ[ისა მართლმორ]|წმუნეთაჲსა იყო გული და გონებაჲ ერთ და არავინ თქჳს [მონაგები]| მისი თჳსად, არამედ ყოველივე აქუნდა საზოგადოდ“. ხოლო ნუმც[ა ვის თქუენ]|თაგანსა უკადრებიეს ამიერითგან რაჲთურთით უწესოსა | საქმესა ჴელყოფად მონასტერსა ამას შინა ჩემსა სამკჳდრებელსა, | მოგებად რასმე განგდებულთაგანსა თჳსაგან, რაჲთა არა წ[ყე]ვაჲ [იგი] | მოსასპოლველი ანანიაჲსი და საპფისსაჲსი და კეთრი იგი გეზისი დაიმ[კჳდროთ.] |

თავი ბ: რიცხჳსათჳს მღდელთა და მთავარდიაკონთა და მწირთაჲსა; და დადგი|ნე-ბისათჳს სულიერისა მწყემსისა და ჴელისუფალთა თუ ვითარ ჯე|რ-არს, გინა ვითარი სათანადო-არს რაჲთა იყოს თითოეული მათი; და ვითარმედ არ[ცა] | ვის ძმათაგანსა ჴელეწიფების მოწაფე-ყოფად სხჳსა მოძღურისა [და ა]||რცა მოგებად მოწაფეთა, არცა შინაგან მონასტრისა და არცა გარეთ; და ვითარმედ [ნუ] | განი[ყოფების] ყოველი სავსებაჲ ძმათაჲ; და რაჲთა მემჴრენი მონასტრისა პატრონთა უთაყუანე[ბდენ.]||

2[3]

1. [ხოლო ესეცა] განვაწესე, რაჲთა იყვნენ მონასტერსა ამას ჩუენსა სამკჳდრებელსა [ვაჰ]|ანის ქუაბსა შინა მღდელნი უკუე ვიდრემე და მთავარდიაკონნი ყოვლად ს[ათნოჲსა][1] | უსისხლოჲსა საჲდუმლოჲსა (sic!) სრულ-მყოფელნი წმიდანი და პატ[იოსანნი, რი]ცხჳთ: ლ˜ა:, ესე | [იგი] არს : კ˜დ˜: მღდელნი და : ზ˜: დიაკონნი, განწესებისაებრ [მოციქულთა კრე|ბუ]ლისა და წმიდათა მამათაჲსა. ხოლო მწირად წოდებულნი იგი, რომელ-არიან მონაზონნი, | იგიცა უეჭველად ღმრთისმოშიშნი და ღმრთისად განმკუთნველნი ყოვ-ლისა ცხო|[რებ]ისა თჳსისანი და წინააღრჩევისა მიერ ზეშთააღსრულნი სოფლისა | [ღელვა]თაგან და მსახურებისათჳს მონასტრისა და ძმათაჲსა დიდად მოსწრ[ა]ფენი] და უდრტჳნველად მორჩილნი ნამისყოფასა მწყემსისა და მა[მი|სა] სულიერისასა, რიცხჳთ :კ˜:· ხოლო მსახურნი :ი˜“, რომელნი ყოველსავე ტრაპეზისა და [სამ|ზ]არეულოჲსა და სახაბაზოჲსა სამსახურსა აღასრულებდენ.|

2. [სამართ]ლობელ[2] იყო რიცხჳსა ამის უმრავლესსა დაწესებაჲ მღდელ[თა | და] მონაზონთაჲ, გარნა ვინაჲთგან ყოვლითკერძო უზრუნველობისა [და | ჴორციელად] და სულიერად განსუენებისა მათისათჳს მოსწრაფე ვ[იყავ | და რაჲთა სრულო]ბით აქუნდეს ყოველივე საჭიროდ საჴმარი ჴორცთაჲცა [და | უნა]კლულო და უმოქენეო იყვნენ და ყოვლადვე მოცალე | [მა]რხ[ვისა და ლ]ოცჳსათჳს, [მოღუაწების]ა და საღმრთოჲ[სა ნერ-ილისა | კით]ხვისა და მათ შორის მდებარეთა, რომელთა ზედა ---- |მა, და ხედვად ხე-დვათა მათ მაღალთა, რომელი ესე თანან[ადებ] | სასწრაფო არს და საჭირო მოსაგებელ ყოველთა მოსწრაფეთა | საუკუნოჲსა ცხორებისა მეძიებელთა, ამის ჯერისათჳს კმა-

---

[1] ძლივსლა გაირჩევა, შეიძლება წავიკითხოთ: „ს[რ˜ლსა]“=„ს[რულისა]“, მაგრ. „ი“-ს გამოტოვება საეჭვოა (იხ. აღწერა, § 23), ან: „ს[რ˜ლნი]=„ს[რულნი]“.

[2] კარგად გაირჩევა მხოლოდ ბოლო-ასოები ქარაგმითურთ: „ლბ˜ლ“, და ჩემი წაკითხვა სათუო უნდა იყოს. უკეთესი იქნებოდა „[საგუ]ლებელ“, მაგრ. ასო „გ“, ყოველ ეჭვს გარეშე, არა სწერია; ეგებ „[საძა]ლობელ“ (?) იყოს.

ვყავ | რიცხუ ესე, რომელსა მოაკლდების ნუმცა ოდეს რიცხუსა ამას | [მ]ღდელთა და მთავარდიაკონთა და მონაზონთასა. |

3. [ამი]ს უკვე ზემოჴსენებულისა დასისაგან მღდელთაჲსა გამოირჩეოდის ერ|თსულობისა მიერ ძმათაჲსა კაცი სიტყვკთ და საქმით უაღრესი სხუათა ყოველთაჲ, | რომელსა ყოველნივე ერთჴმობით ეწამებოდინ. და მრავალი ჟამი დაეყოს | [მონა]სტერ-სა შინა და უბინოჲსა ცხორებისა მისისა ყოველნი იყვნენ მოწამე, [შემ|კ]ობილი ყოველ-თავე სათნოებითა სიკეთითა სულიერებრისა და ჴორციელებრ[ისა]|, და შემ[ძლ]ებელი ტკრთვად ესოდენსა სულებსა ძმათასა [და]| --- [ჯ]ერისაებრ, და ჟამისა და საჴმრისა ღუნად და | წურთად და კურნ[ებ]ად კაცად-კაცად[სა][1] წყლულებასა და შემსლ|[2]--სებ˜ლსა სალბ----, და რაჲთა უმცირესთა სიტყვთ, ხოლო | უმრავლესთა საქმით [ას] წავებდეს, ესე იგი არს, რაჲთა თვთ სახე | კეთილის ექმნებოდის ყოველთა კეთილად წარმართებითა თჳსისა ცხორებისაჲთა, | ვითარცა წერილ-არს, რომელთა იწყო იესოჳ ყოფად და სწავლად, რამეთუ მოციქულისაებრ | მეტყუელისა: „რომელმან თჳსისა სახ-ლისა კეთილად განგებაჲ არა უწყო|დისო, მას ეკლესიაჲ ღმრთისაჲ ვითარ ერწმუნოს?" და ნანდჳლვე | სამართალ, რამეთუ უკუეთუ თჳთ წინააღმდგომისა იყოს მოქმედ, ვი-თარ | ასწავოს მან სხუათა კეთილად მოქალაქობაჲ? არა სამართლად ითქუასა მისსა | მიმართ: „მკურნალო, განიკურნე თავი თჳსი"! არამედ უფროჲსღა, რაჲთა ვითარცა | სარკესა შინა განიცდიდენ ყოველნი მოსწრაფებითა სათნოებისა მისისათა | და შემძლებელ-იყოს წარდგინებად წინაშე ოჳფლისა სამწყსოთა თჳსთა, | რომელთათჳს[3] სიტ[ყ]ჳსმიცემაჲცა თანააც თანაწარუვალსა მას საში|[ნელსა] სასჯელსა ქრისტესსა და თქუმად: „აჰა, მე და ყრმანი, რომელნ[ი] | მომცნა მე ოჳფალმან" [ფ]არვად. ----- ˜ა წამებაჲ, რამეთუ ამ ---|--- მოციქული ---- რაჲთა არა ა[მისა] უავნეს დ[აემართოს და შთ|ა]ვარდეს ეშმაკისსა და რაჲთა ბრძანებისაებრ ოჳფლისა მი-----|---რ დადებად სუ-ლისა თჳსისა სამწყსოჲსა თჳსისათჳს, წერი[ლისაებრ:] | „ყოველმან მწყემსმან კეთილმან სული თჳსი დადვას ცხოვართა თჳსთათჳს" და შემდგომ[ი]. |

4. [ეს]ევითარი კაცი, ღმრთისად განმკუთნველი თავისა თჳსისაჲ, დაიდგინებოდის | წინამძღურად და მოძღურად სულიერად და ჴორციელად და მას ერ[თსა მიე]|ნებოდის სული ყოველთა მონასტერსა შინა მყოფთა ძმათაჲ და ყოველთაჲვე იგი [იყავნ] | მწყემს და მოძღუარ და მამა სულიერ და ნუმცა ვის სხუასა უკა||[4] . . . . .

3[6]

– ყოველსა მო --- | – ანა ტრაპეზი --- | – [ერთსულ]ობისათჳს ძმათა[ისა.]

1. ჯ|ერ-არს რაჲთა ყოველთა ტრაპეზობათა წიგნი იკითხვოდის ყოველ[თა][5] | დღე-თა, ჟამსა ძმათა საზრდელისა მიღებისასა. და ნუ [რომელ]||სა დღესა იქმნების დახრეწ-

---

[1] შეიძლებოდა წამეკითხა: „კაცად-კაცად[ისა]", რადგან „დ"-ს შემდეგ „ს"-ს თავი ჩანს და მათ შორის თითქოს კიდევ ერთი ასოს ადგილია, მაგრ. ვინაიდან ამ ძეგლში ვნებით ბრუნვაში დასმული მასდარი ხშირად მიცემითს მოითხოვს (იხ. აღწერა, § 20) და ამასწინათ მიცემითი გვაქვს: „ესოდენსა სულებსა", ხოლო მომდევნო „წყლულებ˜სა" აგრეთვე, უეჭველად მიცემითია (იხ. აღწერა, § 23), მეც მიცემითის აღდგენა ვამჯობინე.

[2] შეიძლება იყოს: „შღმსლ", „შღმს" ან „შ-დითა" ქარაგმა არ ჩანს.

[3] ეს სიტყვა გადასულია, მაგრამ თითქოს ასე იკითხება.

[4] ამის შემდეგ აკლია ca. 2 კეფი (იხ. ზემ. აღწერა, § 4); დაკარგულს მე-3[4] კეფზე იქნებოდა ამ უკანასკნელი სიტყვის დაბოლოება: „უკა||[დრებიეს]".

[5] ამ სტრიქონის გასწვრივ მარცხ. აშიაზე მოჩანს რაღაც მთავრული წითური ასოს ბუნის წვერი (აშია ჩამოჭრილია).

ვაჲ წიგნისა კითხვისაჲ, ნუ [რომლისა]| მიზეზისათჳს. ხოლო იკითხავს იგი, რომელიცა კანანახობისა მსგე[ფსსა ჰ]|მსახურებდეს.

2. ხოლო არავის ჴელეწიფების უბნობად და [მეტყუელებად] | ურთიერთას ტრაპეზსა ზედა. არამედ რაჲთა ფრიადითა მყუდროე[ბითა მიმღე]|ბელნი საზრდელისან[ი] ჰმადლობდენ მომცემე[ლ]|სა და რაჲთურთით არა იყოს საუბნარი. და თუ [იკადროს] | ვინ [უბნობად და] ერთ და ორგზისცა მეტრაპეზისა მიერ [დაყენებულმან ა]|რა [ისმინო]ს, განყვანებულ-იქმნეს ტრაპეზით და განიწ[მიდოს]|[1] ----, [ხოლო უ]კუეთუმცა მასვე სიგლისპესა ზედა დაადგრ[ეს] | ნა – – – [ტრა]პეზსა ზედა. ესევითარი გ-|უძ[2]---ს – – – . აღმძვრელი და აღმა[შფოთ]|ებელი [საზოგადოჲსა მ]ყუდროებისაჲ ყოველად-ყოველითურთ მოიკუეთენ, [ვითარცა] | დამპალი, და გარე განითხიენ.

3. ხოლო ჯერ-არს რაჲთა რაჲთურთით განწ[ვალებაჲ] | არა იყოს შეკრებასა ძმათასა მიღ[ება]დ საზრდელისა, [არამედ სწო]|რად დაეგებოდის ყოველთა ძმათათჳს ტ[რ]აპეზსა ზედა პური და ღვინო[ჲ და] | წუენი მემჴრეთათჳს და მწირველ[თა] და მწირთა. და ნუმც[ა]| უხუცესთა ძმათაგანი, მიზეზითა [ვნებუ]ლისა გემოთმოყუარების[ა და] | ნაყროვანებისა თჳსისაჲთა, ნივთად უკეთურებისად და სახედ | ბოროტისად ექმნების სხუათა, დამაბრკოლებელი ყოველთაჲ, არამედ თით[ოეუ]|ლი დასჯერდინ საყოველთაოსა ევლოგიასა. და ნუმცა ოდ[ეს იკად]|რების კიდეგანისა წუენისა დაგებაჲ ტრაპეზსა ზედა და განწვალ[ვისა და] | განხეთქილებისა შემოღებაჲ ერთსა მას შინა გუამსა ძმათა[სა. და ტრაპეზო]|ბისას ---- [უ]ხუცესსა ყოველთასა და ყოველთა უდარესსა ერთი და იგი | და სწორიმცა [დაე]გების საჭმელიცა და სასუმელი და სხუაჲ ყოველივ[ე.] |

4. გარნა თუ იშჯთ ოდესმე სტუმართმოყუარებისა მიზეზითა, იქმნას [მო]|მატებაჲ საჭმელთა რათაჲმე ბრძანებითა მოძღურისაჲთა, ესე ფრიადც[ა] | ჯეროან არს და ძუელ-მცნებაჲ, რომლისა მიერ ვიეთმე, ვითარ იგი არა | უწყოდეს, ანგელოზნიცა ისტუმრნეს.

განესუენებოდენ უკუე | სტუმართა, რომელთა თანა დედაკაცი არა იყოს და უფროჲსღა იშჯთ|თა, გინა შორით მოსრულთა, ცხად-არს ვითარმედ მიზეზითა ლოცვისა|თა, ერთ და ორ-დღეცა, და მესამესა დღესა წარვიდოდენ გზასა თჳსსა.|

5. იკკუეთუ ვინ დიდი და საპატიოჲ სტუმარი შემოვიდოდის, გინა ეპი|სკოპოსი, ანუ აზნაური, ანუ საპატიონი ვინმე მონაზონნი, ამა[თ, ვი]|თა წესია, ტრაპეზით ემასპინძლებოდის. და თუ ქუემ[ოჲ] რ[ომელი] | იყოს, მონაზონი გინა ერისკაცი, და არავის თანა საქმე ედვას ძმათაგან | თჳნიერ ლოცვისა, და ტრაპეზისა გაღებასა არა ღირსიყოს, [არამედ] | ესევითართა მოძღურისა და დეკანოზისაგან ემასპინძლებოდი[ს]: ამ[ისათჳსცა] | განმიწესებია მათთჳს ნამეტნავად გასაყოფელი, რაჲთა ესევითართ[ა სტუ]მართა იგინი გაისტუმრებდენ. და თუ ნათესავი ანუ მეცნიერი იყოს ვისა|მე ძმათაგანისაჲ და არა ლოცვისა მიზეზითა მოსრულ-იყოს, არამედ | სხჳსა რაჲსმე საქმისათჳს, ამას თჳთ-მან უმასპინძლოს, რომლისა თანაცა | აქუნდეს საქმე. ხოლო მრავალმრონინეთა[3] მათ და მიწყითთა მთხოველ|თა მეკარე განისტუმრებდეს. არა ჴელეწიფების მიმოვლად სახლი|თი-სახლად შინაგან მონასტრისა.

---

[1] ასო „წ“-ს წაკითხვა სათუოა, შეიძლება „ც“ იყოს.

[2] ამ ასოების წაკითხვა სათუოა.

[3] ამ სიტყვაში „ო“-ს ერთი კბილი მეტი აქვს, ისე რომ შეიძლებოდა წამეკითხა „მრორინეთა“, მაგრ. რადგანაც მეოთხე ასოს სარქველი აქვს, თუმცა ეს სარქველი ძლივსღა გაირჩევა, მე მას „ნ“-დ ვკითხულობ.

6. საჴმარ-არს რაჲთა ყოვლად განკრძალული ერთი | და ღმრთისმოშიში მონაზონი მესნეულედცა განიჩინებოდის და უძლურ | მყოფთა ძმათა ჰმსახურებდეს ყოველსავე საჴმარსა მათსა: დღითიდღე ს[ამ]|გზის მოჰვლიდეს და მოიხილვიდეს და საწესოსა მიართუმ[იდეს] | მათსა ტრაპეზით. და სხუაჲ რაჲცა უჴმდეს სნეულთა და უძლურად მ[ყოფთა] | ძმათა, უშურველად მიეცემოდის ტრაპეზით და ნუმცა რაჲ მოაკ[ლ]|დების საჭიროდ საჴმართაგანი, რომელიცა იყოს და იპოებოდეს. |

7. გარნა[1] ვინაჲთგან ყოვლითკერძო უზრუნველობისა და უმოქენეობისა | [ძმ]ათაჲსა მეძიებელ ვარ, და რაჲთა არა რაჲთ იყვნენ ნაკლუ|ლევანნი, გაუჩინე საჩოჴედცა: რაჲთა მოძღუარსა ვიდრემე, ვითარცა მწყემსსა | სულიერსა და უცთომელსა წინამძღუარსა, მიეცემოდის ექსი[2] დუკატი. | ხოლო დეკანოზსა და იკონომოსსა ოთხ-ოთხი დუკატი და რომელნიცა სამ|ჴროსა ღირსქმნილ-იყვნენ ძმანი და მონასტრისა პატრონთადა თაყუანე|ბულ იყვნენ, მათ სამ-სამი დუკატი. ეგრეთვე მწირველთა, | რომელთაცა მკითხველ-კანანახობაჲცა შეეძლოს, მემჴრეთავე | თანა, სამ-სამი დუკატი მიეცემოდის. მეჭურჭლესა და მეტრაპეზე[სა][3] | და კანდელაკსა და იპიტირიტისსა ესრეევე სამ-სამი დუკატი. ხოლო მეორისა | დასისათა, რომელთაცა წირვისა მეტი სხუაჲ საჴმრობაჲ არაჲ შეეძლო[ს], | ამათ [ორ-]ორი დუკატი აქუნდეს. და მესამისა დასისათა, ესე იგი | არს მწირთა, ბოტინატი და დოკატი მიეცემოდის. ხოლო მსახურთა სატანისა|მოსლედ მწირთავე სწორად ჰქონდეს ბოტინატი და დოკატი. |

8. [ე]გრეთვე და პურიცა და ღუნოჲ გაუჩინე: რაჲთა მიეცემოდის მოძღუარსა | რეაჲ გრივი პური, ოთხი წმიდაჲ და ოთხი ქრთილი და სა|მი საპალნე ღუნოჲ. და იკონომოსსა ექუსი გრივი, სამი | წმიდაჲ და სამი ქრთილი და ორი საპალნე ღუნოჲ. ეგრეთვე დე|კანოზსა ექუსი გრივი პური, სამი წმიდაჲ და სამი ქრთილი და ორი საპ|ალნე ღუნოჲ. ხოლო უთავადესთა ძმათა, რომელთა :გ˜:გ˜: დუკატი აქუს სა|ჩოჴედ, ამათ პური ორი გრივი წმიდაჲ და ერთი ქრთილი მიეცემო|დის და თჳთო საპალნე ღუნოჲ. და მეორისა დასისათა, რომელთა | წირვისა მეტი არაჲ შეეძლოს, ღუნოჲ თჳთოჲ ცალი მიეცემოდის, | გარნა პური ვითა თავადთა ძმათათჳს დაგჳწესებია, ეგრეთვე | [ამ]ათთჳს. ხოლო მწირთა პური თჳთოჲ გრივი წმიდაჲ და თჳთოჲ ქრთილი და | ღუნონჲ ოთხთა და ოთხთა თჳთოჲ საპალნე. |

[თ]ავი ე˜: ვითარმედ არავის ძმათაგანსა ჴელეწიფების თავნობად | და მოფარდულობად ღუნისა ანუ სხჳსა რაჲსმე, არცა აღ|ნადგინებად მიცემაჲ საჴმართაჲ; და რაჲთა გამოუთხოვლად | მოძღურისა არავის სადა ჴელეწიფებოდის წარსლვად გარეგან მონასტ|რისა; და არა ყოფისათჳს მეშფოთეთაჲსა; და არა შესლვისათჳს დედა|კაცისა თჳნიერ ჴელმწიფეთაჲსა; და არა ყოფისათჳს დიაკონთაჲსა; და თუ რათა მიზეზთათჳს შეიცვალე|ბის მოძღუარი წესისაგან თჳსისა, ანუ ძმაჲ განიჴადების მონასტრით.|

1. [ა]რავის ძმათაგანსა ჴელეწიფების მონასტერსა ამას შინა ვაჭრობად | და თავნობად ანუ მოფარდულობად ღუნისა, გინა რაჲსაცა სხჳსაჲ; | არცა ვახშად და აღ-ნადგინებად გაცემაჲ საჴმართაჲ მსოფლი|ოთა, გინა დაჭირებულთა ზედა და სისხლითა გლახაკთაჲთა განმ|დიდრებაჲ, რომელიც ესე დიდისა უწესოებისა არს საზღვარ და

---

[1] „გ˜"-ს მარცხენა კიდურები ჩამოჭრილი აქვს.

[2] იხ. ზემ. აღწერა, § 15.

[3] უკანასკნელ სამ სტრიქონს შორის მოჩანს რაღაც ნიშნები, რომლის მსგავსი ზევითაც მოიპოვება ამავე კეფზე; თითქოს არაბული ასოებით სწერია რაღაც, ან შეიძლება მურის ბეჭდის ნაკვალევიც იყოს; გავარჩიე მხოლოდ სამი ნერტილი.

|| დასასრულ ანგაჰარებითისა სიბოროტისა და ვაჭრ[ობისა უ]||ძკრეს-არს. ნანდკლვე სამართლად ითქუას მისსა მიმარ[თ: „სახლსა] | მამისა ჩემისასა სახლ სალოცველ ენოდების, ხოლო თქუენ გიყოფიე[ს იგი ქუაბ] | ავაზაკთა". რომელი არცა თუ ერისკაცთაგან ჯერ-არს ყოფად. უე[ჭუელად მყოფი] | ამისი დაიმკკდრებს კეთრსა გიეზისსა და შიშთვილსა იუ[დაჲსსა.] |

ვინაჲცა რომელსაცა ძმათაგანსა ემხილოს ღჳნის მოფარდულო[ბაჲ], | გინა მევახშეობაჲ, მყის განიდევნოს მონასტრით და მოიკუეთოს | ყოვლითურთ და მისაა ადგილსა სხუაჲ დაიდგინოს. |

2. არა რაჲ აღსძრავს და აღაშფოთებს და განამშარებს მყუდრო[ებასა][1] | ერთსულთა ძმათასა, ვითარ მეშფოთე კაცი და ღულარჭნილი. ვ[ითარ]|ცა იტყოდის რაჲ მოციქული, ვითარმედ „ყოველი რისხუაჲ და გულისწყრომაჲ და ჴდომაჲ [და] | ღაღადებაჲ და სიმწარე მოისპენ თქუენ შორის ყოვლით უკეთურებითურთ, ვითარცა ჰშუე[ნი]|ს წმიდათა". რასა სხუასა გუასწავებს, თჳნიერ განწორებასა ამის ჩუენის[ა]-|გან და ესევითართა კაცთაგან, რამეთუ ერთიცა მათგანი კმა-არს სრულისა და [ე]|რმრავლისა ქალაქისა აღძრვად და აღშფოთებად.

ვინაჲცა რომელმანცა | ძმათაგანმან იკადროს გინებად ანუ შეურაცხყოფად რაოდენ უმ|ცირესთაგანისა ვისმე ძმათაგანისა და ლალვად და ამბოხებად, ეგე|ვითარი იგი მყის მოისპენ და განიდევნენ მონასტრით. ხოლო ნუ ვინ გამოჩნდ[ე]||ბის მეშფოთისა და მომთრვალისა ასაბიად, რაჲთა არა ითქუას მის|თჳსცა: „იხილი თუ მპარავი, თანაურბიოდ[ე] მას" და შემდგომი. და თუ ჴელ|ყოს ვინ ასაბიობად ესევითარსა, იგივე პატიჟი დაითმინოს მანცა, [რამეთუ არს] | თავჴედი და დაუწყნარებელი. ხოლო განიხილვოდედ ესე მწყემსის[აგან] [და უკუეთუ ორთაჲვე იყოს ბრალი და ორკერძოვე ცხადიყოს მე[შ]|ფოთეობაჲ, სწორ-იყავნ ორთავე კანონიცა, გინა პატიჟი, რამეთუ „მო|ნისა ღმრთისა არა ჯერ-არსო ლალვაჲ", თქუმულ-არს. და რაჲთურთით მეშფ|ოთესა და მაგინებელსა და მომთრვალესა არა აქუს ადგილი და | საყოფელი მონასტერსა ამას შინა. რაოდენცა საჴმარნი იყჳნენ ესევითარნი | იგი, განიჴადებიან მონასტრით, არამედ უფროჲსღა ფერჴნი მყუდროთა და მშჯდთანი სტკებ[ნიდენ.]|

3. არავის ძმათაგანსა ჴელეწიფების ოდესცა, უკითხავად და გამოუ|თხოვლად მოძღურისა, წასულაჲ სადაცა გარეგან მონასტრისა, | არა თავისა საქმისა და საურავისათჳის რავზომცა დაეჭიროს, არცა | რეცა თუ მონასტრისა, არცა თუ ჩემისა სამსახურისა ძლით. არამედ თანაწა|რუვალი თუ და საჭიროჲ საქმე დაემართოს ვისმე ძმათაგანსა, | წარვიდეს და აუწყოს მოძღუარსა და გამოეთხოოს და ლოცვაჲ და კურთხევაჲ | მისი მიიღოს და რაოდენსაცა დღესა უბრძანოს მოძღუარმან, მეტსა არა | უჴმს დაყოვნებაჲ, რაჲთა არა ურჩებისა და უწესოებისა კანონსა | თანამდებ-ყოს თავი თჳსი. რამეთუ „მცირედ-მცირედ შეჰყვაო ისრაელსა", თქმულ-|არს, და სხჳთ იტყჳს, ვითარმედ „მცირე იგი არა მცირე არს". ხოლო უკუეთუ | ვინ გარდარეულებითა ამპარტავნებისაჲთა ღამეცა ერთი გამოუთხოვლად დაყოს გარეშე მონასტრისა, განიჴადენ მონასტრით ვითარცა თავჴედი და შეურაცხისმყოფელი თჳსისა ცხორებისაჲ.|

4. საბრგი ძლიერ და მსწრაფლ დამაკუეთებელ-არს სახედველთა მიერი[2] | წყლულებაჲ, რომლისა მიერ ვჰპოებთ დაკუეთებულად პირველსაცა მამასა, რამეთუ | „შუენიერ

---

[1] ამ სტრიქონის გასწვრის მარცხ. აშიაზე ყოფილა ნუსხა-ხუცური წითური წარწერა, რომლის სამი სტრიქონის ბოლოებილა ჩანს: „მეყავ | ორვი (?) ათ˜ს:·"

[2] ამ სტრიქონის გასწვრივ მარცხ. აშიაზე ყოფილა რაღაც ოთხსტრიქონიანი ნუსხახუცური

იყოო", თქუმულ-არს, „ხილვად" და შემდგომი. ვინაᲲცა ჰუნე უაღკროᲲ | ნუ უკუე და მრავალგზის კაპანთა შთააბნის ზედამჯდომელი. ხოლო | ჰავჩუეულნი და აღულაგ-მველნი თუალნი მრავალსახეთა სა|სიკუდინეთა სენთა და ბოროტთა წყლულებათა მოაწევენ მტკრ||თველთა თკსთა ზედა. გარნა წინაᲲსწარმეტყუელი იტყოდის რაᲲ: „ვიდოდეს ბჭეთა | მიმართ ჩემთა და ქვანი გზისაგან განყარენით". სხუასა არა რას გულისᲧ|მავჰყოფ, თუნიერ რაᲲთა ყოველნივე დაბრკოლებისა მიზეზნი მოისპნენ და | უჩინო იქმნენ საშუალობისაგან ძმათა კრებულისა.

ვინაᲲცა განვანე||სებ ამას, რაᲲთა ყოვლადყოვლითურთ უვალ-იყოს დედაკაცისაგან მონასტერი და ნუ რაᲲს | მიზეზისათკს ნუ შევალს მას შინა, თუნიერ ᲧელმწიფეთაᲲსა; და ჩუენისა სახ|ლისათა, უკუეთუ საჭირო იყოს თანანარუვალისა მიზეზისა და ყოველთა | თანამდებისა ძლით; და მაშინმცა მყის განეშორნენ და ღამესა ნუმ|ცა ვინ დაჰყოფს მას შინა ნუ ოდეს, რაოდენცა დაეჭიროს. ნუცა ვისსა | სენაკსა შევალს დედაკაცი, დედაᲲღა თუ იყოს მისი. ხოლო ამის მიზეზ|ისა გარეშე სხუებრ, არცა ჩუენისა სახლისაგან Ჯერ-არს შესლვაᲲ დედა|კაცისაᲲ მონასტერსა შინა.

5. ნუცა დიაკონი იზრდების მას შინა, გინა უწეურუ|ლი ყრმაᲲ. ნუცამცა ვინ იკადრებს თკსსა ნათესავსა, გინა ძმასა, | ანუ შვილსა უჰასაკოსა და უწუერულსა შემოყვანად მონასტერ|სა შინა, ნუ რომლისა მიზეზისა მოღებითა. ხოლო უკუეთუ ვინმე გლისპობდეს | და შლიდეს წესსა მონასტრისასა და Ყელყოს განრყუნად მონას-ტრისა და | გატეხად ტკპიკონისა და შემოიყვანოს ყრმაᲲ უჰასაკოᲲ და ერთიცა ღამე | დააყოფიოს, გარეშე ყოვლისა ხუაიშნისა მეყსეულად მითურთ განიდევნოს | მონას-ტრით და მოიკუეთოს ვითარცა ასოᲲ დამპალი. |

კუალადცა მასვე დავამტკიცებ, ვითარმედ ყოვლად რაᲲთურთით არავის Ყელე-წიფების | უწუერულისა ყრმისა, გინა დიაკონისა შემოყვანად მონასტერსა ამას შინა | საყოფად, გინათუ დიდებულისა შვილი იყოს ანუ აზნაურისა, არცა | თუ ჩემისა სახ-ლისა თუ იყოს. ნუცა ვისისა შეპოვნებისათკს | დაჰᲧსნის ვინ წესსა ამას, ნუცა თნები-სა ძლით კაცობრივისა წყე|ვასა მოიხდის თავსა თკსსა ზედა. და განმარტებით ითქუ-მოდენ, ვითარმედ ვითარცა | იგი მდედრისათკს განმიწესებიეს, ეგრეთვე მსგავსად და უწუერ|ულისათკს განვაწესებ, რაᲲთა ყოვლადყოვლითურთ უვალ-იყოს მონასტერი ესე | ესევითართა პირთაგან. ხოლო უკუეთუ ვინცა და რამანცა გუარმან კაცმან | იმეცადინოს დაᲧსნად კეთილსა ამას წესიერებასა და კანონსა ამის მო|ნასტრისასა, ზეგარდამოᲲთა რისხვითა დაჰᲧსნას იგიცა ღმერთმან გან|სახრწნელსა შინა ულხინებ-ელსა და დაუსრულებელსა და დასტე-|ხენ მას ხუთ-ქალაქთაებრ სოდომიანთა და წარ-მოიცარიელენ | საქანელნი რისხვისანი მას ზედა, ამენ! ხოლო რომელმან მტკიცედ იპ-ყრას და | დაამტკიცოს, დაიმკჯრენ შეუძრავი სასუფეველი და უმიმწუხროᲲ ნათელი. |

6. „თქუენ ხართო მარილნი ქუეყანისანი", Ყმობს მეუფეᲩ წმიდათა შინა სახარებათა, რომელი ესე | წინამძღუართათკს ეყვის და მოძღუართა, რომელთადა რწმუნებულ-იყოს წინა|-მჯდომელობაᲲ ეკლესიისაᲲ. ვინაᲲცა მარილისა თკთებაᲲ ესე ა|რს, რაᲲთა დალ-პოლვად არა, უტევებდეს, ესე იგი არს, რაᲲთა პირველად | თკთ მწყემსი ყოველთა სახე კეთილის ექმნებოდის, ხოლო ურჩთა და თავᲧე|დთა ძლიერად ამხილებდეს. და რომელნიცა კურნებასა მიითუალვიდენ, ამათ | შეიწყნარებდეს, ხოლო უკურნებელად

წითური წარწერა, წერილი ასოებით დაწერილი; რადგანაც აშია ჩამოჭრილია, ჩანს მხოლოდ სტრიქონთა ბოლოები: „-თა|-ეს|-სა|–:".

დადგრომილთა მოიკუეთდეს || და გარე განსთხევდეს, რაჲთა არა ყოველსა გუამსა განეზაოს სიმპალე.

ვინაჲ|ცა უკუეთუ მოძღუარმან გინა დეკანოზმან თნებისათჳს ვიეთისამე და შე|პოვნებისა რაჲსმე კაცობრივისა, ანუ მიზეზითა თჳსებისაჲთა, გინა | თუ ენებულისა მეგობრობისა ძლით, ჰხედვიდენ რაჲ უწესოდ | მავალთა და შეურაცხისმყოფელთა ამათ განწესებათასა და არა | სწურთიდენ, არცა ამხილებდენ, რაჲთა ანუ განიკურნენ, ინებონ | თუ, და უკუეთუ არა, რაჲთა განიჴადნენ, თჳთ იგინი დაკლებულ-იქმნენ პატივისა|გან თჳსისა და ერთად მორჩილთაგანად იქმენინ.

7. ხოლო უკუეთუ ორგულ|ობაჲ გამოაჩნდეს ვის მონასტრისა პატრონთაჲ, ანუ მოხუეჭაჲ მონასტრი|სა და ეკლესიისა ნაქონებთაჲ, ანუ ქრთამისა აღებითა გარდა|ქცევაჲ ჭეშმარიტებისაჲ, გინა რაჲცა გუარი საძაგელისშეძინებისაჲ | და მოხუეჭისაჲ, სრულიად განიჴადნენ მონასტრით.

8. და უკუეთუ მოძღუარმან, | გინა დეკანოზმან, გინა იკონომოსმან უდებებად გასცენ თავი თჳსი და, | სენაკთა შინა მოსუმურობათა მიდევნებული, უგულებელს ჰყოფდენ | საქმესა მონასტრისასა და გარეშე საჭიროჲსა მიზეზისა ზედაჲ-ზედა ეკლესიისა ლოცვასა დააკლდებოდენ, გინა ტრაპეზს შესლვასა უდებ ჰყოფდენ, | ამათ წარუწყმედიეს თავი თჳსი, ვითარ ძალ-უც ცხოვნებად სხუათა? ვინაჲცა | მყის შეიცვალნენ პატივისაგან თჳსისა. და უკუეთუ შემდგომად ამისსაცა ეგე|ვითარადვე იქცეოდენ, განიჴადნენ მონასტრითცა.

9. იტყჳს საღმრთოჲ | მოციქული განცხადებულად, ვითარმედ „არცა მეძავთა, არც კერპთმსახურთა, | არცა მემრუშეთა, არცა ჩუკენთა, არცა მამათმავალთა, არცა ა|ნგაჰართა, არცა მპარავთა, არცა მომთრვალეთა, არცა მაგი|ნებელთა, არცა მტაცებელთა სასუფეველი ღმრთისაჲ ვერ დაიმკჳდრონ“. ხო|ლო ნუ იყოფინ, რაჲთამცა იპოა ვინ ესევითართა მოქმედი მონასტერსა ამას შინა. | გარნა უკუეთუ ემხილოს ვის მცირეთა გინა დიდთაგანსა ერთიცა | ამა ზემოთქმულთა ბრალთაგანი, შეუნდობელად განიჴადოს მონასტ|რით. ხოლო ნუ აღტაცებით იქმნების ესე, არამედ გამოძიებითა მრავლ|ითა განიხილვოდენ ესევითარნი შესმენანი, ვინაჲთგან მრავალგზის | აღბორგებულნი ვინმე ეშმაკისაგან აღიჭურვიან საეშმაკოთა რათმე | შურმტერობათა ძლით ცილისწამებადცა. და უკუეთუ ცილი დაე|წამოს ვისმე, რომლისა გამოჩინებაჲ ვერღარა შეუძლოს, ცილისმწა|მებელი იგი, ფრიადითა შეურაცხებითა განქიქებული, განიდევნოს მონასტ|რით და ნაქონები მისი ძმათა განიყონ.

10. უჴმს მოძღუარსა ფრიადითა | კრძალულებითა პყრობაჲ ამათ განწესებათაჲ და საქმით სრულყოფაჲ | ამათ შინა აღწერილთაჲ და რაჲთა თუალუხუავად ამხილებდეს ყოველთა|ვე გარდამავალთა და თჳთ თავსა თჳსსა სახედ კეთილისად მისცემდეს ყოველთა.||

11. განგჳწესებიეს, რაჲთა სასყიდელი ყოვლად რაჲთურთით არაჲ ვისგან აიღებ|ოდის ძმად დაწესებისათჳს: არა მემჴრეთაგან, არა მწირველ|თაგან და არცა მწირთაგან. ხოლო უკუეთუ იკადროს მოძღუარმან, ანუ იკონომ|ოსმან, გინა დეკანოზმან, გარდარეულებითა ვეცხლისმოყუარებისაჲთა, | აღებად ქრთამისა რაჲსმე ფარულად გინა ცხადად და ემხილოს, | დაკლებულ-იქმნეს თჳსისა პატივისაგან. რამეთუ სადა „ძირი ყოველთა ბოროტთაჲ რომელ|-არს ვეცხლისმოყუარებაჲ“ დამკჳდრებულ-იყოს მუნ, ნამეტნავ-არს მიერ | მოლოდებაჲ კეთილისა რაჲსმე ოდესცა. რამეთუ „ბოროტთა თესლთაო“, თქუმულ-არს, „ბოროტ ნამ|უშაკევნიცა“.

12. მორჩილებასა და სიმდაბლესა ვჰპოებთ თანა|ნერგად სათნოებითისა ცხორებისა, რომლისა თჳნიერ შეუძლებელ-არს წარ|მართებაჲ მონაზონებითისა მოქალაქობისაჲ.

საჭიროდ უკუე უჴმს ყოველთა|ვე ძმათა მორჩილებაჲ მწყემსისა და მამისა მათისა სულიერისა, კეთილ|ითა სჳნიდისითა და შიშითა ღმრთისაჲთა, ყოველსავე სამსახურსა მონასტრისასა, რომელსაცა უბრძანებდეს, და არა შთავრდომაჲ ბრალსა ურჩებისასა. | რამეთუ „ურჩებისა ნაყოფი სიკუდილი არსო", თქუმულ-არს. ვინაჲცა უკუეთუ ვინ, გა|რდარეულებითა სილაღისაჲთა, ურჩ-ექმნებოდეს მოძღურისა ბრძანებასა, შეპყრობილი ცუდადმზუაობრობისა ვნებითა, დაიყენოს | ტრაპეზს შესლვისაგან და დაეჭიროს საწესოჲცა მისი; ხოლო უკუეთუ დაადგ|რეს ურჩებასა ზედა თჳსსა უკურნებელად, განიჴადოს მონასტრითცა. |

თავი ვ˜: მონაზონთა სოფელს ჴელისუფლად არა დადგინებისათჳს; და ვითარმედ | მამულოვნობით არავის ჴელენიფების მოგებად სენაკისა, გი|ნა ვენაჴისა, გინა ეგევითარისა რაჲს; და შვილებულ გაზრდილთა ძმად| ვერ დაწესებისათჳს; და ვითარმედ არავის ჴელენიფების ხდილობითი|სა მოსუმურობისა მიდევნებად.

1. სოფელთა და აგარათა შინა მონასტ|რისათა სანიადაგოდ ჴელისუფლად ნუმცა ოდეს დაიდგინების მონაზონი, | არამედ ერისკაცნი დაიდგინებოდენ, მოძღურისა და კრებულისა ბრძანებითა. | და უკუეთუ ოდესმე ეგევითარი რაჲმე საქმე დაემართებოდის, რომელ ერის|კაცითა არ გაიმართვოდეს და დიდი იკონომოსი უცალო იყოს სხუათა | რათმე სამუშაოთა და საურავთაგან და მონაზონსა დაემართებოდის წას|ულაჲ, მწირთაგანი გაიგზავნებოდინ ყოვლითკერძო გამოცდილნი | და ყოველთაგან წამებულნი პატიოსნებისათჳს და მოღუაწებითისა ცხორებისა მათისა, | მჴცოანნი ჰასაკითაცა და გონებითა. ესევითარნი წარვიდოდენ, | უკუეთუ საჭიროდ საჴმარიყვნენ სამსახურად მონასტრისა. ხოლო მღდელნი | და მთავარდიაკონნი ჯერ-არს რაჲთა საღმრთოჲსა დიდებისმეტყუელებისათჳს მოცალე | და განკრძალულ-იყვნენ და მსახურებისათჳს ეკლესიისა წესთაჲსა | უწმიდესად და ღირსად, და ღმრთისმიმაახლებელისა მღდელმემსხუე|რპლეობისა, ვითარცა ღირს-არს და ჰშუენის მარადის შინაგან წმიდისა წმიდათაჲსა | შემავალთა და სიწმიდისადა უგანწმედილესობით მიახლებულთა, რაჲთა || საუფლ[ლოჲს]ა ბრძანებ[ისა]ებრ ბრწყინვიდენ საქმეთა მიერ სათნო[თ]ა ღმრთი|სათა, რომლითა მხედველთა აღსძრვიდენ დიდებისმეტყუელებად ღმრთისა [მიმართ.]|

2. ამისათჳსცა მოვსპე მამულობით ქონებაჲ აგარაკთა, ვენაჴთა[1] და თუ|ნდა ორნატთა, რაჲთა სახიობაჲ (sic!) ანგელოზებრივისა მოქ[ალაქო]ბისაჲ [არა მოიშალოს] | [და]ხრწ[ევაჲ] ექმნებოდეს ამათგან, ვითარცა წ[მიდათა] მოციქ[ულთა] კანონისგანცა | გან[გდებულისა] – და ყოვლადმსოფლიოთა კ[რებათა]განცა, და ვითარცა მიზეზი | ნ[ივთთმოყუარებისაჲ და საძაგელისშეძინებისაჲ, ვაჭრობისა და მოფარდულობისაჲ]. |

3. ეს[რეთ განგჳწესებია] მ[ონასტ]ერსა ამა[ს] ჩუენსა [შინა], რაჲთა – შვილ[ებული] ძმად[2] | [ვერ დაი]წესებოდეს. – – – – – – [ნუმ]ცა ვი[ს] უკადრები[ეს] მამულობით მოგებაჲ სენაკთა, აგარაკთა, | ვენაჴთა, ანუ ორნატთა, რაჲთა უცხო იყვნენ ყოველისა მსოფ[ლიოჲ]სა და ქუე[ყანისა | საქ]მეთ[აგან], ვითა საქმეთაგან ანგაჰარებისა, გინა ვეცხ[ლისმოყუარე]ბისა, რაჲთა ე|სეცა აღმოიფხურას, ვითარცა მიზეზი მრავალთა ბოროტთაჲ.

---

[1] ამ სტრიქონის გასწვრივ მარცხ. აშიაზე მოჩანს წითური ნუსხა-ხუცური მინაწერის ორი სტრიქონის ბოლოები: „-მ˜ღე|-თ˜ს:".

[2] ამ სტრიქონის გასწვრივაც მარცხ. აშიაზე ყოფილა ნუსხა-ხუც. წით. წარწერა: „-დიპბა (?) | -ბისთ˜ა:".

4. არა[ვის] ძმათაგანსა ჴელეწიფების შემდგომად სერობის გამ[ოსლვისა] ძმისა მე|ორისა სენაკსა მ[ისლ]ვ[ა]ჲ. ნუმცა იქმნების სენაკით[ი]სენაკად ხდილობითი | მოსუმურობაჲ, [ა]ნუ წესისა შეყრილობაჲ[1] და მაძღ[ური]ე ჴუმევაჲ ღუნისაჲ (sic!), | გინა კადრებაჲ ოდესცა [ძილისპირთა] და დასდებელ[თა თქუმისაჲ და] || ვჰრიდებ თქუმად თუ საეშმაკოჲსა გალობისაჲ. რამეთუ ნამდკლვე ღუნითა | განბრძნობილი ვერა რას ირგებს. და რაჲთა არა ითქუას მათდა მიმართცა, | ვითარმედ „რომელთა ღმერთ მუცელი არს და დიდებაჲ მათი სირცხკლსა შინა“. რამეთუ წერილ|-არს: „ნუ დაითრევებით ღუნითა, რომლითა არს სიბილწე“. და ვითარმედ „მომ|თრვალეთა სასუფეველი ღმრთისაჲ არა დაიმკკდრონ“. და სხჳთ იტყჳს: „ყოველი | სიტყუაჲ დამპალი ნუ გამოვალნ პირით თქუენით, ვითარცა შუენის წმიდათა“. | ხოლო ნაყროვნებასა, დედასა სიბილწისასა, ნუცამცა ადგილი | აქუს თქუენ შორის. რამეთუ ვითარცა იგი პირველი განვრდომაჲ ჭამისა მიერ იქმნა, უე|ჭუელად პირველი ხარისხი მოღუანებითისა მოქალაქობისაჲ; თჳნიერ მარხვისა | და კრძალულებისა, პოვნად შეუძლებელ-არს. ვინაჲცა გეევედრები, | რაჲთა სრულიად მოისპოს მრავალთავი ესე ვეშაპი საღმრთოჲსა ამის მწყობ|რისაგან, რაჲთა რაჲთურთით არა იყოს უქმსიტყუაობაჲ და ვნებული მე|გობრობაჲ და ხდილობითი მოსუმურობაჲ, არამედ თითოეული თჳსსა სე|ნაკსა შინა შეევედრენ კრძალულებით კანონსა თჳსსა განწესებულსა | და მყუდროებითსა დიდებისმეტყუელებასა, რომლითა მხოლოჲ მხოლოსა მას| მიეახლების მიუახლებელსა, და შეეტრფვის და აღისურვებს[2] | სატრფოსა მას და სასურველსა, არსთა ცხოვლობისასა, და ხე|დავს განწმედილითა გონებისა თუალითა ზეშთააღმატებულთა მათ გონება|თაგანცა უხილავსა და მინდომად შეუძლებელსა, მეტყუელი: „შეეძერ|წა სული ჩემი შემდგომად შენსა და მე შემენია მარჯუენემან შენმან“.

თავი ზ˜: შემოსაწირავისათჳს თუ ვითარ ჯერ-არს განყოფაჲ; და ვითარმედ ძმაჲ | რაჲ მიიცვალებოდის, ვერ ჴელეწიფების დატევებად თჳსთა და | ნათესავთა ნაქონებისა თჳსისა; და რაჲთა ერთი აღაპი ტრაპეზით გა|რდაიჴდებოდის ახალმიცვალებულისა ძმისათჳს; და მას დღესა | ყოველნივე მღდელნი და დიაკონნი უსასყიდლოდ შემოსებოდენ მისთჳს[3]. |

1. შემოსაწირავსა, რასაცა ვინ საწირავად შემოსწირვიდეს, ვითა | წესია, მას მწირველნი გაიყოფდენ და ჟამსა უწირვიდენ. და რასაცა | ვინ საერთოდ შემოსწირვიდეს, მისგან ნახევარი საჭურჭლესა სა|ეკლესიოდ დაიმარხვოდის, და ნახევარსა სხუასა სწორად გაი|ყოფდენ მემჴრენი და მწირველნი და მწირნი, და სწორად ულოცვიდენ. | ხოლო მღდელყოფილთა და მთავარდიაკონთა მღდელთავე თანასწორად | მიეცემოდის და მთავარდიაკონობისათჳს გინა მღდელყოფილობისა ოდენ ნურაჲ დააკლდების, | სხუაჲ თუ საჴმრობაჲ შესწევდეს. და თუ არა, ეგევითარისავე მღდელ|ისა სწორად მიეცემოდის მათცა. და მატიანეთა ჩასაწერლად რა-|საცა ვინ შემოსწირვიდეს, მას მღდელნი და მწირნი სწორად გაუყოფდენ. |

---

[1] ორი უკანასკნელი სიტყვის წაკითხვა სათუოა.

[2] ორი უკანასკნელი სტრიქონის გასწვრივ მარცხ. აშიაზე ჩანს რაღაც ნუსხა-ხუც. წითური მინაწერის ორი სტრიქონის ბოლოები: „-დლ | -თა˜ს:“.

[3] ამის შემდეგ თავისუფალ ადგილზე ჩართულია უღულაშვილის მინაწერის სამი სტრიქონი (იხ. ზემ. აღწერა, § 29).

2. ხოლო არავის ძმათაგანსა ჴელეწიფების მონასტრით განღებად ნაქო|ნებისა თჳსისა ჟამსა ამიერ მიცვალებისა თჳსისასა, რომელმცა თჳსთა გინა | ნათესავთა უანდერძა იგი, რომელთაგან ერთგზის ჯმნილ-არს ჟამსა მონაზონად | კურთხევისასა.

3. ხოლო ჯერ-არს რაჲთა ყოველთავე მღდელთა და დიაკონთა მესამესა დღესა | ჟამი უწირონ უსასყიდლოდ ძმასა მიცვალებულსა, და აღაპიცა | გარდაეჴადოს მასვე დღესა ტრაპეზულითა საჴმრითა. და ყოველთა | ძმათა ულოცონ და შეუნდვნეს ღმერთმან სულსა მისსა:· |

4. ძმაჲ რაჲ მიიცვალოს, თუ ანდერძი დაეწეროს, მისისა ანდერძისა | მსგავსად განეგოს ყოველი საქმე მისისა სულისაჲ. ხოლო უკუეთუ უანდერძოჲ | აღესრულოს, რაჲცა იპოოს მისი შუა გაიყოს და ნახევარი მაშინვე | აჴმარონ სულსა მისსა, ვითაცა მოძღუარმან ბრძანოს და განაწესოს, | და ნახევარი საეკლესიოდ დაიდვას საჭურჭლესა შინა მისისავე სულისათჳს. ||

5. ჩუენისა სახლისა აზნაურნი და თუნდა მსახურნი შემოლაზუნდე|ბოდენ, და ჩუნგან და ჩუენისა სახლისა კაცისაგან მონასტერს შეშუებასა და | დამკჳდრებასა ღირს-იქმნებოდენ, ესე მონასტრისა პატრონთაგან გაიჩი|ნებოდეს: თუ ნამსახური იყოს და საპატიოჲ აზნაურისშვილი, მწირვ|ელთავე თანა დაიწესებოდეს პურითა და ოქროჲთა და ჯდომი|თა, ყუელაჲთა. კუალადცა ესევე ვთქუათ: თუ დიდად საპატი|ოჲ და ნამსახური არ იყოს, ნუ იკადრებს მწირველთა თანა დაწესებ|ასა. და უქუეგანესი ამათი მსახური, რომელიცა მონასტერს ამათი მსახური, რომელიცა მონასტერს შეშუებასა | და დამკჳდრებასა ღირს-იქმნებოდეს, მწირთა თანა დაეწესებოდეს ტანი|სამოსითა, ოქროჲთა, პურითა და ყოვლითა საწესოჲთა საქმითა. |

1. სრულითა სასოებითა მეუფისა და მაცხოვრისა და მჴსნელისა ჩუენისა | ქრისტეს მოწყალებათაჲთა და მინდობითა წმიდისა მთავარმოწამისა მისისა შე|წევნათაჲთა, მიწამან და მონამან მჴარგრძელმან, დიდითა გულ|სმოდგინებითა განგებაჲ ესე აღვწერე მონასტრისა ჩემისათჳს, რომელი | ესე აწვე საქმით სრულქმნილ არს[1] ყოვლითურთ ჩემ მიერ და უმეტესისა | შეძენისათჳს დამიც სასოებაჲ ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა. და ყოვლითურთ | უმიზეზო-ქმნილა მონასტერი ესე ჩემი მოღუაწებით და საღმრთოდ შემტკბ|ობელთათჳს მონაზონებისათა. და რომელნიცა სოფლისა ნივთთადა არ | შემსჭუალულ არიან მონასტერს მყოფნი, ეგევითართა მათ უდაბნოჲსმო|ყუარეთა და ყოვლად სოფლით განშორებულთა, მათ მიერ უმანკოჲთა გონებითა განი|ხილვოდინ ჩემ მიერ ყოვლად სასოებით და გულსმოდგინებით აღწერილი ესე | ანდერძი საღმრთოჲსა განგებისა ამის უდაბნოჲსათჳს და მას შინა საღმრთოჲსა | მოღუაწებისა აღმასრულებელთათჳს, რომელ სამეფოსა ჩუენსა უდაბნო-ქმ|ნით და ყოვლითურთ საღმრთოდ განწესებით, ზომიერად და ჯეროვნად რაო|დენნი მწირველნი და მწირნი მონასტერსა ამას ჩუენსა განგჳწესებიან | სურვილითა ღუწისაჲთა საღმრთოდ განკუთვნილთა მადლთა მათთა|გან, რომელ ჩუენსა სამეფოსა აზნაურსა თჳსისა მონასტრისათჳს არა|ვის დაედვას ესრეთ სასოებაჲ უდაბნოდ განწესებისაჲ და სურ|ვილით და წადიერებით ზედამდგომელობაჲ ყოვლითა გონებითა, ვითარ მე.|

2. აწ უკუე ვევედრები სიწმიდესა და მადლსა თქუენსა, წმიდანო და ღმერთშემო|სილნო მამანო, რომელნიცა წადიერ ხართ მონასტერსა ამას ჩემსა დამკჳდ|რებად, რაჲთა მტკიცედ ეგოს ანდერძი და განგებაჲ ესე ჩემი თქუენ მიერ | და შემდგომითი-შემდგომად დამკჳდრებულთა უდაბნოსა შინა ჩემსა. და არა | არცხჳნოთ

[1] სიტყვა „ქმნილ"-ის წინ წალშილია „ი"; ალბათ, ჯერ უნდოდა დაეწერა: „სრულ-იქმნა".

სასოებასა ჩემსა და არღარა შემოიხუნეთ ნივთნი სო|ფლისანი სამკჳდრებელსა ამას შინა ჩემსა და ყოვლითურთ უდაბნო-ქმნით | იპყართ მტკიცედ ძეგლი ესე, შეუხებელად ბიწთა ყოველთა. და | თქუენდა მომართ მსახურებაჲ ჩემი სრულ-იქმნებოდეს სასოებისა და სიყუარული|სა თქუენისათჳს.

3. და რომელნიცა სასოებასა და განგებასა ამას ჩემსა ეცრუვნეთ | და რომელნი ძეგლსა ამას შინა განწესებულან საჴმარნი ტრაპეზისანი, | უხუებით მოუკლებელნი ყოველთა დღეთანი, და კუალად სატანისამოსლედ მიცე|მლნი და სასტუმროდ მოცემული პური და ღჳნოჲ, თჳნიერ ამისაა | რაჲცა ვინ მოიანგაპროს საჴმართაგანი და დაიუნჯოს გარე|შე ამათ ჩუენგან განჩენილთა და აღწერით დამტკიცებულთაჲსა და || გეეზის წყევაჲცა არ მოიგონოს და განცხადნეს ამას შინა, ამა | საშინელთა წყევათა ქუეშე იყავნ ქუემოწერილთა და სასჯელი|მცა მიეჴადების რისხვისა ღმრთისაჲ დაუსრულებელი.

4. და ვინცა ესე | განგებაჲ და განწესებაჲ უდაბნოჲსა ჩუენისაჲ, დიდითა სასოებითა და წა|დილითა დაწერილი ჩუენგან, ვინცა და რამანცა გუარმან ქრისტეანემან კაცმან, | გინა უდაბნოსა შინა ჩემსა მყოფმან, რაჲსაცა მიზეზისა მოღებითა | შეცვალოს, შეცვალებულმცა არს სჯულისაგან ქრისტეანეთაჲსა და განუ-|რისხდებისმცა ჭეშმარიტი ღმერთი მამაჲ, რომელი იქმნა მიზეზ ძისა შობითა და | წმიდისა სულისა გამოვლინებითა, განურისხდებისმცა ღმერთი ძე, სიტყუაჲ ღმრთისაჲ, | რომლისა მიერ ყოველნი წარმოიარსნეს ზეცისა და ქუეყანისანი, ხილულნი და | უხილავნი, განურისხდებისმცა ღმერთმთავარი სული წმიდაჲ, რომლისა მიერ | სრულ-იქმნნეს სრულად და გონებად აღნამკნი ზენანი ძალნი | და სულნი ყოველთა წმიდათანი; კრულმცა არს, წყეულმცა არს ბუნებით ე|რთარსისა თაყუანისსაცემელისა ღმრთეებისა მადლითა; კრულმცა | არს, წყეულმცა არს, შერისხულმცა არს სამგუამოვნებით | აღსაარებულისა და ერთღმერთეებით ქადაგებულისა და ღმერთად | ჭეშმარიტად თაყუანისსაცემელისა მამისა და ძისა და წმიდისა სულისა მადლითა; | კრულმცა არს და შეჩუენებულ ძალითა და მადლითა ყოველთა წმიდათა ზეცი|სა ძალთაჲთა; კრულმცა არს წყეულ და შეჩუნებულ წმიდათა | და აღმატებულთა სამწმიდაობისა დაუცხრომელად გალობისა შემ-|წირველთა ქეროვიმთა, სეროფიმთა, საყდართა, უფლებათა, | ჴელმწიფებათა, ძალთა, მთავრობათა, მთავარანგელოზთა; | კრულმცა არს, განუჴსნელმცა არს, შეჩუენებულმცა არს მადლითა | ზენათა განწესებათა, მღდელთმთავრობითთა, ოცდაოთხთა მღდელთა | და შჳდთა დიაკონთა, რომელნი გონიერთა საყდართა ღმრთისათა დაუცხრო|მელად გონიერთა საყდართა ღმრთისათა დაუცხრო|მელად შესწირვენ ზესთააღმატებულსა დიდებასა; და მე, სულკურთხეულისა | სარგისის შვილსა და შვილთა ჩემთა და მომავალთა ცოდვანი | და ბრალნი მიეჴადებიან სასჯელისა დღესა; | და ყოველთამცა მგმობართა თანა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისათა და ძისა მი|სისა და ღმრთისა ჩუენისათა თანადაისაჯებიან და შერისხვითა საზა|რელითა პირისაგან ღმრთისა განვარდებიანმცა სასჯელად საუკუნოდ და | ცეცხლად უშრეტად გეჰენიისა ეშმაკისა თანა და მსახურთა | მისთა.

5. და რომელთაცა დაამტკიცონ და მტკიცედ იპყრან დი|დითა სასოებითა და წადიერებითა დაწერილი და განგებაჲ ესე | მონასტრისა ჩუენისა ვაჰანის ქუაბთაჲ, ძემან ღმრთისამან და ყოვლად წმიდამან | მშობელმან მისმან ყოველი გაგებული საღმრთოჲ და საკაცოჲ მათი დაამტ|კიცოს აქა და საუკუნესა, ამენ!

6. ესე ძეგლი და განგებაჲ წე|ლიწადსა შინა :გ̃: გზის წაიკითხოდეს ტრაპეზსა ზედა: ერთგზის | შემოსლვასა წმიდათა მარხვათასა, დღესა თევდორობასა; მეორედ სულისა წმიდისა მოსლ|ვასა; მესამედ ჯუარისამაღლებასა. ესე ვითა დაგჳწერია, წელი-

წადსა შინა | :გ˜: გზის წარკითხვაჲ ამის ძეგლისაჲ, რომელმანცა დააკლოს და არ | სრულებით წარიკითხვიდეს, ამათ ზემოწერილთა ქუეშე იყავნ. |

7. და უკუეთუ ვინმე მონაზონი შემოვიდეს და ძმათა თანა დაეწესებოდეს, | ესე ძეგლი პოულებით წარეკითხვოდეს: უკუეთუ ყოვლითურთ გულ|საესე იქმნებოდეს და სიხარულით შეიწყნარებდეს წესთა ამათ, | თუთცა დაეწესებოდეს ძმათა თანა; და უკუეთუ არა შეიწყნარ|ოს, ლოცვაჲ აქუს და კურთხევაჲ.

8. დიდნი კარნი ზღუდისანი დიდთა | მარხვათა უხარებოდე ნუ განეხუმიან, ცოტათა კართა | იარებოდენ, თუნიერ ჴელმწიფე ანუ დიდებული არ შემოვიდ|ოდეს; ქრისტესშობისა მარხვათა და მოციქულთასა უშაბათ-კკრაოდ და|უდღესასწაულოდ ნუ განეხუმიან; და ამათ სხუათა წინუკუანთა | დღეთა ოთხშაბათ-პარასკევთა და ორშაბათსა ნუ განეხუმიან.

9. და||ვითა თუთ სწერია ამას ძეგლსა სამგზის წაკითხვასა შედე|გად, რაჲცა მოშლილიყოს ამის ძეგლისა განგებაჲ, მის ჟამისა | მოძღუართა, დეკანოზთა და ჴელისუფალთა არა გაჰმართონ, | იგინიმცა არიან ამათ წყევათა და კანონთა ქუეშე, რომელნი ზემოჲთ სწ|ერიან[1].

:ქ: ო˜: ი˜ჯ: ქ˜ე: ღ˜ო: ჩ˜ნო: რ˜ისა მ˜რ: სროლიქმნები .
:ს ყ˜ი: ჩ˜ნდა: მონიჭებული: მ˜დლი: მინდობითა შ˜ითა:
:დავსწერ სიმტკიცესა ნ˜დისა ამის: მონ˜სტრისასა:
:ჩ˜ნ: ქ˜ტს მ˜რ: ქ˜ კ˜ზი: გ˜ი: რ˜ი: ძეგლ˜დ ყ˜თა მონ˜სტრთცა:
:კმასაყოფელ˜რს: სადიდებელ˜დ ღითისა: და სალოც:
:ველ˜დ:[2] ე˜ე˜:სა: მჴარგრძელისათ˜ს: ნომცა: და
:იჴსნებიან: წესნი ზემოწერილნი ესე: და ნომცა შემოვ˜ლს:
:უდებებ˜ჲ: გ˜ნმრყუნელი: კეთილთაჲ: ყ˜თა აგარაკსო:
:ფელთა: მაწყენ˜რნი უსმ˜რთოდ: წყევს˜მცა: შ˜ა არიან: –
:და ყ˜ნი მჴნედ მ˜ღნნი: და აღმ˜სროლებელნი: ამის:
:ძეგლის˜ნი: აკ˜ხნეს ღ˜ნ: და ნ˜ნ: დედქ˜ლქმნ: –[3]

---

[1] ამის შემდეგ დატოვებულია ცარიელი ადგილი 11 სმ-ის სიგრძისა.

[2] დედანში ქარაგმა აკლია.

[3] გიორგი კ˜ზის დამტკიცება მოყვანილია უცვლელად და დედნის სტრიქონების დაცვით, როგორც მისი საკუთარი ხელით ნაწერი. ხელი გაკრული ნუსხა-ხუცურია XIII-XIV ს-ისა, მელანი შავი.

ლექსიკონი[1]

აგარა 80_{20} – ერთგვარი ტიპის სამოსახლო.

აგარაკი (შდ. სომხ. ագարակ) 62_1, 81_{18}, 82_4 – საყანე ადგილი (თუ საძოვარი?); 91_5=აგარა?

აზნაური 69_{6-7}, 76_9, 85_{12}, 86_{24} – მაღალი წოდების კაცი, მემამულეთა კლასის წევრი.

აზნაურისშვილი 85_{18} – აზნაური; ნამსახური და საპატიოჲ აზნაურისშვილი 85_{17-18} – დამსახურებული და პატივსაცემი, წარჩინებული აზნაური; დიდად საპატიო და ნამსახური აზნაურისშვილი 85_{20-21}.

ამბოხებაჲ (სპარსულიდან სომხ. ամբոխ) 73_{13} – არეულობა.

ამენ (ებრაულიდან ბერძ. ἀμήν) 76_{26}, 89_{20} – ნამდვილად, ჭეშმარიტად.

ამპარტავნებაჲ (შდ. სომხ. ամբարտավան) 74_{17-18} – ცუდი, უგუნური სიამაყე.

ანანია 63_2 – სახარებაში მოხსენებული პირი, რომელიც პეტრე მოციქულმა ვითომც წყევლით მოჰკლა; მისი მეუღლე იყო საპფირა, რომელსაც იგივე ბედი ეწია.

ანგაჰარებაჲ (შდრ. სომხ. ագահ) – 82_7 – ანგარება, სიხარბე, სიძუნწე; ანგაპარებითი სიბოროტე 72_{14-15} – ანგარების მანკი; ანგაჰარი 78_{16} – ანგარი, ხარბი, ძუნწი; მოანგაპრება (საჴმართა) 87_{21} – სიხარბის გამო შეძენა (საჴმართა, ნ.).

ანგელოზნი (ბერძნ. ἄγγελος) – 68_{29} – ბიბლიით უსხეულო არსებანი, ღმერთის მსახურნი; მთავარანგელოზნი 88_{28} – ანგელოზთა უფროსნი; ნ. ზეციერი იერარქია.

ანდერძი (სპარს.) $85_{3,4}$ – უკანასკნელი განკარგულება სიკვდილის წინ; 57_{22}, 86_{15}, 87_5 – აღთქმა, ბრძანება; დაანდერძებაჲ (ნაქონებისაჲ) 84_{22}; უანდერძოჲ 85_6.

არცხვნოთ – ნ. შერცხუენაჲ.

ასაბიაჲ (არაბ.) 73_{15-16} – მონაწილე, დამხმარე; ასაბიობაჲ 73_{18} – დახმარება.

აღაპი (ბერძ. ἀγάπη) (აღაპის გარდაჴდა ტრაპეზით 83_{28-29}, აღაპის გარდაჴდა ტრაპეზულითა საჴმრითა 84_{28}-85_1) – პურის ჭამა მიცვალებულის მოსახსენებლად და შესანდობლად.

აღბორგებული 78_{27-28} – გაცოფებული, განძვინებული.

აღმატებული 88_{24} – ამაღლებული, ზეციერი; შდ. ზესთააღმატებული.

აღმაშფოთებელი – ნ. აღშფოთებაჲ.

აღმოფხურაჲ 82_{8-9} – ძირიანად ამოგდება, მოსპობა.

აღმძრველი – ნ. აღძრვაჲ.

აღნადგინები 71_{28-29}, 72_{10} – სარგებელი.

აღნამკნი 88_{13} – აღნაკმევი, აღკმეული(?).

აღსაარებაჲ 88_{18} – აღსარება, აღიარება.

აღსრულებაჲ სამსახურისა მსახურთაგან 64_{8-9}.

აღსურვებაჲ 83_{17} – მოსურვება, მონდომება.

აღტაცებით ქმნა 78_{25} – აჩქარებით, განუკითხველად მოქმედება.

აღულაგმველი 75_2 – ლაგამამოუდებელი, შეუკავებელი, თავდაუჭერელი.

აღკრი (74_{27} ჰონე უაღკროჲ) – ლაგამი.

აღშფოთებაჲ (შდ. სომხ. շփոթ) 72_{28}, 73_9; აღმაშფოთებელი 68_1; მეშფოთე $72_{1,30}$, $73_{15,26}$ – შფოთის ამტეხი; მეშფოთეობაჲ 73_{23}.

აღძრვაჲ 72_{28}, 78_9 – აღელვება, აღშფოთება; 81_{15} – შეგულიანება, წაქეზება; აღმძრველი 68_1 – ამაღელვებელი, შემაწუხებელი.

---

[1] ის სიტყვები, რომლებსაც ჩვეულებრივი მნიშვნელობა აქვს, განუმარტებლადაა დატოვებული, ან უწერია: „ჩვ. მნიშვ."
ზოგიერთი ტერმინების ახსნისათვის დიდად დავალებული ვარ აკად. ივ. ჯავახიშვილისა და პატივცემული გ. ნათაძის მიერ.

აღწერაჲ 61_{18}, $86_{2,\ 15}$, 87_{23} – დაწერა; შდ. დაწერილი.
აღჭურვაჲ 78_{28} – ამხედრება, აგულიანება.

ბირებაჲ 58_{1} – შეგონება, წაქეზება.
ბინი (შდ. სომხ. բիծ) 87_{11-12} – ლაქა, მანკი; უბინოჲ 65_{8} – უმანკო, უყვედრელი, უძრახველი.
ბოროტი (შდ. სომხ. բորոտ) 75_{3} – ავი, სავნებელი, მძიმე; სიბოროტე – ნ. ანგაპარებითი სიბოროტე (ანგაპარებასთან).
ბოტინატი $71_{5,\ 7}$ – ბიზანტიის იმპერატორის ნიკიფორე III ბოტანიატის მიერ მოჭრილი ოქროს ფული.
ბრალი 73_{22}, 78_{23} – დანაშაული; ბრალი ურჩებისაჲ 80_{3} – უფროსის განკარგულების აუსრულებლობის დანაშაული.
ბჭე 75_{6} – კარი.

გაგებული 89_{19} – განგებული, გარიგებული.
გამართვაჲ 58_{6}, 80_{26} – გარიგება, მოწესრიგება; 90_{18} – გასწორება.
გამოვლინებაჲ 88_{7} – გამოგზავნა.
გამოთხოვნაჲ 74_{9} – ნებართვის აღება.
გამოკითხვაჲ 61_{18} – გამოძიება.
გამორჩევაჲ (წინამძღურისა ერთსულობისა მიერ ძმათაჲსა) 65_{4} – არჩევა.
გამოსლვაჲ 82_{11} – გათავება, დასრულება.
გამოჩინებაჲ 78_{31} – დამტკიცება, დადასტურება; შდ. ჩენილი, განჩენილი (განჩინებასთან).
გამოძიებაჲ 78_{25-26}.
განბრძნობილი ღუნითა 82_{18} – ღვინით ამეტყველებული; ღმრთივგანბრძნობილი 62_{6-7} – ღვთაებრივი სიბრძნით აღჭურვილი.
განგდებული 62_{6}, 62_{30}-63_{1}, 81_{22} – განდევნილი.
განგებაჲ 85_{4} – გამართვა, გარიგება; 61_{11}, 66_{1} – მართვა-გამგეობა; 90_{16} – დადგენილება; $86_{2,\ 16}$, $87_{5,\ 15,\ 29}$, $89_{16,\ 21}$ – წესდება.
განდევნაჲ (მონასტრით განდევნაჲ) 72_{25}, 73_{14}, 76_{3}, 79_{2}.
განვრდომაჲ 83_{3} – განშორება, მოცილება; განვარდებიანმცა სასჯელად საუკუნოდ 89_{10-11} – გაძევებულ, განდევნილ იქნან ჯოჯოხეთში; შდ. შთავრდომაჲ.
განზავებაჲ 77_{12} – შერევა.
განთხევაჲ – ნ. გარე-განთხევაჲ.
განკრძალული – ნ. კრძალულებაჲ.
განკურნებაჲ – ნ. კურნებაჲ.
განმარტებით 76_{13} – გარკვევით, დაბეჯითებით.
განრყუნაჲ 75_{30} – გარყვნა, გახრწნა.
განსახრწნელი 76_{22} – ადგილი, სადაც განიხრწნება სული, ჯოჯოხეთი.
განსუენებაჲ 64_{14} – მოსვენება, მშვიდობა; 68_{30} – მოსვენება, შეფარება.
განუჴსნელი 88_{29} – წყევლამოუხდელი, კრულვაგაუხსნელი (ნ. კრული).
განქიქებული 79_{2} – შერცხვენილი, გაწბილებული; შეურაცხებით განქიქებული ib. – უპატიოდ შერცხვენილი.
განღებაჲ 84_{20} – წაღება, გატანა.
განყვანებაჲ 67_{21} – გაყვანა.

განყოფაი ნაქონებისაი 79_3 – ქონების ჩამორთმევა და გაყოფა; ~ ძმათა სავსებისაი 63_{13} – ძმათა კრებულის (ნ.) დაშლა, დანაწილება; ~ შემოსაწირავისაი 83_{25}, $84_{5, 8, 18}$ – შემოსაწირავის (ნ.) განაწილება; შდ. გასაყოფელი.

განჩინებაი 70_3, 85_{16-17} – დანიშვნა, განსაზღვრება; განჩენილი 87_{23} – განსაზღვრული, გადაკვეთილი; შდ. ჩენილი, გამოჩინებაი.

განცხადებაი: განცხადნეს 87_{25} – გამოაშკარავდეს, გამომჟღავნდეს.

განწესებაი – ნ. წესი.

განწვალებაი 68_{5-6}, განწვალვაი 68_{18} – გაყოფა, განხეთქილება.

განხეთქილებაი 68_{18-19}.

განხილვაი 73_{21}, 78_{26}, 86_{13-14} – გასინჯვა, გამოკვლევა.

განხუმაი $90_{7, 11, 13}$ – გაღება.

განჴდაი 72_{5-6}, 73_{30}, 74_{19}, 77_{21}, 78_{12}, 80_{11} – გაძევება; სრულიად განჴდაი მონასტრით 77_{29-30}, შეუნდობლად განჴდაი მონასტრით 78_{23-24} – საბოლოოდ, სამუდამოდ გაძევება მონასტრიდან.

გარდამავალი 79_8 – კანონის ან წესის დამარღვეველი.

გარდარეულებაი – გადარეულება, გადამეტება: ~ ამპარტავნებისაი (ნ.) 74_{17}, ~ ეეცხლისმოყუარებისაი (ნ.) 79_{15-16}, ~ სილაღისაი (ნ.) 80_{5-6}.

გარდაქცევაი (ჭეშმარიტებისაი) 77_{27} – დარღვევა, დამხობა.

გარე-განთხევაი 77_{11} – განდევნა, გაძევება.

გარნა 64_{12}, 68_{24}, 70_{12} და სხვ. – მაგრამ.

გასაყოფელი: ნამეტნავად გასაყოფელი 69_{15} – ნორმაზე მეტი წილი.

გასტუმრებაი – ნ. სტუმარი.

გატეხაი (ტკპიკონისაი) – 75_{31} – დარღვევა.

გაღებაი (ტრაპეზისაი) 69_{12} – მიცემა.

გებაი 87_5 – ყოფნა, არსებობა; ეგებოდა 58_5 – უნდა ყოფილიყო, ჯერ-იყო, ეკუთვნოდა.

გეზი, გიეზი, გეეზი 63_3, 72_{12}, 87_{24} – საკუთარი სახელი ვინმე კეთროვანისა.

გემოთ-მოყუარებაი 68_{12} – პირის გემოს მოყვარება, მსუნაგობა.

გეჰენიაი (ებრაული) 89_{12} – ჯოჯოხეთი.

გინა 63_7, 69_1 და სხვ. – გინდა, ანდა.

გინებაი 73_{11}; მაგინებელი 73_{27}, 78_{17-18}.

გლახაკი 72_{12} – ღარიბი, უპოვარი.

გლისპობაი 75_{29} – ურჩობა, უჯიათობა; სიგლისპე 67_{23} – იგივე.

გონება: ვიგონეთ 58_2 – გავიხსენეთ, მოვისაზრეთ.

გრივი (ასურული) $71_{9-10, 12, 14, 17, 23}$ – წონის საზომი.

გუამი 68_{29}, 74_{12} – სხეული; სამგუამოვნებაი 88_{17-18} – სამპიროვნება (ნ. ღმერთი).

გულისჴმისყოფაი 62_{19}, 75_8 – გაგება, შესმენა, გულისხმობა.

გულსავსე 90_2 – კმაყოფილი.

გულსმოდგინებაი 61_8 – მეცადინობა, 61_{17}, $86_{1-2, 15}$ – გულმოდგინება; უგულმოდგინეთ 58_{2-3} – გულმოდგინედ, წადიერად მივეცით.

დაანდერძებაი – ნ. არდერძი.

დარბრკოლებაი 75_9 – ცდუნება; დამაბრკოლებელი 68_{14} – მაცდუნებელი.

დაგებაი $68_{7-8, 17, 22}$ – მირთმევა, მიცემა.

დადგენაი, დადგინებაი 72_{26-27}, 63_{5-6}, 66_{24}, $80_{13, 22, 23}$ – დაყენება, დანიშვნა, თანამდებობის გადაცემა.

დადგრომაი 67_{23-24}, 77_{10}, 80_{10} – ყოფნა, მყოფობა, დარჩენა.

დადებაი – ნ. საეკლესიოდ დადებაი (ეკლესიასთან).

დათმენაჲ (პატიჟისაჲ, ნ.) 73_{19} – ატანა, მოთმენა.

დაკლებაჲ (პატივისაგან, ნ.) 77_{21-22}, 79_{18} – გადაყენება, მოხსნა.

დაკუეთებული 74_{24} – დაჭრილი, დაკოდილი; დამაკუეთებელი 74_{22-23} – დამჭრელი, დამკოდველი; შდ. მოკუეთაჲ.

დალპოლვაჲ 77_{4} – დალპობა, გახრწნა; სიმპალე 77_{12} – სიდამპლე, გახრწნილობა.

დამაბრკოლებელი – ნ. დაბრკოლებაჲ.

დამაკუეთებელი – ნ. დაკუეთებული.

დამართებაჲ 80_{25}, $_{28-29}$ – შემთხვევა, მოხდომა.

დამარღუეველი (კანონისაჲ) 62_{12}.

დამარხვაჲ – ნ. საეკლესიოდ დამარხვაჲ (ეკლესიასთან).

დამიც 86_{5} – დამიდვია.

დამკკდრებაჲ, დამკკდრებული – ნ. მკკდრი.

დამტკიცებაჲ – ნ. მტკიცე.

დამფასებელი 59_{4} – შემფასებელი; შდ. ფასი სრული.

დასასრული – ნ. სრული.

დასდებელი 82_{16} – ერთგვარი საგალობელი.

დასი (შდ. სომხ. դաս) – ჯგუფი, წოდება: ~ მღდელთა 65_{3-4}, მეორე დასი 71_{1}, $_{19}$, მესამე დასი 71_{4}.

დატევებაჲ 83_{26-27} – დატოვება.

დაუნჯებაჲ 87_{22} – დაგროვება (საქონლისა).

დაუწყნარებელი 73_{20} – მოუსვენარი.

დაყენებაჲ (ტრაპეზს შესლვისაგან) 80_{8} – შეჩერება, აკრძალვა.

დაყოვნებაჲ 74_{12} – დაგვიანება, დროზე გამოუცხადებლობა.

დაყოფაჲ 65_{8}, 74_{18}, 75_{18}, 76_{1-2} – ყოფნა, დაყოფა, დარჩენა.

დაყუდებული 59_{13} – განმარტოებით მცხოვრები ბერი.

დაწერილი 89_{16} – საბუთი, დოკუმენტი (კერძო პირის მიერ დაწერილი); შდ. აღნერაჲ.

დაწესებაჲ – ნ. წესი.

დაჭირებაჲ 74_{5}, 75_{19} – საჭიროება, გაჭირვება; დაჭირებული 72_{11-12} – გაჭირვებული, შეჭირვებული.

დახრწევაჲ 67_{10}, 81_{20-21} – დაცადება, დაშლა.

დაჴსნაჲ 56_{26}, 76_{11}, $_{21-22}$, 91_{2-3} – დარღვევა, მოშლა.

დაჯერებაჲ – ნ. ჯერებაჲ.

დედაქალაქი – ნ. წმიდაჲ დედაქალაქი.

დეკანოზი (ბერძ. δεκανός) 69_{13}, 70_{18}, 71_{13}, 77_{13-14}, 78_{1-2}, 79_{15}, 90_{17} – უფროსი მღვდელი, სამონასტრო მღვდელმსახურების ხელმძღვანელი.

დიაკონი (ბერძნ. διάκονος) 63_{23}, 72_{3}, 75_{24}, 76_{7}, 84_{1-2}, $_{26}$, 89_{1} – უდაბლესი ხარისხის მღვდელმსახური, მღვდელის თანაშემწე წირვა-ლოცვაში; მთავარდიაკონი 63_{4-5}, $_{19}$, 65_{1}, 81_{4-5}, 84_{11}=დიაკონი.

დიდებისმეტყუელებაჲ 81_{5-6}, $_{15-16}$, 83_{14-15} – ქება-დიდება, განდიდება, ხოტბა.

დიდებული 76_{9}, 90_{8-9} – მაღალი ხელისუფალი, დიდი მოხელე.

დიდი იკონომოსი – ნ. იკონომოსი.

დიდ-მარხვაჲ – ნ. მარხვაჲ.

დუკატი 70_{18}, $_{19}$, $_{22}$, $_{24}$, 71_{1}, $_{3}$, $_{5}$, $_{7}$, $_{16}$ – ბიზანტიის იმპერატორის მიხეილ VII დუკის მიერ მოჭრილი ოქროს ფული.

დღისა 59_{1} – სივრცის საზომი, დღიური.

ეგევითარი 80_{15-16}, 86_{11} – ეგეთი; ეგევითარადვე 78_{11} – ეგრეთვე.

ევლოგიაჲ (ბერძნ. εὐλογία) 68_{16} – ძღვენი, მირთმეული სასულიერო პირისადმი, აქ საჭმელ-სასმელი.

ეკლესიაჲ (ბერძნ. ἐκκλησία) 66_{1-2}, 77_{26} – ქრისტიანული ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილი შენობა; მორწმუნეთა კრებული; საეკლესიოდ დადებაჲ 85_{9-10}, საეკლესიოდ დამარხვაჲ 84_{7} – საეკლესიოდ, საერთო საჭიროებისათვის შენახვა.

ეპისკოპოსი (ბერძ. ἐπίσκοπος) 69_{6} – საეკლესიო იერარქიის უმაღლესი ხარისხის პირი, მღვდელმთავარი.

ერთგზის 67_{20}, 84_{23}, 89_{23} – ერთხელ.

ერთსულნი (ძმანი) 62_{15-16}, 72_{29} – ერთსულოვანნი.

ერთჴმობით წამებაჲ 65_{7} – ერთხმად წამებაჲ (ნ.).

ერისთავთ-ერისთავი 91_{1} – დიდი მოხელე, სამხედრო-ადმინისტრაციული ოლქის მმართველი.

ერისკაცი 69_{10}, 72_{19} – საერო პირი; 80_{22}, $_{25-26}$ – იგულისხმება მონასტრის მსახური (ნ.), რომელიც აგრეთვე საერო პირი იყო.

ერმრავალი (ქალაქი) – 73_{8-9} – ხალხმრავალი.

ესევითარი 67_{25}, 81_{2} და სხვ. – ასეთი, ამგვარი.

ვაჭრობაჲ (შდ. სომხ. վաճառ) 62_{10}, 72_{8}, $_{15}$, 81_{25}.

ვახში (სპარს.) 72_{10} – სარგებლის სარგებელი; მევახშეობაჲ 72_{24} – ვახშის აღება.

ვენაჯი 62_{1}, 80_{15}, 81_{18}, 82_{4}.

ვეცხლისმოყუარებაჲ 79_{15-16}, $_{20}$, 82_{7-8} – ანგარება.

ვიდრემე 63_{19}, 70_{16} – უკვესავით, „ხოლო"-ს საწინააღმდეგო ზმნისზედა.

ვიეთიმე 61_{20}, 68_{28}, 77_{14} – ზოგიერთი, ვინმე.

ვითარი 63_{7} – როგორი; ვითარ 66_{4} – როგორ.

ვითარმედ 63_{9}, $_{13}$ და სხვ. – რომ.

ვინაჲცა 61_{8} და სხვ. – ამიტომ, ამიტომაც.

ვნემული – ვნებიანი, გატაცებული; მავნებელი; ვნებული გემოთმოყუარებაჲ 68_{11-12}, ვნებული მეგობრობაჲ 77_{16}, 83_{10-11}.

ზეგარდამოჲ 61_{5-6} – ზემო, მაღალი.

ზედამდგომელობაჲ 86_{27} – ზედამხედველობა, მზრუნველობა.

ზენანი განწესებანი – ნ. განწესებაჲ.

ზენანი ძალნი – ნ. ზეციერი იერარქია.

ზესთააღმატებული 89_{2-3}, ზეშთააღმატებული 83_{19-20} – ზეამაღლებული, ზეციერი.

ზეშთააღსრული 64_{1-2} – ზეამაღლებული.

ზეციერი იერარქია – ს. ს. ორბელიანის განმარტებით (ნ. ლექსიკ., სიტყვა „საყდარნი"), ღმერთის მსახურნი შემდეგ დასებად ანუ წოდებებად იყვნენ დაყოფილი: პირველი ხარისხისანი – საყდარნი, სერაბინნი და ქერობინნი; მეორე ხარისხისანი – უფლებანი, ძალნი და ჴელმწიფებანი; მესამე ხარისხისანი – მთავრობანი, მთავარანგელოზნი და ანგელოზნი.

ზეცისა ძალნი – ნ. ზეციერი იერარქია.

ზღუდე 90_{6}[1] – კედელი, გალავანი.

თავადნი ძმანი 71_{21}, უთავადესნი ძმანი 71_{15-16} – პირველნი, უპირველესნი, ღირსებით უფროსნი ძმანი, მონასტრის თანამდებობის პირნი, ე. წ. ჴელისუფალნი (ნ.); შდ. უხუცესი.

---

[1] უთუოდ ეს ის ზღუდეა, რომელიც 1204 წელს ააშენა ანტონ ჭყონდიდელმა (ნ. ზემ. გვ. 12).

თავნობაჲ 71_{24}, 72_{8} – ყიდვა-გაყიდვა.

თავჴედი 73_{20}, 74_{20}, 77_{7} – უგულისხმო, ბრიყვი.

თანა�აც 66_{12} – თანააძს, ევალება.

თანამდები 74_{13}, 75_{16-17} – მოვალე, პასუხისმგებელი (ყოველთა თანამდები 75_{16-17} – იგულისხმება წინამძღვარი); შდ. თანანადები.

თანანადები 64_{22} – ვალი, მოვალეობა.

თანანერგი 79_{26} – თანმყოფი, თანხლებული.

თანარბენა 73_{17} – თანამგზავრობა, თანხლება.

თანაწარუვალი 66_{12}, 74_{7}, 75_{15-16} – აუცილებელი, გარდუვალი.

თაყუანებაჲ 63_{15}, 70_{21} – მოკითხვა, მილოცვა.

თევდორობაჲ 89_{24} – ეს დღე მოდიოდა დიდი მარხვის პირველი კვირის შაბათზე.

თნებაჲ 76_{12}, 77_{14} – ამება, პირფერობა; შდ. სათნოჲ.

თუალუხუავად 79_{7} – პირუთვნელად, მიუკერძოებლად.

თჳთებაჲ 77_{4} – თვისება.

თჳნიერ 73_{6} – და სხვ. – გარდა, გამოკლებით, უიმისოდ.

თჳსი 83_{27}, 84_{22} – ნათესავი; თჳსებაჲ 77_{15-16} – ნათესაობა.

იკონომოსი (ბერძ. οἰκονόμος) 70_{19}, 71_{11}, 78_{2}, 79_{14-15} – მნე, სამეურნეო ნაწილისა და დაწესებულებათა გამგე; დიდი იკონომოსი 80_{26-27} – უფროსი იკონომოსი.

იკუნოვი(?) 57_{23} – იკონომოსი(?).

იპიტირიტისი (ბერძ. ἐπιτηρητής) 70_{26} – დამხედვარი, ბერ-მონაზონთა ყოფა-ქცევის მეთვალყურე.

იუდა 72_{22} – სახარებით ქრისტეს გამცემი, რომელმაც თავი ჩამოიხრჩო.

იშჳთი 69_{1} – იშვიათი, ძვირი; იშჳთ 68_{24} – იშვიათად.

კადრებაჲ 62_{27}, 68_{17}, 73_{10}, 75_{25}, 82_{3}, $_{15}$, 85_{22} – შებედვა, გაბედვა; უკადრელად 58_{13-14} – რომ არ ეკადრებოდეს ისე.

კანანახობაჲ (ბერძ. κανονάρχης) 67_{12} – წირვა-ლოცვის დროს მგალობელთა და წამკითხველთა ხელმძღვანელობა ლოტბარობაავით; მკითხველ-კანანახობაჲ 70_{23} – იგივე.

კანდელაკი (ბერძნ. κανδῆλα) 70_{25-26} – მნათე, მონასტრის ერთ-ერთი ხელისუფალი, განათებისა და კანდელ-სანთლების მეთვალყურე.

კანონი (ბერძნ. κανών) 61_{9}, 62_{6}, $_{13}$, 76_{20}, 81_{22}, 83_{13} – წესი; 73_{24} (კანონი გინა პატიჟი), 74_{12-14} (ურჩებისა და უწესოებისა კანონი) 58_{12} (კანონი და შეჩუენებაჲ) – სასჯელი.

კაპანი (შდ. სომხ. կապանք) 74_{27}-75_{1} – ხევი.

კაცად-კაცადი 65_{15} – თითოეული, ყოველი.

კაცობრივი 76_{12}, 77_{15} – ადამიანური, კაცური.

კეთრი 63_{2-3}, 72_{21} – ერთგვარი კანის ავადმყოფობა.

კიდეგანი 68_{17} – განაპირებული, პირთამდე სავსე.

კითხვაჲ საღმრთოჲსა წერილისაჲ 64_{19-20}, ~ წიგნისაჲ 67_{8}, $_{10}$, $_{11}$; წაკითხვაჲ, წარკითხვაჲ ძეგლისა და განგებისაჲ 89_{22-23}, $_{28}$, $_{29-30}$, 90_{1}, $_{14-15}$; შდ. მკითხველ-კანანახობაჲ (კანანახობასთან).

კმად 61_{4} – საკმაოდ.

კმასაყოფელი 90_{26} – საკმარისი.

კრებული 63_{24}, 75_{10} – გუნდი, საზოგადოება; 80_{23} – მონასტრის ძმათა საერთო კრება (შდ. საესებაჲ ძმათაჲ, წესი).

კრული 88_{14} და სხვ. – დაკრულვილი, წყევლა-შეჩვენებით შეკრული.

კრძალულებაჲ 79_{4-5}, 83_{13} – მოკრძალება, სიფრთხილე, რიდი; 83_{6} – დათმენა, თავშეკავება; განკრძალული 70_{1-2}, 81_{6-7} – ფრთხილი, თავშეკავებული, დაცული.

კულა 58_4 – კვლავ, ისევ.

კურთხევაჲ 74_{10}, 90_5, 91_9 – დალოცვა, ნებართვა; 84_{24} – ხელთდასხმა.

კურნებაჲ 65_{15} – წამლობა, ექიმობა; 77_8 – გამასწორებელი სასჯელი; განკურნებაჲ 77_{20} – გამოსწორება; მკურნალი 66_6 – ექიმი; უკურნებელი 44_{10}, 80_{10-11} – გაუსწორებელი.

ლალვაჲ (შდ. სომხ. լալիւն) 73_{12}, $_{25}$ – ჩხუბი, შუღლი.

ლოცვაჲ 74_{9-10}, 90_5 – დალოცვა; 62_{14}, 64_{18}, 78_6, 84_{10}, 85_{1-2} – ღვთისადმი ვედრება, ღვთისმსახურება.

მაგინებელი 73_{27}, 78_{17-18}; შდ. გინებაჲ.

მამაჲ (სულიერი) 64_5, 67_1, 79_{30} – მონასტრის წინამძღვარი ანუ მამასახლისი.

მამათმავალი 78_{16} – პედერასტი.

მამონა (არამეულიდან ბერძნ. μαμωνᾶς) 62_{18} – სახარებით განპირობებული სიმდიდრე.

მამულობით, მამულოვნობით (მოგება და ქონება) 80_{14}, 81_{17}, 82_3 – მკვიდრად, მემკვიდრეობით.

მარხვაჲ 62_{15} და სხვ. – ეკლესიის მიერ დაწესებული განსაზღვრული პერიოდები წლის განმავლობაში, როდესაც ხორცის ჭამა აკრძალული იყო; დიდმარხვაჲ 90_{6-7} – დაწესებული იყო 7 კვირის განმავლობაში აღდგომის წინ და იხსნებოდა აღდგომა დღეს; ქრისტეშობის მარხვაჲ 90_{9-10} – გრძელდებოდა ნოემბრის 15-დან დეკემბრის 25-მდე; მოციქულთა [მარხვაჲ] 90_{10} – იწყებოდა სული წმიდის მოსვლის (ნ.) 1 კვირის შემდეგ და თავდებოდა ივნისის 29-ს; წმიდათა მარხვათა შემოსლვაჲ 89_{23} – დიდ-მარხვის დაწყება.

მასპინძლობაჲ: ტრაპეზით მასპინძლობაჲ 69_{8-9}, მოძღურისა და დეკანოზისაგან მასპინძლობაჲ 69_{13-14}, ძმისაგან მასპინძლობაჲ 69_{20}.

მატიანე (შდ. სომხ. մատեան) 84_{16} – სულთა მატიანე, მიცვალებულის მოსახსენებელი წიგნი; მატიანეთა ჩასაწერლად შემოწირვაჲ ib. – ნ. შემოწირვაჲ.

მაცხოვარი 59_{10}, 85_{28-29} – ქრისტე.

მაწყენარი 91_6 – შეურაცხმყოფელი, მავნებელი.

მგმობარი 89_7 – უპატიოდ მხსენებელი, მაძაგებელი.

მეგობრობაჲ 77_{16}, 83_{10-11}.

მევახშეობაჲ – ნ. ვახში.

მეკარე 69_{23} – კარის მცველი, ერთ-ერთი მეთვალყურე მოხელეთაგანი მონასტერში.

მემრუშე 78_{15} – მრუშების, ე. ი. ცოლ-ქმრული ღალატის ჩამდენი.

მემჭრე 63_{14}, 69_9, 70_{24}, 79_{12}, 84_9 – მგალობელი; შდ. სამჭროჲ.

მესნეულე 70_3 – სასნეულოს, ე. ი. საავადმყოფოს გამგე და სნეულთა მომვლელი.

მეტრაპეზე – ნ. ტრაპეზი.

მეუფჱ 76_{30}, 85_{28} – უფალი, ღმერთი.

მეყსეულად 76_2 – მაშინვე, იმწამსვე.

მეშფოთე, მეშფოთეობაჲ – ნ. აღშფოთებაჲ.

მეცნიერი 69_{17} – ნაცნობი.

მეძავი 78_{14} – როსკიპი.

მეძიებელი 64_{24-25} – მაძიებელი.

მეჭურჭლე 70_{25} – საჭურჭლის გამგე, მოლარე; ნ. საჭურჭლე.

მზუარობრობაჲ – მედიდურობა, გოროზობა: ცუდადმზუაობრობაჲ 80_7 – ცრუ მედიდურობა.

მთავარანგელოზნი – ნ. ანგელოზნი.

მთავარდიაკონი – ნ. დიაკონი.

მთავრობანი 88_{27-28} – ნ. ზეციერი იერარქია.

მთხოველი – მათხოვარი: მიწყითნი მთხოველნი 69_{22} – პროფესიული მათხოვრები.

მიახლებაჲ 83_{16} – მიახლოვება;. მიუახლებელი 83_{16} – მიუახლოვებელი.

მიდგინებაჲ 62_{4-5} – მიჩენა, მიკუთვნება.

მიდევნებაჲ 78_{3-4}, 80_{19} – მიმდევრობა, მიყოლა.

მიერ 79_{21} – იქიდან.

მიერი – იმისაგანი: სახედველთა მიერი 74_{23} – სახედველთაგანი, სახედველთა (ნ.) მიერ გამოწვეული.

მიზეზი 62_{8-9}, 67_{11}, $68_{11, 25}$, $69_{2, 18-19}$, 72_{4}, $75_{9, 13, 16, 21, 28}$, 77_{15}, 78_{5-6}, 81_{24}, 82_{9}, $88_{2-3, 6}$; უმიზეზო 86_{7}-77_{15}, 78_{5-6}, 81_{24}, 82_{9}, $88_{2-3, 6}$; უმიზეზო 86_{7} – უბრალო, მიზეზმოუდევარი.

მითუალვაჲ 77_{8-9} – მიღება, ათვისება, შერგება.

მიმოვლაჲ 69_{24} – აქეთ-იქით სიარული.

მინებებაჲ 66_{26} – მინდობა, მიბარება.

მიტევებაჲ („უტევებდეს") 77_{5} – მიშვება.

მიღებაჲ საზრდელისაჲ 67_{16-17}, 68_{6-7} – პურის ჭამა.

მიწყითი 69_{22} – მუდმივი, ნიადაგი.

მიჴდომაჲ 87_{27}, 89_{5-6} – მიხვედრება, რგება.

მკითხველ-კანანახობაჲ – ნ. კანანახობაჲ.

მკურნალი – ნ. კურნებაჲ.

მკჳდრი – ძირეული მოსახლე; მემკვიდრე, მკჳდრყოფაჲ 61_{12} – მკვიდრობა, ბინადრობა; დამკჳდრებაჲ $85_{15, 24}$, 87_{4} – დაბინავება, 63_{3} – ჩვ. მნიშვნ.; დამკჳდრებული 79_{20-21}, 87_{6-7} – დაბინავებული, ფეხმოკიდებული; სამკჳდრებელი 62_{29-30}, 63_{17}, 87_{9} – მემკვიდრეობით მიღებული საკუთრება.

მოანგაჰრებაჲ – ნ. ანგაპარებაჲ.

მოგებაჲ 62_{30}, 63_{11}, 80_{14-15}, 82_{4} – შეძენა, მოპოვება; 58_{3-4} – სარფა, გამოსავალი; მონაგები $62_{21, 25}$ – შენაძენი; მოსაგებელი 64_{23} – შესაძენი, მოსაპოებელი.

მოიხდის – ნ. ხადილი.

მოკუეთაჲ 68_{3}, 72_{25}, 76_{3-4}, 77_{10} – მოჭრა, აქ გადატანითი მნიშვნელობით=განდევნა; შდ. დაკუეთებული.

მომთრვალე $73_{15, 27}$, 78_{17}, 82_{24} – ლოთი.

მონაგები – ნ. მოგებაჲ.

მონაზონი (ბერძ. μονάζων) 61_{21}, $69_{7, 9-10}$, 84_{23-24}, 89_{30} – მონასტერში დამკვიდრებული საესულიერო პირი; 63_{25-26}, 64_{11-12}, 65_{1-2}, 70_{2}, $80_{12, 22, 28}$=მწირი (ნ.); მონაზონებაჲ 86_{9} – სამონაზნო მოღვაწეობა; მონაზონებითი მოქალაქობაჲ 79_{28} – იგივე; შემოლაზუნებაჲ 85_{13} – მონაზნად შედგომა.

მონასტერი (ბერძ. μοναστήριον) 61_{1} და სხვ. – გარკვეულ წესებზე დამყარებული მონაზონთა საერთო საცხოვრებელი, დაკავშირებული ეკლესიასთან; აზნაურის მონასტერი 86_{24-25}.

მორჩილი 64_{4} – ჩვ. მნიშვნ.; 77_{23}=მწირი(?); მორჩილებაჲ $79_{25, 29}$ – ჩვ. მნიშვნ; შდ. ურჩებაჲ.

მოსაგებელი – ნ. მოგებაჲ.

მოსპობაჲ, მოსპოლვაჲ 73_{13}, 81_{17}, 83_{7-8} – აღმოფხვრა, ამოგდება; მოსასპოლველი 63_{1-2} – მომსპობელი, გამანადგურებელი.

მოსუმურობაჲ 78_{3}, 80_{18}, 82_{13}, 83_{11} – ღვინის სმა, ლოთობა.

მოსწრაფე, მოსწრაფებაჲ – ნ. სწრაფი.

მოფარდულობაჲ 62_{10-11}, 71_{27-28}, $72_{9, 24}$, 81_{25-26} – წვრილი ვაჭრობა.

მოქალაქობაჲ – ცხოვრება, მოღვაწეობა: კეთილად მოქალაქობაჲ 66_{5}, მონაზონებითი მოქალაქობაჲ 72_{28}; ანგელოზებრივი მოქალაქობაჲ 81_{19-20}; მოღუაწებითი მოქალაქობაჲ 83_{4-5}.

მოღებაჲ 75_{28}, 88_{3} – მოტანა.

მოღუაწე, მოღუაწებაჲ, მოღუაწებითი, მოღუაწებრი, მოღუაწეშუენიერებრი – ნ. ღუწაჲ.

მოშლაჲ 90_{15-16} – დარღვევა; შდ. შლაჲ.

მოცალე 64_{18}, 81_{6} – მოცლილი, თავისუფალი; უცალო 62_{13}, 80_{27} – მოუცლელი.

მოციქული 65_{22-23}, 73_{1}, 78_{13} – ქრისტიანობის მქადაგებელი პაულე; მოციქულნი 62_{7}, 63_{23-24} – ქრისტეს 12 მოწაფე; მოციქულთა [მარხვაჲ] – ნ. მარხვაჲ.

მოძღუარი 63_{10-11}, 66_{25}, 66_{28}-67_{1}, 68_{26}, 69_{13}, 70_{16}, $71_{9, 30}$, 72_{4-5}, $74_{2-3, 9, 11}$, $77_{1-2, 13}$, 78_{1}, $79_{4, 14}$, $80_{6, 23}$, 85_{8}, 90_{16-17} – მასწავლებელი, დამრიგებელი, სულიერი მამა (ნ.); აქ თითქმის უკლებლივ ყველგან მონასტრის წინამძღუარი (ნ.) იგულისხმება მოძღურად.

მოწამე – ნ. წამებაჲ.

მოწაფე $63_{10, 11}$.

მოწევნაჲ 75_{4} – შემთხვევა, შეყრა; შდ. წევნაჲ.

მოწესე – ნ. წესი.

მოხუეჭაჲ $77_{25, 29}$ – მორეწა, შეძენა, მითვისება.

მპარავი 77_{17}, 78_{17} – ქურდი.

მრავალგზის 74_{27}, 78_{27} – მრავალჯერ.

მრავალმრონინე – ნ. მრონინე.

მრავალსახე 75_{2-3} – მრავალნაირი.

მრონინე – მოხეტიალე: მრავალმრონინე 69_{21-22} – ხშირად მოხეტიალე.

მსახური 64_{6}, 71_{5-6} – მონაზონთა მოსამსახურებლად დაქირავებული საერო პირი (შდ. ერისკაცი); $85_{13, 23}$ – არათავისუფალი წოდების პირი, რომელიც მეფეს ან აზნაურს პირად სამსახურს უწევდა; მსახურებაჲ 64_{2-3}, 67_{12-13}, 70_{4}, 81_{7}, 87_{12-13} – ჩვ. მნიშვნ., შდ. სამსახური.

მსგეფსი 67_{12} – შვიდეული, ერთი კვირა: კანანახობისა მსგეფსი ib. – კანანახობის (ნ.) კვირეული მორიგეობა.

მსოფლიო 72_{11} – მდაბიო, სოფლელი (თუ ერისკაცი?); 82_{6} – საერისკაცო.

მსოფლიო კრებანი – ნ. ყოვლადმსოფლიონი კრებანი.

მსწრაფლ – ნ. სწრაფი.

მტაცებელი 78_{18} – მძარცველი.

მტკიცე 76_{26}, 89_{14} და სხვ.; დამტკიცებაჲ $76_{5, 27}$, 89_{14} – დადასტურება; დამტკიცებული 87_{23-24} – დადასტურებული, დამოწმებული; სიმტკიცე 90_{23} – სიმტკიცის, დასტურის საბუთი.

მტკრთველი – ნ. ტკრთვაჲ.

მუნ 79_{21} – იქ.

მღდელთმთავრობითი (განწესებაჲ) 80_{30-31} – მღვდელმთავართა დადგენილება, იგულისხმება მსოფლიო კრებათა დადგენილებანი.

მღდელი – მღვდელი, საეკლესიო იერარქიის მეორე ხარისხის პირი, ეკლესიაში წირვა-ლოცვის შემსრულებელი: $63_{4, 18, 22}$, $65_{1, 4}$, 81_{4}, $84_{1, 11, 15, 26}$, 88_{31} – ვიწრო მნიშვნელობით უპირისპირდება დიაკონსაც (ნ.); 64_{11}, 84_{17} – ფართო მნიშვნელობით დიაკონსაც ჰგულისხმობს (შდ. მწირველი); მღდელყოფილი 84_{10} – ყოფილი მღვდელი, ალბათ, მოხუცი ბერი, რომელსაც წირვა აღარ შეუძლიან; მღდელმემსხუერპლეობაჲ 81_{9} – მღვდელმსახურება, სპეციალ. წირვა (ნ.), როდესაც ე. წ. მსხვერპლის შეწირვა ხდება.

მყის 72_{25} და სხვ. – მაშინვე, იმწამსვე.

მყუდროჲ (ადამიანი) 73_{31} – მშვიდი, წყნარი; მყუდროებაჲ 67_{16}, 68_{2}, 72_{29} – სიმშვიდე, სიწყნარე; მყუდროებითი 83_{14} – განმარტოებითი.

მცნებაჲ 68_{27-29} – ანდერძი, ბრძანება, ღვთაებრივი კანონი.

მწირველი 68_{10}, 70_{22}, 79_{12-13}, 84_{9}, $85_{18, 22}$, 86_{21} – მღვდელი, წირვა-ლოცვის შემსრულებელი მონაზონი, მაგრამ უფრო დაბალი ღირსების, მეორე დასისა; შდ. წირვაჲ.

მწირი $63_{5,\ 25}$, 68_{10}, $71_{4,\ 6,\ 22-23}$, 79_{13}, 80_{29}, $84_{9,\ 18}$, 85_{25}, 86_{21} – უდაბლესი ხარისხის, მესამე დასის მონაზონი, საკუთრივ, მონაზონი, რომელიც არ სწირავდა და არც რაიმე თანამდებობას ასრულებდა მონასტერში.

მწყემსი (სულიერი 63_6, 66_{28}, 70_{16}, 73_{21}, 77_6, 79_{30} და სხვ. – აქ ყველგან წინამძღვრის აზრით; შდ. სამწყსოი.

მხილებაი 72_{23}, 78_{22}, 79_{17} – გამომჟღავნება, დამტკიცება; 77_{19}, 79_7 – შენიშვნა, საყვედური; ძლიერი მხილებაი 77_{7-8} – მკაცრი შენიშვნა.

მხოლოი 83_{15} – ერთი, მარტო.

მჭცოანი 81_1 – ჭაღარამოსილი.

ნათელი 76_{28} – სინათლე.

ნათესავი – 69_{17}, 75_{26}, 83_{27}, 84_{22}.

ნამეტნავი 69_{15} – ზედმეტი (შდ. გასაყოფელი); ნამეტნავ არს 79_{21} – ზედმეტია.

ნამსახური აზნაურისშვილი – ნ. აზნაურისშვილი.

ნამუშაკევი (შდ. სომხ. մշակ) 79_{24} – ნაშრომი.

ნასყიდობაი 59_1.

ნაქონები – ნ. ქონებაი.

ნაყროვანებაი, ნაყროვნებაი 68_{12}, 82_{27}-83_1 – გაუმაძღრობა, ღორმუცელობა.

ნივთი (შდ. სომხ. նիւթ) 68_{13} – საგანი; ნივთთმოყუარებაი 62_9, 81_{24} – სიმდიდრის მოყვარება.

ნუ იყოფინ 78_{19-20} – ნუ იქნება, ნუ მოხდება.

ნუ უკუე 74_{27} – შესაძლოა, ვაი თუ.

ობლობაი 57_{21} – უპატრონობა.

ოდესცა 79_{22}, 82_{15} – ოდესმე, როდისმე.

ორგზის 67_{20} – ორჯერ.

ორგულობაი (პატრონთაი) 77_{24} – ღალატი, ვერაგობა.

ორკერძოვე 73_{22-23} – ორსავ მხარეზე, ორივე მხრით.

ორნატი 62_1, 81_{18}, 82_5 – ნახნავი(?).

ოქროით დაწესებაი – ნ. წესი.

პატივი (შდ. სომხ. պատիւ) 77_{22}, 78_{10}, 79_{18} – თანამდებობა; პატიოსანი 63_{21} – პატივსაცემელი; პატიოსნებაი 80_{31}; საპატიოი $69_{5,\ 7}$ $85_{17,\ 21}$ – პატივსაცემი.

პატიჟი (შდ. სომხ. պատիժ) $73_{19,\ 24}$ – სასჯელი.

პატრონი (ლათ. patronus) 57_{19}, 63_{15}, 70_{21}, 77_{25}, 85_{16} – მესაკუთრე, მფლობელი, ბატონი, სუზერენი (ფეოდალი).

პირველი მამაი 74_{24-25} – იგულისხმება ადამი, ბიბლიით პირველი ადამიანი.

პოვნაი 61_{20}, 70_{11}, 78_{20}, 85_6 – ყოფნა, აღმოჩენა.

პურით დაწესებაი – ნ. წესი.

პყრობაი (განწესებათაი) 79_5 – დაცვა.

ჟამი (შდ. სომხ. ժամ) 65_{13-14} – აქ=წირვა-ლოცვა; ჟამის წირვაი – ნ. წირვაი.

რავზომცვა 74_{4-5} – რაზომცა, რამდენიც.

რამეთუ 61_{13}, 65_{22} და სხვ. – რადგან, ვინაიდან.

რაითა 63_1 და სხვ. – რათა.

რაითურთით 62_{28}, 67_{18} და სხვ. – სრულებით, სრულიად.

რეცა 74_5 – ვითომ, თითქოს.
რწმუნებული 77_2 – მინდობილი.

საბრკე 74_{22} – საფრთხე.
სადაცა 74_3 – სადმე.
საეკლესიოდ დადებაჲ ანუ დამარხვაჲ – ნ. ეკლესიაჲ.
საერთოდ შემოწირვაჲ – ნ. შემოწირვაჲ.
სავსებაჲ ძმათაჲ 63_{13-14} – მონასტრის ძმათა საერთო კრება, სამონასტრო ძმობის უზენაესი ორგანო; ყოველი სავსებაჲ ძმათაჲ ib. – ძმათა სრული შემადგენლობა (შდ. კრებული).
საზრდელი 67_9 – საჭმელ-სასმელი.
საზღვარი (უწესობისაჲ) 72_{14} – ზღვარი, დასასრული.
სათანადოჲ 63_8 – ჯეროვანი, მართებული.
სათნოჲ 63_{19-20}, 81_{14} – სასურველი, სასიამოვნო; სათნოებაჲ 66_9 – სიკეთე; სათნოებანი 65_{10} – კეთილი თვისებანი; სათნოებითი 72_{26} – კეთილი; შდ. თნებაჲ.
სამგზის 90_{14-15} და სხვ. – სამჯერ.
სამგუამოვნებაჲ – ნ. გუამი.
სამეფოჲ $86_{18, 24}$.
სამზარეულოჲ 64_{7-8}.
სამკკდრებელი – ნ. მკკდრი.
სამოღუანეოჲ – ნ. ღუნაჲ.
სამსახური 64_8, 74_6, 80_1, 81_3; შდ. მსახური.
სამწმიდაობაჲ 88_{25} – ღმერთი (ნ.).
სამწყსოჲ $66_{11, 20}$ – მორწმუნეთა კრებული, რომელსაც წინამძღვარი მწყსის, ე. ი. პპატრონობს, მრევლი; შდ. მწყემსი.
სამჭროჲ 70_{20} – ეკლესიის ის ნაწილი, სადაც მგალობელნი იდგნენ, კლიროსი; შდ. მემჭრე.
სანიადაგოდ 81_{21} – სამუდამოდ.
საიდუმლოჲ – ნ. უსისხლოჲ საიდუმლოჲ.
საპალნე $71_{11, 13, 15, 18, 25}$ – საზომის ერთეული.
საპატიოჲ – ნ. პატივი.
საპფი < საპფირა 63_2 – ნ. ანანია.
სარკე 66_8.
სასიკუდინე 75_3 – სასიკვდილო.
სასოებაჲ 85_{28} და სხვ. – იმედი, რწმენა.
სასტუმროჲ – ნ. სტუმარი.
სასუფეველი 78_{18} – ღმერთის სამყოფი, სამოთხე.
სასყიდელი 79_{10} – საფასური; უსასყიდლოდ 84_2 – უფასოდ.
სასწრაფო – ნ. სწრაფი.
სასჯელი (ქრისტესი) 66_{13} – სამსჯავრო, სამართალი (ე. წ. მეორედ მოსვლის დროს).
სატანისამოსლე 71_6, 87_{19} – საჩოჭე (ნ.); ტანისამოსით დაწესებაჲ – ნ. წესი.
საუბნარი – ნ. უბნობაჲ.
საურავი 74_4, 80_{28} – საზრუნავი.
საფასე 62_2 – ფული, თანხა, ქონება; შდ. ფასი სრული.
საქანელნი რისხვისანი 76_{25} – [ცის] რისხვის კარი.
საქმე საწესოჲ – ნ. წესი.
საყდარი? (ს(ა)ყუდარი) 58_3 – ეკლესია.
საყდარნი 88_{26-27}, 89_1 – ნ. ზეციერი იერარქია.

საშუალობაჲ (ძმათა კრებულისაჲ) 75_{10} – წრე, გარემო.

საჩოჴე 70_{15}, 71_{16} – ტანისამოსისათვის (ჩოჴაჲ=ანაფორა) განკუთვნილი ულუფა; შდ. სატანისამოსლე.

საძაგელისშეძინებაჲ 62_{9-10}, 77_{28-29}, 81_{25} – ანგარება, მექრთამეობა.

საწესოჲ, საწესოჲთა საქმითა დაწესებაჲ – ნ. წესი.

სანირავად შემოწირვაჲ – ნ. შემოწირვაჲ.

საჭიროჲ მიზეზი 78_{5-6} – მაიძულებელი გარემოება; საჭიროჲ მოსაგებელი 64_{23} – აუცილებელი მოსაგებელი (ნ.); საჭიროჲ საქმე 74_{7}; საჭიროდ საჴმარი 81_{3} – აუცილებლად, უსათუოდ საჴმარი (ნ.); საჭიროდ უჴმს 79_{28-29} – აუცილებლად, უსათუოდ უჴმს (ნ.).

საჭურჭლე 84_{7}, 85_{10} – სალარო; შდ. მეჭურჭლე.

სახაბაზოჲ 64_{8} – პურის საცხობი.

სახარებაჲ 76_{20} – ე. ნ. ახალი აღთქმის 4 წიგნი, რომლებიც ქრისტეს ცხოვრებასა და მოძღვრებას გადმოგვცემენ.

სახე 61_{11} – სახეობა, გვარი; 65_{19}, 68_{13}, 77_{6}, 79_{8} – მაგალითი, ნიმუში; შდ. სახიობაჲ.

სახედველი 74_{23} – თვალი.

სახიობაჲ 81_{19} – სახეობა, სახე (თუ ამ ადგილას უბრალო შეცდომა არა გვაქვს „სახეობის" მაგივრად).

სახლი $75_{15, 22}$, 76_{10}, 85_{12} – გვარი; სახლისა კაცი 85_{14} – გვარის ნევრი; სახლითი-სახლად 69_{24} – სახლიდან სახლში.

საჴმარი (არს. სახ.) 64_{16}, $70_{4-5, 10-11}$, 71_{29}, 72_{11}, 87_{21-22} – ყოველგვარი ნივთიერი საჭიროება, აქ განსაკუთრებით მოძრავი ქონება (საჭმელ-სასმელი, ტანისამოსი, ფული): საჴმარნი ტრაპეზისანი, ტრაპეზული საჴმარი 87_{17-18}, 84_{28}-85_{1} – სატრაპეზო საჭმელ-სასმელი (ნ. ტრაპეზი); ზოგადად მატერიალური საჭიროება: საჴმრისა ღუწაჲ 65_{14} – როგორც უძრავ-მოძრავი ქონების ისე თვით მონასტრის მართვა-გამგეობა, აქედან: საჴმრობაჲ 71_{2}, 84_{14} – მატერიალური სამსახურის შესრულება.

საჴმარი (ზედსართ. სახ.) 73_{29} – საჭირო, გამოსადეგი, სასარგებლო; საჴმარ-არს 70_{1} – საჭიროა, ჯერ-არს; საჴმარ-იყვნენ 81_{3} – საჭირო, გამოსადეგნი იყვნენ; შდ. ჴამს.

სენაკი (შდ. სომხ. սենեակ) 78_{3}, 80_{15}, $82_{4, 12}$, 83_{12} – მონაზნის ოთახი; სენაკითი-სენაკად 82_{12-13} – სენაკიდან სენაკში.

სერობაჲ 82_{11} – საღამოს ლოცვა, ე. ნ. მწუხრი.

სეროფიმნი (ებრ.) 88_{26} – ბიბლიით ანგელოზებრი არსებანი, ღმერთის ტახტის მცველნი; ნ. ზეციერი იერარქია.

სიბილწე (შდ. სომხ. պիղծ) 82_{23}, 83_{1} – საზიზღრობა, სისაძაგლე.

სიბოროტე – ნ. ანგაჰარებითი სიბოროტე (ანგაჰარებასთან).

სიგლისპე – ნ. გლისპობაჲ.

სილაღე (სპარს.) 80_{5-6} – თავგასულობა.

სიმდაბლე 79_{25} – თავმდაბლობა.

სიმპალე 77_{12} – ნ. დალპოლვაჲ.

სიმრავლე 61_{4} – მრავალი, დიდი რიცხვი; 62_{23-24} – მასა, აუარება.

სიმტკიცე – ნ. მტკიცე.

სისხლითა გლახაკთაჲთა განმდიდრებაჲ 72_{12-13} – ღარიბთა ხარჯით გამდიდრება.

სიტყჳს მიცემაჲ 66_{12} – პასუხის გაცემა.

სოდომიანნი – სოდომელნი. ბიბლიით სოდომი ერთი იმ ხუთ ქალაქთაგანი იყო პალესტინაში, რომლებიც ვითომ უღვთოობის გამო მიწისძვრამ დაანგრია: ხუთ-ქალაქთაებრ სოდომიანთა 76_{24} – როგორც სოდომელთა (ზოგადი მნიშვნელობით) ხუთ ქალაქს.

სოფელი 64_{2}, $86_{9-10, 12}$, 87_{9} – ქვეყანა; $80_{12, 20}$ – სოფელი.

სრული 73_8 და სხვ. სრულიად განჴდაჲ – ნ. განჴდაჲ; სრულქმნაჲ 61_7, 86_{3-4}, 87_{13} – დასრულება, შესრულება; სრულყოფაჲ 79_6 – შესრულება; სრულმყოფელი 63_{20-21} – შემსრულებელი;. დასასრული 72_{14} – ზღვარი.

სრული ფასი 59_5.

სტუმარი 68_{30}, 69_{5-6}, $_{16}$; გასტუმრებაჲ 69_{16-17}, $_{23}$ – დათხოვნა; სასტუმროჲ 87_{20} – სტუმართათვის განკუთვნილი.

სული წმიდაჲ – ნ. ღმერთი; სულისა წმიდისა მოსლვაჲ 89_{24-25} – საეკლესიო დღესასწაული, ე. წ. სული წმიდის მოფენა, მე-50 დღეს აღდგომის შემდეგ.

სულკურთხეული 58_7, 89_{3-4} – მიცვალებული.

სწავებაჲ 65_{18}, 73_{5-6} – სწავლება, დარიგება.

სწრაფი: მსწრაფლ 74_{22} – სწრაფად, მალე; მოსწრაფე 64_4, $_{14}$, $_{23-24}$ – ვინც ესწრაფვის, ვინც ცდილობს; მოსწრაფებაჲ 66_9 – გულმოდგინეობა; სასწრაფო (თანანადები) 64_{22} –რომელსაც უნდა ესწრაფოდე, ეშურებოდე.

ტანისამოსითა დაწესებაჲ – ნ. წესი.

ტრაპეზი (ბერძნ. τράπεζα) 67_{15}, $_{24}$, 68_8, $_{18}$ – მაგიდა, სუფრა; 69_8, $_{11-12}$, 83_{28}, 87_{17-18}, 89_{23} – სადილი; 64_7, 67_{22}, 70_7, $_9$, 78_7, 80_8 – სატრაპეზო, მონასტრის სასადილო; 62_4 – საკურთხეველში მდგარი ტაბლა, რომელზედაც მსხვერპლი შეინირება ღვთისმსახურების დროს, აქ საკურთხევლის, ან უფრო ზოგადად, ეკლესიისა და მონასტრის აზრით; 67_4; ტრაპეზობაჲ 67_7, 68_{20} – სადილის ჭამა; ტრაპეზული 84_{28}-85_1 – რაც სადილს სჭირდება; მეტრაპეზე 67_{20}, 70_{23} სატრაპეზოს გამგე.

ტკპიკონი (ბერძნ. τυπικός) 75_{31} – მონასტრის განგება, წესდება.

ტკრთვაჲ 65_{12} – ტვირთის აკიდება, თავის თავზე აღება; მტკრთველი 75_4 – ვინც ტვირთს აიკიდებს, აქ=მქონე.

უანდერძოჲ – ნ. ანდერძი.

უაღრესი 65_6 – აღმატებული.

უბინოჲ – ნ. ბინი.

უბნობაჲ 67_{14}, $_{19}$ – საუბარი, ლაპარაკი; საუბნარი 67_{18}-$_{19}$ – სალაპარაკო.

უგულებელსყოფაჲ 78_4 – უყურადღებოდ დატოვება.

უდაბნოჲ 86_{11}, $_{16}$, $_{26}$ და სხვ. – სავანე, მონასტერი.

უდარესი 68_{21} – უმდაბლესი, უმცირესი.

უდებებაჲ 91_5 – დაუდევრობა: უდებებად გასცენ თავი თჳსი 78_{2-3} – დაუდევრად, უგულოდ მოეპყრან თავის მოვალეობას; უდებყოფაჲ 78_{7-8} – უგულებელყოფა.

უდრტჳნველად 64_4 – უჩივლელად, უბუზღუნოდ.

უთავადესნი ძმანი – ნ. თავადნი ძმანი.

უკადრელად – ნ. კადრებაჲ.

უკეთურებაჲ 68_{13}, 73_4 – ბოროტება, არა კეთილი, ცუდი რამ.

უკურნებელი – ნ. კურნებაჲ.

უმანკოჲ 86_{13} – უმწიკვლო, უბრალო.

უმიზეზოჲ – ნ. მიზეზი.

უმიმწუხროჲ 76_{28} – დაუბნელებელი.

უმოქენეოჲ 64_{17} – გაუჭირვებელი; უმოქენეობაჲ 70_{13} – გაუჭირვებლობა.

ურჩებაჲ 74_{12}, 80_3, $_{10}$ – გაუგონრობა, უმორჩილობა; ურჩექმნებოდეს ბრძანებასა 80_{6-7} – არ დაემორჩილებოდეს, არ შეისმენდეს ბრძანებას; შდ. მორჩილი.

უსასყიდლოდ – ნ. სასყიდელი.

უსისხლოჲ საჲდუმლოჲ 63_{20} – ზიარების საიდუმლო?
უფალი 62_{17} – ბატონი.
უფლებანი 88_{27} – ნ. ზეციერი იერარქია.
უფროჲსღა 66_{7}, 68_{31} – უფრო, უმეტესად, განსაკუთრებით.
უქმსიტყუაობაჲ 83_{10} – უქმი ლაპარაკი, ამაო სიტყვაობა.
უქუეგანესი 85_{23} – უფრო დაბალი ღირსების.
უშურველი 70_{9} – დაუშურვებელი, უხვი.
უცალოჲ – ნ. მოცალე.
უცთომელი 70_{17} – შეუმცდარი.
უცხოჲ 62_{11} – შეუფერი; უცხო იყვნენ 82_{5} – მოერიდონ.
უძლურ მყოფი 70_{3-4}, უძლურად მყოფი 70_{8} – დაუძლურებული, შეუძლოდ მყოფი.
უძკრესი 72_{15} – უარესი, უბოროტესი.
უნესოჲ, უნესოდ მავალი, უნესოებაჲ – ნ. წესი.
უნუერული $75_{25, 27}$, $76_{7, 16}$=უჰასაკოჲ (ნ. ჰასაკთან).
უნყალობელი 58_{14} – შეუნყალებელი.
უნყებაჲ 68_{29} – ცოდნა; 74_{8-9} – ცნობა, შეტყობინება.
უხარებოდე – ნ. ხარებაჲ.
უხუცესი $68_{11, 20}$ – უფროსი, უთავადესი (ნ. თავადნი ძმანი).
უჴმს, უჴმდეს – ნ. ჴამს.
უჰასაკოჲ – ნ. ჰასაკი.

ფასი სრული 59_{5}; შდ. დამფასებელი, საფასე.

ქადაგი 61_{9-10} – მქადაგებელი, ქრისტეს მოძღვრების მაუწყებელი.

ქეროვიმი (ებრ.) 88_{26} – ბიბლიით სამოთხის მცველი ზღაპრული არსებანი; შდ. ზეციერი იერარქია.

ქონებაჲ 81_{17-18} – პყრობა, ჭერა; ნაქონები 77_{26}, 79_{3}, 83_{27}, 84_{20} – ქონება, საკუთრება.

ქრთამი 77_{27-28} – (ქრთამისა აღებითა გარდაქცევაჲ ჭეშმარიტებისაჲ), 79_{16-17} (ქრთამისა აღებაჲ ფარულად გინა ცხადად) – უკანონოდ აღებული, უსასყიდლო მოვალეობის ასრულებისათვის გამორთმეული სასყიდელი (ნ.).

ქრთილი (ბერძნ. χριθή) $71_{10, 12, 14, 17-18, 24}$ – ერთგვარი საკვები მარცვლეული, ქერის ჯიშისა.

ქრისტეშობის მარხვაჲ – ნ. მარხვაჲ.

ქუაბი 63_{18}, 89_{17} (ვაჰანის ქ.) – გამოქვაბული; 72_{18} (ავაზაკთა ქ.) – ბუნაგი.

ქუემოჲ (მონაზონი გინა ერისკაცი) 69_{9} – ნაკლები ღირსების.

ქუეყანაჲ 82_{6} – ჩვ. მნიშვნ., 76_{29} – მიწა.

ქცევაჲ 61_{12} – მიმოქცევა.

ღაღადებაჲ 73_{3} – ყვირილი, ხმამაღალი ლაპარაკი.

ღმერთი – ქრისტიანული წარმოდგენით ღმერთი სამი სახისა ან გვამისაგან შედგებოდა: მამისა, ძისა და წმიდისა სულისაგან (აქედან „სამგუამოვნებაჲ" (ნ.) და „სამწმიდაობაჲ" (ნ.): ღმერთი მამაჲ $88_{5, 20}$; ღმერთი ძე=ქრისტე $88_{6, 8, 20}$, 89_{8}; სული წმიდაჲ $88_{11, 20-21}$; ღმერთშემოსილი 61_{10}, 87_{2} – ზეშთაგონებული, ზეგარდმონიჭებული; ღმრთივგანბრძნობილი – ნ. განბრძნობილი; ღმრთივჴმოანი 61_{9} – ღვთის მიერ მეტყველი; ღმრთისმშობელი 89_{7-8} – სახარებით ქრისტეს მშობელი ქალწული მარიამ.

ღულარჭნილი 72_{30} – მრუდი.

ღუნაი 65_{14}, 86_{22-23} – ღვანლი, შრომა, ზრუნვა; მოღუანე 91_{8} – ვინც ღვანლს დასდებს, სპეც. მონაზონი (ნ.); მოღუაწებაი 64_{18-19}, 86_{8}, $_{17}$ – ღვაწლის ქმნა, ღვაწლის დადება, მონაზონებითი ცხოვრება; მოღუანებითი ცხორებაი 80_{31}-81_{1} – ღვაწლშემოსილი, სამონაზონო ცხოვრება; მოღუაწებითი მოქალაქობაი 83_{4-5} – იგივე; მოღუაწებრი 61_{11-12}, მოღუაწეშუენიერებრი 61_{19} – მოღვაწის მონაზონის შესაფერი, შემშვენი; სამოღუაწეოი კანონი 62_{12-13} – სამონაზონო წესი.

ყოველი სავსებაი ძმათაი – ნ. სავსებაი ძმათაი.

ყოვლადმსოფლიონი კრებანი 62_{7-8}, 81_{23} – სხვადასხვა სარწმუნოებრივი საკითხების გადასაწყვეტად მოწვეული ქრისტიანულ მღვდელმთავართა 7 მსოფლიო კრება (IV-VIII სს.), რომელთა გადაწყვეტილებანი ეკლესიის მიერ უცილობლად იყო მიჩნეული.

ყოვლად-ყოვლითურთ 68_{2}, 75_{11-12}, 76_{16-17} – სრულებით.

ყოვლითა საწესოითა საქმითა დაწესებაი – ნ. წესი.

ყოვლითკერძო 64_{12}, 70_{12} – ყოველნაირად.

ყრმაი 66_{14} – ბავშვი; 75_{25}, 76_{25}, 76_{1}, $_{7}$ – ვაჟიშვილი, ჭაბუკი.

შეკრებაი (ძმათაი მიღებად საზრდელისაი) 68_{6-7}; (შდ. კრებული).

შემდგომად 82_{10-11} – შემდეგ; 83_{22} – მიმართ, -თან, -კენ.

შემდგომითი-შემდგომად 87_{6} – შემდეგ და შემდეგ, მერმე და მერმე.

შემოლაზუნებაი – ნ. მონაზონი.

შემოსაწირავი – ნ. შემოწირვაი.

შემოსვაი (მღდელთა და დიაკონთაი) 84_{2} – სამღვდელმსახურო სამოსელის ჩაცმა ნირვის (ნ) შესასრულებლად.

შემოღებაი (განწვალვისა და განხეთქილებისაი) 68_{19} – შემოტანა.

შემოწირვაი: ~ მატიანეთა ჩასაწერლად 84_{16-17} – მიცვალებულის მოსახსენებელის ანუ აღაპის გასაჩენად შემოწირვა; ~ საერთოდ 84_{6} – უბრალო შემოწირვა, შემოსაწირავის დანიშნულების განუსაზღვრელად; ~ საწირავად 84_{3-4} – მიცვალებულისათვის ერთდროულად საწირავად შემოწირვა; შემოსაწირავი 83_{24}, 84_{3} – შეწირულება, შეწირული.

შემოხუნაი 87_{8-9} – შემოღება.

შემსჭუალული 86_{10} – მიმდევარი.

შემტკბობელი (მონაზონებისაი) 86_{8-9} – შემყვარებელი, შემტრფობელი, ტკბილად შემრაცხველი.

შემნირველი გალობისაი 88_{25-26} – გალობის მიმძღვნელი.

შეპოვნებაი 76_{11}, 77_{14} – მორიდება, მოკრძალება.

შერისხვაი 89_{9} – დაწყევლა, შეჩვენება; შერისხული 88_{17} – შეჩვენებული.

შერცხუენაი – გაწბილება: არა არცხვნოთ სასოებასა ჩემსა 87_{7-8} არ გამაწბილოთ, არ გამიცრუოთ იმედი ჩემი.

შესმენაი 78_{27} – დასმენა, დაბეზღება.

შეტრფობაი 83_{16} – შეყვარება.

შესნევდეს 84_{14} – შეეძლოს.

შეუნდობლად განვდაი – ნ. განვდაი.

შეურაცხყოფაი 73_{11} – უპატიურად მოპყრობა; შეურაცხისმყოფელი 74_{20} – შემარცხვენელი, 77_{18} – არადჩამგდები; შეურაცხებით განქიქებული – ნ. განქიქებული.

შეყოლაი: შეჰყვა 74_{14} – მოუვიდა, დაემართა.

შეყრილობაი 82_{14} – ერთად შეყრა, შეკრება.

შეცილებაი 58_{11}.

შეცულაი (წესისაგან ან პატივისაგან) 72_{4}, 78_{10} – გადაყენება.

შეძენაი 86_{5} – მოპოვება, შემატება.

შეწყონვაი 83_{21-22} – შეერთება, მიკავშირება.
შეწყნარებაი 77_9 – პატიება („შეიწყნარებდეს" – იპატიებდეს); 90_3, $_{4-5}$ – მიღება.
შვილებული 80_{16}, 81_{28} – შვილობილი, ნაშვილები.
შთაბნევაი 75_1 – ჩაგდება.
შთავრდომაი 80_{2-3} – ჩავარდნა; შდ. განვრდომაი.
შიშთვილი 72_{21} – ჩამოსახრჩობი თოკი.
შლაი (წესისა) 58_{11}, 75_{29} – დარღვევა, დაშლა; შდ. მოშლაი.
შორის მდებარე 64_{20} – რაც თან ახლავს, თანმყოფი (შორის დებაი=interesse).
შუაი 59_{2}, $_3$ – შუა-კაცი, შუამავალი.
შურმტერობაი 78_{29} – შური და მტრობა.

ჩენილი 57_{28}-58_1 – გამომჟღავნებული, გამოცხადებული; შდ. განჩენილი (განჩინებასთან), გამოჩინებაი.
ჩუკენი 78_{15} – ონანისტი.

ცალი 71_{20} – საზომის ერთეული.
ცილისწამებაი 78_{29-30}, ცილისმწამებელი 79_1, ცილის გამოჩინებაი (ნ.) 78_{30-31}.
ცოტა (კარნი) 90_7 – მცირე, პატარა.
ცრუვებაი: ეცრუვნეთ 87_{16} – უმტყუნოთ.
ცუდადმზუაობრიობაი – ნ. მზუაობრიობაი.
ცხოვარი 66_{22} – ცხვარი.
ცხოვლობაი 83_{18} – სიცოცხლე.
ცხოვნებაი 78_9 – ხსნა, გადარჩენა.

ძალნი 88_{27}, ძალნი ზენანი 88_{13}, ძალნი ზეცისანი 88_{23} – ნ. ზეციერი იერარქია.
ძალ-უც 78_9 – ძალუძს, შეუძლიან.
ძეგლი 87_{11}, $_{16}$, 89_{21}, $_{27}$, $_{31}$, 90_{14}, $_{16}$, $_{24}$, 91_9 – დაწერილი წესდება, სამართლის წიგნი.
[ძილისპირი] 82_{16} – ერთგვარი საგალობელი.
ძე ღმრთისა – ნ. ღმერთი.
ძლით – 75_{17} – ნებით; 76_{12}, 77_{17}, 78_{29} – გამო.
ძმაი, ძმანი 62_{16}, 63_9, $_{14}$, 64_3, 65_3, $_{13}$, 66_{27}, 82_1 და სხვ. – გარდა წინამძღვრისა ყოველ მონაზონს, ერისკაცთან დაპირისპირებით, ძმაი ეწოდებოდა.

წადილი 87_{31} – სურვილი, ნდომა; წადიერებაი 86_{27}, 89_{15} მონდომება, ხალისი; წადიერი 87_3 – მონდომებული, მოსურნე.
წაკითხვაი – ნ. კითხვაი.
წამებაი 65_7 – დამოწმება თანხმობისა და დასტურის აზრით; მოწამე 65_9 – დამმოწმებელი, დამადასტურებელი; წამებული 80_{31} – დამოწმებული, დადასტურებული, მოწონებული.
წამისყოფაი 64_5 – თვალის დახამხამება, თვალით ნიშნება.
წარდგინებაი 66_{10} – წარდგენა.
წარკითხვაი – ნ. კითხვაი.
წარმართებაი 65_{20}, 79_{27} – მიმართება, წარმატება.
წარმოარსებაი 88_9 – წარმოქმნა, წარმოშობა.
წარმოცარიელებაი 76_{24-25} – დაცლა, გადმოცარიელება.
წარწყმედაი 78_8 – დაღუპვა.
წევნაი 58_1 – შემთხვევა, შეყრა; შდ. მოწევნაი.

წესი (შდ. სომხ. ბէ) 61_{19}, 69_{8}, 75_{29}, 76_{11}, 81_{8}, 84_{4}, 90_{3}, 91_{3} – წესი, რიგი, კანონი; – 725 – ხარისხი; 82_{14} – ძმობა, ე. ი. ძმათა (ნ.) კრებული (ნ.); განწესებაჲ 58_{4-5}, 63_{16}, 69_{14-15}, 75_{11}, 76_{15}, $_{16}$, 79_{10}, 81_{27}, 85_{9}, 86_{20}, $_{22}$ და სხვ. – დაწესება, დადგენა, 61_{18}, 63_{23}, 77_{18}, 79_{5} – განგება, წესდება, დადგენილება; ზენანი განწესებანი 88_{30} – ზეციერი განგებანი ანუ დადგენილებანი; დაწესებაჲ 64_{11}, 79_{12}, 80_{17}, 82_{1}, 85_{22}, 89_{31}, 90_{3-4} – დადგენა (ნ.), დაყენება: მწირველთა თანა დაწესებაჲ პურითა და ოქროჲთა და ჯდომითა, ყუელაჲთა 85_{18-20} – მწირველად დადგენა შესაფერისი სარგოითურთ; მწირთა თანა დაწესებაჲ ტანისამოსითა, ოქროჲთა, პურითა და ყოვლითა საწესოჲთა საქმითა 85_{25-27} – ასევე მწირად დადგენა (შდ. საწესოჲ); მოწესე 61_{5} – მონაზონი (ნ.); საწესოჲ 70_{6}, 80_{9} – სარგო, რაც მოწესეს ეკუთვნის; საწესოჲ საქმე 85_{27} – რაც საწესოს სჭირდება; უწესოჲ 62_{5}, $_{28}$ – ურიგო, უკანონო; უწესოებაჲ 72_{13} – ურიგობა; უწესოებისა კანონი 74_{13} – წესის დარღვეულობისათვის განკუთვნილი სასჯელი; უწესოდ მაეალი 77_{17} – წესის, წესიერების დამრღვევი; წესიერებაჲ 76_{20} – წესით, კანონით დამყარებული ყოფა-ცხოვრების რიგი.

წიგნი 67_{8}, $_{10}$ – წერილი, საბუთი.

წინააღმდგომი 62_{11-12}, 66_{3-4} – წინააღმდეგი, საწინააღმდეგო.

წინააღრჩევაჲ – ნდომა, ნებება: წინააღრჩევისა მიერ 64_{1} – ნებსით.

წინამძღუარი 66_{24-25}, 70_{17}, 77_{1} – წინამძღოლი, ხელმძღვანელი, სპეც. მონასტრის ხელმძღვანელი (მამასახლისი).

წინამჯდომელობაჲ 77_{2-3} – თავმჯდომარეობა.

წინუკუანნი დღენი 90_{12} – თუ ეს გამონათქვამი მხოლოდ ოთხშაბათსა და პარასკევს შეეხება, როგორც გვაფიქრებინებს გრამატიკული შეთანხმება, მაშინ იგი შეიძლება ავხსნათ იმ წესით, რომელიც ქრისტიანულ ეკლესიაში იყო მიღებული დიდ-მარხვას (ნ.): ამ დროს წირვა (ნ.) ხდებოდა მხოლოდ შაბათ-კვირასა და დღესასწაულებში, ოთხშაბათსა და პარასკევს კი იცოდნენ ე. წ. პირველშეწირული, მოკლე წირვა, როდესაც გარეშე პირთ ზიარება არ შეეძლოთ (დანარჩენ დღეებში კი მხოლოდ ლოცვა, ე. წ. ჟამნობა სრულდებოდა). ეს წესი აქ გადმოტანილი ჩანს ქრისტეშობისა და მოციქულთა მარხვებზე (ნ.). ამასთან უნდა იყოს დაკავშირებული დიდი კარის გაღება, რომელიც საჭირო იქნებოდა ზიარების მსურველ გარეშე პირთა მონასტერში შესასვლელად.

წირვაჲ 71_{2}, $_{19}$ – უმთავრესი ქრისტიანული ღვთისმსახურება, რომლის დროსაც სრულდებოდა ე. წ. საიდუმლო ზიარება, რომელსაც მსხვერპლის შეწირვასაც უწოდებდნენ, ლიტურგია; ჟამისა წირვაჲ 84_{5} – იგივე.

წმიდაჲ დედაქალაქი 91_{9} – იერუსალემი.

წმიდაჲ პური 71_{10}, $_{12}$, $_{14}$, $_{17}$, $_{23}$ – აქ ყველგან იგულისხმება, ალბათ, იფქლი, ერთგვარი პურეული, ქრთილთან (ნ.) დაპირისპირებით.

წმიდაჲ სული – ნ. ღმერთი.

წმიდათა-წმიდაჲ 81_{11} – ეკლესიის საკურთხეველი.

წმიდათა მარხვათა შემოსლვაჲ – ნ. მარხვაჲ.

წუენი 68_{9}, $_{17}$ – სუპი.

წურთაჲ 65_{14}, 77_{19} – განსწავლა, ტუქსვა.

წყევაჲ 63_{1}, 76_{12}, 87_{24}, $_{25-26}$ – წყევლა.

წყლულებაჲ 65_{15}, 74_{23}, 75_{4} – იარა, ჭრილობა.

ხადილი – მოწოდება, მოწვევა: მოიხდის 76_{13} – მოიწოდებს, გამოიწვევს.

ხარებაჲ: უხარებოდე 90_{7} – უხარებოდ, ე. ი. ხარება დღის გამოკლებით. ხარების დღესასწაული მოდიოდა მარტის 25-ზე.

ხდილობითი 80_{18}, 82_{13}, 83_{11} –ახდილი, დაუფარავი.

ხედვანი: ხედვად ხედვათა მათ მაღალთა 64_{21-22} – გონებით ღმერთის ჭვრეტა.
ხუაიშანი (სპარს.) 76_2 – შუამდგომლობა.
ხუთქალაქთაებრ სოდომიანთა – ნ. სოდომიანნი.

ჴამს: უჴმს 74_{12}, $79_{4, 29}$ – მართებს; უჴმდეს 70_8 – მართებდეს, სჭირდებოდეს; შდ. საჴმარი.
ჴდომაჲ 73_3 – მძვინვარება, წყრომა.
ჴელდებული 57_{23} – მფარველობის ქვეშ მყოფი, მიბარებული.
ჴელისუფალი 63_{6-7}, $80_{12-13, 21}$, 90_{17} – თანამდებობის პირი.
ჴელმწიფე 72_{2-3}, 75_{14}, 90_8 – მეფე.
ჴელმწიფებაჲ – უფლებამოსილობა, უფლების ქონება: ჴელეწიფების 63_{10}, 67_{14}, 69_{23} და სხვ. – უფლება აქვს, შეუძლიან.
ჴელმწიფებანი 88_{27} – ნ. ზეციერი იერარქია.
ჴელყოფაჲ 62_{29}, 73_{18}, 75_{30} – ხელის მიყოფა, დაწყება, შედგომა.
ჴმობაჲ 76_{30} – ხმის გამოღება, ყღერა.
ჴუმევაჲ 82_{15} – სმა.

ჯდომითა დანესებაჲ – ნ. წესი.
ჯერ-არს 63_7 და სხვ. – უნდა, საჭიროა.
ჯერება (დასჯერდინ) 68_{15} – კმაყოფილება, კმარება.
ჯერი: ამის ჯერისათჳს 64_{25} – ამიტომ, ამის გამო.
ჯერისაებრ 65_{13} – ჯერისამებრ, როგორც ჯერი და რიგია.
ჯეროანი 68_{27}, ჯეროვანი 86_{20}.
ჯმნა 62_{21}, 84_{23} – უარის თქმა, ხელის აღება.
ჯვარისამაღლებაჲ 89_{25} – ქრისტიანული დღესასწაული, მოდიოდა სექტემბრის 14-ზე.

ჰავჩუეული 75_{1-2} – ავს, ბოროტს შეჩვეული.
ჰასაკი (შდ. სომხ. հասակ) 81_{1-2} – წლოვანობა; უჰასაკოჲ 75_{26}, 76_1 – მცირეწლოვანი (შდ. უწუერული).
ჰონე 74_{27} – კარგი ცხენი, რაში.

აბუსერისძე ტბელი

ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე

1233 წლ. ტექსტი

შესავალი

თავისი თხზულებისათვის წინ წამძღვარებულსა და საგანგებოდ გამოყოფილ წინადადებაში ავტორმა მას უწოდა:

„სასწაულნი წმიდისა... გიორგისნი და ანდერძი... მთქუმელისაჲ“ (2)[1].

ამგვარად, აბუსერისძე ტბელი თვითონა ჰყოფს თავის თხზულებას ორ მთავარ ნაწილად, რომელთაგან პირველი (ჩვენი გამოცემის თავები I-XIX) ლიტერატურულ-ჰაგიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებია, მეორე კი (ჩვ. გამოც. თავები XX-XXIV) საგვარეულო სულთა მატიანეს ანუ მოსახსენებელთა წიგნს წარმოადგენს.

თუმცა ეს არსად პირდაპირ ნათქვამი არაა, მაგრამ თხზულების შინაარსიდან სრულებით ცხადი ხდება, რომ მისი დაწერა, როგორც პირველი ნაწილისა, ისე მეორისაც, გამოიწვია ავტორის მიერ წამოწყებულმა ხიხათა წმინდა გიორგის ეკლესიის აღმშენებლობამ, რომლის შესახებ თავები (ჩვ. გამოც. XX-XXII) თხზულების გარდამავალ ნაწილად უნდა ჩაითვალოს, რომელიც აკავშირებს და ერთმანეთთან აბამს მის პირველსა და მეორე ნაწილს, რომლებიც სხვაფრივ არავითარ დამოკიდებულებას ურთიერთ შორის არ გვიჩვენებენ. თუ მეორე ნაწილი თხზულებისა, „ანდერძი“ ანუ სულთა მატიანე, იმიტომ დაიწერა, რომ ხიხათა ეკლესიის „შენებაჲ“ აბუსერისძე ტბელმა ჴელყო „სალოცველად გარდასრულთა ჩუენთა და ცოცხალთა“ (158), პირველ ნაწილს უნდა ცხადეყო წმინდა გიორგის ძლიერება, რომლის მფარველობაზედაც დამოკიდებული იყო ტაძრის მშენებლობის წარმატებით დასრულება, „რომლისა სრულქმნაჲ მანვე ახოვანმან მოგვანიჭოსო“ (165).

პირველი ნაწილისათვის ავტორი უფრო კონკრეტულადაც გვისახელებს თავის მიზანს. როგორც ეს უკვე განსვენებულმა აკადემიკოსმა ივ. ჯავახიშვილმა აღნიშნა, ავტორის განცხადებით (12-16), „მიზეზი“ მისი „სიტყჳსა“ „ის ყოფილა, რომ მკითხველისათვის ცხად-ეყო, მლოცავის თხოვნა წ̃ა გიორგისადმი ყოველთვის ასრულდებოდაო“[2].

მიუხედავად ასეთი ვიწროდ შემოფარგლული ამოცანისა, აბუსერისძე ტბელის თხზულება „საგულისხმიერო საისტორიო წყაროდ უნდა ჩაითვალოს იმიტომ, რომ დი-

---

[1] ფრჩხილებში ჩასმული ციფრები, თუ სხვა რამ დასახელებული არაა, აღნიშნავს ჩვენი გამოცემის პარაგრაფებს.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ძვ. ქართ. საისტ. მწერლ., თბ., 1916, გვ. 190.

დის ნიჭიერებით შედგენილ სასწაულთა აღწერილობაში იმდროინდელი შინაური ყოფა-ცხოვრება ხორცშესხმულ სურათად არის წარმოდგენილი და ამ მხრივ იგი ბევრს ახალს და მეტად საგულისხმიერო ცნობებს შეიცავს"[1]. გარდა ამისა, პირდაპირ ისტორიული ხასიათის ცნობებითაც ეს თხზულება საკმაოდ მდიდარია.

როგორც ზემონათქვამიდან ცხადი გახდებოდა, ჩვენი ავტორი დახელოვნებული მწერალი ყოფილა. მას სავსებით ნათლადა აქვს წარმოდგენილი თავისი ნაშრომის დანიშნულება და გეგმა. უეჭველია, ვიდრე ის სუფთად წერას შეუდგებოდა, მას უკვე ხელთ ჰქონდა ნაწარმოების ან შავი ან, ყოველ შემთხვევაში, კონსპექტი მაინც. სხვანაირად ძნელი ასახნელია თხზულების პირველი ნაწილისათვის დამახასიათებელი მკაფიოობა თხრობისა, შეგნებული ჩამოყალიბებულობა ცალკეული ნაკვეთებისა და თავებისა და ერთ გეზზედ აგებულობა მთელი ნაწარმოებისა. ასეთია თხზულების პირველი, უდიდესი და უმთავრესი ნაწილი, ლიტერატურული ხასიათისა. თხზულების მეორე ნაწილს, სულთა მატიანეს, ზემოაღნიშნული თვისებები არ ეტყობა. პირიქით, აქ მკითხველი ისეთ შთაბეჭდილებას ღებულებს, თითქოს ავტორი წინასწარ მოუმზადებლადა სწერდეს, რის გამოც მას უხდება ერთ ადგილას დიდი ტექსტის ამოფხეკა (§§ 172-სა და 173-ს შორის), ერთ ადგილას კი მობოდიშება: „ესე უწინარეს ჯერ იყოო" (180), ე. ი. უფრო ადრე უნდა მეხსენებინა და გამომრჩაო. საზოგადოდ, მოსახსენებლები საკმაოდ უსისტემოდაა ჩამოთვლილი.

თხზულების პირველი ნაწილი, „სასწაულნი წმიდისა გიორგისნი", არსებითად, ანეგდოტების კრებულს წარმოადგენს. ასეთი ხასიათის მოთხრობებს, რომლებშიც ამა თუ იმ წმიდანის მოღვაწეობა იყო გადმოცემული მთელ რიგ სასწაულთმოქმედებათა სახით, შუასაუკუნეებში დიდი გასავალი ჰქონდა მასობრივ მკითხველთა შორის ყველგან ქრისტიანულ ქვეყნებში[2]. ორიგინალობა აბუსერისძე ტბელის ნაწარმოებისა იმაში მდგომარეობს, რომ ის წმიდანის ცხოვრებასა და სიკვდილთან დაკავშირებულ სასწაულთმოქმედებას კი არ ასწერს, არამედ გადმოგვცემს ამბებს, რომლებიც წმიდანს მოუხდენია ავტორის და მისი წინა თაობის დროს, ავტორის სამშობლოში, გარდა ამისა, ორიგინალურია თვითონ ანეკდოტებიც, ზოგი სასაცილო, ზოგი საშინელი, მოთხრობილი ლიტონი, უბრალო ენით, მოკლედ და სხარტულად, რომლებიც ადვილად იკითხება და ადვილადაც იხსომება. საზოგადოდ, აბუსერისძე ტბელსაც, როგორც არაერთ ძველ ქართველ მწერალს, პრინციპად ჰქონდა ლაკონიურობა თხრობისა, რაზედაც ის რამდენსამე ადგილას ლაპარაკობს (65, 147, 156), რის გამოც ის „გრძელად მეტყუელებას" ერიდება. ავტორის უეჭველი ნიჭის მაჩვენებელია, რომ ზოგიერთი მისი მოთხრობა, როგორც, მაგ., წმინდა გიორგის ენა ბრგვნილად გაბაასება ბაჩილასთან, შიმშილობის დროს (თ. IX), ანდა მისი ლაღობა ქვის განაპების გაზომვისას (თ. XIV), რომლებიც ძველად, მორწმუნე მკითხველთა შორის, უთუოდ ხარხარს გამოიწვევდა, ჩვენშიც მხიარულ ღიმილს იწვევს. ამ მხრივ ავტორის განწყობილება და სტილი განსაცვიფრებელ მსგავსებასა და ნათესაობას გვიჩვენებს ქართულ ხალხურ ზღაპრებთან.

საერთო სათაურის შემდეგ (2), ავტორი მოკლე შესავალში, როგორც უკვე აღვნიშნე, თავისი „სიტყვს" მიზეზს, ანუ თხრობის მიზანს გვიხსნის (თ. I). შემდეგ, თოთხმეტ თავში (ჩვ. გამოც. თავები II-XV), რომელთა უდიდესი ნაწილი თვით ავტორის მიერაა საგანგებოდ გამოყოფილი, როგორც ცალკე ნაკვთები (იხ. ქვემ. აღწერილობის §§ 1, 2

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ძვ. ქართ. საისტ. მწერლ., თბ., 1916, გვ. 191.

[2] შდრ., მაგ. K. Krumbacher, Gesch. der byzant Litter.. 2 Aufl., Münch., 1897, S. 181.

და 15), მოთხრობილია სასწაულებრივი აღშენება წმინდა გიორგის ტაძრისა ბოლოკ-ბასილის მიერ და ამ დროს მომხდარი საკვირველებანი. ამ ნაწილს ავტორი ამთავრებს განცხადებით, რომ ყველა ეს ამბები მისთვის გაუზიარებიათ ბოლოკ-ბასილის ძის ძეს, იოსებს, და აგრეთვე მის მახლობლებს (106). ამას მოსდევს გადახვევა უშუალო თემისაგან, ორი თავის სახით (XVI და XVII), რომლებშიც მოთხრობილია ალავერდის წმინდა გიორგის სასწაული (გაგონილი ავტორის მიერ თვით იმ ყრმისაგან, რომელიც სასწაულებრივ გადატანილ იქნა განძიდან ალავერდს, 107) და ცხმორისის ტყვეთა ზედა მომხდარი სასწაული, რომლის წყაროს ავტორი არ ასახელებს, მაგრამ ვინაიდან ეს ტყვენი მისი თვისტომნი, აჭარლები არიან, თანაც ეს ამბავი ძველი ყოფილა, ტაძრის აშენებაზე უწინ მომხდარა (133), ცხადია, რომ მას იგი გაგონილი ექნებოდა იმავე სოფლის მოსახლეთაგან. ამ გადახვევას ავტორი უწესოებადა სთვლის. მას იგი, როგორცა ჩანს, თხრობის დამარღვეველად მიაჩნია, რომლის მოყვანა და თხრობაში ჩართვა მხოლოდ „სურვილმა" აიძულა (124) და იგი ჩქარობს „პირველსავე სიტყუასა" მისვლას არა თავისი სურვილისამებრ, არამედ „სასურველად წმიდისა მოწამისა" (134). ჩვენი გამოცემის XVIII თავში მოთხრობილია „ნეშტი ამის სასწაულისაჲ" (141), რომელიც ბოლოკ-ბასილის შვილიშვილის, იოსების, დროს მომხდარა, ხოლო XIX თავს შეიძლება „დასასრული სასწაულთა თქუმისაჲ" ვუწოდოთ. აქ ავტორი, სხვათა შორის, აცხადებს, რომ მან დაიდუმნა სასწაულნი გიორგისნი, რომელთა აღრიცხვა საზოგადოდ შეუძლებელი არისო (147).

როგორც ვხედავთ, მთელი პირველი ნაწილი აბუსერისძე ტბელის თხზულებისა ჩინებულ გეგმაზეა ნაგები.

ძირითადი მოთხრობის შინაარსი, რომელიც შეეხება წმინდა გიორგის ეკლესიის სასწაულებრივ აღშენებას ბოლოკ-ბასილის მიერ, მოკლედ ასეთია:

ბოლოკ-ბასილი, ვინმე ერისა-კაცთაგანი და ხელობით ქვითხურო ანუ გალატოზი, მოსარეწელად ანუ საშოვარზე მიდის „ქუეყანასა სომხითისსა, მახლობელად თფილისისსა" (26), სადაც ეკლესიის აშენებაში მონაწილეობს. აქ მას გამოეცხადება წმინდა გიორგი, რომელიც უბრძანებს: ამ მუშაობას თავი დაანებე „და აღმიშენე ტაძარი ჴელთა მიერ ოდენ შენთა" (29), რისთვისაც უნდა წახვიდე კლარჯეთის უდაბნოში, „რომელსა ჰრქჳან ოპიზაჲ" (37), და იქ მყოფ ბერს, ვინმე სტეფანეს, გამოართვა ჯორი და ქვისსათლელი იარაღის შესაქმნელი რკინაო. ბასილს უჭირს ამ ბრძანების შესრულება, მაგრამ წმიდანი მას ოჯახის ამოწყვეტით ემუქრება და იგი იძულებულია დაემორჩილოს: ტფილისის სანახებიდან იგი ჯერ სახლში ბრუნდება, სადაც მის ნაამბობს არავინ არ იჯერებს, შემდეგ მიდის ოპიზაში, სტეფანე-ბერს გამოართმევს ჯორსა და რკინას, ისევ სახლში ბრუნდება და აქ მარტოდმარტო, ჯორისა და უღლეული ხარის დახმარებით, იწყებს ტაძრის აშენებას „ქვებითა ფრიად დიდითა და მრავალთა მიერ სატკრთავადცა ძნიად შესაძლებელითა" (73). აქ მრავალნაირი საკვირველებანი ხდება: თუ მარტო იყო ბოლოკ-ბასილი, რა გინდ მძიმე ქვაც არ უნდა ყოფილიყო, იგი მას ადვილად ასწევდა, მაგრამ საკმარისი იყო ვინმე დაეხმარებოდა, რომ „ვერცა ერთისა კაცისა მიერ სატკრთავისა შემძლებელ იყვნიან შეძრვად, რაოდენცა მრავლად შეკრბიან" (21); თვითონ წმინდა გიორგიც ეხმარებოდა ხოლმე მას მუშაობაში; ზოგჯერ ქვები თავისთავად ჩამოცურდებოდნენ ხოლმე მაღლიდან და ზედ ტაძრის წინ დაეცემოდნენ და სხვ. და სხვ. – „და ესრეთ მარტომან სრულ ქმნა მით კარაულითა და უღლეულითა ტაძარი ესე საკკრველიო", დასძენს ავტორი (81).

ცოტა არ იყოს, უცნაურია, რომ ავტორს არსად გარკვევით ნათქვამი არა აქვს, თუ ნიშანდობლივ სად ხდება ეს ამბები. რადგან წმინდა გიორგი ბოლოკ-ბასილს ტფილისიდან

ოპიზაში ჰგზავნის, ამიტომ მ. ბროსეს[1] და თ. ჟორდანიას შემდეგ (ქრონიკები, II, გვ. 103 და 115, შენ.*), ჩვენს საისტორიო ლიტერატურაში გავრცელებული იყო ის აზრი, რომ ტაძრის აშენება სადღაც ოპიზის ახლოს ან თვით ოპიზაში მომხდარა[2]. ამგვარად, ბოლოკ-ბასილიც ტომით კლარჯი გამოდიოდა. მაგრამ თხზულებაში გაბნეული ცნობების დაკვირვებით შესწავლა დაგვარწმუნებს, რომ ბოლოკ-ბასილიც, თხზულების ავტორივით, აჭარელი იყო და თავისი ეკლესია მას იქვე ხიხათა ახლოს აუშენებია.

პირველ ყოვლისა, ტექსტიდან სრულებით ცხადი ხდება, რომ აბუსერისძე ტბელი ამ თავის თხზულებას ხიხაში სწერს, იმ დროს, როდესაც იქ მის მიერ წამოწყებული წმინდა გიორგის ტაძრის მშენებლობა მიმდინარეობს. ტექსტში იხსენიება ხიხანი. ძნიად მისავალი ციხე (160-162), და ხიხათა ზურგი (59), ე. ი. ხიხათა ქედი, რომელიც იქვე ახლოს უნდა მდებარეობდეს. „ხიხათა", „ხიხო-მთა", „ხიხათა მთა" რამდენიმე ყოფილა საქართველოში: ერთი (ხიხათა) გორის რაიონში[3], მეორე (ხიხო-მთა) შორაპნის რაიონში[4], მესამე (ხიხათა მთა) რაჭაში[5]. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი მოთხრობის მოქმედება აჭარაში წარმოებს (131, 139) და ამიტომ ხიხანიც აჭარაში უნდა ვეძიოთ. მართლაც, 5-ვერსიან ანუ 2-კილომეტრიან რუკაზე, ზემო-აჭარაში, აჭარის წყლის მარცხენა შემდინარის, არსიანის მთიდან ჩამომავალი სხალთის ზემოწელზე, აღნიშნულია ხიხა-ძირი[6] და იქვე, ცოტა უფრო ზემოთ, – ბაკო, რომელიც ჩვენს ტექსტშიც იხსენიება, როგორც ხიხათა ახლოს მდებარე სოფელი, რომლის მსახლობელთ „მეტის-მეტად დიდი მოიჭირვეს" ხიხათა წმინდა გიორგის ტაძრის ასაშენებლად (166) – ხოლო, როგორც მოგზაურთა ცნობებიდან ირკვევა, სხალთის სათავეებში დღესაც არის ხიხათის (ხირხათის) სახელწოდებით ცნობილი მთა, რომელზედაც ხიხათა (ხირხათის) ციხის ნანგრევებსაც უჩვენებენ[7].

---

1 Etudes de chronologie technique, Mém. de l'Acad. des sciences, VII-e série, t. XI, № 13, p. 22, PB., 1868.

2 იხ. ივ. ჯავახიშვილი, ძვ. ქართ. საისტ. მწერლობა, გვ. 191 და კ. კეკელიძე, ქართ. ლიტერატ. ისტ., I[3], თბ. 1941, გვ. 305.

3 Пагирев-ით შემდეგ კოორდინატებზე: 61-15 და 42-30.

4 Пагирев-ით შემდეგ კოორდინატებზე: 61-00 და 42-30.

5 იხსენიებს მ. ბროსე ვახუშტის გეოგრაფიის მისი გამოცემის შენიშვნაში, როგორც რუსულ რუკაზე დატანილს (იხ. ვახუშტის გეოგრაფია, ბროსეს გამოც. გვ. 382, შენ. 1).

6 დ. ბაქრაძის რუკაზე, რომელიც მას დართული აქვს თავისი გურიაში და აჭარაში მოგზაურობის აღწერილობისათვის, ამ ადგილას აღნიშნული ციხის ნანგრევებიც.

7 იხ. Г. Казбек, Три месяца в Турецкой Грузии, Тифл., 1895, стр. 23. ყაზბეგს კარგადა აქვს განსაზღვრული ხიხათა მთის მდებარეობა და მოკლედ, მაგრამ თვალხმიერადა აქვს აწერილი ხიხათა ციხეც. იგი ამბობს: სოფ. ბაკოდან „პირდაპირ აღმოსავლეთისაკენ ამართულია ციცაბო მთა ხირხათისა", რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 8534 ფუტს (=2602 მეტრს, ლ. მ.) აღწევს. ამ „მთის შუაადგილიდან პირდაპირ დასავლეთისაკენ მიდის მტკიცე სილაქვის კონტრფორსი, რომელიც მთავარ ქედზე ვიწრო ყელითაა გადაბმული და ფართო ბუნებრივ სიმაგრესა ჰქმნის, რომელზედაც ადამიანმა კედლების და კოშკების აშენება მოახერხა, რომლებიც ცნობილნი არიან ხირხათის ციხის სახელწოდებითო". შდრ. ხიხათა ციხის უფრო დაწვრილებითი აღწერილობა თ. სახოკიასი („გურია-აჭარა", ჟურნ. „მოამბე", 1901 წ., № VIII, გვ. 19-20). ხირხათის მთას იხსენიებს П. Уварова-ც (Матер. по Археол. Кавказа, вып. IV, стр. 36).

თ. ჟორდანია სწერს: „ხიხას მთა მოდის გურიის მთიდამ აჭარას და შავშეთს შუა (არსიანის ძირი) და შეურთდება პრასინის და ჭარალის მთებს" (ქრონიკ., II, გვ. 114, შენ.*). საიდანა აქვს ეს, თავის-თავად საინტერესო, ცნობა თ. ჟორდანიას, არა ჩანს და ამიტომ მას აქ არ ვიყენებ, მით უმეტეს, რომ „გურიის მთიდამ აჭარას და შავშეთს შუა", ცოტა არ იყოს, ბუნდოვანი გამონათქვამია.

ამგვარად, ავტორის საყოფელი ზედმიწევნითა გვაქვს განსაზღვრული: იგი ზემო-აჭარაში ზის, არსიანის მთაში, სამცხის საზღვარზე, და ხიხათა ციხე სწორედ ამ საზღვრისა, შემდეგ, არტაანიდან გადმომავალი გზისა და აგრეთვე, ალბათ, შავშეთიდან გადმომავალი გზის სადარაჯოს წარმოადგენს[1]. იგი აქ, როგორც აღვნიშნე, ტაძარს აშენებს[2], რომელიც ჯერ დამთავრებული არაა. სახელდობრ, ერთ ადგილას იგი სწერს: „ამათ წმიდათა ღმრთისათა მეოხებამან მეცა მომანიჭოს სრულქმნაᲲ ჩემგან სამუშაოდ კადრებულისა ხიხათა ეკლესიისაᲲ" (150) და სხვაგანაც იმეორებს: „ჴელვყავ შეკადრებად აღშენებისა, რომლისა სრულქმნაᲲ მანვე ახოვანმან მოგუანიჭოსო" (165). აქედან ჩანს, რომ თხზულების წერისას ხიხათა ტაძრის მშენებლობა ჯერ კიდევ დასრულებული არაა და რომ ავტორი იქვე ზის და ამ საქმეს ჰმეთვალყურეობს[3].

ახლა, როდესაც აბუსერისძე ტბელი ბოლოკ-ბასილის მოგზაურობას აგვიწერს ტფილისიდან სახლში, აქედან ოპიზაში და მერმე უკან, იგი შემდეგ გამონათქვამებსა ჰხმარობს: „და მოიწია ბასილი სახიდ თჳსსა" (46), აქედან – „და მიიწია რაᲲ ბასილი მონასტერსა მას ოპიზისსა" (48), და მერმე – „და მო-რაᲲ-იწია ბასილი სახიდ თჳსსა (51). ცხადია, როდესაც ბოლოკ-ბასილი სახლში ბრუნდება, ის უახლოვდება იმ ადგილს, საცა ავტორი იმყოფება, ხოლო როდესაც იგი ოპიზაში მიდის, იგი ჰშორდება ავტორის საყოფელს იმგვარადვე, როგორც საშოვარზე გამგზავრებისას იგი „წარვიდა ქუეყანასა სომხითისსა, მახლობელად თფილისისსა" (26). თვითონ ზმნაც „მოიწია || მიიწია", ერთნაირად ხმარებული ტფილისიდან სახლში დაბრუნების აღსანიშნავად და სახლიდან ოპიზაში წასვლის აღსანიშნავადაც, გვიჩვენებს, რომ ორსაც შემთხვევაში ბოლოკ-ბასილს დიდი გზა გაუკეთებია და ორივე მიმოსვლა დიდ მგზავრობად არის ნაგულისხმევი. და თუ კი მისი სახლი სადღაც ხიხათა ახლოს მდებარეობდა, მაშინ სავსებით გასაგებია, თუ რატომ არ წავიდა იგი პირდაპირ ოპიზაში, წმინდა გიორგის ბრძანებისამებრ, არამედ ჯერ სახლში გამოიარა: მართლაც, უმარჯვეს გზას ტფილისიდან ოპიზაში მისასვლელად ის ძნელად თუ გამოსძებნიდა, მით უმეტეს, რომ ეს გზა მისთვის კარგად ცნობილიც

---

[1] რომ ხიხათა ციხე თავის დროზე, როგორცა ჩანს, მეტად მნიშვნელოვან საკვანძო ადგილას ყოფილა აშენებული, რომელზედაც რამდენიმე სხვადასხვა მიმართულებით მიმავალი გზა იყრებოდა, ეს ჩანს, სხვათა შორის, გ. ყაზბეგის ცნობებიდან, რომლებიც ამ ადგილს XIX ს-ის მეორე ნახევარშიც თვალსაჩინო სამიმოსვლო პუნქტად ჰხადიან. სახელდობრ, ყაზბეგი ამბობს (დასახელ. ადგ., გვ. 23): „სოფელ ბაკოზე გადის დიდი საქარავნო გზა ახალციხიდან და არტაანიდან ბათომში. ორივე ეს გზა გარს უვლის ხირხათის მთას, ერთი ჩრდილოეთიდან მეორე კი სამხრეთიდან".

[2] სწორედ ციხეში ან სადღაც მის მახლობლად აშენებს, და არა სოფელში. ამას გვაფიქრებინებს ის ერთნაირი აღწერილობა, რომელსაც ავტორი იძლევა ციხისა და ტაძრის მდებარეობისათვის (შდრ. ტექსტის § 152 და § 162) და ის გარემოება, რომ, ეკლესიის გარდა, აბუსერისძე ტბელი სახლოვნებსაც აშენებს, ბაკოელთა „ეაზირობითა და შემოხუენითა", „მუნ შინა მისრულთა სალოცავად ჭიდროებისა მათისა ნუგეშინისსაცემელად" (166). ცხადია, რომ ტაძარი დაშორებულია სამოსახლო ადგილებს, სადღაც მაღლა მთაში იმყოფება და საჭიროებს საგანგებო ბინებს, სადგომებს, მლოცველთა მოსასვენებლად. სხვათა შორის, ციხის შიგნით ნახევრად დანგრეულ ეკლესიას იხსენიებს თ. სახოკიაც (ნახსენ. ადგ., გვ. 19).

[3] მართლაც, მინაწერებიდან ჩანს, რომ აბუსერისძე ტბელის ხელნაწერი, ვიდრე ის იმერეთში იქნებოდა წაღებული, XVI ს-მდე, სადღაც სამცხეში იყო დაცული (იხ. M. Brosset, Notice sur un manuscrit géorgien, Bullet. hist-philol. de l'Acad. des sc.. t. I, N 15 და თ. ჟორდანიას ქრონიკები, II, გვ. 110-111).

უნდა ყოფილიყო – მანგლის-თრიალეთ-კოხტასთავით ახალციხეში (ნ. ბერძენიშვილის ცნობით), შემდეგ ფოცხოვის წყლის სათავეების ახლოს მდებარე უღელტეხილით (ახლანდელი გადასავალი ურემა-დაღი) სხალთის ხეობაში[1], საიდანაც უმოკლესი გზით შეიძლებოდა შავშეთის ქედის გადალახვა და იმერხევის ხეობაში მოხვედრა (მდ. ყვირალას ხევით), რომლის ქვემოწელზეც ოპიზის მონასტერი მდებარეობდა.

საზოგადოდ, ბოლოკ-ბასილის მიერ აშენებული ტაძრის შესახებ ავტორი ისე ჰლაპარაკობს, თითქოს ეს შენობა იქვე მის ახლოს იმყოფებოდეს და იგი მას თვალით ჰხედავდეს: „ბასილი... იწყო მუშაკობად საკკრველისა ამის ტაძრისა“ (51), „და ამით ესევითარითა საკკრველებითა არს ყოველივე ესე ნამუშაკევი ამის საკკრველისა ტაძრისაჲ, დიდად შუენიერი და წმიდად გებული“ (73), ბასილმა „მარტომან... აღაშენა ტაძარი ესე საკკრველი“ (77) და ა. შ.. ბალაჰვარად დადებულ ქვაზე ავტორი შეჰნიშნავს: „რომელ არს მცირედღა უნაკლულევანეს ათერთმეტისა მტკავლისაო“ (72), თითქოს ეს ქვა თავისი ხელით გაეზომოს.

შემდეგ: ბოლოკ-ბასილის სამოქმედო ასპარეზის ტოპოგრაფია ისეთივე გამონათქვამებითაა დახასიათებული, როგორც ის ადგილები, სადაც ხიხათა ეკლესია შენდება და ხიხანი მდებარეობს. ზაქარ-წმიდის მთაზე ბოლოკ-ბასილის მიერ ატანილმა მარხილმა, უღელს რომ მოსწყდა, „მსწრაფლ შთამოვლო საზარელი იგი და მყაფარი ჩამოღმართიო“ (70), ხოლო იმ ადგილს, სადაც ხიხათა ეკლესია შენდება, ავტორი ახასიათებს, როგორც „ზარის განსაჴდელად მაღალსა და ტიალსა“ (152), ხიხათა ციხე კი თურმე „საზარელსა კლდესა“ ზედა მდებარეობდა (162). გარდა იმისა, რომ ეს აღწერილობა ერთი მეორესა ჰგავს, იგი გაცილებით უფრო უხდება არსიანის მთას და მის მწვერვალებს სხალთის სათავეებში, სადაც სიმაღლეები 2600-3000 მეტრს აღწევს[2], ვიდრე ოპიზის მიდამოებს, სადაც სიმაღლეები 1800-1900 მეტრს არ აღემატება.

ხოლო სავსებით გადამწყვეტია, ჩემი აზრით, ტექსტის შემდეგი ჩვენება: „კაზმასა შინა ქვისსა, ადგილსა და უბანსა, რომელსა ეწოდების ჯალე“, ბოლოკ-ბასილს „გამოუჩნდა საოცარი სახითა საზარელისა გუელისაჲთა“ (57); როგორც წმინდა გიორგიმ გამოუცხადა შეშინებულ ბასილს, ეს გველი ხიხათა ზურგით მოდიოდა, საიდანაც იგი თვით წმიდანს გამოუგდია, ექსორიობითაო (59). ამის შემდეგ ბასილს უნახავს, თუ ეს საოცარი, წასული „აღმოსავალით კერძო“, როგორ მოეფარა თვალს, „რაჟამს გარდავლო მთაჲ იგი ჭარალისაჲ“ (60). ამგვარად, ჯალე, სადაც ბოლოკ-ბასილს საოცარი მოსჩვენებია, ხიხათა ზურგსა და ჭარალის მთას შორის მდებარეობდა. ჯალესთან ერთად, ასეთი მდებარეობა უნდა ვიგულვოთ ბოლოკ-ბასილის მიერ აშენებული ტაძრისთვისაც, რადგან ჯალე, საიდანაც ბასილს საშენი ქვა მოჰქონდა, არ შეიძლება რომ ძლიერ დაშორებული ყოფილიყო ტაძრის ადგილს, მით უმეტეს, რომ იგი რაღაც „უბანს“ წარმოადგენდა, შეიძლება სწორედ იმ სოფლის უბანს, სადაც ბასილი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. თუ ჭარალის მთა ჯალედან აღმოსავლეთით მოდიოდა, ხიხათა ზურგი, საიდანაც წამოსულა გველი, ალბათ, მის დასავლეთით იმყოფებოდა. ჭარალის მთაც ხიხათა ზურგის ხაზზეა საძიებელი, სამცხის მხარეზე. მართლაც, 2-კილომეტრიან რუ-

---

[1] გ. ყაზბეგი გადმოგვცემს, რომ მის დროსაც ბათომიდან ახალციხეში საუკეთესო გზა გადიოდა „სხალთაზე და ბაკოზე ფოცხოვის კარანტინისაკენ“ (Три месяца в Труцкой Грузии, გვ. 29).

[2] ხიხათა (ხირხათის) ციხე, თ. სახოკიას ცნობით, ზღვის პირიდან 2601 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს („გურია-აჭარა“, ჟურნ. „მრამბე“, 1901 წ., № VIII, გვ. 19).

კაზე სწორედ ამ ხაზზეა აღნიშნული ადგილი „ჭარალი“, სახელდობრ, ფოცხოვის ხეობაში, ფოცხოვის წყლის მარჯვენა შემდინარის, ბეიუქ-გიუნეის, შუაწელზე[1]. ჭარალის მთაც ფოცხოვის აღმოსავლეთითა და ახალციხის სამხრეთით მდებარე მთა უნდა იყოს, საიდანაც ჩამოდიან დასავლეთისაკენ მიმდინარე ბეიუქ-გიუნეი, სამხრეთისაკენ მიმდინარე ბორბოლა და სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიმდინარე ურაველი. ხიხა-ძირისა და ბაკოს ხაზზე, არსიანიდან ვიდრე თრიალეთამდე, არც ერთი მთა არაა ჭარალის მთაზე უფრო მაღალი, რომლის მწვერვალების სიმაღლე 2650 მეტრს აღწევს და რომელსაც მართლაც უნდა მოჰფარებოდა დასავლეთიდან წამოსული „საოცარი“[2]. ამასთან, თუ კი ჯალეში მყოფი ბასილი, ერთდროულად, ერთი მხრით ხიხათა ზურგსა ჰხედავდა აჭარაში, მეორე მხრით კი ჭარალის მთას სამცხეში, ჯალე ძალიან მაღლობი ადგილი უნდა ყოფილიყო, საძიებელ ხაზზე კი ასეთია მხოლოდ არსიანის მწვერვალები სხალთის სათავეებში.

ამგვარად, ბოლოკ-ბასილის საცხოვრებელი და სამოღვაწეო ადგილი ზემო-აჭარაში მდებარეობს, სხალთის სათავეებში, სამცხის საზღვარზე. და მართლაც, ძეგლში ვკითხულობთ, რომ, როდესაც „სამცხე და ყოველი ადგილი საქართველოისაჲ იელტოდა ხიზნობად შიშისათჳს ხუარაზმელთაჲსა“ (135), „ესე ჯუარი ქვისაჲ, რომელი ესუენა სახელსა ზედა წმიდისა მოწამისასა“ (137), „მასღა ჟამსა შეესუენა წმიდასა ნამუშაევსა თჳსსა“ (139), „ხარებითა სამცხესა ზედა მშჳდობისაჲთა“ (138). ეს ქვის ჯვარი, როგორც ვიცით, იქვე, ბოლოკ-ბასილის მიერ აშენებული ტაძრის ახლოს იმყოფებოდა (100) და თუ მისი „შესუენება“ აქ სამცხის ამბებთანაა დაკავშირებული და იგი ხდება „ხარებითა სამცხესა ზედა მშჳდობისაჲთა“, ეს იმას ჰნიშნავს, რომ ტაძარიც ან სამცხეშივე მდებარეობს, ანდა ის ადგილი, საცა ტაძარი აშენდა, უმეშვეოდ ზედ აკრავს სამცხის საზღვარს. ამ შემთხვევაში გასაგები ხდება ისიც, თუ ბოლოკ-ბასილის შვილის იოვანესათვის „უნებლიეთ“ წართმეული ძელი როგორ შეეძლო კაცს „უდით ზურგითა თჳსითა“ მოეტანა, წმინდა გიორგის ბრძანებისამებრ (91-94). უდე, როგორც ვიცით, ქვაბლიანის ხეობაში მდებარეობს, ოცხის წყლის შესართავს ზემოთ, და აქედან ოპიზაში მიტანა ძელისა „ზურგითა თჳსითა“ სრულებით დაუჯერებული იქნებოდა[3], იმ დროს, როდესაც სხალთის სათავეებამდე უდიდან სულ 30-35 კილომეტრი იქნება და ანეკდოტიც, ამგვარად, სავსებით დამაჯერებელ იერს ღებულობდა.

დაბოლოს, ხვარაზმელთა შემოსევით გამოწვეული ხიზნობის აღწერისას ავტორი ამბობს: „და შუარტყალს შინა მყოფი თჳნიერ ნეტარისა იოსებისსა და მისთა სახლეულთაჲსა, არვინ დაშთა ულტოლველი კერძოთა აჭარისათაცაო“ (139). აქედან ცხადი ხდება, ჯერ ერთი, რომ შუარტყალი, რომელიც, სერაპიონ ზარზმელის ცხორე-

---

[1] ახალციხის სამხრ.-დასავლეთით, მდ. ბორბოლას შუაწელზე, 2-კილომეტრიანი რუკა კიდევ უჩვენებს ერთ სოფელს, რომელსაც ჭარალი ეწოდება. Пагирев-ი მხოლოდ ერთ ადგილს იცნობს ასეთი სახელწოდებისას, შემდეგ კოორდინატექზე: 60-30 და 41-45.

[2] უნდა აღვნიშნო, რომ თუ ჟორდანიას ზემომოყვანილი ცნობა – „ხიხას მთა... შეუერთდება პრასინის და ჭარალის მთებსაო“ (იხ. ზემ. გვ. 6, შენ. 1) – სწორეა, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ თვით არსიანის ქედის ერთ-ერთ შტოს ჰრქმევია ჭარალის მთა, რაც, რა თქმა უნდა, თავისთავად სავსებით შესაძლებელია.

[3] სხვათა შორის, ამით აიხსნება, რომ თ. ჟორდანიას აღნიშნული ადგილი ტექსტისა, როგორცა ჩანს, ვერ გაუგია, რის გამოც იგი სოფლის სახელს „უდეს“ ორჯერვე sic-ს მიუნერს (ქრონიკ., II, გვ. 116).

ბაში დაცული ცნობის მიხედვით შეიძლებოდა სამცხეში გვეგულვა[1], ნამდვილად აჭარაში უნდა ვეძიოთ და მეორეც ის, ჩემი აზრით, რომ ეს ადგილი, თუ კი იქ ცხოვრობდა ბასილის შვილიშვილი იოსები, სწორედ ბოლოკ-ბასილის სამშობლოს წარმოადგენდა, სადაც მას წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი აუგია, და, ამგვარად, სხალთის სათავეებში მდებარეობდა, ხიხათა ახლოს არსიანის დასავლეთ კალთებზე. მაშასადამე, ნიშანდობლივ ირკვევა ის ადგილიც, სადაც ბოლოკ-ბასილს ამდენი თავგადავასალი გადაჰხედია.

დაახლოებით შეიძლება გარკვევა იმისა, თუ როდის ააგო ბოლოკ-ბასილმა წმინდა გიორგის ტაძარი შუარტყალში[2]. 1233 წელს, როდესაც მოთხრობა იწერებოდა, ბოლოკ-ბასილის შვილიშვილი, რომელიც, როგორცა ჩანს, აბუსერისძე ტბელის უფროსი თანამედროვე ყოფილა, რადგან შუარტყლის ეკლესიის ამშენებლობის ამბავი მას სწორედ ამ უკანასკნელისაგან ჰქონდა გაგონილი (106), უკვე გარდაცვლილი იყო (148). ვინაიდან სამივე, ბასილიც, მისი ძე იოვანეც და ძის ძე იოსებიც, ავტორისათვის „ნეტარნი" არიან, უნდა ვიფიქროთ, რომ სამივე ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვლებოდა, ღრმა მოხუცებულობაში, თორემ რაიმე უბედური შემთხვევა რომ ყოფილიყო, თუნდაც ავადმყოფობა, ავტორი ამას, ალბათ, თავის მოვალეობად ჩასთვლიდა აღენიშნა. კონტექსტიდან საფიქრებელია, რომ იოსები 1233 წელზე ბევრით ადრე არ უნდა გარდაცვლილიყო[3]. თაობათა შორის რომ საბუთად 20 წელი დავდოთ, ბოლოკ-ბასილი 40 წლით ადრე უნდა ვიგულვოთ გარდაცვლილად, ე. ი. 1190 წლის ახლო ხანებში. ტაძრის აშენებისას იგი შუახნის კაცი, ასე 35-40 წლისა უნდა ყოფილიყო, რადგან მას ჯერ კიდევ შეეძლო მძიმე სამუშაოს ატანა, მაგრამ უკვე დავაჟკაცებული შვილი ჰყოლია, იოვანე, რომელსაც ის კიდევაც იხმარიებდა მძიმე საქმეზე (74) და რომელიც იმ დროს, როგორცა ჩანს, უკვე დაცოლშვილიანებულიც ყოფილა და საკუთარ სახლში ცხოვრობდა (75). თუ დავუშვით, რომ ბოლოკ-ბასილი 70 წლისა გარდაიცვალა 1190 წლის ახლო ხანებში, გამოვა, რომ შუარტყლის ტაძარი მას 1155-1160 წლის ახლო ხანებში აუგია, გიორგი III-ის მეფობის დროს.

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართვ. ერის ისტ., II, თბ., 1913, გვ. 320 და კ. კეკელიძე, ადრინდელი ფეოდ. ქართ. ლიტერატურა, თბ., 1935, გვ. 137.

[2] სახელდობრ, ყველა ნიშნებით, ეს ტაძარი, წინააღმდეგ ხიხათა ეკლესიისა, აგებულ იქნა შიგ სოფელში, ანდა, ყოველ შემთხვევაში, შედარებით დაბლობ ადგილას, სოფლის ახლოს. ამას გვაფიქრებინებს, ჯერ ერთი, აღწერილობა იმ გზისა, რომელიც გაუვლია უღლით მოწყვეტილ მარხილს ზაქარ-წმიდიდან თვით ტაძრამდე, როდესაც მას ჯერ საზარელი და მყაფარი ჩაღმართი ჩამოუვლია, მერმე, „სივაკესა შინა", ე. ი. უკვე მთის ძირას, გვერდზე დაუტოვებია იოვანე წინამორბედის ეკლესია, რომლის არსებობა უკვე სამოსახლო ადგილს გვაფიქრებინებს, გაუვლია წყალი (ეგებ თვით სხალთა ან ერთ-ერთი მისი სათავე?) და ბოლოს შეუვლია „შეღმართიცა", რომელიც, მართალია, დიდი ყოფილა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ზაქარ-წმიდის ჩამოღმართთან შედარებით მაინც ბევრით ნაკლები იქნებოდა და რომელზედაც აგრეთვე შესაძლებელია სიგელიც ვიგულვოთ (70); მეორე საბუთი თვით იმ ადგილის აღწერილობა გახლავთ, რომელზედაც ბოლოკ-ბასილს თავისი ტაძარი დაუდგამს, წმინდა გიორგის ბრძანებისამებრ: ეს ყოფილა ადგილი მწყურნები, ე. ი. წყალ-მრავალი, და მინა-ლბილი (97). – ცხადია, რომ ასეთი ადგილი ვერ იქნებოდა მაღლა მთაში, საცა ნიადაგი, პირიქით, უწყლო და კლდოვანი უნდა ყოფილიყო.

[3] ხვარაზმელთა შემოსევისას ის ჯერ ცოცხალი იყო და, ალბათ, მათ წასვლასაც მოჰსწრებია 1231 წ., რადგან არა მგონია, რომ „სამცხესა ზედა მშვიდობისა ხარება" (138) ამაზე ადრე მომხდარიყოს. ამის შემდეგ შეუსვენებია მას ქვის ჯვარი ეკლესიაში. მაშასადამე, ის უნდა 1231 წელსვე ან 1232 წელს გარდაცვლილიყო.

ახლა ჩვენთვის ნათელია როგორც ადგილი, ისე დრო ჩვენი მოთხრობის მოქმედებისა და ამით მასში დაცული ცნობების ისტორიული ღირებულება, რაღა თქმა უნდა, ბევრით მატულობს.

აღვნიშნოთ იმ მრავალ საყურადღებო ცნობათაგან, რომლებიც გაბნეულია ჩვენს მოთხრობაში, რამდენიმე უმთავრესთაგანი.

XII ს-ის შუახანების საქართველოს ყოფა-ცხოვრების დასახასიათებლად მეტად საინტერესოა, მაგ., ის გარემოება, რომ ღარიბი აჭარელი გლეხი ბოლოკ-ბასილი, მხოლოდ ერთი უღლეული ხარის პატრონი (43), რომელსაც ავტორი ახასიათებს როგორც ერისკაცსა და უსწავლელს (74) და რომელიც, ალბათ, აბუსერისძეთა ყმა იქნებოდა, ხელოსნობით ირჩენს თავს: იგი გალატოზია და, როგორც ჩანს, სეზონურად დადის „მოსარეწელად", ე. ი. საშოვარზე ანუ, როგორც რაჭაში იტყვიან ხოლმე, „მოსაგებში"[1], და ამგვარად, ცოცხლობს, ასოებრივ, „ჭელთა მიერ თჳსთა" (35), რადგან მას საკუთარი იარაღიც კი არ გააჩნია[2]. ამასთან, ის მიდის საკმაოდ შორეულ მხარეს, ტფილისის სანახებში (26), სადაც, ეტყობა, სისტემატური მშენებლობა მიმდინარეობს. მაგრამ კიდევ უფრო საინტერესოა ის, რომ ამ მოსაგებში სიარულს აჭარაში საყოველთაო ხასიათი ჰქონია და თან, ჩანს, ისეთი დიდი გაჭირვება აიძულებდა იქაურ გლეხობას სადმე გარეთ ეშოვნა დამატებითი სამუშაო, „ღონედ სიგლახაკისა თჳსისა" (125), რომ ამ მიზნით უცხოეთშიც კი მიდიოდნენ და ტყვეობის რისკსაც კი არ ერიდებოდნენ. ამ მხრით დამახასიათებელია ცხმორისის ორი მოსახლის, ე. ი. უკვე ქვემო-აჭარლების ამბავი, რომლებიც სპარსეთის საზღვარზე წასულან სამუშაოდ, იქ ტყვედ ჩავარდნილად და ძლივ-ძლივობით დაბრუნებულან სახლში (125-132). და ალბათ, თუ ყველა არა, დიდი ნაწილი მაინც იმ წარმართა ხელში პყრობილთაგან, რომლებიც წმინდა გიორგიმ ვითომც სასწაულებრივ დაიხსნა (85-89), სწორედ ასეთი გზით იქნებოდა ჩავარდნილი ტყვედ. ცხადია, რომ ასეთ პირობებში აჭარაში, რომელიც, რაჭასავით, მწირია როგორც სასოფლო-სამეურნეო ქვეყანა, მაგრამ, დ. ბაქრაძისა არ იყოს[3], ძველითგანვე ბერძნული კულტურის გავლენას განიცდიდა და ამიტომ მოკლებული არ იყო ერთგვარ განათლებას, განვითარებული უნდა ყოფილიყო სხვადასხვა ხელობა. დამახასიათებელია, მაგ., რომ X ს-ის დამდეგსაც, როდესაც ზარზმის ეკლესიას აშენებდნენ, ხუროთმოძღვარი „ქუეყანისაგან ბერძენთაჲსა, ადგილისაგან ხუფათ ნოდებულისა" მოუყვანიათ, ხოლო თანაშემწედ მისთვის გალატოზი მიუციათ, „სახელით შუარტყლელი"[4] ე. ი. ჩვენი ბოლოკ-ბასილის თვისტომი. ცნობილია, რა მყარი იყო ხელოსნობის ცენტრები შუასაუკუნეებში და ამიტომ არ უნდა გვიკვირდეს, რომ X საუკუნეში, ისევე, როგორც XIII-ში, ქვითხუროობა შუარტყლის პრივილეგიას შეადგენდა. მერმე კი აქაური მოსახლეობა (ზემო-აჭარლები), ვახუშტი ბატონიშვილის მოწმობით, ხითხუროობით ყოფილან განთქმული[5]. ხოლო ქვემო-აჭარაში, XIX ს-ში, ცნობილი იყო იარაღის, განსაკუთრებით თოფების წარმოება[6].

---

1 გადმომცა აკადემიკოსმა ალ. ჯანელიძემ.

2 როდესაც წმინდა გიორგი მას საკუთარი ეკლესიის აშენებას უბრძანებს იგი მას რკინასაც გამოუძებნის ქვის სათლელ ჭურჭელთა შესაქმნელად (41-42).

3 Бакрадзе, Археол., путеш. по Гурии и Адчаре, გვ. 78.

4 კ. კეკელიძე, ადრინდელი ფეოდ. ქართ. ლიტ., თბ. 1935, გვ. 179.

5 გეოგრაფია, გამოც. მ. ჯანაშვილის მიერ, გვ. 225.

6 Бакрадзе, Археол. путеш. по Гурии и Адчаре, გვ. 74.

ძველი აღმშენებლობის დასახასიათებლადაც მრავალი საგულისხმო ცნობა მოიპოვება ჩვენს ძეგლში. ადამიანმა, ძეგლში გაბნეული ცნობების მიხედვით, ზოგად ხაზებში შეიძლება გაითვალისწინოს თითქმის მთელი პროცესი ეკლესიის აშენებისა „ქვისაგან და კირისა" (18). რა თქმა უნდა, თავისთავად იგულისხმება მარტივი გეგმის, პატარა, ან საშუალო ზომის ერთნავიანი შენობა, რომელიც თითქმის ყოველ ქართულ სოფელში გვხვდება, თორემ დიდ და რთულ ნაგებობას ბოლოკ-ბასილი, ცხადია, ვერ მოერეოდა, უკეთ, ასეთი რამ „მსმენელთათვის" დაუჯერებელი იქნებოდა[1].

პირველ ყოვლისა, ეკლესიის ასაშენებლად, ხუროს თვითონ უნდა შეექმნა რკინის იარაღი (42), ე. ი. იგულისხმებოდა, რომ ქვითხურო, ალბათ ჩვეულებრივად, მჭედლობასაც იცნობდა. შემდეგ მას უნდა გაეთხარა საძირკვლის ჩასაყრელი ორმო, რომელიც ზოგჯერ ძალიან ღრმა შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან საძირკველი მტკიცესა და მშრალ ნიადაგზე უნდა დამდგარიყო (97-99). ქვისა და სხვა მასალის მოსატანად მას სჭირდებოდა ერთი უღელი ხარი მაინც (43) და ჯორი ქვიშის საკრებად (44). ქვას ხელოსანი მარხილით ეზიდებოდა (67), ქვიშას კი, ალბათ, ტომრებით. ქვა შეიძლებოდა მას „მიწითაც ამოეღო", თუ კი იპოვიდა, ჩვეულებრივად კი, ალბათ, „კლდისაგან" უნდა „აღმოეკაფა" (52) იარაღის საშუალებით. ასე მოტეხილი ქვა მას უნდა „შეეკაზმა" (57, 57), ე. ი. წინასწარ შეემზადებინა წასაღებად, და მარხილზე დაედო. უკვე საამშენებლო ადგილზე ხდებოდა, ალბათ, ქვის საბოლოო დამუშავება, ე. ი. მისთვის ამა თუ იმ ფორმის მიცემა და გათლა[2]. ამავე დროს მას უნდა შეემზადებინა ე. წ. „წუენი" (იხ. კიმენი, I, გვ. 18) ანუ დუღაბი: უნდა „მოეღო" ქვიშა და კირი და ისინი ერთმანეთში „აეზილა" (24). შემდეგ მას შეეძლო დაეწყო კედლის ამოყვანა და „ღორღისა და კირისა შთასხმა" (24). ცხადია, აქ იგულისხმება თლილი ქვით შემოსილი კედელი, რომლის შუაგული ღორღითა და ქვითკირით ანუ ბეტონითაა ამოვსებული. „ქვის ქვაზე დასმა" (20) და აგრეთვე, მაგ., „ბალაჰვარად დადება" (72), მუშაკს საკუთარი ზურგით უნდა ეტვირთა, რასაც, მაგ., ქოროღოს ბარელიეფებიც გვიდასტურებენ (მთიულეთში), გარდა, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით მძიმე ქვებისა, რომელთა აწევა რამდენიმე კაცის შეერთებული ძალით, ანდა საგანგებო მოწყობილობათა საშუალებით ხდებოდა. ასე და ამგვარად მიიღებოდა ტაძარი „დიდად შუენიერი და წმიდად გებული ქვებითა ფრიად დიდითა" (73).

სამწუხაროდ, შენობის გადახურვის შესახებ ჩვენს ძეგლში არავითარი ცნობა არაა დაცული.

ხიხათა ეკლესიის აშენების აღწერილობიდან ვტყობილობთ, რომ, როდესაც უფრო რთული ნაგებობა იყო შესასრულებელი, როგორსაც, ყველა ნიშნებით, ეს ტაძარი წარმოადგენდა, შედარებით შუარტყლის ეკლესიასთან, მაშინ მას (უეჭველია, ხუროთმოძღვრის გარდა) დასტრიალებდნენ „მუშაკობით მოქმედნი", „ქვისმქნელნი" და „მათნი თანაშემწენი" (152), ე. ი. შავი მუშები, გალატოზნი და მათი თანაშემწენი. სერაპიონ ზარზმელის ცხორებიდანაც ვიცით, რომ ტაძრის აშენებაში მონაწილეობას ღებულობდნენ „ხუროთმოძღუარი" ანუ „ზედამდგომელი საქმისა", „ხურონი" და „სიმრავლე მუშაკთა"[3].

---

[1] აღსანიშნავია, რომ ამ მცირე შენობასაც ჰქონია თავისი „შტოჲ", ცხადია, საზეიმო შესავალი ანუ კარიბჭე, რომელიც ტაძრის პატრონთა დასამარხავად ყოფილა განკუთვნილი (148).

[2] არა მგონია, რომ ქვის შეკაზმვის ქვეშ გათლა იგულისხმებოდეს, რადგან ასეთი რამ საამშენებლო ადგილს დაშორებული ქვისსატეხში ნამეტანი სარისკო იქნებოდა – ქვა გზაში შეიძლებოდა გაფუჭებულიყო.

[3] დასახელ. ადგ., გვ. 167, 170 და 179.

დასასრულ, ჩვენი ძეგლიდან ჩანს, რომ ჩვეულებრივად, „ვითარცა არს ჩუეულებაჲ და წესი სოფლის დასაბამითგანი“ (82), მშენებლობა კოოპერაციის საშუალებით მიმდინარეობდა ხოლმე და სახსრებიც სხვადასხვა წყაროდან იკრიბებოდა, ზოგი გადასახადის გადაწერით (166), ზოგი შემოწირულებით (173) და სხვ.

ისტორიული და ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის ცნობიდან აღვნიშნოთ შემდეგი:

ავტორის წარმოდგენით, აჭარა, რომელიც, როგორცა ჩანს, ამ დროსაც პოლიტიკურად მჭიდროდაა დაკავშირებული სამცხესთან, ამ უკანასკნელთან ერთად შედის ცნებაში „ლიხთა ამერისა საქართველოჲსა“. სახელდობრ, ავტორი იხსენიებს „წარტყუენვასა და მოოჴრებასა დედაქალაქისა ტფილისისასა და უმეტესთა ადგილთა ლიხთა ამერისა საქართველოჲსათა“ (136) ხვარაზმელთა შემოსევის დროს; სხვაგან კი, ამ ადგილთაგან, უფრო კონკრეტულად დასახელებული აქვს სამცხე (135, 138) და აჭარა (139). XIV ს-ის ჟამთააღმწერელის წარმოდგენითაც, როგორც ვიცით, მესხეთი ამერი სამეფოს ფარგლებში შედიოდა, ე. ი. ისევ-ისე ლიხთ-ამერეთის ცნებაში იგულისხმებოდა. იგი ამბობს: როდესაც დავით-ნარინი ქუთაისში მეფედ აკურთხეს, „ამერი ესე სამეფო უცალო იყო ხუარაზმელთაგან“, და მერმე უფრო ნიშანდობლივ განმარტავს: „ამისთჳს რომე მანდატურთ-უხუცესი შანშე ანის იყო და ავაგ ამირ-სპასალარი ბიჯნის და ეგრეთვე ვარამ გაგელი, ჰერნი, კახნი, სომხითარნი, ქართველნი, თორელნი და შავშ-კლარჯნი და ტაოელნი თავის-თავის სიმაგრესა შინა იყვნეს“ (ჭიჭინ. გამოც. ქც˜ა, გვ. 519).

თავისთავად ის ცნობა საინტერესოა, ჩვენი ძეგლის მიერ გადმოცემული, რომ, ხვარაზმელთა შემოსევისას, „სამცხე და ყოველი ადგილი საქართველოჲსაჲ ივლტოდა ხიზნობად“ (135) და რომ „არვინ დაშთა ულტოლველი კერძოთა აჭარისათაცა“ (139). ჩვენ, მართალია, ისედაც კარგად ვიყავით ინფორმირებული ჟამთააღმწერელის მიერ იმ აოხრება-რბევის შესახებ, რომელიც ამიერ-საქართველოს განუცდია ჯალალ-ედინისაგან „ხუთისა წლისა ჟამთა“ (ჭიჭინ. გამ. ქც˜ა, გვ. 517), მაგრამ აბუსერისძე ტბელის მოკლე და სხარტული მოთხრობა, რომელშიც თვითმხილველის განცდაა ჩაქსოვილი (შდრ. განსაკუთრებით ფრაზა: „გამოქცევასა და მოწყუედასა ზედა ლაშქართასა და მრავალთა მთავართა და კაცისშვილთასა“, 136), აკონკრეტებს და ხორცშესხმულ სახეს ანიჭებს ამ ტრაგიკულ ამბავს, მით უფრო, რომ ცნობა საყოველთაო მასობრივი ლტოლვისა და კერძოდ, კიდევ აჭარის მოსახლეობის ხიზნობის შესახებ, ცხადია, დასავლეთ საქართველოში, სრულებით ახალია.

საყურადღებოა აგრეთვე ცნობა ხიხათა ციხის შესახებ, რომელიც „მტერთა ზედა გაცემული“ ყოფილა და ავტორის პაპას აბუსერის და მის ძმას სანანოს კვლავ დაუპყრიათ „ბრძანებითა ღმრთისა სწორთა პატრონთაჲთა“ (160), ე. ი. მეფისა, რომლის ქვეშ აქ, ალბათ, თამარი უნდა იგულისხმებოდეს. საქმე ისაა, რომ, როგორც ეს ქვემოთ გვექნება განმარტებული, აბუსერისა და სანანოს სიცოცხლის წლები 1150-სა და 1200-ს შორის უნდა დავდოთ და ამიტომ ხიხათა აღება მათ მიერ ან გიორგი III-ის ბოლო-წლებში უნდა ვიგულვოთ, ან, რაც უფრო დამაჯერებელი ჩანს, თამარის მეფობის პირველ წლებში (1175-1195 წლებს შორის), როდესაც ისინი ჯერ კიდევ ახალგაზრდები იქნებოდნენ. და აი, რა თქმა უნდა, ჩვენთვის სრულებით ახალი, მოულოდნელი და გასაკვირველია ის გარემოება, რომ ამ დროს, საქართველოს პოლიტიკური ძლიერებისა და აყვავების ხანაში, როდესაც სახელმწიფო საზღვარი სამხრეთ-დასავლეთით ბასიანსა და გურჯი-ბოლაზს აღწევდა, შესაძლებელი იყო გარეშე მტრის ღრმად შემოჭრა საქართველოს ფარგლებში და არა მარტო შემოჭრა, არამედ აქ ფეხის მოკიდებაც, თუნდაც მოკლე ხნით. გასაოცარი ისაა, რომ მტერი, ალბათ თურქნი, ზემო-აჭარაში შესულა და

ძლიერი, როგორც აღწერილობიდან ჩანს, თითქმის მიუვალი ციხე დაუჭერია თითქოს ისეთ მიყრუებულ ადგილას, როგორიც ახლა სხალთის სათავეები გვეჩვენება. მაგრამ ეს სწორედ იმას ჰნიშნავს, რომ ეს ადგილები იმ დროს მიყრუებული არ ყოფილა და ამით აიხსნება ისიც, რომ აბუსერისძენი ხიხაში სხედან: ესაა საკვანძო ადგილი სამცხე-აჭარასა და ჯავახეთ-შავშეთს შორის – აქვეა, ამავ ხაზზე, ოღონდ არსიანის ქედის აღმოსავლეთ კალთებზე, მეორე ძლიერი ციხე ყუელისა.

შუასაუკუნეებში, როგორც ვიცით, სახელმწიფო საზღვრები არსად ახლო-აღმოსავლეთში და არასოდეს იმდენად მყარი არ ყოფილა, რომ სანაპირო მხარე ანაზდეული თავდასხმისაგან. ასე იყო, რა თქმა უნდა, გიორგი III-ისა და თამარის დროსაც. მაგრამ ზემო-აჭარა და კერძოდ, ხიხათა ციხე საზღვართან არც ისე ახლოს მდებარეობდა. როდის უნდა მომხდარიყო მტრის შემოჭრა ასე ღრმად სამხრეთი საქართველოს ფარგლებში, ძნელი სათქმელია, მაგრამ იმ დროს იმას აქ დიდხანს არავინ აბოგინებდა და ამიტომ ისიც ხანმოკლე ეპიზოდად უნდა მივიჩნიოთ[1].

მაგრამ ყველაზედ უფრო მნიშვნელოვანია ის ცნობები, რომლებსაც ჩვენი ძეგლი აბუსერისძეთა გვარის შესახებ გვაწვდის. ამ გვარის წარმომადგენლებს ჩვენ სხვა წყაროებიდანაც ვიცნობთ, მაგრამ XII-XIII ს-ის აბუსერისძეთა შესახებ ჩვენი ძეგლი თითქმის ერთადერთ, თანაც უხვი ცნობების შემცველ წყაროდ გვევლინება.

პირველად აბუსერისძენი ჩვენს ისტორიულ წყაროებში XI ს-ის პირველ ნახევარში გვხვდებიან. ქართლის მატიანეში ვკითხულობთ, 1028/30 წლების ქვეშ: „ხოლო ციხე არტანუჯისა ჰქონდა იოანეს ერისთავსა აბუსერსა"[2]. ეგებ აქ ტექსტის ამნაირად შესწორება აჯობებდეს: „იოანეს ერისთავსა აბუსერისძესა"? – თორემ, ცოტა არ იყოს, უცნაური იქნებოდა ორი სახელის ისე განაწილება, როგორც შემონახულ ტექსტშია. ამ იოანე აბუსერისძეს სწორედ აღნიშნულ წლებში უნდა მიეღოს (მეფისაგან) არტანუჯის ციხე და მასთან ერთად, შესაძლებელია, შავშეთის ერისთავობაც, რადგან კლარჯეთსა და აჭარას შორის მდებარე შავშეთი ბუნებრივად მასვე უნდა სჭეროდა. არტანუჯი, დაახლოებით 1011 წლამდე, როგორც ვიცით, „კლარჯთა მეფეთა" ხელში იყო, რომლებსაც ამის გამო არტანუჯელებსაც უწოდებდნენ. როდესაც რომ ბაგრატ III-მ სუმბატ და გურგენ არტანუჯელები შეიპყრო, არტანუჯი და მასთან ერთად, ცხადია, კლარჯეთიც მას უნდა რომელიმე ერთგული ერისთავისათვის ჩაებარებინა. პოლიტიკური ამბების მსვლელობა გვაფიქრებინებს, რომ ჩაბარება იოანე აბუსერისძისადმი ცოტათი მოგვი-

---

[1] თ. ჟორდანია ჰფიქრობს, რომ „აქ უნდა იგულისხმებოდეს ილდიგუზ სულტნისაგან აკლება სამხრეთის საქართველოისა" 1163 წ. (ჟორდანია შეცდომით 1172/73 წ. ასახელებს, ქრონიკ., II, გვ. 120, შენ.***). ელდიგუზს, მართალია, აუკლია გაგი, მერმე ანისის მიდამოები, მაგრამ არსაიდან არ ჩანს, რომ იგი მესხეთში შეჭრილიყოს. ჩვენი ძეგლის გამონათქვამი: „მტერთა ზედა გაცემულნი" (160), გვაფიქრებინებს, რომ ამ შემთხვევაში შინაგამცემლობასთან უნდა გვქონდეს საქმე. ხიხათა ციხის დაჭერას მტრის მიერ მე უფრო 1190/91 წელს დავდებდი, როცა გუზან აბულასანის ძე, „პატრონი კლარჯეთისა და შავშეთისა, რომელი ძველთა მეფეთა და ტაოელთა დიდებულთა ადგილსა შეეწყალა მეფესა", თამარს ხელმეორედ განუდგა, შაჰარმენთან წავიდა „და გაიტანა ტაოსკარი, ვაშლოვანი და სხუანი ციხენი მრავალნი", როდესაც მოხდა „ციხეთა შინა თურქთა შეყენება" (ჭიჭინაძის გამ. ქცˇა, გვ. 426 და 432). მაშინ თუ შედგნენ თურქნი ხიხათა ციხეშიც, სადაც ისინი ეგებ ცოტა მეტ ხანსაც დარჩნენ, ვიდრე სხვაგან.

[2] ჭიჭინაძის გამოც. ქცˇა, გვ. 319 და თაყაიშვილის გამოც. მარიამისეული ვარიანტის გვ. 481 (ხელნაწერისა), ქვემოთ ყველგან ასე იქნება ნაჩვენები: ქცˇა, 319/481.

ანებით მომხდარა, როდესაც, ალბათ, მის ხელში უნდა გადასულიყო შავშეთის ერისთავობაც. ეს პატივი 1028 წლამდე ჩანჩახ ფალელს ეპყრა. მაგრამ ჩანჩახი „წარვიდა საბერძნეთს, მისცა ციხე გარყლობისა, მიერთო ბერძენთა“ (ქცˇა, 318/481). ამის შემდეგ მეფეს, ახლა უკვე ბაგრატ IV-ს, მისთვის, როგორც მოღალატისათვის, ერისთავობა უნდა ჩამოერთმია. აი, ალბათ ამ დროს ჩაპბარდა იოანე აბუსერისძეს, როგორც ერთგულ აზნაურს, არტანუჯიცა და შავშეთის საერისთავოც. გარდა ამისა, მას, უეჭველია, აჭარაც ეჭირა (ან ეგებ მხოლოდ ზემო-აჭარა), როგორც ჩვენი ძეგლიდან ვიცით, აბუსერისძეთა მკვიდრი მამული.

1046/47 წლის ქვეშ, იმავე ქართლის მატიანეში, უკვე აბუსერის ვხედავთ არტანუჯის ერისთავად, საფიქრებელია, იოანეს ძეს. ამასთანავე ერთად ჩვენ ვხედავთ, რომ აბუსერისძეთა სამფლობელო ამ ოციოდე წლის განმავლობაში თვალსაჩინოდ გაზრდილა. სახელდობრ, აქ ვკითხულობთ, რომ აბუსერი ყოფილა „ერისთავი არტანუჯისა და ხიხათა და ციხისჯუარისა და აწყვერისა ციხისა პატრონი“ (ქცˇა, 326/490). მას, მაშასადამე, მამამისივით, უჭირავს კლარჯეთი და აჭარა და, ეგების, მათ შორის მდებარე შავშეთიც და, გარდა ამისა, სამცხის დიდი ნაწილი აწყვერამდე, ამ უკანასკნელი ციხითურთ.

ციხისჯუარი სამცხეში მდებარეობდა, ოძრჯის აღმოსავლეთით და აწყვერის ჩრდილო-დასავლეთით. მე მქონდა უკვე შემთხვევა ეჭვი გამომეთქვა იმის შესახებ, რომ სამცხის მერმინდელი პატრონების, ჯაყელთა საგვარეულო თუ სარეზიდენციო ციხედ მიჩნეული ციხისჯუარი ამჟამად თორში ცნობილი ციხისჯუარი კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ, რომ „ასეთი სახელწოდების სიმაგრე, ეტყობა, მეორეც ყოფილა, ალბათ სადღაც ოძრჯის ახლოს“[1]. მართლაც, ამის დამტკიცება შეიძლება სრულებით უდავოდ: ჟამთააღმწერელს აქვს დაცული ცნობა, რომ სამცხის ციხისჯუარი არის იგივე ჯუარის-ციხე (ქცˇა, 572/830). ხოლო ჯუარის-ციხე დატანილია ვახუშტის რუკაზე აწყურის ჩრდილო-დასავლეთით, ღადოს ძირში. დაახლოებით სწორედ ამ ადგილას მდებარეობს აწყურის სატყეოში, ზეპირი გადმოცემის თანახმად, დიდი ციხის და სამოსახლოს ნანგრევები, რომლებსაც ახლა ციხისძირს ეძახიან. სამწუხაროდ, მე ვერ მოვახერხე იქ ასვლა (ეს ადგილი დატანილია ამ სახელწოდებით 2-კილომეტრიან რუკაზეც, აბასთუმნის ჩრდილო-აღმოსავლეთით). ეს უნდა იყოს ძველი ციხისჯუარი ანუ ჯუარის-ციხე, რომელიც, თუ არა ვცდები, პირველად ქართლის მატიანეში იხსენიება, ოძრჯისა და ლომსიანთას გვერდით (ქცˇა, 281/447). ერთი ცნობაც თამარ მეფის ისტორიკოსისა გვიდასტურებს ციხისჯუარის ზემოაღწერილ მდებარეობას: გიორგი რუსის მომხრეთ, ამბობს მემატიანე, „გარდაიარეს რკინის ჯუარი და ჩავიდეს ციხისჯუარსა და დაწვეს ქალაქი ოძრჯე“ (ქცˇა, 428/651). ცხადია, რკინის ჯვარით ისინი თორში ვერ მოხვდებოდნენ. უეჭველია, ამ გადმოსავალის სადარაჯოდ, რაღაც სტრატეგიულის მოსაზრებით, უფრო მარჯვედ უცვნიათ ციხის აგება არა ზედ გზაზე, ოცხის ხეობაში, არამედ ცოტა განზე აღმოსავლეთისაკენ წაღებით და ვისაც ოძრჯის დაჭერა უნდოდა ზემოდან, იმას ჯერ ამ ციხის დაპყრობით უნდა უზრუნველეყო თავისი ზურგი. აი, ეს ციხისჯუარი XI ს-ის შუახანებში აბუსერისძეთ სჭერიათ.

აბუსერი ლიპარტი ერისთავმა გამოიტყუა ანისით და შეიპყრო, მაგრამ მალე ისევ განათავისუფლა თავისი ციხითურთ, ბაგრატ IV-სთან მძევლად მყოფი თავისი ძის იო-

[1] იხ. ჩემი წერილი: „თორელთა გენეალოგიის გარკვევის ცდა ჰამამლუს XII ს-ის წარნერებთან დაკავშირებით“, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. X, მიძღვნილი აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილისადმი, თბ., 1940, გვ. 38, შენ. 3.

ანეს ნაცვლად. იმავე წელს აბუსერი კვლავ შეიპყრეს სასირეთის ჭალაში მომხდარი ომის დროს (ქც˜ა, 327/490), რის შემდეგაც ის, ეტყობა, მალე გარდაცვლილა, რადგან მატიანე მას აღარ იხსენიებს, არამედ არტანუჯის ერისთავად, ისევ-ისე 1046/47 წლის ქვეშ, უკვე მის ძეს გრიგოლს ასახელებს (იქვე). არყის-ციხესთან მომხდარ ომში ლიპარიტ ერისთავმა გრიგოლი შეიპყრო და არტანუჯი ჩამოართვა, რაზედაც გრიგოლმა თვითონ, მისცა თანხმობა (ქც˜ა, 327/401). ეს უთუოდ ეს გრიგოლ აბუსერისძეა, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ღრტილას მომხდარ კრებაში 1046 წ.[1] და ალბათ სწორედ იგია მოხსენებული ათონის მონასტრის აღაპებში (ათონის კრებ., გვ. 225, აღ. 40). რადგან 1046/47 წელს ის ჯერ ისევ ჯეელად უნდა ვიგულვოთ (მამამისი, ყველა ნიშნით, ადრე გარდაცვლილა), მისი სიკვდილი შეიძლება 1070 წლის ახლო ხანებისათვის დავდოთ.

გრიგოლის შეპყრობისა და მის მიერ არტანუჯის დათმობის შემდეგ აბუსერისძეთა სამფლობელო ძლიერ შემცირებულა: არტანუჯი მათ აღარ დაჰბრუნებიათ, არამედ, ლიპარიტის შეპყრობის შემდეგ, 1058/59 წ., იგი ბაგრატს, როგორცა ჩანს, თავისთვის წაუღია, ხოლო სულა კალმახელი, რომელმაც ლიპარიტი შეიპყრო, ბაგრატმა ციხისჯუარითა და ოძრჴით დააჯილდოვა, ე. ი. ისევ-ისე აბუსერისძეთა ყოფილი საპატრონოთი (ქც˜ა, 330/495), რომლისგანაც მათ ხელში, ალბათ, მხოლოდღა აჭარა დარჩებოდა, რადგან შავშეთიც, როგორც ეს თამარის ისტორიკოსის თხრობიდან ვიცით, მერმე სხვის ხელში გადასულა[2]. ამას გვიდასტურებს ჩვენი ძეგლიც: აქ არ ჩანს, რომ XII-XIII ს-ის აბუსერისძეებს სხვა რამე სჭეროდეთ, გარდა აჭარისა, თუმცა ისინი ერისთავთ-ერისთავებად იწოდებიან. ეს წოდება ამ დროს, ცხადია, გარდმონაშთილა არის ამ საგვარეულოს ოდინდელი ხანმოკლე დიდებისა.

თავის „ანდერძში" აბუსერისძე ტბელი ასახელებს თავის წინაპრებს ვიდრე პაპის პაპიდამდე. თარიღებს ავტორი არსად არ იხსენიებს და ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მიახლოებით, სავარაუდოდ გამოვიანგარიშოთ აბუსერისძეთა აქ დასახელებული თაობების ცხოვრების წლები. მე მაინც ვფიქრობ, რომ ქვემოთ წარმოდგენილი სქემა, ზოგად ხაზებში, სინამდვილეს უნდა უახლოვდებოდეს, შესაძლებელია მხოლოდ ათიოდე, მაქსიმუმ ოცი წლის განსხვავებით.

ჩვენ უნდა გამოვიდეთ იქიდან, რომ თხზულების წერისას, ე. ი. 1233 წელს, აბუსერისძე ტბელი უკვე შუახნის კაცი უნდა ყოფილიყო, დაახლოებით 40 წლისა. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ ამ დროს მას უკვე შვიდი შვილი ჰყოლია (173 და 176), ეპისკოპოსობის პატივისათვის მიუღწევია და რამდენიმე ორიგინალური ნაშრომიც დაუწერია (იხ. ქვემ.). თითოეული თაობის სიცოცხლის ხანგრძლივობისათვის საშუალოდ რომ 50 წელი დავდოთ და თაობათა შორის თაბაუთად 20 წელიწადი ვივარაუდოთ, მექანიკურად შეგვიძლია მივიღოთ შემდეგი სქემა:

---

[1] საქართვ. სამოთხე, გვ. 615 და კ. კეკელიძის „ორი ექვთიმე ძველს ქართ. მწერლობაში", ჟურნ. „ჩვენი მეცნიერება", № 2-3, თბ., 1923, გვ. 109-114; ღრტილას კრებაში მონაწილეობს აგრეთვე ვინმე სანანო ყუელელი (საქ. სამ., გვ. 615). თუ გავითვალისწინეთ, რომ ყუელის ციხე ერუშეთში მდებარეობდა, თითქმის უშუალოდ აჭარა-შავშეთის საზღვარზე, და ამავე დროს გავიხსენეთ, რომ, ჩვენი ძეგლის მიხედვით, სახელი სანანო მიღებული იყო აბუსერისძეთა საგვარეულოში, შეიძლება სავარაუდოდ დავუშვათ, რომ ყუელიც ამ დროს აბუსერისძეთა ხელში იყო და რომ სანანო ყუელელი აგრეთვე ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო ამ გვარისა.

[2] სახელდობრ, 1190/91 წლის ქვეშ თამარის ისტორიკოსს, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, მოხსენებული ჰყავს „გუზან (აბულასანის ძე), პატრონი კლარჯეთისა და შავშეთისა" (ქც˜ა, 426/649).

აბუსერისძე ტბელის თაობა გადაშენებულად უნდა ვიგულვოთ 1240 წლის ახლოს და, მაშასადამე, ჩვენი ზემოხსენებული პირობისამებრ, მისი დაბადების თარიღი 1190 წლის ახლოს უნდა დაიდოს. ესენი არიან, გარდა თვით აბუსერისძე ტბელისა, მისი უფროსი ძმები, ერისთავთ-ერისთავი აბუსერი და ერისთავთ-ერისთავი ვარდან (158), და დები: პატრონი საგდუხტ, პატრონი ცაცა და დიოფალ-დიოფალი ვანენი (168-169). რომ აბუსერი და ვარდან ჩვენი ავტორის უფროსი ძმები არიან, ამას გვაფიქრებინებს შემდეგი: ხიხათა ეკლესიის აშენება მას ძმების ბრძანებით დაუწყია (158) და, გარდა ამისა, აბუსერის ის ერთ ადგილას „პატრონს" ეძახის (177). ჩემის აზრით, ეს იმას უნდა ჰნიშნავდეს, რომ აბუსერისძე ტბელი უმცროსი ძმაა, რომელიც ემორჩილება უფროსი ძმების ბრძანებებს და შესაფერისი პატივისცემით იხსენიებს მათ. მისი დებიც, ყოველ შემთხვევაში, საგდუხტ და ცაცა, რომელთაც ის აგრეთვე „პატრონებად" იხსენიებს (168), მასზე უფროსნი უნდა იყვნენ.

აბუსერისა და ვარდანს ჩვენ ვიცნობთ ამავ აბუსერისძე ტბელის ხელნაწერში შეტანილი სხვა თხზულებებიდანაც, რომელთაგან რამდენიმე მათი შეხვეწით ანუ შეკვეთითაა დაწერილი[1]. ისინი აქ გვევლინებიან როგორც დიდად განათლებულნი პირნი, მოყვარულნი მწერლობისა და მეცენატნი. ცნობილია ფილოსოფიური შინაარსის შესანიშნავი ეპისტოლე, გელათით მიწერილი არსენი ამარტოლის მიერ აბუსერისადმი, რომელსაც იგი „მთავარს, დიდგუარიანს და სახელმაღალს" ეძახის[2].

ჩვენი ძეგლის მიხედვით, აბუსერის ჰყოლია ორი ცოლი: დიოფალ-დიოფალი თამარ, რომელიც 1233 წელს უკვე გარდაცვლილი იყო და რომლისგანაც აბუსერის ძე ჰყოლია, გრიგოლი (178). და დიოფალ-დიოფალი ვახახ, რომელიც 1233 წელს აგრეთვე უკვე მიცვალებული ყოფილა და რომლის ნაშობი უნდა იყოს, ალბათ, ასული ნათელ (179 და 183). ვარდანის მეუღლე ყოფილა დიოფალ-დიოფალი ნაზი, რომლისგანაც მას ჰყოლია ორი ასული, ხათუნ და ვანენი (182-183)[3]. თვითონ აბუსერისძე ტბელს, როგორც უკვე მოვიხსენიე, შვიდი შვილი ჰყოლია: რუსუდან, ზაქარია, ივანე, ონოფრე, აღსართან და „ორი მარჩბივნი", ქალ-ვაჟი, რომლებიც 1233 წელს ცოცხლებში აღარ ყოფილან. მის ცოლს ჰრქმევია ბაგულ (თუ შაგულ?) (173 და 176).

თუ აბუსერისძე ტბელის თაობის ცხოვრების წლები დაახლოვებით 1190-სა და 1240-ს შორის დავდეთ, მაშინ მისი მამის თაობის წლები დაახლოვებით 20-ოდე წლით უფრო ადრე უნდა მოვიდეს და 1170-სა და 1220-ს შორის მოექცევა. ამ თაობის წარმომადგენლები არიან ჩვენს ძეგლში: აბუსერისძე ტბელის მამა, ერისთავთ-ერისთავი ივანე (157), და მისი ბიძა, ე. ი. ივანეს ძმა, ერისთავთ-ერისთავი გრიგოლ (180). 1233 წელს ორივე უკვე მიცვალებული ყოფილა. ივანე თრუქთა ხელით აღსრულებულა (157), რაც, ალბათ, მართლაც ბასიანის ომში მოხდებოდა 1206 წელს, როგორც ეს აღნიშნული აქვს თ. ჟორდანიას[4]. მისი მეუღლე, ჩვენი ავტორის დედა, დიოფალ-დიოფალი ხათუთა, მონაზნად

---

[1] კ. კეკელიძე, ქართ. ლიტერ. ისტ., I², თბ., 1941, გვ. 301-305.

[2] თ. ჟორდანია, ქრონიკ., II, გვ. 108-110; შეიძლება, ეს აბუსერი იხსენიება მათეს სახარების თარგმანების XII-XIII ს-ის ხელნაწერის ერთს მინაწერში, რომელიც, სხვებრ, სათუოდ იკითხება (ე. თაყაიშვილი, არქეოლ. მოგზ., I, გვ. 245).

[3] ეს ხათუნი, ვინ იცის, იგივე მამახათუნია, აბუსერის ასული (Դուստր Ապուսերիին), რომელიც ხშირად იხსენიება სომხურ წარწერებში XIII ს-ის პირველ ნახევარში, როგორც მეუღლე ვაჩე სარგისის ძე ვაჩუტიანცისა, ამბერდის პატრონისა (Վրստահեանց, Վիմակ. տարեգ., გვ. 60-61, 72).

[4] ქრონიკ., II, გვ. 120, შენ.** თ. ჟორდანია შეცდომით 1201 წელსა სდებს ამ ომის თარიღად. შეიძლება ეს ივანე იყოს მოხსენებული ჯვარის მონასტრის აღაპებში (№ 41); აქვე იხსენიება კიდევ აბუსერისძეთა სიდედრი ბორენა (№ 11).

შემდგარა ქმრის სიკვდილის შემდეგ და ეკატირინედ იწოდა (157). ივანესა და გრიგოლს დები ჰყოლიათ, ფოტინე და საგდუხტ, აგრეთვე უკვე მიცვალებულნი (167).

აბუსერისძე ტბელის პაპის თაობის წლები, შესაფერისად, 1150-სა და 1200-ს შორის უნდა მოვაქციოთ. ესენი არიან: ივანეს და გრიგოლის მამა აბუსერი და მისი ძმა სანანო ახოანი (159 და 180), რომლებმაც, როგორც ზემოთ განვმარტე, ხიხათა ციხე წაართვეს თურქებს, ალბათ, 1190-იანების პირველ წლებში (160-162). აბუსერის მეუღლე უნდა იყოს პატრონი ბალიანდი, როგორც საფიქრებელია, დიდედა აბუსერისძე ტბელისა, რომელიც 1233 წელს ჯერ კიდევ ცოცხალი ჩანს, რის გამოც ავტორი მას „ბებერს" უწოდებს (181).

აბუსერისა და სანანოს მშობელნი ყოფილან ერისთავთ-ერისთავი გრიგოლ და მისი მეუღლე, პატრონი ხუაშა (180), რომელთა ცხოვრების წლები 1130-სა და 1180-ს შორის მოვა. გრიგოლს დები ჰყოლია, პატრონი ცუარი და პატრონი აგუტი (იქვე)[1].

დაბოლოს, ჩვენი ძეგლი იხსენიებს კიდევ დიოფალ-დიოფალს ნისიმეს, რომელიც ყოფილა ავტორის პაპის პაპიდა (170), ე. ი. უკანასკნელად ხსენებული გრიგოლის უცნობი მამის და. ამის წლები 1110-სა და 1160-ს შორის უნდა დავდოთ. ამგვარად, ჩვენ მივუახლოვდით XI ს-ის გრიგოლ აბუსერისძეს, რომელიც, ჩვენი ვარაუდით, 1070 წლის ახლო ხანებში უნდა მომკვდარიყო, 40 წლით, ე. ი. მასა და ნისიმეს შორის აბუსერისძეთა ორი უცნობი თაობა უნდა ვივარაუდოთ. მეორე მხრით, XIV ს-ში გვხვდება ვინმე აბუსერისძე ივანე, ამირ-სპასალარი, რომელიც 1355 წელს გარდაცვლილა[2]. თუ ჩვენს ძეგლში მოხსენებული უახლესი თაობის წლები 1210-1260-ით განვსაზღვრეთ და ივანე ამირ-სპასალარის დაბადების წელი 1300-ის ახლოს ვიგულვეთ, მაშინ ჩვენი ძეგლის უკანასკნელ თაობასა და ივანე ამირ-სპასალარს შორისაც ორი უცნობი თაობა უნდა ვივარაუდოთ.

უკანასკნელად აბუსერისძეთა შესახებ დაცული გვაქვს ცნობა სამცხე-საათაბაგოს საკათალიკოსო სამწყსოს თავადთა და სოფელთა სიაში, სადაც ვკითხულობთ: „დიასამისძეთა აქუს აბუსერისძენი სასაფლაოჲთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა"[3]. აქედან ცხადია, რომ, ალბათ XIV ს-ის დამლევისათვის, ეს გვარი საბოლოოდ დაცემულა, ისე რომ დიასამისძეთა ყმადნაფიც აზნაურებადაც კი გადაქცეულა.

ზემოთ გარჩეული ცნობების მიხედვით შეიძლება აბუსერისძეთა საგვარეულოს შემდეგი გენეალოგიური ხის შედგენა, რომელიც ცოტათი ავსებს და ასწორებს თ. ჟორდანიას მიერ შედგენილ ხეს[4]:

---

[1] აქ ტექსტი, ცოტა არ იყოს, ბუნდოვანია, ისე რომ ცუარი და აგუტი კაცმა შეიძლება აბუსერისა და სანანოს დებადაც მიიღოს.

[2] ჟორდანია, ქრონიკ., II, გვ. 183 და 185; საინტერესოა, რომ მეორე მინაწერში (გვ. 185) ის იხსენიება [ა]ბულს[ერისძე]-დ.

[3] დ. ბაქრაძის Археол. путеш. по Гурии и Адчаре, გვ. 80.

[4] ქრონიკ., II, გვ. 122-123; შდრ. Brosset-ს შედგენილი ხე, Etudes de chronologie technique, p. 22. ჩვენს გენეალოგიურ ტაბულაში არ მოხვდნენ ის აბუსერისძენი, რომლებიც მოხსენებულნი არიან სხალთის ხეობაში მდებარე სოფელ ვერნებში პირველად თ. სახოკიას მიერ აღმოჩენილი ჩუქურთმიანი ქვის წარწერაში (იხ. მისი „გურია-აჭარა", ჟურნ. „მოამბე", 1901, № IX, გვ. 11). ეს ქვა 1933 წელს ინახულა დოც. გ. ჩიტაიამ, რომელმაც წარწერის ფოტო-სურათიც გადაიღო. როგორც ეს ფოტო-სურათი, ისე მის მიერ ამოკითხული ტექსტიც გ. ჩიტაიამ, ჩემი თხოვნით, გადმომცა გამოსაცემად. აქ მოვიყვან მხოლოდ წარწერის ტექსტს, ქარაგმების გახსნით. იგი 4-სტრიქონიანია და ასე იკითხება: „ქრისტე, ადიდენ | ერისთავთ-ერისთავნი გრიგოლ და | აბუსერი და გიორგი და | შვილნი – მირიან, გრიგოლ, ქავთარ". უკანასკნელი სამი სახელი მაინცდამაინც სათუოა. პალეოგრაფიულად ეს მთავრულით შესრულებული წარწერა XII და

დასასრულ, რამდენიმე სიტყვა თვით ავტორის შესახებ.

აბუსერისძე ტბელი, მართლაც, როგორც ამას აკადემიკოსი კ. კეკელიძე ჰფიქრობს[1], ტბეთის ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო. ტბეთის ეპისკოპოსს, ჩვეულებრივად, მტბევარს ეძახდნენ, მაგრამ სხვა შემთხვევებიცა გვაქვს, როდესაც, „მტბევარის" მაგივრად, „ტბელს" იტყოდნენ ხოლმე: ასე, მაგ., ცნობილნი არიან დავით ტბელი[2], ანტონ ტბელი[3] და სხვ.. ცოტა არ იყოს, უცნაურია, რომ აბუსერისძე ტბელი ხიხაში ზის და, როგორცა ჩანს, ხანგრძლივად, მაგრამ ხიხანი და საზოგადოდ მთელი ზემო-აჭარა, როგორც ვიცით, ტბეთის ეპარქიის ფარგლებში შედიოდა[4].

თავის ოჯახთან აბუსერისძე ტბელი გაყრილი ჩანს: ამიტომაა, ალბათ, რომ თავის მეუღლეს ის როგორც ასეთს კი არ იხსენიებს, არამედ როგორც თავის შვილთა დედას (173) და თავის შვილებსაც ერთ ადგილას მის, დედის შვილებს ეძახის (იქვე), რომლებსაც იგი თვითონ თითქოს დაშორებულია. მართალია, მერმე ის ამბობს, რომ თუ, ჩამოთვლილთ გარდა, მას, ბაგულს, კიდევ მიეცეს შვილი, „სხუასა ანდერძსა შინა აღვსწერო" (174). მაგრამ აქ უკვე ავტორის შვილები არ უნდა იგულისხმებოდნენ, არამედ ბაგულ მეორედ უნდა იყოს გათხოვილი და აბუსერისძე ტბელი თავის თავს მოვალედ ჰრაცხს მისი მეორე ქმრის ხელში შეძენილი შვილებიც ახსენოს თავის ანდერძში.

1233 წელს, როდესაც ავტორი სწერს, მას უკვე რამდენიმე ორიგინალური ნაშრომი ჰქონია, ზოგი ლიტერატურული ხასიათისა – წინამდებარე თხზულება, ზოგიც მეცნიერული, როგორიცაა მის მიერ ამავე ხელნაწერში შეტანილი ვრცელი ასტრონომიული ტრაქტატი: „ქორონიკონი სრული მისითა საუწყებელითა და განგებითა", რომელიც გამოცემული აქვს მ. ბროსეს[5] და რომელიც, მიუხედავად საგნის სირთულისა და სპეციფიკურობისა, მიუხედავად მრავალი სპეციალური ტერმინისა, ისეთივე მარტივი ენითაა დაწერილი და ისევე ადვილად იკითხება, როგორც ჩვენი ძეგლი[6]. აკად. კ. კეკელიძის ეკუთვნოდეს „გალობანი სამთა იოანეთა", აგრეთვე ამავ ხელნაწერში შეტანილი[7].

ამგვარად, 1233 წელს აბუსერისძე ტბელი უკვე დამსახურებული მწერალია. ამასთან იგი, მიუხედავად იმ გულუბრყვილობისა, რომელსაც ის იჩენს წმინდა გიორგის სასწაულთმოქმედების აღწერილობისას, ღრმად და ფართოდ განათლებული ადამიანი ჩანს. ამას ამტკიცებს, ჩემი აზრით, არა მარტო ზემოხსენებული, მშვენივრად შედგენილი მეცნიერული ტრაქტატი, არამედ მისი თხზულებების ენა და სტილიც, რომელთა სისადავე, სხარტულობა და მკაფიოობა, უეჭველად, ხანგრძლივ წინასწარ გაწვრთნას, კარგ სკოლასა და საფუძვლიან მომზადებას ჰგულისხმობს. სამწუხაროდ, ჩვენი ძეგლიდან ავტორის

XIII ს-ით უნდა განისაზღვროს, მაგრამ ჩვენს ტაბულაში ნიშანდობლივ სად უნდა მოექცნენ ეს სხვაგნით უცნობნი აბუსერისძენი, ამის თქმა შეუძლებელია. ამიტომ მეტად ვერ ვისარგებლე პატივცემული გ. ჩიტაიას თავაზიანობით, რომელსაც აქ მადლობით მოვიხსენიებ.

[1] ქართ. ლიტერ. ისტ., I, გვ. 305.

[2] იქვე, გვ. 159-162.

[3] ეორდანია, ქრონიკ.. I, გვ. 215.

[4] ამის შესახებ გარკვეული ცნობა გვაქვს სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა და მწყემსთა სიაში, საცა სწერია, რომ „აჭარა დანდალოთ ზეითი" მტბევარს ჰქონია, დანდალოს ქვემოთი აჭარა ქუთათლის სამწყსო ყოფილაო" (დ. ბაქრაძე, Арх. путеш., გვ. 81).

[5] Etude de chronologie technique, ნახს. ადგ., გვ. 24-39.

[6] სხვათა შორის, ტრაქტატის ენაც ააშკარავებს მისი ავტორის ვინაობას, რომელიც სათუოდ იყო მიჩნეული (იხ. კ. კეკელიძესთან, დას. ადგ., გვ. 305).

[7] კ. კეკელიძე, ნახს. ადგ., გვ. 306.

ნაკითხობა მაინცდამაინც არა ჩანს: აქედან ჩვენ ვხედავთ მხოლოდ, რომ ის იცნობდა წმინდა გიორგის ნათარგმნ ცხოვრებას (ქვრივის სვეტის ხსენება, 17) და აგრეთვე არსენი ამარტოლის მიერ მისი ძმის აბუსერისადმი მიწერილ ეპისტოლეს, რომელიც მას თავის ხელნაწერში შეუტანია და რომლის გავლენის ქვეშაც ის ორჯერ აპარაფრაზებს არსენის ცნობილ სიტყვებს სიყვარულის ძალის შესახებ, „რომელი მორჩილ ჰყოფს გონებასა შეკადრებად შეუკადრებელთაცა": ერთხელ, როდესაც მას გამართლება ჰსურს პირდაპირი საგნისაგან გადახვევისა, „ვინაჲთგან ვიიძულეო შეკადრებად, შეპყრობილი სურვილისა მიერ" (124), და მეორედ, როდესაც იგი თავმდაბლობით თავის თავს უღირსად აცხადებს „ამათ სიტყუათაჲ" და გვარწმუნებს, რომ კალამს მოჰკიდა ხელი მხოლოდ იმიტომ, რომ იყო „სიყუარულისათჳს იძულებული და არსაკადრებელად ვერ მომთმინე" (156). მაგრამ მთელი ის დიდი ხელნაწერი, რომელშიც, კერძოდ, ჩვენი ძეგლიცაა შეტანილი, ავტორის შედგენილია და, თუ თავიდან ბოლომდე არა[1], მეტწილად მაინც მისი საკუთარი ხელითაა გადაწერილი და, რა თქმა უნდა, იგი ამაზე გაცილებით უფრო მეტსაც იცნობდა. გარდა ამისა, ჩვენ ვიცით უკვე, თუ რა განათლებული ოჯახის შვილი იყო ჩვენი ავტორი, რომელსაც, უეჭველია, მის ძმებსავით, მჭიდრო პირადი ურთიერთობა ექნებოდა იმ ხანის მოწინავე მეცნიერებთან და მწერლებთან. რაც შეეხება ღრმა განათლებისა და სარწმუნოებრივი გულუბრყვილობის უმანკო შეთავსებას, ეს ჩვეულებრივი და დამახასიათებელი მოვლენაა შუასაუკუნეების აზროვნებისათვის საზოგადოდ[2].

როგორც ვიცით, ავტორის ხელნაწერი დათარიღებულია 1233 წლით (იხ. ქვემოთ აღწერილობის § 1). მაგრამ თარიღი რომ პირდაპირაც არ ყოფილიყო აღნიშნული, მისი გამორკვევა ჩვენი ძეგლის საშუალებით შეიძლებოდა თითქმის სრულიად ზედმიწევნით. ჩვენ ვიცით, რომ ავტორი საქართველოში ხვარაზმელთა შემოსევის თანამედროვეა. მაგრამ როდესაც იგი სწერს, ხვარაზმელები უკვე წასულნი არიან აქედან. ეს ჩანს მისი სიტყვებიდან „კაცის მჭამელთა მგელთა" ოტების შესახებ „სრულიად საზღვართა შინა სრულისა საქართველოჲსათა" (153), რასაც იგი გულუბრყვილოდ წმინდა გიორგის მფარველობას მიაწერს, ისე, როგორც მათი შემოსევაც მას ჩვენთა ცოდვათა გამრავლებითა აქვს ახსნილი (135). ცნობილია, რომ ჯალალ-ედინმა საქართველო საბოლოოდ დატოვა 1231 წელს. 1235 წელს კი ამ ქვეყანას უარესი უბედურება დაატყდა თავს მონღოლთა სახით, რის შესახებაც ავტორმა ჯერ არაფერი არ იცის, არამედ სრულიად დარწმუნებულია, რომ წმინდა გიორგის მფარველობა ახლა კი, ხვარაზმელთა განდევნის შემდეგ, სრულიად უზრუნველყოფილია საქართველოსათვის და რომ ჩვენ უკვე გამოვისყიდეთ ჩვენი ცოდვანი (შდრ. §§ 137-139 ქვის ჯვარის შესვენების შესახებ ტაძარში და სამცხეში მშვიდობის დამყარების შესახებ, და § 153 ლიტანიობისა და ხატების გარეთ განყვანების შესახებ). ამგვარად, ჩვენი თხზულება დაწერილია 1231-1235 წლებს შორის[3].

---

[1] რომ მას გადამწერლები ეხმარებოდნენ, ეს ჩანს თუნდაც ასტრონომიული ტრაქტატის შესავლიდან, სადაც აბუსერისძე ტბელი სწერს: „მწერალმან მუნ სხუაჲ რაჲმე მომიკიდა და ესე აღარ დაიწერებოდაო" (Etudes de chronol. techn., გვ. 24) – ცხადია, აქ გადამწერს უცოდინარობით უადგილო ადგილას მოუქცევია რაღაცა.

[2] ავტორის მსოფლმხედველობისათვის იხ. აგრეთვე კ. კეკელიძე, ესქატოლოგიური მოტივები ძველს ქართულს მწერლობასა და ცხოვრებაში. ჟურნ. „ჩვენი მეცნიერება", I, თბ., 1923, გვ. 59-64.

[3] ავტორის ვინაობისათვის ნ. ბერძენიშვილმა რამდენიმე საგულისხმიერო შენიშვნა მომცა. სამწუხაროდ, დაბეჭდილ ტექსტში რაიმე ცვლილების შეტანა უკვე შეუძლებელი იყო. ბერძენიშვილის აზრით, რომელსაც იგი ალბათ, ცალკე უფრო ვრცლად გამოსთქვამს, აბუსერისძე ტბელი საერო პირი უნდა იყოს და არა სამღვდელო.

აბუსერისძეთა გენეალოგიური ხე (1028/30-1355 წწ.)

I. 1028/30 წ. **იოანე I**, ერისთავი, პატრონი არტანუჯისა.

II. 1046/47 წ. **აბუსერი I**, ერისთავი არტანუჯისა და ხიხათა და ციხისჯუარისა და ანყვერისა ციხისა პატრონი.

III. 1046/47-ca. 1070 წ. **გრიგოლ I**, ერისთავი არტანუჯისა; დაესწრო ღრტილას კრებას, იხსენიება ათონის აღაპებში.

IV-V. (2 უცნობი თაობა)

VI. ca. 1110-1160 წ. *ნისიმე* ○ *ვაჟი*

VII. ca. 1130-1180 წ. **გრიგოლ II** ერისთავთ-ერისთავი — *ხუაშა*; *ცუარი*, პატრონი; *აგუტი*, პატრონი

VIII. ca. 1150-1200 წ. **აბუსერი II** — *ბალიანდი*, პატრონი; 1233. ცოცხალია; **სანანო ახოანი**

IX. ca. 1170-1220 წ. **ივანე II** ერისთავთ-ერისთავი; გარდაიცვალა თურქთა ხელით 1206 წ. — *ხათუთა*, დიოფალ-დიოფალი; მონაზონობაში *ეკატერინე*; **გრიგოლ III**, ერისთავთ-ერისთავი; *ფოტინე*; *საგდუხტ*.

X. ca. 1190-1240 წ. **აბუსერი III** ერისთავთ-ერისთავი — 1. *თამარ*, 2. *ვახახ* } *ფ.-დეოფ.*; **ვარდან** ე˜ევი — *ნაზი*, დეოფ.-დეოფ.; *საგდუხტ*, პატრონი; *ცაცა*, პატრონი; **ტბელი** მწერალი — *ბაგულ* (შაგულ?); *ვანენი*, დეოფ.-დეოფ

XI. ca. 1210-1260 წ. **გრიგოლ IV** (თამარისგან); *ნათელ* (ვახახისგან); *ხათუნ*; *ვანენი*

რუსუდან; **ზაქარია**; **ივანე III**; **ონოფრე**; **აღსართან**; ○ *ქალი*; ○ *ვაჟი* — ეს ორნი მარჩბენი ყოფილან, 1233 წ. ცოცხლები აღარ არიან.

XII-XIII. (2 უცნობი თაობა)

XI. ca. 1300-1355 წ. **ივანე IV**, ამირ-სპასალარი

ძეგლის აღწერილობა

§ 1. ჩვენი ძეგლი მოთავსებულია თვით აბუსერისძე ტბელის მიერ გადაწერილ ეტრატის ხელნაწერში, რომელიც საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში ინახება, № 85 A-ს ქვეშ. შინაარსი მთელი ხელნაწერისა ზოგადადა აქვს აღწერილი თ. ჟორდანიას (ქრონიკ., II, გვ. 103-111). როგორც ერთ-ერთი მინაწერიდანა ჩანს (იქვე, გვ. 110), იგი გადაწერილი ყოფილა 1233 წ., ე. ი. ჩვენი ძეგლი აბუსერისძე ტბელს ამ წლის ახლო ხანებში შეუთხზავს[1]. ხელნაწერის ზომებია: სიგრძე 15 სანტ., სიგანე 12 სანტ. და სისქე 9-10 სანტ.. მის თითო გვერდზე 26 სტრიქონი ეტევა. ჩვენს ძეგლს უჭირავს ხელნაწერის 24 გვერდი (341 R-352 V). იგი, ისე, როგორც მთელი ხელნაწერი, დაწერილია XIII-XIV საუკუნეებში ჩვენში გაბატონებული მრგვლოვანი ნუსხა-ხუცური ხელით, ჟანგისფერი (რკინის) მელნით.

იშვიათად ნახმარია სინგურიც. სახელდობრ, სინგურით სწერია ორი პირველი სტრიქონი, ე. ი. ჩვენი § 1 მთლიანად და, გარდა ამისა, შემდეგი მთავრული ასოები (აქ შავად აწყობილი): 2[2] – რამეთუ და ესე, 3 – ვინაჲთგან, 107 – პირველი და, 124 – და, 150 – ოკწყი.

აქვე აღვნუსხავ შავით დაწერილ მთავრულ ასოებს: 8 – ცხრანივე, 10 – და, 17 – რომელმან, 25 – და, 46 – პირველი და, 52 – პირველი და, 57 და 61 – ხოლო, 64 – ვითარცა, 66 – პირველი მთასა, 74 – პირველი და, 78 – ხოლო, 82 – პირველი და, 85 – ხოლო, 90 – პირველი და, 96 – მოგითხრა, 101 – ამისსავე, 134 – ხოლო, 177 – პატრონმან, 185 – პირველი და, 186 – ოკკუეთუ.

დამწერლობისათვის გარეგნულად მაინცდამაინც არაფერი ჩანს განსაკუთრებით დამახასიათებელი. უ ოთხკბილიანი ყველგან, ხოლო ორჯერ ეს ბგერა გამოხატულია ოკ – კომპლექსით, რადგან მთავრული უნდა ყოფილიყო: 150 ოკწყი და 186 ოკ˜თუ=ოკკუეთუ, ერთხელაც იმიტომ, რომ არქაული დამწერლობა ყოფილიყო დაცული: 185 ი˜კ ქ˜ე=იესოკ ქრისტე. ო სამკბილიანია და მხოლოდ ერთხელ, უთუოდ შეცდომით, ორკბილიანი ო სწერია (51 ქურდაობით). გვხვდება შეწიაღებული ასოებიც: 10, 12, 25, 46, 74, 82, 90 და – საცა ა ჩაწერილია მთავრულ დ-ონში, 150 ოკწყი – საცა კ ჩაწერილია მთაერულ დ-ონში, 150 ოკწყი – საცა კ ჩაწერილია მთავრულ ო-ნში.

§ 2. სასვენი ნიშნების სისტემა ავტორს არა აქვს კარგად შემუშავებული. მეტ-ნაკლებად მყარ სახეს გვიჩვენებს მხოლოდ ორი ნიშანი: a) ორწერტილი ე. წ. წარზიდულითურთ (: –), რომელიც, თხზულების დასაწყის ნაწილში, შეიძლება ითქვას, სისტემატურად აბოლოებს ან მთელ თავს – ასე, იგი დასმულია მე-16, მე-24, მე-60, მე-63, მე-77 და მე-81 პარაგრაფების დასასრულს, ან აბზაცს – მე-9, მე-10, მე-65 და მე-185 პარაგრაფების დასასრულს. ამ ნიშნითვეა გამოყოფილი ტექსტის პირველი ორი, სინგურით დაწერილი სტრიქონები, ე. ი. ის ზის 1-ლი პარაგრაფის ბოლოშიც. ამ ნიშნის შემდეგ ახალი წინადადება ყოველთვის მთავრული ასოთი იწყება. ერთხელ იგი უადგილოდაა ნახმარი, სახელდობრ, მე-8 პარაგრაფში, სიტყვა ცხრანივე-ს წინ, და აქაც ეს უკანასკნელი სიტყვა მთავრული ასოთი იწყება. უადგილოდა ჩანს ეს ნიშანი ნახმარი უკანასკნელ პარაგრაფშიც, საცა ის ბოლო-ფრაზის წინაა დასმული, მაგრამ თავდაპირ-

---

[1] უფრო სწორე იქნება, ალბათ, იგი რომ ნუსხა დედნად მივიჩნიოთ და მით უფრო გასაკვირველია, თუ რა თავისუფლად სწერდა ავტორი, რომელსაც ძალიან მცირე რაოდენობის შესწორებათა შეტანა მოუხდა თავის ტექსტში.

[2] აქ და სხვაგანაც ციფრი აღნიშნავს ტექსტის §-ს.

ველად ტექსტი, ალბათ, სწორედ აქ თავდებოდა, ხოლო წინადადება: „ორსავე დღესასწაულსა ცისკრად", მერმე დამატებით უნდა იყოს მიწერილი. b) სამწერტილი (:·), რომელიც აგრეთვე ან თავს აბოლოებს (§ 149-ის დასასრულს), ან აბზაცს (§ 2-ის დასასრულს), მაგრამ ერთხელ უადგილოდაცაა ნახმარი, თითქოს აწინდელი მძიმის ძალით (147 – სიტყვა ვინაჲთგან-ის წინ). როგორც ვხედავთ, ეს ნიშანი ჩვენს ძეგლში იშვიათია.

ყველა დანარჩენი ნიშნები ზემოხსენებულ ორ ნიშანზე უფრო სუსტნი არიან და, ამასთანავე, თითოეული მათგანი სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა ძალის მქონედ გვევლინება. ყველაზედ უფრო ხშირია: c) ორწერტილი (:), რომელსაც ხან აწინდელი წერტილის ძალა აქვს, წინადადებას გამოჰყოფს (მე-6, 70-ე, 83-ე და 94-ე პარაგრაფების ბოლოში), ხან აწინდელი მძიმისა (58 – სიტყვა მოწამეთაჲ-ს შემდეგ, 85 – სიტყვა გიორგი-ს შემდ., 89 – სიტყვა წარმართთაჲსა-ს შემდ., 144 – სიტყვა ესე-ს შემდ.), ხან კიდევ თითქოს აწინდელი ორწერტილისა (179-ე პარაგრაფის ბოლოში). უფრო ხშირად იგი სულ უადგილოდაა ნახმარი (18 – სიტყვა ჟამთაცა-ს შემდ. და სიტყვა გიორგი-ს შემდ., 20 – სიტყვა ოდენ-ის შემდ., მუშაკობდის-ის შემდ., მძიმე-ს შემდ., იტკრთის-ის შემდ., 22 – სიტყვა მუშაკობად-ის შემდ., 30 – სიტყვა უკუეთუ-ს შემდ., 71 – სიტყვა მით-ის შემდ., 106 – სიტყვა მომითხრობდეს-ის შემდ., 177 – სიტყვა დაასუენნა-ს შემდ.). უნდა კი ითქვას, რომ თითქმის ყველა ზემოჩამოთვლილ უადგილო ადგილებში, იქაც, საცა ეს ნიშანი აწინდელი ორწერტილის ბადალად გვეჩვენება და აგრეთვე ზოგან იქაც, საცა იგი თითქოს აწინდელი წერტილისა ან მძიმის როლს თამაშობს, მისი ახსნა შეიძლება, მართალია, ერთგვარი ძალდატანებით, როგორც განცვიფრების ანუ შორისდებულის გამომხატველისა. ხშირია აგრეთვე d) წერტილიც (.), რომელიც სწორედ ისევე იხმარება, როგორც ორწერტილი. მასაც ხან აწინდელი წერტილის ძალა აქვს (მე-97, მე-120, მე-161, მე-167 და მე-177 პარაგრაფების ბოლოში), ხან აწინდელი მძიმისა (მე-10, მე-13, მე-14 და მე-186 პარაგრაფების ბოლოში, 79 – სიტყვა ვითარცა-ს წინ, 106 – სიტყვა უწოდ-ის შემდეგ, 117 – სიტყვა შუენიერი-ს შემდ., 120 – სიტყვა მოწამისსა-ს შემდ., 163 – სიტყვა მოიცალეს-ის შემდ. და სიტყვა ჩემმან-ის შემდ.), ერთხელ თითქოს აწინდელი ორწერტილის მაგივრობასა სწევს (52-ე პარაგრაფის ბოლოში), ერთხელაც განცვიფრების ნიშნად გვევლინება (103-ე პარაგრაფის ბოლოში). სრულებით უადგილოდაა ნახმარი იგი ორჯერ: 118 – სიტყვა კუალადცა-ს შემდ., და 185 – სიტყვა მთავარმოწამისაჲთა-ს შემდ., მაგრამ აქაც, ერთგვარი ძალდატანებით, მისი ახსნა შეიძლება, როგორც შორისდებულის გამომხატველისა. ორწერტილიცა და წერტილიც, თუმცა, როგორც ვხედავთ, საკმაოდ ხშირად გვხვდება, მაგრამ სისტემატურ ხასიათს არ ატარებს, უფრო ხშირად არ იხმარება იქაც, საცა ისინი საჭირო იქნებოდა თვით მწერლის გაგებითაც, ე. ი. სასვენი ნიშნები ჩვენს ძეგლში საზოგადოდ შემთხვევით ხასიათს ატარებს, მათი ხმარება ავტორის მიერ სავალდებულოდ მიჩნეული არაა, საერთოდ რომ ავიღოთ, ისინი აქ იშვიათად გვხვდება და ამიტომ მათი დაცვაც გამოცემაში შეუძლებელი იყო.

რამდენჯერმე გვხვდება კიდევ ორი ნიშანი: e) სტრიქონს ზემოდან დასმული წერტილი (˙), თითქოს აწინდელი მძიმის ძალით (59 – სიტყვა მთასა-ს შემდ., 185 – სიტყვა წარკითხვისას-ს შემდ.) და f) მძიმე (,), აწინდელი მძიმისავე ძალით (მე-4 პარაგრაფის ბოლოში).

§ 3. აბუსერისძე ტბელი თითქოს ერთ სამუსიკო ნიშანსაც ჰხმარობს რამდენჯერმე. ეს არის სინგურით დასმული პატარა რგოლი, რომელიც თხზულების ბოლოში ორ ადგილასა გვხვდება და აქ ნამდვილად საგალობელზე მიგვითითებს: იგი ზის 172-ე პარაგრაფის წინ, სტრიქონში. ეს პარაგრაფი იწყება სიტყვებით: „ესე ძილის-პირნი და სტიქარონნი მე დავსხენ ამით ყოვლითა შემატებულითა"... შემდეგ, ასეთივე ნიშანი

ჩასმულია მთავრულ დ-ონში, რომლითაც § 185 იწყება. ხოლო ტექსტის ბოლოში ასეთი განკარგულებაა მოთავსებული (§ 186): „უკუეთუ ვინმე მღდელი არ კარგი მკითხველი დახუდებოდეთ, ამა ასომთავრად დონადმდე კარგსა მკითხველსა წააკითხვებდით", მერმე კი მღდელმან ბძანოსო. ეს განკარგულება, ცხადია, ჰგულისხმობს მოსახსენებლებს 172-ე პარაგრაფიდან მოყოლებით, 185-ე პარაგრაფამდე, ე. ი. კარგ მკითხველს ავტორის მიერ დასხმული ძილის-პირნი და სტიქარონნი უნდა წაეკითხა და, ამგვარად, სინგურით დასმულ რგოლებს სამუსიკო მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. მართლაც, ასეთი სამუსიკო ნიშანი, როგორც ეს J. Thibaut-სა აქვს გამორკვეული თავის პატარა შენიშვნაში (Христ. Вост., III, 207-212), იხმარებოდა ძველ ქართულსა და სომხურ ხელნაწერებში, ნერტილ-შენიაღებული ან უიმისოდ (იქვე, გვ. 211), და მას სომხურად სუღი, ე. ი. მოკლე ეწოდებოდა.

ჩვენი ტექსტის ზემოაღნიშნულ ადგილებში მე ეს ნიშანი 172-ე და 185-ე პარაგრაფების წინ დასმული რგოლებითვე გადმოვეცი. მაგრამ აბუსერისძე ტბელი ამ რგოლებს ორ სხვა ადგილასაც ჰხმარობს და იქ კი უკვე მათი დანიშნულება სრულებით გაუგებარია, რისთვისაც მე ისინი გამოცემაში არ გადმომიცია. წითური პატარა რგოლი ზის, სახელდობრ, სიტყვა ლიტანიობითა-ს ზემოდან (§ 153) და 155-ე პარაგრაფის ბოლოში, აგრეთვე სტრიქონს ზემოთ. იქნებ ეს ადგილიც წასაკითხი იყო და მასაც საგალობელი უნდა დაჰრთვოდა, მით უმეტეს, რომ აქ აშიაზე რაღაც მინაწერიც ყოფილა (იხ. ქვემ. აღწერილ. § 6)?

§ 4. ზედმეტ თუ შემთხვევით ნიშნებად უნდა ჩაითვალოს: 57 – სიტყვა კაზმასა-ს წინ დასმული ქარაგმის ნიშანი, ე. ი. პატარა დაკლაკნილი ხაზი, 61 – სიტყვა თკსა-ს წინ დასმული შვეული ხაზი, თითქოს უ-ნის ბუნიაო, 63 – შემთხვევით დასმულს უფრო ჰგავს წერტილი სიტყვა რათა-ს შემდეგ, 65 – სიტყვაში არღა რ სტრიქონს ზემოდანაა ჩართული, მწერალს გამოჰრჩენია, მაგრამ მის ქვეშ სტრიქონში რაღაც ზედმეტი ნიშანია გადაბმული მომდევნო ღ-ანთან, თითქოს ჲ, იქნებ აქ ავტორს „არაჲღა" უნდა დაეწერა, თუმცა არც ქარაგმის ნიშანი ჩანს; 66 – პირველ სიტყვაში მთასა მ-ანსა და თ-ანს პატარა ხარვეზია, რომელშიც ჩასმულია რაღაც ნიშანი ქარაგმასავით, ოდნავ სტრიქონს ზემოთ.

§ 5. ავტორს თავის ტექსტში შესწორებანი შეუტანია, ზოგი რამ ამოუფხეკია, ზოგიც ჩაუმატებია, კორექტურული ნიშნებითურთ.

43 – სიტყვაში რაჲსმე, ამოფხეკილია ერთი ასოს ადგილი ს-ანის შემდეგ, ეგებ ა-ნი დაუწერია თავდაპირველად („რ˜ჲს[ა]მე"), 69 – სიტყვა თანა-ს წინ ამოფხეკილია 2-3 ასოიანი ადგილი, 73 – სიტყვა შუენიერი-ს ბოლოში ამოფხეკილია 2 ასო, მაგრამ ჩანს, რომ თავდაპირველად აქ ეწერა „შუენიერად" (ა სანახევროდაა მოფხეკილი, რათა ი მიეღო); სიტყვა გებული-ს ბოლოში 2 ასოა ამოფხეკილი, თავდაპირველად თითქოს „გებულითა" ეწერა: 76-77 – სიტყვა მკუდარი-ს შემდეგ ორი თუ სამი ასოს ადგილია ამოფხეკილი, 84 – სიტყვა აღშენებისათა-ს მაგიერ ჯერ, ეტყობა. „აღშენებისასა" დაუწერია, მერმე კი უკანასკნელი ს-ანის თავი მოუფხეკია და ეს ასო თ-ანად გადაუკეთებია, 94 – სტრიქონს ზემოთ ჩართული სიტყვა უდით-ის ქვეშ სტრიქონში ამოფხეკილია რაღაც 2 თუ 3 ასოიანი სიტყვა, 95 – ეს პარაგრაფი მთლიანად გადანაფხეკზე სწერია, 103 – სიტყვა მომკალ-ის ბოლოში ერთი ასოა ამოფხეკილი, თავდაპირველად აქ თითქოს „მომკ˜ლა" ეწერა, 109 – სიტყვაში მკუდარი სტრიქონს ზემოთ ჩართული უ-ნის ქვეშ სტრიქონში ამოფხეკილია ერთი ასოს ადგილი, 125 – სიტყვაში რაჲსმე მე-მარცვლის წინ ამოფხეკილია ერთი ასოს ადგილი, ეგებ თავდაპირველად „რ˜ჲსამე" ეწერა, 139 – ორ სიტყვას შორის: არ ვინ, ამოფხეკილია ერთი ასოს ადგილი, ეგებ აქ თავდაპირველად „არა

ვინ“ ეწერა, 141 – სიტყვა ჴელთა-ს შემდეგ სტრიქონში ამოფხეკილია ერთი სიტყვის ადგილი, ასევე 150 – სიტყვა მეცა-ს წინ, 152 – სიტყვაში მეყსეულნი ლ-ასსა და ნ-არს შორის ამოფხეკილია ერთი ასოს ადგილი, 158 – შენებაჲ-სიტყვის შემდეგ სტრიქონში ამოფხეკილია ერთი სიტყვის ადგილი, 164 – სიტყვა მაიძულა-ს შემდეგ სტრიქონში ამოფხეკილია ორიოდე ასოს ადგილი, 166 – სიტყვაში შემოხუეწითა სტრიქონს ზემოდან ჩასმული ო-ნის ქვეშ სტრიქონში ამოფხეკილია ერთი ასო; ამავ სიტყვაში ე(Ე)-ს შემდეგ კიდევ რაღაც ასო დაუწერია და მერმე ამოუფხეკია; სიტყვა აღშენებაჲ-ს შემდეგ სტრიქონში ამოფხეკილია ერთი სიტყვის ადგილი, 177 – სიტყვა ჩჳლედი-ს შემდეგ და ვიდრე წერტილამდე, რომელიც აქ დედანშიცა ზის, ერთი ასოს ადგილია ამოფხეკილი, 185 – სიტყვა წარკითხვისა-ს შემდეგ სტრიქონში ამოფხეკილია 1-2 ასოს ადგილი, 187 – ამ პარაგრაფის ბოლოშიც ამოფხეკილია 2-3 ასოს ადგილი, ეგებ აქ თავდაპირველად „ა˜ნ“ ეწერა.

ძველი გადანაფხეკია აგრეთვე 22 სტრიქონი 172-ე და 173-ე პარაგრაფებს შორის (იხ. ქვემ. აღწერილობ. § 6), ხოლო აშკარად ახალი გადანაფხეკი გვაქვს 124 – სიტყვაში ვიიძუ[ლ]ე, საცა ასო ლ-ასია სანახევროდ გადაფხეკილი.

15 – სიტყვაში კერძოჲსაჲო უკანასკნელი ო აშიაზე გამოდის და უფრო წვრილადაა თითქოს მერმე მიწერილი, 76-77 – აქ, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, სიტყვა მკუდარი-ს შემდეგ ორი თუ სამი ასოს ადგილია ამოფხეკილი (საფიქრებელია, რომ თავდაპირველად აქ „და“ ეწერა) და უფრო მუქი მელნით, აშკარად მერმე, მაგრამ ტექსტისავე ხელით სტრიქონში დაწერილია მყუ, რის შემდეგ ტექსტი, სიტყვამდე შემდგომად (შ˜დ) აშიაზეა გატანილი; მოგრძო მარყუჟი, დასმული მარჯვენა აშიაზე უკანასკნელი სიტყვის (შ˜დ) შემდეგ და ასეთივე მარყუჟი მომდევნო სტრიქონის წინ მარცხენა აშიაზე, გვიჩვენებს, რომ ჩანამატი სიტყვები (მუყარ ჟამ და შემდგომად) კორექტურული შენასწორებია და ძირითადად ტექსტს უნდა მიეკუთვნოს. ამ სიტყვების შემდეგ ხელი შესამჩნევად წვრილდება, თუმცა ისიც და მელანიც იგივეა, მაგრამ მალე, თანდათანობით, ისევ მსხვილდება; 84 – სიტყვა ორღართასა გატანილია აშიაზე, აშკარად მერმეა მიწერილი, სხვა მელნით, მაგრამ იმავე ხელით, 95 – ეს პარაგრაფი, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, მთლიანად გადანაფხეკზე სწერია, სხვა, უფრო ბაცი მელნით, მაგრამ ტექსტისავე ხელით; ამ ფრაზის უკანასკნელი სიტყვები გასულია სტრიქონს გარეთ აშიაზე და ან არ დატეულა, ან, უკეთ, აშია შემდეგში ჩამოუჭრიათ და ორი ბოლო-მარცვალი („აგან“) მას გადაჰყოლია (მე აღვადგინე მრგვალ ფრჩხილებში); 136 – სიტყვაზე ტფილისისასა ქარაგმა (ტფილისის˜სა), ჩანს, მერმეა დასმული უფრო ბაცი მელნით, 140 – სიტყვაში ჩემისა უკანასკნელი მარცვალი აშიაზე გამოდის და მერმე ჩანს მიწერილი უფრო ბაცი მელნით, 166 – სიტყვაზე სალოცავად ქარაგმა (სალოც˜ვად) მერმეა დასმული უფრო ბაცი მელნით, 177 – სიტყვაში ჩემმან ნ მერმეა მიწერილი, უფრო წვრილად და ბაცი მელნით.

სტრიქონის ზემოდანაა ჩართული, ტექსტისავე ხელით, უფრო წვრილად: 19 – პირველი და, რომლის ადგილის საჩვენებლად სტრიქონში მარტივი პატარა ხაზია დასმული (-), 45 – პირველი დ სიტყვაში პირუტყუადმდე, რომლის ადგილის საჩვენებლად სტრიქონში დასმულია ოთხი წერტილი (⁝.), 49 – სიტყვა მას, 65 – ასო რ სიტყვაში არღა, 67 – მეორე და, 91 – სიტყვები ვინმე კაცმან, რომელთა ადგილს სტრიქონში სამწერტილი (⁝·) უჩვენებს, რომელიც თვით ამ სიტყვების უკანაცაა დასმული, 93 – ასო ო სიტყვაში მყოფელი, 94 – სიტყვა უდით, 99 – მეორე და, 109 – ასო უ სიტყვაში მკუდარი, 110 – სიტყვა გიორგის, 113 – ასო ა სიტყვაში ვიაგრძნიო, 124 – ასო ო სიტყვაში ჴელვყო, 125 – მეორე ე სიტყვაში მოსარეწელად, რომლის ადგილს სტრიქონში

სამწერტილი (∷) უჩვენებს, დასმული შესატყვის ხაზზე სტრიქონს ქვემოთ, 128 – ცა-ნაწილაკი სიტყვაში იგიცა, 129 – ასო ი სიტყვაში აღიტაცნა, 136 – პირველი და, 139 – ცა-ნაწილაკი სიტყვაში აჭარისათაცა, 142 – პირველი თვსაა, 147 – ასო ჰ სიტყვაში აღჰრაცხავს, რომლის ადგილს სტრიქონში ისევ სამწერტილი (∷) უჩვენებს, დასმული შესატყვის ხაზზე სტრიქონს ქვემოთ, 153 – მეორე და, 159 – მეორე ე სიტყვაში საჴსენებელად, 164 – პირველი ა სიტყვაში მცირაობითა, რომლის ადგილს სტრიქონში კვლავ სამწერტილი (∷) უჩვენებს, დასმული შესატყვის ხაზზე სტრიქონს ქვემოთ, 166 – ასო ო სიტყვაში შემოხუეწითა, მარცვალი სა სიტყვაში ნუგეშინისსაცემელად, 167 – მეორე ა სიტყვაში მამიდათა, რომლის ადგილს სტრიქონში ისევ-ისე სამწერტილი (∷) უჩვენებს, დასმული შესატყვის ხაზზე სტრიქონს ქვემოთ, 172 – მეორე ე სიტყვაში დასაგულებელად, კორექტირებული ისევე, როგორც ა § 167-ში, 177 – ღ სიტყვაში აღპყრობისა, ასევე კორექტირებული.

§ 6. მინაწერები ჩვენს ძეგლს ბევრი არა აქვს. მე-349 ფურცლის V-მხარეზე, მარცხენა აშიაზე, ცხრა უკანასკნელი სტრიქონის გასწვრივ, გარდიგარდმო სწერია ტექსტისავე ხელით, ცოტა უფრო წვრილად, ცოტა უფრო ბაცი მელნით, სამი სტრიქონი:

„ამ˜ს[1] ზემოჲთსა სსნლთა ვენა (sic) | აღსწერდით ნ˜ისა გ˜ისთა ვისცა | გენებოს: –“[2]

მე-350 ფურცლის R-მხარეზე, მე-9 და მე-16 სტრიქონებს შორის, ჩვენი გამოცემის §§ 153-155-ის სისწვრივ, მარჯვენა აშიაზე, ტექსტისავე ხელით, მხოლოდ უფრო ბაცი მელნით, მიწერილია 11 სტრიქონი:

„ამ˜ს[3] ხ˜ტსა... | გ˜ნრყუნ... | რში მარჯ... | ჴ˜ლით ო(?)- .... | გნეკურნ... | შ˜ა რ˜ი ს(?)ც(?)- ... | ღარა- - ... | ნით: და უ(?)- ... | თქ˜ნ ესეც(?)... | დეთ ღ˜ი- ... | ენოე- ... “[4]

როგორც ზემოთ უკვე აღნიშნული მაქვს (იხ. აღწერილობის § 3), ამ გვერდზე ორ ადგილას სინგურით პატარა რგოლებია დასმული და მინაწერიც სწორედ რგოლიდან რგოლამდე მიდის, ეგებ მაგ ნიშნებთან როგორმე დამოკიდებულიც იყოს.

ხელნაწერის მე-351 ფურცლის R-მხარის მე-23 სტრიქონის ბოლოდან მოყოლებული გვერდის ძირამდე, და V-მხარეზე ტექსტის უდიდესი ნაწილი, ამოფხეკილია, როგორც ზემოთ უკვე მოვიხსენიე (ჩვენი გამოცემის მე-172 და მე-173 პარაგრაფებს შორის, იხ. ზემ. აღწერილობ. § 5)[5], და ზედ ნაჯღაბნია, თ. ჟორდანიას განსაზღვრით (ქრონიკ., II, გვ. 121, შენ. *), XVI ს-ის მხედრული ხელით, ტექსტის მსგავსი მოყავისფრო მელნით:

351 R ორი სტრიქონი: „ – მთისაგან:· უხელოდ:· ლოდნი:· გამოევ...[6] | ქალწულისაგან:·“

351 V ათი სტრიქონი: „წმიდა:· და:· მ|ლოცავსა:· | მარსავი თვი:· | დანერ:· გუ|ლა :· მღთისა:·|გან:· ვითარმედ:· ვერ გულ|ის ხმა ვყოთ მისთ| სასიკეთსა და | საფარველი და წიც (?)“[7]

---

[1] ა მთავრულია.

[2] მინაწერი ჩვენი გამოცემის §§ 150-151-ს უსწორდება დაახლოებით.

[3] ა მთავრულია და სინგურით სწერია.

[4] სტრიქონებს ბოლოები მოკვეცილი აქვს, რადგან აშია მერმე ჩამოუჭრიათ.

[5] სულ ამოფხეკილია (R- და V-მხარეებზე) 22 სტრიქონი და არა 24, როგორც ჟორდანია აღნიშნავს.

[6] აქ მინაწერი აშიაზეა გატანილი, რომელიც მერმე ჩამოუჭრიათ.

[7] V-მხარეზე მინაწერი მარცხენა აშიაზეა მოთავსებული, ხოლო თვით გადანაფხეკზე ნაჯღაბნია „ხელთა“ (იხ. ქვემ.).

ამავ გვერდზე, შუაადგილას, მელნით უშნოდაა დახატული სამი ხელი, მარჯვნიდან მარცხნით ერთი მეორეზე პატარა. უდიდესი ხელის მაჯაზე სწერია:

„ღმერთო:· | შეიწყალე:· | ცოდვილი: მა|ლაქია[1]

ამ ხელსა და შუათანას შორის სხვა, მუქი მწვანე მელნით და სხვა, უფრო მოგვიანო ხელით სწერია:

„ზე ცდა|დე: ღთო: მეფე: არჩილ"[2]

ორსავ მოზრდილ ხელს ცერებზე სამ-მწკრივად, ხოლო დანარჩენ თითებზე ოთხ-მწკრივად ასო-რიცხვები აწერია, ორსავ ხელს ერთნაირი, მესამე, პატარა ხელი კი ცარ-იელადაა დატოვებული.

ამავ გვერდის ზემო აშიაზე კიდევ რაღაცა სწერია ორ სტრიქონად, მაგრამ აღარ იკითხება[3]. ქვემო აშიაზე კი ჟანგისფერი მელნით და სხვა, მაგრამ, შექცეული პ-არის მიხედვით, ისევ-ისე XVI ს-ის ხელით, გაუგებარი ერთი სტრიქონი იკითხება:

„მ˜ტ:· ე:· აპ:· ა:· მას:· გ(?):· ივ:· ვ:· იელ"

სხვა არავითარი მინაწერები ჩვენს ძეგლს არ მოეპოვება.

§ 7. შემდეგი წერითი შეცდომები გასწორებულ იქნა გამოცემაში.

141 – მწერალს გამოჰრჩა მეორე და, რომელიც მე ჩავუმატე მრგვალ ფრჩხილებში.

137 სახელსა ჩემი შენასწორებია, თორემ დედანში ამ სიტყვის მაგივრად ნამდვილად სახვასა სწერია, რაც გაუგებრად ჰხდიდა მთელ წინადადებას. მით უფრო თამამად შე-მეძლო ასეთი შესწორება შემეტანა ტექსტში, რომ 107-ე პარაგრაფში ვკითხულობთ: „... ესე ჯუარი წმიდისა მოწამისაჲ სახელსა ზედა არა ალავერდისა მთავარმოწამისსა". ორსავ შემთხვევაში ერთსა და იმავე ჯვარზეა ლაპარაკი.

შემდეგ სიტყვებში ან მეტი ასოა, ან, პირიქით, ასო აკლია:

65 საკჯრველისა=საკჯრველისა.

20 მხლოდ=მხოლოდ, 45 თჯნერ=თჯნიერ, 85 პყრობილყო=პყრობილიყო, 88 საკრველისა=საკჯრველისა, 94 ძნად=ძნიად, 104 სიცილს=სიცილის, 169 კეთლი=კეთილი.

ზემომოყვანილ მაგალითებში თუ ასოა გამოტოვებული შეცდომით, შემდეგ სი-ტყვებს ქარაგმა აკლია დედანში: 1 და 63 ჯერრს და არა ჯერ˜რს=ჯერ არს. 9 ქადგ-სა და არა ქად˜გსა=ქადაგსა, 13 შესწირ-ვითა და არა შეს˜წირ˜ვითა[4]"=შესაწირავითა, სმენ˜ჲ და არა ს˜მებ˜ჲ=სამებაჲ, 18 მწამემან და არა მ˜წამემან=მოწამემან, 19 შეწვნდ და არა შეწევნ˜დ=შეწევნად, 31 ამნ და არა ამ˜ნ=ამან, 32 საწყლობელმ˜ნ და არა საწყ˜ლომელმ˜ნ=საწყალობელმან, 45 ამთსა და არა ამ˜თსა=ამათსა, 61 სუმსა და არა სუმ˜სა=სუმასა. 65 გ˜ლისჴმაყვით და არა გ˜ლისჴმაყ˜ვით=გულისჴმაყავით, მოყრენო და არა მოყ˜რენო=მოყუარენო, 70 სიმრვლესა და არა სიმრ˜ვლესა=სიმრავლესა, 74 უსწვლე-ლი და არა უსწ˜ვლელი=უსწავლელი, 77 ნტარის˜ჲთა და არა ნ˜ტარის˜ჲთა=ნეტარისაჲთა, 83 მოკლებსა და არა მოკლებ˜სა=მოკლებასა, 86 შნთა და არა შ˜ნთა=შენთა, 89 მრავლნი და არა მრავ˜ლნი=მრავალნი, წარმართთჲსა და არა წარმართთ˜ჲსა=წარმართთაჲსა, სიმ-

---

[1] როგორც თ. ჟორდანია აღნიშნავს, ეს უნდა იყოს კათალიკოსი მალაქია აბაშიძე, რომელიც კათალიკოსადა ჩანს 1519-1533 წლებში და რომელიც ამავ ხელნაწერში კიდევ ერთხელ იხსენიება (იხ. ქრონიკ., II, გვ. 111).

[2] არჩილ მეფე რამდენჯერმე იჯდა იმერეთის ტახტზე XVII ს-ის მეორე ნახევარში.

[3] მხოლოდ მეორე სტრიქონში გაირჩევა: „----- გულისხმა". ეს მინაწერიც ჟანგისფერი მელნიც და ამ ფურცლის პირველი მინაწერის ხელით სწერია.

[4] ჩვენს ძეგლში მიღებული დაქარაგმების წესების მიხედვით, ასე შეკვეცილ სიტყვაზე უეჭველად ორი პატივი უნდა ყოფილიყო (იხ. ქვემ. აღწერ. § 16).

რელისათ˜ს და არა სიმრ˜ვლიაათ˜ს=სიმრავლისათვს, საკკრველებთაჲსა და არა საკკრველ ებ˜თაჲსა=საკკრველებათაჲსა, 99 მოწმისა და არა მოწ˜მისა=მოწამისა, 103 საწყლობელი და არა საწყ˜ლობელი=საწყალობელი, 107 მ˜წმისჲ და არა მ˜წმის˜ჲ=მოწამისაჲ, 116 უწუჩრლისა და არა უწუჩრ˜ლისა=უწუერულისა, 129 სარწმ˜ნმჲ და არა სრწმ˜ნნ˜ჲ=სარწმუნოებაჲ, 132 იმყფებოდა და არა იმყ˜ფებოდა=იმყფებოდა, 136 მოოჴრებსა და არა მოოჴრებ˜სა=მოოჴრებასა, დედაქლქისა და არა დედაქ˜ლქისა=დედაქალაქისა, 142 ტაძრსა და არა ტაძ˜რსა=ტაძარსა, 144 პაპსა და არა პაპ˜სა=პაპასა, 147 ეკლესიისსა და არა ეკლესიის˜სა=ეკლესიისასა[1], 149 ცხ˜ველს მყფელით და არა ცხ˜ველს მყ˜ფელით=ცხოველსმყოფელით, 157 აღსრლებისა და არა აღსრ˜ლებისა=აღსრულებისა, 159 საჴსნებელ˜დ და არა საჴს˜ნებელ˜დ=საჴსენებელად, 160 პატრონთჲთა და არა პატრონთ˜ჲთა=პატრონთაჲთა, 173 შვლთაცა და არა შვ˜ლთაცა=შვილთაცა, 187 დღესსნლსა და არ დღეს˜სნლსა=დღესასნაულსა.

პირიქით, მეტია ქარაგმა შემდეგ სიტყვებზე: 36, 110 და 118 მრ˜ვლგზ˜ის=მრავალგზის,[2] 79 ჰრ˜ქჳს=ჰრქჳს, 80 მ˜თის˜ჲ=მთისაჲ,[3] 84 მ˜თასა=მთასა, 124 სურ˜ვილისა=სურვილისა, 154 ს˜სოებიდა=სასოებდა**, 177 პატ˜რონმ˜ნ=პატრონმან.**

უბრალო შეცდომად ჩავთვალე, და არა რაიმე დიალექტურ თუ ვულგარულ ფორმად, 8 მამადმთავართა და არა მამათმთავართა, როგორც მე შევასწორე გამოცემაში.

§ 8. ერთი-ორგან ჩვენი წანაკითხი ეჭვებს იწვევს და რამდენიმე ადგილიც გაუგებარი დაგვირჩა. სათუოა 173 ბაგულ, სახელდობრ, აქ შეიძლება ნავიკითხოთ აგრეთვე „შაგულ". შემდეგ, როგორღაც გაურკვევლად სწერია დედანში 132 სლვით, თუმცა სხვა სიტყვა ამ ადგილას ძნელი დასაშვებია.

გაუგებარია შემდეგი ადგილები, გამოცემაში უცვლელად დატოვებული: 108 ვითარცა ძუელ ოდესმე ბორღალეთით – ეს ჩანართი წინადადება უნდა ჰგულისხმობდეს თითქოს ერთ-ერთ ეპიზოდს წმინდა გიორგის ცხოვრებიდან, მაგრამ, იმას გარდა რომ ასეთი შემთხვევა წმ. გიორგის ცხოვრების ცნობილ რედაქციებში არსად მოთხრობილი არაა, იგი შეუძლებელიცაა ისტორიულად, რადგან ბორღალეთი | ბულგარეთი წმინდა გიორგის დროს არც არსებობდა. ცოტა არ იყოს ბუნდოვანია აგრეთვე შემდეგი წინადადება: 116 და რაჟამს მთხოვა წმიდამან გიორგი, უწუერულისა ჭაბუკისა სახითა მყოფმან, რადგან იგი ზემდეტი და უადგილო ჩანს. დაბოლოს, ბუნდოვანია კიდევ: 115 და ჴელით განსახილველად იყო, ვითარცა ჰოროლი მზისაჲ (შდრ. აქვე ლექსიკონი, სიტყვა ჰოროლი).

§ 9. შემდეგი ორთოგრაფიული უთანამიმდევრობანი ხელნაწერისა დაცულ იქნა გამოცემაშიც:

1) 26 თფილისსა და 136 ტფილისისასა.
2) 38 მონაზონთაგანი და 141 მონოზონებასა, 157 მონოზონებისა.
3) 72 უნაკლულევანეს, 123 ნაკლულევანი და 164 ნაკლოლევანებამან.
4) 79 ჩჩკლმან და 176 ჩკლნი, ჩკლედი.
5) 87 მძანებული, 187 მძანე და 158 ბრძანებითა.

---

[1] მართალია, ჩვენს ძეგლში ნათესაობითი ხშირად უსრული სახით შეუთანხმდება ხოლმე მიცემითს (იხ. ქვემ. აღწერილ. § 11), მაგრამ ამ ადგილას მე მაინც სრული ფორმა მიმაჩნია უფრო მართებულად.

[2] აქ მეტია მეორე ქარაგმა.

[3] აქ მეტია პირველი ქარაგმა.

6) 114 ჰონე და 121 ჰუნე.

7) 34 და 166 ნუგეშინისსაცემელად და 80 ნუგეშინისცის, საცა, ალბათ, პირველ სიტყვასა აქვს მოვარდნილი დაბოლოება ს.

8) აქვე ეკუთვნის კ-ს ხმარება უმარცვლო უ-ნის მაგივრად ზოგიერთ სიტყვაში: 6 სიკკდილითა, 63 სკა, 161 ვარსკკლავის, თუმცა სხვაგან იმავ სიტყვებში უ გვხვდება: 109 მკუდარი, 63 სუას. ასევე უმარცვლო უ-ნის მაგიერად შეიძლება გავიგოთ კ ისეთ უცნაურ ფორმაში, როგორც 184 მიგკვაწოდებდეს, რომელიც მე გამოცემაში სათანადოდ შევასწორე. ერთხელ კი კ სრულხმოვანი უ-ნის ნაცვლადაც გვევლინება: 9 საკკთრად.

9) 19 და 75 შენევნად, 21 შენევნასა, 42 შენევნისა და 77 შენევად, 85 თანაშენევისაითა.

§ 10. ისე, როგორც ზოგიერთ ზემომოყვანილ მაგალითთაგან, ფონეტიკურ თავისებურებათა რიგს მიეკუთვნება:

1) უ-ნის ხმარება ო-ნის ნაცვლად: 152 ფერუჩაცთუმილთა და არა ფერუჩაცთომილთა, 76 მყუარ და არა მყოვარ.

2) ჱ-ს ხმარება უმარცვლო უ-ნის შემდეგ, ე-ნის ნაცვლად, სისტემატურად, რაც გამოცემაში არ დამიცავს: 1 შუჱნიერისა, 4 გუჱმსგავსა, 7 მოგუჱნიჭა, 17 სუჱტი, 19 აჩუჱნის, 29 შეჱლად, 30 აჩუჱნო, 36 აჩუჱნა, ამოწყუჱდისა, 45 შუჱლად, 53 განგემარჯუჱმოდეს, 57 გუჱლისაჲთა, 65 მეტყუჱლებითა, 67 ჩუჱულებისაებრ, 69 ეკუჱთა, 70 ეკუჱთა, ქუჱშე, ქუჱშუთცა, 73 შუჱნიერი, 76 შუჱლად, 82 ჩუჱულებაჲ, 86 უეჭუჱლად, 92 ჩუჱნებით, 98 ქუჱშე, 100 ესუჱნა, 105 ჩუჱულებისაჲ, 108 ძუჱლ, 113 ჩუჱნების, 116 უნუჱრულისა, 117 შუჱნიერი, 126 ტყუჱ, 129 აჩუჱნა, 136 მოწყუჱდასა, 137 ესუჱნა, დასუჱნებასა, 139 შეესუჱნა, 140 დასუჱნებისაჲო, 141 დასუჱნებაჲ, 142 აღასუჱნა, დაესუჱნა, 143 ესუჱნა, 144 ჩუჱნებათ, 149 დიდებისმეტყუჱლებასა, შუჱნის, 151 მოსაწყუჱდელად, 162 აჩუჱნა, 165 ძუჱლი, 166 შემოხუჱნითა, 169 ღმრთისმეყტუჱლისაჲ, 177 დაასუჱნნა, 186 ქუჱმოჲთ.

ორჯერ უმარცვლო უ-ნის შემდეგაც დედანშიც ე ზის: 93 უეჭუელად, 118 უეჭუელადო.

3) ი-ნის უმართებულოდ დასუსტება ჲ-დ მხოლოდ ერთხელა გვხვდება: 87 მოჲნია.

4) ბ-ანის დაყრუვება ფ-არად: 5 და 159 ნეფსით, და, წინაუკმოდ, ფ-არის გამჟღერება ბ-ანად: 47 განცკბრებისა.

5) ვ-ს დაკარგვა ო-ნის შემდეგ ხმოვნის წინ: 22 და 161 ახოანი, 180 ახოანისანი, თუმცა გვაქვს აგრეთვე 12 ახოვანსა, 27 ახოვანი, 50 ახოვანისა, 165 ახოვანმან; 41 მოითხოვ, 105 სთხოის, თუმცა გვაქვს აგრეთვე 116 მთხოვა; ერთხელ ვ იკარგება უ-ნის შემდეგაც: 76 მყუარ.

6) პირველი პირის სუბიექტური პრეფიქსის ვ-ს დაკარგვა უ-ნის წინ: 106 უწოდ, 150 უწყი.

7) მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ობიექტურ პრეფიქსად გუ-ს ხმარება: 7 მოგუენიჭა, 184 დაგულოცევედით, რომელიც მომდევნო ი-ნთან ერთად გკ-ს იძლევა: 162 გკბოძნა, 184 მიგკწოდებდეს (ამ უკანასკნელისათვის შდრ. ზემ. § 9).

8) ჰ-აეს ხმარება ისეთ სიტყვებში, როგორც: 72 ბალაჰვარად, 115 ჰოროლი, 119 ჰამოდ.

9) პრევერბების შეკვეცა, გამონაკლისის სახით:

36 ამოწყუედისა, 39 აუთქუ, 105 აჰკიდიან, თუმცა სხვაგან ყოველთვის იწერება 87 აღუთქუა, 147 აღჰრაცხავს და სხვ.;

151 წამოქცეულთა, 160 წაისუნეს, 171 წამკითხველნი, 173 წააგო, 184 წაკითხვითა, 186 წააკითხვებდით, თუმცა სხვაგან ყოველთვის იწერება 26 წარვიდა, 91 წარუღო, 185 წარკითხვისა და სხვ.;

ორჯერ გვხვდება ჩა-პრევერბი შთა-ს მაგივრად: 152 ფერგჴჩადთუმილთა, 162 ჩაჭრისაგან, თუმცა სხვაგან ყოველთვის იწერება 24 შთასხმად, 63 შთათხეულნი, 70 შთამოვლო, 101 შთადეგ, 102 შთადგა, 152 შთასაჭრელად.

პრევერბები გან- და გარ- არასოდეს არ იკვეცება.

10) აღსანიშნავია აგრთევე ფორმები 3 აკმაა და 187 ამინის.

§ 11. ბრუნებისათვის დამახასიათებელია, რომ

1) სახელობითი ნიშნიანია, თუ სახელი ა-ნით ან ო-ნით თავდება და უნიშნოა, თუ ე-ნით თავდება, მაგ.: 1 ჴსენებაჲ, 7 უკუდავებაჲ, 25 ქვითხუროჲ, 39 უბინოჲ, მაგრამ 62 მოწამე, 86 სასანთლე და სხვ.

2) მოთხრობითი ერთხელ შეკვეცილ-ნიშნიანი გვხვდება: 177 ძმამა[1] და არა „ძმამან".

3) ნათესაობითი უსრულია, როდესაც მსაზღვრელი და საზღვრული ერთ კომპლექსადაა მიჩნეული, მაგ.: 70 ნათლისმცემელისსა, 74 ერისკაცი და სხვ.

ე-ნით დაბოლოებული სიტყვა ნათესაობითში, ისევე, როგორც მოქმედებითში, ამ ე-ნს ჰკარგავს, მაგ.: 2 მთავარმოწამისა, 57 სასითა და სხვ.

მიცემითთან შეთანხმებისას ნათესაობითი ხან სრული ფორმითაა წარმოდგენილი, ხან კიდევა, და უმეტეს შემთხვევაში, იგი უსრულია, მაგ.: 43 ქვისასა, 61 წყლისასა, 72 დასავალისასა და სხვ. და 9 ღმრთისსა, 26 სომხითისსა, 43 ნავთისასა და სხვ.. საკუთარ სახელებს ემფატიკური ა-ნი, ჩვეულებრივად, არ დაერთვის, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც იგი ნათესაობითში ჩნდება, მაგ.: 168 ცაცაჲსასა, 157 სათუთაჲსაჲ.

4) ადგილობითი ზმნისართის სახით ხმარებულ მიცემითს ერთხელ ბოლო მოკვეცილი აქვს, რადგან ფუძე თვითონ თავდება ს-ანით: 129 ცხმორის და არა „ცხმორისს".

5) დასასრულ, აღვნიშნავ კიდევ, რომ წრფელობითი და სახელობითი ბრუნვები ჩვენს ძეგლში მკაფიოდ გარჩეული არაა.

§ 12. უღვლილებისათვის დამახასიათებელია, რომ

1) მესამე პირის ობიექტური პრეფიქსი (ჰ თუ მისი ბგერინაცვალი ს) ყოველთვის იხმარება, დამატება პირდაპირია თუ ირიბი, უკეთუ იგი მიცემითში დგას: 27 და სხვ. ჰრქუა, 50 მოსცა, 59 ჰრქკან, 79 ჰრქკს, 84 თანაწარვჰჴე, 89 თანაწარვჰჴედ, 105 აჰკიდიან, სთხოის, 110 დასცკდეს, 112 მისცა, 113 შეჰგავს, 119 მოვსწყდი, 130 ჰკიდვან, 146 ცხადჰყოფდა, 147 აღჰრაცხავს, 174 აღვსწერ.

წარმოშობით მიცემითი დამატებიან ზმნებსაც შერჩენილი აქვთ ჰ: 47 ჰგონეს, 67 შეჰკაზმა.

ორჯერ გვხვდება უპრეფიქსო ფორმაც: 149 შუენის, 177 ხატავს, ხოლო 44 კრებდი ბრძანებითია და პრეფიქსი არც უნდა ჰქონდეს.

2) ბოლომოკვეცილია 84 თანაწარვჰჴე თუმცა იქვე გვაქვს 89 თანაწარვჰჴედ.

§ 13. სინტაქსურად საინტერესოა, რომ

1) თჳნიერ, რომელიც მოითხოვს ნათესაობით ბრუნვას: 4 თჳნიერ ცოდვისა, 20 თჳნიერ... თანაშეწევნისა და სხვ., ზოგჯერ და, განსაკუთრებით, მესამე პირის ნაცვალ-

[1] საინტერესოა, რომ იქვე ჩემმა-ც შეკვეცილად დაუწერია და დაბოლოება ნ მერმე დამატებით მიუწერია უფრო წვრილად და უფრო ბაცი მელნით.

სახელთან, მოითხოვს მიცემითსაც: 19 და 24 თუნიერ მისსა, 43 თუნიერ მათსა, 45 თუნიერ ამათსა, 63 თუნიერ ამისსა, 139 თუნიერ ნეტარისა იოსებისსა და მისთა სახლეულთაჲსა.

2) ვითარებითს უთანხმდება მიცემითი: 46 და 51 სასიდ თუსსა.

3) სინტაქსურ შეუსაბამობას წარმოადგენს შემდეგი წინადადება, რომელიც გამოცემაში მაინც უცვლელად დავტოვე: 185 ესრეთ იტყოდით, შემდგომად წარკითხვისა, მღდელი (ზმნის მრავლობითი შეიძლება ზრდილობიანი ფორმის გამომხატველი იყოს).

§ 14. დიალექტიზმები და ვულგარიზმები ჩვენი ძეგლისა განსაკუთრებით საინტერესოა მაშინ, როდესაც ისინი გარკვეულ კილოს გვიმჟღავნებენ და ამგვარად ავტორის ისედაც ცნობილ წარმოშობაზე უნდა მიგვითითებდნენ. ასეთებია: 26 თფილისისსა, 60 ვხედევდიო და 115 ვხედევდი, 113 სადევეთა და 114 სადევნი.

შემდეგ, აქვეა მოსატანი: 8 ღმრთეებისა, 13 მწულილებით, 33 არაჲოდეს, 76 მყუარ და არა „მყოვარ", 63 მანდა და არა „მუნ", 79 ჩუქვებით, ზედმეტი ვ-ინით, 90 მოაწიიან, 130 ჰკიდვან, 164 მცირაობითა, ნაკლოლევანებამან, 177 დიდრუანნი.

99 სიღრმეთაჲთგან მე აგრეთვე დიალექტურ ფორმად მიმაჩნია, რომელშიც ნამოწყება ანუ გამოსვლა (კითხვაზე „საითგან") ორმაგადაა გამოხატული -ით||-ჲთ-სუფიქსით და -გან-თანდებულით.

§ 15. გამოცემაში რთული სიტყვები, რომლებიც დედანში თითქმის უკლებლივ ცალ-ცალკე სწერია, მე შევაერთე დეფიზით, თუ პირველი ნაწილი სრულფორმიანია (18 ერისა-კაცთაგანკაცა), და შერწყმით დავბეჭდე, თუ იგი უსრულია (74 ერისკაცი და სხვ.). დეფიზით შევაერთე ის სიტყვებიც, რომლებსაც მაინცდამაინც მჭიდრო გადაბმულობა არ ახასიათებს, როგორც, მაგ., 40 კერძო ვარაუდი, 172 ძალის-პირნი, ანდა ფორმით არიან დაკავშირებული, როგორც, მაგ., 13 კაცად-კაცადმან, 166 მეტის-მეტად და მისთ.

ზმნა და მიმღეობა და აგრეთვე ზმნისართი დედანშიც ცალ-ცალკე იწერება და გამოცემაშიც ისე დავტოვე. შერწყმით დავბეჭდე მხოლოდ სრულქმნაჲ, როგორც არსებითი სახელი და, პირიქით, ცალ-ცალკე დაიბეჭდა 63 ჯუარის გამოსახვისა და მისთ., რადგან მეორე ნაწილი ზმნადაა აღქმული.

51 მო-რაჲ-ინია დედანში ერთად სწერია, მე დეფიზით გამოვყავი ზმნისართი რაჲ.

თანდებულებს, გარდა ზედა, თანა, თუნიერ, მიერ და შინა-სი, ცალკე არა ვწერ, თუმცა დედანში მეტწილად ცალკე იწერება, აგრეთვე, -გზის, -ებრ, -თუს, -გან, უმეტეს შემთხვევაში, დედანშიც შერწყმით სწერია.

ცალკე იწერება დედანში ისეთი ნაწილაკებიც, როგორც -ვე, -გა, -მცა –მე შერწყმითა ვბეჭდავ. გაყოფილია დედანში აგრეთვე არა ვინ, ესე ვითარი და მისთ, რომლებიც მე შევაერთე.

ასომთავრულები და სინგურით ნაწერი არ გადმომიცია – მათი სია იხ. ზემ. § 1. ტექსტი თავებად დავყავი და, გარდა ამისა, ციტაციის გასაადვილებლად, შიგ შევიტანე პარაგრაფობრივი სათვალავი, რომელიც თავიდან ბოლომდე უწყვეტლივ მიჰყვება ტექსტს. აბზაცებიც და განკვეთილობის ნიშნებიც ჩემია, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ მეტწილად ჩემი აბზაცები თვით ავტორის აბზაცებს დაემთხვა (იხ. ზემ. § 1 – სია სინგურით ნაწერის და ასომთავრულებისა და § 2 – სასვენი ნიშნები). ბრჭყალებში ჩავსვი პირდაპირი თქმა. დედნის სტრიქონების აღნიშვნა ზედმეტად ჩავთვალე, მხოლოდ შეეული ორი ხაზითა მაქვს გამოყოფილი ყოველი ფურცელი და თითო ხაზით ყოველი გვერდი დედნისა.

§ 16. დედანში დაქარაგმებული სიტყვები გამოცემაში ყველა გახსნილია და ქვემოთ მომყავს მათი სრული სია. ქარაგმების გახსნისას ეჭვი არსად არ დამბადებია.

აქ აღსანიშნავია მხოლოდ შემდეგი: ქარაგმა წარმოადგენს პატარა დაკლაკნილ ხაზს და დაისმის სიტყვის ზემოდან ერთხელ, თუ სიტყვა მოკლეა და ერთგანაა მხოლოდ შეკვეცილი (მაგ.: 2 ნ˜ისა=ნმიდისა), ორხელ, თუ სიტყვა გრძელია და ორ ადგილასაა შეკვეცილი (მაგ., 2 სიტყ˜მ˜ნ=სიტყუამან) და სამჯერაც, თუ სიტყვა ნამეტანი გრძელია, განსაკუთრებით, თუ იგი თანდებულიანია და სამ ადგილასაა შეკვეცილი (მაგ., 3 თ˜ად აუს˜ბმომ˜ნ=თანადაუსაბამომან).

რა თქმა უნდა, ეს წესი საკმაოდ ხშირად ირღვევა, როგორც ეს, სხვათა შორის, ჩემ მიერ შედგენილი დაუქარაგმებელი თუ ქარაგმა-ნაკლული სიტყვების სიიდანაცა ჩანს (იხ. ზემ. § 7), მაგრამ წესი მაინც წესადა რჩება. გარდა ერთეული ხმოვნებისა, რომელთა შეკვეცა მხოლოდ ადგილის ეკონომიას იძლევა, ხშირად იკვეცება სიტყვის უდიდესი ნაწილი (მაგ., 8 ნწ˜ყლთანი=წინასწარმეტყუელთანი), რაც, ცხადია, დიდ დროის ეკონომიასაც იძლეოდა.

ჩვენს ძეგლშიც, ისე, როგორც ეს სხვაგნითაა ცნობილი, ბრუნვის მაწარმოებელი ი-ნი არასოდეს არ იკვეცება, რათა მიცემითისა და ნათესაობითის აღრევა არ მოხდეს, მაგრამ ერთხელ მაინც გვხვდება შეკვეცა 16 სიტყ˜სა, რომელიც, კონტექსტის მიხედვით, უნდა გავხსნათ არა როგორც მიცემითი „სიტყუასა“, არამედ როგორც ნათესაობითი სიტყჳსა და ასეთი შეკვეცა, გამონაკლისის სახით, დაშვებულია, ეგების, იმიტომ, რომ ეს სიტყვა ნათესაობითში უ-ი-ნოდ, სახელდობრ, ჯ-თი იწერებოდა, როგორც ამას გვიჩვენებს § 9 ტექსტისა, საცა იგი სრულად სნერია ამავე ბრუნვაში.

149 ა˜ნ გავხსენი როგორც ამან, რასაც გვიკარნახებს სრულად დაწერილი 187 ამინის. 65 ღ˜ის, 5 ღ˜ჲ და მისთ. გავხსენი, როგორც ღმრთის, ღმრთისაჲ და მისთ., რადგან ჩვენს ძეგლში არქაულად იწერება, მაგ., 185 ა˜ჯ=იესოვ, თუმცა შეიძლებოდა დაგვეშვა აგრეთვე ფორმები „ღუთის“, „ღუთისაჲ“ და მისთ., მით უმეტეს, რომ ცოცხალ მეტყველებაში, ალბათ, სწორედ ასე იქნებოდა. სამაგიეროდ, 8 ნწ˜ყლთანი გავხსენი როგორც წინასწარმეტყუელთანი, თუმცა შეიძლებოდა უფრო არქაული „წინაჲსწარმეტყუელთანი“-ც გვევარაუდნა. ასევე რ˜ა ყველგან გავხსენი როგორც რათა და არა როგორც „რაჲთა“, თუმცა შეიძლებოდა ეს ფორმაც დაგვეშვა. 4 მამისგ˜ნ გავხსენი როგორც მამისაგან, რადგან ემფატიკური ა-ნი ჩვენს ძეგლში კარგადაა დაცული (გამონაკლისი იხ. ზემ. § 11:3).

ზოგიერთი დაქარაგმებული სიტყვა ტექსტში სრულად დაწერილიც მოიპოვება ამა თუ იმ ფორმით. ესენი ქვემოთ სიაში ნაჩვენებია მრგვალ ფრჩხილებში, ხოლო თუ დაქარაგმებული სიტყვა იმავე სახით გახსნილიც გვხვდება, მრგვალ ფრჩხილებში აღნიშნულია პარაგრაფი, რომელშიც ეს სიტყვა მოიპოვება.

დაქარაგმებული სიტყვების სია

აგუტის˜ნი 180=აგუტისანი.
ალავერდის˜სა 120=ალავერდისასა.
ამ˜ნ 18 და სხვ., ამ˜ს 66 და სხვ., ამ˜თ 18 და სხვ., ამ˜ნვე 8, ამისთ˜ს 165, ამ˜თსაცა 10=ამან, ამას, ამათ, ამანვე, ამისთჳს, ამათსაცა.
ა˜ნ 149=ამინ (187 ამინის).
ანგ˜ზთანი 8=ანგელოზთანი.
არ˜ჲოდეს 33=არაჲოდეს.

აღდგ˜მითა 7=აღდგომითა.
აღესრ˜ლა 138=აღესრულა.
აღვასრ˜ლო 35=აღვასრულო.
აღრ˜ადგინეს 110=აღ-რაჲ-ადგინეს.
აღყვანებ˜ჲ 119=აღყვანებაჲ.
აღშენებ˜ჲ 33 და სხვ., აღშენების˜ჲ 97, აღშენები˜სა 23=აღშენებაჲ, აღშენებისაჲ, აღ-
    შენებისასა.
აღწერისათ˜ს 106=აღწერისათჳს.
ახოვანმ˜ნ 165, ახოვ˜ნის˜ჲთ 122=ახოვანმან, ახოვანისაჲთ.

ბასილისთ˜ს 140=ბასილისთჳს.
ბიძამ˜ნ 163=ბიძამან.
ბძანებ˜ლი 87=ბძანებული.

გარდასრ˜ლთა 158=გარდასრულთა.
გაცემ˜ლნი 160=გაცემულნი.
გზ˜ჲ 161=გზაჲ.
გ˜ი 18 და სხვ., გ˜ის 12 და სხვ., გ˜ისი 99 და სხვ., გ˜ისსა 82 და სხვ., გ˜ისნი 2 და სხვ.,
    გიისთა 184=გიორგი, გიორგის, გიორგისი, გიორგისსა, გიორგისნი, გიორგისთა.
გ˜ლსმოდგინებ˜ჲ 30, გ˜ლსმოდგინებისა 164, გ˜ლსმოდგინებით 128, =გულსმოდგინებაჲ,
    -მოდგინებისა, -მოდგინებით.
გ˜ლისჴმაყვეს 126=გულისჴმაყვეს.
გ˜მოეცხადა 27 და სხვ. =გამოეცხადა.
გ˜მოვალს 4=გამოვალს.
გ˜მოიყვანა 107=გამოიყვანა.
გ˜მოიცადებოდა 5=გამოიცადებოდა.
გ˜მოიჴსნნა 89=გამოიჴსნნა.
გ˜მორჩეულთა 141=გამორჩეულთა.
გ˜მოსახვისა 63=გამოსახვისა.
გ˜მოუთქუმელი 162=გამოუთქუმელი.
გ˜მოუჩნდა 57 და სხვ. =გამოუჩნდა.
გ˜მოჩინებისა 54=გამოჩინებისა.
გ˜მოცხადებითა 18, გ˜მოცხადებითავე 75 და სხვ. =გამოცხადებითა, -ვე.
გ˜ნაპებსა 104, გ˜ნაპებითა 102, გ˜ნეპო 101=განაპებსა, -ბითა, განეპო.
გ˜ნასრ˜ლა 99=განასრულა.
გ˜ნაძლიერებდის 23=განაძლიერებდის.
გ˜ნგბ˜ლებითა 4=განგებულებითა.
გ˜ნგემარჯუცბოდეს 53=განგემარჯუებოდეს.
გ˜ნვლო 70=განვლო.
გ˜ნზიდნა 104=განზიდნა.
გ˜ნზომე 101=განზომე.
გ˜ნთენდებოდა 92=განთენდებოდა.
გ˜ნიკურნა 6 და სხვ. =განიკურნა.
გ˜ნკჴრეებ˜ლი 46=განკჴრეებული.
გ˜ნმზადებულისა 151, გ˜ნმზადებულთა 152=განმზადებულისა, -ბულთა.

გ˜ნსახილველად 115=განსახილველად.
გ˜ნსაჴდელად 152=განსაჴდელად.
გ˜ნყვანებით 153=განყვანებით.
გ˜ნცკბრებისა 47=განცკბრებისა.
გ˜ნძაჲთ 116=განძაჲთ (108).
გონებამ˜ნ 119, გონებ˜სა 110=გონებამან, -ბასა.
გრ˜გლი 177, გრ˜გლისსა 178, გრ˜გლით˜რთ 180, გრიგ˜ლსცა 175=გრიგოლი, -ლისსა, -ლითურთ, -ლსცა.
გუჱლის˜ჲთა 57=გუელისაჲთა.
დამართებთაგ˜ნ 163=დამართებათაგან.
დამორჩილებ˜ლ 137=დამორჩილებულ.
დასაბამითგ˜ნ 33, დასაბამითგ˜ნი 82=დასაბამითგან, -ითგანი.
დასავალის˜სა 72=დასავალისასა.
დასასრ˜ლი 184, დასასრ˜ლსა 70=დასასრული, -რულსა.
დასასუმელ˜დ 20=დასასუმელად.
დასით˜რთ 7=დასითურთ.
დასაჱნებ˜ჲ 141, დასუჱნებ˜სა 137, დასუჱნების˜ჲო 140=დასუენებაჲ, -ბასა, -ბისაჲო.
დაუსბ˜მოჲსა 3=დაუსაბამოჲსა.
დაფარ˜ლთ˜ჲ 146=დაფარულთაჲ.
დბ˜ჲ 149=დიდებაჲ.
დ˜ბისმეტყუჱლებასა 149=დიდებისმეტყუელებასა.
დბ˜ლი 85, დბ˜ლისა 99, დბ˜ლითა 18, დიდებ˜ლმცა 78, დბ˜ლყოს 180=დიდებული, -ისა, -ითა, -მცა, დიდებულ ყოს.
დედამამ˜ნ 173, დედ˜სა 178=დედამან, დედასა.
დის˜ჲ 170=დისაჲ.
დიფ˜ლ დფ˜ლისა 169 და სხვ., დფ˜ლ დფ˜ლისა 157 და სხვ. =დიოფალ-დიოფლისა (შდრ. 182 დიოფალ-დიოფალსა).
დღეს˜სნლი 127, დღეს˜სნლბად 130=დღესასნაული, დღესასნაულობად.

ე˜ ე˜ისა 157 და სხვ., ე˜ ე˜ით 180,
ე˜ ე˜თა 158=ერისთავთ-ერისთავისა, ერისთავთ-ერისთავით, ერისთავთ-ერისთავთა.
ეკლესიის˜ჲ 35 და სხვ., ეკლესიის˜სა 147, ეკლესიის˜ჲთა 13=ეკლესიისაჲ, -სასა, -საჲთა.
ერთმ˜ნ 128=ერთმან.
ერისაგ˜ნ 187=ერისაგან.
ერისკ˜ცი 74, ერისა კ˜ცთაგ˜ნსაცა 18=ერისკაცი, ერისა-კაცთაგანსაცა.
ესევ˜რი 90, ესევ˜რითა 73 და სხვ., ესევ˜რითავე 89 და სხვ. =ესევითარი, -რითა, -რითავე.
ეშმ˜კი 7, ეშმაკისგ˜ნ 5=ეშმაკი, -ისაგან.

ვ˜ა 11 და სხვ. =ვითარცა.
ვ˜დ 11 და სხვ. =ვითარმედ.
ვ˜ე 100, ვ˜ემდის 112=ვიდრე, -მდის.
ვერდატევნამ˜ნ 164=ვერდატევნამან.
ვერშეძლებისათ˜ს 68=ვერშეძლებისათჳს.
ვითარებ˜ჲ 55=ვითარებაჲ.

ვინაჲთგ˜ნ 3 და სხვ. =ვინაჲთგან.
ვისგ˜ნ 33=ვისგან.
ვიყ˜ვ 117=ვიყავ.
ვნებ˜ლი 47, ვნებულის˜სა 149=ვნებული, -ისასა.
ვ˜რ 33=ვითარ.

ზ˜ა 10 და სხვ., ზ˜აჲთ 98=ზედა, ზედაჲთ.
ზარგ˜ნჴდილმ˜ნ 98=ზარგანჴდილმან.
ზემოჴსენებ˜ლთა 185=ზემოჴსენებულთა.
ზენამ˜ნ 176 და სხვ.=ზენამან.
ზრდილობისათ˜ს 123=ზრდილობისათჳს.

თ˜ა 9 და სხვ.=თანა.
თ˜აარსებით 4=თანაარსებით.
თ˜აარსმ˜ნ 3=თანაარსმან.
თ˜ადაუს˜ბმომ˜ნ 3=თანადაუსაბამომან.
თაყ˜ნისცემით 14=თაყუანისცემით.
თ˜აშემწეთა 152=თანაშემწეთა.
თ˜აშეწევის˜ჲთა 82=თანაშეწევისაჲთა.
თ˜აშეწევნისა 20, თ˜აშეწევნად 45=თანაშეწევნისა, -ნად.
თ˜აწარვჰჴე 84, თ˜აწარვჰჴედ 89=თანაწარვჰჴე, თანაწარვჰჴედ.
თ˜ვადსა 9=თავადსა.
თ˜ვი 68, თ˜ვისაცა 15=თავი, თავისაცა.
თ˜ლით 20 და სხვ., თ˜ლითა 22 და სხვ., თ˜ლნი 57, თ˜ლთგ˜ნ 60=თუალით, -ლითა, -ლნი, -ლთაგან.
თ˜სი 50 და სხვ., თ˜სისა 125, თ˜სსა 17 და სხვ., თ˜სით 159, თ˜სითა 94, თ˜სნი 8, თ˜სთა 46 და სხვ., თ˜სის˜სა 148, თ˜სთასა 67, თ˜სთაჲთა 51, თ˜სისათ˜ს 15=თჳსი, თჳსისა, თჳსსა, თჳსით, თჳსითა, თჳსნი, თჳსთა, თჳსისასა, თჳსთასა, თჳსთაჲთა, თჳსისათჳს.
თქ˜ნ 64 და სხვ.=თქუენ.

ი˜ე 74 და სხვ., ი˜ეს 9 და სხვ., ი˜ესთ˜ს 137=იოვანე (106), -ნეს, -ნესთჳს.
იოს˜ბის 147, იოსებისთ˜სცა 141=იოსების, -თჳსცა.
იტყ˜და 117, იტყ˜დით 185=იტყოდა, იტყოდით.
ი˜ჴ ქ˜ე 185=იესოჴ ქრისტე.
იძულებ˜ლი 156=იძულებული.

კადნიერმ˜ნ 163=კადნიერმან.
კადრებ˜ლისა 150=კადრებულისა.
კარაულთათ˜ს 105=კარაულთათჳს.
კ˜დ 112, კ˜დცა 36 და სხვ. =კუალად, კუალადცა.
კერძო-კარაულმ˜ნ 105=კერძო-კარაულმან.
კერძოჲს˜ჲო 15=კერძოჲსაჲო.
კთ˜ლის˜ჲ 150=კეთილისაჲ.
კლდეთაგ˜ნ 151, კლდისგ˜ნ 53=კლდეთაგან, კლდისაგან.
კურნებ˜ჲ 39=კურნებაჲ.

კ˜ცი 39 და სხვ., კ˜ცმან 91, კ˜ცის 136, 153, კ˜ცისა 21, კ˜ცსა 130 და სხვ., კ˜ცნი 125, კ˜ცთა 20 და სხვ., კ˜ცისსა 92, კ˜ცთანი 8, კ˜ცთად 77, კ˜ციოთგ˜ნ 45, კ˜ცდ კ˜ცდ-მ˜ნ 13, კ˜ცთაგ˜ნსაცა 18, კ˜ცქმნილი 5=კაცი, კაცმან, კაცის, კაცისა, კაცსა, კაცნი, კაცთა, კაცისასა, კაცთანი, კაცთად, კაციოთგან, კაცად-კაცადმან, კაცთაგანსაცა, კაცქმნილი.

ლ˜ცვისათ˜ს 109=ლოცვისათჳს.

მამადმთ˜ვართა 8=მამათმთავართა.
მამისამ˜ნ 3, მამისგ˜ნ 4=მამისამან, -ისაგან.
მარტომ˜ნ 67 და სხვ. =მარტომან.
მაშ˜ნ 122, მ˜შნღა 120=მაშინ, მაშინღა.
მახარებელის˜ჲ 169=მახარებელისაჲ.
მახლობელ˜დ 26 და სხვ. =მახლობელად.
მეგობრის˜ჲ 145=მეგობრისაჲ.
მეყს˜ლდ 62 და სხვ., მყს˜ლდ 50 და სხვ., მეყს˜ლნი 152=მეყსეულად (129), მეყსეულნი.
მზის˜ჲ 115=მზისაჲ.
მთვ˜რი 58, მთვ˜რსა 12, მთვ˜რთა 136=მთავარი, -რსა, -რთა.
მთავარდიაკონობის˜ჲთა 177, მთავარმ˜წმისა 82 და სხვ., მთ˜ვარ მ˜წმისა 2. მთ˜ვარმ-წ˜მის˜ჲ 174, მთ˜ვარმ˜წმის˜ჲთა 185, მთ˜ვარმ˜წმისსა 107=მთავარდიაკონობისაჲთა, მთავარმონამისა, -მონამისაჲ, -მონამისაჲთა, -მონამისსა.
მთქუმელის˜ჲ 2=მთქუმელისაჲ.
მივყ˜ვ 119=მივყავ.
მისთ˜ავე 22 და სხვ. =მისთანავე.
მისთ˜ჲ 162=მისთაჲ.
მისის˜სა 143, მისისათ˜ს 157=მისისასა, მისისათჳს.
მისრ˜ლთა 166=მისრულთა.
მიუკ˜ე 149=მიუკუნისადმდე.
მ˜თისა 13 და სხვ. =მათისა.
მ˜მჲ 74 და სხვ., მ˜მმ˜ნ 163, მ˜მსა 144, მ˜მისაო 185=მამაჲ, მამამან, მამასა, მამისაო.
მ˜მლისა 166=მამულისა.
მ˜ნ 87, მ˜ს 12 და სხვ., მ˜თ 47 და სხვ., მ˜ნვე 165, მ˜სღა 139, მ˜თსა 43 და სხვ., მ˜თთა 152, 180, მ˜თდა 47, მ˜თვე 67, მ˜თცა 176=მან, მას, მათ, მანვე, მასღა, მათსა, მათთა, მათდა, მათვე, მათცა.
მ[იყ]˜ფითა 62=მ[იყ]ოფითა.
მოგებისათ˜ს 135=მოგებისათჳს.
მომკ˜ლ 103=მომკალ.
მონაზონთაგ˜ნი 38=მონაზონთაგანი.
მონოზონებ˜სა 141=მონოზონებასა.
მორ˜ჲიწია 51=მო-რაჲ-იწია.
მოსარეწლისათ˜ს 28=მოსარეწლისათჳს.
მოსრ˜ლთა 109=მოსრულთა.
მოქმედმ˜ნ 142=მოქმედმან.
მოყ˜ვ 118=მოყავ.

მოცალებ˜ი 28=მოცალებაი.
მონ˜ფ[ე] 177=მონაფ[ე].
მ˜რ 13 და სხვ., მ˜რი 6 და სხვ., მ˜რვე 59, მ˜რცა 20=მიერ, მიერი, მიერვე, მიერცა.
მრ˜ვლ 36 და სხვ., მრ˜ვლითა 166, მრ˜ვლდ 21, მრ˜ვლნი 151 და სხვ.. მრ˜ვლთა 20 და სხვ., მრ˜ვლთანი 151, მრ˜ვლთგ˜ნ 94=მრავალ, მრავლითა, მრავლად, მრავალნი, მრავალთა, მრავალთანი, მრავალთაგან.
მ˜რთ 47 და სხვ. =მიმართ.
მრქ˜ა 117 და სხვ. =მრქუა.
მ˜სთ˜ავე 83=მასთანავე.
მტკ˜ვლისა 72=მტკავლისა.
მტ˜რთა 160=მტერთა.
მუშაკობ˜ი 34 და სხვ.. მუშაკობ˜სა 151=მუშაკობაი, -ბასა,
მფ˜რველ˜დ 155=მფარველად.
მფრინველმ˜ნ 100, მფრინველის˜ი 55=მფრინველმან, მფრინველისაი.
მღდელმ˜ნ 187=მღდელმან.
მ˜ღლისა 157 და სხვ., მ˜ღლსა 152=მაღლისა, მაღალსა.
მყ˜ფი 139 და სხვ., მყ˜ფმ˜ნ 116 და სხვ.. მყ˜ფისა 70, მყ˜ფთა 126=მყოფი, -ფმან, -ფისა, -ფთა.
მშ˜ბლსა 9, მშ˜ბელნი 180, მშ˜ბელთა 167, მშ˜ბლთა 158=მშობელსა, -ლნი, -ლთა.
მშჳდობის˜ჲთა 138=მშჳდობისაჲთა.
მციქ˜ლთა 8. მციქ˜ლთაებრ 141=მოციქულთა, მოციქულთაებრ.
მცნებ˜თა 162=მცნებათა.
მნ˜მე 62 და სხვ., მნ˜მემ˜ნ 49 და სხვ., მნ˜მისა 132 და სხვ., მნ˜მის˜ი 127 და სხვ., მნ˜მესა 79 და სხვ., მნ˜მეო 35 და სხვ., მნ˜მეთა 8, მნ˜მეთ˜ი 58, მნ˜მის˜სა 137, მნ˜მისსა 108 და სხვ., მნ˜მეთასა 12=მონამე, -მემან, -მისა, -მისაი, -მესა, -მეო, -მეთა, -მეთაი, -მისასა, -მისსა, -მეთასა.
მხ˜ბმ˜ნ 150, მხ˜ბითა 13, მხ˜ბდ 8=მეოხებამან, -ბითა, -ბად.
მჴედართაგ˜ნი 85=მჴედართაგანი.

ნაკლოლევანებამ˜ნ 164=ნაკლოვანებამან.
ნაყ˜ფი 80=ნაყოფი.
ნაშ˜ბთა 9=ნაშობთა.
ნ˜თელს 183, ნ˜თლით 117=ნათელს, ნათლით.
ნ˜თლისმცემელსა 9 და სხვ. =ნათლისმცემელსა.
ნივთთათ˜ს 64=ნივთათჳს.
ნ˜ტრი 71 და სხვ., ნ˜ტრმ˜ნ 22 და სხვ., ნეტ˜რისა 139, ნ˜ტრისა 140 და სხვ., ნ˜ტრსა 58 და სხვ., ნ˜ტრიცა 148=ნეტარი, -რმან, -რისა, -რსა, -რიცა.
ნუგეშინისცემ˜ი 58, ნუგეშინისაცემელ˜დ 34=ნუგეშინისცემაი, ნუგეშინისსაცემელად.

ოკ˜თუ 186=ოკკუეთუ.
ოქროპირის˜ი 177=ოქროპირისაი.

პართეველის˜ი 177=პართეველისაი.
პ˜ეს 11=პეტრეს.
პირის˜ი 177=პირისაი.

პ᾽ლსა 8, პ᾽ლსავე 134, პ᾽დ 33=პირველსა, -ლსავე, -ლად.
პ᾽ტრონისა 180, პ᾽ტრონსა 181, [პ]᾽ტ[რონით] 180, პ᾽ტრონთა 167 და სხვ., პ᾽ტრნთა 180=პატრონისა, პატრონსა, [პ]ატ[რონით], პატრონთა.
პურის᾽ი 78=პურისაი.

ჟ᾽ი 140, ჟ᾽ა 109 და სხვ. =ჟამი, ჟამსა.

რ᾽ 2 და სხვ. =რამეთუ.
რ᾽ა 34 და სხვ., [რ]᾽ამცა 63=რათა, [რ]ათამცა.
რ᾽ლ 40 და სხვ., რ᾽ლი 74, რ᾽ი 4 და სხვ., რ᾽ნ 13 და სხვ., რ᾽სა 70 და სხვ., რ᾽ლსა 25 და სხვ., რ᾽ითა 6 და სხვ., რ᾽ნი 180, რ᾽ლთა 51, რ᾽თა 166, რ᾽იმე 184, რ᾽ისათ᾽ს 16 და სხვ., რ᾽ნმე 14, რ᾽ლსამე 106, რ᾽ლსაცა 53=რომელ, -მელი, -მელმან, -მლისა, -მლითა, -მელნი, -მელთა, -მელიმე, -მლისათჳს, -მელმანმე, -მელსამე, -მელსაცა.
რ᾽ი 48 და სხვ., რ᾽იმე 32 და სხვ., რ᾽იცა 79 და სხვ., რ᾽ისმე 19 და სხვ. =რაი, -მე, -ცა, -სმე.
რ᾽ჟს 60 და სხვ. =რაჟამს.

საკრველების᾽ი 47, საკრველებისაგ᾽ნ 109=საკრველებისაი, -ბისაგან.
ს᾽კრველი 77 და სხვ. =საკრველი.
სალოც᾽ვად 166=სალოცავად.
სამუშაკოთთ᾽ს 64=სამუშაკოთათჳს.
სანანოისთ᾽ს 159=სანანოისთჳს.
სანატრელის᾽სა 80=სანატრელისასა.
სასო᾽ბსა 56, სს᾽ბით 2 და სხვ. =სასოებასა, სასოებით.
სატჳრთ᾽ვი 94, სატჳრთ᾽ვისა 21=სატჳრთავი, -ისა.
საქართველოის᾽ი 135=საქართველოისაი.
სახლეულთ᾽ისა 139=სახლეულთაისა.
სახ᾽რბისა 147, სხ᾽რბის᾽ითა 154=სახარებისა, -ებისაითა.
სახ᾽ლვსა 113=სახილავსა.
საჴსენებელ᾽დ 159=საჴსენებელად.
ს᾽გლხკისა 125=სიგლახაკისა.
ს᾽დ 153=სრულიად.
სიბრძნემ᾽ნ 3=სიბრძნემან.
სიტყ᾽ი 5, სიტყ᾽მ᾽ნ 3, სიტყ᾽სა 16, სიტყ᾽სა 134, სიტყვ᾽თა 2 და სხვ.
სიტყ᾽თაი 156=სიტყუაი, სიტყუამან, სიტყჳსა (9), სიტყუასა, სიტყუათა, სიტყუათაი.
სიღრმეთაითგ᾽ნ 99=სიღრმეთაითგან.
სიყუარ᾽ლისათ᾽ს 156=სიყუარულისათჳს.
სიხარ᾽ლითა 110=სიხარულითა.
ს᾽კნესა 148=საუკუნესა.
ს᾽ლი 178, ს᾽ლისა 4, ს᾽ლსა 167 და სხვ., ს᾽ლ[ნი] 180, ს᾽ლისაო 185, ს᾽ლითურთ 149=სული, სულისა, სულსა, სულ[ნი], სულისაო, სულითურთ.
სრ᾽ლებით 117=სრულებით.
სრ᾽ლისა 153=სრულისა.
სრ᾽ლქმნა 81, სრ᾽ლქმნაი 150 და სხვ., სრ᾽ლქმენ 104=სრულქმნა, -ქმნაი, -ქმენ.

სრწმ˜ნბისა 13, სრწმ˜ნბითა 154=სარწმუნოებისა, -ბითა.
ს˜სწლი 64 და სხვ., ს˜სწლისა 107, ს˜სწლის˜ჲ 141, ს˜სწლნი 2 და სხვ. =სასწაული, -ისა, -ისაჲ, -ლნი.
სუფევამ˜ნ 176 და სხვ. =სუფევამან.
ს˜ფლი 147, ს˜ფლის 33 და სხვ., ს˜ფლისა 184=სოფელი, სოფლის, სოფლისა.
ს˜ღისა 146 და სხვ. =საღმრთოჲსა.
სწ˜ვებით 23=სწავებით.
სხ˜ჲ 45 და სხვ., სხ˜სა 174, სხ˜ნი 156, სხ˜თა 63, სხუთგ˜ნ 21, სხ˜თათ˜ს 15=სხუაჲ, სხუასა, -ანი, -ათა, -ათაგან, -ათათჳს.
ს˜ხლეულთა 95=სახლეულთა.
სჯ˜ლსა 8=სჯულსა.

ტაძრის˜სა 148=ტაძრისასა.
ტფილისის˜სა 136=ტფილისისასა.

უბადრუკმ˜ნ 32=უბადრუკმან.
უეჭუელ˜დ 93=უეჭუელად.
უვნებელმ˜ნ 70=უვნებელმან.
უკ˜თუ 20 და სხვ. =უკუეთუ.
უკუდავებ˜ჲ 7=უკუდავებაჲ.
უღლეულით˜რთ 71=უღლეულითურთ.
უღ˜ღდა 58=უღაღადა.
უცალოებ˜თა 163=უცალოებათა.
უცხოებ˜ს[ა] 34=უცხოებას[ა].
უწყებ˜ლ 140=უწყებულ.

ფათერაკთაგ˜ნ 151=ფათერაკთაგან.
ფ˜დ 20 და სხვ. =ფრიად.
ფ˜ნებითა 154=ფსალმუნებითა.

ქადილის˜ჲთა 36=ქადილისაჲთა.
[ქ]ალ-ყმ˜ნი 176=[ქ]ალ-ყრმანი.
ქართულის˜ჲთა 123=ქარულისაჲთა.
ქ˜ეანეთასა 132=ქრისტიანეთასა.
ქვ˜ჲ 67 და სხვ., ქვის˜ჲ 86 და სხვ., ქვ˜სა 53, ქვის˜სა 43, ქვისაგ˜ნ 18, ქვისათ˜ს 64, ქვით˜რთ 70=ქვაჲ, ქვისაჲ, ქვასა, ქვისასა, ქვისაგან, ქვისათჳს, ქვითურთ.
ქმნისათ˜ს 131=ქმნისათჳს.
ქურივის˜ჲ 17=ქურივისაჲ.
ქ˜ყნსა 26 და სხვ. =ქუეყანასა.
ქნ˜ლსა 9, ქნ˜ლისაგ˜ნ 3=ქალწულსა, ქალწულისაგან.

ღ˜თეებისა 8=ღმრთეებისა.
ღ˜ისმეტყუჱლის˜ჲ 169=ღმრთისმეტყუელისაჲ.
ღ˜ისმშ˜ბელის˜ჲ 177=ღმრთისმშობელისაჲ.

ღ᾽ნ 180, ღ᾽ის 65 და სხვ., ღ᾽ისა 153, ღ᾽ჲ 5 და სხვ., ღია 110, ღ᾽ო 185, ღ᾽ისაა 9, ღ᾽ისათა 150, ღ᾽ივ 150=ღმერთმან. ღმრთის, ღმრთისა, ღმრთისაჲ, ღმერთსა, ღმერთო, ღმრთისსა, ღმრთისათა, ღმრთივ.
ღ᾽ნლი 162=ღუანლი.

ყ᾽ი 54 და სხვ., ყ᾽ით 30, ყ᾽ითა 171, ყ᾽დ 32 და სხვ., ყ᾽თა 9 და სხვ., ყ᾽ი. თ᾽რთ 93, ყ᾽ისავე 47, ყ᾽დვე 19 და სხვ., ყ᾽ნივე 110 და სხვ., ყ᾽თავე 171=ყოველი, ყოვლით, ყოვლითა, ყოვლად, ყოველთა, ყოველივე, ყოვლითურთ, ყოვლისავე, ყოვლადვე, ყოველნივე, ყოველთავე.
ყრმ᾽ჲ 107 და სხვ., ყმ᾽ჲ 85,
ყრმ᾽ნ 79=ყრმაჲ, ყრმამან.

შ᾽ა 8 და სხვ. =შინა.
შ᾽აგ᾽ნსა 127=შინაგანსა.
შ᾽დ 11 და სხვ. =შემდგომად.
შებორკილებ᾽ლი 109=შებორკილებული.
შევედრებ᾽ლისა 2=შევედრებულისა.
შემოკრებ᾽ლთა 130=შემოკრებულთა.
შენებ᾽ჲ 158=შენებაჲ.
შეპყრობლმ᾽ნ 98=შეპყრობილმან.
შესაკადრებლ᾽დ 2=შესაკადრებელად.
შეძლებ᾽ჲ 19=შეძლებაჲ.
შეძრწუნებ᾽ლ 59=შეძრწუნებულ.
შვ᾽ლსა 91=შვილსა.
შიშისათ᾽ს 135=შიშისათჳს.
შ᾽ნ 11 და სხვ., შ᾽ი 54 და სხვ., შ᾽ნსა 13, შ᾽ნისა 28, შ᾽ის᾽ჲ 33, შ᾽ითა 35 და სხვ., შ᾽ნდა 45, შ᾽ნთა 29, შ᾽ნთანი 43, შ᾽ით᾽რთ 30=შენ, შენი, შენსა, შენისა, შენისაჲ, შენითა, შენდა, შენთა, შენთანი, შენითურთ.
შ᾽ნდობითა 82=შენდობითა.
შობ᾽ჲ 3=შობაჲ.
შ᾽ს 46 და სხვ. =შორის.

ჩაჭრისგ᾽ნ 162=ჩაჭრისაგან.
ჩ᾽მ 39 და სხვ., ჩ᾽ი 37 და სხვ., ჩ᾽მმან 177, ჩ᾽ისა 93 და სხვ., ჩ᾽ის᾽ჲ 16, ჩ᾽ა 112 და სხვ., ჩ᾽მდა 13 და სხვ., ჩ᾽მნი 176, ჩ᾽მთა 33 და სხვ., ჩ᾽მთაჲ 34, ჩ᾽მგ᾽ნ 107 და სხვ., ჩ᾽იო 11 და სხვ., ჩ᾽მთ᾽ავე 114=ჩემ, ჩემი, ჩემმან, ჩემისა, ჩემისაჲ, ჩემსა, ჩემდა, ჩემნი, ჩემთა, ჩემთაჲ, ჩემგან, ჩემიო, ჩემთანავე.
ჩ᾽ნ 134 და სხვ., ჩინი 169, ჩ᾽ნმ᾽ნ 163, ჩინისა 159 და სხვ., ჩ᾽ნსა 181, ჩ᾽ნით 180, ჩ᾽ნო 185, ჩ᾽ნთა 18 და სხვ., ჩ᾽ნთაჲსა 135, ჩ᾽ნთ᾽ს 6 და სხვ.=ჩუენ, ჩუენი, ჩუენმან, ჩუენისა, ჩუენსა, ჩუენით, ჩუენო, ჩუენთა, ჩუენთაჲსა, ჩუენთჳს.
ჩ᾽ნებით 138=ჩუენებით.
ჩუჱულებ᾽ჲ 82, ჩუჱულების᾽ჲ 105=ჩუელებაჲ, ჩუეულებისაჲ.
ჩჩჳმ᾽ნ 79=ჩჩჳლმან.

ცˆდვისა 4, ცˆდვთა 135=ცოდვისა, ცოდვათა.
ცთომილებˆჲ 6=ცთომილებაჲ.
ცხენითˆრთ 114=ცხენითურთ.
ცხˆველსმყˆფელითა 7=ცხოველსმყოფელითა.
ცხˆრბისა 155, ცხˆრბსა 148=ცხორებისა, ცხორებასა.

ძილˆდ 117=ძილად.
ძˆლმˆნ 3, ძˆლისაებრ 13, ძˆლსა 156=ძალმან, ძალისაებრ, ძალსა.
ძმˆჲ 158, ძმˆთა 46 და სხვ., ძმˆთასა 167=ძმაჲ, ძმათა, ძმათასა.
ძრვისˆჲ 19=ძრვისაჲ.

წამებისˆჲ 162=წამებისაჲ.
წარსრˆლსა 59=წარსრულსა.
წˆე 88 და სხვ.=წინაშე.
წˆმდგომარეობითა 154=წინაშე მდგომარეობითა.
წინანარმოძღომილმˆნ 68=წინაწარმოძღომილმან.
წˆჲ 13 და სხვ., წმიდმˆნ 18, წˆნ 36 და სხვ., წˆისა 2 და სხვ.,
წˆისაჲ 100, წˆა 79, 142, წˆით 122 და სხვ. წˆო 32 და სხვ.,
წˆნი 8, წˆთა 8 და სხვ., წˆსსა 111, წˆისჲთა 4 და სხვ., წˆსავე 9, წთˆ[ჲ]თა 185=წმიდაჲ. წმიდამან, წმიდისა, წმიდისაჲ, წმიდასა, წმიდით, წმიდაო, წმიდანი, წმიდათა, წმიდისსა, წმიდისაჲთა, წმიდასავე, წმიდათაჲთა.
წყაროჲსაგˆნ 63=წყაროჲსაგან.
წყლˆბჲ 162, წყˆლბისათˆს 159=წყალობაჲ, წყალობისათჳს.
წყˆლი 70, წყლისˆსა 61=წყალი, წყლისასა.
წწˆყლთანი 8=წინასწარმეტყუელთანი.

ჭურჭულთˆჲ 50=ჭურჭელთაჲ.

ხˆ 31 და სხვ.=ხოლო.
ხილვˆჲცა 56=ხილვაჲცა.
ხˆრ 59, 104=ხარ.
ხˆტი 177, ხˆტისა 153, ხˆტითა 145, ხˆტნი 177, ხˆტისაჲთა 13=ხატი, -ისა, -ითა, -ნი, -ისაჲთა.
ხუაშაჲსˆსა 180=ხუაშაჲსასა.
ჴˆლვყˆვ 158 და სხვ., ჴˆლვყო 124=ჴელვყავ, ჴელვყო.
ჴˆლი 118, ჴილის 68, ჴˆლით 35 და სხვ., ჴˆლითა 157, ჴˆლთა 29 და სხვ., ჴელისˆჲთა 113, ჴˆლისაგˆნ 89, ჴლთˆნთა 62, ჴˆლთავე 162=ჴელი, ჴელის, ჴელით, ჴელითა, ჴელთა, ჴელისაჲთა, ჴელისაგან, ჴელითაჲთა, ჴელთავე.
ჴლთგˆნპყრობით 14=ჴელთგანპყრობით.
ჴˆლთმქონებლობისˆჲთა 113=ჴელთმქონებლობისაჲთა.
ჴˆლყვის 19=ჴელყვის.
ჴˆლყფˆჲ 97, ჴˆლყˆფით 21=ჴელყოფაჲ, ჴელყოფით.
ჴმაყˆფით 58=ჴმაყოფით.
ჴˆჲ 145=ჴმაჲ.

ᲨᲬრცთა 144, ᲨᲬრცისᲘსა 83=Შორთცა, Შეორცისასა.
ᲨᲬრციელმᲬᲜ 161, ᲨᲬრციელისა 145.
ᲨრცᲬᲚსა 114=Შორციელმან, Შორციელისა, Შორციელსა.
ᲨსენებᲬᲘ 1=ᲨსენებაᲘ.

ᲯᲬᲘ 66 და სხვ., ᲯᲬრის 63, ᲯᲬᲘს 177, ᲯᲬᲘსა 13, ᲯᲬᲘთა 6=ᲯᲣარი, ᲯᲣარის, ᲯᲣარისა, ᲯᲣარისაᲘთა.
ᲯორითᲬრთ=ᲯორითᲣრთ.

ᲰქᲬა 27 და სხვ.=ᲰრქᲣა.

§ 17. ჩვენი დედანი კარგადაა დაცული და ამიტომ აღსადგენი ტექსტში თითქმის არა იყო რა. რამდენსამე ადგილას ერთი-ორი ასო, დროთა განმავლობაში, გადასულა და ისინი მე კუთხოვან ფრჩხილებში ჩავსვი. გარდა ამისა: 37 Ჰ[რ]ქᲯან, საცა Ჰ-ს შემდეგ ერთი ასოს ადგილი ამოფხეკილია, აღვადგინე 59-ე პარაგრაფის მიხედვით, საცა იგივე სიტყვა სრულად და კარგად სწერია; 177 მოწაფ[ე] – ე-ს ლუმბო (მელნის შავი ლაქა) Ჰფარავს; 180 და[თა მათ]თა – აღდენილი ასოები სტრიქონის ბოლოზე მოდის ამ ადგილას და ზოგი სულ გადასულა, ზოგიც ოდნავ განირჩევა, თა (და[თა]) კარგად შეიძლება აღდგეს; 180 სულ[ნი ეგრ]ეთვე – აქ სანახევროდა ჩანს ლ, ფრჩხილებში ჩასმული კი სულ გადასულია; 180 [პ]ატ[რონით] – პ-ს აღდგენა შეიძლება ნაკვალევის მიხედვით, დანარჩენი კი სულ გადასულია; 182 წლითი-წ[ლა]დ – ეს სიტყვები ძალზეა გადასული, მაგრამ გარდა აღდგენილისა, დანარჩენი მაინც განირჩევა.

§ 18. თუმცა თ. ჟორდანიას ჩვენი ძეგლი საერთოდ კარგადა აქვს გამოცემული (ქრონიკ., II, 111-222), ტექსტში მას მაინც შეცდომები შეᲰპარვია. აღვნიშნავ მხოლოდ ორს, შედარებით მსხვილ შეცდომას: 1) დედანში ვკითხულობთ 136 ლიხთა ამერისა, ჟორდანიას კი (უფრო, ალბათ, კორექტურული) შეცდომით დაბეჭდილი აქვს „ლიხთა იმერისა“ (გვ. 118), 2) 152 ქვისმქნელთა ჟორდანიას თავის გამოცემაში სულ გამოᲰრჩენია (გვ. 119).

აბუსერისძე ტბელი

ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე

1. ჯერ არს ჴსენებაჲ შუენიერისა და დიდისა ახოვნისაჲ.

2. რამეთუ ესე არიან სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი და ანდერძი მისისა სასოებით შევედრებულისა და ამათ სიტყუათა შესაკადრებელად ღირსებისაებრ მთქუმელისაჲ.

3. ვინაჲთგან თანაარსმან სიტყუამან, სიბრძნემან და ძალმან და თანადაუსაბამომან დაუსაბამოჲსა მამისამან არავე აკმაა შობაჲ ქალწულისაგან უბიწოჲსა. 4. და გუემსგავსა, თჳნიერ ცოდვისა, განგებულებითა და ჯერჩინებითა სულისა წმიდისაჲთა, რომელი გამოვალს დაუსაბამოჲ თანაარსებით დაუსაბამოჲსა მამისაგან. 5. და გამოიცადებოდა ეშმაკისაგან სიტყუაჲ ღმრთისაჲ კაც ქმნილი ნეფსით. 6. და ივნო ჩუენთჳს სიკჳდილითა ჯუარისაჲთა, რომლითა განიკურნა ცთომილებაჲ ხისა მიერი, 7. და მოგუენიჭა უკუდავებაჲ ცხოველსმყოფელითა აღდგომითა მისითა, რომლითა დაითრგუნა ეშმაკი დასითურთ მისით. 8. ამანვე წმიდანი თჳსნი, სათნო ყოფილნი ღმრთეებისა მისისანი, ცხრანივე დასნი წმიდათა ანგელოზთანი და მეათენი კაცთანი, პირველსა სჯულსა შინა მამათმთავართა და წინასწარმეტყუელთანი, ახალსა შინა მოციქულთა და მღვდელთ-მოძღუართანი, მოწამეთა და წმიდათა [მა]|მათა და დედათანი, განაჩინნა მეოხებად ჩუენთჳს, 9. თანა წმიდასავე ქალწულსა, საკჳთრად (sic) მშობელსა მისსა, და ყოველთა ნაშობთა უმეტესსა თავადსა იოვანეს, ქადაგსა სიტყჳსა ღმრთისსა, წინამორბედსა და ნათლისმცემელსა.

10. და ამათსაცა სახელსა ზედა აღეშენნეს ეკლესიანი, ერთეკლესიად წოდებულნი. 11. ვითარცა აღუთქუა პეტრეს, ვითარმედ: „შენ ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემიო", და შემდგომითი-შემდგომად წმიდათა მისთა.

12. და დიდსა მას ახოვანსა და მთავარსა მოწამეთასა გიორგის: 13. „რომელმან აჴსენოს წმიდაჲ სამებაჲ შენ მიერ ჩემდა მომართითა მეოხებითა და სახელსა შენსა ზედა აღშენებითა ეკლესიისაჲთა და აღმართებითა ჯუარისა გინა ხატისაჲთა და გინა სხჳთა შესაწირავითა, მსგავსად სარწმუნოებისა მათისა, მდიდართა და გლახაკთა, კაცად-კაცადმან ძალისაებრ, ქურივის მწულილებით, 14. რომელმანმე ჴელთგანპყრობით, რომელმანმე ცრემლით და მხურვალედ თაყუანისცემით, 15. მას აღესრულოს ყოველინვე თხოვაჲ ორისავე კერძოჲსაჲო და თავისაცა თჳსისათჳს გინა სხუათათჳს", 16. რომელითაჳს არს მიზეზი სიტყჳსა ამის ჩემისაჲ.

17. რომელმან სუეტი იგი ქურივისაჲ მიითუალა ტაძარსა შინა თჳსსა, 18. ესერა ჟამთაცა || ამათ ჩუენთა შინა ერთსა ერისა-კაცთაგანსაცა ვისმე აღაშენებინა ეკლესიაჲ მისი გამოცხადებითა თჳსითა დიდებულითა და სა[კჳ]რველითა, ამან წმიდამან მოწამემან გიორგი, ქვისაგან და კირისა. 19. და თჳნიერ მისსა ვინცა ჴელყვის შეწევნად ქვისა გინა სხჳსა რაჲსმე ნივთისა, არა აქუნდის ყოვლადვე შეძლებაჲ ძრვისაჲ, და შერისხვით აჩუენის ოდესმე ძილსა შინა და ოდესმე დღისით და ცხადად. 20. და უკუეთუ მხოლოდ ოდენ ბასილი მუშაკობდის, თჳნიერ ვისისაცა თანაშეწევნისა, რაოდენ გინა მძიმე ქვაჲ იტკრთის ქვასა ზედა დასასუმელად, რომელი ფრიად მრავალთა კაცთა მიერცა მძიმე არს ტკრთად და თუალით სახილველად საკჳრველ. 21. და სხუათაგან ჴელყოფით შეწევნასა შინა, ვერცა ერთისა კაცისა მიერ სატკრთავისა შემძლებელ იყვნიან შეძრვად, რაოდენცა მრავლად შეკრბიან. 22. და თჳთ დიდი იგი ახოანი თუალითა იხილის მისთანავე

მუშაკობად ამან ნეტარმან ბასილი, და აღწევად ქვისა მძიმისა. 23. და ოდესმე თჳნიერ მუშაკობისაცა სწავებით განაძლიერებდის და მისცემდის სასოებასა საკჳრველისა ამის აღშენებისასა. 24. და არცა ღორღისა და კირისა შთასხმად მიუტევებდის და არცა ვის მოღებად და | ზელად ქჳშისა კირსავე თანა, თჳნიერ მისსა.

25. და იყო ესრეთ, რამეთუ ესე ბასილი იყო ქვითხუროჲ, რომელსა ეწოდების გალატოზი. 26. და წარვიდა ქუეყანასა სომხითისსა, მახლობელად თფილისისსა. 27. და გამოეცხადა დიდი იგი ახოვანი და ჰრქუა. 28. „ნუ ნაქუნს (sic) მოცალებაჲ მოსარეწლისათჳს სიგლახაკისა შენისა 29. და აღმიშენე ტაძარი ჴელთა მიერ ოდენ შენთა, და ნუმცა ვინ კადნიერ იქმნების მუშაკობად და შუელად შენ თანა. 30. და უკუეთუ ესე ესრეთ არა აჩუენო გულსმოდგინებაჲ, აღგაოჴრო და მოგკლა ყოვლით სახლეულით შენითურთ". 31. ხოლო ამან ნეტარმან ბასილი ჰრქუა, რომელსა მახლობელნი მისნი ბოლოკ-ბასილობით უწოდდეს: 32. „ჰ, წმიდაო გიორგი! რაჲმე ვყო საწყალობელმან და ყოვლად უბადრუკმან. 33. პირველად, ვითარ შესაძლებელ არს ჩემთა ოდენ ჴელთა მიერ აღშენებაჲ ტაძრისა შენისაჲ, რომელი სოფლის დასაბამითგან არაჲოდეს ვისგან ქმნილ არს; 34. და მე ესრეთ გლახაკსა ნუგეშინისსაცემელად ჩემდა მაქუნდა უცხოებას[ა] მუშაკობაჲ, რათა მოვირეწო დასარჩენელი სახლეულთა ჩემთაჲ; 35. და მომიტეე, ჰ წმიდაო მოწამეო, რათა აღვასრულო ჴელით მუშაკობაჲ ამის უცხოთა ეკლესიისაჲ და ვცოცხლებდე ჴელთა მიერ ჩემთა, საფარველითავე შენითა". 36. ხოლო წმიდამან კუალადცა მრავალგზის აჩუენა || და იგივე ჰრქუა, მხილებითა შერისხვისა და ამოწყუედისა ქადილისაჲთა: 37. „ისმინე ჩემი, ბოლოკ-ბასილი, და წარვედ უდაბნოსა კლარჯეთისსა, რომელსა ჰ[რ]ქჳან ოპიზაჲ. 38. და მუნ არს ვინმე ბერი მონაზონთაგანი, რომელსა ეწოდების სტეფანე. 39. და არს იგი კაცი უბიწოჲ და წმიდაჲ, რომელი სნეულებითა დიდითა შეპყრობილ არს, და აუთქუ ჩემ მიერი კურნებაჲ. 40. და მას უთქს ერთი კერძოკარაული, რომელ არს ჯორი, 41. და უც რკინაჲცა. და იგიცა მოითხოე ჯორითურთ. 42. და შექმნენ მის რკინისა ჭურჭელნი ქვისსათლელნი ჴელითავე შენითა, თჳნიერ კაცთა შეწევნისა. 43. და უღლეულნი ჴართა შენთანი რომელ არიან, თჳნიერ მათსა ნუმცა მოიჴმარებ საზიდავსა სამუშაკოსა ქვისასა, გინა სხჳსა რაჲსმე ნივთისსა. 44. და ამით კარაულითა კრებდი ქჳშასა. 45. და თჳნიერ ამათსა სხუან ნუმცა ვინ არს კადნიერ შუელად შენდა და თანაშეწევნად კაცითგან და პირტყუადმდე".

46. და მოიწია ბასილი სახიდ თჳსსა განკჳრვებული და შეპყრობილი შიშითა დიდითა, ძმათა შორის თჳსთა და ყოველთა სახლეულთა მისთა. 47. ხოლო მათ ამის ყოვლისავე მათდა მიმართ მომთხრობელი ამის საკჳრველებისაჲ ჰგონეს ცნობითა ვნებული განცჳბრებისა მიერ, ურწმუნო ქმნილთა. 48. და მიიწია რაჲ ბასილი მონასტერსა მას ოპიზისსა, სენაკსა ნეტარისა სტეფანესსა, | 49. და მიუთხრა მას ყოველივე ესრეთ, ვითარცა ჰრქუა წმიდამან მოწამემან, 50. და მოსცა რაჲ კარაული თჳსი და რკინაჲ შესაქმნელი ქვისსათლელთა ჭურჭელთაჲ, მეყსეულად განიკურნა, სიტყჳსაებრ წმიდისა ახოვანისა. 51. და მო-რაჲ-იწია ბასილი სახიდ თჳსსა, იწყო მუშაკობად საკჳრველისა ამის ტაძრისა, კერძო-კარაულსავე თანა, უღლეულითა მით ჴართა თჳსთაჲთა, რომელთა სახელითცა უწოდდის: ერთსა, „ქურდაობითა" და მეორესა „პირქუშობით".

52. და ესრეთ უწყებულ იყო წმიდისა მიერ. 53. „ქვასა, რომელსაცა მიწით აღმოიღებდე, ანუ კლდისაგან აღმოჰკაფდე, მას ადგილსა მფრინველი დაჯდების, უკუეთუ განგემარჯუებოდეს. 54. და თჳნიერ მის მფრინველისა გამოჩინებისა და მუნ ზედა დაჯდომისა, ცუდ იქმნას ყოველი ჭირი შენი, რაოდენ გინა დიდითა იძულებითა იმუშაკო". 55. და სახეცა მის მფრინველისაჲ ეუწყა და ვითარებაჲ წმიდისა მიერ, 56. და მისი ხილვაჲცა მისცემდის სასოებასა ამის საკჳრველისა მუშაკობისსა.

57. ხოლო კაზმასა შინა ქვისსა, ადგილსა და უბანსა, რომელსა ეწოდების ჯალე, გამოუჩნდა საოცარი სახითა საზარელისა გუელისაჲთა, რომელთა ესხნეს თუალნი დიდისა დარაკისა ოდენნი. 58. და ფრიად შეძრწუნებულსა ნეტარსა ბასილის გამოუჩნდა წმიდაჲ იგი ახოვა||ნი, მთავარი მოწამეთაჲ, და უღაღადა ჴმაყოფით ნუგეშინისცემაჲ და ჰრქუა: 59. „ნუ შეძრწუნებულ ხარ, ჳ ბასილი! საოცარი ესე ხიხათა ზურგით მომავალ არს. მუნითცა ჩემ მიერვე ოტებული მთასა, რომელსა ჰრქჳან პრასინაული, და მგზავრი არს ექსორიობით". 60. და იტყოდა: „ეხედევდიო წარსრულსა აღმოსავალით კერძო და გარდაეფარა თუალთაგან ჩემთა, რაჟამს გარდავლო მთაჲ იგი ჭარალისაჲ".

61. ხოლო სუმასა შინა წყლისასა დააყუდა პირი თჳსი წყაროსა ზედა. 62. მეყსეულად მოვიდა წმიდაჲ მოწამე და აღმოზიდნა (sic) მ[იყ]ოფითა ჴელთაჲთა და ჰრქუა: 63. „არა ჯერ არს [რ]ათამცა სჳი (sic) ეგე, თჳნიერ ჯუარის გამოსახვისა, რამეთუ არიან მანდა ეშმაკნი ჩემ მიერ შთათხეულნი. და ესრეთვე სხუათა აუწყე, რათა თჳნიერ ამისსა არავინ სუას ამის წყაროჲსაგან".

64. ვითარცა გაუწყო თქუენ სასწაული ერთისა ქვისათჳს, ესრეთვე ყოველთა სამუშაკოთათჳს ქვათა, გინა სხუათა ნივთათჳს თჳთოეულად. 65. ესრეთ გულისჴმაყავით, რათა გრძელად მეტყუელებითა არღა საწყინო იქმნას, ჳ ღმრთის მოყუარენო, ამის საკჳრველისა აღშენებისა, სასოებით მსმენელნო!

66. მთასა მას, რომელსა ზედა არს ჯუარი სახელსა ზედა წმიდისა ზაქარიაჲსსა, და ამას მთასა სახელიცა იგივე ზაქარ-წმიდაჲ ეწოდების, 67. მუნ შეჰ|კაზმა ქვაჲ დიდი და მძიმე ფრიად, და დადვა მარტომან მარჴილსა ზედა მათვე უღლეულთა თჳსთასა, შენევნითა წმიდისაჲთა, ჩუელებისაებრ. 68. და რაჲ ჴელის მიყოფით წინაწარმოძღომილ-მან ვერშეძლებისათჳს მწუხარე ყო თავი თჳსი, 69. მეყსეულად მოეჴსნნეს მარჴილნი უღლეულსა მას ჴართასა და უღელი ქედსავე ზედა დაშთა მათსა, და არცა ბასილის ეკუეთა, უვნებელობასავე თანა ჴართასა, 70. და მსწრაფლ შთამოვლო საზარელი იგი და მყაფარი ჩამოღმართი. და არცა სიმრავლესა ქვათასა ეკუეთა და არცა წინა-კერძო დახ-უდომილსა ხევნარსა მის ქუეშე მყოფისა მაღნარისსა, რომლისა დასასრულსა, სივაკესა შინა, წარვლო კარი ეკლესიისაჲ, რომელ არს სახელსა ზედა წმიდისა წინამორბედისა და ნათლისმცემელისსა, და მას ქუეშეთცა განვლო წყალი და ყოვლადვე უვნებელმან ქვითურთ შევლო შეღმართიცა დიდი. 71. ხოლო ნეტარი ბასილი მოვიდა მას ადგილსა უღლეულითურთ, და წარვიდა უმეტეს ოთხისა უტევნისა და მიანია ქვაჲ იგი უღლეუ-ლითა მით სამუშაკოსა მას ტაძრისსა საკჳრველსა. 72. და დადვა ბალაჰვარად კარსა დასავალისასა, რომელ არს მცირედღა უნაკლულევანეს ათერთმეტისა მტკავლისა.

73. და ამით ესევითარითა საკჳრველებითა არს ყოველივე ესე ნამუშაკეი ამის საკჳრველისა ტაძრისაჲ დიდად შუენიერი და წმიდად გებული ქვებითა ფრიად დიდითა და მრავალთა მიერ სატჳრთავადცა ძნიად შესაძლებელითა.

74. და ამისსა დასუმასა შინა შვილი მისი იოვანე შეიწია, რომელი იყო უსწავლელი და ერისკაცი, ვითარცა მამაჲ მისი ბოლოკ-ბასილი. 75. და ამან სახლი აღაშენა საყოფე-ლად სახლეულთა თჳსთა, გამოცხადებითავე წმიდასაჲთა, დაღაცათუ კაცთა შენევნად შეუნდო წმიდამან. 76. და რაჟამს, მამისა მისისა მიერ იძულებული, მივიდა შუელად, მეყსეულად ეცა ქვაჲ ბასილის და იქმნა ვითარცა მკუდარი მყუარ ჟამ. 77. და შემ-დგომად, გამოცხადებითავე წმიდისაჲთა, არღარა იკადრა შენევად კაცთად და ესრეთ მარტომან მით უღლეულითა და კარაულითა სტეფანე ნეტარისაჲთა აღაშენა ტაძარი ესე საკჳრველი.

78. ხოლო იყო მათ ჟამთა შინა სიყმილი და სიძკრე პურისაჲ. 79. და მოუძლურე-ბულსა ენა-ბრგუნვილად ჰრქჳს, რაჲცა ენების წმიდასა მოწამესა, რეცა ჩუქვების სახედ,

ვითარცა ყრმამან ჩჩკლმან, და ესრეთ ჴმა უყვის, ვითარმედ: „ბაჩილო!", რამეთუ ბასილიცა ნეტარი მცირედ ენა-ბრგუნვილი იყო. 80. და ხილი მოართჳს წმიდამან, ოდესმე ყურძენი და ოდესმე ნაყოფი მთისაჲ, რომელსა ეწოდების ჟოლი, და ამით ესევითარითა საკკრველებითა ნუგეშინისცის (sic) სიყმილსა ამის სანატრელისასა.

81. და ესრეთ მარტომან სრულ ქმნა მით კარაულითა და უღლეულითა ტაძარი ესე საკკრველი.

82. და ერთი ტაძარი სხუაჲ აღაშენა სახელსავე ზედა წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისსა, გამოცხადებითავე მისითა და შენდობითა კაცთა და შენდობითა კაცთა თანაშეწევისაჲთა, ვითარცა არს ჩუეულებაჲ და წესი სოფლის დასაბამითგანი.

83. და მოკლებასა შინა ჴორცისასა ირემიცა წარმოუდგინა წმიდამან ბოლოკბასილის და მას თანავე მუშაკთა. 84. და მუნ ქმნილთა საკკრველებათა მის ტაძრისა აღშენებისათა თანაწარვჰჴე, რომელი არს მთასა ორღართასა.

85. ხოლო კაცი ვინმე მჴედართაგანი წარვიდა სპარსეთს და ყრმაჲ მისი პყრობილ იყო. და გამოეცხადა მას წმიდაჲ და დიდებული მოწამე გიორგი და ჰრქუა: 86. „უკუეთუ აღმიშენო სასანთლე ქვისაჲ ქარის მოსაფარებელი, ჴელთა მიერ შენთა, უეჭუელად გამოგიჴსნაო". 87. და მან აღუთქვა ბძანებული და რაჟამს მოჲწია, ყო ეგრეთ. 88. და არიან სასანთლენი ესე აწცა წინაშე მის ტაძრისა საკკრველისა. 89. და ესევითარითავე საკკრველებითა მრავალნი გამოიჴსნნა ამან წმიდამან ჴელისაგან წარმართთაჲსა, რომლისა აღწერასა თანაწარვჰჴედ სიმრავლისათჳს საკკრველებათაჲსა, ღმრთის მოყვარენო.
||

90. და უკუეთუ ენების რაჲმე ბასილის, მომთხოველსა მახლობელთა მიმართ მისთა, გინა სხუათა მიერ არა მომცემელთა, მეყსეულად შერისხვით ამხილის და იძულებით წინაშე მისსა მოაწიიან (sic), და არავის მიუტევის ესევითარი წმიდამან. 91. და იოვანეს, შვილსა მისსა, ვალისა მისისა წილ, ერთი ძელი წარუღო უნებლიეთ ვინმე კაცმან, სიცოცხლესავე შინა მამისა მისისა ბასილისსა. 92. ხოლო წმიდაჲ ესე მივიდა უდეს ჩუენებით, მწუხრსა, სახლსა შინა მის კაცისსა, რაჟამს ღამე იქმნა დღე იგი, რომელი განთენდებოდა კკრიაკედ, და ჰრქუა მას წმიდამან: 93. „მოიყიდე სხუაჲ უმძიმესი ძელი და აღიტკრთე ზურგითა შენითა, რათა მოაწიო წინაშე ტაძრისა ჩემისა. და ამისი არა მყოფელი მოგწყჳდო უეჭუელად ყოვლითურთ რაჲცა არს შენი". 94. და მოაწია უდით ზურგითა თჳსითა მრავალთაგან ძნიად სატკრთავი ძელი წინაშე ამის ტაძრისა, შეწევნითავე წმიდისაჲთა.

95. ხოლო ესე მფრინველი შემდგომად აღშენებისა მრავალთა წელთა მახლობელად მის ეკლესიისა იხილვებოდის სახლეულთა მისთ(აგან).

96. მოგითხრა თქუენ საკკრველი ესე და ესრეთვე შეუძლებელი მარტოჲსა მიერ. 97. რამეთუ წმიდამან მოწამემან თჳთ აუწყა ადგილსა ზედა მწყურნებსა და მიწასა ზედა ლბილსა ჴელყოფაჲ ამის საკკრველისა აღშენებისაჲ. 98. ხოლო ბასილი, მწუხარებითა შეპყრობილმან და ზარგანჴდილმან, თხარა ეგეოდენი სიღრმე ქუეშე მიწასა, ვითარცა | ჩანს ზედაჲთ ტაძარი ესე. 99. და მათ სიღრმეთაჲთგან იწყო შენებად და ესრეთ განასრულა ტაძარი ესე საკკრველი წმიდისა და დიდებულისა მოწამისა გიორგისი მარტოებით.

100. და ვიდრე ჯუარი ესე წმიდისაჲ გარეთ ესუენა, მას ზედა მფრინველმან ვერ იკადრის გარდაფრენად.

101. ამისსავე მუშაკობასა შინა ქვაჲ განეპო. ხოლო წმიდამან მოწამემან ჰრქუა: „შთადეგ, ბასილი, და განზომე ეგე, რაოდენი არსო". 102. და შთადგა მას შინა და შემოაჭირა წმიდამან იმიერ და ამიერ მით განაპებითა ქვათაჲთა. 103. ბასილი ჴმაყო:

„ვაჰმე, რად მომკალ საწყალობელი და საბრალოჰ, წმიდაო მოწამეო!“. 104. ხოლო წმიდამან, რეცა სიცილის სახედ და ლაღობისა, განზიდნა მას განაპებსა ქვათასა და ჰრქუა: „აღმოჴედ ნდა ნუ ხარ მონყინარე მსახურებისა ჩემისა და სრულ ქმენ ტაძარი ჩემიო“.

105. ხოლო ბასილი სადაცა წარიყვანის ჯორი იგი და სთხოის საჴმარი რაჰმე სამუშაკოჰ, მათ აჰკიდიან და მარტოებით მიართჳს კერძო-კარაულმან ნეტარსა ბასილის, და არავინ იკადრის წინაწარზიდვად, ვითარცა არს წესი ჩუეულებისაჰ ცხენთა და კარაულთათჳს.

106. და ვიდრე მუშაკობდა ამით საკკრველებითა, მწე ექმნებოდა წმიდაჰ ესე ახოვანი დიდი მოწამე გიორგი. ვითარცა მომითხრობდეს რომელსამე ნეტარი იოსებ, ძე || ივანესი, რომელსა ამას შინა აღწერისათჳს იოვანედ უწოდ, და რომელსამე მახლობელნი მისნი.

107. და ესე ჯუარი წმიდისა მოწამისაჰ სახელსა ზედა არს ალავერდისა მთავარმოწამისსა, რომელმან ჩემგან თუალით ხილული და ამის სასნაულისა მომთხრობელი ყრმაჰ ვინმე გამოიყვანა, 108. ვითარცა ძუელ ოდესმე ბორღალეთით, აღიტაცა განძაჰთ და დასუა ალავერდს, კარსა წმიდისა მოწამისსა. 109. ხოლო იხილეს რაჰ ეკლესიად მოსრულთა ლოცვისათჳს ჟამსა ცისკრისსა, შებორკილებული რკინითა, განძას დაძინებული და მუნ მდებარე, შიშისა და საკკრველებისაგან ვითარცა მკუდარი, 110. და აღრაჰადგინეს ძლით, და მრავალგზის ჴმობით გონებასა ზედა მოგებულსა დასცჳდეს რკინანი. და ადიდებდეს ღმერთსა ყოველნივე, შიშითა და სიხარულითა შეპყრობილნი, და დიდსა მოწამესა მისსა გიორგის. 111. და ესე ყრმაჰ იმყოფებოდა ეკლესიასა შინა წმიდისსა ვიდრე მსგეფსადმდე. 112. და მოვიდა წმიდაჰ ახოვანი და მისცა ჴელთა ცხენი თჳსი ჭარმაგი და ჰრქუა: „არებდი ეკლესიასა ამას შინა ჩემსა, ვიდრემდის კუალად წარეიყვანდეო“. 113. „და ესე ცხენი თჳთ მომდევდის, რეცა თუ ჩუენების სახედ სადეევეთა ჴელთ მქონებლობისაჰთა და შეხებითა ჴელისაჰთა ვერ ვაგრძნიო“, – იტყოდა | ყრმაჰ იგი: „ვითარცა შეჰგავს ნივთიერსა და თუალით სახილავსა. 114. და ჴელთა შინა ჩემთა იყვნეს სადეევენი იგი ცხენითურთ. და ვითარცა ეკლესიასა შინა ვიქცეოდე, ჰონე იგიცა ჩემთანავე ვიდოდის, რომელსა თუალითა, ვითარცა ჴეორციელსა, ვხედევდი. 115. და ჴელით განსახილველად იყო, ვითარცა ჰოროლი მზისაჰ, რომელსა მე ოდენ ვხედევდი და სხუაჰ ვერავინ. 116. და რაჟამს მთხოვა წმიდამან გიორგი, უწუერულისა ჭაბუკისა სახითა მყოფმან, ვითარცა ვიხილე განძაჰთ აღტაცებისა ჟამსა“. 117. და იტყოდა ესრეთ: „ოდეს მოვიდა, ძილად მწოლარე ვიყავ. და წარმომიდგა ზედა ჭაბუკი შუენიერი, ნათლით შემოსილი სრულებით და მრქუა: 118. „ამას მათრაჴსა მოპყრობილსა ჴელი მოყავ და მევედრე და წარგიყვანო უეჭუელადო“. და მე, ამისსა ურწმუნო ქმნილსა, მრქუა მე კუალადცა მრავალგზის იგივე. 119. და რაჟამს მივყავ ჴელი, ვაგრძენ ჰამოდ აღყვანებაჰ და მოვსწყდი მიწასა. წარმიტაცა გონებამან, რეცა თუ ძილის სახედ. 120. და ოდეს ჴმა მიყვეს კარსა წმიდისა მოწამისსა, კახეთს, ეკლესიასა ალავერდისასა, მაშინღა ძლით მოვეგე გონებასა. 121. და მითვე სახითა მყოფმან, შემომვედრა ცხენი და მერმე წარიყვანა ჰუნე თჳსი წმიდამან. 122. მაშინ მე წარმოვედ ტაძრით წმიდით ახოვანისაჰ||თ“. 123. ხოლო ყრმაჰ ესე, სომეხთა შორის ზრდილობისათჳს, იყო ენითა ქართულისაჰთა მცირედ რაჰმე ნაკლულევანი.

124. და ვინაჰთგან ვიიძულე შეკადრებად, შეპყრობილი სურვილისა მიერ, ესეცა მოთხრობილი ჴელვყო: 125. დაბასა ერთსა, რომელსა ეწოდების ცხმორისი, მუნ მყოფნი ვინმე კაცნი წარვიდეს ნაპირისა წარმართთასა მოსარეწელად რაჰსმე, ღონედ სიგლახაკისა თჳსისა. 126. და მუნმყოფთა გარდაეკიდნეს აგარიანნი და ტყუე იქმნნეს. 127. ხოლო შინაგანსა სპარსეთსა შინა წარსხმულთა, გულისჴმაყვეს დღესასწაული წმიდისა

გიორგისი, დიდისა მოწამისაჲ. 128. ერთმან გულსმოდგინებით იმარხა და მეორე მცირედ ურწმუნო იქმნა, დაღაცათუ ევედრებოდა მის თანავე იგიცა. 129. მეყსეულად მოვიდა წმიდაჲ მოწამე, აღიტაცნა ორნივე, და რომელმან უმეტესი აჩუენა სარწმუნოებაჲ, მეყსა შინა დასუა კარსა ეკლესიისსა ცხმორის, სადა არს ტაძარი სახელსა ზედა მისსა. 130. და იხილეს რაჲ მან შემოკრებულთა დღესასწაულობად, ადიდებდეს ყოველნივე დიდსა მოწამესა გიორგის. და აწცა ჰკიდვან (sic) ბორკილნი იგი წინაშე მისსა. და ეწოდა კაცსა ამას კუანილი. 131. ხოლო მეორე, ურწმუნო ქმნისათჳს, დაღაცათუ არავე უგულებელს ყო წმიდამან, გარნა არღარა მეყსეულად მოაწია აჭარას, ქუეყანასა მისსა, სადა აღზრდილ იყო, 132. და დასუა საზღვარსა ქრისტეანეთასა და წა|რმართთასა, და ძლითღა სლვით მოინია წინაშე წმიდისა მოწამისა, სადა იმყოფებოდა, დაბასა ცხმორისისსა. და მას კაცსა ეწოდებოდა პონილი. 133. რომელი იყო ესე სასწაული უწინარეს ამის საკჳრველისა აღშენებისა.

134. ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ, სასურველად წმიდისა მოწამისა. 135. ოდეს, მოგებისათჳს ცოდვათა ჩუენთაჲსა, სამცხე და ყოველი ადგილი საქართველოჲსაჲ ივლტოდა ხიზნობად შიშისათჳს ხუარაზმელთაჲსა, 136. გამოქცევასა და მოწყუედასა ზედა ლაშქართასა და მრავალთა მთავართა და კაცისშვილთასა, წარტყუენვასა და მოოჴრებასა დედაქალაქისა ტფილისისასა და უმეტესთა ადგილთა ლიხთა ამერისა საქართველოჲსათა, 137. ესე ჯუარი ქვისაჲ, რომელი ესუენა სახელსა ზედა წმიდისა მოწამისასა, რომელი ბასილის და ძისა მისისა იოვანესთჳს არა დამორჩილებულ იყო ტაძარსა შინა საკჳრველებით აღშენებულსა დასუენებასა, 138. ხოლო ჩუენებით ხილვითა ნეტარისა იოსებისითა და ხარებითა სამცხესა ზედა მშჯდობისაჲთა, რომელი საქმითცა აღესრულა, 139. მასღა ჟამსა შეესუენა წმიდასა ნამუშაკევსა თჳსსა. და შუარტყალს შინა მყოფი, თჳნიერ ნეტარისა იოსებისსა და მისთა სახლეულთაჲსა, არვინ დაშთა ულტოლველი კერძოთა აჭარისათაცა. 140. და ესრეთ უწყებულ იყ||ო ნეტარისა ბასილისთჳს, ვითარმედ: „მე უწყო ჟამი ჩემისა ეკლესიად დასუენებისაჲო". 141. და ესე წმიდათა მოციქულთაებრ, სისულელით გამორჩეულთა, ნეშტი ამის სასწაულისაჲ ნეტარისა იოვანეს შვილისა იოსებისთჳსცა დაუტევა, რამეთუ მღდელობასა მისსა (და) მონოზონებასა ეპატივა ჴელთა მისთა მიერ დასუენებაჲ, 142. რამეთუ ესე ჯუარი წმიდისა მოწამისაჲ, მრავალთა მიერ ძნიად სატჳრთავი, ადვილად აღასუენა და დაამყარა ტაჟარსა თჳსსა, მარტოებით მოქმედმან, შეწევნითავე წმიდისაჲთა, და ესევითარითავე საკჳრველებითა დაესუენა ნამუშაკევსა თჳსსა წმიდასა. 143. რამეთუ ამად ჟამადმდე გარეთ ესუენა კარსა ტაძრისა მისისასა.

144. ხოლო ამას ნეტარსა იოსებს, ვითარცა პაპასა მისსა ბასილის და მამასა მისსა იოვანეს, ჩუენებით ეზრახებოდის წმიდაჲ ესე, ვითარცა ნივთიერი და ხილულთა ჴორცთა შინა მყოფი. 145. და ოდესმე ჴმაჲ ესმოდის მოწამისაჲ და ოდესმე თუალითა იხილის სხჳთა და სხჳთა ხატითა, და ყოვლადვე არა უკჳრდის, ვითარცა ჴორციელისა მეგობრისაჲ. 146. ნეტარი იოსებ დაღაცათუ არა ცხად ჰყოფდა, გარნა მამაჲ დაფარულთაჲ მოაგებდა მას ცხადად, სიტყჳსაებრ საღმრთოჲსა პირისა.

147. დავიდუმნე სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი, ვინაჲთგან ვერცა ყოველი სოფელი აღჰრაცხავს აღწერილსა წიგნებსა თჳთოეულისა ეკლესიისასა, რაოდენცა არს სახელსა ზედა წმიდისა გიორგისსა, ვერცა თუ ნეტარისა ამის იოსების ეკლესიისასა, სიტყჳსაებრ წმიდისა სახარებისა.

148. და ესე ნეტარიცა გარდაიცვალა ცხორებასა საუკუნესა და დაეკრძალა საფლავსავე პაპისა და მამისა თჳსისასა, შტოსა შინა მისვე საკჳრველისა ტაძრისასა. 149. დაღაცათუ არა შემძლებელ ვართ ჯეროვნად დიდებისმეტყუელებასა ჩუენთჳს ვნებუ-

ლისასა, გარნა დიდებაჲ მადიდებელსა წმიდათა მისთასა, რომლისა თანა მამას შუენის დიდებაჲ ცხოველსმყოფელით წმიდით სულითურთ მიუკუნისადმდე, ამინ.

150. უწყი, რამეთუ არა ვარ შესარაცხავი ღმრთივ მონიჭებულისა კეთილისაჲ, გარნა ამათ წმიდათა ღმრთისათა მეოხებამან მეცა მომანიჭოს სრულქმნაჲ ჩემგან სამუშაკოდ კადრებულისა ხიხათა ეკლესიისაჲ, 151. რომლისა მუშაკობასა შინა მრავალნი სასწაულნი აღესრულნეს, მრავალთა კაცთა ფათერაკთაგან ჴსნისანი: ქვისა, დასაცემელად განმზადებულისა, მრავალთა არღარა მოსაწყუედელად გარეუკუნქცევანი; და წამოქცეულთა კლდეთაგან მშჯდობით ჴსნანი მრავალთანი; 152. და ამას ზარის განსაჴდელად || მაღალსა და ტიალსა ადგილსა შთასაჭრელად განმზადებულთა კაცთა და ფერჴჩაცთუმილთა აღმოყვანებით ჴსნანი; და მრავალთა მუშაკობით მოქმედთა, ქვისმქნელთა და თანაშემწეთა მათთა, ხანგრძლივად სასნეულოდ განმზადებულთა, მეყსეულნი კურნებანი; 153. და კაცის მჭამელთა მგელთა ოტებანი, სრულიად საზღვართა შინა სრულისა საქართველოჲსათა, წინაშე მისსა ლიტანიობითა და დედისა ღმრთისა ხატისა მის თანავე გარეთ განყვანებითა, 154. რომელსა სასოებდა დედაჲ ჩემი გამოუთქუმელითა სარწმუნოებითა და სამარადისოჲთა წინაშემდგომარეობითა და დაუდუმებელითა კითხვითა წმიდისა სახარებისაჲთა, ფსალმუნებითა და ლოცვითა, 155. რომელი მე დამიტევა ანდერძობით, მფარველად ორისავე ცხორებისა ჩემისა.

156. ესე და სხუანი მრავალნი დავიდუმნე და ძალსა სიტყჳსსა მოკლედ მოვიდე, მე, არა ღირსი და შეურაცხი შესაძრწუნებელთა ამათ სიტყუათაჲ და სიყუარულისათჳს იძულებული და არსაკადრებელად ვერ მომთმინე, 157. აბუსერისძე ტბელი, ძე ერისთავთ-ერისთავისა ივანესი და დიოფალ-დიოფლისა ხათუთაჲსაჲ, რომელსა, შემდგომად ქმრისა მისისა თურქთა ჴელითა აღსრულებისა, მონოზონებისა მისისათჳს მაღლისა ეკატერინე ეწოდა; 150. ძმაჲ ერისთავთ-ერისთავთა აბუსერისი და ვარდანისი, რომელთა ბრძანებითა | ჴელვყავ შენებაჲ ეკლესიისაჲ, სალოცველად გარდასრულთა ჩუენთა და ცოცხალთა და მშობელთა ჩუენთა; 159. და საჴსენებელად პაპისა ჩუენისა აბუსერისსა და ძმისა მისისა სანანოჲსთჳს, რომელმან ნეფსით თჳსით თავი თჳსი უცოლო და უშვილო ყო ჩუენისა წყალობისათჳს. 160. ამათ წაიხუნეს ხიხანი, მტერთა ზედა გაცემულნი, ბრძანებითა ღმრთისა სწორთა პატრონთაჲთა; 161. და მიპარვით შესულასა შინა წმიდაჲ იგი ახოანი გიორგი ღამით ვარსკვლავის (sic) სახედ გამოუჩნდის და ჴმა უყვის ვითარცა ჴორციელმან და ასწავის გზაჲ შესასულელი. 162. ესრეთ დაიცვნა ამას საზარელსა კლდესა ჩაჭრისაგან და გკბოძნა ხიხანი ჴელთავე და აჩუენა ჩუენ ზედა წყალობაჲ გამოუთქუმელი, მობაძავი მცნებათა მისთაჲ, რომლისათჳს დაითმინა ღუაწლი წამებისაჲ.

163. და მას აქაჲთ, მრავალთა უცალოებათა და დამართებათაგან, ვერცა მათ მოიცალეს და ვერცა ბიძამან და მამამან ჩუენმან და ვერცა ძმათა ჩემთა, და ვერცა მე, ღირსებისაებრ ამათ სიტყუათა კადნიერმან. 164. და მაიძულა ეკლესიისა მცირაობითა ერისა ვერდატევნამან და ჯარვისა მიზეზითა გულსმოდგინებისა მათისა ნაკლოლევანებამან. 165. და ძუელი სახლოვანი დაშლილ იყო. და ამისთჳს ჴელვყავ შეკადრებად აღშენებისა, რომლისა სრულქმნაჲ მანვე ახოვანმან მოგუანიჭოს.

166. მამულისა ჩუენისა კაცთა, წესისაებრ, დიდი ჭირი ნახეს, გარნა ბაკოელთა მეტის-მეტად დიდი მოიჭირვეს, რომელთა ვაზირობითა და შემოხუეწითა ჴელვყავ ეკლესიისა მრავლითა სახლოვნებითა აღშენებაჲ, მუნ შინა მისრულთა სალოცავად ჭიდროებისა მათისა ნუგეშინისსაცემელად.

167. და პატრონთა მშობელთა ჩუენთა და მამიდათა, ფოტინეს და საგდუხტის სულსა, და ჩუენ სამთავე ძმათასა, 168. და პატრონთა ჩუენთა დათასა, საგდუხტისსა და ცაცაჲსასა, მოიჴსენებდით; 169. და დიოფალ-დიოფლისა, დისავე ჩუენისა ვანენისსა,

რომელმან ეკლესიაჲ აღაშენა წმიდისა იოვანე მახარებელისაჲ და ღმრთისმეტყუელისაჲ, სამკჳდრებელი ჩუენი, და აღავსო საწყაული კეთილი; 170. დიოფალ-დიოფლისა ნისიმესი, პაპისა ჩუენისა პაპისდისაჲ. 171. და წამკითხველნი ამისნი გუაჴსენებდით ამათ ყოველთავე ცოცხალთა და მიცვალებულთა წესისაებრ.

172. ესე ძილის-პირნი და სტიქარონნი მე დავსხენ ამით ყოვლითა შემატებულითა და ვირე ცოცხალ ვარ, ოდესცა მინდან, მე მოვიჴმარებ და დასაგულებელად განაღამცა[1] - - .

... ---- 173. ჩემთა შვილთა დედამან ბაგულ პაშტაჲ წააგო საშენსა შინა წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისსა და მას და მისთა შვილთაცა აჴსენებდით – რუსუდანს, ზაქარიას, ივანეს, ონოფრეს და აღსართანს. 174. და თუღა რაჲ მიეცეს, სხუასა ანდერძსა შინა აღვსწერ, თუ წადილი იყოს ღმრთისაჲ და წმიდისა მთავარმოწამისაჲ. 175. და ჩუენ სამთავე თანა, ძმისწულსა ჩემსა || გრიგოლსაცა მოიჴსენებდით. 176. და ორნი ჩჳლნი [ქ]ალ-ყრმანი ჩემნი მარჩბივნი მიიწოდნა ზენამან სუფევამან და მათცა მოიჴსენებდით.

177. პატრონმან ძმამა (sic) ჩემმან აბუსერი (sic) მრავალნი კარგნი ხატნი დაასუენნა დიდრუანნი: ერთი წმიდისა გრიგოლი პართეველისაჲ და მეორე წმიდისა დიმიტრისი, მესამე წმიდისა გიორგისი, მეოთხე წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ, რომელსა ზედა წმიდაჲ მონაფ[ე] მისი პროკლე ხატავს სახითა მთავარდიაკონობისაჲთა მსახურებად მაღლისა მღდელთმთავრობითისა ჯუარის აღპყრობისა მისისა; მეხუთე ხატი საღმრთოჲსა პირისაჲ და მეექუსე ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ ჩჳლედი. 178. და მეუღლესა ამისსა, დიოფალ-დიოფალსა, დედასა გრიგოლისსა, თამარს, მოიჴსენებდით, რომლისა სული დიდებულმცა არს წინაშე წმიდისა სამებისა. 179. და მეორესაცა მეუღლეა ერისთავთ-ერისთავისა აბუსერისსა, დიოფალ-დიოფალსა ვახახსა, ესრევე მოიჴსენებდით, რომელი ესეცა მიიწოდა ზენამან სუფევამან.

180. და ესე უწინარეს ჯერ იყო: სულსა პატრონისა ხუაშაჲსასა, ერისთავთ-ერისთავით, მისით ქმრით, გრიგოლითურთ, რომელნი იყვნეს მშობელნი აბუსერისნი, პაპისა ჩუენისანი, და სანანო ახოანისანი; პატრონთა და[თა მათ]თა ცუარისა და აგუტისანი, რომელთა სულ[ნი ეგრ]ეთვე მოჴსენებითა დიდებულ ყოს ღმერთმან: [პ]ატ[რონით] | ერისთავთ-ერისთავით, ბიძაჲთ ჩუენით გრიგოლითურთ; 181. და ბებერსა ჩუენსა, პატრონსა ბალიანდის, მოიჴსენებდით.

182. ძმისა ჩემისა, ვარდანის, მეუღლესა, დიოფალ-დიოფალსა ნაზის, მოიჴსენებდით წლითი წ[ლა]დ მიუცილებელად, სასოებით შემოკრებულნო ერნო. 183. და ძმისწულსა [ჩემს]ა ნათელს, ასულსა აბუსერისსა, მოიჴსენებდით, და ვარდანის ასულთა, ძმისწულთავე ჩემთა, ხათუნსა და ვანენის.

184. და ვითაცაღა სოფლისა დასასრული მიგჳწოდებდეს, გინა თუ ცოცხალ ვიყუნეთ რომელიმე სადამდინცაღა, ნაკითხვითა ამისითა ყოველთა დღესასწაულთა წმიდისა გიორგისთა დაგულოცევდით.

185. და[2] ესრეთ იტყოდით, შემდგომად წარკითხვისა, მღდ[ე]ლი: „ამათ ყოველთა ზემოჴსენებულთა მეოხებითა, წმიდისა მთავარმოწამისაჲთა და ყოველთა წმიდათა[ჲ]თა, მიუტევენ, მეუფეო იოსოკ ქრისტე, ღმერთო ჩუენო, თანაარსო მამისაო და ყოვლად წმიდისა სულისაო“.

---

1 ამის შემდეგ ამოფხეკილია 22 სტრიქონი (რამდენიმე სტრიქონი R-მხარეზე და თითქმის მთელი V-მხარე), იხ. ზემ. აღწერილობა, § 5 და §_6.

2 მთავრული დ აბზაცს იწყებს დედანშიც.

186. უკუეთუ[1] ვინმე მღდელი არ კარგი მკითხველი დახუდებოდეთ, ამას ასომთავრად დონადმდე[2] კარგსა მკითხველსა წააკითხვებდით, 187. და დონსა ქუემოით ონადმდე[3] რომელ წერილ არს, მღდელმან ბძანე, ერისაგან ამინის მთქუმელობითა, ორსავე დღესასწაულსა ცისკრად.

ლექსიკონი

აგარიანნი 126[4] ბიბლიური მამათმთავრის აბრამის ხარჭის აგარის ძის, ისმაილის ჩამომავალნი; აქ თურქნი და საზოგადოდ მაჰმადიანნი.

ადგილი ჩვ. მნიშვ[5].: ყოველი ადგილი საქართველოჲსაჲ 135; ადგილი მწყურნები (იხ.).

აკმაა 3 აკმარა.

ამინ (ებრაულიდან ბერძნული ἀμήν) 149, 187 ნამდვილად, ჭეშმარიტად.

ამოწყუედაჲ იხ. მოწყუედაჲ.

ანგელოზი (ბერძნ. ἄγγελος) ბიბლიით – უსხეულო არსებანი, ღმერთის (იხ.) მსახურნი; ცხრანივე დასნი წმიდათა ანგელოზთანი 8 – ქრისტიანული წარმოდგენით, ღმერთის მსახურნი ცხრა სხვადასხვა ხარისხის დასებად ანუ წოდებებად იყვნენ დაყოფილი.

ანდერძი (სპარსული ანდერზ) უკანასკნელი განკარგულება სიკვდილის წინ; ანდერძობით დატევებაჲ 155 ანდერძით დატოვება, დაანდერძება; 2, 174 – აქ ამ სიტყვის ქვეშ ავტორი ჰგულისხმობს საგვარეულო სულთა მატიანეს ანუ მოსახსენებელთა წიგნს.

არავე 3 აგრეთვე არ, არც.

არაჲოდეს 33 არაოდეს.

არებდი იხ. რებაჲ.

არსაკადრებელად იხ. კადრებაჲ.

ასომთავარი 186 ასომთავრული.

აღდგენაჲ, აღდგინებაჲ 110 ფეხზე დაყენება.

აღვსებაჲ (საწყაულისაჲ) 169 ავსება, შესრულება.

აღთქუმაჲ აღთქმა, შეპირება; აუთქუ 39 აღუთქვი, შეპირდი, აღუთქუა 87 პირობა მისცა; შდრ. მთქუმელი.

აღმართებაჲ (ჯუარისა გინა ხატისაჲ) 13 აღმართვა, დადგმა.

აღმოზიდვაჲ 62 ამოყვანა, ამოთრევა; შდრ. განზიდვაჲ, საზიდავი, წინანარზიდვაჲ.

აღმოკაფვაჲ (ქვისაჲ კლდისაგან) იხ. ქვასთან.

აღმოღებაჲ (ქვისაჲ მიწით) იხ. ქვასთან.

აღმოყვანებაჲ 152 ამოყვანა, ამოთრევა; შდრ. აღყვანებაჲ.

---

1 ეს სიტყვა მთავრული ო-ნით იწყება: „ოკ᾽თუ“.

2 ე. ი. § 172-დან, რომლის წინაც წითური რგოლია დასმული, ვიდრე § 185-მდე, რომელიც მთავრული დ-ონით იწყება, შიგ ჩასმული პატარა წითელი რგოლით (იხ. ზემ. აღწერილობა, § 3).

3 ე. ი. § 186-მდე, რომელიც მთავრული ო-ნით იწყება.

4 ციფრები აღნიშნავს ტექსტის პარაგრაფს.

5 ლექსიკონი განზრახულია აგრეთვე როგორც ტერმინების და გამონათქვამების საძიებელი. ამიტომ შიგ შესულია განუმარტებლად დატოვებული სიტყვებიც, ჩვეულებრივი მნიშვნელობისა (ჩვ. მნიშვ.).

აღმოჴდომაჲ 104 ამოსვლა; შდრ. თანაწარჴდომაჲ.
აღპყრობაჲ 177 აწევა, აშვერა. შდრ. პყრობილი, ჴელთაგანპყრობით.
აღრაცხვაჲ 147 აღთვალვა, დათვლა; შდრ. შესარაცხავი, შეურაცხი.
აღსრულებაჲ 138, 151 შესრულება; 157 (თურქთა ჴელითა აღსრულებაჲ) სიკვდილი.
აღსუენებაჲ (ჯუარისაჲ) 142 კრძალვით ატანა, შეტანა; შდრ. დასუენებაჲ, შესუენებაჲ.
აღტაცებაჲ 108, 116, 129. ატაცება, აყვანა: შდრ. წარტაცებაჲ.
აღტკრთვაჲ იხ. ტკრთვაჲ.
აღყვანებაჲ 119 აყვანება, აყვანა: შდრ. აღმოყვანებაჲ.
აღშენებაჲ (ქვის სასანთლისაჲ) 86, (ეკლესიისაჲ ქვისაგან და კირისა) 18 ჩვ. მნიშვ.
აღწერაჲ (ანდერძსა შინა) 174 დაწერა.
აწცა 130 ეხლაც.
ახალი სჯული იხ. სჯული.
ახოანი 22, 180, ახოვანი 1 და სხვ. (შდრ. სომხ. ախոյեան) გმირი, მებრძოლი.

ბალაჰვარი (შდრ. სომხ. բարատր) 72 „ქვანი... კარზეით სადებელნი, წირთხლთა შემკველნი“ (ს. ს. ორბელიანი), არქიტრავი.
ბებერი 181 ბებია, დიდედა.
ბერი 38 მოხუცი.
ბორკილნი 130 ჩვ. მნიშვ., შებორკილებული 109.
ბორღალეთი 108 ბულგარეთი.
ბრგუნვილი იხ. ენა-ბრგუნვილი.

გალატოზი (შდრ. სომხ. գաղատուս) 25 ქვითხურო, ქვისმთლელი.
გამორჩეული: სისულელით გამორჩეულნი (მოციქულნი, იხ.) 141 უვიცობის გამო არჩეულნი (ქრისტეს მიერ), სწავლულ ფარისეველთა საწინააღმდეგოდ.
გამოსახვაჲ (ჯუარისაჲ) 63 გამოხატვა (ხელით ჯვარის მაგვარი ფიგურისა, მიღებული ქრისტიანთა შორის).
გამოუთქუმელი 154, 162 ძნელად გამოსათქმელი, აუწერელი.
გამოცდაჲ 5 ჩვ. მნიშვ.
გამოცხადებაჲ 27, 85 გამოჩენა; 18, 77, 82 განცხადება.
განაპები (ქვისაჲ) იხ. ქვის განაპები (ქვასთან).
განაღამცა 172 რასაკვირველია, რა თქმა უნდა; თუმცა.
განგებულებაჲ 4 განგება.
განზიდვაჲ 104 გაჭიმვა, გაწევა; შდრ. აღმოზიდვაჲ, საზიდავი, წინაწარზიდვაჲ.
განზომაჲ (ქვისა განაპებისაჲ) 101 ჩვ. მნიშვ.
განკურნებაჲ იხ. კურნებაჲ.
განმარჯუებაჲ 53 „საქმის მარჯუედ მოსვლა“ (ს. ს. ორბელიანი), წარმატება.
განპობაჲ 101 იხ. ქვის განპობაჲ (ქვასთან).
განსახილველი იხ. ხილვაჲ.
განსაჴდელი იხ. განჴდაჲ.
განსლვაჲ 70 გასვლა, გადასვლა; შდრ. გარდასრული, მოსლვაჲ.
განჩინებაჲ 8 დადგენა, დანიშვნა, განსაზღვრა.
განცკბრებაჲ 47 „შიში დიდი საოცრისა რასაგანმე“ (ს. ს. ორბელიანი).
განძაჲ 108, 116 განჯა, კიროვაბადი.
განძლიერებაჲ (სწავებათ განაძლიერებდის) 23 გამხნევება; შდრ. ძალი, ძალისაებრ, ძლით.
განჴდაჲ გავრცელება, მოფენა:

განსაჴდელი (ზარისა) 152 გასავრცელებელი, მომგვრელი (დიდი შიშისა); ზარგანჴდილი 98 ძლიერ შეშინებული.
გარდაკიდებაჲ 126 გადაკიდება, შეყრა.
გარდასრული 158 გარდაცვალებული, განსვენებული; შდრ. განსლვაჲ, მოსლვაჲ.
გარდაფარებაჲ: თუალთაგან გ˜ჲ 60 თვალთაგან მოფარება, დაკარგვა.
გარეუკუნქცევაჲ 151 უკუქცევა, გამობრუნება.
გარნა 131 და სხვ. „მაგრამსავით" (ს. ს. ორბელიანი).
გებაჲ აშენება: გებული 73 აშენებული.
1. გინა. 20, 54 გინდა.
2. გინა 90 ან, ანდა.
გიორგი მთავარმოწამე 2 ქრისტიანული წმიდანი (იხ.), გადმოცემით ვითომც კეისრის დიოკლეტიანეს დროს იწამა, IV ს-ის დამდეგს; ორსავე დღესასწაულსა 187 იგულისხმება წმინდა გიორგის სახელობის 2 დღე, რომლებსაც ქრისტიანული ეკლესია უქმობდა – 23 აპრილი და 10 ნოემბერი.
გლახაკი 13 ღარიბი; სიგლახაკე 28, 125 სიღარიბე.
გონებაჲ: გონებასამოგებაჲ 120, გონებასა ზედა მოგებაჲ 110 გონს მოსვლა. ნარმიტაცა გონებამან 119 გონებამ წამიღო, ე. ი. სხეული დავკარგე, უსხეულო შევიქენი.
გრიგოლ პართეველი 177 ე. წ. სომეხთა განმანათლებელი, ქრისტიანობის დამფუძნებელი სომხეთში, IV ს.
გრძელად მეტყუელებაჲ 65 გრძლად ლაპარაკი, სიტყვის გაგრძელება.
გრძნობაჲ: ვერ ვაგრძნიო 113 ვერ ვიგრძენიო, ვაგრძენ 119 ვიგრძენი.
გულისჴმისყოფაჲ 65, 127 გაგება, გულისხმობა.
გულმოდგინებაჲ 30, 128, 164, ჩვ. მნიშვ.

დაბაჲ 125, 132 სოფელი.
დადებაჲ (ქვისაჲ) ბალაჰვარად იხ. ქვასთან.
დადუმებაჲ 147, 156 სიჩუმეში ჩატარება, დაფარვა; დაუდუმებელი 154 გაუჩუმებელი, შეუწყვეტელი.
დათმენაჲ 162 მოთმენა, ატანა.
დათრგუნვაჲ 7 „ფერჴით დასრესა" (ს. ს. ორბელიანი).
დალოცვაჲ 184 კეთილად მოხსენება (ლოცვით).
დამართებაჲ 163 შემთხვევა.
დამორჩილებაჲ 137 დაქვემდებარება.
დამყარებაჲ (ჯუარისაჲ ტაძარსა შინა) 142 დამკვიდრება.
დარაკა (არაბული დარკ) 57 ფარი.
დასაგულებელი 172 განსაზრახავი, სასურველი, გასათვალისწინებელი.
დასავალი 72 დასავლეთი.
დასარჩენელი 34 სარჩო, საზრდო.
დასი (შდრ. სომხ. դաս), 7, 8 ჯგუფი, წოდება.
დასუენებაჲ (ჯუარისაჲ ტაძარსა შინა) 137, 140, 141, 142 (ხატთაჲ ტაძარსა შინა) 177 კრძალვით დადგმა, დადება. შდრ. აღსუენებაჲ, შესუენებაჲ.
დასუმაჲ 129 დასმა; ˜ ქვისაჲ 74, ˜ ქვისაჲ ქვასა ზედა 20 იხ. ქვასთან.
დასხმაჲ იხ. სხმაჲ.
დატევებაჲ 141, 155 დატოვება.
დაუდუმებელი იხ. დადუმებაჲ.

დაუსაბამოჲ 3, 4 რომელსაც დასაბამი, დასაწყისი არა აქვს; თანადაუსაბამოჲ (სიტყუაჲ ღმრთისაჲ) 3 რომელსაც მამასთან ერთად დასაბამი არა აქვს (იხ. ღმერთი), „ერთგან მყოფი მარადის" (ს. ს. ორბელიანი).

დაფარული იხ. მამაჲ დაფარულთა (მამასთან).

დაღაცათუ 75 და სხვ. თუმცა.

დაყუდებაჲ 61 მიბჯენა, მიდგმა.

დაშთომაჲ 139 დარჩენა.

დაცუენაჲ 110 (დასცვდეს რკინანი) ჩვ. მნიშვ.

დახუდომაჲ 70, 186 დახვედრა, შეხვედრა.

დედაჲ ღმრთისაჲ იხ. ღმერთთან.

დიდებაჲ 110, 130, 149 დიდება, განდიდება, „ღუთისა ყოელთა სიწმიდეთა და სახიერებათა და ქველისმოქმედებათა მისთა მადლობით ჴსენება" (ს. ს. ორბელიანი); დიდებული 18, 85, 99 სახელოვანი, დიდებულ ყოს 180 ადიდოს; მადიდებელი 149 ვინც ადიდებს, ასახელებს.

დიდებისმეტყუელებაჲ 149 ქება-დიდება, განდიდება, ხოტბა.

დიდრუანნი 177 „დიდ-დიდები" (ს. ს. ორბელიანი).

დიმიტრი წმიდაჲ 177 სოლუნელი (მაკედონია), – ქრისტიანული მოწამე (იხ.) კეისრის დიოკლეტიანეს დროს, III-IV ს.

დიოფალ-დიოფალი 157, 169, 170, 177 დიდებულის, მაღალი ხელისუფლის მეუღლე.

დონი 186, 187 ასო „დ".

დღესასწაული 127, 130, 184 ქრისტიანული ეკლესიის მიერ დაწესებული უქმე დღე ამა თუ იმ გამოჩენილი ამბის თუ წამების (იხ.) აღსანიშნავად; ორსავე დღესასწაულსა 187 იხ. გიორგი მთავარმოწამე; შდრ. სასწაული.

ეგეოდენი 98 იმდენი.

ეკლესიაჲ (ბერძ. ἐκκλησία) 10, 13 და სხვ. ქრისტიანული ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილი შენობა; მორწმუნეთა კრებული. აქედან ყველა ეკლესიები ერთეკლესიად იყვნენ წოდებულნი 10.

ენა-ბრგუნვილი 79 ბლუ, ენაჩლუნგი.

ენაჲ ქართული 123.

ერთეკლესიაჲ იხ. ეკლესიაჲ.

ერი 164, 182, 187 ხალხი.

ერისა-კაცი 18, ერისკაცი 74 საერო პირი (არა სამღვდელო).

ერისთავთ-ერისთავი 157, 158, 179, 180 დიდი მოხელე, სამხედრო-ადმინისტრაციული ოლქის მმართველი.

ესევითარი 80 და სხვ. ასეთი, ამგვარი.

ესრეთ 117 ესე.

ესხნეს იხ. სხმაჲ.

ექსორიობაჲ (ბერძნ. ἐξορία) 59 განდევნა, გაძევება.

ეშმაკი 5, 7, 63 ბოროტი, მავნე სული.

ვაგრძენ, ვაგრძნიო იხ. გრძნობაჲ.

ვაზირობაჲ (სპარსულიდან არაბული ვაზირ) 166 რჩევა.

ვალი 91 ჩვ. მნიშვ.

ვედრებაჲ 118, 128 ჩვ. მნიშვ.; შევედრებაჲ 121 მიბარება, ჩაბარება; შევედრებული 2 მიბარებული, მინდობილი.

ვითარ 33 როგორ; ვითარცა 79 და სხვ. როგორც.
ვითარებაჲ (მფრინველისაჲ) 55 როგორობა, თვისება.
ვითარმედ 79, 140 თუ, რომ.
ვითაღაცა 184 როგორც, როდესაც.
ვნებაჲ 6 ტანჯვა; ვნებული 149 ტანჯული, 47 ვნებამიყენებული, დაშავებული; უვნებელი 70 დაუშავებელი, დაუზიანებელი; უვნებლობაჲ 69 დაუშავებლობა, დაუზიანებლობა.

ზარი (სპარს. ზარ) 152 დიდი შიში; ზარის განსაჴდელი, ზარგანჴდილი იხ. განჴდაჲ; საზარელი 57, 70 საშინელი.
ზედა 10 და სხვ. -ზე, -ზედ.
ზედაჲთ 98 ზემოდან, ზედაპირზე.
ზელაჲ იხ. კირთან.
ზემოჴსენებული 185 ჩვ. მნიშვ.; შდრ. მოჴსენებაჲ.
ზენაჲ (სუფევაჲ) იხ. სუფევაჲ.
ზრახვაჲ 144 ლაპარაკი.
ზრდილობაჲ 123 აღზრდა.

თავადი 9 თვით, თვითონ.
თანაარსი 3, 4, 185 თანამყოფი, თანაარსებული.
თანადაუსაბამოჲ იხ. დაუსაბამოჲ.
თანაწარჴდომაჲ 84, 89 ჩავლა გვერდით გაელა, აქცევა; შდრ. აღმოჴდომაჲ.
თაყუანისცემაჲ 14 „თავის მოდრეკის ქნა“ (ს. ს. ორბელიანი) მუხლმოყრით.
თლაჲ (ქვისაჲ) იხ. ქვისსათლელნი ჭურჭელნი (ქვასთან).
თურქნი 157 აქ იგულისხმებიან თურქნი-სელჩუკიანნი.
თჳნიერ 4, 19 და სხვ. გარდა, გამოკლებით, უიმისოდ.
თხოვაჲ 15 თხოვნა.

იოვანე მახარებელი, იოვანე ღმრთისმეტყველი 169 სახარების (იხ.) მეოთხე თავის ავტორი, ვითომც ქრისტეს მოწაფე.
იოვანე ნათლისმცემელი, იოვანე წინამორბედი 9, 70 სახარებით (იხ.) – მქადაგებელი ქრისტეს სუფევის მოსვლისა და მერმე ქრისტეს მომნათვლელი.
იოვანე ოქროპირი 177 ქრისტიანული ეკლესიის მოღვაწე და მქადაგებელი, IV-V ს.
ირემი 83 ჩვ. მნიშვ.
იძულებაჲ 90, 124, 156 ძალდატანება, 54 დაჟინება.

კადნიერი იხ. კადრებაჲ.
კადრებაჲ 77 შებედვა, გაბედვა; შეკადრებაჲ 124, 165 იგივე; კადნიერი 29, 15, 163 შემბედავი; კადრებული 150 გაბედული; შესაკადრებელად 2 როგორც ეკადრება ისე; არსაკადრებელად 156 რომ არ ეკადრებოდეს ისე.
კაზმაჲ ქვისაჲ იხ. ქვის კაზმაჲ (ქვასთან).
კარაული 44, 50, 77, 81, 105, (ფაშატი) ვირი, აქ=კერძო-კარაული (იხ.).
კაცად-კაცადი 13 თითოეული, ყოველი.
კაცისშვილი 136 ადამიანი, აქ, დაპირისპირებით მთავართან, ჩვეულებრივი ადამიანი, უბრალო მოქალაქე.
კაც ქმნილი: სიტყუაჲ ღმრთისაჲ კაც ქმნილი 5 იგულისხმება იესო ქრისტეს განკაცება.
კეთილი 150 სიკეთე, 169 კარგი.

კერძოᲲ 60, 139 მხარე; წინა-კერძო 70 წინა-მხარეს, წინიდან.
კერძო-კარაული 40, 51, 105 ჯორი (აქ „კერძოᲲ" ნახევარსა ჰნიშნავს).
კირი 24 ჩვ. მნიშვ.: მოლება (იხ.) და ზელა ქვშისა კირსა თანა; ib.=ქვითკირი.: ღორღისა და კირისა შთასხმა.
კრებაᲲ იხ. ქვშასთან; შეკრებაᲲ 21 ჩვ. მნიშვ.
კუალადცა 36 კიდევ.
კუეთებაᲲ: ეკუეთა 69, 70 ეცა.
კურნებაᲲ 39, 152 განკურნება. მორჩენა; განკურნებაᲲ 50 იგივე.
კკრიაკე (ბერძნ. κυριακή) 92 კვირა-დღე.

ლაღობაᲲ (სპარს. ლაღ) 104 ხუმრობა, ცელქობა.
ლაშქარი (სპარს.. ლაშქარ) 136 ჯარი.
ლბილი 97 რბილი.
ლიტანიობაᲲ (ბერძნ. λιτανεία) 153 საჯარო წირვა-ლოცვა ეკლესიის გარეთ, ჯვრებისა და ხატების გასვენებით, დიდი დღესასწაულის ან შესანიშნავი ამბის გამო.
ლტოლვაᲲ 135 „გარდახუეწა" (ს. ს. ორბელიანი); ულტოლველი 139 გარდაუხვეწელი.

მადიდებელი იხ. დიდებაᲲ.
მათრაჯი 118 ჩვ. მნიშვ.
მამათმთავარნი 8 ბიბლიური მამები.
მამაᲲ (ღმერთი) იხ. ღმერთი; მამაᲲ დაფარულთაᲲ 146 ღმერთი, რომელიც ფარულსაც ჰხედავს.
მამული 166 მემკვიდრეობით მიღებული უძრავი საკუთრება (ივ. ჯავახიშვილი, ქართ. სამართლ. ისტ.).
მარტოებით 99, 142 მარტო.
მარჩბივი 176 ტყუპი.
მარხვაᲲ 128 „ჴორცის უჭმელობა" (ს. ს. ორბელიანი).
მარჴილი (არაბული მარხილ) 67, 69 აქ=ჯინი, მთაში სათრევი მარხილი.
მაღალი 157, 177 აქ ორსავ შემთხვევაში გადატანითი მნიშვნელობით – დიადი, დიდებული, უმაღლესი ხარისხის.
მაღნარი 70 ხშირი ტყე მაღლობ ადგილას, მთაში, „მთათა შინა ტევრნალი შამბიანი" (ს. ს. ორბელიანი).
მახარებელი იხ. იოვანე მახარებელი.
მახლობელი 31, 90, 106 ჩვ. მნიშვ.
მეგობარი 145 ჩვ. მნიშვ.
მეოხებაᲲ 8, 13 და სხვ. შუამდგომლობა.
მეტყუელებაᲲ იხ. გრძელად მეტყუალებაᲲ.
მეუფე 185 უფალი, ღმერთი (იხ.).
მეუღლე 178 და სხვ. ცოლი.
მეყი წამი: მეყსა შინა 129 წამსვე; მეყსეულად 50 და სხვ. მაშინვე, იმწამსვე; მეყსეულნი კურნებანი 152 უცები, ანაზდად განკურნებანი.
მეყსეულად იხ. მეყი.
მთავარდიაკონი (ბერძ. διάκονος) უდაბლესი ხარისხის მღვდელმსახური, ეპისკოპოსის თანაშემწე წირვა-ლოცვაში.
მთავარი 136 დიდი მოხელე (ივ. ჯავახიშვილი, ქართ. სამართლ. ისტ.).
მთავარი მოწამეთაᲲ იხ. მოწამე.

მთავარმოწამე იხ. მოწამე.
მთქუმელი 2 შემთხზველი, ავტორი; მთქუმელობაჲ 187 თქმა; შდრ. აღთქუმაჲ.
მიზეზი 16 აქ უფრო მიზნის აზრით.
მითუალვაჲ 17 მიღება.
მითხრობაჲ 49 მბობა, მოთხრობა; შდრ. მოთხრობაჲ.
მირთმევაჲ 105 მიწოდება, მიტანა; შდრ. მორთმევაჲ.
მიტევებაჲ 24 მიშვება; 35, 90, 185 პატიება.
მიუკუნისადმდე 149 უკუნითი უკუნისამდე, მარად.
მიუცილებელად 182 აუცილებლად, უეჭველად.
მიყოფაჲ ჴელისაჲ იხ. ჴელის მიყოფაჲ.
მიწაჲ 97 ჩვ. მნიშვ.
მიწევნაჲ 48 მიღწევა, მისვლა;
მიაწია 71 მიაღწია, მიეწია, დაეწია; შდრ. მწე, შეწევნაჲ, მოწევნაჲ.
მიწოდებაჲ 176, 179 მიხმობა.
მობაძავი 162 ჩვ. მნიშვ.
მობგებაჲ 146 მოცემა, გადახდა; მოგებაჲ ცოდვათაჲ 135 ცოდვათა შეძენა, შემატება; მოგებაჲ გონებასა ზედა იხ. გონებაჲ; შდრ. წაგებაჲ.
მოთხრობაჲ 96 მბობა, მოთხრობა; შდრ. მითხრობაჲ.
მონაზონი (ბერძნ. μονάζων) 38 მონასტერში დამკვიდრებული სასულიერო პირი; მონოზონებაჲ 141, 157 სამონაზნო მოღვაწეობა.
მონასტერი (ბერძ. μοναστήριον) 48 გარკვეულ წესებზე დამყარებული მონაზონთა საერთო საცხოვრებელი, დაკავშირებული ეკლესიასთან; შდრ. უდაბნოჲ.
მონიჭებაჲ 7, 165 ჩუქება, ბოძება. შდრ. ღმრთიე მონიჭებული.
მოოჴრებაჲ 136 აოხრება.
მოპყრობილი იხ. პყრობილი.
მო-რაჲ-ინია იხ. მოწევნაჲ.
მორეწაჲ 34 „ჴელფასის აღება“ (ს. ს. ორბელიანი); მოსარეწელი 28 საშოვარი, მოსაგები; მოსარეწელად წარსლვაჲ 125 საშოვარზე წასვლა, მოსაგებში წასვლა.
მორთმევაჲ 80 ჩუქება; შდრ. მირთმევაჲ.
მოსლვაჲ (ძალსა სიტყჳსსა მოკლედ მოვიდე) 156 იხ. ძალი; მოსრული 109 მოსული; შთამოსლვაჲ, 70 ჩამოსვლა; შდრ. განსლვაჲ, გარდასრული.
მოქმედი 142 „მქნელი“ (ს. ს. ორბელიანი).
მოღებაჲ 24 მოტანა.
მოყიდვაჲ 93 ყიდვა.
მოყოფაჲ ჴელისაჲ იხ. ჴელის მოყოფაჲ.
მოცალებაჲ 28 მოცალეობა, მოცლილობა; მოცლაჲ 163 ჩვ. მნიშვ., შდრ. უცალოებაჲ.
მოციქულნი 8, 141 ქრისტეს 12 მოწაფე.
მოწამენი იხ. წამებაჲ.
მოწაფ[ე] 177 ჩვ. მნიშვ.
მოწევნაჲ 46, 87, 131 მოღწევა, მოსვლა, 90, 93, 94 მოზიდვა, მოტანა; მო-რაჲ-ინია 51 მოინია რა, მოვიდა რა; შდრ. მწე, მიწევნაჲ, შეწევნაჲ.
მოწყინარე 104 მოწყენილი; შდრ. საწყინოჲ.
მოწყუედაჲ 93, 136, 151, ამოწყუედაჲ 36 მოსპობა, ამოწყვეტა.
მოჭირვებაჲ 166 მოთმენა, ატანა, „უაღრესთა მიმძლავრებისა დათმენასა არა ვიტყჳთ მოთმენად, არამედ მოჭირვებასა“ (ს. ს. ორბელიანი).
მოჴსენებაჲ 168, 180, 182 მიცვალებულის მოხსენება; შდრ. ზემოჴსენებული.

მრავალგზის 36 და სხვ. მრავალჯერ.
მსახურებაჲ 104 ჩვ. მნიშვ.; 177 მღვდელმსახურება.
მსგავსად 13 ჩვ. მნიშვ.
მსგეფსი 111 შვიდეული, ერთი კვირა.
მსწრაფლ 70 სწრაფად, მალე.
მტკაველი 72 „ცერი და ნეკი გაჭიმული" (ს. ს. ორბელიანი).
მუნ 38 და სხვ. იქ; მუნითცა 59 იქიდანაც.
მუშაკი 83 მუშა, მომუშავე, მუშაკობაჲ 20, 22 და სხვ. მუშაობა; ნამუშაკევი 73, 139 და სხვ. ნამუშევარი; სამუშაკოჲ 43 და სხვ. სამუშაო; მუშაკობით მოქმედი 152 მომუშავე.
მფრინველი 53, 54 და სხვ. ჩვ. მნიშვ.
მქონებლობაჲ იხ. ჴელთ მქონებლობაჲ.
მღდელი 185, 186, 187 მღვდელი, საეკლესიო იერარქიის მეორე ხარისხის პირი, ეკლესიაში წირვა-ლოცვის შემსრულებელი; მღვდელობაჲ 141 სამღვდელო ღვაწლი, სამღვდლო წოდება, მღვდლობა; მღდელთმთავარი საეკლესიო იერარქიის უმაღლესი ხარისხის პირი, ეპისკოპოსი; მღდელთმთავრობითი 177 სამღვდელთმთავრო, საეპისკოპოსო; მღდელთ-მოძღუარი 8 უმაღლესი სასულიერო პირი.
მყაფარი 70 შვეული, ფრიალო.
მყუარ ჟამ 76 დიდხანს.
მცირაობაჲ 164 სიმცირე.
მცნებაჲ 162 ანდერძი, ბრძანება, ღვთაებრივი კანონი.
მწე 106 დამხმარე; შდრ. შენევნაჲ, მიწევნაჲ, მონევნაჲ.
მწულილი უმცირესი ფულადი ერთეული, გროში, „ფოლის ნახუთალი" (ს. ს. ორბელიანი): მწულილებაჲ 13 მწულილის შეწირვა.
მწუხარე: მწუხარე ყო თავი თჳსი 68 შეწუხდა; მწუხარებაჲ 98 ჩვ. მნიშვ.
მწუხრი 92 საღამო.
მწყურნები 97 „წყალმრავალი" (ს. ს. ორბელიანი).
მხილებაჲ 36 გამომჟღავნება, 90 შენიშვნა, საყვედური.
მჴედარი 85 ცხენოსანი სამხედრო პირი, კავალერისტი.

ნათელი 117 სინათლე.
ნათლისმცემელი იხ. იოვანე ნათლისმცემელი.
ნაკლულევანი 123 ნაკლული; ნაკლულოვანებაჲ 164 ნაკლებობა; უნაკლულევანესი 72 ნაკლები.
ნამუშაკევი იხ. მუშაკობაჲ.
ნაპირი 125 საზღვარი.
ნაყოფი მთისაჲ, რომელსა ეწოდების ჟოლი 80 ნაყოფი აქ ხილის აზრითაა ნახმარი.
ნეტარი 22 და სხვ. ქრისტიანული წარმოდგენით, ყოვლად სათნო, ყოველი სიკეთით აღსავსე ადამიანი.
ნეფსით 5, 159 ნებით.
ნეშტი 141 ნაშთი, „დანარჩომი" (ს. ს. ორბელიანი).
ნივთი (შდრ. სომხ. նիւթ) 19, 43, 64 „ესე არს ყოელივე საჴმარი, რომელსა სპარსნი მასალას უჴმობენ" (ს. ს. ორბელიანი); ნივთიერი 113, 144 ჩვ. მნიშვ.
ნუგეშინისცემაჲ 34 და სხვ. ნუგეშის ცემა, დანუგეშება.

ოდენ 29, 33, 115 მხოლოდ; მხოლოდ ოდენ 20 ტავტოლოგიაა=მხოლოდ-მხოლოდ, მხოლოდ და მხოლოდ.

ოდესმე... ოდესმე 19, 145 ხან... ხან, ზოგჯერ... ზოგჯერ; ძველ ოდესმე 108 ოდესღაც ძველად.
ონი 187 ასო „ო“.
ორსავე დღესასნაულსა იხ. გიორგი მთავარმოწამე.
ოტებაჲ 153 გაქცევა; ოტებული 58 (გამო)დევნილი.
ოქროპირი იხ. იოვანე ოქროპირი.

პაპაჲ 144 და სხვ. ჩვ. მნიშვ.
პართეველი გრიგოლ იხ. გრიგოლ პართეველი.
პატივებაჲ (შდრ. სომხ. պատիւ) პატივისცემა, პატივის ხვდომა: ეპატივა 141 პატივი ხვდა.
პატრონი (ლათინური patronus) 167, 168, 177, 180, 181 მესაკუთრე, მფლობელი, ბატონი, სუზერენი; ღმრთისა სწორნი პატრონნი 160 მეფე (აქ ან გიორგი III, ან თამარი იგულისხმება).
პაშტაჲ 173 საკმაო. საკმაოდ ბევრი.
პეტრე მოციქული 10 იესო ქრისტეს ერთი თორმეტ მოწაფეთაგანი.
პირველი სჯული იხ. სჯული.
პირი საღმრთოჲ იხ. ღმერთი.
პროკლე 177 მოწაფე იოვანე ოქროპირისა?
პყრობილი 85 დაჭერილი, ტყვე; მოპყრობილი 118 მოშვერილი, მოწოდებული; შეპყრობილი სნეულებითა 39, ˜ შიშითა 46, ˜ მწუხარებითა 98, ˜ სიხარულითა 110, ˜ სურვილისა მიერ 124 ჩვ. მნიშვ. ყველგან; შდრ. კიდევ აღპყრობაჲ, ჴელთგანპყრობით.

ჟამი (სპარსულიდან სომხ. ժամ) 18 და სხვ. დრო; რაჟამს 60 და სხვ. როდესაც.
ჟოლი 80 ნაყოფი მთისაჲ, რომელსა ეწოდების ჟოლი.

რამეთუ 2 და სხვ. რომ, რადგან, ვინაიდან.
რაჟამს იხ. ჟამი.
რაჲმე 32 რა, რაღა.
რებაჲ სიარული, სვლა: არებდი 112 ატარებდი.
რეცა 79 და სხვ. ვითომ, თითქოს.
რკინაჲ 41 და სხვ. ჩვ. მნიშვ.; რკინანი 110=ბორკილნი.
რქუმაჲ, რქუმევაჲ 27 და სხვ. თქმა, 59 დარქმევა, წოდება.

საბრალოჲ 103 ჩვ. მნიშვ.
სადამდინცალა 184 სადამდისაც იქნება, როდემდისაც იქნება.
სადევენი 113, 114 სადავენი, „ლაგმის საპყრობი“ (ს. ს. ორბელიანი).
საზარელი იხ. ზარი.
საზიდარი 43 რითაც ზიდვენ, ზიდვის საშუალება; შდრ. აღმოზიდვაჲ, განზიდვაჲ, წინაწარზიდვაჲ.
საზღვარი 132, 153 ჩვ. მნიშვ.
სათლელი (ქვისაჲ) იხ. ქვისსათლელნი ჭურჭელნი (ქვასთან).
სათნოჲ 8 სასურველი, სასიამოვნო.
საკუთარი: საკუთრად 9 საკუთრივ.
საკკრველი 51 და სხვ. ჩვ. მნიშვ.
საკკრველებან 47 და სხვ. ჩვ. მნიშვ.
სამარადისოჲ 154 მუდმივი.

სამებაჲ (წმიდაჲ) 13, 178 ქრისტიანული ღმერთი (იხ.), სამგვამოვანი.
სამკკდრებელი 169 საყოფელი, დასამკვიდრებელი (სიკვდილის შემდეგ), ე. ი. სასამარხო.
სამუშაკოჲ იხ. მუშაკობაჲ.
სანატრელი 80 გულით სანდომი, სასურველი, ანდა=ნეტარი (იხ.).
საოცარი 57, 59 უცნობი, საკვირველი, არაჩვეულებრივი არსება; მოჩვენება, მოლანდება.
სარწმუნოებაჲ 129, 154 ჩვ. მნიშვ.
სასანთლე (ქვისაჲ, ქარის მოსაფარებელი) 86, 88 ჩვ. მნიშვ.
სასოებაჲ 2 და სხვ. იმედი, რწმენა.
სასნაული 2 და სხვ. საკვირველი საქმე, ნიშანი, ნიში: შდრ. დღესასწაული.
სატკრთავი იხ. ტკრთვაჲ.
საფარველი 35 მფარველობა, „დამცველობა" (ს. ს. ორბელიანი).
საქმე: საქმითცა 138 ნამდვილადაც.
საღმრთოჲ პირი იხ. ღმერთი.
საყოფელი 75 საცხოვრებელი.
საშენი 173 ასაშენებლად საჭირო ხარჯი.
საწყალობელი 32, 103 უბედური, „შესაბრალისსავით" (ს. ს. ორბელიანი).
საწყაული 169 საზომი, „საწყაული ეწოდების ჭურჭელთა რაჲცა აიწყვის" (ს. ს. ორბელიანი).
საწყინოჲ 65 მოსაწყენი, მოსაბეზრებელი; შდრ. მოწყინარე.
სახარებაჲ 147, 154 ე. წ. ახალი აღთქმის 4 წიგნი, რომლებიც ქრისტეს ცხოვრებასა და მოძღვრებას გადმოგვცემენ.
სახე 55 შესახედაობა, გარეგნობა; 57, 79, 104, 113, 116, 121, 177 აქ ყველგან ან სახითა ან სახედ, ე. ი. სახით, გვარად.
სახიდ იხ. სახლი.
სახილავი იხ. ხილვაჲ.
სახლეული, სახლეულნი იხ. სახლი.
სახლი 75, 92 ჩვ. მნიშვ.; სახიდ 46, 51 სახლად (ს. ს. ორბელიანი), სახლში; სახლეული, სახლეულნი 30, 34, 46, 75, 95, 139 ოჯახის წევრი, შინაური, აგრეთვე ოჯახი; სახლოვანი 165, 166 სადგომი, ბინა?
სახლოვანი იხ. სახლი.
საჴმარი 105 საჭირო.
სენაკი (შდრ. სომხ. սենեակ) 48 მონაზონის ოთახი.
სიბრძნე 3 იხ. ღმერთი.
სიგლახაკე იხ. გლახაკი.
სივაკე 70 სისნორე.
სისულელე: სისულელით გამორჩეულნი 141 იხ. გამორჩეული.
სიტყუაჲ თხრობა, საუბარი (ივ. ჯავახიშვილი, ძვ. ქართ. საისტ. მწერლ.): ხოლო ჩუენ პირველსაცე სიტყუასა მოვიდეთ 134 პირველ, ძირითად თხრობას დავუბრუნდეთ, ძალსა სიტყჳსსა მოკლედ მოვიდე 156 (იხ. ძალი); სიტყუაჲ 3, სიტყუაჲ ღმრთისაჲ 5 იხ. ღმერთი.
სიყმილი 78, 80 შიმშილი, შიმშილობა.
სნეულებაჲ 39 ავადმყოფობა.
სოფელი 33, 82, 147, 184 ქვეყანა.
სრულქმნაჲ 104, 150, 165 დასრულება, შესრულება.
სტიქარონი (ბერძ. στίχος) 172 ერთგვარი საგალობელი.
სუეტი ქურივისაჲ 17 აქ იგულისხმება ერთ-ერთი საკვირველთმოქმედება, მოთხრობილი წმ. გიორგის ნათარგმნ ცხოვრებაში, როდესაც მან თითით წააწერა ვინმე ქვრივის მიერ მისთვის შეწირულ სვეტს – ჩემს ტაძარში დადგითო (იხ. საბინინის საქ. სამოთხეში).

სული წმიდაჲ იხ; ღმერთი.
სუმაჲ 61, 63 სმა.
სურვილი 124 ჩვ. მნიშვ.
სუფავაჲ მეფობა, ბატონობა: ზენაჲ სუფევაჲ 176, 179 ზემო, ზეციერი, ე. ი. ღმერთის სუფევა.
სწავებაჲ 23, 161 სწავლება, დარიგება.
სხმაჲ: ესხნეს თუალნი 57 თვალები ჰქონდა; დასხმაჲ (ძილის-პირთა და სტიქანონთაჲ) 172 დასმა, დანიშვნა.
სჯული კანონი: პირველი სჯული 8 ე. წ. საღმრთო სჯულის ძველი აღთქმა, აღბეჭდილი დაბადების წიგნში; ახალი სჯული ib. ე. წ. ახალი აღთქმა სახარების (იხ.) სახით.

ტაძარი (შდრ. სპარსულიდან სომხ. տաճար) 17 და სხვ. ეკლესია; ˜ დიდად შეუნიერი და წმიდად გებული ქვებითა 73.
ტიალი 152 „სადა არცა შენობა ანუ დასაფარებელი იყოს, არამედ ყოელით კერძო საჩინო იყოს“ (ს. ს. ორბელიანი).
ტკრთვაჲ ტვირთის აკიდება: იტკრთის 20 ასწევდის; აღტკრთვაჲ 93 ტვირთის აწევა, დატვირთვა; სატკრთავი 12 ტვირთი.
ტყუე 126 ჩვ. მნიშვ.

უბადრუკი 32 უბედური.
უბანი 57 ადგილი, სოფლის თუ საზოგადოდ სამოსახლოს ერთი ნაწილი.
უბიწოჲ (შდრ. სომხ. բիծ) 39 უმანკო, უყვედრელი, უძრახველი.
უგულებელს ყოფაჲ 131 უყურადღებოდ დატოვება.
უდაბნოჲ 37 სავანე, მონასტერი (იხ.).
უვნებელი, უვნებლობაჲ იხ. ვნებაჲ.
უთქს 40 უდგს, უდგას.
უკუეთუ 30 და სხვ. უკეთუ.
ულტოლველი იხ. ლტოლვაჲ.
უნაკლულევანესი იხ. ნაკლულევანი.
უნებლიეთ 91 არა ნებით, ნებადაურთველად.
ურწმუნო ქმნილი 47, 118 არდამჯერი, დაეჭვებული.
უსწავლელი: საგულისხმოა თვითონ შეთანაპირება – უსწავლელი და ერისკაცი 74.
უტევანი (შდრ. სომხ. վտևան || վտաւան) 71 სიგრძის საზომი, ს. ს. ორბელიანით 143 ბიჯი, დ. ჩუბინაშვილით 115 ბიჯი.
უღელი 69 ჩვ. მნიშვ.; უღლეული 43, 51 და სხვ. წყვილი.
უც 41 უძს, უდევს, აქვს.
უცალოებაჲ 163 მოუცლელობა; შდრ. მოცალებაჲ.
უცხოჲ 35 ჩვ. მნიშვ.; უცხოებაჲ 34 მწირობა, ყარიბობა.
უწინარეს 180 უწინ, უფრო ადრე.
უწუერული (ჭაბუკი) 116 მცირეწლოვანი.
უწყებაჲ 140, 150 ცოდნა, 52, 55, 63, 64, 97, 140 ცნობა, განცხადება.

ფათერაკი (სპარს. ფათერა) 151 ხიფათი, უბედური შემთხვევა.
ფერჴჩაცთუმილი 152 ფეხჩაცდომილი, ფეხდაცდენილი, ფეხნასხლეტი.
ფსალმუნებაჲ (ბერძნ. ψαλμός) 154 ფსალმუნთა (საგალობელთა) თქმა.

ქადაგი 9 მქადაგებელი, გამომცხადებელი.
ქადილი 36 მუქარა.

ქალ-ყრმაჲ 176 ქალ-ვაჟი.
ქალწული (წმიდაჲ˜) იხ. ღმერთთან.
ქართული ენაჲ 123.
ქედი 69 კისერი.
ქვაჲ: ქვის აღმოკაფვაჲ კლდისაგან 53 ქვის ამოჭრა, ამოტეხა კლდისაგან, ˜ აღმოღებაჲ მინით ib., ˜ განაპები 102, 104, ˜ განპობაჲ 101, ˜ დადებაჲ ბალაჰვარად (იხ.) 72, ˜ დასუმან (ბალაჰვარად) 74, ˜ დასუმაჲ ქვასა ზედა 20; ˜ კაზმვაჲ (შდრ. სომხ. կավշ) 57, ˜შეკაზმვაჲ 67 ქვის მომზადება, შემზადება; ქვისსათლელნი ჭურჭელნი 42, 50 ქვის სათლელი იარაღი.
ქვითხუროჲ „რომელსა ეწოდების გალატოზი“ (იხ.) 25.
ქვისმქნელი 152 ქვის დამმუშავებელი, ქვის-მთლელი?
ქონებაჲ: არა აქუნდის 19 არა ჰქონდა.
ქუემოჲთ 187 ქვემოთ; ქუეშე 70, 98; ქუეშეთ 70 ქვეშ.
ქუეყანაჲ 131 მხარე.
ქურივი იხ. სუეტი ქურივისაჲ.
ქკშაჲ იხ. კირთან; ქკშისა კრებაჲ 44.
ქცევაჲ 114 მიმოსვლა, მოძრაობა.

ღაღადებაჲ 58 ყვირილი, ხმამაღალი ლაპარაკი.
ღირსი 156 ჩვ. მნიშვ.; ღირსებისაებრ 2, 163 ღირსებისამებრ, როგორც მართებს, როგორც შეეფერება ისე.
ღმერთი ქრისტიანული წარმოდგენით ღმერთი სამი სახისა ან გვამისაგან შედგებოდა – მამისა, ძისა და წმიდისა სულისაგან (აქედან სამებაჲ, იხ.):
მამაჲ 3, 4, 149, 185 ღმერთი მამა; სიტყუან ღმრთისაჲ 5, სიტყუაჲ, სიბრძნე, ძალი 3 ღმერთი ძე, ქრისტე; სული წმიდაჲ 4, 149, 185; ღმრთეებაჲ 8 ღვთაება; ხატი საღმრთოჲსა პიოისაჲ 177 ქრისტეს ხატი (იხ.). ღმრთისმშობელი 177, დედაჲ ღმრთისაჲ 153, წმიდაჲ ქალწული 9 სახარებით (იხ.) ქრისტეს მშობელი ქალწული მარიამ.
ღმრთივ მონიჭებული 150 ღვთის მიერ ბოძებული; შდრ. მონიჭებაჲ.
ღმრთისა სწორნი პატრონნი იხ. პატრონი.
ღმრთისმეტყუელი იხ. იოვანე მახარებელი.
ღმრთისმშობელი იხ. ღმერთთან.
ღონე ღონეობა, ხერხი: ღონედ სიგლახაკისა თჳსისა 125 თავისი სიღარიბის საშველად.
ღორღი იხ. კირთან.
ღუანლი 162 შრომა, ღვაწლი.

ყოვლადვე 145 სრულებით.
ყრმაჲ 79 და სხვ. ბავშვი; ვაჟიშვილი, ჭაბუკი.
ყურძენი 80 ჩვ. მნიშვ..

შებორკილებული იხ. ბორკილნი.
შევედრებაჲ იხ. ვედრებაჲ.
შევლაჲ 70 ჩვ. მნიშვ., შდრ. წარვლაჲ.
შეკადრებაჲ იხ. კადრებაჲ.
შეკაზმვაჲ ქვისაჲ იხ. ქვის შეკაზმვაჲ (ქვასთან).
შეკრებაჲ იხ. კრებაჲ.
შემატებული 172 დამატებული, დანართი.

შემგვანებაი: შეჰგავს 113 შეეფერება.
შემდგომითი-შემდგომად 11 თანამიმდევრობით, ერთი მეორის შემდეგ.
შემოსვაი 117 ჩაცმა.
შემოხუეწაი 166 შემოვედრება, თხოვნა.
შენდობაი 75, 82 ნების დართვა.
შეპყრობილი იხ. პყრობილი.
შერისხვაი 19, 90 რისხვა, წყრომა, 36 დაწყევლა, შეჩვენება.
შესარაცხავი 150 მისათვლელი, მისაკუთვნი; შდრ. აღრაცხვაი, შეურაცხი.
შესაძრწუნებელი იხ. შეძრწუნებაი.
შესაწირავი 13 შეწირულება, შეწირული, „შეძღვნილი" (ს. ს. ორბელიანი).
შესუენებაი (ჯუარისაი) 139 პატივით შეტანა; შდრ. აღსუენებაი, დასუენებაი.
შეურაცხი 156 მიუკუთვნელი, არ მისათვლელი; შდრ. აღრაცხვაი, შესარაცხავი.
შექმნაი (ჭურჭელთაი) 42, 50 გაკეთება.
შელმართი 70 აღმართი; შდრ. ჩამოღმართი.
შეძრვაი 21 იხ. ძრვაი.
შეძრწუნებაი 59 „შიშით ათრთოლება" (ს. ს. ორბელიანი); შეძრწუნებული 58 ძალზე შეშინებული; შესაძრწუნებელი 156 საშინელი.
შეწევნაი 19, 21, 42, 67, 75, 94, 142 შველა, დახმარება; თანაშეწევნაი 20, 45, 82 თანადახმარება; თანაშემწე (ქვისმქნელთა თანაშემწენი) 152 ჩვ. მნიშვ.; შდრ. მნე, მიწევნაი, მოწევნაი.
შთადგომაი 101 ჩადგომა.
შთათხევაი 63 ჩაგდება, ჩაყრა.
შთამოსლვაი იხ. მოსლვაი.
შთასხმაი იხ. კირთან.
შთაჭრაი 152, ჩაჭრაი, 102 ღრმაში ჩავარდნა, „თავი ჩაიგდოს ღრმაში" (ს. ს. ორბელიანი).
შინა 8 და სხვა. თანდებული -ში.
შინაგანი (სპარსეთი) 127 ჩვ. მნიშვ.
შტოი (ტაძრისაი) 148 სტოა (ბერძნ. στοά), სვეტებიანი ახდილი გალერეა, თაღებზე დაყრდნობილი სახურავით[1].

ჩამოღმართი 70 დაღმართი; შდრ. შელმართი.
ჩაჭრაი იხ. შთაჭრაი.
ჩუენებაი 19 და სხვ. მოჩვენება.
ჩვეულებაი 105 და სხვ. ჩვ. მნიშვ.; ჩუეულებისაებრ 67 ჩვეულებისამებრ.
ჩუქვებაი 78 ჩუქება, „სტუმარს რაი მასპინძელმა მისცეს რამე" (ს. ს. ორბელიანი).
ჩჩული 79, ჩული 176, თოთო, „ყრმა მცირე" (ს. ს. ორბელიანი); ჩულედი (ხატი ღმრთისმშობლისაი) 177 ხელში რომ ბავშვი (ქრისტე) უჭირავს.

ცთომილებაი (ხისა მიერი) 6 შეცდომა (აქ იგულისხმება დაბადებაში მოთხრობილი შეცდენა პირველი დედაკაცის ევასი ეშმაკის მიერ, რომელმაც შეაჭამა მას ნაყოფი კეთილისა და ბოროტის ცნობადის ხისა).
ცისკარი ჟამსა ცისკრისსა 109 განთიადისას, როდესაც ცისკრის წირვა იცოდნენ ეკლესიაში; ცისკრად 187 ცისკრის წირვის დროს.
ცნობაი 47 გონება, ცნობიერება.

---

[1] მაგრამ აქ შეიძლება კარიბჭე (საზეიმო შესავალი) იგულისხმებოდეს.

ცოდვაჲ 4, 135 სარწმუნოების თვალსაზრისით, ღვთაებრივი კანონის დარღვევად მიჩნეული ზნეობრივი შეცოდება.
ცუდი 54 ამაო.
ცხადყოფაჲ 146 გამოცხადება, გამოჩენა, გამომჟღავნება.
ცხენი 105, 112, 113, 114, 121 ჩვ. მნიშვ.
ცხოველმყოფელი 149 „გამაცოცხლებელი" (ს. ს. ორბელიანი).
ცხორებაჲ ცხოვრება: მფარველად ორისავე ცხორებისა ჩემისა 155 იგულისხმება სააქაო და საიქიო ცხოვრება.

1. ძალი (სიტყჳსაჲ) დედააზრი, არსი, შინაარსი: ძალსა სიტყჳსსა მოკლედ მოვიდა 156 თხრობის დედააზრი, თხრობის შინაარსი მოკლედ გადმოვცე, მოკლედ მოვჭრა.
2. ძალი 3 იხ. ღმერთთან.
ძალისაებრ 13 ძალისამებრ, შეძლებისამებრ.
ძლით 110, 120 ძლივს; ძლითღა 132 ძლივსღა; შდრ. განძლიერებაჲ.
ძელი 91, 93, 94 „ხე მოკვეთილი" (ს. ს. ორბელიანი).
ძილის-პირი 172 ერთგვარი საგალობელი.
ძნიად 73, 94, 142 ძნელად.
ძრვაჲ 19 დაძვრა, ამოძრავება; შეძრვაჲ 21 იგივე.
ძუელ ოდესმე იხ. ოდესმე.

წაგებაჲ 173 დახარჯვა; შდრ. მოგებაჲ.
წადილი 174 სურვილი, ნდომა.
წამებაჲ 163 ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში ახალი სარწმუნოების მიმდევრებს ხშირად სიკვდილით სჯიდნენ ხოლმე, რასაც წამება ეწოდებოდა, რადგან დასჯილნი ქრისტეს სჯულის დამმოწმებლებად და დამადასტურებლებად ითვლებოდნენ; მოწამე 8 და სხვ. ქრისტიანული სარწმუნოებისათვის წამებული. ასეთები ეკლესიის მიერ წმიდანებად იყვნენ აღიარებულნი; მთავარმოწამე 2 და სხვ. უმაღლესი ხარისხის მოწამე, ეკლესიის მიერ უფრო დიდად თაყვანებული; მთავარი მოწამეთაჲ 12 სპეციალურად წმინდა გიორგის ეპითეტი უნდა იყოს, როგორც განსაკუთრებით სათაყვანებული წმიდანისა (იხ.).
წამოქცეული (კლდე) 151 გადმოვარდნილი, გადმოხეთქილი.
წარვლაჲ 70 გავლა, გვერდით ჩავლა, „მცირედ წასვლა" (ს. ს. ორბელიანი); შდრ. შევლაჲ.
წარმართი 89, 125, 132 არა ქრისტიანი, „უშჯულოებით მავალნი" (ს. ს. ორბელიანი).
წარმოდგენაჲ 83 გაჩენა.
წარსხმაჲ 127 წასხმა, წაყვანა.
წარტაცებაჲ 119 ჩვა. მნიშვ.
წარტყუენვაჲ 136 დატყვევება, დაპყრობა.
წარღებაჲ 91 წაღება, წართმევა.
წარყვანაჲ 112 წაყვანა.
წახმაჲ 160 წაღება, „ციხე-ქალაქთ აღება" (ს. ს. ორბელიანი).
წესი (შდრ. სომხ. ՝ծէս) 82, 105 ჩვ. მნიშვ., წსისაებრ 166, 171 წესისამებრ.
წინა-კერძო იხ. კერძოჲ.
წინამორბედი იხ. იოვანე ნათლისმცემელი.
წინასწარმეტყველნი 8 აქ იგულისხმებიან ე. წ. ბიბლიური წინასწარმეტყველნი (ისაია, იერემია და სხვ.), რომლებიც ვითომდა ღვთის მიერ შთაგონებულის გამომთქმელნი იყვნენ.
წინაშემდგომარეობაჲ 154 წინაშე დგომა.

ნინანარზიდვაი (ცხენთა და კარაულთაი) 105 წინ ნაყვანა, გაძღოლა; შდრ. აღმოზიდვაი, განზიდვაი, საზიდავი.
ნინანარმოძღომილი 68 წინ გამძღოლი.
ნლითი-ნლად 182 ყოველნლიურად.
ნმიდანი 8 და სხვ. ქრისტიანული სარწმუნოებისათვის თავდადებულნი მიცვალებულნი, რომლებიც ეკლესიის მიერ ადამიანთა შუამდგომლებად იყვნენ მიჩნეული ღმერთის წინაშე;
ნმიდაი გიორგი იხ. გიორგი მთავარმონამე, ნ"ი გრიგოლ პართეველი იხ. გრიგოლ პართეველი, ნ"ი დიმიტრი იხ. დიმიტრი ნ"ი, ნ"ი იოვანე მახარებელი იხ. იოვანე მახარებელი, ნ"ი იოვანე ოქროპირი იხ. იოვანე ოქროპირი, ნ"ი სამებაი იხ. სამებაი, ნ"ი სული, ნ"ი ქალწული, ყოვლად ნ"ი ღმრთისმშობელი იხ. ღმერთი.
ნყალობან 162 ჩვ. მნიშვ.
ნყაროი 61, 63 ჩვ. მნიშვ.

ჭაბუკი (სპარს. ჩაბუკ) 116 და სხვ. „ახალგაზრდა ვაჟი" (ს. ს. ორბელიანი).
ჭარმაგი (ცხენი) (სპარს. ჩარმა) 112 თეთრი (ცხენი), „თეთრზედ შავით დაწინწკლული (ოთხფეხი)" (ს. ს. ორბელიანი).
ჭიდროებაი 166 ვიწროობა, სივიწროვე.
ჭირი 54 და სხვ. გაჭირვება, შრომა.
ჭურჭელი იხ. ქვისსათლელნი ჭურჭელნი (ქვასთან).

ხანგრძლივად 152 ხანგრძლივად, დიდი ხნით.
ხარებაი 138 „სასიხარულოს თქმა" (ს. ს. ორბელიანი).
ხატი 13 და სხვ. სახე, სურათი, განსაკუთრებით წმიდანის (იხ.) სურათი; 145 სახე.
ხევნარი 70 „ხიანი ადგილი" (ს. ს. ორბელიანი).
ხიზნობაი 135 „მტერთა და სენთ დარიდება" (ს. ს. ორბელიანი).
ხილვაი 138 ჩვ. მნიშვ.; სახილავი 113 დასანახავი; განსახილველი (ველითა) 115 გასასინჯი (შეხებით).
ხუროი იხ. ქვითხუროი.

ჴარი 43 და სხვ. ხარი.
ჴელთ მქონებლობაი (სადევეთა) 113 ხელში ჭერა.
ჴელთგანპყრობით 14 ხელთ აღპყრობით, ხელთ გაშლით.
ჴელით განსახილველი იხ. ხილვაი.
ჴელის მიყოფაი 62, 68 და სხვ. ხელის მოვლება, ხელის მოკიდება; შდრ. ჴელის მოყოფაი.
ჴელის მოყოფაი 118=ჴელის მიყოფაი (იხ.).
ჴელყოფაი 19 და სხვ. შედგომა, დაწყება, ხელის მიყოფა.
ჴმაყოფაი 58 და სხვ. ხმობა, დაძახება.
ჴმობაი 110 დაძახება, წოდება.
ჴორციელი 145 ხორციელი.
ჴსნაი 151 და სხვ. ხსნა, გადარჩენა.

ჯარვაი 164 სიმრავლე ხალხისა, ჯრილობა.
ჯერ არს 1, 63 უნდა, საჭიროა; ჯერ იყო 179 უნდოდა, საჭირო იყო.
ჯეროვნად 149 ჯერისამებრ, როგორც საჭიროა.
ჯერჩინებაი 4 ნებება, საჭიროდ მიჩნევა.
ჯორი 40 და სხვ. ჩვ. მნიშვ.

ჰამოჲ 119 საამური, სასიამოვნო.

ჰონე იხ. ჰუნე.

ჰუნე 121, ჰონე 114 კარგი ცხენი, რაში.

ჰოროლი (მზისაჲ) 115 ორპირი და ბუნგრძელი შუბი; ეგებ ეს სიტყვა ჩვენს ტექსტში უნდა გავიგოთ, როგორც „ჰორლი", რომელიც, ს. ს. ორბელიანის განმარტებით, „კამაროსანსა და საბურველიანს, მჴრით ტკრთკთ, გინა ცხენებით და აქლემებით სატკრთავ" საკაცეს ეწოდება.

MEMORIA

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

აკად ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ისტორიის „მოამბე“, XIII.

ვახტანგ ბერიძე

ლევან მუსხელიშვილი

გასული 1942 წლის ივლისში ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ისტორიკოსი და არქეოლოგი ლევან ვახტანგის ძე მუსხელიშვილი.

განსვენებული დაიბადა 1900 წელს, ხარკოვში, ექიმის ოჯახში. საშუალო განათლება თბილისში მიიღო, გიმნაზია დაასრულა 1917 წელს. 1918-ში ლ. მუსხელიშვილი მიემგზავრება საზღვარგარეთ, უმაღლესი განათლების მისაღებად. იქ იგი ჯერ ფილოსოფიას სწავლობდა, შემდეგ კი ისტორიას (ბერლინი, ფრაიბურგი, გეტინგენი, ჰალლე, მიუნქენი), მაგრამ 1923 წელს, ავადმყოფობის გამო, იძულებული გახდა საუნივერსიტეტო კურსის დაუსრულებლად დაბრუნებულიყო სამშობლოში. 1924 წელს იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე შედის და 1927-ში ამთავრებს. მას. მომდევნო სამი წლის განმავლობაში, 1939-მდე ლ. მუსხელიშვილი ასპირანტად მუშაობს საქართველოს ისტორიის კათედრასთან, შემდეგ კი იწყებს სამსახურს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. აქ მას ჯერ ასისტენტის თანამდებობა ეჭირა, მერე არქეიოლოიგიური განყოფილების უფროსი მეცნიერი მუშაკისა, დასასრულ, 1941 წლის მარტამდე, ისტორიული განყოფილების გამგისა.

1936 წელს, რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმის დაარსებისთანავე, ლ. მუსხელიშვილი მიწვეულ იქნა მის თანამშრომლად, 1937-დან ამ მუზეუმის სწაელულ მდივნის მოვალეობას ასრულებდა, ხოლო აკად. ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ მას დირექტორის მოვალეობის შესრულება დაეკისრა.

1941 წლის აპრილში საქ. მეცნიერებათა აკადემიასთან ქართულ ხელოვნების ისტორიის სექტორი შეიქმნა. რუსთაველის მუზეუმი გადაიქცა სექტორის მატერიალური კულტურის ისტორიის განყოფილებად და ლ. მუსხელიშვილი გადაყვანილ იქნა მის გამგედ. ამ თანამდებობას ასრულებდა იგი გარდაცვალებამდე.

ასეთია სამსახურებრივი მხარე ლ. მუსხელიშვილის მოღვაწეობისა. ამ ხნის განმავლობაში, იგი, მიუხედავად მძიმე ავადმყოფობისა, მრავალმხრივსა და ფრიად ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას აწარმოებდა.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს მისი უშუალო ხელმძღვანელობით ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები ბოლნისს, დმანისს, გუდარეხსა და გეგუთში. ამ გათხრათა ბრწყინვალე შედეგი (შუასაუკუნეებრივი ქალაქისა და დიდი მონასტრის გამოვლინება დმანისსა და გუდარეხში, ქართული ხუროთმოძღვრების პირველხარისხო-

ვანი ძეგლის თავდაპირველი სახის გარკვევა ბოლნისში და სხვ.) უკვე კარგად არის ცნობილი ჩვენი სამეცნიერო საზოგადოებისათვის. ეს შედეგები დაწვრილებითაა გაშუქებული განსვენებულის ვრცელ შრომებში, რომელიც 1937-1938 წლებში გამოქვეყნდა („დმანისი, ქალაქის მატერიალური კულტურა"; „ბოლნისი"), ენიმკი-ს მოამბე, ტ. III). ლ. მუსხელიშვილის ორგანიზატორულ ნიჭს, მეცნიერ მუშაკთა მჭიდრო და შეთანხმებული კოლექტივის შექმნის უნარს, რა თქმა უნდა, არა მცირე მნიშვნელობა ჰქონდა ამ დიდი, ფართო, მასშტაბით გაშლილი, ექსპედიციების წარმატებისათვის.

არქეოლოგიურ გათხრათა პარალელურად ლ. მუსხელიშვილი ისტორიის დარგშიაც განაგრძობდა კვლევა-ძიებას. ერთი მხრივ იგი სოციალური ისტორიის საკითხებს იკვლევდა („დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიები XVI-XVII საუკუნეებში", შრომა, რომელიც მან ჯერ კიდევ 1928 წელს დაიწყო ივ. ჯავახიშვილის დავალებით), მეორე მხრივ – ისტორიულ წყაროთა მეცნიერულ გამოცემაზე მუშაობდა. მან მხოლოდ ორი ძეგლის გამოქვეყნება მოასწრო: 1939 წელს — „ვაჰანის ქუაბთა განგება" გამოვიდა, 1941-ს კი აბუსერიძე ტბელის თხზულება – „ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუასარტყელში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე". როგორც ტექსტთა გამოკვლევა, ისე მათი რედაქცია და კომენტარები სანიმუშოდ არის შესრულებული.

არა მცირე ადგილს უთმობდა ლ. მუსხელიშვილი თავის მუშაობაში იმ საკითხებს, რომლებიც ქართული ხელოვნების, კერძოდ ძველი ხუროთმოძღვრების ძეგლებთან იყო დაკავშირებული. ამ მხრივ უთუოდ საყურადღებოა მისი წიგნი „არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავრის ხეობაში", რომელშიც, სხვათა შორის, რამდენიმე, დღემდე სრულებით უცნობი ძეგლია წარმოდგენილი. თუმცა ლ. მუსხელიშვილი განათლებით ხელოვნებათმცოდნე არ ყოფილა, მაგრამ ძეგლთა შესწავლისას, წარწერათა და მათთან დაკავშირებულ ისტორიულ საკითხთა გაშუქებასთან ერთად, იგი წმინდა ხუროთმოძღვრულ მონაცემებსაც ითვალისწინებდა და სათანადოდ იყენებდა კიდეც საბოლოო დასკვნათა გამოსატანად, ქართული ხელოვნების ისტორიკოსი ვერავითარ შემთხვევაში ვერ აუვლის გვერდს განსვენებულის შრომებს სამშვილდის სიონისა და მცხეთის „სვეტიცხოვლის" წარწერათა შესახებ: პირველში დადგენილია ამ დიდმნიშვნელოვანი, მაგრამ დღემდე სათანადოდ შეუსწავლელი ძეგლის თარიღი, მეორეში დაზუსტებულია წარწერათა წაკითხვა და, სხვათა შორის, ფრიად საინტერესო მოსაზრებებია წამოყენებული ძეგლის მშენებლობისათვის.

ეს შრომა („მცხეთის სვეტიცხოვლის უძველესი წარწერები და მათი დამოკიდებულება მელქიზედეკ კათალიკოზის ანდერძთან") ლ. მუსხელიშვილმა მოხსენებად წაიკითხა მეცნ. აკადემიის საზ. მეცნ. განყოფილების სესიაზე 1941 წლის დეკემბერში. ეს იყო განსვენებული უკანასკნელი საჯარო გამოსვლა, იგივე შრომა იყო უკანასკნელი გამოკვლევა, რომელიც მის სიცოცხლეში დაიბეჭდა (Ars Georgia, ტ. I).

ლ. მუსხელიშვილი ჯერ კიდევ ახალგაზრდა გარდაიცვალა. ბოლო ხანებში, როდესაც მას ავადმყოფობა მოერია, უკვე ვეღარ ახერხებდა უწინდელი ენერგიით მუშაობას მაგრამ ცხოველი ინტერესი ჩვენი ისტორიის კულტურის საკითხებისადმი ბოლომდე არ შენელებია. მას დაუმთავრებელი დარჩა რამდენიმე დაწყებული შრომა (მაგ., გუდარეხის გათხრათა დროს აღმოჩენილ კერამიკულ ძეგლთა შესახებ) და ძალიან ბევრი განზრახული გამოკვლევის დაწყებაც არ დასცალდა. მისი გარდაცვალება მეტად საგრძნობი დანაკლისია ჩვენი ისტორიული მეცნიერებისა და კიდევ უფრო მეტად ქართული მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. ლ. მუსხელიშვილი ფართო განათ-

ლების მქონე მკვლევარი იყო. ღრმა ცოდნასა და დიდ მეცნიერულ კეთილსინდისიერებასთან ერთად, მას თავისი საქმის არაჩვეულებრივი, გატაცებული სიყვარული და დაუცხრომელი ენერგია ახასიათებდა. სწორედ ამგვარად – დაუღალავ, პატიოსან და ნიჭიერ მუშაკად, კარგ და გულისხმიერ ამხანაგად დარჩება იგი მის თანამშრომელთა ხსოვნაში, ხოლო ის, რის გაკეთებაც მან მცირე ხნის განმავლობაში მოასწრო, მუდამ საგულისხმო და ანგარიშგასაწევი იქნება მომავალ მკვლევართათვის.

დ. ბერძენიშვილი

„ძეგლის მეგობარი“ №21, 1970.

კულტურის ძეგლთა მცველნი და მოამაგენი

ლევან მუსხელიშვილი

(1900-1942)

ლევან მუსხელიშვილი ქართველ ისტორიკოსთა იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომელსაც წილად ხვდა ბედნიერება აკად. ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით დაეწყო მუშაობა. თავის დიდ მასწავლებელთან თანამშრომლობით, სწორედ ამ ჯგუფმა ახალ საფეხურზე აიყვანა ჩვენი ქვეყნის წარსულის შესწავლის საქმე. ფართო და მრავალმხრივი განათლება, დიდი ერუდიცია ლევან მუსხელიშვილს აძლევდა საშუალებას მისი ხანმოკლე, მაგრამ შინაარსიანი მოღვაწეობის პერიოდში, მნიშვნელოვანი კვალი დაეტოვებინა საქართველოს ისტორიაში, არქეოლოგიაში, ხელოვნების ისტორიაში.

ლევან ვახტანგის ძე მუსხელიშვილი დაიბადა 1900 წ. ხარკოვში, ექიმის ოჯახში, რომელიც შემდეგ თბილისში გადმოვიდა. აქვე თბილისის გიმნაზიაში დაიწყო სწავლა ლევანმა, ხოლო 1917 წ. დაამთავრა იგი. 1918 წ. უმაღლესი განათლების მისაღებად ის ძმებთან ერთად გაემგზავრა გერმანიაში. იქ სხვადასხვა ქალაქებში ისმენდა ფილოსოფიისა და ისტორიის კურსებს (ბერლინი, ფრაიბურგი, გეტინგენი, ჰალლე, მიუნხენი). უცხოეთში ყოფნისას, ლ. მუსხელიშვილის ისედაც სუსტ ჯანმრთელობას მწვავე ნოსტალგიაც დაემატა და 1923 წ. იგი იძულებული შეიქნა, საუნივერსიტეტო კურსის დაუმთავრებლად, სამშობლოში დაბრუნებულიყო. მომდევნო წელს იგი შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიულ ფაკულტეტზე, რომელიც 1927 წ. დაამთავრა. შემდეგ იგი დარჩა იქვე ასპირანტურაში და ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით დაამთავრა იგი 1930 წ. ასპირანტობის წლებში ლევანი ივ. ჯავახიშვილის დავალებით იწყებს მუშაობას გამოკვლევაზე – „დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიები XVI-XVII საუკუნეებში“. ეს ფრიად საყურადღებო ნაშრომი მხოლოდ მოგვიანებით გამოქვეყნდა (1940 წ.).

უკვე სწავლისავე პერიოდში გამოირჩეოდა ლ. მუსხელიშვილი შრომისმოყვარეობით, კეთილსინდისიერებით, რაც შეუნიშნავი არ დარჩენია ივ. ჯავახიშვილს. ამიტომაც იგი მას თავის ერთ-ერთ საყვარელ მოწაფედ სთვლიდა, დიდად აფასებდა და კეთილმეგობრულ ურთიერთობას ინარჩუნებდა მასთან მთელი ცხოვრების მანძილზე. სამშობლოს დიდი სიყვარული, მისი ისტორიის ღრმად შესწავლის, კვლევა ძიების დაუცხრომელი მოთხოვნილება აძლევდა უფლებას ლ. მუსხელიშვილს, 1929 წ. ივ. ჯავახიშვილისადმი მიწერილ ერთ წერილში ეთქვა: „საქართველოს ისტორია ჩემთვის არ არის

მხოლოდ საქმე, სპეციალობა, საინტერესო ამოცანა"... ეს უფრო დიდი და ყოვლისმომცველი რამ იყო მისთვის.[1]

სწავლის დამთავრების შემდეგ ლევანი მუშაობას იწყებს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ასისტენტად, შემდეგ კი, არქეოლოგიური განყოფილების უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. 1933 წ. ივ. ჯავახიშვილმა – მაშინ უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგემ – ლ. მუსხელიშვილი კათედრაზე მიიწვია, სადაც მას ლექციები უნდა წაეკითხა. ამ დროს ლევანი აბასთუმანში ისვენებდა. წერილით ატყობინებდა რა, უნივერსიტეტში მიწვევის ამბავს, ივ. ჯავახიშვილი იქვე დასძენდა: „მხოლოდ უნდა ეცადოთ რომ მანდ ყოფნით თქვენი ჯანმრთელობისათვის ისარგებლოთ: თქვენს თავს სამეცნიერო მუშაობით ძალას ნუ დაატანთ. ისარგებლეთ შემთხვევით, ისეირნეთ და მანდაური ჰაერით გაიმაგრეთ თქვენი სხეული. მხნედ იყავით და იმედიანად: ნიჭი და ცოდნა ყოველთვის დაფასდება".

აბასთუმანში ხშირად ხანგრძლივ ყოფნას ლ. მუსხელიშვილი არ შეეძლო მოეწყვიტა საყვარელი საქმისაგან. ამ დროს იგი მიდამოების არქეოლოგიურ დაზვერვას ანდომებდა, რისი შედეგიც იყო ბოდო-კლდის ლოკალიზაცია და ზედ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები.

1936 წ. რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმი დაარსდა, სადაც ლ. მუსხელიშვილი თანამშრომლად მიიწვიეს. 1937 წლიდან იგი ამ მუზეუმის სწავლული მდივანი იყო, ხოლო აკად. ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ – მუზეუმის დირექტორის შესრულებაც დაეკისრა. სწორედ აქ მუშაობისას მოუხდა ლ. მუსხელიშვილს არქეოლოგიური გათხრების ჩატარება ბოლნისში, დმანისში, გუდარეხსა და გეგუთში. ამ გათხრათა შთამბეჭდავი შედეგები მან გამოაქვეყნა 1937-38 წლებში, ნაწილი მისი გარდაცვალების შემდეგ გამოვიდა და ფართო აღიარება ჰპოვა (იხ. „დმანისი, ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერილობა", კრებულში „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა", „ბოლნისი, ენიმკ-ის მოამბე, ტ. III „გუდარეხის პირველი და მეორე (1938 და 1939 წწ.) არქეოლოგიური კამპანიის ანგარიში", თბ. 1954).

ლ. მუსხელიშვილი თავის მუშაობაში არასოდეს შემოფარგლულა ისტორიის ერთი რომელიმე დარგით. არქეოლოგიური გათხრების პარალელურად იგი წყაროთა მეცნიერულ გამოცემებზედაც მუშაობდა. მის სიცოცხლეში მხოლოდ ორი ძეგლის გამოცემა მოესწრო, ესენია – „ვაჰანის ქუაბთა განგება", 1939 წ. და აბუსერისძე ტბელის „ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალაში და აბუსერისძეთა საგვარეულოს მატიანე", 1941 წ. – შესანიშნავად შესრულებული ტექსტების გამოკვლევა, რედაქცია და კომენტარები.

არც ქართული ხელოვნების ისტორია, არც ქართული ეპიგრაფიკა არ დარჩენილა ლ. მუსხელიშვილის ფართო თვალსაწიერის მიღმა. ამის ნათელი დადასტურებაა მისი „არქეოლოგიური ექსკურსიები", 1941 წ. „მცხეთის სვეტიცხოველის უძველესი წარწერები და მათი დამოკიდებულება მელქისედეკ კათალიკოზის ანდერძთან", 1941 წ., „სამშვილდის სიონის წარწერები და აშენების თარიღი", 1943 წელი.

მიუხედავად ავადმყოფობის გაძლიერებისა, ლ. მუსხელიშვილს არ შეეძლო დარჩენილიყო ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენის პასიურ მაყურებლად, როგორიც მცხეთის გათხრები იყო. ამიტომაც, მიუხედავად ექიმების რჩევისა – კიდევ დაესვენა, 1940 წ. იგი ივ. ჯავახიშვილს სწერდა ცემიდან: „სწორე მოგახსენოთ, ნამეტანი მომბეზრდა ეს

[1] წერილები ინახება აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ივ. ჯავახიშვილის კაბინეტში, რომელთა გაცნობისათვის დიდ მადლობას მოვახსენებ ნათელა ჯავახიშვილს.

დასვენება. თუ უკეთ ვიქენი, ეგებ მაშინ შესაძლებელი იყოს ჩემი გამწესება სამთავროში? ეს ჩემთვის, რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო სასიამოვნო იქნება და, ვგონებ, ძალიანაც მარგებს ფიზიკურად".

სამაგალითოა ლ. მუსხელიშვილის მეცნიერული ინტერესების ის ნაირგვაროობა, რომელიც აგრე საჭიროა დღესაც. ეს კარგად ჩანს არა მარტო გამოქვეყნებულ ნაშრომებში, არამედ მეცნიერის არქივშიაც,[1] სადაც ბრინჯაოს ცულების გავრცელების არქეოლოგიური რუკის გვერდით, გვხვდება ნაშრომები ქართული ყმობის ინსტიტუტის შედარებითი შესწავლისა... ან ნაშრომები ბოლნისისა და დმანისის გათხრების შესახებ. აქ ჩანს დიდი განათლების ისტორიკოსი, რომელიც ძეგლს სწავლობს კომპლექსურად: არქეოლოგიური, ხუროთმოძღვრული მონაცემებით, ისტორიული წყაროების ამომწურავი მოშველიებით და რაც მთავარია, მის ისტორიულ გარემოსთან ძეგლის ცოცხლად დაკავშირებით... ან „არქეოლოგიური ექსკურსიები"; რა ლაკონიური სათაურია წიგნისათვის, რომელშიაც მრავალი, სრულიად უცნობი ქართული ხუროთმოძღვრული, თუ ეპიგრაფიკული ძეგლია გამოქვეყნებული. დასმული და გადაჭრილია მრავალი საინტერესო საკითხი მაშავრის ხეობის ისტორიისა, ისტორიული გეოგრაფიისა, აქაური მოსახლეობის დინამიკისა.

საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს ლ. მუსხელიშვილი სპეციალურად არ სწავლობდა, მაგრამ ამ ფართო გაქანების მკვლევარს არ შეიძლებოდა არ ეთქვა თავისი სიტყვა. მის ნაშრომებში მიღებულია მრავალი მნიშვნელოვანი დასკვნა ამ ხასიათისა, რაც ავტორის დიდ მეცნიერულ ალღოზე მეტყველებს. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის შემსწავლელთათვის ასევე ძვირფასია საველე მუშაობისას ის თავდავიწყებული გატაცება, რომელიც მკვლევარს ახასიათებდა. ბოლნელი მოხუცი თათარი, სიონის გათხრების მომსწრე, გაოცებული მომითხრობდა იმ სიხარულზე, რომელიც მთავარი წარწერიანი ქვის აღმოჩენამ აღძრა ლ. მუსხელიშვილში... დმანელ ალექსი მაღრაძეს, რომელიც მასვე დაყვებოდა დაზვერვებზე, აგრეთვე ბევრი საინტერესო ახსოვს დაუცხრომელ და კეთილ „ლენკოზე"... სწორედ მისი მრავალმხრივი და ღრმა ცოდნა იძლეოდა საველე მუშაკის იმ ტიპს, რომელსაც ამდენი შეეძლო დაენახა და დასკვნებად ჩამოეყალიბებინა ექსკურსიების შედეგები.

ბოლო წლებში ლ. მუსხელიშვილს გადაწყვეტილი ჰქონია ქართული წარწერების კრებულის გამოცემა, სადაც შევიდოდა მთელი მასალა ხელახლა ადგილებზე შევსებულ-შემოწმებული. აქ იგულისხმებოდა არამარტო პალეოგრაფიული შესწავლა, არამედ კომპლექსური. მისი შინაარსის თვალსაზრისით სხვა მასთან დაკავშირებულ ძეგლებთან ერთად. წარწერათმცოდნეობის თვალსაზრისით მოპოვებული შედეგი გამოცემას უნდა დართვოდა შესავლის სახით. მან ეს გეგმაც ივ. ჯავახიშვილს გააცნო, რომელიც 1940 წლის ბოლოს პასუხად სწერდა: „... მე მაინც მგონია, რომ ეპიგრაფიკა შესაძლებელია თქვენ მხოლოდ დროებით ამოცანად დაისახოთ. გამოცდილება დაგარწმუნებთ, რომ აქ მასალების სიმცირე მკვლევარს მცირე სარბიელს უტოვებს. თქვენი ნიჭის და მომზადების პატრონს მეტი მოეთხოვება და შეშვენის. იმუშავეთ ქართულ ეპიგრაფიკაზე, მაგრამ რად გინდათ სამუდამო სპეციალობად გაიხადოთ? თქვენ უნდა საისტორიო განყოფილებას ჩაუდგეთ სათავეში და მარტო ასეთი ვიწრო სპეციალობით თქვენი მუშაობის შემოფარგვლა მიზანშეწონილი ნაბიჯი არ იქნებოდა... აბა, თქვენი კარგათ-

[1] იგი ახლა ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული.

მყოფობით გამახარეთ. დედათქვენს ჩემ მაგიერ გულითადი სალამი მოახსენეთ. თქვენი მოსიყვარულე ივ. ჯავახიშვილი".

1941 წ. აპრილში რუსთაველის მუზეუმი გადაიქცა მატერიალური კულტურის ისტორიის განყოფილებად და ლ. მუსხელიშვილი მის გამგედ დაინიშნა. ამ თანამდებობას ასრულებდა იგი სიკვდილამდე, 1942 წლის ივლისამდე.

ლ. მუსხელიშვილი გარდაიცვალა ჯერ კიდევ ახალგაზრდა. თავისი მეცნიერული სიმწიფის ასაკში შესული. მას ბევრი ისევ გასაკეთებელი დარჩა, მაგრამ რაც გააკეთა მას ვერაფრით გვერდს ვერ აუვლის ქართველ ისტორიკოსთა, არქეოლოგთა, ხელოვნების ისტორიკოსთა ახლანდელი თაობა, რომლისთვისაც სამაგალითოდ რჩება მისი მეცნიერული მუშაობის მაღალი კულტურა, საქმის გაუნელებელი სიყვარული და მრავალმხრივი ნიჭი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ლევან მუსხელიშვილი

100

(სამეცნიერო სესიის მასალები, რომელიც შედგა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური ცენტრის სხდომათა დარბაზში 2000 წლის 20 სექტემბერს)

რედაქტორი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
დ. ბერძენიშვილი

ლევან მუსხელიშვილის საიუბილეო თარიღების აღნიშვნისას არაერთხელ დაწერილა ამ შესანიშნავი მკვლევარის მოღვაწეობაზე. უხმაურო, მრავალმხრივი მეცნიერისა და პიროვნების შემოქმედებაზე. მისი დაბადების ასი წლისთავზე გამოცემულ წინამდებარე კრებულში ქართული მეცნიერული საზოგადოება კიდევ ერთხელ მიაგებს პატივს ივ. ჯავახიშვილის საყვარელ მოწაფეს. სიცოცხლის ხანმოკლე პერიოდში თავდაუზოგავმა მუშაობამ, მიღწეულმა შედეგებმა, სამშობლოს და საქმის დიდმა სიყვარულმა, ადამიანურ ურთიერთობებში თანდაყოლილმა კეთილშობილებამ რომანტიული ელფერი შესძინა მის სახელს, პატივისცემა დაუმკვიდრა. ეს წიგნიც ამის დასტურია.

რედაქტორისაგან

გივი ჯამბურია

ლევან მუსხელიშვილი

(დაბადებიდან 100 წლისთავის გამო)

ასი წელი შესრულდა გამოჩენილი მეცნიერის, ისტორიკოსის და არქეოლოგის ლევან მუსხელიშვილის დაბადებიდან. იგი დაიბადა 1900 წლის 8 აპრილს (ძვ. სტ.) ქ. ხარკოვში ცნობილი ექიმის ვახტანგ სოლომონის ძე მუსხელიშვილის ოჯახში, რომელიც მალე თბილისში გადმოვიდა. საშუალო განათლება მან თბილისში მიიღო. 1917 წ. დაამთავრა ლევანდოვსკის გიმნაზია და 1918 წ. უმაღლესი განათლების მისაღებად გერმანიაში გაემგზავრა (მის კვალს გაჰყვა შემდეგ მისი სამი ძმა). ლევან მუსხელიშვილი ლექციებს ისმენდა ბერლინის, ფრაიბურგის, გეტინგენის და მიუნხენის უნივერსიტეტებში. იგი სწავლობდა ფილოსოფიასა და შუა საუკუნეების ისტორიას. ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო საუნივერსიტეტო კურსის დასრულება და 1923 წ. იძულებული გახდა სამშობლოში დაბრუნებულიყო. 1924 წ. სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე ისტორიის სპეციალობით. ივ. ჯავახიშვილმა სტუდენტობაშივე მიაქცია ყურადღება ნიჭიერ და განათლებულ ახალგაზრდას და უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ 1927 წ. იგი ასპირანტად მიიღეს. მისი ხელმძღვანელი იყო ივ. ჯავახიშვილი, რომლის დავალებით 1928 წ. ის შეუდგა მუშაობას დიდ პრობლემაზე: „დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური ისტორია XVI-XVII სს-ში". ამ პრობლემების ნაწილია ლ. მუსხელიშვილის მნიშვნელოვანი გამოკვლევა – „დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიები XVI-XVII სს. (მასალები სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის)" (ენიმკის მოამბე, ტ. V-VI, 1940 წ.). ეს ნაშრომი მოხსენების სახით წაუკითხავს ავტორს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე 1929 წ. 15 მაისს. როგორც ჩანს, ეს მისი საკვალიფიკაციო ნაშრომი უნდა ყოფილიყო. ნაშრომი დამთავრებული, აწყობილი იყო და ჟურნალ „მიმომხილველში" უნდა დაბეჭდილიყო 1932 წელს, მაგრამ საქმე შეფერხდა და მხოლოდ 1940 წ. გამოიცა ივ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილ კრებულში (ენიმკის მოამბე, ტ. V-VI, 1940 წ.). ივ. ჯავახიშვილი ავტორს სწერდა: „წავიკითხე თქვენი ორივე ნაშრომი მუზეუმისა და ინსტიტუტის კრებულში მოთავსებული, ორივე ძალიან მომეწონა „დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიები" მე მგონია სადისერტაციო ნაშრომადაც კი გამოდგებოდა" (ნ. ჯავახიშვილი, ივ. ჯავახიშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობიდან, მნათობი, №9, 1975, გვ. 175).

ლ. მუსხელიშვილის აზრით, ტერმინი „გლეხი" ფართო მნიშვნელობით მოიცავს მსახურის კატეგორიასაც, ვიწრო მნიშვნელობით კი აღნიშნავს გლეხთა წოდების ქვედა ფენას – მებეგრეს ანუ მოინალეს ან კიდევ მოყალნეს. როცა დოკუმენტში ჩამოთვლილია წოდებები: თავადი, აზნაური და გლეხი – ამ ბოლო ტერმინში იგულისხმება მსახურიც. ხოლო როცა დასახელებულია თავადი, აზნაური, მსახური და გლეხი, ამ უკანასკნელში იგულისხმება მებეგრე ანუ მოინალე გლეხი. ამ მოსაზრების დამამტკიცებელი

მასალა მრავლადაა ნაშრომში. აღმოსავლეთ საქართველოს დოკუმენტური მასალაც მტიცედ უჭერს მხარს ამ მოსაზრებას.

მსახურის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა ქართულ ისტორიოგრაფიაში. მიაჩნიათ, რომ მსახური XIV-XV სს-მდე თავისუფალთა წოდებას მიეკუთვნებოდა. ზოგიერთი მკვლევრის აზრით კი, მსახური ცალკე წოდებაა და ფეოდალთა კლასში შედის. ლ. მუსხელიშვილის აზრით, მსახური ადრეც არათავისუფალია. „ვაჰანის ქვაბთა განგების" (რომელიც XIII საუკუნის დასაწყისის ძეგლია) ლექსიკონში მსახური ასეა განმარტებული: „არათავისუფალი წოდების პირი, რომელიც მეფეს ან აზნაურს პირად სამსახურს უწევდა" (ვაჰანის ქვაბთა განგება, 1939 წ., გვ. 112). ჩემი აზრით, ეს არის ერთადერთი სწორი შეხედულება. მსახური მთელს შუა საუკუნეებში იყო არათავისუფალი ფენა და შედიოდა გლეხთა წოდებაში.

ნაშრომში დამაჯერებლად და ნათლადაა განსაზღვრული მსახურის ვალდებულება: ლაშქრობა-ნადირობა და სამასპინძლო (სადილი, პურის ჭამა), ან მოხელეობა და სამასპინძლო (არის აგრეთვე ხელოსნობით მსახური). ნაშრომში აღნიშნულია მსახურთა ფენის მდგომარეობის ერთგვარი დამძიმება XVII ს-ში და ე. წ. დაბეგრილი მსახურის გაჩენა. მსახურის ძირითად ვალდებულებას დაემატა მუშაობა ან ნადობა, ან ორივე ერთად. თუმცა დაუბეგრავი მსახურებიც ინარჩუნებენ არსებობას.

ლევან მუსხელიშვილმა მიაქცია პირველად ყურადღება იმ გარემოებას, რომ დასავლეთ საქართველოს წყაროებში აღნიშნული აზატი იგივე მსახურია. ეს დასტურდება აღმოსავლეთ საქართველოს დოკუმენტური წყაროებითაც, რომელთა მიხედვით აზატი და თარხანი იგივე მსახურია. XIX საუკუნის ისტორიკოსები და ზოგიერთი მკვლევარი დღესაც აზატსა და თარხანს მსახურისაგან განსხვავებულ, ცალკე კატეგორიებად მიიჩნევს, რაც არასწორია.

ლ. მუსხელიშვილის მიერ ზედმიწევნით ზუსტადაა განსაზღვრული მოინალის ანუ მებეგრის ვალდებულებანი: ბეგარა და მისი შემადგენლობა – „თავი-ბეგარა", „სხვაი ბეგარა", „მუშაობა", სამსახური, ძღვენი და სხვა მრავალი ტერმინი. მოჯალაბეთა კატეგორიის გაჩენა XVII ს-ში და სხვა.

ავტორის თითქმის ყველა ძირითადი დებულება გაზიარებულია თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში. თუ რომელიმე დებულება ჯერ კიდევ არ არის გაზიარებული ზოგიერთი მკვლევრის მიერ, ასეთ შემთხვევაში, ჩემი აზრით, ყოველთვის სწორია ლ. მუსხელიშვილი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ როცა ლ. მუსხელიშვილი ამ ნაშრომს წერდა 28-29 წლის ახალგაზრდა კაცი იყო.

დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური ისტორიის საკითხისადმია მიძღვნილი ლ. მუსხელიშვილის შემდეგი ნაშრომიც: „ზოგიერთი საწყაოს ოდენობა დასავლეთ საქართველოში XVII-XVIII სს-ში", რომელიც ცოტა მოგვიანებით გამოქვეყნდა (საქ. მუზეუმ მოამბეში, ტ. II, 1940). დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით გარკვეულია საწყაოთა ტევადობა და დანიშნულება. ეს საწყაოებია – საპალნე, მთელი კოკა, ფოხალი, მენახევრე და სხვა.

დასავლეთ საქართველოს გლეხობის საკითხის კვლევასთან დაკავშირებით. იმავე 1929 წელს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე წაუკითხავს ლევან მუსხელიშვილს მოხსენება თემაზე: „ინგლისური ვილენაჟი და ქართული ყმობა". ე. ი. ინგლისელი და ქართველი გლეხობის დამოკიდებულება თავიანთ ბატონთან. ავტორმა მონახა საერთო და განსხვავებული ნიშნები ჩვენს გლეხსა და ინგლისის ვილანს შორის (კერძოდ, ვილანის ლორდთან პირადი დამოკიდებულების სისუსტე, გლეხის კი სწორედ მტკიცე დამოკიდებულება თავის ბატონზე. მაგალითად, ინგლისში არ ყოფი-

ლა შემთხვევები, როცა გლეხი ერთ ბატონს მიწის ჭერასთან დაკავშირებულ ბეგარას უხდის, ხოლო მეორე ბატონს პირადი დამოკიდებულებიდან გამომდინარე „სამსახურს". იქ მიწის ჭერაა მთავარი).

საინტერესოა აგრეთვე ლევან მუსხელიშვილის დაკვირვება ინგლისის მანორში დომენის და ქართულ „მამულში" საბატონო მიწის არსებობა და როლის შესახებ ფეოდალის მეურნეობაში. ქართულ წყაროებში არ არის პირდაპირი ცნობები საბატონო მიწის არსებობისა და მისი ოდენობის შესახებ. ავტორი ანალოგიისა და „ყოველკვირეული მუშაობის" და „ნადობის" ინსტიტუტთა არსებობის ფაქტზე დაყრდნობით (ორივე ქვეყანაში არის ეს ფაქტები) ასკვნის, რომ დასავლეთ საქართველოშიც მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო საბატონო მიწა და მეურნეობა. წინააღმდეგ შემთხვევაში არ იქნებოდა საჭირო ყოველკვირეული ან „ნიადაგ მუშაობა", ან კიდეე ნადობა, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული დასავლეთ საქართველოში.

მიუხედავად იმისა, რომ მოხსენებაში საკმაოდ საინტერესო და საბუთიანი მოსაზრებებია წამოყენებული, შრომის შესავალში ასეთი აბზაცია: „სავსებით გათვალისწინებული მაქვს, რომ ანალოგიის გასატარებლად საჭიროა მტკიცე საბუთები, ამიტომ აქვე აღვნიშნავ: საგანს ჯერ კიდევ იმდენად არ ვარ გაცნობილი, რომ ურყევი, ან მით უმეტეს, ეჭვმიუტანელი დებულებანი წამოვაყენო. ჩემი არგუმენტაცია ხშირად დამყარებულია მხოლოდ ერთადერთს საბუთზე, ამიტომ მას ჯერჯერობით დამაჯერებლობა აკლია; სათუოდ უნდა დარჩეს აგრეთვე ჩემი დასკვნებიც". მოხსენება მაინც წარმოვადგინე, რათა „ამხანაგურმა, თუნდაც მკაცრმა კრიტიკამ ხელი მომიმართოს" შემდგომ მუშაობაშიო. განათლებული და ნიჭიერი ახალგაზრდის ამ განცხადებაში კარგად ჩანს ლევან მუსხელიშვილის პიროვნება.

როგორც ცნობილია, ლევან მუსხელიშვილი ფართო ინტერესების მკვლევარია. იგი მუშაობდა არქეოლოგიაში, ეპიგრაფიკაში, წყაროთმცოდნეობაში, ტოპონიმიკაში, ენეოდა სამუზეუმო საქმიანობას.

ლ. მუსხელიშვილის პირველი არქეოლოგიური „ნათლობა", თუ შეიძლება ასე ითქვას, შედგა ნოქალაქევის არქეოლოგიურ ექსპედიციაში. ივ ჯავახიშვილისა და გ. ჩუბინაშვილის ინიციატივით დამყარდა ურთიერთობა გერმანიის სამეცნიერო წრეებთან, რასაც შედეგად მოჰყვა ნოქალაქევში არქეოლოგიური ექსპედიციის მონყობა, რომელსაც ხელმძღვანელობდა გერმანელი მეცნიერი ა. მ. შნაიდერი. ეს ექსპედიცია მუშაობდა 1930 წლის ბოლოსა და 1931 წლის დასაწყისში. მასში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ლევან მუსხელიშვილმა და მისმა თანაკურსელმა გ. გოზალიშვილმა (შემდეგ ცნობილი ბიზანტინისტი). ამ ფაქტთან დაკავშირებით გ. გოზალიშვილი იგონებს „შნაიდერი, დასავლელ მეცნიერთა კვალობაზე, ყველაფერს განიხილავდა, როგორც გარედან შემოტანილს. მე კი სულ იმას ვუმტკიცებდი, რომ ბევრი რამ ადგილობრივი იყო და ნაციონალური ხასიათი ჰქონდა. ლენკოს ჩამოსვლამ ჩემი პოზიცია გაამაგრა და მომეშველა შნაიდერთან დისკუსიაში, რასაც, რასაკვირველია, სრულიად კორექტული და აკადემიური ხასიათი ჰქონდა" („ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები", ტ. IV, 1982, გვ. 17).

ამ „დისკუსიის" შედეგი ის იყო, რომ ჯერ კიდევ შნაიდერის ნოქალაქევში ყოფნისას გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტმა შესთავაზა მათ გამხდარიყვნენ მათი ინსტიტუტის თანამშრომლები (ცხადია, ინიციატივა შნაიდერისაგან უნდა მოდიოდეს). 1932 წელს კი მუზეუმში შემოვიდა ოფიციალური წინადადება, რომ მათ მიეღოთ მონაწილეობა გერმანელებთან ერთად არქეოლოგიურ ექსპედიციაში აფრიკის ერთ-ერთ ქვეყანაში. ცხადია, მაშინდელ სიტუაციაში ამის განხორციელება შეუძლებელი იყო. ლ. მუსხელიშ-

ვილის ნოქალაქევში წარმოებული დღიური და ანგარიში გამოქვეყნდა გვიან – 1987 წ., როცა ნოქალაქევის ახალი გათხრების ანგარიში დაიბეჭდა.

ნოქალაქევის ექსპედიციის დამთავრების შემდეგ, 1931 წელს, ლ. მუსხელიშვილი და გ. გოზალიშვილი ჩაირიცხნენ საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიურ განყოფილებაში თანამშრომლებად და, როგორც გ. გოზალიშვილი წერს, დაევალათ გაევლოთ ასპირანტურა არქეოლოგიის განხრით. ხელმძღვანელებად დაენიშნათ ივ. ჯავახიშვილი და გ. ჩუბინაშვილი, რომელიც ხელოვნების ისტორიას ასწავლიდა მათ. ცნობილი არქეოლოგი ბორის კუფტინი კი არქეოლოგიაში ამეცადინებდა. აქ არქეოლოგიურ კოლექციებზე მუშაობის დროს ლ. მუსხელიშვილი დაინტერესდა მუზეუმის ფონდებში დაცული ბრინჯაოს ცულებით. ამ ცულების შესწავლის საფუძველზე მან პირველმა დააყენა დასავლურ ქართული და აღმოსავლურ ქართული არქეოლოგიური კულტურების არსებობის საკითხი. დასავლეთ საქართველოს ბრინჯაოს ცულებს მან „კოლხური ცულები" უწოდა. ნაშრომს თან ერთვოდა ამიერკავკასიაში ცულების გავრცელების რუკა. ამ ნაშრომმა ივ. ჯავახიშვილის მოწონება დაიმსახურა. იგი სწერდა ლ. მუსხელიშვილს: „ეს ნაშრომი შესაძლებელია სადისერტაციო ნაშრომად გამოიყენოთ". მაგრამ ლ. მუსხელიშვილმა არც ეს ნაშრომი წარადგინა საკვალიფიკაციოდ. იგი საერთოდ გამოუქვეყნებელი დარჩა (დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში). ჩემი აზრით, ლ. მუსხელიშვილს დრო არ ჰქონდა დისერტაციის დასაცავად. მუშაობაში მას ხელს უშლიდა ავადმყოფობა. ამიტომ ის მთელ თავის ენერგიას მეცნიერულ ძიებას ახმარდა. როგორც საქართველოს მუზეუმის 1931-1932 წწ. მუშაობის ანგარიშშია აღნიშნული, ლ. მუსხელიშვილმა, გარდა იმისა, რომ შეჰქმნა ნაშრომი ბრინჯაოს ცულების შესახებ, დაწერა სტატია „ძველეგვიპტური სამარულო ეტლის კავკასიური პარალელი", რომელიც გამოქვეყნდა მუზეუმის მოამბეში გერმანულ ენაზე (ტ. VIII, 1935 წ.). მანვე წაიკითხა მოხსენება მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტში: „კავკასიის არქეოლოგიის შესწავლის მდგომარეობისა და უახლესი ამოცანების შესახებ" (მუზ. მოამბე, 1931-1932, ტ. VII, გვ. 256-357). „ამ მიმოხილვაში, – სწერდა ლ. მუსხელიშვილი ივ ჯავახიშვილს, – რომელიც დაიჭერს ჩვეულებრივი ფორმატის დაახლოებით ორ ფორმანახევარს, დაცული არის მეცნიერული ზედმიწევნილობა და ნაცადი არის წარსული სამოციოდე წლის ნამუშევრის შეფასება და მომავლისათვის ერთგვარი პროგრამის დასახვა" (წერილი №7, მნათობი №6, 1975 წ., ნათელა ჯავახიშვილის პუბლიკაცია). ანგარიშში არ არის აღნიშნული, მაგრამ იმავე ხანებში ლ. მუსხელიშვილმა თარგმნა და გამოაქვეყნა გერმანელი მეცნიერის ერნესტ ჰერცფელდის ნაშრომი „კულტურული ურთიერთობანი ძველს აღმოსავლეთში" (ტფ. 1931 წ.). აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ამავე წლებში ლ. მუსხელიშვილმა რამდენიმე თვე აბასთუმანში გაატარა, მაგრამ არც იქ ისვენებდა. იქ ყოფნას იგი აბასთუმნის მიდამოებში არქეოლოგიური დაზვერვისთვის იყენებდა. ამის შედეგი იყო ნაშრომის „ბოდო-კლდის ნანგრევების" შექმნა. ეს ნაშრომი მოხსენების სახით წაუკითხავს მას იმავე მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ენისა და მატერიალური კულტურის განყოფილებაში, რომელმაც, როგორც თავად წერს ივ. ჯავახიშვილისადმი მიწერილ წერილში „საკმაოდ ცხარე კამათი გამოიწვია, კერძოდ ძველი ოძრხის ადგილმდებარეობის გარშემო, რომელსაც ლ. მელიქსეთ-ბეგი ვარძიასთან აიგივებს (გეოგრაფიულად)" (მნათობი, №6, გვ. 187). ივ. ჯავახიშვილი საპასუხო წერილში მხარს უჭერს ლ. მუსხელიშვილს და წერს: „ბოდო-კლდის ნანგრევების გამო ატეხილი დისკუსიის დროს გამოთქმული მოსაზრება უცნაურია: სად ოძრხე და სად ვარძია" (მნათობი №7, გვ. 187). ეს ნაშრომიც გამოუქვეყნებელი დარჩა.

1933 წელს ლ. მუსხელიშვილმა ბოდო-კლდის ნაწილობრივი გათხრაც ჩაატარა. იქ გამოვლენილ იქნა ეკლესია, რამდენიმე სამოქალაქო ნაგებობა, მათ შორის, ე. წ.

„ციკლოპური“ ნაგებობაც. აბასთუმნის მიდამოებში გამოვლენილ იქნა X-XI სს. რამდენიმე წარწერიანი ქვა და ქვის ბარელიეფი და სხვა (მნათობი, №7, გვ. 182-183, 188).

1933 წელს, როცა ივ. ჯავახიშვილი ისევ მიიწვიეს უნივერსიტეტში და კათედრის გამგედ დანიშნეს, მან თავისი მოწაფე ლ. მუსხელიშვილიც მიიწვია. მას წინაკლასობრივი საზოგადოების ისტორიის წაკითხვა დაევალა. აქვე ასწავლიდა ლათინურ ენას. გარდა ამისა, მას უნდა წაეკითხა საქართველოს სიძველეთმცოდნეობის კურსი. შედგა თუ არა ეს კურსი, არ ჩანს.

აბასთუმანში ყოფნისას, 1933 წელს, გაზეთ „იზვესტიაში“ გამოქვეყნებულა ცნობა, რომ გერმანელი არქეოლოგები აპირებდნენ მცხეთაში სამთავროში არქეოლოგიური გათხრების დაწყებას. ამის გამო ლ. მუსხელიშვილი თავის მასწავლებელს სწერდა: „უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩემთვის, რომ მე ამ მუშაობას დავესწრო. ეს ხომ მსოფლიო მნიშვნელობის გათხრაა... მეორე ამისთანა სკოლას როდესმე მოვესწრები კიდევ, ვინ იცის? ამიტომ მე მზად ვარ ყოველგვარ პირობებზე, ოღონდ კი სამთავროს გათხრაში მონაწილეობა მივიღო“. მაგრამ გერმანელები არ ჩამოვიდნენ, ლ. მუსხელიშვილს კი ავადმყოფობის გამო სამთავროში მუშაობა არ მოუხერხდა.

შოთა რუსთაველის და მისი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავის იუბილეს მზადების პერიოდში, 1936 წელს შეიქმნა შოთა რუსთაველის და მისი ეპოქის მუზეუმი, რომლის დირექტორად დაინიშნა ივ. ჯავახიშვილი. ივ. ჯავახიშვილმა მუზეუმის თანამშრომლად მიიწვია ლ. მუსხელიშვილი, რომელიც ჯერ უფროსი მეცნიერ თანამშრომელი იყო, შემდეგ კი 1937 წლიდან სწავლული მდივანი, ხოლო ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ, 1940 წლიდან მუზეუმის დირექტორის მოვალეობას ასრულებდა. შოთა რუსთაველის მუზეუმის გაუქმების შემდეგ, 1941 წლის აპრილიდან ის განაგებდა ახლად შექმნილი ხელოვნების სექტორის მატერიალური კულტურის განყოფილებას. მუზეუმის მთავარი ამოცანა იყო, 1937 წლის ბოლოსათვის მოწყობილიყო შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურის ძეგლების გამოფენა. ამ მიზნით განხორციელდა რამდენიმე ისტორიულ-არქეოლოგიური დიდი ექსპედიცია, რომლის უშუალო ხელმძღვანელობა ივ. ჯავახიშვილის რეკომენდაციით დაევალა ლ. მუსხელიშვილს. იგი სავსებით მომზადებული იყო ამ დიდი საქმისთვის. კარგად იცნობდა საქართველოს ისტორიასა და მის წერილობით წყაროებს, პალეოგრაფიას, სპეციალური მომზადება ჰქონდა გავლილი ხელოვნებათმცოდნეობასა და არქეოლოგიაში. ჰქონდა საველე მუშაობის გამოცდილება, იცოდა ევროპული ენები, სომხური და რაც მთავარია, ჰქონდა ნიჭი და ორგანიზატორული უნარი დიდი საქმეების გასაკეთებლად. ამის შედეგი იყო მაღალმეცნიერულ დონეზე შესრულებული გათხრები ბოლნისში, დმანისში, გუდარეხსა და გეგუთში.

ბოლნისის არქეოლოგიური ექსპედიცია მოეწყო 1936 და 1937 წლებში. ექსპედიციის კონსულტანტი იყო გ. ჩუბინაშვილი. გათხრებს უშუალოდ ხელმძღვანელობდა ლ. მუსხელიშვილი. გათხრილ იქნა ბოლნისის სიონი და მის გარშემო ტერიტორია, რის შედეგადაც დაზუსტდა სიონის გეგმა. იქ აღმოჩენილი სამშენებლო წარწერის მიხედვით განისაზღვრა ეკლესიის აშენების თარიღი (V ს. 80-90-იანი წლები) და სხვა.

ამ გათხრებისადმი მიძღვნილი ნაშრომი „ბოლნისი“ (ენიმკის მოამბე, ტ. III, 1938) არის ეკლესიის, ბოლნისის რაიონის და მთელი ხეობის ისტორია უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე. ნაშრომი ეყრდნობა არა მხოლოდ არქეოლოგიურ მასალას, არამედ წერილობით წყაროებს, ეპიგრაფიკულ ძეგლებს, ტოპონიმიკას, ეთნოგრაფიულ, მასალებს. ნაშრომში განხილულია ბოლნისისა და მთელი ხეობის მეურნეობის სხვა-

დასხვა დარგები, მოსახლეობა და მისი დინამიკა, მხარის პოლიტიკური თავგადასავალი და სხვა.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობისა იყო ნაქალაქარ დმანისის არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელიც მუშაობდა 1936 და 1937 წ. შემოდგომაზე, ექსპედიციის საერთო ხელმძღვანელად ითვლებოდა ივ. ჯავახიშვილი. კონსულტანტი იყო გ. ჩუბინაშვილი, გათხრებს უშუალოდ ხელმძღვანელობდა ლ. მუსხელიშვილი. გათხრებს დიდი წარმატება ხვდა. აღმოჩენილ იქნა ბევრი ახალი ნაგებობა თუ მასალა – საეკლესიო და სამოქალაქო ნაგებობანი, ნაქალაქარის ქუჩები, ეპიგრაფიკული ძეგლები, მონეტები, კერამიკა და სხვა მრავალი. აქ მოპოვებულმა მასალამ საპატიო ადგილი დაიკავა შოთა რუსთაველის ეპოქისადმი მიძღვნილ საიუბილეო გამოფენაზე. ამ გათხრების შედეგები განზოგადებულია ლ. მუსხელიშვილის ნაშრომში „დმანისი" (კრებ.: „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა", 1937 წ.). მასში გამოკვლეულია დასახლებული პუნქტიდან (VI ს.) დმანისის ქალაქად გადაქცევის პროცესი, მის განვითარების სხვადასხვა ეტაპები, აყვავების ხანა, რომელიც სავაჭრო გზის მოქმედებასთან იყო დაკავშირებული, ქალაქის დაცემა XIV საუკუნეში, განხილულია საქალაქო ცხოვრებისა და მეურნეობის მრავალი საინტერესო საკითხი და სხვა.

დმანისის ექსპედიციების დროს ლ. მუსხელიშვილს შემოუვლია მაშავრის ხეობა, რომლის შედეგადაც გამოვლენილა დიდძალი არქეოლოგიური, ხუროთმოძღვრული და ეპიგრაფიკული ძეგლები, რომლებიც თავმოყრილი და გაანალიზებულია წიგნში „არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავრის ხეობაში" (1941 წ.). ახლად გამოვლენილმა ეპიგრაფიკულმა მასალამ, კერძოდ ჰამამლუს XII ს. წარწერამ საშუალება მისცა ლ. მუსხელიშვილს დაედგინა თორელთა გვარის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, მათი სამძივართაგან ჩამომავლობა, რომ ისინი ჯავახეთის გამგებელნი იყვნენ და რომ ჰამამლუს ეკლესია აგებულია კახა სამძივარის მიერ 1190-1191 წლებში. ახლად მოპოვებულმა მრავალფეროვანმა მასალამ ქვემო ქართლის დემოგრაფიული განვითარების პროცესის ახლებურად გაშუქების შესაძლებლობა მისცა მკვლევარს. საერთოდ მისი ზემოხსენებული ნაშრომები ქვემო ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული გამოკვლევის შესანიშნავი ნიმუშებია.

ლ. მუსხელიშვილი ექსპედიციის დამთავრებისთანავე (1937 წ. 3 ოქტომბერი) გაემგზავრა გეგუთში, იქ არსებული ციხე-დარბაზის შესწავლის მიზნით. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ 1937 წლის ბოლოს უნდა გახსნილიყო შოთა რუსთაველის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა. დრო მცირე იყო, ამიტომ მოხერხდა მხოლოდ ციხე-დარბაზის გეგმის და აშენების თარიღის დადგენა.

1938-1939 წწ. ოთხი თვის განმავლობაში მუშაობდა გუდარეხის არქეოლოგიური ექსპედიცია, რომლის ხელმძღვანელობა ლ. მუსხელიშვილს დაევალა. ამ ნასახლარში ექსპედიციამ გამოავლინა საეკლესიო და საერო ნაგებობანი. გამოავლინა და გაშიფრა წარწერები, აღმოაჩინეს მონეტები, კერამიკა, სამკაულები, სამეურნეო იარაღები და სხვა. ექსპედიციის აქტიური თანამშრომლები იყვნენ შ. ხიდაშელი და ვ. ჯაფარიძე, რომლებთან ერთად შედგა ექსპედიციის ანგარიში, რომლის გამოცემა ლ. მუსხელიშვილის სიცოცხლეში ვერ მოხერხდა. იგი გამოქვეყნდა 1954 წელს გ. ჩუბინაშვილის რედაქტორობითა და წინასიტყვაობით. ლ. მუსხელიშვილს მონაწილეობა მიუღია აგრეთვე არმაზის ხევის გათხრებშიც.

ლ. მუსხელიშვილს სპეციალური ნაშრომი ხუროთმოძღვრებაში არ დაუწერია, მაგრამ მის მიერ გათხრილი არქეოლოგიური ექსპედიციების ანგარიშებში თუ ცალკეულ გამოკვლევებში იგი ხუროთმოძღვრების მრავალ საკითხს შეხებია და არაერთი მნიშვნელოვანი თუ საინტერესო აზრიც გამოუთქვამს, მას ხომ გ. ჩუბინაშვილის სკოლაც

ჰქონდა გავლილი. როგორც აკად. ვ. ბერიძე წერს: „გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ლ. მუსხელიშვილის ნაშრომების მნიშვნელობა შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების შესწავლის საქმეში არსებითია. მათ გარეშე დღეს შეუძლებელია ზოგი უმნიშვნელოვანესი ძეგლისა და ანსამბლის ისტორიული თავგადასავლისა და მნიშვნელობის ცალკეულ საკითხთა გაშუქება" (ვ. ბერიძე, ლ. მუსხელიშვილის წვლილი ძველი ქართული ხუროთმოძღვრების შესწავლის საქმეში. კრებ.: ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, IV, გვ. 12).

დაძაბული არქეოლოგიური გათხრებისა და გამოკვლევების გვერდით ლ. მუსხელიშვილი მნიშვნელოვან წყაროთმცოდნეობით სამუშაოსაც ასრულებდა. 1939 წელს გამოსცა „ვაჰანის ქვაბთა განგება" (რედ. ს. ჯანაშია), რომელიც ვანის მონასტრის ტიპიკონს წარმოადგენს. ეს ძეგლი ადრე გამოცემული იყო თ. ჟორდანიას მიერ. ეს არის მეორე აკადემიური გამოცემა გამოკვლევით, ლექსიკონითა და საძიებლებით. ნაშრომის შესავალში გარკვეულია ვაჰანის ქვაბთა ადგილმდებარეობა (ვარძიასთან ახლოს, ახალქალაქის რაიონში); ვაჰანის ძეგლის დადების თარიღი (1204-1234 წლები) და ძეგლის დამდების ვინაობა (მხარგრძელთა ჩამომავალი თმოგველი (სარგისი?)).

1941 წელს ლ. მუსხელიშვილმა გამოსცა აბუსერისძე ტბელის „ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე" (1233 ნ. ტექსტი) (რედ. ნ. ბერძენიშვილი) ასევე გამოკვლევით, ლექსიკონითა და საძიებლებით. ეს ძეგლი მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა აბუსერისძეთა საგვარეულოს, იმდროინდელი საქართველოს ყოფა-ცხოვრების, ხელოვნების, სააღმშენებლო იარაღების ტერმინების შესახებ და სხვა. ორივე ძეგლი მნიშვნელოვანი წყაროა XIII საუკუნის პირველი ნახევრის სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა საკითხთა შესასწავლად.

ლ. მუსხელიშვილის ბოლო ნაშრომები ეძღვნება ეპიგრაფიკულ ძეგლებს. 1942 წელს დაიბეჭდა ნაშრომი „სამშვილდის სიონის წარწერები და აშენების თარიღი" (ენიმკის მოამბე, ტ. XIII, 1942), რომელიც მოხსენების სახით ნაუკითხავს ავტორს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის საჯარო სხდომაზე 1941 ნ. 22 მაისს. სამშვილდის სიონისა და მისი საამშენებლო წარწერის დათარიღების შესახებ აზრთა დიდი სხვადასხვაობა იყო. მ. ბროსემ იგი დაათარიღა 1313 წლით, ე. თაყაიშვილმა X საუკუნით, ლ. მუსხელიშვილმა დიდი გონებამახვილობითა და დამაჯერებლობით წარწერა დაათარიღა 759-777 წლებით იქ მოხსენიებული მეფეების კონსტანტინესა და ლეონის მიხედვით, რომლებიც ბიზანტიის იმპერატორები იყვნენ. ყურადღება მიაქცია იმას, რომ ამ დროს არაბები ბატონობდნენ ქართლში, თბილისში ამირა იჯდა, მის ახლოს კი შენდება დიდი ქრისტიანული ტაძარი და წარწერაში იხსენიებენ ბიზანტიის იმპერატორებს.

მნიშვნელოვანი გამოკვლევაა ლ. მუსხელიშვილის „მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის უძველესი წარწერები და მათი დამოკიდებულება მელქისედეკ კათალიკოსის ანდერძთან" (ქართული ხელოვნება, I, 1942). სვეტიცხოვლის მეორედ აშენების გამოც აზრთა დიდი სხვადასხვაობა იყო. ბოლოს გ. ჩუბინაშვილისა და ნ. ბერძენიშვილის გამოკვლევათა შედეგად დადგენილი იყო, რომ სვეტიცხოვლის მეორედ შენება XI საუკუნის I ნახევარში მოხდა. ლ. მუსხელიშვილმა კი საბოლოოდ დააზუსტა, რომ ეს მოხდა 1010-1029 წლებში, დააზუსტა სვეტიცხოვლის ზოგიერთი წარწერის წაკითხვა და სხვა.

ივ. ჯავახიშვილისა და ლ. მუსხელიშვილის მიმოწერიდან ჩანს, რომ ლ. მუსხელიშვილს გადაუწყვეტია ხელი მოეკიდა ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კორპუსის გამოცემისათვის და ამით შემოეფარგლა თავისი შემოქმედება. ივ. ჯავახიშვილმა არ მოუწონა ეს გადაწყვეტილება. იგი ერთ-ერთ წერილში წერდა: „თქვენი ნიჭისა და მომზადების პატრონს მეტი მოეთხოვება და შეშვენის. იმუშავეთ ქართულ ეპიგრაფიკაზე,

მაგრამ რად გინდათ სამუდამო სპეციალობად გაიხადოთ? თქვენ უნდა საისტორიო განყოფილებას ჩაუდგეთ სათავეში" (მნათობი, 1975, №9, გვ. 176).

სამაგალითო იყო ივ. ჯავახიშვილისა და ლ. მუსხელიშვილის, მასწავლებლისა და მოწაფის ურთიერთობა. სტუდენტობიდან დაწყებული სიცოცხლის ბოლომდე ივ. ჯავახიშვილი თვალს ადევნებდა მის მუშაობას, რჩევა-დარიგებებს აძლევდა, მიიწვია უნივერსიტეტში, მუზეუმში, ახლად დაარსებულ შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმში. მიანდო მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ექსპედიციების ხელმძღვანელობა, ჩააბარა მუზეუმის ისტორიის განყოფილება. ივ ჯავახიშვილს ძალიან აწუხებდა ლ. მუსხელიშვილის ავადმყოფობა. მოუწოდებდა მეტი ყურადღება მიექცია ჯანმრთელობისათვის, მეტი დაესვენა, ემკურნალა. მას იგი სწერდა: „თქვენისთანა ნიჭისა და შესაძლებლობის ახალგაზრდა მაინც ბევრს შეძლებს, ყველაფერს მოესწრებით". ლევანი თითქოს გრძნობდა, რომ დიდი ხნის სიცოცხლე არ ჰქონდა და როგორც თბილისში, ისე ექსპედიციებში თუ აბასთუმანში, შეიძლება ითქვას, დღე და ღამე მუშაობდა, და მაინც, უდროოდ გარდაცვალების გამო (1942 წ. ივლისი), ვერ შეძლო მთელი თავისი შესაძლებლობების გამოვლენა. ბევრი დიდი ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა. მაგრამ რაც გააკეთა, ძალიან მნიშვნელოვანია. მისი შრომები სამუდამოდ ქართული ისტორიოგრაფიის ოქროს ფონდში დარჩება. როცა ლ. მუსხელიშვილს ავადმყოფობა მოერია, სანახავად მისულ მის უმცროს თანამშრომელსა და მოწაფეს ქ-ნ ციალა გაბაშვილს ასეთი რამ უთხრა: „აქამდე მე ცოდნას, გამოცდილებას ვიძენდი და როდესაც შემეძლო ჩემი ცოდნა, გამოცდილება სხვებისთვის გადამეცა, ჩემი ქვეყნისთვის დამეფასებინა ამაგი, ახლა მომერია ავადმყოფობა და დამჯაბნა" („ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები", IV, გვ. 23).

შემოქმედებითი, მეგობრული და უაღრესად გულთბილი ურთიერთობა ჰქონდა ლ. მუსხელიშვილს ს. ჯანაშიასთან და ნ. ბერძენიშვილთან.

ლევან მუსხელიშვილი, რომელიც ერთხანს გერმანიაში იმყოფებოდა სასწავლებლად, შემდეგ კი ურთიერთობა ჰქონდა გერმანელ მეცნიერებთან, რა თქმა უნდა, ვერ დარჩებოდა საბჭოთა რეჟიმის ყურადღების გარეშე. ის პირველად 1924 წელს დააპატიმრეს მამასთან, პროფესორ ვახტანგ მუსხელიშვილთან ერთად 1924 წლის აჯანყების მონაწილეებთან ურთიერთობის გამო. მამა-შვილი დახვრეტას სასწაულით გადაურჩა. მეორედ ის 1936 წელს დააპატიმრეს და ექვსი თვე გაატარა საპატიმროში.

ლ. მუსხელიშვილს თავისი მეგობრები, თანამშრომლები და მოწაფეები ახასიათებენ როგორც გამორჩეულ პიროვნებას. აკად. ვ. ბერიძის სიტყვით, იგი იყო პრინციპული და მაღალი იდეალების ადამიანი, უაღრესად გულისხმიერი და კეთილი, ქვეყნისათვის თავდადებული უანგარო რაინდი („ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები", IV, თბ., 1982).

ქართული საისტორიო მეცნიერების თანამედროვე მიღწევები ძირითადად ემყარება ივ. ჯავახიშვილისა და მისი მოწაფეების სიმონ ჯანაშიასა, ნიკო ბერძენიშვილის და ლევან მუსხელიშვილის შემოქმედებას.

რამინ რამიშვილი

ლევან მუსხელიშვილი და ქართული არქეოლოგია

ლევან ვახტანგის ძე მუსხელიშვილის სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლა დაემთხვა ქართული ისტორიოგრაფიის და, მათ შორის, არქეოლოგიური მეცნიერების მზარდი აღმავლობის წლებს.

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის ფუძემდებელი და ჩვენში პირველი უნივერსიტეტის დამაარსებელი აკად. ივ. ჯავახიშვილი არქეოლოგიის განვითარებას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა, რადგანაც იგი სწორედ ამ მეცნიერების სათანადო დაწინაურებაში ხედავდა საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობითი ბაზის გაფართოების ერთ-ერთ უმთავრეს გზას.

აღსანიშნავია, რომ აკად. ივ. ჯავახიშვილის ნიჭიერ მონაფეთაგან, რომლებმაც პროფესიული განათლება თბილისის უნივერსიტეტში შეიძინეს, სამი გამორჩეული პიროვნება – სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი და ლევან მუსხელიშვილი უმჭიდროესად იყვნენ დაკავშირებული არქეოლოგიასთან, ხოლო ლევან მუსხელიშვილისათვის მეცნიერების ეს დარგი ძირითად სარბიელს წარმოადგენდა.

XX საუკუნის 30-იანი წლებიდან საქართველოში არქეოლოგიური მეცნიერების აღმასვლას, გარდა თბილისის უნივერსიტეტში გაშლილი ფართო საქმიანობისა, ხელი შეუწყო იმანაც, რომ ახალი სამეცნიერო ძალების მომზადების საქმეში აქტიურად იყვნენ ჩაბმული გერმანიიდან დაბრუნებული ცნობილი არქეოლოგი პროფ. გიორგი ნიორაძე და საქართველოში საცხოვრებლად დამკვიდრებული უნიჭიერესი ბორის კუფტინი, რომლებმაც დიდი ამაგი დასდეს ჩვენში მეცნიერების ამ დარგის დაწინაურებას და კერძოდ, ლევან მუსხელიშვილის არქეოლოგიაში სამუშაოდ მომზადების საქმეს.

როგორც ლევან მუსხელიშვილის ბიოგრაფიიდანაა ცნობილი, თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე სწავლამდე იგი 1918-1923 წლებში ლექციების კურსს ფილოსოფიასა და შუა საუკუნეთა ხანის ისტორიაში ისმენდა ბერლინის, ფრაიბურგის, გეტინგენის, ჰალესა და მიუნხენის უნივერსიტეტებში და საკმაოდ ნაყოფიერადაც მუშაობდა, მაგრამ ქუდბედად დაყოლილი ავადმყოფობის გამო გერმანიაში უმაღლესი განათლების დასრულება მან ვერ შეძლო, 1923 წელს სამშობლოში დაბრუნდა და 1924 წლიდან თბილისის უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა.

ევროპული ენების, ლათინურისა და სომხურის მცოდნე ღრმად განათლებულმა და ერუდირებულმა ნიჭიერმა სტუდენტმა ივანე ჯავახიშვილის ყურადღება სტუდენტობის წლებშივე მიიქცია, რაც შემდგომ ამ ორ პიროვნებას შორის მჭიდრო ურთიერთობაში გადაიზარდა.

ლევან მუსხელიშვილის პირველი არქეოლოგიური „ნათლობა" შედგა ჯერ კიდევ ასპირანტურაში სწავლის დროს 1930 წელს ნოქალაქევის არქეოლოგიის ექსპედიციაში, რომელსაც 1930-1931 წლებში ხელმძღვანელობდა გერმანელი არქეოლოგი ა. შნაიდერი. გერმანიის სამეცნიერო წრეებთან თბილისის უნივერსიტეტის მჭიდრო ურთიერთობის

დამყარება, რომლის ინიციატორებიც იყვნენ ივ. ჯავახიშვილი და გ. ჩუბინაშვილი, პირველ რიგში, მიზნად ისახავდა ჩვენში არქეოლოგიური საქმიანობის გაღრმავებას და ამ დარგში მომუშავე ახალგაზრდების ევროპულ დონეზე მომზადებას. მიუხედავად იმისა, რომ ნოქალაქევში არქეოლოგიური სამუშაოები მხოლოდ ორ წელს გაგრძელდა, მან გარკვეული გავლენა მოახდინა ჩვენში არქეოლოგიური ძიების განვითარებაზე და შეიძლება ითქვას, განსაზღვრა კიდევაც ლევან მუსხელიშვილის შემდგომი საქმიანობის ძირითადი სფერო.

1931 წლიდან, ასპირანტურის კურსის დასრულების შემდეგ, ლევან მუსხელიშვილი მუშაობას იწყებს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურ განყოფილებაში, სადაც კიდევ უფრო გაღრმავდა მისი სამეცნიერო ურთიერთობა აკად. ივ. ჯავახიშვილთან, რომელიც სწორედ იმ დროს ჩამოაშორეს ქართულ უნივერსიტეტს და გადაიყვანეს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ-კონსულტანტად. ივ. ჯავახიშვილი შეუნელებელ ყურადღებას იჩენდა ლევან მუსხელიშვილის სამეცნიერო საქმიანობის მიმართ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლევან მუსხელიშვილი თავისი სამეცნიერო საქმიანობის პირველ წლებში დაინტერესებული იყო არა მხოლოდ მედიევისტური ისტორიით და არქეოლოგიით. მან დიდი დრო და ენერგია შეალია მუზეუმის არქეოლოგიური ფონდების შესწავლას და განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იქ დაცული ბრინჯაოს ცულების კოლექციას. მკვლევარის დაინტერესება ნივთიერი კულტურის ამ სფეროთი იმდენად დიდი იყო, რომ მისმა სამეცნიერო ხელმძღვანელმა აკად. ივ. ჯავახიშვილმა შესაძლებლად ჩათვალა ამ თემის სადისერტაციოდ წარდგენა, მით უმეტეს, რომ 1932 წლისათვის ლევან მუსხელიშვილს უკვე მზად ჰქონდა ბრინჯაოს ცულებისადმი მიძღვნილი მონოგრაფია. როგორც ჩანს, მკვლევარს მართლაც რომ უზარმაზარი სამუშაო შეუსრულებია, განსაკუთრებით ღრმად შეუსწავლია დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ცულების კოლექციები, განძები და ყალიბები და ამ შთამბეჭდავი მასალების ანალიზის საფუძველზე, პირველად ქართულ არქეოლოგიაში, მას გამოუყვია დასავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურის წრის ძეგლები აღმოსავლეთ საქართველოს გვიანი ბრინჯაოს ხანის ძეგლებისაგან. ამავე დროს, ლევან მუსხელიშვილმა იმავე მონოგრაფიაში დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილ ცულებს პირველად უწოდა კოლხური და მისი წარმოების და გავრცელების ძირითად კერად კოლხეთი მიიჩნია. ვითვალისწინებთ რა ლევან მუსხელიშვილის მისაბაძ ჩვევას, თუ ნებისმიერ მეცნიერულ საკითხს როგორ გამოწვლილვით და სიღრმით იკვლევდა, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ნაშრომს დღემდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და განსვენებული მეცნიერის არქივში თუ კიდევაა შემონახული ეს მონოგრაფია, იქნებ იგი დიდი დაგვიანებით, მაგრამ მაინც გამოქვეყნდეს და ხელმისაწვდომი გახდეს სამეცნიერო წრეებისათვის.

მიუხედავად ჯანმრთელობის გაუარესებისა, ლევან მუსხელიშვილი აკად. ივ. ჯავახიშვილთან მჭიდრო თანამშრომლობით დაუღალავად იღწვოდა სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში, ამავე დროს, სწორედ 30-იანი წლების მეორე ნახევარში, გამოიკვეთა მკვლევრის უმთავრესი მისწრაფება. მისი საქმიანობა მჭიდროდ დაუკავშირდა შუა საუკუნეთა ხანის არქეოლოგიური ძეგლების კვლევას. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ლევან მუსხელიშვილი, ვითარცა ღრმად განსწავლული ევროპული დონის მკვლევარი, დგას ქართული მედიევისტური არქეოლოგიის სათავეებთან და, რომ მისი დასანანი ნაადრევი გარდაცვალება არა, ქართული არქეოლოგიური მეცნიერება, ალბათ, კიდევ უფრო მძლავრი ნაბიჯებით ივლიდა წინ და ლევან მუსხელიშვილი ისეთსავე ღრმა კვალს დაამჩნევდა ქართულ ისტორიოგრაფიას, როგორც შესძლეს ივ. ჯა-

ვახიშვილის სახელოვანმა მოწაფეებმა ნიკო ბერძენიშვილმა და სიმონ ჯანაშიამ. თუმცა რაც მან მოასწრო 42 წლის ასაკში, ისიც ფასდაუდებელია ჩვენი მეცნიერებისათვის.

შუა საუკუნეთა ხანის არქეოლოგიური ძეგლების კვლევას დიდად შეუწყო ხელი ვეფხისტყაოსნის 750 წლისთავისადმი მზადებამ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სრულიად კანონზომიერი წინადადებით ლევან მუსხელიშვილს დაევალა რუსთაველის ეპოქის საქართველოს უმნიშვნელოვანესი ძეგლების არქეოლოგიური შესწავლა და მის მხარდამხარ, იმ ნივთიერი მასალების გამომზეურება, რომელთაც უნდა შეევსოთ იუბილესთან დაკავშირებით განზრახული საგანგებო გამოფენა.

1936 წელს რუსთაველის ეპოქის მუზეუმის დაარსებისთანავე, მისმა დირექტორმა ივ. ჯავახიშვილმა დაუყოვნებლივ მიიწვია ლევან მუსხელიშვილი და იგი ამ დაწესებულებაში მის გაუქმებამდე მუშაობდა სწავლული მდივნის თანამდებობაზე.

მიუხედავად უაღრესად დიდი დატვირთვისა (იგი იმავდროულად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ხელმძღვანელობდა ისტორიის განყოფილებას) იგი ახალი ძალით და უდიდესი პასუხისმგებლობით შეუდგა მინდობილ საქმეს. შეიძლება ითქვას, რომ ლევან მუსხელიშვილის სამეცნიერო საქმიანობაში 1936-1940 წლები იყო ტიტანური შრომის და უდიდესი მიღწევების ხანა. ქართული მედიევისტური არქეოლოგია ლევან მუსხელიშვილის თაოსნობით და ძალისხმევით, სწორედ ამ წლებში გამოდის ფართო გზაზე. როდესაც თვალს გადავავლებთ მკვლევრის მიერ ამ წლებში გაწეული შრომის მასშტაბებს, შეიძლება დაუჯერებლადაც კი გვეჩვენოს თუ როგორ შესძლო ერთმა ადამიანმა 4 წლის განმავლობაში ამდენი საქმის დაძლევა და თანაც როგორ დონეზე.

1936 წელს მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა ბოლნისის არქეოლოგიური კვლევა. ეს გახლდათ მისი პირველი დამოუკიდებელი საველე სამუშაო, რისთვისაც ასაკით ჯერ კიდევ ახალგაზრდა მკვლევარი ბრწყინვალედ იყო მომზადებული. ევროპული ენების ცოდნის წყალობით იგი კარგად იცნობდა იმდროინდელ ევროპულ ისტორიოგრაფიას, თეორიულ ნაშრომებს არქეოლოგიაში და საქმის კურსში იყო ანტიკურ სამყაროში და მახლობელ აღმოსავლეთში მიმდინარე საველე სამუშაოებისა, ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით ღრმად ჰქონდა შესწავლილი საქართველოს ისტორია და უნაკლოდ ფლობდა საისტორიო წყაროებს, იყო თვალმახვილი და დაკვირვებული პალეოგრაფი და, რაც მთავარია, გააჩნდა სრულიად გამოკვეთილი მიზანი. როგორც პირუთვნელი მეცნიერი და უანგარო საქვეყნო კაცი, იგი მთელი არსებით იდგა ქვეყნის სამსახურში, და თავდაუზოგავად იღწვოდა ქართული არქეოლოგიის და, საერთოდ, ისტორიოგრაფიის კიდევ უფრო მაღალ დონეზე ასაყვანად.

ბოლნისი აკად. ივ. ჯავახიშვილს და კონსულტანტს საველე სამუშაოებში აკად. გ. ჩუბინაშვილს შემთხვევით არ აურჩევიათ. ეს იყო ადრე შუა საუკუნეთა ხანის მნიშვნელოვანი პოლიტიკური და კულტურული ცენტრი ქვემო ქართლის უმნიშვნელოვანესი ქალაქური დასახლება და ადრექრისტიანული კულტურის მძლავრი კერა, რომელიც აღმოცენებული იყო ჩვენში ქრისტიანობის დამკვიდრების ადრეულ საფეხურზე. ბოლნისი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა განვითარებულ შუა საუკუნეებშიც, როგორც ერთ-ერთი მძლავრი ეპარქიის ცენტრი ქვემო ქართლში, ამიტომაც, სრულიად გასაგებია ის დიდი პასუხისმგებლობა, რასაც ლევან მუსხელიშვილი იჩენდა ამ სამუშაოს წამოწყებისას.

როგორც ამ ექსპედიციის თანამშრომელი და მომდევნო ექსპედიციების უცვლელი არქიტექტორი ციალა გაბაშვილი იგონებს, ბუნებით უაღრესად კეთილი და რაფინირებული ინტელიგენტი ლევანი ანუ ლენკო (როგორც მას მაშინ უწოდებდნენ), საველე სამუშაოების დროს ყოფილა არაჩვეულებრივად მომთხოვნი და უკომპრომისო. ამისა-

თვის იგი ყოველთვის იძლეოდა მინდობილი საქმისადმი თავდადების პირად მაგალითს და ველზე მუშაობდა უდიდესი ყურადღებით, სიფრთხილით და მოთმინებით და ამასვე მოითხოვდა ექსპედიციის წევრებისაგან. მიუხედავად ბრწყინვალე მეხსიერებისა, იგი მოითხოვდა საველე მუშაობის ყოველი ნვრილმანის მაშინვე აღნუსხვას და ფიქსირებას. ამის შესანიშნავი ნიმუში მისი საველე დღიურები და ის 150 გვერდიანი საველე ანგარიშია, რომელიც ბოლნისში ჩატარებული სამუშაოების შემდგომ, 1938 წელს ენიმკის მოამბის III ტომში გამოაქვეყნა განსვენებულმა მეცნიერმა და რომელიც გარდა სკრუპულოზური აღნერილობებისა უხვად შეიცავს ჩაღრმავებული კვლევის ელემენტებსაც. ასეთი საველე ანგარიშის შედგენა ხელეწიფებოდა მხოლოდ ღრმა განათლების და ფართო ერუდიციის მქონე მეცნიერს.

ამის ერთ-ერთი მაგალითია ბოლნისში აღმოჩენილი წარწერების შესახებ ველზეევე შესრულებული დაკვირვებები და ამ საისტორიო წყაროს მის მიერ მოცემული ღრმა ანალიზი.

1936 წელსვე, ბოლნისში თვენახევრიანი დაძაბული მუშაობის შემდეგ, იგი საკმაოდ ხალხმრავალი ექსპედიციით დაუყოვნებლივ მიემგზავრება დმანისში, რომელიც რუსთაველის იუბილესათვის განკუთვნილი პროგრამით უნდა შესწავლილიყო. ამ ექსპედიციის საერთო ხელმძღვანელი იყო აკად. ივ. ჯავახიშვილი, კონსულტანტი აკად. გ. ჩუბინაშვილი, ხოლო საველე მუშაობის უშუალო ხელმძღვანელი ლევან მუსხელიშვილი გახლდათ.

დმანისში, ისევე როგორც ბოლნისში, ორი საველე კამპანია ჩატარდა 1936-37 წლებში, საველე მუშაობის ხანგრძლივობა ერთობლივად სამ თვეს არ აღემატებოდა, მაგრამ ამ მოკლე დროში ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი უმდიდრესი და ძლიერი ქალაქის ნანგრევების შესწავლის მიზნით შესრულდა ტიტანური სამუშაო, რამაც უძვირფასესი არქეოლოგიური მასალები შესძინა ჩვენს მეცნიერებას.

როგორც ამ ექსპედიციის წევრი და შემდგომში დმანისის ექსპედიციის უცვლელი ხელმძღვანელი ვახტანგ ჯაფარიძე წერდა: დმანისის ნაქალაქარის გათხრის დაწყება წარმოადგენს ნიშანსვეტს ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიაში. აქედან იწყება ფეოდალური საქართველოს ნაქალაქარების გეგმაზომიერი შესწავლა.

დმანისის ექსპედიციის საველე სამუშაოები დიდი წარმატებით დაგვირგვინდა. როგორც ბატონი ვახტანგ ჯაფარიძე მიუთითებს, ნაქალაქარზე აღმოჩნდა იმ დროისათვის სრულიად უცნობი ძეგლები და მასალები: საეკლესიო და საერო ნაგებობები, ეპიგრაფიკული ძეგლები, მონეტები, თიხის ჭურჭელი, მათ შორის მოჭიქული, ლითონის, მინის, ძვლის, ქვის ნივთები და სხვა. ამასთანავე, ნაქალაქარის და მისი გარეუბნების ტერიტორიაზე დაწვრილებით აღიწერა და აიზომა მრავალი ხუროთმოძღვრული ძეგლი, გაკეთდა ნაქალაქარის ტოპოგეგმა, მაღალ დონეზე იდგა ფოტოფიქსაცია.

ლევან მუსხელიშვილი საველე მუშაობის დროს ყოველთვის ითვალისწინებდა ევროპული არქეოლოგიური სკოლების გამოცდილებას, მაგრამ იმავდროულად იყო მუდმივ ძიებაში და ბევრს ფიქრობდა საველე მუშაობის მეთოდოლოგიის დახვეწაზე. მან ექსპედიციის წევრებს აუცილებელ პირობად დაუსახა მოპოვებული მასალის ყოველდღიური დამუშავება, საქმის გადადება მეორე დღისათვის ან მერმისათვის დაუშვებლად მიაჩნდა. მუშაობის ასეთი სტილი მას საშუალებას აძლევდა საველე ანგარიშები ექსპედიციის პირობებშივე მოემზადებინა. მისთვის მოუთმენელი იყო საქმისადმი ზერელე და უგულო დამოკიდებულება. საველე მუშაობის მეთოდმა კიდევ უფრო დახვეწილი სახე შეიძინა გუდარეხის ექსპედიციის დროს, რომელიც 1938-39 წლებში ჩატარდა ლევან მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით. საქართველოში ეს იყო პირველი ცდა შუა საუკუნეთა ხანის ნაქალაქარის სისტემატური შესწავლისა. მართალია დასკვნითი III კამპანია 1940 წელს

ველარ შედგა და ძეგლი ბოლომდე ველარ გაითხარა, მაგრამ ის, რაც გაკეთდა, ბატონი ვახტანგ ჯაფარიძის სიტყვით, განხორციელებული იყო მკაცრი მეცნიერული მოთხოვნების საფუძველზე. გუდარეხში ძეგლებისა და განათხარი მასალის ფიქსაციის დროს ლევან მუსხელიშვილი იყენებდა ბარათების სისტემას, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ყოველი სამუშაო დღის ბოლოს ხდებოდა მთელი მოპოვებული მასალის და საველე დოკუმენტაციის პირველადი დახარისხება ცალკეულ ბარათებზე ნივთის, ფოტოსურათის, ანაზომთა კროკების, ჩანახატების, ნომრების მითითებით. ყოველივე ეს ნაქალაქარის ცალკეული უბნებიდან თავს იყრიდა განსაკუთრებულ კარტოთეკაში, რომელიც წარმოადგენდა გათხრების დროს მოპოვებული ყოველგვარი ინფორმაციის მონაცემთა გაერთიანებას (ბანკს). მასალების ასეთმა ფიქსაციამ მოხსნა ექსპედიციის ხელმძღვანელის მიერ გაერთიანებული საველე დღიურის წარმოების აუცილებლობა, ამავე დროს მონაცემთა ბანკის არსებობა საშუალებას იძლეოდა განხორციელებულიყო სამუშაოთა მიმდინარეობის ერთიანი კონტროლი და დაუყოვნებლივ, საველე პირობებშივე შედგენილიყო მეცნიერული ანგარიში.

სწორედ ამის წყალობით იყო, რომ 1939 წლისათვის უკვე საველე სამუშაოების დამთავრებისთანავე ბატონ ლევანს მის თანამშრომლებთან შ. ხიდაშელთან და ვ. ჯაფარიძესთან ერთად, გამოსაცემად მომზადებული ჰქონდა გუდარეხის საველე მუშაობის სრული ანგარიში. მისი გამოქვეყნებისაგან იგი თავს იკავებდა მხოლოდ იმის გამო, რომ იმედოვნებდა დასკვნითი III კამპანიის ჩატარებას და უკვე შედგენილი ანგარიშის შევსებას, რაც მას, სამწუხაროდ აღარ დასცალდა. აქვე უნდა აღინიშნოს აწ განსვენებული ბატონ ვახტანგ ჯაფარიძის ღვაწლი, რომლის ძალისხმევითაც 1954 წელს გამოიცა გუდარეხის პირველი და მეორე არქეოლოგიური კამპანიის ანგარიში. ეს ნაშრომი წარმოადგენს მედიევისტურ არქეოლოგიაში (და არა მარტო ამ სფეროში) მომუშავეთა სამაგიდო წიგნს და იმის შესანიშნავ ნიმუშს, თუ როგორ უნდა დგებოდეს საველე მუშაობის ანგარიშები.

რა თქმა უნდა, 1936-37 წლებში, როდესაც რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით ერთიმეორის მიყოლებით და აჩქარებით ითხრებოდა ბოლნისი, დმანისი და გეგუთის ბაგრატიონთა სასახლე, ამ მეთოდის გამოყენება სრული სახით შეუძლებელი იყო, მაგრამ როდესაც ლევან მუსხელიშვილს დინჯი და აუჩქარებელი მუშაობის საშუალება მიეცა, და ეს მოხდა გუდარეხში, საველე მუშაობის ამ მეთოდმა სრულიად ჩამოყალიბებული სახე მიიღო. რაოდენ დასანანია, რომ ლევან მუსხელიშვილის ჯანმრთელობის გაუარესების და ნაადრევი გარდაცვალების შემდეგ საველე მუშაობის აღნიშნული მეთოდი მივიწყებას მიეცა. ღრმად ვარ დარწმუნებული, ეს უნიჭიერესი ადამიანი დიდხანს რომ შერჩენოდა ქართულ არქეოლოგიას, მის მიერ გუდარეხში გამოყენებულ მეთოდს სხვა ექსპედიციებიც გამოიყენებდნენ და იგი ფართოდ დაინერგებოდა საველე პრაქტიკაში. თუმცა არც ახლაა გვიან, თუკი ქართულ არქეოლოგიას კვლავ მიეცემა საველე მუშაობის ძველებური შესაძლებლობა.

ჩემი მოხსენების ბოლო ნაწილში მსურს მოკლედ შევეხო ლევან მუსხელიშვილის საველე მუშაობის კიდევ ერთ სფეროს – არქეოლოგიურ დაზვერვებს.

ყველა ექსპედიციაში, რომელსაც ბატონი ლევან მუსხელიშვილი ხელმძღვანელობდა, რაც არ უნდა დატვირთული ყოფილიყვნენ საველე საქმიანობით, იგი მაინც პოულობდა დროს არქეოლოგიური დაზვერვებისათვის. მისი ხელმძღვანელობით არქეოლოგიური დაზვერვა ხორციელდებოდა წინასწარშერჩეული მარშრუტების მიხედვით. ამ მხრივ მას განსაკუთრებით იზიდავდა ისტორიული სიძველეებით უაღრესად მდიდარი, ძველი ქართული კულტურის ერთ-ერთი თვალსაჩინო კერა – ქვემო ქართლი,

ისტორიული უკულმართობით არაერთხელ აოხრებული მხარე. სადაზვერვო სამუშაოების დროს მისი აუცილებელი თანამგზავრები იყვნენ არქიტექტორი და ფოტოგრაფი. მისი დღიურები საველე დაზვერვებთან დაკავშირებით თავისი სისრულით, ფაქტების აღნუსხვის სიზუსტით და ინფორმაციის სიუხვით, მისაბაძია და იმსახურებს საგანგებო შესწავლას, როგორც ამგვარი საქმიანობის ნიმუში. სადაზვერვო სამუშაოების წარმატებით წარმოებას იგი თავისი მრავალმხრივი განათლების გამო (პალეოგრაფიაში, ხელოვნებათმცოდნეობაში, წყაროთმცოდნეობაში და სხვა) ყოველთვის წარმატებით ანხორციელებდა. ამის შესანიშნავი ნიმუშია 1941 წელს მის მიერ გამოქვეყნებული წიგნი „არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავრის ხეობაში", რომელიც ჩვენის ღრმა რწმენით საქართველოში მომუშავე არქეოლოგისათვის აგრეთვე სამაგიდო წიგნია და იმის კარგი მაგალითია, თუ მინიმალური ხარჯის გაწევით რა ამოურწყველი ინფორმაციის მოპოვება შეიძლება სამარშრუტო ექსკურსიების დროს. ეს განსაკუთრებით აქტუალური ჩანს დღეს, ფინანსური სიდუხჭირის პირობებში, როდესაც სტაციონალური საველე სამუშაოები მინიმუმამდეა დაყვანილი.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ლევან მუსხელიშვილის ღვაწლი სამუზეუმო საქმეში, 1936-37 წლებში მან შეასრულა უზარმაზარი სამუშაო რუსთაველის ეპოქის მუზეუმში, სადაც იგი თავდაუზოგავი შრომით გვერდში ედგა აკად. ივ. ჯავახიშვილს. ამ გამოფენაზე, როგორც საარქივო მასალებიდან და მუზეუმის გზამკვლევიდან ჩანს, უაღრესად შთამბეჭდავი ყოფილა ის სექცია, რომელიც უშუალოდ ბატონი ლევანის ხელმძღვანელობით იყო მოწყობილი და რომელიც ასახავდა რუსთაველის ეპოქის მატერიალურ კულტურას. ეს იმ დროისათვის, ახლად მოპოვებული ნივთიერი მასალის გამოქვეყნების ტოლფასი იყო.

ლევან მუსხელიშვილის სამეცნიერო ნაშრომები და ანგარიშები დაწერილია შესანიშნავი ქართულით, აზრი ყოველთვის გამჭვირვალე და შთამბეჭდავადაა გადმოცემული. ჩანს, იგი უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა თითოეულ ფრაზას და დაუღალავად იღწვოდა ქართული ენის სიწმინდისათვის. დიდია მისი ღვაწლი არქეოლოგიური ტერმინოლოგიის შემუშავების საქმეშიც.

დღეს ჩვენ ღვაწლმოსილი მეცნიერის დაბადებიდან 100 წლისთავზე ერთხელ კიდევ ვიგონებთ ცხოვრებიდან ნაადრევად წასულ მამულიშვილს, სპეტაკ მოქალაქეს, სანიმუშო მეცნიერს და ხელმძღვანელს და რაინდული სულისკვეთების კაცს, რომელიც უზომოდ იყო შეყვარებული თავის ქვეყანაზე და არქეოლოგიაზე.

ნათელში ამყოფოს მისი მეოცნებე და სპეტაკი სული.

დევი ბერძენიშვილი

ლევან მუსხელიშვილის საველე კვლევა-ძიება

საველე კვლევა-ძიება მით უფრო დაზვერვითი ხასიათისა, ბევრადაა დამოკიდებული ადგილობრივ გარემოზე, იქ შექმნილ იმჟამიერ სიტუაციაზე, კვლევის მიზანდასახულობაზე. სხვადასხვა ობიექტურ და სუბიექტურ პირობებზე. თუკი არქეოლოგიური გათხრებისათვის მაინც არსებობს საზოგადოდ აღიარებული პრინციპები და მეთოდები დაზვერვებს ასეთი რამ უფრო ნაკლებად მოსდგამთ. საკუთარი, მხოლოდ მისეული განცდა ახასიათებს დიმ. ბაქრაძისა და ნ. მარის, ექვთ. თაყაიშვილისა თუ ლ. მელიქსეთბეგის, გ. ბოჭორიძის, ნ. ბერძენიშვილის, ლ. მუსხელიშვილის საველე დაკვირვებებს.

თავისი კვლევა-ძიების საწყის პერიოდს რომ იგონებდა, ნ. ბერძენიშვილი წერდა: „იმ დროს ახალგაზრდა ისტორიკოსთა შორის გარკვევით ფეხმოკიდებული იყო კრიტიკული დამოკიდებულება წინა თაობის მიერ გაწეული ამ რიგის სამუშაოთა მიმართ: მეტად ვიწრო გვეჩვენებოდა „ისტორიულ-არქეოლოგიურ მოგზაურობანში" და სხვა ასეთ ნაშრომებში მათ მიერ მომარჯვებული თვალსაწიერი. ვცდილობდით ამ თვალსაწიერის გაფართოებას, ველზე ისტორიის რთული ნაკვალევის აღმოჩენას" (I, V).

ნ. ბერძენიშვილი ასევე იგონებდა 1927 წ., როდესაც ის გ. წერეთელთან, ს. ჯიქიასთან, ლ. მუსხელიშვილთან, ი. ცინცაძესა და გ. გოზალიშვილთან ერთად პირველად გაემგზავრნენ სასწავლო-სამეცნიერო ექსპედიციაში. „ადგილზე ჩვენი სატრანსპორტო საშუალება, – წერს იგი, – ერთადერთი ვირი იყო, რომელსაც ჩვენი ბარგი-ბარხანა ავკიდეთ, თვითონ კი ქვეითად მივდევდით მას. 15 დღეს დავდიოდით, ჯავახეთის მესამედიც კი ვერ მოვიარეთ. ზოგი მონაწილე მოიქანცა და ჩამოგვშორდა, ზოგიც ავად გახდა. მეტად მძიმე პირობები იყო მატერიალურიც და მორალურიც. მიუხედავად ამისა, რა ბევრი რამ შეგვიძინა ჩვენ ამ მოგზაურობამ" (I, 301).

როგორც ვხედავთ, საველე კვლევა-ძიება ლ. მუსხელიშვილს ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დაუწყია. ინიციატივა, მატერიალური სახსრები, რაც მთავარია მუშაობის გეგმა, ექსპედიციის ახალგაზრდა წევრების მიერ ყოფილა შემუშავებული, რომელიც მათ ხელმძღვანელს ივ. ჯავახიშვილს მოუწონებია.

1930 წ. ლ. მუსხელიშვილი პირველად ეზიარა არქეოლოგიურ გათხრებს, რომელიც ნოქალაქევში ტარდებოდა ალფონს მარია შნაიდერის ხელმძღვანელობით. აქვე იყო ლევანის თანაკურსელი გ. გოზალიშვილიც.

მისი მოგონებებიდან ჩანს, რომ ექსპედიცია მთელი დღის ნამუშევარს საღამოობით აჯამებდა და აფასებდა. შნაიდერი დასავლელ მეცნიერთა კვალობაზე, ყველაფერს გარედან შემოტანილად თვლიდა, ახალგაზრდა ქართველები კი ბევრ რამეს ადგილობრივი წარმოებისად მიიჩნევდნენ უცხოელ ტიტულოვან კოლეგასთან კამათში. უკვე იქ გამოჩნდა ლ. მუსხელიშვილის მისწრაფება გასათხრელი ძეგლი შეესწავლა მის ქვეყანასთან კავშირში. ამას მოჰყვა ექსპედიციის მოგზაურობა ცხენებით მახლობელ პუნქტებში. 1931-1933 წწ. განსვენებული მეცნიერი დიდ როლს ანდომებდა აბასთუმანში

ტუბერკულოზის მკურნალობას. ამ თვეებსაც იგი უმთავრესად ოძრხის მიდამოების დაზვერვებს ახმარდა. გასვლები აბასთუმნიდან უწარმოებიათ მეგზურების თანხლებით ცხენებზე ამხედრებულებს, ხშირად ქვეითად. ნასაბაჯვრევის გავლით მათ დაუთვალიერებიათ ოცხისწყლის მარჯვენა შენაკადის – კურცხანის ხეობა. მაშინ უნახავს ლევანს ძველი თაღოვანი ხიდი და წყარო ამ ორი ხევის შესაყარის მარჯვნივ, სადაც მან ძველი სამოსახლო ივარაუდა. ხიდიდან წყაროზე გამოვლილი ბილიკით, მკვლევარი დარეჯანის მონასტერზე ასულა, სადაც უნახავს 6 დარბაზული ეკლესიის ნანგრევი, დიდი სატრაპეზო შენობა და 9 სენაკი ბერებისათვის. ერთ ეკლესიაში ფრესკის ნაკვალევიც ყოფილა შერჩენილი. მონასტერი მას არ დაუთარიღებია, მაგრამ ითვალისწინებდა რა აქედან წაღებულ რელიგიურ წარწერას, გამოქვეყნებულს ექვთ. თაყაიშვილის მიერ, მონასტერს ისიც „დიდი სიძველისად" მიიჩნევდა.

აბასთუმნის სიახლოვის ოცხისწყლის მარჯვნივ ლ. მუსხელიშვილს უნახავს ნატეხი ქვით დულაბზე ნაგები, გვირაბის გამოსავალი თაღის ფორმისა, რომელიც მისი აზრით, თამარის ციხიდან ჩამოდიოდა. ამის შემდეგ, მდინარის აყოლებით ერთნავიანი დარბაზული ეკლესია მდგარა, მთლიანად პერანგშემოძარცვული, ამჟამად უკვალოდ გამქრალი. მის პირდაპირ მარცხენა ნაპირის ბექობზე დარბაზული ეკლესია იყო წმ. გიორგის სახელობისა; იქვე კლდეში შემავალი გვირაბი, ნაგზაური, ნანგრევები, სასაფლაო და სამრეკლოს ნაშთი.

განსვენებულ მეცნიერს უნახავს ე. წ. „თამარის ციხეც". მისი აზრით, ის XV ს-ზე ძველი არ უნდა ყოფილიყო. იგი პატარაა და წვრილი რეზიდენტის საცხოვრებელი ციხედარბაზია, თუმცა არქეოლოგიურმა გათხრამ შესაძლოა ძველი ფენები გამოაჩინოსო.

ადგილზე დათვალიერება-შესწავლის გარდა, მკვლევარი აბასთუმნის მკვიდრთაგან იწერდა ნასოფლარ-ნასახლართა სახელებს მათი მდებარეობის მინიშნებით; ასე შეუკრებია 40-მდე ნასახლარის სახელწოდება, რომლებიც კურცხანის, ოცხისწყლის, ბარათხევის, ორპირ-დიდმაღალის ხევებში ყოფილა გაფანტული. მასვე 1925-26 წწ. აბასთუმნის საკურორტო რუკების გეგმაზე დაუზუსტებია ამ პუნქტების ადგილმდებარეობა. აქ საინტერესოა რუკებისთვის უცნობი სახელწოდებანი: ყანობირის ხევი, საჯოლია, კალოუბანი და სხვა. ზანტაური ჰრქმევია ფერსათის მთის ნაწილს კურცხანის მარჯვნივ. აქვეა დასახელებული აღობილის მინდორი, ქვაჯვარი, ნაქალაქევი, სოჭილარი, არაზინდო, ნასოფლარი ხევი და ა. შ.

დაზვერვის შემდეგ ლ. მუსხელიშვილმა მცირე გათხრების ჩატარება გადაწყვიტა. ნავარაუდევი 7000 მან. ნაცვლად მხოლოდ 2000 უშოვნია და მაშინვე შეუტყობინებია ივ. ჯავახიშვილისათვის. 1933 წ. 6 აგვისტოს იგი წერდა: „ბოდო-კლდის გათხრების დროს მთავარი ყურადღება მინდა მივაქციო „ციკლოპურ" შენობებს, როგორც უფრო ნაკლებად შესწავლილი ნაშთების ტიპს, მაგრამ ერთდროულად მე მინდა ეკლესიის აკლდამა ამოვწმინდო. თუ საფლავები ბლომად აღმოჩნდა, მე მათ ხელს არ ვახლებ. ამას, როგორც თქვენ იწერებით, ხანგრძლივი და გაცილებით უფრო გულდასმით მუშაობა სჭირდება, რის საშუალებაც მე ახლა არ მაქვს. ამჟამად ჩემი მთავარი მიზანია ისევ და ისევ დაზვერვა და შენობების ზუსტი გეგმების აღდგენა... ამ წინაზე აქ გ. ბოჭორიძე იყო და ფოტოგრაფიულად გადაიღო წარწერიანი ქვები, რომლებიც აქაურ ყოფილ ეკლესიაში აწყვია და აქ აბასთუმნის მიდამოებიდან მოუტანიათ. პალეოგრაფიულად ისინი X-XI სს-ებისა უნდა იყოს. არის ორი ბარელიეფიც. ჩემ მიერ გადაღებული წარწერიანი ვერძი გ. ბოჭორიძემ ძლივს გადაარჩინა – თურმე ვარხანელ გლეხებს მაინც დაუდგამთ იგი სოფლის წყაროს თავზე და დიდი ჩხუბის შემდეგ დაუთმიათ. აგვისტოს 15-20-ს მე და

გიორგი ვაპირებთ ერთდღიანი ექსკურსიით სატყეოს დიდი ნაწილის მოვლას ძეგლების რეგისტრაციის მიზნით“ (3, 183).

ჩატარებული გათხრების შესახებ ლ. მუსხელიშვილი იმ აზრისა იყო, რომ მან მხოლოდ შეავსო წინასწარი დაზვერვები და რომ გათხრები ისევ უნდა გაგრძელებულიყო. ივ. ჯავახიშვილს ის სწერდა: „... ქვ. ბოდო-კლდის გასათხრელად საკმაო იქნება 3 კვირაც, მაგრამ ამასთან საჭიროა მთელი რ-ნის შესწავლაც... გზადაგზა ძველი ოძრხიდან ბოდო-კლდემდე (დაახლ. 12 კმ-ია) ბევრი სხვა ნანგრევებიც ვნახე და ისედაც დიდი მასალა შევკრიბე ამ სატყეოს ყველა კუთხისათვის... ამ ადგილებს შორის, რომელიც გზადაგზა დავათვალიერე, არის ერთი (ბოდო-კლდეს დაახლ. 1/2 კმ-ით დაშორებული), რომელსაც ყაინარ-ყური ეწოდება... სწორედ აქედან იყო წამოღებული ის წარწერიანი ვერძი, რომელსაც თქვენ უკვე იცნობთ... ეს ადგილი ბოდო-კლდეზე არანაკლებ საინტერესოა და სიდიდითაც თითქმის არ ჩამოუვარდება. აქაც ეკლესიის გვერდით „ციკლოპური“ ნაგებობა ყოფილა, ეკლესია კი გაცილებით უფრო დიდია ბოდო-კლდისაზე... მაგრამ ამჟამად ისეთ ქაოტურ ნანგრევს წარმოადგენს, რომ მისი ფორმის გარკვევა შეუძლებელი ხდება. აქაც საინტერესო ორნამენტებია და... ერთი ქანდაკება აღმოჩნდა, რომელიც თან წამოვიღე... ამ ქანდაკების სურათსაც გიგზავნით. იგი წარმოადგენს მოწითალო ქვიდან გამოკვეთილ რაღაც ფანტასტიკურ კბილებდაკრეჭილი არსების ზედატანს (... ყურები, ან რქები ჩამოტეხილი აქვს) და რომელსაც თათებში რაღაც რქოსანი პირუტყვი უჭირავს. ქანდაკება 15 ფუთი სიმძიმისა იქნება დაახლ. და როგორც ქვედა პირიდან ჩანს, იგი თაღში ყოფილა ჩასმული“ (3, 183-184).

1933 წ. ოქტომბერში მაშინდელი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ენისა და მატერიალური კულტურის სექტორის სხდომაზე ლ. მუსხელიშვილი მოხსენებით გამოსულა აბასთუმნის მიდამოების დაზვერვებისა და ბოდო-კლდის გათხრების შესახებ. მის არქივში მხოლოდ თეზისებია შემორჩენილი. აქედან ჩანს, რომ ოძრხის შესახებ არსებული ისტორიული ცნობების განხილვის შემდეგ ავტორი ეხებოდა ოძრხის ლოკალიზაციას. აქ მას გადამწყვეტ მნიშვნელობისად მიაჩნდა ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა ცხელი აბანოების შესახებ ოძრხესთან, რომლებიც ავად თუ კარგად დღესაც მოქმედია.

შემდეგ ავტორი ახასიათებდა მის მიერ აღმოჩენილ ძეგლებს, ეხებოდა აბასთუმნის ცნობილ წარწერას, რომელსაც სავარაუდოდ IX-X სს. მიაკუთვნებდა. ცნობა გვარამ მამფლის მიერ ოძრხის ციხის განახლებაზე, ამ წარწერასთან ერთად, ათარიღებს სხვა ძეგლებსაცო, აღნიშნავდა იგი. ავტორი აღწერდა ბოდო-კლდის ციხეს, მის ადგილმდებარეობას, მსჯელობდა სახელწოდებაზე, რომელიც მას აგონებდა ბოდალხევსა და ბოდახევს თიანეთთან. მკვლევარის აზრით, ზემო და ქვემო ბოდო-კლდე ციხიანად, შეიძლებოდა განხილულიყო, როგორც ერთიანი ნაქალაქარი.

განათხარი ნაგებობების აღწერისას, ციკლოპური წყობის შენობათა გამო, აღნიშნავდა, რომ რაკი ამ ტყით მდიდარ მხარეში ქვით უშენებიათ, ე. ი. მოსახლეობაც იქიდან უნდა იყოს მოსული, სადაც ტყე არაა, და ტრადიციული უნდა ყოფილიყო ქვითხუროობა. ასეთებია წალკა და ჯავახეთიო.

მოხსენების ბოლოს განსვენებული მეცნიერი ხაზს უსვამს ოძრხის მნიშვნელობას უძველესი დროიდანვე, მას უკავშირებდა აქ გამავალი გზების როლს; ისტორიული ცხოვრების ყველა ეტაპზე ეს იყო გზა რკინისჯვრით დას. საქართველოში მიმავალი, მეორე კი – დარეჯანის მონასტრის გავლით, კურცხანა-ბოდო-კლდით გოდერძის უღელტეხილზე და შემდეგ აჭარაში. მოხსენების გამო გამართული კამათიდან ავტორს ჩაუწერია ს. კაკაბაძის შენიშვნები, რომლის მიხედვით, 1920-იან წლებში, აბასთუმნის აბანოს მახლობლად აღმოჩენილია სამარხი სასანური მონეტებით, ხოლო დეკანოზ

ზედგენიძის გადმოცემით, წმ. გიორგის ეკლესიის გადმოლმა გზის გაყვანისას, 1900-1905 წწ. აღმოჩენილა სამარხი, სადაც რომაული მონეტები უპოვიათ.

1936 წლიდან ლ. მუსხელიშვილი ხელმძღვანელობდა არქეოლოგიურ გათხრებს ბოლნისში, დმანისში, გეგუთში, გუდარეხში. ყოველ ასეთ ექსპედიციას წინ უსწრებდა სამეცნიერო თემების დამუშავება, საჭირო ლიტერატურის შესწავლა არქეოლოგიის მეთოდიკის დარგში (4, 12). ბოლნისის ექსპედიციის კონსულტანტი გ. ჩუბინაშვილი იყო. გარდა ბოლნისის სიონის გათხრა-გასუფთავებისა, უძველესი წარწერების და სტელების აღმოჩენისა, ექსპედიცია აქაც ფართო დაზვერვით სამუშაოებს ატარებდა ფოლადაურის ხეობაში. ამ ექსპედიციის მონაწილე, მაშინ ახალგაზრდა არქიტექტორი ც. გაბაშვილი იგონებდა: „ლენკო არაჩვეულებრივი მომთხოვნი იყო ყველას მიმართ და უპირველესად თავის თავისადმი. თვითონაც გატაცებით, უდიდესი ყურადღებით, სიფრთხილით და მოთმინებით მუშაობდა და ამასვე ასწავლიდა და მოითხოვდა ყველასაგან... პირველადი დამუშავება ექსპედიციის პირობებში უნდა გაკეთებულიყო. გადადება მეორე დღისათვის, სამერმისოდ არ შეიძლებოდა. ლენკოს პირადმა მაგალითმა და მომთხოვნელობამ თავისი ნაყოფი გამოიღო“ (5, 20).

ბოლნისისადმი მიძღვნილ ნაშრომში, 1938 წ. რომ დაიბეჭდა, კარგად ჩანს განსვენებული მეცნიერის საველე კვლევა-ძიების შედეგებიც. აქვე დაწვრილებითაა განხილული მთელი ხეობის მეურნეობა, ხელოსნობის დარგები, მოსახლეობის შემადგენლობა, მისი დინამიკა. ძეგლის ისტორია შესწავლილია უძველესი დროიდან XVIII ს-მდე. წერილობით წყაროებთან ერთად გამოყენებულია ტოპონიმია, ბოლნისის სიონისა და მისი ახლომდებარე ძეგლების წარწერები, დაკვირვებები მიწისზედა ძეგლებსა და ნასოფლარებზე. სწორედ ამ გათხრების დროს აღმოჩნდა მთავარი წარწერის დიდი ნაწილი, რომელმაც მკვლევარი მიიყვანა დასკვნამდე ეკლესიის აშენების თარიღის შესახებ 478-493 წწ. მიუხედავად იმისა, რომ აქ ბოლნისის სიონი არაა შესწავლილი ხელოვნების ისტორიის თვალსაზრისით, მაინც შესანიშნავია ძეგლის ავტორისეული შეფასება დამყარებული საველე დაკვირვებებზე: „სიდიადე შეერთებული სისადავესთან, ცოტათი მძიმე და მოუხეშავი, მაგრამ მტკიცე, ურყევი ფორმები, თავშეკავებული შემკულობა, ზომიერი, შეიძლება ითქვას ძუნწი ჩუქურთმა, არც ერთი ნაკვთი გასართობად, მხოლოდ თვალის გასახარებლად – აი, რა ახასიათებს ბოლნისის სიონს. თუმცა თავდაპირველი შენობა მერმინდელი არაერთგზისი გადაკეთებით ძლიერაა დამახინჯებული, იგი მაინც წარუხოცელ შთაბეჭდილებას სტოვებს. იშვიათად თუ მოიპოვება ჩვენში ასეთი დუმილით მეტყველი ძეგლი. მხოლოდ ღრმა და წრფელი სულიერი განცდით, სერიოზული, უმანკო, ჯერ კიდევ გულუბრყვილო რწმენით გამსჭვალულ კოლექტივს შეეძლო ასეთი ტაძრის აგება თავისი ღვთაებისათვის და მხილველსაც უნებლიედ იპრობს მიზანმიმსწრაფი, შერწმენილი ნებისყოფის ძალა“ (6, 324). რა ლამაზი აღწერაა! განსვენებული მეცნიერის დაკვირვებით, ბოლნისის უძველესი სამოსახლო ის ნაქალაქარია, რომელიც სიონის ქვემოთ, სოფ. ქაფანაქჩის პირდაპირ მდებარეობს. მიუხედავად ამისა ბოლნისი ყოველთვის წმინდა სასოფლო-სამეურნეო მხარე იყო. შორეული საგარეო ვაჭრობა, ცოტად თუ ბევრად ფართო მასშტაბით, არასოდეს უწარმოებია. ამით ხსნიდა ავტორი ერთი მხრით იმ ფაქტს, რომ ბოლნისი ბოლომდის პროვინციად დარჩა და მეორე მხრით იმასაც, რომ მან XVIII საუკუნის შუა ხანებამდე ყოველ განსაცდელს გაუძლო; საჭირო იყო ათეული წლების განმავლობაში განუწყვეტელი რბევა და აოხრება, რათა ბოლნისის სიმდიდრე საბოლოოდ დაცემულიყო. ასევე საყურადღებოა ლ. მუსხელიშვილის მოსაზრებანი ბოლნისისა და დმანისის ისტორიული ხვედრის შედარებისას. სავაჭრო გზაზე მდებარე და მთლიანად მასზე დამოკიდებული დმანისი სწრაფად გაიზარდა, აყვავდა და

ასევე სწრაფად დაეცა ამ გზის მნიშვნელობისა და მის გაუქმებასთან დაკავშირებით; თანაც იგი დაეცა ისე, რომ მან საუკუნეების განმავლობაში ვეღარ დაიბრუნა თავისი ძველი მნიშვნელობა. ბოლნისმა კი პირიქით – ბოლომდე შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა, როგორც მდიდარმა სასოფლო-სამეურნეო რაიონმა. სწორედ ის გარემოება, რომ მხოლოდ დიდმა აოხრებამ აიძულა ბოლნისის მოსახლეობა XVIII ს-ის II ნახევარში აყრილიყო და ადგილი დაეთმო ახალმოსულთათვის, გვაფიქრებინებს, რომ პირველი შენაცვლებაც ბოლნისის მოსახლეობისა ამავე მიზეზით იყო გამოწვეული; იგულისხმება თემურ ლენგის შემოსევები (6, 374-375).

ექსპედიციის ხელმძღვანელის ეს დასკვნები რომ ოდენ კაბინეტში კი არა, არამედ საველე დაკვირვებებითაა შემუშავებული, ჩანს ქ-ნ ც. გაბაშვილის მოგონებებიდანაც; ის წერს: „არ შემიძლია დავივიწყო 1936 წ. 26 აგვისტოს ბოლნისიდან დმანისში გადასვლა ფეხით. წინ მიმავალ პატარა მოჭრიალე ურემს მივდევდით და გზა და გზა ტყეში გაფანტულ ნასოფლარებს... ტაძრებისა და მცირე ეკლესიების ნანგრევებს ვაწყდებოდით. კარგა ხანს შევჩერდით მზით გაკაშკაშებულ კაზრეთის თეთრ ტაძართან, რომლის კარ-სარკმელთა მოჩუქურთმებულ ჩარჩოებს ხის ფოთოლთა ჩრდილები დასთამაშებდა. ლენკო გულისტკივილით გვიამბობდა ისტორიული ქარცეცხლის შედეგად გაუკაცრიელებულ, ოდესღაც მჭიდროდ დასახლებულ საქართველოს ამ კუთხის შესახებ...“ (5,23). იმავე თვეში გ. ჩუბინაშვილისა და ირ. სონღულაშვილის თანხლებით ექსპედიციას მოუნახულებია ჰუჯაბის მონასტერი.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი შედეგებით აღინიშნა არქეოლოგიური გათხრები დმანისის ნაქალაქარზე. აქაც, მიუხედავად ინტენსიური გათხრებისა, ერთ ხანს 10-საათიანი სამუშაო დღით, კვირა დღეებიც შემოგარენის დაზვერვებს ეთმობოდა. დადიოდნენ ერთად, ან ჯგუფ-ჯგუფად; ეცნობოდნენ ახალ ძეგლებს, აღწერდნენ, ზომავდნენ. თუ რომელიმე საინტერესო ძეგლს ხელმძღვანელი მარტო ნახავდა. ის უსათუოდ ექსპედიციის წევრებსაც უნდა მოენახულებინათ (5, 22). დაზვერვები და კვლევა-ძიება ნაქალაქარის გარეთ იმდენად აუცილებელი ყოფილა, რომ ლ. მუსხელიშვილი ივ. ჯავახიშვილსაც წერილით სთხოვდა: „თუ ჰფიქრობთ გვეწვიოთ, ჩემი თხოვნაა კვირა დღეს ნუ ამოხვალთ, ვინაიდან მიდამოებში დასათვალიერებელი ბევრია და თავისუფალი მხოლოდ ეგ ერთი დღე გვაქვს“ (7, 165).

დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის დროს ჩატარებული საველე კვლევა-ძიებით მოპოვებული მასალა გამოქვეყნდა 1941 წ. ცალკე წიგნად. აქ პირველად გამომზეურდა მანამდე უცნობი, ხუროთმოძღვრული, თუ ეპიგრაფიკული ძეგლები. აქვე დაისვა და გადაიჭრა საინტერესო საკითხები მაშავრის ხეობის ისტორიიდან. ჰამამლუს მანამდე უცნობ წარწერებთან დაკავშირებით, ავტორმა ჩაატარა კვლევა თორელთა გენეალოგიის გამოსარკვევად. იგი მივიდა დასკვნამდე, რომ თორელნი სამძივართაგან წარმომავლობენ, XII ს-დან განაგებენ ჯავახეთსა და მის მიმდგომ მხარეებს, ხოლო ჰამამლუს ტაძარი აგებულია კახა სამძივრის მიერ 1190-91 წწ. (8, 58).

განსვენებულმა მეცნიერმა ბევრი იქაური ძეგლი ხელოვნების თვალსაზრისითაც შეისწავლა. ამასთან დაკავშირებით ვ. ბერიძე აღნიშნავდა: „ლ. მუსხელიშვილი ერთი იმ იშვიათ ისტორიკოსთაგანი იყო, რომელიც ძეგლებს განიხილავენ არა მარტო როგორც „საისტორიო მასალას“, არამედ მათი მხატვრული თავისებურებებისა და ავკარგიანობის დანახვაც შეუძლიათ. ამიტომ არის, რომ მის მიერ მოწოდებული მასალა ყოველთვის ამდიდრებს ჩვენი ეროვნული ხელოვნების ისტორიის ფონდსაც. ამ წიგნში მან გაგვაცნო რამდენიმე მანამდის შეუსწავლელი (და უცნობიც!) ძეგლი და მოგვცა მათი დახასიათებაც. ეს ძეგლებია უკანგორის ეკლესიები, რომლებიც მან ადრეულ შუა საუკუნეებს

მიაკუთვნა, აბულბუგის, კიანეთის, ბოსლების სამების ეკლესიები და სხვა. ეს უკანასკნელი მან თვით ძეგლის არქიტექტურისა და მორთულობის მიხედვით, სამართლიანად დაათარიღა XIII ს-ის I ნახევრით" (9, 16).

ამ წიგნის მოგვიანებით გამოცემას ავტორი ხსნიდა სურვილით – ინტენსიური კვლევით უფრო გაემდიდრებინა ის. წინასიტყვაში ნათლად ჩანს ლ. მუსხელიშვილის საბოლოოდ ჩამოყალიბებული შეხედულება დაზვერვით კვლევა-ძიებებზე: „პირადად ჩემთვისაც, – წერს იგი, – გაცილებით უფრო სასურველი იქნებოდა ამ მასალების გამოქვეყნება მათი სათანადო შევსების შემდეგ, მაგრამ ერთია სურვილი და მეორე – შესაძლებლობა მისი ასრულებისა. რადგან ადვილი მოსალოდნელია, რომ სხვა სამუშაოთა გამო ბოლნის-დმანისში კარგა ხანს აღარ მომიხდება ყოფნა ისე ხანგრძლივად, რომ საშუალება მქონდეს აღნიშნული ნაკლი შევავსო, ხოლო უკვე ისიც, რაც ჩვენი ექსკურსიების მიერ არის დაგროვილი, ჩემის აზრით, ყურადღების ღირსია და მრავალ ახალ მითითებას შეიცავს, გადავწყვიტე ამ მასალის წარმოდგენა მკითხველის წინაშე იმ სახით, როგორიც მას ამჟამად აქვს. თანაც ერთი ღირსება რაიონის შესასწავლად ექსტენსიურად წარმოებული ექსკურსიებისა არ შეიძლება უარვყოთ, სახელდობრ ის, რომ ამით სწრაფად იზრდება ჩვენი თვალსაწიერი და ზოგადი მიმოხილვის საშუალება" (8, 7).

დაზვერვითი კვლევა გრძელდებოდა გუდარეხის არქეოლოგიური გათხრების დროსაც. 1938 წ. აგვისტოში ივ. ჯავახიშვილისადმი გუდარეხიდან გაგზავნილ წერილში ლ. მუსხელიშვილი მას აცნობებდა ჩხიკვთასთან აღმოჩენილი ქვის შესახებ. ავტორის აღწერით, მასზე თამარის ნიშანი იყო გამოსახული. ანალოგიური იმისა, რომელიც წალკიდან საქ. მუზეუმში ჩამოტანილ ქვას ჰქონდა; ასევე ატყობინებდა ადრესატს ექსპედიციის მიერ პირღებულის მონასტრის მონახულების შესახებ. ც. გაბაშვილის მოგონებებში ვკითხულობთ: „არ დამავიწყდება სამშვილდიდან პირღებულში წასვლა ზაფხულის ერთ ცხელ დღეს. ვიდრე გვიან საღამოს უკან არ დავბრუნდით, წყალი არ გვინახავს, ყველა წყარო დამშრალიყო. ლენკო ვერ ფარავდა აღტაცებას... პატივისცემას ბ-ნ ექვთიმე თაყაიშვილისადმი, რომელმაც ჩვენზე ბევრად ადრე შესძლო თავისი ავადმყოფი ფეხით ამ ქარაფების დაძლევა" (5, 23).

საველე კვლევა-ძიებასთანაა დაკავშირებული განსვენებული მეცნიერის უკანასკნელი ნაშრომები სამშვილდის სიონისა და სვეტიცხოვლის უძველეს წარწერებს რომ ეხება. საერთოდ ბოლო წლებში მკვლევარი ეპიგრაფიკით იყო გატაცებული. ივ. ჯავახიშვილთან მიწერ-მოწერა ამჟღავნებს, რომ მას სურდა, როგორც თვითონ ამბობდა „როგორმე შეეზღუდა სამოქმედო ასპარეზი, რომ რაიმე ღირებული გაეკეთებინა". ამიტომ გადაუწყვეტია ქართული წარწერების კრებულის გამოცემა, სადაც შევიდოდა მთელი მასალა ადგილებზე ხელახლა შემოწმებული; წარწერათმცოდნეობის თვალსაზრისით მოპოვებული შედეგი გამოცემას უნდა დართვოდა; ამას კი უნდა მოჰყოლოდა თითოეული ძეგლის შესწავლა არა მარტო პალეოგრაფიკულად არამედ მთლიანი კომპლექსის სახით, მისი შინაარსის თვალსაზრისით, სხვა მასთან დაკავშირებულ ძეგლებთან ერთად (7, 176). ყველაფერი ეს ისევ საველე დაკვირვებებს უნდა დამყარებოდა.

მე მქონდა შემთხვევა 1962-63 წწ. შევხვედროდი და მესაუბრა გლეხებთან, რომელთაც ლ. მუსხელიშვილთან უმუშავიათ. ბოლნისელი მოხუცი თათარი, გათხრების დროს ტაძრის ყარაულობა რომ ევალებოდა, გაოცებული მიყვებოდა რა დიდ სიხარულს შეუპყრია ექსპედიციის ხელმძღვანელი სააღმშენებლო წარწერის აღმოჩენისას. ასი მანეთი მაჩუქაო – ამაყობდა ის. დმანისელი ალ. მაღრაძე დაზვერვების დროს ექსპედიციის გამყოლი ყოფილა. „ერთი გენახა, რას დავდიოდით დილიდან დაღამებამდე და მაინც

ყველაზე მხიარული „ლიონკა“ იყოო“. ვისაც საველე ძიების აზარტი განუცდია, მისთვის მახლობელია ლ. მუსხელიშვილისეული საქმით გატაცება და თავდავიწყება. საქართველოს ისტორიული გეოგრაფია მას სპეციალურად არ უკვლევია, მაგრამ მისი საველე დაზვერვებიდან ბევრი რამ ჩვენთვის მისაბაძი გახდა. ამიტომ მოგვიანებით, საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიაზე ფიქრისას, ნ. ბერძენიშვილი წერდა: „ჩვენი დროის მუშაკთაგან საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ნიჭიერი მკვლევრის ლ. მუსხელიშვილის დამსახურება ამ მიმართულებით. მან წარმატებით გადალახა ჩვენში ტრადიციულად შემუშავებული ისტორიულ-არქეოლოგიური კვლევის მეთოდი და მაღალმეცნიერულ დონეზე შესრულებული არაერთი ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევით გაამდიდრა ქართული ისტორიოგრაფია“ (1, 351).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები I, თბ., 1964.
2. გ. გოზალიშვილი. მცირე მოგონება ლ. მუსხელიშვილზე, „ფეოდალური საქართველოს არქიტექტურული ძეგლები“ IV, თბ., 1982.
3. ნ. ჯავახიშვილი. ივ. ჯავახიშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობიდან, ივ. ჯავახიშვილისა და ლ. მუსხელიშვილის მიმოწერა, „მნათობი“ 7, 1975.
4. ნ. ჯავახიშვილი. ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს მუზეუმი. „მრავალთავი“ V, თბ., 1975.
5. ც. გაბაშვილი. მოგონება, „ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები“ IV, თბ., 1982.
6. ლ. მუსხელიშვილი. ბოლნისი, „ენიმკის მოამბე“ III, თბ., 1938.
7. ნ. ჯავახიშვილი. ივ. ჯავახიშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობიდან, „მნათობი“ 9, თბ., 1975.
8. ლ. მუსხელიშვილი. არქეოლოგიური ექსკურსიები, თბ., 1941.
9. ვ. ბერიძე. ლ. მუსხელიშვილის წვლილი ძველი ქართული ხუროთმოძღვრების შესწავლის საქმეში, „ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები“ IV, თბ., 1982.

დერმიშა გოგოლაძე

ქართველი გლეხობის საკითხი ლევან მუსხელიშვილის შრომებში

ლევან მუსხელიშვილი სახელოვან ქართველ ისტორიკოსთა რიცხვს განეკუთვნება, რომელიც ჩვენი საუკუნის მეორე მეოთხედში მოღვაწეობდა. იგი მრავალმხრივი ისტორიკოსი იყო და, მიუხედავად ისტორიკოსისათვის მეტად ხანმოკლე სიცოცხლისა, მან მნიშვნელოვანი მეცნიერული მემკვიდრეობა დატოვა, რომელსაც დღესაც ოდნავადაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

მის მრავალმხრივ მეცნიერულ მემკვიდრეობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნება ფეოდალური საზოგადოების ძირითადი მწარმოებელი კლასის – გლეხობის საკითხის შესწავლას. 20-იან წლებში, ჩანს, ფეოდალური საქართველოს უშუალო მწარმოებლის – გლეხთა კლასის ისტორიის შესწავლა ქართულ ისტორიოგრაფიაში პროფესიულ დონეზე არ იდგა. ა. ხახანაშვილის, ს. ავალიანის, ს. კაკაბაძისა და ზოგიერთი სხვა მკვლევრის ნაშრომები ამ მხრივ სრულიადაც არ იყო საკმარისი. რაც მთავარია, არ გვქონდა გლეხთა კლასის გაბმული მეცნიერული ისტორია (დასანანია, რომ ასეთი ისტორია დღესაც არა გვაქვს გამოქვეყნებული).

ჩანს, ასეთი ვითარება იყო იმის მიზეზი, რომ 1928 წელს აკად. ივანე ჯავახიშვილმა სრულიად ახალგაზრდას, ასპირანტს, ლევან მუსხელიშვილს დაავალა შეესწავლა საქართველოს ეკონომიკური ისტორია. ეს საქმე ლევან მუსხელიშვილმა დაიწყო დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური ისტორიით, უპირველეს ყოვლისა, ფეოდალური ქვეყნის ეკონომიკის შემქმნელის, უშუალო მწარმოებლის კლასის შესწავლით.

გლეხთა კლასის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლას ლევან მუსხელიშვილმა საკმაოდ ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა, რომლის სახელწოდებაა „დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიები XVI-XVII საუკუნეებში“ (ენიმკის მოამბე, V-VI, თბ., 1940 წ.). თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ, თუმცა, ავტორი ნაშრომის სათაურშივე გვამცნობს, რომ ეს არის „მასალები სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის“ და შესავალ ნაწილში აცხადებს: „ავტორი იმედოვნებს, რომ ეს ნაშრომი, როგორც მასალა, თავის დანიშნულებას შეასრულებს, მეტის პრეტენზია მას არა აქვს“, მაგრამ ეს არის მეცნიერის მოკრძალებითი ტაქტი, რადგან სინამდვილეში ნაშრომში მოცემულია არა მარტო მდიდარი მასალა გლეხთა კლასის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესასწავლად გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში, არამედ დამუშავებული და გაანალიზებულია იგი და მოცემულია მთელი რიგი საყურადღებო დასკვნები.

აღსანიშნავია, რომ ეს ნაშრომი იყო ლ. მუსხელიშვილის პირველი მეცნიერული გამოკვლევა. ნაშრომი ივ. ჯავახიშვილს „ძალიან მოსწონებია“, როგორც იგი ავტორისადმი გაგზავნილ წერილში წერს, და იქვე დასძენს: „სადისერტაციო ნაშრომადაც კი გამოდგება“.

ნაშრომში შესწავლილია დასავლეთ საქართველოს, სახელდობრ, იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის გლეხობის სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიები და ექსპლუატაციის ფორმები ანუ ფეოდალური რენტის სახეები. უმთავრესად დაწვრილებითაა შესწავლილი საეკლესიო გლეხები, რადგან ავტორის მიერ შესწავლილი საბუთების დიდი უმრავლესობა საეკლესიო იყო, მაგრამ როგორც ამას ავტორი მართებულად აცხადებს, საერო, ანუ სახელმწიფო და კერძო-საბატონო გლეხობაც, ძირითადად, ისეთივე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით ხასიათდებოდა და ისეთივე სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიებისაგან შედგებოდა, როგორც საეკლესიო გლეხები. ამასთან, ავტორი სავსებით სწორად აღნიშნავს, რომ გლეხობა ერთგვაროვან წოდებას არ წარმოადგენდა, იგი სხვადასხვა კატეგორიებისაგან შედგებოდა, რომელთა შორის სოციალურ-ეკონომიკური განსხვავებანი არსებობდა.

ლ. მუსხელიშვილმა სწორად არ მიიჩნია ა. ხახანაშვილის და ს. კაკაბაძის სქემები საქართველოს გლეხობის სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიებად დაყოფისა და თავისი მოსაზრება წარმოადგინა. სახელდობრ, ავტორმა არ მიიღო დასავლეთ საქართველოს გლეხობის დაყოფა 4 ფენად: აზატნი, მსახურნი, გლეხნი და მოჯალაბენი. დაუკვირდა რა ვრცელ მასალას და არქანჯელო ლამბერტის დაკვირვებებს სამეგრელოს მოსახლეობის სოციალურ შემადგენლობაზე, მან უფრო სწორად მიიჩნია გლეხობის სოციალურად დაყოფა ორ ძირითად ნაწილად – მსახურებად და არამსახურ მებეგრე გლეხებად (მოინალეებად). ლ. მუსხელიშვილმა სავსებით სწორად შეამჩნია, რომ XVI-XVII საუკუნეების მთელ რიგ წყაროებში და დოკუმენტებში, სადაც ქართული საზოგადოების დაყოფისას მსახური არაა მოხსენიებული, – იგი გლეხებში იგულისხმება. მაგალითად, 1543-49 წლების „სამართალი კათალიკოზთა და კრებისა მიერ“ საზოგადოებას ჰყოფს თავადებად, აზნაურებად და გლეხებად. მსახურნი აქ მოხსენიებულნი არ არიან, მაგრამ ისინი, რომელნიც რიცხობრივად აზნაურებზე მეტი იყვნენ, გლეხებში იგულისხმებიან. ასევეა XVI საუკუნის „საკათალიკოზო დავთარში“, რითაც „ხოირის საკათალიკოზო ყმები XVI საუკუნეში მსახურნი არიან, ჰმართებს საკლავი, პურის ჭამა, ლაშქრობა და სამსახური“, ე. ი. მსახურის ტიპიური საბატონო ვალდებულებანი. „მაგრამ ნუსხა მათ გლეხებს უწოდებს“, სახელდობრ, „არის ხოირს საკათალიკოზო გლეხნი 28 კვამლი“ (ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, ენიმკის მოამბე, V-VI, თბ., 1940 წ., გვ. 271).

რიგ წყაროებში კი, ქართული საზოგადოების სოციალური დაყოფისას, მსახურნი და გლეხნი ცალ-ცალკე არიან დასახელებულნი: თავადნი, აზნაურნი, მსახურნი, გლეხნი, მაგრამ მსახურნი იგივე გლეხთა წოდებაში შედიან. გლეხთა წოდება ორი ძირითადი სოციალური კატეგორიისაგან შედგებოდა: მსახურებისაგან და არამსახური მებეგრე გლეხებისაგან, ისე როგორც ფეოდალთა კლასი, წოდება, წყაროებში დაყოფილია თავადებად და აზნაურებად, მაგრამ ისინი ფეოდალთა წოდების ორი შემადგენელი სოციალური კატეგორიაა.

დაბოლოს, გლეხთა წოდების სოციალურ-უფლებრივი შემადგენლობის საკითხთან დაკავშირებით დასავლეთ საქართველოში, სათანადო დოკუმენტების მოყვანით, ლ. მუსხელიშვილმა კვლავ გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ იმ წყაროებში, სადაც სოციალურ წოდებათა და კატეგორიათა ჩამოთვლისას მსახური არაა ნახსენები, იგი გლეხში იგულისხმება, ხოლო სადაც ორივეა („მსახური“ და „გლეხი“) მოხსენიებული, „მსახური“ იქ აღნიშნავს მაღალი ღირსების კატეგორიის გლეხს, ხოლო „გლეხი“ – დაბალი ღირსებისას. მისი დასკვნით, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ყველგან გლეხობა შედგებოდა ორი სოციალურ-უფლებრივი კატეგორიისაგან: მსახურებისაგან და მებეგრე გლეხებისაგან.

დასავლეთ საქართველოს დოკუმენტური მასალის საფუძველზე ლ. მუსხელიშვილი აკეთებს ზოგად სქემას გლეხობის საბატონო ვალდებულებათა ძირითადი სახეების ანუ ფეოდალური რენტის ფორმების შესახებაც. მკვლევარმა, ცხადია, იცოდა, რომ საბატონო ფეოდალური ვალდებულებანი სამი სახის იყო: შრომითი, პროდუქტადი და ფულადი. მაგრამ, მან დასავლეთ საქართველოს გლეხობის საბატონო ვალდებულებათა სქემა ააგო XVI-XVII საუკუნეების თვით დოკუმენტური მონაცემების საფუძველზე და საკუთარი შეხედულება მოგვცა.

ლ. მუსხელიშვილის მიხედვით, დასავლეთ საქართველოს გლეხობის საბატონო ვალდებულებანი ორი სახისა იყო: 1. ბეგარა და 2. სამსახური. ბეგარა, მისი აზრით, ეწოდებოდა ყოველგვარ გადასახადს, „რომელიც მიწას ედო და მიწისჭერასთან იყო დაკავშირებული". ეს გადასახადები სხვადასხვა ხასიათისა იყო, მაგრამ ზოგადად ყველას „ბეგარა" ეწოდებოდა. ბეგარა თავის მხრივ შედგებოდა ორი ძირითადი ნაწილისაგან: თავი – ბეგარისგან („მთავნი ბეგარა") ან მთავარი ბეგარისგან, რომელიც გლეხის ძირითადი გამოსაღები იყო (ღალა – პური, ღომი, ღვინო, პირუტყვი (საკლავი), ფრინველი) და ე. წ. სადილ-გოჭკუმურისგან, რომელშიც შედიოდა პურის ჭამა (სამასპინძლო) და ძღვენი (საპურობო, საბატკობო, სამაჭრობო, საყველიერო, სამეჯინობო და სხვ.).

სადილ-გოჭკუმურს უმთავრესად მსახური გლეხები, მეხადილენი იხდიდნენ. მკვლევარმა სწორად აღნიშნა, მეხადილეთა (ანუ მსახურთა) „წარჩინებულობა დანარჩენ მებეგრეებთან შედარებით" (გვ. 276), რომ დოკუმენტებში ხაზგასმულია „სხვაობა მეხადილეთა და მებეგრეთა შორის" (იქვე, გვ. 275). მაგრამ აქ ჩვენ განსაკუთრებული მნიშვნელობის მიგვაჩნია მისი დაკვირვება იმის შესახებ, რომ მართალია, წყაროებში „გახაზულია სხვაობა მეხადილეთა და მებეგრეთა შორის", მაგრამ „სადილი ან საპურობო, იგივე პურის ჭამა, ბეგარა იყო ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით" (იქვე, გვ. 275). ე. ი. ჩვენი აზრით, ლ. მუსხელიშვილის სავსებით სწორი დაკვირვებით, მსახურ ყმა გლეხთა საბატონო ვალდებულება-გადასახადი – ხადილი ანუ სამასპინძლო („პურის ჭამა") იგივე ბეგარა იყო.

მკვლევარი-მეცნიერი პროდუქტადი ბეგარის დახასიათების შემდეგ განიხილავს ფეოდალური რენტის ანუ საბატონო ვალდებულების მეორე ფორმას – ყმა-გლეხთა შრომით-სამსახურებრივ ვალდებულებას, რომელიც მისი აზრით, წყაროებში იშვიათად, მაგრამ მაინც, მოცემულია ტერმინ „სამსახურის" სახელწოდებით. დასავლეთ საქართველოში წყაროების მიხედვით, მისი აზრით, გლეხობის საბატონო „სამსახურის" სამგვარი ვალდებულება არსებობდა: მუშაობა ანუ შრომითი საბატონო რენტა, საკუთრივ სამსახური და ლაშქრობა (ლაშქარ-ნადირობა).

აქედან საპატიო და მნიშვნელოვანი სამსახური იყო ლაშქრობა (ლაშქარ-ნადირობა), რომელიც აზნაურსაც ევალებოდა (ლამბერტის ცნობით, ლაშქრობა ხდებოდა ცხენითაც და ფეხითაც). ამ საპატიო სამსახურს, როგორც ცნობილია, მსახური ყმა-გლეხები ასრულებდნენ.

„საკუთრივ სამსახური" ეს იყო არსებითად მებატონე-ფეოდალის კარზე. იგი იყო როგორც საპატიო, ისე სათაკილოც. საპატიო სამსახური იყო: „მოურავობა", „ჭელოსნობა", სახლთუხუცესობა, მოლარეობა. სათაკილო ანუ დაბალი ღირსების სამსახური იყო: „მოინალობა", „მზარეულობა", „სასახლის სამსახური", ყველაზე დამამცირებელი კი „ტვირთის ზიდვა" („ბარგის ზიდვა").

„მუშაობა" – ეს შრომითი საბატონო ბეგარა (რენტა) იყო, რომელიც ორ ძირითად სახედ იყოფოდა: „ნიადაგ მუშაობად" და ნადობად. „ნიადაგ მუშაობა" – ყმა-გლეხის სისტემატური შრომა იყო კვირაში განსაზღვრული დღეების რაოდენობით – საბატონო

ყანებში, ზვრებში, საყდრის და სასახლის მშენებლობაზე, შეშის დამზადება-ზიდვაზე და სხვ.

ნადობა – სეზონური იყო, გაზაფხულს – ხვნა-თესვის დროს, ზაფხულს – თიბვა-მკის, შემოდგომაზე – ყურძნისა და ხილის კრეფისას. „ნიადაგ მუშაობაზე", როგორც წესი გლეხის კომლიდან ერთი კაცი გადიოდა სამუშაოდ, ხოლო ნადობის დროს – გლეხის მთელი ოჯახი, კომლი.

მკვლევარის აზრით, ტერმინი „სამსახური" დასავლეთ საქართველოს რიგ საბუთებში ზოგჯერ პირდაპირ „მუშაობის" მნიშვნელობას, ანუ შრომით ბეგარას გამოხატავდა. მაგალითად, „სამსახური ოჩისა" (საქუთათლოს დავთარი) ანუ „სამსახური ყანისა" („ოჩე" მეგრულად ყანაა), რაც „ყანის მუშაობას" ნიშნავს.

გაეცნო რა მწარმოებელ კლასზე დიდძალ მასალას, უმთავრესად დოკუმენტაციას, ლ. მუსხელიშვილმა სავსებით სწორად აღნიშნა, რომ დასავლეთ საქართველოს საბუთების ტერმინოლოგია გლეხობის სოციალური მხარისა და მის ვალდებულებათა შესახებ, იმდენად ნებისმიერი, აურაცხელი და ნარევი ტიპის ნორმებითაა წარმოდგენილი, რომ მისი ანალიზისთვის ძალიან გულდასმითი და ყოველმხრივი შესწავლა არის საჭირო.

დასავლეთ საქართველოს გლეხობის ორი ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიისა და ფეოდალური რენტის ძირითადი სახეების გარკვევის შემდეგ, ლ. მუსხელიშვილი XVI-XVII საუკუნეების დოკუმენტაციის ბაზაზე ქმნის უაღრესად მდიდარ და დამაჯერებელ სამეცნიერო ლაბორატორიას, სადაც გლეხობის ბეგარა-ვალდებულებათა სახეებისა და სიდიდესთან ერთად კიდევ უფრო ნათლად გამოისახა, ასევე, გლეხობის სოციალურ-უფლებრივი კატეგორიები და მათი სტატუსი. აქ ჩატარებულია ისტორიკოსის ისეთი შესაშური სკრუპულოზური მუშაობა, რომლის მსგავსი მანამდე არავის ჩაუტარებია ამ საქმეში. საბეგრო ნუსხები და მისი მონაცემები, უმთავრესად, საეკლესიო გლეხებისა, აქ დაჯამებულია XVI და XVII საუკუნეების მიხედვით, ცალ-ცალკე. აქ ჩვენ მხოლოდ ძირითად ხაზებში აღვნიშნავთ მის მნიშვნელობას.

უპირველეს ყოვლისა, მიუხედავად იმისა, რომ გლეხობა საერთოდ, მრავალ სოციალურ-უფლებრივ კატეგორიად იყოფოდა: მკვიდრი, „გარეთ მოსული" – ხიზანი, ნასყიდი, შეწირული, თავდაწერილი, თავნასყიდი, ნაწყალობევი და სხვ., ხოლო კუთვნილების მიხედვით სამ უწყებრივ კატეგორიად: სამეფო-სახელმწიფო, საბატონო და საეკლესიო უწყებად, ლ. მუსხელიშვილის მიერ თავის ნაშრომში კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა, რომ სამივე უწყების გლეხობა მაინც ორ ძირითად სოციალურ-ეკონომიკურ კატეგორიად იყოფოდა: მსახურებად და არამსახურ მებეგრე გლეხებად.

მეორე კი ის უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ საქართველოს გლეხთა დოკუმენტაციის დაჯგუფება-დაჯამების შედეგად ნაშრომში ნათლად ჩანს მათი ბეგარა-ვალდებულებანი XVI-XVII საუკუნეებში და, ასევე, ამის საფუძველზე მკვლევარს შეუძლია გაიაზროს თუ როგორი უნდა ყოფილიყო გლეხობის ბეგარა-ვალდებულებანი მანამდეც, წინა საუკუნეებშიც.

მესამე, კარგად ჩანს XVI-XVII სს-ის მსახურთა ფენის სოციალური სტატუსი და დაწვრილებით მათი ვალდებულებანი, მათ შორის, იმ მსახურ-მოლაშქრეებისაც, რომელთა გარშემო ბოლო დროს დიდი დავა გაიმართა ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ნაშრომში მოცემული XVI საუკუნის იმერეთის, სამეგრელოს და გურიის რიგი სოფლების – ნაჟანეულის, ხოირის, ოცხანის, გელათის, მაღლაკის, ბაშის, როკითის, შუბანის, ფერსათის (და სხვა სოფლების) საბეგრო ნუსხების უაღრესად მდიდარი მონაცემებით, მსახურები, საერთოდ, და, მათ შორის, მსახურ-მოლაშქრენიც – სოციალურად ყმა-გლეხებია, ისინი ცალკე სოციალურ წოდებას არ წარმოადგენდნენ.

მეოთხე მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც კარგად ჩანს, ეს ის არის, რომ მსახურ-მოლაშქრე გლეხთა კატეგორია დაბეგრილია, რაც ადასტურებს გლეხობის საერთო დამახასიათებელ ნიშანს – მებეგრეობას. მოლაშქრე-მსახური ისეთი გლეხია, რომელსაც თავი ბეგარა არ ადევს, მაგრამ სხვა გამოსაღები და ვალდებულება მაინც ადევს, მართალია, შედარებით მსუბუქი, მაგრამ მაინც დაბეგრილია, რადგან მძიმედ თუ მსუბუქად დაბეგრილი, ორივე შემთხვევაში ბეგარაა. მსახურს ევალებოდა: 1. სამასპინძლო (ხადილი იმერეთ-გურიაში); 2. სამეჯინობო; 3. ლაშქრობა; 4. სამსახური. ამასთან, როგორც მკვლევარი სამართლიანად აღნიშნავს, სადილი-სამასპინძლო – მძიმე გადასახადი იყო.

რაც მთავარია, ნაშრომში გარკვეულია, რომ XVI-XVII საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში მსახურთა უმეტესობა დაბეგრილია დაახლოებით ისე, როგორც არამსახური ჩვეულებრივი მებეგრე გლეხები.

ნაშრომში შესანიშნავად ჩანს, რომ ადგილი ჰქონდა მსახურის გაღარიბებასაც, რომელიც თავის საბატონო ვალდებულებას ვერ იხდიდა. აღინიშნა, რომ მსახურის საბატონო ვალდებულება, ე. წ. სამასპინძლო (ხადილი), „რარიგადაცა თავი ესახელებოდეს", – მძიმე ყოფილა. და, აი, როგორც ნაშრომშია მოცემული, 1578 წლის საქუთათლო დავთრის XVIII ს-ის ჩანართში ვკითხულობთ, რომ მსახური „გიორგობიანები გაღარიბებული იყვნენ და ხადილის გადახდა ვეღარ შეიძლეს. ახლა დავადევით ამათ წელიწადში მოსახლის თავს მარჩილის საკლავი და სამი კასრი ღვინო, თითო კოდი პური და თითო ქათამი (იქვე, გვ. 287)". როგორც ვხედავთ, მსახურ გიორგობიანებს გაღარიბების შედეგად ბეგარა-გადასახადი შეუმცირეს.

წყაროების ანალიზის საფუძველზე ლ. მუსხელიშვილს სწორად აქვს აღნიშნული, რომ გლეხის, კომლის, ბეგარა-გადასახადების სიდიდე მის ეკონომიკურ შეძლებაზე იყო დამოკიდებული, ანუ, როგორც, წესი, გლეხის ეკონომიკური შეძლების პროპორციული იყო.

უაღრესად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ XVI საუკუნის წყაროების ანალიზის შემდეგ, მკვლევარი ახდენს XVII საუკუნის წყაროების ცალკე შესწავლასა და აღნიშნული საუკუნეების გლეხთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შედარებას, ცხადია, ცვლილებების თვალსაზრისით. ისტორიკოსმა სწორად გააანალიზა და დაასკვნა, რომ საერთოდ, შეიმჩნევა გლეხობის და, მათ შორის, მსახურთა ფენის ექსპლუატაციის გადიდება, ბეგარის დამძიმება. ამის საილუსტრაციოდ ნაშრომში მოყვანილია მნიშვნელოვანი კონკრეტული ფაქტები (დასახ. ნაშრომი, გვ. 298-299).

მაგრამ აქ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს შემდეგიც, მიუხედავად იმისა, რომ მსახურები სათანადოდ იყვნენ დაბეგრილნი და ლ. მუსხელიშვილის სიტყვებით, „ეკონომიურად დაბეგრილი სამსახური" „ზოგან თითქმის არ განირჩეოდა მდაბიო გლეხისგან" (გვ. 295), მაინც მკვლევრის სწორი განცხადებით, მსახურები წარმოადგენდნენ გლეხობის პრივილეგირებულ ფენას, განსაკუთრებით ის მსახურნი, რომელთაც მხოლოდ ლაშქრობა და სამასპინძლო ვალდებულება ედოთ. ეს ფეოდალურ-ბატონყმურ საზოგადოებაში საპატიო სამსახურად ითვლებოდა. ავტორის სწორი დაკვირვებით, დასავლეთ საქართველოში ზოგი მსახური თითქმის აზნაურობამდე იყო აღზევებული, მაგალითად, „კარკაცობით" პურის ძამის მოვალე მამასახლისი" (გვ. 294). აღმოსავლეთ საქართველოში ასეთი მაღალი რანგის მსახურები, ჩვენი აზრით, იყვნენ სოფლის, ხევის თუ თემის გამგებელნი, კევისბერები და სხვა ადმინისტრაციული მოხელეები, სოფლის მღვდლები. ადრე, XIII-XIV საუკუნეებში მათ და მსახურ-კარვოსნებს, ჩანს „აზნაურულად" ან „აზნაურშვილად მსახურს" უწოდებდნენ (ბექა-აღბუღას სამართალი), გვიან ხანაში კი,

XVI-XVIII საუკუნეებში, „მართებულ“ და „გამოჩენილ მსახურს“, მაგრამ წოდებრივად ისინი აზნაურები მაინც არ იყვნენ. ამასთან, ასეთი მაღალი რანგის მსახურები ქვეყნის მსახურ-მოლაშქრეთა მასაში მცირე იყო.

საკვლევ პერიოდში ლ. მუსხელიშვილის ყურადღება მიიპყრო აგრეთვე დასავლეთ საქართველოს გლეხობის ისეთმა სოციალურ-ეკონომიკურმა კატეგორიებმა, როგორიც იყვნენ „აზატები“ და „მოჯალაბენი“.

მისი აზრით, „აზატები“ დასავლეთ საქართველოში ცალკე სოციალურ-ეკონომიკურ კატეგორიად ჩამოყალიბდა მხოლოდ XIX საუკუნეში. XVI-XVII საუკუნეებში კი „აზატები“ მსახურთა ფენის ერთი შემადგენელი ნაწილი იყო, რასაც ადასტურებს ის, რომ XV-XVI საუკუნეების არც ერთი ძეგლი წოდებათა ჩამოთვლისას, არც არქანჯელო ლამბერტი, აზატებს, როგორც გლეხობის ცალკე კატეგორიას, არ იცნობენ, ხოლო რაც მონაცემები გვაქვს აზატებზე XVI-XVII საუკუნეებში, არც ერთი ნიშნით აზატის გარჩევა მსახურისაგან არ შეიძლება. გააზატება გამოიხატებოდა თავი-ბეგარის შეცვლაში სამასპინძლოთი, ე. ი. აზატი, ლ. მუსხელიშვილის აზრით, მსახურთა მასაში იყო „პრივილეგირებული ყმა“. ამასთან, აზატნი ყოველთვის სიგლოსანნი იყვნენ (გვ. 312-316).

რაც შეეხება „მოჯალაბეს“, მკვლევრის აზრით, ისე როგორც აზატები, ისინიც ცალკე საგლეხო კატეგორიად გვხვდება XIX ს-ში. მოჯალაბე უმინაწყლო მონა იყო. იგი ბატონის სახლში ან მის კარმიდამოში ცხოვრობდა. „მოჯალაბე“ მებეგრე გლეხზე დაბლა იდგა. საინტერესო დაკვირვებას ახდენს ლ. მუსხელიშვილი „მოჯალაბის“ წარმოშობის დროსა და მიზეზებზე. აღნიშნავს, რომ მის მიერ განხილულ საბუთებში მოჯალაბე XVII ს-ის შუახანებამდე არ გვხვდება. ისტორიკოსის აზრით, შესაძლოა, ტერმინი მოჯალაბე მოგვიანო იყოს, ხოლო შესატყვისი სოციალური ფენა მანამდე არსებულიყო, ან – არა. მნიშვნელოვანია მისი დაკვირვება იმის შესახებ, რომ XVII საუკუნეში „მოჯალაბეთა“ გაჩენა შეიძლება დავუკავშიროთ ქვეყნის ეკონომიკური პირობების გაუარესებას და შედეგად „აყრილ“-„ამოგდებულ“ გლეხთა გაჩენას (გვ. 316-317).

დასკვნის სახით აღვნიშნავთ შემდეგს. ლ. მუსხელიშვილის აღნიშნულ ვრცელ ნაშრომში გაანალიზებულია გვიანი შუა საუკუნეების – XVI-XVII საუკუნის დასავლეთ საქართველოს მწარმოებელ კლასზე არსებული წყაროები, უმთავრესად დოკუმენტაცია, მეცნიერულად სწორად არის წარმოდგენილი ამ პერიოდის გლეხობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და მისი ძირითადი სოციალურ-უფლებრივი კატეგორიები საერთოდ და, კერძოდ, მსახურთა სოციალური სტატუსი, იმ ფენისა, რომლის შესახებ ადრეული ხანის წყაროებში და XIII-XIV საუკუნეების ქართულ სამართლის ძეგლებში არასრული, ფრაგმენტული მონაცემები გვაქვს.

როგორც ვხედავთ, ფეოდალური ხანის მწარმოებელი კლასის – გლეხობის შესწავლას ლ. მუსხელიშვილის მეცნიერულ მემკვიდრეობაში სათანადო ადგილი უჭირავს და ქართული ისტორიოგრაფიის ამ სფეროშიც მისი წვლილი და დამსახურება მეტად მნიშვნელოვანია. გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, ქართველი გლეხობის ისტორიის შესწავლის საქმეში, მეცნიერული სიღრმისეული კვლევის თვალსაზრისით, ასეთი, სპეციალური გამოკვლევა მანამადე ჩვენ არ გვქონია.

აღნიშნული ნაშრომის შესრულების შემდეგ ლ. მუსხელიშვილს საქართველოს ისტორიის სხვა სფეროებში მოუხდა მოღვაწეობა (არქეოლოგია, ეპიგრაფიკა, ხელოვნების ისტორია, წყაროების პუბლიკაცია) და დასანანია, რომ იგი ვეღარ დაუბრუნდა ქართველი გლეხობის ისტორიის შესწავლის პრობლემატიკას.

ჯუმბერ კოპალიანი

ლევან მუსხელიშვილი და დმანისი

1968 წელს ჩავირიცხე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ ჩემს ხელმძღვანელად დაამტკიცა ბატონი გივი ჯამბურია. მან თავისთან დამიბარა და ჩემი სამუშაო გეგმა შევადგინეთ. ბატონმა გივიმ დამავალა, პირველ რიგში წამეკითხა და დამემუშავებინა ლევან მუსხელიშვილის ნაშრომი „ვაჰანის ქვაბთა განგება". აი, ასე მოხდა ჩემი პირველი შეხვედრა ბატონ ლ. მუსხელიშვილთან. რას წარმოვიდგენდი მაშინ, რომ მე მხვდებოდა წილად დიდი პატივი – დღეს ვაგრძელებდე ბატონი ლევანის მიერ დაწყებულ არქეოლოგიურ გათხრებს დმანისის ნაქალაქარზე.

ლევან მუსხელიშვილს დროის მოკლე მონაკვეთში მოუხდა სხვადასხვა ძეგლზე არქეოლოგიური გათხრების ჩატარება (რადგან, სამწუხაროდ, არ დასცალდა). ყველა ახალი ძეგლი მისთვის ერთნაირად ძვირფასი იყო, მაგრამ არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ დმანისი მას გამორჩეულ, განსაკუთრებულ ძეგლად მიაჩნდა.

შოთა რუსთაველის პოემის 750 წლისთავის საიუბილეო ღონისძიებასთან დაკავშირებით საჭირო გახდა წარმოჩენილიყო შოთა რუსთაველისდროინდელი საქართველო. ამ საქმეს სათავეში აკად. ივ. ჯავახიშვილი ჩაუდგა. სხვა საკითხების მოგვარებასთან ერთად, საჭირო იყო შოთა რუსთაველისდროინდელი ქალაქის წარმოჩენაც. ამ მიზნით დიდმა მეცნიერმა შეარჩია დმანისი, როგორც შუა საუკუნეების საქართველოს კლასიკური ქალაქი, ხოლო დმანისის არქეოლოგიური შესწავლა მან თავის ნიჭიერ მოწაფეს ლევან მუსხელიშვილს დაავალა.

შეიქმნა დმანისის არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელმაც ლევან მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით ორი წლის მანძილზე, ძალზე შეზღუდულ დროში, ჩაატარა აქ არქეოლოგიური გათხრები. იმავე ხანებში ლევან მუსხელიშვილმა შეისწავლა და დაამუშავა დმანისთან დაკავშირებული ქართული და უცხოური წერილობითი წყაროები. ბოლოს, ჩატარებული მუშაობის შედეგები – „დმანისი (ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა)" – 1938 წელს გამოაქვეყნა კრებულში „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა".

დმანისში სამუშაოების დაწყებასთან დაკავშირებით მოვუსმინოთ თვით ბატონ ლევანს:

„დმანისში, შოთა რუსთაველის საიუბილეო კომიტეტის თაოსნობით უკვე ორი არქეოლოგიური კამპანია ჩატარდა: პირველი კამპანია – 1936 წ. აგვისტოს 22-დან ოქტომბრის 29-მდე, მეორე – 1937 წ. აგვისტოს 26-დან ოქტომბრის 3-მდე.

გათხრებს ხელმძღვანელობდა პროფ. ი. ჯავახიშვილი, ხოლო კონსულტანტად მოწვეული იყო პროფ. გ. ჩუბინაშვილი. როგორც ველზე მუშაობის დროს, ისე შემდეგ კოლექციების შესწავლისა და წინამდებარე წერილის შედგენისას, ჩვენ უხვად ვსარგებლობდით ამ ორი პატივცემული მეცნიერის რჩევა-დარიგებით" (ლ. მუსხელიშვილი,

დმანისი, ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა, კრებული „დმანისი II", 2000, გვ. 18).

თავის ამ ნაშრომში ლევან მუსხელიშვილს ჩამოთვლილი ჰყავს მის ექსპედიციაში მონაწილე ყველა პიროვნება. მათ შორის განსაკუთრებით მინდა გამოვყო ბატონი ვახტანგ ჯაფარიძე, რომელმაც დიდი ხნის წყვეტილის შემდეგ, 1960 წელს აღადგინა ბატონი ლევანის ექსპედიცია და 1993 წლამდე ხელმძღვანელობდა მას.

ბატონი ვახტანგი, დიდი ივანე ჯავახიშვილის ღირსეული მოწაფე, ასევე მოწაფე და ერთგული გამგრძელებელი იყო ლევან მუსხელიშვილის დაწყებული საქმისა.

ლევან მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით დმანისის არქეოლოგიური ექსპედიცია საველე-არქეოლოგიურ სამუშაოებს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეუდგა 1936 წლის 22 აგვისტოს. ორი წლის სეზონში მან შეისწავლა ქალაქის სამხრეთი ნაწილი საცდელი თხრილების (შურფების) საშუალებით. საფუძვლიანად გათხარა შიდაციხეში აბანო, სიონის ტაძრის ჩრდილოეთ მხარეზე (I უბანზე) მარნიანი შენობა; ქალაქის კარიბჭე და 20 მეტრი სიგრძის ქუჩა; გარეუბნის აბანოები (მდ. ფინეზაურის მარჯვენა ნაპირზე განლაგებული სამი დიდი აბანო). გაზომა სიონი კარიბჭეებითურთ, სამრეკლო, ციხის აბანო, ბელელი, მარინეს ეკლესია, ორი მუსულმანური მაეზოლეუმი გარეუბანში; ნაწილობრივ გათხარა ქალაქის ტერიტორიაზე IV, V და VI შენობა.

გათხრების შედეგად ლევან მუსხელიშვილმა დაადგინა, რომ ქალაქი IX-X საუკუნეებში აუშენებიათ, ხოლო მოპოვებული მასალის მიხედვით ადრე შუა საუკუნეებში აქ ქალაქური ტიპის დასახლება ყოფილა. დადგინდა ისიც, რომ დმანისი, როგორც ქალაქი, XV საუკუნიდან აღარ ფუნქციონირებდა.

ქალაქისა და მისი გარეუბნების სრულყოფილი შესწავლის მიზნით მან არქეოლოგიური გათხრების პარალელურად არქეოლოგიური ექსპედიციები მოაწყო დმანისბოლნისის რაიონის ტერიტორიაზე. კერძოდ, დაათვალიერა და სათანადო სამუშაოები ჩაატარა ისპიანის ხეობაში – კაზრეთში, სამტრედოზე, სათხეზე; მაშავერას ხეობაში – ტნუსის თეკენებში, აბულმუგში, ორსაყდარში, კიანეთში, ქვეშში, დავით საგარეჯოში (კაზრეთის ქვევით); ფინეზაურის ხეობაში – საფარლუში, მამიშლუში, ჰამამლუში; ლუკუნის მთის ქვეშ არსებულ სოფლებში – ვარდისუბანში, დიდ დმანისში, ბოსლებში (აქვე არსებული დიდებული ეკლესიის „სამების" ნანგრევები), კაკლიანში, ყიზილ-ქილისაში, შინდლარში, ბაშკიჩეთში (დღევანდელი დმანისის რაიონული ცენტრი); ლოქის წყლის ხეობაში ძველი საქარავნო „აქლემის" გზით იმოგზაურა გორუნჯუკში (სოფ. მაშავერა), უკანგორში, კვრინჩხიანში, ბალიჭებში, ბოლნის-ხაჩინში, სამწევრისში და სხვ.

ამ ექსკურსიების შედეგად მას ძალზე მდიდარი მასალა დაუგროვდა და გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, 1941 წელს იგი ცალკე წიგნად – „არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავერას ხეობაში" – გამოსცა. ამ ექსკურსიების შედეგებიდან გვინდა გამოვყოთ მის მიერ სოფ. ჰამამლუს XII საუკუნის მცირე ეკლესიის წარწერების წაკითხვა და მათში მოხსენიებულ პირთა წარმოჩენა. კერძოდ, წარწერაში მოხსენიებულია მეფე თამარი, ერისთავი კახა, ბელელაისძე ოქროპირ და კრავაი. მან ქართული და სომხური ისტორიული წყაროების ცნობების ანალიზის საფუძველზე დაადგინა ამ წარწერებში მოხსენიებული ყველა პირის ვინაობა, აგრეთვე ეკლესიის აშენების თარიღი.

ჩატარებული ექსკურსიების შედეგად ლევან მუსხელიშვილის განსაკუთრებული მნიშვნელობის აღმოჩენად მაინც უნდა ჩაითვალოს უკანგორში V საუკუნის ასომთავრული წარწერები, მათ შორის თათვარაზის ხანმეტი წარწერა სტელის ბაზაზე. იგი ბოლნისის სიონის სინქრონულ ძეგლად ჩაითვალა.

ბატონმა ლევანმა პირნათლად შეასრულა მასწავლებლის, აკად. ივანე ჯავახიშვილის დავალება – არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მდიდარი არქეოლოგიური მასალის შესწავლის საფუძველზე შესანიშნავად წარმოაჩინა დმანისი, როგორც საქართველოს შუა საუკუნეების მნიშვნელოვანი ქალაქი. ამასთან ერთად, მის მიერ მოპოვებული მასალა იმდენად მრავალფეროვანი და მნიშვნელოვანი იყო, რომ მათ დიდი და განსაკუთრებული ადგილი დაიკავეს შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის საიუბილეო გამოფენაზე 1937 ნელს.

ლევან მუსხელიშვილის მიერ დმანისში ჩატარებულ საველე-არქეოლოგიურ სამუშაოებს ის განსაკუთრებული მნიშვნელობაც აქვს, რომ დმანისის ნაქალაქარის გათხრებით საფუძველი ჩაეყარა საქართველოს შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლების, მათ შორის ნაქალაქარების გეგმაზომიერ მეცნიერულ შესწავლას. ამასთან ერთად, არ შეიძლება საგანგებოდ არ აღვნიშნოთ საველე-არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარების ლევან მუსხელიშვილისეული მეთოდიკა, იმ დროს, როცა არქეოლოგიური სამუშაოები მხოლოდღა იდგამდა ფეხს და დიდი ტრადიციები საქართველოში ამ მხრივ არ იყო (თუ არ ჩავთვლით ლევან მუსხელიშვილის მონაწილეობას ნოქალაქევში ჩატარებულ მცირე მასშტაბის არქეოლოგიურ გათხრებში).

თუ როგორი მეთოდით სწავლობდა ბატონი ლევანი თითოეულ ძეგლსა და ძეგლის თითოეულ ელემენტს, ამის ნიმუშად აუცილებლად მიგვაჩნია, მოვიყვანოთ ერთი პატარა მონაკვეთი მის მიერ შიდაციხის აბანოს გათხრების ანალიზიდან:

„აბანო საინტერესო ნაგებობას წარმოადგენს. ახლა იგი სამი ოთახისაგან შედგება და შესავალი აღმოსავლეთიდან პირველი, დიდი ოთახიდან აქვს, რომელიც აშკარად საცხოვრებელ ბინას წარმოადგენს... დიდი ოთახი და აბანო ორი სხვადასხვა დროის შენობაა; სწორედ აბანოა მიდგმული დიდ ოთახზე, რომ იგია მერმინდელი ნაგებობა და არა წინაუკმოდ. სხვაფრივაც აბანოს, როგორც ნაგებობას, დიდ ოთახთან საერთო არა აქვს რა. იგი აშენებულია ქვითა და აგურით. აგური ე. წ. ქართულია. კვადრატული, ბრტყელი, პატარა ზომის (23×23 სანტ.). შიგნით აბანო კარგადაა გალესილი ბათქაშით. სარკმლები მას არ აქვს. ორივე ოთახი გადახურულია ბრტყელი გუმბათებით, რომლებიც დაყრდნობილია ისრულ ტრომპებზე. გუმბათში შუა ადგილას აგურით შემოწყობილი მრგვალი სარკმელია დატოვებული, რომლიდანაც ოთახში სინათლე ჩადიოდა. აბანოს ორივე გუმბათი გარედან დახურულია ქიმებიანი ბრტყელი კრამიტით (სიგრძე 0,318 მ, სიგანე, თავში 0,255 მ, ბოლოში 0,225 მ, სისქე 0,022 მ). კრამიტი დუღაბითაა დამაგრებული, დუღაბზე დევს. პირაღმა მდებარე კრამიტების წყება ენაცვლებოდა პირქვე მდებარე წყებას ისე, რომ პირქვე მდებარე კრამიტი, თავისი ქიმებით ჩამოცმული იყო ორს მეზობელ პირაღმა მდებარე კრამიტზე. ამასთან, რათა კრამიტები ქვემოთ არ ჩამოცურებულიყვნენ, ქვედა კრამიტს თავი, რომელიც ბოლოზე უფრო განიერია, ზევითკენ აქვს მოქცეული, ზედა (პირქვე დადებულ) კრამიტს კი ქვევითკენ ჰქონდა, ქვედა კრამიტები თავისი ქიმებით ებჯინება მათ შორის სქლად ჩასხმულ დუღაბს, რომელსაც ზედა კრამიტის ფორმა აქვს მიღებული, ქვევითკენ უფრო განიერია და ამიტომ არ უშვებს პირაღმა მდებარე კრამიტებს, რომ ქვევით ჩამოცურდეს; ზედა კრამიტები კი ვერ ჩამოცურდებოდა იმის გამო, რომ მეზობელი პირაღმა კრამიტების ქვევითკენ უფრო განივრად მდებარე ქიმები მათ გასაქანს არ მისცემდა. კრამიტი მშვენიერი ნახელავია და კარგადაა გამომწვარი. ყველა ცალს არა, მაგრამ ბევრს წინაპირზე შუაში რელიეფით გამოყვანილი ნიშანი აქვს, სამყურასავით. ეს სამყურა პირაღმა მდებარე კრამიტებისათვის კი საჭირო იყო დასამაგრებლად, რადგან ამ რელიეფით იყო კრამიტი ჩამჯდარი დუღაბში და იგი აკავებდა მას, რათა ზევით არ ავარდნილიყო" (ლ. მუსხე-

ლიშვილი, დმანისი (ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა), კრებული „დმანისი II", 2000, გვ. 41).

ბოლოს გვინდა განსაკუთრებით აღვნიშნოთ, რომ დმანისის ნაქალაქარი დღეს მთელი მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთ უნიკალურ ძეგლად იქცა. ლევან მუსხელიშვილის მიერ დაარსებულმა ექსპედიციამ 80-იან წლებში აქ აღმოაჩინა უძველესი ადამიანის ადგილსამყოფელი. ექსპედიციის მიერ 15 წლის მანძილზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური (ქვის იარაღები), პალეონტოლოგიური (მრავალფეროვანი ფაუნა), ანთროპოლოგიური (ადამიანის ორი თავის ქალა, ორი ქვედა ყბა და ფეხის ტერფის ფრაგმენტი) და სხვა მასალის შესწავლის საფუძველზე ქართველმა მეცნიერებმა დაადგინეს და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სპეციალისტებმაც საბოლოოდ გაიზიარეს, რომ დმანისში აღმოჩენილი ადამიანი არის აფრიკული Homo erectus-ების ადრეული ჯგუფის – Homo ergaster-ის წარმომადგენელი და იგი თარიღდება 1,7 მილიონი წლით. აქედან გამომდინარე, აფრიკის გარეთ ის ყველაზე უძველესია მსოფლიოში.

ქართველი მეცნიერების ამ მიღწევას დიდი აღიარება ხვდა წილად მსოფლიოში. კერძოდ, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული სამეცნიერო ჟურნალი „Science" (მეცნიერება) ყოველი წლის ბოლოს ასახელებს განვლილ წელს მსოფლიო მეცნიერებაში მომხდარ ყველაზე მნიშვნელოვან 10 მოვლენას. 2000 წლის ყველაზე მნიშვნელოვან ათ მოვლენათა შორის „დმანისური აღმოჩენა" პირველ სამეულში მოხვდა და მან უკან ჩამოიტოვა ისეთი დიდი აღმოჩენები, როგორიცაა წელს ნობელის პრემიაზე წარდგენილი აღმოჩენა პლასტიკური ელექტრონიკის სფეროში; „ახალი უჯრედები ძველების ნაცვლად" (უჯრედების ჩანაცვლება და კლონირება); მარსზე წყლის არსებობის დადასტურება; ახალი ასტეროიდის „ეროსის" აღმოჩენა და „კვანტური უცნაურობანი" (ახალი მიღწევები ფიზიკაში) და სხვ.

ალბათ ძნელად თუ წარმოიდგენდნენ აკად. ივ. ჯავახიშვილი და მისი ღირსეული მოწაფე, დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის პირველი ხელმძღვანელი ლევან მუსხელიშვილი, რომ საუკუნის ბოლოსა და მეორე ათასწლეულის დასასრულს დმანისი ასეთ დიდ აღიარებას მოიპოვებდა. ამას კი სწორედ რომ ბატონმა ლევან მუსხელიშვილმა ჩაუყარა საფუძველი. და ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ ლევან მუსხელიშვილის დაარსებული ექსპედიციის წევრები ამ დიდი მეცნიერის საკადრისი წარმატებებით, ჭეშმარიტად ხელდამშვენებულნი შევხვდით მისი დაბადების 100 წლისთავს, რასაც დიდის მოწიწებით ვულოცავთ მის ნათელ სულს.

ვახტანგ ჯაფარიძე

ლ. ვ. მუსხელიშვილი
(ცხოვრება და მოღვაწეობა)

1980 წელს შესრულდა 80 წელი ცნობილი ისტორიკოსისა და არქეოლოგის ლევან ვახტანგის ძე მუსხელიშვილის დაბადებიდან.[1]

ლ. მუსხელიშვილის ცხოვრება მეტად ხანმოკლე იყო: იგი გარდაიცვალა 42 წლისა, 1942 წლის 16 ივლისს, სწორედ მაშინ, როცა სავსებით მომზადებული იყო ფართო სამეცნიერო სარბიელზე მუშაობისათვის. მიუხედავად ამისა, მისი მეცნიერული მემკვიდრეობა, ის ნაშრომები, რომელთა გამოქვეყნება მან მოასწრო, იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მას გვერდს ვერ აუქცევს შუა საუკუნეების ვერც ერთი სპეციალისტი – არქეოლოგი იქნება იგი, ისტორიკოსი თუ ხელოვნებათმცოდნე.

ლევან მუსხელიშვილი დაიბადა 1900 წლის 8 აპრილს (ძვ. სტილით) ცნობილი ოკულისტის ვახტანგ სოლომონის ძე მუსხელიშვილისა და ნატალია მიხეილის ასულ მირზაშვილის ოჯახში. 1917 წ. ლ. მუსხელიშვილმა თბილისში დაასრულა ლევანდოვსკის გიმნაზია და უმაღლესი ცოდნის მისაღებად 1918 წ. გაემგზავრა გერმანიაში. იქ ლ. მუსხელიშვილი სწავლობდა ფილოსოფიასა და შუა საუკუნეების ისტორიას. იგი ლექციებს ისმენდა ბერლინის, ფრაიბურგის, გეტინგენის, ჰალესა და მიუნხენის უნივერსიტეტებში, მაგრამ ავადმყოფობის გამო ვერ შესძლო უმაღლესი განათლების დასრულება და 1923 წ. იძულებული იყო სამშობლოში დაბრუნებულიყო.

1924 წლიდან ლ. მუსხელიშვილმა სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, საქართველოს ისტორიის სპეციალობით, რომელიც დაამთავრა 1927 წელს. ლ. მუსხელიშვილმა სტუდენტობის დროსვე მიიქცია ივ. ჯავახიშვილის ყურადღება და უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე იგი დატოვეს ასპირანტად საქართველოს ისტორიის კათედრასთან. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, 1931 წლიდან ლ. მუსხელიშვილი მუშაობას იწყებს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში ჯერ ასისტენტად, ხოლო შემდეგ ინიშნება უფრ. მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე. როგორც ცნობილია, ამავე წლიდან ივ. ჯავახიშვილი ჩამოშორებული იყო უნივერსიტეტს და მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მეცნიერ-კონსულტანტად.

ივ. ჯავახიშვილმა მუზეუმშიც თავიდანვე დიდი, მრავალმხრივი და ნაყოფიერი მუშაობა გაშალა როგორც ისტორიის, ისე არქეოლოგიის დარგში.[2] სხვა მნიშვნელოვან

---

[1] მოხსენება, წაკითხული ლ. მუსხელიშვილის დაბადებიდან 80 წლისთავის აღსანიშნავ საღამოზე, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახ. მუზეუმის აუდიტორიაში 1980 წ. 13 მაისს.

[2] ნ. ჯავახიშვილი, ივ. ჯავახიშვილი და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, „მრავალთავი", V, თბ., 1975 წ., გვ. 5-22.

ღონიძიებებს შორის აღსანიშნავია ივ. ჯავახიშვილისა და გ. ჩუბინაშვილის ინიციატივით ურთიერთობის დამყარება გერმანიის სამეცნიერო წრეებთან, რასაც შედეგად მოჰყვა არქეოლოგიური გათხრების დაწყება ნოქალაქევში.[1] ნოქალაქევის არქეოლოგიურ ექსპედიციაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა გერმანელი არქეოლოგი ა. მ. შნაიდერი, ჩაირიცხნენ ლ. მუსხელიშვილი და გ. გოზალიშვილი. ექსპედიციამ იმუშავა 1930 და 1931 წლებში და, მიუხედავად იმისა, რომ ნოქალაქევის გათხრა მოულოდნელად და ნაადრევად შეწყდა, მან მაინც გარკვეული როლი შეასრულა საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების შესწავლაში. ამავე დროს, ლ. მუსხელიშვილისათვის ეს იყო პირველი საველე არქეოლოგიური „ნათლობა“.

მიუხედავად ხანგრძლივი ავადმყოფობისა, 1931-34 წლებში, ლ. მუსხელიშვილი მაინც ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობას ეწევა, ამზადებს ნაშრომებს გამოსაქვეყნებლად, კითხულობს მოხსენებებს, ამზადებს საკვალიფიკაციო ნაშრომებს, მონაწილეობას ღებულობს არქეოლოგიურ ექსპედიციებში და სხვ.[2]

ამ პერიოდში ივ. ჯავახიშვილი დიდ ყურადღებას იჩენს ლ. მუსხელიშვილის მეცნიერული მუშაობისადმი, აძლევს სათანადო რჩევა-დარიგებას და, საზოგადოდ, წარმართავს მის მეცნიერულ მუშაობას. მკურნალობის შედეგად ლ. მუსხელიშვილის ჯანმრთელობა რამდენადმე უმჯობესდება და იგი უფრო აქტიურად ებმება გაცხოველებულ მეცნიერულ მუშაობაში.

1936 წელს, შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმის დაარსებასთან დაკავშირებით, ივ. ჯავახიშვილმა, რომელიც აღნიშნული მუზეუმის დირექტორად დაინიშნა, ლ. მუსხელიშვილი მიიწვია ჯერ ამ მუზეუმის უფროს მეცნ. თანამშრომლად, ხოლო შემდეგ, 1937 წ. იგი დაინიშნა მუზეუმის სწავლულ მდივნად. ამ თანამდებობაზე მუშაობდა იგი ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალებამდე – 1940 წ. 18 ნოემბრამდე, ამავე დროს იგი შეთავსებით მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ახლად დაარსებული ისტორიის განყოფილების გამგედ.

აკად. ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალებიდან სულ მალე (4 თვის შემდეგ), სრულიად მოულოდნელად, უქმდება შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმი და მის ბაზაზე იქმნება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის სექტორი, რომელსაც უერთდება შოთა რუსთაველის მუზეუმი, როგორც მისი მატერიალური კულტურის ისტორიის განყოფილება ლ. მუსხელიშვილი ინიშნება აღნიშნული განყოფილების გამგედ. ამ თანამდებობაზე მუშაობდა იგი სიცოცხლის ბოლომდე.

ლ. მუსხელიშვილის სამეცნიერო მუშაობის დასაწყისისათვის აღსანიშნავია მისი დაინტერესება ბრინჯაოს ხანის ძეგლებით. იგი საგანგებოდ სწავლობს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების ფონდში დაცული ბრინჯაოს ცულების მდიდარ კოლექციას და ამის საფუძველზე, პირველად გამოჰყოფს დას. საქართველოს არქეოლოგიური კულტურის წრის ძეგლებს აღმ. საქართველოს არქეოლოგიური კულტურის წრის ძეგლებისაგან, აღნიშნავს დასავლეთ საქართველოს ბრინჯაოს ცულების თავისებურებებს და ამ ცულებს უწოდებს კოლხურს.

1932 წლისათვის ლ. მუსხელიშვილს უკვე მზადა აქვს მონოგრაფია ბრინჯაოს ცულების შესახებ. ივ. ჯავახიშვილი, რომელიც ყურადღებით ადევნებს თვალს ლ. მუსხე-

---

[1] ს. ყაუხჩიშვილი, ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, წ. I, დამატება, თბ., 1948.

[2] ნ. ჯავახიშვილი, ივანე ჯავახიშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობა, ჟურნალი „მნათობი“, 1975 წ., №6, წერილი 7; №7, წერილები 10, 11, 12.

ლიშვილის მეცნიერულ მუშაობას, შესაძლებლად მიიჩნევს ნაშრომის სადისერტაციოდ წარდგენას. ეს კარგად ჩანს ივ. ჯავახიშვილისა და ლ. მუსხელიშვილის მიწერ-მოწერიდან, რომელიც ქალბატონმა ნ. ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა 1975 წელს.[1] სამწუხაროდ, ლ. მუსხელიშვილს ეს ნაშრომი არ გამოუქვეყნებია და მეცნიერებისათვის იგი უცნობია დღემდე.

ამავე წლებში ლ. მუსხელიშვილი ამზადებს ნაშრომს – „ძველეგვიპტური სამარულო ეტლის კავკასიური პარალელი", რომელსაც იგი გერმანულ ენაზე აქვეყნებს საქართველოს მუზეუმის მოამბეში.[2]

მიუხედავად იმ მნიშვნელობისა, რომელიც ამ ნაშრომებს და მათში აღძრულ საკითხებს ჰქონდათ მათი ავტორის სამეცნიერო კვლევა-ძიებისათვის და საერთოდ, მეცნიერებისათვის, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ლ. მუსხელიშვილის სახელი უპირველეს ყოვლისა, მტკიცედ არის დაკავშირებული შუა საუკუნეების საქართველოს არქეოლოგიასა და ისტორიასთან.

იგი პირველი არქეოლოგი იყო, რომელსაც შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნის" 750 წლისთავის იუბილისათვის მზადების პერიოდში, ივ. ჯავახიშვილის რეკომენდაციით, მიენდო ფეოდალური საქართველოს გარკვეული ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლების გამოვლინება-შესწავლა და, ამასთანავე, სათანადო არქეოლოგიური მასალების შეგროვება საიუბილეო გამოფენისათვის. ამ ამოცანის შესრულებისათვის ლ. მუსხელიშვილი უკვე მაშინ სავსებით მომზადებული იყო; საფუძვლიანად იცნობდა საქართველოს ისტორიას, მის წყაროებს, პალეოგრაფიას, ქართული არქიტექტურისა და, საზოგადოდ, ხელოვნების ძეგლებს და მათ ისტორიას, მომზადებული იყო არქეოლოგიაში, ჰქონდა საველე მუშაობის გამოცდილება, იცოდა უცხო ენები, აგრეთვე კლასიკური ენა – ლათინური, იცოდა სომხური, გააჩნდა ცოდნის დიდი მარაგი.

ლ. მუსხელიშვილმა, როგორც ხელმძღვანელმა, პირველად მიიღო მონაწილეობა ბოლნისის არქეოლოგიურ ექსპედიციაში 1936 წელს. ამ ექსპედიციის კონსულტანტი იყო პროფ. გ. ჩუბინაშვილი. ბოლნისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გათხარა ტერიტორია ბოლნისის სიონის გარშემო და თვით სიონშიც, რომელიც მაშინ მიწის სქელი ფენით იყო დაფარული, დააზუსტა ქართული ხუროთმოძღვრების ამ ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი ძეგლის გეგმა, აღმოაჩინა და გაშიფრა ბოლნისის ქართული უძველესი წარწერები, უპირველეს ყოვლისა, ბოლნისის ცნობილი სააღმშენებლო წარწერა (რომელიც ამ ექსპედიციის მუშაობის შედეგად აღმოჩნდა), აღმოაჩინა უძველესი სტელები და ჯვრები, შეისწავლა ბოლნისის მიდამოების უძველესი არქელოგიური ძეგლები, სამარხები. ამასთანავე, მთელი ხეობის მოსახლეობის ისტორია, შემადგენლობა და სხვ.[3]

რა თქმა უნდა, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ბოლნისის სიონის სააღმშენებლო წარწერის აღმოჩენას და მის დათარიღებას. ეს წარწერა (ბოლნისის სიონის სხვა წარწერებთან ერთად) ჯერჯერობით რჩება ქართულ უძველეს წარწერად, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ წარწერებს შორის, საზოგადოდ.

---

1 იხ. ჟურნალი „მნათობი", 1975 წ. №6, 7 და 9.

2 L. Muskeli, Kaukasische parallele zu einem, altaegyptischen Rennwagen, საქ. მუზ. მოამბე, ტ. VIII, თბ., 1933-1934, გვ. 143-148.

3 ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი, ენიმკის მოამბე III, თბ., 1938.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი ვრცელი და თავისი დროისათვის მდიდარი ქალაქის – დმანისის არქეოლოგიურ გათხრას ლ. მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით.

დმანისის ნაქალაქარის გათხრის დაწყება წარმოადგენს ნიშანსვეტს ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიაში. აქედან იწყება ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების გეგმაზომიერი მეცნიერული შესწავლა, მათ შორის ნაქალაქარების შესწავლა.

დმანისში სულ ორი არქეოლოგიური კამპანია ჩატარდა 1936 და 1937 წლებში და გათხრები გაგრძელდა სულ სამ თვეს: ეს, რა თქმა უნდა, მეტისმეტად მცირე დრო იყო ისეთი მასშტაბისა და რთული ძეგლის შესწავლისათვის, როგორიცაა დმანისის ნაქალაქარი, რომელსაც გარეუბნებითურთ 30 ჰექტარზე მეტი ფართობი უჭირავს.

მიუხედავად ამისა, ექსპედიციამ ლ. მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით დიდ წარმატებას მიაღწია, მან აღმოაჩინა და გამოამზეურა იმ დროისთვის სრულიად უცნობი ძეგლები და მასალები (საეკლესიო და საერო ნაგებობები, ეპიგრაფიკული ძეგლები, მონეტები, კერამიკა, ლითონის, მინის, ძვლისა და ქვის ნივთები და სხვ.). ამასთანავე ნაქალაქარისა და მისი გერეუბნების ტერიტორიაზე შერჩენილი საეკლესიო და საერო ხუროთმოძღვრული ძეგლები დეტალურად აღნუსხა (აღწერა, აზომვა, ფოტოგადაღება, ტოპოგრაფიული აგეგმვა და სხვ.). ექსპედიციის შედეგებისა და მოპოვებული მასალების საფუძველზე საკმაოდ ნათლად წარმოგვიდგინა შუა საუკუნეების საქართველოს მნიშვნელოვანი ქალაქი,[1] ამასთან მოპოვებული მასალები იმდენად მრავალრიცხოვანი და მნიშვნელოვანი იყო, რომ მათ დიდი და განსაკუთრებული ადგილი დაიკავეს ეპოქის საიუბილეო გამოფენაზე 1937 წ. ეს იყო ამ საინტერესო მასალის პირველი თავისებური პუბლიკაცია.[2]

დმანისი ნაქალაქარის გათხრის პარალელურად, ექსპედიციამ, ლ. მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით, ჩაატარა არქეოლოგიური ექსკურსიები დმანისის მიდამოებში მდინარეების ისპიანისა და მაშავრის ხეობებში, ნაქალაქარის ზემოთ მდინარეების ფინეზაურის, ლოქისწყლის ხეობებში, აქედან ბაშქიჩეთში (დღევანდელი რაიონული ცენტრი – დმანისი) და მის მახლობლად სოფლებში, მაშავრის ხეობის დაყოლებაზე ჩრდილოეთით – ვიდრე სოფ. ქვეშამდე, ლუკუნის მთაში, ბოლნისის ხეობაში და სხვ.

ამ ექსპედიციის შედეგად აზომილი, აღწერილი და შესწავლილი იყო ზოგიერთი ტაძარი, ეკლესიები (მაგ., ბოსლების ხევში – სამების ტაძარი XIII-XIV სს.), ჰამამლუს ეკლესია და მისი წარწერები (XII ს.), უკანგორის ეკლესია (V საუკ.) და სხვ.[3]

სამი თვის განმავლობაში დმანისის ნაქალაქარის ინტენსიური გათხრისა და შესწავლის პარალელურად ასეთი დიდი მუშაობის ჩატარება, მრავალ ხეობაში არსებული სულ სხვადასხვა ხასიათის მეტად მნიშვნელოვანი ძეგლების ფიქსაცია და შესწავლა, შესაძლებელი იყო ექსპედიციის ხელმძღვანელის თავდადებული მუშაობისა და საქმის დიდი სიყვარულის შედეგად. ეს ყოველივე მით უფრო აღსანიშნავია, რომ ამ დიდ მუშაობაში მთავარი სიმძიმე ლ. მუსხელიშვილს აწვა.

---

1 ლ. მუსხელიშვილი, დმანისი, ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა, კრებ. „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერ. კულტურა", თბ., 1938.

2 ავტორთა კოლექტივი, XI-XIII სს. საქართველოს მატერიალური კულტურა, გამოფენის გზამკვლევი, თბ., 1953, გვ. 39-51.

3 ლ. მუსხელიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიციები მაშავრის ხეობაში, თბ., 1941, გვ. 8-24.

აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ ექსპედიციას არ გააჩნდა მანქანა და ზემოჩამოთვლილი მრავალი არქეოლოგიური ექსკურსიის დროს ექსპედიციის წევრები ცხენით ან ფეხით მოგზაურობდნენ.

სწორედ 1937 წ. ლ. მუსხელიშვილი ერთ თავის წერილში დმანისიდან წერდა ივ. ჯავახიშვილს: „მე ისე ვარ დატვირთული გათხრებით, რომ არამც თუ ვერ ვასწრებ შრომის წერას, რისი დიდი იმედიც მქონდა, არამედ აქამდის ვერ მომისწრია მრავალი ადგილობრივ შესრულებული და აუცილებელი საქმის გაკეთება, როგორიცაა მაგ., სომხური წარწერების წაკითხვა და სხვ. ისე რომ ძალიან მძიმე მდგომარეობაში გახლავართ და მერწმუნეთ, რომ სავსებით განვიცდი ჩემ ხვედრ პასუხისმგებლობას"[1]

ასეთი დაძაბული მუშაობა იმითაც იყო გამოწვეული, რომ ექსპედიციის ერთ-ერთ მიზანს შეადგენდა მცირე დროში აღმოეჩინა და შეეგროვებინა სათანადო მასალები შუა საუკუნეების საქართველოს ქალაქების დახასიათებისათვის. ეს მასალები ექსპონირებული უნდა ყოფილიყო საიუბილეო გამოფენაზე, რომელიც 1937 წ. ბოლოს უნდა გახსნილიყო. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ 1937 წ. 3 ოქტომბერს, არქეოლოგიური ექსპედიცია დმანისში მუშაობის დამთავრებისთანავე შეუსვენებლივ გაემგზავრა გეგუთში იქ არსებული ციხე-დარბაზის გათხრა-შესწავლისათვის. გეგუთის ციხე-დარბაზის გათხრისათვის დრო მეტად მცირე იყო და, ამიტომ, არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, ლ. მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით, შესძლო მხოლოდ რამდენადმე დაეზუსტებინა ქართული საერო ხუროთმოძღვრების ამ უნიკალური ძეგლის გეგმა და აშენების თარიღი.

მას შემდეგ, რაც დმანისის, აგრეთვე გეგუთის არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ მოპოვებული მდიდარი მასალა დიდი წარმატებით იქნა გამოყენებული შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის საიუბილეო გამოფენაზე, რომლის ერთ-ერთი სექტორის – „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა (XI-XIII სს.)", ორგანიზაციაში ივ. ჯავახიშვილის მარჯვენა ხელი იყო ლ. მუსხელიშვილი, 1938 წ. მას დაეკისრა ახალი ექსპედიციის, გუდარეხის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელობა. ამჯერად შესწავლის ობიექტს წარმოადგენდა არა ნაქალაქარი, არამედ შუა საუკუნეები ნამოსახლარი – გუდარეხის არქიტექტურული კომპლექსი. 1938 და 1939 წწ. ოთხი თვის განმავლობაში ჩვეული გატაცებით და ენერგიით ხელმძღვანელობდა ლ. მუსხელიშვილი გუდარეხის ნამოსახლარის გათხრას. ექსპედიციამ გამოავლინა საეკლესიო და საერო ნაგებობათა მთელი კომპლექსი, აზომა და აღწერა გუდარეხის ეკლესია, სამრეკლო, სასახლე, საჟამნოები, საჯინობო და სხვ., გაშიფრა გუდარეხის წარწერები, ტოპოგრაფიულად აგეგმა მთელი ნამოსახლარი (მისი შესანიშნავი ბურჯებიანი გალავნითურთ), დაადგინა ძეგლის სტრატიგრაფია, აღმოაჩინა მეტად საინტერესო მასალები (მონეტები, კერამიკა, სამკაულები, XIII საუკ. სამეურნეო იარაღები – სახნისი, ცული და სხვ.).[2]

დასასრულ, ლ. მუსხელიშვილი უშუალო მონაწილე იყო არმაზისხევის ბრწყინვალე არქეოლოგიური აღმოჩენებისა. საველე-არქეოლოგიური მუშაობის დარგში ლ. მუსხელიშვილმა მეტის გაკეთება ვეღარ მოასწრო, მაგრამ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქ-

---

[1] ნ. ჯავახიშვილი, ივ. ჯავახიშვილის ეპისტ. მემკ-დან, ჟურნ. „მნათობი", №9, 1975 წ., გვ. 169, წერილი №26.

[2] ლ. მუსხელიშვილი, შ. ხიდაშელი, ვ. ჯაფარიძე, გუდარეხი, თბ., 1954. ნაშრომი თუმცა ლ. მუსხელიშვილის სიცოცხლეში მზად იყო, მაგრამ მისი გამოცემა მხოლოდ აღნიშნულ წელს განხორციელდა.

ვას, რომ მან საფუძველი ჩაუყარა ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების მეცნიერულ შესწავლას.

მაგრამ ლ. მუსხელიშვილის დამსახურება საქართველოს არქეოლოგიაში ამით არ ამოიწურება. მის, როგორც არქეოლოგის, ერთ-ერთ მთავარ ღირსებას ის წარმოადგენდა, რომ მან დაგვიტოვა ვრცელი მეცნიერული ანგარიშები იმ დიდი და რთული მუშაობისა, რომელიც მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა. მისი ანგარიშები ძველი ქართული კულტურისა და არქეოლოგიის მნიშვნელოვანი ძეგლების, კერძოდ, ბოლნისის, დმანისის ნაქალაქარის, გუდარეხის ნასახლარის გათხრის შესახებ პირველხარისხოვანი, მრავალპროფილიანი გამოკვლევებია. ამ ძეგლების სკრუპულოზურ არქეოლოგიურ აღწერასა და შესწავლასთან ერთად, ლ. მუსხელიშვილის ანგარიშებისათვის დამახასიათებელია ამ ძეგლებთან დაკავშირებული ისტორიული წყაროების, მათ შორის საბუთების შესწავლა და ძეგლის ისტორიული სურათის აღდგენა.

ამავე თვალსაზრისით მეტად საინტერესოა მისი ცნობილი ნაშრომი – „არქეოლოგიური ექსპედიციები მდ. მაშავრის ხეობაში", რომელიც დაწერილია დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1936 და 1937 წწ. დმანისისა და ნაწილობრივ ბოლნისის რაიონების სხვადასხვა ხეობაში განხორციელებული სამეცნიერო არქეოლოგიური ექსკურსიების მიერ მოპოვებული მასალებისა და გამოვლენილი ძეგლების შესწავლის საფუძველზე. ამ ექსკურსიების შედეგად მან აღმოაჩინა ადრე შუა საუკუნეების მანმადე უცნობი არქიტექტურული ძეგლები (სოფ. უკანგორის ეკლესია) V საუკ. ასომთავრული წარწერები, მათ შორის თათვარაზის ხანმეტი წარწერა სტელის ბაზაზე სოფ. უკანგორში. იქვე V-VI სს. ქვის სტელების ფრაგმენტები, აგრეთვე სოფ. ზემო ოროზმანში, თეკენებში და სხვ. საინტერესო გამოკვლევა უძღვნა სოფ. ჰამამლუს XII საუკ. მცირე ეკლესიის წარწერებს, რომელშიაც მოხსენიებულნი არიან მეფეთა მეფე თამარი, ერისთავი კახა, ბელელაისძე ოქროპირ და კრავაი.[1] ლ. მუსხელიშვილს ქართული და სომხური ისტორიული წყაროების ცნობების ანალიზის საფუძველზე დადგენილი აქვს ზემოხსენებულ წარწერებში მოხსენიებულ ისტორიულ პირთა ვინაობა, აგრეთვე ეკლესიის აშენების თარიღი. იგი დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ ერისთავი კახა უნდა იყოს თამარ მეფის ანონიმურ ისტორიკოსთან მოხენიებული კახა სამძივარი, რომელიც თამარმა ტაოში გაგზავნა 1190/91 წ. სარგის თმოგველთან ერთად, განდგომილი გუზანის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამავე წარწერაში მოხსენიებული კრავაი უნდა იყოს კახა სამძივარის დედა, ზემოხსენებულ ისტორიკოსთანვე მოხსენიებული კრავაი ჯაყელი, რომელიც თამარმა 1186/7 წ. წარავლინა მეორე დიოფალ ხოშაქ ცოქალთან ერთად ყუთლუ არსლანის მომხრე დიდებულებთან მოსალაპარაკებლად და მათ დასაშოშმინებლად.[2]

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და ხუროთმოძღვრების საკითხების შესწავლის თვალსაზრისით ლ. მუსხელიშვილის ნაშრომები „სამშვილდის სიონის წარწერები და აშენების თარიღი"[3] და „მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის უძველესი წარწერები და მათი დამოკიდებულება მელქიზედეკ

---

[1] ლ. მუსხელიშვილი, თორელთა გენეალოგიის გარკვევის ცდა ჰამამლუს XII ს-ის წარწერებთან დაკავშირებით, სსმ მოამბე X-. 1940 წ., გვ. 23-41. აგრეთვე მისი არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავრის ხეობაში, თბ., 1941, VI – ჰამამლუ, გვ. 52-75.

[2] ლ. მუსხელიშვილი, აე, VI – ჰამამლუ, თბ., 1941 წ., გვ. 56-58, აგრეთვე გვ. 58-75.

[3] ენიმკის მოამბე, XIII, 1940, გვ. 85-103.

კათალიკოსის ანდერძთან",[1] რომლებშიც ავტორი, სხვადასხვა წყაროების ანალიზის საფუძველზე, ადგენს ძეგლების აშენების თარიღს, ისტორიულ პირთა ვინაობას, აზუსტებს წარწერების წაკითხვას, გამოთქვამს ახალ მოსაზრებებს მშენებლობის ვითარებისა და ვადების შესახებ. ავტორს სამშვილდის ტაძარი დათარიღებული აქვს 759-777 წლებით, ხოლო რაც შეეხება სვეტიცხოველს, ლ. მუსხელიშვილს განსაზღვრული აქვს არა მარტო ტაძრის მშენებლობის პერიოდი 1010-1029 წწ., არამედ დადგენილი აქვს, რომ ტაძარი აშენებულია ხუროთმოძღვარ არსუკიძის მიერ და უძველესი წარწერები, რომელიც ამოჭრილია 1029 ნ., ეკუთვნის მელქისედეკ კათალიკოსს. ლ. მუსხელიშვილის ზემოხსენებილი დასკვნები აღიარებულია მეცნიერების მიერ.

ლ. მუსხელიშვილმა, როგორც ისტორიკოსმა, მნიშვნელოვანი კვალი გაავლო ფეოდალური საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პრობლემებისა და წყაროების შესწავლა-პუბლიკაციის დარგშიც.

XVI-XVII სს. დას. საქართველოს ეკონომიკური ისტორიის საკითხებს ლ. მუსხელიშვილმა მიუძღვნა ორი ნაშრომი, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიები XVI-XVII სს"[2] ეს პრობლემა მაშინ, 30-40-იან წლებში, სრულიად შეუსწავლელი იყო. თვით ავტორი აღნიშნავს თავის ნაშრომის მოკლე წინასიტყვაობაში, რომ „ჩვენს საისტორიო ლიტერატურაში თითქმის არა მოგვეპოვება რა დას. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის აღნიშნულ ხანაშიო".[3] მიუხედავად ასეთი ვითარებისა, განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ლ. მუსხელიშვილმა პირველმა შეისწავლა სპეციალურად დას. საქართველოს მრავალრიცხოვანი საისტორიო საბუთები და მათი კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დამაჯერებლად განსაზღვრა დას. საქართველოს გლეხობის სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიები და ქვეკატეგორიები, მათი ხასიათი, მებატონესთან დამოკიდებულების ფორმები და სხვ. ავტორს იმდენად საფუძვლიანად აქვს განხილული და განსაზღვრული ზემოხსენებული საუკუნეების საქართველოს გლეხობის სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიები, რომ მისი ძირითადი დებულებები აღნიშნულ საკითხზე გაზიარებულია ჩვენი მეცნიერების მიერ. მისი მეორე ნაშრომი შეეხება XVI-XVIII სს. დას. საქართველოში გავრცელებულ ზოგიერთ საწყაოთა ოდენობას.[4] ნაშრომში განხილულია დას. საქართველოში აღნიშნულ საუკუნეებში გავრცელებულ ისეთ საწყაოთა ტევადობა, როგორიცაა ფოხალი, მენახევრე, მახათელა, მთელი კოკა და საპალნე. ისტორიული საბუთების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დადგენილია ამ საწყაოთა ოდენობა.

მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ლ. მუსხელიშვილს ქართული ისტორიული წყაროების შესწავლისა და გამოცემის საქმეში; მან მოამზადა და გამოსცა შუა საუკუნეების ორი ისტორიული ძეგლი – „ვაჰანის ქვაბთა განგება" (XIII საუკ.),[5] რომელიც წარმოადგენს ქართული საკორპორაციო სამართლის უმნიშვნელოვანეს ძეგლს და XIII საუკ. ავტორის – აბუსერისძე ტბელის „ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე" (1233 ნ. ტექსტი).[6] ძეგლის ავტორი გვაწვდის XIII

---

1 ქართული ხელოვნება, I, თბ., 1942.

2 ენიმკის მოამბე, V-VI, თბ., გვ. 267-319.

3 იქვე, გვ. 267.

4 ლ. მუსხელიშვილი, ზოგიერთი საწყაოს ოდენობა დას. საქართველოში XVI-XVIII სს. სსმ მოამბე, ტ. II-, 1941, გვ. 20-24.

5 ლ. მუსხელიშვილი, „ვაჰანის ქვაბთა განგება", თბ., 1939.

6 აბუსერისძე ტბელი, დასახ. ნაშრომი, ლ. მუსხელიშვილის გამოც., თბ., 1941.

საუკ. საქართველოს შინაური ყოფა-ცხოვრების ხორცშესხმულ სურათს. ორივე ისტორიული წყარო გამოცემულია სანიმუშოდ ლექსიკონებითა და საძიებლებით.

დასასრულ, აღსანიშნავია, რომ მან გერმანულიდან თარგმნა ერნესტ ჰერცფელდის პატარა ნაშრომი „კულტურული ურთიერთობანი ძველს აღმოსავლეთში".[1]

ლ. მუსხელიშვილი, ყოველივე ზემოხსენებულთან ერთად, სამუზეუმო საქმის საუკეთესო მცოდნე იყო. იგი, როგორც სწავლული მდივანი, არამარტო ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა მუშაობას, არამედ მისი ყურადღების შედეგად მრავალრიცხოვანი სამუზეუმო კოლექციები და ექსპონატები ყოველთვის სანიმუშოდ იყო მოწესრიგებული, თავის დროზე აღრიცხული და დაცული.

მისი ხანმოკლე ცხოვრება განსაკუთრებით შინაარსიანი, მრავალმხრივი და ნაყოფიერი იყო. იგი ყურადღებას იპყრობდა თავისი ნიჭით, ფართო და ღრმა ცოდნით, მაღალი კულტურით, დიდი ენერგიით და გასაოცარი შრომისმოყვარეობით. მიუხედავად ფიზიკური სისუსტისა, არქეოლოგიური მუშაობის დროს, როგორადაც არ უნდა ყოფილიყო დაღლილი, მაინც შეუსვენებლივ განაგრძობდა მუშაობას ამა თუ იმ ძეგლის შესწავლისათვის, არქეოლოგიური გათხრის პროცესში ერთი წუთითაც არ სტოვებდა საველე მუშაობას (ამასვე მკაცრად მოითხოვდა თავისი თანამშრომლებისაგან), დაუღალავად იწერდა, იხაზავდა, იხატავდა ყოველივე მნიშვნელოვანს. იგი თავს დასტრიალებდა თავის ახალგაზრდა თანამშრომლებს. წვრთნიდა და ასწავლიდა მათ საველე არქეოლოგიურ მუშაობას. ასევე დაუღალავი იყო დაწესებულებაშიც; როცა ლ. მუსხელიშვილი, თავის საწერ მაგიდასთან მჯდომი, მუშაობდა საერთო ოთახში, იგი მთელი თავისი არსებით იყო ჩაღრმავებული მუშაობაში და ამ დროს სხვა არაფერი იპყრობდა მის ყურადღებას.

ლ. მუსხელიშვილი თანამშრომლების უსაზღვრო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. იგი ყოველთვის სიცოცხლით სავსე, ხალისიანი, მზრუნველი და კეთილი იყო. ჩვენ, მის უმცროს, ახალგაზრდა თანამშრომლებს, ყოველთვის უშუალო და მეგობრული ურთიერთობა გვქონდა მასთან.

ლ. მუსხელიშვილი ღირსეული მოწაფე იყო ჩვენი დიდი მეცნიერის ივ. ჯავახიშვილისა, რომელსაც დიდად უყვარდა თავისი მოწაფე. ეს კარგად იგრძნობა ივ. ჯავახიშვილისა და ლ. მუსხელიშვილის ზემოხსენებულ მიწერ-მოწერითაც.

ლ. მუსხელიშვილის პიროვნებაში ჰარმონიულად იყო შეხამებული ქართველი მეცნიერის, პატრიოტის, იშვიათი ადამიანისა და მოქალაქის მაღალი ღირსებები. რა გულსატკენია, რომ ასე ნაადრევად შეწყდა ამ დიდად ნიჭიერი მეცნიერის სიცოცხლე, რომელსაც ძალი შესწევდა კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აეყვანა ქართული ისტორიული მეცნიერება.

---

[1] ე. ჰერცფელდი, დასახ. ნაშრომი, გერმანულიდან გადმოთარგმნილი ლ. მუსხელიშვილის მიერ, თბ., 1931.

ვახტანგ ბერიძე

ლ. მუსხელიშვილის წვლილი ძველი ქართული ხუროთმოძღვრების შესწავლის საქმეში

როგორც ცნობილია, ლ. მუსხელიშვილი ისტორიკოსი და არქეოლოგი იყო და არა ხელოვნების ისტორიკოსი, მაგრამ მთელი თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის მანძილზე იგი მუდამ განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ქართული ხუროთმოძღვრების მიმართ. ეს სრულიად ბუნებრივია: მისი არქეოლოგიური კვლევის საგანი ხომ სწორედ შუა საუკუნეების ნივთიერი კულტურის, უპირველეს ყოვლისა, მშენებლობის ძეგლები იყო. მაგრამ მაშინაც, როცა ძეგლებს გათხრა არ ესაჭიროებოდა, ლ. მუსხელიშვილი დიდ ყურადღებას უთმობდა მათ ისტორიულ ხვედრს, მით უფრო, თუ საამისოდ შესაფერისი წარწერებიც მოიძებნებოდა. თავისი სიცოცხლის ბოლო წელს, 1941 წლის აპრილიდან 1942 წლის ზაფხულამდე, ლ. მუსხელიშვილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის სექტორში (შემდეგდროინდელ ინსტიტუტში) განაგებდა მატერიალური კულტურის ისტორიის განყოფილებას. ასე რომ, იგი „ორგანიზებულად" დაკავშირებული იყო ჩვენი ეროვნული ხელოვნების შესწავლის საქმესთან.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ლევან მუსხელიშვილის ნაშრომების მნიშვნელობა შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების შესწავლის საქმეში არსებითია: მათ გარეშე დღეს შეუძლებელია ზოგი უმნიშვნელოვანესი ძეგლისა და ანსამბლის ისტორიული თავგადასავლისა და მშენებლობის ცალკეულ საკითხთა გაშუქება.

ეს ნაშრომები რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

ა. გამოკვლევები, დაკავშირებული შუა საუკუნეების ნაქალაქართა, ნამონასტრალთა და ცალკეულ ძეგლთა გათხრასთან, რომელიც მისივე ხელმძღვანელობით წარმოებდა და საკმარისია ამ ობიექტთა დასახელება, რომ ნათელი გახდეს ჩატარებული მუშაობის მასშტაბი და ადგილი ჩვენი ისტორიული წარსულის მეცნიერული კვლევის საქმეში: ნაქალაქარი დმანისი, ნამოსახლარ-ნამონასტრალი გუდარეხი; ბოლნისის სიონი და მისი მიდამოები; გეგუთის „ციხე-დარბაზი" – ყველაზე მნიშვნელოვანი ძველი ქართული სამეფო სასახლეების დღემდის გადარჩენილ ნიმუშთა შორის. სამწუხაროდ, თვით ავტორი ვერ მოესწრო ყველა თავისი გამოკვლევის გამოქვეყნებას.

„გათხრები გუდარეხში განხორციელებული იყო მკაცრი მეცნიერული მოთხოვნილებების დაცვით და იმ მეთოდების გამოყენებით, რომლებიც შემუშავებული იყო დიდ არქეოლოგიურ წამოწყებათა, მათ შორის, წინა აღმოსავლეთის სხვადასხვა პუნქტში ჩატარებული გათხრების შედეგად, – წერდა ამ გათხრებისადმი მიძღვნილი წიგნის წინასიტყვაობაში გიორგი ჩუბინაშვილი, – საქართველოში ეს იყო პირველი ცდა შუა საუკუნეების ნაქალაქართა სისტემატური შესწავლისა".

გუდარეხში ორი არქეოლოგიური კამპანია ჩატარდა – 1938 და 1939 წლებში. განსაზღვრული მესამე კამპანია ვეღარ განხორციელდა. ამიტომ ნამოსახლარის ტერიტორიის ნაწილი გაუთხრელი დარჩა. მაგრამ რაც გაითხარა, ისიც დიდად საყურადღებო

იყო. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ გამოვლენილ იქნა საერო ნაგებობათა ნაშთები – გალავანი, საცხოვრებელი სახლები, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი. ეს უკვე საგრძნობი შენამატი იყო შუა საუკუნეების ქართული საერო ხუროთმოძღვრების შესასწავლად – ცნობილია, რომ ამ მხრივ ჩვენ ძალიან ღარიბები ვართ. ამ ნაგებობათა ნაწილი თვით გუდარეხის ტაძრის თანამედროვე, ე. ი. XIII საუკუნისა უნდა იყოს. წიგნი „გუდარეხის პირველი და მეორე (1938 და 1939 წწ.) არქეოლოგიური კამპანიის ანგარიში" გამოვიდა 1954 წელს. მისი თანაავტორები არიან ლ. მუსხელიშვილის უახლოესი თანამშრომლები გათხრების დროს შალვა ხიდაშელი და ვახტანგ ჯაფარიძე. „ანგარიში" შეიცავს გამოვლენილ ძეგლთა დაწვრილებით აღწერას, ნახაზებს, ფოტოსურათებს (დასანანია, რომ წიგნის ფრიად მდარე პოლიგრაფიული ხარისხის გამო, ამ ფოტოსურათებს თითქმის აღარავითარი ღირებულება არ გააჩნია).

ბოლნისის სიონისა და მისი მიდამოების გათხრა-გაწმენდა დაკავშირებული იყო ფართო მასშტაბის საკვლევაძიებო საქმიანობასთან, რომელიც ოცდაათიან წლებში გაიშალა რუსთაველის პირველი იუბილეს მომზადებასთან დაკავშირებით. ბოლნისის არქეოლოგიური ექსპედიცია 1936 წლის ზაფხულში მუშაობდა, სულ თვენახევრის განმავლობაში, შემდეგ, 1937-ში, მუშაობა გაგრძელდა საკუთრივ სიონის სარესტავრაციოდ. შენობის გაწმენდის დროს აღმოჩნდა ქართული ეპიგრაფიკის უმნიშვნელოვანესი ძეგლი – სიონის სამშენებლო წარწერა, რომლის შინაარსმაც შესაძლებელი გახადა ადრეული შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ძეგლის ზუსტად დათარიღება (იმავე დროს, სიონის სხვა წარწერებთან ერთად, ეს არის ყველაზე ძველი ნიმუში ქართული დამწერლობისა საქართველოს მიწა-წყალზე გადარჩენილთა შორის, იგი V ს-ის ბოლო ათეულ წლებს მიეკუთვნება). თავისთავად ცხადია, რომ ეს დიდი შენაძენი იყო ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიისათვის, მით უფრო საინტერესო, რომ მან დაადასტურა გ. ჩუბინაშვილის მიერ მანამდე გამოთქმული მოსაზრება ბოლნისის სიონის თარიღის შესახებ, დამყარებული, ძირითადად ძეგლის ხუროთმოძღვრულ მონაცემთა ანალიზზე.

ამ ექსპედიციის ანგარიში, რომელიც ლ. მუსხელიშვილმა 1938 წელს გამოაქვეყნა (ენიმკის მოამბე, ტ. III, მიძღვნილი „ვეფხისტყაოსნის" 750 წლისთავისადმი, გვ. 311-382), არ იფარგლება მხოლოდ ამ წარწერისა და თვით სიონის დაწვრილებითი განხილვით. მასში ძალიან ბევრი ახალი ფაქტია გამომზეურებული ბოლნისის რაიონის ნივთიერი კულტურის შესახებ: აღწერა ძველი ხიდებისა (მაშავრის ხიდი გოჩულუსთან, ე. წ. „იდ-კერპი" ფოლადაურზე, „ახ-კერპი"), ეკლესიებისა, განათხარი ნივთებისა, ცნობები იმ კუთხის მოსახლეობის შესახებ და სხვა.

რუსთაველის იუბილეს სამზადისთან იყო დაკავშირებული დმანისის ნაქალაქარის გათხრაც 1936 და 1937 წლებში (მაშინ გათხრა არ დამთავრებულა, იგი უფრო გვიან გაგრძელდა). ექსპედიციაში არქეოლოგების, ხუროთმოძღვრების, ფოტოგრაფების, ტოპოგრაფების დიდი ჯგუფი მონაწილეობდა. საერთო ხელმძღვანელი ივ. ჯავახიშვილი იყო, კონსულტანტი გ. ჩუბინაშვილი, ხოლო უშუალოდ გათხრებს ადგილზე წარმართავდა ლ. მუსხელიშვილი, რომელმაც 1938 წელს გამოაქვეყნა კიდეც ვრცელი და შინაარსიანი ნაშრომი, მიძღვნილი გათხრების შედეგებისადმი: „დმანისი ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა" (კრებული „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა" თბ., 1938, გვ. 319-448). აქ მკითხველი უამრავ საინტერესო ცნობას ნახავს შუა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთი მოზრდილი, აქტიური ქალაქის ისტორიული ბედ-იღბლის შესახებ, მის ცალკეულ საერო და საეკლესიო ძეგლთა, წარწერათა, განათხარ ნივთთა შესახებ. ნარკვევი ცოცხლად წარმოგვიდგენს ჩვენი ეროვნული წარ-

სულის ერთ საყურადღებო მონაკვეთს და მრავალი ახალი ფაქტობრივი მონაცემებით ამდიდრებს ჩვენს ცოდნას ქართული ხუროთმოძღვრების შესახებ. ამას გარდა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს იყო ერთ-ერთი პირველი ცდა (ისევე როგორც გუდარეხში) შუა საუკუნეების ქართული ქალაქების (ან უკვე მკვდარის, ნანგრევებად ქცეულის) მზის სინათლეზე ამოტანისა, ცდა, რომელმაც, უეჭველია, ბიძგი მისცა შემდგომ მუშაობას ამ მიმართულებით.

ბ. გამოკვლევები ხუროთმოძღვრების ძეგლთა სამშენებლო წარწერების შესახებ. ლევან მუსხელიშვილმა საბოლოოდ დაათარიღა ქართული ხუროთმოძღვრების ორი უმნიშვნელოვანესი ძეგლი – სამშვილდის სიონი და მცხეთის სვეტიცხოველი.

სამშვილდის სიონი ქართული ხუროთმოძღვრების ე. წ. „გარდამავალი ხანის" ერთი უმთავრესი ძეგლთაგანია. თუმცა დროთა განმავლობაში იგი ძლიერ დაზიანდა (დარჩენილია მხოლოდ აღმოსავლეთის კედელი და მისი მიმდებარე ზოგი ნაწილი), მაინც აშკარაა, რომ ეს გრანდიოზული, მხატვრულად გააზრებული და თავისი ეპოქისათვის დამახასიათებელი ძეგლია. მაგრამ, ლ. მუსხელიშვილამდე მისი თარიღი, არსებითად, მაინც „ჰაერში" ეკიდა, თუმცა მას შერჩენილი აქვს გრძელი სამშენებლო წარწერა, რომელშიაც ისტორიული პირები არიან მოხსენიებულნი. უცნაურად შეიძლება გვეჩვენოს, მაგრამ საქმეს სწორედ ეს წარწერა ართულებდა. ბროსემ იგი 1313 წელს მიაკუთვნა. ე. თაყაიშვილმა მიიჩნია, რომ ტექსტში მოხსენიებულნი არიან აფხაზთა მეფეები კონსტანტინე და ლეონი და, ამის მიხედვით, წარწერა 958 წლით დაათარიღა. ლევან მუსხელიშვილმა კი მკაცრი და ლოგიკური მეცნიერული დასაბუთების საფუძველზე, დაამტკიცა, რომ ნამდვილად წარწერა იხსენიებს ბიზანტიელ იმპერატორებს კონსტანტინე V კოპრონიმესა და ლეონ IV ხაზარს. მკვლევარმა მტკიცედ და ურყევად დაათარიღა ეს ძეგლი VIII საუკ. და ამით დიდად გაამდიდრა „გარდამავალი ხანის" ქართული ხუროთმოძღვრების სურათი. სურათი კი მრავალმხრივ საინტერესო გამოდის: ამოდენა ძეგლი შენდება თბილისიდან არც ისე შორს, მაშინ, როდესაც დედაქალაქში არაბები სხედან. მშენებლები წარწერაში იხსენიებენ, თითქოს არაბ დამპყრობთა „ჯიბრზე" (და ეს ფსიქოლოგიურადაც სავსებით გასაგებია) ერთმორწმუნე ძლიერი იმპერიის ხელმწიფეებს, თუმცა სხვა დროსა და სხვა ვითარებაში ქართველებს ბიზანტიელებთან შეჯახება და შეპირისპირებაც არაერთხელ უხდებოდათ.

სვეტიცხოველის დათარიღებასაც თავისი ისტორია აქვს. წინათ, რევოლუციამდელ ლიტერატურაში, სვეტიცხოვლის თარიღად შეიძლება შევხვედროდეთ V საუკუნესაც, XI-საც და XV-საც (ამპლიტუდა ათასი წელი იყო!). ერთნი მას ვახტანგ გორგასლის სახელს უკავშირებდნენ, მეორენი (მათ შორის თვით გამოჩენილი რუსი ხელოვნების ისტორიკოსი ნიკომიდე კონდაკოვიც) ალექსანდრე I-სას (ნამდვილად მის დროს აღადგინეს თემურ-ლენგის შემოსევათა დროს დაზიანებული შენობა). ჩვენ დროსაც კარგა ხანს აზრთა სხვადასხვაობა იყო. ზოგი ავტორი ძეგლს X საუკუნეს მიაკუთვნებდა, ზოგი – XI-ს, დასახელებული იყო თარიღიც – 1020 წელი. გ. ჩუბინაშვილმა თავის ცნობილ ნარკვევში „ქართული ხუროთმოძღვრება საშუალო საუკუნეებში და მისი სამი კათედრალი" (1925 წ.), ძეგლის ანალიზის საფუძველზე „სვეტიცხოველს საბოლოოდ მიუჩინა ადგილი XI ს-ის I ნახევარში (თუმცა მანვე აღნიშნა, რომ ახლანდელ შენობაში უფრო ძველი ნაწილებიც არის ჩართული). ნ. ბერძენიშვილმა თავის გამოკვლევაში „მცხეთის საბუთი XI საუკუნისა" (1931 წ.) დიდად საყურადღებო მოსაზრებანი გამოთქვა იმ წერილობითი საბუთის შესახებ, რომელიც მელქისედეკ კათალიკოსის მიერ ტაძრის მეორე აშენებას შეეხება – მისი ნაშრომიც ადასტურებს, რომ ახლანდელი ძეგლის თარიღი XI ს-ის I ნახევარია, მაგრამ საბოლოო დასკვნა ქართული ხელოვნების ისტორიისათვის

უმნიშვნელოვანესი ძეგლის მცხეთის საპატრიარქო ტაძრის, ქართული ქრისტიანობის ცენტრის, ზუსტი თარიღის შესახებ სწორედ ლ. მუსხელიშვილმა გამოიტანა. მისი გამოკვლევის შედეგად დღეს ეს თარიღი – 1010-1029 წლები – უკვე საბოლოოდ არის აღიარებული. მისივე დამსახურებაა სვეტიცხოვლის ამშენებლის, ძველი საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი ხუროთმოძღვრის, სახელის სწორი წაკითხვის დადგენაც: ეს სახელია არსუკისძე (იხ. მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის უძველესი წარწერები და მათი დამოკიდებულება მელქიზედეკ კათალიკოსის ანდერძთან: „ქართული ხელოვნება", ტ. I, თბ., 1942, გვ. 133-142).

გ. გამოქვეყნება ძველი ტექსტებისა, რომლებიც შეიცავს ცნობებს მშენებლობის შესახებ. აქ ორი ნაშრომია მოსახსენიებელი: ერთია „ვაჰანის ქუაბთა განგება" (ტექსტი გამოკვლევითურთ), განსაკუთრებით კი „ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე" (თბ., 1941) – აქაც ტბელ აბუსერისძის ტექსტის პუბლიკაცია და გამოკვლევაა. გამოკვლევა საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით საყურადღებო ბევრ სხვადასხვა საკითხს ეხება. მაგრამ ჩვენი – ხელოვნების ისტორიკოსების – თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესო ის არის, რომ ტექსტი შეიცავს ბევრ სამშენებლო ტერმინს და ცოცხლად გვიხატავს შუა საუკუნეების საქართველოს მშენებლობის წარმოების პროცესს. ეს ცნობები კი მით უფრო ძვირფასია, რომ ანალოგიურ ცნობებს სხვა წყაროებში იშვიათად თუ შეეხვდებით.

დ. ნარკვევები ხუროთმოძღვრულ ძეგლთა შესახებ. მის მიერ დათვალიერებული ძეგლების აღწერა და ისტორიული ცნობები მათ შესახებ, როგორც აღვნიშნეთ, ლ. მუსხელიშვილის ზემოთ ჩამოთვლილ ნაშრომებშიაც გვხვდება. მაგრამ მას აქვს ცალკე წიგნიც, რომელიც ძირითადად ხუროთმოძღვრულ ძეგლებს ეხება – „არქეოლოგიური ექსპედიციები მაშავრის ხეობაში" (თბ., 1941). ეს წიგნიც დაკავშირებულია ავტორის ექსპედიციებთან ქვემო ქართლში, ისტორიული სიძველეებით განსაკუთრებით მდიდარ, მაგრამ ისტორიულივე უკუღმართობით არაერთხელ გაპარტახებულ კუთხეში, რომელიც მას მუდამ იზიდავდა, რომლის ბედიც მუდამ აღელვებდა. წიგნში ძეგლები წარმოდგენილია მარშრუტების მიხედვით, მოცემულია მათი აღწერა, წარწერათა გაშიფვრა და ინტერპრეტაცია. არის ანაზომების ნახაზები, ფოტოგრაფიები. ლ. მუსხელიშვილი ერთი იმ იშვიათი ისტორიკოსთაგანი იყო, რომელნიც ძეგლებს განიხილავენ არა მარტო როგორც „საისტორიო მასალას", არამედ მათი მხატვრული თავისებურებისა და ავკარგიანობის დანახვაც შეუძლიათ. ამიტომ არის, რომ მის მიერ მოწოდებული მასალა ყოველთვის ამდიდრებს ჩვენი ეროვნული ხელოვნების ისტორიის ფონდსაც. ამ წიგნში მან გაგვაცნო რამდენიმე, მანამდის შეუსწავლელი (და უცნობიც!) ძეგლი და მოგვცა მათი დახასაითებაც. ეს ძეგლებია უკანგორის ეკლესიები, რომლებიც მან ადრეულ შუა საუკუნეების ხანას მიაკუთვნა, აბულბუგის, კიანეთის, დავით-საგარეჯოს, ტნუსის თეკენების, ჰამამლუს, ბოსლების სამების ეკლესიები და სხვა... ეს უკანასკნელი მან თვით ძეგლის არქიტექტურისა და მორთულობის მიხედვით სამართლიანად დათარიღდა XIII ს-ის I ნახევრით.

მე მგონია, რაც ზემოთ ვთქვით, საკმარისია იმის წარმოსადგენად, თუ როგორი არსებითია ლევან მუსხელიშვილის წვლილი შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების შესწავლის საქმეში: ა. ლევან მუსხელიშვილი იყო პიონერი ძველი ქართული ნაქალაქარების არქეოლოგიური გათხრებისა, მან პირველმა დაგვანახა, რას წარმოადგენდა შუა საუკუნეების ქალაქები, თუმცა ამ მხრივ ძირითადი სამუშაო ჯერ კიდევ მომავლის საქმეა – მის მიერ მტკიცედ დაფუძნებულ კვლევას სათანადო გაგრძელება ესაჭიროება; ბ. ლევან მუსხელიშვილმა, ისტორიული ტექსტების გამოქვეყნებით, ბევრი საინტე-

რესო რამ შეგვძინა ძველი ქართული სამშენებლო ტერმინებისა და სამშენებლო საქმის გასაცნობად; გ. მან სამეცნიერო ლიტერატურაში პირველმა „შემოიტანა“ მანამდის უცნობი ძეგლები; დ. მან მეცნიერულად დაასაბუთა უმნიშვნელოვანესი ძეგლების თარიღი, რითაც აგრეთვე დიდი სამსახური გაუწია ქართულ ხელოვნებათ-მეცნიერებას.

ლევან მუსხელიშვილი რაფინირებული კულტურის, მტკიცე პრინციპებისა და მაღალი იდეალების ადამიანი იყო. საქმისათვის თავდადებული, თავისთვის კი არაფრის მომთხოვნი. მას უსაზღვროდ უყვარდა სამშობლო და ბევრი რამ შესძინა კიდეც მისი წარსულის მეცნიერულად გაშუქების საქმეს. ქართველ ისტორიკოსებთან და არქეოლოგებთან ერთად, ქართული ხელოვნების ისტორიკოსებიც მუდამ მადლობისა და მოწიწების გრძნობით იხსენიებენ ამ ნათელ პიროვნებას – მეცნიერს, პატრიოტსა და მოქალაქეს.

გიორგი გოზალიშვილი

მცირე მოგონება ლევან მუსხელიშვილზე

ლევან (ლენკო, როგორც ჩვენ მას ჩვეულებრივ ვეძახდით) მუსხელიშვილს დავუახლოვდი უნივერსიტეტში ბატონ ივ. ჯავახიშვილთან საქართველოს ისტორიის სპეციალურ სემინარში მუშაობის დროს. ჩემი ყურადღება უმალ მიიპყრო მისმა კულტურულმა, თავმდაბლურმა ქცევამ. მანაც, თურმე კარგი თვალით შემომხედა და ჩვენ ადვილად დავმეგობრდით. ხშირად დავიარებოდით ერთიმეორესთან და ვუზიარებდით ერთმანეთს ჩვენს შეხედულებებს მეცნიერულ პრობლემებზე.

იგი ფიზიკურად სუსტი იყო და ხშირად ავადმყოფობდა, რაც შეუმჩნეველი არ დარჩა ბ-ნ ივანეს. ერთხელ სემინარზე ბ-ნმა ივანემ ჩემგან გაიგო, რომ ლენკო ავად იყო და მოისურვა იგი მასთან წამეყვანა, რაც უდიდესი სიამოვნებით შევასრულე. ამის შემდეგ, ერთხელ კიდევ ვნახე ბ-ნი ივანე ლენკოსთან სანახავად მისული.

მალე მე და ლენკოს ერთად მოგვიხდა მუშაობა... თუმცა ცოტა ხნით. ბ-ნ ივანესა და ბ-ნ გ. ჩუბინაშვილის ინიციატივით მაშინ მჭიდრო კულტურული თანამშრომლობა იყო დამყარებული გერმანიის კულტურის მუშაკთა წევრებთან, რის შედეგადაც დაიდო სპეციალური ხელშეკრულება ნოქალაქევში არქეოლოგიური გათხრების თაობაზე. ამის განსახორციელებლად, 1930 წლის შემოდგომაზე საქართველოში ჩამოვიდა არქეოლოგი ა. მ. შნაიდერი. მასთან ერთად უნდა გვემუშავა ნოქალაქევში მე და ლენკოს, მაგრამ სწორედ გამგზავრების წინა დღეებში ლენკო ავად გახდა. შემდეგში ბრმა ნაწლავის ოპერაციის გაკეთებაც მოუხდა და გვიანლა ჩამოვიდა ნოქალაქევში. იქ მუშაობა ჭირდა რელიეფური პირობების გამო და ამიტომ ლენკოს დაბლობ უბანზე მიენდო სამუშაო.

მთელი დღის ნამუშევარს საღამოთი ვაჯამებდით და ვაფასებდით... შნაიდერი დასავლელ მეცნიერთა კვალობაზე, ყველაფერს განიხილავდა, როგორც გარედან შემოტანილს. მე კი სულ იმას ვუმტკიცებდი, რომ ბევრი რამ ადგილობრივი იყო და ნაციონალური ხასიათი ჰქონდა. ლენკოს ჩამოსვლამ ჩემი პოზიცია გაამაგრა და მომეშველა ა. შნაიდერთან დისკუსიაში, რასაც, რასაკვირველია, სრულიად კორექტული და აკადემიური ხასიათი ჰქონდა.

1931 წლის 9 იანვარს ნოქალაქევის მოსახლეობისათვის წავიკითხე მოხსენება ჩვენ მიერ წარმოებული მუშაობის შესახებ. მრავალი შეკითხვა მომცეს. იქ, სხვათა შორის, ერთ-ერთმა დამსწრემ, მასწავლებელმა აკაკი ბარკალაიამ მაცნობა, რომ გეგეჭკორის რაიონში სოფ. კიწიაში არის გრძელი ბუნებრივი გამოქვაბული, სადაც სხვადასხვა ნივთებს პოულობენ ხოლმეო. ჩვენ გადავწყვიტეთ მისი ნახვა. 12 იანვარს ნოქალაქევის საბჭოს თავმჯდომარემ გამოგვიგზავნა ოთხი ცხენი და მე, ა. შნაიდერი, ლენკო და აკაკი ბარკალაია გავემგზავრეთ ჩხოროწყუსაკენ. მეტწილად მთა-მთა სიარული მოგვიხდა... შნაიდერი თავის სიცოცხლეში ცხენზე არ მჯდარა, მე კი ქიზიყში შეჩვეული ვიყავი ცხენზე ჯდომას და ძალიანაც მეხალისებოდა. ა. შნაიდერს გვერდით მივდევდი, რომ არაფერი შემთხვეოდა. ლენკო და აკაკი ჩვენს უკან მოდიოდნენ, ლენკოს ოხუნ-

ჯობა უყვარდა. ჩემს ცხენს ერთი ორჯერ გადმოჰკრა მათრახი, მაგრამ მე აღვირი კარგად მეჭირა. კიდევ რომ გაიმეორა, მაშინ მივუშვი და ჩემმა ცხენმა მოჰკურცხლა, მას სხვებმაც მიჰბაძეს... შეიქნა ყვირილი, გიორგი გაჩერდი!.. უკან მივიხედე, ა. შნაიდერი სასაცილოდ ხტოდა უნაგირზე. შემეშინდა მარცხისა, ცხენი ფიცხლავ მოვატრიალე. ასეთი შემთხვევა აღარ განმეორებულა.

საღამო ჟამს მივაღწიეთ სოფ. დოშაკს და ჩვენმა გამყოლმა აკაკიმ მიგვიყვანა ღამის გასათევად მასწავლებელ მარო ჟვანიას ბინაში, სადაც მატერიალური ხელმოკლეობა იგრძნობოდა, მაგრამ ყველაფერს კულტურული იერი ჰქონდა, რამაც ა. შნაიდერის გაოცება გამოიწვია.

მეორე დღეს მოვინახულეთ გვირაბი, რომელიც სავსე იყო მხატვრული სტალაქტიტებითა და სტალაგმიტებით, მაგრამ სიღრმეში ვერ შევაღწიეთ, საჭირო ხელსაწყოების უქონლობის გამო.

ნოქალაქევში რომ დავბრუნდით, ჩვენს დოშაკელ მასპინძლებს მადლობის ნიშნად აკაკი ბარკალაიას საშუალებით უხვად გავუგზავნეთ სამრეწველო საქონელი, რაც ადგილობრივ არ იშოვებოდა. ამის შემდეგ დიდხანს აღარ დავრჩენილვართ ნოქლაქევში, რადგან ა. შნაიდერი უნდა წასულიყო გერმანიაში, სათანადო ორგანოებისათვის რომ მოეხსენებინა შესრულებული სამუშაოს ანგარიში.

მე და ლენკო, განათლების კომისარიატის განკარგულებით, ჩაგვრიცხეს საქართველოს მუზეუმის თანამშრომლებად და დაგვევალა, გაგვევლო ასპირანტურის კურსი არქეოლოგიის განხრით. ხელმძღვანელებად დაგვინიშნეს ბ-ნი ივანე ჯავახიშვილი, რომელიც საქართველოს ისტორიაში გვწვრთნიდა და ბ-ნი გიორგი ჩუბინაშვილი. იგი ქართული ხელოვნების ისტორიას გვიკითხავდა, ხოლო ცნობილი არქეოლოგი ბორის კუფტინი არქეოლოგიაში გვამეცადინებდა.

ჩვენი აქ მუშაობის შედეგი ის კი არ იყო, რომ ჩვენ არქეოლოგიის დარგში საკმაო ცოდნა და გამოცდილება შევიძინეთ, არამედ ისიც, რომ არქეოლოგიურ კოლექციებზე მუშაობის დროს, ხელს ვუწყობდით მომავალ არქეოლოგიურ გამოფენას და მის მომზადებაშიც ჩვენი წვლილი შევიტანეთ. გარდა ამისა, შეიქმნა შესაძლებლობა წარმატებით განვითარებულიყო ჩვენში არქეოლოგიური მეცადინეობა და მომზადებულიყო ახალი კვალიფიციური კადრები. სწორედ ამის შედეგი იყო, რომ მალე განხორციელდა საქართველოში პირველი დისერტაციის დაცვა არქეოლოგიური მეცნიერების კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. დისერტანტი იყო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ანდრია აფაქიძე, ოპონენტი კი – დოცენტი გიორგი გოზალიშვილი.

სხვათა შორის, ჯერ ისევ ნოქალაქევში ყოფნის დროს ა. შნაიდერმა მიიღო გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტიდან ოფიციალური მიმართვა, რომელიც მას ავალებდა, მე და ლენკო დავეთანხმებინეთ, რომ გავმხდარიყავით ამ ინსტიტუტის თანამშრომლები, ხოლო 1932 წელს მუზეუმში მოვიდა ოფიციალური წინადადება, გვთავაზობდნენ მონაწილეობა მიგველო არქეოლოგიურ ექსპედიციაში (გერმანელ მეცნიერებთან ერთად), რომელიც მიემგზავრებოდა აფრიკის ერთ-ერთ ქვეყანაში, მაშინდელ სიტუაციაში ამის განხორციელება შეუძლებელი იყო.

1933 წლის დამდეგს, სამწუხაროდ, მე იძულებული ვიყავი მიმეტოვებინა საქართველოს მუზეუმი და უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანატში დავიწყე მუშაობა. ამით შეწყდა ჩემი და ლენკოს ერთად მუშაობა.

ციალა გაბაშვილი

მოგონება

ლენკო მუსხელიშვილი 1936 წლის ზაფხულში გავიცანი, როდესაც მოულოდნელად ჩვენს საპროექტო სახელოსნოში მოვიდა და შემომთავაზა, მონაწილეობა მიმეღო ბოლნისის არქეოლოგიურ ექსპედიციაში. რასაკვირველია, სიამოვნებით დავთანხმდი. ამის შემდეგ თითქმის ყველა ექსპედიციის მონაწილე ვიყავი, რომელსაც კი ლენკო ხელმძღვანელობდა. აქედან მოყოლებული საქმიანი თუ მეგობრული ურთიერთობა ჩვენ შორის არ შეწყვეტილა.

ბოლნისის სიონი, ქართული ხელოვნების ეს უძველესი ხუროთმოძღვრული ძეგლი, პირველი საპასუხისმგებლო სამუშაო იყო როგორც ჩემთვის, ისევე, თუ არ ვცდები, ექსპედიციაში მონაწილე დანარჩენი წევრებისთვისაც და, ვგონებ, ჩვენი ხელმძღვანელისთვისაც. რასაკვირველია, გამოცდილება არ გვქონდა, მაგრამ მონდომება და ენთუზიაზმი არ გვაკლდა. არც ერთი ჩვენთაგანი არ იშურებდა ძალ-ღონეს დაკისრებული სამუშაოს პირნათლად შესასრულებლად, მით უფრო, რომ ლენკოს გარდა, ბ-ნ ივანე ჯავახიშვილის და ბ-ნ გიორგი ჩუბინაშვილის სახით არ გვაკლდა ყურადღება. მათი ყოველი მოსვლა ახალ ენერგიას გვმატებდა, უფრო მეტად გვახალისებდა.

ლენკო არაჩვეულებრივად მომთხოვნი იყო ყველას მიმართ და, უპირველეს ყოვლისა, თავისთავისადმი. თვითონაც გატაცებით, უდიდესი ყურადღებით, სიფრთხილით და მონდომებით მუშაობდა და ამასვე ასწავლიდა და მოითხოვდა ყველასაგან. ასწავლიდა დამოუკიდებელ მუშაობას, რათა ყველას შესძლებოდა თავიდან ბოლომდე გასძღოლოდა საქმეს. პირველად დამუშავება ექსპედიციის პირობებში უნდა გაკეთებულიყო. გადადება მეორე დღისათვის, სამერმისოდ, არ შეიძლებოდა. ლენკოს პირადმა მაგალითმა და მომთხოვნელობამ თავისი ნაყოფი გამოიღო კიდეც და, უმრავლესი მათგანი შემდგომში დამოუკიდებლად განაგრძობდა საქმიანობას. პირადად მე, მიუხედავად გამოუცდელობისა, სრული დამოუკიდებლობა მქონდა. საექსპედიციო პერიოდი საშუალებას მაძლევდა ყველაფერი ზედმიწევნით ზუსტად ამეზომა და დილიდან საღამომდე სიამოვნებით ვმუშაობდი.

ლენკოს თუ რაიმე მისთვის არასპეციალური საკითხი აინტერესებდა, არასოდეს არ მოერიდებოდა ეკითხა, გაერკვია ან ესწავლა კიდეც მასზე უმცროსისაგან და ეს უფრო გვაახლოვებდა მასთან, უფრო უწყობდა ხელს ჩვენს მეგობრობას. იგი ყველასადმი ნდობით იყო განწყობილი, მაგრამ თუ ნდობას არ გაამართლებდა ვინმე, არავის აპატიებდა საქმისადმი უგულო, ზერელე დამოკიდებულებას, და უწესო მომუშავე იძულებული ხდებოდა გამოსთხოვებოდა ჩვენს კოლექტივს (ასეთი შემთხვევები ერთი ორი თუ იყო, იმდენად ძლიერი იყო ლენკოს მაგალითის ზეგავლენა ყველაზე). სამუშაოს გარეშე ლენკო, როგორც ყველა ჩვენთაგანი, მონაწილეობას იღებდა საყოფაცხოვრებო საქმიანობაში და არავითარ შემთხვევაში არ აირიდებდა თავიდან, რაც უნდა ბევრი გვეთხოვა. დასვენების დროს კი, როდესაც შევიკრიბებოდით მაგიდასთან, გან-

საკუთრებით გუდარეხში, შუაცეცხლს რომ შემოვუსხდებოდით მუხის ძირას, ვიგონებდით თავგადასავლებს, ვხუმრობდით თუ ვმღეროდით, იგი ჩვენი თანატოლი ხდებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი მუსიკალური ნაწილის წამომწყები დათიკო კაპანაძე იყო, რომელმაც თავისი დაუდგრომელი, ცოცხალი ხასიათით მეტი სიხალისე შემოიტანა კოლექტივში. ლენკოს უყვარდა ხუმრობა, ზოგჯერ მწარეც, მაგრამ დაუმსახურებლად თუ აწყენინებდა ვინმეს, აუცილებლად ბოდიშს მოიხდიდა. ქალთა წარმომადგენლებს დიდი პატივისცემით გვეპყრობოდა, ანგარიშს გვიწევდა. სადილად თუ ღვინოც იყო, ირა ჯაფარიძეს და მე გვეხუმრებოდა, „დალიეთ, თორემ სულ ერთია, გადაგახდევინებთო". გულიანად იცინოდა, როდესაც ქალებს გაგვაცურებდნენ. მაგალითად დმანისში მეორე კამპანიის დროს ბევრნი ვიყავით, ამიტომ ორ მეზობელ სახლში ვცხოვრობდით. ბინაში, სადაც მამაკაცები იყვნენ, პურობაც იქ გვქონდა. ქალებს, ირა ჯაფარიძეს, რუდა მეფისაშვილს და მე, მეორე სახლში გვქონდა ოთახი. აქ საღამოობით დღის ნამუშევარს ვამოწმებდით და აქვე ვიძინებდით. როგორღაც თავისუფალ დროს ყველამ ბევრი მაყვალი დავკრიფეთ, მურაბა მოვხარშეთ, რასაკვირველია, ყველასთვის, საერთო ბინაში დავტოვეთ და დაგვავიწყდა კიდეც. ერთ საღამოს, სადილის შემდეგ ჩვენს ოთახში რომ შევედით, გამოირკვა, რომ ნახაზები ქვემოთ დაგვიწყებოდა. გავიქეცით ამოსატანად და, რას ვხედავთ: მაგიდაზე მურაბის ქილა დგას, გარს შემოსხდომიან ჩვენი ვაჟკაცები, მათლაფებზე დაუსხამთ და სუფრის კოვზებით, ლობიოს შეჭამანდივით მიირთმევენ (თურმე ჩვენი წამოსვლის შემდეგ ყოველდღე ასე შეექცეოდნენ და თან ჩვენზე ხუმრობდნენ, როგორ დაგვტოვებდნენ უმურაბოდ). ამის დანახვაზე ერთი ამბავი ავტეხეთ, ჩვენ წილად ერთი ქილა წამოვიღეთ და ჩვენც ბევრი ვიცინეთ, რომ არ დავაცადეთ, მურაბა მთლიანად უჩვენოთ გამოეთავებინათ.

რასაკვირველია, სამუშაოს ხასიათი და პირობებიც ერთნაირი არ იყო. ყოველ ექსპედიციას თავისი სპეციფიკა ახასიათებდა. იცვლებოდნენ ან გვემატებოდნენ ახალი წევრები, მაგრამ ლენკო თავდაუზოგავი შრომით ყველასათვის მაგალითი იყო და მეგობრული ჯანსაღი საქმიანი დამოკიდებულება გვაკავშირებდა ყველას ერთმანეთთან.

ბავშვივით გაიხარებდა, აღტაცებას ვერ ფარავდა, როდესაც რაიმე ახალი, საინტერესო აღმოჩნდებოდა, იყო ეს ბოლნისის ჩრდილო სტოას პილასტრების მოჩუქურთმებული ბაზები, ფირუზისფრად რომ აფერადდნენ საუკუნოვანი მიწის ფენის მოცილების შემდეგ, გუდარეხის საცხოვრებელი ნაგებობანი, დმანისის აბანო თუ მცირე ზომის საჭრაქე, მოჭიქული აგური, სამაჯურის ნატეხი თუ სხვა რამ.

ზოგჯერ თითქოს პირქუში იყო, არ უყვარდა ლაპარაკი, მაგრამ უფრო მაშინ, როდესაც ვერ გრძნობდა თავს კარგად და ცდილობდა, არ შეგვემჩნია თუ რამ აწუხებდა. თუ ვთხოვდით გაფრთხილებულიყო, გაჯავრდებოდა კიდეც და უთქვამს ჩემთვის, „მე ისეთი ნებისყოფა მაქვს, რომ ჩემი ავადმყოფობა ვერ დამჯაბნის, ვერ მომერევაო".

ე. წ. დასვენების დღეებში, ხშირად ახლომახლო და ხან კარგად დაცილებული ძეგლების დასათვალიერებლად მივდიოდით ყველა ერთად, ან ჯგუფ-ჯგუფად. ვეცნობოდით ახალ ძეგლებს, ავზომავდით, აღვწერდით. თუ რომელიმე საინტერესო ძეგლს ლენკო უჩვენოდ ნახავდა, ჩვენც უნდა გვენახა.

საექსპედიციო პირობები მომეტებულად „რომანტიკული" იყო, როგორც ახლა უწოდებენ, – კარვები, ტყეში ცხოვრება, ხან უგზოუკვლოდ ხეტიალი ცხენით, თუ ქვეითად. ლენკო, თითქოს დაუღლელი, ყოველთვის აღტაცებული და კმაყოფილი იყო ნანახით, ბუნების სიმშვენიერით, მეტადრე მაშინ, როდესაც 5-6 ცხენოსანი კლდოვანი ქარაფებით მთვარიან ღამეში ზღაპრული ბილიკებით, დაღლილობის მიუხედავად, სიმღერით ვბრუნდებოდით ჩვენს დროებით კერასთან. ეს მოგზაურობანი, განსაკუთრებით, მთვა-

რიანი ღამის შუქ-ჩრდილში, მართლაც ზღაპრულ ქვეყანას გვაგონებდა, შორეულ წარსულში გადავყავდით. ლენკო სათანადო ისტორიულ ამბავს იხსენებდა. ჩვენც სამშობლოს დამცველებლად წარმოვიდგენდით თავს და უზომოდ კმაყოფილნი, აღფრთოვანებულნი ნანახით, „გამარჯვებულნი", ცხენების თქარათქურთან ერთად ომახიანი სიმღერით ვარღვევდით ღამის სიჩუმეს და მივიკვლევდით გზას ჩვენი „ციხე-სიმაგრისაკენ".

არ შეიძლება დავივიწყო 1936 წ. აგვისტოს ბოლნისიდან ჰუჯაბში წასვლა. ბ-ნი გ. ჩუბინაშვილი და ბ-ნი ირ. სონღულაშვილი გვეწვივნენ და მეორე დღეს დილაადრიან ცხენებით ჰუჯაბში გავემგზავრეთ (ჩვენი სტუმრები, ლენკო, სტეფანე მენთეშაშვილი, იგორ გილგენდორფი, მე და ჩვენი მეგზური ჩათახელი მაცხოვრებელი). ბილიკი ტყე-ტყე მიიკლაკნებოდა. რამდენჯერმე მდინარეზე უნდა გადავსულიყავ-გადმოვსულიყავით. წყალი საკმაოდ ღრმა იყო გასვლისას ყველა უნაგირზე ამოვიკეცავდით ხოლმე ფეხებს. მივედით თუ არა შევუდექით მუშაობას. ყველა ვჩქარობდით, რომ რაც შეიძლება მეტი მოგვესწრო, რადგან საღამოს უკან უნდა დავბრუნებულიყავით. კარგად დავიღალეთ, ცოტა შევნაყრდით და უკან გამოვწიეთ. ლენკომ შემოჰკრა მათრახი თავის ცხენს და გააჭენა, მეც აღარ დავაყოვნე, სხვებიც უკან მოგვყვნენ. ცხენების თქარათქურზე სოფელი გზაზე გამოეფინა, ხომ არ შემოგვესივნენო?! ტყეს რომ მივაღწიეთ, დაგვიღამდა. მთვარიანი ღამე იყო, მაგრამ აქა-იქ თუ სწვდებოდა მთვარის შუქი. ბ-ნი გიორგი და ბ-ნი ირეოდიონი დაღლილობისაგან წყალში გასვლისას ფეხს უნაგირზე აღარ სწევდნენ და კარგად დასველდნენ. ერთ ბნელ მოსახვევში ჩვენს გამყოლს (რომელიც ძალიან გამხდარი და ძალიან მაღალი იყო) ცხენი წაექცა, ძლივს წამოაყენეს ცხენიცა და მხედარიც. როგორც გაირკვა, ამ ცხენს დაღლილობისას დაწოლა სჩვეოდა; კარგია, არაფერი არ დაუშავდა არც ერთს. ერთი სიტყვით, თავგადასავლებით მივაღწიეთ ჩათახს. აქ ჩვენმა მეგზურმა მასპინძლობა გაგვინია, ცოტა დაგვასვენა და გვიან შუაღამისას მივედით ბოლნისში (აქ უფრო ფართო და მთვარით გაჩახჩახებული იყო გზა) და დიდხანს დაგვჭირდა ცდა, ვიდრე დანარჩენები მოვიდოდნენ. მეორე დღეს ჩვენი სტუმრები თბილისში გავისტუმრეთ და ჩვენს საქმიანობას შევუდექით. ლენკო, დაღლილობის გარდა, ცოტა გაციებულიყო კიდეც, წამალს სვამდა, მაგრამ არ გაჩერებულა, მუშაობდა და ცდილობდა, არ შეგვემჩნია, თუ რამე აწუხებდა.

არ შემიძლია დავივიწყო 1936 წ. 22 აგვისტოს ბოლნისიდან დმანისში გადასვლა ფეხით. წინ მიმავალ პატარა მოჭრიალე ურემს მივდევდით და გზადაგზა ტყეში გაფანტულ ნასოფლარებს, ნასახლარებს, ტაძრების და მცირე ეკლესიების ნანგრევებს ვაწყდებოდით. კარგა ხანს შევჩერდით გაკაშკაშებულ კაზრეთის თეთრ ტაძართან, რომლის კარ-სარკმელთა მოჩუქურთმებულ ჩარჩოებს ხის ფოთოლთა ჩრდილები დასთამაშებდნენ. ლენკო გულისტკივილით გვიამბობდა ისტორიული ქარცეცხლის შედეგად გაუკაცრიელებულ, ოდესღაც მჭიდროდ დასახლებულ საქართველოს ამ კუთხის შესახებ და გული გვეკუმშებოდა.

არ დამავიწყდება 1938 წ. 14 აგვისტოს სამშვილდიდან პირღებულში წასვლა ზაფხულის ცხელ დღეს. მთელი დღის განმავლობაში, ვიდრე გვიან საღამოს უკან არ დავბრუნდით, წყალი არ გვინახავს, ყველა წყარო დამშრალიყო. ლენკო ვერ ფარავდა აღტაცებას, განცვიფრებას, პატივისცემას ბ-ნ ექვთიმე თაყაიშვილისადმი, რომელმაც ჩვენზე ბევრად ადრე შესძლო თავისი ავადმყოფი ფეხით ამ ქარაფების დაძლევა. ბევრი რამ არის მოსაგონარი, მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

სამამულო ომის დაწყებისას 1941 წელს მუშაობა დავიწყე მეცნიერებათა აკადემიის ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალში. ხშირად ვხვდებოდი ლენკოს. მას აინტერესებდა ყველა-

ფერი, რასაც კი თითოეული ჩვენთაგანი აკეთებდა. ეცნობოდა ხოლმე ჩვენს გეგმებს და რჩევა-დარიგებას არ გვაკლებდა.

მისი ავადმყოფობის დროს თუ თბილისში ვიყავით, ხშირად დავდიოდით მასთან. უხაროდა ჩემი მისვლა. როგორც ყოველთვის, ყველას საქმიანობა აინტერესებდა და დაწვრილებით უნდა მეამბნა ყველაფერი. თუ მასთან არ შევიდოდი, რომ არ შემეწუხებინა, რაღაცნაირად მიხვდებოდა – დაუძახებდა თავის მეუღლეს – ბაიკოს, ეტყოდა – „ციალა მოვიდა, ჩემთან შემოვიდესო", თავის ავადმყოფობაზე არ ლაპარაკობდა, ჩვენი საქმიანობა აინტერესებდა. განიცდიდა, რომ თავისი გეგმების შესრულებას ვეღარ ახერხებდა და უთქვამს ჩემთვის: „აქამდე მე ცოდნას, გამოცდილებას ვიძენდი და როდესაც შემეძლო ჩემი ცოდნა, გამოცდილება სხვებისათვის გადამეცა, ჩემი ქვეყნისათვის დამეფასებინა ამაგი, ახლა მომერია ავადმყოფობა და დამჯაბნაო". ეს აწუხებდა ყველაზე მეტად.

ბევრი დრო გავიდა, ადამიანს ბევრი რამ ავიწყდება, მაგრამ მთავარი გავლენა, რომელსაც განიცდი სხვა ადამიანებთან ურთიერთობის შედეგად, არ ქრება. ამიტომაა, რომ ყველა ჩვენთაგანი, რომელთაც კი საქმიანი კონტაქტი გვქონია ლენკოსთან, დღესაც განვიცდით მის უდროოდ დაკარგვას და ხშირად, ძალიან ხშირად, პატივისცემით და გულისტკივილით ვიგონებთ მას, ვწუხვართ, რომ ასე ნაადრევად წავიდა ცხოვრებიდან თავისი საქმის, თავისი ქვეყნისთვის თავდადებული, უანგარო რაინდი, კარგი მეცნიერი, ხელმძღვანელი და მეგობარი.

ლ. მუსხელიშვილის ნაშრომები

ТРУДЫ Л. В. МУСХЕЛИШВИЛИ

1. ჰერცფელდ ე. კულტურული ურთიერთობანი ძველს აღმოსავლეთში. გერმანულიდან გადმოთარგმნილი ლ. მუსხელიშვილის მიერ. ტფილისი, 1931, გვ. 60.
2. მუსხელიშვილი ლ. დმანისის არქეოლოგიური გათხრების წინასწარი შედეგები. – კომუნისტი, 28 თებერვალი, 1937.
3. მუსხელიშვილი ლ. ბოლნისი, – ენიმკის მოამბე, ტ. 3, 1938, გვ. 311-382, ილ., რეზ. რუს. და ფრანგ. ენ., ბიბლიოგრ. შენიშვნებში.
4. მუსხელიშვილი ლ. დმანისი. ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა. – შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა. თბ., 1938, გვ. 317-448, ილ., ბიბლიოგრ. შენიშვნებში.
5. ვაჰანის ქვაბთა განგება (XIII ს.). გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა. ქართული სამართლის ძეგლები №1. რედ. ს. ჯანაშია. ტფილისი, 1939, გვ. 131.
6. მუსხელიშვილი ლ. დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიები XVI-XVII სს. (მასალები სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის), – ენიმკის მოამბე, V-VI, 1940, გვ. 267-319, ბიბლიოგრ. შენიშვნებში.
7. მუსხელიშვილი ლ. თორელთა გენეალოგიის გარკვევის ცდა ჰამამლუს XII ს-ის წარწერებთან დაკავშირებით. – სსმმ, ტ. 10-B, 1940, გვ. 23-47, რეზ. რუს. ენ., ბიბლიოგრ. შენიშვნებში.
8. მუსხელიშვილი ლ., კაკაბაძე ს. მასალები დასავლეთ საქართველოს სოციალურ და ეკონომიკურ ისტორიისათვის. საისტორიო კრებული. წიგნი I, გვ. 1-94 და წიგნი III, გვ. 10-75, ტფილისი, 1928 წ. (რეც), – ენიმკის მოამბე, ტ. 7, 1940, გვ. 151-165, ბიბლიოგრ. შენიშვნებში.
9. მუსხელიშვილი ლ. არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავრის ხეობაში. თბ., 1941, გვ. 105, ილ., რეზ. რუს. და ფრანგ. ენ., ბიბლიოგრ. შენიშვნებში.
10. აბუსერისძე ტბელი. ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე 1233 წლ. ტექსტი გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა. 1941, გვ. 90.
11. მუსხელიშვილი ლ. ზოგიერთი საწყაოს ოდენობა დას. საქართველოში XVI-XVIII სს. (ფოხალი, მენახევრე, მახათელი, მთელი კოკა, საპალნე), – სსმმ, ტ. II-B, 1941, გვ. 20-24, ბიბლიოგრ. შენიშვნებში.
12. მუსხელიშვილი ლ. უკანგორის ისტორიული ნაშთები – ენიმკის მოამბე, ტ. 10, 1941, გვ. 159-182, ილ., რეზ. რუს. ენ., ბიბლიოგრ. შენიშვნებში.
13. მუსხელიშვილი ლ. მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის უძველესი წარწერები და მათი დამოკიდებულება მელქიზედეკ კათალიკოსის ანდერძთან, – ქართული ხელოვნება. ქართული ხელოვნების ისტორიის სექტორის შრომები. ტ. I, თბ., 1942, გვ. 133-142, რეზ. ფრანგ. ენ., გვ. 169-170, ბიბლიოგრ. შენიშვნებში.
14. მუსხელიშვილი ლ. სამშვილდის სიონის წარწერები და აშენების თარიღი. ენიმკის მოამბე, ტ. 13, 1942, გვ. 85-106, ილ. რეზ. რუს. და გერმ. ენ.

15. ყაუხჩიშვილი სიმ. ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან. პირველი წიგნი IV-VII საუკუნეებში, თბ., 1948, გვ. 216, დამატება: გათხრა ნოქალაქევ-არქეოპოლისში. ნოქალაქევის გათხრა. გვ. 188-201 [ა. შნაიდერის ანგარიში გერმანულდან თარგმნა ლ. მუსხელიშვილმა].
16. მუსხელიშვილი ლ. ხიდაშელი შ. და ჯაფარიძე ვ. გუდარეხის პირველი და მეორე (1938 და 1939 წწ.) არქეოლოგიური კამპანიის ანგარიში. ლ. მუსხელიშვილის რედაქციით. თბ., 1954, გვ. 138. ილ., რეზ. რუს. ენ.
17. 1930-1931 წლების ექსპედიციის ანგარიში. – ნოქალაქევი-არქეოპოლისი. I არქეოლოგიური გათხრები. 1973-1977, თბ., 1981, გვ. 228-239. [წინასიტყვაობა ს. ყაუხჩიშვილისა. ა. შნაიდერის ანგარიში თარგმნილია გერმანულიდან ლ. მუსხელიშვილის მიერ].
18. მუსხელიშვილი ლ. ნოქალაქევის დღიური (1930 XII. 28 – 1931 I. 28). – ნოქალაქევი-არქეოპოლისი. არქეოლოგიური გათხრები. 1978-1982, თბ., 1987, გვ. 287-306, რეზ. რუს. და ინგლ. ენ.
19. მუსხელიშვილი ლ. დმანისი. ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა. – დმანისი, II, თბ., 2000, გვ. 9-89.
20. Мусхелишвили Л. Город эпохи Руставели. – ИМ, кн. 3, 1937, Ис. 224-225 (по статье Л. Мусхелишвили из газеты "Заря Востока").
21. Мусхелишвили Л. Раскопки в Дманиси (Краткий очерк). – СА, №6, 1940, с. 258-286, ил., рез. на франц. яз., библиогр. в примеч.
22. Muskeli L., Kaukasische parallele zu einem, altaegyptischen Rennwagen – საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. VIII, ტფილისი (1933 და 1934), 1935, გვ. 143-148, ილ., რეზ. ქართ. ენ.

Levan Muskhelishvili

PROBLEMS OF THE HISTORY OF GEORGIA

Abstract

Levan Muskhelishvili, one of the pupils of Ivane Javakhishvili, was a prominent historian and archaeologist of the first half of the 20th century. Despite a short life span (he died at the age of 42 following a long illness), he left a significant impact on Georgian historiography.

A researcher of many interests, he successfully explored fundamental socio-economic problems, historical geography and epigraphy of the feudal period of Georgia. He built a foundation of the archaeological research of the feudal period of Georgia. Muskhelishvili's publications concerning source studies are considered to be exemplary. He also contributed to Georgian historical art studies and the archaeological research of Georgia of the feudal period

This book contains articles by Levan Muskhelishvili published in various periodicals, separate monographs and part of the unpublished material kept at K. Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts.

საძიებლები

პირთა

აბაშიძე ვახუშტი 463, 470, 529
აბელია 396
აბო ტფილელი 549
აბრამაისშვილი 487, 489
აბულასანი 428
აბულაძე ილია 397
აბუსერისძე იოანე 642, 643
აბუსერიძე აბუსერ (აბუსერიძე ტბელის ბაბუა) 646, 649, 677
აბუსერისძე აბუსერი I 649
აბუსერისძე გრიგოლი 646, 649
აბუსერისძე ივანე 646
აბუსერისძე იოანე I 649
აბუსერისძე იოანე II 649
აბუსერისძე სანანო ახოანი 646, 649, 678
აბუსერისძე ტბელი 631-635, 638, 639, 641, 643-650, 671, 677, 701, 711, 747
აბუსერისძენი 642
აგათია 36
აგუტი (გრიგოლ აბუსერისძის და) 646, 649, 678
ადამია მამუკელა 501
ადამია საყვარელა 501
ადამია ხახუტელა 501
ადუა 51
ავაგ (ამირსპასალარი) 641
ავეტისოვი 197
ავთანდილასშვილი გიორგი 224
აზიზაშვილი 50
აზნაურისშვილი 52
ათაბაგები 82
ათაბაგი დავით 430
ათაბაგი ეჯიბ 430
ათაბაგი ივანე 430
აირაპეტოვი 196
აკოფაშვილი 44
აკრიტოვი ბ. 156
ალაგარდოვი 44
ალავერდა 50
ალექსანდრე I 746
ალექსანდრე V 519, 520
ალექსანდრე მეფე 444
ალიბეგ 50
ალიხანა 50
ამად ყული 50
ამარტოლი არსენ 648
ამბალია ივანე 486
ამბალია ხუხულია 485
ამბარაშვილი 44
ამირველი 50
ამირიზა 50
ანდრია პირველწოდებული 421
ანტონ I კათალიკოზი 51, 228, 230-232
აპრისოვი 44
არანდარენკო მ. 37
არეშიშვილი გორჯასპი 224
არზუმანოვი 197
არიანე 35
არსუკისძე 561, 564, 569, 742
არშუშა 543
არშუშა II 543
არჩილი 544, 545
ასანა 50

ასატურა 50
ასიბა 431
ასლამაზა 50
ასლანი 214
ასლანიანცი 44
ასლანიშვილი 44
ასოღიკი 423
ატენელი ვეჟან 540
აფაქიძე ანდრია 750
აფრიდონი (მსახურთუხუცესი) 577
აქელანთ ბეჟია 224
აღა ყული 50
აღაიანი 196
აღბუღა 436, 517
აღსართან (აბუსერისძე ტბელის შვილი) 645, 649, 678
ახალაძე მ. 251
ახალციხელი ივანე 427, 430, 432, 436
ახალციხელი იოანე 427, 429, 434

ბაბინანთ თურმანა 224
ბაგრატ III 461, 463, 471, 544, 567
ბაგრატ IV 423, 550, 561, 643
ბაგრატ V 552
ბაგული (აბუსერისძე ტბელის ცოლი) 645, 649, 678
ბაიკო 754
ბაკური 201
ბაკურისციხელი ეგარსლან 431
ბალიანდი (აბუსერისძე ტბელის დიდედა) 646, 649
ბალიჭელი 43
ბალტრუშაიტისი 389
ბარაბაძე გიორგი 501
ბარაბაძე მამაგულა 501
ბარაბაძე მამისთვალა 501
ბარათაშვილები 41, 42, 50, 164, 222, 225
ბარათაშვილი აბრაამ 227
ბარათაშვილი იოთამ 49, 50
ბარათაშვილი ქრისტეფორე 51
ბარამიშვილი 50
ბარამიძე 45
ბარდაველიძე ვ. 380
ბართოლომე მ. 53, 90, 108, 165, 192, 199, 200, 213, 227, 535
ბარკალია აკაკი 749, 750
ბასილი 147
ბასილი ეზოსმოძღვარი 426, 429
ბასილი თორელ-ყოფილი 423
ბასილი კეისარი 567
ბატატა 599
ბატონიშვილი აბდულა-ბეგი 224
ბატონიშვილი ვახუშტი 40-42, 46, 47, 51, 52, 154, 156, 164, 189, 191-196, 198-201, 211-215, 221, 223, 225, 229, 231, 232, 248, 375, 389, 394, 398, 408, 414, 415, 423, 434, 506, 573, 639, 643
ბატონიშვილი ლეონი 230
ბატონიშვილი უსეინ-ბეგი 224
ბაქარი 544
ბაქრაძე დ. 232, 639, 719
ბაღათურია 23
ბაღდასაროვი 197
ბაყათარ 434
ბახტაძე გაბრიელ 498
ბახტაძე გამსაჯა 498
ბახტაძე გიორგისა 498
ბახტაძე ნასყიდა 497
ბახტაძე ნატრია 498
ბახტაძე ცოტნია 498
ბეკურ მეფე 547
ბეჟანა 51
ბერიძე ვ. 711, 712, 723
ბეროიანთ ზალია 224
ბერუაშვილი ედიშერი 223
ბერუკა 51
ბერქა ყაენი 49
ბერძენიშვილი დ. 704
ბერძენიშვილი დეევი 719
ბერძენიშვილი ნიკო 44, 215, 557, 559, 560, 563, 566, 567, 573, 712, 713, 715, 719, 725, 746
ბექა (მანდატურთუხუცესი) 434, 435
ბეღელასძე ოქროპირ 419, 733, 741
ბიჭვა გამგონი 485
ბოლნელი 225
ბოლნელი დავით 380, 381
ბოლნელი ელია 217-219
ბოლნელი იოანე 216, 219, 246
ბოლნელი ნიკოლოზ 221, 226, 227, 247
ბოლოკ-ბასილი 631, 633-640, 671-676, 742, 747
ბოროზდინი 495
ბოჭორიძე გ. 719, 720

ბროსე მარი 53, 94, 100, 106, 165, 192, 199, 207, 213, 217, 227, 415, 535, 536, 549, 559, 634, 746
ბურდუხან დედოფალი 216
ბურთუნქი 196
ბუღა თურქი 45
ბღუდახა 50

გაბაშვილი გ. 191
გაბაშვილი ციალა 37, 191, 251, 374, 715, 722, 723, 751, 754
გავაშელი 485
გალიკაშვილი 51
გამრეკელ-თორელი 424-426, 431, 435, 577
გამრეკელ-თორელი კახას ძე 425, 434
გამრეკელი ვარაზ-ბაკური 423, 424
გამრეკელნი 423
გარსევანიშვილები 223
გელოიანნი 528
გეორგ ლორელი 551, 552
გეორგი (სომეხთა კათალიკოსი) 551
გერმანოზისშვილი დათუნა 52
გილგენდორფი ი. 191, 753
გიორგი 13
გიორგი 49
გიორგი II 48, 461
გიორგი III 641, 642
გიორგი XI 227
გიორგი ბრწყინვალე 53, 106, 575
გიორგი კათალიკოსი 576-578
გიორგი მეფე 99, 104, 213
გიორგი მთანმიდელი 576
გიორგი რუსი 643
გლონისთავისძე ანტონი 428
გლურჯიძენი 223, 225
გოგეკა მიქელა 498
გოგილავა 489
გოგინა 599
გოგოლაძე დერმიშა 726
გოზალიშვილი გ. 20, 708, 737, 750
გომარელი 43
გოფოძე ივანა 498
გრიგოლ II კათალიკოსი 551
გრიგოლ კათალიკოზი 460, 513
გრიგოლ ხანძთელი 420, 544, 554
გრიგოლ ხუცესი 214
გრიგოლა 51
გრიგოლი (აბუსერის ძე) 645
გრიგოლი 644
გრიგოლი ერისთავთ ერისთავი (აბუსერისძე ტბელის ბიძა) 645, 646, 649
გრიგოლი წმ. 217, 219
გრიგოლია გოკურცხია 485
გრიგოლია ვაჟობა 485
გუბაზ მეფე 31
გუზანი 420, 432, 741
გურგენიძე ბადრია 224
გურიელი გიორგი 461
გურიელი მალაქია 494, 495, 500
გურიელი როსტომ 461
გურმიხილა ჩ. 485

დაბალა 485
დადიანი ლევან 461, 521
დადიანი ლეონ 461
დადიანი მამია 461
დავით V 152, 185
დავით IV აღმაშენებელი 48, 49, 152, 157, 185
დავით ეპისკოპოსი 206, 379
დავით მეფე 153, 185
დავით ნარინი 153, 159, 535, 641
დავითი 103, 104
დარეჯან ბატონიშვილი 522
დაფანჩული არშუშა 544
დე მორგანი 15, 19
დემეტრე I 185
დემეტრე დეკანოზი 50
დემურა 50
დემურაშვილი 43, 44
დიასამიძე 646
დიდია თოლიოქრო 485
დიდია მუშატია 485
დიდია ხახუტა 485
დიმიტრი 49
დიმიტრი II 49, 255
დიოკლეტიანე 30
დმანელი ეპისკოპოსი 52, 225
დოლენჯიშვილები 225
დომენტი ქაიხოსროს ძე (კათალიკოზი) 227
დოჭვირი ბაჩუნია 501
დოჭვირი მამუკა 501
დრასხანაკერტელი იოანე 551
დურანა(ნ)თ დურია 224
დუშია 200

ედესელი მათე 423
ევსტათი მცხეთელი 543
ელია 51
ელია მთავარეპისკოპოსი 201
ელისე ეპისკოპოსი დმანელი 51, 231
ემინა 51
ემუხვარი დ. 374
ეპიფანე კათალიკოზი 104
ერეკლე II 51, 52, 196, 232
ერისთავთერისთავი გურგენ 218, 219
ერისთავთ-ერისთავი ვარდანი 645, 677
ერისთავი ე. 37
ერისთავი რ. 467, 475, 476
ერმაკოვი 557
ეფრემიძე 498
ექვთიმე მთაწმინდელი 421, 576
ეჯუბაშვილი ვართან 224

ვანენი 645, 649, 677
ვარაზბაკური 538, 541-543
ვარამ გაგელი 436, 641
ვარდანისძე კახაბერ 428
ვარსქენ პიტიახში 543
ვახახი (აბუსერის ასული) 645, 649
ვახტანგ III დიმიტრის ძე 49
ვახტანგ V 197, 224
ვახტანგ VI 195, 222, 228, 230, 231, 248, 519
ვახტანგ გორგასალი 201, 205, 206, 543, 544, 746
კპატოსი დემეტრე 388

ზავარაშვილი ბეჟან 224
ზაქარაია პ. 20
ზაქარია (აბუსერისძე ტბელის შვილი) 645, 678
ზაქუმიშვილები 222
ზახაროვი 15
ზიადანთ ოთარა 224
ზოდიაშვილი 44

თავართქილაძე 492
თათვარაზი 379, 384, 390
თათულიანცი 44
თალგამაძე 496
თამაზა 51
თამარ მეფე 44, 57, 92, 122, 134, 152, 157, 185, 419-422, 426-429, 432, 435, 436, 575, 641, 642, 733, 741
თამარი (აბუსერის ცოლი) 645
თარხნიშვილი იოსებ 51
თაყაიშვილი ექვთიმე 53, 94, 98-100, 106, 165, 197, 198, 200, 201, 212-214, 232, 248, 254, 255, 390, 396, 434, 493, 507, 510, 535, 536, 545, 546, 549, 719, 724, 746, 753
თევდოსი ეპისკოპოსი 53, 98, 99, 106
თეიმურაზ II 232
თეიმურაზი 224
თემისტე 36
თინა 437
თმოგველი 577
თმოგველი თაყიადინ 577
თმოგველი სარგის 420, 427, 430, 432, 577, 741
თოლაქ-დემური 432
თორელები 422, 423, 432
თორელი ივანე 422
თორელი ლიპარიტ 431
თორელი შალვა (ახალციხელი) 422, 427-430, 432, 434, 436
თოფჩიშვილი მიქელა 51
თრდატ მეფე 213
თუმანიშვილები 194, 223
თურმანიძე თურმან 197, 225
თურქისტანიშვილები 390

იაგულაშვილი ვახუშტი 224
იაკობ ხარაზი 51
იაკობ ხუცესი 543
იალუბ-ყაენი 49
იაშვილი ქაიხოსრო 531
იბრეიმა 50
ივანე (აბუსერისძე ტბელის შვილი) 645, 649, 678
ივანე ერისთავთ ერისთავი (აბუსერისძე ტბელის მამა) 645, 646, 649, 677
იოანე 418
იოანე ხუცესი 50
იოვანე 542, 543, 545, 548, 676
იოთამისშვილი დავითი 230
იოსები (ბოლოკ-ბასილის შვილიშვილი) 633, 638
იოსები ივანეს ძე 675, 676
იოსელიანი პლატონ 213, 231
ისმეილა 50
იუსტინიანე 35
იუსტინიანე კეისარი 46

კავნელი ჰასან 425
კაისარიძე მამისბედა 502
კაკაბაძე ეკ. 374
კაკაბაძე ს. 462, 463, 475, 506-512, 516, 517, 521, 522, 562, 564, 721, 727
კაკუა იშამორთა 485
კაკუა მოირდინა 486
კაკუა მხიარუკა 485, 486
კაკუტა 51
კალანდაძე 492
კალმახელი სულა 644
კანდელაკიშვილი ბასილი 599
კაპანაძე დ. 37, 253, 752
კარბელაშვილი 565
კარსანიძე ხახუტა 501
კატარანისძე ნიკოლოზი 580
კახა (თორელი) 419-421, 432
კახა ერისთავთ ერისთავი 425
კახა (მეჭურჭლეთუხუცესი) 431, 433, 434
კახა (ჯავახი) 424-426, 432
კახაბერი 422
კეთილაძე კოჩია 496
კეთილაძე პლატონ 52, 108, 111
კეთილაძე ხუცესი 497
კეკელიძე კორნელი 215, 232, 463
კესარიელი პროკოფი 31-33, 35, 36
კირაკოს განძაკელი 436
კონდაკოვი ნიკომიდე 746
კონსტანტინე (დავით ნარინის ძე) 535
კონსტანტინე (მეფე) 538, 542
კონსტანტინე 545-547, 549, 711, 746
კონსტანტინე V კოპრონიმე 547, 549, 746
კონსტანტინე VI 547
კონსტანტინე დიდი 30, 31
კონტარია 487, 490
კონჯარია 472, 473, 487, 514
კოპალიანი ჯუმბერ 732
კოპეშავიძე მახარა 498
კორიუი 543
კოსატაია 485
კოსტანიანცი კ. 423
კოსტანტი II 545
კრავაი (ბელელასძე ოქროპირის ცოლი) 419, 420, 733, 741
კუატარა კოჩივარა 490
კუატუშაძე ამინადარა 498
კუბლუასშვილი ნასხიდაი 460
კურაპალატი აშოტ 541, 554
კურაპალატი გუარამ 544
კურაპალატი დავით 423
კუფტინი ბორის 750

ლაითაძე მამისთვალა 498
ლაითაძე მახარა 498
ლამბერტი არქანჯელო 460, 463, 464, 468-470, 484, 485, 495, 498, 500, 512-514, 525
ლანგ-თემური 49, 154, 157, 248, 444, 746
ლასურია უკულაში 485
ლასურია უსკუამ 485
ლაშა-გიორგი 49, 104, 157, 428, 429
ლაშქარაშვილი 44
ლაშქარაძე დ. 37
ლემსიწვერიძე 466
ლეონ (აფხაზთა მეფე) 535, 538, 542
ლეონ I (აფხაზთა მეფე) 546
ლეონ II 545
ლეონ IV ხაზარი 547, 549, 746
ლეონ V სომეხი 547
ლეონი 545-549, 711, 746
ლეონტი მროველი 423, 543
ლიპარიტ აბუსერი 643-645
ლომაძე დ. 252
ლომოური თ. 153
ლორთქიფანიძე გრიგოლ 527, 531

მაგთაღიანი 44
მავრიკი კეისარი 544
მაზმანიშვილი 50
მაკოჩია 485
მალაქია კათალიკოზი 508, 523
მალინა(ნ)თ ყაზარა 224
მამაგულაშვილი ბერუა 224
მამასახლისი გიორგი 480
მამლანი (ამირა) 423
მამრიკისშვილი ნაცვალი 463
მამფალი აბულ 217
მამფალი გუარამ 721
მამფალი დავით 217
მამფორია 495
მანგუ-ყაენი 134
მანთაშანთ ყაითმაზა 224
მანუჩარ მდივანი 230

მანუჩაროვი 196
მარი ნიკო 150, 160, 399, 719
მარიამ დედოფალი 201, 225, 247, 561
მარკოზია 490
მარტიროზ ველიჯან 50
მარტიროზაშვილი 43
მარტიროსიანი 44
მარტიროსოვი 43
მარუშიანები 433, 435
მარუშიანი ვარდანისძე 433
მარქარა 50
მარქარიანცი 44
მაღლაკელიძე 498
მაღრაძე ალ. 44, 724
მაჩალაძე 521
მაჭავარიანი ლ. 37, 251
მახსუდ 50
მდივანი ვლ. 37
მებუკე კაცია 496
მებუკე სულმამა 497
მელაძე 501
მელიქსაფაროვი 196
მელიქსეთბეგი ლ. 145, 199, 398, 400, 425, 708, 719
მელქიზედეკ კათალიკოსი 557, 560, 561, 564-569, 741, 742, 746
მემარნიშვილი 50
მენთეშაშვილი სტ. 37, 191, 753
მესჩანინოვი 15
მეფისაშვილი რ. 37, 374, 752
მირაქაშვილი მირაქ 224
მირზაშვილი ნატალია მიხეილის ასული 736
მირიანი 544
მირიანი (სამცხის დიდებული) 420
მირიმანაშვილი 50
მიტიჩა 50
მიქელ 220
მიქელაძე დ. 37
მიქელოვი 196
მკერვლისშვილი ზაალ 232
მკერვლისშვილი როსტომა 232
მოლა ასანა 50
მოლა აჯაი 50
მონტელიუსი 14
მორთულაძე 197
მოსიანცი 43
მოსიაშვილი 43
მურადაშვილი 44
მურვან ყრუ 34, 544, 545, 548
მურიე 476
მუსეზა 50
მუსელიანცი 44
მუსლიაშვილი 44
მუსხელიშვილი დავითი 20, 21
მუსხელიშვილი ვახტანგ 705, 712, 713, 736
მუსხელიშვილი ლევან 20, 21, 161, 250, 251, 263, 363, 364, 423, 697, 698, 700-708, 710, 711, 713, 732, 754
მუხრანბატონი ბაგრატ 227
მუხრანბატონის ძე ნიკოლოზ 227
მუხურგნია მიხილია 485
მხარგრძელი 579, 610
მხარგრძელი ზაქარია 422, 428, 429
მხარგრძელი სარგის 422, 425-427, 436, 575-577, 580, 597, 598, 600

ნავროზა 50
ნავროზაშვილები 222, 225
ნაზარა 50
ნაზი (ვარდანის და) 645, 649
ნათელ (აბუსერის ცოლი) 645, 649
ნაჰაპეტი ვარსქენ 208-210, 381, 438, 442
ნემსაძე დავით 501
ნერსე ერისთავი 554
ნესტორ 103
ნიკორწმინდელი სვიმონ 527
ნიორაძე გ. 416
ნისიმე 678
ნოდარა 200

ობოლაძე გიორგა 460
ობოლაძე გიორგი 460
ობოლაძე ზაქარია 460
ობოლაძე ქრისტეშია 460
ობოლაძე ხახუტა 460
ონოფრე (აბუსერისძე ტბელის შვილი) 645, 649, 678
ორბელი 50
ორბელი ლიპარიტ 425
ორბელი სუმბატ 423
ორბელიანები 41, 42, 44, 45, 52, 79, 164, 195, 211, 222, 223, 225, 390
ორბელიანი დ. 53, 165

ორბელიანი დომენტი 231
ორბელიანი ლიპარიტ 422
ორბელიანი ნიანია 422
ორბელიანი პაპუნა 41, 52, 164, 229-231, 247
ორბელიანი რატი 422
ორბელიანი ს. ს. 222, 510, 519, 529, 545
ორბელიანი სტეფანო 424-426, 432
ორუჯა 50
ორქოშია მამფორია 496
ოსკანიანი 44
ოქრიაშვილი 44
ოქრომჭედლისშვილი 50
ოჰანეზოვი 44

პავლე 51
პაპაშვილი 44
პაპიანცი 44
პაპუა 200
პაპუაშვილი 44
პეროზ მეფე 204, 205, 247
პეტრე (ხუცესი) 379
პეტრე 220
პეტროზანთ თამაზა 224
პლინიუსი 29
პონილი 676
პროკლე 678

ჟვანესკირია ბაბაშური 464
ჟვანია მარო 750
ჟორდანია თ. 559, 560, 565, 573, 574, 600, 634, 646, 650, 654, 670, 711

რატი (ქართლის ერისთავი) 420, 432
რებიძე 492
რევისშვილი იოვანე 227, 231
რევისშვილი იოსებ 227
როსტომ მეფე 194, 225, 444
როსტომაშვილი ივ. 435
რუსთაველი შოთა 156, 157, 159, 161, 162, 191, 709, 732, 734, 737, 738, 740, 745
რუსუდან (აბუსერისძე ტბელის შვილი) 645, 678
რუსუდან დედოფალი 68, 78, 134, 135, 152, 153, 159, 181, 185, 251, 255, 364
რჩეულასშვილები 225, 574
რჩეულასძენი 574

საბა (ბოლნისის ეპისკოპოსი) 227
საბანისძე იოანე 547-549, 554
საბინინი 421
საგდუხტ (აბუსერისძე ტბელის მამიდა) 645, 646, 649, 677
სადუნ მანკაბერდელი 49, 434
სავარსამიძე სარგის (მხარგრძელი) 577
სამძვარნი 422, 432
სამძივარი (ვინმე) 421
სამძივარი არსენ 422
სამძივარი კახა ერისთავი 419-422, 432, 434, 710, 723, 733, 741
სანანო 641
სანოძე დათვია 498
სანოძე ივანა 497
სანოძე კაკუა 498
სანოძე მიხილია 498
სანოძე ხახუტა 496
სანოძე ხოხონა 498
სარგის I 577
სარგის II 577
საფარა 50
საყვარელიძე ეფთვიმი 460
საჰმადავლა 431
სეიდი 50
სელიმაშვილი 44
სერაპიონ ზარზმელი 422
სვანისშვილი გიორგი 50
სვიმონ მეფე 51
სიმონ I 469
სისოევი ვ. 397, 398
სკანდარა 50
სოლომონ I 470
სომღულაშვილი ივანე 50
სონღულაშვილი ირ. 407, 723, 753
სოსლანი დავით 421, 429
სტეფანე ბერი 633
სტრაბონი 32, 35, 36, 443
სტრიგოვსკი ი. 376, 378, 380, 389, 393, 413, 439, 441, 442
სუიმონ მთავარეპისკოპოსი 201
სულთანა 50
სულხანიშვილი 197
სუმბატ დავითისძე 545
სურამელა 51
სურამელი გრიგოლ 431
სურამელი რატი 426

ტაბიძე მახიტა 497
ტაბიძე მიხილია 497
ტალგრენი 14
ტბელი ანტონ 647
ტბელი დავით 647
ტერ-მესროფა 224
ტიბერიუსი 24
ტიმოთე მთავარეპისკოპოსი 232
ტფილელი ეფთვიმი 231

ულუ-დავითი 49, 104, 106, 431
უმიკაშვილი პ. 222, 248
ურატაძე მამისთვალი 490, 492
ურატაძე ხუტუნა 490, 492
ურდუბეგაშვილები 225
ურუმაშვილი 44
ურქმაზაშვილი ფარსადან 224
უსუფა 50
უღალაშვილი 598-600
უჩაია 490

ფალელი ჩანჩახ 643
ფანცულეია მასორდია 496
ფარადავლა (შალვა ახალციხელის შვილი) 430
ფარეხელი იოანე 213
ფარპელი ლაზარე 543
ფარსელა 50
ფარსმან IV 201
ფარსმან ქველი 543
ფარცხელაძე ნასყიდა 498
ფენჩაისშვილი გოჩია 498
ფენჩაისშვილი მახარა 498
ფეროზ 544
ფერჩანგოვი 196
ფირ აზიზა 50
ფირადა 50
ფირაიზა 50
ფირაპი ამად 50
ფირცხალავა კაცობელა 501
ფირცხალავა შუშუა 50, 502
ფიცხელაური მუშია 502
ფოტინე (აბუსერისძე ტბელის მამიდა) 646, 649, 677
ფურცელაძე დ. 227, 230

ქავთარაძე ა. 37
ქავთარაძე გ. 37
ქასაშვილი ირ. 37
ქაქალია 485
ქაცარავა ქრისტესშია 495, 498
ქაცარავა ხუცესი 498
ქაჯაია 489
ქვეშელი ლიპარიტ 399
ქიტუაშვილი დათუნა 224
ქორთოძე 508
ქოჩორიანი 44
ქუნია ბაბადია 485
ქურია 486

ღარიბაისძე მურვან 575, 578
ღვიცაძე მამაგულა 496, 498
ღულაიშვილი ნასყიდა ჩიტი 498
ღუძაძი იმედისა 502

ყაზარაშვილი 44
ყაზარიანცი 44
ყაზია 50
ყამბარაშვილი 44
ყანდიასშვილი დავითა 224
ყანჩაელი ილარიონ 561
ყარაბუდახიშვილი გიორგი 52
ყარაგოზა 50
ყასუმა 50
ყაუხჩიშვილი ს. 20, 21
ყაფლანიშვილები 52, 222, 225, 231, 232, 390
ყაფლანიშვილი გიორგი 200
ყაფლანიშვილი გორჯასპი 200
ყაფლანიშვილი ზურაბი 200, 232
ყაფლანიშვილი პაპუა 200
ყიას-ედ-დინი 430
ყლარტაისშვილი ლომინა 498
ყულიაშვილი საქია 224
ყურთლუ ასლანი 420, 741
ყურუმჩი ბადური 432
ყუფარაძე 498

შავგულიძენი 466
შავერდა 50
შავერდაშვილი დათია 224
შალამბერიძე 35, 501
შამაზაშვილები 225

შანიძე აკაკი 197, 204, 207, 379, 573
შანშე (მანდატურთუხუცესი) 641
შანშიაშვილი 214, 225
შარდენი 522
შარვაშიძე ყვაპუ 528
შაღუბათასშვილი 50
შაღულიანასშვილი ამირხანა 224
შაღულიანასშვილი შანაზარა 224
შაყულისშვილი 50
შელფერი 19
შენგელია 503
შერმაზაშვილები 225
შიოშბეგისშვილები 222
შიხიაშვილი 50
შნაიდერი ა. 20, 21, 23-25, 28-31, 35, 713, 749, 750
შუშანია 487, 490
შუშანიკი 216

ჩაბაიძე გაბრიელ 213
ჩაგუა 485
ჩაგუა კაკაია 485
ჩაგუა ჯგეგერშია 485
ჩაჩიკაშვილი 50
ჩიბურდანიძე 466
ჩიგიანასშვილი მირიმანა 224
ჩიგიანთ ბეჟოა 224
ჩიკვატიძე ოთარ 525
ჩიმაგაძე სვიმონ 501
ჩიტაია გ. 254, 380, 428
ჩიქვანი გაბრიელ 527-529
ჩუბინაშვილი გიორგი 37, 79, 170, 191, 202, 247, 252, 380, 393, 394, 554, 557, 561, 565, 708-710, 714, 715, 722, 732, 737, 744-746, 749-751, 753
ჩხეიძე სეხნია 41
ჩხეტია შ. 374

ცაგერელი გაბრიელ 466
ცაცა 645, 649, 677
ციკუკტია 490
ციცუნაშვილი 475
ცუარი (გრიგოლ აბუსერისძის და) 646, 649, 678

ძაძუები 472, 473
ძეგელაშვილები 222, 225

წაბრალეისშვილი გიორგა 495, 496
წათე 31
წებელარა მამულია 485
წერეთელი გ. 153
წივწივაძე გიორგა 498
წივწივაძე გუგუვა 497

ჭამჭიანიძე მახარა 498
ჭვიტიშია 490
ჭიაბერი (მანდატურთუხუცესი) 427, 428
ჭილაძე კაცია 528, 529
ჭონაშვილი ულუხანა 224
ჭყონდიდელი ანტონ 575
ჭყონდიდელი გიორგი 428
ჭყონდიდელ-ცაგერელი გაბრიელ 504, 516

ხათუთა (გრიგოლ სურამელის ასული) 431
ხათუთა (სამძივართა ასული) 433
ხათუთა დიოფალ-დიოფალი (აბუსერისძე ტბელის დედა) მონაზონი ელატირინე 645, 649, 677
ხათუნი 645, 649
ხანდამისშვილი 50, 51
ხანყული 50
ხახანაშვილი ა. 231, 462, 506, 727
ხერხეულიძე ომან მდივანბეგ 196
ხიდაშელი შალვა 37, 251, 252, 745
ხიზანა 51
ხიმშიაშვილი 599
ხორენაცი მ. 543
ხოსრო II 386
ხოხობაძე ნასყიდა 498
ხუაშა (გრიგოლ აბუსერისძის ცოლი) 646, 649, 678
ხუაშაქი ცოქალი 420, 432, 741
ხუროძე ბუჭუელა 501
ხურციძე გიორგი 498
ხუციშვილი მ. 383, 411, 412
ხუხულია 485, 486
ხუჯაბიძე 212

ჯავარაშვილი ბახია 224
ჯავახიშვილები 425, 434
ჯავახიშვილი ივანე 37, 82, 103, 156, 191, 206, 207, 209, 211, 212, 218, 250, 423, 435, 436, 459, 463, 506, 519, 521, 522, 560, 573, 631,

697, 700, 701, 703, 704, 709, 711, 712, 714, 718, 721, 724, 726, 732-738, 740, 743, 749-751
ჯაველი 495
ჯაკობია ხუხინია 486
ჯალალ-ედინი 430, 641
ჯალალიანცი ს. 398, 400
ჯამბურია გივი 705, 732
ჯანაშვილი მ. 215, 232, 573
ჯანაშია სიმონ 205, 712, 713, 715
ჯანდიერისშვილი ავთანდილ 224
ჯანდიერისშვილი გორჯასპი 224
ჯანიაშვილი 50
ჯაფარიძე ვახტანგ 37, 251-253, 717, 733, 745
ჯაფარიძე ირ. 37, 251, 752
ჯაყელები 435
ჯაყელი ბექა 434, 436
ჯაყელი ბეშქენ 422
ჯაყელი ბოცო 422
ჯაყელი კრავაი 420, 425, 432, 433, 435, 733, 741
ჯაყელი მემნა 422, 423, 425
ჯაყელი სარგის 436
ჯაყელი ყვარყვარე 436
ჯიტა ჯუარისა 485
ჯიქია სკუამილეი 485
ჯომნია გამიგონა 485, 486
ჯომნია ვაჟიკოჩა 486
ჯომნია თოთიბია 487, 490
ჯუანშერი 34, 201, 206, 543-545, 552, 554

ჰაბიბ იბნ-მასლამა 545
ჰასან არსენის ძე 213
ჰაჯალოვი 197
ჰერაკლე კეისარი 544
ჰერცფელდი ერნესტ 708, 743
ჰეჯუბაშვილები 225
ჰეჯუბაშვილი ხეჩიკა 224
ჰრაჟუნა 485

Абубекр 185

Банк А. В. 189
Бараташвили 164
Бараташвили Иотам 164
Бараташвили Орбел 164
Барнавели С. В. 185
Бартоломей А. 165
Берке-хан 163

Вахтанг III Димитриевич 163
Вахушт 164, 189

Георгий 163
Георгий II 163
Георгий III 371
Георгий IV Лаша 163, 369, 371, 373
Георгий VII 185

Давид IV Строитель 163, 185
Давид V 163, 185
Джавахишвили И. А. 162
Димитрий 163
Димитрий I 185
Димитрий II 163

Ильдигизиды 185

Карабудахисшвили 164
Кубе А. Н. 188
Кученбах 190

Ломоури Т.Н. 185

Марр Н.Я. 183,187
Мария (Богородица) 170, 172
Меликсет-Беков Л. Т. 183
Мусхелишвили Л. 181

Орбели И. А. 183, 186
Орбелиани 164
Орбелиани Дм. 165
Орбелиани Папуна 164

Руставели Ш. 181, 185, 186, 189
Русудан (царица) 176, 181, 185, 370, 372, 373

Садун Манкабердский 163

Такайшвили Е. С. 165, 367, 372
Тамара (царица) 166, 175, 185, 370, 371, 373
Тимур (Ленг) 181, 189

Церетели Г. В. 172

Чубинашвили Г. Н. 170

Якуб-хан 163

Brosset M. 162-164
Champollion J. F. 16
Hancar F. 18
Hubert H. 18
Morgan J. de 16, 17
Nuoffer O. 18
Schäfer H. 16-18

გეოგრაფიულ სახელთა

ა/კავკასია 19, 154
აბასთუმანი 15, 701, 709, 719-721
აბულბუგი 38, 47, 390, 391, 439, 443, 724, 733, 747
აგარა 412
ადარბადაგანი 423
აზერბაიჯანი 13, 363
ათენი 441
ათონი 644
აითარნე 461
აკაურთა 197, 202
ალავერდი 633, 675
ალბანეთი 32
ალგეთი მდ. 253, 265, 367
ამალუ 412
ამიერკავკასია 13, 32, 157, 160
ანაკოფიის ციხე 544
ანანური 392
ანირი 495
ანისი 104, 150, 154-156, 160, 192, 412, 424, 439, 642, 643
არაზინდო 720
არეზი 32
არმაზი 443, 543
არმაზისხევი 740
არსიანის მთა 635-638, 642
არტაანი 429, 635
არტანუჯი 642-644
არტაქსატი 32
არუჭი 553
არუხა 461
არუხლო 40
არქეოპოლისი 24, 26, 30-32, 35, 36
აფხაზეთი 13, 14, 459, 471, 512, 522, 523, 547
აფხაზეთ-იმერეთი 13
აღბულახი 40
აღმოსავლეთ საქართველო 13, 14, 150, 462, 519, 548
აღობილის მინდორი 720
აშოცი 443, 544
აწყვერი 421, 643
აწყური 421
აჭარა 634, 635, 637-639, 641-644, 721
ახალდაბა 460
ახალსოფელი 480
ახალქალაქი 426, 431, 574
ახალციხე 427, 429, 635, 636
ახკერპი 191, 211
ახლო აღმოსავლეთი 156
ახპატა 412
ახტალა 19, 44, 90, 411

ბაგავანი 553
ბაგარანი 553
ბაგუძლა 487
ბათუმი 635, 636
ბაკისუბანი 494
ბაკო 634, 636, 637
ბალიჭი 38, 42, 44, 47, 48, 733
ბალიჭის ხევი 40, 374, 439
ბამბაკი 41, 155, 443
ბარდავი 544
ბარი 471, 476
ბასიანი 427, 641, 645
ბაღდადი 548, 549
ბაშელი 467
ბაში 477, 484, 729
ბაშქიჩეთი 38, 40, 46, 74, 156, 414, 437, 733, 739
ბედია 412
ბეთლემი 29, 32
ბეიუქ-გიუნეი 637
ბერდიკი 194
ბერდუჯი მდ. 191
ბერლინი 697, 700, 705, 713, 736
ბიბლოსი 15, 19
ბიზანტია 30-32, 151, 363, 386, 547, 549
ბიჭვინთა 471
ბოდალხევი 721
ბოდო-კლდე 15, 708, 721
ბოლნის-დმანისი 48, 374, 439, 443, 733
ბოლნისი 40, 51, 155, 191, 192, 194-203, 205, 210, 213, 215, 220-225, 227, 229-233, 237, 243, 247, 248, 378-382, 387, 391, 393, 403, 439, 442, 443,

554, 697, 698, 702, 709, 716, 722, 723, 738, 739, 741, 744, 745, 751, 753
ბოლნისის ხეობა 38, 192, 198, 200, 211, 229, 247, 439, 739
ბოლნის-ხაჩინი 38, 733
ბოლოლის მთა 40
ბორბალა მდ. 637
ბორი 14
ბორღალეთი 675
ბოსლები 38, 43, 44, 88, 375, 408, 724, 733, 747

განძა 633, 675
განჯა-ყარაბაღი 13
გარეუბანი 108, 129, 139, 149
გარნისი 430
გეგუთი 697, 710, 722, 744
გელათი 411, 463, 471, 475, 476, 513, 729
გერმანია 705, 713, 736, 749, 750
გეტინგენი 697, 700, 705, 713, 736
გეტის ხევი 40
გოდერძის უღელტეხილი 14, 721
გომარეთი 41
გორი 634
გორუნჯუკი 38, 41, 42, 44, 47, 48, 374, 375, 733
გოჩულუ 192-194, 211
გუგარკი 443
გუდარეხი 250-254, 263, 265, 279, 363, 364, 366, 367, 373, 396, 697, 717, 722, 724, 740, 741, 744, 752
გუნია-ყალი 427
გურია 461, 464, 468, 471, 473, 474, 481, 484, 493, 494, 498, 510, 512, 513, 515, 517, 634, 727, 729
გურუა 488
გურუნჯუკი 43
გურჯი-ბოლაზი 641

დაბლაგომი 14
დავით-საგარეჯო 398, 399, 733, 747
დამბლუტი მდ. 47, 48, 374, 375
დამბლუტის ხეობა 41, 374, 375, 379, 439
დარიალის ხეობა 162
დარჩელი 508, 509
დასავლეთ ევროპა 386
დასავლეთ რუსეთი 13
დასავლეთ საქართველო 13, 459, 461, 462, 464, 483, 506, 512, 513, 517, 519, 521, 522, 527, 529, 532, 698, 705, 706, 721, 726-731, 742
დაშტი-ყულარ 211
დაშურიმორთა 487
დბანის ციხე 43
დემურდაღი 211
დვინი 160
დიდგალავანი 47
დიდი დმანისი 38, 42-46, 165, 733
დიდი ლიახვი 421
დმანისი (ნაქალაქარი) 37-53, 68, 71, 78, 79, 87, 91, 94, 100, 103, 104, 107, 110, 114, 122, 128, 140, 145, 148, 149, 151-157, 159, 161-165, 170, 172, 176, 177, 185, 188-190, 192, 248, 251, 363, 366, 374, 389, 390, 398, 400, 401, 408, 409, 413-415, 443, 444, 697, 698, 702, 710, 716, 722, 723, 732-735, 739-741, 752
დოშკა 750

ეგვიპტე 19
ევრაზია 13
ელიშია 488
ერევანი 13
ერერუიქი 382
ერთაწმინდა 412, 413
ერკოტა (ერკუატა) 574
ერუშეთი 429, 574
ესპანეთი 385

ვალე 420
ვანი 14, 375, 573-575, 578
ვარდისუბანი 38, 42-44, 46, 375, 733
ვარძია 574, 577, 708, 711
ვარხანი 720
ვაშლოვანი 642
ვახანი 573
ვაჰანი 573-577, 580, 598, 600, 601, 711, 732, 742, 747

ზანტაური 720
ზაქარ-წმიდის მთა 636
ზედა ვარძია 574
ზემო აჭარა 637, 641, 642, 647
ზემო ბოლნისი 200, 201, 212, 224, 225, 227, 248
ზემო იმერეთი 13, 522
ზემო ნოქალაქევი 23, 36
ზემო ოროზმანი 38, 437-439, 741
ზემო ქართლი 52
ზემო-უბანი 109

თაგუთი 415
თალიში 13
თბილისი 20, 40, 46, 49, 92, 153, 154, 156, 163, 190, 192, 197, 251, 363, 366, 378, 392, 393, 411, 413,

438, 506, 543, 633, 635, 639, 641, 672, 697, 705, 711, 713, 736, 746, 753, 754
თეთრი წყარო 253, 367
თეძმის ხეობა 425, 431, 436
თიანეთი 721
თილითი 470, 494
თმოგვი 426, 427, 574, 577
თორი 423, 424, 643
თრიალეთი 191, 195, 544, 637
თურქეთი 44, 211, 416
თუხარისი 429

იბერია 14, 31, 32, 443, 543
იდ-კერპი 211
იერუსალიმი 399, 629
ikორთა 92, 413
იმერეთი 461, 463, 464, 471, 476, 494, 495, 502, 510, 512, 513, 516, 519, 573, 635, 727
ინგლისი 526, 530, 531
ინდოეთი 31
ირანი 110, 111, 363
ისპიანი 37
ისპიანის ხეობა 37, 47, 739
იტალია 386
იყალთო 366

კავკასია 14, 188, 544
კაზრეთი 37, 43, 44, 47, 48, 375, 391, 399, 723, 733
კაზრეთის ხევი 40, 374, 375, 398, 753
კაკლიანი 38, 88, 375, 414, 733
კალინოვკა (ყოფილი ვოროცოვკა) 40, 156
კალოუბანი 720
კარნუქალაქი 431, 548
კაცხი 465, 521
კახეთი 14, 164, 545
კეჩუთის ქედი 40, 439
კვინჩხიანი 38
კვირიკე 552
კვრინჩიანი 733
კიანეთი 38, 46-48, 154, 394-399, 439, 443, 724, 733, 747
კიწია 749
კლარჯეთი 544, 633, 642, 644
კოდა 197
კოდუხ-ვანქი 397, 398
კოლხეთი 24, 31, 32, 35, 36
კონსტანტინოპოლი 29-31
კორთხა 482, 514
კრკონი 375
კუებლევი 461
კუმურდო 574
კუხი 461

ლაზიკა 14, 31, 32
ლეზარქუე 23
ლელვარი 14, 19, 192
ლელვარ-ლოქის მთა 192
ლიხთ-იმერეთი 506
ლიხის უღელტეხილი 14, 547
ლოგუა 488
ლორე 40, 154, 192, 195
ლოქის მთა 40, 156, 191, 374, 415
ლოქის წყლის ხეობა 38, 733, 739
ლოქ-ჯანდარის წყალი 415, 416
ლუკუნის მთა 38, 40, 88, 733, 739
ლუქსემბურგი 40, 47, 156, 191-193, 399, 400

მათხოჯი 496, 500-502, 507, 511
მამიშლუ 38, 416, 733
მანგლის-თრიალეთ-კოხტასთაეი 636
მანთხიჯი 494
მარაბდა 38, 375, 439
მარკოზია 487
მარტვილი 216, 394, 412
მატუფია 488
მაღაროს ხევი 375
მაღლაკი 476, 729
მაშავერა მდ. 40, 41, 43, 46-48, 88, 156, 158, 161, 193, 194, 224, 374, 375, 390, 391, 398, 399, 401, 408 414, 415, 437, 439
მაშავრის ხეობა 37, 38, 52, 53, 61, 71, 162, 167, 192, 211, 214, 215, 374, 439, 443, 710, 723, 733, 739, 741
მაჰმუდლი-დარია 437, 439
მერმეროე 33
მესოპოტამია 151
მესტუმრია 487
მესხეთი 377, 420, 548, 573, 575, 641, 642
მზიეი 421
მირაშხანი 574
მიუნხენი 697, 700, 705, 713
მიჯა 43
მტკვრის ხეობა 424, 574
მუტავისი (მუტაკისი) 42
მუღანლუს წყალი 415
მუღანლუს ხეობა 416
მუხურა 470
მუხური 494, 523, 524

მცირე აზია 14, 548
მცხეთა 14, 382, 388, 389, 392, 403, 411, 540, 557, 565, 566, 701, 709, 741, 746, 747

ნაგვაზაუ 466, 523
ნავენახევი 494
ნაკურალეშე 514
ნაჟანეული 471-474, 487, 492, 514, 515, 517, 523, 528, 729
ნასაბაჯვრევი 720
ნასოფლარი ხევი 720
ნიკორწმინდა 392, 411, 413
ნორბაიაზეთი 15
ნოქალაქევი 20-22, 24-26, 28-32, 34-37, 708

ოდესა 151
ოდიში 460, 463, 464, 471, 484, 492, 494, 509, 512, 513, 521
ოპიზა 421, 633-636, 672
ორსაყდარი 38, 391, 392, 394, 733
ოფისკვიჯი 482, 514
ოფრეთი 213
ოშკი 407
ოცხანი 467, 471, 474, 475, 491, 492, 496, 523, 729
ოძრხე 643, 644, 720

პალაკაციო 425
პანტიანი 417
პარხალი 573
პატარა დმანისი 41, 42-45, 48, 51, 53, 129, 142, 164
პატარა ვარდისუბანი 43
პერპინჯანი 211
პეტერბურგი 53, 385
პირღებული 753
პოლონეთი 14

ჟინვალი 49

რაბინა 461
რატევანი 192, 193, 215
რაჭა 227, 471, 519, 639
რიონი 36
რიყის ხევი 375
რკონი 431
როკითი 480, 514, 729
როკის ხევი 421
რომი 28-32
რუმი 431
რუსაყია 488
რუსეთი 53
რუსთავი 251, 363

საბერძნეთი 151, 643
საბჭოთა კავშირი 37, 156
საგურიელო 459
სადადიანო 459
სადგერი 423
სათხე 37, 733
სალონიკი 29, 30
სამება 38, 414
სამეგრელო 36, 462-465, 467, 475, 476, 495, 503-505, 512, 513, 727, 729
სამელია 489
სამთავრო 709
სამტრედო 37, 215, 733
სამშვილდე 45, 49, 154, 160, 164, 444, 535, 538-540, 543, 544, 546-549, 551-554, 564, 711, 724, 741, 742, 746, 753
სამცხე 15, 421, 423, 424, 431, 545, 573, 574, 635, 637, 638, 641, 643, 648
სამწევრისი 38, 192, 198, 224, 439, 733
სამხრეთ საქართველო 642
საორბე 92, 396
სარკინეთის ხევი 192
სასირეთის ჭალა 644
საფარლუ 37, 42, 416, 733
საქართველო 13, 14, 29, 35, 37, 46, 49, 52, 154, 156, 157, 160-164, 190, 250-252, 363, 367, 412, 421, 424, 431, 441, 442, 462, 506, 522, 526, 530, 545, 553, 573, 575, 576, 634, 639, 641, 677, 713, 716, 723, 725, 731, 732, 734, 736-744, 747, 749, 753
საქუჩულორიო 466
საჩხერე 13
საჩხეური 494
სახუნდარი 213, 214
საჯოლია 720
სვანეთი 459
სირია 423, 439, 441, 442
სიქიშხანი ანუ სიკიმხანი 41, 42
სიცილია 386
სომხეთი 13, 31, 32, 40, 46, 48, 52, 154-156, 160, 161, 164, 190, 192, 229, 363, 382, 408, 412, 443, 547, 553, 633, 635, 672
სოჭილარი 720
სპარსეთი 31, 32, 195, 197, 205, 386, 544, 639, 674

სუბუქია 488
სუზა 15
სხალთა მდ. 634, 636, 638, 642

ტაბახმელა 47
ტაკიბოსტანი 386
ტანძია 44, 197, 375, 414
ტაო 396, 420, 544, 741
ტაო-კლარჯეთი 573, 574
ტაოსკარი 642
ტასისკარი 423
ტაშირი 48, 443, 443, 544
ტაშლაყაშია 574
ტბეთი 412, 421, 647
ტეკორი 382
ტეხურის პირი 22, 23, 25-27, 33, 34
ტნუსი 46, 47, 400, 401, 414, 733, 747
ტოლოში 574

უკანგორი 38, 374, 375, 378, 381, 382, 383, 385, 386, 387, 389-391, 402, 403, 439-441, 733, 739, 741, 747
უკრაინა 14
უსახელო 14
უფლისციხე 35

ფაზისი 29, 30
ფარცხანაყანევი 14, 514
ფერსათი 480, 481, 484, 514, 729
ფია 574
ფინეზაური მდ. 37, 40-42, 44, 46, 48, 52-54, 129, 140, 157, 158, 181, 415, 416, 739
ფინეზაურის ხეობა 41, 53, 58, 733
ფიოლია 487
ფიტარეთი 106, 213, 409, 410
ფოლადაური მდ. 191-194, 197, 211, 213-215, 439
ფოცხოვი 636, 637
ფოცხოვის წყალი 636, 637
ფოცხოვის ხეობა 637
ფრაიბურგი 697, 700, 705, 713, 736
ფშავი 578
ფხოვი 429

ქართლი 221, 227, 248, 423, 424, 462, 544, 547-549, 552, 643, 711
ქართლ-კახეთი 14, 230
ქაფანაქჩი 197, 200, 201, 211
ქვაჯვარი 720
ქვემო აჭარა 639
ქვემო ბოლნისი 201, 222-225, 248
ქვემო ოროზმანი 38, 437, 439
ქვემო ქართლი 421, 541, 548, 717
ქვემო-უბანი 109
ქვეშა 38, 40, 44, 46, 51, 52, 164, 197, 390, 399, 400, 733, 739
ქიზიყი 749
ქუთაისი 92, 392, 467, 476, 484, 510, 514, 516, 641
ქცია მდ. 40, 192

ღელვარის მთა 191
ღორისთავი 47, 253

ყაზახი 196
ყანობირის ხევი 720
ყარაბაღი 44, 196
ყარამშია 43
ყარასუ 156, 415-417, 437
ყარაქილისა 74
ყარაყორუმი 153
ყარაღაჯი 40
ყარსი 156
ყაფარა-სოფელი 38, 41, 42, 48, 52, 129
ყაშხათალა 415-417
ყიზილვანქი 13
ყიზილ-ქილისა 414, 416, 733
ყიზ-ქილი 38
ყინცვისი 92, 409
ყირიმი 150, 188
ყურჯილარი (სამნევრისი) 211, 214

შავი ზღვა 13, 14, 548
შავშეთი 634, 643, 644
შავშეთის ქედი 636
შაითანყალა (ბერდიკი) 211
შამშადილლუ 196
შახნაზარი 114
შიდა ქართლი 561
შინდლარა 38, 414, 733
შიომღვიმე 600
შირაქი 443
შირვანი 545
შორაპანი 14, 36
შუა მდინარე 14
შუაბოლნისი 200, 201, 224, 225, 248
შუარტყალი 631, 638, 671, 701, 711, 742
შუბანი 479, 480, 484, 514, 729
შუშანია 487

ჩათახი 191, 192, 194, 198, 753
ჩარაჩუ მჭითანა 487

ჩინეთის თურქისტანი 386
ჩინჩხორი 41
ჩინჩხორის ხევი 41, 52
ჩორჩანი 214
ჩოხათი 508, 509
ჩრდილოეთ ეგვიპტე 151
ჩრდილოეთ უკრაინა 150
ჩუნეში 461, 482, 514
ჩხოროწყუ 749

ცაიში 508, 509, 523
ციკუტია 487
ცისტარია 489
ციხისჯვარი 429, 643, 644
ცხიმორისი 633
ცხმორისი 639
ცხრაწყაროს უღელტეხილი 424

ძაძუა 487
ძველი გაჩიანი 45
ძველი დმანისი 45, 52
ძველი საქარაენო 38

წალკა 40, 427, 721
წილკანი 547, 554
წინააზია 13
წინაკავკასია 14
წოწოლაველის ხევი 375
წუგნა 461
წულრულაშენი 198, 213, 215, 409, 410
წყარიგზური 508, 509
წყისი 378
წყნეთი 193, 215, 375

ჭალა 508, 509
ჭანგა 495
ჭარალის მთა 636, 637
ჭაჭკარი 574
ჭოროხი 573

ხარკოვი 697, 700, 705
ხატის-სოფელი (ახლა წითელისოფელი) 197, 201, 202, 225
ხაუჟელი 494
ხაჩინი 196, 197, 199, 200, 213, 224
ხაჩქარი 412
ხახული 421
ხევთი 467, 508, 509
ხიბულა 465, 470, 494, 495, 514, 524
ხინწის ხევი 40
ხიორი 485, 486
ხირხათის მთა 635
ხიხა 631, 634, 635, 638, 640-642, 647
ხიხათის მთა 634
ხიხანი 634, 636, 677
ხიხა-ძირი 637
ხმელთაშუა ზღვა 548
ხობულა 523
ხოვლე 431, 435
ხოირი 471, 472, 474, 494, 524, 729
ხონი 421, 460, 467, 494-499, 504, 505, 508, 515, 516, 523, 532
ხოშტიბელა 461
ხრესილი 460
ხუნწი 495
ხუხუშია 489
ხუჯაბი, ანუ ჰუჯაბი 212, 215, 224, 723, 753

ჯავახეთი 40, 164, 396, 424, 426, 428-434, 437, 574, 721, 723
ჯავახეთის ზეგანი 412
ჯავახეთ-შავშეთი 642
ჯაკობია 488
ჯალდამი 47
ჯალე 636, 637
ჯანდარა 375, 415
ჯანისი 397, 398
ჯაფარლუ 193, 211
ჯგალი 507-509
ჯგუბურია 488
ჯიმაშტარი 494
ჯიქთუბანი 494
ჯომუშ-ბათანი 416
ჯორიელი 508, 509
ჯუმათი 523
ჯუმალი 520

ჰალლე 697, 700, 713, 736
ჰამამლუ 38, 414, 417, 418, 437, 723, 733, 739, 741, 747
ჰაცუტი 215

Абулбуг 189
Алгети (река) 367
Ани 162,181,187
Армения 162, 181, 190

Бамбакское ущелье 190
Башкичетский район 162
Ближний восток 181,190

Грузия 162-164,181,190,367,372
Гударехи 367, 369, 370, 372, 373
Гударехис-цхали река 367
Гударехский монастырь 367-372
Гударехское поселение 369

Дарьяльской ущелье 162
Джавахетия 164
Дманиси 162-165, 170, 176, 181, 183, 185, 187-190
Дманисский сион 170, 172, 174, 181

Кавказ 367
Картли 162, 163
Квеши 164
Константинополь 181

Ласпи 188
Ленинакан 162
Локский перевал 181
Люксембург 162

Машавера (река) 162, 165, 167, 170

Петербург 165
Пинезаури (река) 162, 165, 181, 190

Сабараташвило 164
Сабаратиано 162
Самшвилде 163, 164
Самшвилдское эриставство 162
Сомхити 162-164

Тбилиси 162, 163, 181, 190
Тетри-Цкаройский район 367

Херсонес 189

Церковь Марии в Дманиси 170, 172

Шахназар 190

Akthala 16, 17
Florenz 18
Kaukasus 17
Konstantinopel 180
Transkaukasien 16, 17
Ägypten 16